Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

41

იბეჭდება
საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА ПРИ ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА · 1965

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

„საბჭოთა საქართველო“
თბილისი · 1970

ვ. ი. ლენინი

ტომი

41

1896 წელი—*1917* წლის ოქტომბერი

3K 21
3ა 21
ლ 433

წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემის დამატებით 41—43-ე ტომებში შევიდა ის უმნიშვნელოვანესი ახალი მასალები, რომლებიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრულ კრებულში.

ორმოცდამეერთე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს 1896 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. ისინი არსებითად ავსებენ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია მეოთხე გამოცემის შესაბამის ტომებში.

ტომში დიდი ადგილი უკავია დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის, მის მიერ ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპების, მისი პროგრამისა და წესდების შემუშავებას. მათ შორისაა: „პროგრამის პროექტის პრაქტიკული ნაწილის ცალკეული პუნქტების მონახაზი“, „პლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის I და II აბზაცების ჩანაწერი და პროგრამის თეორიული ნაწილის პირველი აბზაცის მონახაზი“, „პროგრამის პროექტის აგრარული ნაწილისა და დასკვნის თავდაპირველი ვარიანტი“; ვ. ი. ლენინის გამოსვლები პარტიის II ყრილობაზე. ისინი გვიჩვენებენ, რომ ლენინის წყალობით „ისკრის“ რედაქციამ მოამზადა ნამდვილად რევოლუციური პროგრამის პროექტი.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის“ II ყრილობის, რსდმ პარტიის საბჭოს იანგრისა და ივნისის სესიების (1904 წ.) მასალები, „ერთა-

ბის ჟენევის ჯგუფის რეზოლუციის პროექტი", „პასუხი ლ. მარტოვს", „მოხსენება პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ" და სხვ. ახასიათებენ ვ. ი. ლენინის ბრძოლას მენშევიკთა გამთიშველი, დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ რსდმ პარტიის II ყრილობის შემდეგ.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის დოკუმენტების დიდ ჯგუფს, რომლებიც შეეხება რსდმ პარტიის III, IV და V ყრილობების მუშაობას. ეს დოკუმენტები შეიცავენ დებულებებს პროლეტარიატის ჰეგემონიის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ.

მნიშვნელოვან ინტერესს იწვევენ ნაშრომები, რომლებიც დაკავშირებულია ბოლშევიკთა სათათბირო, საპარლამენტო ტაქტიკის შემუშავებასთან: II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის შესახებ მოხსენების გამო მოხსენება და დასკვნითი სიტყვა და რსდმ პარტიის მეორე („სრულიად რუსეთის პირველი") კონფერენციის სხვა მასალები, სტატიები „აქვთ თუ არა მენშევიკებს კადეტებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკის გახორციელების უფლება?", „მესამე სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია", „მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში „IV სათათბიროს არჩევნები"", „სათათბიროს ფრაქცია და სათათბიროს გარეშე უმრავლესობა" და სხვ.

რეაქციის პერიოდის მთელი რიგი ნაწარმოებები ასახავენ ლენინის ბრძოლას იდეური მერყეობისა და მარქსიზმისაგან გადახვევის წინააღმდეგ. ლენინი შეურიგებლად ებრძოდა აშკარა ოპორტუნისტებს — მენშევიკ-ლიკვიდატორებს. ამავე დროს იგი ებრძოდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში „მემარცხენე" ოპორტუნიზმს — ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს, ფრაქციულ ჯგუფს „ვპერიოდს". უკვე გამოქვეყნებული მასალების დამატებით ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის 14 დოკუმენტი, რომლებიც ამუქებენ მუშაობას „პროლეტარის" გაფარ-

თოებული რედაქციის თათბირისა, რომელმაც დაგმო ორა მატ-ტო ლიკვიდატორობა, არამედ ოტზოვიზმიც.

ტომში უფრო სრულად არის წარმოდგენილი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის პარიზის თათბირის მასალები. „მოხსენებაში პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ“, თათბირებზე გამოსვლებში ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა პარტიის ამოცანები ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციით დამთავრდა მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი პერიოდი. კონფერენციამ გარიცხა პარტიიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები და განამტკიცა პარტია როგორც საერთო-რუსეთის ორგანიზაცია, რომელსაც უნარი შესწევდა სათავეში ჩასდგომოდა მასების ახალ რევოლუციურ აღმავლობას. ტომში ქვეყნდება მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც დიდად საინტერესოა კონფერენციის მუშაობის შესასწავლად. მათ შორისაა: „მოხსენება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ“, რომელიც შეიცავს ლენინის დიდმნიშვნელოვან დებულებებს ახალ ეპოქაზე — სოციალისტური რევოლუციების ეპოქაზე, „ბურჟუაზიასთან ბრძოლების“ ეპოქაზე, ამასთან დაკავშირებით რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასა და ევროპის სოციალისტური პარტიების რეფორმისტებს შორის ბრძოლის გამწვავების შესახებ, „სიტყვა ორგანიზაციული საკითხის შესახებ“, რომელშიც ლენინი ხაზს უსვამს მასებთან პარტიის ურთიერთობის განმტკიცების, ლეგალურ მუშაობასთან არალეგალური მუშაობის შეხამების საჭიროებას.

ტომში გამოქვეყნებულია პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირის ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „გაზეთ „პრავდის“ რედაქციის რეორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ“. ეს გადაწყვეტილება გვიჩვენებს, თუ როგორ ქმედითად და კონკრეტულად ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით პარტიის უმნიშვნელოვანეს ლეგალურ ორგანოს — გაზეთ „პრავდას“.

მთელ რიგ ნაშრომებში — „პასუხი ლიკვიდატორთა სტატიაზე „Leipziger Volkszeitung"-ში, „წერილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას", „ბიუროს უახლოესი ნაბიჯების საკითხისათვის", „რუსი მუშები და ინტერნაციონალი", „როგორ ატყუებენ მუშებს ლიკვიდატორები", „რეზოლუცია სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ" — ვ. ი. ლენინი საკადრის პასუხს სცემს გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა ცდებს „შეერიგებინათ" და გაეერთიანებინათ ბოლშევიკები და მენშევიკები ბოლშევიკური პარტიის ლიკვიდაციის გზით.

ვ. ი. ლენინის ბრძოლას პარტიული რიგების ერთიანობისათვის ახასიათებენ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობასთან დაკავშირებული დოკუმენტები: მისი მოხსენება და საბოლოო სიტყვა, პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიასთან ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ.

იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ავსებენ ვ. ი. ლენინის მიერ ეროვნული საკითხის დამუშავებას, ტომში შევიდა: „თეზისები რეფერატისა ეროვნულ საკითხზე", „გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ერთა თვითგამორკვევის უფლება", „შენიშვნა თეზისებისათვის „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება"", „ციმერვალდის კონფერენციაზე პოლონელ სოციალ-დემოკრატთა დეკლარაციის შესახებ", გეგმა დაუმთავრებელი ბროშურისა „სტატისტიკა და სოციოლოგია", „სიტყვა ეროვნულ საკითხზე" რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციაზე.

მსოფლიო ომის მოსალოდნელი საფრთხის გამო, რომელსაც ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ამზადებდნენ, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ომის საფრთხის წინააღმდეგ მუშათა ბრძოლის საჭიროებაზე, ამხილებდა ოპორტუნისტებს, რომლებიც უარყოფდნენ ასეთი ბრძოლის რეალურ მნიშვნელობას, და წინასწარ აჩვევდნენ მუშებს პასიურობას. მას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა ანტიმილიტარისტული პროპაგანდა, მასებისათვის მშრო-

მელთა საერთაშორისო სოლიდარობის შეგნების ჩანერგვა. ტომში ამ საკითხს ეძღვნება მასალები: „შენიშვნები შტუტგარტის კონგრესის რეზოლუციის გამო „მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების“ შესახებ“, „შენიშვნები კ. ცეტკინის სტატიის გამო „შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი““, „ანტიმილიტარისტული პროპაგანდა და სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის კავშირები“, „როგორ წერენ ისტორიას „სოციალისტ-რევოლუციონერები““.

ტომში გამოქვეყნებულია მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან პირველი მსოფლიო ომის პერიოდს: „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგის შესახებ“, „შენიშვნა „რედაქციისაგან“ სტატიის გამო „უკრაინა და ომი““, „რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ სექციათა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის „ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი“ მესამე პუნქტის პროექტი“, „ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციის პროექტი“, „პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის პროექტის ვარიანტი“, „გეგმა რეფერატისა „ორი ინტერნაციონალი““, გამოსვლები ციმერვალდისა და კინტალის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციებზე, „პროექტი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ჟურნალ „კომუნისტის“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ“, „შენიშვნები მაქსიმალიზმის შესახებ სტატიის გამო“ და სხვ. ეს მასალები აშუქებენ ბოლშევიკების ტაქტიკას ომისადმი, ზავისადმი; რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხებში; განმარტავენ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს; ახასიათებენ ლენინის მოღვაწეობას ინტერნაციონალიზმის დროშით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მემარცხენე, რევოლუციური ელემენტების შეკავშირებისათვის, მის ბრძოლას სოციალ-შოვინიზმისა და კაუცკელობის (ცენტრიზმის) წინააღმდეგ, აგრეთვე ბუხარინ – პიატაკოვის ჯგუფის მემარცხენე-ოპორტუნისტული, სექტანტური პოზიციისა და ფრაქციული მოქმედების წინააღმდეგ.

მთელ რიგ დოკუმენტებში, რომლებიც დაწერილია რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა დებულებანი ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ.

ტომი შეიცავს მასალებს, რომლებიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის დაბრუნებასთან შვეიცარიიდან რუსეთში 1917 წლის აპრილში. ცნობილია, როგორ სწამებდნენ ცილს და დევნიდნენ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პრესაში ლენინს, ბოლშევიკებს გერმანიის გავლით სამშობლოში დაბრუნების გამო. დოკუმენტები: პასუხები გაზეთ „Politiken“-ის კორესპონდენტს, შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელს ფ. სტრომს, „რუს რევოლუციონერთა მგზავრობა გერმანიის გავლით“ ჯგუფის კომუნიკე, სიტყვები თათბირზე შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან 31 მარტს (13 აპრილს), ჯავშნოსანი დივიზიონის ჯარისკაცთა მიტინგზე 15 (28) აპრილს და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომაზე 17 (30) აპრილს, „დაუმთავრებელი ავტობიოგრაფია“ და სხვები უდიდესი ძალით ამხილებენ ცილისმწამებელთ.

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის იმ სიტყვის საგაზეთო ანგარიში, რომლითაც 1917 წლის 3 (16) აპრილს პეტროგრადში ჩამოსვლისას მიმართა ფინეთის ვაგზლის მოედანზე ჯავშნოსანი ავტომობილიდან მუშებს, ჯარისკაცებსა და მატროსებს.

ვ. ი. ლენინის დაბრუნებამ, მის მიერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის კონკრეტული გეგმის შემუშავებამ, ამ გეგმის საჯაროდ ჩამოყალიბებამ პრესაში და მრავალრიცხოვან კრებებზე გამოსვლისას უზრუნველყვეს პარტიის შემობრუნება სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის საბრძოლველად. ამ მომზადებაში უდიდესი როლი შეასრულეს პეტროგრადის საერთო-საქალაქო და სრულიად რუსეთის VII პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებიც 1917 წლის აპრილში გაიმართა. ამ კონფერენციებზე ვ. ი. ლენინის ზოგიერთი

მოხსენება და გამოსვლა ქვეყნდება ოქმის ჩანაწერებისა და საგაზეთო ანგარიშების მიხედვით, რაც უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს მათს შინაარსზე. ტომში იბეჭდება აგრეთვე „მოხსენება რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შედეგების შესახებ პეტროგრადის ორგანიზაციის კრებაზე“. ეს კრება გაიმართა 1917 წლის 8 (21) მაისს.

ტომში მთელი რიგი დოკუმენტები ეძღვნება პარტიის მეორე პროგრამის მომზადებას, რომელმაც განსაზღვრა რუსეთში სოციალისტური ეკონომიკის აშენების კონკრეტული გზები. მათ მიეკუთვნება: „მონახაზი მეხუთე „წერილისა შორიდან““, „რსდმ პარტიის პარტიული პროგრამის ცვლილებათა წინასწარი პროექტი“, რომელიც საფუძვლად დაედო „პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტს“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 24, გვ. 553 — 559), „მოხსენება პარტიის პროგრამის გადასინჯვის საკითხზე“ რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციაზე და სხვ.

„სიტყვა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობის ბოლშევიკთა ფრაქციის სხდომაზე“, „მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა კონფერენციაზე“, სტატიები „ამხანაგების საყურადღებოდ!“, „მეტისმეტად უხეში სიცრუე“, „გრიმის საქმის გამო“, „სირცხვილი!“ და სხვ. ეძღვნება რევოლუციის ძირეულ საკითხებში: ომის, ზავის, აგრარულ და სხვა საკითხებში პარტიის პოლიტიკის განმარტებას.

თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობა“, რომლებიც ვ. ი. ლენინმა ივლისის ამბების შემდეგ დაწერა, სტატიის სახით გამოქვეყნდა გაზეთ „პროლეტარსკოე დელოში“. ასევე დაიბეჭდა ისინი მე-4 გამოცემის 25-ე ტომშიც. წინამდებარე ტომში თეზისები ქვეყნდება თავდაპირველი სახით — როგორც თეზისები. ამ დოკუმენტმა განსაზღვრა პარტიის ახალი ამოცანები და ტაქტიკა შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში. დიდად საინტერესოა მე-5 გამოცემაში პირველად გამოქვეყნებული „წე-

რილი „რიგის აღების გამო ფურცლის“ გამოცემასთან დაკავშირებით“. ვ. ი. ლენინის დიდმნიშვნელოვან მითითებებს შეიცავს პუნქტი „დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ“ „თეზისებიდან მოხსენებისათვის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე 8 ოქტომბერს, აგრეთვე რეზოლუციისათვის და პარტიულ ყრილობაზე არჩეულთა განაწესისათვის“, რომლებიც ნაწილობრივ გამოქვეყნდა თხზულებათა მე-4 გამოცემის 26-ე ტომში. ი. მ. სვერდლოვისადმი წერილში ვ. ი. ლენინი ამხილებს კამენევისა და ზინოვიევის შტრაიკბრეხერობას და გამოთქვამს რევოლუციის გამარჯვების რწმენას.

დოკუმენტების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მოსამზადებელი მასალები: გეგმები, კონსპექტები, მონახაზები, თეზისები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რაოდენ გულმოდგინედ მუშაობდა ვ. ი. ლენინი თავის ნაწარმოებებზე, გვაცნობენ მისი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს. დიდი მნიშვნელობა აქვს დაუმთავრებელი ან დაუწერელი სტატიების გეგმებს, გამოსვლების, რეფერატების გეგმებს, რომლებიც ტომში შევიდა და რომელთა ჩანაწერები არ გაკეთებულა ან არ შემონახულა. ბევრი მათგანი შეიცავს დიდმნიშვნელოვან თეორიულ დებულებებს, იძლევა პარტიის ამოცანების დახასიათებას.

წინამდებარე ტომში იბეჭდება ლენინის 47 ნაშრომი, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა თხზულებათა მე-5 გამოცემაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინიზმის ინსტიტუტი

1896—1904 წლები

ცნობა „მოხუცების“ სახელით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ წევრებს[1]

მიხაილოვი სანკტ-პეტერბურგში 1891 წელს გამოჩნდა როგორც არეულობისათვის გარიცხული ხარკოველი სტუდენტი. იგი შევიდა სტუდენტთა ორგანიზაციაში, რომელსაც „კორპორაცია“ [2] ეწოდებოდა მისი დაშლის შემდეგაც. კბილის სამკურნალო კურსებზე ხმა გავრცელდა რაღაც საეჭვო ნაცნობობის დროს მისი ყოფაქცევის შესახებ, რადგან ისინი მას აბრალებდნენ ფულის გაფლანგვას, რომელიც დამშეულთათვის შეაგროვეს, მაგრამ გაფლანგვა შეავსო. ამ დროს იგი დაუახლოვდა ...-ს. *

1894 წლის იანვარში გაჩხრიკეს ზემოხსენებული „კორპორაციის“ ბევრი ყოფილი წევრიც, მათ შორის მიხაილოვიც. დაკითხვების დროს ყველას დაწვრილებით უკითხავდნენ სოზოგადოების შემადგენლობის შესახებ და სხვ. ჟანდარმები აცხადებდნენ, რომ საქმე აღიძრა ერთ-ერთი ყოფილი წევრის დაბეზღებით. მიხაილოვზე არავითარი ეჭვი არ მიუტანიათ, რადგან ჟანდარმები ამბობდნენ, ამ უბრალო საქმეს მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ მიენიჭა, რომ მასში აშკარა რევოლუციონერი იყოო გარეული. იმავე დროს მოხდა გაფიცვა ვორონინის ფაბრიკაში[3]. მიხაილოვმა შეაღწია მათთან და დაიწყო ფულის შეგროვება მათ სასარგებლოდ. თებერვალში დააპატიმრეს 8 მუშა, რომლებსაც საქმე ჰქონდათ მიხაილოვთან, და 1 სტუდენტი, რომელიც ფულს აგროვებდა მისი დავალებით

---

* ხელნაწერში გაურკვეველია. რედ.

(ტალალაევი). ამ დროიდან მიხაილოვმა კვლავ დაიწყო დაახლოება ouvriers-თან* და შეძლო შეეღწია წრეებში, რომლებსაც ნაროდოვოლცები[4] ხელმძღვანელობდნენ. 1894 წლის ზაფხულში ეს უკანასკნელნი დაიჭირეს. გამოძიებისას აღმოჩნდა, რომ პოლიციისათვის ბევრი რამ იყო ცნობილი. მოხუცების საქმის ძიებისას წამოყენებული გვქონდა ბრალდება ამ ნაროდოვოლცელთაგან ზოგიერთის ნაცნობობაზე, მაგრამ შემთხვევამ...** ამის შემდეგ მალე დამთავრდა მიხაილოვის პირველი საქმე:...** და სხვები გადაასახლეს, იგი დაუსჯელი დარჩა და ყველგან ამბობდა, რომ შეიტანა თხოვნა შეწყალების თაობაზე და რომ ეს გააკეთა წინანდებურად მუშაობის განზრახვით. საუბედუროდ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ეს ფაქტი საკმაოდ სამარცხვინოდ არ მიიჩნიეს და იგი თავიანთ მფარველობაში მიიღეს, რითაც შესაძლებლობა მისცეს განემტკიცებინა და გაეფართოებინა თავისი ნაცნობობა, თუმცა პირადად მას მუშები პატივისცემით არ ეკიდებოდნენ.

ამას მოსდევს მისი ხერხების აღწერა, მუშებისათვის ფულის შეთავაზება, თავის ბინაზე მათი მიპატიჟება, ფსევდონიმების გამჟღავნება და სხვ. ამის წყალობით და აღნიშნულ პირთა სრული ნდობის გამოყენებით მან მალე გაიგო სხვადასხვა ჯგუფის ბევრი წევრის ვინაობა. ყველა ისინი დააპატიმრეს. როცა ერთმა მუშამ...** თქვა, რომ წიგნებს იღებდა მიხაილოვისაგან, იგი დაიჭირეს, მაგრამ მაშინვე გამოუშვეს და დღემდე სანკტ-პეტერბურგშია. გამოძიებაზე მან როგორც ბრალდებულმა გასცა ყველა თავისი ამხანაგი, ზოგიერთ ბრალდებულს...** უკითხავდნენ მის დაწვრილებითს მოხსენებას სხვადასხვა ჯგუფის შემადგენლობის შესახებ. (ხელმოწერანი.)

დაწერილია 1896 წელს
პირველად დაიბეჭდა 1953 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

*—მეშვებთან. რედ.
** ხელნაწერში გაურკვეველია. რედ.

სტრუვესთან შეთანხმების პროექტისათვის[5]

სოციალ-დემოკრატიული „ზარია"—„ისკრის" ჯგუფისა და დემოკრატიული ოპოზიციის „სვობოდას" ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს შეუთანხმდნენ შემდეგზე:

1) „ზარიას" ჯგუფი ამავე სახელწოდების ჟურნალთან სცემს განსაკუთრებულ დამატებას სახელწოდებით „სოვრემენოე ობოზრენიე", რომლის რედაქტირებაში მონაწილეობს „სვობოდას" ჯგუფი.

2) რედაქტირება ხდება შემდეგ საფუძველზე: თითოეულ მხარეს აქვს veto*-ს უფლება მეორე მხარის მასალებისა და სტატიების მიმართ.

3) გამოცემის პროგრამა: a) მასალები და დოკუმენტები, რომლებიც შეეხება მთავრობის** საქმიანობას, მთავრობის, საზოგადოებრივი და წოდებრივი დაწესებულებებისა და სხვათა საქმიანობას.

b) სტატიები რუსეთის საშინაო საზოგადოებრივი ცხოვრების, მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

c) საშინაო მიმოხილვა.

4) ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს იზრუნოს „სოვრემენოე ობოზრენიესათვის" მასალების მისაწოდებლად. მაგრამ „ზარიას"[6] რედაქციას შეუძლია თავის სპეციალურ გამოცემაში გამოაქვეყნოს საკუთარ განკარგულებაში არსებული მასალები § 3-ში აღნიშნულ თემებზე იმ შემთხვევებში, როცა იგი თავისი ხასიათით უფრო შეესაბამება ამ გამოცემებს.

5) „ზარიას" ჯგუფი კისრულობს „სოვრემენოე ობოზრენიეს" გამოცემასთან, გადაზიდვასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს. თავის მხრივ X ჯგუფი ანაზღაურებს ამით გამოწვეულ ყოველგვარ ხარჯს.

6) აღნიშნული საქმის ლიკვიდაციის შემთხვევაში ორივე

---

*—აკრძალვის. რ ე დ.

** პეტიტით მოცემული ტექსტი დაწერილია ა. ნ. პოტრესოვის ხელით. რ ე დ.

მხარე შუაზე იყოფს „სოვრემენოე ობოზრენიეს“ დარჩენილ ეგზემპლარებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. „ზარიას“ რედაქციას უფლება აქვს დაბეჭდოს „სოვრემენოე ობოზრენიეს“ ყდებზე განცხადებანი თავის გამოცემათა შესახებ.

დაწერილია 1901 წლის იანვარში
17 (30) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

საიდუმლო დოკუმენტი

მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობთ „ზარიას“ მიერ დაბეჭდილ ვიტეს ბარათს[7], რომელიც დიტცს აღმოაჩნდა შტუტგარტში. „ბარათი“, რომელიც მიმართულია ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის გორემიკინის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომ შემოეღოთ ერობანი არასაერობო გუბერნიებში, საინტერესოა როგორც დოკუმენტი, რომელიც უსირცხვილოდ ამხილებს ჩვენი მმართველების ყველაზე სანუკვარ სურვილებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დაწვრილებით ვილაპარაკებთ ჩვენი გაზეთის[8] უახლოეს ნომერში ამ შესანიშნავ დოკუმენტზე, ისევე როგორც ბ-ნ რ. ნ. ს.-ის მიერ ამ დოკუმენტისათვის დაწერილ წინასიტყვაობაზე. ეს წინასიტყვაობა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მის ავტორს ესმის რუსეთის მუშათა მოძრაობის პოლიტიკური მნიშვნელობა, ყველა დანარჩენი თვალსაზრისით გამოირჩევა პოლიტიკური აზრის იმ მოუმწიფებლობით, რაც ჩვეულებრივი და დამახასიათებელია ჩვენი ლიბერალებისათვის.

„ისკრა“ № 5, 1901 წლის
ივნისი

იბეჭდება გაზეთ „ისკრის“
ტექსტის მიხედვით

შენიშვნები რიაზანოვის სტატიისათვის „ორი სიმართლე“[9]

გვ.

1. ავტორს ქვაკუთხედად მიაჩნია მარქსის სიტყვები (2 გზის შესახებ), რომლებიც არსებითად ნათქვამია პირობითად და განსაკუთრებულ გარემოებათა გამო[10]. ავტორი კი ამახინჯებს საქმეს, სწორედ მარქსს ახვევს თავს თვით 2 გზის საკითხის დაყენებას.
7. „დაცინვა“ 70-იანელებისადმი (ისტორიის გადახედვა) ამტკიცებს **არა** „მარტო სრულ უუნარობას დადგეს ისტორიულ თვალსაზრისზე“, — იგი ამტკიცებს აგრეთვე 70-იანელთა თეორიულ დამცირებას 40-იანი და 60-იანი წლების ადამიანებთან შედარებით.

7ა. ხაზს უსვამს რა, რომ მიხაილოვსკი გამოდიოდა ვ. ვ.-ს წინააღმდეგ და არაფერს ამბობს, რომ მიხაილოვსკი უფრო ხშირად და უფრო მეტად ყოფილა ვ. ვ.-სთან სოლიდარული, ავტორი ცდილობს შეალამაზოს მიხაილოვსკი.

8. ეს აღმაშფოთებელი სიცრუეა: მიაწერა სწორედ მიხაილოვსკის „ნაროდნაია ვოლიას“ და „ხალხში სიარულის“ დაღუპვის **ტრაგედია**. სტატია ეძღვნება მიხაილოვსკის, რომლის Untergang* არის სწორედ *persönlicher*** და რომლის ბედში „ტრაგიკულის“ ფასი კაპიკია, ხოლო კომიკურისა — მანეთი.
9. სისულელეა ერთმანეთში ავურიოთ მიხაილოვსკის დანიავება და „70-იანი წლების რევოლუციური სოციალისტების თაობის ლაფში ამოსვრა“.
9. NB „უარს ამბობს“ თვალი გაადევნოს რევოლუციური უმრავლესობის ასახვას ლეგალურ ლიტერატურაში.

9—10. უმეცრის ხმას ხარბად უგდებს ყურს ყველა „Gekreuzigte und Verbannte“*** (70-იანი წლებისა) ?? ?

---

* — დაცემა. რედ.

** — პარადი. რედ.

*** — „ჯვარცმულნი და განდევნილნი“. რედ.

13. „საზოგადოებრივი საკითხები იცვლება პირადი საკითხებით“ (**და გვერდის ბოლომდე** NB). (პისარევშჩინა.) |??|

15. ...(პისარევი) „პირადი ბედნიერების ხალისიანი ქადაგება“ ——— „ინდივიდუალისტური იდეალებისა“. |??|

18. „ „ „თავფეხიანად ჩაიყურყუმელავეს პირადი თვითსრულყოფის საკითხებში“.

24 — 25. (§ III) დახასიათებულია რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს (70-იანი წლებისა) უტოპიური სოციალიზმი, რომელიც არეულია მიხაილოვსკის მიმართულებასთან.

28—29. მიხაილოვსკი ხშირად „სწირავდა“ ერთ-ერთ სიმართლეს. **მაგრამ** ჩვენ არ გვაინტერესებს მისი მოღვაწეობის „უგვიანესი ფაზა“. მიხაილოვსკი ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ როგორც გარკვეული მიმართულების გამომხატველი 70-იანი და 80-იანი წლების **ახალგაზრდობას** შორის.

31. რა „საზღვრები“ აქვს დადებული „გონებას ბუნებით“? (შემეცნების თეორია.)

29—35. „სიმართლის სისტემის“ გადმოცემა.

35. ... ეს სისტემა „ცდილობს გამონახოს სინამდვილეში ისეთი საზოგადოებრივი ელემენტი...“, რომელიც „დაინტერესებული იქნებოდა იდეალის განხორციელებით“.

41. იუზოვთან და K°-სთან დავიდან (მშრალი შინაარსი) — იაკოვენკოზე გადახტომა (1886 წ.).

46—48. Pendant *= **ტაჩევს**.

შემდეგ ა ქ ს ე ლ რ ო დ ი
და გადასვლა სოციალ-დემოკრატებზე.
ყველაფერი ეს გადმოცემულია მოსაწყენად და ოდნავ თუ ეხებათ „წინა 2-ს“ და **მიხაილოვსკის**.

და ნ. — იგი (52)!! — იმ დასკვნებით, რომლებიც მისგან გამოიტანა მიხაილოვსკიმ (53).

§ V, 57 გვერდიდან — 77 გვ. (78 — 80 „კრიტიკოსებზე“) — მარქსიზმის წარმოშობა. აუტანლად მოსა-

* — რაღაც ამგვარი. რ ე დ.

წყენია, მხოლოდ 82 გვერდზე უბრუნდება „**ძველ სიმართლეს**".

— 85 — ჩვენ უარვყოფთ სამყაროს გაყოფას ნუმენებად და ფენომენებად[11].

დაწერილია 1901 წლის სექტემბერ — ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მასალები რსდმ პარტიის პროგრამის შემუშავებისათვის[12]

1

პროგრამის პროექტის პრაქტიკული ნაწილის ცალკეული პუნქტების მონახაზი

13. 1. 02.

პ. 11. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეთვალყურეობა მუშათა არჩეულების მონაწილეობით იმ საცხოვრებლების სანიტარული მდგომარეობისადმი, რომლებსაც მეწარმენი მუშებს გამოუყოფენ, მეთვალყურეობა ამ ნაგებობათა შინაგანაწესისა და მათი ჩაბარების პირობებისადმი იმ მიზნით, რომ დაჭირავებული მუშები როგორც კერძო პირნი და როგორც მოქალაქენი თავიანთ ცხოვრებასა და საქმიანობაში დაცული იყვნენ მეწარმეთა ჩარევისაგან.

დამთავრდა

პ. 12. სწორად ორგანიზებული ყოველმხრივი სანიტარული მეთვალყურეობა შრომის პირობებისადმი ყველა საწარმოში, რომლებიც დაჭირავებულ შრომას იყენებენ.

13. საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობის გავრცელება მთელ ხელოსნურ, კუსტარულ მრეწველობაზე, შინამრეწველობაზე, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოებზე, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, რომლებიც დაქირავებულ მუშებს იყენებენ.

14.

და ა.შ.

აგრარული. ჩვენი ძველი ბატონყმური წყობილების მთელი ნაშთების მოსპობის ინტერესებისათვის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

1) გამოსყიდვის გადასახდელების გაუქმებას
2) თემიდან გასვლის თავისუფლებას
3) საიჯარო ქირის შემცირებას სასამართლოთი
4) ჩამონაჭრები.

აქსელროდი და ბერგი: **„გლეხთა მასისათვის** კაპიტალისტური (ან კაპიტალიზმის ცნობილი ტენდენციების) ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილება“.

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 6

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

პლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის კონსპექტი და მისი ზოგიერთი შესწორება

აბზაცები:

I. კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობა: წარმოების საშუალებანი კაპიტალისტებს აქვთ, უქონელი პროლეტარები=დაქირავებულნი — 2.*

* ხელნაწერში ციფრები ჩაწერილია ლურჯი ფანქრით და, როგორც ჩანს, მიუთითებენ აბზაცების სასურველ გადაადგილებაზე. რედ.

II. კაპიტალის ბატონობის სფეროს გაფართოება: მსხვილი საწარმოების სამეურნეო მნიშვნელობის გადიდება და წვრილი საწარმოების სამეურნეო მნიშვნელობის შემცირება — 1.

III. კაპიტალისტური ურთიერთობა სულ უფრო მეტად ავიწროებს მუშათა კლასს: შედარებით ამცირებს მოთხოვნას და ადიდებს მიწოდებას — 4.

IV. სამუშაო ძალის ფასის შემცირება. საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდა — 3.

+ ამრიგად (კაპიტალიზმი იწვევს??) საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მჭონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას (?+?)

V. კრიზისები — 5.

VI. მუშათა კლასის უკმაყოფილების ზრდა, ბრძოლის გამწვავება+იმის შეგნების ზრდა, რომ აუცილებელია სოციალური რევოლუცია, ე. ი. (მისი განმარტება) — 6.

VII. სოციალური რევოლუცია — მთელი ჩაგრული კაცობრიობის ინტერესებისათვის — 7.

VIII. იმისათვის, რომ სასაქონლო წარმოება სოციალისტურით შევცვალოთ, საჭიროა პროლეტარიატს ჰქონდეს პოლიტიკური ძალაუფლება—პროლეტარიატის დიქტატურა—8.

IX. მუშათა მოძრაობა საერთაშორისო გახდა — 10.

X. რუსეთის სოციალ-დემოკრატია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილია — 11.

XI. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას იგივე საბოლოო მიზანი აქვს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა

{ აღმოაჩინოს ინტერესთა შეურიგებლობა
გამოარკვიოს სოციალური რევოლუციის მნიშვნელობა
დარაზმოს მუშათა ძალები } — 9,

XII. უახლოეს მიზანს სახეს უცვლის ბატონყმური წყობილების ნაშთები (მთელი მშრომელი მოსახლეობის ჩაგვრა +მუშათა მოძრაობის მთავარი დაბრკოლება).

XIII. საჭიროა ბრძოლა იურიდიული დაწესებულებებისათვის, რომლებიც კაპიტალიზმის დამატებას შეადგენენ.

XIV. თვითმპყრობელობა ბატონყმური წყობილების ნაშთია, უბოროტესი მტერი, — მაშ უახლოესი ამოცანაა მონარქიის დამხობა.

კლეხანოვის პროგრამის პროექტის შესწორებანი

წარმოდგენილია 21. I. 02.

III. [კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა სულ უფრო მეტად ავიწროებს მუშათა კლასს იმის კვალობაზე, თუ] ტექნიკური პროგრესი, [ადიდებს რა შრომის ნაყოფიერებას] არა და ა.შ.

{ აყენებს ნაცვლად — იწვევს }

+ უმუშევრობის, სიღატაკის, დამცირებისა და ჩაგვრის ზრდა წარმოადგენს კაპიტალიზმის ამ ძირითადი ტენდენციის გარდაუვალ შედეგს.

III. ტექნიკური პროგრესი (ადიდებს რა შრომის ნაყოფიერებას?) არა მარტო აძლევს კაპიტალისტებს მატერიალურ შესაძლებლობას აამაღლონ მუშათა ექსპლოატაციის დონე, არამედ აქცევს კიდეც ამ შესაძლებლობას სინამდვილედ, იწვევს რა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შედარებით შემცირებას და ამავე დროს შედარებით და აბსოლუტურად ადიდებს მის მიწოდებას. უმუშევრობის, სიღატაკის, ჩაგვრისა და დამცირების ზრდა კაპიტალიზმის ამ ძირითადი ტენდენციის გარდაუვალი შედეგია.

„საშუალებას აძლევს“

(აღნიშნული ძირითადი ტენდენციების)

გაკეთდეს § 5.

არ არის სწორი არა ყველა.

IV. საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების განვითარებას თან სდევს ამრიგად ის, რომ ამ განვითარების **ყველა** სიკეთე მონოპოლიზებული აქვს უმნიშვნელო უმცირესობას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდა მხარდამხარ მიჰყვება საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მჭონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას, მესაკუთრეთა კლასსა და პროლეტარების კლასს შორის უფსკრულის გაღრმავებასა და გაფართოებას.

გაკეთდეს § 4.

V.* კიდევ უფრო აუარესებენ მუშათა კლასისა და წვრილი მწარმოებლების მდგომარეობას სამრეწველო კრიზისები, რომლებსაც გარდაუვალად იწვევენ კაპიტალიზმის აღნიშნული წინააღმდეგობანი

როცა არ არის საზოგადოებრივი კონტროლი წარმოებისადმი, როცა განუწყვეტლივ იზრდება კაპიტალისტური ქვეყნების მეტოქეობა მსოფლიო ბაზარზე **.

წარმოებაში გეგმაზომიერების უქონლობის გამო, მსოფლიო ბაზარზე კაპიტალისტური ქვეყნების მეტოქეობის ზრდის გამო. მასების სიღარიბესა და სიღატაკეს ზედ ერთვის საზოგადოებრივი სიმდიდრის განიავება წარმოებული საქონლის გასაღების შეუძლებლობის გამო.

საზოგადოებაში საქმის ასეთი ვითარების დროს, წარმოებაში გეგმაზომიერების უქონლობის დროს, მსოფლიო ბაზარზე კაპიტალისტური ქვეყნების განუწყვეტლივ მზარდი მეტოქეობის დროს, საქონლის გასაღება აუცილებლობის გამო ჩამორჩება მის წარმოებას**.

დაწერილია არა უგვიანეს 1902 წლის 8 (21) იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* ხელნაწერში წაშლილია ამბავის დასაწყისი: „ამ წინააღმდეგობათა კიდევ უფრო გამწვავებისაკენ". რ ე დ.

** ეს ვარიანტი ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

3

კლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის I და II აბზაცების ჩანაწერი და პროგრამის თეორიული ნაწილის პირველი აბზაცის მონახაზი

I. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს შეადგენს წარმოების კაპიტალისტური წესი, რომლის დროს წარმოების საშუალებებისა და საქონლის სახით წარმოებული პროდუქტების მიმოქცევის უმნიშვნელოვანესი ნაწილი შეადგენს პირთა შედარებით მცირერიცხოვანი კლასის კერძო საკუთრებას, მაშინ როცა მოსახლეობის უმრავლესობას თავისი არსებობის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ სამუშაო ძალის გაყიდვით. ამის გამო იგი იმ დაჭირავებული მუშის (პროლეტარის) დამოკიდებულ მდგომარეობაშია, რომელიც თავისი შრომით ქმნის წარმოების საშუალებებისა და საქონლის მიმოქცევის მესაკუთრეთა (კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა) შემოსავალს.

II. კაპიტალისტური წარმოების წესის ბატონობის სფერო ფართოვდება იმდენად, რამდენადაც ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფა ადიდებს მსხვილი საწარმოების სამეურნეო მნიშვნელობას და ამით ამცირებს წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლების როლს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში, ადაბლებს მათი ცხოვრების დონეს, ნაწილს ერეკება პროლეტარიატის რიგებში, მეორე ნაწილს კი პირდაპირ თუ არაპირდაპირ აქცევს კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად.

* * *

I (?). რუსეთის ეკონომიური განვითარება აქ იწვევს კა-
||?|| პიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის სულ უფრო მეტ გავრცელებას და სულ უფრო მეტ ბატონობას.

დაწერილია არა უადრეს
1902 წლის 8 (21) იანვრისა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 6

იბეჭდება
ჩელნაწერის მიხედვით

4

პროგრამის პროექტის თეორიული ნაწილის თავდაპირველი ვარიანტი

თავდაპირველი ფორმულირება	შესწორებული ფორმულირება

A.

I. რუსეთის ეკონომიური განვითარება და საერთაშორისო სავაჭრო გაცვლაში მისი სულ უფრო მეტად (გაძლიერებულად) ჩაბმა იწვევს აქ კაპიტალისტური წარმოების წესის სულ უფრო მეტ გავრცელებას და სულ უფრო სრულ ბატონობას.

გამოითქვას სხვაგვარად

I. საერთაშორისო სავაჭრო გაცვლაში რუსეთის გაძლიერებული ჩაბმა და სასაქონლო წარმოების ზრდა ქვეყნის შიგნით იწვევს აქ კაპიტალისტური წარმოების წესის სულ უფრო სრულ ბატონობას, წესისა, რომელიც გამოირჩევა შემდეგი ძირითადი თავისებურებებით.

II.* ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფა სულ უფრო ადიდებს მსხვილი საწარმოების სამეურნეო მნიშვნელობას, ამცირებს წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლების (გლეხების, შინამრეწველების, ხელოსნებისა და სხვ.) როლს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, ადაბლებს მათი ცხოვრების დონეს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ აქცევს მათ ერთ ნაწილს კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად, ხოლო

III. ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფა სულ უფრო ზრდის მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების რიცხვს, სიდიდესა და სამეურნეო მნიშვნელობას, ადაბლებს წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლების (გლეხების, შინამრეწველების, ხელოსნების) ცხოვრების დონეს, მათ ერთ ნაწილს აქცევს კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად, ხოლო მეორე ნაწილს სრულიად აჩანაგებს და ერე-

* ხელნაწერში მინიშნებულია პარაგრაფების გადანაცვლება: ლურჯი ფანქრით წაშლილია „II“ და ჩაწერილია „III“—და პირიქით. რ ე დ.

მეორე ნაწილს ერეკება უქონელი, წარმოების საშუალებებს მოკლებული კლასის (პროლეტარიატის) რიგებში.

კება უქონელი, წარმოების საშუალებებს მოკლებული კლასის (პროლეტარიატის) რიგებში.

III. წარმოების საშუალებებისა და საქონლის მიმოქცევის უმნიშვნელოვანესი ნაწილი სულ უფრო იყრის თავს პირთა შედარებით მცირერიცხოვანი კლასის ხელში, მაშინ როცა მოსახლეობის სულ უფრო მზარდ უმრავლესობას არსებობის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით. ამის გამო იგი ექცევა იმ დაჭირავებული მუშის (პროლეტარის) დამოკიდებულ მდგომარეობაში, რომელიც თავისი შრომით ქმნის წარმოების საშუალებებისა და საქონლის მიმოქცევის მესაკუთრეთა (კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა) შემოსავალს.

IV. ტექნიკური პროგრესი, ადიდებს რა შრომის ნაყოფიერებას, საშუალებას აძლევს კაპიტალისტებს **ამაღლონ** მუშათა ექსპლოატაციის დონე, იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შედარებითს შემცირებას (ესე იგი მოთხოვნის ისეთ გადიდებას, რომელიც არაპროპორციულია (ჩამორჩება) კაპიტალის გადიდებისა), ამავე დროს მისი მიწოდების შედარებითსა და აბსოლუტურ გადიდებას. ეს, ისევე როგორც კაპიტალიზმის ზემოაღნიშნული ძირითადი ტენდენციები, იწვევს უმუშევრობის, სიღატაკის, ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და დამცირების ზრდას.

V. კიდევ უფრო აუარესებენ მუშათა კლასისა და წვრილი მწარმოებლების მდგომარეობას სამრეწველო კრიზისები, რომლებსაც გარდაუვალად იწვევენ კაპიტალიზმის აღნიშნული წინააღმდეგობანი, მისთვის დამახასიათებელი (და მეწარმეთა ყოველგვარი კავშირებისათვის დაუძლეველი) წარმოების გეგმაზომიერების უქონლობა, კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთმეტოქეობის ზრდა მსოფლიო ბაზარზე. მასების სიღარიბესა და სიღატაკეს ზედ ერთვის საზოგადოებრივი სიმდიდრის განიავება წარმოებული საქონლის გასაღების შეუძლებლობის გამო.

VI. ამრიგად, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალების განვითარებას თან სდევს გამოითქვას სხვაგვარად

VI. ამრიგად, საზოგადოებრივი შრომის, რომელიც სულ უფრო განსაზოგადოებული ხდება, საწარმოო ძალების გიგანტურ განვითარებას თან სდევს

ის, რომ ამ განვითარების ყველა მთავარი სიკეთე მონოპოლიზებული აქვს მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდა მხარდამხარ მიჰყვება საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მჭონებელთა და უჭონჭლთა შორის მანძილის გაღრმავებას, მესაკუთრეთა (ბურჟუაზიის) კლასსა და პროლეტართა კლასს შორის უფსკრულის გაღრმავებასა და გაფართოებას.

VII. მაგრამ იმავე დროს, როცა იზრდება და ვითარდება კაპიტალიზმის ყველა ეს იზრდება აგრეთვე მუშათა კლასის უკმაყოფილება და აღშფოთება, იზრდება მისი შეკავშირება თვით კაპიტალისტური წარმოების წესის პირობების გამო, მწვავდება

გარდაუვალი წინააღმდეგობა, იზრდება პროლეტართა რიცხვი და შეკავშირება, უკმაყოფილება და აღშფოთება, მწვავდება

მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების კლასთან, მატულობს მისწრაფება განთავისუფლდნენ კაპიტალიზმის აუტანელი უღლისაგან.

VIII. მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე. კაპიტალიზმის უღლის დასამხობად საჭიროა სოციალური რევოლუცია, ე. ი.

VIII. მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით მუშათა კლასის საქმე, რადგან თანამედროვე საზოგადოების ყველა დანარჩენი კლასი არსებული ეკონომიური წყობილების საფუძვლების შენარჩუნების მომხრეა.

მუშათა კლასის ნამდვილი განთავისუფლებისათვის საჭიროა კაპიტალისტური წარმოების წესის მთელი განვითარებიდან ბუნებრივად გამომდინარე სოციალური რევოლუცია, ე. ი.

კერძო საკუთრების მოსპობა წარმოების საშუალებებზე, მათი გადასვლა საზოგადოებრივ საკუთრებაში და საქონლის კაპიტალისტური წარმოების შეცვლა პროდუქტების წარმოების სოციალისტური ორგანიზაციით მთელი საზოგადოების ხარჯზე, მისი უ ვ ე ლ ა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

IX. ამ სოციალური რევოლუციის მოსახდენად პროლეტარიატმა უნდა მოიპოვოს პ ო ლ ი ტ ი კ ური ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა, რომელიც მას მდგომარეობის ბატონ-პატრონად გახდის და საშუალებას მისცემს დაძლიოს ყველა დაბრკოლება თავისი დიადი მიზნის გზაზე. ამ თვალსაზრისით პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა სოციალური რევოლუციის აუცილებელ პოლიტიკურ პირობას შეადგენს.

X. პროლეტარიატის რევოლუცია იქნება მთელი ახლანდელი ჩაგრული და ტანჯული კაცობრიობის განთავისუფლება, რადგან იგი ბოლოს მოუღებს ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ შევიწროებასა და ექსპლოატაციას.

XI. რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს — დაანახვოს მუშებს კაპიტალისტთა ინტერესებთან მათი ინტერესების შეურიგებელი დაპირისპირებულობა, — განუმარტოს პროლეტარიატს იმ სოციალური რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, ხასიათი და პირობები, რომელიც მან უნდა მოახდინოს, — შექმნას რევოლუციური კლასობრივი პარტია, რომელსაც უნარი ექნება უხელმძღვანელოს მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ყველა გამოვლინებას.

XII. მაგრამ საერთაშორისო გაცვლისა და წარმოების განვითარებამ მსოფლიო ბაზარზე ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა (შექმნა) ცივილიზებული (?) სამყაროს ყველა ხალხს შორის, რომ პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიადი მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებული მეცადინეობის გზით. ამიტომ* თანამედროვე მუშათა მოძრაობა უნდა გადაქცეულიყო და დიდი ხანია უკვე გადაიქცა საერთაშორისო მოძრაობად და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას თავი მიაჩნია პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმად, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ნაწილად.

B.

I. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი მიზნები მნიშვნელოვნად იცვლის სახეს იმის გამო, რომ ჩვენში კაპიტალიზმამდელი, ბატონყმური, საზოგადოებრივი წყობილების მრავალრიცხოვანი ნაშთები ძლიერ აფერხებენ საწარმოო ძალების განვითარებას, ადაბლებენ მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, განაპირობებენ მრავალმილიონიანი გლეხობის ამოწყდომის აზიურ-ბარბაროსულ ფორმებს, უმეცრების, უუფლებობისა და სიბეჩავის მდგომარეობაში ჰყავთ მთელი ხალხი. რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჯერ მხოლოდ იბრძვის იმ თავისუფალი, სამოქალაქო და პოლიტიკური დაწესებულებებისათვის, რომლებიც უკვე არსებობენ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში და რომლებიც უთუოდ საჭიროა ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სრული და ყოველმხრივი განვითარებისათვის**.

---

* სიტყვები „პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიადი მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებული მეცადინეობის გზით. ამიტომ“ — ხელნაწერში წაშლილია. რედ.

** ეს ფრაზა ხელნაწერში წაშლილია. რედ.

II. მეფის თვითმპყრობელობა წარმოადგენს ბატონყმური წყობილების ყველაზე მნიშვნელოვან ნაშთს, მთელი იმ ბარბაროსობისა და მთელი იმ უბედურების ყველაზე მძლავრ დასაყრდენს, რომლებსაც უკვე დაალწიეს თავი პოლიტიკურად თავისუფალმა ქვეყნებმა; იგი წარმოადგენს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის უბოროტეს და ყველაზე საშიშ მტერს.

ბატონყმური წყობილების ამ ნაშთთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშთია, მთელი ამ ბარბაროსობის ყველაზე მძლავრი დასაყრდენია მეფის თვითმპყრობელობა. იგი პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთელი ხალხის კულტურული განვითარების უბოროტესი და ყველაზე საშიში მტერია.

ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და მის შეცვლას რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი თ დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს:

1) ხალხის თვითმპყრობელობას, ე. ი. ...

დაწერილია 1902 წლის 8 და 25 იანვარს (21 იანვარსა და 7 თებერვალს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის II ჯერებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

პროგრამის პროექტის გეგმის მონახაზები

I—VI. ა) რუსეთის ეკონომიური განვითარება და კაპიტალიზმის ძირითადი თავისებურებანი.

VII—XII. ბ) პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები.

გ) რუსი სოციალ-დემოკრატების უახლოესი ამოცანები და მათი პოლიტიკური მოთხოვნები.
დ) სოციალური (საფაბრიკო) რეფორმები.
ე) საფინანსო რეფორმა და მოთხოვნები ბატონყმური საზოგადოების ნაშთების მოსპობის მიზნით.
ვ) დასკვნა („კუდი").

A) რუსეთის ეკონომიური განვითარება და სოციალ-დემოკრატიის ზოგადი ამოცანები.
B) სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებული პოლიტიკური ამოცანები და პოლიტიკური მოთხოვნები.
C) სოციალური რეფორმები.
D) საფინანსო და საგლეხო გარდაქმნები (რეფორმები).

დაწერილია 1902 წლის 8 და 25 იანვარს (21 იანვარსა და 7 თებერვალს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

6

პროგრამის პროექტის აგრარული ნაწილისა და დასკვნის თავდაპირველი ვარიანტი

გარდა ამისა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს:

ა) სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიული ორგანიზაციის ინტერესებისათვის — გაუქმდეს ყველა არაპირდაპირი გადასახადი და დაწესდეს პროგრესულ-საშემოსავლო გადასახადი

ბ) ჩვენი ძველი ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთის აღმოფხვრის ინტერესებისათვის

1) გაუქმდეს გამოსყიდვის გადასახდელი და ღალა,

აგრეთვე ყოველგვარი ბეგარა, რომლებიც ამჟამად აქვს შეწერილი გლეხობას როგორც გადამხდელ წოდებას;

2) გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა კანონი, რომლებიც ზღუდავენ გლეხის უფლებას თავისი მიწის მიმართ;

3) დაუბრუნდეს ხალხს გამოსყიდვის გადასახდელისა და ღალის ფორმით გამორთმეული ფულადი თანხები. ამ მიზნით მოხდეს სამონასტრო ქონებისა და საუფლისწულო მამულების კონფისკაცია, აგრეთვე განსაკუთრებული გადასახადით დაიბეგროს იმ მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა მიწები, რომლებმაც ისარგებლეს გამოსყიდვის სესხით. გადაიქცეს ამ გზით მიღებული თანხები განსაკუთრებულ სახალხო ფონდად სოფლის საზოგადოებათა კულტურული და საქველმოქმედო საჭიროებებისათვის;

4) შეიქმნას გლეხთა კომიტეტები

(ა) სოფლის საზოგადოებებისათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის მეშვეობით ან — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — გამოსყიდვის და სხვ. მეშვეობით), რომლებიც გლეხებს ჩამოაჭრეს ბატონყმობის გაუქმების დროს და მემამულეთა ხელში იარაღს წარმოადგენენ მათი დაკაბალებისათვის;

(ბ) ბატონყმური წყობილების ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შემორჩა ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში;

5) უფლება მიეცეთ სასამართლოებს შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ქირა და ძალადაკარგულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომლებსაც კაბალური ხასიათი აქვთ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის აზრით, აღნიშნული პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების სრული, თანამიმდევრული და მტკიცე განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და მთე-

ლი ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით.

დაწერილია არა უგვიანეს 1902 წლის 25 იანვრისა (7 თებერვლისა)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 6

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

7

პროგრამის პროექტის მოწახაზები

ვარიანტი 1-ლი

რუსეთში სულ უფრო სწრაფად ვითარდება სასაქონლო წარმოება, ძლიერდება მისი მონაწილეობა საერთაშორისო საქონლო გაცვლაში* და სულ უფრო სრულად ბატონდება წარმოების კაპიტალისტური წესი.

მოსახლეობის სულ უფრო მზარდ უმრავლესობას აღარ შეუძლია თავისი არსებობის შენარჩუნება საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის გარეშე. ამრიგად იგი ექცევა იმ კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა შედარებით მცირერიცხოვან კლასზე დამოკიდებულ დაქირავებულ მუშათა (პროლეტართა) მდგომარეობაში, რომლებიც თავიანთ ხელში უყრიან თავს წარმოების საშუალებათა და საქონლის მიმოქცევის უმნიშვნელოვანეს ნაწილს**.

წარმოების საშუალებათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავს იყრის კაპიტალისტებისა და მსხვილი მიწათმფლობელების უმნიშვნელო რიცხვის ხელში, როგორც მათი კერძო საკუთრება. სულ უფრო მეტი და მეტი მუშაკი, კარგავს რა წარმოების საშუალებებს, იძულებული ხდება გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ამრიგად იგი ექცევა იმ დაქირავებულ მუშათა (პროლე-

* სიტყვები „ძლიერდება მისი მონაწილეობა საერთაშორისო საქონლო გაცვლაში" ხელნაწერში ამოშლილია. რ ე დ.

** ხელნაწერში ეს აბზაცი წაშლილია. რ ე დ.

ტართა) დამოკიდებულ მდგომარეობაში, რომლებიც საკუთარი შრომით ქმნიან მესაკუთრეთა შემოსავალს.

კაპიტალიზმის განვითარება სულ უფრო ზრდის მსხვილი საწარმოების რიცხვს, სიდიდესა და სამეურნეო მნიშვნელობას, აღაბლებს წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლების (გლეხების, შინამრეწველების, ხელოსნების) ცხოვრების დონეს, მათ ნაწილს კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად აქცევს, ნაწილს კი პროლეტარიატის რიგებში ერეკება.

რაც უფრო შორს მიდის ტექნიკური პროგრესი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ კაპიტალისტებს აამაღლონ მუშათა ექსპლოატაციის დონე, მით უფრო ჩამორჩება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გადიდება მისი მიწოდების გადიდებას.

სიღატაკის, უმუშევრობის, ექსპლოატაციის, ჩაგვრისა და დამცირების ზრდა კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენციების შედეგია.

ხელმოკლეობა, უმუშევრობა, ექსპლოატაციის უღელი და ყოველგვარი დამცირება მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო ფენების ხვედრი ხდება.

კიდევ უფრო ამწვავებენ ამ პროცესს სამრეწველო კრიზისები, რომლებსაც გარდაუვალად იწვევენ კაპიტალიზმის აღნიშნული წინააღმდეგობანი. მასების სიღარიბე და სიღატაკე შეხამებულია საზოგადოებრივი სიმდიდრის განიავებასთან, რადგან შეუძლებელი ხდება წარმოებული საქონლის გასაღება.

ამრიგად, საზოგადოებრივი შრომის, რომელიც სულ უფრო განსაზოგადოებული ხდება, საწარმოო ძალების გიგანტურ განვითარებას თან სდევს ის, რომ ამ განვითარების ყველა მთავარი სიკეთე მონოპოლიზებული აქვს მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი უთანასწორობა, ღრმავდება და ფართოვდება უფსკრული მესაკუთრეთა (ბურჟუაზიის) კლასსა და პროლეტართა კლასს შორის.

(ა) § III. წვრილი წარმოება სულ უფრო იდევნება მსხვილით. წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლები (გლეხები,

შინამრეწველები, ხელოსნები) ან პროლეტარებად, ან კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად გადაიქცევიან.

ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფა იწვევს იმას, რომ წვრილ წარმოებას სულ უფრო გამოდევნის მსხვილი წარმოება. წარმოების საშუალებათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი (მიწები და ფაბრიკები, იარაღები და მანქანები, რკინიგზები და მიმოსვლის სხვა საშუალებანი) თავს იყრის კაპიტალისტებისა და მსხვილი მიწათმფლობელების შედარებით უმნიშვნელო რიცხვის ხელში, როგორც მათი კერძო საკუთრება. წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლები (გლეხები, შინამრეწველები, ხელოსნები) სულ უფრო ჩანაგდებიან, კარგავენ წარმოების საშუალებებს და ამრიგად პროლეტარებად იქცევიან ან კაპიტალის მსახურები და მოხარკეები ხდებიან. მუშაკთა სულ უფრო მზარდი უმრავლესობა იძულებული ხდება გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა.

ამრიგად ისინი გადაიქცევიან დაქირავებულ მუშებად, რომლებიც მესაკუთრეებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და თავიანთი შრომით ქმნიან მათს სიმდიდრეს.

ამრიგად ეს დაქირავებული მუშები (პროლეტარები) მესაკუთრეებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ექცევიან და თავიანთი შრომით ქმნიან მათს შემოსავალს.

ვარიანტი №-2

სულ უფრო სწრაფად ვითარდება სასაქონლო წარმოება რუსეთში, სულ უფრო სრულად ბატონდება აქ კაპიტალისტური წარმოების წესი.

წარმოების საშუალებათა (მიწები და ფაბრიკები, იარაღები და მანქანები, რკინიგზები და მიმოსვლის სხვა საშუალებანი) უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავს იყრის კაპიტალისტებისა და მსხვილი მიწათმფლობელების შედარებით უმნიშვნელო რიცხვის ხელში, როგორც მათი კერძო საკუთრება.

მუშაკთა სულ უფრო მეტი და მეტი რიცხვი, კარგავს (ხელიდან ეცლება) რა წარმოების საშუალებებს, იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ამრიგად ეს დაქირავებული მუშები (პროლეტარები) მესაკუთრეებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ექცევიან და თავიანთი შრომით ქმნიან მათს შემოსავალს.

მუშაკთა სულ უფრო მეტი რიცხვი იძულებული ხდება გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა, ისინი გადაიქცევიან დაქირავებულ მუშებად, რომლებიც მესაკუთრეებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში არიან და თავიანთი შრომით ქმნიან მათს სიმდიდრეს.

კაპიტალიზმის განვითარება სულ უფრო ზრდის მსხვილი საწარმოების რიცხვს, სიდიდესა და სამეურნეო მნიშვნელობას, აუარესებს წვრილი დამოუკიდებელი მწარმოებლების (გლეხების, შინამრეწველების, ხელოსნების) მდგომარეობას, მათ ერთ ნაწილს კაპიტალის მსახურებად და მოხარკეებად აქცევს, მეორე ნაწილს კი პროლეტარიატის რიგებში ერეკება.

რაც უფრო შორს მიდის ტექნიკური პროგრესი, რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ კაპიტალისტებს აამაღლონ მუშათა ექსპლოატაციის დონე, მით უფრო ჩამორჩება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გადიდება მისი მიწოდების გადიდებას. ხელმოკლეობა და უმუშევრობა, ექსპლოატაციის უღელი და ყოველგვარი დამცირება მშრომელი მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო ფენების ხვედრი ხდება.

კიდევ უფრო ამწვავებენ ამ პროცესს სამრეწველო კრიზისები, რომლებსაც გარდაუვალად იწვევენ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი. მასების სიღარიბე და სიღატაკე შეხამებულია საზოგადოებრივი სიმდიდრის განიავებასთან წარმოებული საქონლის გასაღების შეუძლებლობის გამო.

ამრიგად, საზოგადოებრივი შრომის, რომელიც სულ უფრო განსაზოგადოებული ხდება, საწარმოო ძალების გიგანტურ განვითარებას თან სდევს ის, რომ ამ განვითარების ყველა მთავარი სიკეთე მონოპოლიზებული აქვს მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას-

თან ერთად იზრდება საზოგადოებრივი უთანასწორობა, ღრმავდება და ფართოვდება უფსკრული მესაკუთრეთა (ბურჟუაზიის) კლასსა და პროლეტარიატის კლასს შორის*.

დაწერილია 1902 წლის 25 იანვარსა და 18 თებერვალს (7 თებერვალსა და 3 მარტს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8

პროგრამის პროექტის აგრარული და საფაბრიკო ნაწილების დამატებანი

„ძველი ბატონყმური წყობილების ნაშთების აღმოსაფხვრელად კი იგი ეცდება“.

ხომ არ ჩავუმატოთ „და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის“.

ამის საჭიროებას ადასტურებს ის, რომ ჩვენ აქაც გადაჭრით უნდა გავემიჯნოთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელიც, რა ელფერისაც უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ხალისით მოაწერს ხელს მხოლოდ პირველ დასაბუთებას.

* * *

NB: საფაბრიკო ნაწილში დაემატოს: კანონით დაწესდეს ანგარიშსწორების ყოველკვირეული ვადა მუშათა და-

* ხელნაწერის მეორე მხარეს ფანქრით გაკეთებულია ჩანაწერი: „... ამასთან გადაჭრით უარჰყოფს ყველა იმ რეფორმატორულ პროექტს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი მასებისადმი პოლიციურ-ჩინოვნიკური მეურვეობის რაიმე გაფართოებასა და განმტკიცებასთან...“. ეს ფორმულირება ვ. ი. ლენინმა წამოაყენა როგორც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პროექტის“ დასკვნის შესწორება (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 6, გვ. 21). რედ.

ქირავების შესახებ ყველა და ყოველგვარი ხელშეკრულებისათვის.

დაწერილია 1902 წლის
25 იანვარსა და 18 თებერვალს
(7 თებერვალსა და 3 მარტს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 6

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პასუხები პლეხანოვისა და აქსელროდის შენიშვნებზე სტატიისათვის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“[13]

„4. დაარსდეს გლეხთა კომიტეტები:

ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — გამოსყიდვის და სხვ. გზით), რომლებიც ჩამოეჭრათ გლეხებს ბატონყმობის გაუქმების დროს და მემამულეთა ხელში წარმოადგენენ გლეხების დამონების იარაღს...“ *

პლეხანოვი. NB. გთხოვთ შენიშნოთ აი რა: ექსპროპრიაცია (№ 3) არ გამორიცხავს გამოსყიდვას; გამოსყიდვა არ გამორიცხავს ექსპროპრიაციას (მტკიცება საჭირო არ არის); „გამოსყიდვა და სხვ.“ (№ 2) არის უბრალოდ გამოსყიდვა, — „და სხვ.“ უნდა ამოვიღოთ. ხოლო ის ფრაზა, რომელიც ბრჭყალებშია, შეიძლება შეიცვალოს ასეთით (გამოსყიდვის საშუალებით, თუ 1861 წლის შემდეგ მიწა [და არა მიწები]

№ 1 — რაკი პროგრამაში „მიწების“, ბრჭყალებში „მიწის“ ჩასმა ეწინააღმდეგება გრამატიკას.

№ 2 — „და სხვ.“ შეიცავს მიწის მიწაზე გაცვლასაც, მიწაზე სერვიტუტსაც და ხელახლა გამიჯვნასაც და სხვ. ამიტომ ამოღება სრულიადაც არ არის სწორი.

№ 3 — „ექსპროპრიაცია“

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 127.

(№ 1) გაყიდვის გზით სხვის ხელში გადავიდა). მაშინ ცხადი იქნება, რომ სხვა შემთხვევებში დაბრუნება მოხდება ახლანდელი მფლობელისათვის ანაზღაურების გარეშე. მაგრამ თუ მიწა სხვის ხელში გადავიდა მემკვიდრეობის ან ჩუქების, ან გაცვლის გზით, გამოსყიდვა არ უნდა იყოს. მგონია, რომ მოვასწრებთ ამის შეცვლას.

აქსელროდი. ვეთანხმები პ. ა. ჩვეულებრივ გულისხმობს საკუთრების ჩამორთმევას, ე. ი. აუნაზღაურებლად წართმევას. ამიტომ მისი დაპირისპირება გამოსყიდვისადმი სრულიადაც არ არის ისე უცნაური, როგორც შენიშვნების ავტორს ჰგონია.

„ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიბრძოლოთ ბატონყმურ ურთიერთობათა ყველა ნაშთის წინააღმდეგ, — ეს სოციალ-დემოკრატიისათვის არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, და რადგან ეს ურთიერთობანი ურთულესად გადახლართულნი არიან ბურჟუაზიულ ურთიერთობებთან, ჩვენ იძულებულნი ვხდებით შევაღწიოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ხლართის შიგ შუაგულში და ამოცანის სირთულისა არ უნდა შეგვეშინდეს“ *.

პლეხანოვი. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, როგორია შუაგული, —ზედმეტია ნებართვის თხოვნა.

??

„... მუშათა განყოფილება შეიცავს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნებს, ხოლო გლეხთა განყოფილება — მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია მებატონე-მემამულეების წინააღმდეგ (მე ვიტყოდი — ფეოდალების წინააღმდეგ, ამ ტერმინის გამოყენება ჩვენი მემამულე თავადაზნაურობის მიმართ ესოდენ სადავო საკითხი რომ არ იყოს[1]).

[1] მე პირადად ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არც ადგილია და არც საამისო დრო, რომ დავასაბუთო და თუნდაც წამოვაყენო ეს გადაწყვეტა, რადგან ახლა საქმე ეხება აგრარული პროგრამის კოლექტიური, საერთო-სარედაქციო პროექტის დაცვას“ **.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 132. რედ.

** იქვე, გვ. 135. რედ.

აქსელროდი. NB. მერწმუნეთ, საპროგრამო ბროშურაში ჯობს გამოეტოვოთ ასეთი გადაკრული გამოთქმები უთანხმოებაზე.

„ხოლო იმის ცდა, რომ წინასწარ, ბრძოლის საბოლოო შედეგამდე, თვით ბრძოლის მსვლელობაში განვსაზღვროთ და ვთქვათ, მთელ მაქსიმუმს ჩვენ, საფიქრებელია, ვერ მივაღწევთო, — ნიშნავს წმინდა ფილისტერობაში გადავარდნას“ *.

პლეხანოვი. „იმის ცდა... განვსაზღვროთ“, რომ მთელ მაქსიმუმს ჩვენ ვერ მივაღწევთ და სხვ. — ეს ძალიან დაულაგებელია. წინადადება შემოშაქს შევცვალოთ ეს იმ ფრაზით, რომელიც ჩავწერე ტექსტში**. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ ამ წინადადებას. დასაბუთება: მოწინააღმდეგეთა მხრივ დაცინვის საშიშროება.

გთავაზობთ აგრეთვე კენჭი ვუყაროთ ჩემს წინადადებას რუსულ ფეოდალიზმზე ავტორის მოსაზრებათა უკუგდების შესახებ. დასაბუთება: ასეთი მსჯელობის უადგილობა ზოგად, ასე ვთქვათ, სარედაქციო სტატიაში. ავტორის შენიშვნები მხოლოდ რედაქციაში უთანხმოებაზე მიუთითებენ,

აქსელროდი. ზემოთ უკვე გამოვთქვი ასეთი აზრი.

მცირეოდენი ტაქტი აგრძნობინებდა შენიშვნების ავტორს, რომ **სტილის** მისთვის სასურველი (იქნებ უარესი?) ცვლილებებისათვის **კენჭისყრა** ფრიად უადგილოა. ასევე სასაცილოა იმის შიში, რომ „ფეოდალიზმის“ პატარა საკითხის გამო აყვირდებიან (მარტინოვები?) „უთანხმოებებზე“. მე ძალიან ზოგადად გამოვთქვი.

„„ჩვენი მოძრაობა“ მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაა. გლეხთა მასას მასში „ჩაბმა“ ნამდვილად არ შეუძლია: ეს პრობლემატური კი არა, არამედ შეუძლებელია, და ამაზე არასოდეს ლაპარაკიც არ ყოფილა. ხოლო

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 137. რედ.

** პლეხანოვი წინადადებას იძლეოდა შეეცვალათ ეს ფრაზა შემდეგნაირად: „ხოლო თავის შეკავება, ბრძოლის საბოლოო შედეგების მიღწევამდე, თვით ბრძოლის მსვლელობაში, იმ მოსაზრებით...“ რედ.

ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ (და მათ შორის თვით-მპყრობელობის წინააღმდეგაც) მიმართულ „მოძრაობაში“ გლეხთა მასას ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ ჩ ა ე ბ ა ს“ *.

პლეხანოვი. წინადადებას ვიძლევი (ჩ ა ბ მ ი ს შესახებ ფრაზაში) ნაცვლად სიტყვებისა: „გლეხთა მასა“ ჩავსვათ: გლეხთა მასა, აღებული როგორც ასეთი, ე. ი. რ ო გ ო რ ც წ ო დ ე ბ ა, და, გარდა ამისა, განხილული რ ო გ ო რ ც ე რ თ ი მ თ ლ ი ა ნ ი, და ა. შ.

გთხოვთ კენჭი ვუყაროთ ამას.

აქსელროდი. ვეთანხმები. პ. ა.

იხ. 28 მეორე მხარე**.

„ჩვენ უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ იდეა, რომ მხოლოდ რესპუბლიკაში შეიძლება მოხდეს გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ჩვენ უნდა შ ე ვ ქ მ ნ ა თ და განვამტკიცოთ რესპუბლიკური ტრადიცია ყველა რუს რევოლუციონერს შორის და რუსი მუშების რაც შეიძლება ფართო მასებს შორის, ჩვენ „რესპუბლიკის“ ლოზუნგით უნდა ის გამოვხატოთ, რომ სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაციისთვის ბრძოლაში ჩვენ ბოლომდე ვივლით, უკან არ მივიხედავთ...“ ***.

პლეხანოვი. ჩემი რ ჩ ე ვ ა ა მ ო წ ა ლ ო თ სიტყვები: ჩვენ უნდა გავავრცელოთ იდეა, რომ მხოლოდ რესპუბლიკაში შეიძლება მოხდეს გადამწყვეტი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის (გ თ ხ ო ვ თ კ ე ნ ჭ ი ვ უ ყ ა რ თ ო ა მ ა ს). მე სრულიადაც არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ, მაგ., ინგლისში პოლიტიკურმა განვითარებამ უნდა განვლოს რესპუბლიკა. საეჭვოა მიუხარჭიან რაიმეთი შეუშა-

ინგლისის მაგალითი უადგილოა სწორედ მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. და ა მ ჟ ა მ ა დ რუსეთის შედარება ინგლისთან ნიშნავს საზოგადოებაში უამრავ გაუგებრობათა გავრცელებას. მარქსისა (1875) და ენგელსის (1891) შენიშვნები გერმანიაში რესპუბლიკის მო-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 137—138. რ ე დ.

** იხ. წინა პასუხი პლეხანოვის შენიშვნაზე. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 140. რ ე დ.

ლოს ხელი მუშებს იქ, ხოლო ამიტომ მისი მოსპობა სოციალიზმის გამარჯვების წინასწარი პირობა კი არა, შეიძლება შედეგი იყოს.

ჰქსელროდი. მხარს ვუჭერ წინადადებას. პ. ა.

თხოვნის შესახებ[14] მიუთითებენ სწორედ რესპუბლიკის „აუცილებლობაზე“, — გამონაკლისი კი ყველგან შეიძლება იყოს.

„ამრიგად, მე-4 პუნქტის მთელი შინაარსი, სიმარტივის მიზნით, შეიძლება ორი სიტყვით გამოვხატოთ: „დაუბრუნდეთ ჩამონაჭრები“. ისმება კითხვა: როგორ წარმოიშვა ასეთი მოთხოვნის იდეა? როგორც პირდაპირი დასკვნა იმ ზოგადი და ძირითადი დებულებიდან, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ გლეხებს და წავაქეზოთ გლეხები იმისათვის, რომ რაც შეიძლება მთლიანად მოსპონ ბატონყმობის ყველა ნაშთი. ამას „ყველა ეთანხმებით“, ხომ ასეა? მაშ, თუ თანახმა ხართ ამ გზას დაადგეთ, კეთილ ინებეთ და უკვე დამოუკიდებლად იარეთ ამ გზით წინ, ნუ გვაიძულებთ გათრიოთ, ნუ შეგაშინებთ ამ გზის „უჩვეულო“ სახე, ნუ შეგაკრთობთ ის, რომ მრავალ ადგილას თქვენ ვერავითარ გატკეპნილ გზას ვერ ნახავთ და იძულებული იქნებით უფსკრულის ნაპირზეც გაცოცდეთ, ჯაგებშიც გაძვრეთ და ორმოებზედაც გადახტეთ. ნუ უჩივით უგზოობას: ეს ჩივილი უსარგებლო წუწუნი იქნება, რადგან თქვენ წინდაწინვე უნდა გცოდნოდათ, რომ შარაგზაზე კი არ დგებოდით, საზოგადოებრივი პროგრესის მთელი ძალების მიერ გამართულ და გასწორებულ გზაზე, არამედ მიხვეულ-მოხვეულ და მივარდნილ ბილიკებზე, საიდანაც გამოსავალი არის, მაგრამ პირდაპირ, მარტივ და ადვილ გამოსავალს ვერც თქვენ, ვერც ჩვენ, ვერც სხვა ვინმე ვერასოდეს ვერ იპოვნის, — „ვერასოდეს“, ე. ი. საერთოდ მანამდე, სანამ კიდევ იარსებებს ეს მომაკვდავი, მტანჯველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომაკვდავი, მიხვეულ-მოხვეული და მივარდნილი ბილიკები.

და თუ არ გნებავთ ამ მიხვეულ-მოხვეულებში შესვლა, მაშინ პირდაპირ თქვით, არ გვინდაო, და ნუ იძვრენთ თავს ფრაზებით“ *.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 148—149. რედ.

პლეხანოვი. კენჭისსაყრელად გამომაქვს საკითხი, რომ წაიშალოს ეს გვერდი. იგი რამდენადმე ფელეტონურ ხასიათს ანიჭებს მსჯელობას, რომელიც თავისთავად ნათელი და თანმიმდევრულია. ჩამონაჭრების დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წამოსაყენებლად საჭირო არ არის „უფსკრულის პირზე ცოცვა“ და სხვ. ეს ხატოვანი გამოთქმა გვაფიქრებინებს, რომ თვითონ ავტორს მთლიანად არ შეუთანხმებია „ჩამონაჭრები“ თავისი მართლმორწმუნეობისათვის.

აქსელროდი. წინადადებას ვიძლევი გამოვტოვოთ ეს გვერდი, დაწყებული სიტყვიდან: „ამას“ და შემდეგი გვერდის ბოლომდე (47). ბ. ა.

კენჭისსაყრელად გამომაქვს საკითხი, საკადრისია თუ არა რედაქციაში კოლეგის მიმართ ასეთი კანკანური ტონის შენიშვნები? მერედა სადამდე მივალთ, თუ **ყველანი ასე** გავუმასპინძლებით ერთმანეთს??

„საბატონო მეურნეობის პირდაპირი გადმონაშთები, რომლებიც რუსეთის ყველა ეკონომიური გამოკვლევით უთვალავჯერ იყო აღნიშნული, ემყარება არა რაიმე ცალკეულ კანონს, რომელიც მათ იცავს, არამედ ფაქტიურად არსებულ საადგილმამულო ურთიერთობათა ძალას. ეს იმდენად ასე არის, რომ ვალუევის ცნობილი კომისიის [15] წინაშე მოწმეები პირდაპირ ამბობდნენ: ბატონყმობა, უეჭველია, კვლავ აღორძინდებოდა, იგი კანონით პირდაპირ რომ არ ყოფილიყო აკრძალული. მაშასადამე, ორში ერთი: ან სრულიად არ უნდა შევეხოთ გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებულ საადგილმამულო ურთიერთობას, — მაშინ ყველა დანარჩენი საკითხი ძალიან „მარტივად“ წყდება, მაგრამ მაშინ თქვენ ვერ შეეხებით სოფლად ბატონყმური მეურნეობის ყოველგვარი ნაშთის მთავარ წყაროსაც, მაშინ თქვენ „მარტივად“ მოიშორებთ თავიდან ფრიად მწვავე საკითხს, რომელიც ეხება მებატონეთა და დამონებული გლეხობის უაღრესად ღრმა ინტერესებს, — საკითხს, რომელიც ადვილად შეიძლება ხვალ ან ზეგ გახდეს რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე საჭირბოროტო სოციალ-პოლიტიკური

საკითხი. ან თქვენ უნდა შეეხოთ „ეკონომიური კაბალის ჩამორჩენილი ფორმების“ იმ წყაროსაც, როგორიც არის საადგილმამულო ურთიერთობა, — და მაშინ ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ ურთიერთობის ისეთ სირთულეს და დახლართულობას, რომელიც ადვილ და მარტივ გადაწყვეტას პირდაპირ ვერ იწყნარებს. მაშინ თქვენ, დახლართული საკითხის ჩვენს მიერ წამოყენებული კონკრეტული გადაწყვეტით უკმაყოფილოს, უ ფ ლ ე ბ ა ა ღ ა რ გ ე ქ ნ ე ბ ა თ თავი დაიძვრინოთ საერთო „ჩივილით“ დახლართულობაზე, არამედ უ ნ დ ა სცადოთ დამოუკიდებლად გაერკვეთ მასში, წამოაყენოთ სხვა კონკრეტული გადაწყვეტა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვე გლეხურ მეურნეობაში ჩამონაჭრებს, — ეს ფაქტის საკითხია“ *.

პლეხანოვი. ჩემი რჩევა იქნებოდა ამოგველო მთელი მსჯელობა „სიმარტივესა“ და „არასიმარტივეზე“ და განგვეგრძო სტატია, დაწყებული სიტყვებიდან: „რა მნიშვნელობა აქვს ჩამონაჭრებს და სხვ.“ სტატია მოიგებს ამით, რადგან მთელი აღნიშნული ადგილი აფუჭებს მას თავისი შემზარავი (??) გაჭიანურებით. წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ.

მსჯელობა სიმარტივეზე, როგორც წინა აზრის შეჯამება (და როგორც პასუხი უ ა მ რ ა ვ შენიშვნაზე, რომლებიც ჩვენს თანამგრძნობ პირებსაც კი აქვთ), სრულიადაც არ არის ზედმეტი, და ჩემი რჩევაა ხელი არ ვახლოთ მას.

„შრომამიგების სისტემა იწვევს ტექნიკის გაყინვას და სოფლად უ ვ ე ლ ა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა გაყინვას, რადგან ეს სისტემა ხელს უშლის ფულადი მეურნეობის განვითარებას და გლეხობის დაშლას, მემამულეს ათავისუფლებს (შედარებით) კონკურენციის წამებიძგველი გავლენისაგან (ტექნიკის ამაღლების ნაცვლად იგი ამცირებს მონახევრის წილს; სხვათა შორის, ეს შემცირება შემჩნეულია მთელ რიგ ადგილას რეფორმისშემდგომი პერიოდის მრავალი წლის განმავლობაში), გლეხს მიწაზე ამაგრებს და ამით აფერ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 150—151. რ ე დ.

ხებს გადასახლება-გადმოსახლებისა და გარესამუშაოების განვითარებას და სხვ.“ *.

პლეხანოვი. წინადადება შემოგვაქვს წაიშალოს სიტყვები: „და გლეხობის დაშლას“; მათ შეიძლება მკითხველი წინასწარ განაწყონ იმ ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც თავისთავად ყოველგვარი მოწონების ღირსია. მაგრამ თუ გსურთ დატოვოთ ეს სიტყვები, მაშინ დაუმატეთ, განმარტეთ (თუნდაც შენიშვნაში), რას გულისხმობთ ამ სიტყვებში. გთხოვთ კენჭი ვეყაროთ.

რა მხრივ? ვის განაწყობს? რატომ?—რა ბუნდოვანებაა.

შემდეგ: რას ნიშნავს შედარებით ათავისუფლებს? სიტყვა „შედარებით“ აქ არ უხდება.

სულ უბრალოდ. ეს ნიშნავს: ათავისუფლებს რუსეთის ახლანდელ ვითარებასთან შედარებით (და არა, მაგ., ამერიკასთან შედარებით).

„და საერთოდაც: რაკი საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩამონაჭრები შრომამიგების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, ხოლო ეს სისტემა ბატონყმობის პირდაპირი ნაშთია, რომელიც აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას, მაშ როგორ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ ჩამონაჭრების დაბრუნება ძირს გამოუთხრის შრომამიგებას და დააჩქარებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებას?“ **

პლეხანოვი. სწორედ მაგიტომ არ არის საჭირო ასეთი გაჭიანურებული მტკიცება.

ნაჩქარევი დასკვნაა. იხილე ამ (55) გვერდის ბოლო და მომდევნოს დასაწყისი***.

„რამდენადაც ვიცი, უ ვ ე ლ ა მოსაზრება „ჩამონაჭრების წინააღმდეგ“ ამ ოთხი პუნქტიდან ამა თუ იმ პუნქტს მიეკუთვნება, ამასთან მოდავეთა უმრავლესობა (მათ შორის მარტინოვიც) ოთხივე კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლეოდა და ჩამო-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 153. რ ე დ.

** იქვე, გვ. 153 — 154. რ ე დ.

*** ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატიის VII თავის დასაწყისი (იხ. იქვე, გვ. 154). რ ე დ.

ნაჭრების დაბრუნების მოთხოვნას სცნობდა პრინციპულადაც არასწორად, პოლიტიკურადაც მიზანშეუწონლად, პრაქტიკულადაც განუხორციელებლად და ლოგიკურადაც არათანმიმდევრულად“ *.

პლეხანოვი. წინადადება შემოაქვს ამოვიღოთ მარტინოვი: მეტისმეტად ხშირად არის ჩატენილი ყველგან.

აქსელროდი. დიახ, des Guten, ვ. ი. მარტინოვს, mehr als zu viel**. პ. ა.

იხ. გვ. 28 მეორე მხარე***.

მარტინოვმა გამოთქვა მოსაზრებანი, რომლებიც ძალიან ბევრმა ჩვენმა მეგობარმა გაიმეორა. დიდი უტაქტობა იქნებოდა უპასუხოდ დაგვეტოვებინა ეს მოსაზრებანი და არ შევხებოდით მარტინოვს, როცა იგი არსებითს რაიმეს ამბობს.

„და ჩვენ სრულიადაც არ ვიქნებით ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში, თუ შემდგომ ისტორიულ პერიოდში, როდესაც მოცემული სოციალ-პოლიტიკური „კონიუნქტურის“ თავისებურებანი გაივლიან, როდესაც გლეხობა, ვთქვათ, დაკმაყოფილდება მესაკუთრეთა უმნიშვნელო ნაწილის უმნიშვნელო ნასუფრალით და უკვე გაბედულად „შეუბღვერს“ პროლეტარიატს, თუ ჩვენ მაშინ ჩვენი პროგრამიდან ამოვაგდებთ ბრძოლას ბატონყმობის ნაშთთა წინააღმდეგ. მაშინ, ალბათ, დაგვჭირდება ამოვაგდოთ პროგრამიდან თვითმპყრობელობასთან ბრძოლაც, რადგან არასგზით არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გლეხობამ თავი იხსნას ყველაზე საზიზღარი და მძიმე ბატონყმური უღლისაგან პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების გარეშე“ ****.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 154. რედ.

** — დიახ, ამ დოვლათს, ე. ი. მარტინოვს, მეტისმეტად ხშირად ვახსენებთ. რედ.

*** იგულისხმება ვ. ი. ლენინის პასუხი გ. ვ. პლეხანოვის შენიშვნაზე წინამდებარე ტომის 28 — 29-ე გვერდებზე. რედ.

**** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 156 — 157. რედ.

პლეხანოვი. წინადადება შემომაქვს ამოვიღოთ ადგილი, რომელიც იწყება სიტყვებით: „და ჩვენ სრულიადაც არ ვიქნებით ჩვენს თავთან წინააღმდეგობაში“ და თავდება სიტყვებით: „ბატონყმური უღლისაგან პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებამდე“. ისინი ასუსტებენ წინა ნათქვამის დამაჯერებლობას ნაცვლად იმისა, რომ გააძლიერონ.

ეს სიტყვები არ უნდა ამოვიღოთ, რადგან ისინი გამოწვეული არიან აუცილებელი სიფრთხილით. თორემ შემდეგ შეიძლება ადვილად დაგვაბრალონ წინდაუხედაობა.

აქსელროდი. ვეთანხმები. პ. ა.

„გვიპასუხებენ: „რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს შრომამიგებითი მეურნეობა კაპიტალიზმის შემოტევას, იგი მაინც ვერ უძლებს მას, — უფრო მეტიც: იგი განწირულია და სავსებით გაქრება; მსხვილი შრომამიგებითი მეურნეობა თავის ადგილს უთმობს და დაუთმობს უშუალოდ მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას. თქვენ კი გინდათ ბატონყმობის ლიკვიდაციის პროცესი დააჩქაროთ ისეთი ღონისძიებით, რომელიც არსებითად წარმოადგენს მსხვილი მეურნეობის დაჭუცმაცებას (თუნდაც ნაწილობრივს, მაგრამ მაინც დაჭუცმაცებას). ამით განა მომავლის ინტერესები მსხვერპლად არ მიგაქვთ დღევანდელი ინტერესების გულისათვის? უახლოეს მომავალში ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების პრობლემატური შესაძლებლობის გულისათვის თქვენ აძნელებთ მეტად თუ ნაკლებად შორეულ მომავალში სოფლის პროლეტარიატის აჯანყებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ!“.

ასეთ მსჯელობას, რა დამაჯერებელიც უნდა იყოს იგი ერთი შეხედვით, მეტად დიდი ცალმხრივობა ახასიათებს...“ *.

პლეხანოვი. ეს ერთი შეხედვითაც ძალიან ნაკლებ დამაჯერებელია. მას ისეთი საშინელი ასოკირკიტობის სუნი უდის, რომ ჯობს ნაკლებად შევჩერდეთ მასზე: სირცხვილით

ჩემი აზრით, სასაცილოა დავინახოთ აქ „ქათინაურ მოწინააღმდეგეებისადმი“ (ეს ფაქტობრივადაც არ არის სწო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 157 — 158. რედ.

ლია სოციალ-დემოკრატებისათვის. განსაკუთრებით სირცხვილია ახლა, როცა ათასობით რუსი გლეხი ჯანყდება ძველი წყობილების ლიკვიდაციისათვის. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ წინადადებას გამოცხადდეს ეს მოსაზრება არადამაჯერებლად ერთი შეხედვითაც კი.

აქსელროდი. ჩემი აზრით, უნდა ამოვიღოთ ქათინაური მარტინოვის à la მოწინააღმდეგეებისადმი. პ. ა.

რი, რადგან ამ არგუმენტს „ისკრის“ უახლოესი მეგობრები იმეორებდნენ წერილებში), როცა მათ აბათილებენ. ხოლო ლანძღვა მათ მიმართ, რომელსაც შენიშვნების ავტორი გვთავაზობს, არაფრის მაქნისია.

„... ეს აუცილებლად უღრმეს გავლენას მოახდენდა სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის პროტესტისა და დამოუკიდებელი ბრძოლის სულისკვეთებაზე“ *.

პლეხანოვი. რას ნიშნავს: „დამოუკიდებელი ბრძოლა“?

ნახე ბელგია 1902 წლის აპრილში[16]. იგი უპასუხებს ამ „ძნელ“ კითხვაზე.

„და იმისათვის, რომ შემდეგში ჩვენს მოჯამაგირეებსა და ნახევრად მოჯამაგირეებს გავუადვილოთ სოციალიზმში გადასვლა, მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სოციალისტურმა პარტიამ ახლავე დაიწყოს წვრილი გლეხობის „გამოქომაგება“, თავის მხრივ გააკეთოს მისთვის „ყოველივე შესაძლებელი“, უარი არ თქვას „უცხო“ (არაპროლეტარულ) მტკივნეულ და დახლართულ საკითხთა გადაწყვეტაში მონაწილეობაზე, მიაჩვიოს მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასა იმას, რომ ჩვენს პარტიაში ხედავდეს თავის ბელადსა და წარმომადგენელს“ **.

პლეხანოვი. რატომ აქვს სიტყვებს: „ყოველივე შესაძლებელი“ ჩანამატის ნიშნები („ბრჭყალები“)? გაუგებარია. თანაც „ნახევრად მოჯამაგირეების“ მდგომარეობის საკითხი სრულიადაც არ არის პროლე-

ნუთუ ასე ძნელი მისახვედრია, რომ ყველას აქვს ბრჭყალების დასმის თავისი ჩვეულება? იქნებ შენიშვნების ავტორი მოისურვებს „ძნელ

* იხ. თხზულებანი მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 158. რედ.
** იქვე, გვ. 159. რედ.

ტარიატისათვის უცხო. უაღრესად არაპოლიტიკურია ამჟამად ამ სიტყვების ხმარება თუნდაც ბრჭყალებში.

უყაროს“ ბრჭყალებსაც? მაგისგან ეს არ გაგვიკვირდება!

„კაცმა რომ თქვას, „დაგვიანა“ თ ა ვ ი ს ი ამოცანის გადაწყვეტა რუსეთის ბურჟუაზიამ — აღმოეფხვრა ძველი რეჟიმის ყველა ნაშთი, — და ამ დეფექტს ჩვენ უნდა ვასწორებდეთ თვით იმ დრომდე, ვიდრე იგი გამოსწორებული არ იქნება, ვიდრე ჩვენ პოლიტიკური თავისუფლება არ გვექნება, ვიდრე გლეხობის მდგომარეობა ასაზრდოებს განათლებული ბურჟუაზიული საზოგადოების თითქმის მთელი მასის უკმაყოფილებას (როგორც ამას ვხედავთ რუსეთში) და არა კონსერვატიული თვითკმაყოფილების გრძნობას ამ მასაში იმის გამო, რომ სოციალიზმის წინააღმდეგ ვითომდა ყველაზე მძლავრი ბურჯი „ურღვეველია“ (როგორც ამას ვხედავთ დასავლეთში, სადაც აღნიშნული თვითკმაყოფილება ემჩნევა წესრიგის ყველა პარტიას, დაწყებული აგრარიებით და **pur sang*** კონსერვატორებით, გაგრძელებული ლიბერალური და თავისუფლად მოაზროვნე ბურჟუებით და გათავებული, ასე გასინჯეთ... ნუ განრისხდებიან ბატონი ჩერნოვები და „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“!..[17] ასე გასინჯეთ, გათავებული მარქსიზმის მოდური „კრიტიკოსებით“ აგრარულ საკითხში)“ **.

პლეხანოვი. ძ ა ლ ი ა ნ გ ი რ ჩ ე ვ თ ამოვიღოთ აქ სიტყვები: „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“. მის გვერდით მოხსენიებულია ჩერნოვი და შეიძლება დაგვაბრალონ გაუფრთხილებელი დაახლოება, გადაკრული სიტყვა, ლამის ფსევდონიმის გამხელა. ამას უნდა ვერიდოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს.

თანახმა ვარ, მაგრამ ჯობს ამოვიღო „ჩერნოვები“.

„სხვა საქმეა მიწის ნაციონალიზაცია. ეს მოთხოვნა (თუ მას გავიგებთ ბურჟუაზიულად და არა სოციალისტურად), მართ-

---

* — წმინდა სისხლის. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 160 — 161. რ ე დ.

ლაც, ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნაზე „შორს მიდის“, და პრინციპულად ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ მოთხოვნას. განსაზღვრულ რევოლუციურ მომენტში ჩვენ, რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვით მის წამოყენებაზე“ *.

პლეხანოვი. სავსებით ვეთანხმები ამ შენიშვნას[18]. სწორედ ეს არის საკითხის არსი.

აქსელროდი. კარგად ვერ გავიგე; ზემოთ თქვენ მშვენივრად განსაზღვრეთ აგრარული პროგრამის სოციალურ-რევოლუციური ხასიათი; გარდა ამისა, მიწის ნაციონალიზაცია როგორც აჯანყების ლოზუნგი ახლა ანტირევოლუციურია. ვეთანხმები ბერგის წინადადებას.

ოღონდ „დათანხმებულს“ ამაოდ დაავიწყდა, რომ შენიშვნა შეეხებოდა გაუსწორებელ სტატიას. მცირეოდენი ყურადღება თავიდან ააცილებდა მას ამ სასაცილო შეცდომას.

„მაგრამ ჩვენს ახლანდელ პროგრამას ვადგენთ არა მარტო და, ასე გასინჯეთ, არა იმდენად რევოლუციური აჯანყების ეპოქისათვის, რამდენადაც პოლიტიკური მონობის ეპოქისათვის, იმ ეპოქისათვის, რომელიც წინ უძღვის პოლიტიკურ თავისუფლებას. ასეთ ეპოქაში კი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა გაცილებით უფრო სუსტად გამოხატავს დემოკრატიული მოძრაობის უშუალო ამოცანებს ბატონყმობასთან ბრძოლის აზრით“**.

პლეხანოვი. წინათ სწორედ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ჩვენი აგრარული პროგრამა სოციალურ-რევოლუციური პროგრამაა.

მიწის ნაციონალიზაცია პოლიციურ სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს ახალი, კოლოსალური ზრდა იქნებოდა. ამიტომ არ შეიძლება ისე გამოთქმა, როგორც აქაა: „გაცილებით უფრო სუსტად გამოხატავს“ და სხვ. ერთი ღონისძიება რევო-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 163. რედ.

** იქვე, გვ. 163 — 164. რედ.

ლუციურია, ხოლო მეორე — რეაქციული.

აქსელროდი. პლეხანოვის წინადადება ემთხვევა ბერგის შენიშვნის აზრს და ჩემსას წინა გვერდზე.

სწორი არ არის. ყოველთვის და ყოველგვარი ნაციონალიზაცია როდია „რეაქციული“. ეს „მტკნარი სიცრუეა“.

თუ შენიშვნების ავტორები სტატიის **მეორე** წაკითხვის დროსაც არ მოისურვებენ კეთილ ინებონ და ზუსტად დააფორმულონ შესწორებანი (თუმცა ეს მოთხოვნა საგანგებოდ იყო მიღებული და ყველას ვაცნობეთ),—მაშინ საზოგადოდ „გადაკეთების“ შესახებ კენჭისყრის მეშვეობით გაჭიანურებას (შემდეგ კი გადაკეთებული ტექსტის შესახებ??) დასასრული არ ექნება. აჯობებდა ნაკლებად გვეშინოდეს იმისა, რომ ხელმოწერილი სტატიის ავტორი თავისებურად გამოთქვამს.

„აი რატომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი აგრარული პროგრამის მაქსიმუმი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ბაზისზე არ უნდა სცილდებოდეს საგლეხო რეფორმის დემოკრატიულ გადასინჯვას. მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, თუმცა იგი პრინციპული თვალსაზრისით სავსებით სწორია და გამოსადეგია განსაზღვრული მომენტებისათვის, პოლიტიკურად მიზანშეუწონელია ახლანდელ მომენტში“ *.

პლეხანოვი. ვეთანხმები ბერგის შენიშვნას[19]. ოღონდ წინადადებას ვიძლევი დავაფორმულოთ იხ. გვ. 75 მეორე მხარე**.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 164 — 165. რედ.

** იგულისხმება ვ. ი. ლენინის პასუხი გ. ვ. პლეხანოვის შენიშვნაზე წინამდებარე ტომის 37 — 38-ე გვერდებზე. რედ.

ასე: პოლიციურ სახელმწიფოში მიწის ნაციონალიზაცია მავნეა, ხოლო კონსტიტუციურში იგი ნაწილად შევა მოთხოვნაში წარმოების მთელ საშუალებათა ნაციონალიზაციის შესახებ. თხოვთ კენჭი ვუყაროთ.

აქსელროდი. ვეთანხმები, პ. ა.

„სასამართლოს ასეთი შემადგენლობა უზრუნველჰყოფდა მის დემოკრატიზმსაც და სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სხვადასხვა კლასობრივ ინტერესთა თავისუფალ გამოხატვასაც“*.

პლეხანოვი. აქ საშინელი სტილია. წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ მის შესწორებას.

აქსელროდი. მაინც რაში?

„კენჭისყრობანას“ თამაშის „საშინელი“ გაგებაა. თითქოს მეტი საქმე არ გვქონდეს!

„... ცნობილია, რომ ჩვენს სოფელში იჯარა უფრო ხშირად ბატონყმურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ბურჟუაზიულს, და საიჯარო ქირა გაცილებით უფრო „ფულადი“ რენტაა (ე. ი. გარდაქმნილი ფეოდალური), ვიდრე კაპიტალისტური (ე. ი. მეწარმის მოგების გარდამეტი). მაშასადამე, საიჯარო ქირის შემცირება უშუალოდ შეუწყობდა ხელს მეურნეობის ბატონყმური ფორმების კაპიტალისტური ფორმებით შეცვლას“**.

პლეხანოვი. ავტორი დაგვპირდა, რომ არ ილაპარაკებდა რუსულ ფეოდალიზმზე (იხ. ზემოთ), მაგრამ არ შეასრულა დაპირება. სამწუხაროა. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ წინადადებას ამოვიღოთ აქ სიტყვა: ფეოდალური (რენტა).

ტყუილია. სწორედ ის, ვინც „ზემოთ იხილავს“, ნახავს, რომ ავტორს არავითარი ამგვარი „დაპირება“ არ მოუცია. ხოლო რაკი ავტორმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეს საერთო აზრი არ არის, აქ შარის მოდება დიდი უტაქტობაა.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 167—168. რედ.

** იქვე, გვ. 169. რედ.

„ამიტომ თვითმპყრობელობაც კი იძულებულია უფრო და უფრო ხშირად შეჰქმნას საგანგებო (რა თქმა უნდა, სავსებით უბადრუკი და უფრო ხაზინის მქურდავებისა და ბიუროკრატების მიერ გაძარცული, ვიდრე დამშეულთა სასარგებლოდ გამოყენებული) „ფონდი სოფლის საზოგადოებათა კულტურული და საქველმოქმედო საჭიროებებისათვის“. არც ჩვენ შეგვიძლია, დანარჩენ დემოკრატიულ ცვლილებათა შორის, არ მოვითხოვოთ ასეთი ფონდის შექმნა. არა გვგონია, ამის წინააღმდეგ დავა შეიძლებოდეს“ *.

ის, რომ თვითმპყრობელობაც კი იძულებულია დაიწყოს (უბადრუკი) ქველმოქმედება, ეს **ფაქტია**, რისი დამოწმების შიშიც საკმაოდ უცნაურია. ხოლო რომ ეს „მაგალითად“ მოგვყავს, ეს „ცუდი მონაჭორია“ კაცისა, რომელსაც შარის მოდება სურს.

პლეხანოვი. ეს ადგილი „თვითმპყრობელობის“ შესახებ მეტისმეტად უხეიროა. ან რა მაგალითია ჩვენთვის? თითქოს ჩვენ არ შეგვეძლოს რაიმე წინადადების წაყოყნება, თუ მასზე არ შეეჩერდით?

გლეხებისათვის დაბრუნება დასაბუთებული უნდა იყოს იმით, რომ ეს იქნებოდა რევოლუციური ღონისძიება, რომელიც გამოასწორებდა ისეთ „უსამართლობას“, რომელიც არათუ ყველას ახსოვს, არამედ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსი გლეხობის გაჩანაგებას (შდრ. მარტინოვი).

P. S. როცა ფრანგმა ემიგრანტებმა თავიანთი მილიარდი მოითხოვეს (რესტავრაციის დროს)[30], ისინი ქველმოქმედებაზე როდი ლაპარაკობდნენ. მათ უკეთ ესმოდათ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობა.

წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ ამ ადგილის რადიკალურ გადაკეთებას.

აქსელროდი. შდრ. პლეხანოვის შენიშვნა 90-ე გვერდისათვის[31]. წაიკითხეთ ესა და ის შენიშვნები ყურადღებით და თქვენ თვითონ დაეთანხმებით მათ. პ. ა.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 170 რედ.

„მაგრამ ამ ხარკის მთლიანად დაბრუნება ხომ შეუძლებელია, — გვიპასუხებენ ჩვენ. — მართალია (როგორც შეუძლებელია მთელი ჩამონაჭრების დაბრუნებაც)“ *.

პლეხანოვი. რატომ არ შეიძლება ჩამონაჭრების მთლიანად დაბრუნება? ამის თაობაზე პროგრამაში არაფერია ნათქვამი.

ყველას უნდა დაეწყოს მოვალეობა იმას, რომ აქ შეცვლილია ჩვენ მიერ მიღებული პარაგრაფის აზრი.

აქსელროდი. რატომ ზღუდავთ და ასუსტებთ ჩანართით პრინციპულ გადაწყვეტილებას?

სრულიად არ არის სწორი. ლენინის ჩანართი მის სტატიაში არ ცვლის იმის აზრს, რაც ნათქვამია პროგრამაში, და **არც შეუძლია** შეცვალოს. შენიშვნების ავტორს დაავიწყდა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ „უნდა გამოვიყენოთ კანონი და არა კანონის მოტივები“.

„ფაქტიურად, რა თქმა უნდა, ურთიერთთავდებობის გაუქმება (ამ რეფორმის განხორციელებას კი ბ-ნი ვიტე, ალბათ, მოასწრებს ჯერ კიდევ რევოლუციამდე), წოდებრივი დაყოფის მოსპობა, თვითეული ცალკე გლეხისათვის გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლება და მიწის განკარგულების თავისუფლება გამოიწვევს იმ ფისკალურ-ბატონყმური ტვირთის აუცილებელ და სწრაფ მოსპობას, რომელსაც სამი მეოთხედით წარმოადგენს თანამედროვე საადგილმამულო თემი. მაგრამ ასეთი შედეგი დაამტკიცებს მხოლოდ, რომ სწორია ჩვენი შეხედულება თემზე, დაამტკიცებს რომ თემი შეუთავსებელია კაპიტალიზმის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებასთან“ **.

პლეხანოვი. ახლა მითქმა-მოთქმაა მის გაუქმებაზე. ამიტომ ადგილი, რომელიც ამას ეხება, უნდა შეიცვალოს.

„ამიტომ“ სრულიად არაფერ შუაშია. „მითქმა-მოთქმა“ დიდი ხანია არის და, კიდეც რომ მივიდეს საქმემდე, მაინც არაფრის შეცვლა არ არის საჭირო.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 171. რედ.

** იქვე გვ. 172. რედ.

წინადადება შემომაქვს „კაპიტალიზმის“ ნაცვლად აქ ჩავსვათ: ჩვენი დროის მთელ საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებასთან. დასაბუთება: ამით თავიდან ავიცილებთ „დემაგოგიურ კრიტიკას“, რომელსაც თემის დამცველები დაიწყებენ.

„დემაგოგიის“ ეს შიში სრულიად ზედმეტად მიმაჩნია, რადგან ეს ვაჟბატონები ყოველთვის შეძლებენ ასეთსავე „ცუდ კრიტიკას“.

„ჩვენ ამაზე ეუპასუხებთ: ჩვენი ფორმულარებიდან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს თვითეული გლეხის უფლება — მოითხოვოს მიწის გამოყოფა უეჭველად ცალკე ნაკვეთად. მისგან მხოლოდ გამომდინარეობს მიწის გაყიდვის თავისუფლება, ამასთანავე ამ თავისუფლებასაც არ ეწინააღმდეგება უფლება, რომ გასაყიდი მიწა უპირატესად თემის თანამოზიარეებმა იყიდონ“ *.

პლეხანოვი. სავსებით ვეთანხმები ამ შენიშვნას[22] და წინადადება შემომაქვს კენჭი ვუყაროთ.

აქსელროდი. მხარს ვუჭერ.

„ვეთანხმები“ იმას, რაც შეეხებოდა ამოღებულ ადგილს??!! ?? კარგი წინადადებაა „კენჭისსაყრელად“.

„ასეთი წინააღმდეგობა დაუსაბუთებელი იქნებოდა. ჩვენი მოთხოვნები არ არღვევენ ამხანაგურ კავშირს, არამედ, პირიქით, გლეხზე არქაული (de facto ნახევრად ბატონყმური) თემის ძალაუფლების ნაცვლად ქმნიან თანამედროვე ამხანაგური კავშირის ძალაუფლებას თემში თავისუფლად შესულ წევრებზე. კერძოდ, მაგ., ჩვენს ფორმულირებას არ ეწინააღმდეგება ისიც, რომ თემის წევრებს გარკვეული პირობებით მიენიჭოთ უფლება მათი კოლეგის გასაყიდი მიწის უპირატესი შესყიდვისა“.

პლეხანოვი. ამას არ ვეთანხმები. ეს უფლება მხოლოდ ფასს დაუწევს გლეხების მიწებს.

ურთიერთთავდებობა კი ნაწილობრივ უკვე გაუქმდა, ხოლო ნა-

შენიშვნების ავტორი ზედმეტ მტრობას იჩენს თემისადმი. აქ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ბ-ნების

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 174. რედ.

წილობრივ დღეს თუ ხვალ გააუქმებს ბ-ნი ვიტე.

წინააღმდეგობა. არ მესმის: ერთი მხრივ, თავისუფლად შევდივარ ამხანაგურ კავშირში და თავისუფლად გამოვდივარ იქიდან. მეორე მხრივ, თემს აქვს ჩემი მიწის ყიდვის უპირატესი უფლება. აქ წინააღმდეგობაა.

ა. სკვორცოვებისა და K°-ის წერეში არ აღმოვჩნდეთ (როგორც შენიშვნების ავტორი აღმოჩნდა). გარკვეული პირობებით უპირატესი შესყიდვის უფლებამ შეიძლება კი არ დაუწიოს, არამედ აუწიოს ფასი მიწას. მე განზრახ გამოვთქვამ რაც შეიძლება ზოგადად და ფართოდ, შენიშვნების ავტორი კი ამაოდ ჩქარობს გორდიას კვანძის გაჭრას. თემის (როგორც ამხანაგური კავშირის) გაუფრთხილებელი „უარყოფით“ ადვილად შეიძლება წავახდინოთ მთელი ჩვენი „გულკეთილობა“ გლეხებისადმი. თემი ხომ დაკავშირებულია განსახლების ჩვეულებრივ წესთან და სხვ. და მხოლოდ ა. სკვორცოვები „გადააკეთებენ ხოლმე“ ამას თავიანთ პროექტებში ერთი კალმის მოსმით.

„რათა გზა გავუწმინდოთ სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალ განვითარებას, აუცილებლად საჭიროა აღმოვფხვრათ ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთი, რომლებიც ახლა ჰფარავენ კაპიტალისტურ ანტაგონიზმთა ჩანასახებს სოფლის მოსახლეობაში და არ აძლევენ მათ განვითარების საშუალებას“ *.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 175—176. რედ.

პლეხანოვი. პირველად ვხედავ, რომ სიტყვა ანტაგონიზმს მრავლობითს რიცხვში ხმარობდნენ.

ტყუილად ჰგონია შენიშვნების ავტორს, რომ მას პირველად სანახავი აღარაფერი დარჩა.

* * *

„შენიშვნების ავტორის“ შენიშვნები სავსებით ნათლად გვიჩვენებენ მხოლოდ შემდეგს. თუ მან მიზნად დაისახა **შეუძლებელი** გახადოს მასთან რედაქციაში მუშაობა იმ ამხანაგებისა, რომლებიც მას არ ეთანხმებიან თუნდაც უმნიშვნელო საკითხებში, მაშინ იგი ძალიან სწრაფად და სწორად მიდის ამ კეთილშობილური მიზნისაკენ. მაგრამ დაე მანვე აგოს პასუხი შედეგებისათვის, თუ მიზანს მიაღწია.

(1) შენიშვნები იმდენად დაუდევრად არის დაწერილი, რომ არც კი შეუდარებია ის, რაც შესწორებამდე იყო, იმასთან, რაც შესწორების შემდეგაა.

(2) შესწორებათა ნუსხა პირდაპირ გადაუგდია კიდეც! „ურჩობა ვინ გამიბედაო“.

(3) თითქმის არც ერთი **გადაკეთება,** რომელსაც კი შენიშვნების ავტორი გვთავაზობს, თვითონ მას არ დაუფორმულებია, — **თუმცა ამის პირობა ზუსტად იყო** დადებული, რათა თავიდან აგვეცილებინა აუტანელი გაჭიანურება.

(4) შენიშვნების კილო განზრახ შეურაცხმყოფელია. მე რომ ასეთივე კილოთი „გამერჩია“ პლეხანოვის სტატია პროგრამის შესახებ (ე. ი. სწორედ პირადად მისი „**სტატია**“ და არა საერთო განცხადების, საერთო პროგრამის პროექტი და სხვ.), ეს მაშინვე ჩვენი თანამშრომლობის ფინალი იქნებოდა. და მე „კენჭს ვუყრი“: ნება მივცეთ თუ არა რედაქციის წევრებს სხვა წევრების პროფესიებისა?

(5) მისწრაფება **კენჭისყრით** ჩავერიოთ რედაქციის წევრთა გამოთქმის ხერხებშიც კი — ეს უკიდურესი უტაქტობაა.

შენიშვნების ავტორი მაგონებს იმ მეეტლეს, რომელსაც ჰგონია, რომ ეტლის კარგად მართვისათვის საჭიროა რაც შეიძ-

ლება ხშირად და ღონივრად მოზიდოს აღვირი. მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ „ცხენი“ ვარ, ე რ თ-ე რ თ ი ცხენი მეეტლე — პლეხანოვისა, მაგრამ ხომ ხდება, რომ ყველაზე დაბეჩავებული ცხენიც კი გადმოაგდებს ხოლმე ზომაგადასულ მეეტლეს.

დაწერილია 1902 წლის 1 (14) მაისს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შესავალი რსდმ პარტიის დონის კომიტეტის პროკლამაციისათვის „რუსეთის მოძალადეებს“[23]

მთლიანად მოგვყავს ჩვენი პარტიის დონის კომიტეტის შესანიშნავი პროკლამაცია. ეს პროკლამაცია გვიჩვენებს, თუ როგორ იციან სოციალ-დემოკრატებმა ბალმაშევების გმირობის დაფასება ისე, რომ ამავე დროს არ დაუშვან ისეთი შეცდომა, როგორსაც სოციალისტ-რევოლუციონერები[24] უშვებენ. სოციალ-დემოკრატები პირველ პლანზე აყენებენ მუშათა (და გლეხთა) მოძრაობას. ისინი მთავრობას მოთხოვნებს უყენებენ მუშათა კლასისა და მთელი ხალხის სახელით და არა შემდგომი თავდასხმებისა და მკვლელობის მუქარით. ტერორი მათ ესახებათ როგორც ერთ-ერთი შესაძლო დამხმარე საშუალება და არა ტაქტიკის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ხერხი, რომელიც გაამართლებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისაგან გამოყოფას.

დაწერილია 1902 წლის 9 (22) მაისის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ვ. პლესკოვის წიგნში „შებრძოლი სიჭაბუის წლებში. ახალგაზრდობა პირველი რევოლუციის წინ“. გამომც. „მოლოდაია გვარდია“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შესავალი პროკლამაციისათვის „მთელი რუსეთის მოქალაქეებს“[25]

დონის კომიტეტის პროკლამაცია, რომელიც ჩვენ გადმოვბეჭდეთ, აჯამებს შესანიშნავ ამბებს, უაღრესად მკაფიოდ და სწორად აფასებს მათ და გამოაქვს პრაქტიკული დასკვნები, რომელთა განმეორება არასოდეს არ მოსწყინდება სოციალ-დემოკრატიას. ეს პროკლამაცია 6500 ეგზემპლარად გამოვიდა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქს დაეგზავნა დეკემბერში.

დაწერილია 1902 წლის 20 დეკემბერს
(1903 წლის 2 იანვარს)

დაიბეჭდა 1903 წლის 1 იანვარს
გაზეთ „ისკრის“ № 31-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა ბროშურისა ესერების წინააღმდეგ[26]

ომის ფაქტი. იგი მხოლოდ იწყება. ლიტერატურული პოლემიკა.

რატომ? გამოვარკვიოთ საფუძვლები, რომლებიც გარდაუვალს ხდიან ომს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თეორიულ, პრინციპულ უთანხმოებებს.

A) ორ ჭ ოფ უ ლ ი და უ პ რ ი ნ ც ი პ ო პ ო ზ ი ც ი ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა რ ქ ს ი ზ მ ს ა და ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ულ კ რ ი ტ ი კ ას შ ო რ ი ს.

1. „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციის“ № 2-ის სტატია (რედაქტორისა). მისი განხილვა.
2. მ ს ხ ვ რ ე ვ ი ს თ ე ო რ ი ა. **ციტატა** გვ. **55—56** = სოციალიზმის ეკონომიური აუცილებლობის უარყოფა. (დავიწყებულია ტრესტები.)
3. აგრარული საკითხი. ციტატა გვ. *57* („ესეც კი“).
4. ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თეორია. ციტატა გვ. *64*. **„შერყეულია“**!

გვ. 66. (ისევ „ესეც კი“!)

{ გვ. 67 და 48 = **მთელი** სოციალიზმის კრიზისი }

5. **„უხეში და განსაკუთრებული მარქსიზმი ისტორიას ბარდება“** *(75)*!! NB

6. ჟიტლოვსკი „*Sozialistische Monatshefte*“-ში...[27]

7. „მორიგი საკითხი“. ჰერცის ქებანი (გვ. 8, შენიშვნა).

> „ახალი თვალსაზრისი“ = კოოპერაციის მეშვეობით სოციალიზმისაკენ.
>
> ad B. 3.*

8. „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“ № 2, გვ. 82 და 87. „შესწორებანი“, „გადასინჯვა“ etc.**

9. Σ*** = სრული უპრინციპობა. ყველას, ვისაც სურს, შეუძლია იყოს ესერი.

10. სრული ჩამოშორება საერთაშორისო სოციალიზმისაგან: „თვითმყოფობა“.

B) ორჭოფული და უპრინციპო პოზიცია რუსულ მარქსიზმსა და ნაროდოვოლცობას, უფრო სწორად: ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებას შორის.

1. ახალ რევოლუციურ მოძრაობას თან სდევს ძველი და ახალი თეორიის ბრძოლა. რუსული სოციალიზმის ნაშთები (ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება) და რუსული მარქსიზმი. როგორ ეკიდებიან ესერები? ძველი რუსული სოციალიზმის გადაგვარება ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებად.

---

* — B. 3. პუნქტისათვის. რ ე დ.

** ხელნაწერში ლენინს მიუნიშნებია მე-8 პუნქტის გადასმა მე-6 პუნქტის წინ. რ ე დ.

*** — Summa — ჯამი. რ ე დ.

ტიპობრივია „რევოლუციის წინადღე“. (სრულიად არ ესმით თეორიული კამათის მნიშვნელობა.)

2. „შრომითი მეურნეობა“ (ესერების თეორია) („რევოლუციონაია როსიის“ № 11-დან[28], გვ. 7). ვულგარული სოციალიზმი + ნაროდნიკობა.
[შდრ. „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“ № 2, გვ. 100—101: კლასობრივი ბრძოლა = ყველა ჩაგრულის ბრძოლას!!]

3. კაპიტალიზმის პროგრესული და უარყოფითი მხარეები. „რევოლუციონაია როსიის“ № 9, გვ. 4.

Contra:
ჩამოშორებისა და ხეტიალის პროგრესული მნიშვნელობა: № 8, გვ. 8, სვეტი 2[29]

განსაკუთრებული ფურცელი, გვ. 2. ბოლოში

შდრ. „მორიგი საკითხი“ (გვ. 8): „ახალი თვალსაზრისი“: „კოოპერაციის მეშვეობით სოციალიზმისაკენ“. შდრ. A 7.

გერმანული სტატისტიკიდან: კოოპერაციები = ბურჟუაზიის სიჭარბეს.

4. Σ = ნაროდნიკობისა და მარქსიზმის წმინდა ეკლექტიკური შეერთება „კრიტიკის“ მეშვეობით.

C) ორჰოფული დამოკიდებულება კლასობრივი ბრძოლისა და მუშათა მოძრაობისადმი.

1. პოზიციის თეორიული ცოდვებიდან გადადიან პრაქტიკულ ცოდვებზე. მათი დამოკიდებულება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა და მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა დ მ ი. როგორ აყენებენ ისინი საკითხს?
2. ციტატა „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციის“ № 2-დან, გვ. *224*. პ ა რ ტ ი ა და კ ლ ა ს ი. აბდაუბდა, რომლის მნიშვნელობა ერთია: ჩამოშორდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და კარი გაუღონ სრულიად უსახო და მერყევ ინტელიგენციას.
3. ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა + პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი + გ ლ ე ხ ო ბ ა (№ 8, გვ. 6, სვეტი 2) („ვიწრო“ ორთოდოქსების წინააღმდეგ). ნიშნავს = კლასობრივი ბრძოლის სრული უარყოფა. სხვადასხვა ფენის შერევა. დომხალივით არიონ ერთმანეთში ინტელიგენტური სოციალური რეფორმიზმიც, რევოლუციონარიზმიც, ოღონდ დემოკრატიული, პროლეტარული სოციალიზმიც, განუვითარებელი გლეხური მოთხოვნებიც.
4. ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი. ნაროდოვოლცებიც!!! „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“ № 3, გვ. 9 — 11. **განსაკუთრებული ფურცელი**.
5. მათი დამოკიდებულება პრაქტიკულად? ილუსტრირებულია „ეკონომიზმით“[33]. „ისკრა“: მუშაობის, გადარწმუნების, აღზრდის ხანგრძლივი პროცესი. „ისკრა“ უარს ამბობს ერთიანობის ილუზიაზე.
   შდრ.: ღვარძლიანობა
   + ხელის შეშლა რევოლუციური მარქსიზმისათვის.
   Σ = განყენებულ-დილეტანტური.
6. როგორ ხსნიან ისინი თავიანთ განსხვავებას სოციალდემოკრატებისაგან? № 9, გვ. 4, სვეტი 2.
   საქმე ის კი არ არის, რომ „უნდათ იყვნენ“, არამედ ის, რომ არის **მუშათა მოძრაობა**.
   შრომა საერთოდ — ეს უაზრობაა.

სულ ერთია, დაჭირავებული არიან მუშები თუ დამოუკიდებელი = სოციალიზმის გაუხამსება წვრილბურჟუაზიული ელემენტებით და ნაროდნიკებთან ზღვარის სრული მოსპობა.
ერთი პრინციპის „წმინდა იდეური წარმომადგენელი“.
არავითარი პრინციპი!

D) მათი ნებისაგან დამოუკიდებლად მიჰყავთ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის მუშათა კლასის დამორჩილებისაკენ.

1. ჩვენ განვიხილეთ ესერების თეორიული პოზიცია და მათი დამოკიდებულება მუშათა მოძრაობისადმი.
   Σ=ნახევრულობა, ეკლექტიზმი.
   მათი დამოკიდებულება რუსული ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი.
2. იგი არ არსებობს! „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი“ № 2, გვ. *132*!! ჯერ კიდევ ომის დროს „ეკონომისტებთან“ ეს ესერებმა შენიშნეს. შდრ. „თანამედროვე ვესტალი ქალი“[81].
3. მერე ბ-ნი სტრუვე? მერე ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულება? მათ წინაშე კი ყრიან ფარ-ხმალს!!! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფარ-ხმალს ყრიან ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე, არ განუმარტავენ მუშებს კლასობრივ დაპირისპირებებს, არ გამოიმუშავებენ **დამოუკიდებელ** სოციალისტურ იდეოლოგიას.
4. ვერედა რას ნიშნავს ინტელიგენცია + პროლეტარიატი + გლეხობა? პრაქტიკულად ინტელიგენცია და გლეხობა სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ბურჟუაზიულ დემოკრატიას!!
5. მერედა მათი დამოკიდებულება ლიბერალებისადმი? დაუბრუნდით + და—კაპიტალიზმის ფორმულას (№ 9, გვ. 4).

ლიბერალებს არა ჰყავთ კლასი (№ 9, გვ. 4).
უფრო დიდი, ვიდრე თქვენ!

კურიოზი: ლიბერალების სიტყვა ირწმუნეს!!
№ 9, გვ. 3 — 4. (ვარიანტები ვ. ვ.)

ლიბერალებს ჩვენ თქვენზე უფრო მაგრად ვეომებით.

ჩვენ **ომი** გვაქვს და არა გაუთავებელი მსჯელობა: ერთი მხრივ, მეორე მხრივ.

მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ ლიბერალები წარმოადგენენ კლასს, რომ ისინი სიცოცხლისუნარიანი არიან, რომ მათ აქვთ **საზოგადოებრივი, სახალხო** მოძრაობა, ესერებს კი ეს არა აქვთ!!

6. მართალი იყო ლ. მ. „ზარიაში“ (№ 2 — 3): ესერები იმიტომ ატარებენ თავიანთ ორმაგ მეტსახელს, რომ მათი სოციალიზმი სრულიადაც არ არის რევოლუციური, ხოლო მათს რევოლუციურობას საერთო არა აქვს რა სოციალიზმთან. სწორედ ამას = მივყავართ ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე დამარცხებისაკენ.

ამით მთავრდება ესერების მთელი პოზიციის პრინციპული კრიტიკა. საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ ჩვენ უარვყოფთ სწორედ მათს მთელ პოზიციას და არა მარტო შეცდომებს პროგრამაში (აგრარულში), არა მარტო შეცდომებს ტაქტიკაში (ტერორი).

გაფრთხილება წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისაგან, რევოლუციონარიზმისა და მერყეობისაგან.

E) **აგრარული საკითხი.**

1. პრიმიტიული ვულგარული სოციალიზმი. სიტყვებისა სჯერათ. არ არის მოძრაობის ანალიზი. არ NB ესმით ბრძოლა ბატონყმობის ნაშთებთან (№ 8, გვ. 4: 1861 წლის რეფორმებმა ასპარეზი მისცეს კაპიტალიზმს!!).
2. გლეხობის „გამამთანაბრებელი პრინციპი" etc. — მხოლოდ დემოკრატიული მოთხოვნებით მოხიბლვა. არაფერი სოციალისტური. დემაგოგიამდე კი არ უნდა დავეცეთ, არამედ სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ.

„ვესტნიკ რუსკოი რევოლუციის" მოუმზადებლობა „ისკრის" წინააღმდეგ. „მორიგი საკითხი" (ჰერცი). „რევოლუციონაია როსია" № 4, თებერვალი, გვ. 2. (inf.)*: პოლემიკა გლეხის გამო[1], და № 8 (ივნისი): „გლეხთა კავშირის" მოწოდება etc. დიახ, თქვენ ნაკლებად მომზადებული ხართ, ვიდრე სოციალდემოკრატები!

[1] თანამედროვე სოფელს შეუძლია მხარი დაუჭიროს და გააძლიეროს შეტევა მთავრობაზე „და შეუძლია, ალბათ, უფრო ენერგიულად, ვიდრე ეს გვგონია ჩვენ, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში სრულიად მოწყვეტილი ვართ გლეხისაგან აი უკვე რამდენი წელია, მთავრობის ჯაშუშობისა და ჩაგვრის წყალობით". „რევოლუციონაია როსია" № 4 (1902 თებერვალი), გვ. 2.

3. „მიწის სოციალიზაცია". ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია? (მერე მისი მნიშვნელობა კლასობრივ სახელმწიფოში?) „მიწის სოციალიზაცია" — ლიტონი დაპირება (minimum!).
ეს ხომ=ნაროდოვოლცურ **„ხალხი მზად არის რევოლუციისათვის"** *de facto*.

* — in fine — ბოლოში. რედ.

4. კოოპერაციები (კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად!) წმინდა (ბურჟუაზიულ-) მეშჩანური მოთხოვნაა.
5. თემისათვის. თავისუფალი გამგებლობის წინააღმდეგ.
6. „ნაროდნოე დელო“[32] № 2, გვ. 18 — 19. როგორ შევაერთოთ გლეხთა და მუშათა ბრძოლა?
„ნაროდნოე დელო“ № 2, გვ. 51: „მდაბიურია“. დაუბეჭდავად.
„ნაროდნოე დელო“ № 2, გვ. 63: „გაასულელეთ სადაც როგორ შეძლებთ“!!
გასულელების მაგალითები: „რევოლუციონაია როსია“ № 11, გვ. 6: საუზმობა და სისხლის სმა, ჭინჭრის თესლი და სხვ. და სხვ.

I) ტერორი.

1. პოლემიკა ბალმაშევის თაობაზე. უმაგალითო. მერედა უმაგალითო არ არის გერმანელთა კრიტიკა? (თქვენ ქმნით უკმაყოფილებას, შემდეგ კი მოითხოვთ მის განცხადებას!!
2. პოლემიკა 3 აპრილის პროკლამაციის გამო. ციტატა № *11*, გვ. *25 inf.*)[33], და ფიქციის გამოყვანა.
3. „ვპერიოდ“ № 5. ციტატა, № 5, გვ. 7 — 8.

გაკვრით გვ. 9.[34]

4. ტერორი. ციტატა № 7-დან (idem*, რაც 3 აპრილის პროკლამაციაშია: ჩვენთვის მთავარია არა სიტყვები). № 7, გვ. 4: „ტერორი აიძულებს ხალხს პოლიტიკურად იაზროვნოს“.

ტერორის ლოგიკა: 1-ელ პლანზეა იგი, შემდეგ ყოველივე დანარჩენი. საბუთი: ჯერ კიდევ 1902 წლის **თებერვალში** „რევოლუციონაია როსია“ (№ 4) 1-ელ პლანზე აყენებდა არა საბრძოლო ორგანიზაციას. იხ. მეორე მხარე (α)**.

* — იგივე. რედ.

** (α)-ით აღნიშნული ტექსტი ხელნაწერში გვერდის მეორე მხარეზეა. რედ.

— „უფრო საიმედოდ, ვიდრე თვეების მანძილზე პროპაგანდა“

— „ძალას შემატებს გულგატეხილთ“[35].

5. „არა ნაცვლად, არამედ ერთად“. სინამდვილეში არ არის კავშირი მასებთან. ურწმენობა, თავშეუკავებლობა. *4 წელი* (1897—1901), ახლა კი მხოლოდ იწყება დემოკრატიული პერიოდი.

გადაუდებელი, უშუალო ამოცანებიდან გადახვევა. ხელმძღვანელები ჩამორჩნენ მასებს.

ტერორი საშიში არ არის, რადგანარსებობს მასობრივი მოძრაობა.

„განწყობილება“. დავემორჩილოთ მას?

იხ. მეორე მხარე (β)*.

№ 12, გვ. 3, სვეტი 1 („სტადიების თეორია“). ი*ქვე: არ* შეიძლება საპატიმროებში შეჭრა[36].

(α) „რევოლუციური ტექნიკის ყველა საკითხი, ჯარებთან ქუჩის ბრძოლების ხერხები, ყველაზე საძულველ მეფის მსახურთა სიკვდილით დასჯა (კურსივი ჩემია) და სხვ., უკანა პლანზე გადადის ყველაზე მომწიფებული, ყველაზე მორიგი და გადაუდებელი საკითხის წინაშე: ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაციის შექმნის წინაშე“ („რევოლუციონაია როსია“, 1902, № 4, თებერვალი, გვ. 3).

ახლა?

---

*(β)-თი აღნიშნული ტექსტი ხელნაწერში გვერდის მეორე მხარეზეა. რედ.

(β) „...იმ დროს, როცა მწიგნობარნი მელნით იბრძოდნენ...“ (შეიძლება თუ არა მივანიჭოთ ტერორს მხოლოდ ექსცენტრული მნიშვნელობა, თუ დაშინებისაც)

„... ცხოვრებამ პირველ პლანზე დააყენა ტერორისტული საშუალებების ისეთი მოთხოვნა, რომლის წინაშე უნდა დადუმებულიყო ყველა წინააღმდეგი საწინააღმდეგო აზრი. ტერორისტული აქტები აუცილებელი გახდა, როგორც თავდაცვა...“ „რევოლუციონაია როსია“ № 7, გვ. 2 (1902 ივნისი).

(G) **დასკვნა.**

თანამედროვე რევოლუციონერთა ამოცანები:

α) რევოლუციური მარქსიზმის თეორიული დაცვა და განვითარება.

β) ყოველმხრივი მონაწილეობა საერთაშორისო იდეურ ბრძოლაში.

γ) რუსული მარქსიზმის განვითარება, მისი გამოყენება, ბრძოლა ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებასთან, მისი ბურჟუაზიულობისა და წვრილბურჟუაზიულობის მხილება მუშათა კლასის წინაშე.

δ) პროლეტარიატის ორგანიზაცია. უამრავი ხარვეზი. გადაუდებელი მოთხოვნები.

ε) „ხალხი უამრავია და ხალხი არ არის“. ხელმძღვანელებმა უნდა მოამზადონ მასები **აჯანყებისათვის.**

დაწერილია 1903 წლის გაზაფხულზე

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედით

რსდმ პარტიის II ყრილობა[37]

1903 წლის 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო

I

რსდმ პარტიის II მთრიგი ყრილობის პროგრამა[38]

ა. ყრილობის რეგლამენტი და მისი კონსტიტუირება.

ბ. ყრილობაზე განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხების ნუსხა და თანამიმდევრობა.

ა. ყრილობის რეგლამენტი

1. საორგანიზაციო კომიტეტის[39] მიერ საამისოდ რწმუნებული ამხანაგი ხსნის ყრილობას.

ფრჩხილებში **სასურველი** დამატებანი, განმარტებანი, რჩევა და სხვ. კერძო ხასიათის შენიშვნები.

2. ყრილობა ირჩევს 1 თავმჯდომარეს, თავმჯდომარის 2 თანაშემწეს (და მოადგილეს) და 9 მდივანს. ეს 9* პირი შეადგენს ბიუროს და სხდომებს აწყობს ერთ მაგიდასთან.

საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება

3. კომისიის არჩევა დელეგატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად და ყველა იმ განცხადების, საჩივრისა და პროტესტის განსახილველად, რომლებიც ყრილობის შემადგენლობას შეეხება.

(ეს კომისია იღებს საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებასაც ყრილობაზე სათათბირო ხმით მყოფ პირთა მოწვევის შესახებ.)**

---

* ხელნაწერში, როგორც ჩანს, შეცდომაა: ლენინს ბიუროში გათვალისწინებული ჰყავდა 12 წევრი. რედ.

** ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

4. პოლონელ სოციალ-დემოკრატთა[40] დაშვების საკითხის გადაწყვეტა.

ad 3*

5. ყრილობის სხდომების წესი: დღეში ორჯერ დილის 9 საათიდან 1 საათამდე და 3 საათიდან საღამოს 7 საათამდე (დაახლოებით).

6. დელეგატთა სიტყვების შეზღუდვა: მომხსენებლებს არა უმეტეს $^1/_2$ საათისა სიტყვისათვის, დანარჩენებს — არა უმეტეს 10 წუთისა. თითოეულ საკითხზე არავის არა აქვს უფლება გამოვიდეს 2-ზე მეტჯერ. სხდომის წესის საკითხებზე შეიძლება გამოვიდეს ყოველი წინადადების 2 მომხრე და ორი მოწინააღმდეგე ორატორი.

7. ყრილობის ოქმებს ადგენენ მდივნები თავმჯდომარის ან მისი ერთ-ერთი თანაშემწის მონაწილეობით. ყრილობის ყოველი სხდომა იწყება წინა სხდომის ოქმის დამტკიცებით. ყ ო ვ ე ლ ი ო რ ა-

* პუნქტი 4, ისევე როგორც პუნქტი 11 ბ განყოფილებაში („საკითხების ნუსხა და თანამიმდევრობა") ლენინს დამატებით შეუტანია. ამის გამო, აგრეთვე პუნქტების განლაგების თანამიმდევრობის შეცვლასთან დაკავშირებით, ლენინი ცვლიდა მათს ნუმერაციას. აქ მოცემულია პუნქტების ნუმერაციის უკანასკნელი ვარიანტი.

შემდგომ ლენინს გადაუშლია პუნქტი 4 და მის შემდეგ დაუწერია: „ad 3" (3 პუნქტისათვის). რ ე დ.

ტორი მოვალეა კრებების დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 საათისა წარუდგინოს ყრილობის ბიუროს თავისი ყოველი სიტყვის კონსპექტი.

8. კენჭისყრა ყველა საკითხზე, გარდა თანამდებობის პირთა არჩევისა, უნდა იყოს ღია. 10 ხმის მოთხოვნით, კენჭისყრა უნდა იყოს სახელობითი და ოქმში ჩაიწეროს ყველა მიცემული ხმა.

(სახელობითი კენჭისყრის დაჩქარებისა და შეცდომების თავიდან აცილების მიზნით სასურველია, რომ ყრილობის ბიურომ ყრილობის ყველა წევრს, რომლებსაც გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ, დაურიგოს ბილეთები თითოეულ საკითხზე კენჭისყრისათვის. ყოველ ბილეთზე დელეგატი აღნიშნავს თავის სახელსა (იხ. § 8*) და ვოტს (ხმას ვაძლევ, წინააღმდეგი ვარ, თავს ვიკავებ), აგრეთვე იმას, თუ რომელ საკითხს შეეხება მისი ვოტი. საკითხები შეიძლება აღინიშნოს შემოკლებულად, ან თვით ციფრითა და ასოთიც კი და სხვ. ყრილობის ბიურო ყრილობის დამთავრებამდე ინახავს ამ ბილეთებს ყოველ საკითხზე ცალკე.)**

9. ყრილობის ყოველი წევრის სახელის კონსპირაციული აღნიშვნა (ან უსახელოდ: პირველი და მეორე დელეგატი ამ და ამ პარტიული ორგანიზაციისაგან და სხვ.)**.

* მხედველობაშია § 9 (თავდაპირველი ნუმერაციით § 8). რედ.

** ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

10. თავმჯდომარის განცხადება, რომ ყრილობა საბოლოოდ კონსტიტუირებულია როგორც რუსეთის სდმ პარტიის II მორიგი ყრილობა და რომ, მაშასადამე, ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი აუქმებენ I მორიგი[42] და კერძო ყრილობების ყველა საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას,—რომ, მაშასადამე, ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი უთუოდ სავალდებულოა მთელი რუსეთის სდმ პარტიისათვის.

11. საკითხთა ნუსხისა და თანამიმდევრობის განხილვა.

(სასურველი არ არის ამ პუნქტთან დაკავშირებით შევეხოთ ბუნდის[41] საკითხს: ჯობს პირდაპირ შევიტანოთ იგი პირველ ადგილზე ყრილობის საკითხთა ნუსხაში.)

ბ. საკითხთა ნუსხა და თანამიმდევრობა

1. ბუნდის ადგილი რუსეთის სდმ პარტიაში. (ეთანხმება თუ არა რუსეთის სდმ პარტია პარტიული ორგანიზაციის ფედერაციულ პრინციპს, რომელიც ბუნდმა წამოაყენა?) *

(ამ საკითხზე საჭიროა წინასწარ შევადგინოთ რეზოლუციის პროექტი, რომლის მიღება სასურველია.)

NB: ამ საკითხის პირველ ადგილზე დაყენების მიზეზები: ფორმალურნი (ბუნდის განცხადება, ყრილობის შემადგენლობა უმრავლესობისადმი დამორჩილება) და მორალურნი (ძი-

* ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

რეულ საკითხში გათიშვისა და დაქსაქსულობის სრული აღმოფხვრა).

2. რუსეთის სდმ პარტიის **პროგრამის** ტექსტის დამტკიცება.

პირველი წაკითხვა: დეტალური განხილვის საფუძვლად ერთ-ერთი არსებული მთლიანი პროექტის მიღება.

მეორე წაკითხვა: პროგრამის თითოეული პუნქტისა და პარაგრაფის მიღება.

(α. პროგრამის რამდენი პროექტი მივიჩნიოთ ყრილობის განხილვის საგნად? („ისკრისა", „ბორბისა"[43], „ჟიზნისა"[44]?)

β. განვიხილოთ ყველა პროექტი თუ საფუძვლად ავიღოთ ერთი? ან სხვაგვარად: მივიღოთ პირველი წაკითხვით ერთ-ერთი წამოყენებული პროექტი.)

3. პარტიის ცენტრალური ორგანოს (გაზეთის) შექმნა ან მისი დამტკიცება.

(ამ საკითხის ცალკე დაყენების საჭიროება: ბოლო მოვუღოთ მიმართულებათა ბრძოლას სოციალ-დემოკრატიაში.)*

α) სურს თუ არა ყრილობას ახალი ორგანოს შექმნა?

β) თუ არა, არსებული ორგანოებიდან რომელი სურს ყრილობას გადაიქციოს პარტიის ცენტრალურ ორგანოდ?

---

* ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

4. მოხსენებანი კომიტეტების (მათ შორის საორგ. კომიტეტის მოხსენება მისი ერთ-ერთი წევრისაგან) და პარტიის სხვა ორგანიზაციებისა და მისი ცალკეული წევრებისა*.

α) რამდენი მოხსენებაა?

β) წავიკითხოთ ყველა მოხსენება თუ ჩავაბაროთ კომისიას?

γ) თითოეული მოხსენება ცალ-ცალკე განვიხილოთ თუ ყველა ერთად?

(სჯობს ცალ-ცალკე)

δ) მოხსენებათა წაკითხვის თანამიმდევრობა.

5. პარტიის ორგანიზაცია. რუსეთის სდმ პარტიის ზოგადი საორგანიზაციო წესდების დამტკიცება.

პირველი წაკითხვა: ერთ-ერთი პროექტის შერჩევა მთლიანად.

მეორე წაკითხვა: ერთ-ერთი პროექტის განხილვა პუნქტების მიხედვით**.

6. რაიონული და ეროვნული ორგანიზაციები.

(ყოველი მათგანის ცალ-ცალკე ცნობა თუ არცნობა სწორედ ასეთი და ასეთი შემადგენლობით და პარტიის ზოგადი წესდების ასეთი და ასეთი (შეიძლება) გამონაკლისებით.)***

---

* პუნქტი 4 წაშლილია. ზემოდან უცნობი ხელით წერია: „დელეგატების მოხსენებანი". რედ.

** ტექსტი, დაწყებული სიტყვებით „ერთ-ერთი" და დამთავრებული სიტყვებით „პუნქტების მიხედვით", ლენინს წაუშლია. რედ.

*** ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

7. პარტიის ცალკეული ჯგუფები.

„ბორბა“ „ზარიას განთავისუფლების“ ჯგუფი[46]
„ეიზენ“
„ეოლია“[45]

{„ისკრის“ რუსეთის ორგანიზაცია[47] „იუჟნი რაბოჩი“[48] და სხვ. *}

საჭიროა რეზოლუციების პროექტები ყოველ ცალკეულ ჯგუფსა და ცალკეულ ორგანიზაციაზე**.

ყველა პარტიული კომიტეტის, ორგანიზაციის, ჯგუფისა და სხვ. სიის საბოლოო (ან წინასწარი, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტს მიენდოს შეაგროვოს კიდევ საჭირო ცნობები და დაადგინოს საბოლოო გადაწყვეტილება***) დამტკიცება.

8. ეროვნული საკითხი.

საჭიროა [რეზოლუცია საერთოდ ეროვნული საკითხის შესახებ („თვითგამორკვევის“ განმარტება და ტაქტიკური დასკვნები ჩვენი განმარტებიდან).

იქნებ კიდევ განსაკუთრებული რეზოლუციაც პოლონეთის სოციალისტური პარტიის[49] წინააღმდეგ?

9. ეკონომიური ბრძოლა და პროფესიული მოძრაობა. (საჭიროა რეზოლუცია პრინციპულიც და პარტიის საჭირბოროტო ამოცანებზეც.)

10. 1 მაისის დღესასწაულობა. იგივე.

11. საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი ამსტერდამში 1904 წელს[50]. იგივე.

12. დემონსტრაციები და აჯანყება. იგივე.

13. ტერორი. იგივე.

21. რუსეთის სდმპარტიის დამოკიდებულება „სოციალისტ-რევოლუციონერებისადმი". [და რევოლუციონერ-სოციალისტებისადმი?? etc.?] იგივე.

22. რუსეთის სდმპარტიის დამოკიდებულება რუსეთის ლიბერალური მიმდინარეობებისადმი*. იგივე.

გადავიტანოთ ეს ორი საკითხი № 7-ის შემდეგ**.

14. პარტიული მუშაობის შინაური საკითხები:
პროპაგანდის დაყენება.

15. აგიტაციის —„—

16. პარტიული ლიტერატურის დაყენება.

17. გლეხობაში მუშაობის —„—

18. ჯარში —„— —„—

19. მოსწავლეებში —„— —„—

20. სექტანტებში —„— —„—

სასურველია რეზოლუციები.

* ამ პუნქტის გვერდზე უცნობი ხელით ჩაწერილია: „23. რსდმ პარტიის დამოკიდებულება რუსეთში არსებული სხვა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიებისა და მიმდინარეობებისადმი". პუნქტს ნომერს წინ ლენინის ხელით წერია „23". რედ.

** ტექსტი ლენინს წაუშლია. რედ.

24. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის არჩევნები.

ყრილობა ირჩევს სამ პირს ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და სამს ცენტრალურ კომიტეტში. ეს ექვსი პირი **ერთად**, $^2/_3$-ის უმრავლესობით, ავსებენ, თუ ეს საჭიროა, ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობას კოოპტაციით და შესაბამის მოხსენებას წარუდგენენ ყრილობას. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ მერმინდელი კოოპტაცია ხდება ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის მიერ ცალ-ცალკე.

~~24. პარტიის საბჭოს[51] არჩევნები.~~

25. ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ოქმების გამოქვეყნების წესი, აგრეთვე არჩეული თანამდებობის პირებისა და დაწესებულებების მოვალეობათა შესრულების ძალაში შესვლის წესი.

დაწერილია 1903 წლის ივნისის მეორე ნახევარ — ივლისის პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის VI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

გამოსვლები ყრილობის განსახილველი საკითხების ნუსხაზე მსჯელობისას[52]

17 (30) ივლისი

1

გეგმის მიხედვით პროგრამის საკითხი მეორე ადგილზე დგას. ეროვნული საკითხი შედის პროგრამაში და გადაწყდება მისი განხილვისას. რაიონული და ეროვნული ორგანიზაციების საკითხი, საერთოდ, ორგანიზაციული საკითხია. ეროვნებებისადმი დამოკიდებულების საკითხი კი, კერძოდ, ტაქტიკური საკითხია და წარმოადგენს ჩვენი ზოგადი პრინციპების გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

2

ნუსხის პირველი პუნქტი შეეხება სპეციალურად ბუნდის ორგანიზაციას. მეექვსე კი შეეხება პარტიის ორგანიზაციას. ადგილობრივი, რაიონული, ეროვნული და სხვა ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების ზოგადი კანონის დადგენის შემდეგ დგება სპეციალური საკითხი: სახელდობრ რომელი ორგანიზაციები და რა პირობებით ჩაებმებიან პარტიაში?

„რსდმპ პარტიის მეორე მთრიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

3

გამოსვლა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების საკითხზე[53]

18 (31) ივლისი

საორგანიზაციო კომიტეტს შეუძლია შეიკრიბოს, მაგრამ არა როგორც კოლეგია, რომელიც გავლენას მოახდენს ყრილობის საქმეებზე. საორგანიზაციო კომიტეტის პრაქტიკული საქ-

მიანობა არ შეწყდება, შეწყდება მხოლოდ მისი გაგრძელება ყრილობაზე, კომისიის გარდა.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი".
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

4

გამოსვლა ყრილობაში პოლონელ სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობის საკითხის გამო[54]

18 (31) ივლისი

მე ვერ ვხედავ დამაჯერებელ საბუთებს მოწვევის წინააღმდეგ. საორგანიზაციო კომიტეტმა გადადგა პირველი ნაბიჯი რუსებთან პოლონელი ამხანაგების დაახლოების გზაზე. მათ რომ ყრილობაზე მოვიწვევთ, ჩვენ მეორე ნაბიჯს გადავდგამთ ამავე გზაზე. ამისაგან არავითარ გართულებას არ მოველი.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი".
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

5

გამოსვლა პარტიის პროგრამის ზოგადი ნაწილის განხილვისას

29 ივლისი (11 აგვისტო)

ეს ჩანართი აუარესებს[55]. იგი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს სტიქიურად იზრდებოდეს შეგნებულობა. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში კი არ არსებობს მუშების შეგნებული საქმიანობა სოციალ-დემოკრატიის გავლენის გარეშე.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი".
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

6

გამოსვლები პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების განხილვისას

30 ივლისი (12 აგვისტო)

1

ლ ე ნ ი ნ ი ს აზრით, სტრახოვის შესწორება უხეიროა, რადგან კომისიის ფორმულირებაში ხაზგასმულია სწორედ ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ა[56].

2

ლ ე ნ ი ნ ი სიტყვა „საოლქოს“ წინააღმდეგია, რადგან ეს ძალიან ბუნდოვანია და შეიძლება ისე განმარტონ, თითქოს სოციალ-დემოკრატია მოითხოვდეს მთელი სახელმწიფოს დაყოფას წვრილ ოლქებად[57].

3

ლ ე ნ ი ნ ს ზედმეტად მიაჩნია სიტყვის „უცხოელს“ დამატება, რადგან თავისთავად იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოვა მოთხოვნით გავრცელდეს ეს პარაგრაფი უცხოელებზეც[58].

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის
გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

7

გამოსვლა პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების განხილვისას

31 ივლისი (13 აგვისტო)

სიტყვა „მილიცია“ ახალს არაფერს იძლევა და არევ-დარევა შეაქვს. სიტყვები „ხალხის საყოველთაო შეიარაღება“ ნათელია

და სავსებით რუსული. მე ზედმეტად მიმაჩნია ამჯ. ლიბერის შესწორება[59].

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

8

წინადადებანი პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების პუნქტებისათვის[60]

1) მე-6 პუნქტის ბოლოში დარჩეს „და ენისა".

2) ჩაისვას ახალი პუნქტი:

„მოსახლეობის უფლება მიიღოს განათლება დედაენაზე, თითოეული მოქალაქის უფლება ილაპარაკოს დედაენაზე კრებებზე, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში".

3) ამოიშალოს მე-11 პუნქტში ფრაზა ენის შესახებ.

დაწერილია 1903 წლის 30 ივლისსა და 1 აგვისტოს (12 და 14 აგვისტოს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

9

გამოსვლები პარტიის პროგრამის იმ ნაწილის განხილვისას, რომელიც მუშათა დაცვას შეეხება

31 ივლისი (13 აგვისტო)

1

ლ ე ნ ი ნ ს არაფერი აქვს 42-საათიანი დასვენების საწინააღმდეგო, ლიბერს კი შენიშნავს, რომ პროგრამაში ლაპარაკია ყველა წარმოებისადმი მეთვალყურეობაზე. თუ მივუთითებთ

სიდიდეს, ეს მხოლოდ შეზღუდავს აზრს. როცა ჩვენი პროგრამა კანონპროექტი გახდება, მაშინ შევიტანთ დეტალებს[61].

2

წინააღმდეგი ვარ ამხ. ლიადოვის შესწორებისა[62]. მისი პირველი ორი შესწორება ზედმეტია, რადგან ჩვენს პროგრამაში ჩვენ მოვითხოვთ შრომის დაცვას მეურნეობის ყ ვ ე ლ ა დარგისათვის, მაშასადამე, მათ შორის სოფლის მეურნეობისათვისაც. რაც შეეხება მესამეს, იგი მთლიანად მიეკუთვნება აგრარულ ნაწილს და ჩვენ მას დავუბრუნდებით ჩვენი აგრარული პროგრამის პროექტის განხილვისას.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

10

გამოსვლები აგრარული პროგრამის განხილვისას

1 (14) აგვისტო

1

ლ ე ნ ი ნ ს შეაქვს შესწორება: ნაცვლად „ე ც დ ე ბ ა მ ი ა ღ წ ი ო ს" ჩაისვას: „მ ო ი თ ხ ო ვ ს უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა"[63]. რეფერატებზე კამათის დროს აღნიშნავდნენ, რომ პროექტში შეგნებულად არის ნათქვამი: „ეცდება მიაღწიოს", რათა ამით ხაზი გაესვას, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს ეს ვქნათ არა ახლა, არამედ მომავალში. რათა საფუძველი არ მივცეთ ასეთი გაუგებრობისათვის, შემომაქვს ეს შესწორება. სიტყვებით „უწინარეს ყოვლისა" მე მინდა ვთქვა, რომ, აგრარული პროგრამის გარდა, ჩვენ კ ი დ ე ვ გვაქვს მოთხოვნები.

2

მე ამხ. ლიადოვის წინადადების წინააღმდეგი ვარ[64]. ჩვენ კანონის პროექტს კი არა ვწერთ, არამედ მხოლოდ აღვნიშნავთ ზოგად ნიშნებს. ჩვენში ქალაქის ობივატელთა შორისაც არიან ისეთები, ვინც გადამხდელ წოდებას ეკუთვნის; გარდა ამისა, არის რაბათის მოსახლეობა და სხვები, ხოლო, ყოველივე ეს რომ ჩვენს პროგრამაში მოვათავსოთ, კანონთა კრებულის IX ტომის ენით უნდა გველაპარაკა.

3

მარტინოვის კითხვა ზედმეტად მიმაჩნია[65]. ზოგადი პრინციპების წამოყენების ნაცვლად ჩვენ გვაიძულებენ გავარჩიოთ კერძო საკითხები. ასე რომ მოვქცეულიყავით, ვერასოდეს ვერ დავამთავრებდით ყრილობას. პრინციპი სავსებით გარკვეულია: ყოველ გლეხს აქვს თავისი მიწის ნებისმიერი გამოყენების უფლება, სულ ერთია თ ე მ ი ს ა იქნება ეს მიწა თუ კ ე რ ძ ო მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ს ა. ეს არის მხოლოდ მოთხოვნა გლეხისათვის საკუთარი მიწის ნებისმიერად გამოყენების უფლებისა. ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ არ იყოს განსაკუთრებული კანონები გლეხებისათვის; ჩვენ მარტო თემიდან გასვლის უფლება როდი გვსურს. ყველა კერძო საკითხს, რომლებიც წამოიჭრება ამის განხორციელებისას, ჩვენ ახლა ვერ გადავწყვეტთ. მე წინააღმდეგი ვარ ამხ. ლანგეს დამატებისა; ჩვენ ვერ მოვითხოვთ სარგებლობის შესახებ ყველა კანონის გაუქმებას. ეს მეტისმეტია.

4

მარტინოვი, როგორც ჩანს, გაოცებულია. ჩვენ მოვითხოვთ ზოგადი კანონმდებლობის ერთნაირ გამოყენებას — იმისას, რომელიც ახლა მიღებულია ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სახელდობრ, რომელიც რომაული სამართლის საფუძვლებიდან გამომდინარეობს და ცნობს საერთო საკუთრებასაც და პირადსაც. ჩვენ გვინდა თემური მიწათმფლობელობა განვიხილოთ როგორც საერთო საკუთრება.

5

ჩვენთან ლაპარაკია მეოთხე პუნქტის იმ დამატებათა რედაქტირებაზე, რომლებიც კავკასიას შეეხება. სასურველია, შევიტანოთ ეს დამატებანი ა) პუნქტის შემდეგ. არის რეზოლუციების ორი პროექტი. თუ მივიღებთ ამხ. კარსკის შესწორებას, პუნქტი მეტისმეტად დაკარგავს თავის კონკრეტულობას. ურალში, მაგალითად, უამრავი ნაშთია; იქ ბატონყმობის ნამდვილი ბუნაგია. ლატვიელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათ ეხებათ ფორმულა „და სახელმწიფოს სხვა ოლქებში“. მხარს ვუჭერ ამხ. კოსტროვის წინადადებას, სახელდობრ: საჭიროა ჩავსვათ მოთხოვნა ხიზანთა, დროებით ვალდებულთა და სხვ. საკუთრებაში მიწების გადასვლის შესახებ[66].

6

მე-5 პარაგრაფს კავშირი აქვს მუშათა პროგრამის მე-16 პარაგრაფთან: ეს გულისხმობს სწორედ სასამართლოებს, რომლებიც შედგებიან თანაბრად მუშებისა და მეწარმეებისაგან; ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მოჯამაგირეებისა და უღარიბესი გლეხობის განსაკუთრებული წარმომადგენლობა[67].

7

მე ეს ზედმეტად მიმაჩნია, რადგან უზომოდ გაფართოვდებოდა სასამართლოების კომპეტენცია[68]. ჩვენ მიზნად ვისახავთ საიჯარო ჭირის შემცირებას, ნიხრის დაწესება კი შესაძლებლობას მისცემდა მიწათმფლობელებს გარკვეული ფაქტების დამოწმებით დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე. საიჯარო ფასების შემცირება გამორიცხავს ყოველგვარ აზრს მათს გადიდებაზე. კაუცკი, როცა ირლანდიაზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ იქ სარეწთა სასამართლოების შემოღებამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

11

გამოსვლა პარტიის წესდების განხილვისას

2 (15) აგვისტო

ლ ე ნ ი ნ ი დაბეჯითებით მოითხოვს შეიტანონ სიტყვები მატერიალური დახმარების შესახებ, რაკი ყველანი ცნობენ, რომ პარტიამ უნდა იარსებოს თავისი წევრების ხარჯზე. არ შეიძლება პოლიტიკური პარტიის შექმნის საკითხში დავიმოწმოთ მორალური მოსაზრებანი.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

12

გამოსვლები პარტიის წესდების განხილვისას

4 (17) აგვისტო

1

ლ ე ნ ი ნ ს უხერხულად მიაჩნია პირველი ფორმულირება იმის გამო, რომ იგი საბჭოს სამედიატორო ხასიათს ანიჭებს[69]. საბჭო კი მარტო სამედიატორო დაწესებულება კი არ უნდა იყოს, არამედ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს საქმიანობის შემთანხმებელიც. მოითხოვს, გარდა ამისა, ყრილობის მიერ მეხუთე წევრის დანიშვნას. შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა საბჭოს ოთხი წევრი ვერ შეძლებს მეხუთის არჩევას; მაშინ ჩვენ საჭირო დაწესებულების გარეშე დავრჩებით.

2

ლ ე ნ ი ნ ს უხეიროდ მიაჩნია ამხ. ზასულიჩის მოსაზრებანი[70]. მის მიერ წარმოდგენილი შემთხვევა უკვე ბრძოლაა; ასეთ შემთხვევაში კი ვერავითარი წესდება ვეღარ გვიშველის. თუ მეხუთე წევრის არჩევას საბჭოს ოთხ წევრს მივანდობთ,

ამით ბრძოლას შევიტანთ წესდებაში. საჭიროდ მიაჩნია აღინიშნოს, რომ საბჭო მარტო შემრიგებელი დაწესებულების ხასიათს როდი ატარებს: მაგალითად, საბჭოს ორ წევრს წესდებით მისი მოწვევის უფლება აქვს.

3

ლენინი ამ ადგილის დატოვების მომხრეა; არ შეიძლება ვინმეს ავუკრძალოთ მივიდეს ცენტრამდე განცხადებით. ეს ცენტრალიზაციის აუცილებელი პირობაა[71].

4[72]

აქ ორი საკითხია. პირველი კვალიფიციურ უმრავლესობაზე, და მე წინააღმდეგი ვარ წინადადებისა $^{2}/_{3}$-მდე შევამციროთ $^{4}/_{5}$. დასაბუთებული პროტესტის შემოღება მიზანშეწონილი არ არის და მე მისი წინააღმდეგი ვარ[73]. განუზომლად მეტი მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხს — ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს ურთიერთკონტროლის უფლებას კოოპტაციისადმი. ორი ცენტრის ურთიერთთანხმობა ჰარმონიის აუცილებელი პირობაა. აქ საკითხი ეხება ორი ცენტრის გათიშვას. ვისაც გათიშვა არ სურს, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ჰარმონია იყოს. პარტიის ცხოვრებიდან ვიცით, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც განხეთქილება შემოჰქონდათ. ეს პრინციპული საკითხია, დიდმნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება მასზე იყოს დამოკიდებული პარტიის მთელი მომავალი ბედი.

5

თუ წესდება ცალი ფეხით კოჭლობდა, ამხ. ეგოროვი ახლა მას ორივე ფეხით აკოჭლებს[74]. საბჭო კოოპტაციას ახდენს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ორივე მხარისათვის, ორივე ცენტრისათვის აუცილებელია სრული ნდობა სწორედ იმიტომ, რომ ეს რთული მექანიზმია; ერთმანეთისადმი სრული ნდობის გარეშე შეუძლებელია ერთობლივი წარმატებითი მუშაობა. ხო-

ლო სწორი ერთობლივი ფუნქციონირების მთელი საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული კოოპტაციის უფლებასთან. ტექნიკურ სიძნელეთა საკითხი ამაოდ შეუფასებია გადაჭარბებით ამჯ. დეიჩს.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი".
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის
გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

13

პარტიის წესდების პროექტის § 12-ის დამატება

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრთა კოოპტაცია დასაშვებია მხოლოდ პარტიის საბჭოს ყველა წევრის თანხმობით.

შეტანილია 5 (18) აგვისტოს

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი".
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის
გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

14

გამოსვლები პარტიის წესდების განხილვისას

5 (18) აგვისტო

1

ვუპასუხებ მოკლედ ორივე საწინააღმდეგო მოსაზრებას[79]. ამჯ. მარტოვი ამბობს, რომ მე მოვითხოვ ორივე კოლეგიის ერთხმივობას წევრთა კოოპტაციაზე; ეს სწორი არ არის. ყრილობამ გადაწყვიტა არ მისცეს veto-ს უფლება ორი, შეიძლება, საკმაოდ დიდი კოლეგიის ყველა წევრს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ძალაუფლება მივანიჭოთ დაწესებულებას, რომელიც ათანხმებს ორი ცენტრის ერთობლივი მუშაობის მთელ საქმიანობას. ორი ცენტრის ერთობლივი მუშაობა მო-

ითხოვს სრულ ერთხმივობას და პირად გაერთიანებასაც კი, ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთხმივი კოოპტაციის დროს. თუ ორ წევრს საჭიროდ მიაჩნია კოოპტაცია, მათ ხომ შეუძლიათ საბჭოს მოწვევა.

2

მარტოვის შესწორება ეწინააღმდეგება უკვე მიღებულ პუნქტს ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ ორგანოში ერთხმივი კოოპტაციის შესახებ[76].

3

ამხ. მარტოვის განმარტება სწორი არ არის, რადგან ამოღება ეწინააღმდეგება ერთხმივობას[77]. მე მივმართავ ყრილობას და ვთხოვ გადაწყვიტოს: საჭიროა თუ არა კენჭი ვუყაროთ ამხ. მარტოვის შესწორებას.

4

არსებითად მე არ შევეწინააღმდეგებოდი ამხანაგებს გლებოვსა და დეიჩს, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე მომეხსენიებინა წესდებაში ლიგა[78], ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველამ იცოდა ლიგის არსებობა, მეორე, რათა აღმენიშნა ლიგის წარმომადგენლობა პარტიაში ძველ წესდებათა მიხედვით, მესამე, იმიტომ, რომ ყველა სხვა ორგანიზაცია კომიტეტის მდგომარეობაშია, ხოლო ლიგა შემოგვაქვს, რათა ხაზი გაესვას მის განსაკუთრებულ მდგომარეობას[79].

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

15

პროექტი რეზოლუციისა მარტინოვისა და აკიმოვის განცხადების გამო[80]

ყრილობა, რომლის აზრით, ამხანაგების მარტინოვისა და აკიმოვის განცხადება ეწინააღმდეგება ჩვენს წარმოდგენას ყრილობის წევრებსა და პარტიის წევრებზეც კი, წინადადებას აძ-

ლევს ამხანაგებს აკიმოვსა და მარტინოვს ან უკან წაიღონ თავიანთი განცხადება, ან გარკვეულად განაცხადონ, რომ გადიან პარტიიდან. რაც შეეხება ოქმებს, ყრილობა ყოველ შემთხვევაში მათ უფლებას აძლევს დაესწრონ საგანგებო სხდომას, სადაც ოქმებს დავამტკიცებთ.

დაწერილია 1903 წლის 5 (18) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ლენინის VI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

16

გამოსვლები მარტინოვისა და აკიმოვის განცხადების განხილვისას

5. (18) აგვისტო

ბიურომ განიხილა ამხანაგების მარტინოვისა და აკიმოვის განცხადება, რომელიც მათ დილის სხდომაზე შეიტანეს. მე არ შევეხები დასაბუთებას, თუმცა იგი სწორი არ არის და უაღრესად უცნაურია. არავის არსად არ განუცხადებია კავშირის[81] დახურვის შესახებ, ხოლო ამხანაგებმა მარტინოვმა და აკიმოვმა მცდარი არაპირდაპირი დასკვნა გამოიტანეს ყრილობის გადაწყვეტილებიდან ლიგის შესახებ. მაგრამ კავშირის დახურვაც კი ვერ ჩამოართმევს დელეგატებს უფლებას მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში. ზუსტად ასევე ყრილობა ვერ დაუშვებს უარის თქმას კენჭისყრაში მონაწილეობაზე. ყრილობის წევრს არ შეუძლია მარტო ოქმები დაამტკიცოს ხოლმე და მონაწილეობა არ მიიღოს მის დანარჩენ მუშაობაში. ბიუროს ჯერჯერობით არავითარი რეზოლუცია არ შემოაქვს და ამ საკითხს აყენებს ყრილობის განსახილველად. მარტინოვისა და აკიმოვის განცხადება უაღრესად არანორმალურია და ეწინააღმდეგება ყრილობის წევრის წოდებას.

2

რა სულელური და არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა აქ. ერთი მხრივ, გვეუბნებიან, რომ ემორჩილებიან ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხოლო, მეორე მხრივ, სურთ წესდების გამო მიღებული გადაწყვეტილებისათვის წავიდნენ. გამოვცხადდით რა აქ როგორც საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ცნობილი ორგანიზაციის დელეგატები, ყოველი ჩვენგანი ყრილობის წევრი გახდა. ორგანიზაციის ვერავითარი დაშლა ვერ სპობს ამ ტიტულს. როგორ მოვიქცეთ ჩვენ, ბიურო, კენჭისყრის დროს? სრულიად არ ჩავთვალოთ წასულნი — ეს არ შეიძლება, რადგან ყრილობამ უკვე დაამტკიცა თავისი შემადგენლობა. არის აქ ერთი ლოგიკური დასკვნა — სრულიად წავიდნენ პარტიის რიგებიდან. ოქმების დამტკიცება კი შეიძლება, თუ ამისათვის კავშირიდანაც სპეციალურად მოვიწვევთ ამხანაგებს, თუმცა ყრილობას უფლება აქვს უმათოდაც დაამტკიცოს თავისი ოქმები.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

17

დამატება მარტოვის რეზოლუციისათვის რსდმ პარტიიდან გუნდის გასვლის შესახებ

ყრილობა აღგენს ყველაფერი იღონოს ებრაელ და არაებრაელ მუშათა მოძრაობის ერთიანობის აღდგენისა და იმისათვის, რომ ებრაელ მუშათა რაც შეიძლება ფართო მასებს განუმარტოს, თუ როგორ აყენებს ეროვნულ საკითხს რუსეთის სოციალ-დემოკრატია.

დაწერილია 1903 წლის 5 (18) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

18

გამოსვლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს

7 (20) აგვისტო

ჩვენ გვისაყვედურებდნენ, რომ არსებობს კომპაქტური უმრავლესობა. ეს უკანასკნელი არაფერს ცუდს არ წარმოადგენს. რაკი აქ კომპაქტური უმრავლესობა[82] შეიქმნა, უკვე აწ-ხ-ლ-დაწონილი იყო, ქმედუნარიანი აღმოჩნდება თუ არა არჩეული ცენტრალური კომიტეტი. შემთხვევითობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. გარანტია სრულია. არჩევნების გადადება არ შეიძლება. ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა. ამხ. მარტოვის წინადადება, რომ გადაიდოს არჩევნები, დაუსაბუთებელია. მხარს ვუჭერ ამხ. რუსოვის წინადადებას[83].

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც. 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

19

განცხადება ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ პეტერბურგის (სტაროვერის) რეზოლუციის განხილვისას[84]

10 (23) აგვისტო

სტაროვერის რეზოლუციას სწორად არ გაიგებენ: სტუდენტთა მოძრაობა და „ოსვობოჟდენიე"[85] ორი სხვადასხვა რამეა. მათდამი ერთნაირი დამოკიდებულება მავნე იქნება. სტრუვეს სახელი მეტისმეტად ცნობილია და მუშები იცნობენ მას. ამხ. სტაროვერს ჰგონია, რომ საჭიროა გარკვეული დირექტივის მიცემა; ჩემი აზრით, ჩვენ გვჭირდება გარკვეული პრინციპული და ტაქტიკური დამოკიდებულება.

„რსდმ პარტიის მეორე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1904 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

კანონი დასახიჩრებისაგან დაზარალებული მუშებისათვის საზღაურის მიცემის შესახებ

ამას წინათ გამოსული ახალი კანონი, რომლის შინაარსი აღნიშნულია სტატიის სათაურში, და კანონი ფაბრიკის მამასახლისების შესახებ, რომელიც წინა ნომერში* გავარჩიეთ, წარმოადგენენ სამამულო მუშათა იმ კანონმდებლობის ორი მიმართულების საკმაოდ ტიპობრივ ნიმუშებს, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ დათმობას დროების სულისკვეთების შესაფერისად. გარდა იმ მძვინვარე რეაქციული კანონებისა, რომლებიც ჩვენში უაღრესად უხვად მოიპოვება და განსაკუთრებით სწრაფად გადის მთელ ბიუროკრატიულ დავიდარაბას, ამასთან რომლებსაც განსაკუთრებით დეტალურად ადგენენ და განსაკუთრებით ენერგიულად იყენებენ, — რუსეთის ყველ. დანარჩენი კანონი, რომლებიც მუშათა კლასს ეხება, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, მათი პოლიტიკური ხასიათის მიხედვით. ეს ან ისეთი კანონებია, რომლებიც რაიმეთი მაინც, თუნდაც იოტისოდენად აფართოებენ მუშების დამოუკიდებლობას, თვითმოქმედებას, უფლებებს,—და მაშინ ამ კანონებს ასობით და ათასობით გამონაკლისი, შენიშვნა, ცირკულარული განმარტება და შეზღუდვა ახლავს, რომლებსაც, ჩვენი პროგრამის პროექტის ენით რომ ითქვას, მივყავართ „მშრომელი კლასებისადმი პოლიციურ-ჩინოსნური მეურვეობის გაფართოებისა თუ განმტკიცებისაკენ". ასეთია კანონები ფაბრიკის მამასახლისებზე, საერთოდ საფაბრიკო ინსპექციაზე და სხვ. ან კანონები გამოხატავენ ისეთ დათმობას, რომელსაც საერთო არა აქვს რა მოქალაქეთა დამოუკიდებლობასა და თვითმოქმედებასთან, — და მაშინ თვითმპყრობელური მთავრობა ბევრად უფრო დიდ გულუხვობას იჩენს. ეს ასეც უნდა იყოს, რა თქმა უნდა, თვითმპყრობელობის საერთო ტაქტიკის თვალსაზრისით, „სწორად გაგებული" პოლიციური ინტერესების თვალსაზრისით. დასავლეთევროპელმა დემოკრატებმა, რომლებსაც უკვე დიდი გამო-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 6, გვ. 632—641. რედ.

ცდილება აქვთ პოლიციურ სახელმწიფოსთან ბრძოლის საქმეში, კარგა ხანია მონათლეს ეს პოლიტიკა სიტყვებით: კვერი და მათრახი. კვერი — ეს არის მოწყალება რევოლუციური კლასებისადმი, ეს არის ეკონომიური დათმობანი, რომელთა მიზანია განხეთქილება შეიტანონ ამ კლასებში, გადაიბირონ მათი ნაწილი თავიანთ მხარეზე, დაარწმუნონ, რომ ბურჟუაზიული მთავრობა გულწრფელად და მეგობრულად ეკიდება პროლეტარიატს. მათრახი — ეს არის ყველა იმათი პოლიციური დევნა, ვინც თვითონ არ ენდობა მთავრობას და სხვაგანაც თესავს ამ უნდობლობას, მათრახი —ეს არის ყველა იმათი ალაგმვა, ვინც ესწრაფვის მუშათა კლასის, მისი კავშირების, მისი კრებების, მისი გაზეთების, მისი პოლიტიკური დაწესებულებებისა და ორგანოების სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

კანონი ფაბრიკის მამასახლისების შესახებ მუშებს აძლევს წარმომადგენლობას, რომელიც მათ სამსახურს გაუწევდა ბურჟუაზიისა და მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ წარმომადგენლობა ისეთნაირად მახინჯდება და იზღუდება, რომ მისგან სარგებლობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ ჯაშუშებს ან თუნდაც უმთავრესად ჯაშუშებს. ამიტომ მუშათა წარმომადგენლობისაგან, რომელიც კანონმა გამოაცხადა, სინამდვილეში, პრაქტიკულ გამოყენებაში, ტრიშკას ხიფთანისა არ იყოს, საყელოლა რჩება. საყელო კი იმისთვის არის საჭირო, რომ „საყელოთი“ წაათრიონ უბანში ბედშავი „მამასახლისი“. პირიქით, მუშათა ანაზღაურების კანონი ოდნავადაც კი არ ეხება მათს პოლიტიკურ თვითმოქმედებას, მაშასადამე, აქაც შეიძლება გულუხვობის გამოჩენა. აქ უფრო უხიფათოა „რეფორმატორის“ როლში გამოსვლა, გამოსვლა კი საჭიროა, რადგან მზარდი მუშათა მოძრაობა სულ უფრო და უფრო მრისხანედ გვიახლოვდება. ბიუროკრატიულმა მანქანამ ოცი წლის წინათ დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე მეწარმეთა პასუხისმგებლობის შესახებ. ამ კანონპროექტს ათ წელიწადს ამუშავებდნენ; ბოლოს, საგანგებო კომისიამ იგი მოიწონა და 1893 წელს პროექტი გამოქვეყნდა და სახელმწიფო საბჭოში[86] შეიტანეს...

იმისათვის, რომ მაუდქვეშ ამოედოთ კიდევ ათიოდე წლით! ამაზე უფრო „ნელი აჩქარება“, მგონია, შეუძლებელი იყო, და კანონპროექტი, ალბათ, კიდევ რამდენიმე ათეულ წელს იმოგზაურებდა სამინისტროებსა და კანცელარიებში, რუსეთის მუშათა კლასს თავისი შეტევით რომ არ შეეზანზარებინა მთელი თვითმპყრობელობა.

და აი, კანონპროექტი. ზოგ რამეში კიდევ და კიდევ გაუარესებული, როგორც იქნა, კანონი გახდა. ამ კანონის შესაფასებლად შევაჯეროთ იგი იმას, რასაც მოითხოვს ჩვენი პარტიული პროგრამის პროექტი: ამ პროგრამის „მუშათა ნაწილი“ ჩვენთვის უნდა იყოს სწორედ სახელმძღვანელო პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეში. და მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი პროგრამის ცალკეულ პუნქტებსა და მოთხოვნებს შევაჯერებთ თანამედროვე სინამდვილეს და მმართველი კლასების ცდებს მოახდინონ მისი რეფორმა ისე, რომ არავის არ აწყენინონ,— ჩვენ შეგვეძლება, ერთი მხრივ, უფრო სრულად და კონკრეტულად გავერკვეთ და გავარკვიოთ მასები ჩვენი პროგრამის აზრსა და მნიშვნელობაში; მეორე მხრივ, განვმარტოთ მოქმედი კანონების ნაკლოვანებანი; მესამე მხრივ, გავერკვეთ საქმით, ფაქტებით, რამდენად უმნიშვნელოა ყველა და ყოველგვარი რეფორმის შედეგები, თუ შევინარჩუნეთ ბურჟუაზიული წყობილების საფუძვლები.

ჩვენი პროგრამის პროექტი მოითხოვს („მუშათა ნაწილის“ § 7) დაწესდეს კანონით სამოქალაქო პასუხისმგებლობა დ ა მ ქ ი რ ა ვ ე ბ ლ ე ბ ი ს ა საერთოდ (მუშების დასახიჩრებისა და ავადმყოფობისათვის), ე. ი. ყველასი, ვინც ქირაობს მუშებს, ყველასი, ვინც მოგებას იღებს სხვების აუნაზღაურებელი შრომით, სარგებლობს მათი სამუშაო ძალით და პასუხს არ აგებს ამ ს ა ქ ო ნ ლ ი ს (სამუშაო ძალის) დაღუპვისა თუ გაფუჭებისათვის სამუშაოზე. ამავე დროს ახალი კანონი შეეხება მხოლოდ მუშებსა და მოსამსახურეებს „საფაბრიკო-საქარხნო, სამთამადნო მრეწველობის საწარმოებში და სამთამადნო ქარხნებში“. გამორიცხულია, მაშასადამე, სოფლის, ხელოსნობის, მშენებლობის მუშები, შინამრეწველები და სხვ. და

სხვ. გამორიცხულია უდიდესი უმრავლესობა დაქირავებული მუშებისა, რომლებიც ხშირად უარეს და უფრო საშიშ პირობებში შრომობენ; მაგალითად, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშები მანქანებთან, თუ მეტად არა, ნაკლებად რომ სახიჩრდებიან, ვიდრე ფაბრიკის მუშები. მაშ რითი ავხსნათ ეს გამორიცხვა? იმით, რომ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის გარეთ წაღა არც ისე ძალიან უჭერთ ფეხზე: მუშათა მოძრაობამ მრისხანედ იჩინა თავი მხოლოდ პროლეტარიატის მოწინავე ფენებში, და მთავრობა „ზრუნავს" (არა მუშებზე, რა თქმა უნდა, არამედ მუშათა დათრგუნვაზე) მხოლოდ ამ დარგში. მაგრამ პროლეტარიატი, რამდენადაც იგი მონაწილეობს მოძრაობაში, ე. ი. შეგნებული პროლეტარიატი, იბრძვის არა ამა თუ იმ თანრიგის მუშების სარგებლობისა და შეღავათებისათვის, არამედ მთელი კლასისათვის, კაპიტალისტური წყობილებით ჩაგრული ყველა კლასისათვის. განსხვავება იმ რეფორმებს შორის, რომლებისთვისაც პროლეტარიატი იბრძვის, და იმ რეფორმებს შორის, რომლებსაც, როგორც წყალობას, იმეტებს მთავრობა, აქ თვალსაჩინოდ ვლინდება.

შემდეგ. ახალი კანონი ავალებს საწარმოთა მფლობელებს საზღაური მისცენ მუშებს მხოლოდ შრომისუნარიანობის დაკარგვისათვის „სხეულის დაზიანებისაგან, რომელიც გამოიწვია საწარმოში მუშაობამ ან მოხდა ასეთი სამუშაოების შედეგად". ჩვენი პროგრამა მოითხოვს პასუხისმგებლობის დაწესებას შრომის უნარის დაკარგვისათვის არა მარტო უბედური შემთხვევების შედეგად, არამედ წარმოების მავნე პირობების შედეგადაც. მაშასადამე, ახალი კანონი აქაც ზღუდავს დამქირავებელთა პასუხისმგებლობას. ყველამ იცის, მუშათა რაოდენი მასა კარგავს შრომის უნარს არა მარტო უბედური შემთხვევების გამო, არა სხეულის დაზიანების გამო, არამედ ავადმყოფობათა გამო, რომლებიც გამოწვეულია წარმოების მავნე პირობებით. არავითარი ბრძოლა ამ მავნე პირობების წინააღმდეგ სხვადასხვა წესებისა და მითითებების გზით არაფერს არ იძლევა, თუ მეპატრონენი

პასუხს არ აგებენ ავადმყოფობის გამო მუშათა შრომისუნარიანობის დაკარგვისათვის. და საკითხავია, რა განსხვავებაა არსებითად იმ შემთხვევას შორის, როცა მანქანა მოაჭრის ფეხს მუშას, და იმ შემთხვევას შორის, როცა მუშა იწამლება ფოსფორის, ტყვიის, საღებავის შხამით და სხვ.? განა მედიცინის მეცნიერებამ არ დაადგინა იმ პროფესიულ დაავადებათა უკვე მთელი ჯგუფი, რომელთა წარმოშობა მუშაობის მავნე პირობებისაგან გამორკვეული და დამტკიცებულია ისევე, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია? მაგრამ ბურჟუაზია და ბურჟუაზიული მთავრობა ხელმძღვანელობენ არა ლოგიკით, არა საღი აზროვნებით, არამედ უხეში ანგარებით: უბედური შემთხვევისათვის უფრო ნაკლების გადახდა მოუხდებათ, ვიდრე დასახიჩრებისათვის პლუს მავნე ვითარებისაგან ავადმყოფობისათვის. მთელი საქმე კი სწორედ ის არის, რომ რაც შეიძლება ნაკლები გადაუხადონ და არა ის, რომ „უზრუნველყონ“ მუშები.

ახალი კანონი ათავისუფლებს მუშას მოვალეობისაგან დაამტკიცოს, რომ შრომისუნარიანობის დაკარგვა კაპიტალისტის ბრალია. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია წარსულთან შედარებით. მაგრამ — რუსეთის მთავრობას არ შეუძლია რაიმე ნაბიჯი გადადგას წინ „უმაგრამოდ“! — მაგრამ სამაგიეროდ დამჭირავებლებს ნება მიეცათ დაამტკიცონ არა მარტო თვით დაზარალებულის ბოროტი განზრახვა, არამედ აგრეთვე „მისი (დაზარალებულის) უხეში გაუფრთხილებლობა, რომელიც გამართლებული არ არის სამუშაოთა წარმოების პირობებით და ვითარებით“. ეს დამატება მნიშვნელოვანწილად ადუნებს ნ ა მ დ ვ ი ლ ი პასუხისმგებლობის დაწესებას, ხოლო,— თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ცნობილ ამბავს, რომ ჩვენი სასამართლოები მოხელეებისაგან, კარიერისტებისა და ბურჟუაზიული პედანტებისაგან შედგება, — ამან შეიძლება სრულიადაც გამოუთხაროს ძირი კანონის გამოყენებას. რას ნიშნავს „უხეში გაუფრთხილებლობა“, — ეს სრულიად გაურკვეველი და განუსაზღვრელია. რანაირი პირობები და რა ფარგლებში ამართლებენ უხეშ გაუფრთხილებლობას და რანაირი

არა, — ამის განსჯა მთლიანად მოხელეებს აქვთ მინდობილი. კაპიტალისტები მუშის ყოველგვარ „გაუფრთხილებლობას“ უხეშად და გაუმართლებლად თვლიან და ჩათვლიან, ხოლო ასეთი აზრის დასამტკიცებლად კაპიტალისტი ყოველთვის გამონახავს ათჯერ მეტ მოწმესა და „ნასწავლ“ დამცველებს (მუდმივი იურისკონსულტები სულ ერთია უკვე იღებენ ქარხნებისაგან წლიურ ხელფასს!), ვიდრე მუშები. უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ კანონში მთელი ამ პუნქტის შეტანა არის უხეში დათმობა ფაბრიკანტის ანგარებისათვის: მუშები ნებაყოფლობით კი არ მოჰყვებიან ხოლმე მანქანის ქვეშ, არამედ ყოველთვის გაუფრთხილებლობის გამო, მაგრამ საქმე ის არის, რომ არ შეიძლება ფრთხილი იყო 10 — 11 საათის განმავლობაში მუშაობისას ცუდად დაცულ მანქანებს შორის, ცუდად განათებულ სახელოსნოში, ხმაურსა და გრუხუნში, მუშაობის გამო მოდუნებული ყურადღებით, უზომო დაძაბულობისაგან აშლილი ნერვებით. საქმის ასეთი ვითარების დროს წაართვა დასახიჩრებულ მუშას საზღაური უხეში გაუფრთხილებლობისათვის — ეს ნიშნავს კიდევ საგანგებოდ დასაჯო მუშა იმისათვისაც, რომ იგი ნებას აძლევს კაპიტალისტებს უსინდისოდ უწევდნენ მას ექსპლოატაციას.

აღნიშნული პუნქტები წარმოადგენენ ახალი კანონის ძირეულ და უმთავრეს განსაზღვრებებს, რომლებიც სავსებით ასახავენ მის არსს. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ყველა კერძო საკითხზე, — აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც ყველაზე დამახასიათებელია. საზღაურის ოდენობა განისაზღვრება დაზარალებულის წლიური ხელფასის ამა თუ იმ წილით, სახელდობრ პენსია არ უნდა აღემატებოდეს დაზარალებულის წლიური ხელფასის $^{2}/_{3}$-ს (სიკვდილის ან შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის შემთხვევაში). წლიური ხელფასი კი განისაზღვრება დღიური ხელფასის (ან შავი მუშის დღიური საშუალო ქირის) საფუძველზე, რომელსაც 260-ზე ამრავლებენ. ეს დადგენილება შეიცავს კიდევ საზღაურის ოდენობის მთელ სამ შემცირებას, სამ შეღავათს მეწარმეთა ანგარებისათვის. ჯერ ერთი, თუნდაც მუშას წელიწადში

300 დღე ემუშაოს, მისი წლიური ხელფასი მცირდება 260 დღემდე, — სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ კანონი ბრძანებს, შეამცირეთო! მეორე, თუნდაც მუშას უკეთესი ხელფასი ჰქონოდა, ვიდრე შავ მუშას აქვს, სულ ერთია გამოანგარიშების საფუძვლად — ვთქვათ, მთელ წელს მოქმედ საწარმოში მუშაობისას — იღებენ მხოლოდ შავი მუშის ხელფასს. მთავრობას ძალიან უნდა ყველა მუშა ჩამოაქვეითოს შავი მუშების მდგომარეობამდე,—შეგნებული პროლეტარისათვის აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ყველა მუშისა და ყველა შავი მუშის მჭიდრო ერთიანობას შეუძლია შექმნას ძალა, რომელსაც კაპიტალის ანგარების დამსხვრევის უნარი ექნება. მესამე, შავი მუშის საშუალო დღიური ქირის ოდენობას ყოველი სამწლეულისათვის (!) განსაზღვრავენ საფაბრიკო და სამთამადნო ქარხნების საქმეთა სამსახურები, თავისთავად ცხადია, მუშების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. მუშებს ეს არ ეხებათ, ხოლო გუბერნატორებისა და ჟანდარმერიის კანცელარიებმა, უეჭველია, ჩინებულად იციან მუშათა ცხოვრება და მუშათა გასამრჯელოები.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კანონი საწარმოთა მფლობელებს ავალებს დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას მხოლოდ ისეთი უბედური შემთხვევები, რომლებსაც კანონის მოქმედება ეხება. მერედა რა შემთხვევებია ეს? როცა შრომისუნარიანობას კარგავენ სამ დღეზე მეტი ხნით. მაგრამ ვის შეუძლია უბედური შემთხვევის შ ე მ დ ე გ მ ა შ ი ნ ვ ე იცოდეს, რამდენი დღით დაკარგავს მუშა შრომისუნარიანობას? ეს წესი იმდენად უაზროა, რომ სასაცილოა, და მხოლოდ ხელჩასაჭიდს აძლევს ფაბრიკანტებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თავს გაითავისუფლებენ (და სასამართლოებიც გაათავისუფლებენ) მოვალეობისაგან—აცნობონ ხელისუფალთ თითოეული უბედური შემთხვევა. მართალია, კანონი ადგენს, რომ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს პოლიციისათვის შეტყობინება გ ა მ ო უ კ ლ ე ბ ლ ი ვ ყ ვ ე ლ ა შემთხვევაში, როცა სხეულის დაზიანება აქვს, თ უ ნ დ ა ც ა მ დ ა ზ ი ა ნ ე ბ ა ს კ ა ნ ო ნ ი ა რ ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ დ ე ს: ეს პირდაპირ არის

ნათქვამი „დაზარალებული მუშებისათვის საზღაურის მიცემის წესების“ § 20-ში, და ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევთ ყველა მუშას ყოველნაირად გაუწიონ აგიტაცია ამ პარაგრაფის მუდმივ და სავალდებულო გამოყენებას. დაე მუშები დაბეჯითებით ცდილობდნენ, რომ ყოველი დაზარალებული ყოველთვის და უთუოდ მოითხოვდეს, § 20-ის საფუძველზე, ყოველი უბედური შემთხვევის შესახებ შეატყობინონ ფაბრიკის ინსპექტორს; მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი უბედური შემთხვევების რიცხვის თუნდაც რადენადმე ზუსტი განსაზღვრა და მათი მიზეზების შესწავლა. დარწმუნებული ვართ, რომ შეგნებული მუშები გამოიყენებენ ამ უფლებას, მაგრამ უდიდეს მასას არც კი ეცოდინება, რომ ასეთი უფლება აქვთ!

უბედური შემთხვევის შესახებ პოლიციაში შეუტყობინებლობისათვის და საერთოდ ახალი კანონის წესების ყოველგვარი დარღვევისათვის საწარმოთა მფლობელთ ახდევინებენ მხოლოდ ფულადი საურავით 25-დან 100 მანეთამდე. ეს ჯარიმა, რა თქმა უნდა, სრულიად უმნიშვნელოა, სრულიად არ არის საშიში დიდი ქარხნებისათვის (სადაც დასაქმებულია ფაბრიკის მუშათა უდიდესი უმრავლესობა). ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს, რაოდენ აუცილებელია ჩვენი პროგრამის პროექტის § 14-ის განხორციელება, რომელიც მოითხოვს „დამქირავებელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის“. დაემუქრო მილიონერებს ასმანეთიანი ჯარიმით იმ კანონის გამოუყენებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია სამუდამოდ დასახიჩრებული მუშის უზრუნველყოფა, — ეს ნიშნავს აბუჩად იგდებდე მუშას.

ახალი კანონის ერთ-ერთი ყველაზე მავნე და ყველაზე იეზუიტურად შედგენილი პუნქტია 31-ე პუნქტი, რომელიც დაზარალებულ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს უფლებას აძლევს შეუთანხმდნენ საწარმოს მფლობელს მათი კუთვნილი საზღაურის სახისა და ოდენობის თაობაზე. თქმა არ უნდა, რომ ეს შეთანხმებანი, უმეტეს შემთხვევებში, იქნება სისტემატური მოტყუება და დაშინება ყველაზე განუვითარებელი მუშებისა,

რომლებმაც მტკიცედ იციან მხოლოდ ერთი რამ: რუსეთის სასამართლოების სიძვირე, საქმის გაჭიანურება და მიკერძოება. საფაბრიკო ინსპექტორები, რომლებმაც უნდა დაამოწმონ ეს შეთანხმებანი (რომლებსაც სასამართლო მორიგების თანაბარი ძალა აქვთ), ამ დროს ვის ინტერესებსაც გნებავთ დაიცავენ, ოღონდ არა მუშებისას.

ისიც არ იკმარეს, რომ საფაბრიკო ინსპექტორებს, რომლებიც ახლა სულ უფრო და უფრო ხდებიან პოლიციის უბრალო ხელქვეითები, „მომრიგებლების“ როლს ანიჭებენ. კანონს ისიც კი სურს, რომ ისინი რაღაც თავისებურ მოსამართლეებად გადააქციოს. კანონი ურჩევს მეპატრონეებსა და მუშებს მიმართონ საფაბრიკო ინსპექტორებს, რათა განუმარტონ მხარეებს მათი უფლება-მოვალეობანი, თანაც საფაბრიკო ინსპექტორებს უფლება აქვთ კიდეც შეაგროვონ „ყველა საჭირო ცნობა“, კიდეც მოითხოვონ მათი წარდგენა მხარეებისათვის, კიდეც მოიწვიონ ექიმები შემოწმებისათვის. ეს კი უკვე ნამდვილად მოსამართლეთა საქმეა, რომელსაც გუბერნატორის ხელქვეით მოხელეებს ავალებენ. ხოლმე! და ამ სასამართლოსათვის არავითარი წესრიგი, არავითარი წესი არ არის დადგენილი: როგორ შეაგროვებს ინსპექტორი ცნობებს, როგორ წარუდგენს — და წარუდგენს თუ არა — ამ ცნობებს ორივე მხარეს, როგორ გაარჩევს საქმეს, — ყოველივე ეს მთლიანად მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ეს აშკარად რეფორმამდელი პოლიციური სასამართლოს მსგავსი რაღაცაა. ხოლო თუ საფაბრიკო ურიადნიკს (როგორც მოსამართლეს) არ მიმართეთ, კანონი გარკვეული უფლების ჩამორთმევითაც კი იმუქრება: ვინც სასამართლომდე საფაბრიკო ინსპექტორს არ მიმართავს, იგი კარგავს მოპასუხისაგან სასამართლო და საქმის წარმოების ხარჯების ანაზღაურების უფლებას.

ისღა დაგვრჩენია აქაც შევახსენოთ მათ, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს არა ასეთ სასამართლოებს, არა მოხელეთა შუამავლობას, არამედ სარეწო სასამართლოების შემოღებას მუშათა და მეპატრონეთა წარმომადგენლების თანაბარი შემადგენლობით. მხოლოდ ასეთ

სასამართლოებს შეუძლიათ, სახელმწიფოს პოლიტიკურად თავისუფალი წყობილების პირობებში, მისცენ მუშათა კლასს რამდენადმე დამაკმაყოფილებელი შუამავლობა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განმარტების საქმეში, დასახიჩრებულთა საზღაურის გამო საჩივრებისა და პრეტენზიების წინასწარი განხილვის საქმეში. ასეთი სასამართლოები არსებობს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში, და რუსი მოხელენიც კი ჯერ კიდევ 40 წლის წინათ წინადადებას იძლეოდნენ შემოეღოთ ისინი რუსეთში. ორმოცი წლის წინათ დაინიშნა კომისია საფაბრიკო და საამქრო წესდებათა გადასინჯად. კომისიამ გამოსცა „შრომები“, მთელი ხუთი ტომი, კომისიამ დაწერა ახალ წესდებათა პროექტები, კომისიამ მოითხოვა სარეწოთა სასამართლოების შექმნა არჩეული წარმომადგენლებისაგან, — და... და ყოველივე ეს მაუდქვეშ ამოდეს! კეთილი სურვილების გროვით ავსებენ რუსეთის ურიცხვი კანცელარიების არქივებს და განაგრძობენ ავსებას მანამდე, სანამ მუშათა კლასი არ გადაუძახებს მთელ ამ ხარახურას.

„ისკრა“ № 47, 1903 წლის
1 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ
„ისკრის“ ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის II ყრილობის საოქმო კომისიას

ამხანაგებო! თქვენი შეკითხვის პასუხად, თანახმა ვართ თუ არა გამოვაქვეყნოთ ჩვენი სახელები II ყრილობის ოქმებში, მოგახსენებთ, რომ ჩვენი მხრივ სრულიად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ვერ ვიკისრებთ იმის გადაწყვეტას, თუ რამდენად დასაშვებია ეს კონსპირაციული მოსაზრებით რუსეთში მყოფი ჩვენი ამხანაგების ინტერესებისათვის. ამ კონსპირაციულობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია სათანადო პარტიულ ინსტანციაზე.

ჟენევა, 1903 წლის
4 ოქტომბერი

ნ. ლენინი
გ. პლეხანოვი

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
ლენინის VI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით.

რსდმ პარტიის II ყრილობის საოქმო კომისიას

ცენტრალური კომიტეტი სთხოვს ყრილობის ოქმების გამოქვეყნების კომისიას დაუყოვნებლივ გაუგზავნოს მას ყრილობის მიერ მიღებული სრული ტექსტი 1) პარტიის პროგრამისა; 2) პარტიის საორგანიზაციო წესდებისა და 3) ყრილობის ყ ვ ე ლ ა რეზოლუციისა და გადაწყვეტილებისა.

დაწერილია 1903 წლის 23 სექტემბერს (6 ოქტომბერს)

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის“ II ყრილობა[87]

1903 წლის 18—18 (26—31) ოქტომბერი

1

შენიშვნები დღის წესრიგის გამო

13 (26) ოქტომბერი

1

რა საჭიროა წინასწარ შევზღუდოთ მუშაობა წესდებით. წესდება ახალი იქნება, — მაშასადამე, შეიძლება დავტოვოთ „წესდების შემუშავება“[88].

2

ერთი საათი ჩემი მოხსენებისათვის ცოტაა. მე, რა თქმა უნდა, შემიძლია შევკვეცო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს არას არგებს კრების ინტერესებს. თავმჯდომარეს ვთხოვ ყრილობას მიმართოს და გაიგოს მისი აზრი. მომიმატებს იგი დროს, თუ უნდა შევამცირო რეფერატი?

3

ლიგამ ორი დელეგატი ამოირჩია. ამხ. მარტოვმა ხელი აიღო თავის უფლებამოსილებაზე, და ახლა კანონიერი დელეგატი მარტო მე ვარ. თუ ორატორებს დროის ყველა შეზღუდვა მოეხსნათ, ვერ გამიგია, რაღა აზრი აქვს მარტოვის წინადადებას[89]. ყრილობაზე ნამყოფი აქ ბევრია და, ვფიქრობ, ერთი კი არა, რამდენიმე კორრეფერატი გამოვა.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები". ჟენევა, 1903 წ.

იბეჭდება „ოქმების" ტექსტის მიხედვით

2

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲡᲓᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

13 (26) ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

მე, მართლაც, თვითონ ვკითხე კრებას და არავის არ გავუჩერებივარ. ვფიქრობ, უხერხული არ უნდა იყოს თავისუფლად ლაპარაკი ყველაფერზე. გიგანტური განსხვავებაა კერძო ლაპარაკსა და „ისკრის" ორგანიზაციის სხდომებს შორის. ყოველ შემთხვევაში, დაე გამოთქვას კრებამ თავისი აზრი. მანამდე, ვიდრე ლიგა საჭიროდ არ მიიჩნევს, რომ მე „ისკრის" ორგანიზაციის კერძო კრებებზე ავლაპარაკდე, მე ამას არ ვიზამ.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები". ჟენევა, 1903 წ.

იბეჭდება „ოქმების" ტექსტის მიხედვით

3

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲢᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

16 (29) ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ვაცხადებ, რომ მას შემდეგ, რაც გუშინდელმა ეგრეთ წოდებულმა მარტოვის კორრეფერატმა კამათი უღირს ნიადაგზე გადაიტანა, უსარგებლოდ და შეუძლებლად მიმაჩნია ვმონა-

წილეობდე რაიმე კამათში Tagesordnung-ის ამ პუნქტის გამო და, მაშასადამე, უარს ვამბობ ჩემს საბოლოო სიტყვაზეც, მით უმეტეს, რომ, თუ მარტოვს ვაჟკაცობა შესწევს წამოაყენოს გარკვეული და აშკარა ბრალდებანი, იგი მოვალეა გააკეთოს ეს მთელი პარტიის წინაშე იმ ბროშურაში[90], რომლის შესადგენად გუშინ ფორმალურად გამოვიძახე მარტოვი.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები". ჟენევა, 1903 წ.

იბეჭდება „ოქმების" ტექსტის მიხედვით

4

ლიგის წესდების განხილვის დროს წარმოთქმული სიტყვები

17 (30) ოქტომბერი

1

ამ მოსაზრებაში სადავო ბევრი არაფერია[91]. მე-6 პარაგრაფი გვაძლევს ორგანიზების და, მაშასადამე, ხელახლა ორგანიზების უფლებას[92], ხოლო ხელახლა ორგანიზებული ლიგა მაინც რჩება ლიგად, ერთადერთ პარტიულ ორგანიზაციად საზღვარგარეთ.

2

ამხ. მარტოვის მიერ დასმულ კითხვაზე — უნდა ამტკიცებდეს თუ არა თანამდებობის პირებს ცენტრალური კომიტეტი, მე ვუპასუხებ: ვერ ვხედავ ვერავითარ დაბრკოლებას იმისათვის, რომ ადმინისტრაციაში არჩეული პირნი ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცოს.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები". ჟენევა, 1903 წ.

იბეჭდება „ოქმების" ტექსტის მიხედვით

5

გამოსვლა ლიგის წესდების შესახებ რეზოლუციებისათვის კენჭისყრის შედეგების გამო

17 (30) ოქტომბერი

... ლენინი თავისი სახელით და იმ ამხანაგების სახელით, რომლებმაც მასთან ერთად მისცეს ხმა, აცხადებს, რომ ამხ. კონიაგინის რეზოლუციის უარყოფა და ამხ. მარტოვის რეზოლუციის მიღება პარტიის წესდების აღმაშფოთებელ დარღვევად მიაჩნია[93]. („მაინც წესდების რომელ პარაგრაფს ეწინააღმდეგება ეს კენჭისყრა?“) მე უარს ვამბობ პასუხი გავცე მსგავს შეკითხვებზე, რადგან ეს საკმარისად გაირკვა კამათის დროს. („მიჩვენეთ წესდების პარაგრაფი, რომელსაც ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ მიღებული რეზოლუცია“.) წესდების განმარტება პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა საქმეა და ამას ისინი გააკეთებენ.

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მე-2 მორიგი ყრილობის ოქმები“. ჟენევა, 1903 წ.

იბეჭდება „ოქმების“ ტექსტის მიხედვით

პარტიის საბჭოს დადგენილება

ჟენევა. 1903 წლის 1 ნოემბერი

პირი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პარტიის საბჭოს, ვალენტინოვის, ილინის, რუს, ვასილიევის, რომელსაც ხმის უფლება აქვს საბჭოს მეხუთე წევრ ეფიმოვის მაგივრადაც, შემადგენლობით, 1903 წლის 1 ნოემბერს ჟენევაში ჰქონდა სხდომა საბჭოს ორი წევრის, ილინისა და ვასილიევის, მოწვევით, და დაადგინა: სწორად იქნეს მიჩნეული ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოქმედება ლიგის ყრილობაზე[94] და მიენდოს მას ლიგის რეორგანიზაცია ახა-

ლი წევრების შეყვანის გზით. ვალენტინოვი, ილინი, ვასილიევი, ეფიმოვის მაგიერ ვასილიევი, რუ.

დაიბეჭდა 1904 წელს ბროშურაში „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარები". ჟენევა

იბეჭდება ბროშურის ტექსტთან შედარებული ხელნაწერის მიხედვით

რსდმ პარტიის საბჭო[95]

1904 წლის 15 — 17 (28 — 30) იანვარი

1

შენიშვნები დღის წესრიგის გამო

15 (28) იანვარი

ლენინი ითხოვს სიტყვას დღის წესრიგის გამო და სიტყვის მიღების შემდეგ წინადადებას იძლევა განიხილონ საკითხი იმ ზომების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ პარტიაში მშვიდობისა და ნორმალური ურთიერთობის აღდგენას პარტიის სხვადასხვაგვარად მოაზროვნე წევრებს შორის.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

2

შენიშვნები დღის წესრიგის გამო

16 (29) იანვარი

1

ლენინი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მის რეზოლუციას პირველ რიგში უყარონ კენჭი[96], რადგან არსებული წესის თანახმად თავდაპირველად კენჭი უნდა უყარონ იმ რეზოლუციას, რომელიც უფრო ადრეა შეტანილი.

2

სხდომის წესი ყოველთვის ცნობს განსაკუთრებული აზრის შეტანის უფლებას. ამხ. მარტოვმა სცადა გამოეყო ზოგადი კერძოსაგან[97]. სავსებით ვეთანხმები ამას, მაგრამ მხოლოდ რამდენადმე სხვაგვარ რედაქციას ვაძლევ მის წინადადებას.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

3

გამოსვლა პარტიაში მშვიდობის დამყარების შესახებ რეზოლუციის პროექტით

16 (29) იანვარი

ლენინი (კითხულობს თავის რეზოლუციას): „იმისათვის, რომ პარტიაში მშვიდობა და პარტიის სხვადასხვაგვარად მოაზროვნე წევრებს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს, საჭიროა პარტიის საბჭომ განმარტოს საკითხი, თუ შინაპარტიული ბრძოლის რომელი ფორმებია სწორი და დასაშვები და რომელი — არასწორი და დაუშვებელი“.

დაიბეჭდა 1904 წელს ნ. შახოვის ბროშურაში „ბრძოლა ყრილობისათვის“. ჟენევა

იბეჭდება ხელნაწერთან შედარებული ოქმის ჩანაწერის მიხედვით

4

გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ განსაკუთრებული აზრის შეტანის გამო

17 (30) იანვარი

ყველა ყრილობის პრაქტიკაში დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად ხმის მიმცემთ უფლება აქვთ შეიტანონ თავთავიანთი განსაკუთრებული აზრები. რა თქმა უნდა, ყოველგვარი განსა-

კუთრებული აზრი თავისი არსით კრიტიკაა. მაგრამ ამ გარემოებას ხომ არ შეუშლია ხელი, მაგალითად, II ყრილობაზე ბუნდის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრის მიღებისათვის, აზრისა, რომელმაც ყველაზე მკვახედ გააკრიტიკა ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი. ჩვენს განსაკუთრებულ აზრში გადმოცემულია მოტივები, რომლებიც ხსნიან, თუ რატომ გამოვდიოდით ჩვენ ამჯ. პლეხანოვის წინადადების წინააღმდეგ, და ასახულია საერთოდ ჩვენი დამოკიდებულება ამ წინადადებისადმი. ამ განსაკუთრებული აზრის წაკითხვა მით უფრო საჭიროა, რომ მას ბოლოში დართული აქვს დასაბუთებული განცხადება, რომ ჩვენი რეზოლუცია უკან მიგვაქვს.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

5

გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრის დასაცავად

17 (30) იანვარი

მე მტკიცე პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, თითქოს ჩვენს განსაკუთრებულ აზრში იყოს თუნდაც ერთი ბრალდება, მიმართული საბჭოს წინააღმდეგ. ასეთი განმარტება აბსოლუტურად უმართებულოა და ამჯ. მარტოვის ცდა წარმოადგენს ჩვენი აზრის თავისუფლების ხელყოფას; მისი რეზოლუცია ამრიგად უკანონოა[98].

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

6

შენიშვნა დღის წესრიგის გამო

17 (30) იანვარი

ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს უნდოდათ განსახილველად შემოეტანათ კიდევ რამდენიმე პატარა საკითხი, მაგრამ მე ვშუამდგომლობ ჯერ გავარჩიოთ ყრილობის მოწვევის საკითხი.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

7

17 (30) იანვარს შეტანილი რეზოლუციის პროექტი

პარტიის საბჭოს სწორად არ მიაჩნია, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქციის წარმომადგენლებმა ცენტრალური ორგანოს მდივანს გააცნეს ამხ. ვასილიევის აზრი მის შესახებ, რადგან ეს აზრი მხოლოდ საბჭოს წევრებისათვის გამოითქვა და ნაწილია პარტიის უმაღლესი დაწესებულების შიგნით გამართული თათბირებისა.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით (ვ. ი. ლენინის შესწორებებით)

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან[99]

სულით და გულით მივესალმებით „ინიციატორთა ჯგუფის“ შესანიშნავ თაოსნობას „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ბიბლიოთეკისა და არქივის“ შექმნისათვის და დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა ამ-

ხანაგს და დიდი ხნის წინათ მოსაგვარებელი ამ საქმის თანამგრძნობთ შეძლებისდაგვარად შეუწყონ ხელი ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც გაისარჯნენ ამ რთული და დიდმნიშვნელოვანი საქმის ორგანიზაციისათვის.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

1904 წლის 29 იანვარი

დაბეჭდილია 1904 წლის იანვარში („ინიციატორთა ჯგუფის" მიმართვასთან ერთად) ცალკე ფურცელში „ველას"

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

რუსეთის პროლეტარიატს[100]

ომი დაიწყო. იაპონელებმა უკვე მოასწრეს რამდენჯერმე დაემარცხებინათ რუსეთის ჯარები, და ახლა მეფის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შური იძიოს ამ დამარცხებებისათვის. გამალებით წარმოებს სამხედრო ოლქების მობილიზაცია, ათიათასობით ჯარისკაცს სასწრაფოდ გზავნიან შორეულ აღმოსავლეთში, ყოველნაირად ცდილობენ საზღვარგარეთ ახალ სესხზე გარიგებას, მოიჯარეებს დღეში რამდენიმე ათას მანეთ პრემიას აღუთქვამენ სამხედრო უწყებისათვის საჭირო სამუშაოთა დასაჩქარებლად. ხალხის მთელ ძალებს უკიდურესად ძაბავენ, რადგან სახუმარო როდია ბრძოლა 50-მილიონიან ერთან, რომელიც ჩინებულადაა შეიარაღებული, ჩინებულადაა მომზადებული საომრად, რომელიც იბრძვის, მისი აზრით, სრულიად აუცილებელი, თავისუფალი ეროვნული განვითარების პირობებისათვის. ეს იქნება დესპოტური და ჩამორჩენილი მთავრობის ბრძოლა პოლიტიკურად თავისუფალ და კულტურულად სწრაფად მზარდ ხალხთან. 1877—1878 წლების ომი სუსტ თურქეთთან, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა რუს ხალხს, სახსენებელიც კი არ არის ახლა დაწყებულ ომთან.

რის გულისათვის ებრძვიან ახლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ რუსი მუშა და გლეხი იაპონელებს? მანჯურიისა და კორეისათვის, ამ ახალი მიწისათვის, რომელიც რუსეთის მთავრობამ

დაიპყრო, „ჟელტოროსიისათვის“. რუსეთის მთავრობა დაჰპირდა ყველა სხვა სახელმწიფოს, რომ დაიცავდა ჩინეთის შეუვალობას, დაჰპირდა, რომ მანჯურიას გადასცემდა ჩინეთს არა უგვიანეს 1903 წლის 8 ოქტომბრისა და არ შეასრულა ეს დაპირება. მეფის მთავრობამ უკვე ისე შეტოპა ომის ფათერაკებისა და მეზობელი ქვეყნების ძარცვის პოლიტიკაში, რომ უკან დასახევი გზა გადაეჭრა. „ჟელტოროსიაში“ მრავალი ციხე-სიმაგრე და ნავსადგური ააშენეს, გაიყვანეს რკინიგზა, თავი მოუყარეს ათეულ ათასობით ჯარისკაცს.

მაგრამ რა სარგებლობას მოუტანს რუს ხალხს ეს ახალი მიწები, რომელთა შეძენა მას ამდენ სისხლად და მსხვერპლად დაუჯდა და კიდევ უფრო ძვირად დაუჯდება? რუს მუშას და გლეხს ომი უქადის ახალ უბედურებებს, ადამიანთა უთვალავ მსხვერპლს, აუარებელ ოჯახის გაჩანაგებას, ახალ გაჭირვებასა და გადასახადებს. რუსეთის სამხედრო უფროსობასა და მეფის მთავრობას ჰგონიათ, რომ ომი სამხედრო დიდებას მოუტანთ. რუს ვაჭარსა და მილიონერ მრეწველს ომი აუცილებელი ჰგონიათ, რათა დაიმკვიდრონ ახალი ბაზრები საქონლის გასასაღებლად, თავისუფალი გაუყინავი ზღვის ახალი ნავსადგურები რუსეთის ვაჭრობის გასავითარებლად. დამშეული გლეხკაცი და უმუშევარი მუშა შინ ვერ იყიდიან ბევრ საქონელს, გასაღება სხვის მიწა-წყალზე უნდა ეძებონ! რუსეთის ბურჟუაზიის დოვლათი შექმნილია რუსი მუშების გაღატაკებითა და გაჩანაგებით, — და აი ამ დოვლათის კიდევ უფრო გასამრავლებლად მუშები იძულებული არიან ახლა სისხლი დაანთხიონ, რათა რუსეთის ბურჟუაზიას დაუბრკოლებლად დაამორჩილებინონ და დააკაბალებინონ ჩინელი და კორეელი მუშა.

ინტერესები ხარბი ბურჟუაზიისა, ინტერესები კაპიტალისა, რომელიც მზადაა გაყიდოს და გააპარტახოს თავისი სამშობლო, ოღონდ კი მოგება ნახოს, — აი რამ გამოიწვია ეს დანაშაულებრივი ომი, რომელსაც აურაცხელი უბედურება მოაქვს მუშა ხალხისათვის. პოლიტიკა დესპოტური მთავრობისა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ყველა ადამიანურ უფლებას და დამო-

ნებული ჰყავს თავისი ხალხი, — აი რამ გამოიწვია ეს აზარტული თამაში რუსი მოქალაქეების სისხლით და დოვლათით. და გააფთრებული საომარი ყიჟინის პასუხად, ფულის ტომრის ყურმოჭრილი მონებისა და პოლიციური მათრახის ლაქიების „პატრიოტული“ მანიფესტაციების პასუხად შეგნებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა გაათკეცებული ენერგიით უნდა მოითხოვოს: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „მოიწვიეთ სახალხო დამფუძნებელი კრება!“

მეფის მთავრობამ უკვე იმდენად შეტოპა ომის ფათერაკებთან თავის აზარტულ თამაშში, რომ დიდ, ძალიან დიდ რისკზე წავიდა. წარმატების შემთხვევაშიც კი იაპონიასთან ომი ხალხის ძალების სრულ გამოფიტვას გვიქადის, გამარჯვების შედეგებს კი იოტისოდენა მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან სხვა სახელმწიფოები ისევე არ მისცემენ უფლებას რუსეთს ისარგებლოს გამარჯვების ნაყოფით, როგორც არ მისცეს ამის უფლება იაპონიას 1895 წელს[101]. დამარცხების შემთხვევაში კი ომი უწინარეს ყოვლისა გამოიწვევს მთავრობის მთელი იმ სისტემის დამხობას, რომელიც ემყარება ხალხის უმეცრებასა და უუფლებობას, ჩაგვრასა და ძალმომრეობას.

ვინც ჭარს თესავს, ჭარიშხალს მოიმკის!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტართა ძმურ ერთიანობას, რომლებიც იბრძვიან საერთაშორისო კაპიტალის უღლისაგან სრული განთავისუფლებისათვის! გაუმარჯოს იაპონიის სოციალ-დემოკრატიას, რომელიც პროტესტს აცხადებდა ომის წინააღმდეგ! ძირს უაჩაღური და სამარცხვინო მეფის თვითმპყრობელობა!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1904 წლის
3 (16) თებერვალს

დაიბეჭდა 1904 წლის თებერვალში
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

სამი კონსპექტი მოხსენებისა პარიზის კომუნის შესახებ[102]

1

პარიზის კომუნის ხსოვნისათვის

მე-19 საუკუნის უდიდესი მუშათა აჯანყების ზეიმობა. ისტორიული ნარკვევი.

1. საფრანგეთი ნაპოლეონ III-ის დროს. იმპერიალიზმი. (S. 45) — შურისგება VI. 48-ისათვის. ნაპოლეონ III.
   — საფრანგეთის ექსპროპრიაცია ავაზაკების ხროვის მიერ.

α. ბონაპარტიზმი { მუშებს ჯერ არ შეუძლიათ ბურჟუაზიას უკვე აღარ[103] }

β. მრეწველობის სწრაფი განვითარება. პლუტოკრატიის ორგიები. სპეკულაციის აყვავება. გამყიდველობა.

γ. — **მუშათა მოძრაობა** —
I. A. A.[104] 1862 ლონდონის გამოფენა[105]
— 1864 დაარსება

{ პრუდონიზმი[106] / ბლანკიზმი[107] } S. 10

2. დინასტიური ომი. ავანტიურისტთა ხროვის ხსნა — **შოვინიზმი.**
რაინის მარცხენა ნაპირი. A Berlin* (განსაკუთრებით 1866 წლის შემდეგ)[108]

19. VII. 70 გამოცხადდა ომი.
გერმანელთა განცხადებანი (ვილჰელმ I-ისა): Verteidigungskrieg**. (S. 20 სეფესიტყვაში: ომი ნაპოლეონ III-სთან, არა ფრანგ ხალხთან; იგივე 11. VIII. 70 მანიფესტში ფრანგებისადმი საზღვრის გადასვლისას.)

---

* — ბერლინისაკენ. რედ.
** — თავდაცვითი ომი. რედ.

3. მ უ შ ე ბ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ე ბ ი.

ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს 1-ლი ადრესი.

— ფრანგთა მანიფესტი 12. VII. 70 (S. 16) (და რეზოლუციები პროვინციაში 22. VII. 70) (S.16—17) ინტერნაციონალის პარიზელ წევრთა 12. VII-ის მანიფესტი
— გერმანელთა პროტესტი (კრება ჰ ე მ ნ ი ც შ ი) (S. 18)
კრება ბრაუნშვაიგში 16. VII. 70 (S.18) — ინტერნაციონალის ბერლინის სექცია.
— ინტერნაციონალის **გენერალური საბჭოს** ადრესი 1) *23. VII. 70* ომის წინააღმდეგ.

4. ო მ ი ს დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

სედანი 2. IX. 70. ნაპოლეონ III-ის ტყვეობა. Débâcle[109]. გამყიდველი რეჟიმის დამხობა.

რესპუბლიკის გამოცხადებაპარიზში 4. IX. 70 მუშების მიერ.

ძალაუფლება ხელთ იგდეს ა რ ა მ ზ ა დ ე ბ მ ა, ლუი ფილიპეს პოლიციელ-მინისტრმა **ტიერმა**, გენერალმა **ტროშიუმ**. ჟ უ ლ ფ ა ვ რ ი, ჟ უ ლ ფ ე რ ი, ე რ ნ ე ს ტ პ ი კ ა რ ი.

ძალაუფლება—საკანონმდებლო კორპუსის პარიზელ დელეგატებს

...„**ეროვნული თავდაცვის მთავრობა**“...

ეროვნული თავდაცვა=მუშების შეიარაღება=რევოლუცია. ხალხის მოლალატე მთავრობა. თავდაცვა... პ ა რ ი ზ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა გ ა ნ.

5. ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი.

გენერალური საბჭოს მე-2 ადრესი (9. IX. 70) (S. 25).

თავდაცვითი ომის გადაქცევა შეტევითად.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული

მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი პროტესტს აცხადებდა ელზას-ლოტარინგიის შემოერთების წინააღმდეგ[110]. (ბრაკესა და სხვათა დაპატიმრება.)

არ დავუშვათ, რომ პროვოკაციულად ჩაგვადენინონ „გაქანებული სისულელე“.

არ დაგვაბრმავოს 1792 წლის ეროვნულმა მოგონებებმა.

„მშვიდად და გაბედულად დ ა ვ რ ა ზ მ ო თ ჩ ვ ე ნ ი კ ლ ა ს ი“, გამოვიყენოთ პ. თავისუფლება[111].

6. პ ა რ ი ზ ი ს ა ლ ყ ა. ტ რ ო შ ი უ ს (არასოდეს!) და ჟ უ ლ ფ ა ვ რ ი ს (არც ერთი გოჯი მიწა!) კომედია[112].

პარიზის, კაპიტულაცია.

28. I. 71

7. ბ ო რ დ ო ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ა.

— იუნკერთა პალატა. რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი.

— პარიზთან ზავის კომედია. **მისწრაფება განაიარაღონ პარიზი** („რევოლუციის განიარაღება“ 4. IX. 70). კავშირი გერმანიის არმიასთან პარიზის წინააღმდეგ.

დაცვის კომედია: გიო სწერდა სიუზანს მის ერთ-ერთ პროტექჟეზე: Mont Valerien-ზე, წავიდესო იქ, სადაც ვითომ ზარბაზნებს ისვრიანო[113].

კაპიტულაციის პირობების მიხედვით (28. I. 71) (S. 34), ეროვნული კრება უნდა მოიწვიონ 8 დ ღ ე შ ი (!).

ტიერის აგიტაცია **რეაქციული** კრებისათვის, ლეგიტიმისტები etc. (450 მონარქისტი 750 წევრიდან)

შეთქმულება პარიზის წინააღმდეგ: **ტიერი ილებს ზომებს** (S. 35).

1) ეროვნული კრების ანტირესპუბლიკური დემონსტრაცია

2) ტიერის გამონათქვამთა ორჭოფულობა

თითქოს ეროვნული გვარდიის ზარბაზნები სახელმწიფოს ეკუთვნოდეს!

სიცრუეა! S. 36 — 37.

3) პარიზს საფრთხე ემუქრება (décapiter décapitaliser*)

4) რესპუბლიკური გაზეთების აკრძალვა

5) ბლანკის სიკვდილის განაჩენი

6) პარიზის გუბერნატორად დანიშნულია ვინუა, პოლიციის პრეფექტად — ვალანტენი, ეროვნული გვარდიის უფროსად — დ'ორელ დე პალადინი.

8. **ზარბაზნების წართმევის ცდა.** *18. III. 71.* (ეროვნული გვარდიისათვის). {ვინუა. / მარცხი} კომუნა.

მანიფესტი **18. III**: S. 43.

18. III. მთავრობის გაქცევა ვერსალში.

18. III. 71. ეროვნული გვარდიის **ცენტრალური კომიტეტი.**

26. III. 71. კომუნა.

(კლერიკალები, ბონაპარტისტები, ჟანდარმები.)

ბონაპარტისტი ოფიცრების ლეკონტისა და კლემან ტომას დახვრეტა ამბოხებული ჯარისკაცების საქმეა და არა კომუნისა

აპრილის დამდეგიდან პარიზის ომი ვერსალთან.

ბისმარკს ჯარებს (ტყვეებს) ევედრებიან (S. 57—58)

9. კომუნის საქმეები.

მისი მინუსები: — შეუგნებლობა (პრუდონისტები, ბლანკისტები)

— **არაორგანიზებულობა** (არ აიღეს ბანკი, არ გაილაშქრეს ვერსალზე)

* — უხელმძღვანელებოდ დატოვება და სატახტო ქალაქის წოდების ჩამორთმევა. რედ.

— ნაციონალისტური და რევოლუციური ფრაზით გატაცება.

10. მისი პლუსები:

ა) პოლიტიკური რეფორმები

α. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან (2. IV. 71). საეკლესიო ქონების ექსპროპრიაცია. ეკლესიის ყველა სახელმწიფო გადასახადის გაუქმება. უფასო სახალხო განათლება (S. 46)

β. მუდმივი ჯარის მოსპობა (30. III. 71) (S. 46)

მუშათა კლასის მთავრობა

γ. ბიუროკრატიზმის მოსპობა. **მუშების მთავრობა** (S. 49). Regierungsfähig*.

(1) ყველა მოხელის არჩევითობა და ცვლადობა (S. 46)

1. IV. 71

(2) დაბალი ჯამაგირი არა უმეტეს 6 000 frs. (S. 46).

ჰყოფნიდათ მოხელეთა წინანდელი რაოდენობის $^1/_4$: ლისაგარე, S.

δ. უცხოელთა სრულუფლებიანობა (30. III. 71) ერთი გერმანელი—კომუნის მინისტრი[114] (S. 53) პოლონელთა მონაწილეობა (დომბროვსკი, ვრუბლევსკი).

კომუნის დროშა მსოფლიო რესპუბლიკის დროშაა

ε. თემთა თვითმმართველობა.

11. ბ) ეკონომიური რეფორმები.

* — მართვის უნარის მქონე. რედ.

მუქთახორათა და მოქეიფეთა პარიზის გადაქცევა მუშების პარიზად (S. 55—56).

— ხაბაზების ღამის მუშაობის აკრძალვა (20. IV) (S. 53).
— ჯარიმების აკრძალვა (S. 53).
— კომუნამ მიიმხრო მრავალი პარიზელი წვრილი ბურჟუა, **გაჩანაგებულნი** (განვითარდეს) ნაპოლეონ III-ის მიერ (ვალების გადახდის ვადის გავრძელება) (S. 51). **კომუნა მიმართავს გლეხებს** (S. 51).
— მიტოვებული ფაბრიკების გადაცემა მუშათა ამხანაგობებისათვის 16. IV, (S. 54): ფაბრიკების სტატისტიკური **აღწერა**.

12. უკანასკნელი ბრძოლა.

— ფედერატების გმირობა (მერების არჩევნები 30. IV ეროვნული კრების წინააღმდეგ. ტიერი ბისმარკს უთმობს: 10. V ფრანკფურტში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. 21. V დაამტკიცა ეროვნულმა კრებამ).

— [illegible]ხლის კვირა 21 — 28. V. 71. (S. 62).

თოფი არ კმარა
მიტრალიეზა.

— ბალანსი 35 000 — 20 000 დახოცილია.
15 000 გადასახლებულია etc.

(რამდენიმე წელს მუშაობდნენ **სასამართლოები.**)

ცილისწამების ნიაღვარი (S. 64 — 66).

13. შედეგები და გაკვეთილები. ბურჟუაზიის შურისძიება. „ეროვნული ომიც“ კი პოლიტიკური თაღლითობა გახდა (S. 67). სამშობლოს უღალატეს (გერმანელებთან კავშირი: S. 66).

ბურჟუაზიული დემოკრატიის მერყეობა.
პროლეტარიატის დიქტატურა.
ბისმარკი 1871. Confer* *1904.*

დაწერილია 1904 წლის მარტში,
9 (22) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

1. საფრანგეთი ნაპოლეონ III-ის დროს.	ბონაპარტისტთა მთავრობა. სამრეწველო განვითარება. მუშათა მოძრაობა — {პრუდონიზმი და ბლანკიზმი} I. A. A.
2. დინასტიური ომი. (19. VII. 70)	შოვინიზმი A Berlin.
NB	რაინის მარცხენა ნაპირი. — (გერმანელთა განცხადებანი: (*Verteidigungskrieg*)
3. მუშების პროტესტები (მუშათა კლასის დამოკიდებულება)	— ფრანგების მანიფესტი. (რეზოლუციები) — გერმანელთა პროტესტი — ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ადრესი— **მუშების გაფრთხილება:** დაირაზმეთ, **პროვოკაციას ნუ აჰყვებით.**
NB	
4. ომის მსვლელობა და დასასრული.	— გამყიდველი რეჟიმის დამხობა.

* — შეუპირისპირე, შეადარე. რედ.

— პარიზის ალყა.
— რესპუბლიკის გამოცხადება *4. IX. 70.* ფრანგმა მუშებმა — მათი საქმეა — გამოიყენეს ბურჟუები.
„ეროვნული დაცვის (თავდაცვის)“ მთავრობა. (არამზადები მთავრობაში.)

5. პარიზის დაცვა. ჟიულ ფავრის (ტროშიუს) კომედია. — მისი კაპიტულაცია.
6. პროლეტარიატის განიარაღების ცდა. 18. III. 71. **კომუნა.**
7. ვერსალის მთავრობა. იუნკერთა, მემამულეთა პალატა (Ruraux, Krautjunker).
— პარიზთან „ზავის“ კომედია
— ბისმარკთან ვაჭრობა
— კავშირი გერმანიის არმიასთან პროლეტარიატის წინააღმდეგ.
8. **კომუნა**... მისი მინუსები — შეუგნებლობა (პრუდონიზმი და ბლანკიზმი)
— არაორგანიზებულობა { არ აიღეს ბანკი / არ გაილაშქრეს ვერსალზე }
— ნაციონალისტური ელემენტების გადახლართვა
9. +ა) **პოლიტიკური თავისუფლება**
— ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან
— მუდმივი ჯარის მოსპობა
— ბიუროკრატიზმის მოსპობა
— უცხოელთა სრულუფლებიანობა.
პოლონელთა მონაწილეობა
— თემების თვითმმართველობა (კომუნა).

10. ბ) **ეკონომური რეფორმები** — ხაბაზების ღამის მუშაობის აკრძალვა
— ჯარიმების აკრძალვა
— ვალების გადახდის ვადის გაგრძელება
— ცარიელი ფაბრიკების გადაცემა მუშებისათვის
— ვალდებულება (რჩენისა etc.) ქალთან ყოველგვარი ცხოვრების დროს
— ფულის (პენსიის?) მიცემა ყოველი ქვრივისათვის.

11. უკანასკნელი ბრძოლა:
ფედერატების გმირობა.
სისხლის კვირა.
ბალანსი: *35 000*
ტერორი.

12. შედეგები და გაკვეთილები:
ბურჟუაზიის შურისგება.
ბრძოლაში გაწვევა.
ბისმარკი 1871 და 1904.

დაწერილია 1904 წლის მარტში,
9 (22) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

3

I. 1. ნაპოლეონ III და მისი ბანდა.
2. საფრანგეთის შერცხვენა.
3. ნაპოლეონ III ბურჟუაზიის ბრალია.
II. 1. დინასტიური ომი გერმანიასთან.
2. ფრანგი მუშების პროტესტი (პარიზელებისა 12. VII

და ინტერნაციონალის მანიფესტი 23. VII).
3. ვილჰელმ I-ის საზეიმო დაპირება (11. VIII). მისი ტყუილი.
4. გერმანელი მუშების პროტესტი (15/IX. 70) და მათი დაპატიმრება.

III. 1. რესპუბლიკა 4. IX. 70. მოიპოვეს პარიზელმა მუშებმა.
2. ძალაუფლება ხელთ იგდეს თ ა ღ ლ ი თ ე ბ მ ა (ფავრი, ტროშიუ, ტიერი — ticket of leave men[115]).
3. „სახალხო თავდაცვითი მთავრობა" = ხალხის მოღალატე მთავრობა. ფრანგ **მუშებთან** ბრძოლა.

IV. მარქსის გაფრთხილება (ინტერნაციონალის მანიფესტი 9. IX. 70).
დიუპონის წერილები[116].

V. 1. მონათმფლობელთა და მონარქისტთა შეთქმულება პარიზის განიარაღების თაობაზე.
2. ბორდო და ეროვნული კრების გადატანა ვ ე რ ს ა ლ შ ი.
3. ვინუას, ვალანტენისა და დე პალადინის გაგზავნა პარიზში.
4. მონარქისტული სიტყვები „ტეტიების" კრებაში.

VI. სამოქალაქო ომის დაწყება ტიერის მიერ: ზარბაზნების წართმევა 18. III. 71 (ლეკონტისა და კლემან ტომას დახოცვა).

VII. 18. III. 71 კ ო მ უ ნ ა.
1. რესპუბლიკა + თვითმმართველობა.
2. **კომუნის ღონისძიებანი.**
3. {{მისი 2 შეცდომა}} (არ გაილაშქრა ვერსალზე „აიღო ბანკი)

VIII. კომუნასთან ომი: ბისმარკს ჯარისკაცებს სთხოვენ, სამარცხვინო ზავი. სისხლიანი კვირა 21 — 28. V. 71.

დახოცეს 35 000 | 20 000 | ბურჟუაზიული გაზეთების ა ნ გ ა რ ი შ ი თ. სასამართლოებმა მსჯავრი დასდეს 13 450-ს (მათ შორის 157 ქალს)[117]

(1 5½ **წელი** 18. III-ის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა გასამართლებანი!).

დაწერილია 1904 წლის მარტში, 9 (22) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1926 წლის 18 მარტს გაზეთ „პრავდის" № 63-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსდმ პარტიის საბჭო[118]

1904 წლის 31 მაისი და 5 ივნისი (18 და 18 ივნისი)

1

შენიშვნა დღის წესრიგის გამო

31 მაისი (13 ივნისი)

ლენინს წინადადება შემოაქვს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების სიას დაემატოს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ (P. P. S.) წამოაყენა იმის თაობაზე, რომ სასურველია რსდმ პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევა ორივე პარტიის ერთობლივი ბრძოლის საფუძვლებისა და პირობების განსახილველად.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

2

სიტყვები პარტიათაშორისი კონფერენციის შესახებ[119]

31 მაისი (13 ივნისი)

1

ვუერთდები წინადადებას მოვიწვიოთ ლატვიის ორივე ორგანიზაცია[120]. რაც შეეხება სომხეთის ფედერალისტურ ორგანიზაციას[121], იმ მითითებათა შემდეგ, რომლებიც ამხ. მარტოვმა მოგვცა სოციალისტ-რევოლუციონერებთან ამ ორგანიზაციის სიახლოვის თაობაზე, კონფერენციაზე მისი მოწვევის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია. შემდეგ, მე არ მესმის ამხ. პლეხანოვის წინადადების არსი, დაბეჯითებით რომ მოითხოვს დაუყოვნებლივ გავცეთ პასუხი ფინელებს.

2

ჩემი აზრით, ზედმეტი იქნებოდა ერთხმივობის მოთხოვნა პრინციპული ხასიათის საკითხების გადაწყვეტისას[122]. ვერ წარ-

მომიდგენია, რომ სოციალ-დემოკრატებისაგან ვინმე დარჩეს, თუ კონფერენცია რაიმე საოცარ გადაწყვეტილებას მიიღებს.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

3

სიტყვები რსდმ პარტიის წარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე

31 მაისი (13 ივნისი)

1

გთხოვთ ამიხსნათ, განა უხერხული არ არის დელეგატების გაგზავნა საბჭოსაგანაც და ცალკეული ორგანიზაციებისაგანაც. არის თუ არა ანალოგიური მაგალითები სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან წინა კონგრესებზე? მე მგონია, წარმომადგენლობის ასეთი ხერხი როგორც პრინციპული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით (ფინანსური, ტექნიკური თვალსაზრისით და ა. შ.) გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ხომ არ აჯობებდა, რომ საბჭო იქ წარმომადგენლად ყოფილიყო in corpore*? ვერ წარმომიდგენია, რომ შეძლონ ჩვენი მაიორიზირება. ხმას ხომ ვერ ჩამოართმევენ ჩვენს პარტიას!

2

რაკი ამხ. პლეხანოვი ამბობს, რომ კონგრესზე პარტიის ცალკე წარმომადგენლობას ვერ მივაღწევთ, ხოლო კონგრესზე ბევრი დელეგატის გაგზავნა ძალიან ძვირი დაგვიჯდება, თანაც ამ მხრივ ბუნდელებს სულ ერთია ვერ გავეჯიბრებით, უფრო კეთილშობილური იქნება, რომ კონგრესზე პარტიის წარმომადგენელი მარტო საბჭო იყოს.

3

გარდა ამისა, ძალიან საეჭვოა მოვასწროთ დაკავშირება ყველა ორგანიზაციასთან მანდატების მისაღებად[123]. ამის გამო ჩე-

* — სრული შემადგენლობით. რ ე დ.

მი წინადადებაა, რომ საბჭომ, ცალკეულ ორგანიზაციებთან დაუკავშირებლად, შეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული მათგანის წარმომადგენლობა...

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

4

შენიშვნა „ჰნჩაკისტთა“[124] გაზეთისადმი კონტროლის საჭიროების შესახებ

31 მაისი (13 ივნისი)

ლენინი უერთდება ამხ. მარტოვის წინადადებას და შენიშნავს, რომ „ჰნჩაკისტთა“ გაზეთის ხელმძღვანელობისადმი, რომელიც ყოველთვის არ იყო სოციალ-დემოკრატიული, საჭიროა კონტროლი.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

5

გამოსვლა შესწორებით მარტოვის რეზოლუციის გამო ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტის იმ უფლების შესახებ, რომ გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენლები პარტიის საბჭოდან

5 (18) ივნისი

ამხ. მარტოვმა შენიშნა, რომ იგი თავის წინადადებას აყენებს კონკრეტული შემთხვევებისაგან დამოუკიდებლად და მხოლოდ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად მომავალში. ამიტომ მეც არავითარ კონკრეტულ შემთხვევას არ შევეხები, და თუ ეს რეზოლუცია გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული წესის დასადგენად მომავლისათვის, მის წინააღმდეგ არ ვიდავებ. იქნებ ჯობდა შეგვეკვეცა იგი და დაგვე-

ყვანა კოლეგიის უფლებამდე — გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები, ხოლო ფრაზა, რომ ყრილობის წინაშე პასუხს არ აგებს, ამოგველო.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

6

სიტყვა კომინტერნში კოოპტაციისა და ცენტრალური კომიტეტის იმ უფლების შესახებ, რომ შეიყვანოს ამ კომიტეტებში ახალი წევრები

5 (18) ივნისი

ფაქტი, რომელიც მარტოვმა მოიყვანა, ჩემთვის სრულიად ახალია[125]. ჩვენ გვაქვს საკმაოდ გარკვეული მითითებანი იმაზე, რომ მოსკოვის კომიტეტის უმცირესობა გვთავაზობდა ერთი თავისი კანდიდატის კოოპტაციას, თუმცა ამ საკითხს არ უკავშირებდა ფრაქციულ განსხვავებებს. შემდეგ, არსებითად რომ ვთქვა, უფრო სწორად და წესდების სულისკვეთების უფრო შესაბამისად მიმაჩნია ყოველგვარი წილადი ერთეულად ჩავთვალოთ; მიუხედავად ამისა, ეს საკითხი იმდენად უმნიშვნელოა, რომ თანახმა ვარ ხმა მივცე ამხ. მარტოვის რეზოლუციას.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

7

სიტყვები რსდმ პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხის გადაწყვეტისას ხმის მიცემის წესის შესახებ

5 (18) ივნისი

1

ლ ე ნ ი ნ ი უერთდება გლებოვის აზრს ტვერისა და რიგის კომიტეტების[126] ხმების უკანონო ძალის თაობაზე და წინადადებას იძლევა ცნონ ორგანიზაციების არსებობა არა იმ

მომენტიდან, როცა მათ პროკლამაციები გამოსცეს, არამედ იმ მომენტიდან, როცა ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ისინი. გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ მარტოვის რეზოლუციიდან უნდა ამოიღონ ყრილობის მომენტის დამოწმება. რამდენი ხმით იქნებიან წარმოდგენილი კავშირები ყრილობაზე, განისაზღვრება მათი წესდებებით. მათი წესდებების დამტკიცებამდე კი უნდა დარჩეს ისე, როგორც მეორე ყრილობაზე იყო. მაგალითად, კავკასიის კავშირს[127] უნდა მიეცეს ექვსი ხმა.

2

არსებითად, მე და ამხ. მარტოვი ერთ აზრს ვადგავართ ყრილობის გამო კენჭისყრის დროს 9 კომიტეტის უფლების შესახებ. ბაქოს კომიტეტს, ჩემი აზრით, ცალკე ხმა არ უნდა მიეცეს, ვინაიდან იგი კავკასიის კავშირში შედის. საჭიროა შევკრიბოთ ცნობები ხუთიეე კავშირის თაობაზე და მერე მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილებანი.

3

მე, არსებითად, არაფერი მექნებოდა ამხ. მარტოვის წინადადების საწინააღმდეგო, მაგრამ ეს ფორმალურად სწორი არ იქნება[128]. ყრილობას ისინი არ დაუმტკიცებია და, მაშასადამე, მათ მიმართ უნდა გამოვიყენოთ ის წესი, რომ ხმის მიცემა ყრილობის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ შეეძლებათ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. ამის შესახებ მით უფრო არ ღირს ლაპარაკი, რომ ეს წელი თითქმის უკვე გავიდა. რაც შეეხება კავკასიის კავშირს, აქ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს: ჩვენ მას სამუდამოდ მოვიმდურებდით, წინანდელი ექვსი ხმის ნაცვლად სულ ორი ხმა რომ მიგვეცა. გარდა ამისა, მე მგონია, რომ, როცა ამხ. მარტოვმა შემოგვთავაზა კავშირები კომიტეტებისათვის გაგვეთანაბრებინა, ერთმანეთში აურია წესდების § 3-ის ორი პუნქტი (ე და ვ). ამრიგად, წინადადება შემომაქვს კავკასიის კავშირის საკითხი გადავდოთ და ცნობები შევკრიბოთ ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით.

4

ვუერთდები ამხ. მარტოვის აზრს კავკასიის კავშირის თაობაზე[129]. შემდეგ გვაქვს კიდევ ერთი იურიდიული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დავითვალოთ საბჭოს ხმები ყრილობის მოწვევისათვის საჭირო ხმების საერთო შეჯამების დროს. ჩემი აზრით, სწორი იქნება ორი განმარტება: ან ორგანიზაციების საჭირო რიცხვის განსაზღვრისას ყველა ორგანიზაციის ხმების საერთო ჯამში არ ჩავთვალოთ საბჭოს ხუთი ხმა და შემდეგ დავთვალოთ საბჭოს ხმები თითოეულისა ცალ-ცალკე, ან უბრალოდ ავიღოთ ორგანიზაციათა არსებული რაოდენობის ნახევარი, საბჭოს გამოკლებით, და მივიჩნიოთ ორგანიზაციების ეს ნახევარი მოცემული შემთხვევისათვის საჭირო ნორმად. ვფიქრობ, ყველაზე სწორი იქნება, თუ საბჭოს ხმები თითოეული ცალ-ცალკე დაითვლება.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

8

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲒᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲝᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

5 (18) ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

1

სრულიად არ ვეთანხმები ამხ. მარტოვს. სასურველია საბჭოს ყველა სხდომისათვის შემოგვეღო ის წესი, რომელიც მიღებული იყო წინა სხდომის ოქმების თაობაზე[130]. არა მგონია, კონსპირაციის პირობებმა ხელი შეუშალოს ასეთ გამოქვეყნებას, პარტიის წევრებისათვის კი ფრიად საჭიროა იცოდნენ, რა ხდება უმაღლეს პარტიულ დაწესებულებაში, რა აზრს ადგას იქ ორივე მხარე.

2

ძალზე მაკვირვებს, რომ ამხ. გლებოვმა საკითხი აღძრა გასულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და ახ-

ლა წინადადებას იძლევა ხელახლა გადავწყვიტოთ იგი. ჩემი აზრით, ასეთი ხელახალი გადაწყვეტა ფორმალურადაც და მორალურადაც შეუწყნარებელია.

3

აქამდე ცენტრალურ კომიტეტს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია მათი გამოქვეყნების შესახებ, და მე ვიცავ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის უ ფ ლ ე ბ ა ს მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს[131].

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1930 წელს ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

განცხადება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლების რწმუნებათა გადაცემის შესახებ

Brunnen, den 28 Juli 1904.

ჟენევიდან ჩემი გამგზავრების გამო და ამხ. გლებოვის მოულოდნელად გამგზავრების გამო, ჩემი აზრით, თავისთავად იგულისხმება, რომ ცენტრალური კომიტეტის ორივე საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უკლებლივ ყველა საქმეს განაგებს მისი აგენტების კომისია, ე. ი. ამხანაგები ოლინი, ბონჩ-ბრუევიჩი და ლიადოვი.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი
წარმომადგენელი ნ. ლ ე ნ ი ნ

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 8

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

უმრავლესობის ჟენევის ჯგუფის რეზოლუციის პროექტი

უერთდება რა საერთოდ და მთლიანად რიგის დეკლარაციას[132], როგორც II ყრილობის პარტიული უმრავლესობის

შეხედულებათა და პოლიტიკის სავსებით სწორ პრინციპულ გამოხატულებას, კრებას საჭიროდ მიაჩნია გარკვეულ პოზიციას დაადგეს ცენტრალური კომიტეტის ახალი ნაბიჯის მიმართ.

კრება გამოთქვამს თავის ღრმა რწმენას, რომ ცენტრალური კომიტეტის დეკლარაცია[133] (იხ. „ისკრის“ № 72[134]) წარმოადგენს წრეობანას ახალ გამარჯვებას პარტიულობაზე, მთლიანად პარტიის ინტერესების ახალ ღალატს, ახალ ცდას გარყვნან პარტია პირფერობის დამკვიდრებით პარტიულ ურთიერთობაში. კრება გმობს პარტიის ანგარიშვალდებული ორგანოს გამოსვლას პარტიული ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ, ყრილობის სასარგებლოდ ყოველგვარი აგიტაციის მავნედ გამოცხადებას, როგორც არნახულ და გაუგონარ სამარცხვინო მოვლენას ყოველი მუშათა პარტიისათვის, რომელიც პატივს სცემს თავის თავს. მიიღო შენი რწმუნებანი პარტიის ყრილობაზე პარტიული უმრავლესობისაგან და გამოაცხადო ჯგუფობრივ პოლიტიკად ამ უმრავლესობის პოლიტიკა; ილაპარაკო ორი მებრძოლი მხარის შერიგებაზე და კერძო ფარული გარიგებანი დადო ერთი მხარის თვითმარქვია საზღვარგარეთელ წარმომადგენლებთან; თვალთმაქცურად აქო და ადიდო შენი გუშინდელი მოწინააღმდეგეების პოზიციის „სიმაღლე“ და დაიწყო შერიგება ცენტრალური კომიტეტის იმ წევრებისა და აგენტების მირეკვ-მორეკვით, რომლებიც ბედავენ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ყრილობისათვის აგიტაცია; — ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი ახალი პოლიტიკით გადაწყვიტა, ცენტრალურ ორგანოსთან ერთად, აბუჩად აიგდოს პარტია, როგორც არარაობა. კრება ენერგიულად გმობს ამ ბონაპარტიზმის პოლიტიკას, მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს გაბედულად იბრძოლონ უზურპაციისა და თვალთმაქცობის წინააღმდეგ, მოითხოვს მთლიანად გამოქვეყნდეს საბჭოს ოქმები და მთელი არაკონსპირაციული მონაცემები ცენტრალურ დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ.

კრება მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს, ვინც უმრავლესობის პრინციპულ შეხედულებებს იზიარებს, მხარი დაუჭი-

რონ ამხ. ბონჩ-ბრუევიჩის მიერ დაარსებულ გამომცემლობას[135] და ენერგიულად გაუწყრონ აგიტაცია III ყრილობის მოწვევას.

დაწერილია 1904 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბრის) შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 9

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გეგმები სტატიისა „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“[136]

1

გლეხობა და სოციალ-დემოკრატია

მარქსიზმის თეორია და სოციალ-დემოკრატიის პროგრამა

1. აგრარული საკითხი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიაში. დავიდი etc.
2. „ „ რუსეთში: ძველი ნაროდნიკებიც, ლიბერალებიცა და სოციალისტ-რევოლუციონერებიც. პრაქტიკული მნიშვნელობა რეფორმების დროს.

3. **მსხვილი და წვრილი წარმოება.**
   Auhagen
   Klawki
   etc. დასკვნები მუშის ყოლის, პირუტყვისა და მიწის მოვლა-პატრონობის შესახებ.

დანია (დავიდი).

4. კოოპერაცია: დავიდი etc. ფრანგი რეაქციონერები:
   როკინი
   ჰოლცი
   ბუხენბერგერი.

5. რუსეთის თავისებურებანი.
გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად მემამულეთა წინააღმდეგ. ქალაქის პროლეტარიატთან ერთად გლეხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.
6. გლეხებს შორის სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის მნიშვნელობა, განსაკუთრებით პოლიტიკური გამოცოცხლების ეპოქაში. გლეხთა თვითშეგნების, დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული აზრის განვითარება.

2

1. მარქსიზმის თეორია (α) გლეხობის მდგომარეობის, ევოლუციისა და როლის შესახებ — და (β) სოციალ-დემოკრატიის პროგრამა. მჭიდროდ არიან დაკავშირებული.
2. გლეხთა საკითხის აქტუალობა. სოციალ-დემოკრატიული პარტიების აგრარული პროგრამები: საფრანგეთისა (წვრილბურჟუაზიული ხასიათი. ენგელსის კრიტიკა[137]), გერმანიისა (1895. ბრესლავლი, ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა), რ უ ს ე თ ი ს ა... (კრიტიკოსები. „**დავიდი.**“). (ბულგაკოვი)...
3. რ უ ს ე თ ი ს სოციალ-დემოკრატთა აგრარული პროგრამა განსაკუთრებით განასხვავებს მათ ნ ა რ ო დ ნ ი კ ე ბ ი ს ა და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს ა გ ან.
4. მარქსიზმის თეორიის საფუძვლები გლეხობის შესახებ (შდრ. „კაპიტალიზმის განვითარება“ * მარქსის ციტატები). (1) მსხვილი წარმოების როლი; (2) გლეხობის წვრილბურჟუაზიულობა; (3) მისი წარსული (—) და მომავალი (+).. დაემატოს კ. კაუცკი. „სოციალური რევოლუცია“.
5. მსხვილი და წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში...

Stumpfe. **სუშონი.**

M. S. **-დან: *Hecht*, Auhagen, Klawki, Baden, გერმანული სტატისტიკა...

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3. რ ე დ.
** — Manuscript-იდან — ხელნაწერიდან. რ ე დ.

6. დასკვნა: მუშის ყოლის, პირუტყვისა და მიწის მოვლა-პატრონობის დიდი მნიშვნელობა.
7. დაემატოს: Huschke, Haggard, Baudrillart, Lecouteux, პრუსიის ანკეტა, ბავარიისა და ჰესენის ანკეტები, Hubach.
8. დავალიანება. პრუსიული სტატისტიკა.
9. კოოპერაციები. საკითხის ზოგადი დაყენება.
   როკინი, ჰოლცი, ბუხენბერგერი, Haggard.
   სტატისტიკური მონაცემები: გერმანიისა და რუსეთისა (საზოგადოებრივი იჯარა). **დანია.**
10. დასკვნები დასავლეთის შესახებ.
11. რუსეთის თავისებურებანი... 2 ფლანგზე.
    გლეხური ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი.
    ბატონყმობის ნაშთები და ბურჟუაზიასთან ბრძოლა.
12. გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად
    მემამულეების წინააღმდეგ etc.
    ქალაქის პროლეტარიატთან ერთად
    ბურჟუაზიის წინააღმდეგ
    | დავუკავშიროთ ჩამონაჭრებს.
13. აგრარული საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა მოსალოდნელ ახლო მომავალში:
    კლასობრივ დაპირისპირებათა გამოაშკარავება სოფლად. დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია და პროპაგანდა.

დაწერილია არა უადრეს
1904 წლის სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს
ლენინის XXXII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა პროპაგანდისტული საუბრისა კრიზისების შესახებ[138]

1. რა არის კრიზისი? — მრეწველობის გაჩერება, უმუშევრობა, გასაღების შეფერხება, ჭარბწარმოება.

1. α) რა არის მრეწველობის კრიზისი?
   β) ფაბრიკების გაჩერება, გასაღების შეფერხება, გაკოტრება, უმუშევრობა.
   γ) ჭარბწარმოება...

2. *Overproduktion*, **underconsumption***.
   (განვითარდეს წინააღმდეგობა.)

2. α) Overproduktion და underconsumption.

3. როგორ ხდება ეს? (α) თანამედროვე საზოგადოების დაყოფა 2 კლასად, ბურჟუაზიად და **პროლეტარიატად.** β) წარმოება ბაზრისათვის.

4. კონკურენცია, მისი საერთაშორისო ხასიათი, ბაზრის გამოდევნება, წარმოების გიგანტური ზრდა.

5. ცოცხალ შრომაზე მოთხოვნილების შემცირება: **ინტენსიფიკაცია, მანქანები,** ქალები **და ბავშვები, კვალიფიციური** და შავი მუშები.

5 bis: **მიწოდება იზრდება, გასაღება შეზღუდულია.**

6. პერიოდული კრიზისები, მათი რეგულარობა, მათი გარდაუვალობა კაპიტალიზმის დროს. (თავის მოტყუება აყვავების დროს.)

8. 7.** **სარეზერვო არმია.** უმუშევრობის უბედურებანი. **მონობა: ცხოვრების უფლება მხოლოდ** მოგების **შექმნის პირობით.**

(ლატაკი მოხუცების %): [1/3—1/2]...

7. 8. კრიზისის გავლენა მუშებსა და **წვრილ მეპატრონეებზე.** გაკოტრება, სიღატაკე: სოციალისტური შეგნების გამოღვიძება... უმუშევართა მიტინგი 1889 წელს ინგლისში[139].

---

* — **ჭარბწარმოება, არასრული მოხმარება.** რედ.

** მოგვიანებით მე-7 პუნქტი მერვედ გადაკეთდა, მერვე კი მეშვიდედ. რედ.

9. კრიზისი და კაპიტალიზმი. კრიზისი და მსხვილი წარმოების განვითარება — ტრესტები etc. სოციალიზმის ამოცანები. სოციალისტური რევოლუცია: სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები.

მსხვილი წარმოების მაგალითები:
მ ო რ ო ზ ო ვ ი:
ო რ თ ქ ლ ი ს წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი:
რ კ ი ნ ა და ფ ო ლ ა დ ი:

დაწერილია 1904 წლის შემოდგომაზე

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი კპსს“ № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გეგმა სამი საუბრისა სოციალ-დემოკრატიული პროგრამის შესახებ

α) თანამედროვე წყობილება.
β) სოციალისტური მიზნები და კლასობრივი ბრძოლა.
γ) ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

2—3-საათიანი | სამ საუბრად გაიყოს α — γ

1-ლი საუბრის გეგმა

სოციალ-დემოკრატიული პროგრამის შესახებ

. მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს მუშების ბრძოლა მეპატრონეებთან თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გაფიცვები — სოციალიზმი. რაშია საქმე?
. თანამედროვე საზოგადოება მოწყობილია ასე: იყოფა მშრომელებად და ექსპლოატატორებად. 2 კლასი. მესაკუთრენი და პროლეტარები. ვინ ვის არჩენს?
. მუშათა მძიმე ხვედრი: მცირე ხელფასი. შიმშილობა. უმუშევრობა. ქალის შრომა. ბავშვის შრომა. „ერის გადაგვარება“. პროსტიტუცია. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩაგვრა.

4. მუშების გაერთიანება მსხვილ წარმოებაში მეპატრონეებთან საბრძოლველად. მთელი საზოგადოება სულ უფრო მჭიდროდ ერთიანდება კაპიტალიზმის დროს და შესაძლებელს ხდის სოციალისტურ წარმოებაზე გადასვლას. მსხვილ ფაბრიკებსა და მამულებში მეპატრონეთა უმაქნისობის მაგალითი.

β 5. სოციალისტური რევოლუცია = მიწის, ფაბრიკების გადასვლას მუშების ხელში. სოციალისტური წარმოება, სამუშაო დღის შემცირება etc.

6. მოვთხოვოთ თანამედროვე საზოგადოებას შეუმსუბუქოს მუშებს ბრძოლა, დაიცვას ისინი გადაგვარებისაგან: მუშათა რეფორმები, 8-საათიანი სამუშაო დღე, ყოველკვირეული ანაზღაურება, ბინები, სამედიცინო დახმარება, სკოლები etc.

γ 7. პოლიტიკური მოთხოვნები. რა არის თვითმპყრობელობა? ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის. (კონსტიტუცია — რესპუბლიკა, სიტყვის, შეკრებების თავისუფლება etc. etc.)

8. რევოლუციური პარტიები და მათი როლი მუშათა კლასის ბრძოლაში. „ნაროდნაია ვოლია" და **სოციალ-დემოკრატია**.

დაწერილია 1904 წლის შემოდგომაზე
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

„ვპერიოდის" რედაქციის შენიშვნა პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილის გამო[140]

წერილი პეტერბურგიდან (გვ. *1—6**)

რედაქციისაგან. დასკვნა, რომელიც პეტერბურგელ ამხანაგს გამოაქვს, სავსებით ეთანხმება ჩვენს დასკვნას სტატიაში: „დროა გავათაოთ" („ვპერიოდი" № 1**). მეწმე-

* „გვ. 1 — 6" — წერილის გვერდები. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 24 — 29. რედ.

ვიკებმა სავსებით დაამტკიცეს, რომ სრულიად არ სურთ ერთად მუშაობა, უმრავლესობისადმი დამორჩილება და ახლა, როცა, მეორე ყრილობის მიერ შექმნილ დაწესებულებათა დეზორგანიზაციის შემდეგ, მათ მესამე ყრილობა ჩაშალეს, პარტიას არა აქვს ბრძოლის სხვა საშუალებანი, გარდა გათიშვისა. რაც უფრო მალე მოხდება და სრული იქნება ეს გათიშვა დეზორგანიზატორებთან, მით*.

რედაქციისაგან. პეტერბურგელი ამხანაგის დასკვნები სავსებით ადასტურებენ ჩვენი დასკვნის სისწორეს („ვპერიოდ“ № 1, „დროა გავათაოთ“). უმრავლესობის ყველა კომიტეტსა და ორგანიზაციას ვურჩევთ, რაც შეიძლება მალე და გადაჭრით ჩამოიშორონ დეზორგანიზატორები, რათა ხელი მოჰკიდონ საქმეს და გაათაონ კინკლაობა.

დაწერილია 1904 წლის 22 დეკემბრის
(1905 წლის 4 იანვრის) შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი თეზისებისა სტატიისათვის „როგორ იცავენ ისინი თავს?“[141]

როგორ იცავენ ისინი თავს?

1) ორი პასუხი ლენინის ბროშურაზე „საერობო კამპანია და „ისკრის“ გეგმა“ ** — რედაქციისა და პლეხანოვისა. ეს დარაღაც უცნაურია (პლეხანოვი რედაქციაში ირიცხება), მაგრამ უაღრესად საინტერესოა განსხვავება ამ პასუხებს შორის.

პლეხანოვი მცდარ პოზიციას უაღრესად ფრთხილად და ჭკვიანურად იცავს, რედაქცია — უჭკუოდ.

პლეხანოვი კრინტსაც არა ძრავს 1) არც სტაროვერის რეზოლუციასა და მის კავშირზე „ისკრის“ „გეგმასთან“, 2) არც „მობილიზაციის უმაღლეს ტიპზე“. Ergo***,

* აქ ხელნაწერი წყდება. ვ. ი. ლენინი წაუშლია ტექსტი. რედ.
** იხ. თხზულებანი, ტ.4 გამოც. ტომი 7, გვ. 621 — 643. რედ.
*** — მაშასადამე. რედ.

პლეხანოვი სწორედ რომ გვერდს უვლის „ისკრის“ შეცდომის არსს (შეცდომის დასაწყისი — მისი ამოსავალი პუნქტი არის სტაროვერის რეზოლუცია, დასკვნითი პუნქტი — მსჯელობა „უმაღლეს“ ტიპზე).

რედაქცია სწორედ ხაზს უსვამს თავისი პოზიციის კავშირს სტაროვერის რეზოლუციასთან და იცავს აზრს „უმაღლეს ტიპზე“.

რედაქციაც და პლეხანოვიც ძალიან სუსტად იცავენ (აშკარად უკან-უკან იხევენ) ფრაზებს პანიკის შესახებ.

პლეხანოვი სულ ძველი და ახალი ლენინის წინააღმდეგობებს უტრიალებს[142] და ამტკიცებს, „ისკრის“ რედაქცია ძველი ლენინის თანახმად მოქმედებდაო.

პლეხანოვი საქმეს ისე სახავს, თითქოს ლენინი ახლა წინააღმდეგი იყოს „ერობელთა“ წინაშე დემონსტრაციებისა და მათთვის „მოქმედების დადებითი პროგრამის“ კარნახისა. ეს სისულელეა, თაღლითობაა.

როგორი იყო ჩემი თეზისები „ისკრის“ წინააღმდეგ?

1) უადგილო და უხამსია ფრაზები პანიკის შესახებ.

პასუხი? ტამბოველები პლეხანოვთან (ხა-ხა-!)[143] — რედაქცია თითქმის
ანარქისტები „ (სად?) — იძარცვება:
„ობსტრუქცია“ რედაქციასთან — „ზედმეტია“

2) ლიბერალებთან „შეთანხმებანი“ უნდა განისაზღვრებოდეს ბრძოლის ფაქტობრივი ერთობლიობით და არა „დაპირებებით“

*Nil** — პლეხანოვი

3) სტაროვერის პირობები უკუგდებულია. (რედაქცია არქსუსტად იცავს თავს, არსებითად ცნობს მას.)

4) „ახალი ტიპი“. რედაქცია — schwach**. პლეხანოვი — *nil* აჯანყების საკითხზე იხ. „ისკრა“ № 62. Leading***.

---

* — *Nihil* — არაფერი. რედ.

** — ცუდად. რედ.

*** — მოწინავე. რედ.

„წმინდა წყლის უტოპიური შეხედულებანი“
აჯანყების მომზადებაზე.
„იწყებენ თავიანთი თავის გამომჟღავნებას“...

დაწერილია 1904 წლის 23 დეკემბერს
და 1905 წლის 11 იანვარს
(10 და 24 იანვარს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ჟენევაში რსდმ პარტიის ბიბლიოთეკის დაფუძნებელ ინიციატორთა ჯგუფის განცხადება

ინიციატორთა ჯგუფმა, რომელმაც ჟენევაში რსდმ პარტიის ბიბლიოთეკა დააარსა, ერთხმად დაადგინა გადაეცეს ბიბლიოთეკა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს[144] ბიბლიოთეკის საქმეების საერთო გამგებლობისათვის მანამდე, ვიდრე III პარტიული ყრილობა მიიღებდეს გადაწყვეტილებას მის თაობაზე.

დაწერილია 1904 წლის დეკემბრის
დამლევს — 1905 წლის იანვრის
დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

1905—1910 წლები

გეგმა სტატიისა „1895 და 1905 (პატარა პარალელი)“[145]

1895 და 1905

(პატარა პარალელი)

აქ eigentlich* ორი თემაა:

1) მუშაობის ზრდის პარალელი; 2) თანამედროვე ორგანიზაციული ამოცანები. უნდა გავყოთ ისინი ო რ პატარა სტატიად.

1. შევადაროთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაჭანება, ზომა და ფორმები მაშინ და ახლა.
2. გაჭანება: მაშინ იყო მხოლოდ წრეები. ძლივძლივობით პ ი რ ვ ე ლ ა დ დაიწყეს მასობრივი აგიტაცია. ეწევიან უაღრესად მოუქნელ, მასწავლებლურ პროპაგანდას. სოციალ-დემოკრატები გზას იკვალავენ ნაროდოვოლცელთა და ნაროდოპრავცელთა შორის[146] etc.
3. ახლა. პარტია. ჩვეულებრივი მასობრივი აგიტაცია. აშკარა, ქუჩის პოლიტიკური გამოსვლა. რევოლუციური ეპოქა.
4. ფორმები. 10 — 16 კაცი (კომიტეტი). მუშათა 20 — 30 წრე. maximum 100 — 150 კავშირი. „კითხვები“. თ ვ ი თ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა — ღერძი.
5. ახლა. ბევრი „სართულით“ გაიზარდა ორგანიზაცია. სანკტ-პეტერბურგი და ოდესა | კომიტეტი — რაიონები — ორ-

---

* — საკუთრივ. რ ე დ.

განიზატორული შეკრებები (ცენტრალური წრეები) — ჯგუფები, შემდეგ კი „ცენტრი“ და ბიურო. ხუთიოდე ახალი სართულები.

6. „წერილი ამხანაგს“ * დაწერილია მაშინ, როცა ახალ სართულებს მართავდნენ და „ეკონომისტები“ აფერხებდნენ მათს ზრდას. ახლა ფაქტობრივად განხორციელებულია იდეები, რომლებსაც ვიცავდით „წერილში ამხანაგს“.
7. ახალი ამოცანები: γ) სართულების სიმრავლემ აღზარდა პარტიულ მუშაკთა, პარტიის წევრთა ახალი ფენა. გავაფორმოთ მათი მონაწილეობა. (1) ინფორმირება — რეზოლუციები — გამოკითხვები — პირდაპირი კავშირი ცენტრალურ ორგანოსთან. (2) არჩევითი საწყისი? (3) კოოპტაციისათვის კანდიდატების დასახელება თუ არჩევა?
8. მეორე, შესაძლოა კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი, ამოცანა: ახალი ჰორიზონტალური სართულების დაშრევებისათვის მუშაობაში დამატებით გამოვიყენოთ ზემოქმედების ახალი, ასე ვთქვათ, „ვერტიკალური“ საშუალებები. ესე იგი: მოძრაობის ზრდა საჭიროდ და შესაძლებლად ხდის ეს მიმდინარე მუშაობა სართულებად შევავსოთ ზემო სართულების მიმართვით მასებისადმი მასობრივი კრებების ახალი ფორმებით. „სახელდახელო კრებებსა“ და „პატარა მიტინგებს“, როგორც მრავალ „სართულად“ მუშაობის ბუნებრივ პროდუქტს, თავისთავად მივყავართ იმ უმაღლეს ფორმამდე, რომელიც ჰარბობს საზღვარგარეთ და გაიმარჯვებს ჩვენში **le lendemain de la révolution****, სახელდობრ: „პატარა მიტინგებამდე“ როგორც პროლეტარიატზე პოლიტიკური ზემოქმედებისა და მისი სოციალ-დემოკრატიული აღზრდის მთავარ საშუალებამდე.
9. რა თქმა უნდა, „სართულები“ ამისთვის ნაკლებ საჭი-

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 281–309.
** — რევოლუციის მეორე დღეს. რედ.

რო რო დი ა. ისინი (ყოველთვის?) საჭირო იქნებიან. „შევავსოთ“ და არა „შევცვალოთ“...

დაწერილია 1905 წლის 9 (22) იანვრამდე

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საბრძოლო შეთანხმება აჯანყებისათვის და საბრძოლო კომიტეტის შექმნა

გეგმა:[147]

1) შეთანხმების დასაბუთება
2) მისი მიზანი
3) პროგრამა (1) თვითმპყრობელობის დამხობა
   (2) დროებითი რევოლუციური მთავრობა
   (3) ხალხის შეიარაღება
   (4) დამფუძნებელი კრება
   (5) გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.
4) წინასწარი საბრძოლო კომიტეტის შექმნა იმ მიზნით, რომ
   (1) შევაგროვოთ ფულადი სახსრები
   (2) გამოვარკვიოთ პირადი ძალები
   (3) გავაცნოთ რუს მუშათა მასებს შეთანხმება და ფართოდ განვიხილოთ განხორციელების საშუალებანი
   (4) მოვამზადოთ რუსეთის კონფერენცია რუსეთის საბრძოლო კომიტეტის შესაქმნელად.
5) საბრძოლო კომიტეტის ამოცანა: აჯანყების მოსამზადებელ ღონისძიებათა გაერთიანება:
   $^2/_3$ თითოეული პარტიის სრული სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების დიდი მნიშვნელობის გამო.
6) საბრძოლო კომიტეტის დამოკიდებულება ტერორისადმი.

7) მოწოდება ყველა სოციალისტისა და ყველა რევოლუციური დემოკრატისადმი.

5 bis

საბრძოლო კომიტეტი უშვებს მოწოდებას მ ხ ო ლ ო დ იმ საკითხებზე, რომლებიც მ თ ლ ი ა ნ ა დ შედის მის პროგრამაში, და აუცილებლად ყოველთვის ურთავს შენიშვნას პარტიის დამოუკიდებლობის შესახებ.

დაწერილია 1905 წლის
ივნისის—მარტში

პირველ დ დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ბოლშევიკთა ჟენევის კლუბში[148] წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერები

1905 წლის 5 მარტის ოქმი

I

ლ ე ნ ი ნ ი. წინადადებას იძლევა, რომ სექციის მუშაობის ყველა შედეგი საჯაროდ გამოაცხადონ, — უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ სტეპანოვმა თავისი მოხსენება, აგრეთვე ოქმები წერილობით წარმოადგინოს. ამ ოქმების საერთო კრებსი გადაეცეს ყრილობას; ისინი ბევრ სასარგებლო პრაქტიკულ მითითებას მოგვცემენ ყრილობის მუშაობის დროს. სამწუხაროდ, სტეპანოვის მოხსენება მეტად აბსტრაქტული ხასიათისაა. იმისათვის, რომ მოხსენებებიდან გამოვიტანოთ ზუსტი დასკვნები რეზოლუციათა სახით, ისინი უფრო კონკრეტული უნდა იყოს. ამისათვის გთავაზობთ შეადგინოთ ანკეტა საზღვარგარეთელ და რუს ამხანაგებში, ამასთან მათ ზუსტი პასუხი უნდა გასცენ დასმულ კითხვებზე (კი, არა, ამდენი და ამდენი). მათი მუშაობის ფოტოგრაფია, მაგ., რომელ ქალაქში მუშაობდა, რა საკითხებს წყვეტდა კრებებზე და ა. შ. განზოგადებულ დასკვნებს კი თუმცა შეუძლიათ რაღაც მოგვცენ, მაგრამ მათგან, ვიმეორებ, ვერ გამოვიტანთ ზუსტ დასკვნებს. ამიტომ გთავაზობთ, რომ წრემ დაიწყოს ასეთი კითხვარის შემუშავება და დაუგზავნოს იგი საზღვარგარეთ ამხანაგებს და რუსეთში,

რათა მათ მოკლე პასუხი გასცენ ყველა კითხვაზე. თუ გვექნება ასეთი ნედლი მასალა (თუ გვიპასუხა 100 — 200-მა ამხანაგმა), მაშინ ყრილობა გამოიყენებს მას ზუსტი დასკვნებისათვის.

ვიმეორებ ჩემს წინადადებებს: ჯერ ერთი, ყველა ოქმის კრებსი, აგრეთვე თვით ოქმებიც წარვუდგინოთ ყრილობას, მეორე, ხელი მოვკიდოთ კითხვარის შედგენას. და ეს უნდა დავიწყოთ ახლავე, დაუყოვნებლივ, წინადადებასაც კი ვიძლევი თავი დავანებოთ ყველა სამუშაოს სექციაში და შევუდგეთ ყველა ოქმის წესრიგში მოყვანას და მათი მიხედვით დავწეროთ მოხსენება ყრილობისადმი.

II

ლ ე ნ ი ნ ი. ახლა, როცა გამოვიდა ცნობა III ყრილობის მოწვევის შესახებ, სექციათა მუშაობა სხვა ხასიათისა გახდა. აი უკვე 2 თვეა სექციები მუშაობენ, მაგრამ რა ცოტა რამაა მაინც გაკეთებული: ოქმი ყველა არ არის, მოხსენებანი არ არის; ეს საქმე კი უნდა დავაჩქაროთ, რომ ამ შრომამ ფუჭად არ ჩაიაროს და ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა, ე. ი. ყოველივე ეს უნდა წარვუდგინოთ ყრილობას. იმისათვის, რომ უფრო ჩქარა წარვადგინოთ ოქმები, წინადადება შემომაქვს მთელი წრე დავახმაროთ მდივნებს. ვიმეორებ, თუ წრე ვერ დაამთავრებს ამ სამუშაოს, იქმნება საფრთხე, რომ მთელი მისი სამუშაოები დარჩეს ამ წრეში, მაშინ როცა მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ორგანიზაციული გეგმების შემუშავებას. შემდეგ, წინადადება შემომაქვს ახლავე შევუდგეთ კითხვარის შემუშავებას — ყოველივე ეს უნდა დავაჩქაროთ, მოვლენები არ იცდიან, ყრილობა შეიძლება ძალიან მალე გაიმართოს. ყველაფერს სჯობს, თუ კითხვარის შემუშავებას ცალკე კომისიას დავავალებთ.

III

ლ ე ნ ი ნ ი. ამხ. ოლღას წინადადების საწინააღმდეგო არა მაქვს რა. რაც შეეხება ჩემს გამოცდილებას, ახლა, როცა მოვლენები, მუშაობის პირობები ასე სწრაფად იცვლება, ვფიქრობ,

ასეთი გამოცდილება არ უნდა მქონდეს. შევადგინე კითხვარი, მაგრამ იგი მეტად ზოგადია. წინადადებას ვიძლევი, რომ კითხვარის შემდგენელ კომისიაში ავირჩიოთ გამოცდილი ამხანაგები და რაც შეიძლება დავაჩქაროთ ეს საქმე.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

„ვპერიოდის“ რედაქციის შენიშვნა სანქტ-პეტერბურგის ლითონის ქარხნის მუშათა ჯგუფის რეზოლუციისათვის[149]

რედაქციისაგან. ამხანაგი მუშების ამ რეზოლუციას ვბეჭდავთ როგორც იმ განწყობილების დამახასიათებელ გამოვლინებას, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება მებრძოლი პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვას*. უეჭველია, რომ პარტიის გათიშვას, — განსაკუთრებით ფარულ გათიშვას, — აურაცხელი უბედურება მოაქვს მუშათა მოძრაობისათვის. რუსეთში, როგორც ზემოთ მოყვანილი ხარკოვის რეზოლუციიდან[150] ჩანს, არიან მენშევიკები, რომლებიც გაცილებით უფრო კეთილსინდისიერად ეკიდებიან პარტიულ მოვალეობას, ვიდრე საზღვარგარეთელები. ამასვე ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს[151] ახალი ერთობლივი დეკლარაციაც. კიდევ ერთხელ ვუსურვოთ წარმატება გაერთიანების უკანასკნელ ცდას.

„ვპერიოდი“ № 14,
1905 წლის 12 აპრილი
(30 მარტი)

იბეჭდება გაზეთ „ვპერიოდის“
ტექსტის მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

* პირველი ფრაზა დაწერა პ. ს. ოლმინსკიმ. რ ე დ.

რსდმ პარტიის III ყრილობა[152]

1905 წლის 12—27 აპრილი (25 აპრილი—10 მაისი)

1

პროექტი III ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა[153] ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლობის შესახებ

კავკასია.

საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა კავკასიის დელეგაციის საკითხი ლიტერატურის მონაცემებისა და მოწმეების, კავკასიელი ამხანაგების, ჩვენებათა საფუძველზე და ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. ყრილობაზე გადამწყვეტ ხმებს შორის საჭირო და ერთადერთი მართებულია ჩავთვალოთ კავკასიის დელეგაციის 8 ხმა, რადგან ჯერ კიდევ 1903 წლის შემოდგომაზე ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა კავკასიის კავშირის კომიტეტის წესდება და ამ წესდებით კავკასიის კავშირის კომიტეტს, როგორც კავშირის კომიტეტს, მიეცა 8 გადამწყვეტი ხმა ყრილობაზე.

2. რაც შეეხება ამხ. გლებოვის ამის საწინააღმდეგო განცხადებებს საბჭოში და საბჭოს 1904 წლის მაისის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დროებით, საკითხის გარკვევამდე, გადამწყვეტ ხმებად მივიჩნიოთ კავკასიის ოთხი ცალკეული კომიტეტის (ბაქოს, ბათუმის, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს) ხმები, საორგანიზაციო კომიტეტი გლებოვის ამ განცხადებასა და საბჭოს გადაწყვეტილებას ვერ მიიჩნევს დაბრკოლებად 1-ელ პუნქტში აღნიშნული დასკვნის მიღებისათვის, რადგან ამხ. გლებოვი აშკარად საქმეში ჩაუხედავი აღმოჩნდა და ამიტომ უნებურად შეცდომაში შეიყვანა საბჭო.

3. მიაჩნია რა უდავოდ, რომ ახლა აქ არის კავკასიის სამი დელეგატი ექვსი გადამწყვეტი ხმით, საორგანიზაციო კომიტეტი აღნიშნავს, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი ამხ. ლეონოვი ორი გადამწყვეტი ხმის მქონე მეოთხე დელეგატის თაობაზე შემდეგს აცხადებს: კავკასიის კავშირის კომიტეტი აპირებდა ბათუმის კომიტეტისათვის მიეცა ამ მე-4 დელე-

გატის დამტკიცების უფლება. როცა ბათუმის კომიტეტმა გაურკვეველი და მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა ამის თაობაზე, კავკასიის კავშირის კომიტეტმა სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ლეონოვი, გამოთქვა სურვილი, რომ, თუ ყრილობაზე არ იქნება ბათუმის სპეციალური დელეგატი, მეოთხე დელეგატის გადამწყვეტი ხმები გადაეცეს ამხ. კამენევს (იურის).

4. აღნიშნავს რა ამას, საორგანიზაციო კომიტეტი კავკასიის კავშირის კომიტეტის მეოთხე დელეგატის საკითხის გადაჭრას თვით ყრილობას ანდობს.

კ რ ე მ ე ნ ჩ უ გ ი.

კრემენჩუგის კომიტეტის უფლებაუნარიანობის შესახებ საორგანიზაციო კომიტეტი აღნიშნავს:

1) კრემენჩუგის კომიტეტი ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა მხოლოდ 1904 წლის აგვისტოში, როგორც ამბობს ამხ. მარკი, ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონაწილე ცენტრალური კომიტეტის კრებისა, რომელზეც მოხდა ეს დამტკიცება.

2) „ისკრის“ № 89-ში გამოქვეყნებულ პარტიის საბჭოს სიაში 33 უფლებაუნარიან ორგანიზაციას შორის კრემენჩუგის კომიტეტი მოხსენიებული არ არის.

აღნიშნულის საფუძველზე საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს: კრემენჩუგის კომიტეტი არ ჩაითვალოს ამ ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სრულუფლებიან ორგანიზაციათა რიცხვში.

ე კ ა ტ ე რ ი ნ ო ს ლ ა ვ ი.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოისმინა ამხ. მოროზოვის, ეკატერინოსლავის უმრავლესობის კომიტეტის დელეგატის, მოხსენება და ამხ. ევგენის, ეკატერინოსლავის ძველი კომიტეტის წევრის, წერილობითი ცნობა და ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

საორგანიზაციო კომიტეტს არა აქვს არავითარი საფუძვე-

ლი, რომ ეკატერინოსლავის ახლანდელი უმრავლესობის კომიტეტი ჩათვალოს ნაკლებ კანონიერად, ვიდრე უმცირესობის კომიტეტი, როგორც ფორმალური თვალსაზრისით, ისე მემკვიდრეობითობისა და ადგილობრივ მუშებთან კავშირურთიერთობის თვალსაზრისითაც.

მაგრამ იმის გამო, რომ საორგანიზაციო კომიტეტს არა აქვს შესაძლებლობა მოისმინოს მეორე მხარის ახსნა-განმარტებანი, იგი არ იღებს დადგენილებას ეკატერინოსლავის უმრავლესობის კომიტეტის დელეგატის გადამწყვეტი ხმის შესახებ და ამ საკითხის გადაჭრას თვით ყრილობას ანდობს.

ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების უფლებაუნარიანობის თაობაზე საორგანიზაციო კომიტეტმა ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, რადგან ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ხმები გაიყო.

უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს აზრით, ამ კომიტეტებს უფლებაუნარიანად ვერ მივიჩნევთ, რადგან საბჭოს 1904 წლის მაისის სხდომაზე (ცენტრალური კომიტეტის დელეგატები — ლენინი და გლებოვი) 1905 წლის 1 აპრილამდე დამტკიცებულ კომიტეტების სიაში ეს კომიტეტები მოხსენიებული არ არიან. ყაზანის და ყუბანის კომიტეტები 1904 წლის მაისის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტს კიდევაც რომ დაემტკიცებინა, ისინი მაინც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღებენ წარმომადგენლობის უფლებას. გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტის 1904 წლის ივლისის საერთო კრებაზე ამ კომიტეტების დამტკიცება ვერ მოხდებოდა, რადგან ამ კრების ოქმები გლებოვმა მთლიანად ჩაუტანა ლენინს საზღვარგარეთ და ამ ოქმებში არ არის ცნობები ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცების შესახებ. დაბოლოს ცენტრალური კომიტეტის აგვისტოსა თუ სექტემბრის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. მარკი, სრულიად არაფერი თქმულა ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცების შესახებ.

ცენტრალურ კომიტეტს ჰგონია, რომ, რაკი ეს კომიტეტები მოხსენიებული არიან „ისკრის“ სიაში, როგორც ჩანს, პარტიის

საბჭოს სახელით, საფუძველი არა გვაქვს უფლებაუფნაროდ ვცნოთ ეს კომიტეტები.

დაწერილია აპრილში, არა უგვიანეს 11 (24) რიცხვისა

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ენენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

პროექტი საორგანიზაციო კომიტეტის რეზოლუციისა ყრილობის კონსტიტუირების შესახებ[154]

ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ხელშეკრულების იმ პუნქტის თაობაზე, რომლის თანახმად ყრილობა იხსნება, თუ ესწრება რუსეთის კომიტეტების დელეგატთა $^3/_4$, საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს:

ორივე მხარეს, რომლებმაც შეადგინეს საორგანიზაციო კომიტეტი, ამ პუნქტის არსად მიაჩნია ის, რომ ცენტრალურ კომიტეტსაც და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსაც უნდა მიეღოთ ყველაზე ენერგიული ზომები ყრილობაზე წარმომადგენლობის სისრულისათვის, აგრეთვე პარტიის წინაშე იმის გარანტირებისათვის, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და უმრავლესობის კომიტეტების ბიურომ მიზნად დაისახეს მოეწყოთ საერთო-პარტიული და არა ფრაქციული ყრილობა. ხელშეკრულების ეს პუნქტი სრულიადაც არ ითვალისწინებდა პარტიის წესდების იმ §-ის მოქმედების გაუქმებას, რომლითაც ყრილობა ძალამოსილია, თუ იქ არის გადამწყვეტი ხმების საერთო რიცხვის ნახევარი. რაც შეეხება ყრილობაზე წარმომადგენლობის სისრულეს, ამ მხრივ მიღებულია **ყველა ზომა.** ცნობები არ არის მხოლოდ ასტრახანისა და ყირიმის კომიტეტებისაგან. დელეგატები შეარჩიეს და საზღვარგარეთ გაგზავნეს (ორ შემთხვევაში მანდატები გადაეცათ საზღვარგარეთელ ამხანაგებს, პარვუსსა და პირს ყუბანის კომიტეტისგან „ისკ-

რის“ რედაქციის განწესებით) დონის, სამთამადნო ქარხნების, კიევის, ყუბანის, ტვერის, ხარკოვის, სმოლენსკის, ციმბირის, ეკატერინოსლავის კომიტეტებმა. 19 კომიტეტის დელეგატებთან ერთად ჩვენ გვეყოლებოდა დასახელებულ 9 კომიტეტთან ერთად 28 კომიტეტი, ესე იგი $^3/_4$-ზე მეტი 34 კომიტეტისაგან (რიცხვი 34 არის საორგანიზაციო კომიტეტის სიაში თავდაპირველად შესულ უფლებაუნარიან ორგანიზაციათა maximum).

თუ დასახელებული კომიტეტების ცხრა დელეგატი არ გამოცხადდა ყრილობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტებისაგან მიიღეს შესაბამისი მანდატები და ჩამოვიდნენ საზღვარგარეთ, ამაში ბრალი მიუძღვის არა საორგანიზაციო კომიტეტს, არამედ ეს იმის შედეგია, რომ საორგანიზაციო კომიტეტის მთელი მეცადინეობა—შეექმნა ყრილობაზე წარმომადგენლობის სისრულე—წაწყდა პარტიის საბჭოს სამი წევრის უკანონო წინააღმდეგობას.

დაწერილია აპრილში, არა უგვიანეს
11 (24) რიცხვისა

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმპარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

3

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ[155]

13 (26) ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

იმოწმებენ ჩემს განცხადებას*. ჩამოსული ყაზანელი ამბობდა, რომ მისი არჩევა ფრიად მოსალოდნელი იყო. სასურველია მოვიწვიოთ იგი, როგორც კომიტეტის წევრი. კომისიის

* იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 143—144. რ ე დ.

რეზოლუციის ბოლო უცნაურად მეჩვენება, კარგი იქნებოდა გაგვესწორებინა.

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

4

შესწორება სამანდატო კომისიის წინადადებისათვის ყრილობაზე ქაზანის კომიტეტის წარმომადგენლობის საკითხის გამო

13 (26) აპრილი

შეთანხმებულია შემდეგი შესწორება: „არა როგორც დელეგატი, არამედ როგორც წევრი კომიტეტისა, რომელიც წარმოდგენილი არ არის ყრილობაზე, მაგრამ მხარი დაუჭირა ყრილობას“.

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

გამოსვლა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების განხილვის საკითხზე

13 (26) აპრილი

ჩემი წინადადება იქნებოდა მხედველობაში მიგვეღო ამხ. სოსნოვსკისა და სხვათა განცხადება, რომ სასურველია ერთი ფორმალური მხარით შეიზღუდოს კამათი საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების გამო. ამხ. ანდრეევის რეზოლუცია ვერ აღწევს თავის მიზანს[156]. ამხანაგებს მოხსენების განხილვა სურდათ მხოლოდ ყრილობის მოწვევის კანონიერების თვალსაზრისით და არა ფაქტობრივი თვალსაზრისით. მისი განხილვა ფაქტობრივი თვალსაზრისით — ეს ნიშნავს სწორედ პარტიული

კრიზისის განხილვას. ბიურო შეზღუდავს ორატორებს ყრილობის მოწვევის კანონიერების განხილვის ფარგლებში.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

6

პროექტი რეზოლუციისა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების განხილვის შესახებ

ყრილობა ამჟამად განიხილავს საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენებას მხოლოდ ყრილობის კანონიერების თვალსაზრისით*.

შეტანილია 13 (26) აპრილს

დაბეჭდილია 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

7

III პარტიული ყრილობის დღის წესრიგის პროექტი[157]

ა) ტაქტიკური საკითხები.

1. შეიარაღებული აჯანყება.

[2. სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში.]**

2. მზადება სოციალ-დემოკრატიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლისათვის.

3. სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება მთავრობის

* საოქმო კომისიის ჩანაწერში რეზოლუციის პროექტის ბოლო მოცემულია შემდეგი რედაქციით: „... ყრილობის კანონიერებისა და მისი საბოლოო კონსტიტუირების და არა პარტიული კრიზისის თვალსაზრისით". რ ე დ.

** პეტიტით აწყობილი, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

პოლიტიკისადმი გადატრიალების წინ, თვით გადატრიალების მომენტშიც და მის შემდეგაც.

4. დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი.

ბ) დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ხ ვ ა პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ა დ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ე ბ ი ს ა დ მ ი.

5. დამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჩამოშორებული ნაწილისადმი.

6. დამოკიდებულება რუსეთის ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი.

7. დამოკიდებულება ლიბერალებისადმი.

8. დამოკიდებულება ესერებისადმი.

გ) პ ა რ ტ ი ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა.

9. პარტიის წესდება.

10. მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთობა პარტიულ ორგანიზაციებში.

დ) პ ა რ ტ ი ი ს ს ა მ ი ნ ა ო მ უ შ ა ო ბ ა.

11. დელეგატთა ანგარიშები.

12. პროპაგანდისა და აგიტაციის გაუმჯობესება.

[13. პირველი მაისი.]*

14. თანამდებობის პირთა არჩევნები.

15. ოქმების გამოქვეყნების და ახალი დაწესებულებების ძალაში შესვლის წესი.

შეტანილია 13 (26) აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8

გამოსვლა ყრილობის დღის წესრიგის განხილვისას

13 (26) აპრილი

ამხანაგების მიხაილოვის, ეოინოვისა და ზიმინის წინადადების საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა[158]. მაგრამ ყრილო-

* პეტიტით აწყობილი, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

ბას ემუქრება დღის წესრიგის გამო კამათით გატაცების საფრთხე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობებზე დღის წესრიგი მოიცავს 5—6 პუნქტს; ჩვენში II ყრილობაზე პუნქტების რიცხვი 25-ს აღწევდა. ჩვენი კამათი უკვე ფართო ხასიათს იღებს. წინადადებას ვიძლევი საფუძვლად მივიღოთ უფრო დანაწევრებული დღის წესრიგი.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

9

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ

13 (26) აპრილი

ყრილობის სხდომების შეცვლა კომისიებით საშიშია. კომისიებში განიხილავენ ბევრ საინტერესო საკითხს, რომლებიც შემდეგ იკარგება და ოქმებში არ ხვდება. კომისიების სერიოზული მუშაობისათვის დრო ცოტაა, მისი გაზრდა ყრილობის მუშაობის საზიანოდ სასურველი არ არის. სასარგებლოა ახლავე ავირჩიოთ კომისია რეზოლუციებისათვის, რათა რამდენადმე მაინც წარვმართოთ მუშაობის მსვლელობა. საჭიროა აგრეთვე კომისია მოხსენებათა განსახილველად. მეეჭვება, რომ საჭირო იყოს საორგანიზაციო, აგრარული და შეიარაღებული აჯანყების კომისიები. ჩვენ გვაქვს ძველი წესდება, გვაქვს ივანოვის პროექტი, არის ამხ. ნ. ფ.-ს [159] აზრი, მასალები საკმაოდაა.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

10

ვაჭრობა რეზოლუციის პროექტის შეტანით დელეგატთა მოხსენებების გადამსინჯველი და რეზოლუციათა პროექტების მოსამზადებელი კომისიების არჩევის შესახებ

13 (26) აპრილი

გთავაზობთ რეზოლუციას: „ყრილობა ირჩევს: 1) კომისიას, რომელიც გადასინჯავს დელეგატების მოხსენებებს და მოამზადებს ყრილობისათვის გასაცნობად; 2) კომისიას, რომელიც დანიშნავს მომხსენებლებს და მოამზადებს რეზოლუციების პროექტებს დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე".

დელეგატთა სიტყვებმა დამარწმუნეს, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ნაყოფიერად ვიმუშაოთ. თუ მივიღებთ ზოგადი დისკუსიისა და შემდგომი საკომისიო განხილვის სისტემას, ეს გამოიწვევს იმასვე, რაც II ყრილობაზე იყო. საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვაქვეყნოთ ყრილობის მუშაობა, რათა უკეთ გავაცნოთ იგი პარტიას. ჩვენი ყრილობის გარშემო შექმნილი ეჭვიანი ატმოსფეროს გამო განსაკუთრებით საჭიროა კამათი რაც შეიძლება საჯარო იყოს და ოქმებში აისახოს.

„რსდმ პარტიის მესამე ზორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

11

განცხადება ყრილოგის სამანდატო კომისიას

I

ყრილობის შემადგენლობის შემმოწმებელ კომისიას

საორგანიზაციო კომიტეტის 1905 წლის 24 აპრილის სხდომაზე დამავიწყდა შემეტანა წინადადება, რომ ყრილობაზე სა-

თათბირო ხმით მოგვეწვია ამხანაგი არ[ა]ტსკი (ნამდვილი (NB) გვარია), ყაზანის კომიტეტის წევრი[160]. კომისიას ვთხოვ განიხილოს ეს წინადადება.

ამხ. არნატსკი იმყოფება საზღვარგარეთ, საფრანგეთში, და დამთანხმდა ჩამოვიდეს ყრილობაზე თავისი ხარჯით. იგი ძალიან მალე მიდის რუსეთში და შესაძლებლობა ექნება სწრაფად მოახსენოს თავის კომიტეტს ყრილობის შესახებ. ყაზანის კომიტეტთან დაკავშირებით საორგანიზაციო კომიტეტმა, ყოველგვარი მეცადინეობის მიუხედავად, ვერ მიიღო პასუხი ყაზანიდან. ამიტომ ახლა თითქმის არავითარი იმედი არ არის, რომ ყაზანის კომიტეტი მონაწილეობას მიიღებს ყრილობის მუშაობაში. ჩვენი ცდები საზღვარგარეთ, რომ აქედან დაგვემყარებინა კავშირი ყაზანთან, აგრეთვე უშედეგო აღმოჩნდა, ჩვენს წერილებზე პასუხი არ მიგვიღია. არნატსკიც ვერ დაუკავშირდა აქედან ყაზანს. თუ არ არის შესაძლებლობა ყრილობაზე გვყავდეს ყაზანის კომიტეტის დ ე ლ ე გ ა ტ ი, ხომ არ მოგვეწვია ამხ. არნატსკი ს ა თ ა თ ბ ი რ ო ხმით, როგორც კომიტეტის წ ე ვ რ ი?

ლ ე ნ ი ნ ი

შეტანილია 13 (26) აპრილს

2

ს ა მ ა ნ დ ა ტ ო კ ო მ ი ს ი ა ს

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე გაგაცანით ამხ. ფილატოვის (ნამდვილი გვარია) წერილობითი თხოვნა, რომ დაგვეშვა იგი ყრილობაზე სათათბირო ხმით. ამხ. ფილატოვი არის აჯანყების შესახებ „ვპერიოდში“ დაბეჭდილი სტატიების ავტორი — ვ. ს. ყრილობაზე მან წარმოადგინა წერილი და მოხსენება-ბროშურა: „ტაქტიკისა და ფორტიფიკაციის გამოყენება სახალხო აჯანყებაში“ (ჩემოდანშია, რომელიც Boulogne-ში დარჩა). ამხ. ფილატოვის შესახებ გთხოვთ ჰკითხოთ ამხა-

ნაგებს ბელსკისა და ვოინოვს, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ პარიზში[161].

ლ ე ნ ი ნ

შეტანილია 14 (27) აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

12

გამოსვლა სამანდატო კომისიის მოხსენების განხილვისას[162]

14 (27) აპრილი

ვფიქრობ, რაციონალური არ იქნება, რომ ყრილობამ დაუყოვნებლივ დაამტკიცოს ორგანიზაციები. მე გადამწყვეტი ხმის მიცემის წინააღმდეგი ვარ. *coup d'état*-ის თაობაზე არ ვეთანხმები ამხ. კამსკის.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

13

პროექტი რეზოლუციისა ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცების შესახებ[163]

ყრილობა ადგენს არ ჩაითვალოს ყაზანისა და ყუბანის კომიტეტები ყრილობის კონსტიტუირების დროს, მაგრამ დამტკიცდეს ისინი სრულუფლებიან კომიტეტებად მომავლისათვის.

შეტანილია 14 (27) აპრილს

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

14

პროექტი რეზოლუციისა ყრილობაზე საკითხებისათვის კენჭისყრის წესის შესახებ[164]

ამ მომენტიდან ყრილობა ყოველგვარ კენჭისყრას აწყობს რეგლამენტის § 7-ის თანახმად და გამოყოფს გადამწყვეტ ხმებს სათათბირო ხმებისაგან.

შეტანილია 14 (27) აპრილს

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმპ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოკ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

15

შენიშვნები რუნიანცევის რეზოლუციის პროექტის გამო რსდმ პარტიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე

ჩემი აზრით, რეზოლუცია უნდა გადაკეთდეს ასე:

მოტივები:

(1) აღვნიშნოთ, რომ რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით ფაქტობრივად იწყება პოლიტიკური პარტიების აშკარა გამოსვლა etc.

(2) რომ ლიბერალები ამ მხრივ განსაკუთრებით შორს მიდიან, მათი ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი პრივილეგია (შმიდტის 1-ლი პ.).

(3) რომ მუშებს ამავე დროს უ დ ი დ ე ს ი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა აქვთ (შმიდტის მე-2 პ.).

— **დასკვნები:**

(1) მხედველობიდან არ გავუშვათ აშკარა გამოსვლის არც ერთი შემთხვევა და დამოუკიდებელ ძალად დავრაზმოთ მუშები თ ვ ი თ გ ა მ ო ს ვ ლ ი ს დროს;

(2) მოვახდინოთ თვით უმცირესი ლეგალური ფორმების გამოყენება და შევეცადოთ დავუჭვემდებაროთ მუშათა ლეგალური ორგანიზაციები სოციალ-დემოკრატიის გავლენას.

(3) ყველა მუშათა ორგანიზაციაში და რაც შეიძლება ფართო მასებში პროპაგანდა გავუწიოთ იმას, რომ საჭიროა განვახორციელოთ პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა ჩვენს კონსპირაციულ აპარატთან ერთად შევქმნათ აპარატი აშკარა პოლიტიკური გამოსვლისათვის.

(+0) მოქმედების თავისუფლების ფაქტობრივი მოპოვების **დახაწყისი.**

უმჯობესია 2) 1)

1) მუშათა მასები ესწრაფვიან აშკარა გამოსვლას.

2) ლიბერალები გაძლიერებულად სარგებლობენ და იღებენ უპირატესობას.

3) საჭიროა მზადება, რომ რაც შეიძლება მალე გადავიდეთ მოქმედების მხოლოდ ჩვეულებრივი კონსპირაციული ფორმებიდან აშკარა ფორმებზე.

ადგენს:

(1) ეხედველობიდან არ გაეუშვათ შემთხვევა... აშკარა გამოსვლები— მათ მოქმედების ადგილზე შეიმუშავებენ ცალკეული ორგანიზაციები

(2) გამოვიყენოთ ორგანიზაციის ნაწილობრივი ლეგალური ფორმებიც კი და შევეცადოთ დავუქვემდებაროთ ისინი სოციალ-დემოკრატიის გავლენას]*

დაწერილია 1905 წლის 16 და 19 აპრილს (29 აპრილსა და 2 მაისს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

16

თეზისები რეზოლუციისა დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ

რეზოლუციის მოტივები:

1) საჭიროა პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკა.

* პეტიტით აწყობილი, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რედ.

[2) არსებობს რევოლუციური ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც უნარი შესწევს იბრძოლოს მისთვის და იწყებს ამ ბრძოლას.

3) საჭიროა პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს რევოლუციურ დემოკრატიას...]*

4. თვითმპყრობელობის სრული დამხობისა და დამფუძნებელი კრების თავისუფლების ნამდვილი უზრუნველყოფისათვის საჭიროა დროებითი რევოლუციური მთავრობა.

[5) რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ უნდა ცნოს არა მარტო ქვემოდან რევოლუციური მოქმედება, არამედ ზემოდანაც.

6) იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციამ სავსებით გაიმარჯვა და თუ აჯანყებას ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატია, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს დროებით რევოლუციურ მთავრობაში.]*

7) გადატრიალებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი აქვს და საჭიროა პროლეტარიატს ეკავოს დამოუკიდებელი, ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებული პოზიცია.

[8) არსებობს ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც უნარი შესწევს იყოს ღია ორგანიზაცია (მუშათა ფართო მონაწილეობით) და კონტროლს უწევდეს პარტიის რწმუნებულებს]*

რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი

დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ

1) დროებითი რევოლუციური მთავრობის იდეების პროპაგანდა და აგიტაცია როგორც ძლევამოსილი რევოლუციის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

2) განვიხილოთ მუშათა კრებებზე მთელი ჩვენი პროგრამა-minimum არა მარტო ზოგადი თვალსაზრისით, როგორც ჩვენ განვიხილავდით და ყველამ უნდა განიხილოს პროგრა-

---

* პეტიტით აწყობილი, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

მა-maximum, არამედ მისი მთლიანად და დაუყოვნებლივ განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისითაც.

3) შესაძლებლად ვცნოთ, რომ ძლევამოსილი სახალხო აჯანყების შემთხვევაში რევოლუციურ ბურჟუაზიასა და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად სოციალ-დემოკრატიამ მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ყველა კონტრრევოლუციური ცდის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის მიზნით, რუსეთში დემოკრატიული ნიადაგის სრული გაწმენდის მიზნით, მუშათა კლასის უფრო ფართო ორგანიზაციის ყველა იმ საშუალებათა გამოყენების მიზნით, რომლებსაც უზრუნველყოფს მთავრობა.

ეს სუბიექტური პირობებია. ხოლო ობიექტური? კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის მიზნით. პ. 3.

4) ასეთი მონაწილეობის აუცილებელი პირობაა ის, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია კონტროლს უწევდეს თავის რწმუნებულებს მთავრობაში და განუხრელად იცავდეს დამოუკიდებელ კლასობრივ მუშათა პარტიას, რომელიც მტრულადაა განწყობილი ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი თავისი მისწრაფებით — მოახდინოს სრული სოციალისტური გადატრიალება.

NB **შეიარაღებული** პროლეტარიატი

5) ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ არა სოციალ-დემოკრატია მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, მუშათა კლასში უნდა გავავრცელოთ აზრი, რომ აუცილებელია დამოუკიდებელი მუშათა **რევოლუციური** ორგანიზაციები, რათა მათ კონტროლი გაუწიონ **ყოველგვარ** რევოლუციურ მთავრობას და ზეგავლენა მოახდინონ მასზე.

დაწერილია 1905 წლის აპრილში, 18 რიცხვამდე (1 მაისამდე)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

17

გამოსვლა რსდმ პარტიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე რეზოლუციის განხილვისას[165]

19 აპრილი (2 მაისი)

ამხ. სერგეევი მართალი არ არის. ჩვენ წინაშეა მთლიანი საკითხი სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის ხასიათის შეცვლის შესახებ, რაც აღნიშნულია კიდეც რეზოლუციაში.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

18

გამოსვლები რევოლუციისწინა მომენტში მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვისას

19 აპრილი (2 მაისი)

1

ვუერთდები ამხ. ბელსკის[166] აზრს. ჩვენ ვაკნინებთ რევოლუციის ცნებას, როცა ამ სიტყვას ვიყენებთ ზოგიერთი წვრილმანი უფლების ხელში ჩაგდების მიმართ.

2

ვეთანხმები იმას, რომ სიტყვები „რევოლუციური გზა" გამოხატავს ბრძოლის უფრო ენერგიულად წარმოებას, მაგრამ ამით კნინდება რევოლუციის ცნება. წინადადება შემომაქვს ან შევცვალოთ ისინი სიტყვებით „კანონის საწინააღმდეგოდ", ან გამოთქმის „რევოლუციური გზით" შემდეგ ამოვშალოთ სიტყვები „მინიმალური პროგრამა", რადგან შეიძლება ისე გამოვიდეს, თითქოს ამ გზით ვაპირებდეთ მთელი რევოლუციის მოხდენას.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

19

რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ

მხედველობაში ვიღებთ რა:

1) რომ ამჟამად მზარდი გლეხთა მოძრაობა, რომელიც თუმცა სტიქიურია და პოლიტიკურად შეუგნებელი, მაინც გარდაუვალად წარიმართება არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ და საერთოდ ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ;

2) რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანებში შედის არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერა;

3) რომ ამის გამო სოციალ-დემოკრატია უნდა შეეცადოს გაწმინდოს გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსი ყოველგვარი რეაქციული მინარევებისაგან, განავითაროს გლეხთა რევოლუციური თვითშეგნება და ბოლომდე მიიყვანოს მათი დემოკრატიული მოთხოვნები;

4) რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, ყველა შემთხვევაში და ყოველგვარ ვითარებაში განუხრელად უნდა ესწრაფოდეს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ ორგანიზაციას და განუმარტავდეს მას, რომ მისი ინტერესები შეურიგებლად უპირისპირდება გლეხური ბურჟუაზიის ინტერესებს;

— რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს

ა) პროპაგანდა გაუწიონ ხალხის ფართო ფენებში იმას, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს უაღრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხობის ყოველგვარ რევოლუციურ ღონისძიებას, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ გლეხობის მდგომარეობა, თუნდაც იმას, რომ კონფისკაცია უყონ მემამულეთა, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწებს;

ბ) როგორც აგიტაციის პრაქტიკული ლოზუნგი გლეხებს შორის და როგორც გლეხთა მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი

შეგნების შეტანის საშუალება წამოაყენოს ის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რათა განხორციელდეს ყველა რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნა პოლიციურ-ჩინოვნიკური და მემამულეთა უღლისაგან გლეხების განთავისუფლების ინტერესებისათვის;

გ) თვითმპყრობელობის დეზორგანიზაციისა და მის წინააღმდეგ რევოლუციური შეტევის მხარდაჭერის მიზნით მოუწოდონ გლეხობასა და სოფლის პროლეტარიატს მოაწყონ ყოველგვარი პოლიტიკური დემონსტრაციები, კოლექტიურად განაცხადონ უარი ღალისა და გადასახადების გადახდაზე, სამხედრო ვალდებულების და მთავრობისა და მისი აგენტების დადგენილებათა და ბრძანებათა შესრულებაზე;

დ) ესწრაფოდნენ იმას, რომ სოფლის პროლეტარიატმა შექმნას დამოუკიდებელი ორგანიზაცია და შეუერთდეს ქალაქის პროლეტარიატს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშით და რომ მან თავისი წარმომადგენლები შეიყვანოს გლეხთა კომიტეტებში.

შეტანილია 20 აპრილს (3 მაისს)

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

20

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲡ[167]

დროულად მიმაჩნია რეზოლუციის (ინტელიგენტებისადმი მუშათა დამოკიდებულების შესახებ) გამოტანა.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის 20 აპრილს (3 მაისს)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

21

კონსპექტი სიტყვისა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშებისა და ინტელიგენტების დამოკიდებულების საკითხზე[168]

ჩემი სიტყვის კონსპექტი 3/V (მე-15 სხდომა).

I. სწორი არ არის, თითქოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული იდეების მატარებლები ჩვენში უპირატესად ინტელიგენტები იყვნენ (როგორც ვლასოვი ამბობდა).

II. სწორი არ არის, თითქოს არჩევითი საწყისი კარგად ვერ გააცნობს საქმის ვითარებას პერიფერიას etc. (როგორც ვლასოვი ამბობდა).

III. ვლასოვმა თქვა, რომ სათავეში (გათიშვებისა და ოპოზიციისა) დგანან ინტელიგენტები. ემოწმებიან ლატიშევი, ლიადოვი, კრამოლნიკოვი etc.

IV. **მუშები უნდა შევიყვანოთ კომიტეტებში.**

დაწერილია 1905 წლის 20 აპრილს (3 მაისს)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

22

გამოსვლა პარტიის წესდების განხილვისას[169]

21 აპრილი (4 მაისი)

1

უფრო პრაქტიკულია ამხ. კიტაევის წინადადება, რომლის თანახმად საგანგებო ყრილობის მოსაწვევად საჭიროა წინა ყრილობის ხმების რიცხვის ნახევარი.

2

პირიქით, ყრილობის მოწვევისათვის საჭირო გარკვეული რიცხვის დადგენით საქმე ადვილდება. ყოველი ყრილობის შემდეგ წესდება ხმების საჭირო რიცხვი. ოღონდ უნდა დაეუმატოთ

შენიშვნა, რომლის თანახმად ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული კომიტეტების სია უნდა დაიბეჭდოს ცენტრალურ ორგანოში.

3

ახლად დასამტკიცებელი ორგანიზაციების სია დაუყოვნებლივ ქვეყნდება პარტიის ცენტრალურ ორგანოში, ამასთან აღინიშნება ცენტრალური კომიტეტის მიერ მათი დამტკიცების მომენტი.

4

მხარს ვუჭერ § 6-ის თავდაპირველ რედაქციას, რომელიც „ვპერიოდში“[170] დაიბეჭდა, რადგან სხვაგვარად სწორი არ გამოდის.

5

ვუერთდები ამხ. პეტროვისა და სხვათა აზრს. ამხ. ბელსკის წინადადება უნდა შევიტანოთ შენიშვნაში[171].

6

ცენტრალური ორგანოს ინტერესებისათვის მხარს ვუჭერ ამხ. კიტაევის შესწორებას. როცა გაზეთი ყოველკვირეულად გამოდის, საჭიროა ვიყოთ საქმის კურსში და საკმაო რაოდენობით გვქონდეს მასალა[172].

7

მე ერთხმივი კოოპტაციის მომხრე ვარ[173]. ცენტრალური კომიტეტი დიდი არ არის, და დადებითი მუშაობისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის უნდა უზრუნველვყოთ მისი შემადგენლობის ერთიანობა.

8

ვეთანხმები ამხ. კუზნეცოვს: წესდებიდან უნდა ამოვშალოთ § 13 და მივიღოთ შესაბამისი რეზოლუცია, რომელიც ბიუროში ამხ. ბელსკის[174] შეიტანა.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

23

გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვისას[175]

21 აპრილი (4 მაისი)

მხარს ვუჭერ მაქსიმოვის რეზოლუციას. თუ 3 თვეში ერთხელ შეკრება ძნელია, ვადა შეიძლება გავახანგრძლივოთ 4 თვემდე. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელმა წევრმა ყველაფერი უნდა იცოდეს და მონაწილეობდეს უმნიშვნელოვანესი საქმეების გადაწყვეტაში. თუ ყველას ჩამოსვლა ძნელია, კრება არასრულიც შეიძლება იყოს.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში „რსდმ პარტიის 1905 წლის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

24

გამოსვლა უაზანის კომიტეტის წარმომადგენლობის შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენების გამო[176]

22 აპრილი (5 მაისი)

ლ ე ნ ი ნ ს მოჰყავს ცნობა II ყრილობის ოქმებიდან, საიდანაც ჩანს, რომ უაზანის კომიტეტი მიეკუთვნა იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომელთა სრულუფლებიანობისათვის საჭირო იყო ფორმალური დამტკიცება. რამდენადაც დღემდე ფორმალურად არ დამტკიცებულა, საფუძველი არა გვაქვს გავაუქმოთ ყრილობის უკვე მიღებული დადგენილება. უაზანის წარმომადგენელი უნდა დარჩეს ყრილობაზე მხოლოდ სათათბირო ხმით, ხოლო კომიტეტმა, კომისიის წინადადების თანახმად, ახლავე უნდა მიიღოს ფორმალური დამტკიცება.

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

25

გამოსვლა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშებისა და ინტელიგენტების დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციათა პროექტების განხილვისას

22 აპრილი (5 მაისი)

წინააღმდეგი ვარ ცალკე განვიხილოთ რეზოლუციები, რათა თავიდან ავიცილოთ დანაწევრება, და წინადადება შემომაქვს ჩავაბაროთ ისინი კომისიას გასაერთიანებლად. კერძოდ, ამხ. კიტაევის იმ აზრის შესახებ, რომ კომიტეტები მარტო ორგანიზატორებისაგან უნდა შედგებოდნენ, ვიტყვი, რომ მარტო ისინი არ კმარა კომიტეტის ფუნქციონირებისათვის.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის ვამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

26

გამოსვლები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პერიოდული კონფერენციების შესახებ პარტიის წესდების მიმართ დამატებითი რეზოლუციის განხილვისას[177]

22 აპრილი (5 მაისი)

1

ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, მაგრამ ბევრ სამუშაოს ხომ არ აკისრებენ ცენტრალურ კომიტეტს, როცა ავალებენ კონფერენციების მოწყობას?

წინადადება შემომაქვს ნაცვლად ნათქვამისა „ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყოს" ვთქვათ: „როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა კომიტეტებმა მოაწყონ", ხოლო ნათქვამის ნაცვლად „ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა

კონფერენცია“, ვთქვათ: „ჩვენი პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენცია“.

2

სწორია. წინააღმდეგი ვარ დამატებებისა, რომლებიც მხოლოდ ფორმალიზმსა და გაჭიანურებას იწვევენ.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

27

პროექტი რეზოლუციისა პარტიას ჩამოშორებული ნაწილის შესახებ[178]

რსდმ პარტიის III ყრილობა ცენტრალურ კომიტეტს ავალებს ყოველი ღონე იხმაროს რსდმ პარტიას ჩამოშორებულ ნაწილთან შეერთების პირობების მოსამზადებლად და შესამუშავებლად, ამასთან ეს პირობები საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს ახალმა პარტიულმა ყრილობამ.

NB: არ უნდა გამოქვეყნდეს

შეტანილია 23 აპრილს (6 მაისს)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში „რსდმ პარტიის 1905 წლის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

28

გამოსვლა პარტიას ჩამოშორებული ნაწილის შესახებ რუმიანცევის რეზოლუციის გამო[179]

23 აპრილი (6 მაისი)

მე მგონია, პირველი ნაწილი მისაღები არ უნდა იყოს: როგორ არ გავწიოთ აგიტაცია გათიშვის ნიადაგზე? რაც შეეხება

მენშევიკური კომიტეტების დათხოვნას, ეს უაღრესად ფრთხილად უნდა გავაკეთოთ.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს წიგნში „რსდმ პარტიის 1905 წლის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

29

გამოსვლა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის განხილვისას[180]

23 აპრილი (6 მაისი)

გვთავაზობენ ისეთ რამეს, რაც მისაღები არ არის. რა უნდა, სახელდობრ, ამხ. მიხაილოვს? ის, რომ შეთანხმებების დადება შეეძლოთ მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს ერთობლივად? მაგრამ ცენტრალური კომიტეტის საერთო დადგენილებანი ხომ სავალდებულოა ადგილობრივი კომიტეტებისათვის. გონივრული არ არის ანგარიში გავუწიოთ იმ ცალკე შემთხვევას, როცა მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა რაღაც აურ-დაურია. ადგილობრივ კომიტეტებსაც უნდა მივცეთ ინიციატივა. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან საქმიანობის ადგილობრივი შეთანხმება აგრეთვე უნდა დავავალოთ ადგილობრივ კომიტეტებსაც. თუ ცენტრალური კომიტეტი ისეთ პირობებში არ იქნება, რომ მისი პოვნა შეუძლებელი იყოს, მას, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაეკითხებიან.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

30

გამოსვლა ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხზე

23 აპრილი (6 მაისი)

ლიბერალებთან შეთანხმების საკითხის აღძვრა უადგილოა. ჩვენთან რუსეთში საქმე აჯანყებამდე მივიდა, ხოლო ასეთ პირობებში შეთანხმება ნაკლებ სავარაუდოა. კიდევაც რომ მოინახოს „განთავისუფლების“ რაიმე ჯგუფები ან ლიბერალურად განწყობილი სტუდენტები, რომლებიც უარს არ იტყვიან გამოვიდნენ იარაღით ხელში, სტრუვესთან ხომ არ დავდებთ შეთანხმებას.

ავსებს ამბ. ვოინოვის ცნობებს მოსკოვში გამართული საერობო ყრილობის შესახებ (ციტატა მოჰყავს „Times“-იდან)[181].

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი“. ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

31

გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენების გამო[182]

25 აპრილი (8 მაისი)

ბრალად მდებენ, თითქოს წინააღმდეგობაში ვვარდებოდე გასამართლების საკითხზე, ყრილობა რომ საერთო იყოს, გასამართლების საკითხი უფრო ადრე აღიძრებოდა, მაგრამ ყოველივემ, რაც აქამდე მოხდა, ახლა ნათლად გვიჩვენა საქმის ვითარება. ცენტრალური კომიტეტი ანგარიშს ვერ ჩაგვაბარებს, რადგან იგი აირ-დაირია. ცენტრალური კომიტეტისათვის გამოსავალი იგივე აღმოჩნდა, რაც წინათ იყო — ყრილობა, რომელიც უფრო გვიან შეიკრიბა, ვიდრე უნდა შეკრებილიყო.

როცა „განსასჯელი გამოტეხილია“, სასამართლო გამოძიება საჭირო აღარაა.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის
გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

32

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ (8 ᲛᲐᲘᲡᲘ)

წინადადება შემომაქვს ჯერ განვსაზღვროთ, თუ რამდენი კაცი უნდა ავირჩიოთ, მოვაწყოთ არჩევნები საიდუმლო კენჭისყრით, შემდეგ კი შევთანხმდეთ კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების მასშტაბზე.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის
გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

33

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ყრილობა ადგენს, რომ მის მიერ არჩეული ახალი ცენტრალური კომიტეტი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალეობის შესრულებას[183].

შეტანილია 25 აპრილს (8 მაისს)

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში
„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობ .
ოქმების სრული ტექსტი“.
ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

34

გამოსვლა რსდმ პარტიის III ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ

25 აპრილი (8 მაისი)

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება წინასწარ გადაიჭრას ყრილობის ოქმების შემოკლების მასშტაბის საკითხი. უნდა გამოვტოვოთ მთელი კამათი, რომელიც დღის წესრიგს შეეხება; შემდეგ აღნიშნავს, რომ მოგვიხდება კვლავ მოვაგვაროთ ტექნიკა საზღვარგარეთ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ყრილობის ოქმების გამოცემის სიჩქარეზე.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

35

შესწორებანი რეზოლუციის პროექტისათვის პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ[184]

რეზოლუცია მთლიანად

ა) შეიქმნას ლიტერატურულ-პროპაგანდისტული ჯგუფი ზოგადი პროპაგანდისტული პროგრამის შესამუშავებლად და მის მიხედვით პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის მთავარ საკითხებზე რიგი პოპულარული ბროშურების შესადგენად*,

ა) ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბროშურო ლიტერატურის გამოცემას გლეხთა შორის მუშაობისათვის,

ბ) ვიზრუნოთ რუსეთში პოპულარული ორგანოს გამოცემის მოგვარებისათვის.

პ. გ) შევცვალოთ

მიღებულია

* პეტიტით მოცემულია რეზოლუციის პროექტის ტექსტი. რ ე დ.

გ) განვახორციელოთ ღონისძიებანი აგიტატორთა და პროპაგანდისტთა სამიმოსვლო ჯგუფების მოწყობისათვის, რათა ხელი შევუწყოთ ადგილობრივ ცენტრებს[185],

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის 25 აპრილს (8 მაისს)

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

36

გამოსვლები კავკასიის ამბების გამო რეზოლუციის განხილვისას

26 აპრილი (9 მაისი)

1

სწორი არ არის, რომ პარტია კისრულობს ვალდებულებას დანიშნოს აჯანყება, როცა კავკასია დაიწყებს რევოლუციას. ჩვენ მხოლოდ ვავალებთ ცენტრალურ კომიტეტს მხარი დაუჭიროს მოძრაობას*.

---

* საოქმო კომისიის ჩანაწერში სიტყვის ბოლო მოცემულია შემდეგი რედაქციით:

„ჩვენ მხოლოდ ვავალებთ ცენტრალურ კომიტეტს მხარი დაუჭიროს მოძრაობას, დასკვნის გამოტანა, რომ საჭიროა მხოლოდ აგიტაცია და პროპაგანდა, კავკასიის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, შეუსაბამოს ყველას ყურადღებას მივაპყროთ ამ ადგილს.

სიტყვას არავინ ითხოვს, კამათი მ თ ა ვ რ დ ე ბ ა". რედ.

2

საერთოდ ვუერთდები ამხ. პეტროვის შესწორებას[186], თუმცა მასში არც კი არის რევოლუციური მოწოდება*.

„რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც., 1905 წ.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

გეგმა მოხსენებისა რსდმ პარტიის III ყრილობისა და მისი გადაწყვეტილებების შესახებ[187]

III ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი

ა) რატომ გამოვიდა ყრილობა და კონფერენცია?
გ) ორგანიზაციული საკითხი ყრილობასა და კონფერენციაზე.
გ) ტაქტიკური საკითხები „ ~ „ „ ~ „
ა)
1. უსაბჭოოდ ყრილობის მოწვევის კანონიერება.
2. თვით ყრილობის კანონიერება.
3. რატომ არ უნდა წავსულიყავით ყრილობაზე? (ერთი ყრილობის ორად გადაქცევა.)

გ) III ყრილობის საორგანიზაციო მუშაობის სამი მთავარი პუნქტი:

გბ) 1) § 1.
2) „ერთცენტრიანობა".

---

* საოქმო კომისიის ჩანაწერში ლენინის ეს გამოსვლა მოცემულია შემდეგი რედაქციით: „ლ ე ნ ი ნ ი. ხომ არ დაეუმატოთ „რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას". რიბკინმა ეს-ეს არის თქვა, რომ შეგვიძლია რეზოლუციაში მივუთითოთ, რომ კავკასიამ არ დაიწყოს აჯანყება, სანამ რუსეთი ვერ შეძლებს მხარი დაუჭიროს მას. მაგრამ ამისათვის უნდა შევცვალოთ მთელი რეზოლუცია. დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ადამიანების ჩვენებებს; საერთოდ ვუერთდები ამხ. პეტროვის შესწორებას, თუმცა იგი მოკლებულია რევოლუციურ მოწოდებას". რ ე დ.

3) „უმცირესობის უფლებათა გარანტია“.

ბგ) კონფერენციის საორგანიზაციო წესდება.

(1) ხელმძღვანელი „კოლექტივები“ (?).

(2) „ადგილობრივი ორგანიზაცია“ (? მერე § 1 ?).

გ) (3) ცენტრალური კომიტეტი და აღმასრულებელი კომისია—და საოლქო კომიტეტი | ??? |

(4) შეთანხმების პირობები? | ყრილობაზე? |

4 1. დროებითი რევოლუციური მთავრობა.

3 2. შეიარაღებული აჯანყება.

2 3. თანამედროვე პოლიტიკური სიტუაცია.

1 4. დამოკიდებულება სხვა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიებისადმი.

5. 5. აღმასრულებელი კომისია.

4. 4. ცენტრალური კომიტეტი = აღმასრულებელი კომისია + საოლქო კომიტეტების წარმომადგენლები = კონფერენცია.

3. 3. საოლქო კომიტეტები = საოლქო ყრილობების არჩეულები.

2. 2. საოლქო ყრილობები = ხელმძღვანელი კოლექტივების დელეგატები.

1. ხელმძღვანელი კოლექტივი = კომიტეტი + ყველა რაიონული კომიტეტი + განსაკუთრებული ჯგუფი.

კომიტეტი ანგარიშს აბარებს რაიონულ კომიტეტებს და გზავნის, წარადგენს იქ „გამოკითხვას“.

კომიტეტი თითქმის არჩევითია რაიონული კომიტეტების წევრების მიერ.

ადგილობრივი ორგანიზაციის ჯგუფები
მენშევიკების კომპლიმენტებიდან:
„დაპირების უხეში დარღვევა“
„პარტიისათვის ყრილობის თავს მოხვევა“

„უმაგალითო დანაშაული“
„პარტიის ნდობის გაცრუება“
„უცერემონიო დამახინჯება“
„შეცვლა“

„ძალადობა ორგანიზებული პროლეტარიატის ნებაზე“ (გვ. 13)

მენშევიკების პირობები

„წარმოდგენილი უნდა იყოს **მთელი პარტია**, ე. ი. მის ნამდვილ წევრთა მასა“ | გვ. 8 |

„განა შეიძლება ტაქტიკური საკითხების გადაჭრა, სანამ მათ წინასწარ არ განიხილავს მთელი პარტია? განა თავჭარიანობა არ არის... შეიარაღებული აჯანყება... ლიტერატურაშიც კი მხოლოდ ახლახან დაიწყო კამათი“ (გვ. 10)

„ჩვენ გაგვიგონია“ (გვ. 10 — 11).

დაწერილია 1905 წლის მაისში,
15 (28) რიცხვის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები სტატიისათვის „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“ [188]

1. გამომდინარეობს თუ არა მარქსის 1850 წლის მარტის „მიმართვიდან“ კომუნისტებისადმი[189], რომ მარქსს დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ ა რ მ ი ა ჩ ნ დ ა კომუნისტების მონაწილეობა დემოკრატიული გადატრიალების ეპოქის დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ბურჟუაზიასთან ერთად?

2. სწორია თუ არა, რომ მარქსს აღნიშნულ „მიმართვაში“ ს ა ე რ თ ო დ ა რ ც კ ი ა ღ უ ძ რ ა ვ ს ს ა კ ი თ ხ ი დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ?

3. არის თუ არა განსხვავება ამათ შორის: „დასაშვებად არ მიაჩნდა მონაწილეობა“ და „არ აღუძრავს საკითხი მონაწილეობის შესახებ“?

4. სწორია თუ არა, რომ ამ „მიმართვაში“ მარქსმა თვითონ აღნიშნა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიის განმტკიცება და მუშათა კომუნისტური პარტიის შესუსტება უკანასკნელ დროს?

5...*

დაწერილია 1905 წლის მაისში, 21 რიცხვამდე (3 ივნისამდე)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პარტიის გათიშვის ნარკვევი[190]

„ეკონომიზმი“ და ძველი „ისკრა“. 1900 — 1903,

პარტიის II ყრილობა. VII. 1903.

ბრძოლა კოოპტაციისათვის, ანუ „საალყო მდგომარეობა“ VIII — XI. 1903.

ad 5.

წრეობანა და პარტია! ზავი „ეკონომისტებთან“ ლენინის „ერესები“ XI. 1903 — I. 1904

1) „ეკონომიზმი“ და ძველი „ისკრა“. (ყრილობის რეზოლუციები 1901)[191].

2) II ყრილობა. 51=8+10++9+24.[192] (= „ეკონომისტები“ და ძველი „ისკრა“.)

3) 26. 8. 1903 — 26. 11. 1903[193]. (არასოდეს მარტინოვთან![194] „მემკვიდრეობითობა“. წერილი 8. X. 1903[195]).

4) 26. 11. 1903 — 7. I. 1904. [საიდუმლო ორგანიზაცია.]

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რედ.

შერიგების ცდები—ძველი და ახალი „ისკრა“ („უფსკრული“).

I—VII. 1904.

5) 7. 1. 1904 — ?9. VII. 1904.

რუსეთის კომიტეტები და „ისკრის“ რედაქცია. „22“ და „19“. [196] ბრძოლა ყრილობისათვის. მამხილებელი „დოკუმენტი“.

ბრძოლა ყრილობისათვის.

VII. 1904—V. 1905.

6) VII. 1904 — V. 1905.

უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო = 3 კონფერენცია. „ვპერიოდი“.

„საერობო კამპანიის გეგმა“.

პარტიის III ყრილობა V. 1905.

7) V.1905. ყრილობა და კონფერენცია.

III ყრილობის შემდეგ. VI. 1905 —

8) III ყრილობის[197] Après le*.

დაწერილია არა უადრეს 1905 წლის მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

უკანასკნელი ცნობები

„პოტიომკინი“ ფეოდოსიასთან[198] გამოჩნდა. მან მოიმარაგა სურსათ-სანოვაგე, წავიდა გაურკვეველი მიმართულებით და თან წაიყვანა რუსეთის ერთი სავაჭრო გემი, პირუტყვით დატვირთული. იტყობინებიან, რომ მან ერთ ინგლისურ სავაჭრო

* — შემდეგ. რედ.

გემზე ქვანახშირიც იშოვა. დანებებაზე ლაპარაკიც კი არ არის: „პოტიომკინი“ მიზნად ისახავს მოაწყოს აჯანყება ყველა სანაპირო ქალაქში. აი ტექსტი მანიფესტისა, რომელსაც „პოტიომკინი“ ავრცელებს (ბუქარესტიდან ერთი გერმანული გაზეთის ცნობით).

„ცივილიზებულ მოქალაქეებსა და მუშა ხალხს! თვითმპყრობელური მთავრობის ბოროტმოქმედებამ აავსო მოთმინების ფიალა. ამბოხების ცეცხლმოდებული მთელი რუსეთი ღაღადებს: ძირს მონობის ბორკილი! მთავრობას სურს სისხლით მორწყოს მთელი ქვეყანა და ივიწყებს, რომ ჯარი შედგება ჩაგრული ხალხის შვილებისგან. „პოტიომკინის“ ეკიპაჟმა გადადგა პირველი გაბედული ნაბიჯი. ჩვენ აღარ გვსურს ვიყოთ საკუთარი ხალხის ჯალათები. ჩვენი ლოზუნგია: სიკვდილი ან მთელი რუსი ხალხის თავისუფლება! ჩვენ მოვითხოვთ ომის შეწყვეტას და საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. ამ მიზნისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ: გამარჯვება ან სიკვდილი! ყველა თავისუფალი ადამიანი, ყველა მუშა ჩვენს მხარეზე იქნება თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!“

„პროლეტარი“ № 7,
1905 წლის 10 ივლისი
(27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის“
ტექსტის მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

რსდმპ პარტიის III ყრილობის ოქმების გამომცემელი კომისიის შენიშვნა ოქმების ტექსტისათვის

ყრილობაზე ხმების რიცხვის შესახებ საოქმო კომისია მკითხველებს სთხოვს მხედველობაში მიიღონ შემდეგი. ყრილობაზე იყო 46 ხმა, რომლებიც წარმოდგენილი იყო 23 დელეგატით, აქედან ერთს ჰქონდა ერთი ხმა, ერთს — სამი, დანარჩენებს — ორ-ორი. (ამხ. გოლუბინის ჩამოსვლის შემდეგ, ე. ი. მე-18 სხდომიდან, იყო 24 დელეგატი.) ყრილობაზე თითქმის ყველა

კენჭისყრის დროს ხმებს ვითვლიდით დელეგატების რიცხვის მიხედვით, ე. ი. სიმარტივისათვის მიღებული იყო, რომ ყველა დელეგატს აქვს თითო ხმა. აი რატომ არის, რომ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ხმების რიცხვი ჯამში იძლევა 23-ს და არა 46-ს. თავისთავად ცხადია, რომ ანგარიშის ეს გამარტივება ვერ მოახდენდა გავლენას შედეგებზე, რადგან მომხრეთა ხმების რიცხვიც და მოწინააღმდეგეთა ხმების რიცხვიც თანაბრად მცირდებოდა ერთიორად. ხმები ერთხელაც არ გაყოფილა ისე, რომ გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული ყოფილიყო 3 ხმის მქონე ერთ ამხანაგზე.

წ. დაწერილია არა უგვიანეს 1905 წლის ივლისისა

დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში „რსდმ პარტიის მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი". ჟენევა, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ფურცლის პროექტი[199]

მოქალაქეებს!

რუს ხალხს

და რუსეთის ყველა ხალხს.

1. საყოველთაო ომი — სისხლისღვრა — დახვრეტა 9. I. — ბარიკადები რიგა — კავკასია, პოლონეთი — ოდესა etc. etc. — გლეხთა აჯანყებანი.
2. რისთვის?

დამფუძნებელი კრება. **თავისუფლება ხალხს.**

ვაჭრობა

3. მთავრობის პასუხები. ერობის ხალხის მოტყუება. მთავრობა ბრძოლაში გვიწვევს. არმია და ფლოტი მერყეობენ.
4. რა ვაკეთოთ? რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა.

5. ყველა შეგნებული მუშა, ყველა პატიოსანი დემოკრატი, საბრძოლველად მზადმყოფი ყველა გლეხი უნდა შეიკრიბოს და დაირაზმოს რევოლუციური არმიის ჯგუფებად და რაზმებად, იშოვოს იარაღი, აირჩიოს თავისი უფროსები, მზად იყოს გააკეთოს ყველაფერი, რაც კი შეიძლება აჯანყების დასახმარებლად.
6. რევოლუციური მთავრობის შექმნა მიზნად უნდა იყოს დასახული. აჯანყების გაერთიანება. ხალხის ძალების თავმოყრა. თავისუფლებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაცია.
7. რევოლუციური მთავრობის ლოზუნგები და მიზნები.

ხუთი მთავარი — — ცენტრალური — მართვის სახალხო ფორმის საფუძველი

(1) დამფუძნებელი კრება.
და კერძო არჩევნები
(2) ხალხის შეიარაღება.
(3) თავისუფლება.
(4) გლეხთა კომიტეტები.
(5) ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლება.
(6) 8-საათიანი სამუშაო დღე.

8. რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა. მუშებო, დაირაზმეთ! შეეცადეთ უხელმძღვანელოთ ხალხს! მოიზიდეთ გლეხები!

დაწერილია 1905 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მოწვევის იმისა, თუ რით განსხვავდება ბულიგინის სათათბიროსადმი ბოლშევიკთა და მენშევიკთა ტაქტიკა

1) გავაძლიეროთ აგიტაცია სათათბიროს შესახებ კანონის გამო.*

* კალრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რედ.

2) მხარი დავუჭიროთ მემარცხენე ფრთას ბურჟუაზიული დემოკრატიისას, რომელმაც წამოაყენა სათათბიროს ბოიკოტის წინადადება.
3) გავაძლიეროთ აგიტაცია სათათბიროს წინააღმდეგ არჩევნების გამო და არჩევნების დროს.
4) აგიტაციის ცენტრალური ლოზუნგი:
შეიარაღებული აჯანყება
რევოლუციური არმია
დროებითი რევოლუციური მთავრობა
(6 პუნქტი).

---

1) იგივე *
2) არა
3) გავაძლიეროთ აგიტაცია არა იმდენად სათათბიროს წინააღმდეგ, რამდენადაც უფრო გაბედულთა არჩევისათვის.
4) აგიტაციის ლოზუნგები:
დამფუძნებელი კრება
სახალხო საagიტაციო კომიტეტები
არალეგალური წარმომადგენლობა
რევოლუციური თვითმმართველობა.

დაწერილია 1905 წლის 11 და 23 აგვისტოს (24 აგვისტოსა და 5 სექტემბერს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები ბულიგინის სათათბიროში არჩევნების საკითხზე

1) მონაწილეობა მივიღოთ და ავირჩიოთ მხოლოდ თვითმპყრობელობის მომხრეები („მოსკოვსკიე ვედომოსტი“ [200]).
2) მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ვ ი ღ ო თ და ა ვ ი რ ჩ ი ო თ

* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ხელნაწერში წაშლილია. რედ.

მხოლოდ ლიბერალები („ვესტნიკ ევროპი“[201], „რუს“[202], „ოსვობოჟდენიე“, etc. etc.).

3) მონაწილეობა მივიღოთ და ავირჩიოთ მხოლოდ დემოკრატიული და თავისუფალი წარმომადგენლობის მტკიცე მომხრეები („ისკრა“).

4) მონაწილეობა მივიღოთ და ავირჩიოთ მხოლოდ იმპერატიული მანდატებით (კიეველი ადვოკატები).

5) მონაწილეობა მივიღოთ და ავირჩიოთ მხოლოდ ისინი, ვინც იკისრებს რევოლუციურ ვალდებულებას (ჩერევანინი „ისკრაში“).

6) აქტიური ბოიკოტი საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგით (ბუნდი).

7) აქტიური ბოიკოტი შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციური არმიის, რევოლუციური მთავრობის ლოზუნგით („პროლეტარი“[203]).

{ *A part**: თვითონ ავირჩიოთ ცალკე საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება თვითნებური ჩასახვის გზით. }

(„ისკრა“ და ნაწილობრივ ბუნდი)[204].

დაწერილია 1905 წლის აგვისტოში,
19 რიცხვის (1 სექტემბრის) შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ“[205]

სოციალისტური პოლიტიკის მთავარი ამოცანა

პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია მკაფიო სოციალისტური პროგრამით. პირველი გამოყენება სინამდვილეში.

* — ცალკე. რედ.

„კადეტები“[206]. მისი ამოცანები (ობიექტური). შდრ. „ნაშა ქიზნს“[207] 18. IX.: მიიზიდოს ხალხი, მეტი ნდობა მოიპოვოს ხალხში etc. etc.

Cf. ibid.* კადეტების პარტიის შექმნის შესახებ და „ბირჟევიე ვედომოსტის“[208] უარყოფა.

მოვსპოთ ეს ნდობა თუ მხარი დავუჭიროთ მას გარკვეული „პირობებით“?

ახალისკრელთა მერყეობა (Parvus-ი, ჩერევანინი, მარტოვი: „გაბედულთა არჩევა“).

უთუო ბრძოლა კადეტებთან. „შემთანხმებლები“. ღალატის დასაწყისი.

საწინააღმდეგო აზრები: 1) „აბსენტეიზმი“. Slander. On the contrary, the most active agitation**.

2) რევოლუციური ბურჟუაზიის მხარდაჭერა“.

Ça dépend***. პარლამენტში? დიახ. ჩვენ მიერ კონსერვატორებისა და კადეტების არჩევის დროს? დიახ. მაგრამ ახლა არც ეს, არც ის, რადგან **ჯერ არ არის** პარლამენტარიზმი. ბრძოლა მისთვის. ღალატი ბრძოლაში. კადეტების რეალური**** მხარდაჭერა ამჟამად არის რევოლუციური ბრძოლა, აჯანყება. ქუჩაში თუ პარლამენტში? (Cf. Marx über Ledru Rollin. 1849.[209])

ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ საშუალებათა გამოყენება? რა თქმა უნდა, დიახ. მუშათა ყრილობა? — დიახ. კრებები? დიახ. მაგრამ რაიმე ნათესაურის გამოყენება არ ნიშნავს

---

* — Confer ibidem — შეადარე იქვე. რ ე დ.

** — ცილისწამება. პირიქით, ყველაზე აქტიური აგიტაცია. რ ე დ.

*** — გარემოებათა მიხედვით. რ ე დ.

**** ორი შესაძლებლობა: (1) სახელმწიფო სათათბირო მხოლოდ ბუზღუნებს. (2) სახელმწიფო სათათბირო იბრძვის ბურჟუაზიის მთავრობისათვის. (Tertium non datur. (მესამე არ არის. რ ე დ.) რევოლუციისათვის სახელმწიფო სათათბირო თანამიმდევრულად ვერ იბრძოლებს.) პირველშიაც და მეორეშიაც გადამწყვეტია აჯანყება. Ad (2) (პუნქტ (2)-ისათვის. რ ე დ.) — მოსახერხებელი საბაბია, მეტი არაფერი. პეტრუნკევიჩების et K⁰ საფრთხე ხელისუფლებაში. რ ე დ.

შერწყმას, შერევას. რომ გამოიყენო, უნდა იყო დამოუკიდებელი, მთელი, შეკავშირებული.

ახალისკრული ტაქტიკის უაზრობა: „შეთანხმება და მხარდაჭერა“ პლუს „სასაცილო არჩევნები, როგორც აჯანყების შესაძლო მოტივი“. საბაბი შეიძლება იყოს ათასი და 1.

არა. ტაქტიკა ახლა სხვაგვარია: 1) ულმობელი ბრძოლა შემთანხმებელ კადეტებთან. 2) მათი დევნა იმისათვის, რომ წავიდნენ სათათბიროში. 3) სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელი პარტიის განვითარება კადეტებთან ბრძოლითა და სახელმწიფო სათათბიროს გამო აგიტაციით. 4) მზადება აჯანყებისათვის, რომელიც ახლოვდება და რომელშიაც არის, და არა „პარლამენტარიზმში“, **ახლა** სიტუაციის არსი. 5) ამ მზადებისათვის, აგიტაციისათვის ყველა ნახევრად ლეგალური და ლეგალური საშუალების გამოყენება. 6) კონცენტრაცია ლოზუნგებით: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური არმია, დროებითი რევოლუციური მთავრობა.

დაწერილია 1905 წლის სექტემბერში,
18 რიცხვის (1 ოქტომბრის) შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ[210]

ოსვობოჟდენიელის საუბარი სოციალ-დემოკრატთან

რიგზე

1) აჯანყების შეუძლებლობა პოტიომკინის after*. — შეუძლებელი შესაძლებელი ხდება (werden).
2) ძალების გადაჭარბებით შეფასება. — „შენ ღატაკიც ხარ** და ბარაქიანიც“.

* — შემდეგ. რედ.

** სრული „უბადრუკობაა“ სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით etc. აბა შეხედეთ მოძრაობას და მის სტიქიურ ზრდას: 9. I. — რიგა, — პოლონეთი — 1½-მილიონიანი გაფიცვა — ოდესა — კავკასია — მოსკოვი. IX. 1905 წ.

3) კ. კაუცკი დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. — აჯანყება უკავშირდება დროებითს რევოლუციურ მთავრობას. მთავრობის მიერ აჯანყების ცნობა=სამხედრო წესები.

4) ბოიკოტის იდეის უგუნურება: არ გამოვიყენოთ იარაღი. — აქაც ისწავლე მტრებისაგან, თუ არ ენდობი მეგობრებს. ბოიკოტის შიში მთავრობაში.

5) აჯანყება და „ხნიერი" მუშები. ტრედუნიონიზმი. „კლასობრივი პარტია". — „მ წ უ ო ბ რ გ ა რ ე შ ე ნ ი". კეთილი, გამოვიყენოთ ისინი ტრედუნიონიზმისათვის, ეს მართალია, მაგრამ ისინი ა რ ი ე რ გ ა რ დ შ ი აღმოჩნდებიან.

6) პარლამენტის წესი: მხარი დაუჭირე მეზობლებს, თორემ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" დაეხმარები. — კეთილი, პარლამენტში მხარს დაგიჭერთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" წინააღმდეგ, როცა ასეთი არჩევანი იქნება, მაგრამ ახლა საქმის არსი სულ სხვაა. ბრძოლა არა პარლამენტ შ ი, არამედ პარლამენტის გ ა მ ო. თქვენ მებრძოლები არა ხართ.

დაწერილია 1905 წლის სექტემბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რუსეთის ფინანსები

ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ თვითმპყრობელური მთავრობა სულ უფრო და უფრო იხლართება თავის საფინანსო საქმეებში (ან ოინებში, რაც, კაცმა რომ თქვას, უფრო

სწორია). ფინანსური კრახის გარდაუვალობა სულ უფრო ცხადი ხდება. აი ამის საინტერესო დადასტურება. ევროპის ფინანსურ მესვეურთა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანოს, ლონდონის „The Economist"-ის [211] ბერლინელი კორესპონდენტი ახალი სტილით 11 ოქტომბერს იუწყებოდა:

„მენდელსონის ფირმის წარმომადგენელი ამ კვირას პეტერბურგში იყო რუსეთის მთავრობისა და ფრანგი ბანკირების მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად რუსეთისათვის ახალი სესხის მიცემის შესახებ, რაზედაც იქ უკვე ბევრი იმსჯელეს. ცნობები, რომლებიც, როგორც ჩანს, ავთენტიკური წყაროებიდან არის აქ მიღებული, ამ სესხს განსაზღვრავენ 75 მილიონ გირვანქა სტერლინგად (700 მილიონ მანეთამდე), საიდანაც საფრანგეთი გაიღებს დაახლოებით ნახევარს, დანარჩენს კი შესთავაზებენ გერმანიაში, ჰოლანდიაში, ინგლისსა და შვეიცარიაში. იმასაც ამტკიცებენ, რომ გამოშვებული ობლიგაციების მეტი ნაწილი (of the issue) უნდა მოხმარდეს იმ სახაზინო ბილეთების დაფარვას (?? taking up the Treasury Notes?), რომლებიც ომის დროიდან არის დაბანდებული საფრანგეთსა და გერმანიაში.

ის, რომ რუსეთი ფულის ბაზრებს მიმართავს ისეთი კონიუნქტურის დროს (at just this juncture), როცა ყველა მსხვილი ცენტრი უაღრესად დაბეჩავებულ მდგომარეობაშია (are under unusual pressure), მიაჩნიათ მისი ფინანსური სიძნელეების (straits) თვალსაჩინო დადასტურებად. ერთ-ერთი ვერსია ის არის, რომ ზემოაღნიშნული თანხის მხოლოდ მცირედ ნაწილს ახლავე შესთავაზებენ ხელმოსაწერად, დანარჩენი კი რვალიზებული იქნება (will be raised) შემდეგ, ალბათ, მომავალი წლის დამდეგს. მაგრამ ეს მხოლოდ კიდევ უფრო აძლიერებს ცუდ შთაბეჭდილებას რუსეთის ფულადი გაჭირვების გამო. გერმანიაში სწორედ ამჟამად რომ არ შეიმჩნევა არავითარი ენთუზიაზმი რუსეთის სესხის გამო, ეს თავისთავად ცხადია. არა მარტო აქაური ფულის ბაზრის პირობები, არამედ უფრო მეტი, ვიდრე ყოველივე ეს, — პოლიტიკური არეულობის (turmoil) გაგრძელება რუსეთში და მთავრობის ავტორიტეტის ამკარა შელახვა, რომ არა ვთქვათ განადგურება (breakdown), — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც გერმანიაში ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (are being weighed in a manner), რაც ავისმომასწავებელია მომავალი ხელმოწერისათვის".

დაწერილია 1905 წლის 1 (14)
ოქტომბრის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ჩანართები ვ. ლენინის სტატიაში „გლეხთა ჟრილოგა“[212]

1

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ შეგნებულმა სოციალისტებმა უთუოდ მხარი უნდა დაუჭირონ მოხელეებისა და მემამულეების წინააღმდეგ მთელი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას, თვით შეძლებული გლეხობისაც კი, მაგრამ შეგნებულმა სოციალისტებმა პირდაპირ და ნათლად უნდა აღნიშნონ, რომ გლეხობისათვის სასურველი „შავი გადანაწილება“[213] ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის სოციალიზმი. სოციალიზმი მოითხოვს ფულის ბატონობის, კაპიტალის ბატონობის მოსპობას, წარმოების საშუალებათა მთელი კერძო საკუთრების მოსპობას, სასაქონლო მეურნეობის მოსპობას. სოციალიზმი მოითხოვს, რომ მიწაც და ფაბრიკებიც გადავიდეს ყველა მშრომელის ხელში, რომლებიც საერთო გეგმით აწყობენ მსხვილ (და არა დაქსაქსულ წვრილ) წარმოებას.

გლეხთა ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის დიდი ნაბიჯია სოციალიზმისაკენ, მაგრამ თვით სოციალიზმამდე ჯერ ბევრი, ძალიან ბევრი უკლია.

2

... ტაქტიკური რეზოლუცია, რომელიც ყრილობამ მიიღო, პირდაპირ განცვიფრებს თავისი უბადრუკობით. უფრო ისა გვგონია, რომ აქ გლეხების რომელიმე კეთილმოსურნემ (ლიბერალმა) კვლავ რაღაც „განმარტა“.

აი რეზოლუცია:

„გლეხთა კავშირის საქმიანობა ადგილობრივი პირობების კვალობაზე შეიძლება იყოს აშკარაც და ფარულიც (კონსპირაციული). კავშირის ყველა წევრი უნდა ავრცელებდეს თავის შეხედულებებს და ახორციელებდეს თავის მოთხოვნებს ყველა შესაძლო საშუალებით, ამასთან არ უნდა უწევდეს ანგარიშს საერთოს უფროსების, პოლიციის და სხვა უფროსობის წინააღმდეგობას. დაბეჯითებით ვურჩევთ მათ ერთ-ერთ ასეთ საშუალებად გამოიყენონ თავიანთი უფლება საზოგადოებრივი მსჯავრის გამოტანისა სოფლის და თემის თავყრილობებსა და კერძო კრებებზე სახელმწიფო კეთილმოწყობის სრულყოფისა და სახალხო კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ“.

ასეთი რეზოლუცია უაღრესად არადამაკმაყოფილებელია ჯანყებისაკენ რევოლუციური_მოწოდების ნაცვლად რეზოლუ-

ცია იძლევა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ლიბერალურ რჩევა-დარიგებებს. რევოლუციური პარტიის შექმნის ნაცვლად რევოლუცია ქმნის მხოლოდ ლიბერალური პარტიის მინაშენს. თვით მოძრაობის მსვლელობა აუცილებლად და გარდაუვალად გათიშავს ლიბერალურ მემამულეებსა და რევოლუციურ ღვეზებს, და ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, შევეცდებით დავაჩქაროთ ასეთი გათიშვა.

„პროლეტარი“ № 25,
1.05 წლის 16 (3) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის“
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲠᲡᲓᲛᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ[214]

1906 წლის 11 (24) თებერვალი

1

ამხ. დანმა არ იცის პარლამენტის ტაქტიკის შესახებ. დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანაში ბიუროს წევრს არა აქვს ჩამორთმეული წინადადებათა შეტანის უფლება.

2

არის ორი წინადადება: გადაწყდეს საკითხი 56 ხმის შესახებ და კონფერენციიდან გაირიცხოს მთელი საოლქო ორგანიზაცია. გთხოვთ კენჭი ვუყაროთ.

3

გთხოვთ კენჭი ვუყაროთ საკითხს: შეიძლება თუ არა პეტერბურგის ორგანიზაციის ნაწილს ჩამოერთვას აქ წარმომადგენლობის უფლება?

4

გთხოვთ ჯერ კენჭი უყაროთ ჩემს წინადადებას: თანახმაა თუ არა კრება კენჭი უყაროს ამხ. მარტოვის წინადადებას.

5

ამხ. ნიკოლაიმ შემოიტანა წინადადება, რომელსაც მან სავსებით სწორად რადიკალური უწოდა[215]; ხოლო როცა შემოაქვთ წინადადება, რომელიც ყველა დანარჩენს აქარწყლებს, მაშინ ჯერ მას უნდა ეყაროს კენჭი.

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ № 12-ში

იბეჭდება მდივნის ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში

რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობა[216]
1905 წლის 10—25 აპრილი (23 აპრილი—8 მაისი)

1

გამოსვლები ყრილობის მე-2 სხდომაზე ყრილობის ბიუროში შემოსული წერილობითი განცხადებების სახელობითი კენჭისყრის თაობაზე[217]

1

ვუერთდები ამხ. შმიდტის წინადადებას და გთავაზობთ ხელი მოგვიწეროთ ყველამ, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას.

2

ამხ. ლარინის წინადადება სხვა არა არის რა, თუ არა უმცირესობის ყოვლად უხეში აბუჩად აგდება ყრილობის უმრავლესობის მიერ...

ვიმეორებ — ეს ყრილობის უმცირესობის უფლებათა უხეში აბუჩად აგდებაა, ეს არის ცდა მოუსპონ უმცირესობას რეგლამენტით მინიჭებულ უფლებათა გარანტიები.

პირველად დაიბეჭდა 1907 წელს წიგნში „ოქმები რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა, რომელიც გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წელს“, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

2

გამოსვლა ყრილობის მე-3 სხდომაზე

ლ ე ნ ი ნ ი არ ეთანხმება დანს[218] და მხარს უჭერს თანამედროვე მომენტის შეფასების საკითხის აუცილებლად განხილვას და დღის წესრიგში ეროვნებათა საკითხის შეტანას.

პირველად დაიბეჭდა 1907 წელს წიგნში „ოქმები რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა, რომელიც გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წელს“, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

3

წინადადება ყრილობის დღის წესრიგის პროექტის VIII პუნქტის ჩამოყალიბების შესახებ

VIII პუნქტს: „პოლონეთისათვის განსაკუთრებული დამფუძნებელი კრების მოთხოვნისადმი დამოკიდებულება“ დაემატოს სიტყვები: „ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით პარტიის პროგრამაში“.

პირველად დაიბეჭდა 1907 წელს წიგნში „ოქმები რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა, რომელიც გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წელს“, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

4

წერილობითი განცხადება ყრილობის მე-15 სხდომაზე

ჩვენი რეზოლუციების პირველსავე გვერდზე ნათქვამია: „კლასობრივი ინტერესები ბურჟუაზიულ რევოლუციაში“[219], ზემოდან 27-ე სტრიქონი.

პირველად დაიბეჭდა 1907 წელს წიგნში „ოქმები რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა, რომელიც გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წელს“, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

5

გამოსვლა ყრილობის 24-ე სხდომაზე[220]

ვგონებ, ამით გამოვხატავ მთელი ყრილობის ნებას, თუ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით მივესალმები მის ახალ წევრებს და გამოვთქვამ სურვილს, რომ ეს გაერთიანება შემდგომი წარმატებითი ბრძოლის საუკეთესო საწინდარი ყოფილიყოს.

პირველად დაიბეჭდა 1907 წელს წიგნში „ოქმები რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობისა, რომელიც გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წელს“, მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

„რეჩი“[221] მეტად აღშფოთებულია იმით, რომ ნახევრად კადეტურ, ნახევრად ბიუროკრატიულ სამინისტროზე მითქმა-მოთქმასთან დაკავშირებით მემარცხენე პრესა ალაპარაკდა კადეტებისა და კამარილას ვაჭრულ გარიგებასა და იმ გამცემლობაზე, რაც გარდაუვალია ასეთი გარიგების დროს.

„განა საჭიროა ამ მტკიცებათა სიცრუისა და უაზრობის დასაბუთება?“ — ბრაზობს „რეჩი“.

თურმე საჭირო ყოფილა, ბატონო კადეტებო, და ძალიანაც საჭირო, იმიტომ რომ ამავე სტატიაში („შიმშილი და პოლიტიკა“) ვკითხულობთ:

„ამ უსაშველო და მძიმე ბრძოლამ (სათანბიროს ბრძოლამ ახლანდელ სამინისტროსთან) ის მაინც მოგვცა, რომ საკითხი პასუხისმგებელ კაბინეტის შესახებ განყენებულ მოსაზრებათა სფეროდან კონკრეტული სინამდვილის ნიადაგზე გადავიდა და განიხილება როგორც ერთ-ერთი რეალური შესაძლებლობა“.

კეთილი და პატიოსანი. მერედა სახელმწიფო საბჭოს მოსპობის საკითხი, ამნისტიის საკითხი, საყოველთაო და ა. შ. საარჩევნო უფლების საკითხი, — ყველა ეს საკითხიც ხომ უკვე „რეალურ შესაძლებლობებს“ წარმოადგენენ? ხომ უდავოა, არა? ამაზე ხომ, ჯერჯერობით, არავითარი მითქმა-მოთქმაც კი არ არის.

რახან ასეა, რა გაეწყობა: „უნდა დაასაბუთო“..

დაწერილია 1906 წლის 24 ივნისს
(7 ივლისს)

დაიბეჭდა 1906 წლის 25 ივნისს
გაზეთ „ეხოსი“ № 4-ში

იბეჭდება გაზეთ „ეხოსის“
ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს ზორის

სხვათა შორის, „რეჩს“ ჰგონია, რომ გენერალი მეტისმეტად ბევრს მოითხოვს მის მიერ კადეტური სამინისტროსათვის გაწეული პროტექციის გამო, და აცხადებს, რომ გლეხების სასარგებლოდ მიწის იძულებითი გასხვისების პრინციპსა და სრულ ამნისტიაზე კადეტებს ვერავითარი პორტფელები ვერ ააღებინებენ ხელსო. ჩვენი ფიქრით, გენერლისათვის, როგორც პრაქტიკული სახელმწიფო მოღვაწისათვის, არ იქნება გონივრული ჩაშალოს გარიგება პრინციპების გამო. იძულებით გასხვისებას ხომ, კადეტთა გეგმის თანახმად, მთელი მიწა არ ექვემდებარება, არამედ მხოლოდ იმდენი, რამდენიც უნდა მიუზომონ გლეხებს, რომ მათ შეძლონ სახელმწიფო ჯაპანის წევა;

შემდეგ, გასასხვისებელი მიწის მფლობელნი მასში მიიღებენ ნაღდ ფულს „სამართლიანი შეფასებით“, ფულს კი ახლანდელ დროში უფრო ადვილად მოუვლი კაცი, ვიდრე მიწას, რომელიც ძველებურად აღარ იძლევა შემოსავალს, რადგან გლეხებს არამც და არამც არა სურთ სხვას დაუმუშაონ მიწა. ხოლო რაც შეეხება ამნისტიას, კადეტებმა ხომ უკვე მოიხადეს თავიანთი ვალი ქვეყნის წინაშე იმით, რომ აცნობეს უზენაეს ხელისუფლებას ხალხის ერთსულოვანი სურვილი — გათავისუფლებული იხილონ ტუსაღები და გადასახლებულნი, ხოლო, რათა არ შეელახათ გვირგვინის განუყოფელი პრეროგატივა ამ საქმეში, გადაწყვიტეს ჩაეფუშათ ამნისტიის კანონპროექტი, რომლის შეტანა სახელმწიფო სათათბიროში განზრახული აქვს შრომის ჯგუფს[222]. რაღა ჭირი უნდა გენერალ ტრეპოვს? მოეშვით ვაჭრობას, გენერალო, და „უდტრვინველად, დაუეჭვებლად, ბედს მინდობილმა“ გადაულოცეთ სადავე ახალ მეეტლეს: თუ ვინიცობაა რამე მოხდა, „უკიდურესი საშუალებანი“ ხომ კვლავინდებურად თქვენს განკარგულებაში იქნება...

დაწერილია 1906 წლის 27 ივნისს
(10 ივლისს)

დაიბეჭდა 1906 წლის 28 ივნისს
გაზეთ „ეხოს“ № 6-ში

იბეჭდება გაზეთ „ეხოს“
ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

კადეტურ-ოქტიაბრისტულ-ჩინოვნიკურ სამინისტროსთან კომბინაცია რომ არ გამოუვიდა, მთავრობამ სინჯა დიქტატურით დაეფრთხო კადეტები. ახლა კადეტები აფრთხობენ მთავრობას — რევოლუციით. „რეჩი“ წერს:

„ხანძარი ძლიერდება — ასეთ შთაბეჭდილებას გვიქმნიან ცნობები, რომლებიც ტელეგრაფით მოგვდის რუსეთის ყველა კუთხიდან... იწვის უკვე არა რევოლუციური ინტელიგენცია და არა თვით მუშათა კლასი, არამედ იწვის გლეხობა, იწვის ჯარი. ე. ი., უფრო სწორად რომ ვთქვათ, იწვის მთელი რუსეთი... საკმარისია გლეხებს ჰატარა საბაბი მიეცეთ, რომ ისინი იკრიბებიან მრავალთასიან ჯგუფებად და საკუთრივ თვითონ უსწორდებიან ხელისუფალთ, მიწათმფლობელთ, არბევენ მამულებსა და კარმიდამოებს“.

ამ „ხანძარზე“ მსჯელობისას პროფ. გრედესკული იჩქარის მთელი სიღრმით გადმოგვიშალოს, თუ როგორ ესმის მას ისტორიული მოვლენები:

„ჩვენ, უეჭველად, გადამწყვეტი მოვლენების წინაშე ვართ. ან მთავრობა გონს მოვა და უახლოეს დღეებშივე გადასცემს ხელისუფლებას სათათბიროს სამინისტროს, ან უდიდეს კატასტროფებს დაგვატეხს თავს“.

მაშ ასე, ან რევოლუცია, ან კადეტური სამინისტრო. რა გასაკვირია, რომ კადეტი გამოიყენებს ყველაფერს, ხოლო ყველაზე მეტად — ხალხის რევოლუციურ თვითმოქმედებას, რომ დაამტკიცოს კადეტური სამინისტროს აუცილებლობა. მაგრამ ამაოდ იტყუებს თავს: რევოლუციური თვითმოქმედების შხამთან და მასის იმ მისწრაფებასთან, რომელიც აღნიშნულია თვით „რეჩში“, რომ კრებების თავისუფლებაზე (არა კრებების კადეტურ თავისუფლებაზე, არამედ სრულ თავისუფლებაზე) და მთელ მიწაზე თავის უფლებებს ახორციელებდეს, ვერას გახდება ის შხამსაწინააღმდეგო საშუალება — კადეტური სამინისტრო, — რომელიც ახლა რევოლუციას კადეტმა ექიმბაშებმა გამოუწერეს.

ეცადეთ, ბატონებო, რევოლუციამ დასძლია ვიტე — დურნოვოს სისტემა, დასძლევს იგი კადეტურ შხამსაწინააღმდეგო საშუალებებსაც.

* * *

ან რევოლუცია, ან კადეტური სამინისტრო — ამბობს „რეჩი“ და დასძენს: ჩვენ რა გვიშავს, რევოლუციისა, ნება გვიბოძეთ მოგახსენოთ, არ გვეშინია, თქვენ იკითხეთო. მაგრამ ასეთი სიტყვების ფასი იცის ყველამ, ვისაც საბრძოლო მომენტში შეუძლია იდგეს საბრძოლო პოზიციაზე. დამრბევთა და ვახმისტრთა ორგანოს „ნოვოე ვრემიასაც“[223] მშვენივრად ესმის, რომ ბატონი გრედესკულები რევოლუციას მხოლოდ იმიტომ ახსენებენ, რომ ცეცხლივით ეშინიათ მისი. და ამიტომაა, ჩვენი აზრით, რომ „ნოვოე ვრემია“ გაცილებით უკეთ ავლენს მოსალოდნელი გარიგების ფსიქოლოგიასა და პოლიტიკურ არსს, როცა აცხადებს: „რევოლუციისა ჩვენ და თქვენ, ბატონო კა-

დეტებო, ერთნაირად გვეშინია, მაგრამ ჩვენ უკვე თითქმის ამოვწურეთ მასთან ბრძოლის ჩვენი რესურსები, თქვენ კი გაქვთ კიდევ რაღაც, მაშ რაღას ელოდებით, სინჯეთ და ნუ გააჯანჯლებთ საქმეს". სწორედ ასეა. კადეტები ამბობენ: შეგვიძლია ცოტაც მოვიცადოთო, ბატონი ნოვოევრემიელები კი გვიკიჟინებენ: ჩქარა, ჩქარა, თორემ რევოლუცია გვჯობნისო.

„ნოვოე ვრემია" უკანასკნელ №-ში სწორედ ასე წერს:

„.... მოხდება აფეთქება, რომლის გამოც პასუხი უნდა აგოს არა მარტო ახლანდელმა სამინისტრომ, არამედ კადეტთა პარტიამაც, რომელსაც ბრალი მიუძღვის იმაში, რომ მან, უკიდურეს მემარცხენეთა წინაშე თავისი პოპულარობის ნაწილობრივი დაკარგვის შიშით, სახელმწიფო სათათბირო წაყენა ფატალური გახანგრძლივებული კონფლიქტის გზით და დანაშაული ჩაიდინა მშვიდობიანი ევოლუციის კანონის მიმართ იმით, რომ დაბეჯითებით მოითხოვდა პოლიტიკური პროგრამის დაუყოვნებლივ საბრძოლო განხორციელებას, მაშინ როდესაც ამას უაღრესად ხანგრძლივი დრო სჭირდება".

ასეც მიდის საქმე: ივაჭრებენ, ერთმანეთს შეაშინებენ, მერე კი მორიგდებიან: საქმე ერთი აქვთ და მიზანიც — ერთი.

დაწერილია 1906 წლის 28 ივნისს
(11 ივლისს)

დაიბეჭდა 1906 წლის 29 ივნისს
გაზეთ „ეპოს" № 7-ში

იბეჭდება გაზეთ „ეპოს"
ტექსტის მიხედვით

ჟურნალ-გაზეთებს შორის

გაზეთი „მისლი"[224] აქვეყნებს იაროსლავლის ადმინისტრაციის საინტერესო „საპროსკრიფციო სიას". ამ სიაში ათობით პირი (56 ქალაქ იაროსლავლიდან და 17 ქალაქ რიბინსკიდან) აღნიშნულია როგორც „არაკეთილსაიმედო", და საიდუმლო პატაკში პოლიციის დეპარტამენტს სთხოვენ „სათანადო განკარგულებებს". „მისლი" ამის გამო წერს:

„დაე ყველამ განსაჯოს. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. რომელსა ჰქონდეს გონება, შეიგნებდეს. პოლიციის დეპარტამენტმა ამჟამად განიზრახა გრანდიოზული ოპერაცია, რათა ერთდროულად, რადიკალურად და „საპოლოოდ" „აღგვაოს" სრულიად რუსეთის პირისაგან მიწისა მთელი რიგი ორგანიზაციები იმ ადამიანთა მასობრივი, არნახული ოდენობით „მო-

ხვეტის“ გზით, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან როგორც სოციალისტ-რევოლუციონერთა, სოციალ-დემოკრატთა პარტიების, გლეხთა და რკინიგზელთა კავშირების თანაზიარნი. ამ მიზნით დეპარტამენტმა ადგილებიდან გამოითხოვა ეჭვმიტანილთა სრული სიები. ერთ ადგილას თავმოყრილ ამ „საპროსკრიფციო სიებში“ უკვე ახლა ჩამოთვლილი ათი ათასამდე დასაპატიმრებელი ადამიანი, რომელთა ღავზე დამოკლეს მახვილი ჰკიდია“.

მაშ ასე, მთავრობა ახალ შეთქმულებას ამზადებს. მიმდინარეობს საომარი მზადება ხალხის წინააღმდეგ, იღებენ „ზომებს“ სათათბიროს დათხოვნისათვის, ადგენენ ათი ათასი დასაპატიმრებელი ადამიანის სიებს! ისევე როგორც ოქტომბერ — დეკემბერში, მთავრობა „ნაბულს უკეთებს“ რევოლუციას, სარგებლობს რა შედარებითი თავისუფლებით, რათა გამოიტყუოს და გაჟლიტოს კიდევ ათასობით თავისუფლებისათვის მებრძოლი.

დაე ყველა და თითოეული თავის პოსტზე იყოს. მთავრობა მოემზადა, — უნდა მოემზადოს რევოლუციური ხალხიც.

დაწერილია 1906 წლის 29 ივნისს (12 ივლისს)

დაიბეჭდა 1906 წლის 30 ივნისს გაზეთ „ეხოს“ № 8-ში

იბეჭდება გაზეთ „ეხოს“ ტექსტის მიხედვით

რსდმპ მეოთხე კონფერენცია („პირველი სრულიად რუსეთისა“)[225]

1906 წლის 8—7 (16—20) ნოემბერი

1

მოხსენება II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის შესახებ

4 (17) ნოემბერი

პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისა და ლატვიელთა რეზოლუცია[226]

1. მხოლოდ გამცემლური ბურჟუაზიის დანაშაულის გამო უნდა დაგვეწყო ბრძოლა სათათბიროს ნიადაგზე.

2. საარჩევნო კამპანიას საფუძვლად უნდა დავუდოთ რევოლუციური და „მშვიდობიანი" ბრძოლის დაპირისპირება, ვაჩვენოთ, რაოდენ საშიშია კადეტთა ჰეგემონია განმათავისუფლებელ მოძრაობაში. აქედან გამომდინარეობს კითხვა: დასაშვებია თუ არა ბლოკი კადეტებთან (შეთანხმება პირველ სტადიაზე).

3. პირველ საფეხურზე, როგორც საერთო წესი, სოციალ-დემოკრატია უნდა გამოდიოდეს დამოუკიდებლად; გამონაკლისის სახით პირველ სტადიაზე დასაშვებია შეთანხმებანი იმ პარტიებთან, რომლებიც აღიარებენ დამფუძნებელ კრებას, შეიარაღებულ აჯანყებას და სხვ.; მეორე სტადიაზე — ტექნიკური ხასიათისა, მხოლოდ მანდატების პროპორციულად განაწილებისათვის. არა არის რა იმაზე საშიში, ვიდრე ის, რომ ეუბნებოდე მასებს: ჩვენთან ერთად ხმა მიეცით შემთანხმებლებსო. კრუშევანი იმით კი არ არის საშიში, სათათბიროში რომ ზის, არამედ იმით, რომ შეადგენს იმ შავრაზმელთა ორგანიზაციის ნაწილაკს, რომელიც მთავრობას უჭერს მხარს. თქვენ ცალკეული წვრილმანი გამონაკლისების გულისათვის მხარს უჭერთ კადეტთა ჰეგემონიას და არღვევთ მთელ ჩვენს პრინციპულ პოზიციას (კავკასიას, მოსკოვს, პეტერბურგს, პოლონეთს არა სურთ შეთანხმებანი). შავრაზმელები თუ გავლენ, სათათბირო მხოლოდ უფრო უკმეხი გახდება. რად გჯერათ, თითქოს სოციალ-დემოკრატების ბრალი იყოს, რომ ხმების გაყოფის დროს შავრაზმელები გავლენ და არა კადეტები?

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 14

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

2

საბოლოო სიტყვა II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის შესახებ მოხსენების გამო

4 (17) ნოემბერი

არჩევნებში შეთანხმება — ეს არის ბლოკი (do ut des*, ეუბნებით თქვენ მასებს). ჩვენ ვამბობთ: რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთად ჩვენ ზოგჯერ მიგვდიავართ, ოპორტუნის-

* — გაძლევ, რომ მომცე. რ ე დ.

ტულსა და მუხანათურთან ერთად — არასოდეს. საარჩევნო კამპანია იწარმოებს 2 ზღვარს შორის: 400 კადეტი + 100 სოციალ-დემოკრატი (შეთანხმების გზით) და 200 შავრაზმელი+ + 250 კადეტი+20 ან 50 სოციალ-დემოკრატი (შეუთანხმებლად). გამოიყვანო შუამავალიცა და მებრძოლიც — ეს ნიშნავს დასცხო საკუთარ პოზიციას. შეთანხმებათა დროს შავრაზმელები დამარცხდებიან, მაგრამ დამარცხდებიან (მორალურად) სოციალ-დემოკრატებიც.

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 14

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

3

გამოსვლა მენშევიკური საარჩევნო პლატფორმის განხილვისას

6 (19) ნოემბერი

მე მხოლოდ ვთქვი, რომ პლატფორმაში რევოლუციური მეთოდები უპირისპირდება მშვიდობიან მეთოდებს, ესაა და ეს, დანარჩენი არ გვაკმაყოფილებს. არ არის აღნიშნული, თუ რით განსხვავდებიან სოციალ-დემოკრატები „მშრომელთა“ სხვა ჯგუფებისაგან (ესერებისაგან), როგორც ეს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციაშია[227]. არ არის მეცნიერული სოციალიზმის დაპირისპირება ვულგარულისადმი.

არ არის ნათქვამი, რომ უნდა ვასხვავებდეთ პროლეტარიატის პოზიციას წვრილი მეპატრონის პოზიციისაგან. პლატფორმა არ იცავს ბლოკს, მაგრამ იგი ბლოკია, რადგან მას შეიძლება წვრილმა ბურჟუამაც მოაწეროს ხელი. ჩვენ პლატფორმაში ვერ მივჩქმალავთ სხვა პარტიებს, აქ კი მათ შესახებ არა არის რა, არის მხოლოდ ბუნდოვანი მითითება: „უფრო მტკიცენი“ და სხვ.

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 14

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

4

გამოსვლები „მუშათა ყრილობის“ მოწვევის საკითხის გამო

7 (20) ნოემბერი

1

ლენინი დაბეჯითებით ამბობს, რომ „მუშათა ყრილობის“ საკითხი მტკივნეულია და საჭიროა მისი განხილვა!

2

ლენინი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ პრესაში გამოქვეყნდა პლეხანოვის, მარტოვისა და სხვათა წერილები, რომ, მაგალითად, კოსტროვს არ შეუტანია სათათბიროს ფრაქციაში წინადადება კადეტური სამინისტროს მოთხოვნის შესახებ (რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა) და ამით დაარღვია პარტიული დისციპლინა, კარგადაც მოიქცა. „მუშათა ყრილობის“ მოწვევის აგიტაციით განზრახ გვიშლიან ხელს პარტიულ საქმიანობაში. ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტის ორგანო, მაგრამ არა გვაქვს ცენტრალური ორგანო, რატომ? ფული გვაქვს, ცენტრალური კომიტეტის ორგანო წესიერად გამოდის, მაგრამ არ არის ორგანიზაცია და ამიტომაც არაა ცენტრალური ორგანო.

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 14

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

5

განსაკუთრებული აზრი, შეტანილი რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე პოლონეთის, ლატვიის მხარის, სანქტ-პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალური სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სახელით

ბუნდის დელეგატებმა კონფერენციაზე შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებდა ბუნდის VII ყრილობის რეზოლუციას და გამოხატავდა სათათბიროს ბოიკო-

ტის ისტორიულ შეფასებას[228]. ქვემოთ ხელის მომწერმა კონფერენციის დელეგატებმა თავი შეიკავეს ამ რეზოლუციის კენჭისყრის დროს შემდეგი მიზეზების გამო. გამოყოფა საკითხისა იმის შესახებ, თუ რა ტომ მივდივართ ჩვენ სათათბიროში[229], საკითხისაგან იმის შესახებ, თუ როგორ მივდივართ ჩვენ იქ, უმართებულოა და შეუძლებელიცაა. ბოიკოტის სისწორის აღიარება იმას მოასწავებს, რომ მთელი ჩვენი ტაქტიკის ძირითადი ხასიათი სავსებით ისეთივე რჩება არჩევნებში ახლანდელი მონაწილეობის დროს, როგორიც იყო იგი I სათათბიროს ბოიკოტის დროს. აღიარო I სათათბიროს კადეტური უმრავლესობა რევოლუციური ელემენტების მოქმედებისათვის ხელისშემშლელად და იმავე დროს მოიწონო არჩევნების პირველ სტადიაზე შეთანხმება კადეტებისა და სოციალ-დემოკრატებისა — ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ჩვეულებრივი წანამძღვრები დაამსხვრიო შენივე პრაქტიკული პოლიტიკით. აღიარო და მხარი დაუჭირო კადეტების ჰეგემონიას მასებში აგიტაციის გაწევისას საერთო სიების წამოყენებით და შემდეგ დაგმო ეს ჰეგემონია საგანგებო დამატებითს რეზოლუციაში — ეს იმას ნიშნავს, რომ უაღრესად გაუტეხო სახელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მთელ ტაქტიკასა და ყველა პრინციპს. ამის საფუძველზე ჩვენ გამოგვაქვს მთელი რსდმ პარტიის წინაშე შემდეგი განსაკუთრებული აზრი.

„სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო ხალხის მასებს სწორად შეეფასებინათ ამ დაწესებულების მიერ ძალაუფლების უქონლობა და დამოუკიდებლობას მოკლებული როლი, სავსებით გაამართლა სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო მოღვაწეობის კომედიამ და სათათბიროს გარეკვამ.

მაგრამ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურმა მოქმედებამ და რუსეთის ლიბერალიზმის შემთანხმებლურმა ტაქტიკამ ხელი შეუშალეს ბოიკოტის უშუალო წარმატებას და აიძულეს პროლეტარიატი გაემართა ბრძოლა მემამულეთა და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციასთან სათათბიროს კამპანიის ნიადაგზეც.

სოციალ-დემოკრატიამ ეს ბრძოლა სათათბიროს გარეთ და თვით სათათბიროში უნდა აწარმოოს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების განვითარების, მთელი ხალხის წინაშე კონსტიტუციურ ილუზიათა შემდგომი მხილებისა და რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის.

საქმის ასეთი მდგომარეობის გამო დაღნიშნული მიზნით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ უაღრესად ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს სათათბიროს ახლანდელ კამპანიაში.

სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო და სათათბიროს კამპანიის ძირითადი ამოცანებია, ჯერ ერთი, განმარტება ხალხისათვის, რომ სათათბირო სრულიად გამოუსადეგარია, როგორც პროლეტარიატისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის, მოთხოვნათა განხორციელების საშუალება. მეორე, ხალხისათვის იმის განმარტება, რომ შეუძლებელია განვახორციელოთ პოლიტიკური თავისუფლება საპარლამენტო გზით, ვიდრე რეალური ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელში რჩება, იმის განმარტება, რომ აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება, დროებითი რევოლუციური მთავრობა და დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მესამე, პირველი სათათბიროს კრიტიკა და რუსეთის ლიბერალიზმის გაკოტრების გამოაშკარავება, განსაკუთრებით კი იმის განმარტება, თუ რამდენად საშიში და დამღუპველი იქნებოდა რევოლუციის საქმისათვის, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში კადეტების ლიბერალურ-მონარქისტულ პარტიას უპირატესი და ხელმძღვანელი როლი შეესრულებინა.

როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტია, სოციალ-დემოკრატია მთელ საარჩევნო და სათათბიროს კამპანიაში უეჭველად დამოუკიდებელი უნდა დარჩეს, მან აქაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუერთოს არც თავისი ლოზუნგები და არც თავისი ტაქტიკა რომელიმე სხვა ოპოზიციურსა თუ რევოლუციურ პარტიას.

ამიტომ საარჩევნო კამპანიის პირველ საფეხურზე, ე. ი.

მასების წინაშე, საერთო წესისამებრ იგი უეჭველად დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს და მხოლოდ პარტიული კანდიდატურები წამოაყენოს.

ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ იმ პარტიების მიმართ, რომლებიც სავსებით იზიარებენ ჩვენი უშუალო პოლიტიკური ბრძოლის ძირითად ლოზუნგებს, ე. ი. აღიარებენ შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას და იბრძვიან დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ამასთან ასეთი შეთანხმებანი შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ კანდიდატების საერთო სიის წამოყენებაზე და არაფრით არ უნდა ზღუდავდეს სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური აგიტაციის დამოუკიდებლობას.

მუშათა კურიაში სოციალ-დემოკრატიული პარტია აუცილებლად დამოუკიდებლად გამოდის და არავითარ სხვა პარტიასთან არ დებს შეთანხმებას.

არჩევნების უმაღლეს საფეხურებზე, ე. ი. ამრჩევთა კრებებზე ქალაქად, რწმუნებულთა და ამრჩევთა კრებებზე სოფლად, დასაშვებია კერძო შეთანხმებანი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შეთანხმების დამდებმა პარტიებმა პროპორციულად გაინაწილონ ადგილები თავიანთი ხმების რიცხვის მიხედვით. ამასთან სოციალ-დემოკრატია დემოკრატიული თანამიმდევრობისა და გაბედულების მხრივ განასხვავებს ბურჟუაზიული პარტიების შემდეგ ძირითად ტიპებს: ა) სოციალისტ-რევოლუციონერებს, პოლონეთის სოციალისტურ პარტიასა და მათ მსგავს რესპუბლიკურ პარტიებს*; ბ) სახალხო სოციალისტებს[231] და ამგვარი ტიპის ტრუდოვიკებს**; გ) კადეტებს".

„პროლეტარი" № 8,
1906 წლის 23 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის"
ტექსტის მიხედვით

---

* შესაძლოა აქ შედიოდნენ ს.-ს.-ებიც (სიონისტ-სოციალისტები[230]).

** შესაძლოა აქ შედიოდეს ზოგიერთი ებრაელი დემოკრატი. ამ საკითხებზე ჩვენ, ებრაელ სოციალ-დემოკრატების დაუსწრებლად, კომპეტენტურად ვერ ვიმსჯელებთ.

მუშათა ყრილობა და ესერებთან შეერთება

(შენიშვნა)

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან „პროლეტარის“ მე-9 ნომრიდან[232], მენშევიკი ი. ლარინი თავის ბროშურაში საჭიროდ მიიჩნევს უპარტიო მუშათა ყრილობას და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეერთებას ესერებთან, პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან და საერთოდ ყველა „სოციალისტურ“ პარტიასთან. ამასთან ი. ლარინი თვითონ აღნიშნავს, რომ ესერების პარტიის წევრთა რიცხვი უცნობია. სოციალისტ-რევოლუციონერები, მისი თქმით, 50 — 60 ათას წევრს ითვლიან თავიანთ პარტიაში. ამას ი. ლარინი შესაძლო გაზვიადებად მიიჩნევს და ამბობს, რომ 30 ათასზე ნაკლები წევრი არ უნდა ვიგულოთ ესერებთანო.

ჩვენ არ ვიცით, თუ საიდან მოიტანა ლარინმა ციფრი 50 — 60 ათასი. იგი წყაროს არ მიგვითითებს. ესერულ ლიტერატურაში ჩვენ ასეთი „მონაცემები“ არ შეგვხვედრია. ესერთა პარტიის პირველი ყრილობის (1905 წლის დეკემბერში) ერთადერთი სრულად გამოცემული ოქმები არავითარ მონაცემებს არ შეიცავს ესერთა პარტიის წევრთა რიცხვზე. ასეთი მონაცემები ვერც იქნებოდა, რადგან რუსეთში არც ერთ პარტიას, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა, არასოდეს არ მოუწყვია პარტიის ყრილობის დელეგატთა არჩევნები პარტიის ყველა წევრის მონაწილეობით და თანაც პარტიის წევრთა განსაზღვრული რიცხვის პროპორციულად. მარტო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა ეს პრინციპი 1905 წლის ნოემბერში გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ ბოლშევიკთა ცკ-ის სახელით[233], ამასთან სრულიად რუსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების 1905 წლის დეკემბრის კონფერენცია[234] უკვე შედგებოდა პარტიის ყოველი 300 წევრის მიერ არჩეული თითო წარმომადგენლისაგან. რსდმპ გამაერთიანებელ (სტოკჰოლმის) ყრილობაზე პირველად იყო მთელი პარტიის მიმართ გამოყენებული წარმომადგენლობა ზემოალნიშნულ საწყისებზე, თანაც მაკონტროლებელი (მნიშვნელოვანწილად) ელემენტი

იყო ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა: თანაბრად ორივე მოწინააღმდეგე ფრაქციისაგან — ბოლშევიკებისა და მენშევიკებისაგან.

ამრიგად, სრულიად გაუგებარია, თუ საიდან მოიტანა ლარინმა მაქსიმალური ციფრი 50 — 60 ათასი. ამ ციფრის მეშვეობით კი (რსდმპ წევრთა რიცხვის დაახლოებით მესამედი) იგი მკითხველებს ჩააგონებდა, რომ სოციალ-დემოკრატებს ესერებთან განაღდებული ჰქონდათ უმრავლესობა ორივე პარტიის გაერთიანებისას. „პროლეტარის“ მე-9 ნომრის ფელეტონში უკვე აღინიშნა ლარინის შეცდომა და ითქვა, რომ სინამდვილეში „ზავისა და დადებითი მუშაობის“ ნაცვლად ასეთი გაერთიანება გამოიწვევდა მხოლოდ შუღლის გაღვივებას, რომ არაფერი ვთქვათ გაერთიანების პრინციპულ შეუწყნარებლობაზე. იმხანად ჩვენი ნათქვამის საინტერესო დადასტურება იყო ლეონ რემის სტატია ფრანგულ სოციალისტურ გაზეთ „L'Humanité“-ს[235] 1906 წლის 17 დეკემბრის (ახალი სტილით) ნომერში. ლეონ რემი იმოწმებს ესერთა პარტიის ოფიციალურ საზღვარგარეთულ ორგანოს „Tribune Russe“-ს[236] და იუწყება, რომ ესერთა პარტიის „საბჭო“ „ესერთა პარტიის რიგებში ითვლის 150 (100-მდე ორგანიზებულ წევრს, ხოლო თუ გავიზიარებთ წევრობის ცნების რამდენადმე უფრო ფართო განმარტებას, ისეთს, როგორსაც წესდებას ზოგიერთი საოლქო კომიტეტი აძლევს, მაშინ — 200 000-ს“.

მკითხველებმა რომ განსაჯონ, საიდან გაჩნდა ეს სასაცილო ციფრი, მოგვყავს რემის სტატიაში არსებული ყველა მონაცემი რაიონების მიხედვით. ჩრდილო-დასავლეთი — 21 ათასი; ვოლგისპირეთი — 14 ათასი („ხოლო თუ ჩავთვლით ყველას, ვინც პარტიის პროგრამას იზიარებს, მაშინ თითქმის ორი ამდენი“); ჩრდილოეთი კავკასია — 21 ათასი; ამიერკავკასია — 17,9 ათასი; ცენტრი — 26 ათასი (მათ შორის მოსკოვში 5000. საკვირველია, რომ ეს ხუთი ათასი დღემდე ლუპითაც ვერ დაუნახავთ ჩვენს მოსკოველ ამხანაგებს); ჩრდილოეთი — 20 ათასი.

მკითხველს ვთავაზობთ ამოხსნას ამოცანა: ვინ უფრო მე-

ტი თავქარიანობა გამოიჩინა — 1) ესერებმა, 2) ლარინმა თუ 3) პლეხანოვმა და აქსელროდმა?

თუ ეს ორი უკანასკნელი ჩამოშორდება თავის თავგამოდებულ თაყვანისმცემელს ი. ლარინს ესერებთან გაერთიანების საკითხში, ამით საქმე ოდნავადაც ვერ გამოკეთდება. ღირს მხოლოდ ვიფიქროთ „სრულიად რუსეთის წარმომადგენელთა“ გამოკვნაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშებისაგან, მოჯამაგირეების ან მედღეურეებისაგან და გლეხებისაგან, შინამრეწველების ან ხელოსნებისაგან და მუშებისაგან და ა.შ.

„პროლეტარი“ № 10,
1906 წლის 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის“ ტექსტის მიხედვით

მოხსენება რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საარჩევნო შეთანხმებათა საკითხის შესახებ[237]

1907 წლის 6 (19) იანვარი
მოკლე საგაზეთო ანგარიში

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პეტერბურგში არ არსებობს შავრაზმული საფრთხე, რის შესახებაც კადეტები ავრცელებენ ზღაპრებს, რათა გადაიბირონ ამომრჩევლები მათი ხმების მისაღებად. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიის წინაშე დგას საკითხი, თუ როგორ გაათავისუფლოს დედაქალაქის მოსახლეობის მასები კადეტთა იდეური ჰეგემონიისაგან. ქალაქის ღარიბ-ღატაკთა მნიშვნელოვანი ფენები, რომელთა შემადგენლობა ნახევრად პროლეტარულია, ჯერ კიდევ მერყეობენ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. კადეტები ქრთამავენ მათ სათათბიროს ადგილებით, რათა განმტკიცონ თავიანთი ზეგავლენა მათზე. აი, ალბათ, რატომაა მიზანშეწონილი რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებსა და ჯგუფებთან შეთანხმება, რათა ერთობლივად შევარყიოთ კადეტთა ზეგავ-

ლენა. ხოლო შეთანხმების პრაქტიკული საჭიროება და შესაძლებლობა, აგრეთვე მისი ფორმები, მომხსენებლის აზრით, ადგილობრივი ორგანიზაციის პრაქტიკულმა მუშაკებმა უნდა გადაწყვიტონ.

„პროლეტარი“ № 12,
1907 წლის 25 იანვარი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის“
ტექსტის მიხედვით

აქვთ თუ არა მენშევიკებს კადეტებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელების უფლება?

რით განისაზღვრება სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა? არსებითად — პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებით. ფორმალურად — პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებებით.

რომელი ასეთი გადაწყვეტილებანი გვაქვს ჩვენ? ჯერ ერთი, რსდმპ გამაერთიანებელი (სტოკჰოლმის) ყრილობის გადაწყვეტილებანი. მეორე, რსდმპ სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცკ-მა დაამტკიცა.

რას გვავალებს სტოკჰოლმის ყრილობის რეზოლუცია სახელმწიფო სათათბიროს შესახებ?

... (პუნქტი 1, ა) „ვეცადოთ უკიდურესად გავაფართოთ და გავამწვავოთ ეს კონფლიქტები (სწორედ კონფლიქტები როგორც მთავრობასა და სათათბიროს შორის, ისე თვით სათათბიროშივე), რათა შესაძლებლობა მოგვეცეს ვაქციოთ ისინი იმ ფართო მასობრივ მოძრაობათა ამოსავალ წერტილად, რომელთა მიზანია...“ და ა. შ.

ასრულებენ თუ არა მენშევიკები ყრილობის ამ მითითებას? აფართოებენ, ამწვავებენ თუ არა ისინი პრეზიდიუმის საკითხში სათათბიროს მემარცხენე ფრთის კონფლიქტს კადეტებთან?

არა, მენშევიკები არღვევენ ყრილობის დადგენილებას.

შემდეგ, ყრილობამ იმავე რეზოლუციაში მიგვითითა: „... ისე წარვმართოთ ჩვენი ეს ჩარევა, რომ ამ. გამწვავებულ-

მა შეტაკებებმა: (ა) დაანახონ მასას ყველა იმ ბურჟუაზიული პარტიის არათანამიმდევრულობა, რომლებიც სათათბიროში იკისრებენ ხალხის ნება-სურვილის გამომხატველთა როლს, და (ბ) შეაგნებინონ ფართო მასას (პროლეტარიატს, გლეხობასა და ქალაქის მეშჩანობას) სათათბიროს სრული უვარგისობა“ და ა. შ.

მაშასადამე, მენშევიკებს შეეძლოთ ყოველგვარი რისკის გაუწევლად და არქილეგალური ნიადაგიდან ფეხის მოუცვლელადაც კი, — ხოლო მენშევიკები ვალდებულიც იყვნენ, რათა მასის წინაშე, ე. ი. სათათბიროში აშკარად განეცხადებინათ, რომ კადეტური პრეზიდიუმი წარმოადგენს იმ პარტიის პრეზიდიუმს, რომელმაც ზურგი შეაქცია რევოლუციას.

რა დაავალა პარტიას რსდმპ სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციამ, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა და 18 მენშევიკმა დელეგატმა მიიღო?

„თავის საარჩევნო კამპანიაში რსდმპ, გამოდის რა პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად, მიზნად ისახავს... 2) განუმარტოს მასებს ძალაუფლებისათვის ბრძოლის მშვიდობიანად დამთავრების ყოველგვარი იმედის მოჩვენებითობა.

... 4) აამაღლოს მასების პოლიტიკური აქტივობა და რევოლუციის ძალების დარაზმვით სათათბიროს გარეთ და თვით სათათბიროშივე შექმნას პირობები, რათა ეს უკანასკნელი იქცეს რევოლუციის დასაყრდენ პუნქტად...“

მენშევიკები, 1906 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, უკვე იმდენად გამემარჯვენდნენ, რომ მყისვე დაარღვიეს თავიანთი საკუთარი დადგენილება. ისინი თავიანთი პირველი ნაბიჯით ახდენენ „რევოლუციის ძალების“ დეზორგანიზაციას თვით სათათბიროშივე, განუმტკიცებენ რა მასებს საქმის მშვიდობიანად დამთავრების იმედს, ვინაიდან მთელი სათათბიროს მიერ, მემარცხენეთაგან პროტესტის

განუცხადებლად, არჩეული კადეტური პრეზიდიუმი იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის მიერ სწორედ იმ იმედების ოფიციალური, საყოველთაო-სახალხო დადასტურება, რომლებსაც სოციალ-დემოკრატია „მოჩვენებითად“ მიიჩნევს.

კადეტებმა აშკარად და სულ მთლად ზურგი შეაქციეს რევოლუციას. „რევოლუციის ძალები“ — ესენი არიან მემარცხენეები, ტრუდოვიკები, ესერები (რევოლუციური ბურჟუაზია) და სოციალ-დემოკრატები. ხელი რომ შევუწყოთ „რევოლუციის ძალების“ ორგანიზაციას და არა დეზორგანიზაციას, მოვალენი ვართ ვუთხრათ მასებს: სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ მემარცხენე, ტრუდოვიკულ, პრეზიდიუმს კადეტების წინააღმდეგ. ტრუდოვიკული პრეზიდიუმი რომ გასულიყო და არ გაემართლებინა დემოკრატის იმედები, მაშინ ამით მასის წინაშე გამოვააშკარავებდით დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და მასებს განვუმტკიცებდით იმის რწმენას, რომ ერთადერთი თანამიმდევრულად დემოკრატიული კლასი პროლეტარიატია.

რა უთხრა ცკ-მა მთელ პარტიასა და მთელ ხალხს, როცა საარჩევნო კამპანიას იწყებდა? რსდმპ ოფიციალურ საარჩევნო პლატფორმაში ვკითხულობთ:

„...მოქალაქენო, სათათბიროში უნდა ვირჩევდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არა მარტო სურთ რუსეთისათვის თავისუფლება, არამედ ისწრაფვიან კიდეც დაეხმარონ სახალხო რევოლუციას ამ თავისუფლების მოსაპოვებლად... პირველ სათათბიროს ეს არ უქნია. მის უმრავლესობას, რომელსაც „ხალხის თავისუფლების“ პარტია ხელმძღვანელობდა, იმედი ჰქონდა, რომ თავისუფლებასა და მიწას მოიპოვებდა მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით... სწორედ ამიტომ სათათბიროში მორჩილ შუამავლებს როდი უნდა ვირჩევდეთ... აირჩიეთ, მოქალაქენო, რევოლუციის მებრძოლნი, რომლებიც თქვენთან ერთად განაგრძობენ გასული წლის იანვარში, ოქტომბერსა და დეკემბერში დაწყებულ დიად საქმეს“.

რა კარგი, რა დიდებული, პროლეტარიატის შესაფერისი

სიტყვებია! და რა დასანანია, რომ მეწშევიკებისათვის ეს ლ ი ტ ო ნ ი სიტყვებია.

პ ა რ ტ ი უ ლ საარჩევნო პლატფორმაში გ მ ო ბ ე ნ პირველი სათათბიროს კადეტურ უმრავლესობას და. მის კადეტურ პოლიტიკას, ახლა კი მემარცხენე სათათბიროში ხელს უწყობენ კადეტთა ჰეგემონიის ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ შექმნას.

„ჩოვი ლუჩ“ № 3,
1907 წლის 22 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ „ნოვი ლუჩის“
ტექსტის მიხედვით

პასუხი ლ. მარტოვს[238]

„რუსკაია ჟიზნის“[239] იმავე №-ში დაბეჭდილია ამხ. ლ. მარტოვის ფელეტონი, რომელშიც იგი უბრუნდება ჩვენს № 2 მოწინავეს* და, უგულებელყოფს რა ფრაქციის კომიტეტის განმარტებას ამ საკითხზე, თვითონ კისრულობს სამართალი გააჩინოს.

რის მიღწევას ლამობს ამხ. მარტოვი ამ უცნაური ნაბიჯით? თუკი მას სურს საბრძოლველად გამოგვიწვიოს ა მ მხრივ — პირადი თავდასხმებისა და ეჭვის მიტანის მხრივ — იგი სასტიკად ცდება. ჩვენ არ ავყვებით მას. ჩვენ ისედაც ძალიან ბევრი გვაქვს ა რ ს ე ბ ი თ ი უთანხმოება, რომელთა გამო ფრაქციაშიც, პრესაშიც და პარტიაშიც გადაგვხდება პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ბრძოლა, და ამიტომ ნებას ვერ მივცემთ თავს კონკლაობისა და პირადი ანგარიშის გასწორების გულისათვის შევეჯახოთ ვინმეს. გზა მშვიდობისა, ამხანაგო, მარტო გაუყევით მაგ გზას, ჩვენ თქვენი თანამგზავრი არა ვართ. სიამოვნებით გითმობთ საბოლოო სიტყვის პატივს, რომლის „იქით“ მართლაც რომ „გზა აღარაა“.

„ნოვი ლუჩ“ № 7,
1907 წლის 27 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ „ნოვი ლუჩის“
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 180 — 184. რ ე დ.

რსდმპ V ყრილობა[240]

1907 წლის 30 აპრილი — 19 მაისი (12 მაისი — 1 ივნისი)

1

გამოსვლა ყრილობის დღის წესრიგის საკითხის გამო კამათის შეწყვეტის წინადადების წინააღმდეგ[241]

1 (14) მაისი

კატეგორიულად ვილაშქრებ კამათის შეწყვეტის წინააღმდეგ. არ შეიძლება უბრალო კენჭისყრით მექანიკურად ვწყვეტდეთ პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს.

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც გაიმართა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი". პარიზი, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

2

გამოსვლა ბარათების საშუალებით საბელოგითი კენჭისყრის წესის დასაცავად[242]

2 (15) მაისი

ლატვიის დელეგაციის წარმომადგენელთან ერთად მე ვიცავ ბარათების საშუალებით კენჭისყრის წესს, რომელსაც დღემდე ვიყენებდით. იგი ყველაზე უფრო დემოკრატიულია, გვიზოგავს დროს, შეაქვს სიცხადე საქმეში. სიყალბეზე ლაპარაკიც ზედმეტია. გაძახებით კენჭისყრის მომხრეებს სურთ მხოლოდ გააჭიანურონ საბელობითი კენჭისყრა და ამით შეუძლებელი გახადონ მისი გამოყენება.

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც გაიმართა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი". პარიზი, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

3

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲒᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ

3 (16) ᲛᲐᲘᲡᲘ

1

წინადადებას ვიძლევი მადლობა ვუძღვნათ ინგლისის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის წარმომადგენლებს ყრილობის მოწყობაში გაწეული დახმარებისათვის. (ტ ა შ ი.)

2

წინადადება შემომაქვს ვიმსჯელოთ, თუ როგორი თანამიმდევრობით განვალაგოთ პუნქტები: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, სათათბიროს ფრაქციის ანგარიში, დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისა და სახელმწიფო სათათბიროსადმი.

დანარჩენი საკითხების თაობაზე ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა ერთხმად გადაწყვიტეს შემდეგი თანამიმდევრობით განალაგონ ისინი:

5) მუშათა ყრილობა, 6) პროფესიული კავშირები და პარტია, 7) პარტიზანული გამოსვლები, 8) უმუშევრობა, კრიზისი და ლოკაუტები, 9) ორგანიზაციული საკითხები, 10) შტუტგარტის კონგრესი, 11) არმიაში მუშაობა, 12) სხვადასხვა საკითხი.

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც გაიმართა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი“.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

პარიზი, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

4

საწინააღმდეგო აზრი ლიბერის შესწორებაზე გურუშაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებული გოლშევიკების რეზოლუციის გამო[243]

15 (28) მაისი

ლიბერი მართალი არაა. თქვენ აქედანვე ხედავთ ლიბერისეულ შესწორებათა ხასიათს. მისი განცხადება ბავშვურია და ეს დამახასიათებელია მისი უპრინციპობისათვის.

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც გაიმართა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი". პარიზი, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

5

გამოსვლა ყრილობის სახელწოდების საკითხის გამო[244]

19 მაისი (1 ივნისი)

მაკვირვებს, რომ მენშევიკებს ეშინიათ V უწოდონ ყრილობას. განა ჩვენი ისტორია ვინმესთვის საიდუმლოა?

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა (რომელიც გაიმართა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი". პარიზი, ცენტრალური კომიტეტის გამოც.

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში[245]

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რუსეთის დღევანდელი გაჭიანურებული ეკონომიური კრიზისის საფუძველზე და მთავრობის რეაქციის უკიდურესი გაძლიერების გამო მნიშვნელოვნად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის და ღრმავდება და ფართოვდება აგრეთვე გლეხთა ბრძოლა ძველი წყობილების წინააღმდეგ;

2) რომ რევოლუციის განვლილი წელი აღინიშნა ყველა კლასის შეგნებულობის სწრაფი ზრდით, უკიდურესი პარტიების გაძლიერებით, კონსტიტუციური ილუზიების გაცრუებით, „ცენტრის“, ე. ი. იმ ლიბერალური პარტიების დასუსტებით, რომლებიც ცდილობენ რევოლუციის შეწყვეტას შავრაზმელი მემამულეებისა და თვითმპყრობელობისათვის მისაღებ დათმობათა საშუალებით;

3) რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მოითხოვენ მჭონებელი კლასების წინააღმდეგ და სოციალიზმისათვის რაც შეიძლება ფართო ბრძოლის პირობების შექმნას;

4) რომ ამ პირობების შექმნის ერთადერთი საშუალებაა დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვება, ხალხის სრული ძალაუფლების დამყარება და პროლეტარიატისთვის აუცილებელი სოციალ-ეკონომიური მოთხოვნების მინიმუმი (8-საათიანი სამუშაო დღე და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის სხვა მოთხოვნები);

5) რომ დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს იმ პირობით, თუ იგი, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, თან გაიყოლიებს გლეხობის მასას მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისათვის,

ყრილობა აღიარებს:

ა) რომ ახლანდელ ისტორიულ მომენტში პროლეტარიატის უმთავრესი ამოცანაა რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა;

ბ) რომ ამ ამოცანის ყოველგვარი დამცირება გარდაუვალად გამოიწვევს მუშათა კლასის — სახალხო რევოლუციის ბელადისა და დემოკრატიული გლეხობის მასის წინამძღოლის — გადაქცევას რევოლუციის პასიურ მონაწილედ და ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალად;

გ) რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ყოველი ღონით უჭერს რა მხარს ამ ამოცანის განხორციელებას, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს პროლეტარიატის დამოუკიდებელი, სოციალისტური მიზნები.

დაწერილია 1907 წლის 21 და 25 მაისს (3 და 7 ივნისს) შუა

დაიბეჭდა 1907 წლის 7 ივლისს გაზეთ „Zihnə"-ს № 78-ში

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით თარგმანი ლატვიურიდან

შენიშვნები შტუტგარტის კონგრესის რეზოლუციის გამო „მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების" შესახებ[246]

ამიტომ კონგრესს მუშათა კლასისა და განსაკუთრებით პარლამენტებში მის წარმომადგენელთა მოვალეობად მიაჩნია მხედველობაში მიიღონ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი ხასიათი და მთელი ძალ-ღონით იბრძოლონ სახელმწიფოთა დამპყრობლური პოლიტიკის, აგრეთვე საომისო სახსრების გაღების წინააღმდეგ და ისე იმოქმედონ, რომ მუშათა კლასის ახალგაზრდობა იზრდებოდეს სოციალიზმის სულისკვეთებითა და ხალხთაძმობის შეგნებით*).

. . .

*) რუსულ შესწორებაში იყო აგრეთვე დებულება: „ისე, რომ გაბატონებულმა კლასებმა ვერ გაბედონ მისი (ახალგაზრდობის) გამოყენება მებრძოლი პროლეტარიატის წინააღმდეგ თავიანთი კლასობრივი ბატონობის განმტკიცების იარაღად". ეს სიტყვები კომისიამ იმიტომ კი არ ამოაგდო, რომ მათ პრინ-

ციპულად არ ეთანხმებოდა ვინმე, არამედ იმიტომ, რომ გერმანელებმა არალეგალურად მიიჩნიეს ისინი, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დათხოვნის საბაბად. ამ შემცირებას რეზოლუციის შესაბამისი პასუხის დედააზრი არ შეუცვლია.

. . .

ომის საფრთხის შემთხვევაში მუშათა კლასი და მისი საპარლამენტო წარმომადგენლები დაინტერესებულ ქვეყნებში მოვალენი არიან ისარგებლონ საერთაშორისო ბიუროს მხარდაჭერით და ყოველი ღონე იხმარონ, რათა ომის გამოცხადებას ხელი შეუშალონ ყველა იმ საშუალებით, რომლებიც მათ რაციონალურად ეჩვენებათ და რომელთა სახეობა დამოკიდებულია კლასობრივი ბრძოლის გამწვავების სიძლიერესა და საერთო პოლიტიკურ ვითარებაზე*).

. . .

*) რუსულ შესწორებაში ნათქვამი იყო, რომ ეს საშუალებები (ომის წინააღმდეგობისა) იცვლება და ძლიერდება (sich ändern und *steigern*) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების კვალობაზე და ა. შ. კომისიამ ამოაგდო „ძლიერდება“ და დატოვა მხოლოდ „იცვლება“.

დაწერილია 1907 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში

დაიბეჭდა 1907 წლის სექტემბრის დამდეგს „გოლოს ჟიზნის“ პირველ კრებულში. ს.-პეტერბურგი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

შენიშვნები კ. ცეტკინის სტატიის გამო „შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი“[247]

შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი*)

. . .

*) ეს სტატია თარგმანია იმ გერმანული სოციალ-დემოკრატიული ორკვირეულის „Die Gleichheit“-ის („თანასწორობა“)[248] მოწინავისა, რომელსაც რედაქტორობს კლარა ცეტკინი და

რომელიც გერმანიის მუშა ქალთა მოძრაობის ორგანოა. შტუტგარტის კონგრესი ამ სტატიაში უაღრესად სწორად და უაღრესად ნიჭიერად არის შეფასებული: მოკლე, მკაფიო, რელიეფურ დებულებებში შეჯამებულია ყრილობის კამათისა და რეზოლუციების უდიდესი იდეური შინაარსი. ჩვენი მხრივ, ამ სტატიას ვუმატებთ რამდენიმე შენიშვნას, რათა რუს მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც ცნობილია დასავლეთ ევროპის სოციალისტური პრესიდან და რომელთა მეტი ნაწილი დაამახინჯეს ჩვენმა კადეტურმა და ნახევრად კადეტურმა („ტოვარიშჩის“ [249] მსგავსმა) გაზეთებმა, ბევრი ტყუილი რომ შეთხზეს შტუტგარტის ყრილობის შესახებ.

. . .

სოციალ-დემოკრატიისა და პროფესიული კავშირების ურთიერთობის საკითხმა ყველაზე მეტად ცხადყო ყველა ქვეყნის შევნებული პროლეტარების ერთსულოვნება. პრინციპში უკვე აღარავინ ეწინააღმდეგებოდა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ძირითად ისტორიულ ტენდენციას — რაც შეიძლება მჭიდროდ შეეკავშიროთ პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა, აგრეთვე ორივე ორგანიზაცია სოციალისტური მუშათა კლასის ერთიან ძალად. მარტო რუს სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელი პლეხანოვი და საფრანგეთის დელეგაციის უმრავლესობა ცდილობდნენ საკმაოდ უხეირო არგუმენტების მოშველიებით*) გაემართლებინათ ამ პრინციპის ერთგვარი შეზღუდვა, იმოწმებდნენ რა თავიანთი ქვეყნების განსაკუთრებულ პირობებს.

. . .

*) რუსეთის სოციალ-დემოკრატთა დელეგაციამ შტუტგარტში წინასწარ განიხილა საკითხები არსებითად, რათა დაენიშნა თავისი წარმომადგენლები კომისიაში. სოციალისტური პარტიებისადმი პროფესიული კავშირების დამოკიდებულების საკითხის კომისიაში პლეხანოვი იყო არა ყველა რუსი სოციალ-დემოკრატის, არამედ მენშევიკების წარმომადგენელი. პლეხანოვი წავიდა კომისიაში „ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ო ბ ი ს“ პრინციპის დასაცავად. ბოლშევიკებმა კომისიაში გაგზავნეს ვოინოვი, რომელიც იცავდა პ ა რ ტ ი ი ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ს, ე. ი. ლონდონის ყრილობის სულისკვეთებით განმსჭვალულ გადაწყვეტილებას ნეიტრალურობის წინააღმდეგ, პარტიასთან პროფე-

სიული კავშირების უმჭიდროესი დაახლოებისათვის. კ. ცეტკინის აზრით, „უხეიროო“ იყო, მაშასადამე, ა რ ა რსდმ პარტიის წარმომადგენლის, არამედ რსდმ პარტიის მენშევიკური ოპოზიციის წარმომადგენლის არგუმენტები.

. . .

მუშათა კლასის რევოლუციურმა ენერგიამ და საკუთარი ბრძოლისუნარიანობის ურყევმა რწმენამ ბოლოს და ბოლოს აქაც დაამარცხა, ერთი მხრივ, საკუთარი უსუსურობის პესიმისტური აღსარება და ბრძოლის ძველი, მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო მეთოდების რუტინული დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, — à la ერვე*) ფრანგი ნახევრად ანარქისტების გამარტივებული ანტიმილიტარისტული სპორტი.

. . .

*) სტატიის ავტორი, ერთმანეთს უპირისპირებს რა კონგრესის მიერ დაგმობილ ორივე გადახრას სოციალიზმისაგან: ერვეს ნახევრად ანარქიზმს და ბრძოლის „მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო“ ფორმებში შეტანილ ოპორტუნიზმს, — არ ასახელებს ამ ოპორტუნიზმის არც ერთ წარმომადგენელს. შტუტგარტის ყრილობის კომისიაში მილიტარიზმის საკითხის შესახებ ასეთივე დაპირისპირებას მიმართა ვანდერველდემ ფოლმარის ოპორტუნისტული სიტყვის პასუხად. ფოლმარი გადაკვრით გვეუბნება, ერვე გავრიცხოთო, — თქვა ვანდერველდემ,— მე პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ და ვაფრთხილებ ფოლმარს, რადგან უკიდურეს მემარცხენეთა გარიცხვა გვაფიქრებინებდა, რომ უნდა გაირიცხონ უკიდურესი მემარჯვენენიც (ფოლმარი ერთ-ერთი ყველაზე „მემარჯვენე“ გერმანელი ოპორტუნისტია).

. . .

დაბოლოს, ქალთა საარჩევნო უფლების საკითხშიც მკვეთრად პრინციპულმა კლასობრიემა თვალსაზრისმა, რომელსაც ქალთა საარჩევნო უფლება მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი უფლებისა და კლასობრივი საქმის ორგანულ ნაწილად, დაამარცხა ოპორტუნისტული ბურჟუაზიული თვალსაზრისი, რომელსაც იმედი აქვს გაბატონებულ კლასებს გამოსტყუოს დამახინჯებული და შეზღუდული საარჩევნო უფლება ქალთათვის*).

. . .

*) შტუტგარტის ყრილობაზე ამ ბურჟუაზიულ თვალსაზრისს იცავდა მხოლოდ ერთი ინგლისელი ქალი Fabian Society-დან („ფაბიანელთა საზოგადოება“ — ინგლისის ინტელიგენტთა კვაზისოციალისტური საზოგადოება, რომელიც უკიდურესი ოპორტუნიზმის მომხრეა).

. . .

ამაუკ დროს კონგრესმა, დაადასტურა რა ამ მხრივ ქალთა ინტერნაციონალური კონფერენციის დადგენილება, საკმაოდ აშკარად განაცხადა, რომ სოციალისტური პარტიები საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში უნდა აყენებდნენ და იცავდნენ ქალთა საარჩევნო უფლების პრინციპულ მოთხოვნას, ამასთან ანგარიში არ უნდა გაუწიონ არავითარ „მოსაზრებას, უხერხულია ეს თუ არა“ *).

. . .

*) სიტყვის გადაკვრაა ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების მისამართით. ქალთა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზეც და ყრილობის კომისიაშიც ქალთა საკითხის გამო გერმანელი სოციალ-დემოკრატი ქალები ეკამათებოდნენ ავსტრიელებს. კ. ცეტკინმა ადრევე უსაყვედურა პრესაში ავსტრიელ სოციალ-დემოკრატებს, რომ მათ საარჩევნო უფლებისათვის აგიტაციაში უკან გადასწიეს ქალებისათვის საარჩევნო უფლების მოთხოვნა. ავსტრიელები მეტად უხეიროდ იცავდნენ თავს და ვიქტორ ადლერის შესწორება, რომელიც ფრთხილად ახორციელებდა „ავსტრიულ ოპორტუნიზმს“ ამ საკითხში, კომისიამ უარყო 12 ხმით 9-ის წინააღმდეგ.

დაწერილია 1907 წლის სექტემბერში — ოქტომბრის დამდეგს

დაიბეჭდა 1907 წლის ოქტომბერში კრებულში „ზარნიცი“, I გამოშვება. სანქტ-პეტერბურგი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ანტიმილიტარისტული პროპაგანდა და სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის კავშირები

შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, როგორც ვიცით, განიხილავდნენ მილიტარიზმის საკითხს, მასთან დაკავშირებით კი ანტიმილიტარისტული პროპაგანდის საკითხს. ამის გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ კონგრესს მშრომელი კლასების მოვალეობად მიაჩნია „ხელი შეუწყონ იმას, რომ მუშა ახალგაზრდობა იზრდებოდეს ხალხთა ძმობისა და სოციალიზმის სულისკვეთებით და განიმსჭვალოს კლასობრივი თვითშეგნებით“. ეს კონგრესს მიაჩნია იმის საწინდრად, რომ ჯარი მმართველი კლასების ხელში აღარ იქნება ბრმა იარაღი, რომელსაც ისინი თავიანთი სურვილისამებრ განაგებენ და რომელიც მათ ყოველ წუთს შეუძლიათ მოუღერონ ხალხს.

პროპაგანდის წარმოება იმ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან, ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი თითქმის შეუძლებელიც. ყაზარმაში ცხოვრება, მკაცრი ზედამხედველობა, იშვიათი შვებულებები უაღრესად აძნელებენ ურთიერთობას გარე სამყაროსთან; სამხედრო დისციპლინისაგან, უგუნური სამხედრო წვრთნისაგან ჯარისკაცები დაშინებული არიან; სამხედრო უფროსობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩაუკლას „რუხ პირუტყვს“ ყოველგვარი ცოცხალი აზრი, ყოველგვარი ადამიანური გრძნობა, ჩააგონოს ბრმა მორჩილება, „შინაური“ და „გარეშე“ მტრებისადმი უგუნური და ველური გაბოროტება... ჩვეულ გარემოს მოწყვეტილ, ეულ, უმეცარ, დაშინებულ ჯარისკაცს, რომელსაც თავი გამოუტენეს ყველაზე ველური შეხედულებებით ყოველივე გარემომცველზე, გაცილებით ძნელად მიუდგები, ვიდრე გასაწვევი ასაკის ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახისა და მათთან საერთო ინტერესებით მჭიდროდ დაკავშირებული ამხანაგების წრეში. ანტიმილიტარისტული პროპაგანდა მუშა ახალგაზრდებს შორის ყველგან შესანიშნავ შედეგებს გვაძლევს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მუშა, რომელიც არმიის რიგებში შეგნე-

ბულ სოციალ-დემოკრატად შედის, ცუდი დასაყრდენია ხელისუფალთათვის.

ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობს სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის კავშირები. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ბელგიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ეს კავშირები წარმოადგენენ მსხვილ ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხსაგებ პარტიულ მუშაობას ეწევიან. რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის კავშირების მთავარი მიზანია თეორიულ განათლება, ნათელი და მთლიანი სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება. მაგრამ ამასთან ერთად ახალგაზრდობის კავშირები პრაქტიკულ მუშაობასაც ეწევიან. ისინი იბრძვიან შეგირდების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ცდილობენ დაიცვან ისინი მეპატრონეთა უზომო ექსპლოატაციისაგან. კიდევ უფრო მეტ დროსა და ყურადღებას უთმობენ სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის კავშირები ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას.

ამ მიზნით ისინი ცდილობენ მჭიდრო კავშირი დაამყარონ ახალგაზრდა ჯარისკაცებთან. ამას შემდეგნაირად აღწევენ. ვიდრე ახალგაზრდა მუშა ჯარისკაცი არ გამხდარა, იგი კავშირის წევრია, იხდის საწევროს. როცა იგი ჯარისკაცი ხდება, კავშირი არ წყვეტს მასთან მუდმივ ურთიერთობას, რეგულარულად უგზავნის მცირეოდენ ფულადს დახმარებას („ჯარისკაცულ ბუს“. როგორც საფრანგეთში ამბობენ), რომელსაც, რასაკვირველია, ცოტა უნდა იყოს თავისთავად, მაგრამ მისთვის არსებითი ნიშნეულობა აქვს. სამაგიეროდ იგი, თავის მხრივ, ვალდებულებას კისრულობს რეგულარულად შეატყობინოს კავშირს ყველაფერი, რაც ხდება მის ყაზარმაში, მისწეროს თავისი შთაბეჭდილებანი. ამრიგად, სამხედრო სამსახურის დაწყების შემდეგაც ჯარისკაცი არ წყვეტს კავშირს იმ ორგანიზაციასთან, რომლის წევრიც იყო.

ყოველთვის ცდილობენ, რომ ჯარისკაცი მშობლიური ადგილიდან რაც შეიძლება შორს გაგზავნონ სამსახურში. ამას იმ ანგარიშით შვრებიან, რომ ჯარისკაცს არავითარი ინტერესები არ აკავშირებდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, თავს უცხოდ გრძნობდეს მასთან. მაშინ უფრო ადვილად შეასრულებინებენ

ბრძანებას — ტყვია დაუშინოს ხალხს. მუშა ახალგაზრდობის კავშირები ცდილობენ გადააჩვიონ ჯარისკაცი ამ განდგომილობას ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ახალგაზრდობის კავშირები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ახალ ქალაქში ჩასვლისას ჯარისკაცს, რომელიც თავის სამშობლოში ახალგაზრდობის კავშირის წევრი იყო, ადგილობრივი კავშირი ხვდება როგორც სასურველ სტუმარს, მაშინვე აცნობს მას ადგილობრივ ინტერესებს, ეხმარება რითაც კი შეუძლია. იგი აღარ არის უცხო, გადამთიელი. ისიც იცის, ვინიცობაა რაიმე უბედურება შეემთხვა, დაეხმარებიან, მხარს დაუჭერენ. ეს შეგნება სიმამაცეს ჰმატებს მას, უფრო თამამად უჭირავს თავი ყაზარმაში, უფრო გაბედულად იცავს თავის უფლებებსა და ადამიანურ ღირსებას.

მჭიდრო კავშირი ახალგაზრდა ჯარისკაცებთან ახალგაზრდათა კავშირებს შესაძლებლობას აძლევს ფართო ანტიმილიტარისტული პროპაგანდა აწარმოონ ჯარისკაცებს შორის. ამას უმთავრესად აღწევენ ანტიმილიტარისტული ლიტერატურის საშუალებით, რომელსაც ახალგაზრდათა კავშირები დიდძალი რაოდენობით უშვებენ და ავრცელებენ, განსაკუთრებით საფრანგეთში, ბელგიაში, აგრეთვე შვეიცარიაში, შვეიცაში და სხვ. ეს ლიტერატურა უაღრესად მრავალფეროვანი შინაარსისაა: ესაა ღია ბარათები ანტიმილიტარისტული შინაარსის სურათებით, ჯარისკაცული ანტიმილიტარისტული სიმღერების კრებულები (მათგან ბევრი სიმღერა მეტად გავრცელებულია ჯარისკაცებში), „ჯარისკაცთა კატეხიზმო“ (საფრანგეთში იგი ასი ათას ცალზე მეტი გავრცელდა), ყოველგვარი ბროშურები, მოწოდებანი, ფურცლები; ყოველკვირეული, ორკვირეული, ყოველთვიური ჟურნალ-გაზეთები ჯარისკაცებისათვის, ზოგი მათგანი დასურათებულია. „კაზარმა“, „რეკრუტი“, „ახალგაზრდა ჯარისკაცი“, „პიუპიუ“ (ახალგაზრდა რეკრუტის მოფერებითი მეტსახელია) და „წინ“ მეტად ფართოდ ვრცელდება. მაგალითად, ბელგიაში გაზეთები „რეკრუტი“ და „კაზარმა“ 60 000-60 000 ცალი იყიდება. განსაკუთრებით ბევრი ჟურნალი გამოდის სარეკრუტო გაწვევის დროს. ჯარისკაცული გაზე-

თების სპეციალური ნომრები ეგზავნება ყველა ახალწვეულს. ანტიმილიტარისტულ ლიტერატურას ჯარისკაცები იღებენ ყაზარმებში, ამ ლიტერატურას მათ აწვდიან ქუჩაში, ჯარისკაცები მას პოულობენ ყავახანებში, სამიკიტნოებში, ყველგან, სადაც კი დადიან.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ახალწვეულებს. მათ უმართავენ საზეიმო გაცილებას. სარეკრუტო გაწვევის დროს ქალაქის ქუჩებში იმართება პროცესიები. მაგალითად, ავსტრიაში შავებში ჩაცმული რეკრუტები სამგლოვიარო მარშით დადიან მთელ ქალაქში. მათ წინ მიუძღვის წითლად მორთული ოთხთვალა. კედლებზე ყველგან აკრავენ წითელ აფიშებს, რომლებზეც მსხვილი ასოებით წერია: „თქვენ არ ესერით ხალხს!“. რეკრუტებს უწყობენ საღამო-წვეულებებს, რომლებზეც მგზნებარე ანტიმილიტარისტულ სიტყვებს წარმოთქვამენ. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ, რათა გაუღვიძონ შეგნება რეკრუტს, დაიცვან იგი იმ იდეებისა და გრძნობების მავნე გავლენისაგან, რასაც ყოველი გზით, ტყუილით თუ მართალით, ჩააგონებენ ყაზარმაში.

და სოციალისტური ახალგაზრდების მუშაობა ამაოდ როდი იკარგება. ბელგიაში ჯარისკაცებს შორის არსებობს უკვე დაახლოებით 15 ჯარისკაცთა კავშირი, რომლებიც მეტწილად სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ემხრობიან და მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. არის პოლკები, სადაც ჯარისკაცთა ორი მესამედი ორგანიზებულია. საფრანგეთში ანტიმილიტარისტული განწყობილება მასობრივი გახდა. დიუნკირხენში, კრეზოში, ლონგვიში, მონსო-ლე-მინში გაფიცვების დროს ჯარისკაცებმა, რომლებიც გაფიცულთა წინააღმდეგ გამოიყვანეს, სოლიდარობა გამოუცხადეს მათ...

არმიის რიგებში დღითი დღე მატულობს სოციალ-დემოკრატების რიცხვი, ჯარი სულ უფრო არასაიმედო ხდება. ვის მიემხრობა ჯარი, როცა ბურჟუაზია ორგანიზებული მუშათა კლასის პირისპირ აღმოჩნდება? სოციალისტური მუშა ახალგაზრდო-

ბა მისთვის ჩვეული მთელი ენერგიითა და მგზნებარებით მუშაობს იმისათვის, რომ ჯარი ხალხის მხარეზე იყოს.

„ვპერიოდ“ № 16, 1907 წლის 8 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ „ვპერიოდის“ ტექსტის მიხედვით

როგორ წერენ ისტორიას „სოციალისტ-რევოლუციონერები“

სოციალისტ-რევოლუციონერთა ცენტრალური ორგანოს „ზნამია ტრუდას“[250] მეხუთე ნომერში დაიბეჭდა მოწინავე შტუტგარტის ყრილობის შესახებ, რომელიც ესერებისათვის ჩვეული ფრაზების ბრახაბრუხითა და უზომო ბაქიბუქითაა დაწერილი. გადმობეჭდილია დეპეშა, რომელშიც ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტი ევროპას აუწყებდა, რომ „რევოლუციური ბრძოლა უბრძანებს პოსტზე დარჩეს“. იგივე ცენტრალური კომიტეტი სრულ კმაყოფილებას გამოთქვამს აგრეთვე ბიუროში[251] სოციალისტ-რევოლუციონერთა წარმომადგენლის „ჩვეული ენერგიის“ გამო. „სოციალისტურმა ინტერნაციონალმა თავისი რეზოლუციით მოიწონა ის თვალსაზრისი პროფესიულ მოძრაობაზე, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვადექით“, — გვარწმუნებს „ზნამია ტრუდა“. ხელფასის მინიმუმის საკანონმდებლო შემოღების საკითხში კონგრესი, დოგმატიკოს კაუცკის საწინააღმდეგოდ, „ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა“. სამ წელიწადში „ჩვენ, რუსი სოციალისტები“, „ვიქეცით დიდ მასობრივ პარტიად. და ეს აშკარად და მოწიწებით (!!!) ცნო ინტერნაციონალმა“.

ერთი სიტყვით, ოცდაათი ათასი შიკრიკი გამოგზავნა ევროპამ, რათა გამოეხატა მოწიწება სოციალისტ-რევოლუციონერებისადმი.

ავთვისებიანმა სოციალ-დემოკრატებმა კი რუსულ სექციაში „პატარა-პატარა ინტრიგებს“ მიჰყვეს ხელი, სახელდობრ: ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატებისა და ესერებისათვის ხმების თანაბრობას, რასაც სოციალისტ-რევოლუციონერები მოითხოვდნენ. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ 11 ხმას

თავისთვის, 6 ხმას — სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის და 3 ხმას — პროფესიული კავშირებისათვის. ბიურომ დაადგინა: 10 ხმა — სოციალ-დემოკრატებისათვის, 7 ხმა — ესერებისათვის და 3 ხმა — პროფესიული კავშირებისათვის. „ადლერმა და ბებელმა, რომლებმაც ჩვენი მოთხოვნის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ამასთანავე განაცხადეს, რომ სრულიადაც არ სურთ დაამცირონ მნიშვნელობა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, რომელიც რუსეთის სოციალიზმისა და რევოლუციის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნიათ. მაგრამ მათ სურთ სამართლიანი იყვნენ და დაადასტურონ, რომ ძალთა თანაფარდობა დაახლოებით თანაბარია“ („ზნამია ტრუდა“).

დაუდევრები, ო, რა დაუდევრები არიან ჩვენი ხლესტაკოვები! არც ესერთა მნიშვნელობაზე, არც „დიდმნიშვნელოვან ფაქტორზე“ ბიუროში არ ყოფილა და ვ ე რ ც ი ქ ნ ე ბ ო დ ა ლაპარაკი. რახან პარტია დაშვებულია კონგრესზე და ბიუროში, მისი მნიშვნელობის შეფასებას ბიურო და მისი წევრები არც კი შეეხებიან. ბიუროს შეუძლია შეაფასოს მხოლოდ პარტიების ძ ა ლ ა ხმების რიცხვის გასანაწილებლად. ბებელმა და ადლერმა გაიზიარეს ბიუროში ჩვენი, სოციალ-დემოკრატების, წარმომადგენლის მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ სოციალ-დემოკრატები და ესერები ძალის მხრივ ა რ ა რ ი ა ნ თ ა ნ ა ბ ა რ ნ ი. ეს მოსაზრებანი რომ გაიზიარეს, მათ, რა თქმა უნდა, აღნიშნეს, რომ პრინციპები, მიმართულებანი კი არ განსჯიან და პროგრამის თაობაზე სოციალ-დემოკრატთა და ესერთა შორის კამათი კი არ წყვეტს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აწონ-დაწონიან ძალას ხმების გასანაწილებლად. ამ თავისთავად ცხადი შენიშვნიდან სოციალისტ-რევოლუციონერთა აღიარება „დიდმნიშვნელოვან ფაქტორად“ ნიშნავს ხლესტაკოვურად მოქცევას.

და ეს მით უფრო მეტი დაუდევრობაა ესერთა მხრივ, როცა ისინი, ზეპირად და თან არასწორად გადმოგვცემენ რა ბებელის და ადლერის შენიშვნის დედააზრს, დუმ ლ თ უ ლ ნ ა ნ გ ვ ე რ დ ს ე რ ს ე ბ ი თ ს მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ბ ს. ბებელის შენიშვნები

შეალამაზეს, ხოლო ის, რაზეც არსებითად ეკამათობდით, მიჩქმალეს. ვითომ რატომ?

არსებითად ჩვენი წარმომადგენლები ბიუროში შემდეგნაირად კამათობდნენ. სოციალ-დემოკრატი იმოწმებდა მეორე სათათბიროს დეპუტატთა რიცხვს, როგორც პარტიების ძალის ყველაზე ზუსტ კრიტერიუმს, და ამასთან დასძენდა, საარჩევნო კანონი გლეხებისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მუშებისათვისო. ესერი არ ეთანხმებოდა და ამბობდა, რომ ესერთა ფრაქციის გარდა სათათბიროში იყვნენ თვითმპყრობელი ესერებიც — ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები. მათი მცირე ნაწილი ესერებს უნდა მიეუმატოთო! თანაც სახალხო სოციალისტებს ჰყოლიათ — ზუსტად სოციალისტ-რევოლუციონერის სიტყვებია — „საუცხოო მწერლები“ („écrivains de premier ordre“, თქვა რუბანოვიჩმა).

სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელმა ამის პასუხად თქვა: დიახ, სახალხო სოციალისტებს ჰყავთ „საუცხოო მწერლები“ — ისევე როგორც ფრანგ რადიკალ-სოციალისტებსა და რადიკალებს[252], თუნდაც იმგვარნი, როგორიც კლემანსოა (ნახეს რა „საუცხოო მწერალი“!). მაგრამ განა საკადრისია დამოუკიდებელი პარტიისათვის თავისი ძალის დასამტკიცებლად უ ც ხ ო პარტია დაიმოწმოს? განა საკადრისია, რომ სახალხო სოციალისტების თვით „საუცხოო მწერლები“ არც კი ფიქრობენ ყრილობაზე დასწრება ითხოვონ?

განა საკადრისია, დავსძენთ ჩვენი მხრივ, რუსეთში ულტრა-რევოლუციონერებად გვაჩვენებდეთ თავს, ევროპაში კი საშველად თმით ეჭაჩებოდეთ სახალხო სოციალისტებს?

„პროლეტარი“ № 17,
1907 წლის 20 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარის“
ტექსტის მიხედვით

მესამე სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია

1907 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა მესამე სახელმწიფო სათათბირო[253]. იგი შეიკრიბა იმ საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც მეფემ მეორე სათათბიროს გარეკვის შემდეგ გამოს-

ცა 1907 წლის 3 ივნისს. ძველი საარჩევნო კანონიც, რომელიც 1905 წლის 11 დეკემბერს გამოიცა[254], შორს იყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლებისაგან, აყალბებდა ხალხის ნება-სურვილს, სათათბიროს ხდიდა ამ ნება-სურვილის მახინჯ გამოხატულებად, — განსაკუთრებით ამ კანონის „განმარტებათა“ შემდეგ, რითაც მეორე სათათბიროს წინაშე გამოდიოდა მეფის თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი სენატი, რომელიც ძველი მოხელეებისა და მოსამართლეებისაგან შედგებოდა. 3 ივნისს მეფემ მუშებს, გლეხებსა და ქალაქის ღარიბობას ის უბადრუკი საარჩევნო უფლებებიც კი წაართვა, რომლებითაც ისინი წინათ სარგებლობდნენ. ამრიგად, თვითმპყრობელობამ ჩაიდინა კიდევ ერთი საზიზღარი დანაშაული ხალხის წინაშე იმით, რომ გააყალბა სახალხო წარმომადგენლობა და სათათბიროში გააბატონა მემამულეები და კაპიტალისტები — მეფის თვითმპყრობელობის ეს ბურჯები, ხალხის საუკუნოვანი მჩაგვრელები. წინასწარ შეიძლებოდა განჭვრეტა, რომ სათათბიროში ისინი გაბატონდებოდნენ. ასეც მოხდა.

ამჟამად ცნობილია, რომ სათათბიროში აირჩიეს 439 წევრი. თუ არ ჩავთვლით რვა უპარტიოს, მაშინ დანარჩენი 431 კაცი განაწილდება ო თ ხ მთავარ ჯგუფად: 1) ყველაზე დიდი ჯგუფი — მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ნ ი, შავრაზმელთა დეპუტატები — 187 კაცი, 2) შემდეგ — ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი[255] და მათთან დაახლოებული პარტიები — 119 კაცი, 3) კადეტები და შეხედულებებით მათთან ახლო მდგომნი — 93 კაცი, 4) მემარცხენენი — 32 (მათგან სოციალ-დემოკრატები — 16-დან 18-მდე კაცი).

თუ რანი არიან შავრაზმელები, ეს ყველამ იცის. მართალია, მათ ეკედლება უმეცარი, შეუგნებელი მუშების, გლეხების, ქალაქის ღარიბობის ერთი ნაწილი, მაგრამ მათ მთავარ, ხელმძღვანელ ნაწილს შეადგენენ მემამულე-მებატონეები, რომელთათვისაც თვითმპყრობელობის შენარჩუნება ერთადერთი ხსნაა, რადგან მხოლოდ თვითმპყრობელობის დახმარებით შეუძლიათ ძარცვონ ხაზინა, მიიღონ დახმარება, სესხი, კარგი ჯა-

მაგრი, ყოველგვარი მოწყალება; მხოლოდ თვითმპყრობელობა თავისი პოლიციითა და ჯარით აძლევს მათ შესაძლებლობას მონობაში იყოლიონ გლეხობა, რომელიც გამწარებულია უმიწობით, შებოჭილია შრომამიგებით, გადაუხდელი ვალებითა და გადასახადის ნარჩენებით.

ოქტიაბრისტები — ნაწილობრივ ესენიც მემამულეები, — უმთავრესად ისინი არიან, ვინც თავისი მამულების პურით დიდ ვაჭრობას ეწევა და თვითმპყრობელობის მფარველობა იმისათვის სჭირდება, რომ საზღვარგარეთ ძალიან დიდი ბაჟი არ დაადონ ამ პურს, ნაკლები დაუჯდეს რუსეთის რკინიგზებით პურის გატანა საზღვარგარეთ, მეტს უხდიდეს ხაზინა ღვინის მონოპოლიისათვის სპირტში, რომელსაც კარტოფილისა და პურისაგან ხდის ბევრი მემამულე თავის სპირტსახდელ ქარხნებში. მაგრამ, ამ მძარცველ და ხარბ მემამულეთა გარდა, ოქტიაბრისტთა შორის ცოტა როდია არანაკლებ მძარცველი და ხარბი კაპიტალისტი-ფაბრიკანტები, ქარხნის მეპატრონეები, ბანკირები. მათაც სჭირდებათ მთავრობის მფარველობა, რათა უცხოურ საქონელს დიდი ბაჟი დაადონ და რუსული საქონელი მამასისხლად გაჰყიდონ, რათა ხაზინა კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელ შეკვეთებს აძლევდეს მათს ქარხნებს და ასე შემდეგ. მათთვის აუცილებელია, რომ პოლიციამ და ჯარმა მუშები მათ ისეთივე მონებად გაუხადონ, როგორიც გლეხები არიან მემამულე-მებატონეებისათვის.

გასაგებია, თუ რაოდენ ახლოს არიან ოქტიაბრისტები შავრაზმელებთან. როგორც კი დაიწყება სათათბიროში ბჭობა სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალზე, ოქტიაბრისტებიცა და შავრაზმელებიც ერთად იზრუნებენ იმისათვის, რომ გამოსაღების მთელი სიმძიმე დააწვეს გლეხებს, მუშებს, ქალაქის ღარიბობას, ხოლო შემოსავალი მისდიოდეთ კაპიტალისტებს, მემამულეებსა და მაღალი თანამდებობის მოხელეებს. თუ სიტყვა ჩამოვარდა გლეხებისათვის მიწის გამოყოფაზე ან მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შავრაზმელები და ოქტიაბრისტები ერთსულოვნად იმოქმედებენ, რათა ცეცხლის ფასად გაასაღონ მხოლოდ ის მიწები, რომლებიც არ სჭირდებათ, თანაც სულით ხორცამდე გაძარცვონ ისედაც ღატაკი გლეხობა:

ისინი შეეცდებიან ხელ-ფეხი გაუკრან მუშებს, რომლებიც კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელქვეშ იტანჯებიან. და, რა თქმა უნდა, შავრაზმელებიცა და ოქტიაბრისტებიც ყოველ ღონეს იხმარენ, რომ მეტი იყოლიოს პოლიცია და ჯარი მათი „ძვირფასი“ ცხოვრებისა და „წმიდათაწმიდა“ საკუთრების დასაცავად: მათ ხომ ცეცხლივით ეშინიათ რევოლუციისა, მუშათა და გლეხთა მძლავრი შემოტევისა, რომლებმაც დაიწყეს დიადი ბრძოლა თავისუფლებისა და მიწისათვის. ოქტიაბრისტები და შავრაზმელები მესამე სათათბიროში ერთად შეადგენენ უდიდეს უმრავლესობას—306 კაცს 439-დან. ეს უმრავლესობა რასაც მოისურვებს, იმას იზამს. იგი რევოლუციის წინააღმდეგია, ანუ, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ, კონტრრევოლუციურია.

მაგრამ ოქტიაბრისტები შეიძლება ზოგიერთ საკითხში არ დაეთანხმონ შავრაზმელთა უმრავლესობას. შავრაზმელები მეტისმეტად გათავხედდნენ. მათ სჯერათ, რომ მარტო პოლიციური მუშტით, მათრახით, ტყვიამფრქვევითა და ხიშტით შეიძლება მოსპო ყოველგვარი რევოლუცია, ხალხის ყოველგვარი სწრაფვა სინათლისა და თავისუფლებისადმი. მათ სურთ, რომ თვითმპყრობელობაზე დაყრდნობით თავიანთი ნება-სურვილისამებრ და თავიანთ სასარგებლოდ განაგონ ხაზინა, ხელთ იგდონ ყველა შემოსავლიანი ადგილი, ვით საკუთარ მამულში, ისე მბრძანებლობდნენ სახელმწიფოში. ოქტიაბრისტებს ახსოვთ, რომ მემამულეები და მოხელეები აქამდე ისე მბრძანებლობდნენ, რომ კაპიტალისტებს ძალიან ცოტას უტოვებდნენ, ყველაფერს თვით ისაკუთრებდნენ. ორი მტაცებელი — შავრაზმელი და ოქტიაბრისტი — წაიკიდნენ ერთი მსუქანი ნაჭრის გულისათვის, დავობენ, ვინ უფრო მეტი დაითრიოს. ოქტიაბრისტებს არ სურთ ყველაფერი ან თუნდაც მეტი წილი შავრაზმელებს დაუთმონ: დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მათ ჭკუა ასწავლა იაპონიის ომმა, რომელმაც ცხადყო, რომ შავრაზმელები ისე უთაურად უძღვებიან საქმეს, რომ თავადაც ზარალობენ და კაპიტალისტებსა და ვაჭრებს ხომ უფრო მეტ ზარალს აყენებენ.

ამიტომაც სწადიათ ოქტიაბრისტებს სახელმწიფო ძალაუფლების ნაწილი იგდონ ხელთ, სურთ თავის სასარგებლოდ დაამტკიცონ კონსტიტუცია და, რა თქმა უნდა, არა ხალხის სასარგებლოდ. თანაც ოქტიაბრისტებს სწადიათ ხალხი მოატყუონ სხვადასხვა ისეთი კანონებით, რომელთაც გარეგნულად ვითომ რეფორმები, გაუმჯობესება შეაქვთ სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრებაში, სინამდვილეში კი მდიდართა ინტერესებს ემსახურებიან. ისინი, შავრაზმელთა მსგავსად, რა თქმა უნდა, ცხადად არიან მოიშველიონ ტყვიამფრქვევი, ხიშტი და მათრახი რევოლუციის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთან ერთად არც იმაზე იტყვიან უარს, რომ გამარჯვების გასანაღდებლად თვალი აუხვიონ ხალხის მასებს მოსატყუებელი რეფორმებით.

ყოველივე ამისათვის ოქტიაბრისტებს სჭირდებათ სხვა მოკავშირეები, არა შავრაზმელები. მართალია, ისინი ამ საკითხებშიც იმედოვნებენ წაგლიჯონ მემარჯვენეთა ნაწილი უკიდურეს შავრაზმელებს „რუსი ხალხის კავშირიდან“ [256], მაგრამ ეს არ კმარა. ამიტომ იძულებული არიან ეძებონ სხვა მოკავშირეები, რევოლუციის ასეთივე მტრები, მაგრამ ამასთანავე შავრაზმელთა მტრებიც, მოსატყუებელი ან წვრილმანი რეფორმების მომხრენი, მსხვილი და, კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისი კონსტიტუციის მომხრენი.

ასეთ მოკავშირეებს ოქტიაბრისტები ადვილად იპოვიან სათათბიროში: ესენი არიან კადეტები, მემამულეთა, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის იმ ნაწილის პარტია, რომელიც მთლიანად შეეგუა ნამდვილი, კარგი კაპიტალისტური მეურნეობის გაძღოლის საქმეს, მსგავსად იმ მეურნეობისა, რომელსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მისდევენ და რომელსაც საფუძვლად უდევს იგივე ექსპლოატაცია, მუშების, გლეხების, ქალაქის ღარიბთა შევიწროება, მაგრამ ჩქარიანური, მარჯვე, ოსტატური ექსპლოატაცია, რომელსაც ერთბაშად ყველა ვერ გაუგებს და ხეირიანად ვერ გაერკვევა მის დედაარსში. კადეტთა პარტიაში ბევრი ისეთი მემამულეა, ნამდვილ კაპიტალისტურ მეურნეობას რომ უძღვება, არიან ასეთივე ფაბრიკანტები და

ბანკირები, ბევრია ადვოკატი, პროფესორი და დოქტორი, რომლებიც კარგ ჯამაგირს იღებენ მდიდრებისაგან. მართალია, კადეტებმა თავიანთი პროგრამით ბევრი რამ აღუთქვეს ხალხს: საყოველთაო საარჩევნო უფლებაც, ყველა თავისუფლებანიც, რვასაათიანი სამუშაო დღეც, მიწაც გლეხებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს გაკეთდა მხოლოდ ხალხის მასების მისაზიდად, სინამდვილეში კი მათ არც პირველ ორ სათათბიროში პირდაპირ არ წამოუყენებიათ საყოველთაო საარჩევნო უფლება; მათ მიერ წამოყენებული კანონები თავისუფლებათა შესახებ სინამდვილეში მიზნად ისახავდნენ რაც შეიძლება ნაკლები თავისუფლება მიეცათ ხალხისათვის; რვასაათიანი სამუშაო დღის ნაცვლად მათ მეორე სათათბიროს შესთავაზეს 10-საათიანი, ხოლო რაც შეეხება მიწას, მზად იყვნენ გლეხებისათვის მიეცათ მხოლოდ ისეთი მიწა, რომელიც არ სჭირდება კაპიტალისტურ მეურნეობას, თანაც გამოსასყიდით და ისეთი რაოდენობით, რომ ამ მიწის მიღების შემდეგ გლეხებს მაინც უნდა ემუშავათ მეზობელ მემამულესთან ქირით. ყოველივე ეს იყო კადეტების ეშმაკური ტყუილი, რაც სრულიადაც არ ირწმუნეს მუშებმა, ოდნავ ირწმუნეს გლეხებმა, ხოლო ნაწილობრივ — ქალაქის ღარიბებმა. ახლა კი, ორი სათათბიროს გარეკვის შემდეგ, კადეტები სავსებით მიყუჩდნენ და ქლესაობა დაუწყეს ოქტიაბრისტებს: გამოაცხადეს, რომ რევოლუციონერები და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები თავიანთ მტრებად მიაჩნიათ, განაცხადეს, რომ სწამთ ოქტიაბრისტთა კონსტიტუციურობა, ხმა მისცეს სათათბიროს თავმჯდომარედ ოქტიაბრისტის არჩევას. გარიგება მზადაა. მართალია, მინისტრ სტოლიპინს, როგორც ჩანს, არ უნდა მტკიცე გარიგება, მას სურს გასაქანი არ მისცეს კადეტებს და ამიტომ გავლენას ახდენს ოქტიაბრისტებზე, მაგრამ სინამდვილეში მაინც შეიქმნება მეორე უმრავლესობა სათათბიროში — ოქტიაბრისტებისა და კადეტებისაგან. ისინი ერთად 212 კაცია, ნახევარზე ცოტა ნაკლები, მაგრამ მათ მხარს დაუჭერენ უპარტიოებიც, რომელნიც რვანი არიან, ასე რომ უმრავლესობა შეიქმნება; თანაც მემარჯვენეთაგან

ზოგს შეუძლია მაინც მისცეს ხმა ზოგიერთ საკითხზე ოქტიაბრისტებთან და კადეტებთან ერთად. რა თქმა უნდა, ეს მეორე უმრავლესობაც კონტრრევოლუციური იქნება, შეებრძოლება რევოლუციას; იგი მხოლოდ შეინიღბება უბადრუკი ან ხალხისათვის უმაქნისი რეფორმებით.

შეუძლია თუ არა მესამე სათათბიროს ამ ორ უმრავლესობას დაამარცხოს რევოლუცია?

რუსეთის დიდი რევოლუცია ვერ შეწყდება, სანამ გლეხები მიწას არ მიიღებენ რამდენადმე საკმარისი რაოდენობით და სანამ ხალხის მასები არ მოიპოვებენ მთავარ გავლენას სახელმწიფოს მართვაზე. შეუძლია თუ არა ყოველივე ამის მოცემა სათათბიროს ორივე უმრავლესობას? ამის კითხვაც კი სასაცილოა: განა მემამულე-მებატონეები და მტაცებელი კაპიტალისტები გლეხებს მისცემენ მიწას და ხალხს დაუთმობენ მთავარ ძალაუფლებას? არა! ისინი ერთ ნაჭერს მიუგდებენ მშიერ გლეხს და მას სულით ხორცამდე გაძარცვავენ, მარტო კულაკებსა და სოფლის წურბელებს დაეხმარებიან კარგად მოწყობაში და მთელ ძალაუფლებას თვითონ აიღებენ, ხალხს კი ჩაგვრასა და მორჩილებაში იყოლიებენ.

გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა განაგრძონ ხალხის დიადი საქმე,—რევოლუცია, ბრძოლა თავისუფლებისა და მიწისათვის.

სათათბიროში ოქტიაბრისტთა მომხრე მთავრობას და კადეტებს უნდათ თვალთმაქცურად იმოქმედონ. მთავრობას, რომელიც აძლიერებს დევნას, იპყრობს რუსეთს ხიშტით, სახრჩობელით, საპატიმროთი, გადასახლებით, სურს რეფორმების მომხრედ მოგვაჩვენოს თავი. კადეტები, რომლებიც სინამდვილეში ოქტიაბრისტებთან არიან ჩახუტებულნი, ცდილობენ დაგვარწმუნონ, თავისუფლების ნამდვილი დამცველები ვართო. ამათაც და იმათაც ხალხის მოტყუება და რევოლუციის ჩახშობა სწადიათ.

არა, ეს არ მოხდება! სოციალ-დემოკრატები, საყოველთაო-სახალხო განთავისუფლებისათვის თანამიმდევრული და ერთგუ-

ლი მებრძოლნი, ჩამოჰგლეჯენ ნიღაბს ფარისეველებსა და მატყუარებს. სათათბიროში, ისევე როგორც სათათბიროს გარეთ, ისინი გამოააშკარავებენ შავრაზმელ მემამულეთა და მთავრობის ძალადობას და კადეტთა სიცრუეს. ისინი მიხვდებიან, ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ახლა არა მარტო საჭიროა შეურიგებლად ვებრძოლოთ მთავრობას, არამედ არც ის შეიძლება, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხარი დავუჭიროთ კადეტებს.

და უწინარეს ყოვლისა და ყველაზე ომახიანად უნდა გაისმას სოციალ-დემოკრატთა მრისხანე მამხილებელი ხმა მეფის იმ საზიზღარი დანაშაულის წინააღმდეგ, რაც მან 1907 წლის 3 ივნისს ჩაიდინა. დაე პროლეტარიატის წარმომადგენლებმა სათათბიროში დაარწმუნონ ხალხი, რომ მესამე სათათბირო ვერ დაიცავს მის ინტერესებს, ვერ შეასრულებს მის მოთხოვნებს, და რომ ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სრულუფლებიან დამფუძნებელ კრებას, რომელსაც აირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით.

მთავრობა ახალ-ახალ კანონებს შემოგვთავაზებს. ამასვე იზამენ ოქტიაბრისტები, კადეტები, შავრაზმელები. ყველა ამ კანონით თავხედურად მოატყუებენ ხალხს, უხეშად დაარღვევენ მის უფლებებსა და ინტერესებს, აბუჩად აიგდებენ მის მოთხოვნებს, წაბილწავენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხის მიერ დაღვრილ სისხლს. ყველა ამ კანონით დაიცავენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს. ყოველი ამ კანონთაგანი ახალი რგოლი იქნება მონობის იმ ბორკილებში, რომლებსაც მოძალადეები და პარაზიტები უმზადებენ მუშებს, გლეხებს, ქალაქის ღარიბობას. ამას უცდა ყველა როდი მიხვდება. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა იციან და ესმით ეს და ამიტომ გაბედულად ამხილებენ ამას მოტყუებული ხალხის წინაშე. ამასთან მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ კანონებს, რომლებიც შეეხება ხალხის ყველაზე საარსებო საჭიროებებს, — კანონებს მიწის შესახებ, კანონებს მუშების შესახებ, სახელმწიფო გასავლისა და შემოსავლის შესახებ. მებატონე-მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალადობასა და სიცრუეს რომ ამხილებენ, სოციალ-დემოკრატები მოვალენი არიან გა-

ნუმარტონ მთელ ხალხს თავიანთი მოთხოვნები. — ხალხის სრული გამგებლობა (დემოკრატიული რესპუბლიკა). შეუზღუდველი თავისუფლება და თანასწორობა, რვასაათიანი სამუშაო დღე და მუშების შრომის პირობების შემსუბუქება, მსხვილი მამულების კონფისკაცია და მიწის გადაცემა გლეხებისათვის. მათ უნდა აღნიშნონ ის დიადი მიზანიც, რომელსაც ყველა ქვეყნის პროლეტარიატი ისახავს, — სოციალიზმი, დაჭირავებული მონობის სრული მოსპობა.

სოციალ-დემოკრატთა გვერდით სათათბიროში არის მემარცხენეთა, უმთავრესად, ტრუდოვიკთა პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფს სოციალ-დემოკრატებმა უნდა მოუწოდონ გაჰყვეს მათ. ეს განსაკუთრებით დაგვჭირდება მაშინ, როცა შეკითხვები უნდა წარვუდგინოთ მთავრობას, რომელიც პირისსახლიანი მხეცივით მძვინვარებს რუსეთში. ცარიზმის დასაბმელი ძაღლები — პოლიციელები, ჟანდარმები, თვით უზენაესი ხელისუფალნიც — მინისტრები და გუბერნატორები — ყოველდღიურად სჩადიან უხეშ ძალადობას და უკანონობას. საჭიროა მათი მხილება და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ხოლო ეს სოციალ-დემოკრატებმა უნდა გააკეთონ. მაგრამ შეკითხვას სჭირდება სათათბიროს 30 წევრის ხელმოწერა, სოციალ-დემოკრატების რაოდენობა კი თვრამეტზე მეტი არ იქნება: სხვა მემარცხენეებთან ერთად ისინი 32 არიან. სოციალ-დემოკრატებმა უნდა შეადგინონ შეკითხვა და მოუწოდონ მემარცხენეებს შეუერთდნენ მათ. თუ მემარცხენეებისათვის ნამდვილად ძვირფასია თავისუფლების დიადი საქმე, უნდა შეუერთდნენ მათ. და მაშინ მთავრობას მძიმე ლახვარს ჩასცემენ, ისევე როგორც მისთვის ჩაუცია თავისი შეკითხვებით სოციალ-დემოკრატიას მეორე სათათბიროში.

ასეთია სოციალ-დემოკრატთა მთავარი ამოცანები მესამე სახელმწიფო სათათბიროში. დიდი ჯაფა დაადგებათ იქ ჩვენს ამხანაგებს. იქ ისინი იქნებიან გაბოროტებულ და შეურიგებელ მტრებს შორის. მათ პირში ბურთს ჩასჩრიან, წამდაუწუმ შეურაცხყოფენ, ისიც შეიძლება, რომ სათათბიროდან გარიცხონ კიდეც, პასუხისგებაში მისცენ, საპყრობილეში ჩაყარონ,

გადაასახლონ. ისინი მტკიცენი უნდა იყვნენ, ყოველგვარი დევნის მიუხედავად, მაღლა უნდა ეჭიროთ პროლეტარიატის წითელი დროშა, ბოლომდე უერთგულონ საყოველთაო-სახალხო განთავისუფლებისათვის დიდი ბრძოლის საქმეს. მაგრამ ჩვენც, ამხანაგო მუშებო, ყველამ ერთსულოვნად, ერთად უნდა დავუჭიროთ მხარი მათ, გულისხმიერად დავუგდოთ ყური ყოველ მათს სიტყვას, გამოვეხმაუროთ მას, მათი მოქმედების შესახებ ვიმსჯელოთ მიტინგებსა და კრებებზე, თანაგრძნობითა და მოწონებით განვამტკიცოთ ყოველი მათი სწორი ნაბიჯი, ყოველი ღონითა და საშუალებით დავეხმაროთ მათ რევოლუციის საქმისათვის ბრძოლაში. დაე მუშათა კლასი ერთიანი იყოს თავის წარმომადგენელთა მხარდაჭერაში და დაე ამით მან განიმტკიცოს ერთიანობა, რაც ესოდენ სჭირდება თავისი დიადი ბრძოლისათვის, — იმ დროისათვის, როცა გაიმართება „უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლა“.

„ეპერიოდ“ № 12, 1907 წლის ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ „ეპერიოდის“ ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი[257]

1908 წლის 11 — 13 (24 — 26) აგვისტო

1

განცხადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო

განცხადება:

იმის გამო, რომ ცდილობენ მიჩქმალონ განსახილველი ინციდენტის ამოსავალი პუნქტი, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ დასაწყისშივე სავსებით გარკვეულად ვთქვი შემდეგი:

გრიგოლის ცნობის თანახმად, ეზრა სწერდა მას, რომ **უმცროსი ძმა უარყოფს პლენარული ცენტრალური კომიტეტის** *Existenzrecht*-ს*. აი ეს ცნობა, რომელიც სავსებით დაადასტურა

* — არსებობის უფლებას. რედ.

გრიგოლმა, ხოლო აშკარად არ უარუყვია ეზრას, შეადგენს მეკთა საქციელის **უკანონობას** და ბუნდის ცენტრალური კომიტეტის მიერ **ასეთი** საკითხის განხილვის უკანონობას. ამიტომ დაბეჯითებით მოვითხოვ მოიძებნოს თვით წერილის ტექსტი.

ლ ე ნ ი ნ ი

შეტანილია 1908 წლის 12 (25) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

პროექტი დადგენილებისა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო მომხდარი ინციდენტის შესახებ

ცენტრალური კომიტეტი ავალებს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს[268] შეადგინოს განსაკუთრებით დაწვრილებითი ანგარიში პლენუმის მოწვევის გამო მომხდარი ეგრეთ წოდებული ინციდენტის შესახებ, ეზრას წერილების შესახებ, პეტრეს განცხადებათა და მთელი კამათის შესახებ ამ ანგარიშის შესანახად ცენტრალური კომიტეტის არქივში; მიენდოს ვიწრო შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტს გამოაქვეყნოს ეს ანგარიში, როცა ეს საჭირო იქნება.

შეტანილია 1908 წლის 13 (26) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

3

პროექტი დადგენილებისა ცენტრალური საზღვარგარეთული ბიუროს შექმნის შესახებ

1) საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები აღიარებული არიან რსდმ პარტიის ხელშემწყობ ჯგუფებად.

2) ცენტრალური კომიტეტი ნიშნავს ახალ ცენტრალურ სა-

ზღვარგარეთულ ბიუროს 10 კაცის შემადგენლობით. თუ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი არ შედგა, კოოპტაცია ან შეცვლა ხდება მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს დამტკიცებით.

3) ცენტრალური საზღვარგარეთული ბიურო ემსახურება საზღვარგარეთული ხელშემწყობი ჯგუფების საჭიროებებს და ასრულებს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს საერთო-პარტიულ დავალებებს.

4) საზღვარგარეთულ ბიუროში შედის ცენტრალური კომიტეტის 1 წევრი (პლენუმის ან საზღვარგარეთული ბიუროს დანიშვნით) veto-ს უფლებით.

5) რაც შეიძლება ახლო მომავალში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს კონტროლით გაიმართება შეძლებისდაგვარად ყველა საზღვარგარეთული ხელშემწყობი ჯგუფის ყრილობა.

6) ყრილობის წესდებას ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო.

7) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს ევალება ყოველი ღონე იხმაროს, რათა ამ ყრილობაზე სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის ყველა ეროვნული ჯგუფი გაერთიანდეს რსდმ პარტიის ხელშემწყობ ერთიან ადგილობრივ ჯგუფებად. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო ამ საკითხის თაობაზე უნდა დაუკავშირდეს ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყველა ცენტრალურ კომიტეტს.

8) თავიანთი შემოსავლის 85—90% ჯგუფებს შეაქვთ ცენტრალური კომიტეტის სალაროში. გამონაკლისის ნებართვა, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ემიგრანტებზე გაწეული ხარჯები) ეკუთვნის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს.

შეტანილია 1903 წლის 13 (26) აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება წყლნაწერის მიხედვით

რსდმპ პარტიის V სრულიად რუსეთის კონფერენცია[259]

1908 წლის 21—27 დეკემბერი (1909 წლის 3—9 იანვარი)

1

კონსპექტი სიტყვისა ორგანიზაციულ საკითხზე[260]

I. შემადგენლობა (12 მოციქული / 5 [არა]ხელშესახები (ანგელოზის ჩინით)[261])

II. (ა)

1. საგაფიცვო მოძრაობა და რევოლუციური შეტევა;
2. რეფორმიზმი და რევოლუცია;
3. ნაციონალიზმთან ბრძოლის ამოცანები;
   —დაისვას ყრილობის წინაშე;
4. როგორ ვიმუშაოთ ლეგალურ საზოგადოებებში.

III. (გ)

(1) სათათბიროს ფრაქცია.
(2) ლეგალური გაზეთები.
(3) ლეგალური საზოგადოებანი.
(4) არალეგალური აგიტატორები და მათი ფარული ლოზუნგები.

IV. (გ)

რეზოლუციები და მათი პოპულარიზაცია...

V. (დ)

ნდობით აღჭურვილი პირნი და მათი წამოყენება.

დაწერილია 1908 წლის 24 დეკემბერს (1909 წლის 6 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

განმარტება ორგანიზაციულ საკითხზე წარმოთქმული სიტყვის გამო[262]

ფაქტობრივი განცხადება

ვადასტურებ, რომ ჩემს სიტყვაში ორგანიზაციულ საკითხზე, რომლის განხილვასაც გადავყევით დღეს, **მე ერთი სიტყ-**

ვაც კი არ მითქვამს და არც მინდოდა მეთქვა არც კავკასიელთა დამოკიდებულებაზე „გოლოს სოციალ-დემოკრატასადმი“ [263] და არც „გოლოს სოციალ-დემოკრატაზე“ საერთოდ, ამიტომ, დაიწყო რა თავისი სიტყვა განცხადებით, რომ ამ საკითხზე ამჟამად არავითარი უთანხმოება არ არის კავკასიელებსა და „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ შორის, ამბ. პეტრე თბილისელმა ყოვლად უსაფუძვლოდ ახსენა ჩემი სახელი. რაც შეეხება წინანდელ კამათს, მე ვლაპარაკობდი „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ რედაქციის ზოგიერთი წევრისა და კავკასიელთა მხოლოდ იმ უთანხმოებებზე, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმის კრებაზე გამოვლინდა.

ნ. ლენინი

შეტანილია 1908 წლის 24 დეკემბერს
(1909 წლის 6 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

3

წინადადება რეზოლუციებისათვის კენჭისყრის წესის შესახებ

თუ არ არის მოთხოვნა კენჭი ვუყაროთ ვინმეს მიერ კონფერენციაზე შემოტანილ ერთ-ერთ რეზოლუციას, მაშინ კონფერენცია კენჭისსაყრელად აყენებს რეზოლუციას კომისიის მუშაობის წარმართვის შესახებ.

ხოლო თუ არის წინასწარი მოთხოვნა ახლავე კენჭი ვუყაროთ ვისიმე რეზოლუციას როგორც საფუძველს, მაშინ ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ სრულდება.

ლენინი

შეტანილია 1909 წლის 24 დეკემბერს
(1909 წლის 6 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

4

პროექტი რეზოლუციისა კონფერენციის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შესახებ

კონფერენცია სთხოვს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები, რათა გამოიცეს კონფერენციის რეზოლუციები და შეტანილი პროექტები, ხოლო თუ შესაძლებელია — კონფერენციის ოქმებიც ან მოკლე ანგარიში.

შეტანილია 1908 წლის 26 დეკემბერს
(1909 წლის 8 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

ფაქტობრივი განცხადება[264]

ვადასტურებ, რომ ამხ. ლიადოვის საწინააღმდეგო შეხედულებას გამოვთქვამდი იმ თვალსაზრისით, რომელიც არაერთგზის ხაზგასმით აღმინიშნავს სიტყვაში, რომ ცენტრალური კომიტეტის ***veto***-ს უფლება უ დ ა ვ ო ა.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

შეტანილია 1908 წლის 26 დეკემბერს
(1909 წლის 8 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

6

განცხადება მენშევიკთა პროექტის გამო ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ[265]

ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამხანაგების მარტინოვისა და იგორევის წერილი, რომლის ცენტრალურ კომიტეტში შეტანას ისინი დაგვპირდნენ და 4 თვეა არ შეუტანიათ, შეეხებოდა არა ცენტრალური კომიტეტის

მუშაობის დაყენებას, არამედ მისი „არსებობის უფლების“ (Existenzrecht), ე. ი. შეეხებოდა სწორედ ლიკვიდატორულ გეგმებს.

ნ. ლენინი

შეტანილია 1903 წლის 26 დეკემბერს
(1909 წლის 8 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მარქსიზმის ლექციების გეგმა[266]

მარქსიზმი

(α) ზედმეტი ღირებულების თეორია (Mehrwert).
(β) ეკონომიური განვითარება.
(γ) კლასობრივი ბრძოლა.
(δ) ფილოსოფიური მატერიალიზმი.

აგრარული საკითხი

(α) სასაქონლო წარმოება მიწათმოქმედებაში.
(β) წვრილი წარმოება მსხვილის vs*.
(γ) დაქირავებული შრომა.
(δ) რენტა.

(α) 1. წინანდელი სოციალისტები: „უსამართლოა“ etc. გრძნობის სიმპტომი და არა გაგება.
2. „შრომითი საწყისი“ (რუსეთში).
3. სასაქონლო წარმოება.
4. კაპიტალიზმი. *Mehrwert*-ის თეორია.

(β) 1. ეკონომიური განვითარება. მრეწველობა (1907).
2. რუსი შინამრეწველნი.
3. მიწათმოქმედება.
4. რკინიგზები და ტრესტები.
5. საფინანსო კაპიტალი.
6. წარმოების განსაზოგადოება. სოციალიზებული **შრომა** და ინდივიდუალური **მითვისება**.

(γ) 1. პროლეტარიატი და მისი შეკავშირება (ყმა გლეხი — პაუპერი — პროლეტარი).
2. ცალკეული გაფიცვები. მანქანების „მსხვრევა“.
3. პროფესიული კავშირები და მოძრაობა.

4. პოლიტიკური ბრძოლა:
   ინგლისი — ლიბერალები
   საფრანგეთი — რადიკალები (რესპუბლიკელები)
   გერმანია — ლიბერალები (60-იანი წლები) და ოპორტუნისტები.
5. მუშათა კლასის რევოლუციური მიზნები: კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია.
6. რევოლუციური ბრძოლა და რეფორმებისათვის ბრძოლა.

(δ) ფილოსოფიური მატერიალიზმი.
1. Marx-ის თეორია — ერთიანი მსოფლმჭვრეტელობა.
2. 2 მთავარი მსოფლმჭვრეტელობა და ფილოსოფიური ამოსავალი წერტილი: ხუცობა და მატერიალიზმი.
3. ენგელსი (ლუდვიგ ფოიერბახი).
4. 1789 წლის საფრანგეთი — ჰეგელი და ფოიერბახი გერმანია (1848 წლის წინ).
5. დიალექტიკური მატერიალიზმი.
6. რუსეთი: ჩერნიშევსკი
   ნაროდნიკები
   ახლანდელი ოპორტუნისტები (ბოგდანოვი).

დაწერილია 1908 ან 1909 წელს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირი[267]

1909 წლის 8—17 (21—30) ივნისი

1

სიტყვები პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ურილოგის ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლო აგიტაციის შესახებ რეზოლუციის განხილვის დროს

8 (21) ივნისი

1

ერთი მხრივ, აცხადებენ, რომ პრინციპული უთანხმოებანი არ არისო, უარს ამბობენ აშკარად გამოთქვან აზრი, ხოლო,

მეორე მხრივ, ლაპარაკობენ პრინციპულ უთანხმოებებზე ბოლშევიკურ ფრაქციაში. განა ეს ორპირობა არ არის? საერთო-პარტიულ კონფერენციაზე დანმა თქვა: ვინ არ იცის, რომ ლენინს ბრალად ედება მენშევიზმიო? მე მას ვუპასუხე: წაიკითხეთ „პროლეტარი“ და მის საფუძველზე განსაჯეთ, ჭორებს კი ნუ აჰყვებით-მეთქი. მაქსიმოვს მაშინ კრინტი არ დაუძრავს. იმაზე უარესი არაფერია, ვიდრე აშკარა ბრძოლის არარსებობა. მე ვამბობ: პრინციპული ერთიანობა დარღვეულია-მეთქი, თქვენ სხვას ლაპარაკობთ, ამავე დროს კი ლენინს მარტოს უწოდებთ... რატომ არის ეს კრება პარტიული თვალსაზრისით არალეგალური? ყრილობაზე არჩეული არიან ბოლშევიკური ცენტრის წევრები, ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ჯობს ბოლშევიკურ შეხედულებათა გატარება. რა არის აქ დაუშვებელი? განსაკუთრებული ბოლშევიკური ყრილობისათვის აგიტაციის გაწევით თქვენ გვიჩვენებთ, რომ საბოლოოდ დაკარგეთ პარტიულობის იმედი. ჩვენ ყოველთვის, II ყრილობიდან მოკიდებული, პარტიულობის მომხრენი ვიყავით და ახლა განვაგრძობთ მხოლოდ იმავე ხაზს, თქვენ კი ქვედა ფენებში გათიშვას ქადაგებთ. მენშევიკებსაც აქვთ პარტიულობის მიმდინარეობა. ჩვენ გვწამს პარტიულობა და ვიცავთ მას.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

2

მაქსიმოვი ამბობს, რომ ყრილობისათვის აგიტაცია არ წარმოებდა. ლიადოვმა, სტანისლავმა, ვსევოლოდმა საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვეს თავიანთი აზრი. 1908 წლის მაისიდან ლიადოვი და სტანისლავი აგიტაციას ეწეოდნენ რუსეთში. ჩვენ გვაქვს სტანისლავის რეზოლუცია, მასში საკმაოდ ნათლადაა ნათქვამი, რაც მას სურს[268]. ეს ფრაქციის აბუჩად აგდებაა. მენშევიკებს აქვთ ორთოდოქსალურ-მარქსისტული, პლეხანოვური, მიმდინარე-

ობა. ბოლშევიკებსაც აქვთ აგრეთვე ორთოდოქსალურ-მარქსისტული მიმდინარეობა. მენშევიკებსა და ჩვენც გვაქვს ვალენტინოვურ-მაქსიმოვური ლიკვიდატორული მიმდინარეობა და ა. შ. ამხ. მაქსიმოვის განცხადების გამო მაგონდება, რომ ჩემი სიტყვები იყო პასუხი მაქსიმოვის სიტყვისა: „ისახება სავსებით ლენინურ-პლეხანოვური ფრაქციაო“.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

სიტყვა ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის საკითხის განხილვისას[269]

9 (22) ივნისი

მინდა შევჩერდე „ცენტრის იდეაზე“. კოტკის კონფერენციის[270] შესახებ მაქსიმოვმა აურ-დაურია; საქმე ასე იყო: იმ შემთხვევაში, თუ პოლონელები ბოიკოტის მომხრენი იქნებოდნენ, ჩემი ხმა კი გადამწყვეტი აღმოჩნდებოდა, მე განვაცხადე, რომ მაშინ მირჩევნია ხმა მივცე ბოლშევიკებთან ერთად-მეთქი. ეს იყო ჩემი დათქმული პირობა პოლონელების მიმართ. მაშინ მთელი ბოლშევიკური ცენტრი ბოიკოტის წინააღმდეგი იყო. ფრაქცია კი ბოიკოტს უჭერდა მხარს, მაგრამ გათიშვა არ მომხდარა, რადგან არ ყოფილა ჯგუფი, რომელსაც ეს ნდომებოდა. ერთი წლის შემდეგ ფრაქცია ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა. არიან „ბოლშევიკები“, რომლებსაც ეშინიათ ოტზოვისტების ცემა და მენშევიკებთან ერთად ყოფნა. კონფერენციაზე მე „მენშევიკებთან“ ერთად გამოვედი ოტზოვისტების წინააღმდეგ. აი რას ფიქრობთ თქვენ ცენტრის შესახებ.

მაქსიმოვის მიერ მოყოლილი გათიშვის ამბავი კურიო-

ზულია. მაქსიმოვის ქაღალდებში არაფერია ნათქვამი ცენტრის შესახებ, მაგრამ მიხას წერილი ახლა დამტკიცებულია. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ ლენინი მემარჯვენე ბუნდელთა ხაზს ატარებსო. ეს არის დოკუმენტებში. მიხა იმას წერდა, რასაც ახლა მაქსიმოვი ამბობს. აი ცენტრის იდეა. და ეს წერილი გამოგვიგზავნეს ჩვენმა კავკასიელმა მეგობრებმა, რომლებმაც მანდატი გადასცეს მემარჯვენე ილიჩს. ამ პოლიტიკას ატარებდა მიხა 1908 წლის ივლისში ჯგუფის მონაწილეობით. მაქსიმოვი ამბობს, რომ ჩვენ დავიწყებთ სხდომების გამართვას პლეხანოვთან ერთადო. რასაკვირველია, დავიწყებთ, ისევე როგორც დანთან, მარტოვთან ცენტრალურ ორგანოში[271]. ოტზოვისტების ლოიალობის მიღწევას კონფერენციაზე გააფთრებული ბრძოლა დასჭირდა. ჩვენ მათ ულტიმატუმებს ვუყენებდით. როცა აქსელროდმა წაიკითხა პუნქტი სამხედრო-საბრძოლო ამოცანების შესახებ, დასძინა: „ასეთ „ბოლშევიკებთან“ ძნელი არაა მუშაობაო“. ჩვენ არ შევუშვებთ ოტზოვისტებს სათათბიროს კომისიებში, სადაც დანთან ერთად ვიყავით. დიახ! ჩვენ სხდომები გვექნება პლეხანოვთან, ისევე როგორც დანთან და მარტოვთან. თქვით ამის შესახებ პრესაში.

მე ცენტრალურ კომიტეტში მარატთან ერთად მაქვს სხდომები. თქვენ, მარატ, ღვთაებრივ ოტზოვისტთა ფრაქციის წევრი ხართ. მე ვლაპარაკობ არა კეთილ განზრახვებზე, არამედ პოლიტიკურ ხაზზე. გთხოვთ, ამხანაგებო, დაუფიქრდეთ იმას, რასაც პლეხანოვზე ამბობენ. როცა პლეხანოვი ლაპარაკობს თავის შეცდომაზე პროფესიული კავშირების წინაშე, ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ თავიდან არ ვიშორებთ მას. როცა იგი მზადაა მსხვერპლად გაიღოს თავისი შეცდომა, საკითხავი ის არის, ჩვენ ვიმხრობთ მას სტატიით ლუნაჩარსკის წინააღმდეგ თუ თქვენ იშორებთ თავიდან „მეკ“ [272] პარტიელთა უმცირესობას და „მეკ“ ორთოდოქსალურ მარქსისტებს ბოგდანოვ-ლუნაჩარსკის ანტიმარქსისტული პროპაგანდის გულისათვის? ჩვენ და პლეხანოვს პირი არ შეგვიკრავს ლუნაჩარსკის წინააღმდეგ, მაგრამ გეტყვით, თუ ვინ ვის ელაცინება. როცა პლეხანოვი პოტრესოვს აგდებს, მზად ვარ ხელი გავუწოდო მას. აქ ახალი

ცენტრი კი არა, ახალი კარიკატურული ბოლშევიზმია. ჩვენ გვიმეორებენ როზა ლუქსემბურგის ძველ ამბავს [273]. მაგრამ ეს კარიკატურული გამეორებაა, ამისაგან უნდა ვიხსნათ „ბოლშევიზმი“.

„ბოლშევიზმი“ ახლა მტკიცედ მარქსისტული უნდა გახდეს.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

3

სიტყვა კაპრის პარტიული სკოლის საკითხის განხილვისას[274]

10 (23) ივნისი

მაკვირვებს, როგორ არ მოგებეზრდა ყოველივე ეს. ამხ. მარქსიმოვი ტყუილად ცხარობს, რადგანაც არც ერთი გათიშვა არ მომხდარა უზომო ბრალდებათა გარეშე, ხოლო გამიჯვნის ინციდენტებს ყოველთვის ღირსების საკითხებში ურევდნენ. მახსოვს სცენები კრიჩევსკისთან 1901 წელს, მარტოვთან 1905 წელს, პლეხანოვთან 1907 წელს — და ყველა მე მომცივდებოდა ხოლმე ყვირილით: ეს ღირსების საქმეაო. საქმე ღირსება კი არა, ის არის, რომ ბრძოლის პროცესში ადამიანები შლიან თავიანთ ფრაქციას და ახალს ქმნიან. მაგალითად, ლიადოვი. იგი ცუდი ამხანაგი არ გამხდარა, მაგრამ დეზორგანიზაცია შემოაქვს ჩვენს ფრაქციაში და თავისას ქმნის. ვფიქრობ, რომ მარქსიმოვი იმათ დეზორგანიზაციას ეწევა, ვისაც მენშევიკად თვლის. ეს მისი უკანონიერესი უფლებაა, იგი კი სკოლაში ლენინის მიწევების შესახებ გველაპარაკება. კონტროლის საკითხიც სასაცილოა. ასე არ შეიძლება. ცხადია, რომ სკოლა ახალი ცენტრი, ახალი მიმდინარეობაა. მარატი ამბობს, ჩემს პოსტებს არ დავტოვებო. თქვენ, ამხ. მარატ, აჰყევით ფრაქციულობის ჟინს, რომელიც „ღვთაებრივ“ ოტზოვისტთა პოლიტიკური ბრძოლით განისაზღვრება.

რა არის ფრაქცია? ეს არის თანამოაზრეთა კავშირი თვით პარტიაში. სათათბიროში—პარტია არის თანამოაზრეთა კავშირი თვით სათათბიროში. სათათბიროს წევრის, მაგალითად ხომიაკოვის, გადასვლა მეორე პარტიაში ხომ არ ართმევს მას სათათბიროს თავმჯდომარედ ყოფნის უფლებას. იგივე ითქმის პარტიისადმი ფრაქციის დამოკიდებულებაზეც. იმ პოსტის ჩამორთმევა, რომელიც პარტიისაგან მიიღეთ, მხოლოდ პარტიას შეუძლია. ჩვენ ახლა ვჩხუბობთ — ეს იმიტომაა, რომ არა გვაქვს თანამოაზრეთა კავშირი. თქვენს პარტიულ პოსტს არავინ ხელყოფს და მისი აქ მოტანა ზედმეტია. ჩვენ ფრაქციის გათიშვა გვაქვს და არა პარტიისა. პარტიული პოსტები ჩვენს კრებას არ ექვემდებარება. ხოლო ღირსებაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. ჩემდათავად ამას მივეჩვიე: უკვე მეოთხედ მლანძღავენ. უნდა ვაღიაროთ ის, რაც არის: ორი ცენტრი, ორი მიმდინარეობა და სკოლა როგორც ფაქტი. ხოლო ყველაფერი უფრო ნათელი გახდება, როცა ჩვენ ერთმანეთს გავემიჯნებით.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „...პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

4

სიტყვა ფრაქციის ერთიანობის საკითხის განხილვისას

12 (25) ივნისი

მე არ ვუპასუხებ მაქსიმოვს. ყველა იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი სხდომაა მასთან ერთად. მხოლოდ თავი უნდა შევიკავოთ დასასრულ ერთმანეთის ლანძღვისაგან. ეს არ შეგვფერის. მარატი ამბობს, რომ წინადადებას მაძლევენ ჩემი თავი მევე გავაგდოო. როცა მარატმა განაცხადა: მირჩევნია ანტიოტზოვისტებთან ვიმუშაო, ვიდრე ოტზოვისტებთანო, ამ განცხადებას „ბრავოს“ წამოძახილით შეხვდნენ. კაპრიზე გამ-

თიშველი ცენტრის მოწყობაში მას არავინ არ სდებდა ბრალს; ღვთისმშენებლობაზე კი სავსებით გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი. იგი ფორმალურად არაა მართალი. ჩვენი მხრივ, ჩვენ არ გვიწარმოებია დაყოფა იმის იქით, სადაც თანამოაზრეთა ცალკეული ცენტრები უკვე შეიქმნა.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

5

სათათბიროში მოღვაწეობის მიმართ ბოლშევიკების ამოცანების საკითხის განხილვისას წარმოთქმული პირველი სიტყვა

12 (25) ივნისი

ვიშნევსკის მოხსენება პირველი დადებითი მოხსენებაა, რომელსაც აქ ვისმენთ.

რაც შეეხება საერთო-პარტიულ კონფერენციაზე დელეგატის გაუგზავნელობას, მგონი, ვიშნევსკი ცდება. პოლეტაევი ამბობდა, რომ დეპუტატები ჩამოვლენ, თუ დანი დეპეშას გაუგზავნისო. დანმა უარი თქვა. კონფერენციის მეტად ავნო დელეგატის არყოფნამ[275].

თქვენ მცოდნე პირებზე[276] ამბობთ, მათი გაგდება არ შეიძლებაო. მათთან ბრძოლის საშუალებაა საჯაროობა. საჭიროა მეტ ცნობებს ვიძლეოდეთ მათ შესახებ. დავყოთ ისინი ჯგუფებად და გავცეთ მათი დახასიათებანი.

ფრაქციასთან „პროლეტარის“ რედაქციის მდივნის საკითხი ისაა, რომ მდივანი თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ იყო, მეტისმეტად ფორმალურად წერდა; სტეკლოვი არაა ის ფიგურა, რომელიც საჭიროა, ჩვენ გვჭირდება შავი მუშა. საჭიროა რაც შეიძლება საფუძვლიანი ინფორმირება, უამისოდ ყველა ხელშემწყობი ჯგუფი არაფრის მაქნისი არ იქნება.

პარიზის ხელშემწყობი ჯგუფი[277] — ეს სათუთი საქმეა. ჩვენ მხარს დავუჭერთ პლეხანოვის ხაზს, დანარჩენი მენშევიკები ამას მეტად ნერვიულად ეკიდებიან. დანის ყაიდის მენშევიკებთან დაახლოება ძნელია. როგორ შევადგინოთ ჯგუფი? მენშევიკები კარგა ბლომად მორეკავენ იქ ხალხს. ჩხუბის გარდა, არაფერი გამოვა. ხომ არ შეიძლება კინკლაობის თავიდან ასაცილებლად ცენტრალურ ორგანოსთან შევქმნათ სათანადო ჯგუფი.

თუ ფრაქციაში ბოლშევიკებისაგან არ გვეყოლა მცოდნე პირები, ისე ვერაფერს გავაწყობთ. ამისათვის ორი-სამი კაცი უნდა გავალეგალუროთ. შესაფერისად გვესახება ვადიმი, შესაძლოა — კამენევი. რაც შეეხება ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობას სათათბიროს ფრაქციის მოღვაწეობაში, საჭიროა განვავითაროთ ფართო აგიტაცია ფურცლებით. უნდა გამოვუშვათ გარკვეული ნიმუშის ფურცლები სათათბიროს მოღვაწეობის შესახებ. სათათბიროს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული გამოყენება ვერც რევოლუციური და ვერც სოციალ-დემოკრატიული ვერ იქნება ორგანიზაციების ზემოქმედების გარეშე. საჭიროა ფურცლები სათათბიროში წარმოთქმული სიტყვების თემებზე. ასეთი რამ მუშაობაში ჩააბამს და ბიძგს მისცემს ორგანიზაციებს. დეპუტატთა კრებები დღემდე ჯეროვნად არ იყო გამოყენებული. დროის დიდ ნაწილს ისინი ოტზოვისტებთან კამათს ანდომებდნენ. საჭიროა აგრეთვე ფურცლები სათათბიროში პარტიული დაჯგუფების შესახებ და, ბოლოს, ფურცლები საერთოდ სათათბიროს მუშაობის შესახებ. სათათბიროს ფრაქციას უნდა წარმართავდნენ არა მარტო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, არამედ ორგანიზაციებიც. საჭიროა ფურცლები სათათბიროში ამა თუ იმ გამოსვლის მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, საგარეო პოლიტიკის საკითხზე. მხოლოდ ჩვენი დეპუტატები გამოდიოდნენ და სხვა არავინ. ეს ჯეროვნად არ შეფასებულა. საჭიროა ფურცლები სიტყვების ნაწყვეტებით. ორგანიზაციების მონაწილეობა სხვაგვარად, თუ არა

ფურცლების ფორმით, ვერ წარმომიდგენია. საშინელი რღვევაა, სააგიტაციო ფურცლებით მუშაობა მთელი ძალით უნდა გავაჩაღოთ. საზღვარგარეთული გაზეთების კრიტიკა იგვიანებს. საპარლამენტო სიტყვებს ბოლომდე არასოდეს არ გაგვაცნობენ. ფურცლები ყველაფერს გააშუქებენ.

ორგანიზაციებს ზოგჯერ უჭირთ წარმომადგენელთა გაგზავნა.

რაც შეეხება გაზეთს, ერთადერთი პირობაა: უზრუნველვყოთ ჩვენი უმრავლესობა, მაგრამ მე არა მჯერა ასეთი გაზეთის შექმნის შესაძლებლობა[278].

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

6

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ „ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲗᲐ ᲬᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲖᲔ ᲡᲐᲫᲛᲘᲐᲜᲝᲒᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“[279]

ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას (რაშიც უკვე მიღწეულია ზოგიერთი წარმატება) გაცილებით მეტი ყურადღება, ინიციატივა და მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ, ვიდრე აქამდე ხმარდებოდა.

დაწერილია 1909 წლის 13 და 15 (26 და 28) ივნისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

7

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ

15 (28) ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

„პროლეტარის“ მოსპობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. პოპულარული ორგანო საჭიროა, მაგრამ ეს საკითხი დამოკიდებულია მრავალგვარ სხვა კომბინაციაზე, მაგალითად, ფინან-

სებზე. არ შეიძლება ასე გადაჭრით, როგორც ვლასოვი მოითხოვს, აკრძალო ლეგალური პრესისათვის დახმარების გაწევა. ეფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა გამოგვეცა პატარა ჟურნალი, ზომით თუნდაც იმის მსგავსი, ლიკვიდატორი მენშევიკები რომ უშვებენ, — „დალ“ [280].

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

8

გამოსვლა ცენტრალურ ორგანოში ფილოსოფიური სტატიების პუბლიკაციის საკითხის განხილვისას

15 (28) ივნისი

შეუძლებელია იმის გათვალისწინება, თუ როგორ წარიმართება კამათი ფილოსოფიის შესახებ. ამიტომ არ შეიძლება საკითხის ისე დასმა, როგორც ამხ. მარატი სვამს. ამიტომ ყოველგვარი აკრძალვა უნდა გავაუქმოთ ამ მხრივ ცენტრალური ორგანოს მიმართ. მივესალმები ამხ. მარატის განცხადებას იმის შესახებ, რომ ლეგალურ კრებულებში საჭიროა ფილოსოფიური სტატიები.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

9

წინადადება სათათბიროს ფრაქციის გაზეთისათვის სახსრების ასიგნებათა შესახებ [281]

16 (29) ივნისი

ამხ. მეშკოვსკის განცხადების დიდი მნიშვნელობის გამო წინადადება შემომაქვს ლეგალური გამომცემლობისათვის ასიგ-

ნებული 1500 მანეთიდან 1000 მანეთი მოვახმაროთ ჟითათბიროს გაზეთს.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

10

ბამოსვლები და წინადადებანი ბოლშევიკური ცენტრის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისას

17 (30) ივნისი

1

ვუერთდები მეშკოვსკის. რეფერენდუმი შეეხება პარტიის ყველა წევრს, ამის მოწყობა კი შეუძლებელია. თათბირები სასურველია, მაგრამ რა საჭიროა მათი შემოღება წესდების საშუალებით. ვფიქრობ, რომ უნდა მივიღოთ მხოლოდ პერიოდული თათბირების იდეა.

2

უნდა დავწეროთ, რომ ბოლშევიკური ცენტრის რუსეთელი წევრები საერთოდ ქმნიან კოლეგიას, ამასთან არ შევზღუდოთ მათი რაოდენობა სამეულით.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ოქმის ჩანაწერთან

3

„პ რ ო ლ ე ტ ა რ ი დ ა ნ“ წასული რედაქტორებისა და სამეურნეო კომისიის წევრების შეცვლა პლენუმის ჩაუტარებლობის შემთხვევაში შეუძლია აღმასრულებელ კომისიას.

4

ბოლშევიკური ცენტრის საზღვარგარეთულ სამდივნოს ნიშნავს პლენუმი ორი კაცის შემადგენლობით.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘᲡᲐ „ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ“

1. საერთაშორისო კაპიტალი, მისი საერთაშორისო ორგანიზაცია, მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ხასიათი.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“

2. პირველი ინტერნაციონალი
1864 — 1872.

3. მეორე ინტერნაციონალი
1889 — 1-ლი კონგრესი პარიზში[282]
1910 — მე-8 კონგრესი კოპენჰაგენში[283]
33 ერი; დაახლოებით 1000 დელეგატი.

4. საერთაშორისო კონგრესების მნიშვნელობა მუშათა კლასის შეკავშირებასა და მისი ხაზის განსაზღვრაში: ამსტერდამი.

5. კოპენჰაგენის კონგრესი: ჩეხები და ავსტრიელები ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, ბურჟუაზიული და პროლეტარული პოლიტიკა.

6. **კოოპერატივები**
(იარაღი პროლეტარულ ბრძოლაში: თვალსაზრისი
(A) პროლეტარული და ბურჟუაზიული

(B) კოოპერატივების მნიშვნელობა სოციალიზმის განხორციელების საქმეში: **ექსპროპრიაცია**

(C) სოციალისტთა ქცევა კოოპერატივებში).

7. **რევოლუციური** მოძრაობის **მხარდაჭერა სპარსეთში** — პროტესტი **ფინეთში** ლაშქრობის წინააღმდეგ.

დაწერილია 1910 წლის სექტემბერში,
13 (26) რიცხვამდე

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

1911—1914 წლები

„პოლიტიკური ეკონომიის საწყისების“ კურსის ლექციის გეგმა

ლექცია IV

1. წარმოების კაპიტალისტური წესის არსი წარმოების სხვა იმ წესებთან შედარებით, რომლებიც ისტორიულად წინ უძღოდნენ მას.

2. მსგავსება კლასობრივი ჩაგვრის არსებობაში და განსხვავება კლასობრივი ბრძოლის ფორმებსა და პირობებში.

3. მუშის ბრძოლა კაპიტალისტთან სამუშაო დღის ხანგრძლივობის გამო. საჭონელ „სამუშაო ძალის“ გაყიდვის პირობები. აბსოლუტური და შედარებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება.

4. საჭონელ „სამუშაო ძალის“ მოხმარების „ნორმალური“ პირობები განისაზღვრება კაპიტალისტთან მუშის ბრძოლით.

5. საგაფიცვო ბრძოლა, პროფესიული კავშირები და საფაბრიკო კანონმდებლობა სამუშაო დღის შემცირებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

6. უახლესი ისტორიის (XIX — XX საუკუნე) ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის ზოგიერთი შედეგი სამუშაო დღის შემცირების საქმეში. კაუცკის „ცნობა“ [284]. „სოციალური პროგრესის“ არარაობა.

დაწერილია 1911 წლის 27 იანვრამდე
(9 თებერვლამდე)

დაიბეჭდა 1911 წელს პარიზში
მინასაბეჭდზე ფურცლად,
რომელიც სოციალურ მეცნიერებათა
კურსების საორგანიზაციო
კომისიამ გამოსცა

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირი[285]

1911 წლის 28 მაისი — 4 ივნისი (10—17 ივნისი)

1

მოხსენება პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ[286]

ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის[287] შემდეგ ბოლშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შევსებისა და მისი საქმიანობის განახლებისათვის. ცენტრალური კომიტეტის წევრებმა მაკარმა და ინოკენტიმ კავშირი დაამყარეს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან და პარტიელებთან — მუშათა აშკარა მოძრაობის მოღვაწეებთან, მათთან ერთად შეარჩიეს კანდიდატები ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციისათვის და ა. შ., მაგრამ ცეკისტი ბოლშევიკების ცდები ორივე მათგანის დაპატიმრებით დამთავრდა. რუსეთში მუშაობაში მათ გოლოსელთა მხრივ ვერავითარი დახმარება ვერ პოვეს. ლონდონის ყრილობაზე არჩეულმა მენშევიკთა წარმომადგენლებმა მიხეილმა, იურიმ და რომანმა, რომლებიც ახლა დამოუკიდებელ ლეგალისტთა რიგებში გადავიდნენ, არათუ უარი თქვეს ცენტრალურ კომიტეტში მუშაობაზე, არამედ განაცხადეს, რომ თვით მისი არსებობა მავნედ მიაჩნიათ მუშათა მოძრაობისათვის.

რამდენიმე თვის შუალედის შემდეგ, 1910 წელს, გადასახლებიდან გაქცეული ამხ. მაკარი და ამხ. ვიაზემსკი კვლავ აარსებენ ბიუროს ცენტრალური კომიტეტის მოსაწვევად*. მათს მუშაობაში მონაწილეობდა ბიუროს წევრი ბუნდელი იუდინი. 6 თვის განმავლობაში ისინი კვლავ ამყარებენ კავშირს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, არჩევენ კანდიდატებს ცენტრალური კომიტეტისათვის, გზავნიან აგენტებს, სათათბიროს

* ეს დრო-ჟამი ბიუროს აღიარეს რიგგარეშე ორგანიზაციებმა, ისე ცენტრალური კომიტეტის სახელგარეშეულმა ბიურომ და ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ.

ფრაქციასთან ერთად მონაწილეობენ მოსკოვში დამატებითი არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის მოსაწყობად.

მენშევიკების წარმომადგენელთაგან მათ კავშირის დამყარება შეძლეს მარტო ამხ. კოსტროვთან, რომელიც ერთხელ თუ ორჯერ ჩამოვიდა მხოლოდ იმისათვის, რომ გამოეყენებინა თავისი ხმის მიცემის უფლება, თუ საქმე ცენტრალური კომიტეტის მოწვევამდე მივიდოდა.

6 თვის საქმიანობის შემდეგ ცეკისტი ბოლშევიკები დააპატიმრეს ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის რამდენიმე კანდიდატთან, ამხანაგ მდივანთან და მთელ რიგ სხვა ისეთ პირებთან ერთად, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ ბიუროს საქმიანობასთან. დაპატიმრების შემდეგ საპყრობილედან გამოგზავნილ წერილში ამხ. ცეკისტები ალასტურებენ, რომ ქანდარმები მათ რამდენიმე თვის მანძილზე სისტემატურად უთვალთვალებდნენ და იცოდნენ მათი ყოველი ნაბიჯი, აგრეთვე იმას, რომ რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მოწვევის მომზადებასთან დაკავშირებით პროვოკაცია უეჭველია. ბიუროს ორი წევრის (მაკარისა და ვიაზემსკის) ჩავარდნის შემდეგ გადარჩენილ ცეკისტებს — იუდინსა და კოსტროვს ორთვე-ნახევრის განმავლობაში არავითარი საქმიანობა არ გაუწევიათ, რაიმე წერილიც კი არ გამოუგზავნიათ არც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში და არც ცენტრალურ ორგანოში.

რუსეთში ცენტრალური კომიტეტის აღსადგენად გაწეული წელიწად-ნახევრის მუშაობის შედეგი ის იყო, რომ მისი 4 ბოლშევიკი წევრი (მეშკოვსკი, ინოკენტი, მაკარი, ვიაზემსკი) გადასახლებული ან დაპატიმრებულია. ქანდარმთა მიერ წარმოებული მოკვლევებითა და მთელი რიგი დაპატიმრებებით აშკარად გამოვლინდა, რომ ცენტრალური კომიტეტის ყველა ლონდონელ კანდიდატსა[298] და წევრს ხელისუფალნი უაღრესად ზედმიწევნით იცნობენ და გულდასმით უთვალთვალებენ. ყველა ასეთი პირობის არსებობისას რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მოწვევის ახალი ცდები იქნებოდა ის, რომ შევრიგებოდით აშკარა მარცხს წარმატების ყოველგვარი იმედის უქონლად.

შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი შესაძლო გამოსავალი იქნებოდა საზღვარგარეთული პლენუმის მოწვევა. საზღვარგარეთ იმყოფება 9 კაცი, რომლებსაც პლენუმში მონაწილეობის უფლება აქვთ[289]. ეს მისი სრული შემადგენლობის (15 კაცი) ნახევარზე მეტია. იურიდიულად მათ შეუძლიათ, ხოლო არსებითად მოვალენი არიან თავი პლენუმად გამოაცხადონ.

დანარჩენი წევრების მოწვევამდე პლენუმის კონსტიტუირების გადადების წინადადება საქმის შემდგომი გაჭიანურება იქნებოდა მთელი რიგი თვეების მანძილზე.

მიხეილის, იურისა და რომანის გარდა, რომლებმაც აშკარად გამოაცხადეს, რომ კავშირი გაწყვიტეს ცენტრალურ კომიტეტთან და პარტიის ლიკვიდაციის მომხრენი არიან, მენშევიკებს შეუძლიათ „ჩამოიყვანონ" კოსტროვი და პეტრე. ბოლშევიკებს შეუძლიათ ჩამოიყვანონ მეშკოვსკი, ინოკენტი, როჟკოვი და სამერი. შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენი თვე დასჭირდება ამას.

ფორმალური კანდიდატების „ჩამოყვანის" ამ განუსაზღვრელად ხანგრძლივი „მუშაობის" რეალური მნიშვნელობა პარტიისათვის, მწარე გამოცდილების შემდეგ, ნულის ტოლია. იგი ნულზე უარესია, რადგან ზემოთ ადგილების განაწილებობანას თამაში ადგილობრივ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს უმალავს სავალალო სინამდვილეს, რომელიც ენერგიულ ინიციატივას მოითხოვს. ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის განახლების წელიწად-ნახევრის ამაო ცდების შემდეგ გავუმასპინძლდეთ პარტიას გაუთავებელი გაჭიანურებით — ეს პარტიის აბუჩად აგდებას ნიშნავს. ასეთ აბუჩად აგდებაში ჩვენ მონაწილეობას არ ვაპირებთ.

პარტიის რ ე ა ლ უ რ ი მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ ადგილებზე თითქმის ყველგან მოიპოვება პატარა პარტიული მუშათა ჯგუფები და უჯრედები, რომლებიც არარეგულარულად იკრიბებიან ხოლმე. მუშებში მათ ყველგან დიდი პრესტიჟი აქვთ მოხვეჭილი. კავშირებში, კლუბებში და ა. შ. ისინი ყველგან ეომებიან ლიკვიდატორ-ლეგალისტებს. ისინი ერთმანეთ-

თან ჯერჯერობით არ არიან დაკავშირებულნი. ლიტერატურას ძალზე იშვიათად ხედავენ. მუშების ამ ჯგუფებში ერთიანდებიან ბოლშევიკები და მენშევიკები — პარტიელები და ნაწილობრივ ის „ვპერიოდელები“[290], რომლებიც არ ჩაებნენ საზღვარგარეთ შექმნილ განცალკევებულ „ვპერიოდულ“ ფრაქციაში.

„ვპერიოდის“ ჯგუფი მთელ პლენუმისშემდგომ დროს იმას ახმარდა, რომ საზღვარგარეთიდან განემტკიცებინა და განეცალკევებინა თავისი ფრაქცია ორგანიზაციულად. მისი წარმომადგენლები გამოვიდნენ „დისკუსიონი ლისტოკის“ რედაქციიდან[291] და ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სასკოლო კომისიიდან[292]. უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებანი „ვპერიოდის“ ჯგუფს არ შეუსრულებია და, პირიქით, შეძლებისდაგვარად ხელს უშლიდა სოციალ-დემოკრატთა საერთო-პარტიულ მუშაობას. ლეგალურ და არალეგალურ პარტიულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია დაიწყო მზადება მომავალი არჩევნებისათვის. ხოლო „ვპერიოდის“ ჯგუფი პარტიისათვის ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოსვლაში არათუ არ ეხმარება პარტიას, არამედ აშკარად არც კი უთქვამს, IV სათათბიროს[293] არჩევნებში მონაწილეობის მომხრეა თუ წინააღმდეგი. „ვპერიოდის“ ჯგუფის საზღვარგარეთელი ხელმძღვანელნი თავიანთ ყველაზე ბოლოდროინდელ ლიტერატურულ გამოსვლებშიც კი განაგრძობენ ოტზოვისტებთან ლაქუცს.

გაცილებით უფრო სერიოზულ ანტიპარტიულ და ანტისოციალ-დემოკრატიულ ძალას წარმოადგენს დამოუკიდებელ ლეგალისტთა ფრაქცია („ნაშა ზარია“[294], „დელო ჟიზნი“[295] და ის გოლოსელები, რომლებიც, როგორც დანი, მარტოვი და K⁰, ხელს აფარებენ მათ). სავსებით დამტკიცებულია, რომ ისინი არავითარ ცენტრალურ კომიტეტს არ ემორჩილებიან და საჯაროდ ამასხარავებენ მის გადაწყვეტილებებს. უკანასკნელი პლენუმის რეზოლუციის განხორციელება („ნუ დავამცირებთ არალეგალური პარტიის მნიშვნელობას“ და ა. შ.) მათ არ შეუძლიათ და არც სურთ. მათ არ შეუძლიათ არ გაატარონ საწინააღმდეგო ხაზი.

არც ერთ სოციალ-დემოკრატს ეჭვიც არ უნდა შეეპაროს,

რომ „დამოუკიდებელი ლეგალისტებისაგან“ შეიძლება მოელოდე IV სათათბიროში დამოუკიდებელი საარჩევნო კამპანიის გაჩაღებას პარტიის გვერდის ავლით და მის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატ პარტიელთა ამოცანა ცხადია: საჭიროა აშკარად და გადაჭრით მოვუწოდოთ მუშათა პარტიულ წრეებს რუსეთში იმისაკენ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ არჩევნებისათვის მზადება. საჭიროა სოციალ-დემოკრატთა კანდიდატებად დაასახელონ მხოლოდ ნამდვილი პარტიული ადამიანები, მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც შეიგნეს ლიკვიდატორული მიმდინარეობის საშიშროება. არც ერთი დღით არ შეიძლება გადაიდოს პირდაპირი გალაშქრება დამოუკიდებელ ლეგალისტთა წინააღმდეგ, საჭიროა დაუყოვნებლივ გავაფრთხილოთ მუშები იმ საფრთხის გამო, რომელსაც დამოუკიდებელი ლეგალისტები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უქმნიან არჩევნებში.

ასეთია ჩვენი პარტიის სადღესო ამოცანა. ყოველგვარი გადახრა ცხოვრების მიერ (და დამოუკიდებელი ლეგალისტების მიერ) რეალურად დასმული საკითხის ასეთი დაყენებისაგან, ყოველგვარი გაჭიანურება, ყოველგვარი ცდა, გაიმეორონ ლეგალისტების „დაპირებათა“ და „დარწმუნებათა“ თამაში, უდიდეს საფრთხეს უქმნის პარტიას.

ჩვენი პრაქტიკული დასკვნაა: 9-თა კრებამ უსათუოდ და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს პარტიას მოწოდებით, რომელშიც გულახდილად და სრულად იქნება გადმოცემული რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მოწვევის წარუმატებლობა, მოუწოდოს ადგილობრივ წრეებს, რომ მათ გამოიჩინონ ინიციატივა და შექმნან ადგილობრივი და საოლქო კომიტეტები, შექმნან ცენტრალური საორგანიზაციო კომისია და მხარი დაუჭირონ მას, შექმნან ლიტერატურული სოციალ-დემოკრატიული ორგანოები (რომლებშიც, ისევე როგორც „ზვეზდაში“ [296], სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მონაწილეობითა და მხარდაჭერით რომ გამოდის, არ უნდა გააჭაჭანონ ლიკვიდატორები) და მხარი დაუჭირონ მათ, გადაჭ-

რით, განუხრელად ებრძოლონ „დამოუკიდებელ ლეგალისტებს“ და სამუშაოზე დაუახლოვდნენ ნამდვილად პარტიული ელემენტების წარმომადგენლებს მიმდინარეობათა განურჩევლად. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური კომიტეტის 9 წევრიდან არა მარტო 5 წევრი, არამედ ცხრათა მნიშვნელოვანი უმრავლესობა დათანხმდება თავი აღიაროს ცენტრალური კომიტეტის პლენუმად, — ცენტრალური კომიტეტის ამ კრებამ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს ახალი წევრების კოოპტაცია, შექმნას კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისია და დაიწყოს პრაქტიკული მზადება IV სათათბიროს არჩევნებისათვის. საორგანიზაციო კომისიასა და ცენტრალურ კომიტეტში დაუყოვნებლივ უნდა შევიყვანოთ მენშევიკ-პარტიელთა წარმომადგენლები. ცენტრალური კომიტეტის კრება უნდა დაადგეს დამოუკიდებელ ლეგალისტთა ფრაქციასთან გადამჭრელი ბრძოლის გზას. ხოლო თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ბრძოლა შეუთავსებელია დამოუკიდებელ ლეგალისტთა მონაწილეობასთან პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში, რომლებსაც ისინი ძირს უთხრიდნენ, აფერხებდნენ, აუძლურებდნენ და „ავადმყოფურ მდგომარეობაში ამყოფებდნენ“ წელიწად-ნახევარს.

დაწერილია 1911 წლის 19 და 23 მაისს
(1 და 5 ივნისს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 20

იბეჭდება
ფ. ე. ძერჟინსკის
ხელით დაწერილი პირის
მიხედვით

2

გამოსვლები თათბირის კონსტიტუციების საკითხის განხილვისას

28 მაისი (10 ივნისი)

[1907]

თუ პარტიას წელიწად-ნახევარია გასაჭირი აღგას პლენუმის მოუწვევლობის გამო, ყრილობულ ორგანიზაციებს უკვე დიდი ხანია უნდა აერჩიათ წარმომადგენლები. ამბ. ლატვიელმა სულ

სხვანაირად დააყენა საკითხი, ვიდრე ბუნდელმა. მან თქვა, რომ თუმცა იგი არ აურჩევიათ, მაგრამ პლენუმის მოწვევის პირობების გამო თავი მოვალედ ჩათვალა მიეღო მონაწილეობა იმ განზრახვით, რომ შემდეგ მოახსენებდა წარუდგინოს ლატვიის მხარის ცენტრალურ კომიტეტს და რომ გადაწყვეტილებანი ლატვიის მხარისათვის ძალაში შევიდეს მხოლოდ ლატვიის მხარის ცენტრალური კომიტეტის დამტკიცების შემდეგ.

2

აქ მართლაც აბრიყვებენ ამხანაგებს[298]. ვიცით, რომ მაკარი და ლინდოვი ცოტაოდენ რაღაცას აკეთებდნენ, უკავშირდებოდნენ ორგანიზაციებს, ნიშნავდნენ აგენტებს, უკავშირდებოდნენ კანდიდატს. ისინი ჩავარდნენ. მას შემდეგ არც ერთი გადარჩენილი წევრისაგან ალარ მიგვიღია არავითარი ცნობა. მათ არც კი შეუტყობინებიათ თავიანთი ამბავი არც ცენტრალური ორგანოსათვის, არც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროსათვის. არავითარი მუშაობა არ ყოფილა. პარტიის შემდგომი მოტყუება რუსეთის ბიუროთი[299] და რუსეთის ცენტრალური კომიტეტით შეუძლებელია. ცენტრალური კომიტეტის მოწვევა რუსეთში — ეს ფრაზაა, რომელიც ეხმარება სტოლიპინს.

იონოვის განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი თავის მოწვევას გაუგზავნის ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს[300]. როდისლა გადაუგზავნის? რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? რატომ არაა პასუხი? იონოვი წერს, რომ უფლებამოსილება არა აქვს, და ამიტომ ვერ მოვა ცეკისტთა კრებაზე. მაშ რატომაა აქ ლიბერი? წინადადება შემომაქვს გამოვიტანოთ რეზოლუცია იონოვის პასუხის გამო, რადგან ამ პასუხიდან აშკარად ჩანს, რომ ინტრიგა წარმოებს.

3

შევაჯამოთ ის, რაც ბიუროს შესახებ ითქვა. აღმოჩნდა, რომ საქმე ეხებოდა ბიუროს დარჩენილ წევრებს. მუშაობის თაობაზე ითქვა, რომ არავითარი მუშაობა არ ყოფილა. ამხ. ადრიანოვი თვალსაჩინო მენშევიკია და, რომ ემუშავა, მეკები

ამას აუცილებლად შეიტყობდნენ. მისმა ახლო თანამოაზრეებმაც კი არაფერი იციან ამის შესახებ. კვლავ იმის იმედით ყოფნა, რომ სადღაც არის ბიურო, პარტიის მოტყუებაა. ბერი ვერ დაუკავშირდა ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს ჩავარდნების გამო. რაღა ქნას პარტიამ? მას არ შეუძლია ლოდინი. აქ აუცილებელია ინიციატივა.

4

ბერი კანონის შესახებ გაჰკივის და ამასთანავე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში გადაჭრით იბრძოდა კანონის წინააღმდეგ და ლიკვიდატორთა სასარგებლოდ[301]. ასეთი საქციელი მაეჭვებს მის განცხადებათა გულწრფელობაში და მაფიქრებინებს, რომ მისგან მოსალოდნელია ახალი ცდები საერთო-პარტიულ დაწესებულებათა ჩასაფუშავად.

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 20

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

3

გამოსვლები ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის საკითხის განხილვისას

30 მაისი (12 ივნისი)

[302]

ვადასტურებ, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ქვემდგომი დაწესებულება (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო) არღვევდა დადგენილებებს და უარს ამბობდა უმაღლესი დაწესებულების მოწვევაზე. მე ძალებული ვარ აღვნიშნო ეს, რათა ოდნავადაც არ ენდოთ იმ დაწესებულებას, რომელიც უკვე ნახევარი წელია ცდილობს გადაუკეტოს პარტიას მისი ცენტრალური დაწესებულების აღდგენის გზა.

2

აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ 1910 წლის გაზაფხულზე ჩვენ მივიღეთ ინოკის წერილი, რომ ცეკისტებს უთვალთვალებდნენ. ჩვენ ყოველი ღონით ვიბრძოდით რუსული ავანტიურის[303] წინააღმდეგ. მაკარმა 1910 წელს განაახლა საქმე და ფულის გაგზავნამ მყისვე ცხადყო ამ ცდის ამაოება. თავიდანვე ჩანდა, რომ რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მოწვევა — ეს საპატიმროში გაგზავნას ნიშნავს. 1908 წლის გაზაფხულიდან 1910 წლის პლენუმამდე ცენტრალური კომიტეტი რუსეთში არც ერთხელ არ შეკრებილა. რუსეთში მოწვევის ამბავი გვიჩვენებს ამ ამოცანის შეუძლებლობას. ცენტრალური კომიტეტის გაგზავნა რუსეთში სხვაგან არსად არ შეიძლებოდა, თუ არა საპატიმროში.

3[304]

წელიწად-ნახევარში ცენტრალურ სამუშაოზე ჩავარდა 4 ბოლშევიკი. არც ერთი მენშევიკი არ დაუპატიმრებიათ, რადგან სტოლიპინური პარტიის შექმნაზე მუშაობდნენ. წერილები ჩვენთვის არ მოუწერიათ და მიმოწერას წყვეტდნენ კონსპირაციის გამო. მენშევიკები არათუ არ მუშაობდნენ ცენტრალური კომიტეტის შექმნაზე, არამედ უარიც კი თქვეს მოსულიყვნენ კოოპტაციისათვის (მიხეილი, რომანი და იური), პეტრეს ბიუროს ზღურბლზეც არ შემოუდგამს ფეხი, კოსტროვი გვერდით ცხოვრობდა. უდავო ფაქტია, რომ მხოლოდ ბეკები მუშაობდნენ.

4

ლუბიჩის შესახებ ჩვენ გვაქვს ინოკის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლუბიჩი თანახმაა იმუშაოს. პეტრეს შესახებ გვაქვს მხოლოდ ცნობები, რომ ბიუროს ზღურბლზეც კი არ გამოჩენილა. ცენტრალური კომიტეტის წევრი, ცხადია, სამუშაოდ უნდა დადიოდეს ცენტრალურ კომიტეტში. მარტინოვი — ემიგრანტი=ბოგდანოვს, ნიკიტას. თუ მას მოვიწვევთ, მაშინ მათთან ერთად ვიქტორიც უნდა მოვიწვიოთ. მიხეილს,

იურისა და რომანს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ცენტრალურ კომიტეტთან. ეს ადამიანები, რომლებიც სტოლიპინურ მუშათა პარტიას აშენებენ, ეწევიან საქმიანობას, რაც გადაჭრით დაგმო იანვრის პლენუმმა. ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო როგორც სტოლიპინური მუშათა პარტიის შემქმნელებთან, ისე იმათთან, ვინც მათ ეხმარება.

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 20

იბეჭდება ოქმის
ჩანაწერის მიხედვით

4

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საორგანიზაციო კომისია[305] კონფერენციის მოწვევის მუშაობაში აბამს რუსეთის ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და გავლენიან, მასებში მომუშავე ამხანაგებს, რათა მათ, შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ, შეადგინონ რუსეთის კოლეგია, რომელიც გასწევს მთელ პრაქტიკულ მუშაობას კონფერენციის მოსაწვევად, საორგანიზაციო კომისიის საერთო კონტროლით — პლენუმის რეზოლუციებსა და წერილში აღნიშნული დირექტივების შესრულების თვალსაზრისით.

დაწერილია 1911 წლის 1 (14) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

5

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ[306]

ვაძლევთ რა ხმას მთლიანად[307] რეზოლუციას იმ მიზნით, რომ შეძლებისდაგვარად დავაახლოოთ უკლებლივ ყველა პარტიული ელემენტი, ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ საორგანიზაციო კომისიაში მოწვეულ იქნენ საზღვარგარეთელი გოლოსელები და ვპერიოდელები, ე. ი. ანტიპარტიული, საზღვარგარეთ განსაკუთრებულ ფრაქციებად

შექმნილი, ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც პლენუმის შემდგომ წელიწად-ნახევარში დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ პარტიის წინააღმდეგ, მხოლოდ შეაფერხონ მისი მუშაობა, მხოლოდ დაეხმარონ დამოუკიდებელ ლეგალისტურ მუშათა პარტიას ან ოტზოვისტებს.

ნ. ლენინი

დაწერილია 1911 წლის 1 (14) ივნისს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

განცხადება[308]

როგორც თათბირის წევრები ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, რომლებმაც შევიტყვეთ ტექნიკური კომისიის[309] გადაწყვეტილება — არ მიეცეს ფული სკოლასო[310], ვაცხადებთ, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ კანონის საწინააღმდეგოდ მიგვაჩნია და თათბირის წევრთა კენჭისყრელად შემოგვაქვს შემდეგი წინადადება: თათბირის წევრები ადგენენ: გაიცეს ნაღდი (ან არსებული) ფულიდან სკოლისათვის საჭირო თანხა — პარტიული სასკოლო კომისიის გადაწყვეტილებით (სამგზავროდ და საარსებოდ, არა უგვიანეს *1911. I. IX*).

ნ. ლენინი

30. VII. 11.

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 20

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ჩამატება ლ. ბ. კამენევის ბროშურაში „ორი პარტია“*

რევოლუციური პროლეტარიატის პარტიასა და დამოუკიდებელ ლეგალისტთა პარტიას შორის საჭიროა არჩევა-

* ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობა ლ. ბ. კამენევის ბროშურისა „ორი პარტია“, იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი. 17, გვ. 261—265. რედ.

ნი. რსდმ პარტიის ყოველგვარმა წრემ და ყოველგვარმა ჯგუფმა უნდა უთხრას ეს მუშებს და გაატაროს ცხოვრებაში.

ჩვენ ვიცით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც, საჭიროდ ცნობენ რა ლიკვიდატორობასთან ბრძოლას, ეწინააღმდეგებიან სრულ გამიჯვნას და განაგრძობენ (ახლაც კი!) ლაპარაკს „შერიგების“ ან „შეთანხმების“ შესახებ. და ასეთ ადამიანთა რიცხვს როდი მიეკუთვნებიან მხოლოდ „ერთგულნი მსახურნი“ ტროცკისა, რომელსაც უკვე ცოტანიღა უწევენ ანგარიშს. შემარიგებლები და შემთანხმებლები დიდ შეცდომას სჩადიან: წელიწადნახევარმა საქმით დაამტკიცა, რომ ლეგალისტები არავითარ ვალდებულებას არ ასრულებენ. როგორღა შეიძლება ვილაპარაკოთ შეთანხმებაზე იმ ადამიანებთან, რომლებიც არავითარ ვალდებულებას არ ასრულებენ?? განა სასაცილო არაა ვილაპარაკოთ შეთანხმებაზე, როცა მოლაპარაკე ვერ ასახელებს ვერც შეთანხმების პირობებს და ვერც ამა თუ იმ პირობის შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს??

დაწერილია 1911 წლის ივლისში, 20 რიცხვის (2 აგვისტოს) შემდეგ
დაიბეჭდა 1911 წლის აგვისტოში ბროშურაში, რომელიც პარიზში გამოსცა „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქციამ

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

„ლიგერალური მუშათა პარტიის მანიფესტის“[311] რეფერატის გეგმა

1. რატომ იმსახურებს „ნაშა ზარიას“ № 9 — 10-ში დაბეჭდილი ნ. როჟკოვის სტატია ასეთ სახელწოდებას და უაღრესად გულდასმით განხილვას? მუშათა მოძრაობის ორი ხაზისა და „ორი პარტიის“ საკითხის განხილვის შესაძლებლობა ყოველგვარი „კონფლიქტური“ მასალის გარეშე, „კინკლაობის“ გარეშე.

2. „თავისუფლების დღეების სოციალ-დემოკრატის“ ტიპი.

ბურჟუაზიული დემოკრატები მარქსისტულ სამოსელში. როკკოვი როგორც ნიმუში; მის სტატიაში მარქსიზმი თავიდან ბოლომდე ლიბერალიზმითაა შეცვლილი.

3. მებატონე-მემამულეთა როლი თანამედროვე რუსეთში ლიბერალთა (როკკოვი) და მარქსისტთა თვალსაზრისით. რსდმპარტიის „დეკემბრის რეზოლუციები“ (1908 წ.).

4. დემოკრატიის დამოკიდებულება (სტოლიპინური) აგრარული პრობლემის გადაწყვეტისადმი „ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კომპრომისის გზით“.

5. მოელის თუ არა რუსეთს „ერთობ ზომიერი ბურჟუაზიული პროგრესიზმის გამარჯვება“?

6. თანამედროვე რუსეთისა და III სათათბიროს შედარება XIX საუკუნის 60-იანი წლების საფრანგეთსა და საკანონმდებლო კორპუსთან და 80-იანი წლების პრუსიასთან.

7. იქცა თუ არა „ძველი ლოზუნგები“ „მკვდარ სიტყვებად“?

8. რატომაა „მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საზოგადოება“, რომელსაც როკკოვი აარსებს, მუშათა კლასის ლიბერალურად გაგებული ინტერესების ლიბერალური დაცვის საზოგადოება?

9. პროპორცია: ი. ლარინი ისეთ დამოკიდებულებაშია მუშათა ყრილობასთან, როგორშიაც ნ. როკკოვი — ლეგალურ ლიკვიდატორულ პარტიასთან.

დაწერილია 1911 წლის ნოემბერში, 14 (27) რიცხვამდე

დაიბეჭდა 1911 წლის ნოემბერში, განცხადებაში „რაბოჩაია გაზეტას“ წერის მიერ გამოცემული რეფერატის შესახებ

იბეჭდება განცხადების ტექსტის მიხედვით

წინადადება საზღვარგარეთის ორგანიზაციის წესდების შესახებ საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე[312]

იორჩევს რა საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტს[313] საზღვარგარეთის ორგანიზაციის საქმეთა გასაძღოლად, თათბი-

რი გადასცემს მას წესდების პროექტს ყველა შენიშვნით, ამასთან კომიტეტს ავალებს გამოჰკითხოს ჯგუფებს და საბოლოოდ დაამტკიცოს წესდება ასეთი გამოკითხვის გზით.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1911 წლის 16 (29) დეკემბერს
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კონსპექტი მოხსენებისა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ[314]

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

1. მოუსავლიანობა — და შიმშილობა. „სასურსათო“ კამპანია — ლიდვალიადა[315].

2. სტოლიპინის „აგრარული რეფორმა“: ბურჟუაზიული ღვინო ჩავასხათ ბატონყმურ ტიკებში. სკდება.

3. XII. 1908 სტოლიპინის რეფორმის[316] შესახებ და ლიკვიდატორთა და ვპერიოდელთა შეუგნებლობა.

4. ინტენდანტთა პროცესები: ქურდობენ.

5. უპატრონობა და უწესრიგობა.

— კადეტური და ოქტიაბრისტული პრესა. გადაფრენა ს.-პეტერბურგი — მოსკოვი, სატვირთო ავტომობილების გადარბენა, რკინიგზების გაყვანა, რუსეთის მრეწველობა უცხოეთის ბაზარზე, სახალხო განათლება და კასოს[317] „ცოცხი“ — — — სულ, სულ ყველგან ოხვრა, წუწუნი, სინანული.

6. ბურჟუაზია ბურჟუაზიულ წყობილებას მისტირის. მას სურს „წყალში გაუვლებლად გარეცხოს ტყავი (ბეწვი)“.

7. რევოლუცია ერთადერთი საშუალებაა. შიში, სიძულვილი, რწმენის უქონლობა, — ვერ მიჰყვება დინებას.

8. „ვერ მიჰყვება დინებას“. რევოლუციისათვის. მუშათა კლასი და რევოლუცია. პოლიტიკური მდგომარეობის შემაჯამებელი და პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის (კერძოდ

IV სათათბიროს წინ) მთელი შინაარსის განმსაზღვრელი ლოზუნგი — რევოლუციისათვის. (არა „საყოველთაო საარჩევნო უფლება“.)

etc.

მოუსავლიანობა
ინტენდანტთა პროცესები
სპარსეთი
ქასო და განადგურება
ებრაელები და „ვაჭრობის ნაციონალიზაცია“

მუშათა კლასი და რევოლუცია

1. „გამოცოცხლება“, რომელიც ყველას პირზე აკერია, რევოლუციის ახალი აღმავლობის სიმპტომია.

2. დამოკიდებულება მომხდარი რევოლუციისადმი — გაბოროტება, შიში, სიძულვილი, — სიმხდალე, მტკიცე რწმენის უქონლობა, სულმოკლეობა — მუშათა კლასის დამოკიდებულება („კიდევ დაგიდგებათ ცხრაას ხუთი წელი“).

3. ახალ პირობებში მუშათა კლასის საქმიანობის ამოცანები
(α)>მასების შეგნებულობა (δ)
(β)>კაპიტალიზმის განვითარება (α)
(γ)>ბურჟუაზიის მტრობა (β)
(δ)>მტრების გაერთიანება (γ)

4. აგიტაციისა და პროპაგანდის ხასიათი.
არაა საჭირო არალეგალური პარტია
არაა საჭირო რევოლუციის პროპაგანდა (არა ჰეგემონია)
etc. etc. ლიკვიდატორობა.

ბურჟუაზიული კონტრრევოლუციურობის გამოვლინება სოციალ-დემოკრატიაში.

5. „ხელისგულზე“ =III სათათბიროს. კადეტების როლი.

დაწერილია 1911 წლის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 21

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენცია[318]

1912 წლის 5—17 (18—30) იანვარი

1

„კონფერენციის მოსაწვევად რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ“ რეზოლუციის პროექტის გამო[319]

ეს მიუხედავად მადლობისა.

ეს სამანდატო კომისიას ეხება.

„მადლობის“ მაგივრად გირჩევთ ჩავწეროთ გაწეული საქმის უდიდესი მნიშვნელობის (საზეიმო) **აღიარება** და განვაცითაროთ პირობების სიძნელე.

დაწერილია 1912 წლის იანვარში, არა უგვიანეს 5 (18) რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს ჟურნალში „პროლეტარსკაია რევოლუცია“ № 1

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

კონსპექტი სიტყვისა კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ

1. ცენტრალური კომიტეტის დაშლა და უყოლობა.
2. ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივა პარტიის აღდგენისათვის.
3. პრაქტიკული მუშაობის გადაუდებელმა ამოცანებმა განსაკუთრებით გაამწვავეს პარტიის აღდგენის ამოცანა.

IV სათათბიროს არჩევნები.

4. **უველანი** მოწვეული არიან და არ ესწრებიან მხოლოდ ისინი, ვინც არ მოისურვა დახმარებოდა პარტიას.
5. წარმოდგენილია რუსეთში მოქმედი ყველა ორგანიზაცია. ——კონფერენციის როგორც პარტიის იმ უმაღლესი ორგანოს კონსტიტუირება, რომელიც მოვალეა შექმნას უფ-

ლებამოსილი ცენტრალური დაწესებულებანი და ყველგან ხელი შეუწყოს პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული მუშაობის აღდგენას.

---

1) ეროვნული ორგანიზაციები 3—4-ჯერ იყვნენ მოწვეულნი —— (1) დადასტურებულია, რომ რუსეთის ორგანიზაციებისაგან გამოყოფაში ბრალი მთლიანად ეკისრებათ ეროვნულ ორგანიზაციებს;

2) ლიკვიდატორთა (ბუნდელთა) უშუალო იმედების ნაწილობრივ მხარდაჭერა;

უმწეო მერყეობანი ამ საკითხში, პარტიის ყოფნა-არყოფნის საკითხი;

3) რა იქნებოდა იმაზე უდიდესი არანორმალურობა, რომ რუსეთის ორგანიზაციებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მთელი მუშაობა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში, უარეყოთ ეს მუშაობა და პარტიის აღდგენა;

---

4 (1) სამ წელიწადს არ ყოფილა;

(2) ორ წელიწად-ნახევარს ცნობდნენ საჭიროებას და ემზადებოდნენ;

(3) უკლებლივ ყველას შეატყობინეს და მოიწვიეს და მიეცათ დასწრების შესაძლებლობა;

(4) რუსეთის საორგანიზაციო კომისიის[320] გარშემო შეკავშირდა რუსეთის 20 ორგანიზაცია.

დაწერილია 1912 წლის იანვარში,
არა უგვიანეს 5 (18) რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1937 წლის
13 იანვარს გაზეთ „პრავდის“
№ 18-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

3

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1912 წლის 7 (20) იანვარი

მუშაობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ორ ნაწილად იყოფა, ერთი ნაწილი ყოველდღიურია: მიმოწერა, წევრების განაწილება... და ა. შ. მეორე კი კონგრესებია: კოპენჰაგენის და ციურიხისა[321]. ლონდონის ყრილობიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან [საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში] შედიოდა ერთი [წარმომადგენელი]. პლეხანოვიც აირჩია, მაგრამ მან უარი თქვა: მუშაობისათვის ერთიც კმარაო. კოპენჰაგენის ყრილობაზე მე და პლეხანოვი დავახლოვდით, მეგობრულად ვსაუბრობთ. მე უკვე ვეღარ ველაპარაკებოდი გოლოსელებს და ტროცკის უარყოფითად ვეკიდებოდი, განსაკუთრებით წერილის[322] გამო. პლეხანოვი სხდომის ბოლოს დაეთანხმა პლენუმის წინადადებას. მე და ის ერთი ხმით ვსარგებლობთ. ამ ბოლო დრომდე არავითარი კონფლიქტი არ მოგვსვლია. კოპენჰაგენში მე ვმუშაობდი კოოპერაციულ კომისიაში. ყველაზე საინტერესოა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება; გარეგნულად ერთიანობაა, შიგნით კი ორი სხვადასხვა მიმდინარეობაა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიისაგან შედიან — ნახევარი პარტიისაგან და ნახევარი პროფესიული კავშირებისაგან. აქ შეინიშნება, რომ რაც უფრო მრავალრიცხოვანი ხდება გერმანიის დელეგაცია, მით უფრო ეცემა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონია. შტუტგარტის კონგრესზე მათ თავი შეირცხვინეს, როცა კოლონიურ რეზოლუციას მისცეს ხმა... ერთ-ერთი წარმომადგენელი, მაგალითად, ამბობს კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია შეუძლებელიაო. გამოირკვა, რომ პროგრამაში მათ ამის თაობაზე არ ჰქონიათ სიტყვა ექსპროპრიაცია. ისინი სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიულ ხაზს არ ადგანან. აქ ილუზიების შექმნა ზედმეტია, ხოლო რაც დრო გავა, მით უფრო გაფართოვდება და გამწვავდება ბრძოლა; რა თქმა უნდა, პროლეტარიატის მა-

სა მერყეობას არ დაიწყებს. მაგდებურგის ყრილობიდან ისინი წავიდნენ, მაგრამ ამით ვერც ერთ სოციალ-დემოკრატს ვერ შეაშინებ[323].

ჩეხებს შორის გათიშვაა[324]. ჩვენ ამ გათიშვის წინააღმდეგი ვიყავით, რადგან ვფიქრობდით, რომ სოციალ-დემოკრატები არავითარ შოვინისტურ და ნაციონალისტურ აგიტაციას არ უნდა აჰყვნენ. ავსტრიაში გაუთავებელი სკანდალია იმის გამო, თუ რა ენაზე უნდა იწერებოდეს ქალალდები და ა. შ. პლეხანოვი მომხსენებელი იყო ამ გათიშვის თაობაზე და მისი რეზოლუცია უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო. ტროცკიმ აქაც მოინდომა შერიგება და დაიჩემა, რომ ყველაფერი ადლერის, ყველაზე „მშვიდი“ და ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატის, ბრალიაო.

უეჭველია, გერმანიის სოციალ-დემოკრატია უახლოვდება ახალ ეპოქას — სოციალისტური რევოლუციის ეპოქას; ეკონომიური და სამხედრო კრიზისი, მსოფლიო გართულებანი— ყოველივე ეს ახლოებს ამ ეპოქის სიმპტომებსაც. აქამდე მიმდინარეობდა მოსამზადებელი მუშაობა. ახლა კი ბურჟუაზიასთან ბრძოლის ეპოქაა. და აქ ვლინდება განსხვავება რეფორმისტებსა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შორის. ციურიხში მოიწვიეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა მაროკოს თაობაზე. აქ კიდევ ინციდენტი მოხდა. მოლკენბურმა წერილი მოიწერა თავისი სახელით, რომ ნუ შეიკრიბებითო. როზა ლუქსემბურგმა დაბეჭდა ეს წერილი და ამის გამო ერთი ამბავი ატყდა[325]. უკანასკნელ ყრილობაზე რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. ბებელმა თქვა, რ. ლუქსემბურგს პასუხს ვაგებინებო. ფრანგებმა სცადეს რეზოლუციაში შეეტანათ გაფიცვა როგორც ომთან ბრძოლის იარაღი. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ყველა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება გავუმჟღავნოთ მთავრობას, რა იარაღს მოვკიდებთ ხელს, რომელი სად უფრო გამოგვადგებაო. წინადადება უარყვეს. ბებელმა დააყენა საკითხი, დოკუმენტებს ნუ გამოვაქვეყნებთო, ამასთან რ. ლუქსემბურგს გულისხმობდა და რეზოლუციას მოითხოვდა. მე ვიკისრე როზა ლუქსემბურგის დაცვა. მოვიყვანე

კველჩის ციტატა, რითაც ბებელის დიდი გულისწყრომა გამოვიწვიე. ბებელი აქ შემრიგებლად გამოდიოდა. რ. ლუქსემბურგის მიერ გამოქვეყნებულ წერილს საერთო არა აქვს რა [სხვა] დოკუმენტებთან. დიდი-დიდი, იგი უნდა გაესამართლებინათ პარტიაში და გაასამართლეს კიდეც, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროზე გამოტანა კი უსამართლობა იყო...

გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში გაჩნდნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი, რომლებიც გარეთ მოისწრაფვიან, პარტიის შიგნით შფოთია. აქ მოსალოდნელია გადამჭრელი გამოსვლები. კონფლიქტი გარდაუვალია რეფორმისტებსა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შორის.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

ბეჭდება ოქმის ჩანაწერის
ხელნაწერის მიხედვით

4

ბამოსვლა შიმშილობის წინააღმდეგ გრძოლის შესახებ რეზოლუციის მიღების გამო

1912 წლის 8 (21) იანვარი

პარტია აქტიურად უნდა ჩაერიოს, საჭიროა რეზოლუციის გამოტანა. ჩვენ აზრთა გაზიარებით დავრწმუნდით, რომ მუშები შიმშილობას დიდი ყურადღებით ეკიდებიან, აქტიურად ერევიან საქმეში და ეხმარებიან დამშეულთ. დამშეულთა დახმარება ფილანთროპია როდია. დახმარება ფილანთროპიაა მხოლოდ საკითხის ბურჟუაზიული გაგებით. ეს კიდევ ცოტაა. კადეტები მართლაც რომ სამინისტროს მოხელეთა თვალსაზრისს დაადგნენ! უნდა შევიდეთ კომიტეტებში, რომლებიც შიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველად იქმნება. მე მხედველობაში მაქვს უპარტიო მუშათა კომიტეტები. საჭირო არ არის მიწერილობანი, რათა ისინი შექმნან, მაგრამ ამ კომიტეტებში მონაწილეობა საჭიროა. ფული უმჯობესია იგზავნებოდეს სოციალ-დემოკრატიის ფრაქციაში, მუშათა კავშირებში, კლუბებსა და სხვა საზოგადოებებში. ფურცელიც უნდა გამოვცეთ, მაგრამ ჯობს

მუშებისა და გლეხებისადმი. უნდა შეეუდგეთ მარკოვ მეორის იმ სიტყვის გავრცელებას, რომელშიც მან დამშეულ გლეხებს უქნარები უწოდა. ეს ბრწყინვალე სიტყვაა, დაე წაიკითხონ იგი.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის
ხელნაწერის მიხედვით

5

პარტიის ორგანიზაციული წესდების ცვლილებათა პროექტი*

ორგანიზაციული წესდება

§ 1 — იგივე.

§ 2 — დაემატოს, რომ კოოპტაცია დასაშვებია როგორც დროებითი ღონისძიება (1908 წ. XII რეზოლუციის თანახმად).

§ 3 — იგივე.

§ 4 — იგივე.

§ 5 — იგივე.

§ 6 — იგივე.

§ 7 — იგივე.

§ 8 — სულ ამოვიღოთ. მიეცეს ცენტრალურ კომიტეტს + ადგილები.

§ 9 — ნაცვლად 1000 ამომრჩევლისა იყოს 30 ან 50 და გაუქმდეს (დროებით) პროპორციული წარმომადგენლობა.

შენიშვნა. 1912 წლის კონფერენცია, საგანგებო ვითარების გამო, კონსტიტუირებული იყო როგორც პარტიის უმაღლესი ორგანო (იხილე რეზოლუცია კონფერენციის შესახებ)**.

დაწერილია 1912 წლის იანვარში,
არა უგვიანეს 11 (24) რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს
ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის"
№ 1-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 577—578. რედ.

** ხელნაწერში ეს აბზაცი გადაშლილია. რედ.

6

სიტყვა ორგანიზაციული საკითხის შესახებ

1912 წლის 11 (24) იანვარი

მინდა შევეხო საკითხის მეორე მხარეს. ვგულისხმობ მოქნილობას... რეზოლუცია სწორი იყო[320]. მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ რომელი მხარეა დიდმნიშვნელოვანი. მაგალითისათვის ავიღოთ ლეგალური საზოგადოება. მთელ რუსეთზე ვერ ვიტყვი, მაგრამ 5 ქალაქზე შემიძლია ვთქვა, რომ... შესაძლებელია. მაშ ასე, რას გვაძლევს უწინარეს ყოვლისა ლეგალური საზოგადოება? მარქსისტული ხასიათის ლექციებს; როგორც ჩანს, ისინი ნებადართულია. პრესაში ვხედავ, რომ დიდ ქალაქებში ნებადართულია. ამბობენ, ძნელია ლექტორების შოვნაო... მუშებმა თვითონ უნდა გამოიყვანონ ლექტორები და თვითონვე გადაუხადონ ფული. არის კიდევ ბიბლიოთეკა და სამკითხველო. არ ვიცი, ნებადართულია თუ არა იქონიონ „ზვეზდა“. მერე კიდევ ლეგალური საზოგადოებანი აწყობენ სხვადასხვა გართობა-სანახაობებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, ამ გართობა-სანახაობათა წყალობით რაღაც კლუბის მსგავსი რამ გამოდის. აი თუ ამ ტიპის საზოგადოება რეალური ამბავია, და არა ფიქცია, ეს კი უეჭველია, ჩვენს თავს უნდა ვკითხოთ, გვიმუშავია [თუ არა] ასეთ საზოგადოებათა გაფართოებისათვის? გამოვსულვართ [თუ არა] ფაბრიკა-ქარხნებში მოხსენებებით ამ საზოგადოებათა შესახებ? გვიცდია თუ არა ჩამოგვეყალიბებინა ასეთი საზოგადოებანი? შემდეგ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ასეთი საზოგადოებანი? ახლა ჩვენ ვუახლოვდებით საგანგებო კანონების ეპოქისდროინდელი გერმანული ორგანიზაციის ტიპს. მაგრამ ჩვენ უფრო გვეძნელება და უფრო გვეადვილება კიდეც. უფრო გვეძნელება იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ აშკარა ლეგალური შესაძლებლობანი. ცენტრალური კომიტეტი შედგებოდა საპარლამენტო ფრაქციის წევრებისაგან, ლეგალურად იკრიბებოდა, არალეგალურად მომუშავეებს იწვევდა. ჩვენში კი მასები დიდი თანაგრძნობით, მხარდაჭერით ეკიდე-

ბიან სოციალ-დემოკრატებს. ჩვენ ყოველ საზოგადოებაში უნდა გვყავდეს სოციალ-დემოკრატთა პატარა-პატარა უჯრედები, პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, და ყოველი საკითხი წყდებოდეს პარტიის დადგენილების სულისკვეთებით... ეს უჯრედები არ უნდა იყოს ისეთი ვეებერთელა, როგორც რაიონები და ქვერაიონები. [ლეგალურ] საზოგადოებათა ტიპისათვის გამოდგება პეტერბურგი, რიგა. მოსკოვში ცოტა რამ გაკეთდა ამ მხრივ. და აი ეს უჯრედები ურიგდებიან პარტიის მშენებლობის სხვაგვარ ტიპს. წინათ, ჩემს დროს, ყველაფრის კეთება თვითონ გვიხდებოდა. ახლა კი პროფესიულმა კავშირებმა და ორგანიზაციებმა იკისრეს სამუშაოს ერთი ნაწილი. შეძლებისდაგვარად პოლიტიკურ ბრძოლაში ხშირად ებმება სათათბიროს ლეგალური ფრაქციაც, ხოლო ასე აგებული ლეგალური საზოგადოებანი მეტი რომ იყოს, მაშინ რევოლუცია უძლეველი იქნებოდა. სწორედ ეს არის საკითხი ორგანიზაციათა მოქნილობის შესახებ. ეს იქნება იდეალი ჩვენი ორგანიზაციის ხელახლა შექმნისათვის. ლეგალური უჯრედების ქსელით გარშემორტყმული ეს არალეგალური უჯრედები ახალ ბაზას მოგვცემენ. მთელი ურთიერთობა მინიმუმამდეა შემცირებული, თითქოს ორგანიზაცია კიდეც არის და არც არის. დაე ნუ იქნება კრებები. პარტიულმა მუშაობამ სხვა ფორმა მიიღო. ახალი ფორმა უკვე შეიჭრა ძველში. დაე ნაკლებად იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ ფართოვდებოდეს ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობით. საჭიროა ყოველი ნაბიჯი კულტურისაკენ გამსჭვალული იყოს სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით, სოციალ-დემოკრატიული კულტურით. ეს იქნება გადამწყვეტი ბრძოლა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ... აქვთ უჯრედი, დაკავშირებული არიან ცენტრალურ ორგანოსთან, წელიწადში ერთხელ უკავშირდებიან ერთმანეთს და ასჯერ მეტს აკეთებენ, ვიდრე წინათ. ჩვენ ცოტა გავაკეთეთ ლეგალურ საზოგადოებებში. ხელიდან უნდა გამოვტაცოთ ისინი ლიბერალებს, [გამოვტაცოთ] მთელი ლეგალური მოძრაობა. საჭიროა ვავრცელებდეთ, ვაფართოებდეთ ლეგალურ საზოგადოებებს. კონკრეტულად მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ უძღვე-

ბიან მუშაობას ლეგალურ საზოგადოებებში. არალეგალური უჯრედები ყველგან უნდა მოვაქციოთ ლეგალური უჯრედების ქსელში.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის ხელნაწერის მიხედვით

7

„პარტიული მუშაობის ხასიათისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ“ რეზოლუციის* პროექტის გამო

ჩაემატოს დასაწყისში (α) 1908 წ. XII რეზოლუციის დადასტურება, ანუ მისი სისწორის დადასტურება სამი წლის გამოცდილებით; (β) იმის აღიარება, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ძალების მუშაობა გვიქმნის პარტიის ტიპს, რომელიც უახლოვდება 1878—1890 წლების გერმანულისას[327]. ამ გზით უნდა ვიაროთ შემდეგაც

ეს § 1-ის ნაცვლად.

მე-5 თეზისში ამოვაგდოთ გაფორმება და „გაფართოების“ ნაცვლად ვთქვათ განმტკიცება.

§ 7—ვთქვათ უფრო ფრთხილად, 1908. XII-ის მსგავსად.

§ 9—ისე ჩამოვაყალიბოთ, რომ პოლიტიკური აგიტაციის თვალსაზრისითაც, რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობისთვისაც, სხვადასხვა საზოგადოებაში ყველა არალეგალური ორგანიზაციისა და არალეგალური უჯრედის **შეკავშირებისათვისაც** განსაკუთრებით საჭიროა სწორად და ხშირად გამომავალი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის რეგულარული გავრცელება.

დაწერილია 1912 წლის 11 (24) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 505 — 507, რედ.

8

მასალები რეზოლუციისა „საპეტიციო კამპანიის შესახებ"*

რეზოლუცია საპეტიციო კამპანიის შესახებ

თემები:

1) მასებთან დაუკავშირებელ ლიტერატორთა გამონაგონი, რომელიც მასებისაგან [არ] მო[დის];

2) უსიცოცხლო ხელმოწერა, როცა არაა ნათელი [ლოზუნგები], არაა აგიტაცია [მასებში], არაა ინტერესი [მასების მხრივ];

3) პეტიციის ტექსტი და ხასიათი არადამაკმაყოფილებელია;

4) ნაწილობრივი მოთხოვნის გამოგლეჯა, როცა გარემოებანი დღის წესრიგში აყენებს მთელი ხალხისა[თვის] თავისუფლების ზოგადელემენტარულ პირობებს;

5) მარცხი: 1300 ხელმოწერა. მხარი არ დაუჭირეს კიევმა, ეკატერინოსლავმა, კავკასიამ etc.;

6) პროლეტარული მიტინგებისადმი ინტერესმა გვიჩვენა, რომ იქ როდი უნდა ვეძებოთ „[გზებ]ი" მასებისაკენ, სადაც ლიკვიდატორებს სურთ.

ჯამი:

აღიარებულ იქნეს მარცხი საბოლოოდ.

პეტიციები [ეპოქის] კონკრეტული პირობების მიხედვით აგიტაციის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად [გამოსადეგი] საშუალებაა.

მოწოდება [კოალიციათა] თავისუფლების აგიტაციისათვის საერთო [პოლიტიკურ] მოთხოვნებთან და მასებში რევოლუციურ აგიტაციასთან დაკავშირებით.

რეზოლუციის პროექტი

აღიარებულ იქნეს:

1) რომ დაწყებული... [ეგრეთ] წოდებული „საპეტიციო

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრობრივად და მიღებული რეზოლუციის ტექსტის მიხედვით. რედ.

კამპანია“ წამოიწყო ლიკვიდატორული მიმართულების [პეტერბურგელ ლიტერატორთა ჯგუფმა], რაც სულ არ ყოფილა [მასების ბრძოლის] პროდუქტი, არ ყოფილა დაკავშირებული... მუშათა ორგანიზაციების ან მოწინავე მუშების აქტიურ თანასწორასთან;

2) რომ აღნიშნული [კამპანია როგორც] პეტიციის [ხასიათი]ს, ისე საერთო პოლიტიკური პირობების გამო [გარდაუვალად გადაიქცა] მასებისათვის უინტერესო [ქაღალდის წმინდა წყლის ფორმალურ] და უსიცოცხლო ხელმოწერად და რომ არც პრესაში, არც კრებებზე პეტიციის... განხილვაში თვით მუშებს ფართო მონაწილეობა [არ] მიუღიათ;

3) რომ ეს გამოშვებული პეტიცია და ის კომენტარები, რომლებიც მას ლიკვიდატორებმა დაურთეს, ცდილობდა გამოეგლიჯა პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნა ერთი, ყველ[ლაზე] მოწინავე და ყველაზე რევოლუციური კლასისათვის, ამასთან ამ მოთხოვნას [არ უკავშირებდა მთელი ხალხის] პოლიტიკური თავისუფლების [ზოგად] ელემენტარულ მოთხოვნებს და ამრიგად ამახინჯებდა ცარიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის, მთელი ხალხის ბ[ელადის]... ბრძოლის ამოცანებს და „კამპანიას“ [ჩასაფუშავ]ად სწირავდა;

4) რომ ამ [საპეტიციო კამპანიის] ბედი ნათლად ადასტურებს [მთელი] ამ წამოწყების უმართებულობასა და მ[უშათა მასისაგან] მოწყვეტილობას: პეტიციამ სულ 1300 ხმა მოაგროვა, [თანაც] ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, მათ შორის [კავკასიაში], ეკატერინოსლავსა და კიევში და თვით ლიკვიდატორების თანამგრძნობ... საპეტიციო კამპანიამ, რომელსაც აშკარად არ უჭერდნენ მხარს მ[ასები], [ვერ პოვა აბსოლუტურად] ვერავითარი მხარდაჭერა, ისევე როგორც არ დაუჭირა მხარი ამ [კამპანიას სათათბიროს ჩვენმა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამაც].

დაწერილია 1912 წლის იანვარში,
არა უგვიანეს 17 (30) რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1941 წელს
ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“
№ 1-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა რეფერატისა „რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა“[328]

1. ლენის ამბები[329] და პირველი მაისი რუსეთში. მასობრივი გაფიცვები და მათი როლი.
2. რევოლუციური აღმავლობის კანონზომიერება, მისი წინამორბედნი და მისი პერსპექტივები.
3. მასობრივი გაფიცვის მნიშვნელობა თანამედროვე რევოლუციებში. 1905 წლის გამოცდილება.
4. ლიბერალიზმი და დემოკრატია ახალი რევოლუციის წინაშე.
5. რატომ გამოუცხადეს კადეტებმა ომი „რევოლუციურ განწყობილებას“ და დაგმეს აზრი „რუსეთში ახალი რევოლუციის საჭიროებისა“.
6. ახლანდელი რევოლუციური აღმავლობის ახალი ვითარება. პოლიტიკური პარტიები, III სათათბირო, არჩევნები. გლეხობა და ახალი დემოკრატიული ინტელიგენცია.
7. „კოალიციების თავისუფლება“ და სახალხო რევოლუციის ლოზუნგები — ბრძოლა რესპუბლიკისათვის, 8-საათიანი სამუშაო დღისათვის, მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციისათვის.

დაიბეჭდა 1912 წლის 13 ივნისამდე (ახ. სტ.) განცხადებაში იმ რეფერატის შესახებ, რომელიც გამოსცა რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციამ

იბეჭდება განცხადების ტექსტის მიხედვით

როზა ლუქსემბურგი და პოლონური „PARTEI“ VORSTAND-ი მარტოვის კვალდაკვალ[330]

როზა ლუქსემბურგის გამოსვლა „Vorwärts“-ში (14 სექტემბერს), სადაც იგი იცავდა ეგრეთ წოდებულ პოლონურ Vorstand-ს და ბრალსა სდებდა ამხანაგ რადეკს, მაიძულებს კალამს მოვკიდო ხელი, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არა მაქვს სურვილი ჩაერიო ამ საქმეში. ჩუმად ვერ იქნები,

როცა რუსეთის პარტიის ლიკვიდატორებთან ბრძოლას ლიკვიდატორთა უმდარეს საშუალებათა გასამართლებლად იყენებენ.

პირადად მინახავს, როგორ მერყეობდა ამხ. რადეკი უკიდურესად მემარცხენე დაცვასა და რუს ლიკვიდატორთა დაცვას შორის; მე ყოველთვის ვებრძოდი და პოლიტიკურად შევებრძოლები ლიკვიდატორობის ყველა ჯურის დამცველებს, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა წინააღვუდგე ეგრეთ წოდებული პოლონური Vorstand-ის საზიზღარ ხერხებს რადეკის „საქმეში“[331].

რა არის მარტოვის „ცნობილი“ (bekannt) ბროშურის თავისებურება, რომელიც ასე დროულად გაიხსენა როზა ლუქსემბურგმა?[332]

არის ის, რომ ლიკვიდატორთა ბელადმა მარტოვმა, მას შემდეგ, რაც 1910 წლის იანვარში რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატმა საჯაროდ და ერთხმად დაგმო ლიკვიდატორობა და პარტიაში ზავი გამოაცხადა ამ დაგმობის[333] საფუძველზე, — ერთი წლის მერე, როცა ლიკვიდატორებმა დაანგრიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი და გაემიჯნენ მას,—გამოუშვა ბროშურა, რომელშიც თავის მოწინააღმდეგეებს ბრალად სდებდა 1001 უპატიოსნო და სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. პოლონელებმა მაშინ ამ ბროშურას უწოდეს „Stinkbombe“ *, და თვით (sogar და არა selbst) კაუცკიმაც კი მას „abscheulich“ ** უწოდა.

ზუსტად იგივე ჩაიდინა ახლა ეგრეთ წოდებულმა პოლონურმა Vorstand-მა როზა ლუქსემბურგის მეთაურობით.

პირადად მე სხვა ვინმემ კი არა, სწორედ ამ Vorstand-ის წევრებმა **მირჩიეს** 1909 და 1910 წელს ამხ. რადეკი **ჩვენი** პარტიის ცენტრალური ორგანოს **თანამშრომლად** აგვეყვანა, ხოლო კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესზე პირადად გამაცნეს იგი და სააუკეთესოდ დამიხასიათეს.

მაგრამ შემდეგ, 1911 წელს, ამხ. რადეკი პოლიტიკურად

---

* — მყრალი ბომბი. რედ.

** — საზიზღარი, ბილწი. რედ.

ილაშქრებს ამ Vorstand-ის წინააღმდეგ და მხარს უჭერს პარტიის ვარშავის კომიტეტს, პარტიის მთელ რიგ წევრებს და მის 2 ყველაზე თვალსაჩინო ბელადს (მალეცკისა და განეცკის), რომლებმაც ეს Vorstand-ი დეზორგანიზატორულ მოქმედებაში ამხილეს. ამბ. რადეკი ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას, სახელდობრ, რომ პოლონური *Partei*vorstand-ი არის Vorstand-ი უ პ ა რ ტ ი ო დ. პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ეს Vorstand-ი წარმოადგენს უ კ ვ ე ა რ ა ვარშავის კომიტეტს, არამედ თავის პაწაწინა ფიქციურ ჯგუფს. გერმანელი ამხანაგები ყოველივე ამას მალე გაიგებენ უფრო დაწვრილებით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა იციან, რომ ამის შესახებ უკვე მ თ ე ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ა, და როზა ლუქსემბურგი ამაოდ ცდილობს მიჩქმალოს (totzuschweigen) იგი ინტერნაციონალის წინაშე!

და აი, მას შ ე მ დ ე გ, რაც რადეკმა პოლიტიკურად გაილაშქრა ეგრეთ წოდებული Parteivorstand-ის (უ პ ა რ ტ ი ო დ) წინააღმდეგ, ეს „Partei" vorstand-ი „სასამართლოს" უ წ ყ ო ბ ს რადეკს — მისმინეთ! — *1906* წლის „საქმის" გამო!

აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული, აი რის wegzuschwatzen* ცდილობს ჩვენი illustre** როზა!

როზა ლუქსემბურგი და მისი „Partei" vorstand-ი ახლა არნახულ გაფთრებულ ომს აწარმოებენ თავისივე პარტიის საუკეთესო მუშაკების წინააღმდეგ და ისეთ სიმდაბლესაც კი კადრულობენ, რომ ეჭვი მიაქვთ მათზე — საიდუმლო პოლიციასთან არიან დაკავშირებულიო. როზა ლუქსემბურგსა და მის „Partei" vorstand-ს თავგზა არევიათ, ა ს ე თ ომს რომ ეწევიან თავიანთ პოლიტიკურ მეტოქეებთან.

ნუთუ ახლა გასაგები არაა ის, თუ „რადეკის საქმის" დ ე დ ა ა რ ს ი ს განუხილველად რატომ მიმაჩნია ჩემს მოვალეობად განვაცხადო: ამ საქმის დ ე დ ა ა რ ს ი ა როზა ლუქსემბურგისა და მისი „Partei" vorstand-ის პოლიტიკური შურისძიება.

* — დასმენას, გამხელას. რ ე დ.

** — განთქმული. რ ე დ.

ტურგენევმა რუსულ ლიტერატურაში დიდი ხანია დაახასიათა ცნობილი ხერხები. ერთხელ, წერდა ტურგენევი, ერთი ძველი გაიძვერა ბრძნულ რჩევა-დარიგებას იძლეოდა: როცა სისაძაგლეს სჩადიხარ, ყველაზე ხმამაღლა იყვირე სწორედ იმ საქციელის სულმდაბლობაზე, რასაც სჩადიხარ. როცა ხაზინას ძარცვავ, ყველაზე ხმამაღლა იყვირე ხაზინის გაქურდვის სისაძაგლეზე...

როცა პოლონურმა „Partei" vorstand-მა ისიც კი იკადრა, რომ მარტოვის ხერხები გაიმეორა ამხ. რადეკის წინააღმდეგ, — ამ „Partei" vorstand-მა როზა ლუქსემბურგი „Vorwärts"-ში გაგზავნა, უფრო ხმამაღლა რომ ეყვირა მარტოვის სულმდაბლობაზე! ...Es ist eine alte Geschichte*, მაგრამ ჩვენთვის, რუსი ემიგრანტებისათვის, ist sie leider gar nicht „neu" **...

როზა ლუქსემბურგი ცდილობს დაარწმუნოს გერმანელი მკითხველები, რომ ამხ. რადეკი „nie die geringste Rolle gespielt hat" *** და ასე შემდეგ და სხვა მისთანანი. მე ვალდებული ვარ ამ elenden Altweiberklatsch****-ის პასუხად დავადასტურო ზუსტი ფაქტი: ამხ. რადეკი 1909 წელსაც და 1910 წელსაც ბევრს და წარმატებით მუშაობდა, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს თანამშრომელი. მე ცენტრალური ორგანოს ერთ-ერთი რედაქტორი ვიყავი და უპასუხოდ ვერ დავტოვებ როზა ლუქსემბურგის ავმზრახველ მონაჭორებს.

ამხ. რადეკს ჩირქი რომ მოსცხოს, როზა ლუქსემბურგი თავს იქებს: „polnische Wortführer" ***** ვართო. იგი გადაკვრით ამბობს ამხ. რადეკის „taktischen" Ideen******-ის მერყეობაზე.

---

* — ეს ძველი ამბავია. რედ.

** — იგი, სამწუხაროდ, სულაც არ არის „ახალი". რედ.

*** — „არასოდეს არ ასრულებდა უმცირეს როლსაც კი". რედ.

**** — უბადრუკი დედაკაცური ჭორების. რედ.

***** — „პოლონეთის წარმომადგენლები". რედ.

****** — „ტაქტიკური" იდეების. რედ.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს მერყეობა, რუს ლიკვიდატორებთან „დაზავებისათვის" ეს მზადყოფნა ამჯ. რადეკის დიდ ცოდვად მიმაჩნია. მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი ცოდვა უფრო ეპატიება თანამშრომელს, რომელიც პასუხს არ აგებს ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკისათვის, ვიდრე ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს წ ე ვ რ ე ბ ს. ყბადაღებულ „პოლონეთის Wortführern"-ს შორის კი გაბატონებულ როლს ყოველთვის ასრულებდნენ ისეთი პირწავარდნილი „Intrigenführer" *, როგორიცაა ტიშკა, და მათი მ ე რ ყ ე ო ბ ა უდიდეს ზიანს აყენებდა მთელ პარტიას.

უსაფუძვლოდ რომ არ ვილაპარაკო, მოვიყვან ორ მაგალითს. 1910 წლის იანვარში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ე რ თ ხ მ ა დ დაგმო ლიკვიდატორობა. რეზოლუციის ერთადერთი ნაწილი, რომელიც Tür und Thor-ს** უღებს ოპორტუნიზმს (ეგრეთ წოდებული § 1), ტიშკას ინიციატივით მიიღეს. რას იტყვის ამაზე როზა ლუქსემბურგი? ხომ არ მოეპრიანება დაიცვას ეს § 1 „radikale Richtung"-ის*** თვალსაზრისით?

როცა 1911 წლის გაზაფხულზე ცენტრალური კომიტეტის ეგრეთ წოდებული საზღვარგარეთული ბიუროდან ბოლშევიკები გამოვიდნენ იმის შედეგად, რომ ლიკვიდატორებმა დაანგრიეს ცენტრალური კომიტეტი, პოლონელები კ ი დ ე ვ თ ვ ე ო ბ ი თ რჩებოდნენ ამ დაწესებულებაში ბუნდელებთან და ლატვიელებთან[334] ე რ თ ა დ, რომელთა შესახებ მაშინ თ ვ ი თ (sogar) პლეხანოვი წერდა: „Diese Parteiinstitution, die zum Werkzeug in den Händen einer Gruppe von Leuten geworden war, die die Partei liquidieren wollten und die daher der Sache des russischen Proletariats großen Schaden zuzufügen drohte, konnte diesem nur einen Gefallen erweisen:

---

* — „ინტრიგანები". რ ე დ.

** — კარსა და ჭიშკარს. რ ე დ.

*** — „რადიკალური მიმართულების". რ ე დ.

nämlich das Zeitliche segnen“ (შენიშვნა: „Tagebuch eines S. D.“ 2 Beilage zu N 15, S. 1, zitiert in der Schrift: „Der Anonymus aus dem „*Vorwärts*“ und die Sachlage in der Soz. Dem. Arb. P. Rußlands“; diese Schrift wurde in die Redaktionen aller s. d. Blätter in Deutschland gesandt)*.

მკითხველს შეუძლია ამ ფაქტებით განსაჯოს, თუ რამდენი სიმართლეა როზა ლუქსემბურგის მკვეხარა სიტყვებში, თითქოს პოლონელები „mit starker Faust die liquidatorische Richtung in Rußland niederzuhalten geholfen haben“**.

საქმით პოლონელები თავიანთი ინტრიგებით გაცილებით მეტს უშლიდნენ ხელს ამ „Richtung“***-თან ბრძოლას. დღემდე, რვა თვე რომ გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიიდან ფორმალურად გარიცხეს ლიკვიდატორთა გარკვეული ჯგუფი (ჟურნალი „ნაშა ზარია“)[335], ყბადაღებულ „polnische Wortführer“-ებს ვერ მოუციათ პირდაპირი პასუხი, უნდათ თუ არა „ზავი“ ამ ჯგუფთან. პირდაპირი პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია, როგორც ის, რომ პლეხანოვზედ დღეს ანტილიკვიდატორებისაგან, ხვალ ლიკვიდატორებისაგან და ამის საფუძველზე აცხადებდე, ორივე „ფრაქციაზე“ „მაღლა“ ვდგავარო!

---

* — „ამ პარტიულ დაწესებულებას, რომელიც პარტიის ლიკვიდაციის მოსურნე ბატონების იარაღად იქცა და ამიტომ დიდ ზიანს უქადდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საქმეს, შეეძლო რევოლუციური პროლეტარიატისათვის გაეწია მხოლოდ ერთი სამსახური: დროზე მომკვდარიყო“ (შენიშვნა: „დნევნიკ სოციალ-დემოკრატა“, № 15-ის მე-2 დანართი, გვ. 1, ციტირებულია სტატიაში „ანონიმი „Vorwärts“-იდან და საქმის ვითარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში“, ეს სტატია დაეგზავნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ყველა რედაქციას). რ ე დ.

** — დაეხმარნენ ჩაეხშოთ „მაგარი მუშტით ლიკვიდატორული მიმართულება რუსეთში“. რ ე დ.

*** — მიმართულებასთან. რ ე დ.

როზა ლუქსემბურგი სარგებლობს „რადეკის შემთხვევით", რათა დაჯეროს გერმანელი მკითხველები, თითქოს „russische Partei" *-საგან აღარაფერი დარჩენილიყოს, „außer Trümmern" **.

ამის პასუხად უნდა დავასახელო ზუსტი ფაქტები. „Trümmer" — ეს არის პოლონეთის „Partei"-vorstand-ი, რადგან იგი უკვე მთელი წელიწადია პარტიას აღარ ეკუთვნის. უკვე წელიწადია, რაც იგი ორგანიზაციულ კავშირში აღარაა არც პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე[330] აირჩიეს, არც ლიკვიდატორთა ეგრეთ წოდებულ „საორგანიზაციო კომისიასთან".

ლიკვიდატორებისა და პოლონეთის „Partei"-vorstand-ის ინტრიგანებისაგან განთავისუფლებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის პარტია ისე ნაკლებად წააგავს Trümmer-ს, რომ სწორედ 1912 წლის იანვრიდან იგი განსაკუთრებით წარმატებით ვითარდება. რადგან ზოგიერთი — და ზოგჯერ, სამწუხაროდ, გავლენიანი — ამხანაგი გერმანიის პარტიიდან ხშირად ისმენს პარტიის გარეშე მდგომ Wortführer des polnischen „Partei"-vorstand-ის*** მიკერძოებულ ნაამბობს და Klatsch****-ს, მე ფაქტების მოკლე აღნიშვნას დავჯერდები.

რუსეთში სოციალ-დემოკრატთა გავლენისა და მუშათა მასებთან მათი ურთიერთობის ერთადერთი აშკარა საზომია (Maßstab) ლეგალური მარქსისტული გაზეთები. რუსეთში წარმოდგენილია მხოლოდ 2 „მიმდინარეობა": პარტია და ლიკვიდატორები. ყოველივე დანარჩენი არის Schwindel*****.

---

* — რუსეთის პარტიისაგან. რედ.
** — ნამსხვრევების გარდა. რედ.
*** — პოლონეთის „მთავარი" გამგეობის წარმომადგენელთა. რედ.
**** — მონაჟორებს. რედ.
***** — თაღლითობა, მოტყუება. რედ.

ლიკვიდატორებმა 1912 წლის პირველ ნახევარში გამოუშვეს გაზეთის 21 ნომერი, ანტილიკვიდატორებმა — 100. მეორე ნახევრის 2 თვეში (ივლისი და აგვისტო): პირველებმა — 4, მეორეებმა — 60. პირველებს 8 თვეში (1912 წ. I—VIII) შეეძლოთ დაებეჭდათ, რომ მათ უშუალო დახმარება აღმოუჩინა *15* მუშათა ჯგუფმა, მეორეებს — *551*-მა*.

დაე როზა ლუქსემბურგმა „Trümmer"-ზე თავისი ნაამბობით სცადოს და უარყოს ეს ფაქტები!

Des polnischen „Partei"vorstand-ის ნაამბობი რუსეთის პარტიის შესახებ კიდევ უფრო ნაკლებად სანდოა, ვიდრე მათი ნაამბობი რადეკის შესახებ.

ნ. ლენინი

დაწერილია 1912 წლის 4 (17) სექტემბრამდე

პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე 1964 წელს ჟურნალში „International Review of Social History". Volume IX. Part 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პასუხი ლიკვიდატორთა სტატიაზე „LEIPZIGER VOLKSZEITUNG"-ში[337]

ა. წ. 28 სექტემბრის „Volkszeitung"-ის** № 226-ში გამოქვეყნდა შენიშვნა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციათა კონფერენციის შესახებ", რომელსაც, სამწუხაროდ, ცალმხრივი და შეუმოწმებელი ფაქტები უძევს საფუძვლად.

---

* — Vgl. die Schrift „Zur gegenwärtigen Sachlage in der Soz. Dem. A. P. Rußlands". Leipzig, 1912. Diese Schrift gelangt jetzt in Chemnitz zur Verteilung an die Delegierte der Partei (შდრ. სტატიას „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში თანამედროვე მდგომარეობის გამო". ლაიფციგი, 1912 წელი. ეს სტატია ახლა ჰემნიცში პარტიის დელეგატებისათვის დასარიგებლად. რედ.).

** — იგულისხმება „Leipziger Volkszeitung". რედ.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული კონფერენცია სინამდვილეში არამც და არამც არ ყოფილა რუსეთის პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია. რუსეთის მუშათა ცენტრები ამ კონფერენციაზე საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი. პეტერბურგი წარმოდგენილი იყო ეგრეთ წოდებული საინიციატივო ჯგუფის[338] ლიკვიდატორებით, რომლებიც არ ეკუთვნიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და გააფთრებით ებრძვიან მას თავიანთ ჟურნალსა და გაზეთში[339]. მოსკოვი წარმოდგენილი იყო მხოლოდ პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელო ნაწილის დელეგატით, თანაც მან მიიღო იმპერატიული მანდატი — გაეტარებინა 1912 წლის იანვრის პარტიული კონფერენციის პოლიტიკური ხაზი. მთელი დანარჩენი რუსეთი (კიევი, ეკატერინოსლავი, ხარკოვი, ვოლგისა და ურალის ოლქები, ცენტრალური სამრეწველო რაიონი, დონის რაიონი და კიდევ მრავალი სხვა) საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით კრასნოიარსკსა და სევასტოპოლს, მაგრამ ის, რომ ორივე ამ ქალაქში რაღაც ორგანიზაციები ყოფილა, პარტიამ მხოლოდ ლიკვიდატორთა ჟურნალებიდან და „კონფერენციის“ ანგარიშიდან შეიტყო.

რა თქმა უნდა, უკვე დიდი ხანია პარტიისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ის, რომ ლიკვიდატორთა ერთი ჯგუფი კონფერენციის მოწვევას ცდილობს სწორედ ბუნდის ხელშეწყობით, ბუნდისა, რომელსაც ნამდვილ რუსულ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობასთან არსებითად საერთო არაფერი აქვს. (გერმანელი მკითხველის საყურადღებოდ უნდა მოგახსენოთ, რომ როცა რუსულ პარტიულ მუშაობაზე ლაპარაკობენ, არ გულისხმობენ „ბუნდს“, რომლის საქმიანობის სფერო მხოლოდ და მხოლოდ ებრაელი პროლეტარიატით შემოიფარგლება.) მაგრამ ამ ცდის ჭეშმარიტი ხასიათი იმდენად ნათელი იყო, რომ ამხანაგმა პლეხანოვმა წინადადებაზე, დასწრებოდა „კონფერენციას“, უპასუხა: ამას არ ვიზამ არა მარტო იმიტომ, რომ ეს „კონფერენცია“ ცალმხრივად მიმაჩნია, არამედ იმიტომაც, რომ მასში არ მონაწილეობენ არც „პარტიული ელემენტები“ და არც „ანტიპარტიული ელემენტები“. ზუსტად ასე

იყო განცხადებული იმ ანგარიშში, რომელიც ლიკვიდატორთა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა 1912 წლის სექტემბერში. მაგრამ ნეიტრალური ამხანაგი პლეხანოვის ეს სიტყვები არ არის გერმანულ ანგარიშში, რომელიც ა. წ. 28 სექტემბრის № 226 „Volkszeitung"-ში დაიბეჭდა. ახლა ჩვენ ვეკითხებით ყოველ გერმანელ ამხანაგს, შეიძლება თუ არა კეთილსინდისიერად მივიჩნიოთ ეს ანგარიში? იმ საზღვარგარეთული ჯგუფებიდანაც კი, რომლებიც ფორმალურად დასთანხმდნენ კონფერენციის მოწვევას ლიკვიდატორებთან ერთად, II სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა, „ვპერიოდის" ჯგუფის წარმომადგენელმა ალექსინსკიმ ლიკვიდატორთა პარტიული კონფერენციისადმი აშკარა ოპოზიციის ნიშნად დატოვა იგი, რადგან არ მიიჩნია ეს კონფერენცია უფლებამოსილ პარტიულ კონფერენციად.

ჩვენ მოვალენი ვართ აღვნიშნოთ, თუნდაც ორიოდე სიტყვით, აგრეთვე შემდეგი. ნახევარი წლის განმავლობაში (1912 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე) პეტერბურგის ანტილიკვიდატორულმა გაზეთებმა „ზვეზდამ" და „პრავდამ" გააერთიანეს 550 მუშათა ჯგუფი, მაშინ როდესაც ლიკვიდატორებმა მხოლოდ 16. ამ უკანასკნელთა ახალი გაზეთი „ლუჩი"[340] პეტერბურგელმა მუშებმა გამოსვლისთანავე მტრულად მიიღეს, როგორც პარტიაში გათიშვის შეტანის ცდა. ა. წ. 16 (29) სექტემბერს სათათბიროში მუშების რწმუნებულთა არჩევნების დროს (არჩევნები სათათბიროში მუშათა კურიისაგან) ლიკვიდატორებმა სრული დამარცხება განიცადეს. პარტიის წინააღმდეგ მებრძოლ ლიკვიდატორთა ამ კერძო კონფერენციის მომწვევმა ჯგუფმა, მიუხედავად რეკლამის ყველა საშუალებისა, მაინც ვერ შეძლო შეცდომაში შეეყვანა რუსეთის ორგანიზაციები. ახლა იგი გაშმაგებით ცდილობს რეკლამის იმავე საშუალებებით არასწორი ინფორმაცია მიაწოდოს თუნდაც გერმანელ ამხანაგებს.

ჩვენ მთელი სიმტკიცით პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ, თანაც აღვნიშნავთ, რომ ლიკვიდატორთა ანონიმური ინფორმაცია შეცდომაში შეიყვანს გერმანელ ამხანაგებს მანამ,

ვიდრე ისინი არ მოითხოვენ, რომ „ინფორმატორები“ საჯაროდ გამოვიდნენ საკუთარი სახელით და ხელთ იქონიონ სარწმუნო საბუთები.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1912 წლის 16 (29) სექტემბრის შემდეგ

დაიბეჭდა 1912 წლის 9 ოქტომბერს გაზეთ „Leipziger Volkszeitung“-ის № 235-ში

იბეჭდება გაზეთ „Leipziger Volkszeitung“-ის ტექსტის მიხედვით

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1963 წლის 21 აპრილს გაზეთ „პრაედის“ № 111-ში

თარგმანი გერმანულიდან

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რუსეთის ყველა მოქალაქეს[341]

ამხანაგო მუშებო და რუსეთის ყველა მოქალაქენო!

ბალკანეთში დაიწყო ოთხი სახელმწიფოს ომი თურქეთის წინააღმდეგ[342]. გვემუქრება სრულიად ევროპის ომი. საომრად ემზადებიან რუსეთი და ავსტრია, მათი მთავრობების ყველა ცრუ უარყოფათა მიუხედავად. სულ უფრო თავხედურ პოლიტიკას ადგება იტალია თურქეთის მიწების ძარცვაში. ვენისა და ბერლინის, პარიზისა და ლონდონის ბირჟების პანიკა გვიჩვენებს, რომ მთელი ევროპის კაპიტალისტები ვერ ხედავენ ევროპის მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობას.

მთელ ევროპას სურს მონაწილეობა მიიღოს ბალკანეთის ამბებში! ყველანი „რეფორმებისა“ და თვით „სლავთა თავისუფლების“ მომხრენი არიან. სინამდვილეში კი რუსეთს სურს მიიტაცოს თურქეთის ნაწილი აზიაში და ხელთ იგდოს ბოსფორი, ავსტრია კბილებს ილესავს სალონიკზე, იტალია—ალბანეთზე, ინგლისი — არაბეთზე, გერმანია — ანატოლიაზე.

კრიზისი მწვავდება. ასეულ ათასობით და მილიონობით დაქირავებული მონა, კაპიტალისა და მებატონეთა მიერ ჩაგრული გლეხი სასაკლაოზე მიდის რამდენიმე გვირგვინოსანი უაჩაღის დინასტიური ინტერესების გულისათვის, ბურჟუაზიის მოგების გულისათვის, ბურჟუაზიისა, რომელსაც სხვათა მიწების ძარცვა სწადია.

ბალკანეთის კრიზისი მოვლენათა იმ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომელიც XX საუკუნის დამდეგიდან ყველგან იწვევს კლასობრივ და საერთაშორისო წინააღმდეგობათა გამწვავებას, ომებსა და რევოლუციებს. რუსეთ-იაპონიის ომი, რევოლუცია რუსეთში, მთელი რიგი რევოლუციები აზიაში, მოქიშპეობისა და მტრობის გამწვავება ევროპის სახელმწიფოთა შორის, ომის საშიშროება მაროკოს გამო, იტალიის მძარცველური ლაშქრობა ტრიპოლზე — ასე მზადდებოდა ახლანდელი კრიზისი.

ომებსა და მათგან გამოწვეულ ყველა უბედურებას წარმოშობს კაპიტალიზმი, რომელიც იმონებს მილიონობით მშრომელს, ამწვავებს ბრძოლას ერთა შორის და კაპიტალის მონებს საზარბაზნე ხორცად აქცევს. მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატის მსოფლიო სოციალისტურ არმიას შეუძლია ბოლო მოუღოს მასების ამ ჩაგვრასა და დამონებას, მონების ამ ჟლეტას მონათმფლობელთა ინტერესებისათვის.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მწვავდება სოციალისტური პროლეტარიატის ბრძოლა იმპერიალისტურ ბურჟუაზიულ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებიც სულ უფრო ესწრაფვიან თავზეხელაღებულ ავანტიურებს, ხედავენ რა მუშათა კლასის მილიონობით წარმომადგენლის დაუოკებელ სვლას გამარჯვებისაკენ. ეს მთავრობანი ომს ამზადებენ და ამავე დროს ეშინიათ ომისა, რადგან იციან, რომ მსოფლიო ომი მსოფლიო რევოლუციაა.

აღმოსავლეთ ევროპაში — ბალკანეთში, ავსტრიასა და რუსეთში — დიდად განვითარებული კაპიტალიზმის რაიონებთან ერთად ვხედავთ, თუ როგორ ჩაგრავენ მასებს ფეოდალიზმი, აბსოლუტიზმი, შუა საუკუნეთა ათასობით გადმონაშთი. ბოსნიელ და ჰერცეგოვინელ გლეხს ადრიატიკის ნაპირებ-

ზე, ისევე როგორც ცენტრალური რუსეთის ათეულ მილიონობით გლეხს, დღემდე ჩაგრავენ მებატონე-მემამულეები. ჰაბსბურგებისა და რომანოვების უაჩაღური დინასტიები ხელს უწყობენ ამ ბატონყმურ ჩაგვრას, ცდილობენ რა გააღვივონ შუღლი ხალხთა შორის, რათა გააძლიერონ მონარქიის ძალაუფლება, სამუდამოდ დაამკვიდრონ მთელ რიგ ეროვნებათა დამონება. აღმოსავლეთ ევროპაში მონარქები დღესაც ინაწილებენ ხალხებს, ყიდიან და ერთმანეთს უცვლიან მათ, თავიანთი დინასტიის ინტერესებისათვის სხვადასხვა ეროვნებათა ნაკუწებისაგან ადგენენ სახელმწიფოებს, სწორედ ისე, როგორც მემამულენი ინაწილებდნენ და ადგენდნენ თავიანთ ქვეშევრდომთა კომლებს ბატონყმობის დროს!

ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკა — აი ის მოწოდების ყიჟინა, რომელიც მასებში დასცეს ჩვენმა ძმებმა, ბალკანეთის ქვეყნების სოციალისტებმა, იცავდნენ რა ხალხთა თვითგამორკვევას და სრულ თავისუფლებას, რათა გზა გაეხსნათ ფართო კლასობრივი ბრძოლისათვის სოციალიზმის გასამარჯვებლად.

და ჭეშმარიტ დემოკრატთა, მუშათა კლასის ჭეშმარიტ მეგობართა ამ მოწოდების ყიჟინას განსაკუთრებით უნდა დავუჭიროთ მხარი რუსეთის მეფის მონარქიის — მთელ მსოფლიოში რეაქციის ამ ერთ-ერთი უბოროტესი ბურჯის წინააღმდეგ.

რუსეთის ცარიზმის საერთაშორისო პოლიტიკა — ეს ერთი მთლიანი ჯაჭვია ყველაზე გაუგონარ დანაშაულობათა და ძალადობისა, ყველაზე ბინძური და საზიზღარი ინტრიგებისა ხალხთა თავისუფლების წინააღმდეგ, დემოკრატიის წინააღმდეგ, მუშათა კლასის წინააღმდეგ. ცარიზმი ავიწროებს და ახრჩობს სპარსეთს ინგლისის „ლიბერალურ“ მმართველთა მეშვეობით, ცარიზმი ძირს უთხრის ჩინეთის რესპუბლიკას, ცარიზმი ქურდულად ცდილობს მიიტაცოს ბოსფორი და გაიფართოოს „თავისი“ მიწები აზიური თურქეთის ხარჯზე. მეფის მონარქია ევროპის ჟანდარმი იყო XIX საუკუნეში, როცა რუსი ყმა გლეხებისაგან შემდგარი ჯარი აჯანყებას ახშობდა უნგრეთში. მეფის

მონარქია ახლა, XX საუკუნეში, ევროპის ჟანდარმიცაა და აზიის ჟანდარმიც.

მეფე ნიკოლოზ პირსისხლიანს, რომელმაც გარეკა I და II სათათბირო, სისხლით მორწყა რუსეთი, დაიმონა პოლონეთი და ფინეთი, თავზეხელაღებულ შავრაზმელებთან კავშირით ახორციელებს ებრაელთა და ყველა „არარუსთა“ დათრგუნვის პოლიტიკას, მეფეს, რომლის ერთგული მეგობრები ხვრეტდნენ მუშებს ლენაზე და აჩანაგებდნენ გლეხებს, მიჰყავდათ რა ისინი შიმშილობამდე მთელ რუსეთში, — ამ მეფეს თავი მოაქვს სლავთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველად!

რუსმა ხალხმა ზოგი რამ ისწავლა 1877 წლიდან და ახლა იცის, რომ ყოველგვარ თურქზე უარესი არიან ჩვენი „შინაური თურქები“ — მეფე და მისი მსახურნი.

მაგრამ მემამულენი და ბურჟუაზია, ნაციონალისტები და ოქტიაბრისტები რაც ძალი და ღონე აქვთ მხარს უჭერენ ამ საზიზღარ, პროვოკატორულ სიცრუეს თავისუფლებისმოყვარე ცარიზმის შესახებ. ისეთი გაზეთები, როგორიცაა „გოლოს მოსკვი“[343] და „ნოვოე ვრემია“, მთავრობის გაზეთების მთელი არმიის სათავეში მყოფნი, უნამუსოდ თავს ესხმიან და უსისინებენ ავსტრიას. ვითომდა რუსეთის ცარიზმი არ ყოფილიყოს ასჯერ მეტად მოსვრილი სისხლითა და ლაფით, ვიდრე ჰაბსბურგთა მონარქია!

და არა მარტო მემარჯვენე პარტიები, ოპოზიციური, ლიბერალური ბურჟუაზიაც კი ძალ-ღონის დაუზოგავად ეწევა შოვინისტურ, იმპერიალისტურ პროპაგანდას, რომელიც ოდნავ შეუნიღბავთ დიპლომატიური, მიკიბულ-მოკიბული და ფარისევლური ფრაზებით. არა მარტო ლიბერალურ-უპარტიო „რუსკოე სლოვო“[344], არამედ „კონსტიტუციურ დემოკრატთა“ (სინამდვილეში კი კონტრრევოლუციურ ლიბერალთა) პარტიის ოფიციალური ორგანო „რეჩიც“ კი მონდომებით თავს ესხმის მეფის მინისტრს საზონოვს მისი ვითომდა „დამყოლობის“, ავსტრიისათვის „დათმობის“ გამო, რუსეთის „დიდმპყრობელური“ ინტერესების არასაკმაო „დაცვის“ გამო. კადეტები ყველაზე თავზეხელაღებულ ნაციონალისტ რეაქციონერებს

ბრალს სდებენ არა მათი იმპერიალიზმის გამო, არამედ, პირიქით, იმის გამო, რომ მათ შეასუსტეს ცარიზმის მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის „დიადი“ იდეის გავლენა და მნიშვნელობა!!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, მთელი მშრომელი მასების საარსებო ინტერესების დასაცავად, გადაჭრით აცხადებს პროტესტს ამ საზიზღარი შოვინიზმის წინააღმდეგ და გმობს მას, როგორც თავისუფლების საქმის ღალატს. ქვეყანას, სადაც შიმშილობს 30 მილიონი გლეხი, სადაც გამეფებულია ხელისუფალთა ყველაზე აღვირახსნილი თვითნებობა და ასობით მუშასაც კი ხვრეტენ, — ქვეყანას, სადაც ათეულ ათასობით თავისუფლებისათვის მებრძოლს აწამებენ და აწვალებენ კატორღაში, — ამ ქვეყანას უწინარეს ყოვლისა სჭირდება ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლება. რუსმა გლეხმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ განთავისუფლდეს მებატონე-მემამულეებისა და მეფის მონარქიისაგან, არ მოატყუებინოს თავი მემამულეებსა და ვაჭრებს ცრუ სიტყვებით რუსეთის „სლავური ამოცანების“ შესახებ და არ აიღოს ხელი თავის საარსებო საქმეზე.

თუ იმპერიალისტური ლიბერალიზმი, რომელსაც ცარიზმთან შერიგება სწადია, დაჟინებით მოითხოვს „მშვიდობიან კონსტიტუციურ“ მუშაობას, ჰპირდება რა ხალხს საგარეო გამარჯვებებსაც და კონსტიტუციურ რეფორმებსაც მეფის მონარქიის შენარჩუნების პირობებში, სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი გულისწყრომით უარყოფს ამ მოტყუებას. მხოლოდ ცარიზმის რევოლუციურ დამხობას შეუძლია უზრუნველყოს რუსეთისა და მთელი აღმოსავლეთ ევროპის თავისუფალი განვითარება. მხოლოდ ბალკანეთის ფედერაციული რესპუბლიკის გამარჯვებას და მასთან ერთად რუსეთში რესპუბლიკის გამარჯვებას შეუძლია თავიდან აიცილოს ასეულ მილიონობით ადამიანს ომის უბედურებანი და ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ვაება ეგრეთ წოდებულ „მშვიდობიან“ დროს.

1912 წლის პირველ 5 თვეში რუსეთის 500 000-ზე მეტმა მუშამ გამოაცხადა პოლიტიკური გაფიცვა, აღიდგინა რა ძა-

ლები კონტრრევოლუციის ყველაზე მძიმე წლების შემდეგ. მთელ რიგ ადგილებში მატროსები და ჯარისკაცები აჯანყდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ჩვენ მოვუწოდებთ მასებს რევოლუციური ბრძოლისაკენ, მუშების, გლეხებისა და ჯარის საუკეთესო ნაწილის გადამჭრელი ერთობლივი გამოსვლის უფრო მტკიცე, საფუძვლიანი და ფართო მომზადებისაკენ! ეს არის ერთადერთი ხსნა რუსეთისა, რომელსაც აპარტახებს და ჩაგრავს ცარიზმი.

ბალკანეთის ქვეყნების სოციალისტებმა გადაჭრით დაგმეს ომი. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი იტალიისა და ავსტრიის, აგრეთვე მთელი დასავლეთ ევროპის სოციალისტებმა. ჩვენც შევუერთოთ მათ ჩვენი ხმა, უფრო ფართოდ გავშალოთ აგიტაცია მეფის მონარქიის წინააღმდეგ.

ძირს მეფის მონარქია! გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ბალკანეთის ფედერაციულ რესპუბლიკას!

ძირს ომი, ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

რსდმ პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1912 წლის ოქტომბერში,
10 (23) რიცხვამდე

დაიბეჭდა 1912 წლის ოქტომბერში
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური უნებისყოფობის შესახებ

(წერილი რედაქციას)

როგორც „პრავდის“[315] მუდმივმა მკითხველმა, არ შემიძლია ჩემი ღრმა გულისწყრომა არ გამოვთქვა ამომრჩევ პ. სუდაკოვის საქციელის გამო.

5 ოქტომბერს არჩევნებია. სუდაკოვი არ არის „პრავდის“ სიაში. მიუხედავად ამისა, სუდაკოვი გადის „პრავდის“ მომხ-

რეთა ხმებით — ეს ჩანს არჩევნების შედეგებიდან. ჩანს ისიც, რომ, „პრავდის“ მომხრეთა ხმების გარდა (27—31 50-დან), სუდაკოვი იღებს კიდევ ათაშდე სხვათა, ალბათ, მერყეევთა ხმებს.

და სუდაკოვი მერყეობას იწყებს. არჩევნების მეორე დღეს, 6 ოქტომბერს, „პრავდაში“ ვხედავთ მის ცნობას, სადაც შავით თეთრზე წერია: „ყველა არჩეული, ამხ. პეტროვის გარდა, „პრავდისა“ და „ზვეზდის“ მომხრეებს ეკუთვნის“.

თითქოს ეს ნათელია, არა?

გადის კიდევ ერთი დღე, და ახლა სუდაკოვი უკვე „ლუჩში“ გამოჩნდა! სუდაკოვი აღიარებს, რომ იყო „პრავდის“ რედაქციაში, მაგრამ ვითომდა „მხოლოდ და მხოლოდ როგორც სოციალ-დემოკრატიული გაზეთის რედაქციაშიო“!! ახალშობილი ბალღი ხომ არაა ეს სუდაკოვი? ვინ დაჯერებს, რომ მან არ იცოდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთის ორი ციფრის შესახებ? არ იცოდა ლიკვიდატორების შესახებ, როცა თვითონ ესმის ლიკვიდატორებისა?

„კიდეც რომ მეთქვა, — წერს ლიკვიდატორულ „ლუჩში“ სუდაკოვი, — „პრავდას“ ვეითხულობ და ვემხრობიო (მხედველობაში იქონიეთ, რომ სუდაკოვმა განაცხადა: „პრავდას“ ვემხრობიო!), მხოლოდ იმ თვალსაზრისით (!!), რომ მე საერთოდ (!!) ვემხრობი (სულ ესაა?) სოციალ-დემოკრატიას“.

მოდი და გაიგე აქ რამე! კაცს, რომელმაც იცის ორი გაზეთის შესახებ, რომელმაც აღიარა, რომ თქვა „პრავდას“ ვემხრობიო, მეორე დღეს ლიკვიდატორულ გაზეთში მიაქვს „სასენატო განმარტება“ ვითომდა „მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ საერთოდ სოციალ-დემოკრატიას ვემხრობიო“!!

უნებისყოფობისა და მერყეობის უფრო აღმაშფოთებელი მაგალითი ჩვენ არ ვიცით.

„ტუშინოელი გადამრბენნი“ — ერთი მიმართულებიდან მეორისაკენ გარდამავალნი — ყოველთვის იყვნენ, მაგრამ მუშები გადამრბენთ პატივს არ სცემენ...

„პრავდა“ № 145, 1912 წლის
17 ოქტომბერი
ხელმოწერა: „პ რ ა ვ დ ი ს“
მ უ დ მ ი ვ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში „IV სათათბიროს არჩევნები“[346]

1907 წლის 3 (16) ივნისის სახელმწიფო გადატრიალებით რუსეთში დაიწყო კონტრრევოლუციის ეპოქა. ცნობილია, თუ რა სასამართლო და ადმინისტრაციული თვითნებობის, კატორღამისჯილთა როგორი დევნისა და წამების გვირგვინი ამკობდა ცარიზმის ამ ტრიუმფს.

რევოლუციით დაშინებულმა ბურჟუაზიის უმაღლესმა ფენებმა კონტრრევოლუციურ თავად-აზნაურებს დაუჭირეს მხარი. ცარიზმს სჯეროდა, რომ ბურჟუაზიისა და მემამულეების კონტრრევოლუციური ელემენტები მას დაეხმარებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ.

1907 წლის 3 (16) ივნისის საარჩევნო კანონი უსინდისო ფალსიფიკაციის მაგალითია. აი ამ კანონის დამახასიათებელი ზოგიერთი მონაცემი:

მოსახლეობა დაყოფილია „კურიებად“: მემამულენი, პირველი და მეორე თანრიგის მოქალაქენი, გლეხები, კაზაკები, მუშები. ცალკეული კურიების მიხედვით არჩეულ ამომრჩევებს (ზოგჯერ არა პირდაპირ, არამედ რწმუნებულთა საშუალებით) მთავრობა ანაწილებს გუბერნიების საარჩევნო კრებებში, ხოლო ეს უკანასკნელნი სათათბიროს დეპუტატებს ირჩევენ!

კანონი ამომრჩევთა რიცხვს ისე ანაწილებს, რომ საარჩევნო კრებებში უმრავლესობას წინასწარ იღებენ 28 გუბერნიაში (50-დან) მხოლოდ მემამულენი, სხვა გუბერნიებში კი — პირველი საქალაქო კურიის ამომრჩევნი (მსხვილი კაპიტალისტები).

საერთო სურათი ასეთია: 200 000 თავად-აზნაური 53 გუბერნიის საარჩევნო კრებებში გზავნის 2594 ამომრჩევს, ანუ ამომრჩევთა საერთო რაოდენობის 49,4%-ს; პირველი საქალაქო კურიის $^1/_2$ მილიონ ან დაახლოებით ამდენ კაპიტალისტს ჰყავს 788 ამომრჩევი (15%); მეორე საქალაქო კურიის 8 მილიონამდე მოქალაქე გზავნის 590 ამომრჩევს (11,2%); დაახლოე-

ბით 70 მილიონ გლეხსა და კაზაკს ჰყავთ 1168 ამომრჩევი (22,2%) და 12 მილიონამდე მუშას—112 ამომრჩევი (2,1%).

რაღა გასაკვირია, რომ ამგვარი საარჩევნო კანონი გვაძლევს „შავ", კონტრრევოლუციურ სათათბიროს — ნამდვილ „Chambre introuvable"-ს [247]. მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ არა მარტო ბურჟუაზიულმა ლიბერალებმა, არამედ სოციალ-დემოკრატებმაც კი მაინც შეძლეს თავიანთი წარმომადგენლების გაყვანა ამ სათათბიროში.

მუშათა კურიაში ყველა ამომრჩევი სოციალ-დემოკრატია. ულტრარეაქციული თავად-აზნაურები, რომლებსაც გუბერნიების საარჩევნო კრებებში უმრავლესობა ჰყავთ, იძულებული არიან დაუშვან სოციალ-დემოკრატები (ექვს გუბერნიაში კანონი აიძულებს ერთი დეპუტატის არჩევას მუშებისაგან; სხვა გუბერნიებში სოციალ-დემოკრატები მანდატებს იღებენ ლიბერალებთან შეთანხმებით).

მესამე სათათბიროში ბატონობდა ოქტიაბრისტთა პარტია— ცარიზმის მორჩილ რეაქციულ თავად-აზნაურთა და მსხვილ კაპიტალისტთა პარტია. მაგრამ ამ „მონებმაც" კი ვერ დააკმაყოფილეს ნიკოლოზ II-ის კამარილია, ეს შავბნელი ბანდა, რომელიც აწყობს დარბევებსა და თავდასხმებს ოპოზიციის დეპუტატებზე.

მთავრობა, რომელმაც გააყალბა არჩევნები, რათა მესამე სათათბიროში ოქტიაბრისტები გაეყვანა, ახლა არჩევნებს აყალბებს, რათა მეოთხე სათათბიროში გაგზავნოს უფრო „ლოიალური" პარტიები — „ნაციონალისტთა" და „უკიდურეს მემარჯვენეთა" პარტიები.

იძულებამ ყველაფერს გადააჭარბა. მღვდლებს უბრძანეს მასობრივი მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და მემარჯვენენი აერჩიათ; ოპოზიციის კანდიდატთა დაპატიმრება, პრესის დაჭარიმებანი, გაზეთების დახურვა, საეჭვო პირთა ამოშლა საარჩევნო სიებიდან — ყოველივე ეს ისეთი ცინიზმით გამოიყენეს, რომ თვით მემარჯვენენი და თავად-აზნაურებიც კი აცხადებდნენ პროტესტს.

ამის შედეგად ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო „შავი", კიდევ უფ-

ბო მემარჯვენე სათათბირო, მაგრამ სადღეისოდ დამარცხებულნი აღმოჩნდნენ ოქტიაბრისტები. ლიბერალურმა ოპოზიციამ და რევოლუციურმა დემოკრატიამ (სოციალ-დემოკრატიული მუშები და გლეხთა ბურჟუაზიული დემოკრატები) თითქმის შეინარჩუნეს status quo.

უკანასკნელი მონაცემები IV სათათბიროს 438 (442 ასარჩევისაგან) დეპუტატის შესახებ შესაძლებლობას გვაძლევს მოვიყვანოთ ასეთი შედარება:

	III სათათბირო	IV სათათბირო	
დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა:			
სოციალ-დემოკრატები . .	13	14	
ტრუდოვიკები	14	11	25
ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი:			
კადეტები	52	61	
პროგრესისტები	36	33	
პოლონელები	18	14	
მუსლიმანები	9	5	113
მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ნ ი:			
ოქტიაბრისტები	131	79	
ნაციონალისტები	91	74	
უკიდურესი მემარჯვენენი .	46	140	293
უპარტიონი	27	7	
სულ	437	438	

დავსძენთ კიდევ რამდენიმე სიტყვას, რათა უკეთ განვმარტოთ პარტიების სახელწოდებანი და დაჯგუფება:

სოციალ-დემოკრატები: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ტრუდოვიკები: გლეხთა დემოკრატია, ანუ რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია, რომლის პროგრამაში შედის თავად-აზნაურთა ექსპროპრიაცია. კადეტები: კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, სინამდვილეში კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიული პარტია. პროგრესისტები[348]: იგივე ლიბერალები, მხოლოდ რამდენადმე უფრო ზომიერნი. პოლონელები და მუსლიმანები — იგივენი, მხოლოდ ეროვნული ჯგუფები. საერთოდ ოპოზიცია შედ-

გება 25 დემოკრატისა და 113 ლიბერალისაგან, ანუ 138 დეპუტატისაგან (142 მესამე სათათბიროში).

მთავრობის პარტიები: ოქტიაბრისტები იშვიათად და მალულად ლაპარაკობენ კონსტიტუციაზე; ნაციონალისტები არასოდეს არ ლაპარაკობენ კონსტიტუციაზე. მემარჯვენენი აშკარად უჭერენ მხარს თვითმპყრობელობის აღდგენას და კონსტიტუციის წინააღმდეგნი არიან. ფალსიფიკაცია ოპოზიციისაკენ უბიძგებს არა მარტო ოქტიაბრისტებს, არამედ თვით ნაციონალისტთა ნაწილს.

რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, დღეისათვის არჩეული არიან:

მუშათა კურიის ექვსი დეპუტატი არის სოციალ-დემოკრატი: ბადაევი სანკტ-პეტერბურგისაგან; მალინოვსკი მოსკოვისაგან; სამოილოვი ვლადიმირისაგან; შაგოვი კოსტრომისაგან; მურანოვი ხარკოვისაგან; პეტროვსკი ეკატერინოსლავისაგან. ექვსივენი მუშები არიან. შემდეგ სოციალ-დემოკრატები გავიდნენ სამ გუბერნიაში იმის მეოხებით, რომ დემოკრატები (სოციალისტები და ტრუდოვიკები) ლიბერალებთან შეთანხმდნენ მემარჯვენეთა წინააღმდეგ. ასე გავიდნენ: ხაუსტოვი უფისაგან; ბურიანოვი თავრიდის გუბერნიისაგან; ტულიაკოვი დონის ოლქისაგან. შემდეგ კიდევ სამი სოციალ-დემოკრატი გავიდა კავკასიისაგან: ჩხეიძე, ჩხენკელი და სკობელევი, ეს უკანასკნელი კავკასიის რუსმა მოსახლეობამ აირჩია.

ორი სოციალ-დემოკრატი გავიდა ციმბირისაგან: რუსანოვი და ამურის ოლქისაგან რისლევი.

კიდევ დავსძენთ, რომ ირკუტსკის გუბერნიაში (ციმბირი) ერთი სოციალ-დემოკრატის არჩევა თითქმის უზრუნველყოფილი იყო (20 ამომრჩევისაგან 11 სოციალ-დემოკრატი იყო). მაგრამ გუბერნატორმა გაბათილებულად ცნო ექვსი სოციალ-დემოკრატის არჩევა ქალაქ ირკუტსკში. არჩევნები ჯერ არ გამართულა.

უნდა დავსძინოთ აგრეთვე, რომ ვარშავაში ბუნდისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ბლოკის შედეგად დეპუტატად აირჩიეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი იაგელო[349].

მთელი ეს მონაცემები წინასწარია. მეოთხე სათათბიროს ყველა ჯგუფის, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის, სრული შემადგენლობა გამოირკვევა სათათბიროს გახსნის შემდეგ, რაც 15 (28) ნოემბერს გაიმართება.

კრაკოვი, 1912 წლის 11 ნოემბერი.

გაზეთი „Le Peuple“ № 325, 1912 წლის 20 ნოემბერი
ხელმოწერა ნ. ლენინი

ტექსტი გადმობეჭდილია წიგნიდან „Correspondance entre Lénine et Camille Huysmans. 1905—1914“. Paris
თარგმანი ფრანგულიდან

ისევ IV სათათბიროს გლეხთა დეპუტატების შესახებ

ამ ცოტა ხნის წინათ „ნოვოე ვრემია“ იუწყებოდა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა IV სათათბიროს განსაკუთრებული გლეხთა ჯგუფი. ამ ცნობის თანახმად, მის შემადგენლობაში 40 კაცი შედის. ჯგუფის ბიუროს წარმოადგენენ ევსეევი, კარაულოვი, იჩასი, ფირსოვი და მერშჩიი.

„ახალი ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე ენერგიულ მუშაკად, — წერდა „ნოვოე ვრემია“, — მიიჩნევენ კარაულოვს (კაზაკი), რომელმაც უარადღება მიიპყრო თავისი პარტიულობის თავისებური განსაზღვრით, როცა ცნობებით ავსებდა ბლანკს, რომელსაც ბოქაულები სთავაზობენ ხოლმე სათათბიროს წევრებს. გარეგში „პარტიის წევრობა“ კარაულოვმა ჩაწერა: „მე არც ერთი პარტიის ან ფრაქციის წევრი არა ვარ. მე ის ვარ, რაც უნდა იყოს ყველა, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი სამშობლო, მე მონარქისტ-დემოკრატი ვარ““.

შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ პარტიულობის ასეთი განსაზღვრა „თავისებურია“? კიდეც შეიძლება და არც შეიძლება. შეიძლება, რამდენადაც კარაულოვმა გულახდილად თქვა ის, რასაც ბევრი არ ამბობს გულახდილად. არ შეიძლება, რადგან არსებითად დეპუტატ კარაულოვის აზრს, უეჭველია, ჯერ კიდევ ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობის გლეხები და კაზაკები იზიარებენ.

დეპუტატ კარაულოვს, სხვათა შორის, ჰგონია, რომ „ყველა, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი სამშობლო“, დემოკრატი

უნდა იყოს. დეპუტატი კარაულოვი აშკარად ცდება. შეხედოს ერთი სათათბიროს მთელ მემარჯვენე ნახევარს ან „მემარჯვენე“ ორ მესამედსაც კი: ნუთუ ყველა „მემარჯვენეს“ — „ნაციონალისტებსა“ და ოქტიაბრისტებს შორის არ არიან ისეთები, ვისაც „ჭეშმარიტად უყვარს თავისი სამშობლო“? როგორც ჩანს, არიან — ამას კარაულოვი ვერ უარყოფს.

ხოლო ამასთანავე არც მემარჯვენენი, არც ნაციონალისტები და არც ოქტიაბრისტები (გულახდილად რომ ვთქვათ, არც კადეტები), ეჭვგარეშეა, **არ არიან** „დემოკრატები“. ისინი უდავოდ ყველანი მონარქისტები არიან, მაგრამ არ არიან დემოკრატები. ისინი ან სულ არ უჭერენ მხარს დემოკრატიულ საარჩევნო კანონს, დემოკრატიულ კანონებს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, კავშირებისა და კრებების შესახებ, საადგილმამულო საკუთრების დემოკრატიულ განაწილებას, ან არადა დემოკრატიის სერიოზულ საკითხებს ფუჭი სიტყვებით იშორებენ თავიდან.

რა ვქნათ? განა ცხადი არ არის, რომ მემამულეებს, მაგალითად, სხვანაირად ესმით „სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული“, ვიდრე გლეხებს, თუნდაც ისინიც და ესენიც „მონარქისტები“ იყვნენ?

ეჭვი არ მეპარება, რომ IV სათათბიროს მუშაობა კარაულოვსა და მისთანებს აიძულებს ჩაუფიქრდნენ ამას.

დაწერილია 1912 წლის 27 — 28
ნოემბერს (10 — 11 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 22

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რეზოლუცია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან[350]

გაზეთ „პრავდის“ რედაქციის რეორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ

1. რედაქციას აკლია პარტიული სულისკვეთების სიმტკიცე. რედაქციას დაბეჯითებით ეძლევა რეკომენდაცია უფრო მკაც-

რად დაიცვას და განახორციელოს ყველა პარტიული გადაწყვეტილება. მუშაობის ლეგალურობა სავალდებულოა.

ცენტრალური კომიტეტი იღებს ზომებს რედაქციის რეორგანიზაციისათვის.

2. რედაქცია სუსტად ეხმაურება პეტერბურგელი სოციალდემოკრატი მუშების პარტიულ ცხოვრებას. პარტიული რეზოლუციების შინაარსის მოყოლა ან მათი ხსენება საჭიროა უეჭველად ლეგალური ფორმით.

3. რედაქცია მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს საერთოდ ლიკვიდატორებისა და კერძოდ „ლუჩის“ ქადაგების მცდარობისა და მავნეობის განმარტებას.

4. რედაქცია მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს აგიტაციას მუშებს შორის ხელმოწერისა და სახსრების შეგროვებისათვის.

5. დეპუტატთა ბოლშევიკური ნაწილი უნდა შევიდეს გაზეთის ფართო სარედაქციო კოლეგიაში და უზრუნველყოს სისტემატური, განუხრელი მონაწილეობა რედაქციის ლიტერატურულ და სამეურნეო საქმიანობაშიც.

6. რედაქცია განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს თავის ვპერიოდელ თანამშრომლებს, რათა არ გააძნელოს დაწყებული დაახლოება და არ დაუშვას მცდარი პრინციპული ხაზი.

7. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა შემცირდეს გამოცემის ხარჯები და შეიქმნას ვიწრო ხელმძღვანელი კოლეგია (მთელი საქმის გასაძღოლად), რომელშიც აუცილებლად შევიდოდა ექვსეულის[351] თუნდაც ერთი წარმომადგენელი.

ასეთივე ხელმძღვანელი კოლეგია (სამეურნეო კომისია) ექვსეულის ერთი წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით საჭიროა საქმის სამეურნეო ნაწილის გასაძღოლად.

8. სტატიები, რომელთა გამოქვეყნება ცენტრალურ კომიტეტს სავალდებულოდ მიაჩნია, დაუყოვნებლივ უნდა ქვეყნდებოდეს (პირობითი ხელმოწერით)[352].

9. საჭიროა მკაცრად დავიცვათ გაზეთის ლეგალურობა, ამასთან გაზეთის ლიტერატურულ გაძღოლასა და გავრცელებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მოვიზიდოთ მუშათა

საზოგადოებებიც, კავშირებიც, ჯგუფებიცა და ცალკეული პირებიც პეტერბურგსა და პროვინციაში.

10. მხარი დავუჭიროთ ს.-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის ინიციატივას ანტილიკვიდატორული მიმართულების საერთო-პროფესიული ორგანოს გამოცემის საქმეში, ამასთან გულდასმით შევამოწმოთ საქმის დაყენება ადგილზე.

11. მიღებულ იქნეს ზომები გაზეთისა და ჟურნალის[353] ლიტერატურული და სამეურნეო საქმიანობის დასაახლოებლად.

12. საჭიროა ენერგიულად შევუდგეთ იმას, რომ მოსკოვში გამოდიოდეს ყოველდღიური მუშათა გაზეთი როგორც პეტერბურგის გაზეთის განყოფილება. ამისათვის მოსკოვის ჯგუფი ორგანიზაციულად უნდა დაუკავშირდეს მოსკოვის ოლქის დეპუტატთა სამეულს.

პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ № 11-ში

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას ხელით დაწერილი პირის მიხედვით

წერილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას[354]

დიდად პატივცემულო ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტის წინადადებით ცენტრალური კომიტეტისა და სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სხვადასხვა დარგში მოქმედ რუსეთის ადგილობრივ მუშაკთა წარმომადგენლების ჩვენმა თათბირმა განიხილა თქვენი 1912 წლის 28 დეკემბრის წერილი, რომელშიც თქვენ სურვილს გამოთქვამთ „მოვიწვიოთ თათბირი და ვუხელმძღვანელოთ კამათს“.

თათბირი მადლობას გიძღვნით ჩვენი პარტიული საქმეებისადმი ყურადღებისათვის, ამასთანავე თათბირმა ერთხმად დაადგინა უ ა რ ყ ო ს თქვენი წინადადება.

ჩვენ, რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, უაღრესად დიდ პატივს ვცემთ გერმანიის რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას. ჩვენ იმას ვესწრაფვით, რომ რუსე-

•

ისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის ყველაზე ძმური ურთიერთობა არსებობდეს. და ოდნავი გაუგებრობაც რომ არ გვექნეს, შეეცდებით გულახდილად გაგაცნოთ თქვენ, პატივცემულო ამხანაგებო, ის მოტივები, რომლებითაც ეხელმძღვანელობდით თქვენი წინადადების უარყოფის დროს.

დავიწყოთ თუნდაც იმით, თუ რა მიზანს ისახავს თქვენ მიერ დაგეგმილი თათბირი!

თქვენ ფიქრობთ, რომ მისი მიზანი უნდა იყოს „პარტიის ერთიანი პროგრამისა და ორგანიზაციული წესდების შემუშავება“ და წინადადებას გვაძლევთ გაგაცნოთ ჩვენი პროექტი ერთისაც და მეორისაც.

მაგრამ ჩვენს პარტიას უკვე დიდი ხანია აქვს პარტიული პროგრამა. ჯერ კიდევ 1903 წელს, ე. ი. ათი წლის წინათ, ჩვენი პროგრამა დამტკიცდა ჩვენი პარტიის მეორე ყრილობაზე. და ამის შემდეგ ასეულ ათასობით, რევოლუციურ წლებში კი რუსეთის მილიონობით პროლეტარმა დაუმტკიცა ერთგულება ამ პროგრამას, იბრძოდა რა ჩვენი პარტიის დროშით. ჩვენ ამ პროგრამის ერთგული ვრჩებით ახლაც. მისი რევიზია სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია.

გაცნობებთ, რომ დღემდე თვით ლიკვიდატორებსაც არ მოუთხოვიათ პარტიული პროგრამის გადასინჯვა — ყოველ შემთხვევაში აშკარად არ მოუთხოვიათ.

სხვადასხვა დიდი თუ პატარა ჯგუფების გარიგება ახალი პროგრამის თაობაზე გულისხმობს პარტიის უყოლობას. მაგრამ რსდმ პარტია არსებობს, მისი დროშით კვლავინდებურად იბრძვის რუსეთის მუშათა კლასი. ჩვენი პარტია განიცდიდა და ნაწილობრივ ახლაც განიცდის მეტად მძიმე დროს. მაგრამ მას წუთითაც არ შეუწყვეტია არსებობა — ლიკვიდატორების მტკიცებათა მიუხედავად. მარტო ამ უკანასკნელთათვის (ე. ი. პარტიის გარეშე მდგარი ადამიანებისათვის) არის მისაღები მოლაპარაკება რაღაც ახალი პარტიული პროგრამის შემუშავების შესახებ — როგორც ჩანს, რომელიღაც

ახალი პარტიისათვის. (წათქვამი მცირეოდენი ცვლილებებით შეეხება პარტიის ახალი წესდების შემუშავებასაც.)

შემდეგ. ჩვენ ლიკვიდატორებისაგან გვყოფს ღრმა პრინციპული უთანხმოება — უწინარეს ყოვლისა რუსეთის ახალი რევოლუციის საკითხში. ჩვენი პარტია (და მათ შორის მეწინავეკი-პარტიელები გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით) იმ თვალსაზრისს ადგას, რომ რუსეთის მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ უნდა იბრძოლონ რუსეთის ახალი რევოლუციისათვის, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება მოუპოვოს ჩვენს ქვეყანას. ლიკვიდატორები სწორედ ამას უარყოფენ. მთელ თავიანთ ტაქტიკაში ისინი ხელმძღვანელობენ იმ ვარაუდით, რომ განვითარება რუსეთში მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით წარიმართება.

თქვენ ადვილად გაიგებთ, პატივცემულო ამხანაგებო, რომ ასეთ კარდინალურ განსხვავებულობათაგან აუცილებლად გამომდინარეობს მთელი რიგი უთანხმოებანი პარტიული მუშაობის ყველა საკითხში. ლიკვიდატორები უარყოფენ ჩვენს ახლანდელ რსდმ პარტიას, რომელსაც ამჟამად შეუძლია იარსებოს მხოლოდ არალეგალურად (თუმცა შეუძლია გასწიოს და ეწევა კიდეც ლეგალურ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას ბევრ დარგში). ლიკვიდატორები ანგრევენ ჩვენს ახლანდელ ორგანიზაციას იმ იმედით, რომ შეძლებენ თანამედროვე რუსეთში დააარსონ ლეგალური მუშათა პარტია. (აქ უნდა შევნიშნო, რომ ლიბერალურ კადეტებსაც კი ვერ მიუღწევიათ თავიანთი პარტიის ლეგალიზაციისათვის.) სწორედ ამის შედეგია გათიშვა, რაც მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ლიკვიდატორებმა მოაწყვეს.

და გასაგებია, რომ ეს დავა, ეს კარდინალური უთანხმოებანი შეუძლიათ გადაწყვიტონ **მხოლოდ** თვით რუსეთის შეგნებულმა მუშებმა, და მხოლოდ ჩვენმა საკუთარმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა და სხვამ არავინ.

და რუსეთის მუშებმაც უკვე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

IV სათათბიროს ამასწინანდელმა არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ რუსეთის პროლეტარიატის უდიდესი უმრავლესობა ჩვენი ძველი პარტიის თვალსაზრისს ადგას, მის რევოლუციურ პროგრამასა და ტაქტიკას იზიარებს.

მუშათა კურიისაგან კანონით არჩეული 6-ვე დეპუტატი ბოლშევიკია.

ეს 6 დეპუტატი წარმოადგენს რუსეთის მუშათა $^{6}/_{10}$-ს, და ისინი აშკარად აცხადებენ, რომ ლიკვიდატორთა მოწინააღმდეგენი არიან.

მუშათა სოციალ-დემოკრატიული პირველი ყოველდღიური გაზეთი რუსეთში (სანკტ-პეტერბურგის „პრავდა“) მუშებმა დააარსეს და მუშებივე ინახავენ თავიანთი გროშებით — და სწორედ იმავე (ბოლშევიკური) მიმართულების მუშები. ამრიგად, მუშების უდიდესი უმრავლესობის ერთიანობა სინამდვილეში იქმნება ქვემოდან, მუშათა მასის წიაღიდან. მხოლოდ ასეთი ერთიანობაა სიცოცხლისუნარიანი, მხოლოდ იგი შეგვაკავშირებინებს მთლიანად მუშათა ძალებს.

რაღა დაგიმალოთ, ამხანაგებო, და გერმანიის Parteivorstand*-ის შუამავლობა ასეთ ვითარებაში ჩვენ საერთოდ მიუღებლად მიგვაჩნია. საქმეში ჩაუხედაობით თუ რაღაც სხვა მიზეზით იყო, რომ Vorstand**-მა არ გამოიჩინა მიუკერძოებლობა ჩვენსა და ლიკვიდატორთა მიმართ. შეგახსენებთ თუნდაც მხოლოდ ორ ფაქტს.

1) გერმანიის მოძმე პარტიის ცენტრალურ ორგანოში („Vorwärts“)[355] მთელი სვეტები ეთმობა მასალებს, რომლებშიც ლიკვიდატორები უაღრესად უხეშად თავს ესხმიან ჩვენს 1912 წლის იანვრის პარტიულ კონფერენციას, ხოლო ჩვენ უბრალო ფაქტობრივ უარყოფასაც კი არ გვიბეჭდავენ, რითაც არღვევენ ყველაზე ელემენტარულ მოვალეობებს ჩვენდამი.

* — პარტიის გამგეობა. რ ე დ.

** — გამგეობა. რ ე დ.

2) საარჩევნო კამპანიის დროს Vorstand-ი, ჩვენი პროტესტების მიუხედავად, ფულად დახმარებას უწევს ლიკვიდატორებს, ცენტრალურ კომიტეტს კი ამაზე უარს ეუბნება. Vorstand-მა სუბსიდია მისცა ბუნდს, კავკასიის საოლქო კომიტეტს[356] და ლატვიელებს, ა ნ უ ლიკვიდატორთა საორგანიზაციო კომიტეტს[357], რადგან ყველამ იცის, რომ უმთავრესად სწორედ ეს 3 ორგანიზაცია შეადგენს ლიკვიდატორთა საორგანიზაციო კომიტეტს. სწორედ გერმანელი მუშების ფულით დაიწყეს ლიკვიდატორებმა Konkurrenzorgan-ის* „ლუჩის“ გამოცემა პეტერბურგში, „ლუჩისა“, რომლის გამოსვლა დაიწყო ზ უ ს ტ ა დ ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს დ ღ ე ს და გაამწვავა გათიშვა.

გათიშვის დროს ფულადი დახმარება გაუწიო ერთ ნაწილს მეორის წინააღმდეგ — ასეთი ამბავი არ გაგონილა მთელ ინტერნაციონალში. ამ საქციელით Vorstand-მა ბრძოლა გამოუცხადა იანვრის კონფერენციის მომხრეთ და გვიჩვენა, რომ მიუკერძოებლობის შენარჩუნება მას არ შეეძლო.

უდიდესი სინანულით, მაგრამ მაინც გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ გერმანელი ამხანაგების ინფორმაცია რუსეთის საქმეებზე პირდაპირ ა რ ა ნ ო რ მ ა ლ უ რ ა დ არის დაყენებული. სწორედ ამით აიხსნება, რომ თქვენ თათბირის მოწვევას ხან აპირებთ 12 „მიმდინარეობის“ (საზღვარგარეთის ნახევრად სტუდენტური პატარა ჯგუფების) მონაწილეობით, უგულებელყოფთ რა რუსეთის ორგანიზაციებს, ხან კი ხუთი ორგანიზაციის მოწვევის გეგმას აყენებთ და ა. შ. ამით აიხსნება ლიკვიდატორთა თავხედური ცდები უბრალოდ მოგატყუონ თქვენ: მაგალითად, მათი ცდა თქვენგან მიეღო ფული იმ საფუძველზე, ვითომდა 1912 წლის ზაფხულში ხარკოვსა და მოსკოვში ბოლშევიკები გაერთიანებულიყვნენ ლიკვიდატორებთან. სინამდვილეში კი სწორედ ხარკოვსა და მოსკოვში აირჩიეს დეპუტატებად ბოლშევიკები, შეურიგებელი მტრები ლიკვიდატორებისა, და აირჩიეს ამ უკანასკნელებთან (დეპუტატები მურანოვი და მალინოვსკი) ბ რ ძ ო ლ ა შ ი. ამით აიხსნება

* — კონკურენტი ორგანოს. რ ე დ.

ისიც, რომ თქვენ არჩევნების დროს ფულადი დახმარება გაუწიეთ სწორედ იმ ჯგუფებს (ბუნდს, პოლონეთის სოციალისტურ პარტიას, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას[358]), რომლებიც ყველაზე მკვეთრად შეეჯახნენ ერთმანეთს არჩევნებში და რომელთაგან გამოვიდა იაგელო — ერთადერთი დეპუტატი, ვინც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მიღებულია მხოლოდ არასრულუფლებიან წევრად და ისიც სულ შვიდი ხმის უმრავლესობით ექვსის წინააღმდეგ.

ამას, ამხანაგებო, დიდი ხანია დროა ბოლო მოვუღოთ. არაკომპეტენტურ ინფორმატორთათვის ყურის გდებას აჯობებს თქვენი ორგანოების ფურცლები დაუთმოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში საქმეთა ვითარების ობიექტურ განმარტებასა და პრინციპულ გაშუქებას, კერძოდ, სტატიებს, რომლებსაც ხელს აწერენ ცალკეული პარტიული ჯგუფების პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

თუ გინდათ იცოდეთ ჩვენი საქმეები, მათ შესახებ ცნობები უნდა ამოკრიბოთ დოკუმენტებიდან და ლიტერატურიდან, როგორც თქვენ იქცევით, მაგალითად, მაშინ, როცა თვალს ადევნებთ მიმართულებათა ბრძოლას იტალიაში, ინგლისში და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნებლიეთ გადადგამთ ისეთ ნაბიჯებს, რაც რუსმა მუშებმა ხშირად შეიძლება სრულიად დაუმსახურებელ შეურაცხყოფად მიიღონ.

დაწერილია 1913 წლის 2 (15) მარტს

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალ „კომუნისტის“ № 6-ში

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

„პრავდის“ წლისთავი

(მუშები მხარს უჭერენ მუშათა გაზეთს)

ერთი წელი გავიდა „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ. იგი წარმოიშვა როგორც მ უ შ ა თ ა გაზეთი, რომელიც შექმნა რუსეთის მუშათა მოძრაობის 1912 წლის აპრილ-მაისის ცნობილმა აღმავლობამ.

განუზომელ სიძნელეებსა და დევნასთან ბრძოლაში „პრავდამ“ მუშათა კლასის მხარდაჭერის მეოხებით ყველაფერს გაუძლო და განმტკიცდა (რამდენადაც შესაძლებელია მუშათა „მტკიცე“ გაზეთი დღევანდელ რუსეთში). „პრავდას“ არა მარტო ერქვა მუშათა გაზეთი: სახელის მისაკუთრება ყველა გაზეთს შეუძლია. „პრავდა“ ნამდვილად იყო მუშათა გაზეთი თავისი მიმართულებითაც, თავის მკითხველთა წრითაც მუშათა მასიდან და მთელი თავისი შინაარსითაც საერთოდ, კერძოდ კი მუშათა უამრავი კორესპონდენციით (1783 მუშათა კორესპონდენცია პირველ 99 ნომერში; სულ დაახლოებით ხუთი ათასი), დაბოლოს, იმითაც, რომ „პრავდას“ მხარს უჭერდნენ საერთოდ მუშები და განსაკუთრებით მუშათა ჯგუფები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „პრავდაში“ (იხ. 1912 წლის №№ 80 და 103)*, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონაცემებს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან „პრავდას“ ფულადი შენატანებით მუშათა ჯგუფები. ეს მნიშვნელობა შორს სცილდება ფინანსური დახმარების ფარგლებს, თუმცა მუშების ფინანსური დახმარება ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭიროა გაზეთის გასაუმჯობესებლად.

მაგრამ მუშათა ჯგუფების შენატანები არანაკლებ საჭიროა, თუ უფრო მეტად არა, თავისი მორალური, აღმზრდელობითი, ორგანიზაციული მნიშვნელობით ყველა შეგნებული მუშისათვის, რუსეთის მთელი მუშათა კლასისათვის.

მუშები ეჩვევიან იმას, რომ სწორად დაეხმარონ თავიანთ მუშათა გაზეთს არა მარტო გამოწერით, არა მარტო გავრცელებით, არამედ ფულის რეგულარული შეტანითაც და ამით კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან თავიანთი მიმართულების გაზეთის გარშემო, მუშები ერთიანდებიან და ქმნიან რაღაც იდეურად შეკავშირებულს, მუშები ამოწმებენ თავიანთი გამოღვიძების წარმატებებს, როცა კითხულობენ ანგარიშებს ამა თუ იმ მეზობელი ან ნაცნობი ფაბრიკიდან შე-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 217—236, 358—360. რედ.

ნატანების შესახებ. ამიტომ არ შეიძლება საკმაოდ დაჟინებით მოვითხოვოთ მუშური გაზეთისათვის მუდმივი (უმჯობესია მცირე, მაგრამ მუდმივი) ჯგუფობრივი მუშათა შენატანებისა და გამოსაღების ჩვეულების ყოველმხრივ გაფართოებისა და განვითარების აუცილებლობა.

როგორც გამოქვეყნებული ანგარიშებიდან ვიცით, „პრავდის“ გამოსვლამდე მოგროვდა ოთხი ათას მანეთზე მეტი, რაც გაზეთ „ზვეზდას“ საშუალებით გამოგზავნა 500 მუშათა ჯგუფმა. ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღიდან 10 აპრილამდე მარტო „პრავდაში“ დაბეჭდილი ანგარიშების მიხედვით ამ პერიოდში მიღებულია შეწირულებანი 3932 მანეთისა და 42 კაპიკის ოდენობით. აქედან 79,9% მიღებულია სხვადასხვა კატეგორიის პროლეტარებისაგან, 20% — ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფებისაგან და $^1/_{10}$% — გლეხებისაგან. მთელი თანხა ნაწილდება შემდეგი რაიონების მიხედვით: პეტერბურგისა—66,3% (2605 მანეთი და 81 კაპიკი), აქედან მხოლოდ 10% მოდის ინტელიგენციაზე; მოსკოვის, ვლადიმირისა და კოსტრომისა — 4,6%, შათგან მხოლოდ მოსკოვის რაიონშია ინტელიგენციის მიერ შეწირულების გაღების შემთხვევა. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „პრავდისათვის“ შეწირულებათა შეგროვებაში ამ სამი რაიონის მცირე მონაწილეობა, სხვა მიზეზების გარდა, იმითაც აიხსნება, რომ აქ ფულს აგროვებდნენ მოსკოვის გაზეთისათვის[359]. მარტო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გაგზავნილი ფული ორი ათას მანეთს აღემატება, საიდანაც 70% მოდის ამ სამ რაიონზე, ხოლო 25% — პეტერბურგის რაიონზე. პეტერბურგელი მუშების პოლიტიკური სიმწიფე აქაც გამოვლინდა; მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის გაზეთის შექმნაშიც); ურალი, ციმბირი, ბალტიისპირეთის მხარე და პოლონეთი — 10,3%; ხარკოვისა და ეკატერინოსლავის რაიონები — 4,4%; ყოველი მხრიდან (ფინეთი, დასავლეთი ევროპა და სხვ.) — 14,5%.

ეს ციფრები საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებენ იმაზე, თუ ვინ ყოფილა გაზეთის ბატონ-პატრონი, ვისი სახსრებით არსებობდა „პრავდა“ და რამდენად არის იგი დაკავშირებული მუშათა მასებთან.

„პრავდის“ წარმატებანი მისი არსებობის პირველ წელს ამ მხრივ ძალიან დიდია. მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზროთ ციფრებით, მოვიყვანთ მონაცემებს მუშათა მიერ „პრავდისათვის“ ფულის ჯგუფობრივი შეგროვების შესახებ არა თვეების, არამედ წლის მეოთხედების მიხედვით (ე. ი. დროის სამთვიანი შუალედების მიხედვით).

წლები	მუშათა მიერ ფულის ჯგუფობრივი შეგროვების რაოდენობა	
	გაზეთ „პრავდისათვის“	მოსკოვის მუშათა გაზეთისათვის
1912 წლის 1-ლი მეოთხედი	108	—
„ „ მე-2 „	396	—
„ „ მე-3 „	81	—
„ „ მე-4 „	35	5
1913 „ 1-ლი „	309	129
1913 „ აპრილის პირველ 10 დღეში	93	43
სულ:	1 022	177

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ თავისი არსებობის პირველ წელს „პრავდამ“ პოვა ათასზე მეტი მუშათა ჯგუფის მხარდაჭერა და დასაბამი მისცა რუსეთის მთავარი სამრეწველო რაიონის, სახელდობრ: მოსკოვის ცენტრალური რაიონის მუშათა გაზეთს.

თავისთავად ცხადია, რომ ათასი მუშათა ჯგუფის მიერ „პრავდისათვის“ გაწეული ფულადი დახმარება ნიშნავს მის ყოველგვარ მხარდაჭერას გაცილებით მეტი მუშათა ჯგუფისაგან, — ნიშნავს არა ერთი ათეული ათასი მუშის შეკავშირებასა და გაერთიანებას „პრავდის“ გარშემო. უდავოა, რომ იმ ჯგუფების რიცხვი, რომლებსაც ფული შეჰქონდათ, ბევრჯერ უფრო ნაკლებია „პრავდის“ იმ მკითხველთა და მეგობართა რიცხვზე, რომლებიც ეხმარებოდნენ მას თავიანთი წერილებით, კორესპონდენციებით, ხელს უწყობდნენ გაზეთის გავრცელებას, აცნობდნენ გაზეთს მუშათა ახალ წრეს, მშრომელთა ახალ ფენას და ა. შ. და მისთ.

მუშათა კლასმა მოგვცა იმ „მოწინავეთა“ მთელი ავანგარდი, რომლებმაც ფეხზე დააყენეს თავიანთი, მარქსისტუ-

ლი, ლიბერალური მერყეობისადმი მტრული მუშათა გაზეთი დედაქალაქში და დასაბამი მისცეს მ ე ო რ ე მუშათა გაზეთს სამრეწველო რუსეთის ცენტრში. ის, რაც მოწინავე შეგნებულმა მუშებმა „პრავდისა“ და მოსკოვის მუშათა გაზეთისათვის გააკეთეს, შესაძლებლობას გვაძლევს შეუცდომლად ვიმსჯელოთ მთელ იმ დიდ მუშაობაზე, რაც მუშებმა გასწიეს თავიანთი კლასის განათლებისა და ორგანიზებისათვის. ვინაიდან „პრავდა“ და მოსკოვის გაზეთი თუმცა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მხოლოდ და მხოლოდ ნ ა წ ი ლ ი ა ამ დიადი საქმისა.

თავიანთი მუშათა გაზეთის პირველი წლის წარმატებით გამხნევებული მოწინავე მუშები ახლა ერთსულოვანი ერთობლივი მეცადინეობით, შეუნელებელი, გულმოდგინე მუშაობით განაგრძობენ პროლეტარიატის სულ უფრო და უფრო ფართო მასების განათლებისა და მარქსიზმის იდეების გარშემო შეკავშირების დიად საქმეს!

„პრავდა“ № 92, 1913 წლის
23 აპრილი

იბეჭდება გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

პარტიების ბრძოლა ჩინეთში

ჩინელმა ხალხმა შეძლო დაემხო ძველი, შუასაუკუნეობრივი წყობილება და მისი მხარდამჭერი მთავრობა. ჩინეთში დამყარდა რესპუბლიკა და პ ი რ ვ ე ლ ი პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი უდიდესი აზიური ქვეყნისა, რომელიც ასე დიდხანს უხარებდა გულს ყველა ეროვნების შავრაზმელებს თავისი უძრაობითა და ერთ წერტილზე გაყინვით, — ჩინეთის პირველი პარლამენტი არჩეულია, შეიკრიბა და უკვე რამდენიმე კვირაა დაიწყო თავისი სხდომები.

ჩინეთის პარლამენტის ორი პალატიდან ქვედაში მცირე უმრავლესობა ჰქონდათ სუნ იატ-სენის მომხრეებს, გო (ან კუო) მინ-ტანის პარტიას, „ნაციონალისტებს“; — რომ გამოვხატოთ ამ პარტიის არსი რუსეთის პირობების შესაფერისად, მას უნდა ვუწოდოთ რადიკალურ-ნაროდნიკული რესპუბლიკური პარ-

ტია, დემოკრატიის პარტია. ზედა პალატაში მას უფრო მნიშვნელოვანი უმრავლესობა აქვს.

ამ პარტიას უპირისპირდებიან ყოველგვარი სახელწოდების უფრო წვრილი ზომიერი ან კონსერვატიული პარტიები, „რადიკალებისა“ და მისთანათა მსგავსნი. სინამდვილეში ყველა ეს პარტია წარმოადგენს რეაქციონერთა, სახელდობრ: ბიუროკრატთა, მემამულეთა და რეაქციული ბურჟუაზიის პარტიებს. ყველა ისინი ეკედლებიან ჩინელ კადეტს იუან ში-კაის, რესპუბლიკის დროებითს პრეზიდენტს, რომელიც სულ უფრო მეტად ამჟღავნებს დიქტატორის ზნეს. როგორც კადეტს შეჰფერის, გუშინ იგი მონარქისტი იყო, — დღეს, როცა რევოლუციურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა, იგი რესპუბლიკელია, — ხვალ აპირებს სათავეში ჩაუდგეს კვლავ მონარქიულ სახელმწიფოს, ე. ი. ულალატოს რესპუბლიკას.

სუნ იატ-სენის პარტია ეყრდნობა ჩინეთის სამხრეთს, მრეწველობისა და ვაჭრობის მხრივ ყველაზე განვითარებულს, რომელსაც ყველაზე მეტად ეტყობა ევროპის გავლენა, ყველაზე მოწინავეს.

იუან ში-კაის პარტია ეყრდნობა ჩინეთის ჩამორჩენილ ჩრდილოეთს.

პირველი შეტაკებანი ჯერჯერობით იუან ში-კაის გამარჯვებით დამთავრდა: მან გააერთიანა ყველა „ზომიერი“ (ე. ი. რეაქციული) პარტია, ჩამოაშორა ნაწილი „ნაციონალისტებს“, გაიყვანა თავისი კანდიდატი პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარის პოსტზე და პარლამენტის ნება-სურვილის საწინააღმდეგო სესხზე გაურიგდა „ევროპას“, ე. ი. ევროპელ მილიარდერებს — თაღლითებს. სესხზე შეთანხმება მოხდა მძიმე, პირდაპირ მევახშურ, პირობებში მარილის მონოპოლიის შემოსავლის უზრუნველყოფით. სესხი ჩინეთს ევროპის მტაცებლური და უაღრესად რეაქციული ბურჟუაზიის კაბალაში ჩააგდებს, ბურჟუაზიისა, რომელიც მზადაა ჩაუხშოს თავისუფლება ყველა ხალხს, როცა საქმე მოგებაზე მიდგება. 250 მილიონამდე მანეთის სესხი კი კოლოსალურ მოგებას აძლევს ევროპელ კაპიტალისტებს.

ევროპის პროლეტარიატის წინაშე რეაქციის შიში ქმნის ევროპის ბურჟუაზიის კავშირს ჩინეთის რეაქციულ კლასებსა და ფენებთან.

ამ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად გაუძნელდება სუნ იატ-სენის პარტიას.

რა არის ამ პარტიის სისუსტე? ის, რომ მან ჯერჯერობით საკმაოდ ვერ ჩააბა რევოლუციაში ჩინელი ხალხის ფართო მასები. ჩინეთის პროლეტარიატი ჯერ ძალიან სუსტია, — ამიტომ არ არის მოწინავე კლასი, რომელსაც შეეძლოს გადაჭრით და შეგნებულად იბრძოლოს დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის. გლეხობა, რომელსაც არა ჰყავს ხელმძღვანელი პროლეტარიატის სახით, საშინლად დაბეჩავებულია, პასიურია, უმეცარია, გულგრილად ეკიდება პოლიტიკას. ძველი და ძირმომპალი მონარქიის რევოლუციური დამხობის მიუხედავად, რესპუბლიკის გამარჯვების მიუხედავად, ჩინეთში არ არის საყოველთაო საარჩევნო უფლება! პარლამენტის არჩევნები ცენზიანი იყო, ირჩევდნენ მხოლოდ ისინი, ვინც 500 მანეთამდე ღირებულების ქონებას ფლობდა! აქედანაც ჩანს, თუ რაოდენ სუსტად არიან ჯერჯერობით ჩაბმულნი ჩინეთის რესპუბლიკის აქტიურ მხარდაჭერაში ხალხის ჭეშმარიტად ფართო მასები. ხოლო თუ არ იქნა მასების ასეთი მხარდაჭერა, არ იქნა ორგანიზებული და მედგარი მოწინავე კლასი, რესპუბლიკა მტკიცე ვერ იქნება.

და მაინც რევოლუციურმა დემოკრატიამ ჩინეთში, მიუხედავად მისი ბელადის სუნ იატ-სენის დიდი ნაკლოვანებებისა (მეოცნებეა და გაუბედავი, რაც იმით აიხსნება, რომ არ გააჩნია პროლეტარული დასაყრდენი), ძალიან ბევრი რამ გააკეთა ხალხის გასაღვიძებლად, თავისუფლებისა და თანამიმდევრულად დემოკრატიულ დაწესებულებათა მოსაპოვებლად. მოძრაობასა და პოლიტიკაში ჩინეთის გლეხობის სულ უფრო ფართო მასების ჩაბმით სუნ იატ-სენის ეს პარტია ამით (და სწორედ იმის კვალობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ეს ჩაბმა) ხდება აზიის პროგრესისა და კაცობრიობის პროგრესის დიდი ფაქტორი. ამ პარტიის მუშაობა არასოდეს არ ჩაიელის უქმად, როგორიც

უნდა იყოს მისი შესაძლო დამარცხებანი, რასაც უქადიან პოლიტიკური გაიძვერები, ავანტიურისტები და დიქტატორები, რომლებიც ჩინეთის რეაქციულ ძალებს ეყრდნობიან.

დაწერილია 1913 წლის 28 აპრილს
(11 მაისს)

დაიბეჭდა 1913 წლის 3 მაისს
გაზეთ „პრავდის“ № 100-ში

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

გაზეთ „ლუჩის“ № 189-ში დაბეჭდილი მოწინავის გამო

... * ფრაზა „ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით“ ბრძოლის შესახებ არავის არაფერს არ ავალებს. ეს ცხადზე უცხადესია. პირიქით, ეს ფრაზა თითქოს განზრახ შეურჩევიათო ლიბერალების ორჭოფობის გასამართლებლად. რა არის „ხელმისაწვდომი“ საშუალებანი? ნუთუ „ლუჩის“ მოწინავე ისე ბავშვურად გულუბრყვილოა, ისეთი მიამიტია პოლიტიკაში, რომ არ იცის თ ა ვ ხ ე დ უ რ საშუალებათა „ხელმისაწვდომობა“ რუსეთის ლიბერალიზმისათვის?? იცის, მაგრამ დუმს და ცდილობს შეალამაზოს ლიბერალიზმი.

ლიბერალ მილიონერს, ფაბრიკანტ კონოვალოვს, რომელიც სათათბიროში დემოკრატიის უხეში მოტყუებით გაძვრა (კარგი თავხედური საშუალებაა!), ნებართვა მიეცა დააარსოს საზოგადოება „რუსკაია მოლვა“ ნ ა ხ ე ვ ა რ ი მ ი ლ ი ო ნ ი მ ა ნ ე თ ი კაპიტალით და იმ მიზნით, რომ შეაკავშიროს კადეტები ოქტიაბრისტებთან „პროგრესისტულ“ გაზეთ „რუსკაია მოლვაში“[360].

ეს ფაქტია. „ლუჩმა“ იცის ეს. და „ლუჩი“ ამ კონოვალოვებთან და მათს დაქირავებულ მწერლებთან ერთად უყოყმანოდ აწერს ხელს რეზოლუციას „ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით ბრძოლის შესახებ“. მე ვეკითხები ყოველ მუშასა და ყოველ

---

* სტატიის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

წერა-კითხვის მცოდნე გლეხს: განა ცხადი არ არის, რომ ეს რეზოლუცია ა ტ ყ უ ე ბ ს ხ ა ლ ხ ს ძალად გაბუნდოვანებული სიტყვებით „ხელმისაწვდომობის“ შესახებ, როცა კონოვალოვებს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ მიაჩნიათ „ხელმისაწვდომად“ მხოლოდ ის საშუალებანი, რომლებიც სერიოზულად ვერ შეაწუხებენ ბატონ პურიშკევიჩებსა და К⁰-ს?

ეს ცხადია. ბატონი კონოვალოვების მთელმა საქმიანობამ,— და, რა თქმა უნდა, არა მარტო კონოვალოვებისა, არამედ ყველა ლიბერალისაც, — სავსებით დაამტკიცა, რომ მათ ხ ე ლ მ ი ს ა ს წ ვ დ ო მ საშუალებებად მიაჩნიათ მხოლოდ საშუალებანი, ძ ი რ ს რ ო მ ა რ უ თ ხ რ ი ა ნ ბატონი პურიშკევიჩებისა და К⁰-ის კეთილდღეობის საფუძვლებსა და პრივილეგიების საფუძვლებს.

უნდა წავსულიყავით თათბირზე, რათა მეათასედ (ჩვენ არ მოგვებეზრდება ამის კეთება) გვემხილებინა და გაგვეგებინებინა მიამიტი, ან უმეცარი, ან ნაკლებად გამჭრიახი დემოკრატებისათვის, თუ სად ყოფილა სიტყვა „ხელმისაწვდომობის“ მთელი „მარილი“ (ან, თუ გნებავთ ნამდვილი სიმართლე, სად ყოფილა ს ი ბ ი ნ ძ უ რ ე და სად ს ი ც რ უ ე).

ეს ყველაზე საზიზღარი, ყველაზე ბილწი, ყველაზე თახსირი სიტყვაა რუსულ პოლიტიკურ ლექსიკონში. გრამატიკის თვალსაზრისით, სასაცილოა თქვა: „მხოლოდ და მხოლოდ ხელმისაწვდომ საშუალებებს ვცნობო“, რადგან ვინ არ იცის, რომ ხ ე ლ მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ი მიუწვდომელია? მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხი გრამატიკული კი არა, პოლიტიკურია. მუშებს ხელმისაწვდომად ის რ ო დ ი მიაჩნიათ, რაც კონოვალოვებს, მილიუკოვებსა და К⁰-ს.

მოვიყვან უარყოფით მაგალითს. მუშებს არ ახელმისაწვდომად მიაჩნიათ ისეთი „საშუალება“, რომ დღეს როძიანკოს სიტყვას „კონსტიტუციურად“ აცხადებდე, ხვალ კი ლანძღავდე ოქტიაბრისტებს (17 ოქტომბრიდან და უფრო ადრინდელი დროიდან რომ არ ღალატობენ თავიანთ თავს და არ ღალატობენ პურიშკევიჩებს) სიბილწისათვის.

მუშებს, ეს ნამდვილად ვიცი, ასეთი საშუალება და ასეთი

ფანდი „ხელმიუწვდომელ“ თავხედობად მიაჩნიათ. კონოვალოვები და მილიუკოვები ამას „ხელმისაწვდომ“ „კონსტიტუციურ ტაქტიკად“ თვლიან.

ახლა მოვიყვან დადებითს მაგალითს... თუმცა... მუხლი 129-ე... არა, იცით რა, ბატონებო, ნება მიბოძეთ ამ სტატიაში, ამ გაზეთსა თუ ამ ჟურნალში არ მოვიყვანო დადებითი მაგალითი! მაგრამ სამაგიეროდ, თანახმა ვარ ვუოფილიყავ და იქ კონოვალოვებსა და მილიუკოვებს სიტყვა რომ დაედოთ, დამსმენნი არ ვიქნებითო, მოვიყვანდი ცოცხალ, კარგ, ჩინებულ, უაღრესად დამაჯერებელ, როგორც ისტორიულ, ისე სტატისტიკურ დადებით მაგალითს!.. არადა, ღმერთმანი, როგორ გინდა გაუძლო კაცმა ასეთ ცდუნებას და არ მოჰყვე, თუ რა მიაჩნიათ „ხელმისაწვდომად“ მოქმედების დარგში საერთოდ და ქისის დარგში კერძოდ, ერთი მხრივ, მუშებს, ხოლო, მეორე მხრივ, კონოვალოვებსა და მილიუკოვებს... მაგრამ არა, თავს შევიკავებ...

თათბირზე საჭირო იყო წასვლა. იქ შეიძლებოდა მეტი სიტყვის თავისუფლება ყოფილიყო, ვიდრე „ზოგან“. იქ, თათბირზე, წინადადება უნდა მიგვეცა დემოკრატიისათვის ელაპარაკა რეფორმიზმის მავნეობაზე — ეს დროული იქნებოდა, აღძრული საკითხის თვალსაზრისით. მიიღებოდა ორი რეზოლუცია: დემოკრატიული და ლიბერალური, ლიბერალებისათვის „ხელმიუწვდომელი“ (მაგრამ „ხელმისაწვდომი“ მუშებისა და შეგნებული წვრილი ბურჟუებისათვის, თუნდაც მათი ერთი ნაწილისათვის) და კონოვალოვებისათვის „ხელმისაწვდომი“. ხალხი წაიკითხავდა ორივე რეზოლუციას ან მოისმენდა ორივე რეზოლუციის შესახებ და ჩაუფიქრდებოდა მათ. ჩასწვდებოდა. ტკივილს გაანძრევდა. შეადარებდა და აწონ-დაწონიდა ხალხი.

და რამდენიმე ხნის შემდეგ, ლიბერალური სიტყვებითა და ფუჭი ფრაზებით მოხიბლულ დემოკრატიის ნაწილს ჩამოშორდებოდა ისეთი დემოკრატია, რომელსაც „ხელმიუწვდომლად“ მიაჩნია ლიბერალური თავხედობა, ხოლო ხელმისაწვდომად — რაღაც სხვა. ესეც „ერთობლივი მოქმედება“ იქნებოდა, — ოღონდ არა იმ სულისკვეთებით,

რომ ლიბერალებთან ერთად გველაპარაკა ლიბერალიზმისათვის „ხელმისაწვდომის“ ფარგლებზე.

დიახ, დიახ, გაზეთ „ლუჩს“ საზიზღარი ლიბერალები უძღვებიან, მაგრამ კიდევ რამდენიმე ისეთი სასარგებლო მოწინავე, როგორიც № 189-ში დაიბეჭდა, და მუშები საბოლოოდ მიუხვდებიან ამ „ავ მოძღვართ“. განაგრძეთ, ბატონო ლუჩელებო, გზა დაგვილოცნია!

დაწერილია 1913 წლის მაისში,
არა უადრეს 10 (23) რიცხვისა
ხელმოწერა: გ ა რ ე შ ე პ ი რ ი

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 23

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მემამულენი საშოვარზე მიმავალი სოფლის მეურნეობის მუშების შესახებ

შავრაზმელ მემამულეთა გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ მოჰყავს პოლონეთსა და საერთოდ რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში მცხოვრებ მემამულეთა საინტერესო დავა იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის მუშები საშოვარზე გერმანიაში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მიდიან.

საშოვარზე ეს სიარული სულ უფრო ძლიერდება. 1901 წელს ანგარიშობდნენ, წელიწადში 218 ათასი კაცი მიდისო. განისაზღვრა, რომ 1911 წელს წავიდა 740 ათასი კაცი, ე. ი. სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1901 წელს. 1912 წელს წასულთა რიცხვმა დაახლოებით 800 ათასი შეადგინა.

ამასთანავე უნდა შევნიშნო, რომ, პოლონელი გლეხებისა და მუშების გარდა, გერმანიაში წასვლა იწყეს რუსმა მუშებმაც რუსეთის ცენტრიდან. „ახლა იშვიათად როდი შეხვდებით საზღვარზე და საზღვარგარეთ ტულელებს, ორიოლელებსა და რიაზანელებს“. ამ მოძრაობას აძლიერებს უ ფ ა ს ო ათთვიანი საზღვარგარეთული პასპორტების გაცემა სასოფლო სამუშაოებზე მიმავალი მუშებისათვის.

რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ რუსი გლეხები სულ უფრო ღატაკდებიან, რუსეთში სულ უფრო კლებულობს გასამრჯელო მებატონეებისა და უუფლებობისაგან დაძაბუნებული სამეურნეო ცხოვრების საერთო მოდუნების შედეგად. ხელფასი რუსეთში ბატონყმურად დაბალ დონეზეა.

რუსეთში სოფლის მეურნეობის მუშის საშუალო წლიური შემოსავალი 62 მანეთით განისაზღვრება; მივუმატოთ ამას 46 მანეთი წელიწადში როგორც სურსათ-სანოვაგის ღირებულება, და მივიღებთ მთელ შემოსავალს 108 მანეთის ოდენობით წელიწადში. გერმანიაში კი საშუალო წლიური შემოსავალი 180 მანეთია, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი!! (ინგლისში, შევნიშნოთ ფრჩხილებში, სოფლელი მუშის შემოსავალი 300 მანეთს შეადგენს, ხოლო ამერიკაში — 500 მანეთს წელიწადში.)

ბუნებრივია, რომ უუფლებო, მშიერი და ღატაკი რუსეთიდან ასეულ ათასობით მუშა საშოვარზე გარბის გერმანიაში, მიდის უფრო შორსაც—დანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში. მუშები იქ ხედავენ და სწავლობენ უფრო მაღალ კულტურას, მიწის განუზომლად უკეთეს დამუშავებას, შეუდარებლად უფრო უხვ მოსავალს და, რაც მთავარია, პოლიტიკურ თავისუფლებას, მუშათა პრესისა და მუშათა ორგანიზაციების თავისუფლებას.

ჰოდა, ბატონი მემამულეებიც დავობენ: ერთნი ამბობენ, მეპატრონისათვის სასარგებლოა, ჩვენი მუშები მიწათმოქმედების საუკეთესო საშუალებებს ასე მასობრივად რომ სწავლობენო. სხვა მემამულეები კი აღშფოთებული არიან, რომ მუშების წასვლა ზრდის ხელფასს იმ ადგილებში, რომლებიც მათ დატოვეს.

რუსეთში, საერთოდ რომ ითქვას, — და განსაკუთრებით რუსეთის კანონმდებლობაში — გაბატონებულია ამ მეორე მემამულეთა აზრი, რომლებსაც სურთ ხედავდნენ გლეხებს „ბინადრებად“ (ე. ი. მიწას მიჯაჭვულად), მორჩილებად (გასაქანი რომ არ ჰქონდეთ), დაბეჩავებულებად, გაველურებულებად (რომ არ დაინახონ, როგორ შეიძლება უკეთ ცხოვრება და როგორ ცხოვრობენ მუშები უკეთ სხვა ქვეყნებში).

საბედნიეროდ, ამ მებატონე-მემამულეებს, რომლებიც ყოველმხრივ აფუჭებენ და აუკუღმართებენ რუსეთის ცხოვრებას, უკვე აღარ ძალუძთ შეაჩერონ მსოფლიო კაპიტალიზმი, რუს გლეხს, რომ იტაცებს მივარდნილი ადგილებიდან.

დაწერილია 1913 წლის 10 (23) მაისს

დაიბეჭდა 1913 წლის 18 მაისს გაზეთ „პრავდის“ № 113-ში ხელმოწერა: დ.

იბეჭდება გაზეთ „პრაედის“ ტექსტის მიხედვით

მუშათა პარტია და ლიბერალური მოჯირითენი

(პოტრესოვის შესახებ)

...* ბატონ პოტრესოვს ციტატები მოჰყავს (უფრო სწორად: ამახინჯებს) გ. ვ. პლეხანოვის სტატიიდან, რომელიც 1905 წლის აგვისტოში დაიბეჭდა. ამ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის III ყრილობაზე (ლონდონი, 1905 წლის მაისი) შეკავშირებული ბოლშევიკები მთლიანად, ფორმალურად იყვნენ გათიშულნი მენშევიკებისაგან[61] („კონფერენცია“ ჟენევაში იმავდროულად). ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები ბოლშევიკებსა და მენშევიკებს ცალ-ცალკე ჰქონდათ 1905 წელსაც და 1906 წლის გაზაფხულზეც.

ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტებია, რომელთა მივიწყებით სარგებლობს და სპეკულაციას ეწევა მოჯირითე ბატონი პოტრესოვი.

მას უხდება ამ ფაქტების მ ი ჩ ქ მ ა ლ ვ ა, რადგან ისინი ამხილებენ მოჯირითის უტიფრობას!

ა რ ც ე რ თ მაშინდელ ო რ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (პლეხანოვი კი იმ დროს გვერდზე იყო გამდგარი ორივე პარტიისაგან) პ ა რ ტ ი ი ს ა რ ც ე რ თ ი გადაწყვეტილება არა აქვს გ. ვ. პლეხანოვის სტატიის არაპარტიული მნიშვნელობის შესახებ, მისი ლიკვიდატორობის შესახებ, ამ სტატიაში პარტიის ნგრევის ან უარყოფის შესახებ!

---

* ხელნაწერის პირველი გვერდი საერთოდ არ არის. რედ.

ამით ყველაფერია ნათქვამი, ბატონო ლიბერალო მოჯირითევ, სულ თავს რომ იძვრენთ და იმალებით.

ლიკვიდატორობა არის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, რომელიც დაგმობილია პ ა რ ტ ი ი ს ფორმალური გადაწყვეტილებებით 1908 წლის დეკემბერშიც და 1910 წლის იანვარშიც (ე რ თ ხ მ ა დ ყველა მიმდინარეობის მიერ).

პლეხანოვის სტატიიდან პარტიის ა რ ც ე რ თ კონფერენციას (ან სხვა დაწესებულებას) ა რ ა ს ო დ ე ს არ „ამოუკითხავს“ ლიკვიდატორობა. ა მ ი თ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა ნ ა თ ქ ვ ა მ ი! ბატონი ა. ნ. პოტრესოვი ებღაუჭება ძველ სტატიას, მოჰყავს ციტატების გროვა იმ ფაქტის მ ი ს ა ჩ ქ მ ა ლ ა ვ ა დ, რომ იგი, პოტრესოვი, მისი ლიკვიდატორული მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა მ თ ე ლ მ ა პ ა რ ტ ი ა მ დაგმო.

ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენელი, ბატონ პოტრესოვის მსგავსი, მოჯირითენი ქედმაღლურ-ბატონკაცური ზიზღით არიან სავსე მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს გადაწყვეტილებებისადმი. რა ენაღვლებათ ამ მოჯირითეებს პ ა რ ტ ი ი ს გადაწყვეტილებანი!

ხოლო მუშათა პარტიას არ ენაღვლება ლიბერალური „ლუჩი“ და ლიბერალი ბატონი პოტრესოვი, რომელიც პლეხანოვის ძველ სტატიებში ლიკვიდატორობას „ამჩნევს“, ისევე როგორც „ამჩნევდა“ ბატონი ვ. ჩერნოვი ლიბკნეხტის ნაწარმოებებში ნაროდნიკობას.

საბრალო და სასაცილოა ბატონი პოტრესოვი, ასე რომ იჭაჭება უბედობით, რათა პარტიას არ დააგმობინოს ლიკვიდატორობა!

პლეხანოვის გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა ზე ბატონი პოტრესოვი და „ლუჩი“ მხოლოდ ლაყბობენ და ტყუილებით ბერავენ მკითხველს. მათ იციან, რომ ყველა **გაამტყუნებს** და დასცინებს მათ, ამაოდ რომ იჭაჭებიან პლეხანოვის გასამტყუნებლად.

დაწერილია 1913 წლის 27 მაისს
(9 ივნისს)

მთლიანად პირველად დაიბეჭდა
1961 წელს

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 23

კაპიტალისტები და შეიარაღება

ინგლისის მუშათა პრესა განაგრძობს თავის საინტერესო და ყურადსაღებ კამპანიას — ინტერნაციონალურად გაერთიანებულ კაპიტალისტთა სინდიკატების გამოაშკარავებას, რომლებიც საომრად აქეზებენ ხალხებს.

ავიღოთ ნობელის დინამიტის ტრესტი (ან სინდიკატი). მისი კაპიტალი 30 მილიონ მანეთს შეადგენს. წმინდა მოგება უკანასკნელ წელს 3 300 000 მანეთია. თერთმეტი პროცენტი წმინდა მოგება, ურიგო როდია — ხომ მართალია?

და თავიანთ წლიურ ანგარიშში ხალხსაჭლეტი მასალების კეთილშობილი ვაჭრუკანები თავმდაბლურად განმარტავენ თავიანთ წარმატებებს მოკლე ფრაზით: „საომარ მასალებზე წელს გაძლიერებული მოთხოვნა იყოო“.

ოღონდაც! კაპიტალისტური პრესა და კაპიტალისტების მსახური პოლიტიკური მოღვაწენი ომზე გაჰკივიან, მოითხოვენ ახალ შეიარაღებას, — ეს ხომ ასე ხელსაყრელია მრეწველთათვის, რომლებიც საომარ მასალებს ამზადებენ!

კი მაგრამ ვინღა არიან ეს მრეწველნი?

ესენი არიან ყველა ერის გაერთიანებული კაპიტალისტები, მინისტრების ძმები, პარლამენტის წევრები და ასე შემდეგ!

„დინამიტის“ იმ ტრესტის აქციონერთა შორის (რომელიც მჭახიეა, თუ მფლობელი არა, გერმანიის ოთხი დინამიტის ფაბრიკისა) გვხვდება გვარები:

გერმანიის არმია: გენერალი ფონ მიულბურგი, მაიორი ბარონი ფონ ფრიჩი და ა. შ.;

ბრიტანეთის არმია: გენერალი ჯ. დონალდი, პოლკოვნიკი ნეილ ფინდლი და სხვ. და სხვ.;

საფრანგეთის არმია: პოლკოვნიკი ფრანსუა ლიაფარგი;

ლორდი გლენკონერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ცოლის, ქალბატონ ასკვიტის ძმა, სერ ნორსი, მინისტრი, ჰაროლდ ტენანტი, პარლამენტის წევრი, „გერმანიის ბანკი“, „ჰანოვერის ბანკი“ და ასე შემდეგ.

ეროვნული პარტიების ბელადები სხვადასხვა პარლამენტში, „სახელმწიფოს ძლიერებასა“ და „პატრიოტიზმზე“

რომ გაჰკივიან (იხილე IV სათათბიროში კადეტთა, პროგრესისტთა, ოქტიაბრისტთა გადასვლის ფორმულები![362]), ამ პატრიოტიზმს იმით ახორციელებენ, რომ აიარაღებენ საფრანგეთს გერმანიის წინააღმდეგ, გერმანიას ინგლისის წინააღმდეგ და ა. შ. ისინი ყველანი ასეთი მხურვალე პატრიოტები არიან. ისინი ყველანი ისე ზრუნავენ, ისე ზრუნავენ „სახელმწიფოს ძლიერებისათვის“ — თავისი სახელმწიფოსი, რა თქმა უნდა, — მტრის წინააღმდეგ.

და ისინი იკრიბებიან, ამ „მტრებთან“ ერთად, დინამიტისა და სხვა ტრესტების (სინდიკატების) აქციონერთა გამგეობების სხდომებსა და კრებებზე, თან ხვეტენ მილიონობით მანეთ წმინდა მოგებას და აქეზებენ — თითოეული „თავის“ ხალხს — სხვა ხალხებთან საომრად.

„პრავდა“ № 133, 1913 წლის
12 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

იაფი ხორცი — „ხალხისათვის“

რაოდენ საჭირბოროტო ახალი ამბავია! მუშების რაოდენ საარსებო საჭიროება კმაყოფილდება! იაფი ხორცი ხალხისათვის — სად? რა? როგორ?

მოსკოვში საქალაქო სასაკლაოებთან გაიხსნა „ფრაიბანკი“, ანუ საყასბო იაფი, უვნებელყოფილი, პირობითად ვარგისი ხორცის გასაყიდად. ასე იუწყებოდა „რუსკოე სლოვო“.

იაფი ხორცი — ეს კარგი რამაა. მაგრამ ეს რალას ნიშნავს: „უვნებელყოფილი“, „პ ი რ ო ბ ი თ ა დ ვარგისი“ (მაშასადამე, შეგვეძლო ასეთივე უფლებით გვეთქვა: პ ი რ ო ბ ი თ ა დ უ ვ ა რ გ ი ს ი!) ხორცი? აი, რას ნიშნავს ეს:

როცა პირუტყვს გასაყიდად მორეკავენ, მას სინჯავს ვეტერინარული ზედამხედველობა. ავადმყოფ პირუტყვს იწუნებენ და არ აკლევინებენ, რადგან მისი ხორცის საკვებად გამოყენებამ შეიძლება სხვადასხვა სნეულებით დაავადოს ადამიანი. განსაკუთრებით ხშირად იწუნებენ ტუბერკულოზიან (ჭლექიან) და „ფეტველიან“ (ბუშტა ჭიები) პირუტყვს.

დაახლოებით 450 000 სული პირუტყვის საერთო რაოდენობიდან, რომელიც მოსკოვის სასაკლაოებში გადის, იწუნებენ, როგორც საეჭვოს 30 000-მდე სულს.

ჰოდა, ამ საეჭვო, ფეტველიანი და ტუბერკულოზიანი პირუტყვის ხორცს უვნებელყოფენ განსაკუთრებულ კამერაში სამ საათამდე ხარშვით, ვეტერინარის მეთვალყურეობით. ჭიები და ტუბერკულოზის ბაცილები იღუპებიან ამ ხარშვისაგან.

ალბათ, ყველა ან თითქმის ყველა მთლიანად იღუპება ან თითქმის მთლიანად იღუპება! მიიღება უვნებელყოფილი, გამოხარშული და იაფი ხორცი.

„მოკვლით, — ამბობს, „რუსკოე სლოვოს“ სიტყვით, ხალხი, — რა თქმა უნდა, არ მოგკლავს, ჭლექს კი მაინც შეგყრის ან მუცელს აგატკივებს, აბა რა იქნება, ავადმყოფი პირუტყვია“.

მყიდველებს ვეღარ აუდიან. მუშები მოსკოვიდანაც კი ჩამოდიან. რიგში დიდხანს უხდებათ ლოდინი. დილაობით რიგში მეტწილად ქალები — დიასახლისები არიან, დღისით — მუშები, უმთავრესად მშენებელი მუშები.

გამოხარშული, უვნებელყოფილი ხორცი, რომელიც არ მოგკლავს, მუცელს კი აგატკივებს, — ეს სწორედ ზედგამოჭრილია ხალხისათვის. ნამდვილი ხორცის ფული ხალხს არა აქვს.

ამბობენ, რაც უფრო გულდასმით მუშაობს ვეტერინარული ზედამხვედველობა, მით უფრო მეტ ხორცს იწუნებენო. „ამრიგად,—ასკვნის „რუსკოე სლოვო“,—მოსახლეობა ორი მხრიდან არის დაინტერესებული გულმოდგინე ზედამხედველობით: საშუალო კლასები იმით, რომ სასაკლაოდან გასაყიდად მოდიოდეს ჯანსაღი ხორცი; ღარიბობა — რომ მეტ პირუტყვს იწუნებდნენ და ფრაიბანკი სავსებით უზრუნველყოფილი იყოს ხორცით“.

აი რა კულტურულ და კაცთმოყვარე ხანაში ვცხოვრობთ: „ორი მხრიდან“ ისწავლეს მოსახლეობის „დაინტერესება“. და რა „თავისუფლებაა“ იაფი ხორცისათვის: „ფრაიბანკი“ გერმანულად ხომ „თავისუფალ სავაჭროს“ ნიშნავს.

კულტურა, თავისუფლება, პროდუქტების სიიაფე, ვაჭრობის გამოცოცხლება — ყველაფერი ხალხისათვის! თუ დაინახავთ განცხადებას: „სახალხო ბინების საზოგადოება“ — იცოდეთ, რომ სარდაფი ან სხვენი იქნება იაფი და ექიმის მეთვალ-

ყურეობის ქვეშ: სიკვდილით, რა თქმა უნდა, არ მოკვდები, მაგრამ დაშლექდები.

თუ დაინახავთ აბრას: „სახალხო სასადილო“ — თამამად შედით. იქნება იაფი, გამოხარშული ხორცი, რომელმაც მეთვალყურეობის ქვეშ გამოიარა სასაკლაო და უმეთვალყურეოდ არ გამოსულა სასაკლაოდან.

თუ დაინახავთ წარწერას: „სახალხო ბიბლიოთეკა“ — შეგიძლიათ სიხარულს მიეცეთ. იქნება იაფი, სულაც უფასო ბროშურა, რომელიც რუსი ხალხის კავშირმა ან სრულიად რუსეთის ნაციონალისტთა კლუბმა გამოუშვა სულიერი ცენზურის საექიმო მეთვალყურეობით.

ამბობენ, მალე „ფრაიბანკი“ გაიხსნებაო — „სახალხო“ პურისათვის... რომელსაც გამოაცხობენ უვნებელყოფილი, გამოხარშული, ვეტერინარული, წამომცდა, უნდა მეთქვა: საექიმო მეთვალყურეობით დამზადებული ბალახისაგან.

კულტურა, თავისუფლება, პროდუქტების სიიაფე, ვაჭრობის გამოცოცხლება — ყველაფერი ხალხისათვის! და მოსახლეობა სულ უფრო დაინტერესდება ორი მხრიდან: მდიდრები — იმით, რომ მათი ხორცი ჯანსაღი იყოს, ღარიბობა კი იმით, რომ „ფრაიბანკს“ საკმარისად ჰქონდეს პიროპითად ვარგისი ხორცი.

დაწერილია 1913 წლის 8 (21) ივნისს

დაიბეჭდა 1913 წლის 16 ივნისს
გაზეთ „პრავდის“ № 137-ში
ხელმოწერა: ვ.

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

პროექტი

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეთანხმებისა ჯგუფ „პრიბოისთან“ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობად მისი აღიარების შესახებ[363]

შ ე ს ა ვ ა ლ ი X)) დამსახურებანი და დიდმნიშვნელოვანი როლი I. საქმის განვითარებისა და ოფიციალური აღიარების აუცილებლობის გამო სწორად დაკონსტრუირდეს **როგორც**

ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა შემდეგ საწყისებზე:

a) ჯგუფი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ ნაწილს უძღვება ავტონომიურად;

b) ყველა არასაჭარო წიგნი და მასალა იგზავნება წინასწარ შესამოწმებლად ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო თუ საჭიროა, გამოიცემა ასეთი გამოგზავნის გარეშე, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის veto-ს უფლებით.

აზრთა სხვადასხვაობისა და შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში საკითხი გადატანილ იქნეს ცენტრალური კომიტეტის სრულ კოლეგიაში საბოლოო გადაწყვეტისათვის.

იგივე სრული კოლეგია წყვეტს საკითხს ბროშურების გამოცემის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და „პრიბოის“ კოლეგია ვერ შეთანხმდნენ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მეშვეობით შემოსული ბროშურების საკითხებში.

c) თავისი გამომცემლობის საფინანსო ნაწილის გამგედ ცენტრალური კომიტეტი ნიშნავს **ამხა**ნაგ X-ს.

1913 წლის 7 აგვისტო

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ჟურნალ „ისტორიჩესკი არხივის“
№ 1-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ოქტიაბრისტები და მუშათა მოძრაობა

თანამედროვე პოლიტიკური მომენტი რუსეთში განსაკუთრებით საინტერესოა. კადეტების, პროგრესისტებისა და ოქტიაბრისტების მოლაპარაკება ერთობლივი „ოპოზიციური“ ტაქტიკის შესახებ სათათბიროში, ერთი მხრივ, მუშათა მოძრაობა, მეორე მხრივ, მხოლოდ „გამოცოცხლებას“ კი არა, რალაც უფრო მეტსაც მოწმობენ.

ჩვენი საინტერესო დროის ერთ-ერთი უაღრესად ყურადსაღები დოკუმენტია „17 ოქტომბრის კავშირის“ ცენტრალური

კომიტეტის მოწოდება პარტიის წევრებისადმი, მოწოდება, რომელიც ურჩევს მათ („რეჩის“ თქმით) „თავი მიანებონ აპათიას და ენერგიულად მოჰკიდონ საქმეს ხელი“.

ოქტიაბრისტული ცენტრალური კომიტეტის აზრით, „ახლა, როცა რევოლუციური ძალები კვლავ ამოძრავდნენ, რასაც ადასტურებს, სხვათა შორის, გაფიცვები, ყველა კეთილგონიერი მოქალაქე, ვისაც გულწრფელად სწადია სახელმწიფოს პროგრესული განვითარება, უნდა მიემხროს „17 ოქტომბრის კავშირს“ და ამით გააძლიეროს მისი შემადგენლობა და აუმაღლოს ავტორიტეტი“.

ოქტიაბრისტების მუშაობამ, ფიქრობს მათი ცენტრალური კომიტეტი, უნდა „ჩაახშოს იმ დამანგრეველი ელემენტების გავლენა, რომლებიც კვლავ გამაბეზრებლად გაჰკივიან და მოუწოდებენ ახალი გადატრიალებისაკენ რუსეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებაში. ცენტრალური კომიტეტი მოგაგონებთ, თუ რა მსხვერპლის გაღება მოუხდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას, კეთილგონიერმა ადამიანებმა ახლა გულზე ხელი რომ დაიკრიფონ და ჩამოშორდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ცენტრალურ კომიტეტს სჯერა, რომ მილიონობით რუსი კეთილგანმზრახველი მოქალაქე ერთ მუჭა რევოლუციონერებს არ დააღუპვინებს რუსეთს“.

ასე გადმოგვცემს „რეჩი“ (№ 275) ოქტიაბრისტთა ცენტრალური კომიტეტის საინტერესო მოწოდების შინაარსს და, როგორც ჩანს, ვერ ხედავს მასში ვერავითარ გადახვევას ჩვეულებრივი ოქტიაბრისტული პოლიტიკისაგან.

განვიხილოთ ოქტიაბრისტული ცენტრალური კომიტეტის მოწოდება, როგორც ჩვენი დროის ისტორიის დამახასიათებელი დოკუმენტი. ოქტიაბრისტებს ურჩევენ „თავი მიანებონ აპათიას“. მაშასადამე, აქამდე ყოფილა აპათია? როცა რეაქციის ძალები ზეიმობდნენ, ოქტიაბრისტები აპათიას იყვნენ მიცემულნი. როცა რეაქციის ძალები საკმარისი ჩ ა ნ დ ა... „წესრიგისათვის“, ოქტიაბრისტები არხეინად იყვნენ და საჭიროდ არ თვლიდნენ „ხელი მოეკიდათ საქმისათვის“. როცა რეაქციის ძალები საკმარისი აღარ აღმოჩნდა („კვლავ ამოძრავდნენ“

რეაქციის საწინააღმდეგო ძალები), — მაშინ... მაშინ ოქტიაბრისტები ენერგიულად ჰკიდებენ ხელს რ ე ა ქ ც ი ი ს ა დ მ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს საქმეს.

მართლაცდა, განა ეს რეაქციისადმი დახმარება არ არის, როცა სათათბიროს გავლენიანი ფრაქცია მუსრს ავლებს მემარცხენეებს, რომლებიც „გამაბეზრებლად გაჰკივიან“, ისწრაფიან „დაღუპონ რუსეთი“? თავად განსაჯეთ: „ერთი მუჭაა“ და უცებ „დაღუპვას უქადის რუსეთს“! მემარცხენენი, რომელთა გაზეთებს (მთელ რუსეთში სულ ცოტა ათი გაზეთია) ლამის ყოველდღე უყონ კონფისკაცია, ერთი ამათ დამიხედეთ, „გამაბეზრებლად გაჰკივიან“! ეს ხომ სიტყვასიტყვით განმეორებაა სწორედ იმ მართლაც რომ გამკივანი და გამაბეზრებელი ფრაზებისა, რომლებიც ყოველდღე შეგიძლიათ წაიკითხოთ შავრაზმელთა მთავრობის პრესაში.

ჩვენ აქ თვალსაჩინოდ ვხედავთ, სინამდვილეში რით დამთავრდა „პროგრესული“ იდეების ქადაგება „17 ოქტომბრის მანიფესტის სულისკვეთებით“. როგორც კი მუშათა მოძრაობა გაძლიერდა და საერთო გამოცოცხლება შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენმა „პროგრესისტმა“ ბურჟუებმა მაშინვე შეუღრინეს არა რეაქციას, არამედ სწორედ ამ მუშათა მოძრაობას.

რუსეთში უკვე მეორედ, ოღონდ უფრო გაფართოებული მასშტაბით, უფრო ფართო ასპარეზზე შეიქმნა ძალთა ის თანაფარდობა, რომელიც შეიმჩნეოდა ცხრა—რვა წლის წინათ. ოქტიაბრისტები, პროგრესისტები და კადეტები იმ დროს არსებობდნენ არადიფერენცირებულ, შერწყმულ, ვითომდა ერთიან „მოწინავე საზოგადოებად“. ახლა, თითქოსდა, გვყავს განვითარებული პარტიები, რომლებმაც გამოსცადეს და შეამოწმეს თავიანთი თავი სამი სათათბიროსა და მოვლენებით უხვი 1906 — 1912 წლების გამოცდილებით, — ბურჟუაზიის ს ა მ ი პოლიტიკური პარტია: ოქტიაბრისტების, პროგრესისტებისა და კადეტებისა. შრომის განაწილება მათ შორის ი დ ე ა ლ უ რ ი ა: ოქტიაბრისტები პირდაპირ უცხადებენ ომს მემარცხენეებს და მტკიცე შავრაზმელური ფორმითაც, პროგრესისტები გუშინ ოქტიაბრისტებს უ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ო დ ნ ე ნ და დღესაც ამას-

ვე შვრებიან, თანაც ისე ჩანს, რომ კარგა ხანს განაგრძობენ ამ საპატიო საქმიანობას. ხოლო კადეტები აგრეთვე ხანგრძლივად „უთანხმდებიან“ ოქტიაბრისტების მეგობრებს, პროგრესისტებს, არწმუნებენ რა ხალხს თავიანთ, უკაცრავად პასუხია, დემოკრატიზმში.

თუ რვა წლის წინათ მუშათა მოძრაობამ გვერდი აუარა ოქტიაბრისტულ და კადეტურ, აშკარა და შენიღბულ, ღალატსა და მერყეობას, ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ მუშები მას შემდეგ ა რ გასულელებულან.

„ზა პრავდუ“ № 10, 1913 წლის
15 ოქტომბერი
ხელმოწერა: კ—პ ო ვ ი

იბეჭდება გაზეთ „ზა პრავდუს“
ტექსტის მიხედვით

„რუსი ინტელიგენციის იუბილეს“ შესახებ

მოსკოვის ლიბერალური გაზეთის ორმოცდაათი წლის იუბილემ უამრავი საქებარი სიტყვა ათქმევინა ყველა და ყოველგვარ რუს ლიბერალს. ეს ბუნებრივი, კანონიერი, თანამიმდევრულია. ლიბერალებმა დიახაც უნდა აღნიშნონ ლიბერალური გაზეთის იუბილე. „რუსკიე ვედომოსტი“[364] სხვა ლიბერალურ გაზეთებს როდი ჩამოუვარდებოდა, ზოგი რამით კი (მაგალითად, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მასალის სიუხვით) უთუოდ საშუალო ლიბერალურ დონეზე მაღლა იდგა.

მაგრამ როცა ლიბერალიზმის ლაქლაქა ბატონები კოვალევსკი, მილიუკოვი, მანუილოვი, ბუნინი და მათი მსგავსნი „რუსკიე ვედომოსტის“ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ს ა ხ ე ლ ი თ და ვითომდა დემოკრატიული თვალსაზრისით აქებენ, ეს აღმაშფოთებელი სიცრუე საკადრისი პასუხის გარეშე არ უნდა დარჩეს.

ბატონო სახელოვანო და სახელგანთქმულო ლიბერალებო! თქვენ ყველანი ირწმუნებით და ღმერთს ფიცულობთ, რომ პოლიტიკური თავისუფლების მომხრენი ხართ. მაგრამ თქვენ არ გინდათ გაიგოთ ერთი უბრალო რამ, სახელდობრ ის, რომ პოლიტიკური თავისუფლება არ დაუმსახურებია და ვერც ვერა-

სოდეს მოიპოვებს მას ისეთი ლიბერალური საზოგადოება, რომელიც საკადრის პასუხს არ აძლევს ლიბერალთა კონტრრევოლუციურ გამოსვლებს რუსეთში.

თქვენ „რუსკიე ვედომოსტის“ 50 წლის იუბილეს აღნიშნავთ? კეთილი და პატიოსანი. მაშ ნუღარ მალავთ ს ი მ ა რ თ ლ ე ს. ნუ გავიწყდებათ ის, რომ „რუსკიე ვედომოსტი“ ერთ-ერთი პირველი ლიბერალური გაზეთია, რომელიც სარმას უდებდა მასების პირველ სერიოზულ და ღრმა მოძრაობას რუსეთში, მოძრაობას პოლიტიკური თავისუფლების მიღწევისათვის.

ეს იყო ცხრაას ხუთი წლის ზ ა ფ ხ უ ლ ში. ლიბერალური მეცნიერებისა და ლიბერალური პუბლიცისტიკის ვარსკვლავმა, ბატონმა პროფესორმა ვინოგრადოვმა, ისტორიკოსმა, იმხანად „რუსკიე ვედომოსტიში“ გამოაქვეყნა ღირსშესანიშნავი, მარადსახსოვარი, დაუვიწყარი, „ისტორიული“ სტატია. მისი დედააზრი ასეთი იყო: კარგი იქნებოდა, მოძრაობას ჩვენში უფრო ღრმად რომ არ შეეტოპა, ვიდრე გერმანიაში 1848—1849 წლებში, თორემ პრუსიელ ვახტიორს მოუხდება ჩვენთან წესრიგი დაამყაროს.

აი რას ბეჭდავდა „რუსკიე ვედომოსტი“, ლიბერალების ორგანო, 1905 წლის ზაფხულში!!

დაე დაუფიქრდეს ყოველი რუსი მამულიშვილი, რომელიც დემოკრატობას ჩემულობს, ამ ისტორიულ ფაქტს. ისტორიამ დაგვიმტკიცა, და დაგვიმტკიცა საბოლოოდ, ცხრაას ხუთი წლის შ ე მ ო დ გ ო მ ი ს მოძრაობის სისუსტე, არასაკმაო ძალა, განთქმული ლიბერალი კი ცხრაას ხუთი წლის ზ ა ფ ხ უ ლ ში მოძრაობას მეტისმეტად ძლიერად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა მისთვის.

ეს ფაქტია. უდავო ფაქტია. ამ ლიბერალს და ყველა მის თანამზრახველს, ყველა მის — უკაცრავად პასუხია — პოლიტიკოსს ლიბერალთაგან მორალურად და პოლიტიკურად მ ი უ ძ ღ ვ ი თ ბ რ ა ლ ი ცხრაას ხუთი წლის შემოდგომაზე ებრაელთა დარბევებში. ვინაიდან დამრბევებს ძალასა და თავხედობას ჰმატებდა, სხვათა შორის, ლიბერალური საზოგადოების სწორედ ასეთი, „ვინოგრადოვული“, განწყობილება.

„ვინოგრადოველ“ ლიბერალებს ჰყავთ ის მთავრობა, რო-

მელსაც ისინი სავსებით იმსახურებენ. „ვინოგრადოვეული“ ლიბერალი, რომელიც „რუსკიე ვედომოსტში“ წერს სტატიებს, და პურიშკევიჩი, კოლექტიური პურიშკევიჩი, — ეს ერთი მედლის ორი მხარეა, ეს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული მოვლენებია.

რუსეთში ვერ იქნება პოლიტიკური თავისუფლება, ვიდრე აქ არ არის (ან რამდენადაც არ არის) მასობრივი დემოკრატია, რომელსაც ნათლად ესმის „რუსკიე ვედომოსტის“ „ვინოგრადოვული“ ლიბერალიზმის მთელი წინადაუხედაობა, უაზრობა და სისაძაგლე.

„ზა პრავდუ“ № 10, 1913 წლის 15 ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ „ზა პრავდუს“ ტექსტის მიხედვით

პროექტი მუშათა ორგანიზაციების რეზოლუციისა ლიკვიდატორების მიერ დამზღვევი მოღვაწე X-ისათვის[365] ცილისმწამებლური ბრალის დადების გამო

გამოვიძიეთ რა საქმე, რომლითაც ლიკვიდატორები თავიანთ „ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში“ ბრალსა სდებენ დამზღვევ მოღვაწე X-ს, ავიღეთ რა ყველა ცნობა ლიკვიდატორული გაზეთის რედაქციისა და „ზა პრავდუს“ რედაქციისაგან, რომელმაც 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა ხუთი მარქსისტული დაწესებულების კომისიის გადაწყვეტილება, ჩვენ, ამა და ამ კავშირის თუ საზოგადოების გამგეობას, ეს გადაწყვეტილება მიგვაჩნია სწორად, ხოლო ლიკვიდატორული კამპანია — ცილისმწამებლურად.

მოვუწოდებთ მუშებს თავიანთი ორგანიზაციის დარღვევისაგან დასაცავად ბოიკოტი გამოუცხადონ ცილისმწამებლებს, თუ ისინი საჯაროდ და მტკიცედ არ დაიბრუნებენ უკან თავიანთ ცილისწამებას.

დაწერილია 1913 წლის ოქტომბერში, არა უადრეს 19 რიცხვისა (1 ნოემბრისა)

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შეფასება რუსეთის მუშების მიერ

პეტერბურგის ორივე სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში, რომლებიც ლიკვიდატორთა და პარტიელთა შეხედულებებს გამოხატავენ, იბეჭდება მუშათა ჯგუფების განცხადებანი რუსეთის ყველა კუთხიდან. ამ განცხადებებში მუშები განსაზღვრავენ თავიანთ დამოკიდებულებას სათათბიროს 2 სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისადმი: 1) სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (7 დეპუტატი+იაგელო), 2) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია — 6 სოციალ-დემოკრატი მუშა დეპუტატი.

ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს ორივე გაზეთის მონაცემების მიხედვით ზუსტად შევაჯამოთ მუშების გადაწყვეტილებათა მთელი თვის შედეგები, ძვ. სტ. 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე.

მუშების ყველაზე ზუსტი განცხადებანი, რომლებიც არც ერთ მხარეს ერთხელაც არ გაუხდია სადავოდ, ესაა რეზოლუციები განსაზღვრული რიცხვის **ხელმოწერით**. საერთო შედეგი მთელ რუსეთში (არა მარტო კავკასიას, არამედ ბუნდსაც და ლატვიელებსაც ჰყავთ განსაკუთრებული წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში) გვაძლევს: **4850**-ს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სასარგებლოდ (6 დეპუტატი) და **2538**-ს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სასარგებლოდ (7 დეპუტატი + იაგელო).

პროფესიული კავშირები თავიანთ გამგეობათა სახით (კავშირების სახელწოდებანი რუსეთში არ იბეჭდება პოლიციური მოსაზრებებით)=6 დეპუტატის სასარგებლოდ 13 500-წევრიანი 9 კავშირი, 7 დეპუტატის სასარგებლოდ 1 კავშირი წევრთა უცნობი რიცხვით.

დაწერილია 1913 წლის 20 ნოემბერსა და 1 დეკემბერს (3 და 14 დეკემბერს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 24

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

კონსპექტი ადგილებზე წასაკითხი მოხსენებისა პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პორონინის თათბირის შესახებ (1913)[366]

ადგილებზე წასაკითხი მოხსენების კონსპექტი

12/XII.

საერთო თემა — საგაფიცვო მოძრაობისა და პარტიული ცხოვრების მოვლენები 1913 წლის ზაფხულიდან. თათბირის რეზოლუციები. კერძოდ, განსაკუთრებით ესმება ხაზი შემდეგ პუნქტებს:

1. საყოველთაო გაფიცვა 1914 წლის 9 იანვრისათვის. თათბირის გადაწყვეტილება. გაფიცვის აუცილებლობა. მისი ლოზუნგები (დემოკრატიული რესპუბლიკა, 8-საათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია). გაფიცვის გაძლიერებული მომზადება.

2. სადაზღვევო კამპანია. ჟურნალ „ვოპროსი სტრახოვანიას“[367] გაძლიერებული გავრცელება. — პარტიული უჯრედების შექმნა ყველა სალაროსა და ყველა გამგეობაში. ჩვენი, პარტიული, უმრავლესობის გაყვანა გამგეობაში (ასევე პროფესიულ კავშირებში, კლუბებში etc. etc.).

3. 6-ეული და 7-ეული. გათიშვის მთავარი საფუძვლები: (ა) ლიკვიდატორობა=პარტიის რღვევას. ამის გამო ბრძოლა. 7-ეული ლიკვიდატორობისაკენ იხრება; (ბ) 7-ეული არ ცნობს პარტიის გადაწყვეტილებებს; (გ) დამტკიცებულია, რომ 6-ეულს მხარს უჭერს პარტიის უმრავლესობა. ძირითადი ციფრები „პრავდიდან“. თან უნდა გვქონდეს ნომრები მასალებით გათიშვის საკითხზე (საჭიროა **გაძლიერებით** გრძელდებოდეს რეზოლუციები 6-ეულის სასარგებლოდ).

4. პარტიული ყრილობა. მისი აუცილებლობა. ყრილობაში ყველა არალეგალური პარტიული უჯრედის მონაწილეობა. ყრილობის მომზადება: მთავარია **ფული**. შეგროვდეს ყრილობის ფონდი (უმთავრესად დეპუტატთა მეშვეობით). ამოცანა — გაზაფხულისათვის თითოეულმა ჯგუფმა ან ჯგუფების კავშირმა შეაგროვოს ხარჯების ორმაგი თანხა

(ერთი დელეგატის ხარჯია 150 მანეთი. ჯგუფმა ან მახლობელი ჯგუფების კავშირმა უნდა შეაგროვოს 300 მანეთი).

5. კავშირურთიერთობათა განვითარების, მათი განმტკიცების აუცილებლობა (შევასწავლოთ მიმოწერა სანკტ-პეტერბურგისა და საზღვარგარეთულ ბიუროსთან). მიმოწერა მოიკოჭლებს: ა მ ი ს გ ა მ ო ცუდია ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. ნდობით აღჭურვილი პირნი ყველგან უნდა იყვნენ.

6. თათბირის რეზოლუციებიდან უმთავრესის მიმოხილვა. მაგალითად, ეროვნულ საკითხში: (ა) ბრძოლა ყოველგვარ ნაციონალიზმთან, თვით დახვეწილთანაც კი (კულტურულ-ეროვნული ავტონომია); (ბ) ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშების ერთიანობა; (გ) ბრძოლა ვ ე ლ ი კ ო რ უ ს უ ლ შავრაზმულ ნაციონალიზმთან. (ასევე მოკლედ დანარჩენ რეზოლუციებზე.)

7. არალეგალური და ლეგალური პრესა. გაძლიერდეს შეგროვება. ლეგალური გარდაუვალად დ ა ი ღ უ პ ე ბ ა: მთელი ძალები — არალეგალურის შესაქმნელად (იხ. „ცნობა", გვ. 9—10 განსაკუთრებით).

დაწერილია 1913 წლის 29 ნოემბერს
(12 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს წიგნში „„ზვეზდისა" და „პრავდის" ეპოქიდან (1911—1914 წლები)", ნაკვ. III.

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას ხელით დაწერილი პირის მიხედვით

ბიუროს უახლოესი ნაბიჯების საკითხისათვის

საზღვარგარეთ მთელმა რიგმა ჯგუფებმა, პატარა და პაწაწკინტელა ჯგუფებმა ერთი ალიაქოთი ატეხეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მომავალი, 1 (14) დეკემბრის, სხდომის გამო[388]. შესაძლოა გაზეთის მეორე ნომრისათვის უკვე მოვიდეს ზოგიერთი ცნობა, ტელეგრაფით, ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ. ამიტომ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაგაცნოთ საქმის ვითარება, რათა არ იყოს მითქმა-მოთქმა და ამთავითვე სწორი გეზი ავიღოთ.

პატარა და პაწაწკინტელა ჯგუფები საზღვარგარეთ, რომ-

ლებსაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ რუსეთში (როზა ლუქსემბურგისა და „ტიშკელთა“ ან შარლ რაპოპორტის მსგავსად, ამას წინათ ასევე რომ გამოვიდა ერთ ფრანგულ გაზეთში, ან ალექსინსკისა და პარიზის ჯგუფ „ვპერიოდის“ მსგავსად და ა. შ. და მისთ.)—ყველა ეს პაწაწკინტელა ჯგუფი წელებზე ფეხს იდგამს, რათა ბიურომ ხმა მისცესო „ერთიანობას“.

რა თქმა უნდა, ჩვენც ერთიანობას ვუჭერთ მხარს!! პაწაწკინტელა ჯგუფების ჩირთიფირთობა უბადრუკი მანევრია ლიკვიდატორთა დასაცავად. ეს მანევრი მათ არ გამოუვათ: იხმაურებენ და მორჩა.

როგორი იქნება ბიუროს გადაწყვეტილება? რასაკვირველია, ამის გამოცნობა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ ერთი უ ა ღ რ ე ს ა დ გ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ ი წევრისაგან (ან წევრთა ჯგუფისაგანაც კი) შევიტყვეთ, რომ ნავარაუდევია პლეხანოვის **ნაცვლად** გაუშვან ლიკვიდატორთა საორგანიზაციო კომიტეტი, ხოლო სათათბიროს ფრაქციისაგან გაუშვან **მხოლოდ** შვიდეული ან, უფრო სწორად, რვანი **ფორმალური მიზეზებით**. ეს ფორმალური მიზეზები ასეთია: ყოველი ქვეყნის საპარლამენტო ჯგუფები გამოხატავენ **არა** პარტიას, არამედ მ ხ ო ლ ო დ ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ ს; 8 ესერი და 7 სოციალ-დემოკრატი რომ იყოს — მაინც მ ხ ო ლ ო დ 8 ესერს გზავნიან. რახან ასეა (ეს შემოწმდება), რასაკვირველია, **ჯერჯერობით** არა გაეწყობა რა. დაე გამოაგდონ ლიკვიდატორებმა პლეხანოვი — ვნახოთ, რა ხ ე ი რ ს ნ ა ხ ა ვ ე ნ ა მ ი თ!!! დარწმუნებული ვარ, რომ ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ს.

ამიტომ დაბეჯითებით გირჩევთ, ნუ ინერვიულებთ და ნუ იღელვებთ ნურც იმ ჭორების გამო, ლიკვიდატორები რომ ავრცელებენ, და ნურც ბიუროს შესაძლო გადაწყვეტილებათა გამო. ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ კორესპონდენციები რ უ ს ე თ ი ს საქმეებზე ლონდონიდან ჩ ვ ე ნ ი მ ე შ ვ ე ო ბ ი თ იწერებოდეს (არარუსეთის საქმეებზე — პირდაპირ თქვენ) — **მშვიდად** დაელოდეთ მათ და ნახავთ, რომ გამგზავრება საჭირო არ ყოფილა, რომ „წყალწაღებულნი“ (ლიკვიდატორები) თავს ვერ უშველიან ვერც ხმაურით და ვერც „ბიუროთი“.

პლეხანოვი, პრივატული ცნობების თანახმად, არ მიემგზავრება.

ამის დაბეჭდვა ჯერ არ არის საჭირო. ვიმეორებ: მშვიდად დაელოდეთ თქვენი კორესპონდენტის კორესპონდენციებს.

დაწერილია 1913 წლის დეკემბერში,
არა უგვიანეს 1 (14) რიცხვისა

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 24

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სახალხო მასწავლებელთა სიღატაკე[369]

სრულიად რუსეთის ყრილობისათვის, რომელიც დეკემბერში უნდა გაიმართოს სახალხო განათლების საკითხებზე, კარგი იქნება ყურადღება მივაპყროთ ძველ, მაგრამ მუდამ ახალ საკითხს სახალხო მასწავლებელთა სიღატაკის შესახებ.

ჩვენ ხელთა გვაქვს „იმპერიის დაწყებითი სკოლების ერთდღიანი აღწერის“ პირველი ტომი, რომელიც სახალხო — მოგვიტევეთ — განათლების სამინისტრომ გამოსცა. ტომს ხელს აწერს ცნობილი სტატისტიკოსი — ბატონი ვ. ი. პოკროვსკი.

ამ ჩინოვნიკური ნაშრომის კაზიონური ხასიათი (სიტყვების: კაზიონური და ჩინოვნიკური — ყველაზე ცუდი მნიშვნელობით) მაშინვე გეცემათ თვალში. აღწერა მოხდა 1911 წლის 18 იანვარს. მთელი ორი წელი გავიდა და გამოიცა მხოლოდ პირველი ტომი მარტოოდენ პეტერბურგის სასწავლო ოლქის გუბერნიათა შესახებ! აუტანელი, თავის მომაბეზრებელი გაჭიანურების გარეშე, ჩვენში, როგორც ჩანს, შეუძლიათ მხოლოდ ისეთი კანონების გატარება, როგორიცაა კანონი **ბეჭდვითი** სიტყვის წინააღმდეგ.

აღწერის პროგრამა, ჩვეულებისამებრ, მრავალჯერ განიხილეს მთელი 1910 წლის განმავლობაში ბევრი მოხელის კაბინეტებში და თათბირებზე და როგორც ერთნი, ისე მეორენი მხოლოდ აფუჭებდნენ მას. ამის შედეგია, მაგალითად, რომ

მოსწავლეთა დედაენის საკითხში არის მხოლოდ ზოგადი გრაფა „რუსული“ ენის შესახებ: დაყოფა ბელორუსულ, მალოროსიულ (უკრაინულ) და ველიკორუსულ ენებად აშკარად აკრძალულია. ამის შედეგად იმპერიის სკოლების აღწერაში არ შესულა ბევრი სკოლა, მაგალითად, 1872 წლის დებულების საფუძველზე შექმნილი საქალაქო სასწავლებლები, 1-ლი და მე-2 თანრიგის კერძო სასწავლებლები და სხვ.

აკრძალულია სრული მონაცემების შეგროვება. აკრძალულია იცოდე სიმართლე იმ ენის შესახებ, რომელზეც ოჯახში ლაპარაკობენ მოსწავლეები. აკრძალულია სახაზინო და კერძო სკოლების შედარება.

სტატისტიკის შემდგენელმა, ლიბერალთა მიერ ნაქებმა ბატონმა პოკროვსკიმ, თავის მხრივ ხელი შეუწყო აღწერის მასალის გაუარესებას. თითოეულ მასწავლებელზე, მაგალითად, ცალ-ცალკე შეაგროვეს მასალა, რომელიც ჯამაგირის ოდენობას ეხება. ბუნებრივია, რომ ისეთ მწვავე საკითხზე, როგორიცაა სახალხო მასწავლებელთა სიღატაკე, დიდად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სიმართლე. დიდად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სახელდობრ რამდენი მასწავლებელი იღებს საშინლად მცირე, ყველაზე მცირე, ძალიან მცირე, საერთოდ მცირე და ა. შ. ხელფასს.

მასალა ამის შესახებ შეგროვებულია. ცნობები ამის თაობაზე გვაქვს. მაგრამ ბატონი ლიბერალი სტატისტიკოსი ისე „ამუშავებს“ მას, რომ მიჩქმალოს უსიამოვნო სიმართლე.

ბატონი სტატისტიკოსი გვაცნობს გუბერნიებსა და სხვადასხვა თანრიგის სკოლებში მასწავლებელთა ჯამაგირის მხოლოდ საშუალო ოდენობას. კაზიონური დაყოფა წმიდათაწმიდად დაცულია. მაგრამ ვისაც სურს სიმართლე იცოდეს, აინტერესებს არა ის, თუ რომელ გუბერნიასა და რა თანრიგის სკოლებში შიმშილობენ მასწავლებლები, არამედ ის, თუ რამდენი მასწავლებელი შიმშილობს და ცხოვრობს გაჭირვებულად. თუ რამდენი მასწავლებელი იღებს ღატაკურ ხელფასს (ვთქვათ, 360 მანეთზე ნაკლებს, 360-დან 400 მანეთამდე და

სხვ.), ამის განსაზღვრა აღწერის შედეგად შეგროვებული მასალით სავსებით შესაძლებელი იყო და ეს უთუოდ უნდა გაკეთებულიყო. მაგრამ ეს არ გაკეთებულა. ეს დაფარული დარჩა ასიათასობით ბარათის არქივში.

ხალხს გააცნეს მხოლოდ სხვადასხვა თანრიგის სკოლებსა და გუბერნიებში ჯამაგირის საშუალო ოდენობის კაზიონურად არსგამოცლილი და კაზიონურად შელამაზებული ციფრები... რაღა თქმა უნდა, ლიბერალ სტატისტიკოსებს სურდათ დაემალათ ხალხისათვის, თუ მშიერი მასწავლებლების რა ნაწილს ჰყავს ოჯახი.

„საშუალო“ ციფრებიდან ჩანს, რომ მასწავლებელი ქალის ხელფასი (სანკტ-პეტერბურგის ოლქში) 433 მანეთია წელიწადში, მასწავლებელი მამაკაცისა — 376 მანეთი. მაგრამ მასწავლებელთა უმრავლესობა სოფლებშია. აქ მასწავლებელ ქალს „საშუალოდ“ უხდიან 347 მანეთს და მასწავლებელ მამაკაცს — 367 მანეთს. (უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ მასწავლებელ ქალთა რიცხვი ორჯერ აღემატება მასწავლებელ მამაკაცთა რიცხვს.)

სანკტ-პეტერბურგის ოლქის მასწავლებელთა უმრავლესობა პეტერბურგის გუბერნიის გარეთაა. მასწავლებელ ქალთა ჯამაგირის ოდენობა შეადგენს: ოლონეცის გუბერნიაში — 375 მანეთს, ნოვგოროდის გუბერნიაში — 358 მანეთს, ვოლოგდის გუბერნიაში—320 მანეთს, არხანგელსკის გუბერნიაში — 319 მანეთს, ფსკოვის გუბერნიაში — 312 მანეთს.

სინამდვილის შემლამაზებელი ამ ციფრებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ მასწავლებელ ქალთა უმრავლესობა ღატაკურ ხელფასს იღებს. ახლანდელი სიძვირის პირობებში *26—30* მანეთი თვეში მასწავლებელი ქალებისათვის, რომელთაგან (თანაც საშუალოდ) 11,5 პროცენტი ქმრიანია და 4,4 პროცენტი — ქვრივი, — ეს ხელფასი უთუოდ ღატაკურია და შიმშილსა და უბედურებას უქადის მასწავლებლებს.

„თანრიგობრივი“ მონაცემებიდან ჩანს, რომ საეკლესიო-სამრევლო ერთკლასიან სკოლებში ყოფილა 2180 მასწავლებელი ქალი (სანკტ-პეტერბურგის სასწავლო ოლქში, სადაც მასწავლებელ ქალთა მთელი რიცხვი არის 7693). მაშასადამე,

ჩვენ წინაშეა „თანრიგი“ მასწავლებელთა ფრიად მნიშვნელოვანი რიცხვით. რამდენს იღებენ ამ თანრიგის მასწავლებელი ქალები?

საშუალოდ 302 მანეთს ქალაქში და 301 მანეთს სოფლად.

რუსეთის სახელმწიფო ასობით მილიონს ახმარს მოხელეების შენახვას, პოლიციას, სამხედრო ხარჯებს და სხვ., სახალხო სკოლების მასწავლებლები კი განწირული არიან შიმშილისათვის. ბურჟუაზია „თანაუგრძნობს“ სახალხო განათლებას,— მაგრამ იმ პირობით, რომ მასწავლებლები ცხოვრობდნენ უარესად, ვიდრე მსახურნი დიდკაცთა და მდიდართა სახლებში...

„ზა პრავდუ“ № 51, 1913 წლის 4 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ „ზა პრავდუს“ ტექსტის მიხედვით

რუსი მუშები და ინტერნაციონალი

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში ამხანაგი მუშები დაწვრილებით გაეცნობიან საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ლონდონის ამასწინანდელ სხდომას, აგრეთვე მის რეზოლუციას, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ძალების ერთიანობას ეხება.

ეს რეზოლუცია მთელი რუსეთის შეგნებულმა მუშებმა დიდი ყურადღებით უნდა განიხილონ.

შეგნებული მუშა თავს გრძნობს, მას თავი მიაჩნია არა მარტო რუსული მარქსისტული ოჯახის წევრად, არამედ ისიც ესმის, რომ არის აგრეთვე მარქსისტთა საერთაშორისო ოჯახის წევრი. მას მოვალეობანი აკისრია მუშათა ინტერნაციონალის მიმართაც. იგი ანგარიშს უნდა უწევდეს ამ უკანასკნელის აზრსა და სურვილებს. იგი არც ერთი წუთით არ უნდა მოსწყდეს მუშათა საერთაშორისო არმიას.

რუს მუშა-მარქსისტებს არ შეუძლიათ არ მიესალმონ იმ ფაქტს, რომ მუშათა ინტერნაციონალი მისწრაფებას იჩენს სერიოზულად გაეცნოს პრინციპულ დავას, რომელიც ესოდენ თვალ-

საჩინო როლს ასრულებს ჩვენს მოძრაობაში, რუსეთის მუშათა მოძრაობაში. რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წყეული პირობების გამო ჩვენი ამხანაგები გაცილებით ნაკლებად იცნობენ ჩვენს მოძრაობას, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის მოძრაობას. რუსეთის ნამდვილი საქმის ვითარების არცოდნა იქამდე მიდის, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები გვთავაზობდნენ მოგვეწვია რუს სოციალ-დემოკრატთა ყველა საზღვარგარეთული წრე (12 საზღვარგარეთული „მიმდინარეობა“) პარტიის ახალი პროგრამის შესამუშავებლად*. მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ ასეთი პროგრამა რუსეთის პროლეტარიატმა ჯერ კიდევ 1903 წელს შეიმუშავა...

ეს დრო, საბედნიეროდ, უკვე წარსულს ბარდება. თავისი დიადი გმირული ბრძოლით რუსეთის პროლეტარიატმა მთელი ცივილიზებული სამყარო აალაპარაკა. რუსეთის მუშათა კლასმა სამართლიანად დაიკავა თავისი ადგილი მუშათა ინტერნაციონალში, და შეგვიძლია გულდაჯერებით ვთქვათ, რომ იგი წლითიწლობით სულ უფრო მნიშვნელოვან და დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე.

საერთაშორისო ბიუროს გადაწყვეტილება პირველად აძლევს შესაძლებლობას რუს მუშებს საფუძვლიანად გააცნონ ჩვენს დასავლეთევროპელ ამხანაგებს ჩვენი დავის არსი. ბიურომ ასე დასვა საკითხი: 1) იგი თავის ამხანაგურ სამსახურს სთავაზობს ერთიანობის მისაღწევად, 2) მას საჭიროდ მიაჩნია ნამდვილ უთანხმოებათა გამორკვევა, 3) ამისათვის იგი ავალებს თავის აღმასრულებელ კომიტეტს დაამყაროს ურთიერთობა და მოაწყოს აზრთა გაზიარება ყველა სოციალ-დემოკრატთან, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას ცნობენ, აგრეთვე იმათთან, ვისი პროგრამაც სოციალ-დემოკრატიულს უახლოვდება.

ყოველივე ეს სავსებით მისაღებია რუსი მარქსისტებისათვის. უთანხმოებათა გამორკვევა მართლაც უაღრესად სასურველია. და თანაც არა მარტო მარქსისტებსა და ლიკ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 295 - 300. რედ.

ვიდატორებს შორის, არამედ მარქსისტებსა და ნაროდნიკებს, სიონისტ-სოციალისტებს შორისაც (რომლებიც ჩვენი თვალსაზრისით ბუნდზე ან პოლონეთის სოციალისტურ პარტიაზე ბევრად უარესნი არ არიან) და სხვ. თუ საერთაშორისო ბიურო შეძლებს მოგვცეს აქ ნათელი და ზუსტი ფორმულირებანი, დაადგინოს პოლიტიკურ უთანხმოებათა ნამდვილი საფუძვლები, ეს მნიშვნელოვანი წარმატება იქნება.

მაგრამ უთანხმოებათა გამორკვევა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათს აღმოფხვრას. უთანხმოებათა საფუძველია სრულიად განსხვავებული შეხედულებანი რუსეთის თანამედროვე ეპოქაზე. ეს არის ორი ტაქტიკა, პოლიტიკის ორი სისტემა: პროლეტარული და ლიბერალური. ეს განსხვავება არაფრით არ აღმოიფხვრება.

მაგრამ აქაც მეტად სასურველია ზუსტად და ნათლად გამოვარკვიოთ, თუ რა პირობებს აყენებს თითოეული მხარე გაერთიანებისათვის.

მუშა-მარქსისტების წინაშე დგება დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: მათ გულდასმით უნდა განიხილონ საერთაშორისო ბიუროს წინადადება და მოეკიდონ მას მთელი ყურადღებით, დასახონ ერთიანობის თავიანთი პირობები.

ეს პირობები ნათელია. ისინი გამომდინარეობენ მუშათა მოძრაობის მთელი მსვლელობიდან. ლიკვიდატორებმა საქმით უნდა ცნონ მარქსისტული მთელი, აღიარონ, რომ მასებში აგიტაციის მთავარი ლოზუნგებია სამი ძველი ძირითადი მოთხოვნა; მათ უკან უნდა წაიღონ პროგრამის ცვლილებანი (კულტურულ-ეროვნული ავტონომია); უარი თქვან „საგაფიცვო ანარქიის“ გამო ყვირილზე; დაგმონ ბუნდელთა სეპარატისტული მისწრაფებანი და მოითხოვონ გაერთიანება ადგილებზე; დაგმონ ღვარძლიანი პირადი თავდასხმები, რომლებიც წამლავენ იდეურ ბრძოლას და სხვ. სათათბიროში მუშაობის დარგში შვიდეულმა უთუოდ უნდა ცნოს მარქსისტული მთელისადმი დაქვემდებარება და უარყოს თავისი ანტიპარტიული გადაწყვეტილებანი (იაგელო, პროგრამის გაუქმება და სხვ.). ამხ. პლეხანოვიც კი, რომელიც ბევრ რამეში არ გვეთანხმება, საერთაშორისო ბიუროსათვის გაგზავნილ წერილში წერს, რომ „სათათბი-

როს ჩვენი ფრაქცია გაიყო ზოგიერთი იმ დასანანი გადაწყვეტილების შედეგად, ჩვენმა ამხანაგმა ლიკვიდატორებმა რომ მიიღეს, ლიკვიდატორებმა, რომლებიც უმრავლესობა აღმოჩნდნენ — "შვიდი ექვსის წინააღმდეგ".

ჯერ ისევ გაურკვეველია საკითხი, თუ სახელდობრ ვისთან უნდა დაამყაროს საერთაშორისო ბიურომ ურთიერთობა, რომ ეს სასარგებლო იყოს აზრთა საერთო გაზიარების მოსაწყობად. ცხადია, რომ აქ შესაძლებელია ორი გზა: ან უნდა მოიწვიონ ორი ძირითადი მიმართულების წარმომადგენლები: მარქსისტები და ლიკვიდატორები, ან — "ყველა სოციალ-დემოკრატი" და ყველა ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ახლოს დგას სოციალ-დემოკრატებთან, მაშინ—დეპუტატ იაგელოს პარტიაც (პოლონეთის სოციალისტური პარტია), ებრაელთა სხვადასხვა სოციალისტური ჯგუფებიც, ის ნაროდნიკებიც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ახლოს დგანან სოციალ-დემოკრატიულ პროგრამასთან.

საერთაშორისო ბიუროს მიერ დასმულმა საკითხმა უნდა დააინტერესოს თითოეული შეგნებული მუშა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშას დასვან ეს საკითხი თავიანთ კრებებზე, წრეებში, საუბრებზე, მიტინგებზე და სხვ., განიხილონ იგი, გამოიტანონ თავიანთი რეზოლუციები და დაბეჭდონ თავისი აზრი ჩვენს გაზეთში.

არ უნდა გვეგონოს, თითქოს ეს იყოს შორეული საქმე, რომელიც ჩვენ არ გვეხება. თუ საერთაშორისო ყრილობაზე ვენაში[370] ეს საკითხი დაისმება (რისიც მარქსისტები ფრიად მოხარული იქნებიან), საჭიროა ინტერნაციონალმა იცოდეს არა მარტო მოწყვეტილი საზღვარგარეთული წრეების, არამედ აგრეთვე რუსი მუშების, რუსეთში მოქმედი პროლეტარული ორგანიზაციების აზრი.

ამხანაგებო! იმსჯელეთ დასმულ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, გამოიტანეთ თქვენი გადაწყვეტილებანი და აცნობეთ თქვენს გაზეთს "პროლეტარსკაია პრავდას". თქვენს ხმას ყურად იღებენ ყველა ქვეყნის შეგნებული მუშები.

"პროლეტარსკაია პრავდა" № 2,
1913 წლის 8 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
"პროლეტარსკაია პრავდის"
ტექსტის მიხედვით

როგორ ატყუებენ მუშებს ლიკვიდატორები

საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ გადაწყვიტა გადადგას ნაბიჯები რუს სოციალისტთა შორის არსებულ უთანხმოებათა გამოსარკვევად და თავისი კეთილი სამსახური შესთავაზოს მათი ძალების გასაერთიანებლად.

რა უყვეს ამ გადაწყვეტილებას ლიკვიდატორებმა?

მათ ამით დაუყოვნებლივ ისარგებლეს იმისათვის, რომ მ ო ე ტ ყ უ ე ბ ი ნ ა თ რუსი მუშები.

97-ე ნომერში „ნოვაია რაბოჩაია გაზეტა“[371] საზეიმო სარედაქციო სტატიაში წერს:

„უარყო რა „ექვსეულის“ მოთხოვნა საპარლამენტოშორისო სექციაში განსაკუთრებული წარმომადგენლობის მინიჭების შესახებ, საერთაშორისო ბიურომ არა მარტო არაორჭოფულად დაგმო მისი ჩამოშორება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან, არამედ ჯეროვნადაც შეაფასა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომლის უარყოფითაც ცდილობდა 6 დეპუტატი აეხსნათ და გაემართლებინათ თავიანთი წასვლა“.

ყოველივე ეს, თავიდან ბოლომდე, მ ც დ ა რ ი ა.

ჩვენ აღვნიშნეთ ეს ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში[372].

დანაშაულზე წასწრებული ლიკვიდატორები ცდილობენ შემდგომი სიცრუით შეცდომაში შეიყვანონ მუშები.

ვიმეორებთ, საერთაშორისო ბიუროს არ უარუყვია ექვსეულის მოთხოვნა. ბიუროს არ დაუგმია მისი „ჩამოშორება“. მას არც კი უმსჯელია 6 და 7 დეპუტატს შორის დავის გამო.

ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიკვიდატორული ხერხია.

ასეთსავე სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ხერხს მიმართეს ბატონმა ლიკვიდატორებმა შარშანაც საერთაშორისო ბიუროს სხდომის შემდეგ, როცა ბატონმა მარტოვმა გერმანელ სოციალ-დემოკრატს ჰააზეს გადააბრალა ბოლშევიკების საწინააღმდეგო სიტყვები, რომლებიც მას არასდროს არ უთქვამს, და მერე მხილებულ იქნა ჰააზეს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ბიუროში დეპუტატთა წარმომადგენლობის საკითხი ასე იდგა. მარქსისტთა წარმომადგენელმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ შვიდეულის დელეგატი მარტო შვიდეულმა აირჩია და რომ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია არ ცნობს მას თავის დელეგატად. საერთაშორისო ბიუროს მდივანმა ამჰ. ჰიუისმანსმა შემდეგი განგვიმარტა. საპარლამენტთაშორისო სექციის თაობაზე არსებობს საგანგებო წესდება. ამ წესდების თანახმად, როცა ამა თუ იმ პარლამენტში არის რამდენიმე ცალკე სოციალისტური ფრაქცია, წარმომადგენლობა ენიჭება მხოლოდ იმ ფრაქციას, რომელსაც მეტი დეპუტატი ჰყავს; ამასთან წესდება ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის ესა თუ ის საპარლამენტო ფრაქცია და რამდენი მუშა უჭერს მხარს. ეს იმიტომ, რომ პარტიებს ჰყავთ თავიანთი განსაკუთრებული წარმომადგენლობა.

ამ წესდების თანახმად, სათათბიროში რომ იყოს 2 ფრაქცია, ვთქვათ 6 სოციალ-დემოკრატი და 7 ნაროდნიკი, საპარლამენტთაშორისო წარმომადგენლობაში ხმას მისცემდნენ მ ხ ო ლ ო დ ნაროდნიკებს.

ან აი კიდევ ბულგარეთის მაგალითი: იქ პარლამენტში არჩეულია 19 „შიროკელი“ სოციალისტი (ოპორტუნისტები) და 18 მარქსისტი. ერთნიცა და მეორენიც შეადგენენ ცალკე პარტიებს და აქვთ ორი ცალკე ფრაქცია პარლამენტში. ბიუროშიც ორივე პარტიას ჰყავს ცალკე წარმომადგენლები. მაგრამ, წ ე სდ ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ, საპარლამენტო წარმომადგენლობის მიღება შეუძლია მხოლოდ 19-ის „შიროკელთა“ ფრაქციას. და ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბიურომ „დაგმო“ 18 დეპუტატი-მარქსისტი.

ასე იყო საქმე ფორმალურად. შეგიძლიათ თქვენი შეხედულება იქონიოთ ამ წესდებაზე. მაგრამ ამ მომენტში იგი ასეთია. ასეთ პირობებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის მოთხოვნის წამოყენებაც კი არ შეიძლებოდა.

როგორ უნდა მოქცეულიყო შვიდეული, თუ სურდა პატიოსნად ემოქმედა? მას თვითონ უნდა ეთქვა უარი ფორმალობაზე. ახლა დამტკიცებულია და ყველა აღიარებს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციას მხარს უჭერს რამდენჯერმე მეტი ორგანიზებული სოციალ-დემოკრატი მუშა, ვიდრე შვიდეულს. დასკვნა ნათელია. ვისაც სურს ანგარიში გა-

უწიოს მუშათა ხმებს, ვინც ასე ბევრს ლაპარაკობს ერთიანობაზე, იგი აქ მარტო ფორმალურ თვალსაზრისზე ვერ დადგება.

მაგრამ შვიდეულმა ისარგებლა თავისი წესდებისეული „იღბლით“. მან კვლავ აბუჩად აიგდო რუსი მუშები. ეს კიდევ ცოტაა. ბატონმა ლიკვიდატორებმა განაგრძეს ცრუობა, თითქოს ინტერნაციონალს „დაეგმოს“ ექვსეული და სხვ.

ასეთი იყო ბატონ ლიკვიდატორთა პირველი პასუხი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციაზე.

მარქსისტი მუშები იმით გასცემენ პასუხს ლიკვიდატორთა ასეთ ოინბაზობას, რომ სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ამ ვაჟბატონებს.

ამხანაგებო, კვლავაც სერიოზულად და ყურადღებით განიხილეთ ბიუროს გადაწყვეტილება, გამოთქვით თქვენი აზრი მის შესახებ და საკადრისი პასუხი გაეცით ლიკვიდატორებს, რომლებიც რუსი მუშების მოტყუებას ცდილობენ.

„პროლეტარსკაია პრავდა“ № 3,
1913 წლის 10 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
„პროლეტარსკაია პრავდის“
ტექსტის მიხედვით

რეზოლუცია სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მუშათა ინტერნაციონალის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ საჭიროა მთლიანად და ბოლომდე გამოირკვეს რუსეთის იმ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის არსებული არსებითი და ძირეული უთანხმოებანი, რომლებიც მუშათა მოძრაობაში მონაწილეობენ.

ინტერნაციონალის წინადადების შესაბამისად, საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენი მხრივ, აღვნიშნოთ ის ძირითადი უთანხმოებანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, მარქსისტებსა და ლიკვიდატორებს ორ შეურიგებელ ბანაკად ყოფენ.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვაცხადებთ, რომ ყოველი შეგნებული მუშისათვის საქმე ეხება არა რაღაც ახალი მთელის შექმნას, არამედ მხოლოდ იმას, რომ განმტკიცდეს და სავსებით

აღდგეს ძველი ორგანიზაცია, რა სახითაც ჩამოყალიბდა იგი 15 წელზე მეტი ხნის წინათ — თავისი ძველი პროგრამითა და უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური გადაწყვეტილებებით. ამ მარქსისტულ ორგანიზაციას გამოეყვნენ ლიკვიდატორები. ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს გ ა რ ე შ ე მუშაობის დარგში მათთან ერთიანობის აღსადგენად აუცილებელი პირობებია:

1) სავსებით და უშენიშვნოდ ვცნოთ (საქმით) „იატაკქვეშეთი“, უთუოდ დავემორჩილოთ მისი უჯრედების გადაწყვეტილებებს და ვიკისროთ ვალდებულება, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ პრესის ფურცლებზე რაიმე თავდასხმებს მის წინააღმდეგ.

2) სავსებით და უშენიშვნოდ ვცნოთ ის, რომ ეპოქის მთავარი ამოცანაა სამი ძირითადი მოთხოვნა, რომლებიც რუსეთის მუშათა კლასმა წამოაყენა, განვახორციელოთ მუშაობა ამ სულისკვეთებით და ხელი ავიღოთ ლიბერალურ-რეფორმისტულ ქადაგებაზე, რომელიც ძველი ამოცანების უარყოფისათვის მოგვიწოდებს.

3) უარვყოთ მარქსისტთა პროგრამის შეცვლის ყოველგვარი ცდა (კულტურულ-ეროვნული ავტონომია) და უთუოდ ვცნოთ 1903 წელს შემუშავებული პროგრამა.

4) საგაფიცვო მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხებში სავსებით დავემორჩილოთ მარქსისტულად ორგანიზებულ მუშათა გადაწყვეტილებებს და ხელი ავიღოთ ეგრეთ წოდებული „საგაფიცვო აზარტის“ წინააღმდეგ ბრძოლაზე.

5) საქმით ვცნოთ პროლეტარიატის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ტაქტიკა და ხელი ავიღოთ მუშათა კლასის ამოცანების დაკნინებაზე ლიბერალებთან ბლოკების გულისათვის.

6) ვცნოთ, რომ პროფესიულ კავშირებში მუშაობის საკითხში უნდა ვხელმძღვანელობდეთ შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისა და რუსეთის მარქსისტთა ლონდონის კონგრესის გადაწყვეტილებებით.

7) უარვყოთ ეროვნული პრინციპით მუშათა ორგანიზაციების მშენებლობის პრინციპი. შევქმნათ ე რ თ ი ა ნ ი ორგანიზაციები პოლონეთსა და ჩრდილო-დასავლეთ მხარეში.

ბუნდმა, როგორც მთელმა, შეასრულოს გადაწყვეტილება ადგილებზე გაერთიანების შესახებ, რომელიც არაერთხელ გაუმეორებიათ რუსეთის მარქსისტებს.

სათათბიროში მუშაობის დარგში ერთიანობის პირობებია:

I. ვცნოთ ფრაქცია ორგანოდ, რომელიც უთუოდ ექვემდებარება მარქსისტული მთელის ორგანიზებულ ნებას.

II. უარვყოთ პროგრამის ყველა დარღვევა (კულტურულ-ეროვნული ავტონომია, იაგელოს მიღება და სხვ.).

III. დავგმოთ შვიდეულის გამთიშველი მოქმედება, რომელიც დაგმო აგრეთვე გ. ვ. პლეხანოვმა წერილში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი.

რაც შეეხება იმ ფრაქციებს, რომლებთანაც ურთიერთობის დამყარება სასარგებლო იქნებოდა საერთაშორისო ბიუროსათვის აზრთა საერთო გაზიარების მოსაწყობად, ჩვენ უწინარეს ყოვლისა მოვითხოვთ, რომ ამ გაზიარებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ და მარტოდენ რუსეთში არსებული მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო არავითარ შემთხვევაში — საზღვარგარეთული წრეები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რუსეთში მუშაობასთან.

და შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ: 1) ან უნდა მოვიწვიოთ მხოლოდ იმ ორი ძირითადი მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც რუსეთში იბრძვიან, ე. ი. მარქსისტები და ლიკვიდატორები, 2) ან, თუ გვინდა გამოვარკვიოთ საერთოდ ყველა უთანხმოება რუსეთის სოციალ-დემოკრატებსა და იმათ შორის, ვინც სოციალ-დემოკრატად თვლის თავს, მაშინ უნდა მოვიწვიოთ რუსეთში მოქმედი უკლებლივ ყველა მუშათა ორგანიზაცია, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ახლოს დგანან სოციალ-დემოკრატიასთან. ამ შემთხვევაში არა გვაქვს საფუძველი გამოვრიცხოთ ზოგიერთი მემარცხენე ნაროდნიკიც, აგრეთვე ბუნდის მეტოქე ებრაული ჯგუფები, რომლებიც სოციალისტურად თვლიან თავს, და სხვ.

დასასრულ, გამოვთქვამთ რწმენას, რომ რუს სოციალ-დემოკრატთა შორის არსებულ უთანხმოებათა სწორად გაშუქე-

ბისათვის უცხოეთის სოციალისტური პრესა თავის ფურცლებს დაუთმობს რუსეთის ორგანიზაციათა პასუხისმგებელ წარმოდგენილებს, რომლებიც — ემიგრანტთა წრეებისა და უპასუხისმგებლო პირთაგან განსხვავებით — შეძლებენ ზუსტი წარმოდგენა შეუქმნან უცხოელ ამხანაგებს რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებულ უთანხმოებათა იდეურ-პოლიტიკური საფუძვლის შესახებ.

ორგანიზებულ მარქსისტთა ჯგუფი

„პროლეტარსკაია პრავდა“ № 9, 1913 წლის 17 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის“ ტექსტის მიხედვით

ჩვენი სკოლების შესახებ

სრულიად რუსეთის 1911 წლის 18 იანვრის სასკოლო აღწერა შესაძლებლობას გვაძლევს, — მონაცემების უაღრესად ცუდი დამუშავების მიუხედავად, — ოდნავ მაინც ავხადოთ ფარდა კაზიონურ საიდუმლოებას.

მონაცემები ჯერჯერობით გვაქვს მხოლოდ პეტერბურგის სასწავლო ოლქის შესახებ, — ცალ-ცალკე ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. ვნახოთ, ამ მონაცემების საფუძველზე, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

ქალაქებში იყო 329 ერთკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, 139 III თანრიგის კერძო და 177 ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი. შევადაროთ მასწავლებელ ქალთა საშუალო ჯამაგირი (მასწავლებელ მამაკაცთა რიცხვი ძალიან მცირეა): — საქალაქო სკოლებში — 924 მანეთი წელიწადში, კერძო სკოლებში — 609, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში — *302* მანეთი.

ღატაკი, მშიერი მასწავლებელი ქალები — აი რა არის ჩვენი საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

ვნახოთ, რამდენად დიდია უმაღლესი და საშუალო საერო ზოგადი განათლების მქონე მასწავლებელთა პროცენტი. საქალაქო სკოლებში — 76 პროცენტი, კერძო სკოლებში — 67 პროცენტი, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში — 18 პროცენტი!

გაუნათლებელი მასწავლებელი ქალები (საღმრთო სჯულის მასწავლებლებს ჯერ არ ვეხებით) — აი რა არის ჩვენი საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

სოფლებში გვაქვს 3545 ერთკლასიანი საერობო სკოლა და 2506 ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. პირველ მათგანში მასწავლებელ ქალთა ჯამაგირი 374 მანეთია წელიწადში, მეორეში — *301* მ ა ნ ე თ ი.

პირველ მათგანში განათლებული მასწავლებლები (რომლებიც საერთოდ ასწავლიან) შეადგენენ 20 პროცენტს, მ ე ო რ ე შ ი — 2,5 პროცენტს — ისევ საღმრთო სჯულის მასწავლებელთა ჩაუთვლელად.

ამ მონაცემებიდან ჩანს, თუ რაოდენ უბადრუკია საეკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობა!

აღწერამ შეაგროვა აგრეთვე მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი კვადრატული არშინი იატაკი და კუბური არშინი ჰაერი მოდის საშუალოდ ერთ მოსწავლეზე — ე. ი. სკოლების სივიწროვის შესახებ.

საერობო სკოლებში არის 2,6 კვადრატული არშინი იატაკი და 10,1 კუბური არშინი ჰაერი, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში — 2,4 კვადრატული არშინი იატაკი და 9,6 კუბური არშინი ჰაერი.

იატაკის ფართობი 6-ჯერ უნდა აღემატებოდეს ფანჯრების სინათლის ფართობს. სინამდვილეში იგი 9-ჯერ აღემატება, ე. ი. სკოლებში არა მარტო სივიწროვეა, არამედ ისინი ბ ნ ე ლ ი ც ა ა.

რა თქმა უნდა, ეს მონაცემები მეტად ძუნწია. სამინისტრო ყოველნაირად შეეცადა, რომ ა რ შეეგროვებინათ დაწვრილებითი, ზუსტი, სრული მონაცემები ჩვენი სკოლების ღატაკური მდგომარეობის შესახებ.

და მაინც არასრული, კაზიონურად შეკვეცილი, ცუდად

დამუშავებული მონაცემებიდანაც კი ჩანს საეკლესიო-სამრევლო სკოლების უბადრუკი, ლატაკური მდგომარეობა.

კულტურულ-საგანმანათლებლო და პროფესიული მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ამოცანა სრულიად რუსეთის სახალხო განათლების მომავალ ყრილობაზე ის იქნება, რომ ყოველმხრივ დასვან და ყოველმხრივ გააშუქონ საკითხი ჩვენი სკოლისა და მისი მასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.

„პროლეტარსკაია პრავდა“ № 10,
1913 წლის 18 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
„პროლეტარსკაია პრავდის“
ტექსტის მიხედვით

სათათბიროს ფრაქცია და სათათბიროს გარეშე უმრავლესობა

ლომთათიძის წერილი სათათბიროს ფრაქციაში ექვსეულისა და შვიდეულის ბრძოლის თაობაზე კურიოზულად აღმოჩნდა ლიკვიდატორთა გაზეთში იმ ხმების შეჯამების გვერდით, რომ ლიკვიდატორებს ხმა მისცა 3701-მა კაცმა (№ 75, გვ. 2). ჩვენ მეორე სტატიამდე შეუმოწმებლად ვტოვებთ ამ ციფრს და აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მანამდე ს ა მ ი დ ღ ი თ ა დრ ე „ზა პრავდუ“ (№ 26) ასახელებდა ციფრ 5000-ს, რომელიც არ უარუყვიათ ოპონენტებს.

შვიდეული აშკარად კ ვ ლ ა ვ და კ ვ ლ ა ვ მუშათა უმცირესობის წარმომადგენელია.

ამიტომ ლომთათიძის „მაგარ-მაგარი სიტყვები“ განსაკუთრებით უხერხულ შთაბეჭდილებას ახდენს. ლანძღვა, ძველი, ყველაზე გაფთრებული ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდის გახსენება, ყვირილი: „თავხედობაა, სისულელეა, ცინიკურია“ და სხვ. და ა. შ. — ყოველივე ეს უკიდურესი სისუსტისა და უსუსური გაბრაზების ნიშნებია.

უარყოფილი არ არის და უცილობელია, 1) რომ ექვსეულს მხარს უჭერს შეგნებულ მუშათა უმრავლესობა; 2) რომ შვი-

დეული ა რ ც ნ ო ბ ს უმრავლესობის ნება-სურვილსა და გადაწყვეტილებებს, არ ცნობს არც ხელმძღვანელ დაწესებულებას, რომელსაც ცნობს უმრავლესობა.

პირდაპირ უხერხულად გრძნობ თავს და გრცხვენია გაბრაზებული ლომთათიძის მაგივრად, როცა კითხულობ მის ნაწერს:

„აღუნიშნავთ თუ არა მათ (ექვსეულს) თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ სათათბიროში პოლიტიკური გამოსვლები ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი საქმის, ჩვენი ლოზუნგების, ჩვენი ტრადიციის ინტერესებს"!

ლომთათიძის პათოსი ყალბ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაკი ვიცით, რომ არა მარტო ექვსეულმა, არამედ მის მიერ ოფიციალურად, ფორმალურად აღიარებულმა უმაღლესმა ხელმძღვანელმა დაწესებულებამ დიდი ხანია ა ღ ნ ი შ ნ ა თუნდაც ის, რომ შვიდეულმა დ ა ა რ ღ ვ ი ა პ რ ო გ რ ა მ ა!

ლომთათიძე თავისი უხერხული გაბრაზებით, თავისი უადგილო კითხვებით მხოლოდ კიდევ უფრო ძლიერ უსვამს ხაზს მთელი კონფლიქტის მართლაც ნამდვილად ღრმა ა რ ს ს, უ პ ა რ ტ ი ო თ ა ბრძოლას პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ი ს წინააღმდეგ. ეს არის არსი. ხოლო ეს ხუმრობა, წვრილმანი კი არ არის, არამედ უაღრესად სერიოზული და ყველაზე დიდი საკითხია.

ყოველნი, რომელნი იტყვიან: „უფალო, უფალო!" — როდი შევიდეს სასუფეველსა ცათასა. ყველა ის როდი ემსახურება სინამდვილეში ერთიანობას, ვინც გულში მუშტებს ირტყამს და გაიძახის, ერთიანობა და ერთიანობაო.

რა არის მუშათა კლასის ერთიანობა?

უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ეს არის მისი პოლიტიკური ორგანიზაციის, მთლიანად მისი ერთიანობა. მხოლოდ ა ს ე თ ერთიანობას შეუძლია უზრუნველყოს სათათბიროს ფრაქციისა და საერთოდ მუშათა კლასის ყველა გამოსვლისა და მთელი ბრძოლის ნამდვილი ერთიანობა.

სწორედ ეს ერთიანობა დაარღვია ლიკვიდატორულმა მიმდინარეობამ, როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ ეს, 1908 წლიდან მოყოლებული, პარტიის ფორმალურ რეოზლუციებს. ეს არის

საკითხის ღერძი. როცა გვერდს უვლის ამას, ლომთათიძე მხოლოდ თავის სიმცდარეს ამჟღავნებს.

განხეთქილება მთლიანად შვიდეულის ბრალია, რადგან მან დაარღვია პროგრამა, მან დაიცვა ლიკვიდატორები, რომლებიც ანგრევენ პარტიას, იგი არ უწევდა ანგარიშს უმრავლესობის ფორმალურ გადაწყვეტილებებს, იგი არღვევს ორგანიზებულ მუშათა ნება-სურვილს. ერთადერთი გამოსავალია ის, რომ მან აღიაროს თავისი დანაშაული, ცნოს უმრავლესობის წარმომადგენლად ექვსეული და მასთან ერთად დაიწყოს სისტემატური დაახლოება შეთანხმების გზით.

„პროლეტარსკაია პრავდა" № 17,
1913 წლის 29 დეკემბერი
ხელმოწერა: ი.

იბეჭდება გაზეთ
„პროლეტარსკაია პრავდის"
ტექსტის მიხედვით

თეზისები რეფერატისა ეროვნულ საკითხზე[373]

ეროვნული საკითხი
(თეზისები გახსენებით)

ა) ეროვნული საკითხის მნიშვნელობა თანამედროვე მომენტში.
ბ) ეროვნულ მოძრაობათა ისტორიული ადგილი (resp.* ეროვნული საკითხის ისტორიული დაყენება).
გ) ორი თეორია ეროვნულ საკითხზე.
დ) ერთა თვითგამორკვევა.
ე) თანასწორუფლებიანობა და უმცირესობის უფლებათა გარანტია. ავტონომია.
ვ) კულტურულ-ეროვნული ავტონომია.
ზ) ეროვნული პრინციპი პარტიის მშენებლობაში.

ა. შესავალი.

ეროვნული საკითხის მნიშვნელობა
ახლანდელ ისტორიულ მომენტში

1. მთავრობის ნაციონალიზმი. მთელი კონტრრევოლუცია ნაციონალისტურად შეფერადებულია.

---

* — respective — ანუ, შესაბამისად. რედ.

2. იგივე — ბურჟუაზიული ლიბერალიზმი (სტრუვე & K°).
3. ერთა წარმოუდგენელი, არნახული ჩაგვრის პირობებში (რუსეთის მოსახლეობის 57%) — ნაციონალიზმი ჩაგრულ ერებში (პანევროპული ჩხუბი).
4. რსდმ პარტიის პროგრამის დარღვევა (თვითგამორკვევის დამახინჯება + კულტურულ-ეროვნული ავტონომია).
5. ებრაელთა სეპარატიზმის გათიშვა. ეროვნული განკერძოებულობა.

ბ. 6. ეროვნული საკითხი უნდა დაისვას ისტორიულად და ეკონომიურად. ეროვნული საკითხი მ ს ო ფ ლ ი ო მოვლენაა.

7. ეროვნულ მოძრაობათა ეპოქა — შუა საუკუნეების დასასრული და ახალი ხანის დასაწყისი, **ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ** რევოლუციათა ეპოქა. **ყველგან** უკლებლივ ეროვნული მოძრაობანი ამ დროს.
8. ეკონომიური საფუძვლები? კაპიტალიზმი მოითხოვს საშინაო ბაზრის შეკავშირებას. ბაზარი სავაჭრო ურთიერთობათა ცენტრია. ადამიანთა სავაჭრო ურთიერთობის მთავარი იარაღია ე ნ ა.
9. ეროვნული ოლქების შემჭიდროება (ენის აღდგენა, ეროვნული გამოღვიძება etc.) და **ეროვნული სახელმწიფოს** შექმნა. მისი ეკონომიური აუცილებლობა.
10. ეკონომიკის პოლიტიკური ზედნაშენი. დემოკრატიზმი, ერის სუვერენობა. *I n d e** **„ეროვნული სახელმწიფო“**...
11. ეროვნული სახელმწიფო **მსოფლიო წესია** (კ. კაუცკი I-ში, 18**, გვ. *23* და *23 — 25* „Internationalität“), ხოლო „ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ა“[374].

---

* — აქედან. რ ე დ.

** დამოწმებულია ეროვნულ საკითხზე პირველი რეფერატის მე-18 გვერდი. რ ე დ.

კ. კაუცკი ო. ბაუერის შესახებ: ბაუერი **ჯეროვნად ვერ აფასებს** მისწრაფებას ეროვნული სახელმწიფოსადმი.
(„Drang-ის ძალას“) | ეს NB |

ფრჩხილებში: ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ეროვნული სახელმწიფო **უფრო მეტი** ნაციონალიზმია, ვიდრე კულტურულ-ეროვნული ავტონომია. გულუბრყვილო და სასაცილო შეცდომაა! ეროვნული სახელმწიფო წესია მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაში. კულტურულ-ეროვნული ავტონომია ცუდმადი ინტელიგენტების მოგონილია და არსად არ განხორციელებულა.

12. XIX საუკუნის ეროვნულ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) რევოლუციათა ეპოქა (იტალია, გერმანია). დასავლეთ ევროპაში იგი დამთავრდა. **აღმოსავლეთში მხოლოდ დაიწყო და აზიაში...**

ბ. მარქსიზმის ორი თეორია ეროვნულ საკითხზე.

13. პროლეტარულ პარტიათა წარმოშობა ეროვნულ სახელმწიფოებში. ჩამორჩენილი აღმოსავლეთი. ეროვნული საკითხის „თ ე ო რ ი ე ბ ი“. (ცოტა ყურადღება ეთმობა თ ე ო რ ი უ ლ ბაზას. კ. კაუცკი + ო. ბაუერი.)

14. **ო. ბაუერი.** ერი = Kulturgemeinschaft*. „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგი ((წითელ ზოლად)). ეროვნული ხასიათი მთავარია. (ბევრი შენიშვნაა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს.)

(კაუცკის შეფასება: Kulturgemeinschaft= ო. ბაუერის მთავარი შეცდომა.)

15. „სოციალიზმი გააძლიერებს ეროვნულობის პრინციპს“ (ო. ბაუერი I, 5** — მ ი ს ი წ ი გ ნ ი ს გვ. *532*).

---

* — კულტურული ერთობა. რ ე დ.

** აქ და ქვემოთ დამოწმებულია ეროვნულ საკითხზე პირველი რვეულის მე-5, მე-6 და მე-17 გვერდები. რ ე დ.

16. ბაუერის ძირეული შეცდომა — დახვეწილი ნაციონალიზმი. გასუფთავებული, უექსპლოატაციო, უდავი-დარაბო ნაციონალიზმი.

NB ||| პრუდონი კაპიტალიზმს წმენდდა, აიდეალებდა, ალამაზებდა, ო. ბაუერი — ნაციონალიზმს.

17. გაბატონებული კლასების პოლიტიკა „კონსერვატიულ-ნაციონალურია", ჩვენი — „ევოლუციურ-ნაციონალური" (ო. ბაუერი).

18. „ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს ძველი ინტერნაციონალიზმი"
(ო. ბაუერი)
(ო. ბაუერი **I**, 6).

19. **ΣΣ*** ო. ბაუერთან
(α) ერის იდეალისტური თეორია
(β) ეროვნული კულტურის ლოზუნგი (=ბურჟუაზიული)
(γ) ნაციონალიზმი გასუფთავებული, დახვეწილი, აბსოლუტური, თვით სოციალიზმამდე.
(δ) ინტერნაციონალიზმის სრული დავიწყება.
Σ = **ეროვნული ოპორტუნიზმი** (პანეკუკი).

20. უთავბოლო ო. ბაუერი, მხილებული კ. **კაუცკის მიერ**.
(α) Eigentümlich und hinfällig**, რომ ო. ბაუერი მხოლოდ ლაპარაკობს ეროვნულ კულტურაზე. (I, 17) (გვ. 15 Internationalität)
(β) „Nie ist eine rein nationale Kultur weniger möglich gewesen" (ibidem, 15 Internationalität)***—

შეცვლა:

		ინგლ.	ფრანგ.	გერმან.
— მაგალითი:	1800:	20	— 30	— 30 (Σ = 80)
	1900:	125	— 40	— 70 (Σ = 235)

((მსოფლიო ენა შეიძლება გახდეს ინგლისური, მაგრამ შეიძლება + რუსული))

* — Summa summarum — საერთო შედეგი. რ ე დ.

** — თავისებურება და სუსტი პუნქტი ის არის. რ ე დ.

*** — „წმინდა ეროვნული კულტურა ჯერ არასოდეს არ ყოფილა უფრო ნაკლებ შესაძლებელი" (იქვე, 15 „ინტერნაციონალურობა"). რ ე დ.

NB (γ) „ჩვენი ინტერნაციონალიზმი განსაკუთრებული სახეობის ნაციონალიზმი კი არ არის, რომელიც განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან არააგრესიულობით, თანასწორუფლებიანობით etc., არამედ მეურნეობრივად და კულტურულად ერთიანი საზოგადოებრივი ორგანიზმი“ (ibidem, გვ. 17).

NB ო. ბაუერს ეს შეხედულება გაუქრა „Betonung der nationalen Kultur“-ისათვის*.

(δ) ერი არის არა Kultur-, არა Schicksal-, არამედ Sprachgemeinschaft**.

(ε) ო. ბაუერთან გამოდის **„ეროვნული მომენტის გაძლიერება“**...

NB (ζ) ΣΣ (კ. კაუცკისთან)—gewaltige Ueberschätzung des nationalen... Momentes (**35** Internationalität). Völlige Vernachlässigung internationalen***.

21. კ. კაუცკისთან Sprache und Territorium**** ისტორიულ-ეკონომიური თეორია

მაშინ — და **ეროვნული სახელმწიფო** ბურჟუაზიულ-**დემოკრატიულ მოძრაობაში**

ახლა **ინტერნაციონალიზმი ახლა.**

NB

დ. § 9 პროგრამები = პოლიტიკური თვითგამორკვევა.

22. მისი მნიშვნელობა პრინციპით და მთელი საერთაშორისო დემოკრატიის სიტყვახმარება 1848 წლიდან=ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური გამოყოფა, წარმოშობა.

---

* — „ეროვნული კულტურის ხაზგასმით“. რ ე დ.

** — კულტურის, ბედის ერთობა კი არა, არამედ ენის ერთობა. რ ე დ.

*** — ეროვნული... მომენტის უდიდესი გაზვიადება (**35** ინტერნაციონალურობა). ინტერნაციონალურის სრული დავიწყება. რ ე დ.

**** — ენა და ტერიტორია. რ ე დ.

23. მისი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს ეროვნულ **მოძრაობათა ისტორიის** თვალსაზრისით = ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.

24. კურიოზულია (სიცილი!) ამ §-ის სხვაგვარად განმარ-
(α) (α) ტების ცდები!! **დემოკრატიული პრინციპი** ეროვნულ საკითხში **განუყრელად** დაკავშირებულია ეროვნულ მოძრაობათა **ისტორიულ-ეკონომიურ** პირობებთან.

25. დემოკრატიული პრინციპისაგან გადახვევა მ თ ე ლ ი ისტორიის ღალატი და დავიწყებაა.
ბურჟუაზიული რევოლუციის დაუმთავრებლობა.

(β) (β) რუსეთი = ეროვნულის ახელმწიფო საფუძველში, ბაზაში, ცენტრი

ფსკოვი—
დონის როსტოვი

განაპირა მხარეები — ეროვნული.
უკიდურესი ჩაგვრა.
დაუმთავრებლობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა, რომელიც **შეუძლებელია** ეროვნული მოძრაობისა და საერთოდ **ეროვნულ** სახელმწიფოთა შექმნისადმი მისწრაფების გარეშე.

26. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა: გვერდით ავს-
(γ) (γ) ტრია (დაუმთავრებელი ბურჟუაზიული რევოლუციით ეროვნული საკითხის მიმართ) და გამოღვიძებული აზია (რესპუბლიკური ჩინეთი).
ცარიზმი ყველაზე რეაქციული სახელმწიფო წყობილებაა. აქედან გამომდინარეობს ეროვნული მოძრაობის განსაკუთრებული გარდაუვალობა და მოთხოვნა, რომ ველიკორუსებმა ცნონ თვითგამორკვევის უფლება.

27. კონკრეტული მაგალითი. ნორვეგია (6 საუკუნე დანიის უღელქვეშ). მე-19 საუკუნის დამდეგს | ნაპოლეონის ომების ეპოქა | გ ა დ ა ე ც ა (შვეციის, ინგლისისა და რუსეთის ხელშეკრულების თანახმად) შ ვ ე ც ი ა ს. აღებულია ნორვეგიელებთან შვედების **ომით**.

შეუერთდა შვეციას. შეინარჩუნა **სრული** ავტონომია (სეიმი, არმია, გადასახადები, ბაჟები და სხვ.). უთანხმოებათა და ჩხუბის ათწლეულები.

1905 წელი. დიდი რევოლუციის დასაწყისი აღმოსავლეთ ევროპაში — გვერდით დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მეზობელ, დასავლეთ ევროპის, ძალიან თავისუფალ სახელმწიფოში. შედეგი? **ნორვეგიის 1905 წლის რევოლუცია.**

აგვისტოს რევოლუცია ნორვეგიაში. სეიმის დადგენილება (1905 წ. 17 აგვისტო). ხუცესთა და მემამულეთა აგიტაცია შვეციაში.

რეფერენდუმი | 5 მილიონი შვედი და 2 „ ნორვეგიელი.

ხელშეკრულება მეზობელ სახელმწიფოსთან. ზავი და სრული დაგვირგვინება.

შვედი მუშის მოვალეობა? არა მარტო თავისუფლებისათვის საერთოდ, არა მარტო ავტონომიისათვის, არამედ აუცილებლად გამოყოფის **უფლებისათვის.**

28. 1905 წელი. ფინეთი და პოლონეთი.

ეროვნული ბურჟუაზიის გარიგებანი რუსეთის ბურჟუაზიასთან. კლასობრივ პარტიათა ამოცანები: ბრძოლა ნაციონალისტურ გარიგებათა წინააღმდეგ, რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან კავშირისათვის.

29. შედეგი: (α) § 9-ის მნიშვნელობა ეროვნული მოძრაობის მთელი ისტორიიდან.
(β) ეროვნული უღელი რუსეთში, როცა ბაზად ეროვნული სახელმწიფოა და განაპირა რაიონებში — ეროვნული ჩაგვრა.
(γ) დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში.
(δ) რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა.
(ε) დამოუკიდებლად გადაიჭრას გამოყოფის საკითხი, მაგრამ აუცილებელია პროპაგანდა.

30. P. S. D.-ს განსაკუთრებული პოზიცია.

კაპიტალიზმის განვითარებამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს პოლონეთი და რუსეთი. ლოძის ფაბრიკები რუსეთის ბაზარზე. ჩვენი საქმე არ არის ახალი კლასობრივი სახელმწიფოს შექმნა. მხოლოდ!!

(α) ბოლომდე არ თქმულა: დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში და **ალმოსავლეთში**? ა რ ა.

(β) საქმის არსი პოლონეთი და მისი გამოყოფა კი არ არის, არამედ **რუსი გლეხია**.

1863

XI. 1905

რუსი გლეხის ნაციონალიზმის მოგვრიება მარტო იმის მოთხოვნა კი არ არის, რომ არ ჩაგრონ ერები, მარტო ავტონომია კი არ არის, არამედ აუცილებლად **გამოყოფის უფლებაა**.

უაზრობა და რეაქციულობაა უარვყოთ ან შევასუსტოთ ეს.

უარვყოფდეთ გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ა ს ნიშნავს ვეხმარებოდეთ ცარიზმს, ვა ქ ე ზ ე ბ დ ე თ რუსი გლეხის ნაციონალიზმს. NB

(γ) მაგალითი: Marx-ის დამოკიდებულება პოლონეთისადმი (ლოპატინი) და ირლანდიისადმი...[375]

Marx-ი ირლანდიის შესახებ. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ე რ ი ქ ნ ე ბ ა ხ ა ლ ხ ი, რ ო მ ე ლ ი ც ა ხ შ ო ბ ს ს ხ ვ ა ხ ა ლ ხ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს. NB

საიდან მოდის P. S. D.-ს უაზრობა?

უკუღმა გადმობრუნებული ნაციონალიზმი.

დაუშინებიათ პაპუასებს.

კრაკოვი — მაგალითი.

არა ამ ხაზით.

ოპისი უაზრო და რეაქციული იდეით P. S. D.-ს გამოსვლის ისტორია.

1895: კ. კაუცკი

(α) Materialismus *einseitig**

(β) გეშინიათ წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალიზმის წაქეზება? დაეხმარეთ რუსეთის რეაქციას!

1903. II ყრილობის კომისია vs ვარსკი[376].

ე) ერთა თანასწორუფლებიანობა და უმცირესობის უფლებანი...

31. არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას. ეს აუცილებელია დემოკრატიზმისა და მუშათა სოლიდარობის ანბანის თვალსაზრისით.

32. სახელმწიფო ენა. მისი უმაქნისობა.

43% ველიკორუსი
17 მალოროსი
6 ბელორუსი

66
6 პოლონელი

72% სლავი.

33. შვეიცარიის მაგალითი. განსაკუთრებული ფურცელი.

(α) სამი ენა (70 — 22 — 7%)

(β) გრაუბიუნდენი 100 000 მცხოვრები
<30 000 რომანული წარმოშობისა | 1% | **.

ad (γ) უმცირესობის უფლებანი და ძირითადი კანონი

(δ) ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიმუში.
(ბელგია, **ფინეთი** etc.) | ტყუილი როდია |

* — მატერიალიზმი ცალმხრივია. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 5. რედ.

34. ოლქების ავტონომია და ადგილობრივი თვითმმართველობა=დემოკრატიული წყობილების ზოგადი პრინციპი. საზღვრები? ეროვნული+სამეურნეო+საყოფაცხოვრებო etc.
35. არის კი შესაძლებელი? **ფორტუნატოვი** *versus* მ ე დ ე მ ი.

ეროვნული ცენტრები უნდა შევაფასოთ ტერიტორიული მინიმუმისა და არა მაქსიმუმის მიხედვით.

მედემის „გვერდის ამვლელთა“ თვალსაზრისი: წვრილი ეროვნული კუნძულების აბსოლუტური ნაციონალიზმი!!!

36. „თუკი გავწყვეტთ კავშირს ეკონომიკასთან“ (მედემი).
37. უმცირესობის უფლებათა გარანტია. სახელმწიფოს ძირითადი კანონი (შეადარე ბრიუნი § 4).
38. საწინააღმდეგო მოსაზრებანი მედემისა I, 2* NB))
39. ასეთი ზოგადი, ცენტრალური კანონის (შდრ. შვეიცარია) აუცილებლობა.
40. გარანტიაა მხოლოდ საერთო-დემოკრატიული და **ცენტრალიზებული** დემოკრატიული წყობილება.

3. კულტურულ-ეროვნული ავტონომია.

ტერმინები:

ექსტერიტორიული
პერსონალური
ეროვნული

41. როგორია გეგმა? (1) კადასტრი
(2) სეიმი
(3) იძულებითი დაბეგვრა.
42. ავსტრიის გამოცდილება (ბრიუნი).

კულტურულ-ეროვნული ავტონომიის პროგრამა. მარცხი. კლერიკალიზმი. განუხორციელებელია.

* დაბეჭდილია ეროვნულ საკითხზე პირველი რეფერატის მე-2 გვერდი. რედ.

პროგრამა მიღებულია ½*. უაზრობა მაშინვე ჩანს.

43. გეგმის პრინციპული საფუძვლები.

(0) აბსოლუტური, გასუფთავებული ნაციონალიზმი. ბოლომდე მიყვანილი.

(α) ეროვნული კულტურის ლოზუნგი. ბურჟუაზიული ლოზუნგი, მუშათა მოძრაობისა და ინტერნაციონალიზმის რეაქციული versus.

ეროვნული კულტურა და ინტერნაციონალური კულტურა:*

განკერძოებულობა	— შეკავშირება
შეერთება ბურჟუაზიასთან, კლერიკალებთან etc.	— შეერთება დემოკრატიასთან და სხვა ერების სოციალისტებთან.

NB:
ლვოვის ეროვნული მუზეუმი = „ეროვნული კულტურა"!!

(β) „გამგებლობიდან ამოღება". **უტოპია**! მისი წვრილბურჟუაზიული საფუძველი. ცუდი ინტელიგენტის მონაგონი.

„არ არის დაპყრობა, არ არის მაიორიზაცია, არ არის ბრძოლა"
(მედემი). შდრ. კ. კაუცკი.

(γ) ეროვნული კურიები სასკოლო საქმეში. ზიანი. ზანგები ამერიკაში.

(δ) ობიექტური ლოგიკა: „არა ნაცვლად, არამედ ერთად" ცენტრალიზებულ დემოკრატიასთან. ავსტრია versus შვეიცარია.

---

* სანახევრო. რედ.

(ე) სხვადასხვა ერის კლასობრივი შემადგენლობის უთანაბრობა. არა გაყოფა, არამედ გამოყოფა.

გლეხური ერები და ქალაქები

(ვ) ებრაელები — უმთავრესად ვაჭრები.

პუნდელთა სოფიზმი: გამოვყოფთ **წმინდა** კლასობრივი ბრძოლისათვის.

44. ეროვნული ავტონომია ებრაელებისათვის?
ო. ბაუერი და კ. კაუცკი. „კასტა“.
ებრაელთა დამსახურება მსოფლიო კულტურაში და **ორი** მიმდინარეობა ებრაელობაში.

45. რუსეთში ებრაელთა კასტური განკერძოებულობაა. გამოსავალი? (1) მისი დამკვიდრება ასე თუ ისე
(2) დაახლოება დიასპორის[377] ქვეყნების **დემოკრატიულ** და **სოციალისტურ** მოძრაობასთან.

„გავაძევოთ ებრაელები ერთა რიცხვიდან“...

46. $10^1/_2$ მილიონი მსოფლიოში. ორი ნახევარი აშერი ვენაზე — 150 000.

47. ებრაელთა **ყველა** ბურჟუაზიულმა პარტიამ მიიღო რუსეთში კულტურულ-ეროვნული ავტონომია

+წვრილბურჟუაზიული დემოკრატია 1907 წ.
+ ბუნდი? **(ნაწილი)**

რის მიჩქმალვას მოხმარდა ბაუერის მონაჭორი (წვრილბურჟუაზიული ოპორტუნისტული)?

ზ ეროვნული პრინციპი სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციაში.

ავსტრია. მხოლოდ ეიმბერგიდან (1907). (ოტო ბაუერი. I, 7. **1907** წ.)

ოტო ბაუერი I, 7 მის მოწინააღმდეგეთა შესახებ
idem I, 8*.

გათიშვა და **კრახი**. ჩეხი სეპარატისტები (კოპენჰაგენის კონგრესი 1910) და მათი თანაგრძნობა **ბუნდისადმი**.

რუსეთი

„ყველაზე ცუდი ტიპის ფედერაცია“[378]

1898—1903. ბუნდის გასვლა პარტიიდან.
1903—1906
1907—1911. მედემი — განსაკუთრებული ფურცელი

შერწყმა (კავკასია, რიგა, ვილნა).
ერთიანობა ქვემოდან.

ენა**:

1) შდრ. ენათა გავრცელება.

ლიეჟი: 2. II. 1914

რაბინოვიჩი: ეროვნული საკითხი = „მონაჭორი“

დაწერილია 1914 წლის 10 და 20 იანვარს (23 იანვარსა და 2 თებერვალს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს ლენინის XXX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჩანართი ნ. კ. კრუპსკაიას სტატიისათვის „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხის გამო“

ცივილიზებულ ქვეყნებში თითქმის არ არიან უწიგნურნი. იქ ცდილობენ მიიზიდონ ხალხი სკოლებში. ბიბლიოთეკების შექმნას ყოველნაირად უწყობენ ხელს. ჩვენში კი სახალხო, — მომიტევეთ, — „განათლების“ სამინისტრო ყველაზე უგვანო

* დამოწმებულია ეროვნულ საკითხზე პირველი რვეულის მე-7 და მე-8 გვერდები. რ ე დ.

** აქედან ბოლომდე დაწერილია ფანქრით რვეულის მეორე ყდაზე. იქვე მიწერილია მისამართი: „Parvis St.-Grilles. Maison du Peuple. № 15 10 s.“. რ ე დ.

ღონისძიებებს, ყველაზე სამარცხვინო პოლიციურ ზომებს მიმართავს, რათა გააძნელოს განათლების საქმე, რათა ხელი შეუშალოს ხალხს სწავლაში! ჩვენში სამინისტრომ დაარბია სასკოლო ბიბლიოთეკები!! მსოფლიოს არც ერთ კულტურულ ქვეყანაში არ შემორჩენილა საგანგებო წესები ბიბლიოთეკების წინააღმდეგ, არ შემორჩენილა ისეთი საზიზღარი დაწესებულება, როგორიცაა ცენზურა. ჩვენში კი გარდა იმისა, რომ საერთოდ დევნიან პრესას, გარდა იმისა, რომ უხეშ ღონისძიებებს მიმართავენ საერთოდ ბიბლიოთეკების წინააღმდეგ, ამასთანავე უშვებენ ასჯერ უფრო შემზღუდავ წესებს სახალხო ბიბლიოთეკების წინააღმდეგ! ეს არის აღმაშფოთებელი პოლიტიკა ხალხის დაბნელებისა, აღმაშფოთებელი პოლიტიკა მემამულეებისა, რომლებსაც ქვეყნის გავერურება სურთ. ზოგიერთმა, პავლენკოვის მსგავსმა, მდიდარმა კაცმა გაიღო ფული სახალხო ბიბლიოთეკებისათვის. ახლა ველურ მემამულეთა მთავრობამ დაარბია ბიბლიოთეკები. განა დრო არ არის, რომ იმათ, ვისაც სურს ხელი შეუწყოს რუსეთის განათლებას, შეიგნონ, რომ ფული უნდა გაიღონ არა სამინისტროს დაქვემდებარებული და დასარბევი ბიბლიოთეკებისათვის, არამედ იმ პოლიტიკური თავისუფლებისათვის საბრძოლველად, ურომლისოდაც რუსეთს სულს უხუთავს ველურობა.

დაწერილია 1914 წლის იანვარში

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 24

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობა[378]

1914 წლის 13—26 იანვარი (26 იანვარი — 8 თებერვალი)

1

რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე

ლენინი (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი). ამბ. ბრაუნმა თქვა, რომ საჭირო არ არის ქექვა მაკულატუ-

რაში, ძველ ჭაღალდებში. ეს სწორია. მაგრამ მაინც საჭიროა ვეყრდნობოდეთ დოკუმენტებსა და სხვა საბუთებს, როცა უფრო ახლოს ვეცნობით რსდმ პარტიის უკანასკნელი ორი წლის საქმიანობას, ნათელი ხდება არსებობა ლიკვიდატორობისა, რომელიც ხელს უშლიდა პარტიის აღდგენას. თუ არ გავეცნობით პარტიის გათიშვის პოლიტიკურ მიზეზებს, ვერ გავიგებთ უთანხმოების ახლანდელ ვითარებასაც. ჯერ კიდევ 1908 წლის კონფერენციაზე, შემდეგ კი 1910 წლის პლენუმზეც აღინიშნა მცდარი მიმდინარეობანი. ერთი მხრივ — ოტზოვიზმი, რომელმაც ვერ გაიგო რუსეთის ახალი პირობები, მეორე მხრივ — ლიკვიდატორობა, რომელიც უარყოფს პარტიას ან ამცირებს არალეგალური პარტიის მნიშვნელობას. ეს მიმდინარეობანი წარმოიშვა ბურჟუაზიის გავლენით. ლიკვიდატორობა ფართო მოვლენაა. სოციალისტ-რევოლუციონერებს (ნაროდნიკებს) შორის უკვე 1906 წელს გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ პარტიის ლეგალიზაციას. ეს არის შეგუების პოლიტიკა, რომელსაც კადეტებთან ვხედავთ. შემგუებლობის ასეთივე სულისკვეთებაა გაბატონებული სოციალ-დემოკრატთა ლიკვიდატორობაში. მხოლოდ ამ ლიკვიდატორობასთან ბრძოლაში შეიძლება შევქმნათ ძლიერი პარტია. ეს უკვე ნათლად განაცხადა 1908 წლის კონფერენციამ. პარტია გაითიშა პლენუმის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურო, რომელმაც პლენუმი არ მოიწვია, შემდეგ თვითონ გაუქმდა. პარტიის აღდგენა გვიხდებოდა ლიკვიდატორებთან ბრძოლაში, და ეს გააკეთა იანვრის კონფერენციამ. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ მუშათა კურიაში საჭიროა ბრძოლა ლიკვიდატორებთან, მაგრამ ამხ. ბრაუნმა ამ გადაწყვეტილებას აზიური უწოდა. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება პლენუმზე მიღებული რეზოლუციიდან გამომდინარეობდა. ეს უფრო თანმიმდევრული დასკვნაა მხოლოდ. იანვრის კონფერენცია დაგმეს ყოველი მხრიდან.

სინამდვილეში როგორ იყო იანვრის ამ კონფერენციის საქმე? იგი მართლაც მხოლოდ გამთიშველთა კონფერენცია რომ ყოფილიყო, ასეთ შემთხვევაში მთელი პარტია უნდა გაერთია-

ნებულიყო და დაემტკიცებინა, რომ ეს კონფერენცია არ წარმოადგენდა პარტიას. მაგრამ ასე არ მოხდა. ამხანაგმა ბრაუნმა თქვა, ლენინს ფართო მასები არ მიჰყვებიანო. მაგრამ სერიოზული კაცი ასე როდი წყვეტს საკითხს; ფაქტები მთელი სიგრძე-სიგანით უნდა განვიხილოთ. ხოლო რას მეტყველებენ ფაქტები? გამოქვეყნდა მონაცემები მუშათა კურიის არჩევნების შედეგების შესახებ: II სათათბიროს არჩევნებში ბოლშევიკებმა მიიღეს ხმების 47 პროცენტი, III სათათბიროს არჩევნებში — 50 პროცენტი, IV სათათბიროს არჩევნებში — 67 პროცენტი. ეს ფაქტები უდავოა, ისინი მოწმობენ, რომ იანვრის კონფერენციის გადაწყვეტილებანი სწორი იყო. ის, რაც კონფერენციამ გადაწყვიტა, არჩევნებში განხორციელდა. რუსეთის შეგნებულ მუშათა უმრავლესობა ბოლშევიკებს მიჰყვება, ეს კი მოწმობს, რომ ლიკვიდატორებთან ბრძოლა აუცილებელი იყო. ახლა ლეგალური პრესაც აღიარებს, რომ ბოლშევიკებს ემხრობა შეგნებულ მუშათა უმრავლესობა.

ამხ. ბრაუნის თქმით, აგვისტოს კონფერენციამ[380] მიიღო მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები: დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგი, არალეგალური პარტიის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა ამხ. ბრაუნს გავიდეს საორგანიზაციო კომიტეტიდან, რომელიც ამ კონფერენციამ შექმნა? ეს არ მოწმობს პოლიტიკურ კეთილგონიერებასა და სიმტკიცეს პოლიტიკურ საქმიანობაში. ამხანაგმა ბრაუნმა თქვა, რომ ახლა არიან მხოლოდ ცალკეული ლიკვიდატორები ლიტერატორთა შორის, ლიკვიდატორობა კი საერთოდ არ არისო. მაგრამ რას ნიშნავს „ლუჩის“ თავდასხმები არალეგალურ პარტიაზე, მისი ბრძოლა პარტიელების წინააღმდეგ? ლიკვიდატორებმა ვერ შეასრულეს ის, რასაც ამხ. ბრაუნს დაჰპირდნენ: მხარი არ დაუჭირეს დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგს და არალეგალური პარტიის აუცილებლობას. ლატვიელებს სურთ გავიდნენ საორგანიზაციო კომიტეტიდან. ესეც მოწმობს, რომ აგვისტოს ბლოკი მხოლოდ ფიქცია იყო. სასაცილოა, პირდაპირ დემაგოგიაა ილაპარაკო ლიკვიდატორებთან ერთიანობაზე მანამ, სანამ ეს უკანასკნელნი უარს

არ იტყვიან ახლანდელ შეხედულებებზე და არ დაადგებიან დიამეტრულად (სრულიად) საწინააღმდეგო შეხედულებებს. სანამ ლიკვიდატორობა ისეთი იქნება, როგორიც ახლა არის, — შეუძლებელია ერთიანობა. ისინი, ვინც ლეგალური პარტიის მომხრეა, ვერ გაერთიანდებიან იმათთან, ვინც არალეგალური პარტიის მომხრეა. ახლა გვაქვს ორი პარტია, ერთი ნამდვილია, მეორე ფიქციაა, ფუჭი გამონაგონი. ეს ფიქციური პარტია წარმოადგენს იმ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომლებსაც მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვთ მუშებში არალეგალურ პარტიაზე თავიანთი თავდასხმებით. „ლუჩი“ აგვისტოს ბლოკის ყველა ლიტერატორსაც კი არ აერთიანებს, არამედ მხოლოდ ლიკვიდატორებს. ლიკვიდატორთა წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლა.

„დემაგოგია“, „ერთიანობა“, „გამთიშველები“ — ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვებია; ასეთ სიტყვებს თუთიყუშიც კი გაიმეორებდა. მაგრამ საჭიროა გადავხედოთ ფაქტებს. „პრავდამ“ წლის განმავლობაში გააერთიანა დაახლოებით 2000 მუშათა ჯგუფი, „ლუჩმა“ კი მხოლოდ 550. ორგანომ, რომელიც არალეგალური პარტიის მომხრეა, შეაგროვა 4-ჯერ მეტი მომხრე, ვიდრე „ყველა მიმართულების“ გაზეთმა. ფაქტები მოწმობენ, რომ მათ, ბოლშევიკებმა, გააერთიანეს რუს მუშათა უმრავლესობა. ზაფხულში მოწვეული თათბირი ამასვე ადასტურებს.

ლენინს უსაყვედურებენ ფრაქციის გათიშვას. მაგრამ მთელი წლის განმავლობაში 6 დეპუტატი ებრძოდა ლიკვიდატორობას ფრაქციაში. ბოლშევიკების მხარეზეა უმრავლესობა, მათ მხარეზეა პარტია. ფრაქცია უნდა ემორჩილებოდეს პარტიის უმრავლესობას, უნდა გამოდიოდეს მასთან ერთად- თუ ისინი ამას არა შვრებიან, თავს აყენებენ პარტიის გარეშე, პარტიის გვერდით. ყველგან მიღებულია, რომ ფრაქცია უნდა ემორჩილებოდეს პარტიის გადაწყვეტილებებს. ასე უნდა იყოს რუსეთშიც. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ვიღაც სოციალ-დემოკრატიული მოლაყბენი კი არ არი-

ან, არამედ პარტიის მუშაკები, რომლებიც პარტიას უნდა ემორჩილებოდნენ.

ყველაფერი, რაც ლიკვიდატორების ზურგს უკან დგას, ფიქციაა, ფრაზაა, ლანძღვა-გინებაა. მაშ რა მოხდა ფრაქციის გათიშვის შემდეგ? ექვსმა დეპუტატმა მიიღო 6000 ხელმოწერა, შვიდმა — 2000. ეს ყველას შეუძლია წაიკითხოს პრესაში. მარტოვმა თქვა, რომ შვიდეულს ემხრობიან მარქსისტთა დაწესებულებანი, მაგრამ ეს ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც არ წარმოადგენენ პარტიის წევრთა მასებს, მხოლოდ ფიქციური არიან.

ბოლშევიკები ერთიანობას მოითხოვენ. მაგრამ ვინღა არიან ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ არალეგალურ პარტიაში? არალეგალური პარტიის ერთიანობა აუცილებელია. ერთიანობა ქვემოდან. მაგრამ იმათ წინააღმდეგ, ვინც თავს ესხმის არალეგალურ პარტიას, ჯეროვნად ვერ აფასებს ამ პარტიის მნიშვნელობას, იმათ წინააღმდეგ ბრძოლ ის გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. დაე მოგვცენ გარანტია, რომ არალეგალური პარტია ხელშეუხებელი დარჩება, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგს ჩირქს არ მოსცხებენ, — მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ერთიანობა ზემოდან და ქვემოდან. აზიაში არ ვიცი, მაგრამ ევროპაში კი გამთიშველებს უწოდებენ იმათ, ვინც უმრავლესობას არ ცნობს. გამთიშველები უმცირესობაა, რომელიც არ ემორჩილება უმრავლესობის გადაწყვეტილებებს.

პირველად დაიბეჭდა 1915 წლის 14 მაისს ლატვიურ ენაზე გაზეთ „Strādnieks"-ის № 37-ში (ბოსტონი)

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით თარგმანი ლატვიურიდან

2

საბოლოო სიტყვა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე

ლ ე ნ ი ნ ი. მე თავს მესხმიან „დემაგოგიური ხერხებისათვის", გათიშვისთვის და სხვ. მაგრამ მოწინააღმდეგენი როგორღა იქცეოდნენ? ისინი ყოველთვის ლაფში სვრიან ბოლშევი-

კებს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს თუნდაც მარტოვის უბადრუკი ბროშურა. — მე მხოლოდ ჩემი აზრი გამოვთქვი, რომ საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე ბოლშევიკები მონაწილეობას მიიღებენ-მეთქი. მაგრამ ეს უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე ცენტრალურმა კომიტეტმა, სადაც მუშები სხედან. ამ საკითხს გადაწყვეტენ ისინი და არა ლენინი. — ისინი, ვინც ამბობს, ლიკვიდატორობა არ არისო, პატივს არ სცემენ ყრილობას. პარტიის გადაწყვეტილებებში უკვე 1908 წლიდან ნათლად არის ნათქვამი, თუ რას წარმოადგენს ლიკვიდატორობა. ეს გადაწყვეტილებანი არ გაუქმებულა, მათ ანგარიში უნდა გავუწიოთ. ახლა ლიკვიდატორულ იდეებს ქადაგებენ „აგვისტოს ბლოკის“ გაზეთები. საორგანიზაციო კომიტეტის მომხრეები აქ ამტკიცებენ, პარტიის წინააღმდეგ არ გამოვდივართო, მაგრამ რას ამბობს მათი გაზეთი? ასეთი მაგალითი ბევრია. შემარიგებელ ანსაც სურდა გაელაშქრა არაპარტიული აგიტაციის წინააღმდეგ, მაგრამ რედაქციას აზრი არ შეუცვლია. იმათთან, ვინც გაზეთ „ლუჩის“ შეხედულებებს იცავს, ვერ გავერთიანდებით. „ღია მუშათა პარტიისათვის“ ბრძოლა ლიკვიდატორობაა. — მომავალ კონფერენციაზე იმისათვის კი არ უნდა წავიდეთ, რათა ლიკვიდატორებთან გავერთიანდეთ, არამედ იმისათვის, რათა ვამხილოთ ისინი და დავამტკიცოთ, რომ აგვისტოს ბლოკი ფიქციაა. — ლიკვიდატორთა პრესა ავიწროებს ლოზუნგებს, ზღუდავს რევოლუციურ ტაქტიკას. არავითარი არალეგალური ლიტერატურა ლიკვიდატორებს არა აქვთ, ასეთი ლიტერატურა აქვთ მხოლოდ ბოლშევიკებს. რუსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციების არსებობა ჩანს უკანასკნელი (31) ნომრიდან. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმაც აგრეთვე ცხადყო, რომ მუშათა დიდი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიჰყვება. ეს ფაქტებია, რომელთა შემოწმება ყველას შეუძლია. ამას მოწმობს აგრეთვე გაზეთების მატერიალური მხარდაჭერაც. — ერთიანობაზე ყვირილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, უნდა ვიცოდეთ გაერთიანება. ბოლშევიკებმა რუსეთში გააერთიანეს უმრავლესობა, აგვისტოს კონფერენციამ კი, პირიქით, არაფერი არ გააერთიანა. მას ემიჯნება ბრაუნი,

ემიჯნება ტროცკი, — „აგვისტოს ბლოკი“ იშლება. არც ბურიანოვი დარჩენილა 7 დეპუტატს შორის.—გაერთიანება რომ შესაძლებელი გახდეს, საჭიროა დავგმოთ ლიკვიდატორები.

პირველად დაიბეჭდა 1915 წლის 24 ივლისს ლატვიურ ენაზე გაზეთ „Strahdneeks“-ის № 63-ში (ბოსტონი)

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით თარგმანი ლატვიურიდან

3

პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიისადმი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ

ზიემელისის რეზოლუცია

1. მთელი ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული ძალების გაერთიანება და პარტიის მტკიცე ერთიანობა რუსეთში სრულიად აუცილებელია—განსაკუთრებით ახლა, როცა სულ უფრო და უფრო ფართოვდება მუშათა კლასის ბრძოლა. ეს ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ იმ სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ცნობენ:

ა) რომ რსდმ პარტიას ამ მომენტში არსებობა შეუძლია მხოლოდ არალეგალურად და რომ ყველა სოციალ-დემოკრატი უნდა შევიდეს არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში;

ბ) რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია აგიტაციას მასებში უნდა ეწეოდეს 1905 წლის რევოლუციურ მოთხოვნათა სულისკვეთებით, მოუწოდებდეს მუშებს სათავეში ჩაუდგნენ მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობას და იბრძოლონ ახალი რევოლუციისათვის.

ყრილობა ცნობს, რომ თითოეულ ქალაქში უნდა იყოს ერთი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელშიც უნდა შედიოდნენ ყველა ეროვნების მუშები და რომელიც უნდა მუშაობდეს ყველა

იმ ენაზე, რომლებზეც ლაპარაკობს ადგილობრივი პროლეტარიატი. ყრილობა ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატებს იწვევს ენერგიულად იბრძოლონ ნამდვილი, მტკიცე, ნამდვილად პროლეტარული ერთიანობისათვის, რომელსაც თვითონ მუშები ახორციელებენ ქვემოდან.

2. შინაპარტიული ბრძოლის ცენტრში უკანასკნელი 5 წელია დგას ლიკვიდატორული მიმართულების საკითხი. უკვე 1908 წლის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, ყოველგვარ გათიშვამდე, პარტიამ დაადგინა, რომ ლიკვიდატორობად მიაჩნია პარტიული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ცდა ლიკვიდაცია უყოს რსდმ პარტიის არსებულ ორგანიზაციას და რადაც უნდა დაუჯდეს შეცვალოს იგი უფორმო გაერთიანებით ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს აშკარად უარის თქმა პარტიის პროგრამაზე, ტაქტიკასა და ტრადიციებზე.

1910 წლის იანვარში რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარულმა სხდომამ, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ პარტიის ყველა მიმართულებანი და მიმდინარეობანი, ლიკვიდატორობა კვლავ ერთხმად დაგმო მთელმა პარტიამ როგორც „პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება“, რომელიც გამოიხატა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფით, მისი როლისა და მნიშვნელობის დაკნინებით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საპროგრამო და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდებით და ასე შემდეგ.

შემარიგებელთა ცდა რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერთიანებულიყვნენ ლიკვიდატორებთან (1912 წლის აგვისტოს კონფერენცია) უსარგებლო აღმოჩნდა, და გამაერთიანებელნი თვითონ გახდნენ ლიკვიდატორებზე იდეურ-პოლიტიკურად დამოკიდებულნი.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობა გარკვეულად გმობს ლიკვიდატორულ მიმართულებას და ადგენს გაიწვიოს თავისი წარმომადგენელი საორგანიზაციო კომიტეტიდან, რომელიც არ გამოჯვნია ლიკვიდატორებს.

3. ფართო პოლიტიკური კამპანიების მოსაწყობად ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს დაამყაროს ურთიერთობა იმ ორგანიზაციებთან, რომელთა პოლიტიკური გეზი ემთხვევა ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციებს.

4. ყრილობა მიესალმება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ინიციატივას დღის წესრიგში დააყენოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანების საქმე და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს ხელი შეუწყოს მას ყველა შესაბამისი ღონისძიებებით, ამასთან დაიცვას ამ რეზოლუციაში გამოთქმული შეხედულებანი.

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს (შემოკლებით) ჟურნალ „ეპოსის ისტორიის კანონ“-ის № 3-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო განყოფილების შექმნის შესახებ[381]

კონსპირაციული პირობების გამო იქმნება ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული განყოფილება არალეგალური ორგანიზაციული მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის.

ცენტრალური კომიტეტის ყველა განყოფილების საერთო სხდომები ეწყობა მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში, განსაკუთრებული კონსპირაციული პირობების დაცვით და მხოლოდ ორივე განყოფილების წარმომადგენელთა შეთანხმებით. ჩვეულებრივი ურთიერთობა კი წარმოებს ცალკეულ რწმუნებულ პირთა მეშვეობით.

ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას ევალება მიზნით ეწოდება მუშათა კოოპერაციული კომისია. ეს განყოფილება 1) წარმართავს პეტერბურგის კომიტეტის

მუშაობას, სისტემატურად ეხმარება მას და აღადგენს ჩავარდნების შემთხვევაში; 2) ზრუნავს ყველა ლეგალური ორგანიზაციის მუშაობის დაკავშირებისათვის პარტიული სულისკვეთებით; 3) ეძებს არალეგალური კავშირურთიერთობისა და საქმეების შენიღბვის განსაკუთრებით კონსპირაციულ ფორმებს; 4) აერთიანებს მუშაობას სრულიად რუსეთის მასშტაბით, აწესრიგებს ურთიერთობებსა და შემოვლებს; 5) განაგებს უმთავრესად პარტიული ყრილობის მომზადებას 1914 წლის აგვისტოსათვის[382].

საორგანიზაციო განყოფილების შემადგენლობას აწესებს ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგია 3—5 პირისაგან, მათი კანდიდატების ასეთივე ან ორმაგი რიცხვით.

დაწერილია 1914 წლის 2—4 (15—17) აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ჟურნალ „ისტორიის კითხვები"-ის № 3-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რეცენზია[383]

ი. მ. კოზმინიხ-ლანინი. ზეგანაკვეთური სამუშაოები მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებსა და ქარხნებში.
მოსკოვი. 1914 წ. ფასი 1 მან.

ბატონ კოზმინიხ-ლანინის ახალ სტატისტიკურ ბროშურაში, რომელიც ამას წინათ გამოვიდა, განხილულია რუსი მუშებისათვის მეტისმეტად მტკივნეული საკითხი ზეგანაკვეთურ სამუშაოთა შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ კოზმინიხ-ლანინის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მიეკუთვნება მხოლოდ 1908 წელს და შეეხება მარტოოდენ მოსკოვის გუბერნიის მუშებს. თანაც

1908 წლის ციფრები ახლა ძლიერ მოძველებული უნდა იყოს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1908 წელი სამრეწველო მოდუნების წელი იყო და რომ მას შემდეგ რუსეთის მრეწველობის განვითარებას ახასიათებს სამრეწველო აღმავლობის, ამასთანავე მუშახელზე გაძლიერებული მოთხოვნის წელი. ამას კი, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ზეგანაკვეთურ სამუშაოთა გაძლიერებული გამოყენებისათვის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

კოზმინიხ-ლანინის (მოსკოვის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორის) მონაცემებს უეჭველია ნახევრად ოფიციალური ხასიათი აქვს — შეკრებილია მეპატრონეთა გამოკითხვის გზით, ასე რომ გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ მივაქციოთ მათ უაღრესად სერიოზული ყურადღება. უწინარეს ყოვლისა — ლიტერატურა ამ საკითხზე იმდენად ღარიბია ჩვენში, რუსეთში, რომ აქ ყოველი ნაშრომი უნდა გამოვიყენოთ, ხოლო, ამას გარდა, ეს ნახევრად ოფიციალური სტატისტიკაც კი ფრიად ბევრ საგულისხმო რამეს გვაწვდის.

ბატონმა კოზმინიხ-ლანინმა გამოიკვლია მოსკოვის გუბერნიის 152 უპირატესად მსხვილი საწარმოს სულ 112 380 მუშა; ამასთან გამოკვლევაში უმეტესი ადგილი დაიკავა საფეიქრო მრეწველობამ.

ბროშურაში მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ მოსკოვის რაიონის საფეიქრო მრეწველობაში ზეგანაკვეთური სამუშაოები არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული. მაგალითად, ბამბის დამმუშავებელი 59 ათასი გამოკვლეული მუშიდან მხოლოდ 767 კაცია დასაქმებული ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე უქმე დღეებში. გაცილებით მეტი მუშა იყო ზეგანაკვეთური სამუშაოებით დასაქმებული სამუშაო დღეებში (1717 კაცი), მაგრამ აქაც პროცენტი მერყეობს საერთო რიცხვის 1—2 პროცენტის ფარგლებში. ეს გასაგებიცაა, რადგან საფეიქრო მრეწველობა ტექნიკურად ყოველ ღონემულ ღომენტში ღოითხოვს მუშახელის მეტ-ნაკლებად წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობას; მაგრამ, რაც მთავარია, 1908 წელი არ იყო მაინცდამაინც

ხელსაყრელი საფეიქრო მრეწველობისათვის. მეწარმეები ხშირად წარმოების შეკვეცით უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე საწარმოთა მწარმოებლობის გადიდებით ზეგანაკვეთური სამუშაოთა გამოყენების გზით.

სხვანაირი სურათია მრეწველობის მეორე მთავარ დარგში—ლითონდამუშავებაში. აქ ფართოდ იყენებენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებს, რომლებიც ზოგჯერ მუშათა საერთო რიცხვის თითქმის 20 პროცენტს მოიცავს.

რაც შეეხება ზეგანაკვეთურ სამუშაოთა ხანგრძლივობას, კოზმინიხ-ლანინის მონაცემებით, იგი საერთოდ მერყეობს როგორც მელითონეებისათვის, ისე ფეიქრებისათვის 25-დან 35 საათამდე ზეგანაკვეთური სამუშაოებით დასაქმებულ ერთ მუშაზე (როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებში). ციფრი ძალიან დიდია. საშუალოდ ეს 30 საათი თავისუფალი დრო, რასაც იგი ზედმეტი შემოსავლისათვის მუშაობას ანდომებს, თავისთავად მთლიანად ხელს უშლის მუშის კულტურულ და გონებრივ განვითარებას.

ვნახოთ, რას იღებენ მუშები თავიანთი შრომის, კუნთების, ნერვების გონებრივი გაფლანგვისათვის... ბატონ კოზმინიხ-ლანინს მეტად დაწვრილებით გამოუთვლია მუშათა საათობრივი ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოებისათვის სხვადასხვა დარგში. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ფეიქრებს ამ სამუშაოებისათვის საათში საშუალოდ უხდიან 15 — 16 კაპიკს—ოშვიათად მეტს. აპრილ — სექტემბრისათვის ფასები რამდენადმე მატულობს, შემდეგ დეკემბერ — თებერვალში კვლავ ეცემა 13 კაპიკამდე. განსაკუთრებით უმნიშვნელოა ხელფასი შალის საქსოვ ფაბრიკებში; მაგალითად, მარტში საათის საშუალო ანაზღაურება კვირადღისა და უქმე დღეების სამუშაოებისათვის აქ სულ 6,75 კაპიკს შეადგენდა. როგორი უნდა იყოს ჩვეულებრივი ანაზღაურება ასეთი ფასდების დროს!

ფეიქრებზე ბევრად უკეთ როდი ანაზღაურებენ, როგორც ეს ცხრილებიდან ჩანს, მელითონის შრომასაც; მისი საშუალო ხელფასი მერყეობს 13-დან 20 კაპიკამდე ზეგანაკვეთური

საათისათვის. საერთოდ მოსკოველ მელითონეთა ზეგანაკვეთური მუშაობის ფასდების მოძრაობა და სიდიდე ცხადად გვიჩვენებს, თუ რაოდენ არახელსაყრელია შრომის პირობები აქ თუნდაც პეტერბურგთან შედარებით.

მთელ ზეგანაკვეთურ სამუშაოთა შედეგად მოსკოველი მუშები მხოლოდ რაღაც გროშებს იღებენ.

მაგალითად, ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა:

ფეიქრები

		(კაპიკობით)
კვირა და უქმე დღეები...	საველდ.	408
	არასაველდ.	221
სამუშაო დღეები.....	საველდ.	353
	არასაველდ.	235

მელითონეები

კვირა და უქმე დღეები....	საველდ.	337
	არასაველდ.	184
სამუშაო დღეები.....	საველდ.	325
	არასაველდ.	231

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ კოზმინიხ-ლანინის გამოკვლევა თითქმის სრულიად არ შეხებია ზეგანაკვეთურ სამუშაოთა მთავარ კერას — წვრილ მრეწველობას (გამოკვლეულ მუშათა მხოლოდ 1,45 პროცენტი იყო დასაქმებული დაწესებულებებში, რომლებიც 100 კაცზე ნაკლებს მოიცავენ). ამასთანავე წვრილ მრეწველობაში შრომის პირობების განხილვა უეჭველად განსაცვიფრებელ შედეგებს მოგვცემდა.

„პროსვეშჩენიე" № 5, 1914
წლის მაისი
ხელმოწერა: ი. ე.

იბეჭდება
ჟურნალ „პროსვეშჩენიეს"
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება

ცენტრალური კომიტეტი მადლობას უძღვნის ბრიუსელის კონფერენციაზე[384] ცენტრალური კომიტეტის დელეგაცი-

ას პარტიული ხაზის უნარიანად და ენერგიულად დაცვისათვის, ცენტრალური კომიტეტი სთხოვს დელეგატთა კოლეგიას აირჩიოს ერთი წარმომადგენელი, რომელიც მოხსენებას გააკეთებს რსდმ პარტიის ყრილობაზე ან კონფერენციაზე 1914 წლის აგვისტოში.

დაწერილია 1914 წლის 5 ან 6 (18 ან 19) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალ „ისტორიჩესკი არხივის" № 6-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პოლონეთის ოპოზიცია ბრიუსელის კონფერენციაზე[385]

პოლონეთის ოპოზიცია მალეცკის მეთაურობით ბრიუსელის კონფერენციაზე ლიკვიდატორებს მიემხრო. ამ ხალხის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ემთხვევა. დაველოდოთ, თუ რა შედეგებს მოიტანს სამი ივლისის მათი ბლოკი ალექსინსკისთან, პლეხანოვსა და ლიკვიდატორებთან. გამოცდილებით შემოწმება ყველაზე უკეთესი შემოწმებაა.

დაწერილია 1914 წლის ივლისში, 5 (18) რიცხვის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 25

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐ „ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲝᲛᲘ"[386]

რევოლუცია და ომი

1

I. (α) 1914 VII დღეები vs I. 1905

1. დროშები — ბარიკადები
2. გაპონი — სოციალ-დემოკრატიული არალეგალური ორგანიზაცია

3. გავრცელებული ლოზუნგი — 3 ვეშაპი
4. გულუბრყვილო დამოკიდებულება — შეუპოვარი ბრძოლა
5. ორგანიზებული დამთავრება გარკვეული ლოზუნგით. („კიევსკაია მისლ“ 1917 „რუსკოე სლოვო“.)

II. გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი (პლეხანოვის გაზეთში სულელი ლ. ვ.).

III. ავსტრიისა და სერბიის ომი vs ევროპის ომი.

IV. მილიტარიზმი, იმპერიალიზმი.
თოფები თვითონ ისვრიან.
ბრძოლა ომის წინააღმდეგ
ჟორესის რევოლუცია vs გედი
რუსეთის მუშათა გამოცდილება.
საუკეთესო ომი ომის წინააღმდეგ: რევოლუცია.

2

1. ივლისის დღეები vs 9. I.
2. პოლიტიკური კრიზისი (ოქტ. 22. IV. რასპუტინი შიმშილი.)
3. მოძრაობის ზრდა და ლოზუნგების ზრდა.
4. უკუგდებული ლიკვიდატორობა და საზღვარგარეთული ჯგუფები.
5. ავსტრიის ომი სერბიასთან.
6. იმპერიალიზმი და მილიტარიზმი.
7. ომი ომის წინააღმდეგ.
8. მსოფლიო სიტუაცია და რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები.

დაწერილია 1914 წლის 15 და 18 (28 და 31) ივლისს შუა

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 25

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1914—1917 წლები

იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგის შესახებ[388]

ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგია თანამედროვე იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად. სწორედ ასეთი გადაქცევა გამომდინარეობს თანამედროვე სამხედრო კატასტროფის ყველა ობიექტური პირობიდან და მხოლოდ **ამ** მიმართულებით სისტემატური პროპაგანდითა და აგიტაციით შეძლებენ მუშათა პარტიები შეასრულონ ბაზელში[389] ნაკისრი ვალდებულებანი.

მხოლოდ ასეთი ტაქტიკა იქნება მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციური ტაქტიკა, რომელიც შეესაბამება ახალი ისტორიული ეპოქის პირობებს. #

დაწერილია არა უადრეს 1914 წლის სექტემბრისა

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 26

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გეგმა ბროშურისა „ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი“[390]

ევროპის ომი
და ევროპის სოციალიზმი

1. ომის ხასიათი: იმპერიალიზმი (როგორც ძირითადი). იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი სტადია.

2. ბურჟუაზიული ეპოქის დამდეგის ეროვნული ომები vs —→ მისი დამლევის იმპერიალისტური ომები.

ეროვნული ომი: შეაკავშირონ ეროვნული ტერიტორია როგორც კაპიტალიზმის განვითარების ბაზა, მოსპონ კაპიტალიზმამდელი ნაშთები.

იმპერიალისტური ომი: ყველა ვიწროდ გრძნობს უკვე თავს დასაღუპად განწირულ კაპიტალისტურ ხომალდში, ცდილობენ შეავიწროვონ სხვები და გაახანგრძლივონ კაპიტალიზმის არსებობა.

3. ომის დიდი ხნის (30—40 წლის) დიპლომატიური მზადება: მისი „ბუნებრიობა", „მოსალოდნელობა" (და „გადავეჩვიეთ": ადლერი საერთაშორისო ბიუროს უკანასკნელ სხდომაზე[391]).
4. ეროვნული ომის (სერბია) მეორეხარისხოვანი ხასიათი თანამედროვე ომში.
5. ბურჟუაზია იყენებს ეროვნული ომის ტრადიციას: „*La patrie*", *Luzzatti**.
6. „სამშობლო". ციტატა „კომუნისტური მანიფესტიდან". მისი გარჩევა.
7. (α) მუშებს არა აქვთ სამშობლო.
   (β) **ჯერ** ერის ფარგლებში —→ cf.** 1790—1814, 1859, 1866, 1870 წლების ომები.

ინდოეთის ან ჩინეთის ახლანდელი ომი იაპონიის წინააღმდეგ ((eventuell***))

---

* — „სამშობლო", ლუცატი. რ ე დ.
** — confer — შეადარე, დაუპირისპირე. რ ე დ.
*** — სავარაუდოდ, რ ე დ.

(γ) ისიც არა ბურჟუაზიული თვალსაზრისით

(δ) პროლეტართა ერთობლივი მოქმედების გარეშე განთავისუფლება შეუძლებელია.

(ε) ეროვნული ზღუდეების რღვევა.

8. დამოკიდებულება ამ ჭეშმარიტებისადმი: ოპორტუნისტები იცავენ ნაციონალიზმს (Jaurès-ი „L'Armée nouvelle"-ში)...[392]

(H. Wendel-ი „*Neue Zeit*"-ში, 1914, **N 19**, S. *843*; ემხრობა ჟორესს)[393].

9. მერყეობა ინტერნაციონალში: თავდაცვითი და შეტევითი ომი, ანუ „პროლეტარული ინტერესის თვალსაზრისი"?

10. ბებელისა და სხვების ძველ გახცხადებათა ციტატები და 1912 წლის რეზოლუციის მიჩქმალვა.

11. ბაზელის მანიფესტი (α) ციტატები Stuttgart-იდან
(β) სამოქალაქო ომის საფრთხე (1871 და 1905)
(γ) „დანაშაული"

12. „ინვაზიის* უბედურებანი" = სოფიზმი (კაუცკი)...
„ტოლსტოველობა" = id.**
„პრაქტიკული საკითხი: თ ა ვ ი ს ი ქვეყნის გამარჯვება ან დამარცხება" = სოფიზმი[394].
ყოველივე ეს თავს იყრის 2 ბანაკის საკითხში. დიახ, მაგრამ რომელი 2 ბანაკი? ერები თუ კლასები? რას კარგავენ მუშები სამშობლოსთან ერთად? „მარადიული" სამშობლოში.
სამშობლო, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფო და მისი საზღვრები, — სამშობლო, როგორც ენა, ტერიტორია etc.

13. სოციალისტთა პრაქტიკული მოქმედება ამ ომთან დაკავშირებით;
ომამდე: H. Wendel-ი „Neue Zeit"-ში. 1914 **N 18**.[395]
id. „*V o r w ä r t s*"

---

* — შემოსევის. რ ე დ.
** — idem — იგივე. რ ე დ.

„Leipziger Volkszeitung“ „ცარიზმთან“ ომის შესახებ

id. „*Vorwärts*“[396].

14. ომის შემდეგ: სერბიელი სოციალისტები. [შემოსევა? დაპყრობა?] გვ. 10 ამონაწერი.

15. რუსი ს.-დ.-ები (დარბაზის დატოვება ზემოქმედება არ არის შდრ. Fischer-ი[397].)

Ad 15.

რუსების „ვოლონტიორობა“ პარიზში??

(1) რუსი სოციალისტების დეკლარაცია.

(2) ლედერისა და K⁰-ის[398] „

„გოლოს“ № 9.[399]

პლეხანოვის პოზიცია

„სოვრემენოე სლოვო“ **ამონაწერები**[400]

„**გოლოს**“ **№ 3** (15. IX)[401].

სმირნოვი (ე) და პ. მასლოვი[402].

16. ფრანგი და ბელგიელი სოციალისტები.

ახრჩობენ? ამიტომ... ბურჟუაზიულ მინისტრად??

ვანდერველდე. Guesde. (ავტორიტეტები?)

კრედიტებისათვის ხმის მიცემა?

რა ვაკეთოთ? ვიქადაგოთ და ვამზადოთ სამოქალაქო ომი. გადავიდეთ არა მინისტრებად, არამედ არალეგალურ პროპაგანდისტებად!!

Vaillant-ისა და K⁰-ის **შოვინიზმი** „L'Humanite“-ში[403].

Compère-Morel-ი 1792 წლის შესახებ[404] და ...

...რუსები პოლონეთში.

საზიზღარი G. Hervé და ანარქისტ-სინდიკალისტები[405].

„დემოკრატია“ — მეჯრედა მეფესთან კავშირი??

17. ინგლისელი სოციალისტები

Hyndman-ი და გერმანული სოციალ-დემოკრატიული პრესის დამოკიდებულება მისდამი ომამდე[406].

Kair-Hardie და მაკდონალდი.

ბრძოლა თავისი ქვეყნის შოვინიზმის წინააღმდეგ.
პრუსიული მილიტარიზმი, მერედა ეგვიპტე? მერედა ქალების დამონება?
მონაწილეობა შეგროვებაში.

18. გერმანელი სოციალ-დემოკრატები. მთავარი. ჰეგემონია ინტერნაციონალში. „ვისაც მეტი მოეთხოვება"...
Haase-ს სიტყვა... ომის გამართლება[407].
კრედიტებისათვის ხმის მიცემა = ღალატი!
„ცარიზმი". სოფიზმი და სიცრუე!!
ბურჟუაზიული სიცრუე!!
Bernstein-ი „Vorwärts"-ში ენგელსის შესახებ (1859)...[408]
ენგელსი 1890[409] (contra **მერინგი**)[410]
„Hamburger Echo" *vs* „Vorwärts"[411].

19. შოვინიზმი მხეცური vs შოვინიზმი მოსაწყენი და თვალთმაქცური.

20. R. Fischer-ი და პასუხი მას[412].
(ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის დაცვა.)
„Sozialistische Monatshefte": ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის მორალური გამართლება[413].

21. ორი მიმდინარეობა გერმანულ სოციალიზმში
K. Liebknecht-ი („გოლოს" № 12[414] და ინგლისური გაზეთები).
„Bremer Bürger Zeitung"[415] — Mehring — Halle[416]
(გაუბედავი პროტესტები)...

22. ინტერნაციონალის კრახი { „Bremer Bürger Zeitung"[417] / Mehring შვეიცარიის გაზეთები / „Volksrecht"[418] } **ინტერნაციონალის კრახის შესახებ**

ფრანგებისა და გერმანელების პოლემიკა ფრანგებისა და ბელგიელების მანიფესტი (საერთაშორისო ბიუროსი?)[419].

„აღდგენილი და მოღალატეთაგან განთავისუფლებული ინტერნაციონალი“.

„მთავრობის თვალსაზრისი საფრანგეთში“
(გერმანიაში??)

„მოღალატეთაგან განთავისუფლებული ინტერნაციონალი“ („გოლოს“ № 12).[420]

23. ინტერნაციონალის კრახის

შელამაზება.

ვანდერველდე და კაუცკი

„გუგული და მამალი“.
„ორივე მართალია“
„Kleinmütige Freunde“??*

NB

Südekum-ის მოგზაურობა[421]. საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესები.

24. ინტერნაციონალის კრახის მიზეზები: ოპორტუნიზმი.
Stuttgart 1907 წ.
1910 წლის მემარცხენული თათბირი კოპენჰაგენში[422].

25. ოპორტუნისტთა იდეები და ახლანდელი ქცევა

{დანიის რეზოლუციიდან
ოპორტუნიზმის შესახებ[423].}

26. მთელი ინტერნაციონალი?
არა!!! სერბიელები
კეირ-ჰარდი
პასუხი ფიშერს.
მესამე ინტერნაციონალის ელემენტები.
ავტორიტეტები: კაუცკი, **გედი**, ვანდერველდე??
(დამოკიდებულება ავტორიტეტებისადმი)...

---

* — „სულმოკლე მეგობრები“??. რ ე დ.

27. ოპორტუნიზმი vs „ცენტრი“ ინტერნაციონალში.

„Sozialistische Monatshefte“.
სოციალ-დემოკრატიული გაზეთების უმრავლესობა.
„Vorwärts“-ის ხერხები ქაუცკი. — თვალთმაქცობა, ანუ შელამაზება.

28. მშვიდობა ომის წინააღმდეგ თუ სამოქალაქო ომი ეროვნული ომის წინააღმდეგ? (ბურჟუაზიასთან გაერთიანებულ ოპორტუნისტთა მშვიდობა.)

„მშვიდობა და მყუდროება“ — წვრილბურჟუაზიული რადიკალების, წვრილი ბურჟუაზიის ლოზუნგი (შდრ. Trevelyan & K⁰ ინგლისში[424]).

cf. „*Frankfurter Zeitung*“, ამონაწერები[425].

29. ეროვნული ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად
1871
1905

ამ გადაქცევის ისტორიული ხასიათი.

„*Weg zur Macht*“ და „**დამხობისადმი მისწრაფება**“.

ერთია ამ გადაქცევის სისწრაფე, სხვაა მისკენ მიმართულება.

30. ორგანიზაციის ლეგალურობა და არალეგალურობა

რიგა და პეტროგრადის კომიტეტი რუსეთში („რუსეთ ზნამიას“ გამოხმაურება)[426]

Contra კ. ქაუცკი და K⁰ მუშათა „პატრიოტიზმზე“ რუსეთში.

შედარება ჯართან.

„გოლოს“ № 18, სვეტი 1 და № 18, სვეტი 4.[427]

30. *bis*. „Vorwärts“ და **კლასობრივი ბრძოლა**.

(„W. C. Modell-ი 70“) [428]

უარს ნუ ვიტყვით ლეგალურ ორგანიზაციაზე, მაგრამ ნურც დავჯერდებით მას

31. „Volkskrieg“ *. დიახ!
მაგრამ აქედან გამომდინარეობს სხვა დასკვნები.

მილიცია სრულიადაც არ არის მარტო თავდაცვისათვის.
დიდება ომს და 42 cm.!![429]

32. Frank-ი და „Opfertod“-ი**
... „სოციალ-დემოკრატთა თვალსაზრისით“...

32 bis. ომმა გამოამჟღავნა როგორც მთავრობათა, ისე სოციალისტური პარტიების მთელი სისუსტე.

33. ომის უბედურებანი და მისი შედეგები.
რევოლუციური მოძრაობა — და „ცენტრის“ უბადრუკი დიპლომატიის კრახი.

33 bis. ომის რეაქციული მიზნები „*Kreuz Zeitung*“-ი[430] და „ნოვოე ვრემია“. მაკდონალდის „პესიმიზმი“?[431] ნაციონალიზმის **გაძლიერება**. უკანასკნელი ომი?

ე. სმირნოვი „რუსკიე ვედომოსტის“ № 202-ში. ნაციონალიზმი **რუსეთში**. P. S. D. და ესერები. „ვოლონტიორობა“: იხ. § 15.

34. მუშაობის მიმართულება: კრედიტების კენჭისყრა = მებუკე ომში.

(1) ხმა არ მივცეთ კრედიტებს. ეს ღალატია.
(2) თ ა ვ ი ს ი ქვეყნის შოვინისტთა წინააღმდეგ.
(3) ნუ დავჯერდებით ლეგალურ ორგანიზაციას.
(4) ნუ დავივიწყებთ ბაზელის მანიფესტს სამოქალაქო ომის საფრთხის შესახებ.

---

* — „სახალხო ომი“. რ ე დ.
** — ფრანკი და „სიცოცხლის შეწირვა“. რ ე დ.

35. მოწობამ შეიძლება კიდევ ნახევარ საუკუნეს გასტანოს სოციალისტურ რევოლუციამდე, მაგრამ რას დატოვებს ჩვენი ეპოქა, ჩვენ რა წვლილს შევიტანთ? ოპორტუნისტებისა და მოღალატეებისადმი ზიზღს თუ სამოქალაქო ომის **მომზადებას??**
მარტოვი „გოლოსის“ № 21-ში
ჯერ არ შეიძლება კომუნის ლოზუნგი: იზოლაცია ხალხთა ფართო მასებისაგან!! ?[432]

დაწერილია 1914 წლის
სექტემბერ—ოქტომბერში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

„სიმღერა შევარდენზე“-ს ავტორს

ყველა შეგნებულ მუშას გული ეტკინება, როცა ნახავს, რომ პ. სტრუვესთან ერთად შოვინისტურ-ხუცურ პროტესტს გერმანელთა ბარბაროსობის წინააღმდეგ[433] ხელს აწერს გორკი.

ერთხელ შალიაპინის მუხლმოყრის გამო საუბარში გორკიმ თქვა: „შალიაპინს მაინცდამაინც მკაცრად ვერ გაეკიცხავთ: ჩვენ, ხელოვანთ, სხვანაირი ფსიქოლოგია გვაქვსო“. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხელოვანი ხშირად მოქმედებს განწყობილების გავლენით, რომელიც ისეთ ძალას აღწევს, რომ ყოველგვარ სხვა მოსაზრებას ახშობს.

დაე, ასე იყოს. დაე, ნუ გაეკიცხავთ შალიაპინს მკაცრად. იგი მხოლოდ ხელოვანია. მისთვის უცხოა პროლეტარიატის საქმე: დღეს — მუშათა მეგობარია, ხვალ — შავრაზმელი... გუნების მიხედვით.

მაგრამ მუშები დიდი ხანია თავისიანად თვლიან გორკის. ისინი ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ გორკის მათებრ მგზნებარედ შესტკიოდა გული პროლეტარიატის საქმისათვის, რომ მან მთელი თავისი ნიჭი მიუძღვნა ამ საქმეს.

სწორედ ამიტომ სწურენ გორკის მისალმებებს, სწორედ ამიტომაა ძვირფასი ჩათვის გორკის სახელი. და შეგნებულ მუშათა ეს ნდობა გორკის აკისრებს გარკვეულ მოვალეობას — გაუფრთხილდეს თავის კარგ სახელს და ნუ მოაწერს ამ სახელს ყოველგვარ იაფფასიან შოვინისტურ პროტესტს, რომელმაც შეიძლება შეაცდინოს ნაკლებად შეგნებული მუშები. ისინი ჯერ თვითონ ვერ ერკვევიან ბევრ რამეში და შეიძლება გორკის სახელმა მათ თავგზა აუბნიოს. სტრუვეს სახელი ვერც ერთ მუშას ვერ შეაცდენს, გორკის სახელმა კი შეიძლება შეაცდინოს.

და შეგნებულმა მუშებმა, რომლებსაც ესმით „ბარბაროს გერმანელთა“ წინააღმდეგ ამ თვალთმაქცური პროტესტის მთელი სიყალბე და უხამსობა, არ შეიძლება არ უსაყვედურონ „სიმღერა შევარდენზე“-ს ავტორს. ისინი მას ეტყვიან: „მძიმე და პასუხსაგები ჟამს, რომელშიაც ახლა რუსეთის პროლეტარიატი იმყოფება, ეელოდით, რომ თქვენ მის მოწინავე მებრძოლებს ამოუდგებოდით მხარში და არა ბატონ სტრუვესა და K°-ს!“

„სოციალ-დემოკრატი“ № 34,
1914 წლის 5 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
„სოციალ-დემოკრატის“
ტექსტის მიხედვით

შენიშვნა „რედაქციისაგან“ სტატიის გამო „უკრაინა და ომი“

რედაქციისაგან

ზემოთ დაბეჭდილი სტატია ეკუთვნის „Дзвін“-ის[431] მიმართულების ერთ-ერთ თვალსაჩინო მომხრეს. ამ მიმართულებასთან მცირეოდენი ხნის წინათ გვქონდა მკვახე პოლემიკა. უთანხმოებანი ამ მიმართულების მწერლებთან ისევ გვაქვს. ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია მათი დათმობანი ნაციონალიზმის წინაშე, ჩვენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად მიგვაჩნია „კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ იდეა, ჩვენ არ ვეთანხმებით იმას, რომ პროლეტარიატის ორგანიზაციის

საუკეთესო გზაა მისი დაქუცმაცება ეროვნულ კურიებად, ჩვენ არ ვიზიარებთ მათს შეხედულებებს „არანაციონალურს“, ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს შორის განსხვავებაზე. ჩვენ, როგორც თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის მომხრენი, თავს ნებას ვაძლევთ ვიმედოვნებდეთ, რომ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი და მისი მეგობრები სათანადო გაკვეთილებს გამოიტანენ ევროპის ომის ამბებიდან.

ყოველ შემთხვევაში, მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ სწორედ ახლანდელ მძიმე მომენტში უკრაინელ მოღვაწეთა ზემოხსენებული ჯგუფი ყველაზე მეტად გრძნობს სიახლოვეს „სოციალ-დემოკრატთან“. თავიანთდა სასახელოდ მათ შეძლეს გამოჯვნოდნენ ყბადაღებულ „უკრაინის განთავისუფლების კავშირს“[435], რომლის საქმიანობას საერთო არა აქვს რა სოციალ-დემოკრატიასთან.

„სოციალ-დემოკრატი“ № 38,
1915 წლის 12 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ
„სოციალ-დემოკრატის“
ტექსტის მიხედვით

რსდმპ პარტიის საზღვარგარეთულ სექციათა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის „ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი“ მესამე პუნქტის პროექტი[436]

3. საკითხის თანაუგრძნობს რა ცენტრალური ორგანოს უფრო ხშირად გამოსვლისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციით ყოველდღიური პოპულარული გაზეთის შექმნის იდეას, კონფერენციას შესაძლებლად მიაჩნია დაიწყოს ახალი გამოცემა ძირითადი ამოცანის — ცენტრალური ორგანოს სწორად დაყენების — უზრუნველყოფის შემდეგ.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა საზღვარგარეთელ ამხანაგს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას ამ მიმართულებით, განსაკუთრებით იმას, რომ უფრო სისტემატურად

ეხმარებოდნენ ცენტრალურ ორგანოს ლიტერატურული მასალით თანამშრომელთა თათბირების მოწყობასთან დაკავშირებით და სხვ.

დაწერილია 1915 წლის 14 და 19 თებერვალს (27 თებერვალსა და 4 მარტს) შუა

დაიბეჭდა 1915 წელს ჰექტოგრაფიულ ფურცელში „რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა კონფერენცია“

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციის პროექტი[437]

ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუცია

ახლანდელი მსოფლიო ომი, ამდენი უბედურება რომ მოუტანა ყველა იმ ქვეყანას, რომლებსაც ივი მოედო, გააჩანაგა და გააპარტახა ბელგია და გალიცია, შეიწირა მრავალი ათასი მუშის სიცოცხლე, — ეს არის იმპერიალისტური ომი, რომელიც გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის მმართველი კლასების ბრძოლამ კოლონიათა განაწილებისათვის და მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის და დინასტიურმა ინტერესებმა. ივი ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა კლასისა და მთავრობების პოლიტიკის ბუნებრივი გაგრძელებაა, ამიტომ, სოციალისტური თვალსაზრისით, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს ის საკითხი, თუ პირველმა ვინ აღმართა მახვილი.

ეს ომი არათუ სრულიად არ ემსახურება მუშათა ინტერესებს, არამედ იარაღია მმართველი კლასების ხელში იმისათვის, რომ დაარღვიონ მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობა, ხოლო თითოეული ქვეყნის შიგნით დაასუსტონ მათი მოძრაობა და კლასობრივი ბრძოლა. ზუსტად ასევე „სამშობლოს დაცვის“ პაროლი, რომელიც ბურჟუაზიამ წამოაყენა და რომელსაც მხარი დაუჭირეს ოპორტუნისტებმა, სხვა არა არის რა, თუ არა სატყუარა, რომლის საშუალებითაც ბურჟუ-

აზია ცდილობს დაარწმუნოს პროლეტარიატი, რომ სიცოცხლე და სისხლი შესწიროს მის ინტერესებს.

სოციალისტ ქალთა რიგგარეშე ინტერნაციონალური კონფერენცია მხედველობაში იღებს ყოველივე ამას და, ეყრდნობა რა შტუტგარტის რეზოლუციას, რომელიც რეკომენდაციას იძლეკა ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოიყენონ იმისათვის, რომ დარაზმონ ხალხი კაპიტალისტური წყობილების დამხობის დასაჩქარებლად, კოპენჰაგენის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამია, რომ დეპუტატები მოვალენი არიან ხმა მისცენ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ, და ბაზელის რეზოლუციას, რომელიც ამბობს, რომ მუშებს დანაშაულად მიაჩნიათ ტყვია დაუშინონ ერთმანეთს, — აცხადებს, რომ მეომარი ქვეყნების სოციალისტურ პარტიათა უმრავლესობის წარმომადგენლების მოქმედება სრულიად არ ეთანხმებოდა ამ რეზოლუციებს და, გარემოებათა ზეგავლენით, მათ მართლაც რომ უღალატეს სოციალიზმს, შეცვალეს რა იგი ნაციონალიზმით; — იგი ადასტურებს, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარებს ჰყავთ მხოლოდ ერთი მტერი — მათი კლასობრივი მტერი — კაპიტალისტთა კლასი.

ამ ომით გამოწვეული საშინელი ტანჯვა-წამება ყველა ქალს, ხოლო განსაკუთრებით პროლეტარ ქალებს, უღვიძებს მშვიდობის სულ უფრო დიდ სურვილს. როცა ომს უცხადებს ყოველგვარ იმპერიალისტურ ომს, ამასთანავე კონფერენცია იმ აზრისაა, რომ მშვიდობის ამ სურვილის შეგნებულ პოლიტიკურ ძალად გადაქცევისათვის საჭიროა მუშა ქალებმა კარგად შეიგნონ, რომ მჭონებელი კლასები ესწრაფვიან მხოლოდ ანექსიებს, დაპყრობებსა და ბატონობას, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში ომები გარდაუვალია და რომ იმპერიალიზმი მთელ რიგ ომებს უქადის მსოფლიოს, თუკი პროლეტარიატს ძალა არ ეყოფა ბოლო მოუღოს კაპიტალისტურ წყობილებას, სამუდამოდ დაამხოს კაპიტალი-

ზმი. თუ მუშა ქალს სურს შეამციროს იმპერიალისტური ომების ეპოქასთან დაკავშირებულ უბედურებათა პერიოდი, საჭიროა, რომ მისი მისწრაფება მშვიდობისადმი გადაიქცეს აღშფოთებად და ბრძოლად სოციალიზმისათვის. მხოლოდ მასების რევოლუციური მოძრაობის გზით, სოციალისტური ბრძოლის გაძლიერებითა და გამწვავებით მიაღწევს მუშა ქალი თავის მიზანს ამ ბრძოლაში. ამრიგად, მისი პირველი მოვალეობაა მხარი დაუჭიროს პროფესიულ და სოციალისტურ ორგანიზაციებს და დაარღვიოს სამოქალაქო ზავი, სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ სამინისტროებში შესვლის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ბრძოლის ველზე ტრანშეებში ჯარისკაცთა დაძმობილების მხარდაჭერისა და პროპაგანდის გზით, ყველგან, სადაც მთავრობამ გაიუქმა კონსტიტუციური თავისუფლებანი, არალეგალურ ორგანიზაციათა მოწყობის გზით და, ბოლოს, მანიფესტაციებსა და რევოლუციურ მოძრაობებში მასების ჩაბმის გზით.

სოციალისტ ქალთა ინტერნაციონალური კონფერენცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშა ქალებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ბრძოლას, მოაწყონ იგი ინტერნაციონალურად და მჭიდროდ დაუკავშირონ თავიანთი მუშაობა ყველა ქვეყნის იმ სოციალისტთა მუშაობას, რომლებიც, ლიბკნეხტის მსგავსად, ებრძვიან ნაციონალიზმს და ეწევიან რევოლუციურ სოციალისტურ ბრძოლას.

ამასთანავე კონფერენცია შეახსენებს მუშა ქალებს, რომ ევროპის ყველაზე მოწინავე ქვეყნებში უკვე მომწიფდა ობიექტური პირობები სოციალისტური წარმოებისათვის, რომ მთელი მოძრაობა შედის ახალ ფაზაში, რომ ახლანდელი მსოფლიო ომი ახალ და სერიოზულ მოვალეობებს აკისრებს მათ, რომ მათი მოძრაობა შეიძლება გახდეს წინამორბედი მასების საერთო გამოსვლისა, რომელიც შეძლებს ახალი გაჭანება მისცეს მთელ სოციალისტურ მოძრაობას და მოაახლოოს საბო-

ლოო განთავისუფლების ჟამი. თუ იკისრებენ ინიციატივას დემონსტრაციებისა და რევოლუციური მანიფესტაციების მოწყობის საქმეში და მხარში ამოუდგებიან პროლეტარიატს, მუშა ქალები შეძლებენ დასაბამი მისცენ პროლეტარული ბრძოლის ახალ ერას, ბრძოლისა, რომლის პროცესში პროლეტარიატი უფრო მოწინავე ქვეყნებში სოციალიზმს მიაღწევს, უფრო ჩამორჩენილებში კი — დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1915 წლის 1 ივნისის № 42-ის დამატება

იბეჭდება დამატების ტექსტის მიხედვით

ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია[438]

1915 წლის 28 — 26 აგვისტო (5 — 8 სექტემბერი)

1

პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის პროექტის ვარიანტი

პროექტი

თანამედროვე ომი წარმოშვა იმპერიალიზმმა, ესე იგი კაპიტალიზმის უმაღლესმა სტადიამ, როცა საწარმოო ძალების განვითარება და კაპიტალის ზრდა გასცდა ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოთა ვიწრო ჩარჩოებს და „დიდ“ სახელმწიფოებს უღვიძებს მისწრაფებას დაიმონონ სხვა ერები და ხელთ იგდონ კოლონიები, როგორც ნედლეულის წყაროები და კაპიტალის გატანის ადგილები.

სოციალიზმის ობიექტური პირობები სავსებით მომწიფდა და დიდი სახელმწიფოები ახლანდელ ომში იბრძვიან იმისათვის, რომ ხელოვნურად გაახანგრძლივონ კაპიტალიზმის არსებობა კოლონიათა დამოკიდებულების შენარჩუნებისა და გაძლიერების,

მსოფლიო ბაზარზე პრივილეგიათა მოპოვების, მუშათა ინტერნაციონალური რევოლუციური ბრძოლის გათიშვისა და ჩახშობის გზით.

სოციალ-დემოკრატები საესებით ცნობენ ყველა ერის თავისუფლების აუცილებლობას. ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქაში ისინი ცნობდნენ სამშობლოს დაცვას, — და ახლაც ცნობენ მჩაგვრელების, „დიდი" სახელმწიფოების, წინააღმდეგ ჩაგრულ ერთა (განსაკუთრებით კოლონიათა) ომის კანონიერებას.

მაგრამ დიდი სახელმწიფოების ახლანდელი ომი—ეს არის მონათმფლობელთა ომი მონობის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, კოლონიათა ხელახალი განაწილებისათვის, სხვა ერების ჩაგვრის „უფლებისათვის", დიდმპყრობელური კაპიტალის პრივილეგიებისათვის, მუშათა მოძრაობის რეაქციული ჩახშობისათვის. ამიტომ სახელმწიფოთა ორივე მეომარი ჯგუფის ფრაზები „სამშობლოს დაცვის" შესახებ სხვა არა არის რა, თუ არა ხალხის მოტყუება ბურჟუაზიის მიერ. ვერც რომელიმე ახლანდელი მთავრობის გამარჯვება და ვერც **status quo ante bellum*** ვერ დაიცავს ერთა თავისუფლებას დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან და ვერც რიგიანი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს მუშათა კლასს, რომელსაც ყველაზე თავისუფალ ქვეყნებშიც კი სულ უფრო მძიმე ტვირთად აწევება სიძვირე, ტრესტები, მილიტარიზმი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური რეაქცია.

„სამშობლოს დაცვის" ლოზუნგის ნამდვილი მნიშვნელობა ამ ომში — ეს არის დიდმპყრობელურ პრივილეგიათა და უპირატესობათა დაცვა, ამა თუ იმ ბურჟუაზიის მიერ სხვა ერების ჩაგვრის „უფლების" დაცვა, ეს არის ნაციონალ-ლიბერალური პოლიტიკა მუშების მიმართ, ეს არის მუშათა მცირე ნაწილის კავშირი „თავის" ეროვნულ ბურჟუაზიასთან პროლეტართა და ექსპლოატირებულთა მასის წინააღმდეგ. სოციალისტები, რომლებიც ასეთ პოლიტიკას ადგანან, სინამ-

---

* — ომამდე არსებული მდგომარეობა. რ ე დ.

დვილეში შოვინისტები, სოციალ-შოვინისტები არიან. სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის, სამინისტროებში შესვლის, Burgfrieden-ის პოლიტიკა და სხვა მისთანანი—ეს არის ოპორტუნიზმის პოლიტიკა, ეს არის სოციალიზმის ღალატი. და მუშათა კლასი ვერ მიაღწევს შრომის ემანსიპაციის თავის დიად მიზნებს, თუ გაბედულად არ იბრძოლა ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

ბაზელის 1912 წლის მანიფესტმა, ერთხმად რომ მიიღეს დიდ სახელმწიფოთა შორის სწორედ ასეთი ომის მოლოდინში, ომისა, რომელიც კიდევაც დაიწყო, გარკვეულად ცნო ამ ომის რეაქციული, იმპერიალისტური ხასიათი და მკაფიოდ განაცხადა, რომ ახლოვდება პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა სწორედ ამ ომთან დაკავშირებით. და მართლაც, ომმა შექმნა რევოლუციური სიტუაცია, წარმოშვა რევოლუციური განწყობილება და მღელვარება. სოციალ-დემოკრატთა ამოცანაა მხარი დაუჭირონ და განავითარონ ყოველივე ეს, ხელი შეუწყონ მასების რევოლუციური შეგნების გაღვიძებას და მათი შეგნების განთავისუფლებას ბურჟუაზიული და სოციალისტური შოვინიზმის სიცრუისაგან, ხელი შეუწყონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმისათვის რევოლუციური მასობრივი ბრძოლის ყოველგვარ ცდებს, ესწრაფოდნენ გადააქციონ იმპერიალისტური ომი სოციალიზმისათვის სამოქალაქო ომად.

სოციალ-დემოკრატებმა რევოლუციური აგიტაციის გასაძლიერებლად უნდა გამოიყენონ მასების სულ უფრო მზარდი მისწრაფება მშვიდობისადმი, რაც მასების გულგატეხილობასა და მათი რევოლუციური შეგნების გამოღვიძებას გამოხატავს. მაგრამ ამასთანავე სოციალ-დემოკრატებმა არ უნდა მოატყუონ ხალხი და არ უნდა დააიმედონ, თითქოს შესაძლებელი იყოს სწრაფი, რამდენადმე მტკიცე, დემოკრატიული, ერთა ჩაგვრის გამომრიცხველი ზავი ახლანდელ მთავრობათა რევოლუციური დამხობის გარეშე.

დაწერილია 1915 წლის
13 (26) ივლისამდე

პირველად დაიბეჭდა
1937 წელს
ლენინის XXX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

თეზისები მოხსენებისა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა თათბირზე[439]

თეზისები:

1. ომის ფაქტი და შედეგები. საერთო სურათი.
2. იმპერიალისტური ხასიათი
   1) კოლონიური ძარცვა-გლეჯა
   2) ერების ჩაგვრა
   3) მსოფლიოს განაწილება.
3. მიზნის გამომჟღავნება.
4. მისი ხასიათის ფალსიფიკაცია
   ა) ხალხთა განთავისუფლება — ჩაგვრა
   ბ) დემოკრატია — დესპოტია (რეაქცია?)
   გ) კულტურა — ომის ბარბაროსობა
   დ) კეთილდღეობა — სოციალური რეფორმები
   ე) კაპიტალისტთა შემოსავალი — სიძვირე!
5. კაპიტალიზმი (ტროცკი).

   (ბურჟუაზიული სამყაროს რღვევა)...
6. კაპიტალიზმის ყველაზე ძლიერი კრიზისის მომენტში, **რომელიც** (კრიზისი) უდიდეს მსხვერპლს უქადის პროლეტარიატს, მას მოუწოდებენ დაიცვას კაპიტალიზმი, მოითხოვენ სამოქალაქო ზავს.
7. ბრძოლა ომის წინააღმდეგ...
8. კონგრესების გადაწყვეტილებანი...
9. ოფიციალური პარტიები — ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

   კრედიტებისათვის ხმის მიცემა
   შესვლა სამინისტროში
   ბლოკისათვის

   სამშობლოს დაცვა.
10. უმცირესობათა (და პარტიათა) ბრძოლა ომის წინააღმდეგ.
11. მუშათა კლასის დაბრუნება თავისი ამოცანისადმი.
12. საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.
13. კრება ბერნში[440]. (**კავშირის** შექმნა.)
14. კლასობრივი ბრძოლის დროშა.

15. ა) მეომარი ქვეყნების გამოსვლა...
    ბ) ნეიტრალური „ „ ...
16. საერთაშორისო ხასიათი.
17. ზავის პირობები.
18. მოწოდება.

დაწერილია 1915 წლის 19 და 23 აგვისტოს (1 და 5 სექტემბერს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 27

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან და გერმანულიდან

3

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲪᲘᲛᲔᲠᲕᲐᲚᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

1) ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი და ძარცვა-გლეჯა
2) რევოლუციური პროლეტარიატის ყურადღების ჩამოშორება და მისი მოძრაობის დასუსტება...
3) ბურჟუაზიის სოფიზმების მხილება, — ერთი ჯგუფი
   — მეორე
4) devoir socialiste...*

5)	ციტატა	ქვ. 5. გვ. 5 ზემ. — 7. გვ. 5 ზემ. 1
6)	გერმანელი სოციალ-დემოკრატები ვერ მოიმიზეზებენ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ	
7)	გერმანელ ბელადთა მოქმედებას ჩვენი პრესა ჩვენ გვაყვედრის	
8)	ციტატა, გვ. 8, Même-ს სიტყვის დასასრულიდან	1/2 გვ.

* — სოციალისტთა ვალი... რედ.

9) რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ვოტუმით და **არალეგალური პროკლამაციით**=remplit son devoir*
10) II ინტერნაციონალის გაკოტრების მიჩქმალვა მავნეა, განსაკუთრებით მავნეა „ცენტრი“
11) ეს გაკოტრება ოპორტუნიზმის გაკოტრებაა | გვ. 11 | 1 |
12) შოვინიზმი რუსეთში თვით სოციალ-დემოკრატთა ნაწილამდე
13) ნაკლები ბოროტება — ცარიზმის დამარცხება
14) არალეგალური ორგანიზაცია და აგიტაცია

| ციტატა (15 და 16 ბოლო) | 1 |

დაწერილია 1915 წლის 23 და 26 აგვისტოს (5 და 8 სექტემბერს) შვეიცარიაში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ე. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 27

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

4

გამოსვლები ომისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ მანიფესტისა და რეზოლუციის პროექტის განხილვისას

25 აგვისტო (7 სექტემბერი)

1

გარდაუვალი იყო, რომ აქ საქმე უნდა მისულიყო ჩვენსა და ლედებურს[441] შორის აზრთა ბრძოლამდე. მაგრამ მე პროტესტი უნდა განვაცხადო იმ ხერხის წინააღმდეგ, რომლითაც ლედებური აქ თავს ესხმოდა რადეკს. შეუწყნარებელია იმის მტკიცება, რომ ჩვენს მანიფესტს ხელს აწერენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სამშვიდობოს გრძნობენ თავს. მას ხელი მოაწერეს აგრეთვე ლატვიელმა დელეგატებმა და ბორჰარდტმა. ძველი და გაცვეთილია აგრეთვე არგუმენტი, რომლის დახმარებითაც ამტკიცებენ, თითქოს არ უნდა მოვუწოდებდეთ

* — მოიხადა თავისი ვალი. რ ე დ.

მასებს რევოლუციური მოქმედებისათვის, თუ თვითონ უშუალოდ არ შეგვიძლია მონაწილეობის მიღება. შემდეგ, მე უარყოფ, რომ არ შეიძლება ბრძოლის საშუალებებზე ლაპარაკი. ეს ხდებოდა ყველა რევოლუციურ პერიოდში. საჭიროა ეს საშუალებანი გავაცნოთ მასებს, რათა მათ იმსჯელონ და განიხილონ ისინი. ჩვენ რუსეთში მუდამ ასე ვიქცეოდით; სწორედ ბრძოლის საშუალებათა განმარტება უკვე იყო რევოლუციის წინა წლებში პლეხანოვისა და ჩემი კამათის საგანი. როცა 1847 წელს ობიექტურმა ისტორიულმა ვითარებამ გერმანია რევოლუციის წინაშე დააყენა, მარქსმა და ენგელსმა ლონდონიდან მიმართეს მოწოდებით გამოეყენებინათ ძალადობა[442]. გერმანიის მოძრაობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ ახლა ჩვენში მართლაც წინადღეა იმ რევოლუციური ეპოქისა, როცა მასები რევოლუციურ ბრძოლაზე გადავლენ, ამ ბრძოლისათვის აუცილებელი საშუალებანიც უნდა მოვიხსენიოთ. დავიდისა და სხვების რევიზიონისტული გაგებით, ეს, თავისთავად ცხადია, უსარგებლოა: მათ ხომ სრულიად არ სჯერათ, რომ ჩვენ რევოლუციური ეპოქის კარიბჭესთან ვდგავართ. ჩვენ, ვისაც გვჯერა ეს, სხვაგვარად უნდა ვმოქმედებდეთ. რევოლუციას ვერ მოვახდენთ რევოლუციური ტაქტიკის განუმარტავად. სწორედ ეს იყო მეორე ინტერნაციონალის ყველაზე უარესი თვისება, რომ იგი ყოველთვის თავს არიდებდა ახსნა-განმარტებას, და ეს არის სწორედ ის, რასაც ჰოლანდიელი ტრიბუნისტ-მარქსისტები[443] სრულიად სამართლიანად უწოდებდნენ გერმანიის ცენტრის „პასიურ რევოლუციურობას“.

ახლა შევეხოთ დევნის საკითხს. თქვენ გერმანიაში საერთოდ მარტო ლეგალურად როდი უნდა მოქმედებდეთ, თუ ნამდვილი მოქმედება გსურთ. თქვენ ლეგალურ საქმიანობას უნდა უხამებდეთ არალეგალურს. ძველი მეთოდები ახალ ვითარებაში აღარ გვაკმაყოფილებენ. თქვენ თვითონ ამბობთ: მხარს ვუჭერთო დიადი კლასობრივი ბრძოლების ეპოქას. მაშინ სამუალებანიც უნდა გქონდეთ საამისოდ. და სრულიადაც არ არის აუცილებელი სცემდეთ ხელმოწერილ მანიფესტს, იგი ხელმოუწერლადაც შეიძლება გამოიცეს. ყოველ შემთხვევაში თქვენ არ უნდა მოქმედებდეთ ნახევრად ლეგალურად, როგორც, მაგალითად, კლარა ცეტკინი. ეს ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

საქმის ვითარება ასეთია: ან ნამდვილად რევოლუციური

ბრძოლა, ან მხოლოდ ფუჭი ლაყბობა, რომელიც დაეხმარება მხოლოდ დეზერტირებს, რომელთა წინააღმდეგ ასე მკვახედ ილაშქრებს ლიბკნეხტი ამ წერილში[444]. მოითხოვდე ზავს — ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავს. დავიდი აგრეთვე წერს: ჩვენ ვიბრძვით არა ომისათვის, არამედ მხოლოდ დამარცხების წინააღმდეგ. ყველას სურს ზავი. ჩვენ, ახალი სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე, უნდა გამოვიყენოთ ბრძოლის ახალი, თავისებური საშუალებანი, რომლებიც სრულიად არ უნდა ჰგავდეს არც ძველ გერმანულ, არც რუსულ საშუალებებს.

2

. არ ვეთანხმები სერატის იმაში, თითქოს რეზოლუცია იქნება ან ძალიან ადრე, ან ძალიან გვიან[445]. ამ ომს მოჰყვება კიდევ სხვა, უმთავრესად კოლონიური ომები. თუ პროლეტარიატმა არ გადაუხვია სოციალ-იმპერიალიზმის გზას, პროლეტარული სოლიდარობა მთლიანად დაირღვევა, ამიტომ უნდა განვსაზღვროთ ერთიანი ტაქტიკა. თუ ჩვენ მივიღებთ მხოლოდ მანიფესტს, ვანდერველდე, „L'Humanité" და სხვები კვლავ მოატყუებენ მასებს; ისინი ილაპარაკებენ, რომ ჩვენც ომის წინააღმდეგი და ზავის მომხრენი ვართო. და იგივე გაუგებრობა იქნება, რაც დღემდე იყო.

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება კონფერენციის ოქმების მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

5

ციმერვალდის მემარცხენე ფრთის განცხადების დამატებანი[446]

№ 1. noch die wichtigste Frage des Opportunismus berührt, noch die besonders schädliche Rolle des s.-d. Zentrums aufdeckt*.

№ 2. ჩვენ ხმას ვაძლევთ, კერძოდ, იმიტომ, რომ ორმა ფრანგმა ამხანაგმა გამოთქვა დიდმნიშვნელოვანი მოსაზრება. სწორედ მათ აღნიშნეს, რომ მეტისმეტად დაბეჩავებუ-

* — არც ოპორტუნიზმის უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხება, არც სოციალ-დემოკრატიული ცენტრის განსაკუთრებით მავნე როლს აშკარავებს. რედ.

ლი არიან მუშები საფრანგეთში, რომ უკიდურესად გაირყვნენ ისინი რევოლუციური ფრაზით, რომ საჭიროა ნელი და ფრთხილი გადასვლა გაბედულ ტაქტიკაზე. მაგრამ მთლიანად ევროპაში მუშათა მოძრაობის მტერია სწორედ ოპორტუნიზმი.

დაწერილია 1915 წლის
26 აგვისტოს (3 სექტემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIV კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ერთა თვითგამორკვევის უფლება[447]

გერმანიის სოციალ-დემოკრატია II ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერი და ყველაზე გავლენიანი პარტია იყო. ამიტომ იგი, ერთი მხრივ, ყველაზე მეტად აგებს პასუხს მისი კრახისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მისი მაგალითი, მისი გამოცდილება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ კრახის მიზეზების შესწავლისა და ამ პარტიის ჩამხშობი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების, საშუალებების, გზების ანალიზისათვის.

ოპორტუნიზმმა, რომელმაც ჩაახშო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და გადააქცია იგი ნაციონალ-ლიბერალურ მუშაობა პარტიად, 1914 — 1915 წლების ომში სოციალ-შოვინიზმის ფორმა მიიღო.

დაწერილია 1915 წელს

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
ლენინის XXX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შესწორებანი და დამატებანი გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირზე მიღებული მიმართვისა „ყველა მიმხრობილი პარტიისა და ჯგუფისადმი“

Änderungsvorschläge:*

1. უფრო ზუსტად და გარკვევით აღინიშნოს, როგორია პოლიტიკურ-კლასობრივი მნიშვნელობა და რატომ არის პრინციპულად მცდარი „ოფიციალურ პარტიათა“ და „II ინტერნაციონალის“ ტაქტიკა...

* — წინადადებანი ცვლილებათა შესახებ. რედ.

(a) სამშობლოს დაცვა=იმპერიალისტური ბურჟუაზიის, მის მიერ ერთა ძარცვისა და ჩაგვრის დაცვა
(b) კავშირი ოპორტუნიზმთან
(c) კავშირი თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

2. „Bruch des Burgfriedens“ *-ის განსაზღვრა.
უარის თქმა ყველა იმ დაწესებულებაში მონაწილეობაზე, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მზარს უჭერენ ომს.

αβ+Unterjochung der Nationen**. ამოვიღოთ ბოლო „In der Aera“-ს შესახებ... ***

+ მისალმებანი ლიბკნეხტსა და რიულეს

3. Nicht nur „geeignete“, sondern illegale Literatur, das heißt *freie*, nicht der Zensur unterordnete****.

γ ohne zu sagen, daß die Niederwerfung dieser Regierung dazu nötig*****

+

4. გაფიცვები (ეკონომიური და პოლიტიკური) და დემონსტრაციები.
5. +bis zur Revolution******.
6. + ციტატები მოვიყვანოთ არა მარტო შტუტგარტის რეზოლუციიდან, არამედ ბაზელის რეზოლუციიდანაც: სროლა დანაშაულია, კომუნა, ხუთი წელი.

დაწერილია 1916 წლის 23 და 27 იანვარს (5 და 9 თებერვალს) შუა პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 27

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — „სამოქალაქო ზავის მსხვრევა“. რ ე დ.
** — ერთა დამონება. რ ე დ.
*** — „მთელი ეპოქის განმავლობაში“. რ ე დ.
**** — არა მარტო „შეგუებული“, არამედ არალეგალური. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს უ ფ ა ლ ი, ცენზურას დაუქვემდებარებელი ლიტერატურა. რ ე დ.
***** — ნუ ვიტყვით, რომ ამისათვის აუცილებელია ამ მთავრობის დამხობა. რ ე დ.
****** — თვით რევოლუციამდე. რ ე დ.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲐᲢᲘᲡᲐ

2 ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი

განმეორ.

1. თემა: არა შეფასება ომისა (>1 წელზე ნაკლები ხნის წინათ და მოძვ.), არამედ (ორი) ძ ი რ ი თ ა დ ი ხ ა ზ ი მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის განვითარებაში.

*Alias**: არა შ ე ფ ა ს ე ბ ა ომისა და ტაქტიკის **პრინციპებისა**, არამედ შეფასება განვითარებისა, რომელიც მიეცა მუშათა მოძრაობის განვითარებას. ამიტომ მთავარია: მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის ფაქტები (ფართო მასშტაბით) და სხვადასხვა ქვეყნის შ ე დ ა რ ე ბ ა.

2. შ ე ს ა ვ ა ლ ი. Huysmans Arnhem-სა და როტერდამში vs Wijnkoop et *Henriette Roland-Holst* „*B e r n e r T a g w a c h t*“-ში [449].

?+შდრ. „A *v a n t i* !“ (12. II. 1916)? [450]

„Vorwärts“ **

2a *E t w a****:

1. რუსეთი: პატრიოტები (პლეხანოვი & K⁰) — საორგ. კ. და ტროცკი („ნაშე სლოვო“)
2. გერმანია: უმრავლესობა — კ. კაუცკი & K⁰ —
3. საფრანგეთი: უმრავლესობა — Longuet & C⁰ —
4. ინგლისი: უმრავლესობა (Fabian Society, Labour Party [452],

---

* — ან. რ ე დ.

** სიტყვა „Vorwärts“ ვ. ი. ლენინს ფანქრით ჩაუწერია, როგორც ჩანს, მოგვიანებით. რ ე დ.

*** — დაახლოებით. რ ე დ.

„ორი ინტერნაციონალი“[448]

თემა:

ასე ვთქვათ, თეორიის შემოწმება მსოფლიო მუშათა და სოციალისტური მოძრაობის გამოცდილებით.

NB;

საორგ. კ. -ს: (1) გადაბრალება მუშებისათვის; (2) ლიკვიდატორებთან კავშირის დაყოფა.

— ცკ.
— უმცირესობა. „I. S. D.“ * — (*Rühle*) — *Winnig*
— ბურდერონი & C°. ‖ ბურდერონის რეზოლუცია ‖ **კორესპონდენციები** „*Labour Leader*“-ში[451]
Hyndmann) — Askew (?)** — „Forward“[453].
„Glasgow Socialist“[455] | NB: „Merthyr“[454] NB |
{ორნატსკი „ნაშე სლოვოში“[456]} (განხეთქილება Labour Party-სთან) | **წერილები** „*Labour Leader*“-ში |

* — „Internationale Sozialisten Deutschlands“ — „გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები“. რ ე დ.
** — (ფაბიანელთა საზოგადოება, ლეიბორისტული პარტია, ჰაინდმანი) — ასკიუ (?). რ ე დ.

5. იტალია: უმცირესობა (ბისოლატი) —
6. ა ვ ს ტ რ ი ა: უმრავლესობა (Pernerstorfer)
7. ამერიკა: Russel --- (Hillquit)
8. ავსტრალია. უმრავლესობა (მთავრობის პარტია)

3. რ უ ს ე თ ი. **სამხედრო-სამრეწველო** კომიტეტების არჩევნები.

ცკ-ის **პირველი** არჩევნები (+ მერყევნი) + **თავდაცვის ბლოკი** (ლარინი). ბურჟუაზიისა და მთავრობის აღშფოთება. გვოზდევის ბეზღი. **მეორე** არჩევნები. შოვინისტთა გამარჯვება.

„ნაშე დელო“[459] + „ნაშ გოლოს“[460] + „რაბოჩეე უტრო“[461] საორგ. კ.

ტროცკი და „ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო“ (ჩხეიძის ფრაქცია?)

ცკ

მარტოვის ევოლუცია: „„Vorwärts“-ი მოკვდა“-დან და „არ წავალთ ინტერნაციონალში“ — **„ნაშე დელოსთან“** კავშირის დაცვამდე (ბორეცკი).

იქნებ ეს ჩინებული „დიპლომატია“ იყოს, მაგრამ **სოციალიზმის ნ ა ტ ა მ ა ლ ი ც ა რ ა რ ი ს.**

შედეგი: ორი ხაზი რუსეთის მუშათა მოძრაობაში. მხოლოდ ორი (დანარჩენი გაქრა).

მათი **კლასობრივი საფუძველი:**

(α) კავშირი საკუთარ ბურჟუაზიასთან =

(β) კავშირი ინტერნაციონალურ პროლეტარიატთან =

მათი **იდეები**: „თავდაცვისათვის“ („სამშობლოს დაცვა“); („ობორონცები“);

„სამშობლოს დაცვის“ წინააღმდეგ... (შდრ. ციმერვალდის მანიფესტი)*

4. **გერმანია.**

ბრძოლა ფრაქციის შიგნით: Liebknecht und *R ü h l e* 2 და *20* (მათი არათანამიმდევრულობა)[464].

---

* მე-2 და მე-3 პუნქტები ხელნაწერში წაშლილია ფანქრით. რ ე დ.

იტალიის ოფიციალური პარტია. („Avanti!“ 12. II. 1916)
—Adler — უმცირესობა. (კორესპონდენცია „*Berner Tagwacht*“ ში[457])
——— Debs (*Deb s*-ის[458] სტატიები) („ბომბები და დოლარები“)
—?—— სოციალისტები.

„... არა თავდაცვისათვის, არამედ ორგანიზაციისათვის...“

სოციალ-შოვინისტები მასხარად იგდებენ მარტოვს (ბორეცკი „**ნაშე სლოვოში**“).

N B: სტოლიპინის „**ხვოსტოვის მუშათა პარტია**“[462]

= „საკუთარი“ ბურჟუაზიის განმტკიცებისათვის (= ომისათვის)
= პროლეტარული ინტერნაციონალური რევოლუციისათვის

+ აქ არის „Europa und die Revolution“ ?[463]

ბროშურა „Fall Liebknecht“ * „რეგენერაცია“ „ნაციონალურ-ლიბერალური პარტია“.

* — „ლიბკნეხტის საქმე“. რედ.

Borchardt და „*Lichtstrahlen*“[465]
Winnig.
Rühle და „*Vorwärts*“-ის პასუხი (გარჩევა)[466].

{ (α) არალეგალური ლიტერატურის გავრცელება და არალეგალური ორგანიზაცია.
(β) მთავრობისათვის ხელშეწყობა. }

5. **საფრანგეთი.**

(1) Vaillant-ი „*L'Humanité*“-ში (წერილები?)[468]
(„სისხლიანი ბამბით დაიხშეს ყურები“, „დოქტრინიორები“ etc. etc.)

{{ (2) Merrheim-ის სიტყვა ციმერვალდში:
„le parti, le gouvernement et les Jouhaux ne sont que trois têtes sous un bonnet“ *. }}

(3) ბურდერონის რეზოლუცია ((მისი ტექსტის გარჩევა)).
(4) კორესპონდენცია „Labour Leader“-ში **გაფიშვის შესახებ.**

6. **ინგლისი.**

უმრავლესობა (მონაწილეობა სამინისტროში) თავდაცვა.

„The New Statesman“[470] (და მისი დამოკიდებულება) (Labour Party + Fabian Society).

contra B. S. P., სადაც 3/7 ინტერნაციონალისტია

„Glasgow Socialist“ ((გარცხადება ციმერვალდში[471])).
წერილები „Labour Leader“-ში.
სტატია **ღალატის** შესახებ.
Merthyr.

7. **იტალია.**

ბისოლატი — პარტია
(Treves-ი და მისი სიტყვა[473])

{ **იტალია**: ბისოლატი და მუშათა პარტია
ბულგარეთი: ტესნიაკები[474] და შიროკები
შვეიცია: ბრანტინგი და ჰეგლუნდი
ჰოლანდია: ტრულსტრა და „Tribune“[475]. } **

---

* — „პარტია, მთავრობა და ყველა სხვა არა არის რა, თუ არა ერთჩაჩიანი სამი თავი“. რ ე დ.

** მე-7 პუნქტი ხელნაწერში წაშლილია ფანქრით. რ ე დ.

დემონსტრაცია ბრაუნშვაიგში[467].
(გაფიცვა ჰანოვერში.)

Saumoneau-ს[468] ფურცელი.

(Brizon & C⁰ კინტალში)*.

Lloyd George Glasgow-ში და მუშათა პასუხი.

ბრიტანეთის სოციალისტური პარტია (ჰაინდმანის წასვლა[472]) **.

* ტექსტი სიტყვიდან „„რეგენერაცია“ სიტყვებამდე „(Brizon & C⁰ კინტალში)“ ვ. ი. ლენინს ფანქრით დაუწერია, როგორც ჩანს, მოგვიანებით. რ ე დ.

** ტექსტი ვ. ი. ლენინს ფანქრით ჩაუმატებია, როგორც ჩანს, მოგვიანებით. რ ე დ.

8. **ავსტრია.**

პერნერსტორფერი „*Neue Zeit*“-ში[478] — V. Adler-ი — **ინტერნაციონალისტები**...

idem: რეზოლუცია ვ. ადლერისა და „15“ *-ისა

9. **ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები.**

(„განზე გავდგეთ და ვუყუროთ“...)
Russel (V. Berger & C°) „preparedness“-თვის. „Jingo“
Hillquit-ი = დიპლომატი**
Debs-ი და მისი სტატიები.

10. **ავსტრალია.**

კორესპონდენცია „**Berner Tagwacht**“-ში[477].
სტატია „New Statesman“-ში
(J. K.[478])***.

11. **შენიშვნები.**

ს. კაუცკი წერილში ბუკვოედისადმი... id. „Neue Zeit“-ში ბევრჯერ. სიყალბე და სიცრუე. } „არ არის 2 მიმართულება“

კ. კაუცკი ბრატშ. კორესპონდენციაში („ან ძველი ინტერნაციონალი, ან ნახევარი დუქინი“).
ორი და მხოლოდ ორი.
მთელ მსოფლიოში.

„მთა“ და ჟირონდა (პლეხანოვი № 2 „ისკრაში“, 1901 წ. „XX საუკუნის ზღურბლზე“).

„ახალგაზრდები 2 $“ და კაპიტალისტური „brain“**** „Appeal to Reason“-ში[478].

არა დიპლომატიური შენიშვნა („ს.-პეტერბ. ჭყაპი“ — კაუცკისებურიVaut mieux dire*****), არამედ მასებისათვის განმარტება.
გათიშვის გარდაუვალობა.

---

* ტექსტი ვ. ი. ლენინს ჩაუწერია ფანქრით, როგორც ჩანს, მოკვიანებით. რ ე დ

** ტექსტი სიტყვიდან „„Jingo““ სიტყვამდე „დიპლომატი“ ხელნაწერში წაშლილია ფანქრით. რ ე დ.

*** ტექსტი სიტყვიდან „სტატია“ სიტყვამდე „(J. K.)“ ლენინს ფანქრით ჩაუწერია, როგორც ჩანს, მოგვიანებით. რ ე დ.

**** — აზროვნებით. რ ე დ.

***** — ჯობს ითქვას. რ ე დ.

დიპლომატია — თვალთმაქცობა — მერყეობა — თავის მოტყუება?

მთავარი სიტყვა როდია.		
Axelrod-ი და მარტოვი	რუსეთში	
კ. კაუცკი და Haase	გერმანიაში	ერთი
Longuet et	საფრანგეთში	ტიპი
Pressman		
Hillquit ამერიკაში		
Askew და სხვ. ინგლისში		

ΣΣ = ჰიუისმანსი*.

* ტექსტი სიტყვიდან „დიპლომატია" სიტყვამდე „ჰიუისმანსი" ვ. ი. ლენინს ფანქრით წაუშლია. რ ე დ.

რევოლუცია (შდრ. *L'information* +Europa *und die* Revolution)*

„ისკრა“ № 2 (1901): მთა და ჟირონდა.
ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ { ბერნშტაინი. მილიერანიზმი და ჟორესიზმი. ინგლისური ლიბერალური პოლიტიკა მუშათა მიმართ. გათიშვა მთელ რიგ ქვეყნებში. }

ომმა დააჩქარა
განვითარება — — რღვევისა
ორივე მხარეს.
Quid est Kienthal?**

დაწერილია 1916 წლის 30 იანვარსა და 4 თებერვალს (12 და 17 თებერვალს) შუა

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 27

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნა თეზისებისათვის „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“

არის ერთგვარი მსგავსება იმათ შორის, თუ როგორ უნდა მივიდეს კაცობრიობა კლასების მოსპობამდე და როგორ უნდა მივიდეს იგი ბოლოს ერების შერწყმამდე. სახელდობრ: კლასების მოსპობამდე მივყავართ მხოლოდ ჩაგრული კლასის დიქ-

---

* ტექსტი სიტყვიდან „ახალგაზრდები“ სიტყვამდე „Revolution“ ვ. ი. ლენინს ფანქრით წაუშლია. რ ე დ.

** — რა არის კინტალი? ტექსტი სიტყვებიდან „„ისკრა“ № 2“ ბოლომდე ვ. ი. ლენინს ფანქრით დაუწერია, როგორც ჩანს, მოგვიანებით. რ ე დ.

ტატურის გარდამავალ სტადიას. ერების შერწყმამდე მივყავართ მხოლოდ ჩაგრული ერების განთავისუფლებას, ეროვნული ჩაგვრის ნამდვილ აღმოფხვრას, და ამ სინამდვილის კრიტერიუმი პოლიტიკური თვალსაზრისით სწორედ გამოყოფის თავისუფლებაა. გამოყოფის თავისუფლება საუკეთესო და ერთადერთი პოლიტიკური საშუალებაა პატარა სახელმწიფოთა და ეროვნული განკერძოებულობის იდიოტური სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც, კაცობრიობის საბედნიეროდ, გარდაუვალად არღვევს კაპიტალიზმის მთელი განვითარება.

დაწერილია 1916 წლის
იანვარ—თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
ლენინის XXX კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

პროექტი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ჟურნალ „კომუნისტის“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ[480]

არ არის განკუთვნილი პრესისათვის:

მხედველობაში ვიღებთ რა,

(1) რომ „კომუნისტი“ დააარსა—დროებით და ცდის სახით—ფედერაციულად შედგენილმა რედაქციამ, როცა ცენტრალური ორგანოს რედაქციასა და რედაქციის, როგორც მთელის, დანარჩენ ნაწილს არავითარი უთანხმოება არ ჰქონდათ არც ერთ არსებითს საკითხზე;

(2) რომ „კომუნისტის“ № 1 — 2-ის შემდეგ რედაქციის სამმა წევრმა წამოაყენა ასეთი უთანხმოებანი მათ მიერ ხელმოწერილ თეზისებში თვითგამორკვევის საკითხზე;

(3) რომ აზრთა გაზიარებამ ამ საკითხზე გამოავლინა შეხედულებათა დიდი სხვადასხვაობა დემოკრატიულ მოთხოვნათა როლისა და საერთოდ პროგრამა-მინიმუმის შეფასებასთან დაკავშირებით; —

— ცენტრალური კომიტეტი ადგენს: შეუძლებლად იქნეს ცნობილი ჟურნალ „კომუნისტის“ განგრძობა და გამოცხადდეს, რომ **ეს გამოცემა წყდება**. —

შემდეგ. იმისათვის, რომ გაართოოს დისკუსია და ავო საკითხებზე და მიაღწიოს მათს გამორკვევას ხელმძღვანელი ამხანაგების უფრო ფართო წრის წინაშე, ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

სთხოვოს თეზისების ხელმომწერ სამ ამხანაგს შეადგინონ ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან თავიანთი უთანხმოებების დასაბუთებული წერილობითი აზრი.

ეს წერილობითი აზრი, ცენტრალური ორგანოს რედაქციის პასუხთან ერთად, აცნობონ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა უფრო ფართო წრეს იმ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად, სასურველია თუ არა და საჭიროა თუ არა ღია დისკუსიის გადატანა პრესაში[481].

ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ აჭიანურებთ „საშინლად მომაბეზრებელ“ საქმეს. ვიმეორებ, — მეც საშინლად მომბეზრდა განმეორება, — რომ იძულებული ვარ უარი ვთქვა „კომუნისტში“ მონაწილეობაზე.

თქვენი გეგმა უპრინციპოა და კიდევ უფრო ხლართავს დახლართულ საქმეს. თუ არ არის ღრმა პრინციპული უთანხმოებანი, მაშინ ცენტრალური კომიტეტისათვის ჩაბარება შარი და ინტრიგაა, და ყოველი „რუსი“ გამხილებთ თქვენ.

თუ არის, **ეს** უნდა ითქვას: № 1—2-ის შემდეგ ხალხს უღმერთოდ აერია თავგზა; **უარყოფთ პასუხისმგებლობას**; მოვალეობად მიგვაჩნია, კი არ წავახალისოთ, არამედ ვამხილოთ. **როგორც დათმობას**, მათ ვთავაზობთ (იხ. ფურცელი) კიდევ დისკუსიას „გაფართოებული წრის“ წინაშე (რათა არ შევარცხვინოთ ისინი პრესაში; ერთბაშად არ გავანადგუროთ პოლემიკით).

{მხოლოდ ამისათვის.}

„სბორნიკ „სოციალ-დემოკრატში““[482] ჩვენ გვაქვს, გარდა მთელი რიგი ჩვენი სტატიებისა*, ვარინი+ალექსანდრე+

* „მწერლები“ ორ კრებულს ეყოფა!

კორესპონდენციები + საბრალდებო აქტი (მე ჯერ არ მიმიღია) + საფაროვი + ლატვიელი + კოლონტაი (ალბათ).

იაპონელები[488] მოვიწვიოთ მხოლოდ იმისათვის, რომ შევარცხვინოთ ი ს ი ნ ი. ბუხარინი: რათა მხოლოდ შ ე ვ უ კ ვ ე თ ო თ სტატია ეკონომიურ საკითხზე.

რადეკს **ნუ** მოვიწვევთ (მისი სტატია **ლეგალურია** და ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა ა ქ ვ ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ახლა ასეთი სახით). მოგვიხდება ბ რ ძ ო ლ ა მ ი ს თეზისებთან.

აი ჩემი აზრი. „კომუნისტი“ არის გ ვ ა მ ი, ხოლო მე არ ვმონაწილეობ მის გაცოცხლებაში.

ალექსანდრემ (და რუსმა მუშებმა ბიუროში) საკითხი უნდა დასვან **პრინციპულად**: ჩვენ რედაქციაში ა რ ვ ი ღ ე ბ თ ისეთ ხალხს, ვინც უღმერთოდ ურევს საქმეს და არ სურს ისწავლოს რამე, არ სურს თვით ისიც კი, რომ გაისარჯოს თავისი აზრის გადმოსაცემად. მათ სურთ ერთმანეთს **წ ა გ ვ ი დ ო ნ** ჩვენ და P. S. D., ეს ცხადია, თვითონ კი განზე გადგნენ.

„კომუნისტი“ შეესაბამებოდა იმ დროის ამოცანას: შეეკავშირებინა ყველანი სოციალ-შოვინიზმისა და კაუცკელობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ახლა ამოცანა უკვე **სხვაა**: დღის წესრიგშია **ბ რ ძ ო ლ ა** „იმპერიალისტური **ე კ ო ნ ო მ ი ზ მ ი ს**“ წინააღმდეგ.

Salut *Lenin*

P. S. რატომ არ გ ვ ი პ ა ს უ ხ ე თ, **გ ა გ ზ ა ვ ნ ე თ თუ არა ს უ ხ ა ნ ო ვ ი უ ე ნ ე ვ ა ში**? გიგზავნით მასალებს გრიმისათვის.

თეზისების გადმოგზავნა **ვ ე რ** მ ო ხ ე რ ხ დ ა.

დაწერილია 1916 წლის
მარტში, 28 რიცხვის (10 აპრილის)
შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 27

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია კინტალში[484]

1916 წლის 11—17 (24—30) აპრილი

I

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადების თავდაპირველი ვარიანტი

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მეორე სოციალისტურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს I. S. K. (ბერნისა) *[485]

(თეზისები დღის წესრიგის მე-5, მე-6, მე-7a და მე-7b და მე-8 პუნქტებისათვის)

აცხადებს რა მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ, I. S. K.-მ გამოაქვეყნა დღის წესრიგის შემდეგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები:

5. „ბრძოლა ომის დამთავრებისათვის“
6. „ზავის საკითხები“
7a. საპარლამენტო „აქცია“ } „აგიტაცია და
7b. მასობრივი „ } პროპაგანდა“
8. საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.

I. S. K.-მ მიიწვია ორგანიზაციები, რომ განიხილონ ეს საკითხები და გამოგზავნონ ხოლმე თავიანთი წინადადებანი. ეი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხი ამ მიწვევაზე:

1. როგორც ყოველგვარი ომი არის იმ პოლიტიკის მხოლოდ და მხოლოდ გაგრძელება ძალადობის საშუალებებით, რომელსაც ადგნენ მეომარი სახელმწიფოები და მათი გაბატონებული კლასები მრავალი წლის ან ათეული წლების განმავლობაში ომამდე, ასევე ზავიც, რომლითაც მთავრდება ყოველი ომი, შეიძლება იყოს მხოლოდ აღრიცხვა და ჩაწერა ძალის იმ ნამდვილი ცვლილებებისა, რომლებიც მიღწეულია ამ ომის შედეგად.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 207—221. რედ.

2. ამიტომ უდიდესი უპასრობა და გონებაჩლუნგობაა, თეორიის თვალსაზრისით, სოციალიზმის მოძღვრების თვალსაზრისით, და პრაქტიკულად მუშათა კლასის უდიდესი მოტყუებაა ყოველგვარი ლაპარაკი ახლანდელი ომის შეფასების შესახებ თავდაცვისა და თავდასხმის „მარტივ“ ცნებათა საფუძველზე და მომავალი ზავის შეფასების შესახებ მტკიცე, დემოკრატიული, საპატიო და ა. შ. ზავის „მარტივ“ ღვთისწიერ სურვილთა საფუძველზე.

3. ეს ომი იმპერიალისტური ომია, ანუ ისეთი ომი, რომელიც წარმოიშვა დიდად განვითარებული, მონოპოლისტური, სოციალიზმში გადასასვლელად მომწიფებული კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ნიადაგზე. იგი წარმოებს მსოფლიო ჰეგემონიისათვის, ესე იგი სუსტი ერების ახალი ჩაგვრისათვის, მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, კოლონიათა, გავლენის სფეროთა განაწილებისათვის და სხვ.—ისეთი განაწილებისათვის, რომ ძველმა მძარცველმა სახელმწიფოებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა, თავიანთი ნადავლის ნაწილი დაუთმონ ახალგაზრდა და უფრო ძლიერ მძარცველ სახელმწიფოს, გერმანიას.

4. ამიტომ, თუ პროლეტარიატის რევოლუცია არ დაამხობს მეომარი „დიდი“ სახელმწიფოების ახლანდელ მთავრობებსა და ახლანდელ გაბატონებულ კლასებს, **აბსოლუტურად** შეუძლებელია **რაიმე სხვა** ზავი, გარდა ცოტად თუ ბევრად ხანმოკლე დაზავებისა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, გარდა ზავისა, რომელსაც თან სდევს რეაქციის გაძლიერება სახელმწიფოთა შიგნით, ეროვნული ჩაგვრისა და სუსტი ერების დამონების გაძლიერება, საწვავი მასალის გადიდება, რომელიც ახალ ომებს ამზადებს და სხვ. და სხვ. ვინაიდან იმ პოლიტიკის ობიექტური შინაარსიდან, რომელიც იმპერიალიზმის მთელმა ეპოქამ წარმოშვა და რომელსაც ყველა მეომარი „დიდი“ სახელმწიფოს ბურჟუაზია ახორციელებდა როგორც **ამ** ომის წინ, ისე **მის** დროს, გარდაუვალად გამომდინარეობს ზავი ერთა ახალი და უარესი ჩაგვრის საფუძველზე და ა.შ.

5. ხალხთა მასებში იმ აზრებისა თუ იმედების გაღვივება, რომ შესაძლებელია მტკიცე ან დემოკრატიული და ა. შ. ზავი ახლანდელ მთავრობებსა და ახლანდელ გაბატონებულ კლასებს (ე. ი. მემამულეებთან შეკავშირებულ ბურჟუაზიას) შორის, როგორც ამას მეტი წილი ოფიციალური სოციალისტური პარტიები შვრებიან, ნიშნავს არა მარტო ურცხვად მოატყუო ხალხი, არამედ მოადუნო კიდევაც იგი, ჩამოაშორო რევოლუციურ ბრძოლას, რომელიც სინამდვილეში უკვე იწყება საგაფიცვო და სადემონსტრაციო მოძრაობის სახით.

6. ხალხის მოტყუებისა და რევოლუციური ბრძოლისაგან პროლეტარიატის ჩამოშორების სწორედ ასეთი ხასიათი აქვს იმ „ზავის პროგრამას“, რომელსაც „ერთსულოვნად“ აყენებენ ახლა II ინტერნაციონალის ოფიციალური წარმომადგენელი ჰიუისმანსიც ჰოლანდიის Sozialdemokratische Arbeiter Partei-ს ყრილობაზე Arnhem-ში და II ინტერნაციონალის ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსიც, ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტთა და სოციალ-შოვინისტთა ყველაზე გავლენიანი დამცველიც, კაუცკიც. მათ პროგრამას შეადგენს რამდენიმე კეთილი დემოკრატიული სურვილის სიტყვიერი და თვალთმაქცური აღიარება: ანექსიისა და კონტრიბუციის უარყოფა, ერთა თვითგამორკვევა, საგარეო პოლიტიკის დემოკრატიზაცია, სამედიატორო სასამართლოები სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გასარჩევად, განიარაღება, ევროპის შეერთებული შტატები და სხვ. და სხვ.

7. იმის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურება, რომ ეს „ზავის პროგრამა“ თავიდან ბოლომდე თვალთმაქცობაა, არის, ერთი მხრივ, ის, რომ იგი სიტყვიერად ცნეს მეომარი ქვეყნების მთელმა რიგმა ბურჟუაზიულმა პაციფისტებმა და დემაგოგმა მინისტრებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ იგი გაიმეორეს პირწავარდნილმა (notorisch) შოვინისტებმა მეომარი სახელმწიფოების ერთი ჯგუფის „სოციალისტთა“ კონფერენციაზე ლონდონში (II. 1915)[436], ხოლო მეორე ჯგუფისაზე—ვენაში (IV.1915)[437]. სწორედ იმ „სოციალისტებმა“, რომლებიც ბურჟუაზიულ სამინისტროებში შედიან და რომლებიც მძარცველურ ომს აწარ-

მოებენ, ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს, ეხმარებოდნენ ომს სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში მონაწილეობით და სხვ., სწორედ ისინი, რომლებიც **სინამდვილეში** ძველი და ახალი ანექსიების დაცვის, კოლონიური ჩაგვრისა და სხვ. პოლიტიკას ადგანან, მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებენ თავიანთ „ზავის პროგრამას“, რომელიც უარყოფს ანექსიებს და ა. შ.

8. თუ II ინტერნაციონალის ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა, კაუცკიმ, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა 1915 წლის 21 მაისს („Neue Zeit“), რომ „სოციალისტთა“ ეს თანხმობა და „ერთსულოვნება“ ლონდონსა* და ვენაში ერთა „დამოუკიდებლობის“ თუ თვითგამორკვევის შესახებ II ინტერნაციონალის „ერთსულოვნებასა“ და „სიცოცხლისუნარიანობას“ მოწმობსო „ზავის პროგრამაში“, მაშინ ამ ყველაზე აღმაშფოთებელი, ყველაზე თავხედური თვალთმაქცობისა და მუშათა მოტყუების ეს დაცვა და სანქცია სრულიადაც არ არის შემთხვევითობა, არამედ სისტემატური პოლიტიკაა, რომელსაც მთელ რიგ ქვეყნებში ადგანან ადამიანები, რომლებიც სიტყვით „ინტერნაციონალისტებად“ ასაღებენ თავს, საქმით კი ცდილობენ შეალამაზონ იმპერიალისტური ომი იმით, რომ მიაწერონ მას „სამშობლოს დაცვის“ იდეა, და განამტკიცებენ მუშათა მოძრაობაზე სოციალიზმის მოღალატე სოციალ-შოვინისტთა ბატონობას მათთან „ერთიანობის“ ქადაგებით. ამ პოლიტიკას, რომელიც განსაკუთრებით მავნე და საშიშია მუშათა კლასისათვის, ადგანან კაუცკი, ჰააზე და სხვები გერმანიაში, ლონგე, პრესმანი და სხვები საფრანგეთში, ბელადთა უმრავლესობა ინგლისში, აქსელროდი, მარტოვი და ჩხეიძე K°-ითურთ რუსეთში, ტრევესი და სხვები იტალიაში (იხ. იტალიის პარტიის ცენტრალური ორგანოს „*Avanti!*“-ს მუქარა 1916 წლის 5. III-ის ნომერში, რომ ამხილებს ტრევესსა და სხვა „რეფორმისტ-პოსიბილისტებს“ [488], იმათ, ვინც „გამოიყენა ყველა საშუალება, რათა ხელი შეეშალა პარტიის გამგეობისა და ოდი-

* ხელნაწერში შეცდომით წერია: „კოპენჰაგენში“. რ ე დ.

ნო მორგარის მოქმედებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ციმერვალდის გაერთიანებასა და თვით ახალ ინტერნაციონალს"). ამ მსოფლიო პოლიტიკას, რომელიც განსაკუთრებით საშიშია მუშათა კლასისათვის, შეიძლება ეწოდოს, მისი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლის სახელის მიხედვით, კაუცკური პოლიტიკა.

9. სოციალისტები უარს ვერ იტყვიან რეფორმებისათვის ბრძოლაზე. მათ ხმა უნდა მისცენ, სხვათა შორის, პარლამენტებშიც მასების მდგომარეობის ყოველგვარ, თუნდაც სულ უმნიშვნელო, გაუმჯობესებას, მაგალითად, გაპარტახებული რლქების მცხოვრებთათვის დახმარების გადიდებას, ეროვნული ჩაგვრის შესუსტებას და სხვ. მაგრამ ცხადია, რომ **ამ** ომისა და მისგან გამომდინარე ზავის ნიადაგზე ასეთი რეფორმისტული საქმიანობა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მხოლოდ მინიატურული მასშტაბით შეიძლება. მასების აღმაშფოთებელი მოტყუება იქნებოდა, რომ მათთვის ჩაგვეგონებინა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ის აზრი, თითქოს შესაძლებელია **ამ** ომით აღძრული საკითხების რეფორმისტული გადაჭრა. ვინაიდან **ამ** ომმა რევოლუციური სიტუაცია შექმნა ევროპაში, როცა დღის წესრიგში დააყენა იმპერიალიზმის ყველაზე ძირეული საკითხები, რომლებიც აუცილებლად იმპერიალისტურად გადაიჭრება, თუ რევოლუციური გზით არ დაემხო ევროპის ახლანდელი მთავრობები და გაბატონებული კლასები. ამიტომ მყარი და დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლაში სოციალისტების მთავარი და ძირითადი ამოცანა უნდა იყოს: ჯერ ერთი, განუმარტონ მასებს, რომ აუცილებელია რევოლუციური მასობრივი ბრძოლა, მისი სისტემატური პროპაგანდა და შესაბამისი ორგანიზაციის შექმნა; მეორე, ამხილონ როგორც ბურჟუაზიულ-პაციფისტური, ისევე სოციალისტური, განსაკუთრებით კაუცკური, ფრაზების თვალთმაქცობა და სიყალბე ზავისა და II ინტერნაციონალის „ერთსულოვნების" შესახებ „ზავის პროგრამის" საკითხში. ასეთი ფრაზები ორმაგად თვალთმაქცურია „სოციალისტების" მხრივ, რომლებიც უარ-

ყოფენ, ბურჟუაზიის კვალდაკვალ, ახლანდელი იმპერიალისტური ომის სოციალიზმისათვის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესაძლებლობას და წინააღმდეგობას უწევენ ყოველგვარ რევოლუციურ მუშაობას ამ მიმართულებით.

10. „ზავის პროგრამის“ შესახებ ამჟამად გაბატონებული თვალთმაქცობის ცენტრალური პუნქტია ძველი და ახალი **ანექსიების** წინააღმდეგ ბრძოლის თითქოს ერთსულოვანი აღიარება. მაგრამ იმათ, ვინც ანექსიებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკობს, არ იციან ან უფრო ხშირად არ სურთ ჩაუფიქრდნენ, თუ რა არის ანექსია. ცხადია, რომ ანექსიას ვერ ვუწოდებთ „სხვისი“ ტერიტორიის ყოველგვარ შეერთებას, რადგან სოციალისტები, საერთოდ რომ ვთქვათ, თანაუგრძნობენ ერებს შორის საზღვრების მოშლას, ერების დაახლოებასა და შერწყმას, უფრო დიდი სახელმწიფოების შექმნას. ცხადია, რომ ანექსიად ვერ ჩაითვლება status quo-ს ყოველგვარი დარღვევა: ეს იქნებოდა უდიდესი რეაქციულობა და ისტორიის მეცნიერების ძირითადი ცნებების დაცინვა. ცხადია, რომ ანექსიად ვერ ჩაითვლება ყოველგვარი იძულებითი, სამხედრო, შეერთება, რადგან ძალადობის წინააღმდეგ, თუ მას მიმართავენ მოსახლეობის მასის ინტერესებისათვის და კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის, სოციალისტები ვერაფერს იტყვიან. ცხადია, რომ ანექსიად შეიძლება და უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ტერიტორიის შეერთება მისი მოსახლეობის ნება-ს უარვილის წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანექსიის ცნება განუყრელად არის დაკავშირებული ერთა თვითგამორკვევის ცნებასთან.

11. სწორედ ამ ომის ნიადაგზე, იმის გამო, რომ იგი იმპერიალისტურია მეომარ „დიდ“ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ, უნდა წარმოქმნილიყო და წარმოიქმნა ის მოვლენა, რომ ბურჟუაზია და სოციალ-შოვინისტები გაძლიერებით „ებრძვიან“ „ანექსიებს“, **თუ** ამ ანექსიებს ახდენს ან მოახდინა მტრულმა სახელმწიფომ. ზიუდეკუმი და მისი ავსტრიელ-გერმანელი მეგობრები და დამცველები, თვით ჰა-

აზეც და კაუცკიც, დუმან ანექსიაზე, რომელიც გერმანიამ მოახდინა ელზას-ლოტარინგიის, დანიის, პოლონეთისა და სხვათა მიმართ, მაგრამ ძალიან ხშირად „იბრძვიან ანექსიების წინააღმდეგ", რომლებიც რუსეთმა მოახდინა ფინეთის, პოლონეთის, უკრაინის, კავკასიისა და სხვათა მიმართ, ინგლისმა — ინდოეთისა და სხვათა მიმართ. მეორე მხრივ, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი და რუსი ზიუდეკუმები, ე. ი. ჰაინდმანი, გედი, ვანდერველდე, რენოდელი, ტრევესი, პლეხანოვი, აქსელროდი, ჩხეიძე და K°, დუმან ინგლისის ანექსიებზე ინდოეთის მიმართ, საფრანგეთისაზე — ნიცის ან მაროკოს მიმართ, იტალიისაზე — ტრიპოლის ან ალბანეთის მიმართ, რუსეთისაზე — პოლონეთის, უკრაინისა და სხვათა მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ **მეტწილად** „იბრძვიან იმ ანექსიათა წინააღმდეგ", რომლებსაც გერმანია ახდენს.

ცხადია, რომ სოციალ-შოვინისტთა და კაუცკელთა ასეთი „ბრძოლა ანექსიათა წინააღმდეგ" თავიდან ბოლომდე თვალთმაქცური ხასიათისაა, ხოლო ასეთ ბრძოლას ბურჟუაზია ეხმარება პირდაპირაც, გამოყოფს რა მილიონობით თანხას შოვინისტური პროპაგანდისათვის, და არაპირდაპირაც, აძლევს რა ლეგალობის მონოპოლიას მხოლოდ სოციალ-შოვინისტებსა და კაუცკელებს.

ცხადია, რომ ფრანგი „სოციალისტებიც", რომლებიც ამართლებენ ომს ელზას-ლოტარინგიისათვის, და გერმანელი „სოციალისტებიც", რომლებიც არ მოითხოვენ გერმანიისაგან ელზას-ლოტარინგიის გამოყოფის თავისუფლებას, ერთნაირად ანექსიონისტები არიან, რაგინდ გვეფიცებოდნენ საწინააღმდეგოს. ცხადია, რომ რუსი „სოციალისტები", რომლებიც ლაპარაკობენ ან წერენ „რუსეთის დაშლის" წინააღმდეგ ან ამართლებენ ახლა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ომს იმის გულისათვის, თუ ვინ დაიმონებს პოლონეთს, „უანექსიო ზავის" ლოზუნგის სახელით, ისეთივე ანექსიონისტები არიან და სხვ. და სხვ.

12. „ანექსიის წინააღმდეგ ბრძოლა" რომ არ გადაიქცეს ცარიელ ფრაზად ან საზიზღარ თვალთმაქცობად, სოციალისტებმა: **ჯერ ერთი**, უნდა განუმარტონ მასებს, რომ აუცილებე-

ლია რევოლუციური ბრძოლა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის და სოციალისტური გადატრიალებისათვის, რომელიც იმპერიალისტური ეპოქის ყველა პირობიდან და ახლანდელი იმპერიალისტური ომიდან გამომდინარეობს და რომელსაც ერთადერთს შეუძლია მტკიცედ და ყველგან უზრუნველყოს ერთა თვითგამორკვევა, ე. ი. გაათავისუფლოს ჩაგრული ერები და განახორციელოს ერების დაახლოება და შერწყმა არა ძალადობის საფუძველზე, არამედ ყველა ერის პროლეტარიატისა და მშრომელი მასების თანასწორუფლებიანობისა და თანხმობის საფუძველზე; — **მეორე**, დაუყოვნებლივ უნდა გააჩაღონ ყველაზე ფართო პროპაგანდა და აგიტაცია ოფიციალური სოციალისტური პარტიების შენიღბული შოვინიზმისა და ანექსიონიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით „დიდ“ სახელმწიფოებში. სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ მხოლოდ სიტყვით არის სოციალისტი და ინტერნაციონალისტი, საქმით კი შოვინისტი და ანექსიონისტია ის ინგლისელი სოციალისტი, რომელიც ახლავე არ იბრძვის ირლანდიის, ინდოეთის და ა. შ. გამოყოფის თავისუფლებისათვის,— ის ფრანგი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის საფრანგეთის კოლონიათა თავისუფლებისათვის, ელზასისა და ლოტარინგიის შეერთებისათვის ომის წინააღმდეგ და სხვ., — ის გერმანელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ელზას-ლოტარინგიის, დანიელების, პოლონელების, ბელგიელების, სერბებისა და სხვ. გამოყოფის თავისუფლებისათვის,—ის რუსი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის უკრაინის, ფინეთის და სხვათა გამოყოფის თავისუფლებისათვის, პოლონეთის გამო ომის წინააღმდეგ,— ის იტალიელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ტრიპოლის, ალბანეთისა და სხვათა გამოყოფის თავისუფლებისათვის, — ის ჰოლანდიელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის ჰოლანდიის ინდოეთის გამოყოფის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის,—ის პოლონელი სოციალისტი, რომელიც არ იბრძვის პოლონელთაგან ჩაგრული ებრაელებისა და უკრაინელების სრული თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, და სხვ.

13. ციმერვალდის მანიფესტიდან და I. S. K.-ის 1916 წლის 10. II-ის ცირკულარიდან (ბიულეტენი № 3)[489] გარდაუვალად გამომდინარეობს, რომ ყოველგვარი „ომი ომს“ და „ბრძოლა მშვიდობისათვის“ თვალთმაქცობაა, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული დაუყოვნებლივ რევოლუციურ მასობრივ ბრძოლასთან, ასეთი ბრძოლის პროპაგანდასა და მომზადებასთან. ოღონდ ეს დასკვნა უნდა ჩამოვაყალიბოთ პირდაპირ და გარკვევით. საჭიროა, ჯერ ერთი, განვუმარტოთ მასებს, რა შეიძლება და რა უნდა (πιβ) მოჰყვეს რევოლუციური მასობრივი ბრძოლის განვითარებას ევროპის ომის ვითარებაში. იგი გარდაუვალად იწვევს იმპერიალისტური ომის გადაქცევას სოციალიზმისათვის სამოქალაქო ომად. ამაზე ქარაგმულად მიუთითებს ყველა სიტყვა იმის შესახებ, რომ ჯობს მუშები იღუპებოდნენ თავიანთი და არა სხვისი საქმისათვის. მაგრამ ასეთი მითითება არ კმარა. საჭიროა ნათლად დავუსახოთ მასებს დიადი მიზანი, თუმცა ეს მიზანი შეიძლება შორეულიც იყოს. უნდა ვიცოდეთ, თუ საით და რისთვის მივდივართ. მეორე, თუ ჩვენ მოვუწოდებთ მასებს ებრძოლონ თავიანთ მთავრობებს „ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო მდგომარეობის მიუხედავად“, ამით ჩვენ არა მარტო უარვყოფთ პრინციპულად „სამშობლოს დაცვას“ ამ ომში, არამედ სასურველადაც მიგვაჩნია ყოველგვარი ბურჟუაზიული მთავრობის დამარცხება, რათა ეს დამარცხება გადაიქცეს რევოლუციად. და ეს პირდაპირ უნდა ითქვას: რევოლუციური მასობრივი ბრძოლა ვერ გახდება ინტერნაციონალური, თუ მისი შეგნებული წარმომადგენლები აშკარად არ გაერთიანდებიან ყველა ბურჟუაზიული მთავრობის დასამარცხებლად და დასამხობად. მესამე — და ეს უმთავრესია, — რევოლუციური მასობრივი ბრძოლა შეუძლებელია, თუ უველგან, არა მარტო ხელმძღვანელობაში, არამედ მასებშიც, არ შევქმენით არალეგალური ორგანიზაცია ამ ბრძოლის პროპაგანდისათვის, მომზადებისათვის, მისი მსვლელობისა და პირობების განხილვისათვის. თუ გერმანიაში იყო ჭეჩის დემონსტრაციები, თუ საფრანგეთში იყო მთელი რიგი

წერილები ფრონტიდან, რომლებიც მოუწოდებდნენ არ მოეწერათ ხელი სამხედრო სესხისათვის, თუ ინგლისში, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთზე, იყო მასობრივი გაფიცვები, მაშინ ამ ბრძოლის დასახმარებლად, მისი ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის უთუოდ საჭიროა გავაშუქოთ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ, ე. ი. **არალეგალურ,** პრესაში **თითოეული** ნაბიჯი ამ გზაზე, შევამოწმოთ წარმატებანი, ავწონ-დავწონოთ მათი პირობები, შევაკავშიროთ და განვავითაროთ ბრძოლა. არალეგალური ორგანიზაციისა და არალეგალური პრესის გარეშე „მასობრივი მოქმედების" აღიარება ლიტონ ფრაზად დარჩება (როგორც ეს შვეიცარიაშია)*.

14. სოციალისტთა საპარლამენტო ბრძოლის (Aktion) საკითხში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ციმერვალდის რეზოლუცია არა მარტო სიმპათიას გამოთქვამს სახელმწიფო სათათბიროს ხუთი სოციალ-დემოკრატი დეპუტატის მიმართ, რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან და რომლებსაც ციმბირში გადასახლება აქვთ მისჯილი, არამედ ი ზ ი ა რ ე ბ ს კიდევაც მათს ტაქტიკას. შეუძლებელია ცნობდე მასების რევოლუციურ ბრძოლას და ურიგდებოდე სოციალისტთა მ ხ ო ლ ო დ ლეგალურ, მ ხ ო ლ ო დ რეფორმისტულ საქმიანობას პარლამენტებში; ეს იწვევს მხოლოდ მუშათა კანონიერ უკმაყოფილებას და მათს გადასვლას სოციალ-დემოკრატიიდან ანტიპარლამენტურ ანარქიზმსა ან სინდიკალიზმში. საჭიროა მკაფიოდ და ყველას გასაგონად ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები პარლამენტებში თავიანთი მდგომარეობით უნდა სარგებლობდნენ არა მარტო პარლამენტებში გამოსვლებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მუშათა არალეგალურ ორგანიზაციასა და რევოლუციურ ბრძოლას პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ს გ ა რ ე თ, და რომ მ ა ს ე ბ ი თვითონ, თავიანთი არალეგალური ორგანიზაციის მეშვეობით, უნდა ა მ ო წ მ ე ბ დ ნ ე ნ თავიანთი ბელადების ასეთ საქმიანობას.

* მე-12 და მე-13 პუნქტები ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

15. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის საკითხი, რომელიც მომავალი მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის დღის წესრიგში დგას, გარდაუვალად აყენებს უფრო ძირითად და პრინციპულ საკითხს, შეიძლება თუ არა ძველი პარტიებისა და II ინტერნაციონალის ერთიანობა? რაც უფრო ფართოვდება მასებში სიმპათიები ციმერვალდის გაერთიანებისადმი, მით უფრო გაუგებარი ხდება მასებისათვის, მით უფრო საზიანოა მათი ბრძოლის განვითარებისათვის არათანამიმდევრულობა და გაუბედაობა იმ პოზიციისა, რომელიც ძველ პარტიებსა და II ინტერნაციონალს არსებითად ბურჟუაზიულ პოლიტიკასთან აიგივებს მუშათა მოძრაობაში (იხ. ციმერვალდის მანიფესტი და I.S.K.-ის 1916.10.II-ის ცირკულარი), ხოლო მეორე მხრივ, აშინებს მათთან გათიშვა და გვპირდება I.S.K.-ის დაშლას, როგორც კი შეიკრიბება ძველი საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.

ამ დაპირებისათვის ა რ ც კენჭი უყრიათ და არც ციმერვალდში განუხილავთ.

ციმერვალდის შემდეგ განვლილ ნახევარ წელიწადში კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ გათიშვა გარდაუვალია, რომ არ შეიძლება ძველ პარტიებთან ერთიანობით ვეწეოდეთ იმ მუშაობას, რომელსაც ციმერვალდის მანიფესტი გვირჩევს, რომ გათიშვის შიში აფერხებს ყოველგვარ ნაბიჯს ამ გზაზე. გერმანიაში არა მარტო I.S.D.-ის ჯგუფმა დაგმო გათიშვის შიში და აშკარად გაილაშქრა ერთიანობის მქადაგებელთა თვალთმაქცობის წინააღმდეგ, არამედ *Reichstagsfraktion**-ის წ ე ვ რ მ ა ც, Otto Rühle-მ, კ. ლიბკნეხტის უახლოესმა ამხანაგმა, აშკარად დაუჭირა მხარი გათიშვას. და რიულეს წინააღმდეგ „Vorwärts-მა ვერ წამოაყენა ვერც ერთი სერიოზული, ვერც ერთი პატიოსნური მოსაზრება. საფრანგეთში სოციალისტური პარტიის წევრი ბურდერონი სიტყვით გათიშვის წინააღმდეგია, საქმით კი კონგრესს შესთავაზა რეზოლუცია, რომელიც პირდაპირ „désapprouve (აღეზღუირებს) C.A.P.-ს (Comité Administ-

* — რაიხსტაგის ფრაქციის. რ ე დ.

ratif Permanent=პარტიის ცენტრალურ კომიტეტს) და G. P.“ (Groupe Parlementaire=საპარლამენტო ჯგუფს). ცხადია, რომ ასეთი რეზოლუციის მიღება მოასწავებდა პარტიის დაუყოვნებლივ და უთუო გათიშვას. ინგლისში ზომიერი „Labour Leader“-ის ფურცლებზეც კი T. Russel Williams-ს აშკარად მოუთხოვია, და თანაც არაერთხელ, გათიშვის გარდაუვალობა, რასაც მხარს უჭერენ პარტიის მთელი რიგი წევრები. ამერიკაში, სოციალისტური პარტიის ფორმალური ერთიანობის დროს, მისი ზოგიერთი წევრი მილიტარიზმსა და ომს (ეგრეთ წოდებულ preparedness-ს*) უჭერს მხარს, ხოლო ზოგიერთი, მათ შორის E. Debs-ი, პრეზიდენტობის ყოფილი სოციალისტი კანდიდატი, მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით აშკარად ქადაგებს სამოქალაქო ომს სოციალიზმისათვის.

მთელ მსოფლიოში ფაქტობრივად უკვე არის გათიშვა და ამისათვის თვალის არიდება მხოლოდ ვნებს ციმერვალდელებს, სასაცილოს ხდის მათ მასების თვალში, რომლებმაც ჩინებულად იციან, რომ ციმერვალდის სულისკვეთებით **მათი** მუშაობის თითოეული ნაბიჯი ნიშნავს გათიშვის განგრძობასა და გაღრმავებას.

უნდა გქონდეს გამბედაობა აშკარად აღიარო გარდაუვალი და მომხდარი, უარი თქვა ამ ომში „სამშობლოს დამცველებთან“ ერთიანობის შესაძლებლობის მავნე ილუზიებზე, დაეხმარო მასებს განთავისუფლდნენ იმ ბელადთა გავლენისაგან, რომლებსაც „შეცდომაში შეჰყავთ ისინი“ (იხ. I. S. K.-ის 1916. 10. II-ის ცირკულარი) ან „ამნისტიის“ გზით „შეთქმულებას“ (Pakt) ამზადებენ სოციალიზმის წინააღმდეგ.

ასეთია ჩვენი წინადადება ჰააგაში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ დღის წესრიგის საკითხზე.

* * *

რეფორმისტული ფრაზები ხალხის მოტყუების მთავარი საშუალებაა ისეთ დროს, როცა ობიექტურმა მდგომარეობამ ისტორიის დღის წესრიგში დააყენა უდიდესი მსოფლიო კრი-

* — მზადყოფნა. რედ.

ზისი, რომელიც, ცალკეულ პარტიათა ნება-სურვილის მიუხედავად, შეიძლება მხოლოდ ან გადაიწიოს და გადატანილ იქნეს შემდგომ იმპერიალისტურ ომამდე, ან გადაიჭრას სოციალისტური რევოლუციის გზით. შემთხვევითობამ და ცალკეულ მთავრობათა ან ცალკეული ქვეყნის კაპიტალისტთა ბოროტმა ნება-სურვილმა კი არა, არამედ ბურჟუაზიული ურთიერთობის მთელმა განვითარებამ გამოიწვია იმპერიალიზმი და ახლანდელი იმპერიალისტური ომი. ზუსტად ასევე შემთხვევითობა და რაიმე დემაგოგიის ან აგიტაციის შედეგი კი არა, არამედ ომით შექმნილი კრიზისისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ობიექტური პირობები იწვევენ ახლა მთელ რიგ მეომარ ქვეყნებში გაფიცვებს, დემონსტრაციებსა და მასობრივი რევოლუციური ბრძოლის სხვა გამოვლინებებს.

ობიექტურად საკითხი ასე და მხოლოდ ასე დგას: დავეხმაროთ თუ არა მასების ამ, ჯერ კიდევ სუსტ, მაგრამ შინაგანად მძლავრ, ღრმა მღელვარებასა და მოძრაობას, რომელსაც შეუძლია განვითარდეს სოციალისტურ რევოლუციად. თ უ დავადგეთ ბურჟუაზიული მთავრობებისადმი დახმარების პოლიტიკას (Durchhaltspolitik, politique jusquauboutiste)*. დემოკრატიულ ზავზე მოთაფლული სიტყვების რეალური მნიშვნელობა მხოლოდ ის არის, დ ა ე ხ მ ა რ ო ნ მთავრობებს მასების თვალთმაქცური გაბრუებითა და გაბრიყვებით.

* * *

ამ ომმა დღის წესრიგში დააყენა იმპერიალიზმის, ე. ი. თვით კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის ძირეული საკითხები, და ჩააგონო ხალხს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ის აზრი, რომ ამ საკითხების რეფორმისტულად გადაჭრა შესაძლებელიაო, შარლატანობა იქნებოდა. საქმე ეხება მსოფლიოს ახალ განაწილებას იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ძალის ახალი თანაფარდობის შესაბამისად, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე განვითარდნენ არა მარტო

* — (საბოლოო გამარჯვებამდე ომის განგრძობის პოლიტიკა). რ ე დ.

მეტისმეტად სწრაფად, არამედ — რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია — მეტისმეტად უთანაბროდაც. კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე მსოფლიოს ეს ახალი გადანაწილება შეუძლებელია სხვაგვარად, თუ არა ომებისა და ძალადობის გზით. საქმის ობიექტური ვითარება გამორიცხავს მომწიფებულ წინააღმდეგობათა რეფორმისტულ გადაჭრას, გამორიცხავს ყოველგვარ სხვა გამოსავალს, გარდა მთელი რიგი იმპერიალისტური ომების ან პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის წარმატების პირობები უკვე შექმნა იმპერიალიზმის სწორედ ამ ეპოქამ. ნამდვილი პოლიტიკური საქმიანობისათვის ასეთ პირობებში მხოლოდ ორიდან ერთი უნდა ავირჩიოთ: ან დავეხმაროთ „საკუთარ“ ეროვნულ ბურჟუაზიას სხვა ქვეყნების ძარცვაში, ან დავეხმაროთ დამწყებს...*

დაწერილია 1916 წელს
თებერვლის დამლევს — მარტში

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის
6—7 ნოემბერს გაზეთ
„პრავდის“ № 255-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

2

გამოსვლები საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ რეზოლუციის განხილვისას[490]

15 (28) აპრილი

1

ლუგანოს კონფერენცია 1914 წლის სექტემბერში გაიმართა[491]. ბატონ ჰიუისმანსსა და K°-ს ბიუროს მოწვევა რომ სურვებოდათ, ამის გაკეთება დიდი ხანია შეეძლოთ. მაგრამ მათ ეს არ გაუკეთებიათ. თქვენ უარყოფთ ძველი ინტერნაციონალის სექციათა გათიშვას, მაგრამ ეს გათიშვა ფაქტია. დღეს ჩვენ ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს სოციალისტურ პარტიათა კრი-

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ზისი გვაქვს. ერთი მხრივ, ტომასა და K°-ს თქვენ ისე ექცევით, როგორც უბადრუკ სუბიექტებსა და მოღალატეებს, მეორე მხრივ, თქვენ დღეს ამბობთ: ოჰ, ჩვენ გვინდა შევხვდეთ მათ, ვეკამათოთ და აღვადგინოთ ინტერნაციონალი! რასაც თქვენ ამბობთ, — ეს მხოლოდ ფრაზებია: ფრაზები იმიტომ, რომ ისინი წარმოთქმული არიან დღეს, ლუგანოს კონფერენციიდან 16 თვის გასვლის შემდეგ. ადამიანები, რომლებთანაც ერთადაც გსურთ თქვენ ინტერნაციონალის აღდგენა, დაიხოცნენ, უკვე აღარ არსებობენ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ პოლიტიკურად.

2

თუ გრიმს ჰგონია, რომ არ შეიძლება თითოეულმა ცალკე მისცეს ხმა, მაშინ ჩვენ სავსებით თანახმანი ვართ მოვაწყოთ კენჭისყრა ჯგუფების მიხედვით. ჩვენ სრულიადაც არ მოგვწონს აზრად თავს მოვახვიოთ ვინმეს ჩვენი ნება-სურვილი, მაგრამ გვინდა, რომ კენჭისყრა გაიმართოს; ამის შემდეგ ჩვენ ხალისით მივიღებთ მონაწილეობას კომისიათა მუშაობაში.

3

საკითხი დიდი ხანია გადაიჭრებოდა, კენჭისყრა რომ გამართულიყო. უკიდურესი უსამართლობაა, თუ ერთად მუშაობის მრავალი დღის შემდეგ სურთ უარი თქვან კენჭისყრაზე. კენჭისყრა ხომ ხუთ წუთში შეიძლება დამთავრდეს! მარტოვის წინადადება სავსებით მისაღებია[492].

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება კონფერენციის ოქმების მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

ციმერვალდის კონფერენციაზე პოლონელ სოციალ-დემოკრატთა დეკლარაციის შესახებ[493]

ციმერვალდში P. S. D.-ის ამ დეკლარაციიდან ჩანს, რომ, როცა ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ ილაშქრებენ, პოლონელ სოციალ-დემოკრატებს მთლიანად იმის თქმა როდი

სურთ, რასაც ამბობენ. მათ სურთ თქვან, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ყოველგვარი მოძრაობა როდი იმსახურებსო სოციალ-დემოკრატთა მხარდაჭერას. ეს უდავოა როგორც იმიტომ, რომ ყოველგვარი დემოკრატიული მოთხოვნა ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საერთო ინტერესებს, თუმცა სრულიადაც არ არის აბსოლუტი, ისე იმიტომაც, რომ იმპერიალისტურ შეჯიბრებათა ეპოქაში ერებზე ბატონობის გამო შესაძლებელია აშკარა და ფარული კავშირები ჩაგრული ქვეყნისა და ერთ-ერთი მჩაგვრელი ქვეყნის ბურჟუაზიას შორის.

დაწერილია 1916 წლის ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 30

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გეგმა სტატიისა „სახელმწიფოს როლის საკითხისათვის“[494]

სახელმწიფოს როლის საკითხისათვის

კომუნისტი თუ სოციალ-დემოკრატი?

სოციალიზმი და კომუნიზმი. (მოხმარების საგნების ან მათ შორის თუნდაც აუცილებელი საგნების სრული ერთობა.)

დემოკრატიაც სახელმწიფოა. Absterben... სახელმწიფოს „ქვდომა“.

რატომ არა Abschaffung* და არა Sprengung**?

„Allmähliches Einschlafen“*** ერთი ფუნქციით მეორის ნაცვლად. დემოკრატიის გარეშე = ადამიანების მიერ მართვის გარეშე.

„სახელმწიფოებრიობის ფესვები მუშათა სულშია“?

---

* — მოსპობა. რედ.

** — აფეთქება. რედ.

*** — „თანდათანობითი მიძინება“. რედ.

ოპორტუნიზმი და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. პროლეტარიატის დიქტატურა.

სახელმწიფოს გამოყენება ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რესტავრაციის მოსახდენად ბურჟუაზიის ცდების მოგერიება. რევოლუციური ომები. დემოკრატიის შემოღება და დაცვა.

დემოკრატიის როლი:

მასების აღზრდა
მათი გადაყვანა ახალ წყობილებაზე
სოც. რევოლუციის ფორმა:
1905 წლის **კავშირები.**

იმპერიალიზმი: სახელმწიფო და კაპიტალისტთა ეკონომიური ორგანიზაციები. „სახელმწიფო-კაპიტალისტური ტრესტები"...

იმპერიალისტთა დემოკრატიული რეფორმები და სოც. რევოლუცია.

Marx-ი 1844-ში („Nachlaß", II. Band, S. 50*, უკანასკნელისწინა აბზაცის ბოლო)[495].

არაფერი გარდა სოციალიზმის დაპირისპირებისა პოლიტიკისადმი. რუგეს წმინდა პოლიტიკური რადიკალიზმის წინააღმდეგ. 1847 წლამდე!

ენგელსი („Dell'Autorità" **) რევოლუციის შესახებ... (+) ორგანიზაციის შესახებ...[496] (+)

Marx-ი (ebenda***) („Neue Zeit", 32, I, 1913 — 1914)) პოლიტიკური ზემოქმედებისა და **დათმობებისათვის** ბრძოლის შესახებ — სახელმწიფო ძალაუფლების რევოლუციური გამოყენების შესახებ...[497]

---

* — „შემკვიდრეობა", II ტომი, გვ. 50. რედ.
** — „ავტორიტეტის შესახებ". რედ.
*** — იქვე. რედ.

ორი მიმართულება **პოლიტიკაში** (პოლიტიკა არის მონაწილეობა **სახელმწიფოს** საქმეებში, სახელმწიფოს მიმართულება, სახელმწიფოს საქმიანობის ფორმების, ამოცანების, შინაარსის განსაზღვრა), ოპორტუნისტული და რევოლუციური, ანუ ორი მიმართულება „სახელმწიფოებრიობისადმი" დამოკიდებულებაში?

რეფორმისტთა დემოკრატია და რევოლუციის დემოკრატია. ორი სხვადასხვა შინაარსი: უმცირესობა და მასა. მასის დამშვიდება? მასის ბრძოლის ხელშეწყობა? მასის დამორჩილება ბელადთა ავტორიტეტისათვის? აჯანყება ბელადთა წინააღმდეგ? „დაბალი მასა" ენგელსთან *versus* „მასამ" მისდიოს ოპორტუნისტ ხელმძღვანელებს. ნიშნავს რევოლუციას ოპორტუნიზმის versus.

დაწერილია არა უადრეს 1916 წლის 18 ნოემბრისა (1 დეკემბრისა)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი**[498]

პრაქტიკული ნაწილი

(1) ქვეყნის დაცვის სრული უარყოფა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, და ულმობელი მხილება ბურჟუაზიული სიცრუისა, რომელსაც ამ ლოზუნგით ნიღბავენ.

(2) მთელი სამხედრო კრედიტებისა და ყველა მოთხოვნის უთუო უარყოფა, როგორც მშვიდობის დროს, ისე ომის დროს, ამასთან პრინციპული დასაბუთებით. დაევალოთ პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტში, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, გააკეთონ ეს.

* — მიმართ. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 189—192. რ ე დ.

(3) ბრძოლა ყველა სამხედრო დაწესებულების წინააღმდეგ, პარტიის მიერ ბურჟუაზიული კლასობრივი სახელმწიფოს ყველა სამხედრო მოვალეობის უარყოფა მთელ პროპაგანდასა და აგიტაციაში, სწორედ — პრაქტიკული საქმიანობისა პირველ პლანზე.

(4) პარტიის სისტემატური გადასვლა მთელი ხაზით რევოლუციურ ბრძოლასა და რევოლუციურ ტაქტიკაზე, ნაცვლად იმისა, რომ პრაქტიკულ მუშაობაში რეფორმიზმს დასჯერდეს.

(5) როგორც ნიმუში ერთადერთი ინტერნაციონალისტური საქმიანობისა, რომელიც ნამდვილად იბრძვის ომისა და ყოველგვარი ომების წინააღმდეგ, მივიღოთ კარლ ლიბკნეხტისა და „სპარტაკის“ მთელი ჯგუფის საქმიანობა და მუშაობა გერმანიაში[499] და მივსდიოთ მათს მაგალითს.

(6) ვიბრძოლოთ პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციული საშუალებებით სოციალ-პატრიოტთა (ე. ი. „სამშობლოს დამცველთა“) და რეფორმისტთა (ე. ი. ბრძოლის რევოლუციურ საშუალებათა დაუყოვნებლივ გამოყენების მოწინააღმდეგეთა) წინააღმდეგ შვეიცარიის სოციალისტურ პარტიაში.

(7) განვუმარტოთ მასებს, რომ სანამ მთლიანად არ შეიცვლება პარტიის აგებულება და მისი საქმიანობა, სანამ სოციალისტურ-პოლიტიკურ, აგრეთვე პროფესიულ, სამომხმარებლო და ყველა სხვა მუშათა ორგანიზაციაში ყველა პოსტს არ დაიკავებენ სოციალ-პატრიოტიზმისა და რეფორმიზმის შეურიგებელი მტრები, ყოველგვარი საქვეყნო განცხადებანი მილიტარიზმისა და ომების წინააღმდეგ გარდაუვალად გადაიქცევიან ხოლმე ლიტონ ფრაზებად.

(8) უაღრესად ენერგიული რევოლუციური მასობრივი ბრძოლის (დემონსტრაციები, გაფიცვა და ა ს ე შ ე მ დ ე გ, საერთო რევოლუციური ბრძოლის ზრდის კვალობაზე) პროპაგანდა და მომზადება პროლეტარული რევოლუციის, როგორც ომებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალების, მიზნით.

(9) განვუმარტოთ მასებს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მათ თვითონ უნდა შექმნან ქვემოდან სპეციალური, ომის დროის მძიმე პირობებთან შეგუებული, ორგანიზაციები ასეთი ბრძოლისათვის.

(10) უზრუნველვყოთ, რომ პარტიის რევოლუციური ამოცანები სიძვირის, ომებისა და ა. შ. წინააღმდეგ ბრძოლაში იცოდეს და ნათელი იყოს ექსპლოატირებულთა ყველა იმ ფენისათვის, რომლებიც პარტიის გარეშე დგანან.

(11) სისტემატური პროპაგანდა აღნიშნული თვალსაზრისით წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობაში, აგრეთვე არმიაში და ა. შ.

დაწერილია გერმანულ ენაზე
1916 წლის ნოემბრის დამლევს—
დეკემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

შენიშვნები მაქსიმალიზმის შესახებ სტატიის გამო[500]

გვ. 6 (მე-2 აბზაცი). აქ საჭიროა ჩაემატოს, რომ პოტრესოვმა ახლა საქმით უარყო ეს დებულებანი (კაუცკისა + ჰილფერდინგისა etc.), რომლებიც პრინციპულად უარყოფენ რეფორმიზმს. პოტრესოვი რეფორმისტი გახდა.

(არ შეიძლება დავჯერდეთ განცხადებას: „მტკიცებას არც ვაპირებდითო“: უნდა გამოვიტანოთ ეს, როგორც **დამტკიცებული**, და პოტრესოვს მივახალოთ: სინამდვილეში, მაგრამ ლაჩრულად, უჩუმრად თქვენ და განსაკუთრებით მასლოვი და „დელოს“ [N 501] მთლიანად გადახვედით ამ პოზიციიდან რეფორმიზმზე.)

გვ. 7 (§ I-ის ბოლო) „მასობრივი მოქმედება“ ?? ჯობდა ეს სხვაგვარად გვეთქვა და ამ სიტყვის გარეშე, რომელიც სცოდავს იმით, რომ, გამოწვეულია რა მნიშვნელოვანწილად **გერმანული** ცენზურით (რევოლუციის ფსევდონიმი),

აბუნდოვნებს რევოლუციის ცნებას. (ამის გამო კიდევ მოგვიხდება ანგარიშის გასწორება პანეკუკთან + რადეკთან და K⁰-სთან!! ერთ-ერთი მაგალითი: შვეიცარიაში არ არის გერმანული ცენზურა, და აქ ტერმინი „მასობრივი მოქმედება“ **უკვე** წარმოშობს გაუგებრობებს, რაც ხელსაყრელია რეფორმისტებისათვის.)

მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარია თქვენი ძირფესვიანად მცდარი იდეა, თითქოს „მისი ის (პროგრამის მინიმუმის) მოთხოვნები... საბოლოოდ იძლევა გადასვლას პრინციპულად სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაზე“ (გვ. 7, § II **და სხვ.**) (იგივე, გვ. *9*).

ეს ხომ სრულიად მცდარია!! **არც** პროგრამის მინიმუმის ცნობილი მოთხოვნები („მისი ის მოთხოვნები“), **არც** პროგრამის მინიმუმის მოთხოვნების **მთელი ჯამი არ** იძლევა „გადასვლას პრინციპულად სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებაზე“. ასე ფიქრობდე — ეს ნიშნავს პრინციპულად გადახვიდე რეფორმიზმის პოზიციაზე და უარყო სოციალისტური რევოლუციის თვალსაზრისი.

პროგრამა-მინიმუმი ისეთი პროგრამაა, რომელიც პრინციპულად შეეთავსება კაპიტალიზმს, არ სცილდება მის ფარგლებს.

იქნებ თქვენ იმის თქმა გსურდათ, რომ, როცა საზოგადოება ობიექტურად მომწიფებულია სოციალიზმისათვის, პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნათა **მთელი** ჯამის განხორციელება სოციალიზმს **მოგვცემდა**? მაგრამ არც ეს არის ასე. შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ პრაქტიკულად ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ყოველგვარი სერიოზული ბრძოლა პროგრამა-მინიმუმის დიდი მოთხოვნებისათვის **გადაიქცევა** სოციალიზმისათვის ბრძოლად და რომ ჩვენ ყოველ შემთხვევაში ამას ვესწრაფვით.

არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რასაც ივიწყებენ პანეკუკი + რადეკი, სახელდობრ: იმპერიალიზმი — ეს არის დამოკიდებული ერების ასეულ მილიონთა ექსპლოატაცია რამდენიმე უმდიდრესი ერის მიერ. ეს ქმნის უმდიდრესი ერის შიგ-

ნით უაღრესად სრული დემოკრატიის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს დამოკიდებულ ერებზე მისი ბატონობის შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი თ. ასე იყო ძველ საბერძნეთში მონობის ნიადაგზე. ასეთია ახლა ახალი ზელანდიისა და ინგლისის ვითარება.

(კერძოდ: გვ. 8 არ ვარგა. ამის თქმა ასე **არ** უნდა. მაგალითად, „პურს" სწორედ რომ ვერ მიიღებ იმპერიალიზმისა და სიძვირის ეპოქაში მ ა რ ტ ო ო დ ე ნ რეფორმებით.

გვ. 8 — დაცვა პოტრესოვის ბრალდებისაგან. მაგრამ თავი კი არ უნდა დავიცვათ, არამედ შევუტიოთ: თ ქ ვ ე ნ **სჯერდებით** რეფორმებს, ისევე როგორც ლიბერალები 1904 წელს რუსეთში.)

გვ. 10 — 1905 წელს ლიბერალები **სჯერდებოდნენ** რეფორმებს; ჩვენ მოვითხოვდით, ვქადაგებდით, ვამზადებდით და სხვ. რევოლუციას. აქ საქმე „კონკრეტულობა" კი არ არის, არამედ ყოველგვარი რევოლუციის ძირითადი პრინციპი (არსი): ძველი კლასის შეცვლა, „მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს" (*d e r* Macht) დაპყრობა ა ხ ა ლ ი კლასის მიერ.

(გვ. 10 ბოლოში: საშინლად გაუფრთხილებლად და ტლანჭადაა ლაპარაკი პროლეტარულ „რეფორმაზე", თუმცა კი თქვენ გინდათ თქვათ: „რევოლუციაზე"!! „ისევე როგორც 1904 წელს რუსეთში არა რეფორმები, არამედ **რეფორმა**" რაღაც ამის მსგავსი.)

გვ. 11 მთლიანად უაღრესად მცდარია. 8-საათიან სამუშაო დღესაც და „ხალხის შეიარაღებასაც" ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი მოგვცემს სოციალისტური რევოლუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. სწორედ რომ ბრძოლა გაჩაღდება ა რ ა ამისათვის, და საზოგადოდ **ა რ ა** პროგრამა-მინიმუმისათვის.

იმპერიალიზმი მოგვცემს „ბულიგინის სათათბიროებს", რეფორმებს რევოლუციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ჩვენ რევოლუციის მომხრენი ვიქნებით.

„თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები" იქნება და არის **არა** თქვენ მიერ აღნიშნული საკითხები, არამედ სიძვირე (1)+(2) იმპერიალისტური ხასიათის ომები.

სიძვირის წინააღმდეგ (ტრესტების არსებობისას და სხვ.)

რეფორმები უძლურია, ისევე როგორც 1904 — 1905 წლის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთში.

თქვენ არასწორად დააყენეთ რეფორმების საკითხი, პროგრამა-მინიმუმისაც, დემოკრატიისაც.

მე ძალიან გირჩევთ გადააკეთოთ, შემოიფარგლოთ ჯერჯერობით („ვოპროსი სტრახოვანიასათვის", პატარა სტატიისათვის) დაპირისპირებით: თქვენ, ბატონო პოტრესოვ, სავსებით **რეფორმისტი** ხართ, თქვენ სჯერდებით „რეფორმებს", თქვენ დაივიწყეთ მნიშვნელობა და აზრი „ფორმულისა": „არა „რეფორმები, არამედ რეფორმა"", მნიშვნელობა და აზრი კაუცკის+ჰილფერდინგის+ბაუერის etc. ციტირებული განცხადებებისა. „დელო" = რეფორმიზმის, ბურჟუაზიული მუშათა პარტიის იდეურად სავსებით ჩამოყალიბებული ორგანო.

„სამი ვეშაპი" იყო რეფორმებისათვის ბრძოლის გაფართოება რევოლუციამდე. ასე დგას საკითხი ციმერვალდის მემარცხენე ფრთის მანიფესტშიც: გადავაქციოთ, გარდავქმნათ ყოველი ბრძოლა რეფორმისათვის ბრძოლად რევოლუციისათვის.

ერთა თვითგამორკვევა, ჩემი აზრით, არ შეიძლება წამოვაყენოთ, როგორც „უმნიშვნელოვანესი" საზოგადოდ: ამით თქვენ იმაზე ათჯერ უფრო შორს მიდიხართ, რასაც აქამდე ვლაპარაკობდით. თქვენი ასეთი გამოსვლა იძულებულს გამხდიდა თქვენ წინააღმდეგ მივმხრობოდი — ჰოი, საშინელებავ! — ბუხარინს!!!

ხომ არ აჯობებს გადავდოთ ჯერჯერობით ეს საკითხი, გადავაკეთოთ სტატია à la # — და რაიმე თეზისების მაგვარი შევიმუშაოთ პროგრამა-მინიმუმისადმი etc. დამოკიდებულების შესახებ ბიუროში გასაგზავნად და ა. შ.?

ფრაზები „მაქსიმალიზმის" შესახებ სხვა არა არის რა, თუ არა რეფორმისტის თავდასხმები რევოლუციონერებზე (ცენზურისათვის — „რეფორმიზმის პრინციპულ მოწინააღმდეგეებზე"). საზოგადოდ **ასეთ** საკითხზე

ცენზურულად მსჯელობა განსაკუთრებით ძნელი საქმეა და heikle sehr heikle Sache!!*.

დაწერილია 1916 წლის 7 (20) დეკემბრის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 30

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გეგმები ბროშურისა „სტატისტიკა და სოციოლოგია“**

სტატისტიკა და სოციოლოგია

1

ა) ეროვნულ მოძრაობათა ისტორიული პირობები.

გ) ზოგიერთი თეორიული საკითხი, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას ეხება.

გ) ერთა თვითგამორკვევის უფლება და როზა ლუქსემბურგი.

დ) კულტურულ-ეროვნული ავტონომია...

ა) ეროვნულ მოძრაობათა ისტორიული პირობები...

ეპოქათა ცვლა; ქვეყნების ტიპები, როგორც ამ ცვლის ისტორიული საფეხურები...

ა. ეროვნულ მოძრაობათა ისტორიული ვითარება (გვ. 2***)

თავი 1. ცოტაოდენი სტატისტიკა...

გვ. 4. I და II გვ. 8****

---

* ...დელიკატური, ძალიან დელიკატური საქმეა!! რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 358—367. რ ე დ.

*** იგულისხმება ბროშურის ხელნაწერის გვ. 2 (იხ. იქვე, გვ. 358—360). რ ე დ.

**** იხ. იქვე, გვ. 361—366 და 366—367. რ ე დ.

2. ქვეყნების სამი „ტიპი“... (ტიპები = ისტორიული საფეხურები).

ბ) ზოგიერთი თეორიული საკითხი [Some unsettled questions?*] რომლებიც ეროვნულ მოძრაობებს ეხება.

„ეროვნებათა სახელმწიფო?“ [დამთავრებულ ეროვნულ მოძრაობათა სტადია...]

3. იმპერიალიზმი და მსოფლიოს განაწილება... (დიაგრამა?)

4. წესი: მჩაგვრელი და ჩაგრული ერები...

5. „სახელმწიფოთა სისტემა...“

(1)

ბ. განხორციელებადობის ცნების შესახებ

1. თვითგამორკვევის „განხორციელებადობა“.

{{ეროვნულ სახელმწიფოთა სისტემა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სისტემა}}

(2) 2 bis: „დუალიზმი“ და მონიზმი...

2. ეროვნული ომები იმპერიალიზმის „ეპოქაში“.

ჰილფერდინგი[502]. Patouillet[503]. Junius „ეპოქის“ ცნება.

ad ა.→6.**

(3)

ანექსიები და კოლონიები

3. ანექსიები და თვითგამორკვევა.

4. კოლონიები და თვითგამორკვევა

7. იმპერიალისტური და ეროვნული ომების შეერთება... ამერიკა 1783—„შესაძლო“ და რეალური.

* — ზოგიერთი გადაუჭრელი საკითხი? რ ე დ.

** — პუნქტისათვის ა. 6. რ ე დ.

(4) ლენჩის მოსაზრებანი
5. ლენჩი vs სტრუვე. ლენჩის „მოსაზრებანი“...[504]
6. ენგელსი 1866 წლის ხელშეკრულების შესახებ (განსაკუთრებული ფურცელი)...

(5)
7. იმპერიალისტური ეკონომიზმი და „ულტრაიმპერიალიზმი“...

(6)
8. სახელმწიფო და სახელმწიფო მშენებლობა.
9. დემოკრატია და სოციალიზმი.
10. Minimum და maximum.

(7)
11. სოციალ-შოვინიზმი vs კაუცკელობა თვითგამორკვევისა და იმპერიალიზმის საკითხში.

(8) ევროპის შეერთებული შტატები: ...
Patouillet (ვილჰელმ II)...
კოლონიები.

(9) სოციალ-პაციფიზმი, როგორც იმპერიალიზმის შელამაზება (კ. კაუცკი. XII. 1916)[505]

2

მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ქვეყნების განსხვავება

+Marx-ი ირლანდიის შესახებ *1869* წ. (Beiträge zur Biographie[506]-დან)

ევროპის სახელმწიფოები და კოლონიები 1876 და 1916 წწ.
„არ ღირდა ზანგების განთავისუფლება“ (Wirth-ი).
Marx-ი სახელმწიფოს შესახებ: „*der heutige* Staat“ *??? (NB)

+ ენგელსი 1866 წლის ხელშეკრულებისა და მისი გაუქმების შესახებ (განსაკუთრებული ფურცელი).

სახელმწიფო კონცენტრაციის „კანონი“ ????

* — „თანამედროვე სახელმწიფო“. რ ე დ.

	ჩაგრულ ერთა ეროვნული თავისებურებანი (Wirth-ი ირლანდიის შესახებ).
+ ლენჩის „მოსაზრებანი“ (მისი 2 სტატია)...	ენგელსი ირლანდიის შესახებ ინგლისთან ამერიკის ომის შემთხვევაში. „Neue Zeit“ 1915 — 1916?
	... „იმპერიალისტური ეკონომიზმი“... „ულტრაიმპერიალიზმი“... } ორი სისუელე
„ეროვნული ომების ერა“ (Patouillet და იუნიუსი)	„შეუძლებელია ეროვნული ომები“ იმპერიალისტურ „ეპოქაში“. (უფრო მაგრად რომ იყოს!) „ეპოქის“ ცნება...

3

ძველი და ახალი ეტიუდები ეროვნულ საკითხზე:

Ad ა:

1. ქვეყნების 3 „ტიპი“.
2. „ტიპები“ = ისტორიული საფეხურები.
3. განვითარების უთანაბრობა.

} „ეროვნებათა სახელმწიფო“. ეს ცნება სრული არ არის. }

Ad ბ

- რეფორმების წინ წაწევა: ბისმარკი vs 1848
- 1914—1917 იმპერიალისტური ომი vs 1848 (!!!)
- იმპერიალიზმი და მსოფლიოს დანაწილება
- იმპერიალისტური ომები მონობის საფუძველზე etc.
- იმპერიალისტური ომების შეერთება ეროვნულთან.

ეროვნულ მოძრაობათა ისტორიული პირობები

Etwa**:
ა. ცოტაოდენი სტატისტიკა. (ფაქტები are stubborn things*.)
ბ. თეორიული შეცდომები ზოგიერთი მარქსისტის მსჯელობაში ეროვნულ საკითხზე.
გ. ერთა თვითგამორკვევის უფლება და როზა ლუქსემბურგი } ძველი
დ. კულტურულ-ეროვნული ავტონომია } ეტიუდები...

Ad ბ:

იმპერიალიზმი და ეროვნული საკითხი.
ეროვნული თვითგამორკვევის „განხორციელებადობა“.
ანექსიები და ეროვნული თვითგამორკვევა.
კოლონიები და ეროვნული თვითგამორკვევა.
სახელმწიფო და სახელმწიფო მშენებლობა.
„დუალიზმი“ და „მონიზმი“ ეროვნულ საკითხში.
სხვადასხვაგვარი მოძრაობა ერთი მიზნისაკენ.
„წაეთრიეთ კოლონიებიდან“ ??
სოციალიზმი და კოლონიები (Engels-ი 1882).

ებრაელობა — ერი?
ერების შერწყმა?

დაწერილია 1917 წლის იანვარში

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს ლენინის XXX კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნიშნები „ცენტრისა“, როგორც მიმდინარეობისა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში[507]

გრიმთან:

ნიშნები „ცენტრისა“, როგორც მიმდინარეობისა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში:

\+ 1. არ გავწყვიტოთ კავშირი საკუთარი ქვეყნის სოციალ-პატრიოტებთან არც ძირეულ პრინციპებში, არც ორგანიზაციულად; აქედან 2.

\+ 2. გათიშვის წინააღმდეგ.

* — ჯიუტი რამეა. რედ.

** — დაახლოებით. რედ.

(+ —) 3. ორჭოფობა სამშობლოს დაცვის საკითხში.

\+ 4. ცომერვალდი და კინტალი ვცნოთ — ნუ გავეთიშებით I.S.B-სა* და საერთაშორისო სოციალ-პატრიოტიზმს.

\+ 5. არ გავწყვიტოთ კავშირი რეფორმიზმთან: მხოლოდ სიტყვიერად გავაკრიტიკოთ იგი („passiver Radikalismus“ **).

\+ 6. მომავალ რევოლუციას (**ამ** ომთან დაკავშირებით) მოვეკიდოთ **მომლოდინეობით** (**არა** აქტიურად, **არა** ინიციატორულად, როგორც მემარცხენეები).

\+ (ΣΣ) 7. ΣΣ=შელამაზება (და დაცვა) სოციალ-პატრიოტიზმისა ამა თუ იმ ზომითა და ამა თუ იმ საშუალებით, ასეთია „ცენტრის“ **არსი** (wesen)...

(?=პ. 1)

\+ 8. არავითარი გარდაქმნა ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და პროფესიული კავშირებისა, არაფერი მსგავსი ლიბკნეხტის „Regeneration***-ისა თავიდან ბოლომდე“.
ამ საკითხის გადადება.

(—) 9. სოციალ-პაციფიზმი, როგორც პროგრამა და ტაქტიკა.

\+ 10. არავითარი სისტემატური პროპაგანდა რევოლუციისა ახლანდელ ომთან დაკავშირებით.

\+ 11. არავითარი მომზადება ორგანიზაციებისა etc. ასეთი რევოლუციისათვის.

— α) „Avanti!“ 6. III. 1916
β) Morgary შვეიცარიის გაზეთში
γ) სოციალ-პაციფიზმი
\+ αα) მხოლოდ სოციალ-პატრიოტები
ββ) ახალგაზრდები.

---

* — Internationales Sozialistisches Bureau — საერთაშორისო სოციალისტური ბიურო. რ ე დ.
** — „პასიური რადიკალიზმი“. რ ე დ.
*** — „აღორძინება“. რ ე დ.

ერთმანეთის გვერდით აყენებს რა ლიბკნეხტსა და იტალიის სოციალისტურ პარტიას, გრიმი ერთმანეთში ურევს ცენტრსა და მემარცხენეებს.

რევოლუციური (ომთან ბრძოლის) ამოცანა გრიმს სურს გადაწყვიტოს რეფორმისტული ღონისძიებებით („schwächen“, erschweren etc.*).

არაპირდაპირი გადასახადი 4/5. XI. 1916.

რეფორმისტული ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ (6. VIII. 1916).

პოლემიკა სთან** („Sozialismus tut not“***).

Idem რეფორ-მიზმს ‖ ჩქმალავენ სოციალ-პატრიოტიზმს შვეიცარიის სოციალისტურ პარტიაში, არ ებრძვიან მას.
Idem პროფესიულ ბრძოლაში (Schneeberger & Dürr).

NB ‖ რევოლუციური მოქმედების **მომენტის** საკითხს **ურევენ** საერთოდ რევოლუციური მოქმედების შესაძლებლობის სისტემატური პროპაგანდის, საგიტაციო და ორგანიზაციული მომზადების საკითხში.

ყალბი, არაკეთილსინდისიერი თავის დაძვრენა Entwaffnung****-ის მეშვეობით (შდრ. მისივე „თეზისები“). Idem Diensterweigerung*****.

თავის დაძვრენა საკითხში was heißt „*verweigern*“ die „Leipziger Volkszeitung“? Verzerrung der Frage *seitens* Grütli-Verein******.

NB: „სიტყვიერად“ ციმერვალდ + კინტალის ცნობა, საქმით ყველაფერი ძველებურად!!

33. 13. „ცენტრის“ თვალსაზრისით საერთოდ შვეიცარიაში **თანამიმდევრული** იქნებოდა მხარი დაგვეჭირა სამშობლოს დაცვისათვის!!!*******

დაწერილია 1917 წლის იანვარში

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 30

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — დასუსტება, გართულება და ა. შ. რედ.
** — ეს სიტყვა გაურკვეველია. რედ.
*** — „სოციალიზმი აუცილებელია“. რედ.
**** — განიარაღება. რედ.
***** — იგივე სამხედრო სამსახურზე უარის თქმით. რედ.
****** — რას უწოდებს „უარის თქმას“ „ლაიფციგის სახალხო გაზეთი“? საკითხის დამახინჯება გრიუტლი-კავშირის მხრივ. რედ.
******* აქ ხელნაწერი წყდება. რედ.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐ „ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ“[108]

ო მ ი ს გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი

Etwa*:

1. იმპერიალიზმის განსაზღვრა.
2. ომის იმპერიალისტური ხასიათი მხილებულია.
3. მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინ წაწევა სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ.
4. „გაჭირვება“ გვასწავლის. შიმშილი etc.
5. ქალის შრომა. „Arbeitszwang“ etc. „Kriegssozialismus“ ?**
6. სოციალ-პატრიოტიზმი, ანუ სოციალ-შოვინიზმი. საერთაშორისო მნიშვნელობა.
7. კაუცკელობა, ანუ ცენტრიზმი, ანუ სოციალ-პაციფიზმი.
8. მემარცხენეები.

8. *bis*. Basler Manifest. უ ა რ ყ ო ფ ი ლ ი ა?

9. სოციალ-ეკონომიური მიდგომა. „Not kennt kein Gebot“***. ან სოციალიზმი, ან შიმშილი (idem Neutrale****).
10. Wie's gemacht wird? „Wumba“*****.
11. პოლიტიკური ამოცანები: რევოლუცია.
12. სამოქალაქო ომი. Waffen umkehren. („Entwaffnung der Arbeiter“ ?)******
13. „დავამსხვრიოთ ძველი სახელმწიფო“ მანქანა (Kautsky gegen Panneckoek).
14. „პროლეტარიატის დიქტატურა“. 1871 და 1905.
15. ძველი, „მზა“ სახელმწიფო ხელისუფლება თუ ა ხ ა ლ ი ?

---

* — დაახლოებით. რ ე დ.

** — „იძულებითი შრომა“ და ა. შ. „სამხედრო სოციალიზმი“? რ ე დ.

*** — „გაჭირვება არ ცნობს არავითარ კანონებს“. რ ე დ.

**** — იგივე ნეიტრალური. რ ე დ.

***** — როგორ კეთდება ეს? „ვუმბა“ (იარაღითა და საბრძოლო მასალით მომარაგების უწყება). რ ე დ.

****** — იარაღის შემობრუნება. („მუშათა განიარაღება“ ?) რ ე დ.

16. „მუშათა დეპუტატების საბჭოები". პარლამენტარიზმია?

17. ა ხ ა ლ ი დემოკრატიის როლი და მისი კვდომა.

17. bis. „ახალი" დემოკრატია („neue Schöpfung" *)= მომუშავე, სოციალისტური, პროლეტარული, **კომუნისტური**.

18. რევოლუციისაკენ შემობრუნების მომენტები, ელემენტები, ნიშნები.

M. Capy, urb. Gohier
R. Rolland

„The North American Review" **
„The Atlantic Monthly" ?***

თემები: **A**. იმპერიალიზმი და იმპერიალისტური ომი (1—2).
B. 3 მიმართულება საერთაშორისო სოციალიზმში (6—8).
C. ეკონომიკის წინ წაწევა (3—5).
D. სოციალიზმის „განხორციელებადობა" და აუცილებლობა.
E. პოლიტიკური რევოლუცია (11—17).
F. „der Sturm naht" **** (18).

დაწერილია 1917 წლის თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1939 წელს ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის" № 1-ში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მონახაზი მეხუთე „წერილისა შორიდან"[509]

ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მივიდეთ დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ძველი პროგრამით. იგი უნდა შევცვალოთ:

1) დავუმატოთ იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის შესახებ

---

* — „ახალი შემოქმედება". რ ე დ.
** — „ჩრდილო ამერიკის მიმოხილვა". რ ე დ.
*** — „ატლანტიკური ყოველთვიური"? რ ე დ.
**** — „იერიში ახლოვდება". რ ე დ.

2) იმპერიალისტური ომის, იმპერიალისტური ომებისა და „სამშობლოს დაცვის“ შესახებ

\+ 2 *bis*: სოციალ-შოვინისტებთან ბრძოლისა და გათიშვის შესახებ

NB 3) დავუმატოთ ისეთი სახელმწიფოს შესახებ, როგორიც ჩვენ გვჭირდება, და სახელმწიფოს **კვდომის** შესახებ.

4) შევცვალოთ
2 უკანასკნელი აბზაცი პოლიტიკური პროგრამის წინ
(მონარქიის საზოგადოდ და მისი აღდგენის ღონისძიებათა წინააღმდეგ)

5) დავუმატოთ პოლიტიკური ნაწილის § 3-ს:
არავითარი მოხელეები ზემოდან
(შდრ. *Engels*-ი 1891 წლის კრიტიკაში[510])

\+ ხელფასი ყველა მოხელეს: არა უმეტეს მუშის ხელფასისა

\+ ყოველი დეპუტატისა და მოხელის გამოწვევის უფლება ნებისმიერ დროს

\+ 5 bis) გავასწოროთ § 9 თვითგამორკვევის შესახებ

\+ სოციალისტური რევოლუციის ინტერნაციონალური ხასიათი დეტალურად

6) ბევრი რამ შევასწოროთ პროგრამა-მინიმუმში და **ავამაღლოთ.**

7) აგრარულ პროგრამაში:
(α) ნაციონალიზაცია ნაცვლად მუნიციპალიზაციისა
(მე გავგზავნი პიტერში ამის შესახებ ჩემს ხელნაწერს, რომელიც დაწვეს 1909 წელს [511])
(β) სანიმუშო მეურნეობები მემამულეთა მამულებში.

8) „საყოველთაო შრომითი ბეგარა“ (Zivildienstpflicht)

9) ამოვშალოთ „ყოველგვარი **ოპოზიციური**“ მოძრაობის (რევოლუციურისა სხვა საქმეა) მხარდაჭერა.

10) სახელწოდება შევცვალოთ, ვინაიდან
(α) იგი სწორი არ არის

(β) წაბილწეს სოციალ-შოვინისტებმა
(γ) თავგზას აუბნევს ხალხს არჩევნებზე, რადგან ს.-დ.=ჩხეიძე, **პოტრესოვი** და K^0.

ეს არის მონახაზი „№ 5 წერილისა". დამიბრუნეთ **მაშინვე**.
ხომ არა გაქვთ მონახაზები და შენიშვნები პროგრამა-მინიმუმის შეცვლის შესახებ მის პრაქტიკულ ნაწილში? ((გახსოვთ, **არაერთხელ** გვითქვამს?))
ამ სამუშაოს **ახლავე** უნდა მოვკიდოთ ხელი.

დაწერილია 1917 წლის 7 და 12
(20 და 25) მარტს შუა

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პასუხები გაზეთ „POLITIKEN"-ის[512] კორესპონდენტს 1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი)

ჩვენს მეგობრებს არ უნდოდათ არავითარი ინტერვიუს მიცემა. ინტერვიუს ნაცვლად ჩამოსულებმა „Politiken"-ის საშუალებით გააცნეს პრესასა და საზოგადოებრიობას კომუნიკე მგზავრობის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რაც შეიძლება მალე ჩავიდეთ რუსეთში, — მგზნებარედ თქვა ლენინმა. — ძვირფასია ყოველი დღე. მთავრობებმა ყველაფერი იღონეს, რათა მგზავრობა გაეძნელებინათ.

შეხვედით თუ არა რომელიმე გერმანელ პარტიულ ამხანაგს?

არა. ბერლინელმა ვილჰელმ იანსონმა სცადა შეგვხვედროდა ლინგენში შვეიცარიის საზღვართან. მაგრამ პლატენმა უარი უთხრა და მეგობრულად აგრძნობინა, რომ სურს ააშოროს მას ასეთი შეხვედრის უსიამოვნება.

„Politiken" № 85, 1917 წლის
14 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ „Politiken"-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი შვედურიდან

პასუხი შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელს ფ. სტრომს
1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი)

რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ფრედრიკ სტრომმა რუსების სურვილის წინააღმდეგ ხელი შეუშალა „Socialdemokraten“ [513]-ის წარმომადგენელს დასწრებოდა თათბირს, ეს აშკარა მონაჭორია. სტრომის კითხვაზე ლენინმა უპასუხა:

ჩვენ სრულიად არ ვენდობით ბ-ნ ბრანტინგს. თუ თქვენ ენდობით მას, შეგიძლიათ მოიწვიოთ მისი წარმომადგენელი.

„Politiken“ № 86,
1917 წლის 15 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ „Politiken“-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი შეედურიდან

რუს რევოლუციონერთა მგზავრობა გერმანიის გავლით

ჯგუფის კომუნიკე [514]

რუსმა რევოლუციონერებმა, რომლებიც პარასკევს დილით ჩავიდნენ სტოკჰოლმში, „Politiken“-ს გამოსაქვეყნებლად გადასცეს შემდეგი ოფიციალური კომუნიკე თავიანთი მგზავრობის შესახებ:

ინგლისმა, რომელიც ოფიციალურად „გულგახარებული“ მიესალმა რუსეთის რევოლუციას, ყველაფერი იღონა, რათა მაშინვე არარად ექცია რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი — პოლიტიკური ამნისტია. ინგლისის მთავრობა არ უშვებს რუსეთში საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს რევოლუციონერებს, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან. მას შემდეგ, რაც ეს უდავოდ დამტკიცდა, — ხსენებული ფაქტი დადასტურებულია უამრავი მასალით, რომლებიც სულ მალე გამოქვეყნდება, და უველა მიმართულების რუსმა სოციალისტებმა აღნიშნეს ეს ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, — რუსი პარტიული ამხანაგების ნაწილმა გადაწყვიტა ეცადა დაბრუნებულიყო

შვეიცარიიდან რუსეთში გერმანიისა და შვეციის გავლით. ფრიც პლატენს, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანსა და მისი მემარცხენე ფრთის ლიდერს, ცნობილ ინტერნაციონალისტსა და ანტიმილიტარისტს, მოლაპარაკება ჰქონდა გერმანიის მთავრობასთან. რუსი პარტიული ამხანაგები მოითხოვდნენ თავიანთი მატარებლის ექსტერიტორიულობის უფლებას (არავითარი კონტროლი არ გაეწიათ პასპორტებისა თუ ბარგისათვის; არ შემოეშვათ მათ ვაგონში არც ერთი მოხელე, ვინც უნდა ყოფილიყო იგი). მგზავრთა შორის შეიძლებოდა ყოფილიყო ყოველი ადამიანი, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, იმ პირობით, თუ რუსები თვითონ მოიწონებდნენ მის კანდიდატურას. რუსმა პარტიულმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ ამის სანაცვლოდ მოითხოვენ რუსეთში ინტერნირებულ ავსტრიელ და გერმანელ სამოქალაქო პირთა განთავისუფლებას.

გერმანიის მთავრობა დათანხმდა პირობებს, და 9 აპრილს გოტმადინგენიდან გაემგზავრა 30 რუსი პარტიული ამხანაგი, მამაკაცი და ქალი, მათ შორის ლენინი და ზინოვიევი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანოს — „სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორები, პარიზის „ნაჩალოს“[315] რედაქტორი მიხა ცხაკაია, კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, რომელმაც თავის დროზე პარტიაში შეიყვანა ჩხეიძე, აგრეთვე ებრაელ მუშათა კავშირის რამდენიმე წევრი. მგზავრობის ხელმძღვანელი იყო ფრიც პლატენი, რომელიც მარტო აწარმოებდა ყოველგვარ საჭირო მოლაპარაკებას მატარებლის თანმხლებ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან.

გერმანიის გავლით სამი დღის მგზავრობის მანძილზე რუსი პარტიული ამხანაგები არ გამოსულან ვაგონიდან. გერმანიის ხელისუფლებამ სავსებით ლოიალურად შეასრულეს შეთანხმება. ამ თვის 12-ს რუსები შვეციაში ჩავიდნენ.

შვეიცარიიდან გამგზავრების წინ შედგენილი იყო ოქმი მგზავრობისათვის ყოველგვარი მზადების შესახებ. გაეცნენ რა

ამ დოკუმენტს, ანრი გილბომ, საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის „Vie Ouvrière“-ს წარმომადგენელმა და „Demain“[516]-ის რედაქტორმა, პარიზში ფრანგთა რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, რომლის დასახელება ამჟამად არ შეიძლება[517]; პაულ ჰარტშტაინმა, გერმანიის რადიკალური ოპოზიციის წევრმა; მ. ბრონსკიმ, რუსეთ-პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა, და ფრიც პლატენმა ხყლი მოაწერეს განცხადებას, რომელშიც სავსებით მოიწონეს რუსი პარტიული ამხანაგების მოქმედება.

დაწერილია 1917 წლის 31 მარტს
(13 აპრილს)

დაიბეჭდა 1917 წლის 14 აპრილს
გაზეთ „Politiken“-ის № 85-ში

რუსულ ენაზე დაიბეჭდა შემოკლებით
1917 წლის 5 (18) აპრილს გაზეთების
„დენის“ № 25-სა და „რეჩის“ № 78-ში

იბეჭდება
გაზეთ „Politiken“-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი შვედურიდან

სიტყვა თათბირზე შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან 1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი)[518]

საგაზეთო ანგარიში

რუსი ამხანაგების სახელით ლენინმა მადლობა გადაიხადა მიღებისათვის და თქვა, რომ რუსეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომელსაც უახლოეს ხანში მოიწვევენ, წამოაყენებს ინტერნაციონალური ხასიათის წინადადებას. შვედ ამხანაგებთან და განსაკუთრებით „Politiken“-თან მჭიდრო კავშირი გვექნება.

„Politiken“ № 86,
1917 წლის 15 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ „Politiken“-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი შვედურიდან

სიტყვა ფინეთის ვაგზლის მოედანზე მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი 1917 წლის 3 (16) აპრილი

საგაზეთო ანგარიში

ქუჩაში, ჯავშნოსან ავტომობილზე მდგომი, ამბ. ლენინი მიესალმა რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატს და რუსეთის რევოლუციურ არმიას, რომლებმაც შეძლეს არა მარტო რუსეთის განთავისუფლება მეფის დესპოტიზმისაგან, არამედ დასაბამი მისცეს სოციალურ რევოლუციას საერთაშორისო მასშტაბითაც, აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი იმედით შეჰყურებს რუსეთის პროლეტარიატის გაბედულ ნაბიჯებს.

დიდძალი ხალხი მთლიანად გაჰყვა მოტორს კშესინსკაიას სასახლემდე, სადაც მიტინგი კიდევ გაგრძელდა.

„პრავდა“ № 24, 1917 წლის 5 აპრილი

იბეჭდება გაზეთ „პრავდის“ ტექსტის მიხედვით

„თავისუფლების სესხი“[519]

(მუშათა დეპუტატების საბჭოს გოლშევიკური ფრაქციის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი)

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს რეზოლუცია მე-4 „თავისუფლების სესხის“ გამო

იმ დებულების საფუძველზე, რომ თანამედროვე ომი მძარცველურ-იმპერიალისტური ომია, რომ მისი ხასიათი სრულიადაც არ შეცვლილა იმის გამო, რომ რუსეთში ძალაუფლება კაპიტალისტური დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა საიდუმლო ხელშეკრულებანი, რომლებიც ომის ჭეშმარიტ მიზნებს განსაზღვრავენ, კვლავ ინარ-

ჩუნებენ ძალას, — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სრულიად გადაჭრით აცხადებს პროტესტს ეგრეთ წოდებული „თავისუფლების სესხის“ წინააღმდეგ და უარს ამბობს მხარი დაუჭიროს დროებითი მთავრობის ზრახვებს გააჭიანუროს ომი, რომელიც მხოლოდ იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი.

თუ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშები ხმას მისცემენ სესხებს, რომლებიც ბურჟუაზიულმა მთავრობებმა აიღეს იმპერიალისტური ომის საწარმოებლად, მაშინ ომის საშინელებათაგან გამოსავალს ვერ ვიპოვით, და ყველა ფრაზა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ძმური სოლიდარობის შესახებ, ინტერნაციონალიზმისა და სხვა მისთანათა შესახებ სრულ თვალთმაქცობად იქცევა.

სესხისათვის ხმის მიცემის შეერთება უანექსიო ზავის სასარგებლოდ გამოთქმულ სურვილებთან, განცხადებებთან, დეკლარაციებთან და სხვ. განსაკუთრებით თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ დამღუპველია, როცა სიტყვა საქმეს არ ეთანხმება, რამაც დაშალა II ინტერნაციონალი.

სანამ პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლება არ გადასულა პროლეტარიატისა და გლეხობის უღარიბესი ფენის ხელში, სანამ ომის მიზანს კაპიტალის ინტერესები განსაზღვრავენ, მანამ მუშები უარს ამბობენ დაეთანხმონ ახალ სესხებს, რომლებიც მიმართულია არა რუსეთის რევოლუციური თავისუფლების სასარგებლოდ, არამედ მის წინააღმდეგ.

ამასთანავე ცნობს რა, რომ ყოველივე აუცილებლით არმიის მოსამარაგებლად საჭიროა სახსრები, და არ სურს რა თუნდაც ერთი საათით უპუროდ დატოვოს თავისი ძმები, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო იმ აზრისაა, რომ კაპიტალისტური ომის ხარჯები უნდა გაიღონ კაპიტალისტებმა, რომლებმაც ამ ომის შედეგად მილიარდობით მანეთი მოხვეტეს და კვლავაც ხვეტენ, და რომ საჭირო ფული მხოლოდ ბურჟუაზიასა და მემამულეებს უნდა გამოართვან.

დაწერილია 1917 წლის 11 (24) აპრილს

დაიბეჭდა 1917 წლის 13 აპრილს გაზეთ „პრავდის“ № 31-ში

იბეჭდება გაზეთ „პრავდის“ ტექსტის მიხედვით

რსდმპარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია[520]

1917 წლის 14—22 აპრილი (27 აპრილი—5 მაისი)

1

მოხსენება მიმდინარე მომენტზე და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ

14 (27) აპრილი

საგაზეთო ანგარიში

ძველი ტრადიციული ფორმულები (პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა) უკვე აღარ აკმაყოფილებენ შეცვლილ პირობებს. რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა განხორციელდა, მაგრამ არა ჩვენ მიერ გათვალისწინებული ფორმით: იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურასთან გადახლართულად. იმპერიალისტურმა ომმა ყველაფერი არია-დარია,— რევოლუციის თავგამოდებული მოწინააღმდეგე ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები რევოლუციის გამარჯვების ხელისშემწყობებად გადააქცია (ასევე არმიის მეთაურთა შემადგენლობისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ზედა ფენები).

ისტორიაში გარემოებათა ამ განსაკუთრებულმა დამთხვევამ გამოიწვია სწორედ ორმაგი დიქტატურა: ბურჟუაზიის დიქტატურა და რევოლუციური დემოკრატიის დიქტატურა. ხალხი ორგანიზაციული თვალსაზრისით ვერასოდეს ვერ მისდევდა კვალდაკვალ ბურჟუაზიას; რუსეთში ხალხმა შექმნა თავისი ორგანიზებული ძალაუფლება, მაგრამ ამასთანავე არ მიუღწევია პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. აქედან მივიღეთ ორხელისუფლებიანობა, ჯარისკაცთა მასების წვრილბურჟუაზიული უმრავლესობისა და მუშათა ნაწილის შეუგნებელ-მიმნდობი დამოკიდებულება დროებითი მთავრობისადმი, რევოლუციური დემოკრატიის ნებაყოფლობითი დაქვემდებარება ბურჟუაზიული დიქტატურისადმი. მომენტის თავისებურება ის

არის, რომ მტკიცე და შეგნებული უმრავლესობის შექმნას პროლეტარული პოლიტიკის მხარეზე (ყველა სხვა პოლიტიკური მიმართულება მთლიანად წვრილი ბურჟუაზიის პოზიციაზე გადავიდა) ხელს უშლის მასების შეუგნებლობა. რევოლუციური დემოკრატია სულ სხვადასხვაგვარ (თავისი კლასობრივი მდგომარეობითა და ინტერესებით, რაც სრულიადაც არ არის ერთი და იგივე!) ელემენტთა კრებულია. მათი ფენებად დაშლა (სოფლად—შეძლებული გლეხები, 9 ნოემბრის კანონით მოღონიერებულნი, და უღარიბესი ცალცხენა და უცხენო გლეხები, ქალაქად — მუშათა კლასს მიმხრობილი ფენები და წვრილი მესაკუთრენი), პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების გამოყოფა წვრილი ბურჟუაზიისაგან გარდაუვალია, მაგრამ შეიძლება რევოლუციური ბლოკის მესაკუთრე ელემენტების შეკავშირება იქამდე მივიდეს, რომ გადასძალოს პროლეტარული ლოზუნგების გარშემო მასების დარაზმვას. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელში დარჩება, ძალაუფლება არ გადაეცემა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს. დასკვნა: ჩვენი ამოცანაა არა დროებითი მთავრობის დამხობა: იგი ეყრდნობა წვრილბურჟუაზიული და მუშათა მასების ნაწილის ნდობას, არამედ კლასობრივი ამოცანებისა და ორგანიზაციის გულმოდგინედ განმარტება.

„პრავდა" № 40,
1917 წლის 8 მაისი (25 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის"
ტექსტის მიხედვით

2

სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის შეტანისას 22 აპრილი (5 მაისი)

რეზოლუციას ომის შესახებ ამუშავებდნენ კომისიაში, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ დაუმუშავებიათ. მთლიანად დამუშავებული სახით, ვფიქრობ, ეს რეზოლუცია წარედგინება

საერთო-პარტიულ კონფერენციას, ახლა კი რეზოლუციას წასაკითხავად გთავაზობთ იმ სახით, რა სახითაც არის.

რეზოლუცია შედგება სამი ნაწილისაგან: 1) ომის ობიექტური მიზეზები, 2) რევოლუციური ობორონცობა და 3) როგორ დავამთავროთ ომი.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო და სრულიად რუსეთის კონფერენციები 1917 წლის აპრილში"

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით

სიტყვა ჯავშნოსანი დივიზიონის ჯარისკაცთა მიტინგზე მიხეილის მანეჟში

1917 წლის 15 (28) აპრილი

საგაზეთო ანგარიში

ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც საერთაშორისო სოციალიზმის თვალსაზრისს ვადგავართ, ბრალად გვდებენ, რომ ჩამოვედით რუსეთში გერმანიის გავლით, რომ ჩვენ ვუღალატეთ სახალხო საქმეს, თავისუფლებას, რომ ჩვენ მოგვისყიდეს გერმანელებმა.

ვინ ამბობს ამას? ვინ ავრცელებს ამ ცილისწამებასა და სიცრუეს?

ამხანაგმა ჯარისკაცებმა და მუშებმა, რომლებიც მუშათა გაზეთებს კითხულობენ, იციან, რომ „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებების"[521] 1917 წლის 5 აპრილის № 32-ში დაბეჭდილი იყო საბჭოს დადგენილება, რომელიც გამოიტანეს მას შემდეგ, რაც მოისმინეს ამხ. ზინოვიევისა და ამხ. ზურაბოვის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოვახერხეთ ჩამოსვლა გერმანიის გავლით.

გაგვკიცხა თუ არა საბჭომ? არა. მაშ რა თქვა საბჭომ? მან უპასუხა, მან მოსთხოვა დროებითს მთავრობას მიეღო საგანგებო ზომები იმისათვის, რომ დაუბრკოლებლად შემოეშვათ რუ-

სეთში ყველა რუსი პოლიტიკური განდევნილი, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.

შემდეგ ამბ. ლენინმა აღნიშნა, რომ დროებითს მთავრობას დღემდე არავითარი ზომა არ მიუღია და საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი ამხანაგი სოციალისტები ვერ მოხვდნენ რუსეთში. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ინგლისს, რომელიც დაინტერესებულია ამ ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტით, არ სურს გაატაროს ჩვენი ამხანაგი სოციალისტები, ის სოციალისტები, რომლებმაც ომს ომი გამოუცხადეს, რომლებიც ზავს მოითხოვენ. ინგლისელებს საპყრობილეში ჰყავთ დამწყვდეული თავისივე ინგლისელი სოციალისტი[522], დააპატიმრეს და საპყრობილეში ჰყავთ აგრეთვე ჩვენი ამხანაგი ტროცკი, რომელიც 1905 წელს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო.

მაგრამ ზუსტად ასევე იქცეოდა და იქცევა კაპიტალისტთა და მემამულეთა ყველა მთავრობა, რომლებსაც ეს ომი სურთ: საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის მთავრობებიც, — ყველა სოციალისტი, ვინც ომის წინააღმდეგია, მათ საპყრობილეებში ჩაყარეს და იქ ჰყავთ დამწყვდეულნი.

განა ამის შემდეგ შეიძლებოდა ინგლისის გავლით მგზავრობა? არა. აი რატომ მოგვიხდა მიგვემართა შვეიცარიელი სოციალისტის პლატენისათვის, რომელიც აგრეთვე ზავის მომხრეა.

მერედა რა გამოვიდა აქედან?

ლენინი და მისი თანამგზავრები გაატარეს, მაგრამ ჩვენი მოწმე ამხანაგი პლატენი, რომელსაც შეეძლო დაედასტურებინა, რომ ჩვენ არავითარი ურთიერთობა არ გვქონია გერმანელებთან, ეს ამხანაგი რუსეთში არ შემოუშვეს.

მაშ რაშია აქ საქმე?

იმაში, რომ იმ ომს, რომელიც ახლა ასიათასობით სიცოცხლეს იწირავს ყოველთვიურად, აწარმოებენ კაპიტალისტები,— მათთვის ომი ხელსაყრელია, სარგებლობის მომტანია, და ამიტომ ყველა იმათ, ვისაც სურს და იღვწის ზავისათვის, ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, და მათ შორის ავაზაკი და მძარ-

ცველი ვილჰელმი, საპყრობილეებში ამწყვდევენ სოციალისტებს და სიცრუესა და ცილისწამებას ავრცელებენ მათზე.

შემდეგ ამხ. ლენინი დაწვრილებით განმარტავს ომის მიზეზებსა და ომის მიზნებს. იგი გვიჩვენებს, რომ მუშათა კლასსა და ღარიბ გლეხებს არ სურდათ და არ სურთ არც ეს და არც არავითარი სხვა ომი. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს, თუ რა არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და რა არის დროებითი მთავრობა, რომელშიც ფაბრიკანტი გუჩკოვი და მემამულეები სხედან.

მხარი უნდა დავუჭიროთ და დავეხმაროთ არა დროებითს მთავრობას, არამედ ერთადერთ კანონიერ მთავრობას — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომელიც ხალხის ინტერესების ერთადერთი გამომხატველია.

„სოლდატსკაია პრავდა" № 2,
1917 წლის 18 აპრილი (1 მაისი)

იბეჭდება გაზეთ
„სოლდატსკაია პრავდის"
ტექსტის მიხედვით

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომა

1917 წლის 17 (30) აპრილი[523]

1

სიტყვა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის გამო

ლენინი ამბობს, რომ წაიკითხა აღმასრულებელი კომისიისა და კომიტეტის რეზოლუცია მისი საქმიანობის შესახებ და გადაწყვიტა დაებეჭდა თავისი სტატია ამ რეზოლუციის გამო „პრავდაში"; ახლა კი სურს ორიოდე სიტყვით უპასუხოს იმ ბრალდებებს, რომლებიც მას წაუყენეს. მის წინაშე წამოიჭრა ოთხი საკითხი, რომლებზეც სურს უპასუხოს: 1) ფორმალური საკითხი, 2) მიწის საკითხი, 3) მთავრობის შესახებ, 4) ომის შესახებ.

პირველ საკითხზე იგი მიესალმება იმას, რომ რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი გერმანიის გავლით მისი მგზავრობის შესახებ, რადგან ეს გვიჩვენებს, რომ კომისია კომიტეტის ორივე ნაწილის თვალსაზრისს დასდგომია, რომლებსაც არაფერი უთქვამთ ამის თაობაზე. კითხულობს ამონაწერს რეზოლუციიდან: „...მიაჩნია პროპაგანდა ეგრეთ წოდებული ლენინელებისა და სხვ.“ და აცხადებს, რომ თვითონ კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ლენინელთა პროპაგანდისათვის. რეზოლუციის ამ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სამი ზემოხსენებული საკითხის გარჩევა. გადადის ამ საკითხების განმარტებაზე. მიწის საკითხში — მოითხოვს მთელი მიწების გადასვლას მშრომელი მასების სარგებლობაში გამოუსყიდავად; ლაპარაკობს გადასვლაზე გლეხთა კომიტეტების დადგენილების მიხედვით, ამასთან მიუთითებს შინგარიოვის დეპეშაზე, რომელშიც მიწის ჩამორთმევას თვითნებობა ეწოდება. ეს სწორი არ არის, რადგან თუ ეს სასოფლო კომიტეტების დადგენილებით მოხდა, ეს უკვე კანონიერი წართმევაა. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ გლეხებზე შეიძლება ზემოქმედება მოვახდინოთ პეტროგრადიდან ქადაგებით, ეს შეუძლებელია. მიწის საკითხი ადგილებზე გადაწყდება. მიწის ჩამორთმევა ახლავეა საჭირო მოახლოებული შიმშილობის გამო. ნებაყოფლობით შეთანხმება მემამულეებთან უაზრობაა, ვერ მოვთხოვთ 300 გლეხის ოჯახს შეუთანხმდნენ ერთ მემამულეს, ხოლო ასეთი თანაფარდობა შეიმჩნევა რუსეთის ევროპულ ნაწილში.

(შეტანილია წინადადება განისაზღვროს ორატორის დრო. სიტყვა ეძლევა მომხრესა და მოწინააღმდეგეს. კენჭისყრის შედეგად დრო განისაზღვრა 30 წუთით.)

ლენინი ამბობს, რომ, თუ კრებას სურს, მას შეუძლია შეცვალოს განმარტების დრო, მაგრამ შეუძლია 20 წუთშიაც დაამთავროს განმარტება.

სახელმწიფო წყობისა და მართვის შესახებ იგი ამბობს, რომ ჩვენ არ გვინდა რესპუბლიკა, სადაც იქნებიან მოხელეები, კა-

პიტალისტები და ჯარები, ჩვენ გვინდა სახალხო რესპუბლიკა. მუშათა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები თავიდან ბოლომდე—აი მართვის იდეალი. ძალაუფლება ხალხს უნდა ჰქონდეს. ომის საკითხზე აცხადებს, რომ სამარშო ასეულებზე არასოდეს არ ულაპარაკია და ამ საკითხს სრულიად არ იცნობს[524]. ამიტომ ლაპარაკობს მხოლოდ ომზე. ჩვენი მთავრობა შედგება მხოლოდ კაპიტალისტებისაგან, და ომიც წარმოებს კაპიტალისტთა სასარგებლოდ, ასეთი ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ მუშათა მასების რევოლუციის მეოხებით. ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენმა მოკავშირეებმა იკისრეს, მძარცველურია, ამ ვალდებულებებში ლაპარაკია მხოლოდ გაყოფაზე; ანექსია დაკავშირებულია კაპიტალთან, ხოლო სანამ კაპიტალს არ დავეპატრონებით, ანექსიათა უკუგდება არ შეიძლება. გერმანიის კაპიტალისტებს იგი ისეთსავე კაპიტალისტებად თვლის, როგორიც ჩვენები არიან, ვილჰელმი სისხლისმსმელად მიაჩნია, და, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი არ შეიძლება მასთან სეპარატულ ზავზე, — ეს უაზრობაა. კაპიტალისტებმა დაიწყეს ომი და ვერ დაუმთავრებიათ იგი, — საჭიროა მუშათა რევოლუცია ომის დასამთავრებლად. ლენინელები სეპარატული ზავის წინააღმდეგი არიან. ეს მათ ჯერ კიდევ 1915 წელს განაცხადეს, როცა თქვეს, რომ პროლეტარიატმა, ხელში აიღებს რა ძალაუფლებას და გამოაცხადებს ყველა ხელშეკრულებას, ზავი უნდა შესთავაზოს მთელ მსოფლიოს*. თუ ვინმე უარს იტყვის ამ ზავზე, პროლეტარიატი დაიწყებს რევოლუციურ ომს. მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მუშათა რევოლუციას შეუძლია დაამთავროს ომი. საყოველთაო მშვიდობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუშათა რევოლუციის საშუალებით. ომის დამთავრების პრაქტიკული საშუალებაა დაძმობილება ფრონტზე, მუშათა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების ხელისუფლების განმტკიცება. მხოლოდ ამ საშუალებებით შეგვიძლია მივაღწიოთ მუშათა რევოლუციასა და საყოველთაო მშვიდობას.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 493. რ ე დ.

2

პასუხები კითხვებზე

1) ომით კურლანდიის დაბრუნება ანექსიაა, რადგან ასეთ შემთხვევაში გერმანიას უფლება აქვს ომით დაიბრუნოს თავისი კოლონიები. უნდა მივანიჭოთ ხალხს უფლება თვითონ გადაწვიტოს, თუ როგორ სურს იცხოვროს. კაპიტალისტურ სამყაროში იყოფენ ძალის მიხედვით — ვინც უფრო ძლიერია, ის მეტს იღებს. კურლანდიისათვის ომი არ ღირს, მაგრამ ომი ღირს იმისათვის, რომ კურლანდიამ თავისუფლად გადაწყვიტოს, თუ ვის შეუერთდეს.

2) ბანკებისა და ფულის ხელში ჩაგდების შესახებ. მოუწოდებს ხელში ჩაიგდონ არა თვითნებურად, არამედ უმრავლესობის გადაწყვეტილებით. (ადგილებიდან გაისმის წამოძახილები: „თქვენს მოძღვრებას პირველყოფილ მდგომარეობამდე მივყავართ“.) — არა! (გაისმის კითხვა: „რა ვქნათ, თუ სხვა ქვეყნები ზავს მოისურვებენ?“) — მუშათა რევოლუციის განვითარება და დაძმობილება ფრონტზე.

ტაქტიკა — უნდა ვნახოთ, როგორ წარიმართება ცხოვრება. ცხოვრების გამოცდილება ყველაფერს სჯობს. უნდა განვავითაროთ რუსეთის რევოლუცია ისე, რომ ძალაუფლება აღმოჩნდეს მუშათა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების ხელში. (გაისმის კიდევ კითხვა: „გერმანიაში ამას ქადაგებდით?“) — ჩვენ, ე. ი. მე და ზინოვიევმა, საზღვარგარეთ გამოვეცით ბროშურა[525], რომელშიც იმასვე ვამბობთ, რასაც ახლა, ჩვენ გამოვეცით იგი გერმანულ ენაზე და გერმანელმა სოციალისტებმა გაავრცელეს იგი გერმანიაში.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1962 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 31

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

ამხანაგების საყურადღებოდ!

ამხანაგები ლაშევიჩი, კრიმოვი და მავრინი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის დავალებით გვთხოვენ განვაცხადოთ, რომ მუშათა დიდ უმრავლესობას, რომლებიც 20 და 21 აპრილის მანიფესტაციებში მონაწილეობდნენ და მოჰქონდათ პლაკატები „ძირს დროებითი მთავრობა!“, ეს ლოზუნგი ესმოდა მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ მთელი ძალაუფლება უნდა გადაეცეთ საბჭოებს, და რომ მუშებს სურთ ხელში აიღონ ძალაუფლება მხოლოდ მაშინ, თუ უმრავლესობას მოიპოვებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. საბჭოს ახლანდელი შემადგენლობა მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს მუშათა და ჯარისკაცთა მასების უმრავლესობის ნება-სურვილს. ამიტომ ბოლშევიკების ფრაქცია იმ აზრისაა, რომ ცენტრალური კომიტეტის 22 აპრილის რეზოლუცია ზუსტად არ ახასიათებს საქმის ვითარებას ახლანდელ მომენტში.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. თავისთავად ცხადია, რომ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია სრულიადაც არ არის მიმართული მასობრივ დემონსტრაციათა ორგანიზატორების წინააღმდეგ და, თუ აღნიშნულ ლოზუნგს ამგვარად გავიგებთ, ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება თავქარიანობასა თუ ავანტიურიზმზე. ყოველ შემთხვევაში დასახელებული ამხანაგების, როგორც მანიფესტაციების ორგანიზატორთა წარმომადგენლების, უდიდესი დამსახურებაა ამ მანიფესტაციების მშვიდობიანი და საკმაოდ მასობრივი ხასიათი. მხოლოდ მათ შეძლეს საკადრისი პასუხი გაეცათ ბურჟუაზიისათვის, რომელიც გამოდიოდა თ ა ვ ი ს ი დროებითი მთავრობის სასარგებლოდ.

დაწერილია 1917 წლის 22 აპრილს
(5 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წლის 6 მაისს
(23 აპრილს)
გაზეთ „პრავდის“ № 39-ში

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

ᲓᲐᲛᲠᲑᲔᲕᲘ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

ბატონი მინისტრები, გაინაღდეს რა საბჭოს ბელადთა უმრავლესობის მხრივ ნდობის ახალი გამოხატულება, გადადიან შემდგომ შეტევაზე „პრავდისა“ და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

მინისტრების გაზეთი „რეჩი“ იყენებს „რუსკაია ვოლიას“[526] ყველაზე უგვანო ხერხებს.

დღევანდელ ორ მოწინავეში მინისტრების გაზეთი, იმეორებს რა „რუსკაია ვოლიას“ მიერ უკვე გადაღეჭილს, ორმაგად ცრუობს.

„მთელმა (!!) პეტროგრადმა გაიღვიძა, გამოვიდა ქუჩაში და ხმამაღლა და საზეიმოდ განაცხადა, რომ დროებითი მთავრობისა მჯერაო“.

„მ თ ე ლ ი“ პეტროგრადი! — ამაზე ნაკლებს მინისტრების გაზეთი ვერ ურიგდება... თუ „მთელ“ პეტროგრადს გამოვაკლებთ ყველა მ უ შ ა ს, რომლებმაც დემონსტრაცია გამართეს დროებითი მთავრობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, თუ გამოვაკლებთ იმ ჯარისკაცთა უდიდეს უმრავლესობას, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ და რომლებმაც დემონსტრაცია გამართეს დროებითი მთავრობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, თუ გამოვაკლებთ იმ ასიათასობით ადამიანს, რომლებიც უბრალოდ შინ დარჩნენ, თუ „მთელ“ პეტროგრადად ვიგულისხმებთ ბურჟუაზიის უმნიშვნელო უმცირესობას, მოსწავლეთა მცირე ნაწილს, არმიის უმაღლეს მოხელეთა ნაწილს, — მაშინ მინისტრების გაზეთი მართალი ყოფილა: „მთელ“ პეტროგრადს მხარი დაუჭერია გუჩკოვებისა და მილიუკოვებისათვის...

„მთელ“ პეტროგრადზე დაყრდნობით (გაიხსენეთ პოტიომკინის სოფლები!) მინისტრების გაზეთი პირდაპირ იწყებს დამრბევ დევნას ჩვენ წინააღმდეგ.

„...ვიდაც შეიარაღებულ ადამიანთა ამ გასროლებმა, ჯარისკაცთა ამ მკვლელობებმა, გერმანიის საელჩოზე მარცხმოსურნეთა ალშების არაჩვეულებრივად თავხედურ გამოკიდებასთან დაკავშირებით... ლენინელობის გუშინდელმა სისხლისმღვრელმა თარეშმა მოთმინების ფიალა აავსო და გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა ამ ანტიეროვნულ, გამცემლურ პროპაგანდას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პროპაგანდა უკვე ვეღარ გაბედავს თავი წამოყოს“.

ვის მხარეზეა აქ „თავხედობა“ — დაე მკითხველმა განსაჯოს. აქ ყოველი სიტყვა სიცრუე და ცილისწამებაა. ჩვენს ამხანაგებს არავითარი ალმები არ გამოუკიდიათ გერმანიის საელჩოზე. ჯარისკაცების დახოცვაში ჩვენს ამხანაგებს ბრალი არ მიუძღვით. პასუხისმგებლობა ძალადობის გუშინდელი აქტებისათვის ეკისრება დროებითს მთავრობას, და მხოლოდ მას.

დაე მკითხველმა განსაჯოს, ვისი პროპაგანდაა ჭეშმარიტად გამცემლური.

დაწერილია 1917 წლის 22 აპრილს
(5 მაისს)

დაიბეჭდა 1917 წლის 6 მაისს
(23 აპრილს) გაზეთ
„პრავდის“ № 39-ში

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია[527]

1917 წლის 24—29 აპრილი (7—12 მაისი)

1

სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის[528] მოწვევის პროექტის შესახებ

25 აპრილი (8 მაისი)

1

ოქმის ჩანაწერის ვარიანტი

მე არ ვეთანხმები წინა ორატორს.

ბორგბიერგის წინადადებაში ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტი, რომელიც გვავალებს ვამხილოთ სოციალ-შოვინისტები, გავაჩაღოთ პოლიტიკური კამპანია. ინგლისელმა და ფრანგმა „სოციალისტებმა“ უარი თქვეს ბორგბიერგის წინადადებაზე. ინგლისელი და ფრანგი პლეხანოვები არ მიდიან ამ კონფერენციაზე. ბორგბიერგის წინადადებანი—ეს კომედიაა. გერმანელი [სოციალ-შოვი-

ნისტები ბორგბიერგის საშუალებით გვთავაზობენ ზავის თავიანთ პირობებს. ამას შვრებიან სოციალისტის მეშვეობით, რათა ამით შენიღბონ თავიანთი სოციალ-შოვინისტური ინტრიგა. ეს უნდა ვამხილოთ, რათა სოციალისტური პარტიებისადმი მიმართვის ყოველგვარი ხალისი დაკარგონ.

ეჭვის ნატამალიც კი არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ ეს არის წინადადება გერმანიის მთავრობისა, რომელიც თავისი სოციალ-შოვინისტების მეშვეობით მოქმედებს. სწორედ იგი აწყობს ამ ყრილობას... თვითონ იგი ამას აშკარად ვერ იზამს და შვრება ამას თავისი პლეხანოვების მეშვეობით. ასეთი დიპლომატიური ნაბიჯით გერმანიის მთავრობა იხსნის პასუხისმგებლობას და ამასთანავე მათი მეშვეობით ქადაგებს სანუკვარ სურვილებს. მე წაგიკითხავთ ერთ-ერთი უცხოური გაზეთის ცნობას ბორგბიერგზე: „გერმანიის კაიზერს დანიელი სოციალ-შოვინისტის მეშვეობით სურს მოიწვიოს საზავო კონფერენცია თავისი ინტერესებისათვის". ცხადია, რომ ბორგბიერგის წინადადება ნამდვილი შარლატანობა და მოტყუებაა. შემდეგ, ჩვენ გვაქვს ცნობა „რაბოჩაია გაზეტადან"[529]. (კითხულობს ცნობას 1917 წლის 25 აპრილის „რაბოჩაია გაზეტადან".) ამრიგად, უეჭველია, რომ ეს გერმანიის მთავრობის წინადადებაა. აი როგორ კეთდება ასეთი საქმეები. ჩვენი ამოცანაა მთელი მსოფლიოს წინაშე ვამხილოთ ეს ფარული მიზეზები, ესე იგი გამოვიტანოთ დაწვრილებითი რეზოლუცია, ვთარგმნოთ რამდენიმე ენაზე და დავბეჭდოთ ყველა გაზეთში. მე გთავაზობთ რეზოლუციის პროექტს.

საგულისხმოა, რომ კაპიტალისტური გაზეთები დიპლომატიურად დუმან. მათ იციან წესი: სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა იციან, თუ სად მარხია ძაღლის თავი. „რაბოჩაია გაზეტას" მსგავსი გაზეთები თავს უმწეოდ გრძნობენ. მხოლოდ „ედინსტვო"[530] ბეჭდავს, რომ ბორგბიერგი გერმანიის მთავრობის აგენტია. მაგრამ, აქვე აღნიშნავს რა, რომ არც ინგლისელი და არც ფრანგი სოციალ-შოვინისტები, არც რუსი პლეხანოვები არავითარ შემთხვევაში არ წავლენ ამ კონფერენციაზე, იგი ამით ამხილებს ინგლისის,

საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებს, რომლებიც, იციან რა გერმანიის ნამდვილად მძიმე მდგომარეობა, მის ხარჯზე აპირებენ თავიანთი მადის დაკმაყოფილებას. ჩვენ უნდა ვამხილოთ ნიღბოსნობის კომედია. უნდა ვთქვათ, თუ როგორ კეთდება ასეთი რამეები: ბეტმან-ჰოლვეგი მიდის ვილჰელმთან, ვილჰელმი მოიხმობს შაიდემანს, შაიდემანი მიდის დანიაში, ამის შედეგად კი ბორგბიერგი რუსეთში მოდის ზავის პირობებით. (კითხულობს რეზოლუციას.)

ტრირი დანიელი მარქსისტია. დანია წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა... მისი ბურჟუაზია გამდიდრდა ომის წყალობით და სძულს მუშები. დანიის სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობის ბელადები ერთ-ერთნი ყველაზე ოპორტუნისტულნი არიან ევროპაში. მათ ნათლად გვიჩვენეს, რომ ნამდვილი სოციალ-შოვინისტები არიან. ჩვენ კი სამართლიანი უნდა ვიყოთ და იგივე უნდა ვთქვათ ბორგბიერგზე, რასაც პლეხანოვზე ვამბობთ. თუ ჩვენ ლამაზ-ლამაზ ფრაზებს ჩაგვყვირიან ელზას-ლოტარინგიაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველაზე მეტად ჯიბეს ეხება. სინამდვილეში ლაპარაკია უჩვეულოდ მდიდარ მადნებზე. ეს მოგების საქმეა, ნადავლის მშვიდობიანი გაყოფაა გერმანელ და ფრანგ კაპიტალისტებს შორის. დანიელმა ინტერნაციონალისტებმა უარი თქვეს ამაზე. დამავიწყდა მეთქვა, რომ კაუცკელები დათანხმდნენ კონფერენციაზე წასვლას, ეს უნდა ვამხილოთ. ბორგბიერგის საშუალებით გამოვზავნილი წინადადება მეტყველებს, რომ გერმანელი კაპიტალისტები ვაჭრობენ, რადგან მოპოვებულის შენარჩუნების თავი არა აქვთ. გერმანია სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია, იგი დაღუპვის პირასაა. და გერმანელ კაპიტალისტებს ჯერ ისევ აქვთ მცირედენის შენარჩუნების იმედი. დიპლომატები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მათთვის ყველაფერი ნათელია, მათ ყველაფერი იციან. ასეთ რამეებს მხოლოდ ხალხს არ ეუბნებიან. ინგლისელი და ფრანგი შოვინისტები არ დათანხმდნენ წასულიყვნენ კონფერენციაზე, რადგან ჩინებულად იცოდნენ საქმის ჭეშმარიტი ვითარება. ტყუილად როდი დადგნენ ისინი მინისტრებად. ახლა საქმე ის არის, რომ დაახრჩონ და ძარცვონ

გერმანია, ვინაიდან მას აღარ შეუძლია ეწეოდეს დაპყრობითს პოლიტიკას. ბორგბიერგი გერმანიის იმპერიალიზმის აგენტია. თუ ჯარისკაცები მიიღებენ ამ რეზოლუციას, მაშინ გაიგებენ, რომ ახლა საქმე ეხება გერმანიის საბოლოო მოხრჩობას. ყრილობები კომედიებია, რომლებზეც თავს იყრიან სოციალ-შოვინისტი დიპლომატები. აქ ყრილობაა, მეზობელ შენობაში კი ელზას-ლოტარინგიას გაიყოფენ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ სიმართლე ყრილობებზე, რათა თვალი ავუხილოთ ხალხს. თუ მივიღებთ ამ მანიფესტს, დავებეჭდავთ, ვთარგმნით უცხო ენებზე და გავავრცელებთ მუშებსა და ჯარისკაცებში, მაშინ გაიგებენ ისინი საქმის ნამდვილ ვითარებას. ეს კამპანია იქნება ყველაზე ნამდვილი კამპანია, ეს იქნება პროლეტარული ხაზის გარკვევა.

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია. რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია. 1917 წლის აპრილი. ოქმები“

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

2

საგაზეთო ანგარიში

კონფერენციაზე მიწვეულია რუსეთის ყველა სოციალისტური პარტია, მაშასადამე, ჩვენი პარტიაც, და ჩვენ დუმილით ვერ ავუვლით გვერდს ამ საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტს. ყველა მეომარი ქვეყნის სოციალ-შოვინისტები გამოდიან თავიანთი მთავრობებისა და მმართველი კლასების არაოფიციალურ წარმომადგენლებად, — ამბობდა ამხ. ლენინი.

გერმანიის მთავრობა შინაური მღელვარების ზეგავლენით მზად არის უარი თქვას თავის ანექსიათა ნ ა წ ი ლ ზ ე, და ბორგბიერგი მისი დიპლომატიური წარმომადგენელია. მას (წარმომადგენელს სტაუნინგის პარტიისა, რომლიდანაც, ბურ-

ჯუაზიულ სამინისტროში სტაუნინგის შესვლის შემდეგ, გამოვიდა მარქსისტთა ჯგუფი ამხ. ტრირის მეთაურობით) საერთო არა აქვს რა არც გერმანელ, არც სკანდინავიელ მუშებთან. სოციალ-პატრიოტულ უმრავლესობათა კონფერენცია გერმანიის მმართველ წრეებს მოსახერხებელ შემთხვევად მიაჩნიათ იმისათვის, რომ სცადონ მორიგება მეორე მხარის მტაცებლებთან.

სოციალ-პატრიოტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამარცხვინო ომში, როგორც ამხ. ნოგინმა თქვა, სურთ მონაწილეობა მიიღონ მის სამარცხვინო დამთავრებაშიც. მეორე მხრივ, წინააღმდეგობა, რომელიც სამთა შეთანხმების იმპერიალისტებმა გაუწიეს ამ წინადადებას, აშკარად ამცნევებს მათს დამპყრობლურ მისწრაფებებს. ესეც უნდა გამოიყენოს თავისი ინტერესებისათვის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ და ამხილოს ორივე მხარის სიცრუე. პარტიამ, რომელიც 70 000-ზე მეტ მუშას აერთიანებს, ყველა ქვეყნის მუშა ინტერნაციონალისტები უნდა გააფრთხილოს — მოტყუებას გიპირებენო.

„პრაველა“ № 41,
1917 წლის 9 მაისი (26 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

2

წინადადება, თუ როგორ უნდა წარიმართოს კამათი ვ. პ. ნოგინის მოხსენების გამო „დამოკიდებულება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი“

25 აპრილი (8 მაისი)

წინადადებაა ორატორებმა მთავარი ყურადღება მიაპყრონ პასუხებს განსაზღვრულ კითხვებზე საერთო-პარტიული პლატფორმის შემუშავებისათვის. კითხვები: 1) მილიცია, 2) სამუშაო დღე, 3) ხელფასი, 4) წარმოების გადიდება და შემცირება, 5) გადააყენეს თუ არა ადმინისტრაცია? ვისგან და როგორ იქმნება? 6) ერთხელისუფლებიანობა _თუ ორხელისუფლებია-

ნობა, 7) ელემენტები, რომლებიც აკნინებენ რევოლუციურ განწყობილებას, 8) ბურჟუაზიის განიარაღება, 9) სურსათი, 10)...*

დამატებით: 1) გადაიქცევა თუ არა საბჭოები მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებად, 2) მათი როლი საერთო-სახელმწიფო საბჭოსთან დაკავშირებით.

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) და პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციები. 1917 წლის აპრილი"

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

3

სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების შესახებ
25 აპრილი (8 მაისი)

1

ოქმის ჩანაწერი

მასალები, რომლებიც ამხანაგებმა წარმოადგინეს საბჭოების საქმიანობის შესახებ, თუმცა სრული არ არის, მაგრამ უაღრესად საინტერესოა. შესაძლოა, ეს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მასალა იყოს ცნობებს შორის, რომლებიც კონფერენციამ მოგვცა, მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ჩვენი ლოზუნგები ცხოვრების ნამდვილი მსვლელობით. მიღებულ სურათს ოპტიმისტურ დასკვნებამდე მივყავართ. მოძრაობა დაიწყო ცენტრებში; იქ პირველ ხანებში პროლეტარიატის მთელი ენერგია საბრძოლველად წარიმართა. დიდი ენერგია დაიხარჯა ცარიზმთან ბრძოლაში. ამ ბრძოლამ პეტროგრადში მოსპო ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება. გიგანტური საქმე გაკეთდა. მაგრამ თუ ამის შედეგად ძალაუფლება ხელთ

* გამოტოვებულია ოქმის ჩანაწერში. რ ე დ.

იგდო ბურჟუაზიამ, აქედან არ შეიძლება პესიმისტური დასკვნები გამოვიტანოთ, არ შეიძლება მუშათა შეცდომად მივიჩნიოთ ის, რომ ხელში არ აიღეს ძალაუფლება. იმის იმედი, რომ მასები რამდენიმე დღის ბრძოლით ჩაიგდებდნენ ხელში ძალაუფლებას, უტოპია იქნებოდა. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა ბურჟუაზიის არსებობის პირობებში, ბურჟუაზიისა, რომელიც ჩინებულად იყო მომზადებული ძალაუფლების დასაპატრონებლად.

ცენტრიდან რევოლუცია გადადის ადგილებზე. ეს იგივეა, რაც იყო საფრანგეთში—რევოლუცია მუნიციპალური ხდება. ადგილებზე მოძრაობა გვიჩვენებს, რომ იქ უმრავლესობა გლეხების მხარეზეა, მუშების მხარეზეა, იქ ყველაზე ნაკლებად შეიქმნა ხელმძღვანელობა ბურჟუაზიისაგან, იქ მასები არ დაბნეულან. რაც უფრო მეტ მონაცემებს ვაგროვებთ, მით უფრო ცხადი ხდება, რომ რაც უფრო მეტია მოსახლეობის პროლეტარული შემადგენლობა, რაც უფრო ნაკლებია შუალედური ელემენტები, მით უფრო უკეთ მიმდინარეობს რევოლუცია ადგილებზე. ყაზანელი ამხანაგები პირდაპირ უდგებიან სოციალისტური რევოლუციის ამოცანებს. ჩვენ ვხედავთ, რომ იქ, სადაც პროლეტარიატის ორგანიზაციები უმნიშვნელოა, პროლეტარიატს პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა სავსებით სწორად განუსაზღვრეს ეს ამოცანები. ისეთი ელემენტების გარეშე, როგორიც არის, მაგალითად, სტატისტიკა და სხვ., პროლეტარული რევოლუცია ვერ მოხდება. პროლეტარული რევოლუცია რომ მოხდეს, საჭიროა ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და სხვ. პრაქტიკულ კონტროლს უწევდეს რევოლუციური პროლეტარიატი. რევოლუცია ადგილებზე ადვილად მიმდინარეობდა. ანარქიის საფრთხე ყოველთვის მოსალოდნელია რევოლუციაში. ჩვენში ანარქია არ...*

ბურჟუაზიულ რევოლუციას არაფერი ესაქმება წარმოებასთან, აქ კი მუშები ზრუნავენ წარმოებაზე. მუშები დაინტერესებული არიან იმით, რომ წარმოება არ მცირდებოდეს.

* ოქმის ჩანაწერში ხარვეზია. რ ე დ.

რევოლუციამ ადგილებზე გიგანტური ნაბიჯებით ჩაიარა. მოხსენებებმა ადგილებიდან გვიჩვენეს, რომ რაც უფრო მწვავეა კლასობრივი წინააღმდეგობანი, მით უფრო სწორად მიდის რევოლუცია წინ, მით უფრო სწორად ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურა. პროლეტარიატის დიქტატურა პატარა ადგილებში ხორციელდება, ცენტრები ყველაზე ნაკლებად არის ხელსაყრელი რევოლუციის წინსვლისათვის.

გაუმართლებელია აბსოლუტურად ყოველგვარი პესიმიზმი. ფაქტია, რომ ცენტრებში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა იწყება. ბურჟუაზია ცდილობს თავისი ორგანიზებულობით გადააქციოს პროლეტარიატი ლაქიებად, რათა მუშები დროებითი მონაწილენი იყვნენ იმისა, რასაც ბურჟუაზია აშენებს. სასაცილოა იმის ფიქრი, თითქოს რუსი ხალხი ბრუშურებიდან იღებდეს სახელმძღვანელო საწყისებს. არა, უშუალო პრაქტიკიდან გამომდინარეობს მასების ცხოვრებისეული გამოცდილება...* ხალხს შეუძლია პრაქტიკულად გამოიმუშაოს იგი მასობრივი მოძრაობით. მასობრივ გამოცდილებას უკვე თვით ხალხი იძენს...* პენზის გუბერნიაში ხელისუფლება იქმნებოდა გლეხთა დიქტატურით. პენზის წარმომადგენელი გვიჩვენებდა იმ გლეხთა რეზოლუციებს, რომლებმაც ხელთ იგდეს წარმოების იარაღები, მიწა. დასტურდება მარქსის სიტყვები...* რევოლუციის პროგრამა ხორციელდება ადგილებზე— რათა იყოს პური...* რათა თვითონ დავამყაროთ ურთიერთობანი. ამ რევოლუციიდან გამოდიან პრაქტიკოსი ადამიანები. და მხოლოდ ადგილებიდან პრაქტიკის კონტროლით შეიძლება წავიდეს წინ რევოლუცია. და მთელ რუსეთში, სადაც გლეხობა გიგანტურ უმრავლესობას შეადგენს, რევოლუციის მსვლელობა დიდ იმედებს გვინერგავს.

მას შემდეგ, რაც არ გვეყო ძალა ცენტრში — დავპატრონებოდით წარმოებას, ამას ვაკეთებთ პროვინციაში, სადაც ეს ადვილია. პროვინციაში მუნიციპალური რევოლუციაა, და იგი აქეზებს ცენტრს; უკანასკნელი იყენებს მათს გამოცდილებას.

---

* ოქმის ჩანაწერში ხარვეზია. რ ე დ.

ამხანაგი მემალაროე ამბობდა, რომ მათი პირველი ამოცანა, როცა...* იყო პურისათვის წასვლა... იმის ფიქრი, რომ ეს გამოცდილება შეიძლება დაიკარგოს, მცდარია. ამ გამოცდილების გარეშე ცენტრები ვერსაიდან ვერ მიიღებენ ბიძგს ახალი რევოლუციისათვის. ახალი რევოლუცია ძლიერდება. მოვლენათა მსვლელობა, ცხოვრების რღვევა, შიმშილი — აი რა ამოძრავებს წინ რევოლუციას. აქედან გამომდინარეობს ბრძოლა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ ბურჟუაზიას. საქმე მიდის ისეთი კრახისაკენ, რომელთანაც ბურჟუაზია ვერაფერს გააწყობს. ჩვენ ვამზადებთ ახალ მრავალმილიონიან არმიას, რომელსაც შეუძლია თავი გამოიჩინოს საბჭოებში, დამფუძნებელ კრებაში, — ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით როგორ. ჩვენ აქ, ცენტრში, არა გვყავს საკმარისი ძალები. პროვინციაში გიგანტური უპირატესობა გვაქვს. ჩვენს მხარეზეა რევოლუციის განვითარების ის მსვლელობა ადგილებზე, რომელიც ჩქარდება, რომელიც მიმდინარეობს.

ადამიანები არავითარ კომუნისტურ გეგმებს არ ისახავენ. რევოლუციური კლასი მთელ რუსეთში იკრებს თავის ძალებს, ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ ეს გამოცდილება დავაგროვოთ და ძალთა შემოკრების კვალობაზე გადავდგათ ნაბიჯი. არავის შევაშინებინოთ თავი იმით, რომ ისინი (ნაროდნიკები, მენშევიკები) ასეთ დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

გამოცდილების საფუძველზე ახლა შეგვიძლია აღვნიშნოთ რეზოლუციაში...* ჩვენ ადგილებზე გვიხდება წარმოებას დავეპატრონოთ, სხვაგვარად კრახი გარდაუვალია. გლეხები პურს არ მოგვცემენ. პური რომ მივიღოთ, საჭიროა რევოლუციური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება შეუძლია რევოლუციურ კლასს, რომელიც მრავალმილიონიან მასებს უნდა ეყრდნობოდეს.

მე ვკითხე ამხანაგებს ადგილებიდან, როგორა გაქვთ-მეთქი ადგილებზე წარმოების საქმე.

ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში 8-საათიანი სამუშაო დღე შემოიღეს, წარმოება გადიდდა. ეს არის საწინდარი. სხვაგვარად

* ოქმის ჩანაწერში ხარვეზია. რედ.

ვერ დავაღწევთ თავს ნგრევას. ამისათვის საჭიროა გიგანტური მუშაობა. ჩვენ ვეთიშებით წვრილბურჟუაზიულ ხაზს. ცხოვრება ჩვენს მხარეზეა. კრიზისს ვერ გადავწყვეტთ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საშუალებებით, რადგან ისინი უკან იხევენ რევოლუციურ ღონისძიებათა წინაშე. (შინგარიოვი, მილიუკოვი.) რევოლუციის საერთო მსვლელობა გვიჩვენებს, რომ საქმე წინ მიდის.

ჩვენ წვრილი ბურჟუაზიისაგან იმით კი არ განვსხვავდებით, რომ იგი ამბობს „ფრთხილად“, ხოლო ჩვენ კი ვამბობთ „ჩქარა“, ჩვენ ვამბობთ „კიდევ უფრო ფრთხილად“. ულმობელი ბრძოლა სახელმწიფობანას თამაშთან...* ჯობს გვიან, ვიდრე ნაადრევად — და ცენტრი გაიმარჯვებს. (ტ ა შ ი.)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) და პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციები. 1917 წლის აპრილი“

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

2

საბაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის რევოლუციამ გაიარა მუნიციპალური რევოლუციის ხანა, რომ იგი განმტკიცდა ადგილობრივ თვითმმართველობებში, რომლებიც მისი დასაყრდენი გახდა. რუსეთის რევოლუციაში შეიმჩნევა ერთგვარი ბიუროკრატიზმი ცენტრებში, საბჭოების ხელში არსებული ძალაუფლების უფრო სრულად გამოყენება ადგილებზე პროვინციებში. დედაქალაქის საბჭოები პოლიტიკურად მეტად არიან დამოკიდებული ბურჟუაზიულ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ვიდრე პროვინციული საბჭოები. ცენტრებში ასე ადვილად ვერ ვიკისრებთ წარმოების განკარგვას, პროვინციაში

* ოქმის ჩანაწერში ხარვეზია. რ ე დ.

ეს ნაწილობრივ უკვე განხორციელდა. აქედან დასკვნა—საჭიროა განვამტკიცოთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები. ამ მხრივ წინსვლა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, პროვინციიდან.

„პრავდა“ № 42,
1917 წლის 10 მაისი (27 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

4

სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის დასაცავად
27 აპრილი (10 მაისი)

საგაზეთო ანგარიში

პირველი რეზოლუციის დასასაბუთებლად მომხსენებლად გამოვიდა ა მ ხ. ლ ე ნ ი ნ ი, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა რეზოლუცია დაიყოს სამ ნაწილად: პირველში მოცემული უნდა იყოს ომის კლასობრივი ანალიზი; მეორე უნდა მიეძღვნას ეგრეთ წოდებულ „რევოლუციურ ობორონცობას“, ხოლო მესამე პასუხს უნდა იძლეოდეს იმ კითხვაზე, თუ როგორ დავამთავროთ ომი. რეზოლუციის პირველი ნაწილი ამხილებს იმპერიალისტური ომის მამოძრავებელ ძალებს, ადგენს მათს კავშირს კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ ხანასთან, ააშკარავებს ყველა ქვეყნის მმართველი კლასების ანექსიონისტურ მისწრაფებებს. მეორე ნაწილი გვაძლევს თავისებური მიმდინარეობის დახასიათებას. მესამე ნაწილი აბათილებს მოჩმახულ ცილისწამებას „სეპარატულ“ ზავზე და სახავს ომის დამთავრების გზას, ძალაუფლებისათვის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის გზას.

„პრავდა“ № 44,
1917 წლის 12 მაისი (29 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

5

რეპლიკები ომის შესახებ რეზოლუციის განხილვისას

27 აპრილი (10 მაისი)

1

ჰელმანის წინადადებაა სიტყვები „სოციალ-დემოკრატ მენშევიკთა ოპორტუნისტული პარტია“ შეიცვალოს სიტყვებით „პარტიის ოპორტუნისტული ფრთა“. თავის წინადადებას იგი იმით ასაბუთებს, რომ ყველა მენშევიკი არ ემხრობა ობორონცულ მიმდინარეობას, მემარცხენე ფრთა არ იზიარებს ობორონცულ თვალსაზრისს.

ლენინი შესწორების წინააღმდეგია: ჩვენ ვლაპარაკობთ უმრავლესობაზე, მენშევიკთა პარტიაზე მთლიანად, ამიტომ დახასიათების შეცვლა არ ღირს.

2

ვედერნიკოვის წინადადებაა ამოვშალოთ გვარები: „ჩხეიძე, წერეთელი და სხვ.“ ...რეზოლუციას არაფერი არ დააკლდება, თუ მათ ამოვშლით.

ოვსიანიკოვის ...წინადადებაა ამოვიღოთ სიტყვები: ჩხეიძე, წერეთელი, საორგანიზაციო კომიტეტი.

ლენინი ორივე შესწორების წინააღმდეგია.

ორიდან ერთი — ან გვარები, ან საორგანიზაციო კომიტეტი, — თუ არ სურთ დატოვონ ერთიცა და მეორეც. პირველი ამხანაგი მოითხოვს დატოვონ საორგანიზაციო კომიტეტი და ამოიღონ გვარები. მაგრამ არის კი მასებისათვის საორგანიზაციო კომიტეტი საკმაოდ ცნობილი, თუ იმისათვის, რომ განვუმარტოთ მასებს საქმის ვითარება, საჭიროა ვიხმაროთ ცნობილი გვარები — წერეთელი, ჩხეიძე?

3

სოკოლნიკოვის წინადადებაა ფრაზაში: „ღონისძიებანი, რომლებიც მათს სრულ პოლიტიკურ გაუვნებლებას იწვევენ“ — ამოვიღოთ სიტყვა „სრულ“, რადგან პოლიტიკურად კაპიტალისტთა გაუვნებლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შევარყევთ მათს ეკონომიურ ბატონობას...

ლენინი წინააღმდეგია ამოიღონ სიტყვა „სრულ“ და იძლევა ფორმულირებას: „ღონისძიებანი, რომლებიც ძირს უთხრიან

კაპიტალისტთა ეკონომიური ბატონობას, და ღონისძიებანი, რომლებიც იწვევენ მათს სრულ...“

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენციები“

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

6

რსდმ პარტიის პარტიული პროგრამის ცვლილებათა წინასწარი პროექტი[531]

პროგრამის პრინციპული ნაწილის ბოლოში (ამ სიტყვების შემდეგ: „პროლეტარიატის თვალსაზრისზე“) ჩაემატოს:

მსოფლიო კაპიტალიზმმა ამჟამად — დაახლოებით XX საუკუნის დამდეგიდან — მიაღწია იმპერიალიზმის საფეხურს. იმპერიალიზმი ანუ ფინანსური კაპიტალის ეპოქა იმდენად დიდად განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობაა, როცა კაპიტალისტთა მონოპოლისტურმა კავშირებმა — სინდიკატებმა, კარტელებმა, ტრესტებმა — გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს, უდიდესი კონცენტრაციის საბანკო კაპიტალი შეერწყა სამრეწველო კაპიტალს, მეტად ფართო მასშტაბით გაჩაღდა კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში, მთელი მსოფლიო ტერიტორიულად უკვე განაწილებულია უმდიდრეს ქვეყნებს შორის და დაიწყო მსოფლიოს ეკონომიური განაწილება ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის.

იმპერიალისტური ომები — ე. ი. ომები მსოფლიოზე გასაბატონებლად, საბანკო კაპიტალისათვის ბაზრების მოსაპოვებლად, პატარა და სუსტი ერების ჩასახშობად — გარდაუვალია საქმის ამგვარ ვითარებაში. სწორედ რომ ასეთია 1914—1917 წლების პირველი დიდი იმპერიალისტური ომი.

საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების არაჩვეულებრივად მაღალი საფეხურიც, თავისუფალი კონკუ-

რენციის შეცვლაც მონოპოლისტური კაპიტალიზმით, ბანკებისა და ასევე კაპიტალისტთა კავშირების მიერ აპარატის მომზადებაც პროდუქტების წარმოებისა და განაწილების პროცესის საზოგადოებრივი მოწესრიგებისათვის, იმპერიალისტური ომით წარმოშობილი საშინელება, უბედურება, გაჩანაგება და გაველურებაც, — ყოველივე ეს კაპიტალიზმის განვითარების ამჟამად უკვე მიღწეული საფეხურებისაგან ქმნის პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის ერას.

ეს ერა დაიწყო.

მხოლოდ პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა ჩიხიდან, რომელიც იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა შექმნეს. როგორიც უნდა იყოს რევოლუციის სიძნელენი და მისი შესაძლო დროებითი წარუმატებლობა ანდა კონტრრევოლუციის აზვირთება, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდაუვალია.

ამიტომ, ობიექტური პირობების გამო, თანამედროვე ეპოქის დღის წესრიგში დგება საკითხი, რომ ყოველმხრივ უშუალოდ მოვამზადოთ პროლეტარიატი რევოლუციისათვის და გადაჭრით გავემიჯნოთ სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებას, რომელმაც ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში გაიმარჯვა სოციალ-შოვინიზმის მიმდინარეობის (ე. ი. სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი შოვინიზმის, ანუ იმპერიალისტურ ომებში „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგით კაპიტალისტთა ინტერესების დაცვის შენიღბვის) სახით. ასევე „ცენტრის“ მიმდინარეობის (ე. ი. სოციალ-შოვინიზმსა და რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ პროლეტარულ ბრძოლას შორის უპრინციპო, უმწეო მერყეობის*) სახით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის შინაარსს შეადგენენ.

---

* ტექსტი: „რევოლუციისათვის და გადაჭრით გავემიჯნოთ... უმწეო მერყეობისა)“ ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

* * *

ამ ამოცანის შესრულება, რომელიც მოითხოვს ყველა მოწინავე ქვეყნის მუშათა კლასის სრულ ნდობას, უმჭიდროეს ძმურ კავშირსა და რევოლუციური მოქმედების უშუალო ერთიანობას, შეუძლებელია, თუ დაუყოვნებლივ და პრინციპულად არ გავწყვიტეთ კავშირი სოციალიზმის იმ ბურჟუაზიულ დამახინჯებასთან, რომელმაც გაიმარჯვა ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების დიდი უმრავლესობის ზედაფენებში. ასეთი დამახინჯებაა, ერთი მხრივ, სოციალ-შოვინიზმის, სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი შოვინიზმის მიმდინარეობა, „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგით „თავისი“ ეროვნული ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვის შენიღბვა, ხოლო მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებული „ცენტრის“ ასევე ფართო და საერთაშორისო მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობას, გაკოტრებული II ინტერნაციონალის შენარჩუნებას ან შესწორებას და რომელიც მერყეობს სოციალ-შოვინიზმსა და სოციალისტური წყობილების განხორციელებისათვის პროლეტარიატის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ ბრძოლას შორის.

* * *

რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილებამ, რევოლუციებისა, რომლებმაც მუშათა დეპუტატების საბჭოები და მთელი რიგი მსგავსი ორგანიზაციები შექმნეს, ამით დაადასტურა პარიზის კომუნის გამოცდილება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატს სჭირდება სახელმწიფო სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისათვის, მაგრამ ეს სახელმწიფო* უნდა იყოს არა ჩვეულებრივი ტიპის სახელმწიფო, არა-

* ტექსტი „რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების... მაგრამ ეს სახელმწიფო“ ხელნაწერში წაშლილია. აბზაცის ბოლო შემთხვევით დარჩა წაუშლელი; იგი დაწერილი იყო ცალკე გვერდზე, რომლის ბოლოში უცნობი ხელით მიწერილია: „დაემატოს: წარმოების მოწესრიგების აპარატის მომზადება ტრესტების სახით და ბანკების კონცენტრაციის სახით“ (იხ. ვ. ი. ლენინის ჩანაწერი „პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტში“. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 553). რ ე დ.

მედ უშუალო მასობრივი და სრულიად საყოველთაო ორგანიზაცია შეიარაღებული მუშებისა, რომლებიც ცვლიან მმართველობის წინანდელ იარაღს: მუდმივ არმიას, პოლიციასა და მოხელეებს. განუმარტოს პროლეტარიატს ასეთი სახელმწიფოს ამოცანები, — სახელმწიფოსი,' რომელსაც ძალუძს რევოლუციის მონაპოვრის როგორც საერთოდ განმტკიცება, ასევე სოციალიზმზე რაც შეიძლება მშვიდობიანი და გეგმაზომიერი გადასვლის უზრუნველყოფა, — ეს უნდა იყოს პროლეტარული პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გაკოტრებული II (1889—1914) ინტერნაციონალის იმ წარმომადგენელთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, რომლებმაც დაამახინჯეს მარქსიზმი და უღალატეს სოციალიზმს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში.

მონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც ომის დროს მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში განსაკუთრებით სწრაფად გადაიზრდება ხოლმე სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, ნიშნავს წარმოების გიგანტურ განსაზოგადოებას და, მაშასადამე, ობიექტური პირობების სავსებით მომზადებას სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის*.

* * *

პროგრამა-მინიმუმში მთელი დასაწყისი (სიტყვებიდან: „თავიანთი საერთო საბოლოო მიზნის მიღწევის გზაზე" ვიდრე § 1-მდე) ამოიშალოს და შეიცვალოს ასე:

რუსეთის ახლანდელ ვითარებაში, როცა დროებითმა მთავრობამ, რომელიც მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის და წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის ფართო მასების ნდობით სარგებლობს, — თუმცა აუცილებლობის გამო ეს ნდობა მტკიცე არ არის, — იკისრა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, — პროლეტარიატის პარტიის წინაშე დგება უშუალო ამო-

---

* ტექსტი: „მონოპოლისტური კაპიტალიზმი... საზოგადოების შექმნისათვის" ხელნაწერში წაშლილია. რ ე დ.

ცანა — იბრძოლოს ისეთი სახელმწიფო წყობილებისათვის, რომელიც რაც შეიძლება უკეთ უზრუნველყოფს როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ განვითარებასა და უფლებებს, ისე განსაკუთრებით სოციალიზმზე რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გადასვლის შესაძლებლობას.

პარტია იბრძვის და ეხმარება ხალხთა მასებს დაუყოვნებლივ იბრძოლონ დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, დაიწყონ თავისუფლებათა განხორციელება ქვემოდან მასების თვითნებური დარაზმვით და ამასთან იბრძოლონ არა იმისათვის, რომ შეიქმნას ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკა, რომელშიც განსაკუთრებით უზრუნველყოფილია როგორც კაპიტალისტების ბატონობა, ისე იმის შესაძლებლობაც, რომ მასების წინააღმდეგ ძალადობას მიმართონ მასების ჩაგვრის ისეთი ძველი ორგანოების შენარჩუნებით, როგორიცაა: პოლიცია, მუდმივი არმია, მოხელეები, — არამედ უფრო დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკისათვის, რომელშიც შეუძლებელია, დაუშვებელია ჩაგვრის ამ ორგანოების შენარჩუნება, ხოლო სახელმწიფო ძალაუფლება უშუალოდ ეკუთვნის თვით შეიარაღებულ — უკლებლივ — მუმუშებსა და გლეხებს.

§ 1. სახელმწიფოში მთელი უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეთ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებსაც აირჩევს და ყოველთვის შეცვლის ხალხი და რომლებიც შეადგენენ ერთ სახალხო კრებას, ერთ პალატას.

§ 2 — დაემატოს:

პროპორციული წარმომადგენლობა ყოველგვარ არჩევნებში; უკლებლივ ყველა დელეგატი და არჩეული პირი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს მათი ამომრჩევლების უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

§ 3 — დაემატოს:

არავითარი ზედამხედველობა ან კონტროლი ზემოდან საოლქო და ადგილობრივ თვითმმართველობათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედებისადმი.

§ 9 — შეიცვალოს ასე:

თავისუფალი გამოყოფისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება ყველა ერისათვის, რომლებიც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან. რუსი ხალხის რესპუბლიკა სხვა ერებსა თუ ეროვნებებს უნდა იზიდავდეს არა ძალმომრეობით, არამედ საერთო სახელმწიფოს შექმნაზე მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი თანხმობით. ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობა და ძმური კავშირი ვერ ურიგდება ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ ძალმომრეობას სხვა ეროვნებათა მიმართ.

§ 11 — შეიცვალოს ასე:

მოსამართლეთა და ყველა თანამდებობის პირის, როგორც სამოქალაქო სამსახურში, ისე ჯარში, არჩევა ხალხის მიერ; ყველა მათგანის შეცვლა ყოველთვის მათი ამომრჩეველების უმრავლესობის გადაწყვეტილებით; ყოველგვარი სახელმწიფო თანამდებობის პირის ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს ქარგი მუშის ხელფასს, 300 — 500 მანეთს, ოჯახის წევრთა რიცხვისა და მათი ხელფასის მიხედვით; თანამდებობის პირთ უთუოდ უნდა აეკრძალოთ შეუერთონ ჯამაგირს სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი.

§ 12 — შეიცვალოს ასე:

პოლიციისა და მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მუშები და მოსამსახურეები ხელფასს უნდა იღებდნენ კაპიტალისტებისაგან იმ დროის განმავლობაში, რომელსაც საყოველთაო-სახალხო მილიციაში საზოგადოებრივ სამსახურს მოანდომებენ.

* * *

პოლიტიკური ნაწილის § 14, ეკონომიური ნაწილის § 5 და სხვა პარაგრაფები, **ისევე როგორც მთელი ეკონომიური ნაწილი**, საგანგებოდ უნდა გადასინჯონ პროფესიული მოძრაობის მუშაკებისა და პედაგოგებისაგან შემდგარმა კომისიებმა.

პროგრამის ფინანსური პუნქტის შემდეგ (სიტყვების **შემდეგ: „შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე“**) ჩაემატოს:

ერთი მხრივ, საბანკო საქმეში და მრეწველობის ტრესტირებულ დარგებში კაპიტალიზმის განვითარების უკვე მიღწეული მაღალი საფეხური, ხოლო მეორე მხრივ, იმპერიალისტური ომით გამოწვეული ნგრევა, რომელიც ყველგან წარმოშობს უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესების მოთხოვნას, აიძულებს პარტიას მოითხოვოს ბანკების, სინდიკატებისა (ტრესტებისა) და სხვა მისთანათა ნაციონალიზაცია.

* * *

აგრარული პროგრამა უნდა შეიცვალოს აგრარული რეზოლუციით (იხ. მისი ტექსტი ცალკე)* ან გადაკეთდეს მის შესაბამისად**.

* * *

პროგრამის ბოლო (ორი უკანასკნელი აბზაცი, ამ სიტყვებიდან: „ისწრაფის რა მიაღწიოს") სრულიად ამოიშალოს.

პროგრამისათვის

გამაუმჯობესებელი ვარიანტი***

პროლეტარიატის პარტია თავის მისწრაფებებში ვერ დასჯერდება ბურჟუაზიულ-პარლამენტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ყველგან მთელ მსოფლიოში ინარჩუნებს და ცდილობს სამუდამოდ დაამკვიდროს მასების ჩაგვრის მონარქიული იარაღი, სახელდობრ: პოლიცია, მუდმივი ჯარი, პრივილეგიური მოხელეობა.

* იხ. „რეზოლუცია აგრარულ საკითხზე". თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 339 — 343. რ ე დ.

** იხ. „მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის". თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 557 — 559. რ ე დ.

*** ეს ვარიანტი შეტანილია „პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტში" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 555 — 556). რ ე დ.

პარტია იბრძვის უფრო დემოკრატიული პროლეტარულ-გლეხური რესპუბლიკისათვის, სადაც პოლიცია და მუდმივი ჯარი სრულიად გაუქმდება და მათ შეცვლის ხალხის საყოველთაო შეიარაღება, საყოველთაო მილიცია; გამოუკლებლივ ყველა თანამდებობის პირი არათუ არჩევითია, არამედ ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს მათი ამომრჩევლების უმრავლესობის მოთხოვნით; გამოუკლებლივ ყველა თანამდებობის პირის ხელფასი განისაზღვრება ოდენობით, რომელიც არ აღემატება კარგი მუშის საშუალო ხელფასს; პარლამენტურ-წარმომადგენლობითს დაწესებულებებს თანდათან ცვლიან ხალხის (სხვადასხვა კლასისა და პროფესიის ან სხვადასხვა ადგილის) წარმომადგენელთა საბჭოები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს კანონმდებლებიც არიან და თავიანთი კანონების განმახორციელებლებიც.

დაწერილია 1917 წლის აპრილში,
არა უგვიანეს 28 რიცხვისა (11 მაისისა)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

7

მოხსენება პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხზე
28 აპრილი (11 მაისი)

საგაზეთო ანგარიში

კომისიის წინადადებაა მიიღონ რეზოლუცია იმის შესახებ, თუ რა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ უნდა შეიცვალოს პარტიის პროგრამა: 1) იმპერიალიზმის შეფასებაში მოახლოებულ სოციალურ რევოლუციასთან დაკავშირებით; 2) უნდა გასწორდეს §§ სახელმწიფოს შესახებ — სახელმწიფო მუდმივი ჯარის, პოლიციისა და პრივილეგიური მოხელეობის გარეშე; 3) საჭიროა პოლიტიკური პროგრამის მოძველებული ნაწილების ამოღება (ცარიზმის შესახებ და სხვ.); 4) უნდა გადაკეთდეს პროგრამა-მინიმუმი; 5) გადაკეთდეს პროგრამის ეკონომიური

ნაწილი, რომელიც აშკარად მოძველდა, ისევე როგორც პროგრამის სასკოლო ნაწილიც; 6 — 7) ჩაემატოს მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობენ კაპიტალისტური საზოგადოების წყობილების გადაგვარებიდან (სინდიკატებში გაერთიანებული წარმოების დარგების ნაციონალიზაცია და სხვ.); 8) დაემატოს სოციალიზმის მიმდინარეობათა დახასიათება.

„პრავდა" № 45,
1917 წლის 13 მაისი (30 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის"
ტექსტის მიხედვით

8

მოხსენება აბრარულ საკითხზე
28 აპრილი (11 მაისი)

საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა სოფლად ბატონყმურ-კაბალური ურთიერთობის შენარჩუნების მთავარ მიზეზად დაასახელა მემამულური მიწათმფლობელობა, წარმოუდგენელი მიწადაქსაქსულობა, რაც გამოიწვია ჯერ ბურმისტრების, შემდეგ 1861 წელს მომრიგებელი შუამავლებისა და, ბოლოს, სტოლიპინის მოხელეების უწესრიგო პარპაშმა გლეხების მიწებზე.

აქედან გამომდინარეობს სწორედ გლეხების ბუნებრივი მისწრაფება „შემოღობონ მიწა", მთელი მიწა გაანაწილონ ახლებურად. სწორედ ამ მისწრაფებას გამოხატავს სიტყვები „მთელი მიწა ღეთისაო". მესაკუთრე გლეხი ვერ ურიგდება იმ დაბრკოლებებს, რომლებიც აუტანელი გახდა მისთვის კაპიტალისტური საქონელგაცვლის ახალ პირობებში. ეს დადასტურებულია I და II სათათბიროების[532] გლეხთა 104 დეპუტატის პროექტით.

თვით სოციალისტ-რევოლუციონერთა აღიარებით, ამ პროექტში „გათანაბრების პრინციპები" დაამარცხა „წვრილმეურნეობრივმა იდეოლოგიამ". გლეხს უნდა მიწა საკუთრებად, მაგრამ სასაქონლო მეურნეობის ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად დანაწილებული. თუ ცალკეული გლეხები, ვითომ, კიდევაც იზიარებენ გათანაბრებითი მიწათსარგებლობის პრინ-

ციპს, ამაში გლეხები გულისხმობენ რაღაც სხვას, ვიდრე ესერი ინტელიგენტები. მემამულეთა და გლეხთა მიწათმფლობელობის განაწილების სტატისტიკური შედეგი რუსეთში გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 300 გლეხის ოჯახს აქვს 2000 დესეტინა, ე რ თ მემამულეზე მოდის ა მ დ ე ნ ი ვ ე. ცხადია, რომ „გათანაბრების“ მოთხოვნა მათთვის ნიშნავს 300-ისა და ერთის უფლებათა გათანაბრებას.

მიწის ნაციონალიზაციის, როგორც სავსებით ბურჟუაზიული და უაღრესად პროგრესული ღონისძიების, აუცილებლობა მოამზადა მიწის მეურნეობის მთელმა წინა განვითარებამ რუსეთში და მსოფლიო ბაზრის განვითარებამ. ომმა გაამწვავა ყველა წინააღმდეგობანი. და ახლა მიწების დაუყოვნებლივ გადასვლა გლეხების ხელში — ეს არის მოთხოვნა, რომელსაც დაბეჯითებით გვიკარნახებენ ომის დროის საჭიროებანი. შინგარიშები და K⁰, როცა გლეხებს სთავაზობენ, დამფუძნებელ კრებას დ ა ე ლ ო დ ე თ ო (თესვის დრო კი უ კ ვ ე დ ა დ გ ა), ამით სინამდვილეში აძლიერებენ კრიზისს, ქმნიან უპასუხობის ნამდვილ შიმშილობად გადაქცევის საფრთხეს. ისინი ძალით ახვევენ თავს გლეხებს აგრარული საკითხის ჩინოვნიკურ-ბურჟუაზიულ გადაჭრას. ამავე დროს ვერ დაველოდებით მიწების საკუთრებად დაკანონებას, რადგან კრიზისი გიგანტური ნაბიჯებით გვიახლოვდება. გლეხებმა უკვე იკისრეს რევოლუციური თაოსნობა, — პენზის გუბერნიაში მემამულეებს ართმევენ ცოცხალ და მკვდარ ინვენტარს საზოგადოებრივი სარგებლობისათვის. ჩვენი პარტია, რა თქმა უნდა, მიწებისა და ინვენტარის მხოლოდ და მხოლოდ ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ად ხელში ჩაგდების მომხრეა, რადგან ეს საჭიროა წარმოების გ ა ს ა დ ი დ ე ბ ლ ად. ინვენტარის ყოველგვარი გაფუჭება ხომ ზიანს აყენებს უწინარეს ყოვლისა თვით გლეხებსა და მუშებს.

მეორე მხრივ, ჩვენ სოფლის მეურნეობის მუშათა ცალკე ორგანიზაციის მომხრენი ვართ.

„პრავდა“ № 45,
1917 წლის 13 მაისი (30 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

9

რეპლიკა აგრარულ საკითხზე რეზოლუციის განხილვისას
28 აპრილი (11 მაისი)

სოლოვიოვის აზრით, რეზოლუციის დასაწყისში უნდა აღინიშნოს ყველაზე არსებითი: რომ პარტია მოითხოვს მიწის ნაციონალიზაციას.

გასწორება არცთუ ისე არსებითია. მე ნაციონალიზაცია დავაყენე მესამე ადგილზე, იმიტომ რომ პირველი უნდა იყოს თაოსნობა და რევოლუციური მოქმედება, ნაციონალიზაცია კი კანონია, რომელიც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს. მე წინააღმდეგი ვარ.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენციები“

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე დაბეჭდილი ეგზემპლარის მიხედვით

10

სიტყვა ეროვნულ საკითხზე
29 აპრილი (12 მაისი)

საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა თქვა, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატები ეროვნული თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგი იყვნენ 1903 წელს, როცა ეს საკითხი არ იდგა სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივაში. ეროვნულ საკითხში მათი პოზიციის თავისებურება განპირობებულია მათი განსაკუთრებული მდგომარეობით პოლონეთში; მეფის უღელი აღვივებდა პოლონეთის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ფენების ნაციონალისტურ ვნებებს. პოლონელ სოციალ-დემოკრატებს სასტიკი ბრძოლა მოუხდათ იმ „სოციალისტებთან“ (პოლონეთის სოციალისტური პარტია), რომლებიც მზად იყვნენ ევროპის ომშიც კი წასულიყვნენ პოლონეთის განთა-

ვისუფლების გულისათვის, და მხოლოდ ისინი, პოლონელი სოციალ-დემოკრატები, ნერგავდნენ რა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობებს პოლონელ მუშებში, მიუძღოდნენ მათ რუსეთის მუშებთან დასაახლოებლად. მაგრამ მათი ცდა, რომ თავს შოახვიონ თვითგამორკვევის უფლების უარყოფა მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ერების სოციალისტებს, უაღრესად მცდარია, და, წარმატების შემთხვევაში, მხოლოდ იმას გამოიწვევდა, რომ რუსი სოციალ-დემოკრატები შოვინისტურ პოზიციაზე გადავიდოდნენ. უარყოფენ რა ჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებას, ამით მჩაგვრელი ერების სოციალისტები ხდებიან შოვინისტები, მხარს უჭერენ თავიანთ საკუთარ ბურჟუაზიას. რუსი სოციალისტები უნდა იღვწოდნენ ჩაგრული ერების გ ა მ ო ყ ო ფ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ჩაგრული ერების სოციალისტები მხარს უნდა უჭერდნენ შეერთების თავისუფლებას და ერთნიცა და მეორენიც ფორმალურად სხვადასხვა (არსებითად კი ერთი და იგივე) გზებით უნდა მიდიოდნენ ერთი მიზნისაკენ: პროლეტარიატის ინტერნაციონალური ორგანიზაციისაკენ. ისინი, ვინც ამბობს, ეროვნული საკითხი, ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში, გადაჭრილიაო, ივიწყებენ, რომ იგი გადაჭრილია (და ისიც ყველგან არა) მხოლოდ დასავლეთ ევროპაში, სადაც მოსახლეობის სიწმინდე 90%-ს აღწევს, მაგრამ არა აღმოსავლეთში, სადაც მოსახლეობის სიწმინდე მხოლოდ და მხოლოდ 43%-ით განისაზღვრება. ფინეთის მაგალითი ამტკიცებს, რომ ეროვნული საკითხი პრაქტიკულად დგას დღის წესრიგში და რომ უნდა ავირჩიოთ ან იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარდაჭერა, ან საერთაშორისო სოლიდარობის მოვალეობა, რომლისთვისაც დაუშვებელია ძალადობა ჩაგრული ერების ნების მიმართ. მეწეველებმა, რომლებმაც ფინელ სოციალ-დემოკრატებს შესთავაზეს, დამფუძნებელ კრებამდე „მოიცადეთ“ და ავტონომიის საკითხი მასთან ე რ თ ა დ გადავწყვიტოთო, სინამდვილეში რუსი იმპერიალისტების მსგავსი აზრი გამოთქვეს.

„პრავდა“ № 46,
1917 წლის 15 (2) მაისი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

11

სიტყვა ინტერნაციონალში მდგომარეობის საკითხზე და რსდმ პარტიის (ბ) ამოცანების შესახებ

29 აპრილი (12 მაისი)

საგაზეთო ანგარიში

ამხ. ლენინმა შეიტანა წინადადება განაცხადონ, რომ რსდმ პარტია ციმერვალდის ბლოკში რჩება მხოლოდ ინფორმაციული მიზნებით და, ამრიგად, უკვე გადის ბლოკიდან. გამოცდილებამ დაადასტურა, თქვა მან, რომ შემდგომი დარჩენა ბლოკში უმიზნოა. ციმერვალდი ბევრ ქვეყანაში წინსვლის მუხრუჭადაც კი გადაიქცა. ციმერვალდით ინიღბებიან სოციალ-შოვინისტები.

„პრავდა“ № 46,
1917 წლის 15 (2) მაისი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

12

რეპლიკები მიმდინარე მომენტის შესახებ რეზოლუციის განხილვისას

29 აპრილი (12 მაისი)

1

კითხვა ადგილიდან. სინდიკატებისა და ბანკებისადმი კონტროლი ისეთი ღონისძიებანია, რომლებიც მხოლოდ საერთო-სახელმწიფო მასშტაბით არის რეკომენდებული, თუ აქ შედის ისეთი ღონისძიებანიც, როგორიცაა კონტროლი ქერძო საწარმოებისადმი და სხვ.?

დიახ, აქ ეს არ არის, რადგან ეს ცოცხალი პრაქტიკა აისახა სხვა რეზოლუციაში, სადაც იგი უკეთეს პერსპექტივაშია*. ეს რეზოლუცია კი ეხება სხვა თემას — ნაბიჯების გადადგმას სოციალიზმის გზაზე.

2

სოლოვიოვს შემოაქვს შესწორება: რამდენიმე სიტყვა ამ გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო დახასიათებაზე — ეს ფრიად არსებითია, რადგან გან-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 346. რედ.

საზღვრავს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის საერთო მიმართულებას...

ლენინი ამბ. სოლოვიოვის შესწორების წინააღმდეგია:

ცალკეულ რეზოლუციებში ჩვენ განუწყვეტლივ ვაწყდებით კონკრეტულ განსაზღვრებებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს შეუძლიათ იმოქმედონ უპოლიციოდ, რადგან მათ ჰყავთ შეიარაღებული ჯარისკაცები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ის დაწესებულებებია, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ძველი მოხელეები.

ძველი აგრარული პროგრამა...* ვერ მოხერხდა, მაგრამ უნდა ითქვას: „პარტია მოითხოვს გლეხურ-პროლეტარულ რესპუბლიკას, სადაც არ იქნება პოლიცია, მუდმივი ჯარი, მოხელეები". ასე რომ კონფერენციამ წინასწარ გადაჭრა ეს საკითხი**, ახლა კი ჩვენ მხოლოდ უნდა დავაფორმულოთ.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს წიგნში „რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო და სრულიად რუსეთის 1917 წლის აპრილის კონფერენციები"

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

მიტინგზე დაუდგენელი გამოსვლის კონსპექტი

რევოლუცია გადაწყვიტეს პეტროგრადელმა მუშებმა.

რევოლუცია არ შეჩერებულა, იგი მხოლოდ ახლა იწყება.

პეტროგრადმა გამოაღვიძა რუსეთი. პეტროგრადმა გაათავისუფლა იგი. პეტროგრადელ მუშათა დიადი საქმე.

შემდეგში ძალაუფლებას აიღებს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭო და გვიხსნის ომისაგან და კაპიტალის ძალაუფლებისაგან!

იმას, რაც პეტროგრადელმა მუშებმა დაიწყეს, — განაგრძობს ფრონტზე ჯარისკაცთა დაძმობილება.

---

* ოქმის ჩანაწერში ერთი სიტყვა გაურკვეველად წერია. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 328. რ ე დ.

ყველა ქვეყნის მუშათა ძმური კავშირი.
რევოლუციური კავშირი.
გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!
გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

ნ. ლ ე ნ ი ნ

1917 წლის 25 აპრილი*.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება უცნობი
ხელით გაკეთებული
ჩანაწერის მიხედვით,
რომელიც ვ. ი. ლენინს
ვადაუსინჯავს და შეუვსია

მეტისმეტად უხეში სიცრუე

ბრძენთა ბრძენი „რაბოჩაია გაზეტა“ არწმუნებს თავის მკითხველებს, პლეხანოვი და ლენინი მოკავშირენი არიან, რადგან ორივე სტოკჰოლმის სოციალ-შოვინისტთა კონფერენციის წინააღმდეგიაო. და „რაბოჩაია გაზეტა“, რომელიც არსებითად კრინტსაც კი არ ძრავს ჩვენს მოსაზრებებზე და არაფერს ამბობს იმის გამო, რომ ეს კონფერენცია შ ი რ მ ა ა კაპიტალისტური დიპლომატებისათვის, წამოძახილებს სჯერდება!

უბადრუკი ხერხია!

მარქსისტი სიმართლეს უნდა ეუბნებოდეს ხალხს, ამხილებდეს სოციალ-შოვინისტთა მ ე შ ვ ე ო ბ ი თ მოქმედ დიპლომატთა ხრიკებს.

მარქსისტი არ იკადრებს, როგორც ამას „რაბოჩაია გაზეტა“ კადრულობს, არაფერი თქვას იმაზე, რომ ფრანგ სოციალ-შოვინისტთა უარი ნ ი შ ნ ა ვ ს ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის ბურჟუაზიის სურვილს გააჭიანუროს ომი გერმანიის სრულ განადგურებამდე.

„პრავდა“ № 43,
1917 წლის 11 მაისი (28 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

* ორი უკანასკნელი ფრაზა, თარიღი და ხელმოწერა ვ. ი. ლენინის ხელითაა დაწერილი. რ ე დ.

დაუმთავრებელი ავტობიოგრაფია[533]

ამხანაგებო! პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გადმომიგზავნა თქვენი 1917 წლის 24 აპრილის წერილი. ამ წერილში მეკითხებით, „ვინა ვარ წარმოშობით, სად ვყოფილვარ, თუ ვყოფილვარ გადასახლებული, რისთვის? როგორ დავბრუნდი რუსეთში და რა საქმიანობას ვეწევი ახლა, ე. ი. სასარგებლოა თუ საზიანო თქვენთვის იგი (ეს საქმიანობა)“.

გიპასუხებთ ყველა ამ კითხვაზე, გარდა უკანასკნელისა, რადგან მხოლოდ თქვენ თვითონ შეგიძლიათ განსაჯოთ, სასარგებლოა თქვენთვის ჩემი საქმიანობა თუ არა.

მე ვარ ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი.

დავიბადე სიმბირსკში 1870 წლის 10 აპრილს. 1887 წლის გაზაფხულზე ჩემი უფროსი ძმა, ალექსანდრე, სიკვდილით დასაჯა ალექსანდრე III-მ მასზე თავდასხმისათვის (1887 წლის 1 მარტს). 1887 წლის დეკემბერში პირველად დამაპატიმრეს და გამრიცხეს ყაზანის უნივერსიტეტიდან სტუდენტთა მღელვარებისათვის; შემდეგ გამასახლეს ყაზანიდან.

1895 წლის დეკემბერში მეორედ დამაპატიმრეს პიტერის მუშებში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისათვის... *

დაწერილია არა უადრეს 1917 წლის
4 (17) მაისისა

პირველად დაიბეჭდა 1927 წლის
16 აპრილს გაზეთ „პრავდის“
№ 86-ში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მოხსენება რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შედეგების შესახებ პეტროგრადის ორგანიზაციის კრებაზე
1917 წლის 8 (21) მაისი[534]

ამხ. ლენინმა იმით დაიწყო, რომ ჩვენი კონფერენცია შეიკრიბა განსაკუთრებულ, უჩვეულო დროს: ახლა რუსეთში გა-

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

დატრიალებაა, რევოლუციაა, მთელ მსოფლიოში კი არნახული ომია.

მაშასადამე, რომ გავიგოთ ჩვენი კონფერენციის გადაწყვეტილებანი, უწინარეს ყოვლისა უნდა გავიგოთ, როგორ ომს ვეწევით და ვინ დაიწყო ეს ომი, როგორი რევოლუცია მოვახდინეთ და როგორი რევოლუცია გველის წინ.

ომი მუშებმა და გლეხებმა როდი დაიწყეს: არც რუს, არც გერმანელ, არც ფრანგ, არც იტალიელ, არც ბელგიელ, არც ინგლისელ მუშებსა და გლეხებს არ დაუწყიათ ეს ომი. ეს ომი დაიწყეს და განაგრძობენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები: ინგლისელი კაპიტალისტები და მათი მეგობრები, ფრანგი, რუსი და იტალიელი კაპიტალისტები გერმანელი კაპიტალისტებისა და მათი მეგობრების — ავსტრიელი კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რისთვის წარმოებს ომი?

მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისათვის, მათი ინტერესებისათვის? არა.

ძარცვა — აი ომის მიზანი, სხვისი მიწების განაწილება — აი რა აიძულებს კაპიტალისტებს გაჰკიოდნენ ომზე საბოლოო გამარჯვებამდე.

მეფე ნიკოლოზმა, ისეთივე მძარცველმა, როგორიც ვილჰელმია, საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებანი დადო ინგლისელ და ფრანგ კაპიტალისტებთან; ამ ხელშეკრულებებს არ აქვეყნებენ, რადგან მაშინ მთელი ხალხი მიხვდება სიცრუეს, და ომი მალე დამთავრდება. ამიტომ არის, რომ ჩვენს გადაწყვეტილებაში ომის შესახებ ჩვენ ასე პირდაპირ ვუწოდეთ კიდეც ამ ომს მძარცველური, **იმპერიალისტური**.

როგორღა დავამთავროთ ეს მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა? შეიძლება თუ არა დამთავრდეს იგი, თუ ერთი რომელიმე გამოვა ომიდან?

არა, არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ აქ იბრძვის არა ორი სახელმწიფო, არამედ ბევრი, იმიტომ, რომ კაპიტალისტს შეუძლია დაამთავროს ომი მხოლოდ დროებით, რათა მოემზადოს ახალი ომისათვის. ასეთი მშვიდობა კი არ უნდა

არც მუშას, არც გლეხს, ვინც უნდა იყოს იგი, გერმანელი, ფრანგი თუ რუსი.

მაშ ვის შეუძლია დაამთავროს ომი?

ომის დამთავრება შეუძლიათ მხოლოდ მუშებსა და გლეხებს, მაგრამ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს. მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს ერთნაირი ინტერესები აქვთ: ბრძოლა კაპიტალისტისა და მემამულის წინააღმდეგ. ამიტომ მხოლოდ მთელი მსოფლიოს გაერთიანებულ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ ბოლო მოუღონ ომს. აი რატომ ვართ ჩვენ, ბოლშევიკები, სეპარატული ზავის წინააღმდეგი, ე. ი. მხოლოდ რუსეთ-გერმანიას შორის ზავის წინააღმდეგი. სეპარატული ზავი სისულელეა, იმიტომ რომ იგი ვერ გადაჭრის ძირეულ საკითხს, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

როგორღა უნდა გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები? ამას ხელს უშლის ომი.

რუსეთის რევოლუციამ თვითმპყრობელობა დაამხო და რუსეთის ხალხს არნახული თავისუფლება მისცა, როგორიც ახლა მსოფლიოს არც ერთ ხალხს არა აქვს. მაგრამ გადაჭრა თუ არა მან რუსეთის ცხოვრების ძირეული საკითხი — მიწის საკითხი? ვერა, იმიტომ რომ მიწა დღემდე მემამულეთა ხელშია. მერედა რატომ არის ასე? იმიტომ, რომ ხალხმა, რომელმაც მეფე დაამხო, ძალაუფლება გადასცა არა მარტო თავის არჩეულებს — გლეხებსა და მუშებს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, არამედ დროებითს მთავრობასაც.

დროებითი მთავრობა კი — ესაა კაპიტალისტები, მემამულეები და ისინი, ვინც გულწრფელად თუ თვალთმაქცურად ამბობს, რომ მარტო მემამულეებთან ერთად შეიძლება ვიხსნათო რუსეთი.

მაგრამ მემამულეებს არ სურთ მისცენ მიწები გლეხებს, კაპიტალისტებს არ სურთ დათმონ ომითა და სხვისი მიწების ძარცვით მიღებული მოგება.

ამიტომ არის, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, მხარს არ ვუჭერთ დროებითს მთავრობას, არ ვურჩევთ სოციალისტებს მინისტრებად დადგნენ.

სოციალისტი-მინისტრები ძარცვასა და მიტაცებას მხოლოდ შენიღბავენ თავიანთი სახელით. აკი უკვე ნიღბავენ კიდეც. ისინი შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში და კაპიტალისტებთან ერთად თქვეს: ომი მარტო თავდაცვითი კი არ არის, არამედ შეტევაცაა, მიწა კი გლეხებს მიეცემათ არა ახლა, არამედ დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგო.

აი რატომ ვართ ჩვენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგი და რატომ ვცნობთ მთავრობად მხოლოდ ჩ ვ ე ნ ს მთავრობას: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. უკეთესი მთავრობა არ არის, იგი ჯერ არ შეუქმნია ხალხს, მისი გამოგონება კი არ შეიძლება.

მაშ რატომღა გადაწყვიტა ამ ჩვენმა მთავრობამ მხარი დაუჭიროს დროებითს მთავრობას, რომელიც შედგება კაპიტალისტების, მემამულეებისა და სოციალისტებისაგან, რომლებსაც ახლა არ სურთ მისცენ ხალხს მიწები და ქადაგებენ შეტევას? იმიტომ, რომ ახლა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში უმრავლესობა გლეხი ჯარისკაცია, რომლებსაც არ ესმით, თუ რისთვის იღვწის ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი თითოეული პარტია.

ამრიგად, ჩვენი ამოცანაა მოთმინებით განვუმარტოთ მუშებსა და გლეხებს, რომ ყველაფერი: ომის დამთავრებაც, გლეხებისათვის მიწის გადაცემაც, კაპიტალისტების წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლაც — არა სიტყვით, არამედ საქმით — მხოლოდ მაშინ იქნება, როცა მთელი ხალხი თავისი საკუთარი პრაქტიკით და არა წიგნებით, შეიგნებს, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა სრულ ძალაუფლებას, მხოლოდ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლებას შეუძლია დაიწყოს გადამწყვეტი ბრძოლა ზავისთვისაც, მიწისთვისაც, სოციალიზმისთვისაც.

ხალხს ვერ გადაახტები. მხოლოდ მეოცნებეებს, შეთქმულებს ეგონათ, რომ უმცირესობას შეუძლია თავს მოახვიოს თავისი ნება-სურვილი უმრავლესობას. ასე ეგონა ფრანგ რევოლუციონერ ბლანკის — და იგი ცდებოდა. როცა ხალხის უმრავლესობას **არ სურს, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არ ესმის, ხელში**

აიღოს ძალაუფლება, მაშინ უმცირესობა, რაგინდ რევოლუციური და ჭკვიანიც უნდა იყოს, თავს ვერ მოახვევს თავის სურვილს ხალხის უმრავლესობას.

სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოქმედება.

ჩვენ, ბოლშევიკებმა, მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით უნდა განვუმარტოთ მუშებსა და გლეხებს ჩვენი შეხედულებანი. ყოველმა ჩვენგანმა უნდა დაივიწყოს წინანდელი შეხედულებანი ჩვენს მუშაობაზე, არც ერთი ჩვენთაგანი არ უნდა ელოდოს იმას, რომ აი ჩამოვა აგიტატორი, პროპაგანდისტი, უფრო მცოდნე ამხანაგი და ყველაფერს აგვიხსნის, — ყოველი ჩვენგანი უნდა იყოს აგიტატორიც, პროპაგანდისტიც, ჩვენი პარტიის მომწყობიც.

მხოლოდ ასე მივაღწევთ იმას, რომ ხალხი გაიგებს ჩვენს მოძღვრებას, შეძლებს აწონ-დაწონოს თავისი გამოცდილება და ნამდვილად აიღებს ხელში ძალაუფლებას.

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს „ლენინის ინსტიტუტის წერილებში“, ტ. I

იბეჭდება „წერილების“ ტექსტის მიხედვით

გეგმა რეზოლუციისა ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ

1. კრახი მომწიფდა.
2. შეუძლებელია როგორც ბიუროკრატიული, ისე ბურჟუაზიული **გადაწყვეტა**.
3. მუშათა კონტროლი უნდა იყოს, ჯერ ერთი, ნამდვილად **მუშათა** ($^3/_4$ მუშათა **გადამწყვეტი** ხმა).
4. „ „ „ „ განვითარებული **რეგულირებად**.
5. „ „ „ „ გავრცელებული ყველა ფინანსურ ოპერაციასა და საქმის მთელ ფინანსურ ვითარებაზე.

6. კრახისაგან ხსნა უთუოდ მოითხოვს, რომ რევოლუციური ღონისძიებანი **დაიწყოს** უმსხვილესი და მსხვილი კაპიტალის **ექსპროპრიაციით.**
7. გაგრძელება უნდა იყოს რევოლუციური ღონისძიებანი, **მუშათა მილიციის მეშვეობით საყოველთაო შრომითი ბეგარის** ორგანიზაცია... (მუშათა უფასო სამსახური მილიციაში 8 საათის მუშაობის შემდეგ).
8. მუშახელის გადაყვანა ქვანახშირის, ნედლეულის წარმოებაში და ტრანსპორტზე...

+ 6 *bis** ხელსაწყო-იარაღზე, ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე პურის გადაცვლის მოგვარება...

+ 9. მუშახელის გადაყვანა ბომბებიდან სასარგებლო პროდუქტებზე.

+ **ძალების ეკონომია...**

+ საყოველთაო შრომითმა ბეგარამ უნდა მოგვცეს ძალებისა და შრომის მაქსიმალურად შესაძლო და უმჯაცრესი ეკონომია.

დაწერილია 1917 წლის მაისში,
ძრა უგვიანეს 25 რიცხვისა (7 ივნისისა)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის IV კრებულში

ჩანართი ნ. კ. კრუპსკაიას სტატიაში „ფურცელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიიდან“[535]

სამშაბათს 9 მაისს შვეიცარიიდან გერმანიის გავლით ჩამოვიდა 200-ზე მეტი ემიგრანტი, მათ შორის მენშევიკთა ბელადი მარტოვი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ბელადი ნატანსო-

---

* — განმეორებით. რ ე დ.

ნი და სხვები. ამ მგზავრობამ კიდევ და კიდევ დაადასტურა, რომ შვეიცარიიდან ჩამოსასვლელად არ არის სხვა საიმედო გზა, გარდა გერმანიის გავლისა. „პეტროგრადის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებებში“ (5 აპრილის № 32) მოთავსებულია ლენინისა და ზინოვიევის მოხსენება მათ მიერ გერმანიის გავლის შესახებ და დასახელებული არიან ორი ნეიტრალური ქვეყნის (შვეიცარიისა და შვეციის) ის სოციალისტები, რომლებმაც თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს, რომ გერმანიის გავლით მგზავრობა გამოწვეული იყო აუცილებლობით და რომ არავითარი, თუნდაც ოდნავად საძრახისი, ურთიერთობა გერმანიის მთავრობასთან ამ დროს არ ყოფილა.

„სოლდატსკაია პრავდა“ № 21,
1917 წლის 26 (13) მაისი

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ფაქტობრივი განცხადება გაზეთ „ვპერიოდთან“ არსებული კომისიის გამო რსდმპ პარტიის (ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე 1917 წლის 30 მაისი (12 ივნისი)

1906 წელს მუშებისაგან შემდგარი პრესის კომისიისა და მისი სრული წარუმატებლობის თაობაზე ამხ. ტომსკის გამონათქვამის გამო მე ვაცხადებ, რომ ეს გამონათქვამი ფაქტობრივად სწორი არ არის და რომ გაზეთ „ვპერიოდთან“[536] არსებულ ამ კომისიას (რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ა. ა. ბოგდანოვი და სხვ.) უეჭველად სარგებლობა მოჰქონდა.

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს წიგნში „პეტერბურგის ბოლშევიკთა პირველი ლეგალური კომიტეტი 1917 წელს“

იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მანქანაზე დაბეჭდილი ევგენია ალექსანდრეს მიხედვით

სიტყვა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობის ბოლშევიკთა ფრაქციის სხდომაზე

1917 წლის 31 მაისი (13 ივნისი)

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ლენინი ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმება ყველა სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტს განურჩევლად მათი ფრაქციულობისა.

ორატორი გადადის იმ საკითხზე, თუ როგორ შეიძლება ევროპის ომის ლიკვიდაცია. აქ აღმოჩნდა, რომ მას ევროპის კრიზისის გადაჭრა ისეთი ოპტიმისტური ფერებით როდი წარმოუდგენია, როგორც ა. ლუნაჩარსკის[537]. ფორმულა „უანექსიოდ“, თქვა მან, სრულიადაც არ ნიშნავს იმის სურვილს, რომ ევროპა დაუბრუნდეს „status quo ante-ს“*. ჩვენ ვფიქრობთ: „უანექსიოდ“ — ეს ნიშნავს დაპყრობათა გარეშე, რომლებიც ახლანდელ ომამდე მოახდინეს. ჩვენთვის ეს ფორმულა ნიშნავს მიენიჭოთ ხალხებს სრული თავისუფლება გამოეყონ ერთ სახელმწიფოს და შეუერთდნენ მეორეს. მაგრამ ასეთი ფორმულის განხორციელება სოციალისტური რევოლუციის გარეშე შეუძლებელია, და ამიტომ ევროპის ომიდან არ არის სხვა გამოსავალი, გარდა მსოფლიო რევოლუციისა.

ეხება რა დაძმობილებას, ლენინი ამბობს: სტიქიური დაძმობილება ზავის საქმეს ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ჩვენ იგი მიგვაჩნია რევოლუციური მუშაობის ქვაკუთხედად. დაძმობილება თავისთავად ვერ წყვეტს საკითხს, მაგრამ ხომ ვერც ერთი სხვა ღონისძიებაც ვერ წყვეტს რევოლუციას, სანამ არ გამოიწვევს მას. რა არის გაფიცვა, დემონსტრაცია? ესეც ხომ მხოლოდ რგოლია რევოლუციური ბრძოლის საერთო ჯაჭვში. ჩვენ გვეუბნებიან, რომ დაძმობილებამ გააუარესა მდგომარეობა სხვა ფრონტებზე. ეს სწორი არ არის. ამას მოჰყვა ფაქტობ-

---

* — არსებული მდგომარეობა; ამ შემთხვევაში — მდგომარეობა ომამდე. რ ე დ.

რივი დაზავება ჩვენს ფრონტზე და მან მცირე ცვლილებანი გამოიწვია დასავლეთის ფრონტზე. მაგრამ ვის სასარგებლოდ? ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ. სამაგიეროდ აზიაში ინგლისმა დიდ წარმატებას მიაღწია: მან გადასანსლა ბაღდადი. ომის შეწყვეტა ჩვენს ფრონტზე გამოწვეულია რევოლუციური დაძმობილებით, რომლის წინააღმდეგ კერენსკი ეწევა ომს და რომლის წინააღმდეგ გამოცხადებულია შეტევა, რასაც ხელს აწერენ მენშევიკები.

დაძმობილება უნდა გავხადოთ შეგნებული, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იგი გადაიქცეს იდეების გაცვლად, რომ იგი გავრცელდეს სხვა ფრონტებზე, რომ მან რევოლუციის ცეცხლი დაანთოს სანგრების მეორე მხარეზე.

შეეხო რა მრეწველობის მოწესრიგების საკითხს, ორატორმა თქვა: 28 თებერვლიდან მთავრობას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რათა შეემცირებინა მრეწველთა მოგებანი. ამ დღეებში წავიკითხეთ, რომ სკობელევის მეთაურობით რამდენიმე მინისტრისაგან შეიქმნა კომისია კონტროლის ღონისძიებათა შესამუშავებლად. მაგრამ კომისიები ხომ არსებობდა მეფის დროს, ეს ხომ მხოლოდ მოტყუებაა. ორატორი ამბობს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იგდონ ხელთ მემამულეთა მიწები. სიტყვის დასასრულს იგი აღნიშნავს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა უნდა აიღონ მთელი ძალაუფლება ან უსახელო სიკვდილი პოვონ.

ორატორს ყოველი მხრიდან აწვდიან ბარათებს. ცოტა ხნის განმავლობაში მათი რიცხვი 20-ს აღწევს. პირველში ეკითხებიან, უნდა გაიგზავნოს თუ არა სამარშო ასეულები ფრონტზე. ამ კითხვის პასუხად ლენინი ამბობს: სანამ მეფის ხელისუფლება იყო, ჩვენ გვიხდებოდა არმიაში წასვლა და იქ მუშაობა. ლიბკნეხტმა მუნდირი ჩაიცვა, რომ გაეწია აგიტაცია ომის წინააღმდეგ. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ცალკეული ანარქისტული გამოსვლებით შეიძლება ომის ლიკვიდაცია.

„ნოვაია ჟიზნ“ № 37,
1917 წლის 1 (14) ივნისი

იბეჭდება გაზეთ
„ნოვაია ჟიზნის“
ტექსტის მიხედვით

პეტროგრადის რაიონული კომიტეტებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა და ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის წარმომადგენელთა 1917 წლის 10 (23) ივნისის თათბირის რეზოლუციის პროექტი

გაეცნო რა საბჭოების ყრილობისა და სხვა ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, რომლებიც დღეს გამოქვეყნდა „პეტროგრადის საბჭოს უწყებებში“, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა, იმის შესახებ, რომ დაემორჩილონ სამი დღის განმავლობაში დემონსტრაციათა მოწყობის აკრძალვას, —

— გაეცნო რა ამ გადაწყვეტილებებს და განიხილა რა საქმის ვითარება,

ადგენს:

იმის გამო, რომ საბჭოების ყრილობამ და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავიანთ მოწოდებაში პირდაპირ განაცხადეს:

„ჩვენ ვიცით, რომ თქვენი გამოსვლით სურთ ისარგებლონ მიმალულმა კონტრრევოლუციონერებმა“

— ამის გამო საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩვენ უფრო სუსტი გვეგონა კონტრრევოლუცია, ვინაიდან ის, რაც იცის საბჭოების ყრილობამ, ჩვენ ჯერ არ ვიცით;

— რომ კონტრრევოლუციასთან ბრძოლა კიდევ უფრო არსებითია, მაშასადამე, დგება დღის წესრიგში;

— რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სამი დღით დემონსტრაციათა პირდაპირი აკრძალვისაღმი დამორჩილების შესახებ სწორია;

— რომ საჭიროა...*

დაწერილია 1917 წლის 10 (23) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ლენინის XXXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

გრიმის საქმის გამო

ჩვენ გვეკითხებიან, თუ რა მხრივ მიგვაჩნდა გრიმის საქციელი „ორჭოფულად“. ვუპასუხებთ — მკითხველებისათვის, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა იშოვნონ გაზეთ „ვოლია ნაროდას“[539] ჩვენ მიერ ზუსტად მითითებული ნომერი, — რომ ჩვენ მიერ ხელმოწერილ ოქმში (ჩვენ მას ხალისით გადმოვბეჭდავდით, ადგილი რომ გვქონდეს „პრავდაში“) ლაპარაკია მ ხ ო ლ ო დ გრიმის დამოკიდებულებაზე ჰ ო ფ მ ა ნ ი ს ა დ მ ი, სწორედ ი მ ა ვ ე, ნეიტრალური ქვეყნის (შვეიცარიის) ბურჟუაზიული მინისტრისადმი.

„პრავდა“ № 75,
1917 წლის 20 (7) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

სირცხვილი!

აი სადამდე მივიდა დღეს „ნოვაია ჟიზნის“[539] მოწინავის ავტორი ბატონი სტან. ვოლსკი:

„... უარყოფს რა დიდი ერების უფლებას დაიმონონ პატარა ეროვნებანი, სოციალიზმს არასოდეს არ ურჩევია საპირისპირო მოქმედება: პატარა ეროვნებათა მიერ დიდი ერების დამონება. ხოლო სრულიად რუსეთის დემოკრატიის ნების მიმართ ხომ სწორედ ასეთ ძალმომრეობას, ერთობლივი რეეოლუციურ-დემოკრატიული მუშაობის უარყოფას, კლასობრივი ბრძოლის ეროვნული შუღლით შეცვლას გულისხმობს უკრაინის რადას თუ პროგრამა არა, ყოველ შემთხვევაში ტაქტიკა მაინც...“.

აი სადამდე მიდის „ნოვაია ჟიზნის“ წვრილბურჟუაზიულ მოლაყბეთა მერყეობა — აშკარა შავრაზმელობამდე! გუშინ ხომ მხოლოდ მენშევიკებს და გუშინწინ მხოლოდ კატკოვებს შეეძლოთ უკრაინელთა მიერ რუსი ხალხის „დამონება“ ეწოდებინათ უკრაინელთა სურვილისათვის — ჰქონდეთ თავიანთი სეიმი, ჰყავდეთ თავიანთი მინისტრები, თავიანთი ჯარი, ჰქონდეთ თავიანთი ფინანსები და სხვა!

ბინძური ველიკორუსული შოვინიზმი, შელამაზებული

ტკბილი, თითქმის მარქსისტული სიტყვებით, — ასეთია მინისტრ ვ. ჩერნოვის, ბ-ნ ვოლსკისა და „რაბოჩაია გაზეტას“ ქადაგება.

„პრავდა“ № 83,
1917 წლის 29 (16) ივნისი

იბეჭდება
გაზეთ „პრავდის“
ტექსტის მიხედვით

მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა კონფერენციაზე 1917 წლის 20 ივნისი (3 ივლისი)[540]

ბოკლე საგაზეთო ანგარიში

დილის სხდომაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის საკითხზე. იგი აღნიშნავს იმ განსხვავებას მდგომარეობაში, რომელიც შეიმჩნევა პარტიის აპრილის კონფერენციის მომენტთან დღევანდელი დღის შედარებისას. იმ დროს ცალკეული სოციალისტური პარტიის მდგომარეობა ჯერ თითქმის არ იყო გარკვეული. მხოლოდ ახლა მიმდინარე და ეს-ეს არის მომხდარი ამბების პირობებში გამოვლინდა მენშევიკთა და ესერთა ნამდვილი პოლიტიკური ფიზიონომია. მაგრამ წვრილი ბურჟუაზია, თუმცა იგი სოციალისტური არ არის, შეიძლება ნამდვილად დემოკრატიულად განწყობილი აღმოჩნდეს. და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ესერთა და მენშევიკთა მასებს, მათ ვერ წავართმევთ თანამიმდევრულ დემოკრატიზმს. მაგრამ მათს ბელადებზე ამას ვერ ვიტყვით, და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ, ერთი მხრივ, ესერთა და მენშევიკთა მასებსა და, მეორე მხრივ, მათ ბელადთა შორის ღრმა უფსკრული ჩნდება. ამ მასების ბელადები თანდათანობით თავისუფლდებიან არა მარტო სოციალიზმისაგან, არამედ დემოკრატიზმისაგანაც. ამას მოწმობს სოციალისტ მინისტრთა დამოკიდებულება სამი საჭირბოროტო საკითხისადმი.

მიწის საკითხში მთავრობის სოციალისტური ნაწილი აშკა-

რად დაშორდა გლეხობის შეხედულებებს და დახმარებას უწევს მემამულეებს შეინარჩუნონ ის მიწები, რომლებსაც ისინი ფლობენ. სოციალისტ მინისტრთა დემოკრატიზმის მეორე სასინჯი ქვა იყო მათი დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობისადმი. დემოკრატიზმის ანბანური ჭეშმარიტებაა დებულება, რომ ადგილებზე ხელისუფლებას უნდა ირჩევდეს თვითონ ხალხი, ამასთან დროებითს მთავრობასა და თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის ამ ნიადაგზე ხდებოდა მრავალრიცხოვანი კონფლიქტები, ხოლო სამინისტროს სოციალისტური ნაწილი ამ ნამდვილად დემოკრატიული საწყისების წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად წარმოგვიდგა. დასასრულ, მესამე საკითხია შეტევის საკითხი. სოციალისტმა კერენსკიმ მიაღწია იმას, რასაც ვერ მიაღწია აშკარა იმპერიალისტმა გუჩკოვმა.

ჩვენ, რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, ჩვენი საქმიანობა უნდა წარვმართოთ დემოკრატიული მასების კლასობრივი თვითშეგნების გაღვიძებისათვის. ამიტომ ჩვენ ულმობლად უნდა ვამხილოთ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ეს ყოფილი ბელადები, ვუჩვენოთ დემოკრატიას ერთიანი გზა, რომლითაც მას წინ გაუძღვება რევოლუციური პროლეტარიატი.

„ნოვაია ჟიზნ“ № 54,
1917 წლის 21 ივნისი (4 ივლისი)

იბეჭდება ვაზით
„ნოვაია ჟიზნის“
ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური მდგომარეობა[541]

(ოთხი თეზისი)

1. კონტრრევოლუცია დაირაზმა, განმტკიცდა და ფაქტობრივად ხელში აიღო ძალაუფლება სახელმწიფოში[542].

კონტრრევოლუციის სრული ორგანიზაცია და განმტკიცება არის კონტრრევოლუციის სამი მთავარი ძალის ჩინებულად აწონილ-დაწონილი და უკვე განხორციელებული შეერთება: (1) კადეტთა პარტიამ, ე. ი. ორგანიზებული ბურჟუაზიის ნამდვილ-

მა ბელადმა, როცა სამინისტროდან წავიდა, წაუყენა მას ულტიმატუმი, რითაც მოამზადა ნიადაგი, რომ კონტრრევოლუციამ დაამხო ეს სამინისტრო; (2) არმიის გენერალურმა შტაბმა და მეთაურთა ზედა ფენებმა კერენსკის შეგნებული თუ ნახევრად შეგნებული დახმარებით, კერენსკისა, რომელსაც ყველაზე თვალსაჩინო ესერებიც კი ახლა კავენიაკს უწოდებდნენ, ხელთ იგდეს ფაქტობრივი სახელმწიფო ძალაუფლება, დაიწყეს ჯარის რევოლუციური ნაწილების დახვრეტა ფრონტზე, რევოლუციური ჯარებისა და მუშების განიარაღება პიტერსა და მოსკოვში, ჩახშობა და დაშოშმინება ნიჟნი ნოვგოროდში, ბოლშევიკთა დაპატიმრება და მათი გაზეთების დახურვა არა მარტო სასამართლოს გარეშე, არამედ მთავრობის დადგენილების გარეშეც. სინამდვილეში ძირითადი სახელმწიფო ძალაუფლება რუსეთში ახლა სამხედრო დიქტატურაა; ეს ფაქტი ჯერ კიდევ ბუნდოვნად მოჩანს მთელ რიგ დაწესებულებათა გამო, რომლებიც სიტყვით რევოლუციური, საქმით კი უსუსური არიან. მაგრამ ეს უეჭველი ფაქტია და იმდენად ძირეული, რომ მის გაუგებლად ვერაფერს ვერ გავიგებთ პოლიტიკურ მდგომარეობაში. (3) შავრაზმულ-მონარქისტულმა და ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელიც ბოლშევიკთა გააფთრებული დევნიდან ახლა უკვე საბჭოების, „წამქეზებელ“ ჩერნოვისა და სხვათა დევნაზე გადავიდა, ცხადზე უცხადესად გვიჩვენა, რომ ამჟამად გამეფებული სამხედრო დიქტატურის პოლიტიკის ნამდვილი არსი, დიქტატურისა, რომელსაც მხარს უჭერენ კადეტები და მონარქისტები, საბჭოების გარეკვის მომზადებაა. ესერთა და მენშევიკთა, ე. ი. საბჭოების ახლანდელი უმრავლესობის, ბევრმა ბელადმა უკვე აღიარა და თქვა ეს ამ უკანასკნელ დღეებში, მაგრამ, როგორც ჰეშმარიტ წვრილ ბურჟუებს შეჰფერით, ისინი ცდილობენ ამ მრისხანე სინამდვილეს თავი დააღწიონ ლიტონზე ლიტონი მაღალფარდოვანი ფრაზებით.

2. სოციალისტ-რევოლუციონერთა და მენშევიკთა საბჭოებისა და პარტიების ბელადებმა, წერეთლისა და ჩერნოვის მეთაურობით, საბოლოოდ უღალატეს რევოლუციის საქმეს, რო-

ცა იგი კონტრრევოლუციონერებს ჩაუგდეს ხელში და თავიანთი თავი და თავიანთი პარტიები და საბჭოები გადააქციეს კონტრრევოლუციის ნიღბად.

ეს ფაქტი დაადასტურა იმან, რომ სოციალისტმა-რევოლუციონერებმა და მენშევიკებმა გასცეს ბოლშევიკები და დუმილით დაეთანხმნენ მათი გაზეთების დარბევას, თანაც ვერც კი გაბედეს პირდაპირ და აშკარად ეთქვათ ხალხისათვის, რომ ამას ჩვენ ვშვრებით და აი ამიტომ ვშვრებითო. დააკანონეს რა მუშათა და რევოლუციური პოლკების განიარაღება, მათ თავისთავს წაართვეს ყოველგვარი რეალური ძალაუფლება. ისინი გახდნენ ფუჭზე ფუჭი მოლაყბენი, რომლებიც ეხმარებიან რეაქციას ხალხის „გართობაში“, სანამ რეაქცია დაამთავრებდეს უკანასკნელ სამზადისს საბჭოების გასარეკად. თუ არ შევიგნეთ სოციალისტ-რევოლუციონერთა და მენშევიკთა პარტიებისა და ახლანდელი საბჭოების უმრავლესობის სრული და საბოლოო გაკოტრება, თუ არ შევიგნეთ მათი „დირექტორიისა“ და სხვა მსკარადების აბსოლუტური ფიქციურობა, სრულიად გაუგებარი იქნება მთელი ახლანდელი პოლიტიკური ვითარება.

3. რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ყოველგვარი იმედი საბოლოოდ გაქრა. ობიექტური მდგომარეობა ასეთია: ან საბოლოოდ გაიმარჯვებს სამხედრო დიქტატურა, ან — მუშათა შეიარაღებული აჯანყება, რომლის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ იგი დაემთხვევა მთავრობის წინააღმდეგ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ დიდ მასობრივ აღმავლობას ეკონომიური ნგრევისა და ომის გაჭიანურების ნიადაგზე.

მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის ლოზუნგი იყო ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა, რაც შეიძლებოდა აპრილში, მაისში, ივნისში, 5—9 ივლისამდე, ე. ი. სამხედრო დიქტატურის ხელში ფაქტობრივი ძალაუფლების გადასვლამდე. ახლა ეს ლოზუნგი სწორი აღარ არის, რადგან ანგარიშს არ უწევს ამ მომხდარ გადასვლასა და იმას, რომ ესერებმა და მენშევიკებმა საქმით სავსებით უღალატეს რევოლუციას. საქმეს ხელს შეუწყობს არა ავანტიურები, არა ამბო-

ხებანი, არა დაქსაქსული წინააღმდეგობანი, არა უიმედო ცდები დაქსაქსულად წინააღეუდგეთ რეაქციას, არამედ მხოლოდ ვითარების ნათლად შეგნება, მუშათა ავანგარდის გამძლეობა და სიმტკიცე, ძალების მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის გამარჯვების პირობები ახლა საოცრად ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია, თუ ერთმანეთს დაემთხვევა თეზისის ტექსტში აღნიშნული ფაქტები და მიმდინარეობანი. არავითარი კონსტიტუციური და რესპუბლიკური ილუზიები, ამას იქით არავითარი მშვიდობიანი გზის ილუზიები, არავითარი განცალკევებული მოქმედება, არ უნდა წამოვეგოთ **ახლა** შავრაზმელებისა და კაზაკების პროვოკაციას, არამედ მოვიკრიბოთ ძალები, ხელახლა დავრაზმოთ და შეუპოვრად ვამზადოთ შეიარაღებული აჯანყებისათვის, თუ კრიზისის მსვლელობა საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ეს აჯანყება ნამდვილად მასობრივი, საერთო-სახალხო მასშტაბით. მიწის გადაცემა გლეხებისათვის შეუძლებელია ახლა შეიარაღებული აჯანყების გარეშე, რადგან კონტრრევოლუცია ძალაუფლების აღების შემდეგ სავსებით გაერთიანდა მემამულეებთან, როგორც კლასთან.

შეიარაღებული აჯანყების მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, რომელსაც მხარს უჭერს უღარიბესი გლეხობა, ჩვენი პარტიის პროგრამის განსახორციელებლად.

4. მუშათა კლასის პარტიამ თავი არ უნდა დაანებოს ლეგალურობას, ოღონდ არც ერთი წუთით არ უნდა შეაფასოს იგი გადაჭარბებით და ლეგალური მუშაობა **შეუხამოს** არალეგალურს, როგორც 1912—1914 წლებში.

არც ერთი საათით არ უნდა მივატოვოთ ლეგალური მუშაობა. მაგრამ ოდნავადაც კი არ უნდა გვწამდეს კონსტიტუციური და „მშვიდობიანი“ ილუზიები. ახლავე ყველგან და ყველაფერში შევქმნათ არალეგალური ორგანიზაციები ან უჯრედები ფურცლების გამოსაცემად და სხვ. ახლავე დავირაზმოთ ხელახლა, თავდაჭერილად, მტკიცედ, მთელ ხაზზე.

ვიმოქმედოთ ისე, როგორც 1912—1914 წლებში, როცა ეიცოდით რევოლუციითა და შეიარაღებული აჯანყებით ცარი-

ზმის დამხობაზე ლაპარაკი ისე, რომ არ ვკარგავდით ლეგალურ ბაზას არც სახელმწიფო სათათბიროში, არც სადაზღვევო სალაროებში, არც პროფესიულ კავშირებში და ა. შ.

დაწერილია 1917 წლის 10 (23) იულისს

დაიბეჭდა 1917 წლის 2 აგვისტოს [(20 იულისს) გაზეთ „პროლეტარსკოე დელოს“ № 6-ში ხელმოწერა: W

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი „რიგის აღების გამო ფურცლის“ გამოცემასთან დაკავშირებით[543]

ამ ფურცლის გამოცემა ლეგალურად, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ უნდა ვეცადოთ მის გამოცემას არალეგალურად. არქისისულელე იქნებოდა, აზრად რომ მოგვსვლოდა დახურვის საფრთხე შეგვექმნა ჩვენი ლეგალური გაზეთებისათვის (რომლებსაც ისედაც უდიდესი ჭაპანწყვეტით ვინარჩუნებთ და რომლებიც საოცრად საჭიროა ჩვენთვის) და ვერ გაგვეკეთებინა ის, რასაც ვაკეთებდით 1912 — 1914 წლებში: გამოგვეყენებინა ლეგალური შესაძლებლობანი. არც ლეგალურად ბეჭდვა, არც სტატიის (ფურცლის) გაფუჭება ლეგალურობისათვის მისი გადაკეთებით საჭირო არ არის.

და არა მარტო სისულელე, არამედ ფლიდობაც იქნებოდა, თუ ჩვენ დავჯერდებოდით ლეგალურ სიტყვას, როცა მისი თავისუფლება აშკარად შეკვეცილია მთავრობის მიერ და ყოველდღიურად იკვეცება.

ვიცი, რომ ჩვენს ბოლშევიკებს დიდად აშინებთ ყოველგვარი სიახლე და რომ ბევრი შრომა დაგვჭირდება არალეგალური ფურცლების გამოცემის მისაღწევად. მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვ და მოვითხოვ, რადგან ეს ცხოვრების მოთხოვნაა, მოძრაობის მოთხოვნაა.

უნდა გამოვცეთ არალეგალურად თავისუფალი, სრული ხმით მეტყველი, შეუკვეცავი ფურცლები. მათ ხელს უნდა

წერდეს: „დევნილ ბოლშევიკთა ჯგუფი“. შეიძლება დავჯერ-
ეთ ამ ხელმოწერას, შეიძლება დავუმატოთ მას, ქვემოთ,
ვრილი შრიფტით: „დევნილ ბოლშევიკთა ჯგუფი შედგა იმ
ოლშევიკებისაგან, რომლებიც მთავრობის მიერ დევნის გამო
ძულებული არიან არალეგალურად იმუშაონ“. ან კიდევ ასე:
„დევნილ ბოლშევიკთა ჯგუფი შედგა იმ ბოლშევიკებისაგან,
ომლებიც იძულებული არიან მთავრობის მიერ დევნისა და
ეჭდვითი სიტყვის თავისუფლების წართმევის გამო არალე-
ალურად გამოსცენ თავისუფალი ფურცლები, იმოქმედონ ლე-
ალური ბოლშევიკური პარტიის ფარგლებს გარეთ“.

ფურცელი რიგის აღების გამო

მუშებო, ჯარისკაცებო და ყველა მშრომელნო!

მტრის ჯარებმა დაიკავეს რიგა. ჩვენ კიდევ ერთი მძიმე დამარცხება
ანვიცადეთ. უბედურება, არნახული უბედურება, რომელიც ომმა მოუ-
ანა ხალხს, სულ უფრო ძლიერდება, სულ უფრო ჰიანურდება.

რისთვის ჰიანურდება ომი? უწინდებურად ავაზაკ კაპიტალისტებს შო-
ის ნადავლის გაყოფისათვის, იმისათვის, რომ გერმანელ კაპიტალისტ მძარ-
კველებს სურთ შეინარჩუნონ ბელგია, სერბია, პოლონეთი, რიგა და სხვ.,
რომ ინგლისელ კაპიტალისტ მძარცველებს სურთ შეინარჩუნონ ბაღდადი,
ათ მიერ მიტაცებული გერმანელთა კოლონიები, რომ რუს კაპიტალისტ
ძარცველებს სურთ შეინარჩუნონ სომხეთ და ა. შ. კერენსკის მთავრობა
ენშევიკებისა და ესერების მონაწილეობითა და მხარდაჭერით ურცხვად
ტყუებს ხალხს, აბრუებს მათ არაფრის მთქმელი და უპასუხისმგებლო
ვრაზებით, თითქოს მშვიდობა სურდეს, საქმით კი აჰიანურებს მძარცველურ
ომს, არ აქვეყნებს საიდუმლო ხელშეკრულებებს, რომლებიც მეფემ ინგ-
ისელ და ფრანგ კაპიტალისტებთან დადო, რათა გაამდიდროს რუსი კაპი-
ალისტები, რომლებსაც კონსტანტინოპოლს, გალიციასა და სომხეთს და-
პირდნენ.

რუსი ხალხი რესპუბლიკის დროსაც ღვრის სისხლს საიდუმლო ხელშე-
რულებათა, კაპიტალისტებს შორის დადებულ მძარცველურ ხელშეკრუ-
ებათა შესრულების გულისთვის.

რუს მუშებსა და გლეხებს თვეობით ატყუებენ „რესპუბლიკელები“
ერენსკი, სკობელევი, ჩერნოვი და К° ნაცვლად იმისა, რომ გააუქმონ საი-
უმლო მძარცველური ხელშეკრულებანი, ნაცვლად იმისა, რომ ყველა ომის
ონაწილე ხალხს შესთავაზონ ზუსტი, ნათელი, სამართლიანი ზავის პი-
ობები.

კერენსკიმ მენშევიკებთან და ესერებთან ერთად მოატყუა ხალხი. მხო-

ლოდ მუშათა მთავრობას შეუძლია გადაარჩინოს ქვეყანა, იხსნას ომით გამოწვეული ზარალისაგან, დამრბევი კაპიტალისტების ძარცვისაგან.

ბურჟუაზია რიგის დამარცხების გამო უკვე წინასწარ ტაბუბა ახალი კატორღული კანონებისა და კატორღული ღონისძიებების შემოღებით ჯარისკაცების, მუშებისა და გლეხებისათვის. გლეხებს უკვე ართმევენ პურს, კაპიტალისტებს კი უტოკებენ უსინდისოდ დიდ მოგებებს, მალავენ მათს წიდათაწმიდა „კომერციულ საიდუმლოებას“, რომელიც ბანკირებსა და მილიონერებს იცავს მხილებისაგან, კრძალავენ მუშებისაგან კონტროლის გაწევას.

მენშევიკები და ესერები კი, რომლებიც სამარცხვინოდ ლაქიობენ ბურჟუაზიის წინაშე, კვლავ მხარს უჭერენ მას და გაჰყვირიან, რომ საჭიროა „უკუვაგდოთო“ „მთელი პარტიული უთანხმოებანი“, ე. ი. დავტოვოთო კაპიტალისტთა ყოვლისშემძლეობა და კაპიტალისტების მიერ ქვეყნის ძარცვა, დავუტოვოთო მათ ომის გაჭიანურების „თავისუფლება“...

ათიათასობით და ასიათასობით ხალხი დაიღუპა შეტევის შედეგად, რომელიც კერენსკის, მენშევიკებისა და ესერების მთავრობამ ივნისში დაიწყო. ათიათასობით და ასიათასობით კაცი დაიღუპება ომის გაჭიანურების შედეგად, ვიდრე ხალხი მოითმენს ასეთ მთავრობას.

მხოლოდ მუშათა მთავრობას შეუძლია იხსნას ქვეყანა. მხოლოდ იგი არ მოატყუებს ხალხს, არამედ დაუყოვნებლივ შესთავაზებს ყველა ქვეყანას ზავის ზუსტ, ნათელ, სამართლიან პირობებს.

ბურჟუაზია აშინებს ხალხს, ცდილობს შექმნას პანიკა და დაარწმუნოს უმეცარი ადამიანები, რომ ახლა არ შეიძლება ზავის შეთავაზება, რომ ეს ნიშნავს „დავკარგოთ რიგა“ და სხვა. ეს ხალხის მოტყუებაა.

მთავრობები ზავის შესახებ მოლაპარაკებას კიდეც რომ ეწეოდნენ, ის მთავრობები, რომლებიც იცავენ კაპიტალისტთა წმიდათაწმიდა უფლებებს მათს ნაძარცვ სიმდიდრესა და სხვათა მიწების მიტაცებაზე (ანექსიებზე), მაშინაც კი ზავის შეთავაზება როდი იქნებოდა რიგაზე უარის თქმის მომასწავებელი. რიგა გერმანელ კაპიტალისტ-ავაზაკთა ნადავლია. სომხეთი რუს კაპიტალისტ-ავაზაკთა ნადავლია. როცა ავაზაკები ზავის თაობაზე თათბირობენ, ისინი ან ინარჩუნებენ თავ-თავიანთ ნადავლს, ან ერთმანეთს უცვლიან ნადავლის ნაწილს. ასე მთავრდებოდა და ასე დამთავრდება ყველა ომი, სანამ ძალაუფლება კაპიტალისტების ხელშია.

მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ მ უ შ ა თ ა მთავრობაზე, რომელსაც ერთადერთს მხოლოდ შეუძლია ახლავე წამოაყენოს ზავის სამართლიანი პირობები, ეს ასჯერ უთქვამთ მთელი რუსეთის მუშებსა და გლეხებს უამრავ განაწესსა და გადაწყვეტილებაში. ეს პირობებია ზავი უანექსიოდ, ე. ი. სხვათა მიწების მიუტაცებლად. ეს ნიშნავს: ვერც გერმანელი, ვერც რუსი ვერ შეძლებს ძალით, პოლონელთა ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, შეიერთოს პოლონეთი ან ლატვიის მხარე, ვერც თურქი, ვერც რუსი ვერ შეძლებს ძარცვოს სომხეთი და ასე შემდეგ.

მაგრამ ზავის ასეთ სამართლიან პირობებს მუშათა მთავრობა მაშინვე

შესთავაზებს უკლებლივ ყველა მეომარ ქვეყანას. სანამ ეს არ მომხდარა, სანამ არ შეუთავაზებიათ ხავის ზუსტი, ნათელი, ფორმალური წინადადებანი, სანამ რჩება საიდუმლო მძარცველური ხელშეკრულებანი, სანამ არ გატეხილა იმ კაპიტალისტების ყოვლისშემძლეობა და მაროდერობა, რომლებიც სამხედრო შეკვეთებით ასობით მილიონს იჯიბავენ,—მანამდე ყოველგვარი ფრაზები ხავის შესახებ მხოლოდ ხალხის მოტყუებაა, აშკარა და უსირცხვილო მოტყუება.

ასე ატყუებს ხალხს ყველა კაპიტალისტური მთავრობა, მათ შორის კერენსკის, ესერებისა და მენშევიკების მთავრობაც. ყველას პირზე აკერია უშინაარსო ფრაზები ხავის შესახებ, რომლებიც არაფერს არ ავალებს მათ, არავინ არ აყენებს ხავის ზუსტ პირობებს, არავინ არ აუქმებს საიდუმლო ხელშეკრულებებს, ყველანი კლავ საქმით აჭიანურებენ ხალხების დამღუპველ, დანაშაულებრივ, მძარცველურ ომს კაპიტალისტთა მოგების გულისათვის.

ძირს ომი! ძირს კერენსკის, მენშევიკებისა და ესერების მთავრობა, რომელიც ატყუებს ხალხს, აჭიანურებს ომს, იცავს კაპიტალისტთა მძარცველურ ინტერესებს, აჭიანურებს დამფუძნებელი კრების არჩევნებს!

მხოლოდ მუშათა მთავრობა, უღარიბესი გლეხების მხარდაჭერით, მოგეტანს ხავს, ბოლოს მოუღებს კაპიტალისტურ ძარცვას, მისცემს პურსა და თავისუფლებას მშრომელებს. დაე ყველა მუშამ და ჯარისკაცმა განუმარტონ ხალხს კერენსკის მთავრობის დამხობისა და მუშათა მთავრობის შექმნის აუცილებლობა.

დაწერილია 1917 წლის აგვისტოში,
22 რიცხვის (4 სექტემბრის) შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 34

იბეჭდება მანქანაზე
დაბეჭდილი პირის
მიხედვით

თეზისებიდან მოხსენებისათვის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე 8 ოქტომბერს, აგრეთვე რეზოლუციისათვის და პარტიულ ყრილობაზე არჩეულთა განაწესისათვის[544]

დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ[545]

კანდიდატთა სია, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა, შეუწყნარებლად არის შედგენილი და უაღრესად მკვეთრ პროტესტს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ გლეხობის დამფუძნებელ კრებაში საჭიროა ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტი მუშა,

რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ახლოს და მჭიდროდ დაუკავშ
რდნენ გლეხთა დეპუტატებს. სრულიად შეუწყნარებელია აგრ
თვე კანდიდატების უზომოდ დიდი რიცხვი ნაკლებად შემოწმ
ბულ პირთაგან, რომლებიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ მოემხ
ნენ ჩვენს პარტიას (ლარინის მსგავსად). როცა სიას ავსებს ას
თი კანდიდატებით, რომლებსაც ჯერ მრავალი თვის მანძილ
უნდა ემუშავათ პარტიაში, ცენტრალური კომიტეტი ფართო
უხსნის კარს კარიერიზმს, დამფუძნებელ კრებაში ადგილ
მოპოვებისათვის გამოდევნებას. საჭიროა სასწრაფოდ გადაისი
ჯოს და გასწორდეს სია.

შენიშვნა თეზისისათვის „დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ"

თავისთავად ცხადია, რომ რაიონთაშორისელთაგან[646], რო
ლებიც ნაკლებად არიან გამოცდილი პროლეტარულ მუშაობა
ჩვენი პარტიის სასარგებლოდ, ვერავინ გახდება სადავო
მაგალითად, ისეთ კანდიდატურას, როგორიცაა ტროცკი, რაც
გან, ტროცკიმ, ჯერ ერთი, ჩამოსვლისთანავე დაიკავა ინტერ
ნაციონალისტის პოზიცია; მეორე, იბრძოდა რაიონთაშორის
ლებში გაერთიანებისათვის; მესამე, ივლისის მძიმე დღეებ
ამოცანის სიმაღლეზე იდგა და რევოლუციური პროლეტარ
ტის პარტიის ერთგული მომხრე იყო. ცხადია, რომ ამას ვ
ვიტყვით პარტიის ბევრ გუშინდელ წევრზე, რომლებიც სია
შეიტანეს.

განსაკუთრებით სკანდალურია ლარინის დასახელება (
ისიც პეტროვსკიზე, კრილენკოზე და სხვებზე წინ...). ლარ
უკვე ომის დროს ეხმარებოდა შოვინისტებ
მათი სახელით გამოდიოდა შვედების ყრილობა
ხელს უწყობდა ტყუილების ბეჭდვას პეტერბურგელი მუშ
ბისა და მათი ბოიკოტის წინააღმდეგ სამხედრო-სამრეწველ
კომიტეტების მიმართ. ომის დროს რევოლუციამდე ლარინს ე
თხელაც არ გამოუჩენია თავი ინტერნაციონალიზმისათ
მებრძოლად. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ლარინი დ
ხანს ეხმარებოდა მენშევიკებს და პრესაშიც კი გამოდიო

ალექსინსკისებური უხამსი გამოხდომებით ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ლარინი ცნობილია თავისი „ნახტომებით“: გავიხსენოთ მისი ბროშურა მუშათა ყრილობისა და ესერებთან გაერთიანების შესახებ.

რა თქმა უნდა, ამის გახსენება საჭირო არ იქნებოდა, ლარინი ჩვენს პარტიაში გამოსწორების მიზნით რომ შემოსულიყო. მაგრამ დამფუძნებელ კრებაში მისი გაყვანა პარტიაში შემოსვლიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია სა ქ მ ი თ გადავაქციოთ კარიერისტთა ისეთივე ბინძურ ბოსლად, როგორიცაა ევროპის პარტიათა უმრავლესობა*.

დამფუძნებელ კრებაში სერიოზული სამუშაო იქნება გლეხებთან ახლობლური, მჭიდრო, ინტიმური დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა. საამისოდ გამოგვადგებიან მხოლოდ მუშები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით ახლოს დგანან გლეხებთან. დამფუძნებელი კრების გავსება ორატორებითა და ლიტერატორებით იმას ნიშნავს, რომ იარო ოპორტუნიზმისა და შოვინიზმის გატკეპნილი გზით. ეს არ შეჰფერის „III ინტერნაციონალს“.

დაწერილია 1917 წლის 29 სექტემბერს
და 4 ოქტომბერს (12 და 17 ოქტომბერს)
შუა

პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1962 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 34

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

„მემამულეებმა პირი შეკრეს კადეტებთან“

ეს გამოთქმა ჩვენ როდი გვეკუთვნის. იგი 3 ოქტომბერს იხმარა გაზეთმა „დელო ნაროდა“[647] № 170-ში, როცა, „ერთერთი პროვინციელი მუშაკის“ თქმით, აღწერდა იმას, რაც რუ-

* ვ. ნ. პოკროვსკის კანდიდატურა? 1907 წელს იგი ჩამოშორდა ბოლშევიკებს და წლების განმავლობაში განზე იდგა. კარგი იქნებოდა, რომ საბოლოოდ დაგვბრუნებოდა. მაგრამ ეს ჯერ დიდი ხნის მუშაობით უნდა დაამტკიცოს.

სეთში 1917 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე მოხდა. „დელო ნაროდა“, როგორც ცნობილია, „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ პარტიის მთავარი, ოფიციალური ორგანოა. ამ ორგანოს რედაქციაში შედის ყოფილი მინისტრი ჩერნოვი.

ასეთი გაზეთის აღიარება განსაკუთრებით საგულისხმოა. აი რას წერს იგი:

„მემამულეებმა პირი შეკრეს კადეტებთან, ერთ-ერთი პროვინციელი მუშაკის თქმით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ მიწათმფლობელებმა თანაგრძნობა და მხარდაჭერა იპოვეს მთავრობის ზოგიერთ ელემენტთა წრეში ცენტრში და ადგილებზე, სული მოითქვეს პირველი შიშის შემდეგ და დაიწყეს დარაზმვა... დაიწყო და დღითი დღე სულ უფრო მატულობს თავდასხმები საადგილმამულო კომიტეტებზე, ჯერ სეტყვასავით წამოსული საჩივრებისა და წვივ-კვივილის სახით „ძარცვის“, „უკანონობის“, „დარბევების“ შესახებ... საჩივრებს მოჰყვა შემზღუდველი ცირკულარები ზემოდან და საადგილმამულო კომიტეტების სასამართლო დევნა, ხოლო ფრონტთან ახლომდებარე ადგილებში — სამხედრო ხელისუფალთა ჩარევაც გენერალ კორნილოვის ბრძანებების სახით. თვით აქაც კი, პეტროგრადში, იმუქრებოდა იუსტიციის სამინისტრო, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემდა მთავარ საადგილმამულო კომიტეტს.

ყველაზე ხშირი საბაბი სამართალში მიცემისა და სამოქალაქო სარჩელების წაყენებისათვის რევოლუციამდელი საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმებაა. მემამულეებსა და მათს ამფსონებს ერთხმად დაუჭირნიათ: კანონი ხელშეკრულებათა შესახებ არ გაუქმებულა, მაშასადამე, ყველა ხელშეკრულება ძალაში რჩება და მათი გაუქმების უფლება არა აქვთო „არც არავითარ კომიტეტებს, არც კერძო პირებს“... და „წინდაუხედავ კომიტეტებს“ მასობრივად ატყდებათ თავს ძველი იუსტიციის რისხვა ხელშეკრულებათა გაუქმებისა და საიჯარო ფასების შემცირებისათვის. ხოლო ნამდვილად კი ეს შემცირება სრულიად გარდაუვალია და საეჭვოა, რომ თუნდაც ერთა ხელშეკრულება შემორჩეს სადმე“.

(დამოწმებულია „უზომიერესი პროფესორის კაბლუკოვის“ გამონათქვამი, რომ მოკლევადიანი მოიჯარე გლეხის მდგომარეობა „ბატონყმობაზე უარესია“ ხოლმე)...

„ასეთ პირობებში რევოლუციამდე დადებული კაბალური საიჯარო ხელშეკრულებათა გაუქმება არათუ დანაშაული არ ყოფილა, არამედ ხელისუფლების ორგანოების პირდაპირი მოვალეობა იყო... ამბოხების პირდაპირი პროვოკაცია იყო ის, რომ რაც უნდა დასჯდომოდათ „ყმაზე უარეს“ მდგომარეობაში დაეტოვებინათ მოიჯარე გლეხების ნაწილი, — მით უფრო დანაშაულებრივია პროვოკაცია, რომ მას მიმართეს მხოლოდ და მხოლოდ მე-

ბატონეთა ინტერესებისათვის და იმ მომენტში, როცა რესპუბლიკა და მთელი ხალხი უდიდეს უბედურებას განიცდის... მართლაც, ხომ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ტამბოვის გუბერნიაში, სადაც სამართალში მიცემული კომიტეტების რიცხვი ძალიან დიდია, რბევა დაიწყო და მემამულეთა „ბუდეები“ იწვის...“

ასე წერს გაზეთი „დელო ნაროდა“, ესერების სამთავრობო პარტიის ოფიციალური ორგანო!

ეს სტრიქონები ყველგან უნდა გადაიბეჭდოს, ხელახლა გამოიცეს ფურცლებად და ასე ფურცლებად გავრცელდეს მილიონობით ცალად გლეხობაში, რადგან შეიცავს თვით ესერების („სოციალისტ-რევოლუციონერების“) მიერ თვით ვ. ჩერნოვის გაზეთში მოყვანილ მტკიცებას, რომ ესერებმა მემამულეებს ჩაუგდეს ხელში გლეხები, რომ ესერების პარტიამ უღალატა გლეხობას და რომ, „თუ პირი არ შეუკრავს“ მას მემამულეებთან, ყოველ შემთხვევაში ისიც დანებდა მემამულეებს.

საჭიროა ხალხი კითხულობდეს და კვლავ კითხულობდეს ამ სტრიქონებს. საჭიროა, რომ თითოეული შეგნებული გლეხი, ჯარისკაცი და მუშა ჩაუფიქრდეს ამ აღიარების მნიშვნელობას.

შვიდი თვე გავიდა რევოლუციიდან. ხალხმა უთვალავჯერ გამოუცხადა ნდობა ესერებს, აძლევდა მათ უმრავლესობას არჩევნებში, ეუბნებოდა ესერების პარტიას: გაგვიძეხი, შენ განდობთ ხელმძღვანელობასო! მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში ესერების პარტიას, რომელიც 1917 წლის მარტიდან მენშევიკებთან ბლოკით (კავშირით) მოქმედებდა, უმრავლესობა ჰყავდა თვეების განმავლობაში! ესერებისა და მენშევიკების პარტიის წევრები 6 მაისიდან მინისტრები და მინისტრის ამხანაგები იყვნენ და არიან „კადეტუნებთან“ ერთად, „კადეტუნების“ გვერდით, „კადეტუნებთან“ კავშირით!!

კადეტუნებსა და მემამულეებთან ამ კოალიციის (კავშირის, შეთანხმების) შედეგები აღიარა თვით „დელო ნაროდამ“.

რევოლუციის შვიდ თვეს, დემოკრატიული რესპუბლიკის შვიდ თვეს, საბჭოებში ესერებისა და მენშევიკების ბატონობის შვიდ თვეს მოჰყვა ის, რომ სამართალში — ძველი იუსტიციის სამართალში, ძველ სამართალში, მეფისა და მემამულეთა სამართალში — მიეცა საადგილმამულო კომიტეტების უამრავი წევრი, მოჰყვა ტამბოვისა და სხვა გუბერნიების გლეხთა აჯანყებანი!

აი ესერების პარტიისადმი გლეხთა ნდობის შედეგები. ხოლო ესერი მინისტრის ს. ლ. მასლოვის ახალი საადგილმამულო პროექტი კიდევ და კიდევ ადასტურებს (იხ. იმავე ავტორის სტატია: „გლეხების ახალი მოტყუება ესერების პარტიის მიერ“ *), როგორ უღალატეს ესერებმა გლეხებს.

დაწერილია 1917 წლის
20 ოქტომბრის (2 ნოემბრის)
შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1917 წლის
24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) გაზეთ
„დერევენსკაია ბედნოტას“ № 11-ში

იბეჭდება გაზეთ
„დერევენსკაია ბედნოტას“
ტექსტის მიხედვით

წერილი ი. მ. სვერდლოვს

ამხ. სვერდლოვს.

მხოლოდ გუშინ საღამოს გავიგე, რომ ზინოვიევი წერილობით უარყოფს თავის მონაწილეობას კამენევის გამოსვლაში „ნოვაია ჟიზნში“.

რატომ არ მიგზავნით არაფერს???

ყველა წერილს კამენევისა და ზინოვიევის შესახებ მე ვუგზავნიდი მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის წევრებს. — თქვენ ეს იცით; განა უცნაური არ არის, რომ ამის შემდეგ თითქოს ეჭვი გეპარებათ ამაში.

პლენუმზე დასწრებას, როგორც ჩანს, ვერ მოვახერხებ, რადგან „დამდევენ“. ზინოვიევისა და კამენევის საქმის გამო,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 261—268. რედ.

თუ თ ქ ვ ე ნ (+ სტალინი, სოკოლნიკოვი და ძერჟინსკი) კომპრომისს[548] მოითხოვთ, შეიტანეთ ჩემ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ წინადადება საქმის პარტიულ სასამართლოში გადაცემის შესახებ (ფაქტები ნათელია, რომ ზინოვიევიც განზრახ ფ უ შ ა ვ დ ა ს ა ქ მ ე ს): ეს იქნება ვადის გაგრძელება.

„კამენევის გადადგომა მიღებულია“? ცენტრალური კომიტეტიდან? გამომიგზავნეთ მისი განცხადების ტექსტი.

კაზაკების დემონსტრაციის[549] გაუქმება გიგანტური გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ა, ვაშა! **შევუტიოთ მთელი ძალით** და ჩვენ მთლიანად გავიმარჯვებთ რამდენიმე დღეში! დიდი მოკითხვა! თქვენი.

დაწერილია 1917 წლის 22 ან 23
ოქტომბერს (4 ან 5 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1957 წელს
წიგნში „ოქტომბრის შეიარაღებული
აჯანყება პეტროგრადში“,
მოსკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა
აკადემიის გამოცემა

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

შენიშვნები

1 „მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი“ ლენინმა 1895 წლის შემოდგომაზე შექმნა. მასში გაერთიანდა პეტერბურგის ოცამდე მარქსისტული მუშათა წრე. „ბრძოლის კავშირის“ მთელი მუშაობა აგებული იყო ცენტრალიზმისა და მკაცრი დისციპლინის პრინციპებზე. „ბრძოლის კავშირს“ სათავეში ედგა ცენტრალური ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, ა. ა. ვანეევი, პ. კ. ზაპოროჟეცი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, ნ. კ. კრუპსკაია, ლ. მარტოვი (ი. ო. ცედერბაუმი), მ. ა. სილვინი, ვ. ვ. სტარკოვი და სხვ. მთელ მუშაობას კი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ჯგუფის ხუთი წევრი ლენინის მეთაურობით. ორგანიზაცია დაყოფილი იყო რაიონულ ჯგუფებად. მოწინავე შეგნებული მუშები (ი. ვ. ბაბუშკინი, ვ. ა. შელგუნოვი და სხვ.) ამ ჯგუფებს აკავშირებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებთან. ქარხნებში ჰყავდათ ინფორმაციის შეგროვებისა და ლიტერატურის გავრცელების ორგანიზატორები, მსხვილ საწარმოებში შექმნილი იყო მუშათა წრეები.

„ბრძოლის კავშირმა“ რუსეთში პირველმა დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება, წრეებში გაერთიანებულ მცირერიცხოვან მოწინავე მუშებში მარქსიზმის პროპაგანდიდან პროლეტარიატის ფართო მასებში პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა. იგი ხელმძღვანელობდა მუშათა მოძრაობას, მათს ბრძოლას ეკონომიური მოთხოვნებისათვის უკავშირებდა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. „ბრძოლის კავშირმა“ თავისი გავლენა გაავრცელა შორს პეტერბურგის ფარგლებს გარეთ. მისი თაოსნობით მუშათა წრეები ასეთივე კავშირებად გაერთიანდა მოსკოვში, კიევში, ეკატერინოსლავსა და რუსეთის სხვა ქალაქებსა და ოლქებში.

1895 წლის დეკემბერში მეფის მთავრობამ სერიოზული ზიანი მოაყენა „ბრძოლის კავშირს“: 8—9 (20—21) რიცხვში ღამით დააპატიმრეს მის მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი და მათი მეთაური ლენინი. ვ. ი. ლენინისა და „კავშირის“ სხვა წევრთა დაპატიმრების პასუხად გამო-

უშვეს ფურცელი, რომელშიც წამოყენებული იყო პოლიტიკური მოთხოვნები. ამ ფურცელში პირველად გამოცხადდა „ბრძოლის კავშირის“ არსებობა.

საპატიმროში ყოფნის დროს ვ. ი. ლენინი კვლავინდებურად ხელმძღვანელობდა „კავშირს“, ეხმარებოდა მას თავისი რჩევით, გზავნილა გარეთ დაშიფრულ წერილებსა და ფურცლებს, დაწერა ბროშურა „გაფიცვების შესახებ“ (დღემდე არ არის ნაპოვნი), „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 99—135).

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენდა იმ რევოლუციური პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს, რომელიც ეყრდნობა მუშათა მოძრაობას, ხელმძღვანელობს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას.

„ცნობა „მოხუცების“ სახელით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ წევრებს“ ლენინმა საპატიმროში დაწერა 1896 წელს, რომელშიც იგი „ბრძოლის კავშირის“ იმ წევრებს, ვინც დაპატიმრებას გადაურჩა, აფრთხილებდა პროვოკატორ ნ. მიხაილოვის გამო. ცნობა დაწერილი იყო ნ. ი. ტეზიაკოვის წიგნის „სოფლის მეურნეობის მუშები და მათდამი სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაცია ხერსონის გუბერნიაში“ 240-ე გვერდის სტრიქონებს შორის (1896). ამ წიგნს ლენინი ეცნობოდა თავისი ნაშრომისთვის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

როგორც ჩანს, კონსპირაციის მიზნით ხელნაწერი დაწერილია დიდი შემოკლებებით ძალიან წვრილი ხელით უბრალო ფანქრით, ალაგალაგ ცუდად იკითხება და ამიტომ ნაწილობრივ გაუშიფრავი დარჩა. — **1**.

2 სტუდენტთა ორგანიზაცია „კორპორაციის“ სახელწოდებით პეტერბურგის უნივერსიტეტში 1891 წლის დამლევს შეიქმნა სტუდენტთა თვითგანათლების წრეებისაგან. იგი აერთიანებდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, მაგრამ არ ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური პროგრამა და რამდენიმე თვის შემდეგ დაიშალა. ნ. მიხაილოვი, რომელიც თავს მის ერთ-ერთ ორგანიზატორად ასაღებდა, სიდუმლო პოლიციასთან იყო დაკავშირებული და ამ ორგანიზაციის წევრები გასცა. — **1**.

3 გაფიცვა ვორონინის ფაბრიკაში (ვაჭარ ი. ა. ვორონინის რეზოსტროვსკის ბამბეულსაქსოვი მანუფაქტურა) გაიმართა 1894 წლის იანვრის დამლევს. მისი მიზეზი გახდა ფასდების შემცირება, რასაც მოჰყვა მქსოველთა ხელფასის დაკლება. გაფიცვა სამ დღეს გრძელდებოდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა: ფასდება გაადიდეს. რამდენიმე „მოთავე“ მუშა დაუპატიმრეს და პეტერბურგიდან გააძევეს. — **1**.

4 ნაროდოვოლცები — „ნაროდნაია ვოლიას“ (ტერორისტი ნაროდნიკების საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაციის) წევრები. ეს ორგანიზაცია 1879 წლის აგვისტოში შეიქმნა ნაროდნიკული ორგანიზაციის „ზემლია ი ვოლიას“ გათიშვის შედეგად. „ნაროდნაია ვოლიას“ სათავეში ედგა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ა. ი. ჟელიაბოვი, ა. დ. მიხაილოვი, მ. თ. ფროლენკო, ნ. ა. მოროზოვი, ვ. ნ. ფიგნერი, ს. ლ. პეროვსკაია, ა. ა. კვიატკოვსკი და სხვ. ნაროდოვოლცები, რომლებიც ნაროდნიკული უტოპიური სოციალიზმის პოზიციებზე დარჩნენ, პოლიტიკური ბრძოლის გზას დაადგნენ და თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდათ თვითმპყრობელობის დამხობა და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. მათი პროგრამა ითვალისწინებდა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული „მუდმივი სახალხო წარმომადგენლობის“ შექმნას, დემოკრატიულ თავისუფლებათა გამოცხადებას, მიწის გადაცემას ხალხისათვის და მუშათა ხელში ფაბრიკა-ქარხნების გადაცემის ღონისძიებათა შემუშავებას. „ნაროდოვოლცებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წინ გადადგეს ნაბიჯი, პოლიტიკურ ბრძოლაზე რომ გადავიდნენ, მაგრამ სოციალიზმთან მისი დაკავშირება ვერ მოახერხეს“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 69).

ნაროდოვოლცებმა გმირული ბრძოლა გააჩაღეს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ, ხელმძღვანელობდნენ რა მცდარი თეორიით აქტიური „გმირებისა“ და პასიური „ბრბოს“ შესახებ, ისინი იმედოვნებდნენ, რომ საზოგადოების გარდაქმნას მიაღწევდნენ ხალხის მონაწილეობის მიუღებლად, თავიანთი ძალებით, ინდივიდუალური ტერორის, მთავრობის დაშინებისა და დეზორგანიზაციის გზით. 1881 წლის 1 მარტის (ალექსანდრე II-ის მკვლელობის) შემდეგ მთავრობამ სასტიკი დევნით, სიკვდილით დასჯითა და პროვოკაციით გაანადგურა „ნაროდნაია ვოლიას“ ორგანიზაცია.

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა ნაროდოვოლცების მცდარ, უტოპიურ პროგრამას და ამასთანავე დიდი პატივისცემით იხსენიებდა „ნაროდნაია ვოლიას“ წევრთა თავდადებულ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, დიდად აფასებდა მათ კონსპირაციულ ტექნიკას და მკაცრად ცენტრალიზებულ ორგანიზაციას. — 2.

5 პ. ბ. სტრუვესთან შეთანხმების პროექტი შემუშავდა მასთან ვ. ი. ლენინის, ვ. ი. ზასულიჩისა და ა. ნ. პოტრესოვის იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ა. ნ. პოტრესოვის ინიციატივით 1900 წლის 29 დეკემბერს დაიწყო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 467 — 470). „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლები (დოკუმენტში მოხსენიებულია როგორც „დემოკრატიული ოპოზიციის“ ჯგუფი „სვობოდა“) პ. ბ. სტრუვე და მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი დაინტერესებული

იყვნენ საზღვარგარეთ შექმნილიყო არალეგალური ორგანო (ფიქრობდნენ მისთვის დაერქვათ „სოციალ-დემოკრატიული ორგანო“), რომელიც გამოვიდოდა „ისკრისა“ და „ზარიას“ პარალელურად, მაგრამ აშკარად დაკავშირებული არ იქნებოდა სოციალ-დემოკრატიასთან. „ისკრისა“ და „ზარიას“ რედაქცია თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო ამ გამოცემაში, რადგან იმედოვნებდა, რომ პ. ბ. სტრუვეს მეშვეობით მიიღებდა პოლიტიკურ მასალასა და კორესპონდენციებს „ისკრისათვის“, მაგრამ იმ პირობით, რომ ახალი ორგანო არ გამოსულიყო „ზარიაზე“ ხშირად და ყოფილიყო მისი დამატება. „სოციალ-დემოკრატიული ორგანოს“ შემადგენლობაში თანასწორუფლებიანობის საფუძველებზე უნდა შესულიყვნენ „ისკრის“ რედაქცია და „დემოკრატიული ოპოზიციის“ წარმომადგენლები — სტრუვე და ტუგან-ბარანოვსკი.

მოლაპარაკების პროცესში გამოირკვა, რომ პ. ბ. სტრუვე აპირებდა „ისკრისა“ და „ზარიას“ რედაქცია გამოეყენებინა „სოციალ-დემოკრატიული ორგანოს“ მომსახურებისათვის, ცდილობდა გადაექცია იგი ორგანოდ, რომელიც კონკურენციას გაუწევდა „ისკრას“ მოცულობით, შინაარსითა და პერიოდულობით. შეთანხმების პროექტის შემუშავების ისტორიამ აჩვენა, რომ სტრუვემ უარყო მე-7 პუნქტი, რომელიც „ისკრისა“ და „ზარიას“ ჯგუფმა წამოაყენა და ითვალისწინებდა „ისკრის“ რედაქციის სრულ თანასწორუფლებას „სოციალ-დემოკრატიული ორგანოს“ მიერ მიღებული მთელი პოლიტიკური მასალის გამოყენებაში. პ. ბ. სტრუვესთან მოლაპარაკების შინაარსი ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა 1901 წლის 30 იანვრის წერილში გ. ვ. პლეხანოვისადმი, სადაც გადაჭრით მოითხოვა მოლაპარაკების შეწყვეტა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 47 — 49). „ისკრის“ წარმომადგენელთა შემდგომი მოლაპარაკება სტრუვესთან სრული განხეთქილებით დამთავრდა. — 8.

6 „ზ ა რ ი ა“ — მარქსისტული მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი, რომელსაც 1901—1902 წლებში შტუტგარტში სცემდა „ისკრის“ რედაქცია. სულ გამოვიდა „ზარიას“ ოთხი ნომერი (სამი წიგნი): № 1—1901 წლის აპრილში (სინამდვილეში გამოვიდა 23 მარტს ახალი სტილით), № 2—3—1901 წლის დეკემბერში, № 4—1902 წლის აგვისტოში.

„ზარიას“ ამოცანები განსაზღვრული იყო „ისკრისა“ და „ზარიას“ რედაქციის განცხადების პროექტში, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა რუსეთში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 391—404). რამდენადაც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ ამ ორგანოების გამოცემის საკითხის განხილვისას გადაწყდა გამოეცათ „ზარია“ ლეგალურად, „ისკრა“ კი არალეგალურად, 1900 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ „ისკრის“ რედაქციის განცხადებაში „ზარიას“ აღარ იხსენიებდნენ.

ჟურნალი „ზარია“ აკრიტიკებდა საერთაშორისო და რუსულ რევიზიონიზმს, იცავდა მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს, „ზარიაში“

დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები", „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა" და სხვ. — 6.

7 იგულისხმება ფინანსთა მინისტრის ს. ი. ვიტეს კონფიდენციალური ბარათი „თვითმპყრობელობა და ერობა" (1899 წ.) რ. ნ. ს.-ის (პ. ბ. სტრუვეს) წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, რომელიც 1901 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „ზარიამ". — 4.

8 იგულისხმება გაზეთი „ი ს კ რ ა"—პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი, რომელიც ლენინმა დააარსა 1900 წელს და რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნაში.

ლენინური „ისკრის" პირველი ნომერი, 1900 წლის დეკემბრით დათარიღებული, ლაიფციგში გამოვიდა; მომდევნო ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის ივლისიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში. გაზეთის გამოცემის საქმეში (საიდუმლო სტამბის ორგანიზაციაში, რუსული შრიფტის შეძენაში და სხვ.) დიდი დახმარება გაუწიეს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა კ. ცეტკინმა, ა. ბრაუნმა და სხვებმა, იმ წლებში მიუნხენში მცხოვრებმა პოლონელმა რევოლუციონერმა ი. მარხლევსკიმ და ჰ. კეელჩმა — ინგლისის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

„ისკრის" რედაქციაში შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ლ. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. თავდაპირველად რედაქციის მდივანი იყო ი. გ. სმიდოვიჩ-ლემანი, შემდეგ კი, 1901 წლის გაზაფხულიდან, — ნ. კ. კრუპსკაია, რომელიც განაგებდა აგრეთვე „ისკრის" მთელ მიმოწერას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან. ფაქტობრივად „ისკრის" მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი იყო ლენინი, იგი აქვეყნებდა სტატიებს პარტიის მშენებლობისა და რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად საკითხზე.

„ისკრა" გახდა პარტიული ძალების გაერთიანების, პარტიული კადრების თავმოყრისა და აღზრდის ცენტრი. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი, სამარა და სხვ.) შეიქმნა რსდმ პარტიის ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფები და კომიტეტები, 1902 წლის იანვარში კი ისკრელთა ყრილობაზე სამარაში დაარსდა „ისკრის" რუსეთის ორგანიზაცია.

ლენინის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით „ისკრის" რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნდა „ისკრის" № 21-ში) და მოამზადა რსდმ პარტიის II ყრილობა. სპეციალურ დადგენილებაში ყრილობამ აღნიშნა „ისკრის" განსაკუთრებული

როლი პარტიისათვის ბრძოლაში და რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოდ გამოაცხადა იგი.

მალე პარტიის II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა პლეხანოვის მხარდაჭერით ხელთ იგდეს „ისკრა". 52-ე ნომრიდან „ისკრა" აღარ იყო რევოლუციური მარქსიზმის ორგანო. — 4.

9 ეს დოკუმენტი წარმოადგენს ვ. ი. ლენინის შენიშვნებს დ. ბ. რიაზანოვის სტატიის გამო „ორი სიმართლე", რომელიც 1901 წლის ზაფხულში დაიწერა ჟურნალ „ზარიასათვის". სტატია უარყო რედაქციამ და ჟურნალში აღარ დაბეჭდილა.

ლენინის მიერ შენიშვნებში მითითებული გვერდები აღნიშნავენ რიაზანოვის სტატიის იმ ხელნაწერის ფურცლებს, რომელიც „ზარიის" რედაქციას წარედგინა. — 5.

10 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 19, გვ. 116—119, რუს. — 5.

11 ნუმენები (ნოუმენები) და ფენომენები — საპირისპირო ცნებები კანტის იდეალისტურ ფილოსოფიაში.

ნოუმენი, კანტის მიხედვით, არის შეუცნობელი „ნივთი თავისთავად", რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და მიუწვდომელია შემეცნებისათვის. ფენომენი არის მოვლენა, რომელიც მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში არსებობს და მისი შემეცნების საგანია.

„ნივთისა თავისთავად" — ნოუმენის და მოვლენის — ფენომენის დაპირისპირებას, რაც კანტის სუბიექტურ-იდეალისტური შემეცნების თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა, იმპერიალიზმის იდეოლოგები და რევიზიონისტები იყენებენ მატერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა უარყო ეს დაპირისპირება და დაამტკიცა, რომ კანტის თეორიას მეცნიერული საფუძველი არა აქვს. — 7.

12 პარტიის პროგრამა, რომელიც რსდმ პარტიის II ყრილობამ მიიღო 1903 წელს, ლენინური „ისკრის" რედაქციამ შეიმუშავა 1901 წლის დამლევსა და 1902 წლის პირველ ნახევარში. რსდმ პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავებაში დიდი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინმა. რსდმ პარტიის პროგრამის შესამუშავებლად მოსამზადებელი მასალები მიეკუთვნება 1902 წლის იანვარ—თებერვალს; ამ მასალებში აისახა „ისკრის" რედაქციის მიერ რსდმ პარტიის პროგრამის პროექტის შემუშავების ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები: ვ. ი. ლენინის მიერ გ. ვ. პლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის შესწავლა, მისი მუშაობა პროგრამის თეორიული ნაწილის საკუთარ პროექტზე და რსდმ პარტიის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის კოლექტიური პრო-

ექტის შედგენაში მონაწილეობა. ყველა მასალა იბეჭდება ხელნაწერთა მიხედვით; ამა თუ იმ აბზაცის (ან აბზაცის ნაწილის) ვარიანტები, მეტი თვალსაჩინოებისათვის, დაბეჭდილია პარალელურად. მასალები რსდმ პარტიის პროგრამის შემუშავების შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 3 — 83. — 7.

13 გ. ვ. პლეხანოვისა და პ. ბ. აქსელროდის შენიშვნები ვ. ი. ლენინის სტატიაზე „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“ დაიწერა სტატიის ხელნაწერი ფურცლების უკანა მხარეს 1902 წლის 20 აპრილსა და 1 მაისს (3 — 14 მაისს) შუა. ლენინის პასუხები ამ შენიშვნებზე დაიწერა (აგრეთვე ხელნაწერის ფურცლების უკანა მხარეს) 1902 წლის 1 (14) მაისს პლეხანოვისათვის გაგზავნილ წერილთან ერთად (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 105); ლენინის პასუხების დასკვნითი ნაწილი (წინამდებარე ტომი, გვ. 45—46) დაწერილია დამატებითს ფურცლებზე, რომლებიც დართული აქვს სტატიის ხელნაწერს. ყოველ „პასუხს“ წინ უძღვის სტატიის ის ნაწყვეტი, რომელსაც ეხება შესაბამისი შენიშვნები. ლენინის ხაზგასმები პლეხანოვის ტექსტში მოცემულია წვრილი ხაზებით. — 26.

14 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის ნაშრომი „გოთას პროგრამის კრიტიკა“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი II, თბილისი, 1964, გვ. 5—48) და ფ. ენგელსის ნაშრომი „1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 22, გვ. 227—243, რუს.). — 30.

15 ვ ა ლ უ ე ვ ი ს კ ო მ ი ს ი ა — „რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისია“, რომელსაც მეფის მინისტრი პ. ა. ვალუევი მეთაურობდა. 1872—1873 წლებში კომისიამ დიდი მასალა შეაგროვა რეფორმისშემდგომი რუსეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა წიგნში „რუსეთის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო მწარმოებლობის ახლანდელი მდგომარეობის გამომკვლევი საიმპერატორო კომისიის მოხსენება“, პეტერბურგი, 1873. — 31.

16 1902 წლის აპრილში ბელგიაში გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნის მხარდასაჭერად, რომელიც პარლამენტში წამოაყენეს მუშათა, ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა. გაფიცვაში მონაწილეობდა 300 ათასზე მეტი მუშა; მთელ ქვეყანაში ეწყობოდა მუშათა დემონსტრაციები. მაგრამ, როცა პარლამენტმა უარყო კანონპროექტი საარჩევნო რეფორმის შესახებ, ჯარებმა კი ტყვია დაუშინეს დემონსტრანტებს, მუშათა პარტიის ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელობამ (ვანდერველდე და სხვები) იარაღი დაყარა და, ლიბერალური ბურჟუაზიის ბანკე-

დან თავის „მოკავშირეთა“ ზემოქმედებით, შეწყვიტა საყოველთაო გაფიცვა. 1902 წლის აპრილში ბელგიის მუშათა კლასის დამარცხება გაკვეთილი გახდა მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობისათვის. — 86.

17 „ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი. სოციალნო-პოლიტიჩესკოე ობოზრენიე“ — არალეგალური ჟურნალი, რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა (პარიზი — ჟენევა) 1901 — 1905 წლებში; გამოვიდა ოთხი ნომერი. № 2-დან ესერთა პარტიის თეორიული ორგანო. — 87.

18 გ. ვ. პლეხანოვს მხედველობაში აქვს „ისკრის“ რედაქციის ციურიხის 1902 წლის 2 (15) აპრილის თათბირზე ლ. მარტოვის შემდეგი შენიშვნა: „უფრო მეტად და უფრო რელიეფურად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ამჟამად მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა რეაქციული ხასიათისაა“.

ციურიხის თათბირის შემდეგ ვ. ი. ლენინმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა VII თავში, სადაც ლაპარაკია მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 163—167). — 88.

19 გ. ვ. პლეხანოვს მხედველობაში აქვს ლ. მარტოვის შემდეგი შენიშვნა: „ამის ნაცვლად უნდა ითქვას, რომ მიწის ნაციონალიზაციას ჩვენ ვეთანხმებით მხოლოდ როგორც წარმოების ყველა საშუალების სოციალიზაციის უმეტესი პროლოგს“. — 89.

20 ლაპარაკია საფრანგეთის მეფის კარლოს X-ის მთავრობის მიერ იმ ყოფილ ემიგრანტთა დაჯილდოებაზე, რომელთა მიწები კონფისკებული იყო და გაიყიდა როგორც ეროვნული ქონება საფრანგეთის XVIII საუკუნის დამლევის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს; ეგრეთ წოდებული „ანაზღაურების კანონით“, რომელიც 1825 წლის 27 მარტს მიიღეს, გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდო 1 091 360 ათასი ფრანკის ოდენობით („ემიგრანტთა მილიარდი“). ყველაზე დიდი თანხა ერგოთ მეფის კარისკაცებს. ამ უზარმაზარი თანხის გამოსაძებნად მთავრობამ გაადიდა გადასახადები, მოახდინა 5% სახელმწიფო რენტის კონვერსია და შეამცირა იგი 3%-მდე. — 41.

21 პ. ბ. აქსელროდს მხედველობაში აქვს გ. ვ. პლეხანოვის შენიშვნა სტატიის შემდეგი ადგილის გამო: „მაგრამ რად დავჯერდეთ ამ წყაროს? რატომ არ შეიძლება, გარდა ამისა, ვეცადოთ — დავუბრუნოთ ხალხს თუნდაც ნაწილი იმ ხარკისა, რომელსაც გუშინდელი მონათმფლობელნი გლეხებს ახდევინებდნენ და ახლაც ისევ ახდევინებენ პოლიციური სახელმწიფოს დახმარებით?“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 170). — პლეხანოვი წერდა: „აი სწორედ ეს უნდა მოვითხოვოთ და არა ჭველმოქმედება. და თანხის დაბრუნებაც მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც მიიღო იგი: თავადაზნაურობას“. — 41.

22 გ. ვ. პლეხანოვს მხედველობაში აქვს ლ. მარტოვის შემდეგი შენიშვნა: „ეს დებულება მცდარია. ნაკვეთის გამოყოფის მოთხოვნის თავისუფლება გამომდინარეობს ს წ ო რ ე დ მიწის განკარგვის თავისუფლებიდან. ამის ნაცვლად საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენი მოთხოვნები არ გამორიცხავს პიროვნებისადმი თემის ძალაუფლების გადაქცევას ამხანაგობის კავშირის ძალაუფლებად ამ კავშირში თავისუფლად შესული წევრისადმი“.

ციურიხის თათბირის შემდეგ ვ. ი. ლენინმა ამოშალა ხელნაწერიდან ორივე ფრაზა და შეცვალა სიტყვებით: „ასეთი წინააღმდეგობა დაუსაბუთებელი იქნებოდა...“ და შემდეგ დაამთავრა სიტყვებით: „მიწის უპირატესი შესყიდვისა“ (იხ. ქვემოთ, გვ. 43). — **48**.

23 რსდმ პარტიის დონის კომიტეტის პროკლამაცია „რუსეთის მოქალაქეებს“, რომელიც 1902 წლის 9 (22) მაისს გამოიცა, 2000 ცალად გავრცელდა მუშებში. სისხლი ბალმაშევისა, რომელიც სამხედრო სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს შინისტრ სიპიაგინის მკვლელობისათვის, ნათქვამი იყო პროკლამაციაში, „თვალს აუხელს დაბრმავებულ ობივატელებს, და დაე დაინახონ მათ რუსეთის თვითმპყრობელობის შემზარავი სახე. დაე დაინახონ მაღ, რომ ჩვენი ბრძოლა მის წინააღმდეგ ფართოვდება და იზრდება. გლეხები უკვე მასობრივად ეხმარებიან მუშებს და გულწრფელი ინტელიგენციის მცირე ჯგუფს. უკვე გამოჩნდნენ პირველი მერცხლები: ტულაში ჯარისკაცებმა უარი თქვეს ესროლათ გაფიცულთათვის, პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. საუკუნეთა განმავლობაში იქ გლეხი თავისი პანისათვის მუშაობდა, საუკუნეთა განმავლობაში იტანდა იგი ჩაგვრასა და გაჭირვებას, და, ბოლოს, აიცსო მისი მოთმინების ფიალა“. მეფის მთავრობა სასწრაფოდ მიეშველა მემამულეებს და დაიწყო სასტიკი დაწიოკება. „მაგრამ გვეყო სამარცხვინო მონური მოთმინება, გვეყო მსხვერპლი, — მოუწოდებდა პროკლამაცია. — ... მოქალაქენო! შეაჩერეთ ეს დაუსრულებელი შემზარავი სისხლის ღვრა; დაამხეთ თვითმპყრობელობა!“ — **48**.

24 სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) რუსეთის წვრილბურჟუაზიული პარტია; შეიქმნა 1901 წლის დამლევსა და 1902 წლის დამდეგს სხვადასხვა ნაროდნიკული ჯგუფისა და წრეების („სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირი“, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია და სხვ.) გაერთიანების შედეგად. ესერთა შეხედულებანი წარმოადგენდა ნაროდნიკობისა და რევიზიონიზმის იდეათა ეკლექტიკურ ნარევს; ესერები ცდილობდნენ, ლენინის თქმით, „მარქსიზმის მოდური ოპორტუნისტული „კრიტიკის“ საკერებლებით“ გაემთელებინათ „ნაროდნიკობის გაცვეთილი ადგილები“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 381). პირველი მსოფლიო ომის წლებში ესერთა უმრავლესობა სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ესერები მენშევიკებთან ერთად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის მთავარი დასაყრდენი იყვნენ, პარტიის ლიდერები (ავქსენტიევი, კერენსკი, ჩერნოვი) კი შედიოდნენ მის შემადგენლობაში.

1917 წლის ნოემბრის დამლევს ესერთა მემარცხენე ფრთამ შექმნა მემარცხენე ესერების დამოუკიდებელი პარტია. ცდილობდნენ რა შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა გლეხთა მასებში, მემარცხენე ესერებმა ფორმალურად ცნეს საბჭოთა ხელისუფლება და შეუთანხმდნენ ბოლშევიკებს, მაგრამ მალე დაადგნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გზას.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში ესერები კონტრრევოლუციურ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ, აქტიურად უჭერდნენ მხარს ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს, მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებში, აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ესერები განაგრძობდნენ მტრულ საქმიანობას ქვეყნის შიგნით და თეთრგვარდიული ემიგრაციის ბანაკში. — **46.**

25 პროკლამაცია „მ თ ე ლ ი რ უ ს ე თ ი ს მ ო ქ ა ლ ა ქ ე ე ბ ს“ რსდმ პარტიის დონის კომიტეტმა გამოსცა 1902 წლის ნოემბერში და მიუღვნა როსტოვის გაფიცვას, რომელიც 1902 წლის 2—25 ნოემბერს (15 ნოემბერს — 8 დეკემბერს) გაიმართა.

პროკლამაციაში უარყოფილი იყო როსტოვის ამბებზე „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ ოფიციალური ცნობა, სადაც მუშებს ახასიათებდნენ როგორც „გაშმაგებულ ბრბოს“, რომლის შეუგნებელი მოთხოვნები თითქოს მხოლოდ ეკონომიური ხასიათისა ყოფილიყოს. პროკლამაციაში აღწერილი იყო ნამდვილი სურათი გაფიცვისა, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, აღწერილი იყო, თუ რა მხეცურად გაუსწორდნენ მეფის ჯარები მუშებსა და მათს ოჯახებს. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს რევოლუციური გამოსვლებით ეპასუხათ მეფის მთავრობის ძალადობაზე. იგი მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„დაე დონზე გაჩაღებული ხანძარი მრისხანე ალად აგიზგიზდეს, დაე თოფის ზალპების პასუხად მძლავრ ექოდ იქუხონ დემონსტრაციებმა, დაე მსხვერპლთა კვნესა დაფაროს საპროტესტო გუგუნმა, დაე ყველგან ისევე ერთსულოვნად გამოუტანონ სიკვდილის განაჩენი ქვეყნის მჩაგვრელ თვითმპყრობელობას, როგორც როსტოვში!

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს მომავალ რევოლუციას!“

პროკლამაცია „მთელი რუსეთის მოქალაქეებს“ ვ. ი. ლენინის სარედაქციო შესავლით გამოქვეყნდა 1903 წლის 1 იანვარს „ისკრის“ № 31-ში და ამ ნომრის ცალკე ამონაბეჭდად გამოიცა.

პროკლამაციის ეგზემპლარზე, რომელიც „ისკრის“ რედაქციაში გაიგზავნა, გარდა სარედაქციო შესავლისა, არის ლენინის შემდეგი წარწერა: „აიწყოს სასწრაფოდ **პეტიტით** და დაიბეჭდოს ცალკე ამონაბეჭდად: ცალკე ამონაბეჭდი „ისკრის“ № 31-დან“, აგრეთვე ასოების რაოდენობის გამოთვლა და მიახლებანი ასოთამწყობებისადმი. — **47**.

26 ეს ბროშურა ვ. ი. ლენინის არ დაუწერია. — **47**.

27 „*Sozialistische Monatshefte*“ („სოციალისტური ყოველთვიური“) — ჟურნალი, გერმანელ ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. გამოდიოდა ბერლინში 1897 — 1933 წლებში. პირველი მსოფლიო ომის დროს (1914 — 1918) ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **48**.

28 „რევოლუციონაია როსია“ — ესერთა არალეგალური გაზეთი; 1900 წლის დამლევიდან რუსეთში სცემდა „სოციალისტ-რევოლუციონერთა კავშირი“ (1900 წლით აღნიშნული № 1 სინამდვილეში 1901 წლის იანვარში გამოვიდა). 1902 წლის იანვრიდან 1905 წლის დეკემბრამდე გამოდიოდა საზღვარგარეთ (ჟენევაში) როგორც ესერთა პარტიის ოფიციალური ორგანო. — **49**.

29 იგულისხმება საპროგრამო მიმართვა „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის გლეხთა კავშირისა რუსეთის რევოლუციური სოციალიზმის ყველა მუშაკისადმი“, რომელიც 1902 წლის 25 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „რევოლუციონაია როსიის“ № 8-ში. ქვემოთ, C ნაწილის მე-3 პუნქტში, ლენინს მხედველობაში აქვს იგივე მიმართვა. — **49**.

30 „ეკონომიზმი“ — ოპორტუნისტული მიმდინარეობა XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობა. „ეკონომისტთა“ ბეჭდვითი ორგანოები იყო გაზეთი „რაბოჩაია მისლი“ (1897—1902) და ჟურნალი „რაბოჩეე დელო“ (1899—1902). საპროგრამო დოკუმენტი „ეკონომისტებისა“, რომლებსაც ლენინი რუს ბერნშტაინელებს უწოდებდა, იყო ეგრეთ წოდებული „Credo“, რომელიც ე. დ. კუსკოვამ 1899 წელს დაწერა.

„ეკონომისტების“ შეხედულებათა გაშლილ კრიტიკას ეძღვნება ლენინის ნაწარმოებები: „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი“ (მიმართულია „Credo“-ს წინააღმდეგ, დაწერილია ციმბირის გადასახლებაში 1899 წელს და ხელს აწერს ჩვიდმეტი გადასახლებული მარქსისტი), „უკუსელითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“, „Profession de foi“-ს გამო“, „საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან“

(იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 197—215, 307—346, 347—360). „ეკონომიზმის“ იდეური განადგურება ლენინმა დაამთავრა წიგნში „რა ვაკეთოთ?“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 431—673). „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ლენინურმა „ისკრამ“. — **50**.

31 იგულისხმება ა. ნ. პოტრესოვის სტატია „თანამედროვე ვესტალი ქალი (ეტიუდებიდან თანამედროვე ჟურნალისტიკის შესახებ)“, რომელსაც ხელს აწერს „სტ.“ და გამოქვეყნდა 1901 წლის დეკემბერში ჟურნალ „ზარიას“ № 2—3-ში. — **51**.

32 „ნ ა რ ო დ ნ ო ე დ ე ლ ო“ — სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პოპულარული ორგანო; სცემდნენ კრებულების სახით (№ 1 გაზეთი). გამოდიოდა ჟენევაში 1902—1904 წლებში; სულ გამოვიდა 5 ნომერი. — **54**.

33 იგულისხმება სტატია „„ისკრის“ პოლემიკის გამო“, რომელიც 1902 წლის სექტემბერში დაიბეჭდა გაზეთ „რევოლუციონაია როსიის“ № 11-ში. — **54**.

34 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია (უსათაურო) „ს.-რ.“-ის ხელმოწერით, რომელიც დაიბეჭდა ჰექტოგრაფიული პერიოდული გამოცემის „ვპერიოდის“ 1902 წლის 15 სექტემბრის № 5-ში. ეს გამოცემა პეტერბურგში გამოუშვა ნაროდნიკული მიმართულების წრემ „ვპერიოდმა“. — **54**.

35 ამ პუნქტში ლენინს ციტატად მოჰყავს სტატია „ტეროროისტული ელემენტი ჩვენს პროგრამაში“, რომელიც 1902 წლის ივნისში დაიბეჭდა გაზეთ „რევოლუციონაია როსიის“ № 7-ში. — **55**.

36 იგულისხმება სტატია „როგორ ვუპასუხოთ მთავრობის მხეცობას?“, რომელიც 1902 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა გაზეთ „რევოლუციონაია როსიის“ № 12-ში. — **55**.

37 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ო რ ე ყ რ ი ლ ო ბ ა გაიმართა 1903 წლის 17 (30) ივლისს — 10 (23) აგვისტოს. ყრილობის პირველი 13 სხდომა მიმდინარეობდა ბრიუსელში. შემდეგ პოლიციის დევნის გამო ყრილობის სხდომები გადიტანეს ლონდონში.

ყრილობა მოამზადა „ისკრამ“, რომელმაც ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწია რუსეთის სოციალ-დემოკრატების შესაკავშირებლად რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების საფუძველზე. „ისკრის“ რედაქციამ შეიმუშავა და ყრილობის განსახილველად შეიტანა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნებულია „ისკრის“ 1902 წლის 1 ივნისის № 21-ში), მთელი რიგი დოკუმენტები ყრილობისათვის ლენინმა დაწერა: რსდმ პარტიის წესდების პროექტი, რეზოლუციათა რამდენიმე პროექტი, გეგმა მოხსენებისა „ისკრის“ საქმიანობის შესახებ,

ლენინმა აგრეთვე გულდასმით შეიმუშავა ყრილობის მუშაობის დღის წესრიგი და რეგლამენტი. წესდების პროექტი და ყრილობის დღის წესრიგის პროექტი წინასწარ გააცნეს „ისკრის“ რედაქციის წევრებს, შემდეგ კი ყრილობის დელეგატებს.

ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრებოდა 43 დელეგატი, რომლებიც 26 ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ. ზოგიერთ დელეგატს ორ-ორი ხმა ჰქონდა და ამიტომ გადამწყვეტი ხმების რიცხვი ყრილობაზე შეადგენდა 51-ს. ყრილობის შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო. ყრილობას ესწრებოდნენ არა მარტო „ისკრის“ მომხრენი, არამედ მოწინააღმდეგენიც, აგრეთვე არამტკიცე, მერყეევი ელემენტები. ყრილობის დღის წესრიგში იდგა 20 საკითხი.

ლენინმა ყრილობაზე გააკეთა მოხსენება პარტიის წესდების შესახებ და წარმოთქვა სიტყვები ყრილობის დღის წესრიგის მეტი წილი საკითხების განხილვისას.

ყრილობის უმნიშვნელოვანესი საკითხები იყო პარტიის პროგრამისა და წესდების დამტკიცება და ხელმძღვანელი პარტიული ცენტრების არჩევნები. ლენინმა და მისმა მომხრეებმა ყრილობაზე გადამწყვეტი ბრძოლა გაიჩაღეს ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ყრილობამ საკადრისი პასუხი გასცა ოპორტუნისტებს და ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) დაამტკიცა პარტიის პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო როგორც პროლეტარიატის უახლოესი ამოცანები მომავალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში (პროგრამა-მინიმუმი), ასევე ამოცანები, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას ითვალისწინებდნენ (პროგრამა-მაქსიმუმი). მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში პირველად იყო მიღებული რევოლუციური პროგრამა, რომელშიც, ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის წამოყენებული იყო როგორც მუშათა კლასის პარტიის ძირითადი ამოცანა.

პარტიის წესდების განხილვისას მწვავე ბრძოლა გაიხადა პარტიის აგების ორგანიზაციული პრინციპების საკითხზე. ლენინი და მისი მომხრენი იბრძოდნენ მუშათა კლასის მებრძოლი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის. ამიტომ წესდების პირველი პარაგრაფის ფორმულირებაში, რომელიც ლენინმა წამოაყენა, პარტიის წევრობას განაპირობებდა არა მარტო პროგრამის ცნობა და პარტიის მატერიალური მხარდაჭერა, არამედ პირადი მონაწილეობაც ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში. ყრილობაზე მარტოვმა შეიტანა პირველი პარაგრაფის თავისი ფორმულირება, რომლის თანახმად პარტიის წევრობას, პარტიის პროგრამის ცნობისა და პარტიის მატერიალური მხარდაჭერის გარდა, განაპირობებდა პარტიის მხოლოდ რეგულარული პირადი ხელშეწყობა ერთ-ერთი მისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. მარტოვის ფორმუ-

ლორება, რომელიც პარტიაში შესვლას უადვილებდა ყველა მერყევ ელემენტს, ხმების უმნიშვნელო უმრავლესობით მიიღო ყრილობამ. ძირითადად კი ყრილობამ დაამტკიცა ლენინის მიერ შემუშავებული წესდება. ყრილობამ მიიღო აგრეთვე მთელი რიგი რეზოლუციები ტაქტიკურ საკითხებზე.

ყრილობაზე მოხდა გათიშვა ისკრული მიმართულების თანმიმდევრულ მომხრეებს — ლენინელებსა და „რბილ“ ისკრელებს — მარტოვის მომხრეებს შორის. ლენინური მიმართულების მომხრეებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა არჩევნებში და მათ ბოლშევიკები ეწოდათ, ოპორტუნისტებს კი, რომლებმაც ხმების უმცირესობა მიიღეს, მენშევიკები ეწოდათ. ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ლენინი წერდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 31, გვ. 9). შექმნა და ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, რომელიც ნიმუში გახდა ყველა ქვეყნის რევოლუციური მარქსისტებისათვის, რსდმ პარტიის II ყრილობა შემობრუნების პუნქტი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. რსდმ პარტიის მეორე ყრილობის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 579—631. — **57**.

38 ეს დოკუმენტი წარმოადგენს ყრილობის რეგლამენტისა და დღის წესრიგის დეტალურად დამუშავებას. დოკუმენტის პირველი ნაწილი (კარი ა) დაედო საფუძვლად რეგლამენტს, რომელიც ყრილობამ მიიღო. დოკუმენტის მეორე ნაწილი (კარი ბ) „Tagesordnung“-ისა (დღის წესრიგისა) და მისი კომენტარების ის პროექტია, რომელსაც, როგორც ლენინი ამბობს, „იცნობდა **ყველა** ისკრელი დიდი ხნით ადრე ყრილობამდე და ყრილობის **ყველა** წევრი“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 20).

ამ დოკუმენტის თავდაპირველ ტექსტში ლენინმა შეიტანა დამატებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია მარტოვისაგან და, შესაძლოა, სხვა იმ ისკრელებისაგან მიღებული შენიშვნები, რომლებიც დოკუმენტს გაეცნენ. დოკუმენტის ტექსტი იბეჭდება მთლიანად, შემდგომი დამატებებითა და ცვლილებებით. — **57**.

39 რსდმ პარტიის II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტი (საორგ. კ.) შეიქმნა ფსკოვის თათბირზე 1902 წლის 2—3 (15—16) ნოემბერს.

საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა პირველად სცადეს რსდმ პარტიის კომიტეტებისა და ორგანიზაციების ბელოსტოკის კონფერენციაზე (1902 წლის 23—28 მარტი (5—10 აპრილი)), რომელიც „ეკონომისტთა“ და ბუნდელთა ინიციატივით მოიწვიეს. საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც კონფერენციაზე აირჩიეს „ისკრის“, „რსდმ პარტიის

სამხრეთის კომიტეტებისა და ორგანიზაციების კავშირის“ და ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა შემადგენლობით, ვერ შეუდგა მუშაობას, რადგან მალე კონფერენციის შემდეგ მისი ორი წევრი დააპატიმრეს.

1902 წლის 2 (15) აგვისტოს ლონდონში ისკრელთა თათბირზე, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის ბირთვი. გადაწყდა საორგანიზაციო კომიტეტში მოეწვიათ წარმომადგენლები ბუნდისა და „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფისა, რომელსაც ამ დროს „ისკრასთან“ დაახლოების ტენდენცია ემჩნეოდა, აგრეთვე მიეწვიათ საორგანიზაციო კომიტეტისათვის ახალი წევრების კოოპტაციის უფლება.

2—3 (15—16) ნოემბერს ფსკოვში გაიმართა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზეც შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი. თათბირმა მიიღო ტექსტი „უწყებისა „საორგანიზაციო კომიტეტის“ შექმნის შესახებ“, რომელიც 1902 წლის დეკემბერში ცალკე ფურცლად გამოიცა რუსეთში.

1903 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ორიოლში გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის მეორე თათბირი, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ყრილობის წესდების პროექტი და იმ ორგანიზაციათა ნუსხა, რომლებსაც ყრილობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. ყრილობის წესდების პროექტი დაეგზავნათ ადგილობრივ კომიტეტებს, რის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა შემოიარეს ადგილობრივი კომიტეტები. ყრილობის წესდება მიიღეს და დაამტკიცეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. ამ წესდების საფუძველზე საორგანიზაციო კომიტეტმა გაშალა შემდგომი მუშაობა პარტიის II ყრილობის მოსამზადებლად.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმატებითი საქმიანობა, რაც ყრილობის მოწვევით დამთავრდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ უდიდესი მუშაობის შედეგად, რომელიც რუს რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა გასაერთიანებლად გასწიეს „ისკრის“ რედაქციამ და ორგანიზაციამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით. წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ლენინი წერდა: „საორგანიზაციო კომიტეტი“ იყო უმთავრესად ყრილობის მომწვევი კომისია, შედგენილი სანგანგებოდ სხვადასხვა ელფერის წარმომადგენელთაგან ბუნდელების ჩათვლით; ხოლო ნამდვილი მუშაობა პარტიის ორგანიზაციული ერთიანობის შესაქმნელად მთლიანად თავის მხრებზე გადაიტანა „ისკრის“ ორგანიზაციამ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 338). — 57.

40 პოლონელი სოციალ-დემოკრატები — პოლონეთის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის — პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წევრები, პარტიისა, რომელიც 1893 წელს

შეიქმნა ჯერ როგორც პოლონეთის სამეფოს სოციალ-დემოკრატია, ხოლო 1900 წლის აგვისტოდან, პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა იმ ყრილობის შემდეგ, რომელზეც გაერთიანდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები და ლიტველ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი, ეწოდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია. პარტიის დამსახურება ის იყო, რომ იგი პოლონეთის მუშათა მოძრაობას აძლევდა რუსეთის მუშათა მოძრაობასთან კავშირის გეზს და ებრძოდა ნაციონალიზმს. ამასთანავე პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიას ჰქონდა მთელი რიგი შეცდომები, მან ვერ გაიგო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, არ ესმოდა პარტიის ხელმძღვანელი როლი დემოკრატიულ რევოლუციაში, ჯეროვნად ვერ აფასებდა გლეხობის როგორც მუშათა კლასის მოკავშირის როლს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მცდარ შეხედულებებს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავდა მის დამსახურებასაც პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის წინაშე. იგი აღნიშნავდა, რომ პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა „პირველად შექმნეს წმინდა პროლეტარული პარტია პოლონეთში, გამოაცხადეს უდიდესი მნიშვნელობის პრინციპი პოლონელი და რუსი მუშის უაღრესად მჭიდრო კავშირისა მათს კლასობრივ ბრძოლაში“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 532). რსდმ პარტიის IV (გაერთიანებელ) ყრილობაზე პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია რსდმ პარტიის შემადგენლობაში მიიღეს როგორც ტერიტორიული ორგანიზაცია.

პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია მიესალმა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და გააჩაღა ბრძოლა პოლონეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის. 1918 წლის დეკემბერში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის და პოლონეთის სოციალისტურ პარტია-„ლევიცას“ გამაერთიანებელ ყრილობაზე ორივე პარტია გაერთიანდა და შექმნა პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია. — 58.

41 ბუნდი („ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი ლიტვაში, პოლონეთსა და რუსეთში“) აერთიანებდა უპირატესად რუსეთის დასავლეთ ოლქების ებრაელ ხელოსანთა ნახევრად პროლეტარულ ელემენტებს. რსდმ პარტიის შიგნით ბუნდელები მუდამ მხარს უჭერდნენ პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას („ეკონომისტებს“, მენშევიკებს, ლიკვიდატორებს), იბრძოდნენ ბოლშევიკებისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ.—60.

42 რსდმ პარტიის I ყრილობა გაიმართა მინსკში 1898 წლის 1—3 (13—15) მარტს. ყრილობას ესწრებოდა 9 დელეგატი 6 ორგანიზაციისაგან: პეტერბურგის, მოსკოვის, ეკატერინოსლავისა და კიევის

„მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირებისაგან", კიევის „რაბოჩაია გაზეტას" ჯგუფისა და ბუნდისაგან. ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის ოფიციალურ ორგანოდ დაამტკიცა „რაბოჩაია გაზეტა", გამოაქვეყნა „მანიფესტი" და პარტიის საზღვარგარეთელ წარმომადგენლად აირჩია „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირი" (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწილი I, 1954, გვ. 11—16).

რსდმ პარტიის I ყრილობის მნიშვნელობა ის იყო, რომ მან თავის გადაწყვეტილებებსა და „მანიფესტში" გამოაცხადა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა და ამით დიდი რევოლუციურ-პროპაგანდისტული როლი შეასრულა. მაგრამ ყრილობას არ მიუღია პროგრამა, არ შეუმუშავებია პარტიის წესდება, ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი დააპატიმრეს, „რაბოჩაია გაზეტას" სტამბა ხელთ იგდეს და ამიტომ ყრილობამ ვერ შეძლო გაეერთიანებინა და შეეკავშირებინა ცალკეული მარქსისტული წრეები და ორგანიზაციები. არ იყო ხელმძღვანელობა ერთიანი ცენტრიდან და ერთიანი გეზი ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობაში. — **60**.

43 „ბ ო რ ბ ა" — საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დ. ბ. რიაზანოვი, ი. მ. სტეკლოვი (ნევზოროვი) და ე. ლ. გურევიჩი (ვ. დანევიჩი). ჯგუფი შეიქმნა 1900 წლის ზაფხულში პარიზში და 1901 წლის მაისში ეწოდა „ბორბა". თავის გამოცემებში („მასალები პარტიული პროგრამის შესამუშავებლად", ნაკვეთი I—III, „„ბორბას" ჯგუფის სახელდახელო ფურცელი" და სხვ.) ჯგუფი ამახინჯებდა მარქსიზმის რევოლუციურ თეორიას, განმარტავდა მას დოქტრინიორულ-სქოლასტიკურად, მტრულად ეკიდებოდა პარტიის მშენებლობის ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს. სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებიდან გადახვევის, დეზორგანიზატორული მოქმედებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის უკონტროლობის გამო ჯგუფი არ დაუშვეს რსდმ პარტიის II ყრილობაზე. II ყრილობის გადაწყვეტილებით „ბორბას" ჯგუფი დაშალეს (იხ. „რსდმ პარტიის მეორე ყრილობა", 1959, გვ. 438, რუს.). — **61**.

44 „ქ ი ზ ნ" — ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1897—1901 წლებში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ „ლეგალური მარქსისტები" (მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი, პ. ბ. სტრუვე და სხვ.), მოწინავე მწერლები და კრიტიკოსები (ა. მ. გორკი, ა. პ. ჩეხოვი, ვ. ვ. ვერესაევი, ს. გ. სკიტალეცი, ი. ა. ბუნინი, ე. ა. სოლოვიოვი (ანდრეევიჩი)). „ქიზნის" ფურცლებზე დაიბეჭდა კ. მარქსის ნაშრომი „ხელფასი, ფასი და მოგება". „ქიზნში" დაიბეჭდა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სტატიები „კაპიტალიზმი სოფლის

მეურნეობაში (კაუცკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)“ და „პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 117—187, 188—195).

„ჟიზნი“ მთავრობამ დახურა 1901 წლის ივნისში; გამოცემა საზღვარგარეთ განაახლა 1902 წლის აპრილში სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა „ჟიზნმა“; გამოიცა ჟურნალის ექვსი წიგნი, „ლისტოკ „ჟიზნის““ თორმეტი ნომერი და „ბიბლიოტეკა „ჟიზნის““ ცალკე გამოცემები. „ჟიზნის“ ჯგუფს ჰქონდა გადახვევები სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებიდან და ტაქტიკიდან ქრისტიანული სოციალიზმისა და ანარქიზმისაკენ. 1902 წლის დეკემბერში ჯგუფმა შეწყვიტა არსებობა, გამომცემლობა ლიკვიდირებულ იქნა. — **61**.

45 „ვ ო ლ ი ა“ — საზღვარგარეთული ჯგუფი, რომელიც თავის თავს „რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას“ უწოდებდა. 1903 წლის თებერვალში ჯგუფმა გამოუშვა ფურცელი „რევოლუციონერებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „ვოლიასაგან““, რომელშიც დასახული იყო მოსახლეობის ყველა ფენაში პოლიტიკური აგიტაციის და სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების გაერთიანების ამოცანები. „ვოლიას“ ჯგუფი რსდმ პარტიაში არ შედიოდა. რსდმ პარტიის II ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, „კ ე კ ლ ი ნ ის გამომცემლობის ჯგუფისა და „ვოლიას“ ჯგუფის შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო: „... ყრილობა აღნიშნავს, რომ არც ერთი დასახელებული ორგანიზაცია არ შედის პარტიის შემადგენლობაში და საერთო არა აქვს რა რუსეთის ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატიასთან. პარტიისადმი ამ ჯგუფების შემდგომი დამოკიდებულების საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეჭვემდებარება, თუ ასეთი ჯგუფები მიმართავენ მას“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 439, რუს.). მალე რსდმ პარტიის II ყრილობის შემდეგ ჯგუფმა განაცხადა, რომ წყვეტს არსებობას და რომ ჯგუფის წევრები უერთდებიან რსდმ პარტიას; ცნობა ამის შესახებ დაიბეჭდა „ისკრის“ № 52-ში, 1903 წლის 7 ნოემბერს. — **63**.

46 „შ რ ო მ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს“ ჯ გ უ ფ ი — პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი, რომელიც გ. ვ. პლეხანოვმა დააარსა 1883 წელს შვეიცარიაში. გარდა პლეხანოვისა, ჯგუფში შედიოდნენ პ. ბ. აქსელროდი, ლ. გ. დეიჩი, ვ. ი. ზასულიჩი და ვ. ნ. იგნატოვი. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია რუსეთში მარქსიზმის პროპაგანდისათვის და სერიოზული დარტყმა მიაყენა ნაროდნიკობას, რომელიც მთავარი იდეური დაბრკოლება იყო რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარების გზაზე. რუს სოციალ-დემოკრატთა პროგრამის ორ პროექტს (1883 და 1885), რომლებიც გ. ვ. პლეხანოვმა დაწერა და „შრომის განთავი-

სუფლების“ ჯგუფმა გამოსცა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომზადებისა და შექმნისათვის. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობისაკენ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 332). ჯგუფის წევრებს სერიოზული შეცდომებიც ჰქონდათ: ისინი გადაჭარბებით აფასებდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის როლს, ჯეროვნად ვერ აფასებდნენ გლეხობის როგორც პროლეტარული რევოლუციის რეზერვის რევოლუციურ როლს. ეს შეცდომები პლეხანოვისა და ჯგუფის სხვა წევრების მომავალ მენშევიკურ შეხედულებათა ჩანასახი იყო.

1894 წელს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ინიციატივით დაარსდა „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირი“. 1900 წელს ჯგუფის წევრები და მათი მომხრენი გავიდნენ „კავშირიდან“ და დააარსეს რევოლუციური ორგანიზაცია „სოციალ-დემოკრატი“. ჯგუფის წევრები გ. ვ. პლეხანოვი, პ. ბ. აქსელროდი და ვ. ი. ზასულიჩი შედიოდნენ „ისკრისა“ და „ზარიას“ რედაქციაში. რსდმ პარტიის II ყრილობაზე 1903 წლის აგვისტოში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა განაცხადა, რომ წყვეტს თავის არსებობას. — 68.

47 „ი ს კ რ ი ს“ რ უ ს ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა აერთიანებდა რუსეთში მოქმედ ისკრელებს. ჯერ კიდევ „ისკრის“ გამოცემის მომზადების პერიოდში და მისი არსებობის პირველ წელს (1900 წლის დეკემბრიდან 1901 წლის დეკემბრამდე) შეიქმნა „ისკრის“ აგენტთა ქსელი, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მუშაობდნენ. ესენი იყვნენ პ. ნ. და ო. ბ. ლებეშინსკები, პ. ა. კრასიკოვი, ა. მ. სტოპანი, გ. მ. და ზ. პ. კრჟიჟანოვსკები, ს. ი. და ლ. ნ. რადჩენკოები, ა. დ. ციურუპა, ნ. ე. ბაუმანი, ი. ვ. ბაბუშკინი და სხვ. მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, ფსკოვი, სამარა, პოლტავა და სხვ.) შეიქმნა „ისკრის“ ხელშემწყობი ჯგუფები.

რევოლუციური მოძრაობის ზრდა, აგრეთვე პრაქტიკული მუშაობის მზარდი მოცულობა დაბეჯითებით მოითხოვდა ისკრელთა ძალების გაერთიანებას, გეგმიანობისა და ორგანიზებულობის შეტანას მათს მუშაობაში, რაც ხელს შეუწყობდა მთავარი ამოცანის გადაწყვეტას— კუსტარულობის დაძლევას, რომელსაც „ეკონომისტები“ ნერგავდნენ, და სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების გადაბირებას „ისკრის“ მხარეზე. ამასთან დაკავშირებით ლენინმა წამოაყენა სრულიად რუსეთის ისკრული ორგანიზაციის შექმნის გეგმა, ორგანიზაციისა, რომელიც მოამზადებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებას ერთიან ცენტრალიზებულ მარქსისტულ პარტიად. ეს გეგმა ლენინმა თავდაპირველად ჩამოაყალიბა სტატიაში „რით დავიწყოთ?“

(1901 წლის მაისი), შემდეგ კი დეტალურად დაამუშავა ბროშურაში „რა ვაქეთოთ?“ (1901 წლის შემოდგომა — 1902 წლის თებერვალი) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 1—15, 431—673).

რუსეთში ერთიანი ისკრული ორგანიზაციის შექმნის გეგმის განხორციელებისას ლენინსა და მის მომხრეებს მოუხდათ კუთხური (ოლქობრივი) ტენდენციების დაძლევა, რომლებიც ცალკეულ ისკრელ-პრაქტიკოსებს ჰქონდათ.

1902 წლის იანვარში სამარაში გაიმართა ისკრელთა ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გ. მ. და ზ. პ. კრჟიჟანოვსკები, ფ. ვ. ლენგნიკი, მ. ა. სილვინი, ვ. პ. არციბუშევი, დ. ი. და მ. ი. ულიანოვები და სხვ. ამ ყრილობაზე შეიქმნა „ისკრის“ რუსეთის ორგანიზაციის ბიურო.

ლენინის წიგნით „რა ვაქეთოთ?“ შეიარაღებულმა ისკრელებმა ენერგიული საქმიანობა გააჩაღეს პარტიის შექმნის ლენინური გეგმის პროპაგანდისა და პრაქტიკული განხორციელებისათვის. „ისკრის“ რუსეთის ორგანიზაციამ დიდ შედეგებს მიაღწია პარტიული ორგანიზაციების ფაქტობრივი ერთიანობის შექმნაში რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების საფუძველზე. 1902 წლის დამლევისათვის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესმა სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს „ისკრას“.

ისკრელთა უაღრესად აქტიური მონაწილეობით 1902 წლის 2—3 (15—16) ნოემბერს ფსკოვის თათბირზე შეიქმნა პარტიის II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ისკრულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი კავშირურთიერთობა გადასცეს. „ისკრის“ რუსეთის ორგანიზაციამ, რომელიც პარტიის II ყრილობამდე არსებობდა, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ყრილობის მომზადებისა და მოწვევის საქმეში, რომელმაც შექმნა რევოლუციური მარქსისტული პარტია რუსეთში. — **68**.

48 „იუჟნი რაბოჩი“ ჯგუფი — სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც 1900 წლის შემოდგომისათვის ჩამოყალიბდა რუსეთის სამხრეთ ნაწილში ამავე სახელწოდების გაზეთის გარშემო. გაზეთი არალეგალურად გამოდიოდა 1900—1903 წლებში, სულ გამოვიდა თორმეტი ნომერი; პირველი ნომერი 1900 წლის იანვარში გამოსცა რსდმ პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტმა. ჯგუფის შემადგენლობასა და გაზეთის რედაქციაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ი. ქ. ლალაიანცი, ა. ვილენსკი, ო. ა. კოგანი (ერმანსკი), ბ. ს. ცეიტლინი, ე. ი. და ე. ს. ლევინები, ვ. ნ. როზანოვი და სხვ.

„იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფს „ეკონომისტების“ საწინააღმდეგოდ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლა, თვითმპყრობელობის დამხობა, გამოდიოდა ტერორიზმის წი-

ნაღმდეგ, მასობრივი რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებისათვის და მნიშვნელოვანი რევოლუციური მუშაობა გასწია რუსეთის სამხრეთ ნაწილში. ამასთანავე ჯგუფი გადაჭარბებით აფასებდა ლიბერალური ბურჟუაზიის როლს და მნიშვნელობას არ ანიჭებდა გლეხთა მოძრაობას. „ისკრის“ გარშემო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა გაერთიანების გზით ცენტრალიზებული მარქსისტული პარტიის შექმნის ისკრულ გეგმას „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფი უპირისპირებდა საოლქო სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებათა შექმნის გზით რსდმ პარტიის აღდგენის გეგმას. ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ლენინმა „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფი მიაკუთვნა იმ ორგანიზაციათა რიცხვს, „რომლებიც თუმცა სიტყვიერად ცნობდნენ „ისკრას“ ხელმძღვანელ ორგანოდ, მაგრამ საქმით თავის განსაკუთრებულ გეგმებს ისახავდნენ და პრინციპების მერყეობით ხასიათდებოდნენ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 249). პარტიის II ყრილობაზე „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფის დელეგატებმა „ცენტრის“ პოზიცია დაიკავეს („საშუალო ოპორტუნისტები“, როგორც უწოდა „ცენტრის“ წარმომადგენლებს ლენინმა).

რსდმ პარტიის II ყრილობამ დაადგინა დაეშალათ „იუჟნი რაბოჩის“ ჯგუფი, ისევე როგორც ყველა ცალკეული დამოუკიდებლად არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და ორგანიზაცია (იხ. „რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 439, რუს.). — **68**.

49 პოლონეთის სოციალისტური პარტია (Polska Partia Socjalistyczna) — რეფორმისტული ნაციონალისტური პარტია, რომელიც 1892 წელს შეიქმნა. პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომელმაც თავის პროგრამას საფუძვლად დაუდო ბრძოლა დამოუკიდებელი პოლონეთისათვის, პილსუდსკისა და მის მომხრეთა ხელმძღვანელობით სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწეოდა პოლონელ მუშათა შორის და ცდილობდა ჩამოეშორებინა ისინი რუს მუშებთან ერთობლივი ბრძოლისათვის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

1906 წელს პოლონეთის სოციალისტური პარტია გაიყო პოლონეთის სოციალისტურ პარტია-„ლევიცად“ და მემარჯვენე, შოვინისტურ, ეგრეთ წოდებულ პოლონეთის სოციალისტურ პარტია-„რევოლუციურ ფრაქციად“.

პოლონეთის სოციალისტური პარტია-„ლევიცა“ რსდმ პარტიის (ბ), აგრეთვე პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის გავლენით თანდათანობით გადადიოდა თანამიმდევრულ რევოლუციურ პოზიციებზე.

პირველი მსოფლიო ომის წლებში პოლონეთის სოციალისტურ პარტია-„ლევიცას“ დიდმა ნაწილმა ინტერნაციონალისტური პოზიცია დაი-

კავა და 1918 წლის დეკემბერში შეუერთდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიას. გაერთიანებულმა პარტიებმა შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია (ასე ეწოდებოდა 1925 წლამდე პოლონეთის კომუნისტურ პარტიას).

მემარჯვენე პოლონეთის სოციალისტური პარტია პირველი მსოფლიო ომის დროს განაგრძობდა ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას. პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მემარჯვენე პოლონეთის სოციალისტური პარტია 1919 წელს შეუერთდა პოლონეთის იმ ტერიტორიაზე მყოფ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ნაწილებს, რომლებიც მანამდე ხელთ იგდეს გერმანიამ და ავსტრიამ, და კვლავ ეწოდა პოლონეთის სოციალისტური პარტია. იგი სათავეში ჩაუდგა მთავრობას და ხელს უწყობდა ძალაუფლების გადასვლას პოლონეთის ბურჟუაზიის ხელში და შემდეგ სისტემატურად ეწეოდა ანტიკომუნისტურ პროპაგანდას და მხარს უჭერდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის პოლიტიკას, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიტაცებისა და ჩაგვრის პოლიტიკას. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცალკეული ჯგუფები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ამ პოლიტიკას, პოლონეთის კომუნისტურ პარტიას უერთდებოდნენ.

ჰილსუდსკის ფაშისტური გადატრიალების შემდეგ (1926 წლის მაისი) პოლონეთის სოციალისტური პარტია ფორმალურად საპარლამენტო ოპოზიციაში იყო; მაგრამ სინამდვილეში არ ეწეოდა აქტიურ ბრძოლას ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ და განაგრძობდა ანტიკომუნისტურ და ანტისაბჭოთა პროპაგანდას. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ელემენტები ამ წლებში თანამშრომლობდნენ პოლონელ კომუნისტებთან, მაგრამ რიგი კამპანიების დროს მხარს უჭერდნენ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას.

მეორე მსოფლიო ომის დროს პოლონეთის სოციალისტური პარტია კვლავ გაითიშა. მისი რეაქციული, შოვინისტური ნაწილი, რომელსაც ეწოდა „Wolność, Równość, Niepodległość“ („თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა“), მონაწილეობდა პოლონეთის რეაქციულ ლონდონის ემიგრანტულ „მთავრობაში“. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეორე, მემარცხენე ნაწილი, რომელმაც „პოლონელი სოციალისტების მუშათა პარტია“ დაირქვა, 1942 წელს შექმნილი პოლონეთის მუშათა პარტიის გავლენით ჩაება ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტში, იბრძოდა ფაშისტური მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების პოზიციაზე დადგა.

1944 წელს, გერმანელთა ოკუპაციისაგან აღმოსავლეთ პოლონეთის განთავისუფლებისა და პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის შემდეგ, პოლონელი სოციალისტების მუშათა პარ-

ტიას კლავ ეწოდა პოლონეთის სოციალისტური პარტია და პოლონეთის მუშათა პარტიასთან ერთად მონაწილეობდა სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის მშენებლობაში. 1948 წლის დეკემბერში პოლონეთის მუშათა პარტია და პოლონეთის სოციალისტური პარტია გაერთიანდნენ და შექმნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. — **88**.

50 II ინტერნაციონალის ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი გაიმართა 1904 წლის 14—20 აგვისტოს. კონგრესმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესები; 2) კოლონიური პოლიტიკა; 3) საყოველთაო გაფიცვა; 4) სოციალური პოლიტიკა და მუშათა დაზღვევა; 5) ტრესტები და უმუშევრობა და სხვა საკითხები.

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულება გამოიხატა რეზოლუციაში „სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესების“ შესახებ. რეზოლუცია უკრძალავდა სოციალისტებს ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობას და გმობდა „ყოველგვარ მისწრაფებას არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვისადმი, რომელიც აადვილებს ბურჟუაზიულ პარტიებთან დაახლოებას“. კონგრესის გადაწყვეტილებანი, მიუხედავად ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯისა, საერთოდ ორჭოფული იყო და წარმოადგენდა შემდგომ დათმობას ოპორტუნიზმისადმი. კონგრესს არ აღუძრავს მასობრივი გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებად გადაზრდის საკითხი, წინააღმდეგობა არ გაუწევია მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის, რომლებიც ამართლებდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიურ პოლიტიკას. გმობდა რა რევიზიონიზმს სიტყვით, კონგრესს თავის რეზოლუციაში არ განუცხადებია, რომ წყვეტს კავშირს მასთან, დუმილით აუარა გვერდი პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს. — **64**.

51 პარტიის საბჭო (1903—1905) რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდების თანახმად შეიქმნა როგორც უმაღლესი პარტიული დაწესებულება, რომელსაც უნდა შეეთანხმებინა და გაეერთიანებინა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის საქმიანობა, აღედგინა ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოს რედაქცია იმ შემთხვევაში, თუ დაიშლებოდა ერთ-ერთი ამ დაწესებულების მთელი შემადგენლობა, აგრეთვე ყოფილიყო პარტიის წარმომადგენელი სხვა პარტიებთან ურთიერთობაში. საბჭო ვალდებული იყო მოეწვია პარტიის ყრილობები წესდებით დადგენილ ვადაში ან ვადამდე იმ პარტიულ ორგანიზაციათა მოთხოვნით, რომელთა ხმები ერთად ყრილობის ხმების ნახევარს შეადგენდა. პარტიის საბჭო შედგებოდა ხუთი წევრისაგან, რომელთაგან ერთს ნიშნავდა პარტიის ყრილობა, სხვებს კი ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რომლებიც საბჭოში ორ-ორ წევრს გზავნიდნენ.

რსდმ პარტიის II ყრილობამ საბჭოს მეხუთე წევრად აირჩია გ. ვ. პლეხანოვი. ვ. ი. ლენინი თავდაპირველად შედიოდა საბჭოში ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან, „ისკრის“ რედაქციიდან გასვლის შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტისაგან. როცა პლეხანოვი ოპორტუნიზმის გზას დაადგა და ცენტრალური ორგანოს რედაქცია ხელთ იგდეს მენშევიკებმა, პარტიის საბჭო ბოლშევიკების წინააღმდეგ მენშევიკების ბრძოლის იარაღი გახდა. ვ. ი. ლენინი საბჭოში თანამიმდევრულად იბრძოდა პარტიის შეკავშირებისათვის, ამხილებდა მენშევიკების დეზორგანიზატორულ, გამთიშველ საქმიანობას. რსდმ პარტიის III ყრილობაზე მიღებული წესდების თანახმად პარტიის საბჭო გაუქმდა. — **65**.

52 პირველი გამოსვლა პასუხია მ. ი. ლიბერის კითხვაზე: „როგორ უნდა გავიგოთ პუნქტი „ეროვნული საკითხი“? რატომ არის იგი გამოყოფილი პუნქტიდან „პროგრამის პროექტი“? როგორ გავიგოთ, რომ ეროვნული საკითხი ტაქტიკის საკითხია? რატომ არ მიეკუთვნა ეს საკითხი კარდინალური საკითხების რიცხვს?“.

მეორე გამოსვლა პასუხია ლიბერის მეორე კითხვაზე: „რას გულისხმობს პუნქტი „ეროვნული ორგანიზაციები“? ეს საკითხი თითქოს პარტიაში ბუნდის მდგომარეობის საკითხისაგან დამოუკიდებლად არის დასმული“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 17, 18, რუს.).

ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენიებული იმ საკითხების ნუსხის პირველი პუნქტი, რომლებიც ყრილობას უნდა განეხილა („ბუნდის ადგილის შესახებ რსდმ პარტიაში“), ყრილობაზე მიღებულ დღის წესრიგში მეორე გახდა, მეექვსე პუნქტი კი („რაიონული და ეროვნული ორგანიზაციები“) — მეშვიდე. — **66**.

53 რსდმ პარტიის II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების საკითხზე ვ. ი. ლენინი ორჯერ გამოვიდა. პირველი გამოსვლა იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 600 და შენიშვნა 97. ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„იმ კომისიის არჩევით, რომლის დანიშნულებაა განსაზღვროს ყრილობის შემადგენლობა, საორგანიზაციო კომიტეტმა დაკარგა უფლება, რომ, როგორც კოლეგია, გავლენას ახდენდეს ყრილობის შემადგენლობაზე და მისი, როგორც კოლეგიის, საქმიანობა ამ პუნქტის მიხედვით შეწყვეტილად ითვლება“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 37, 38, რუს.). — **66**.

54 რსდმ პარტიის II ყრილობაში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მონაწილეობის საკითხი პირველად დაისვა „ისკრის“ რედაქციის ინიციატივით რსდმ პარტის II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის 1903 წლის 7 თებერვლის წერილში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის კომიტეტისადმი.

რსდმ პარტიასთან პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანების პირობების საკითხი განიხილა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობამ, რომელიც 1903 წლის 11—16 (24—29) ივლისს გაიმართა. ყრილობაზე დაფორმულეს შესაძლო გაერთიანების მთელი რიგი პირობები. გაერთიანების ერთ-ერთ პირობად IV ყრილობა აყენებდა მოთხოვნას, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ რსდმ პარტიის პროგრამის პუნქტის ფორმულირება შეეცვალათ სხვა ფორმულირებით.

ეს გადაწყვეტილება რსდმ პარტიის II ყრილობის მუშაობის დაწყებისათვის მისმა დელეგატებმა არ იცოდნენ. ყრილობის შემადგენლობის განმსაზღვრელმა და მანდატების შემმოწმებელმა კომისიამ მოხსენებაში ყრილობისადმი 18 (31) ივლისს გამოაქვეყნა მის განკარგულებაში არსებული პოლონელი სოციალ-დემოკრატის ა. ვარსკის (ა. ს. ვარშავსკის) წერილი, რომლიდანაც ნათლად არ ჩანდა, თუ როგორი დამოკიდებულება სურდა ჰქონოდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიას რსდმ პარტიასთან. კომისიამ გადაწყვიტა პოლონელი სოციალ-დემოკრატები ყრილობაზე მოეწვია სათათბირო ხმით. 22 ივლისს (4 აგვისტოს) პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები ა. ვარსკი და ი. ს. განეცკი ჩამოვიდნენ ყრილობაზე, რომელზეც ვარსკიმ გამოაცხადა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის გადაწყვეტილება რსდმ პარტიასთან პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის შეერთების პირობების შესახებ. ამ პირობების განსახილველად არჩეული იყო სპეციალური კომისია.

პროგრამის პროექტის ერთა თვითგამორკვევის უფლების პუნქტს განიხილავდა საპროგრამო კომისია იმის გამო, რომ ეს საკითხი პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა დააყენეს. კომისიის სხდომათა ოქმები არ შეუდგენიათ, მაგრამ კომისიის მესამე სხდომაზე ვ. ი. ლენინის შემორჩენილი ჩანაწერიდან (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 7, გვ. 423—424, რუს.) ჩანს, რომ პოლონელი სოციალ-დემოკრატები გამოსულან ერთა თვითგამორკვევის უფლების პუნქტის წინააღმდეგ და წინადადება წამოუყენებიათ შეეტანათ პროგრამაში ისეთ დაწესებულებათა შეჭმნის მოთხოვნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას. ისინი, როგორც მოგვიანებით ლენინი აღნიშნავდა, „თვითგამორკვევის მ ა გ ი ე რ ად, არსებითად, სხვას არას გეთავაზობდნენ, თუ არ ყბადაღებული „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ფსევდონიმს!“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 547). კომისიამ უარყო პოლონელ სოციალ-დემოკრატთა წინადადებანი. როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ ყრილობაზე ამ წინადადებებს ვერ დაიცავდნენ, წავიდნენ ყრილობიდან და დატოვეს განცხადება, რომელშიც ჩამოაყალიბეს თავიანთი თვალსაზრისი. ეს განცხადება 29

იგლისს (11 აგვისტოს) წაიკითხეს ყრილობაზე. 6 (19) აგვისტოს იმ კომისიის მოხსენების გამო, რომელიც რსდმ პარტიასთან პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის შეერთების შესახებ პოლონელ სოციალ-დემოკრატთა მიერ წამოყენებულ პირობებს იხილავდა, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სინანულს გამოთქვამდა, რომ ყრილობიდან პოლონელ სოციალ-დემოკრატთა წასვლის გამო აღარ ძალუძს დაამთავროს რსდმ პარტიასთან პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის შეერთების საკითხის განხილვა, და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს განეგრძო დაწყებული მოლაპარაკება.

ვ. ი. ლენინის ეს გამოსვლა მეორეა. პირველი გამოსვლა იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 601. — **67**.

55 ლაპარაკია პროგრამის პროექტის ზოგადი ნაწილის იმ აბზაცის შესწორებაზე, რომელშიც ნათქვამი იყო: „მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მთელ ამ წინააღმდეგობათა ზრდისა და განვითარების კვალობაზე იზრდება აგრეთვე მშრომელი და ექსპლუატირებული მასის უკმაყოფილებაც არსებული ვითარებით, იზრდება პროლეტართა რიცხვი და შეკავშირება და მწვავდება მათი ბრძოლა ექსპლუატატორთა წინააღმდეგ“. ამ აბზაცის განხილვისას საპროგრამო კომისიაში (ლენინი სხდომას არ დასწრებია) სიტყვების „რიცხვი და შეკავშირება“ შემდეგ ჩაუმატეს სიტყვა „შეგნებულობა“.

შესწორება ყრილობამ უარყო და ხმების უმრავლესობით ეს აბზაცი მიღებულ იქნა თავდაპირველი რედაქციით. — **67**.

56 ლაპარაკია პარტიის პროგრამის პროექტის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების § 1-ზე, რომლის საპროგრამო კომისიისეულ რედაქციაში ნათქვამი იყო: „ხალხის თვითმპყრობელობა, ე. ი. მთელი უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების თავმოყრა საკანონმდებლო კრების ხელში, რომელიც ერთპალატიანია და შედგება ხალხის წარმომადგენლებისაგან“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 179, რუს.). კ. მ. ტახტარევი (სტრახოვი) წინადადებას იძლეოდა სიტყვები „ხალხის თვითმპყრობელობა“ შეეცვალათ სიტყვებით „ხალხის უზენაესობა“. ტახტარევის შესწორება ყრილობამ უარყო. — **68**.

57 იგულისხმება პროგრამის პროექტის ზოგადპოლიტიკურ მოთხოვნათა § 3, რომელიც საპროგრამო კომისიამ შეიტანა და რომელიც მოითხოვდა ფართო ადგილობრივ და საოლქო თვითმმართველობას. — **68**.

58 იგულისხმება პროგრამის პროექტის ზოგადპოლიტიკურ მოთხოვნათა § 9 (ისკრული პროექტის § 8), რომელშიც ნათქვამი იყო: „მიენიჭოს ყოველ მოქალაქეს უფლება უჩივლოს ყოველ მოხელეს სასამართლოში უფროსთან საჩივრის შეუტანლად“. ვ. ნ. კროხმალი (ფომინი) წინადადებას იძლეოდა სიტყვის „მოქალაქეს“ შემდეგ დაემატებინათ: „*ისევე როგორც უცხოელს*“. ეს წინადადება ყრილობამ უარყო. — **68**.

59 პროგრამის პროექტის ზოგადპოლიტიკურ მოთხოვნათა § 12-ის განხილვისას (ისკრული პროექტის § 9), რომელშიც ლაპარაკი იყო მუდმივი ჯარის შეცვლაზე ხალხის საყოველთაო შეიარაღებით, ლიბერი წინადადებას იძლეოდა სიტყვები „ხალხის საყოველთაო შეიარაღება“ შეეცვალათ სიტყვით „მილიცია“. ლიბერის წინადადება ყრილობამ უარყო. — 69.

60 წინადადებათა გამოქვეყნებული პროექტი ლენინმა შეიტანა საპროგრამო კომისიის სხდომაზე პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკურ მოთხოვნათა § 7-ის (ისკრული პროექტის § 6) ფორმულირების მეორედ განხილვის დროს.

პროგრამის ისკრულ პროექტში ეს პარაგრაფი მოითხოვდა წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას სქესის, რელიგიისა და რასის მიუხედავად. კომისიაში თავდაპირველად განხილვის დროს პარაგრაფის ბოლო ნაწილი ასე შეცვალეს: „...რელიგიის, რასის, ეროვნებისა და ენის მიუხედავად...“ ასეთი სახით გაიტანეს პარაგრაფი ყრილობის მე-16 სხდომაზე 30 ივლისს (12 აგვისტოს). ყრილობაზე მისი განხილვის დროს ბუნდელებმა მოითხოვეს შეეტანათ პარტიის პროგრამაში სპეციალური პუნქტი „ენათა თანასწორუფლებიანობის“ შესახებ. მათ შეძლეს მიემხროთ მერყეე ისკრელთა ნაწილი. კენჭისყრის დროს ყრილობაზე ხმები გაიყო.

§ 7-ის ფორმულირების საკითხი მეორედ გადაეცა საპროგრამო კომისიას. ლენინის წინადადებანი უმნიშვნელო სარედაქციო ცვლილებებით კომისიამ მიიღო და თავისი სახელით შეიტანა ყრილობის 21-ე სხდომაზე 1 (14) აგვისტოს. წინადადებათა პირველი პუნქტი ყრილობამ უარყო, მეორე პუნქტი მიიღო ზოგიერთი შესწორებით (ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში — § 8) და მესამე მიიღო უცვლელად.

§ 11, რომელზეც ლაპარაკია ლენინის წინადადებათა მე-3 პუნქტში, ისკრულ პროექტში ასე იყო დაფორმულებული: „უფასო და სავალდებულო ზოგადი და პროფესიული განათლება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე. ღარიბი ბავშვების მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე“. საპროგრამო კომისიამ ეს პარაგრაფი თავდაპირველად უცვლელად მიიღო (§ 14), მაგრამ ყრილობის მე-18 სხდომაზე განხილვის დროს 31 ივლისს (13 აგვისტოს) მიიღეს დამატება: „სწავლება დედაენაზე, მოსახლეობის მოთხოვნით“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 198, რუს.). ენის საკითხზე ცალკე პუნქტის მიღების გამო ეს დამატება საჭირო აღარ იყო. — 69.

61 ლაპარაკია პროგრამის პროექტის იმ ნაწილის § 2-ზე, რომელიც ეხება მუშათა დაცვას. პარაგრაფი შეიცავდა მოთხოვნას, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ორივე სქესის დაქირავებული მუშებისათვის კანონით დაწესებინათ ყოველკვირეული დასვენება, რომელიც განუ-

წყვეტლივ გაგრძელდებოდა სულ ცოტა 36 საათს. ლიადოვი წინადადებას იძლეოდა შეეტანათ ამ პუნქტში 42-საათიანი განუწყვეტელი დასვენების მოთხოვნა; ლიბერმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არაფერია ნათქვამი წვრილ წარმოებაში ზედამხედველობის შესახებ. ლიადოვის წინადადება ყრილობამ მიიღო, ლიბერის შესწორება უარყო. — 70.

62 ლაპარაკია პროგრამის პროექტის იმ ნაწილის § 12-ზე, რომელიც ეხება მუშათა დაცვას (ისკრული პროექტის § 11). პარაგრაფი მოითხოვდა „მუშათა არჩეულების მონაწილეობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ზედამხედველობას იმ საცხოვრებელი შენობების სანიტარული მდგომარეობისადმი, რომლებსაც მეწარმენი მუშებისათვის გამოყოფენ, აგრეთვე ამ შენობათა შინაგანაწესისადმი და მათი გაქირავების პირობებისადმი,—დაქირავებული მუშების დაცვის მიზნით, მათს, როგორც კერძო პირთა და მოქალაქეთა, ცხოვრებასა და საქმიანობაში მეწარმეთა ჩარევისაგან". ლიადოვმა შეიტანა ამ პარაგრაფის შემდეგი დამატება: 1) დაწესდეს აგრარული ინსპექცია მთელი იმ სოფლის მეურნეობებისადმი მეთვალყურეობისათვის, სადაც არიან დაქირავებული მუშები; 2) პროგრამის იმ ნაწილის 1—13 პუნქტები, რომლებიც მუშათა დაცვას ეხება, გავრცელდეს მთელ სოფლის მეურნეობაზე, სადაც დაქირავებული შრომაა; 3) მოიჯარენი, რომლებმაც მიწა სანახევროდ ან მემამულის მიწის დამუშავების პირობით აიღეს, ჩაითვალონ დაქირავებულ მუშებად და დაექვემდებარონ აგრარული ინსპექციის გამგებლობას. პირველი ორი დამატება ყრილობამ უარყო, მესამე ლიადოვმა უკან წაიღო. — 70.

63 შესწორება ლენინმა შეიტანა აგრარულ საკითხზე პროგრამის პროექტის შესავალი ნაწილის განხილვის დროს, რომელშიც ნათქვამი იყო: „ბატონყმური წესწყობილების ნაშთების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც გლეხებს მძიმე ტვირთად აწევება, და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფლად განვითარების ინტერესებისათვის პარტია იბრძოლებს..." შესწორება ყრილობამ მიიღო. — 70.

64 ლაპარაკია აგრარული პროგრამის პროექტის § 1-ზე, რომელიც მოითხოვდა „გაუქმდეს გამოსყიდვის გადასახდელი და ღალა, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარა, რომლებიც ამჟამად აქვს შეწერილი გლეხობას, როგორც გადამხდელ წოდებას". ლიადოვი მოითხოვდა დაემატებინათ: „ან სოფლის სხვა მცხოვრებთ, როგორც გადამხდელ წოდებებს". შესწორება ყრილობამ უარყო. — 71.

65 აგრარული პროგრამის პროექტის § 2-ის განხილვის დროს, პარაგრაფისა, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა გაუქმდეს ურთიერთთავდებობა და ყველა კანონი, რომლებიც უზღუდავენ გლეხის უფლებას თავისი მიწის მიმართ, მარტინოვმა იკითხა: „როგორ გავიგოთ

სიტყვები: „თავისი მიწის“ ?“, რადგან, მისი აზრით, შესაძლებელია ამ პუნქტის ორგვარი განმარტება: „1) ყველა გლეხს აქვს გამოსყიდვის უფლება; მაშინ თემის ინტერესები არ ირღვევა; 2) ყველა გლეხს აქვს უფლება მიითვისოს მიწა გამოუსყიდავად“. ლენინის განმარტების შემდეგ მარტინოვი მეორედ გამოვიდა და განაცხადა, რომ მხედველობაში აქვს არა დეტალები, არამედ ზოგადი პრინციპი—ვინ არის მიწის მესაკუთრე — თემი თუ გლეხი? „თუ თემია, — თქვა მარტინოვმა, — მაშინ იგი შემზღუდავად მიგეჩნია ეკონომიური განვითარებისათვის და ჩვენ გამოსყიდვის უფლების მომხრენი ვართ. თუ გლეხია, მაშინ გამოსყიდვა საჭირო აღარ არის“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 235, რუს.). — 71.

66 აგრარული პროგრამის პროექტის § 4 მოითხოვდა: „შეიქმნას გლეხთა კომიტეტები: ა) სოფლის საზოგადოებათათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის მეშვეობით ან — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — მსხვილი სათავადაზნაურო მიწათმფლობელობის ხარჯზე სახელმწიფოს მიერ შესყიდვის მეშვეობით), რომლებიც ჩამოაჭრეს გლეხებს ბატონყმობის გაუქმების დროს და მეამაულეთა ხელში იარაღს წარმოადგენს მათი დაკაბალებისათვის; ბ) ბატონყმური ურთიერთობის იმ ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შემორჩა ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში ...“.

ნ. ნ. ჟორდანიამ (კოსტროვმა) შეიტანა ამ პუნქტის შემდეგი დამატება: „კავკასიაში იმ მიწების გადასაცემად გლეხთა საკუთრებაში, რომლებითაც სარგებლობენ ისინი, როგორც დროებითვალდებულნი, ხიზნები და სხვ.“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 243, რუს.). მეორე წინადადება შეიტანეს ბ. მ. კნუნიანცმა (რუსოვმა) და მ. ნ. ლიადოვმა, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნდათ დასჯერებოდნენ პროგრამაში ზოგად მითითებას, რომ საჭიროა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების მოსპობა მთელ რუსეთში.

დ. ა. თოფურიძის (კარსკის) შესწორება, რომელსაც ლენინი იხსენიებს გამოსვლაში, ყრილობის ოქმებში ჩაწერილი არ არის.

ყრილობამ მიიღო ჟორდანიას მიერ შეტანილი დამატება.

ხ ი ზ ნ ე ბ ი—ასე ეწოდებოდათ საქართველოში გლეხებს, რომლებიც მემამულეთა მიწებზე სახლდებოდნენ საგანგებო სახელშეკრულებო საწყისებით. ხიზნები ფორმალურად არ ირიცხებოდნენ ყმებად, სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით, მაგრამ მუდმივ უუფლებო მოჯარეებად რჩებოდნენ. 1861 წლის „საგლეხო რეფორმა“ ხიზნებზე არ ვრცელდებოდა; ისინი კვლავ სავსებით დამოკიდებული რჩებოდნენ მემამულეებზე, რომლებმაც დაიწყეს ხიზნებისათვის ბეგარის გადიდება და ნაკვეთების ჩამორთმევა. ხიზნობა გაუქმდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

დროებითვალდებული გლეხები ეწოდებოდათ ყოფილ ყმა გლეხებს, რომლებიც 1861 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც ვალდებული იყვნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის გადასახადი (ღალა ან საბატონო ბეგარა) ეხადათ, სანამ მემამულისაგან თავისი მიწის ნაკვეთის გამოსყიდვას დაიწყებდნენ. გამოსასყიდი გარიგების დადების მომენტიდან გლეხები აღარ იყვნენ „დროებითვალდებული“ და გადადიოდნენ „მესაკუთრე გლეხების“ თანრიგში. — 73.

67 აგრარული პროგრამის პროექტის § 5-ში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა სასამართლოებს უფლება მიეცეთ შეამცირონ უზომოდ დიდი საიჯარო ჭირა და ძალადაკარგულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომლებსაც კაბალური ხასიათი აქვთ. პროგრამის პროექტის იმ ნაწილის § 16, რომელიც მუშათა დაცვას ეხება, მოითხოვდა შეექმნათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სარეწთა სასამართლოები, რომლებშიც თანაბრად იქნებოდნენ წარმოდგენილი მუშები და მეწარმეები. — 72.

68 ლენინის მოსაზრება მიმართულია ლიბერის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ აგრარული პროგრამის პროექტის § 5-ში შეეტანათ მოთხოვნა, რომლის თანახმად სასამართლოებს უნდა მინიჭებოდათ უფლება დაეწესებინათ მიწის საიჯარო ფასები. — 72.

69 პარტიის საბჭოს წევრთა დანიშვნისა და საბჭოს გამოკლებულ წევრთა შეცვლის წესის შესახებ წესდების პროექტის § 4-ის პირველი აბზაცის განხილვისას საწესდებო კომისია ვერ შეთანხმდა და ყრილობაზე გამოიტანეს სამი ფორმულირება.

პირველი ფორმულირება, რომელიც ლ. მარტოვმა და ვ. ა. ნოსკოვმა (გლებოვმა) შეიტანეს: „პარტიის საბჭოს ნიშნავენ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც საბჭოში გზავნიან ორ-ორ წევრს; საბჭოს ეს ოთხი წევრი იწვევენ მეხუთეს; საბჭოს გამოკლებული წევრების ნაცვლად ახალ წევრებს ნიშნავენ იგივე დაწესებულებანი“.

მეორე ფორმულირება, რომელიც ვ. ი. ლენინმა და ვ. ნ. როზანოვმა (პოპოვმა) შეიტანეს: „პარტიის საბჭოს ნიშნავს ყრილობა ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთაგან ხუთი პირის შემადგენლობით, ამასთან ორ-ორი მაინც თითოეული ამ კოლეგიიდან უნდა იყოს. საბჭოს გამოკლებული წევრების ნაცვლად ახალ წევრებს ნიშნავს თვითონ საბჭო“.

მესამე ფორმულირება, რომელიც ე. ი. ლევინმა (ეგოროვმა) შეიტანა: „პარტიის საბჭოს ირჩევს ყრილობა, ორს ცენტრალური კომიტეტიდან და ორს ცენტრალური ორგანოს რედაქციიდან. ოთხი არჩეული წევრი ერთხმად ირჩევს მეხუთეს; საბჭოს გამოკლებული წევრების ნაცვლად ახალ წევრებს ნიშნავენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი ეკუთვნოდნენ, გარდა მეხუთე წევრისა, რომელიც ინიშნება ზემოაღნიშნული წესით“.

ამ საკითხის განხილვის შედეგად ყრილობაზე მიიღეს შემდეგი ფორმულირებანი:

„4. ყრილობა ნიშნავს საბჭოს მეხუთე წევრს, ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალური ორგანოს რედაქციას.

5. პარტიის საბჭოს ნიშნავენ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც საბჭოში გზავნიან ორ-ორ წევრს; საბჭოს გამოკლებული წევრების ნაცვლად ახალ წევრებს ნიშნავენ იგივე დაწესებულებანი, მეხუთე წევრს ნიშნავს თვითონ საბჭო“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 426, რუს.). — **78**.

70 თავის გამოსვლაში წესდების პროექტის § 4-ის პირველი აბზაცის განხილვისას ზასულიჩმა თქვა: „მოსაზრება, რომ საბჭოს ოთხი წევრი ვერ აირჩევს მეხუთეს, უსაფუძვლოა: თუ ისეთი დაწესებულება, როგორიც საბჭოა, ვერ აირჩევს მეხუთე წევრს, ეს ნიშნავს, რომ დაწესებულება საერთოდ არ ყოფილა ქმედუნარიანი“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 296, რუს.). — **78**.

71 ლაპარაკია პარტიის წესდების პროექტის § 10-ზე: „პარტიის თითოეულ წევრს და ყოველ პირს, რომელსაც რაიმე საქმე აქვს პარტიასთან, შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი განცხადების დედანი გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს ან ცენტრალური ორგანოს რედაქციას, ან პარტიის ყრილობას“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 426, რუს.). ლენინის გამოსვლა მიმართულია მარტოვის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ამ ფორმულირებიდან ამოეღოთ სიტყვები „და ყოველ პირს, რომელსაც რაიმე საქმე აქვს პარტიასთან“. მარტოვის წინადადება უარყვეს. — **74**.

72 გამოსვლა ეხება პარტიის წესდების პროექტის § 12-ს, რომელშიც ლაპარაკი იყო პარტიის კოლეგიურ დაწესებულებებში, მათ შორის ცენტრალურ კომიტეტსა და ცენტრალურ ორგანოში, კოოპტაციით შევსების შესახებ. წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ლენინი წერდა: „წევრთა მიღების დროს კვალიფიკაციის მეტი სიმკაცრით მოთხოვნასაც (4/5 ნაცვლად 2/3-ისა), კოოპტაციის დროს ერთხმივობასაც, ცენტრების კოოპტაციის ურთიერთკონტროლსაც, — ყოველივე ამას ჩვენ გიცავდით, როცა უმცირესობაში აღმოვჩნდით ცენტრების პირადი შემადგენლობის საკითხში“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 363). იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ წესდებაში შეეტანათ კოოპტაციის დროს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს ერთხმივობისა და უთიერთკონტროლის მოთხოვნა, გამოვიდა მარტოვი. — **74**.

73 ე. ი. ლევინი (ეგოროვი) იმის წინააღმდეგი იყო, რომ კოლეგიურ პარტიულ დაწესებულებათა კოოპტაციით შევსებისათვის საჭირო უმრავლესობა შეეხღუდათ რაიმე ციფრით (2/3 ან 4/5) და შესაძლებლად მიაჩნდა,

რომ, თუ დასაბუთებული პროტესტი არ იქნებოდა, საკითხი გადაჭრილიყო ჩვეულებრივი უმრავლესობით. — 74.

74 ე. ი. ლევინმა (ეგოროვმა) თავის გამოსვლაში წესდების პროექტს „კოჭლი“ უწოდა იმის გამო, რომ იქ არ იყო პუნქტი პარტიის საბჭოსათვის პარტიული ცენტრების კოოპტაციით შევსების საკითხის გადაჭრის უფლების მინიჭების შესახებ. — 74.

75 იგულისხმება ტროცკისა და მარტოვის გამოსვლები, რომლებშიც ისინი ილაშქრებდნენ ლენინის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომლის თანახმად პარტიის წესდების § 12-ში უნდა შეეტანათ პუნქტი, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის კოოპტაციით შევსება დასაშვებია მხოლოდ პარტიის საბჭოს ყველა წევრის თანხმობით. — 75.

76 იგულისხმება წინადადება, რომელიც მარტოვმა შეიტანა წესდების პროექტის § 12-ის განხილვის დროს: „თუ ცენტრალურ კომიტეტში ან ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ახალი წევრების კოოპტაციის დროს ერთხმივობას ვერ მიაღწიეს, წევრის მიღების საკითხი შეიძლება გადატანილ იქნეს საბჭოში და მის მიერ შესაბამისი კოლეგიის გადაწყვეტილების კასაციის შემთხვევაში იგი საკითხს საბოლოოდ წყვეტს ჩვეულებრივი უმრავლესობით“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 311, რუს.). — 76.

77 იგულისხმება მარტოვის შემდეგი სიტყვები: „ჩემი წინადადებაა, რომ უმცირესობის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო უმრავლესობას უფლება მიეცეს საკითხის გადასაჭრელად მიმართოს საბჭოს“ („რსდმ პარტიის მეორე ყრილობა“, 1959, გვ. 311, რუს.). მარტოვის შესწორება მიიღო ყრილობამ (ხმა მისცა 24-მა, წინააღმდეგი იყო 23). — 76.

78 „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგა“ შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1901 წლის ოქტომბერში. ლიგაში შედიოდნენ „ისკრის“ ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილება და რევოლუციური ორგანიზაცია „სოციალ-დემოკრატი“, რომელშიც შედიოდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ლიგის ამოცანა ის იყო, რომ გაეერცელებინა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეები და ხელი შეეწყო მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის. ლიგა (მისი წესდების თანახმად) იყო „ისკრის“ ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილება. იგი აგროვებდა „ისკრის“ მომხრეებს საზღვარგარეთ მყოფ რუს სოციალ-დემოკრატთა შორის, მატერიალურად ეხმარებოდა მას, ხელმძღვანელობდა გაზეთის გაგზავნას რუსეთში და სცემდა პოპულარულ მარქსისტულ ლიტერატურას. რსდმ პარტიის II ყრილობამ დაამტკიცა ლიგა როგორც ერთადერთი საზღვარგარეთული პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც კომიტეტის საწესდებო უფლება-

ნი ჰქონდა, და დაავალა მას ემუშავა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

რსდმ პარტიის II ყრილობის შემდეგ საზღვარგარეთულ ლიგაში მომძლავრდნენ მენშევიკები და დაიწყეს ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1903 წლის ოქტომბერში ლიგის მეორე ყრილობას მენშევიკებმა მიაღებინეს ლიგის ახალი წესდება, რომელიც მიმართული იყო რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდების წინააღმდეგ. მას შემდეგ ლიგა მენშევიზმის ბურჯად გადაიქცა. მან 1905 წლამდე იარსება. — **76**.

79 თავის გამოსვლაში ლენინი უპასუხებს ვ. ა. ნოსკოვს (გლებოვს) და ლ. გ. დეიჩს, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ არ შეეტანათ წესდებაში § 13 („რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის“ რსდმ პარტიის ერთადერთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად ცნობისა და მისი ამოცანების შესახებ), არამედ იგი განსახილველად გადაეცათ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის (გლებოვი) ან პარტიის საბჭოსათვის (დეიჩი). წესდების § 13 მიიღო ყრილობამ 31 ხმით 12-ის წინააღმდეგ, 6-მა თავი შეიკავა. — **76**.

80 როცა ყრილობამ დაამტკიცა წესდების § 13 რსდმ პარტიის ერთადერთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად საზღვარგარეთული ლიგის ცნობის შესახებ, „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირის“ დელეგატებმა მარტინოვმა და აკიმოვმა ყრილობის ბიუროში განაცხადეს, რომ უარს ამბობენ კენჭისყრაში მონაწილეობაზე და აპირებენ დაესწრონ ყრილობას მხოლოდ წინადელი სხდომების ოქმების მოსასმენად და მათი გამოქვეყნების წესის განსახილველად. განცხადება გამოაქვეყნეს ყრილობის 27-ე სხდომაზე 5 (18) აგვისტოს. ყრილობამ წინადადება მისცა აკიმოვსა და მარტინოვს უკან წაეღოთ თავიანთი განცხადება, რის შემდეგ მათ, უარყვეს რა ეს წინადადება, დატოვეს ყრილობა.

რეზოლუციის პროექტი ლენინს ყრილობაზე არ შეუტანია. ხელნაწერში პროექტი ლენინს წაუშლია. იქნებ ასე იმიტომ მოიქცა, რომ ყრილობის ბიურომ გადაწყვიტა ამ საკითხის განხილვა ყრილობაზე გადაეტანა. — **76**.

81 „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირი“ დაარსდა 1894 წელს „განთავისუფლების ჯგუფის“ ინიციატივით იმ პირობით, თუ ყველა მისი წევრი ცნობდა ჯგუფის პროგრამას.

რსდმ პარტიის I ყრილობამ ცნო „კავშირი“ პარტიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად. შემდეგ „კავშირში“ უმრავლესობა გადაიბირეს ოპორტუნისტულმა ელემენტებმა — „ეკონომისტებმა“ (ეგრეთ წოდებულმა „ახალგაზრდებმა“). „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირის“ I ყრილობაზე, რომელიც ციურიხში გაი-

მართა 1898 წლის ნოემბერში, ოპორტუნისტულმა უმრავლესობამ უარი თქვა სოლიდარობა გამოეცხადებინა რსდმ პარტიის I ყრილობის „მანიფესტისათვის". ამასთან დაკავშირებით „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა ყრილობაზე განაცხადა, რომ რედაქტირებას არ გაუწევს „კავშირის" გამოცემებს, გარდა დასაბეჭდად მომზადებული „რაბოტნიკის" № 5—6-ისა და ვ. ი. ლენინის ბროშურებისა „რუს სოციალ-დემოკრატთა ამოცანები" და „ახალი საფაბრიკო კანონი". 1899 წლის აპრილში „კავშირმა" დაიწყო ჟურნალ „რაბოჩეე დელოს" გამოცემა, რომლის რედაქციაში შევიდნენ „ეკონომისტები" ბ. ნ. კრიჩევსკი, ვ. პ. ივანშინი და პ. ფ. ტეპლოვი. „კავშირი" გამოდიოდა ე. წ. ბერნშტაინის, მილიერანისტებისა და სხვა მათ მსგავსთა მიმართ თანაგრძნობის განცხადებებით.

ბრძოლა „კავშირის" შიგნით გრძელდებოდა მის II ყრილობამდე (1900 წლის აპრილი) და ყრილობაზეც. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დატოვეს ყრილობა და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია „სოციალ-დემოკრატი".

რსდმ პარტიის II ყრილობაზე „კავშირის" წარმომადგენლებს (რაბოჩეედელოელებს) უკიდურესი ოპორტუნისტული პოზიცია ეკავათ და დატოვეს ყრილობა, როცა მან პარტიის ერთადერთ საზღვარგარეთულ ორგანიზაციად ცნო „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგა". II ყრილობის გადაწყვეტილებით „რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირი" დაშალეს (იხ. „რსდმ პარტიის მეორე ყრილობა", 1959, გვ. 438, რუს.). — **77**.

82 ამ შემთხვევაში იგულისხმება ისკრული უმრავლესობა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის არჩევნების მომენტისათვის, როცა ცალკე გამოიყვნენ „რბილი" ისკრელები და ყრილობა დატოვეს ბუნდის დელეგატებმა და ორმა რაბოჩეედელოელმა. — **79**.

83 ბ. მ. კნუნიანცმა (რუსოვმა) წინადადება შეიტანა დაეწყოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნები. — **79**.

84 ყრილობამ ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხზე მიიღო ორი რეზოლუცია: პირველი შეიტანა პოტრესოვმა (სტაროვერმა), მეორე — ლენინმა, პლეხანოვმა და კიდევ ყრილობის 13 დელეგატმა (პლეხანოვის პროექტი ლენინის შესწორებით იხ. ლენინის VI კრებული, გვ. 177—178, რუს.).

„...ძველი „ისკრის" შეხედულებანი,—წერდა შემდეგ ლენინი,—გაცილებით უკეთ იყო გამოხატული პლეხანოვის რეზოლუციაში, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ლიბერალური „ოსვობოჟდენიეს" ანტირევოლუციური და ანტიპროლეტარული ხასიათი, ვიდრე სტაროვერის აბნეულ რეზოლუციაში, რომელიც, ერთი მხრით, ეტანე-

ბა (და სრულიად უდროოდ ეტანება) ლიბერალებთან „შეთანხმებას", ხოლო, მეორე მხრით, ასეთ შეთანხმებათა ფიქტიურ, ლიბერალებისათვის აშკარად შეუსრულებელ პირობებს აყენებს" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 625). — **79**.

85 „ოსვობოჟდენიე" — ორკვირეული ჟურნალი, რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა 1902 წლის 18 ივნისიდან (1 ივლისიდან) 1905 წლის 5 (18) ოქტომბრამდე. ბ. სტრუვეს რედაქციით. ჟურნალი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის ორგანო იყო და თანამიმდევრულად ახორციელებდა ზომიერ-მონარქიული ლიბერალიზმის იდეებს. 1903 წელს ჟურნალის გარშემო შეიქმნა (და 1904 წლის იანვარში გაფორმდა) „განთავისუფლების კავშირი", რომელმაც 1905 წლის ოქტომბრამდე იარსება. ერობელ-კონსტიტუციონალისტებთან ერთად „ოსვობოჟდენიელები" შეადგენდნენ იმ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის (კადეტების) — რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის ბირთვს, რომელიც 1905 წლის ოქტომბერში შეიქმნა. — **79**.

86 სახელმწიფო საბჭო — ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო რევოლუციამდელ რუსეთში. შეიქმნა 1810 წელს მ. მ. სპერანსკის პროექტით როგორც კანონპროექტების განმხილველი დაწესებულება, რომლის წევრებს ნიშნავდა და ამტკიცებდა მეფე. 1906 წლის 20 თებერვლის (5 მარტის) კანონით სახელმწიფო საბჭო რეორგანიზებულ იქნა და უფლება მიიღო დაემტკიცებინა ან უარეყო კანონპროექტები სახელმწიფო სათათბიროში მათი განხილვის შემდეგ. მაგრამ ძირითადი კანონების შეცვლისა და მთელი რიგი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი კანონების გამოცემის უფლება მეფეს რჩებოდა.

1906 წლიდან სახელმწიფო საბჭო სანახევროდ შედგებოდა თავადაზნაურობის, სამღვდელოების, მსხვილი ბურჟუაზიის არჩევითი წარმომადგენლებისაგან და სანახევროდ — დიდებულთაგან, რომლებსაც მეფე ნიშნავდა. ამის გამო სახელმწიფო საბჭო განსაკუთრებით რეაქციული დაწესებულება იყო, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ ზომიერ კანონპროექტებსაც კი უარყოფდა. — **81**.

87 „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის" მეორე კრილობა გაიმართა 1903 წლის 13—18 (26—31) ოქტომბერს ჟენევაში. კრილობა მოიწვიეს მენშევიკთა დაჟინებული მოთხოვნით, რომლებსაც სურდათ დაეპირისპირებინათ იგი რსდმ პარტიის II კრილობისათვის. ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთული ლიგის კრილობის მოწვევის წინააღმდეგი იყო და წერდა: „ლიგის კრილობა ახლა ყველაფერს მოგვცემს ჩხუბისათვის და არაფერს არ მოგვცემს საქმისათვის, ე. ი. საზღვარგარეთ მუშაობისათვის" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 191).

საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე იყო უმრავლესობის 15 მომხრე ვ. ი. ლენინის მეთაურობით (მეორე სხდომიდან—14), რომლებსაც ჰქონდათ 18 ხმა, და 18 მენშევიკი (მეორე სხდომიდან—19), რომლებსაც ჰქონდათ 22 ხმა. ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) საზღვარგარეთული ლიგის ადმინისტრაციის მოხსენება; 2) პარტიის II ყრილობაზე ლიგის დელეგატის მოხსენება; 3) ლიგის წესდება; 4) ადმინისტრაციის არჩევნები.

დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი იყო ვ. ი. ლენინის—პარტიის ყრილობაზე ლიგის დელეგატის მოხსენება. თავის მოხსენებაში ლენინმა გაუშუქა რსდმ პარტიის II ყრილობის მუშაობა და, ამხილა რა მენშევიკების ოპორტუნიზმი, ცხადყო ყრილობაზე მათი ქცევის უპრინციპობა. (ვ. ი. ლენინის მოხსენება და გამოსვლები ყრილობაზე იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 67—87). ისარგებლა რა თავისი უმრავლესობით საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე, ოპოზიციამ მიიღო გადაწყვეტილება ლენინის შემდეგ სიტყვა მისცემოდა მარტოვს თანამოხსენებისათვის. მარტოვი თავის თანამოხსენებაში იცავდა მენშევიკების საქციელს რსდმ პარტიის II ყრილობაზე და ცილისმწამებლურ ბრალდებებს უყენებდა ბოლშევიკებს. ლენინმა და უმრავლესობის მომხრეებმა როცა დაინახეს, რომ აშკარად შეუძლებელი და უმიზნო იყო შემდგომი პოლემიკა ოპოზიციასთან, დატოვეს ყრილობის სხდომა და უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ შემდგომ კამათში ამ საკითხზე. ყრილობის მენშევიკურმა უმრავლესობამ, რომელიც ცდილობდა ხელთ ეგდო პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი, დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო მიიღო სამი რეზოლუცია, რომლებშიც გამოდიოდა ლენინის პოზიციის წინააღმდეგ ორგანიზაციულ საკითხებში და მოუწოდებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლისათვის.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე საზღვარგარეთული ლიგის წესდება, რომლის მთელი რიგი პუნქტები (ლიგის მიერ საერთო-პარტიული ლიტერატურის გამოცემის შესახებ, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს გვერდის ავლით სხვა ორგანიზაციებთან ლიგის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ და სხვები) მიმართული იყო პარტიის წესდების წინააღმდეგ; გარდა ამისა, მენშევიკები სადავოდ ხდიდნენ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უფლებას დაემტკიცებინა ლიგის წესდება. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ფ. ვ. ლენგნიკმა, რომელიც ყრილობას ესწრებოდა, ცენტრალური კომიტეტის სახელით მოითხოვა ლიგის წესდება შეეფარდებინათ პარტიული წესდებისათვის და, როცა ოპოზიციამ უარი თქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე, კრება უკანონოდ გამოაცხადა. პარტიის საბჭომ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოქმედება (იხ. ეს ტომი, გვ. 93).

ვ. ი. ლენინმა საზღვარგარეთული ლიგის ყრილობას უწოდა „ცენტრების წინააღმდეგ ოპოზიციის საომარ მოქმედებათა აპოგეა“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 136). ლიგის II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა ლიგა გადააქციეს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენ პუნქტად.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემის 41-ე ტომის კარში „მოსამზადებელი მასალები“ გამოქვეყნებულია ლენინის ორი დოკუმენტი, რომლებიც ეხება საზღვარგარეთული ლიგის II ყრილობის მუშაობას: გეგმა-კონსპექტი ლენინის მოხსენებისა რსდმ პარტიის II ყრილობის შესახებ საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე და ლენინის შენიშვნები საზღვარგარეთული ლიგის ყრილობის პირველ სხდომაზე.—**90**.

88 ვ. ი. ლენინის ეს შენიშვნა პასუხია ლ. გ. დეიჩის წინადადებაზე დღის წესრიგის მე-3 პუნქტის გამო: ნაცვლად სიტყვებისა „წესდების შემუშავება“—ჩაეწერათ „წესდების შეცვლა“. ლიგის ახალი წესდების შემუშავების საკითხს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ლიგის ძველი წესდება (1901 წელი), რომელიც იმ დროს შეადგინეს, როცა ფაქტობრივად ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი პარტია, უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ მოთხოვნებს. რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდება ლიგას უფლებებით პარტიულ კომიტეტებთან ათანაბრებდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერა მას შეეძლო მხოლოდ იმ პირთა და ჯგუფთა მეშვეობით, რომლებიც საგანგებოდ იყვნენ დანიშნული ცენტრალური კომიტეტის მიერ (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწილი I, 1954, გვ. 53). თანამიმდევრულად იბრძოდა რა რსდმ პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ლენინი მოითხოვდა შეეშუშავებინათ ლიგის ახალი წესდება, რომელიც პარტიის წესდების შესაბამისი იქნებოდა. — **99**.

89 ლაპარაკია ლ. მარტოვის წინადადებაზე, რომ მისთვის ნება დაერთოთ გაეკეთებინა თანამოხსენება პარტიის II ყრილობის შესახებ. — **91**.

90 ლ. მარტოვის ბროშურა „ბრძოლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში „სალყო წესების“ წინააღმდეგ“ გამოვიდა ჟენევაში 1904 წელს. — **92**.

91 ლაპარაკია ტროცკის გამოსვლაზე, რომელიც ნაირნაირი სოფიზმებითა და პარტიის წესდების თვითნებური განმარტებით ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ საზღვარგარეთულ ლიგას უფლება ჰქონდა დაემტკიცებინა ლიგის განსახილველი წესდების პროექტი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებლად. — **92**.

92 იგულისხმება რსდმ პარტიის წესდების § 6, რომელიც პარტიის II ყრილობამ მიიღო (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენ-

ტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწილი I, 1954, გვ. 52). — **92**.

93 ლ. ე. გალპერინის (კონაგინის) რეზოლუციაში, რომელსაც ბოლშევიკები იცავდნენ, ჩაწერილი იყო, რომ ლიგის წესდება ძალაში შედის მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცების მომენტიდან. ეს რეზოლუცია, რომელიც რსდმ პარტიის წესდების შესაბამისად იყო შედგენილი, იცავდა პარტიაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს.

მარტოვის რეზოლუცია, რომელიც ლიგის ყრილობის ოპორტუნისტულმა უმრავლესობამ მიიღო, გულისხმობდა, რომ საზღვარგარეთულ ლიგას უფლება ჰქონდა მიეღო თავისი ორგანიზაციის წესდება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წინასწარ დამტკიცების გარეშე. — **93**.

94 ლაპარაკია ფ. ვ. ლენგნიკზე, რომელმაც საზღვარგარეთული ლიგის ყრილობის სხდომაზე 1903 წლის 18 (31) ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის სახელით მოითხოვა შეეფარდებინათ ყრილობაზე მიღებული ლიგის წესდება რსდმ პარტიის წესდებისათვის. რაკი ოპოზიციამ უარი თქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე, ლენგნიკმა კრება უკანონოდ გამოაცხადა და დატოვა ყრილობა ლიგის წევრ სხვა ბოლშევიკებთან ერთად. — **93**.

95 რსდმ პარტიის საბჭო, რომლის სხდომები ჟენევაში იმართებოდა 1904 წლის 15 (28)—17 (30) იანვარს, „მოიწვიეს ცენტრალური ორგანოს წარმომადგენელთა ინიციატივით, რათა განეხილათ პარტიული ლიტერატურის გამოცემაში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს საქმიანობის შეთანხმების ღონისძიებანი“ (ლენინის X კრებული, გვ. 181 — საბჭოს სხდომების ოქმები, რუს.). საბჭოს სხდომებს ესწრებოდნენ ვ. ი. ლენინი, ფ. ვ. ლენგნიკი, გ. ვ. პლეხანოვი, პ. ბ. აქსელროდი და ლ. მარტოვი.

ლენინის წინადადებით პარტიის საბჭომ გადაწყვიტა დღის წესრიგში შეეტანა და ჯერ განეხილა პარტიაში მშვიდობის აღდგენის ღონისძიებათა საკითხი. ცენტრალური კომიტეტის სახელით ლენინმა 15 (28) იანვარს შეიტანა რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 167—170). როცა კამათის დროს გამოირკვა მენშევიკთა უარყოფითი დამოკიდებულება ამ რეზოლუციისადმი, ლენინმა და ლენგნიკმა 16 (29) იანვარს შეიტანეს რეზოლუციის მეორე პროექტი პარტიაში მშვიდობის აღდგენის შესახებ (იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 95), რომელიც მიიღო საბჭომ სამი ხმით (ლენინი, ლენგნიკი, პლეხანოვი) ორის წინააღმდეგ (მარტოვი, აქსელროდი). მაგრამ პარტიაში მშვიდობის აღდგენის საკითხის კონკრეტული განხილვის ნაცვლად საბჭომ, ლენინის პროტესტის მიუხედავად, დაიწყო კენჭისყრა პლეხანოვის რეზოლუციისათვის, რომელშიც წამოყენებული იყო ცენ-

ტრალური კომიტეტში მენშევიკთა კოოპტაციის მოთხოვნა. რეზოლუცია მიიღეს პლეხანოვის, მარტოვისა და აქსელროდის ხმებით. ამ კენჭისყრასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა (ლენინმა და ლენგნიკმა) 17 (30) იანვარს შეიტანეს განსაკუთრებული აზრი და დაგმეს პლეხანოვის რეზოლუცია, რომელიც უგულებელყოფდა პარტიის II ყრილობის უმრავლესობის ნებას. განსაკუთრებული აზრის ტექსტი დაწერა ვ. ი. ლენინმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 173—174).

მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა ჩაშალეს პარტიაში მშვიდობის დამყარების ყველა ცდა, ლენინმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელშიც მოითხოვა მოეწვიათ პარტიის III ყრილობა როგორც ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 175). პლეხანოვის, მარტოვისა და აქსელროდის ხმებით ეს რეზოლუცია უარყვეს და მიიღეს მარტოვის რეზოლუცია პარტიის ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა და მენშევიკებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ვერც პარტიული ლიტერატურის გამოცემის საკითხზე. უარყო რა ვ. ი. ლენინის მიერ ამ საკითხზე წამოყენებული რეზოლუციები, პარტიის საბჭომ მიიღო რეზოლუციები, რომლებიც იწონებდნენ მენშევიკური „ისკრის“ რედაქციის ფრაქციულ, დეზორგანიზატორულ საქმიანობას.

საბჭოს 1904 წლის იანვრის სხდომებმა ცხადყვეს, რომ მას შემდეგ, რაც პლეხანოვი მენშევიკებს მიემხრო, რსდმ პარტიის საბჭო პარტიის წინააღმდეგ მენშევიკთა ბრძოლის იარაღი გახდა. — **94**.

96 იგულისხმება პროექტი რეზოლუციისა პარტიაში მშვიდობის აღდგენის ღონისძიებათა შესახებ. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ მისი რეზოლუციისათვის კენჭი ეყარათ უფრო ადრე, ვიდრე გ. ვ. პლეხანოვის რეზოლუციისათვის, რომელიც მოითხოვდა მენშევიკების კოოპტაციას რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. — **94**.

97 ლაპარაკია ლ. მარტოვის გამოსვლაზე ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. პლეხანოვის რეზოლუციათა კენჭისყრის საკითხის გამო. მარტოვმა ცნო ლენინის კანონიერი უფლება მოეთხოვა, რომ პირველად მისი რეზოლუციისათვის ეყარათ კენჭი, მაგრამ ამასთანავე წინადადება წამოაყენა შემდეგნაირად შეეცვალათ საკითხის დაყენება: 1) საჭიროა თუ არა გამოიცეს მოწოდება პარტიის ყველა წევრისადმი? 2) პლეხანოვის კონკრეტული წინადადება. — **95**.

98 ლ. მარტოვის რეზოლუცია მიმართული იყო იმ განსაკუთრებული აზრის წინააღმდეგ, რომელიც 1904 წლის 17 (30) იანვარს შეიტანეს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა ვ. ი. ლენინმა და ფ. ვ. ლენგნიკმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 173 — 174) იმას-

თან დაკავშირებით, რომ პარტიის საბჭომ მიიღო გ. ვ. პლეხანოვის რეზოლუცია რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მენშევიკთა კოოპტაციის შესახებ. თავის რეზოლუციაში მარტოვი წინადადებას იძლეოდა გაეკიცხათ ლენინი და ლენგნიკი განსაკუთრებული აზრის შეტანისათვის. შემდგომი კამათის დროს მარტოვი იძულებული იყო მოეხსნა თავისი რეზოლუცია და მიემხრო პლეხანოვის რამდენადმე სხვაგვარი ფორმის რეზოლუციას, რომელიც კიდევეც მიიღეს მენშევიკთა ხმებით. — **96**.

99 „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან“ — დოკუმენტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა „ინიციატორთა ჯგუფის“ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში შეექმნათ „რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი“. ეს დოკუმენტი „ინიციატორთა ჯგუფის“ მიმართვასთან ერთად პარტიული ბიბლიოთეკისა და არქივის მოწყობაში დახმარების გაწევის თაობაზე დაიბეჭდა ფურცელში „ყველას“ (ჟენევის პარტიული სტამბის გამოცემა).

1904 წლის 7 (20) თებერვალს ვ. ი. ლენინმა როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ხელი მოაწერა „დებულებას რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბიბლიოთეკისა და არქივის შესახებ“ (დოკუმენტი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის ხელითაა დაწერილი).

მოგვიანებით (1904 წლის დამლევს — 1905 წლის დამდეგს) ვ. ი. ლენინმა დაწერა „ჟენევაში რსდმ პარტიის ბიბლიოთეკის დამაარსებელ ინიციატორთა ჯგუფის განცხადება“ რსდმ პარტიის ბიბლიოთეკის გადაცემის შესახებ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსათვის (იხ. ეს ტომი, გვ. 127). უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს უახლოეს სხდომაზე ლენინის წინადადებით ყოფილი „ინიციატორთა ჯგუფის“ წევრები დაამტკიცეს როგორც „რსდმ პარტიის ბიბლიოთეკისა და არქივის“ სამეთვალყურეო კომიტეტი. ამ კომიტეტის საქმიანობის ანგარიში წარედგინა პარტიის ყრილობას (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“. მოსკოვი, 1959, გვ. 533—537, რუს.). ბიბლიოთეკამ 13 წელიწადს იარსება, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. ამჟამად რსდმ პარტიის ბიბლიოთეკისა და არქივის ფონდები დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. — **97**.

100 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ფურცელი „რუსეთის პროლეტარიატს“, რომელიც ვ. ი. ლენინმა რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ დაწერა, დაეგზავნათ რუსეთის მთელი რიგი ქალაქების პარტიულ კომიტეტებს და მიეთითათ, რომ დაუყოვნებლივ გადაებეჭდათ და გაევრცელებინათ. ამ ფურცლის გაგზავნას ნ. კ. კრუპსკაია 1904 წლის 3 (16) და 4 (17) თებერვლის წერი-

ლებით ატყობინებდა ი. ჭ. ლალიანცს, ლ. ბ. კრასინს, ლ. მ. კნიპოვიჩს (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი და ლენინის X კრებული, გვ. 323, 324, რუს.). 1904 წლის 16 (29) თებერვალს ნ. კ. კრუპსკაია რ. ს. ზემლიაჩკას და ლ. ე. გალპერინს სწერდა: „მოხუცმა (ვ. ი. ლენინმა. — **რედ.**) დაწერა ფურცელი ომის შესახებ, აქ იგი არ გაუვრცელებიათ, გადასაბეჭდად გაგზავნეს ტომსკში, მოსკოვში, ოდესაში, პიტერში, სამარაში, სარატოვში, ნიჟნი ნოვგოროდსა და ეკატერინოსლავში“ (მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი). მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში არის რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის „რუსეთის პროლეტარიატს“ ფურცლის ბევრი ეგზემპლარი: შემონახულია ფურცლები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდით, რსდმ პარტიის მოსკოვისა და ეკატერინოსლავის კომიტეტების ბეჭდებით; ეს ფურცელი გადაბეჭდეს და გავრცელეს ნიჟნი ნოვგოროდის (ტირაჟი 7700 ცალი), ტვერისა და სარატოვის კომიტეტებმა, კიეველმა სტუდენტებმა. ამას გარდა 1904 წლის 5 (18) მარტს ფურცელი გადაიბეჭდა „ისკრის“ № 61-ში. — **99**.

101 1895 წელს იაპონია-ჩინეთის ომის (1894—1895 წწ.) შედეგად დაიდო სიმონოსეკის ხელშეკრულება, რომლითაც ჩინეთი იძულებული იყო იაპონიისათვის გადაეცა ლიაოდუნის ნახევარკუნძული, პენხულედაოსა და ტაივანის კუნძულები, ვალდებულება იკისრა გადაეხადა 200 მილიონი ლიანი კონტრიბუცია (მოგვიანებით კონტრიბუცია 230 მილიონ ლიანამდე გაუდიდეს), იაპონიას ანიჭებდა აგრეთვე არაერთ ეკონომიურ პრივილეგიას. იაპონიის გაძლიერების შიშით რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ სიმონოსეკის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით პროტესტი განაცხადეს, რის შემდეგ იაპონია ძალებული იყო უარი ეთქვა ლიაოდუნის ნახევარკუნძულის ანექსიაზე. — **100**.

102 აქ მოყვანილი კონსპექტები დაედო საფუძვლად მოხსენებას პარიზის კომუნის შესახებ, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჟენევაში წაიკითხა 1902 წლის 9 (22) მარტს. კონსპექტები შედგენილია კ. მარქსის ნაშრომის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 545—631) გულდასმით შესწავლის საფუძველზე. ამ ნაშრომის გვერდები ლენინს მითითებული აქვს ბერლინის 1891 წლის გამოცემის მიხედვით. კონსპექტებში გამოყენებულია აგრეთვე ფაქტები ლისაგარეს წიგნიდან „1871 წლის კომუნის ისტორია“ და ვეილის წიგნიდან „საფრანგეთის სოციალური მოძრაობის ისტორია (1852—1902)“.

თავისი კონსპექტების საფუძველზე ლენინმა 1905 წელს დაწერა „კომუნის შესახებ საუბრის გეგმა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 233 — 236). პარიზის კომუნის საკითხის გაშუქებას ლენინი არაერთხელ დაბრუნებია მოგვიანებითაც (იხ. მაგალითად, სტატიები „კომუნის გაკვეთილები“ და „კომუნის ხსოვნას“, წიგნის „სახელმწიფო და რევოლუცია“ III თავი—თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 599—603; ტომი 17, გვ. 149—155; ტომი 25, გვ. 508—534). — **101**.

103 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 548—549. — **101**.

104 I. A. A. (Internationale Arbeiter Association) — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა (I ინტერნაციონალი) — პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო მასობრივი ორგანიზაცია. იგი 1864 წელს დაარსდა ლონდონში მუშათა საერთაშორისო კრებაზე, რომელიც ინგლისელმა და ფრანგმა მუშებმა მოიწვიეს. კ. მარქსი იყო I ინტერნაციონალის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მისი „დამფუძნებელი მანიფესტის", წესდებისა და სხვა საპროგრამო და ტაქტიკური დოკუმენტების ავტორი. I ინტერნაციონალის შექმნა შედეგია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მრავალი წლის შეუპოვარი ბრძოლისა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიისათვის. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, I ინტერნაციონალმა „საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას კაპიტალზე მათი რევოლუციური იერიშის მოსამზადებლად", „საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 29, გვ. 355).

I ინტერნაციონალის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო იყო მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გენერალური საბჭო, რომლის უცვლელი წევრი იყო კ. მარქსი. ძლევდა რა წვრილბურჟუაზიულ გავლენებსა და სექტანტურ ტენდენციებს, რომლებიც მაშინ სჭარბობდა მუშათა მოძრაობაში (ტრედუნიონიზმი ინგლისში, პრუდონიზმი და ანარქიზმი რომანულ ქვეყნებში, ლასალელობა გერმანიაში), მარქსი მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების გარშემო რაზმავდა ევროპისა და ამერიკის მოწინავე მუშებს. I ინტერნაციონალი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას და განამტკიცებდა მათს საერთაშორისო სოლიდარობას. დიდია I ინტერნაციონალის როლი მარქსიზმის გავრცელების საქმეში, მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებაში.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ მუშათა კლასის წინაშე დადგა ამოცანა შეექმნათ მასობრივი ეროვნული პარტიები I ინტერნაციონალის მიერ წამოყენებული პრინციპების საფუძველზე. „მხედველობაში ვიღებ რა საქმის ვითარებას ევროპაში, — წერდა 1873 წელს კ. მარქსი, — უთუოდ სასარგებლოდ მიმაჩნია დროებით უკანა პლანზე გადაიწიოს ინტერნაციონალის ფორმალური ორგანიზაცია" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 33, გვ. 508, რუს.). 1876 წელს ფილადელფიის კონფერენციაზე I ინტერნაციონალი ოფიციალურად დაიშალა. — **101**.

105 ლონდონის 1862 წლის გამოფენა — მსოფლიო სამრეწველო გამოფენა, რომელზეც საფრანგეთის მუშათა დელეგაცია შეხვდა ინგლისელ მუშებს. — **101**.

106 პ რ უ დ ო ნ ი ზ მ ი — ანტიმეცნიერული, მარქსიზმისადმი მტრული წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის მიმდინარეობა, რომელსაც მისი იდეოლოგის ფრანგი ანარქისტის პრუდონის სახელი ეწოდა. მარქსი და ენგელსი თანამიმდევრულად ებრძოდნენ პრუდონის ცდებს თავისი შეხედულებანი თავს მოეხვია I ინტერნაციონალისათვის. პრუდონიზმი მარქსმა გამანადგურებლად გააკრიტიკა ნაშრომში „ფილოსოფიის სიღატაკე". მარქსის, ენგელსისა და მათი მომხრეების გადამწყვეტი ბრძოლა პრუდონიზმის წინააღმდეგ I ინტერნაციონალში პრუდონიზმზე მარქსიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ლენინი პრუდონიზმს უწოდებდა „მეშჩანისა და ფილისტერის გონებაჩლუნგობას", რომელსაც არ ძალუძს განიმსჭვალოს მუშათა კლასის თვალსაზრისით. პრუდონიზმის იდეებს ფართოდ იყენებდნენ ბურჟუაზიული „თეორეტიკოსები" კლასობრივი თანამშრომლობის ქადაგებისათვის. — **101**.

107 ბ ლ ა ნ კ ი ზ მ ი — მიმდინარეობა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში, რომელსაც მეთაურობდა გამოჩენილი რევოლუციონერი, საფრანგეთის უტოპიური კომუნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ლუი ოგიუსტ ბლანკი (1805—1381).

ბლანკისტები, როგორც ლენინი წერდა, ელოდნენ „დაჭირავებული მოწოდისაგან კაცობრიობის ხსნას არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზით, არამედ პატარა ინტელიგენტური უმცირესობის შეთქმულების გზით" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 475). ცვლიდნენ რა რევოლუციური პარტიის საქმიანობას შეთქმულთა საიდუმლო ჯგუფის გამოსვლებით, ისინი არ ითვალისწინებდნენ ხანყვების გამარჯვებისათვის აუცილებელ კონკრეტულ ვითარებას და უგულებელყოფდნენ მასებთან კავშირს. — **101**.

108 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 549—550.—**101**.

109 *La débâcle* — ე. ზოლას რომანი „განადგურება" (1892), რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომის აღწერას მიეძღვნა. — **102**.

110 ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1870 წლის 5 სექტემბრის (ახ. სტ.) მანიფესტზე (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 17, გვ. 279, რუს.). — **103**.

111 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 17, გვ. 281, რუს. — **103**.

112 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 576. — **108**.

113 პარიზის არმიის არტილერიის სარდალი ალფონს სიმონ გიო არტილერიის დივიზიონის გენერალს სიუზანს სწერდა, რომ მისი პროტეჟე შეუძლია წაიყვანოს თავის შტაბში, სადაც მოწყენილი იქნება უსაქმურობის გამო, ან გაგზავნოს მონ-ვალერიენში, სადაც მხოლოდ მოსაჩვენებლად ისვრიან ზარბაზნებს. ეს წერილი, რომელიც კომუნამ გამოაქვეყნა გაზეთ „Journal Officiel de la République Française"-ის („საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი") 1871 წლის 25 აპრილის № 115-ში, მოწმობდა, რომ „ეროვნული თავდაცვის მთავრობა" მხოლოდ მოსაჩვენებლად იცავდა პარიზს. ამის შესახებ იხ. აგრეთვე კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 576—577. — **103**.

114 ლაპარაკია ლეო ფრანკელზე — ოქრომჭედელ მუშაზე, საფრანგეთში გერმანელ მუშათა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელზე, უნგრეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეზე, უნგრეთის პირველი სოციალისტური მუშათა პარტიის დამაარსებელზე.—**105**.

115 კ. მარქსი ნაშრომში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში", როცა ტიერის მთავრობის მინისტრებზე ლაპარაკობს, შენიშნავს: „ასეთ ადამიანებს თავიანთი tickets-of-leave-ის პოვნა მხოლოდ პარიზის ნანგრევებში შეეძლოთ; ეს სწორედ ის ადამიანები იყვნენ, რომელნიც ბისმარკს სჭირდებოდა". გამოთქმას „tickets-of-leave" კ. მარქსი შემდეგნაირად განმარტავს: „ინგლისში სისხლის სამართლის დამნაშავეებს სასჯელის დიდი ნაწილის მოხდის შემდეგ ზოგჯერ აძლევენ მოწმობას, რომლითაც მათ შეუძლიათ თავისუფლად იცხოვრონ, ოღონდ პოლიციის ზედამხედველობით. ასეთ მოწმობას tickets-of-leave (საშვები ბილეთი) ჰქვია, ხოლო მათ მფლობელთ — tickets-of-leave men" (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 578—579.) —**110**.

116 დიუპონის წერილები — ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მდივან-კორესპონდენტისა — მოყვანილია ვეილის წიგნში „საფრანგეთის სოციალური მოძრაობის ისტორია (1852—1902)" (იხ. რუსული თარგმანი: მოსკოვი, 1906, გვ. 138). „კომუნის შესახებ საუბრის გეგმაში" ვ. ი. ლენინი იხსენიებს დიუპონის 1870 წლის 7 სექტემბრის (ახ. სტ.) წერილს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი, 8, გვ. 234). — **110**.

117 მონაცემები სასამართლოების მიერ მსჯავრდადებულ კომუნართა რიცხვის შესახებ აღებულია ლისაგარეს წიგნიდან „1871 წლის კომუნის ისტორია", მოსკოვი, 1905, გვ. 479, რუს. — **110**.

118 რსდმპარტიის საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ჟენევაში 1904 წლის 31 მაისსა და 5 ივნისს (13 და 18 ივნისს) ვ. ი. ლენინის, გ. ვ. პლეხანოვის (თავმჯდომარე), ვ. ა. ნოსკოვის, პ. ბ. აქსელროდისა და ლ. მარტოვის შემადგენლობით. პირველ სხდომაზე საბჭომ

განიხილა რუსეთის რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიათა პარტიათაშორისი კონფერენციის მოწვევისა და ამსტერდამის მომავალი საერთაშორისო კონგრესის საკითხები. მეორე სხდომა მიეძღვნა შინაპარტიული საკითხების განხილვას: 1) პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა (ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტის) უფლება გაეწვიათ თავიანთი წარმომადგენლები პარტიის საბჭოდან; 2) კომიტეტების კოოპტაციით შევსება და ცენტრალური კომიტეტის უფლება შეიყვანოს კომიტეტებში ახალი წევრები; 3) პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხზე პარტიულ ორგანიზაციათა კენჭისყრის წესი; 4) საბჭოს სხდომათა ოქმების გამოქვეყნება და სხვ.

იმის გამო, რომ საბჭოს ხუთი წევრიდან სამი (პლეხანოვი, აქსელროდი და მარტოვი) მენშევიკური ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ, ნოსკოვს კი შემარიგებლური პოზიცია ეკავა, პარტიის საბჭომ უმნიშვნელოვანეს შინაპარტიულ საკითხებზე მიიღო მენშევიკური გადაწყვეტილებანი (ვ. ი. ლენინის გამოსვლები რსდმ პარტიის საბჭოზე იხ. თხზულებანი, ტომი 7, გვ. 541—552). — **111**.

119 რუსეთის ოპოზიციურ და რევოლუციურ ორგანიზაციათა პარტიათაშორისი კონფერენცია, რომლის მოწვევის ინიციატორი „ფინეთის აქტიური წინააღმდეგობის პარტია“ იყო, გაიმართა 1904 წლის დამლევს. რსდმ პარტიის და რუსეთის ზოგიერთი სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც 1904 წლის აგვისტოში შეხვდნენ ერთმანეთს ამსტერდამში საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გახსნის წინ, გადაწყვიტეს მონაწილეობა არ მიეღოთ პარტიათაშორის კონფერენციაში. რსდმ პარტიამ ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა პარტიის საბჭოს 1904 წლის 21 აგვისტოს (3 სექტემბრის) სხდომაზე. — **111**.

120 „ბალტიისპირეთის ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია“ შეიქმნა 1902 წლის აპრილში რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად. მის საფუძველზე ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა I ყრილობაზე 1904 წლის 7—9 (20—22) ივნისს შეიქმნა „ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, რომელიც 1906 წელს IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე რსდმ პარტიაში შევიდა.

„ლატვიის სოციალ-დემოკრატიული კავშირი“, რომელიც საზღვარგარეთ შეიქმნა 1900 წლის შემოდგომაზე, თავისი მოთხოვნებით უახლოვდებოდა რუს სოციალისტ-რევოლუციონერებს და საკმარისად იყო გამსჭვალული ნაციონალისტური ტენდენციებით. 1905 წელს „კავშირმა“ დროებით ერთგვარი გავლენა მოი-

პოვა გლეხობის ნაწილში, მაგრამ მალე გამოდევნა „ლატვიის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ". შემდგომში „კავშირს" აღარ შეუსრულებია რამდენადმე წესამჩნევი როლი. — 111.

121 ლაპარაკია „სომხეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციაზე" („სპეციფიკებზე"), რომელიც სომეხმა ნაციონალ-ფედერალისტურმა ელემენტებმა შექმნეს მალე რსდმპარტიის II ყრილობის შემდეგ. ბუნდელების მსგავსად „სპეციფიკები" მოითხოვდნენ პარტიის აგების ფედერაციულ პრინციპს, ესე იგი პროლეტარიატის ეროვნულ დაყოფას, და თავს სომეხი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლებად აცხადებდნენ. თავიანთი ნაციონალიზმის გასამართლებლად ისინი იმოწმებდნენ „თითოეული ერის სპეციფიკურ პირობებს". ვ. ი. ლენინი თავის წერილში რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა კონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც 1905 წლის სექტემბერში იყო მოწვეული, წერდა:

„განსაკუთრებით გაფრთხილებთ „სომხეთის ს.-დ. ფედერაციის" შესახებ. თუ დათანხმდით, რომ მან მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, ჩაგიდენიათ საბედისწერო შეცდომა, რომელიც რადაც უნდა დაგიჯდეთ უნდა გამოასწოროთ. ესენია ორიოდე ჭკვიანი დეზორგანიზატორი, რომლებიც აქ ბეჭდავენ სულ უმნიშვნელო რაღაცეებს და რომლებსაც არავითარი სერიოზული კავშირი არა აქვთ კავკასიაში. ესენია ბუნდის კრეატურა და მეტი არაფერი, სპეციალურად გამოგონებული კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისათვის... ყველა კავკასიელი ამხანაგი წინააღმდეგია ლიტერატორ-დეზორგანიზატორთა ამ ხროვისა..." (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 379). — 111.

122 იგულისხმება ლ. მარტოვის წინადადება პარტიის საბჭოს პირველ სხდომაზე, სადაც მოითხოვა წინასწარ დაედგინათ, რომ პრინციპულ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო კონფერენციაზე მხოლოდ ერთხმად მიიღებდნენ. — 111.

123 ეს შენიშვნა ვ. ი. ლენინმა გააკეთა ლ. მარტოვის მიერ შეტანილი რეზოლუციის გამო, რომელშიც ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადება ეძლეოდა გამოეგზავნათ პარტიის საბჭოსთვის თავიანთი მანდატები II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესზე, აგრეთვე ადგილობრივი საქმიანობის ანგარიშები საერთო ანგარიშის შესადგენად. მარტოვის წემდეგ გამოვიდა გ. ვ. პლეხანოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილებიდან მოხსენებათა მიღების ლოდინის დრო აღარ არისო, და წინადადება წამოაყენა დაუყოვნებლივ დაევალებინათ ვინმესათვის მოხსენების შედგენა. — 113.

124 ლაპარაკია სომხეთის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიის „ჰნჩაკისტთა“ ორგანოზე გაზეთ „ვერაცნუთიუნზე“ („აღორძინება“), რომელიც ქალაქ რუშჩუკში (ბულგარეთი) გამოდიოდა 1903—1904 წლებში. — **116**.

125 იგულისხმება ლ. მარტოვის მტკიცება, რომ მოსკოვის კომიტეტის უმცირესობა კოოპტაციისათვის თავის მხრივ სთავაზობდა არა ერთს, არამედ ორ წევრს. — **114**.

126 რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდების თანახმად ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც დამტკიცებული იყვნენ ყრილობამდე სულ ცოტა ერთი წლით ადრე. ამ საფუძველზე ვ. ა. ნოსკოვი (გლებოვი) პარტიის საბჭოს მეორე სხდომაზე აღნიშნავდა, რომ ტვერისა და რიგის კომიტეტების ხმებს კანონიერი ძალა არა აქვთ პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხის გადაჭრაში. — **114**.

127 რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი შეიქმნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა I ყრილობაზე 1903 წლის მარტში თბილისში რსდმ პარტიის თბილისისა და ბაქოს კომიტეტების ინიციატივით. ყრილობას ესწრებოდა 15 დელეგატი თბილისს, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისისა და ამიერკავკასიის სხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისაგან. ყრილობამ აირჩია კავშირის ხელმძღვანელი ორგანო — რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით. ყრილობამ მოიწონა ლენინური „ისკრის“ პოლიტიკური გეზი, მიიღო „ისკრისა“ და „ზარიას“ მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამის პროექტი როგორც ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა საქმიანობის საფუძველი.

რსდმ პარტიის II ყრილობაზე კავკასიის კავშირმა გაგზავნა 3 დელეგატი. დელეგატებს დაევალათ დაეცვათ პარტიის ყრილობაზე ლენინური „ისკრის“ საპროგრამო, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები. რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტმა თავისი საქმიანობის დასაწყისშივე მჭიდრო კავშირი დაამყარა ვ. ი. ლენინთან და ბოლშევიკების მტკიცე დასაყრდენი იყო მენშევიკურ ოპოზიციასთან ბრძოლაში. კავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო რსდმ პარტიის III ყრილობის მომზადებაში. კავკასიის კავშირის წარმომადგენლები შევიდნენ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს შემადგენლობაში, რომელმაც პრაქტიკულად მოამზადა პარტიის III ყრილობა. კავშირმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ორგანიზაციაში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და მის პერიოდში. მისი დიდი დამსახურება იყო მრავალეროვანი კავკასიის მუშათა აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. 1906 წლის თებერვალში რსდმ პარტიის კავკასიის კავშირმა შეწყვიტა არსებობა

ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების გაერთიანებული კომიტეტების შექმნასთან დაკავშირებით. — **115**.

128 იგულისხმება ლ. მარტოვის წინადადება პარტიის საბჭოს მეორე სხდომაზე იმის შესახებ, რომ სამარის, სმოლენსკის, ბრიანსკისა და ასტრახანის კომიტეტები გაეთანაბრებინათ ყრილობის დამსწრე კომიტეტებისათვის, ესე იგი მიენიჭებინათ მათთვის ხმის უფლება პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხის გადაჭრაში. — **115**.

129 ლ. მარტოვმა წინადადება წამოაყენა კავკასიის კავშირს ყრილობისათვის კენჭისყრის უფლება მინიჭებოდა 1903 წლის სექტემბრიდან, მისი წესდების დამტკიცების დროიდან. — **116**.

130 იგულისხმება პარტიის საბჭოს იანვრის (1904 წლისა) სესიის გადაწყვეტილება საბჭოს სხდომათა ოქმების გამოქვეყნების შესახებ. — **116**.

131 მენშევიკების — გ. ვ. პლეხანოვის, ლ. მარტოვის, პ. ბ. აქსელროდისა და შემარიგებლის ვ. ა. ნოსკოვის (გლებოვის)—ხმებით პარტიის საბჭომ 1904 წლის 5 (18) ივნისის სხდომაზე უარყო საბჭოს სხდომათა ოქმების გამოქვეყნება. — **117**.

132 რიგის დეკლარაცია—იგულისხმება 22 ბოლშევიკის თათბირზე მიღებული მიმართვა „პარტიისადმი“, რომელიც ცალკე ფურცლად დაბეჭდა რსდმ პარტიის რიგის კომიტეტმა 1904 წლის აგვისტოში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 565—575). — **117**.

133 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის „ივლისის დეკლარაცია“ — დადგენილება, რომელიც მიიღეს ცენტრალური კომიტეტის წევრებმა—შემარიგებლებმა ლ. ბ. კრასინმა, ვ. ა. ნოსკოვმა და ლ. ე. გალპერინმა 1904 წლის ივლისში. იგი შედგებოდა 26 პუნქტისაგან, რომელთაგან 9 გამოქვეყნდა 1904 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბრის) „ისკრის“ 72-ე ნომერში სათაურით „ცენტრალური კომიტეტის განცხადება“. დადგენილება მიიღეს უკანონოდ, ცენტრალური კომიტეტის ორი წევრის დაუკითხავად: ვ. ი. ლენინისა, რომელიც ჭვეიცარიაში იყო, და რ. ს. ზემლიაჩკასი. ამით მათ წართვეს შესაძლებლობა დაეცვათ ცენტრალურ კომიტეტში პარტიის უმრავლესობის პოზიციები. ამ დადგენილებაში შემარიგებლებმა ცნეს ახალი „ისკრის“ მენშევიკური რედაქციის პლეხანოვის მიერ კოოპტირებული შემადგენლობა. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტირებული იყო კიდევ სამი შემარიგებელი: ა. ი. ლიუბიმოვი, ლ. ი. კარპოვი და ი. თ. დუბროვინსკი. შემარიგებლები გამოვიდნენ პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და დაითხოვეს ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიურო, რომელიც ყრილობის მოწვევის აგიტაციას ეწეოდა. მათ ვ. ი. ლენინს ჩამოართვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებანი და აკრძალეს მის ნაწარმოებთა

ბეჭდვა ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის ნებადართველად. „იელისის დეკლარაციის“ მიღება ნიშნავდა იმას, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა—შემარიგებლებმა მთლიანად უღალატეს რსდმ პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებს და აშკარად გადავიდნენ მენშევიკების მხარეზე.

ვ. ი. ლენინმა მტკიცე პროტესტი გამოთქვა „იელისის დეკლარაციის“ წინააღმდეგ. თავის წერილში „ცენტრალური კომიტეტის ხუთ წევრს“, ბროშურაში „განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ“ ვ. ი. ლენინმა ამხილა ცენტრალური კომიტეტის სამი წევრის უკანონო მოქმედება (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 576—578, 661—668). პარტიის ადგილობრივმა კომიტეტებმა — პეტერბურგის, მოსკოვის, რიგის, ბაქოს, თბილისის, იმერეთ-სამეგრელოს, ნიკოლაევის, ოდესის, ეკატერინოსლავის კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს ვ. ი. ლენინს და გადაჭრით დაგმეს „იელისის დეკლარაცია“. — **118**.

134 იგულისხმება მენშევიკური „ისკრა“. პარტიის II ყრილობაზე დაამტკიცეს პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქცია ვ. ი. ლენინის, გ. ვ. პლეხანოვისა და ლ. მარტოვის შემადგენლობით. მაგრამ მენშევიკმა მარტოვმა, ყრილობის გადაწყვეტილების მიუხედავად, უარი თქვა რედაქციაში შესვლაზე, თუ არ შევიდოდნენ ძველი მენშევიკი რედაქტორები (პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი), რომლებიც II ყრილობას არ აუჩრევია, და „ისკრის“ 46—51 ნომრები გამოვიდა ლენინისა და პლეხანოვის რედაქციით. შემდეგ პლეხანოვი მენშევიზმის პოზიციებზე დადგა და მოითხოვა რედაქციის შემადგენლობაში შეეყვანათ ყრილობის მიერ უარყოფილი ძველი მენშევიკი რედაქტორები. ლენინი ვერ დაეთანხმებოდა ამას და 1903 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) გამოვიდა „ისკრის“ რედაქციიდან; იგი კოოპტაციით შევიდა ცენტრალურ კომიტეტში და იქიდან დაიწყო ბრძოლა ოპორტუნისტ-მენშევიკთა წინააღმდეგ. „ისკრის“ 52-ე ნომერი გამოვიდა მარტო პლეხანოვის რედაქციით, 1903 წლის 13 (26) ნოემბერს კი პლეხანოვმა ერთპიროვნულად, დაარღვია რა პარტიის II ყრილობის ნება, კოოპტაციით შეიყვანა „ისკრის“ რედაქციაში მისი ყოფილი მენშევიკი რედაქტორები — აქსელროდი, პოტრესოვი და ზასულიჩი. ორმოცდამეთორმეტე ნომრიდან „ისკრა“ აღარ იყო რევოლუციური მარქსიზმის მებრძოლი ორგანო. მენშევიკებმა იგი გადააქციეს მარქსიზმის წინააღმდეგ, პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ, ოპორტუნიზმის ქადაგების ტრიბუნად. — **118**.

135 ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის გამომცემლობა ბოლშევიკებმა შექმნეს 1904 წლის ზაფხულის

დამლევს, მას შემდეგ, რაც „ისკრის“ მენშევიკურმა რედაქციამ უარი თქვა პარტიის იმ ორგანიზაციათა და წევრთა განცხადებების დაბეჭდვაზე, რომლებიც პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებს იცავდნენ და მოითხოვდნენ პარტიის III ყრილობის მოწვევას. უმრავლესობის ადგილობრივი პარტიული კომიტეტები ხელს უწყობდნენ ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის გამომცემლობას. — **119**.

136 ეს დოკუმენტი წარმოადგენს ორ გეგმას ნაშრომისა (თუ რეფერატისა) თემაზე „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“. ცნობები არა გვაქვს არც იმის შესახებ, რომ ლენინს დაეწეროს ეს ნაშრომი, არც იმის შესახებ, რომ წაეკითხოს რეფერატი ამ თემაზე. დოკუმენტის დაახლოებით დათარიღებას საფუძვლად დაედო ის, რომ იგი დაწერილია ლენინის იმ შენიშვნების ხელნაწერის მეორე გვერდზე, რომლებიც შეეხება 1904 წლის 10 ივლისს „ისკრის“ 69-ე ნომერში გამოქვეყნებულ რ. ლუქსემბურგის სტატიას „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული საკითხები“.

ლენინის მასალები იმ ავტორთა ნაშრომების შესასწავლად, რომლებიც ლენინს მოხსენიებული ჰყავს დოკუმენტის „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“ ორ გეგმაში, დაბეჭდილია ლენინის XXXII კრებულში. ეს მასალები ლენინს გამოუყენებია აგრეთვე ლექციებში „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“, რომლებიც წაიკითხა პარიზის საზოგადოებრივ მეცნიერებათა რუსულ უმაღლეს სკოლაში 1903 წლის 10—13 (23—26) თებერვალს (იხ. ლენინის XIX კრებული, გვ. 225—248, რუს.). — **119**.

137 ენგელსი აკრიტიკებს საფრანგეთისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა აგრარულ პროგრამებს ნაშრომში „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი II, 1964, გვ. 514—539). — **120**.

138 1904 წლის შემოდგომაზე ჟენევის ბოლშევიკთა ჯგუფში ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა პროპაგანდისტთა წრე, რომლის მსმენელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ძირეული პარტიული ორგანიზაციების მუშაკები — მუშები და ახალგაზრდობა, რომლებსაც არ ჰქონდათ თეორიული ცოდნა. წრის მიზანი იყო ხალხის მომზადება რუსეთში სამუშაოდ. მეცადინეობა მიმდინარეობდა მოხსენებებისა და რეფერატების ფორმით. წრის მთავარ ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. ივი ატარებდა მეცადინეობას პარტიული პროგრამის საკითხებზე. რევოლუციის დაწყებისა და ამნისტიის ნაწილის რუსეთში გამგზავრების გამო მეცადინეობა მალე შეწყდა. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში შემოინახა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ამ წრის მუშაობას ახასიათებენ. ლენინის შენიშვნები, საუბ-

რების გეგმები და რეფერატების გამო კამათის ჩანაწერი დაიბეჭდა ლენინის XV კრებულში, გვ. 283—285, 287, რუს. — **122**.

139 მიტინგი, რომელსაც ლენინი იხსენიებს, 1889 წლის 14 აგვისტოს გაიმართა ლონდონის ნავსადგურში იმ დოკერთა გაფიცვის დაწყების გამო, რომლებიც მოითხოვდნენ გაედიდებინათ საათობრივი ანაზღაურება და დაჭირავების დრო დღეში 4 საათზე ნაკლები არ ყოფილიყო. გაფიცვაში მონაწილეობდა 10 ათასი მუშა (მათ შორის უმუშევრებიც). შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომლის მდივანი იყო კ. მარქსის ქალიშვილი ელეონორა მარქს-ეველინგი. გაფიცულთ მხარს უჭერდნენ ინგლისის, ავსტრალიისა და ევროპის ქვეყნების მთელი რიგი ნავსადგურების მუშები. გაფიცვის დროს შეიქმნა დოკერთა პირველი პროფესიული კავშირი, რომელსაც განყოფილებანი ჰქონდა ინგლისის ყველა დიდ ნავსადგურში. გაფიცვამ ხუთ კვირას გასტანა, დამთავრდა მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებით, ბიძგი მისცა ტრიდუნიონთა განვითარებას და შემობრუნების პუნქტი გახდა ინგლისის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. — **122**.

140 ეს დოკუმენტი „ვპერიოდის“ რედაქციის შენიშვნის თავდაპირველ ვარიანტსა და საბოლოო ტექსტს წარმოადგენს. პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილს, რომლის გამო დაწერილია ეს შენიშვნა, ვერ მივაგენით. როგორც ჩანს, იგი უნდა დაბეჭდილიყო გაზეთ „ვპერიოდის“ მე-4 ან მე-5 ნომერში, მაგრამ 1905 წლის 9 იანვრის ამბებზე გამოხმაურებამ დაიკავა გაზეთის გვერდები, შემდგომი ნომრებისთვის კი წერილის მასალა, ალბათ, მოძველდა.

„ვ პ ე რ ი ო დ“ — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი; ტირაჟი იყო 7—10 ათასი ცალი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. მისიეე წინადადებით დაერქვა გაზეთს ეს სახელი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი. რუსეთის ადგილობრივ კომიტეტებსა და კორესპონდენტებთან გაზეთის მთელ მიმოწერას აწარმოებდა ნ. კ. კრუპსკაია. ე. ი. ლენინი, როცა გაზეთის შინაარსს განსაზღვრავდა, წერდა: „გაზეთ „ვპერიოდის“ მიმართულება ძ ვ ე ლ ი „ი ს კ რ ი ს“ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ა. ძველი „ისკრისათვის“ „ვპერიოდი“ გადაჩრით ებრძვის ახალ „ისკრას““ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 140). ლენინი არათუ წერდა სახელმძღვანელო სტატიებს „ვპერიოდისათვის“, მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ბევრი სხვადასხვა შენიშვნა და მის მიერ დამუშავებული კორესპონდენცია. ზოგიერთი სტატია ლენინს დაუწერია რედაქციის სხვა წევრებთან (ვოროვსკისთან, ოლმინსკისა და სხვებთან)

თანამშრომლობით. სხვადასხვა ავტორის ხელნაწერთა შემორჩენილ ნაწილს ვ. ი. ლენინის ბევრი სწორებისა და მნიშვნელოვანი ჩამატებების კვალი ახლავია. ყოველი ნომრის გვერდებს ლენინი აუცილებლად სინჯავდა. მაშინაც კი, როცა სრულიად არ ეცალა ლონდონის III ყრილობაზე მუშაობის გამო, ლენინმა მაინც გამონახა დრო „ვპერიოდის“ მე-17 ნომრის ანაწყობთა გადასასინჯად. და, როგორც ჩანს, მხოლოდ მე-18 ნომერი გამოვიდა ისე, რომ რედაქციის თვალსაზრისით არ გადაუსინჯავს ლენინს, რადგან ლონდონიდან ჟენევაში გადავიდა. გაზეთ „ვპერიოდში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის 60-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის ზოგიერთი ნომერი, მაგალითად, № 4 და № 5, რომლებიც 1905 წლის 9 იანვრის ამბებსა და რუსეთის რევოლუციის დაწყებას ეძღვნებოდა, თითქმის მთლიანად ვ. ი. ლენინს შეუდგენია.

პარტიის მესამე ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნა გაზეთ „ვპერიოდის“ დიდი როლი მენშევიზმის წინააღმდეგ, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, ტაქტიკის იმ საკითხების დაყენებასა და გაშუქებაში, რომლებიც რევოლუციურმა მოძრაობამ წამოაყენა, ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში და მადლობა გადაუხადა გაზეთის რედაქციას. III ყრილობის გადაწყვეტილებით გაზეთ „ვპერიოდის“ ნაცვლად დაიწყო გამოცემა გაზეთ „პროლეტარისა“ როგორც პარტიის ცენტრალური ორგანოსი, რომელიც გაზეთ „ვპერიოდის“ პირდაპირი და უშუალო გაგრძელება იყო. — **124**.

141 სტატიის „როგორ იცავენ ისინი თავს?“ თეზისების მონახაზი ლენინს დაახლოებით 1905 წლის იანვარში დაუწერია სავარაუდო პასუხად პლეხანოვის სტატიაზე „ცარიზმთან ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძოლის მიმართ ჩვენი ტაქტიკის შესახებ“, რომელშიც ეს უკანასკნელი აკრიტიკებს ლენინის ბროშურას „საერობო კამპანია და „ისკრის“ გეგმა“. სტატია არ დაბეჭდილა, როგორც ჩანს, არც დაწერილა, შემორჩა მხოლოდ ამ სტატიის თეზისების მონახაზი. — **125**.

142 ძველი და ახალი ლენინის წინააღმდეგობათა შესახებ პლეხანოვი წერს სტატიაში „ცარიზმთან ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძოლის მიმართ ჩვენი ტაქტიკის შესახებ“, სადაც დაპირისპირებულია ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“, რომელიც მიკუთვნებულია „ძველი“ ლენინის პერიოდისათვის, და ბროშურა „საერობო კამპანია და „ისკრის“ გეგმა“, რომელიც ასახავს „ახალი“ ლენინის შეხედულებებს. ურთმანეთს უპირისპირებს რა ამ ნაშრომებს, პლეხანოვი წერს, თითქოს არსებობდეს წინააღმდეგობანი „ძველსა“ და „ახალ“ ლენინს შორის საერობო-ლიბერალური მოძრაობისადმი დამოკიდებულებაში. — **126**.

143 იგულისხმება მოქმედება ტამბოვის საგუბერნიო საერობო კრების თავმჯდომარის პეტროვო-სოლოვოვოსი, რომელმაც 1904 წლის 14 და

15 დეკემბერს დახმარება სთხოვა პოლიციას „ხალხისაგან“ კრების დასაცავად. პლეხანოვის ბროშურაში „ცარიზმთან ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძოლის მიმართ ჩვენი ტაქტიკის შესახებ“ ტამბოვის ინციდენტის გამო ნათქვამია: „სხვათა შორის, პანიკის გამო. ტამბოვის ამასწინანდელ ამბებს, უნდა ითქვას, შეუძლია აბსოლუტიზმის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს ჩაუნერგოს ის აზრი, რომ მართალია „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, რომელიც ლიბერალებს კონსტიტუციონალიზმის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებით ემუქრება (გ. ვ. პლეხანოვი, თხზულებანი, ტომი XIII, გვ. 178, რუს.). — **126**.

144 უმრავლესობის კომიტეტების ბიურო — ბოლშევიკთა ორგანიზაციული ცენტრი რსდმ პარტიის III ყრილობის მოსამზადებლად. ვ. ი. ლენინის ინიციატივით იგი შეიქმნა 1904 წლის დამლევს. პარტია მაშინ მძიმე კრიზისს განიცდიდა. მენშევიკები, რომლებმაც ხელთ იგდეს პარტიული ცენტრები, დეზორგანიზატორულ, გამთიშველ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, არღვევდნენ მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას. ამასთან, ქვეყნის რევოლუციური ვითარება მოითხოვდა პარტიის ძალების შეკავშირებასა და პროლეტარიატის საბრძოლო ერთიანობას. შექმნილი მდგომარეობა უკარნახებდათ, რომ საჭირო იყო რაც შეიძლება მალე მოეწვიათ პარტიის ახალი, მესამე ყრილობა. მენშევიკების ხელში თავმოყრილი ცენტრალური პარტიული დაწესებულებანი ამას ყოველნაირად აბრკოლებდნენ. ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით ბრძოლა გააჩაღეს ყრილობის მოწვევისათვის. უდიდესი როლი შეასრულა 22 ბოლშევიკის თათბირმა, რომელიც ვ. ი. ლენინის ინიციატივით მოიწვიეს ჟენევაში 1904 წლის აგვისტოში. თათბირმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა „პარტიისადმი“, რომელიც ბოლშევიკებისათვის გახდა III ყრილობის მოსაწვევად ბრძოლის პროგრამა. 1904 წლის სექტემბერ—დეკემბერში რუსეთში გაიმართა ბოლშევიკური კომიტეტების სამი საოლქო კონფერენცია — სამხრეთის, კავკასიისა და ჩრდილოეთისა. ამ კონფერენციებზე შეიქმნა უმრავლესობის კომიტეტების ბიურო. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. ი. ლენინი, რ. ს. ზემლიაჩკა, ს. ი. გუსევი, მ. ნ. ლიადოვი, მ. მ. ლიტვინოვი და სხვები. უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, პრაქტიკული მუშაობა გასწია რსდმ პარტიის III ყრილობის მოსამზადებლად. — **127**.

145 ვ. ი. ლენინს ეს სტატია არ დაუწერია. — **128**.

146 ნაროდოპრავცები — „ნაროდნოე პრავოს“ პარტიის, რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენციის არალეგალური ორგანიზაციის, წევრები, პარტიისა, რომელიც 1893 წლის ზაფხულში დაარსდა ყოფილი ნაროდოვოლცების ო. ვ. აპტეკმანის, ა. ი. ბოგდანოვიჩის, ა. ვ. გე-

დეკონოვსკის, მ. ა. ნატანსონის, ნ. ს. ტიუტჩევისა და სხვათა მონაწილეობით. ნაროდოპრავცებმა ამოცანად დაისახეს მთელი ოპოზიციური ძალების გაერთიანება პოლიტიკური რეფორმებისათვის საბრძოლველად. ორგანიზაციამ გამოუშვა ორი საპროგრამო დოკუმენტი: „მანიფესტი“ და „საჭირბოროტო საკითხი“, 1894 წლის გაზაფხულზე იგი გაანადგურა მეფის მთავრობამ. თუ რა შეფასებას აძლევდა ლენინი ნაროდოპრავცებს როგორც პოლიტიკურ პარტიას, იხ. ვ. ი. ლენინის ნაშრომებში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ და „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 391—395 და ტომი 2, გვ. 423—427). ნაროდოპრავცების უმრავლესობა შემდეგ ესერების პარტიაში შევიდა. — **128**.

147 ეს გეგმა შინაარსით უახლოვდება ვ. ი. ლენინის სტატიას „აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმების შესახებ“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 174—184). გეგმა, როგორც ჩანს, აღნიშნულ სტატიაზე გვიან არის დაწერილი, რადგან ამ გეგმაში ლენინი უკვე კონკრეტულად სვამს საბრძოლო კომიტეტის საკითხს, რაც ჯერ არ არის სტატიაში. — **130**.

148 ქ ე ნ ე ვ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს პ ა რ ტ ი უ ლ ი კ ლ უ ბ ი ჩამოყალიბდა რსდმ პარტიის ხელმძღვანელობის საზღვარგარეთული ჯგუფების კონფერენციაზე 1905 წლის 13 იანვარს. კლუბთან შეიქმნა 4 სექცია პარტიული ცხოვრების საკითხების შესამუშავებლად: 1) ორგანიზაციული, 2) პროპაგანდისტული, 3) საგიტაციო და 4) ტექნიკური.

1905 წლის 5 მარტს ორგანიზაციული სექციის სხდომაზე განიხილეს ა. მ. ვესნის (სტეპანოვის) მოხსენება მუშაობის დაყენების შესახებ უმთავრესად მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენებში (მოსწავლეებში, ჯარისკაცებში, გლეხებში). ვ. ი. ლენინი სამჯერ გამოვიდა: პირველად სტეპანოვის მოხსენების შემდეგ, მეორედ — რომ ერტის (ვინ ატარებდა ამ სახელს, ვერ დადგინდა) გამოსვლის შემდეგ და მესამედ ოლღას (ს. ნ. რავიჩის) გამოსვლასთან დაკავშირებით, რავიჩისა, რომელმაც წინადადება წამოაყენა ეთხოვათ ლენინისათვის მონაწილეობა მიეღო „კითხვარის“ შედგენაში, რაკი ლენინს რუსეთში პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

როცა ამბობს: „კითხვარი შევადგინე, მაგრამ იგი მეტად ზოგადიაო“, — ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი „ანკეტა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 225—227). — **131**.

149 რეზოლუციაში, რომელიც გაზეთ „ვპერიოდის“ მე-14 ნომერში გამოქვეყნდა 1905 წლის 12 აპრილს (30 მარტს), მუშები გმობდნენ პარტიის გათიშვას და მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გაერთიანებას. — **133**.

150 იგულისხმება გაზეთ „ვპერიოდის“ მე-14 ნომერში გამოქვეყნებული ხარკოვის მენშევიკური კომიტეტის რეზოლუცია რსდმ პარტიის III

ყრილობის დელეგატის არჩევის შესახებ და ხარკოვის ბოლშევიკური ჯგუფის რეზოლუცია „ერთიანი ზუსტი პრინციპული ტაქტიკისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციის საფუძველზე“ პარტიის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. — **138**.

151 ლაპარაკია უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსა და რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეთანხმებაზე პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხის გამო. ამ შეთანხმების საფუძველი ჩამოყალიბებული იყო ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სახელით 1905 წლის 12 (25) მარტის მიმართვაში „პარტიისადმი“, რომელიც გაზეთ „ვპერიოდის“ მე-13 ნომერში დაიბეჭდა 1905 წლის 5 აპრილს (23 მარტს) ვ. ი. ლენინის სტატიაში „მეორე ნაბიჯი“. შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ „ყრილობის მოწვევისათვის შემდგომ მუშაობას ერთად ეწევიან უმრავლესობის კომიტეტების ბიურო და ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც წარმოადგენენ საორგანიზაციო კომიტეტს“. შეთანხმების შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიებში „მეორე ნაბიჯი“ და „მხილებული საბჭო“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 302—307, 386—391). — **138**.

152 რსდმ პარტიის III ყრილობა გაიმართა ლონდონში 1905 წლის 12—27 აპრილს (25 აპრილს—10 მაისს). იგი მოამზადეს ბოლშევიკებმა და მიმდინარეობდა ლენინის ხელმძღვანელობით. მენშევიკებმა უარი თქვეს ყრილობაში მონაწილეობაზე და ჟენევაში შეკრიბეს თავიანთი კონფერენცია.

ყრილობას ესწრებოდა 38 დელეგატი: 24 — გადამწყვეტი ხმით და 14—სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმებით ესწრებოდნენ რსდმ პარტიის 21 კომიტეტის დელეგატები. ლენინი ოდესის კომიტეტის დელეგატი იყო. დელეგატთა შორის იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, რ. ს. ზემლიაჩკა, ნ. კ. კრუპსკაია, ა. ა. ბოგდანოვი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. მ. ლიტვინოვი, მ. გ. ცხაკაია და სხვები. ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ლენინი.

ყრილობამ განიხილა რუსეთში დაწყებული რევოლუციის ძირეული საკითხები და განსაზღვრა პროლეტარიატისა და მისი პარტიის ამოცანები. ყველა ძირითად საკითხზე, რომლებსაც ყრილობა იხილავდა, ლენინმა დაწერა რეზოლუციათა პროექტები. ყრილობაზე მან გააკეთა მოხსენებანი დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ და გლეხთა მოძრაობის მხარდაჭერის გამო რეზოლუციის შესახებ და სიტყვები წარმოთქვა შეიარაღებული აჯანყების შესახებ, გადატრიალების წინ მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშათა და ინტელიგენტთა ურთიერთობის, პარტიის წესდების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენების გამო და სხვა საკითხებ-

ზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 421—498). ყრილობამ დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პარტიის სტრატეგიული გეგმა და განსაზღვრა პარტიის ტაქტიკური გეზი. პარტიის მთავარ და გადაუდებელ ამოცანად ყრილობამ მიიჩნია შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. ყრილობამ აღნიშნა, რომ შეიარაღებული სახალხო აჯანყების გამარჯვების შედეგად უნდა შეიქმნას დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელმაც უნდა დათრგუნოს კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა, განახორციელოს რსდმ პარტიის პროგრამა-მინიმუმი, მოამზადოს პირობები სოციალისტურ რევოლუციაზე გადასასვლელად.

ყრილობამ გადასინჯა პარტიის წესდება: წესდების პირველი პარაგრაფი, პარტიის წევრობის შესახებ, მან მიიღო ლენინის ფორმულირებით; აღმოფხვრა ორცენტრიანობის (ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო) სისტემა პარტიაში და შექმნა ერთიანი ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი — ცენტრალური კომიტეტი; ზუსტად განსაზღვრა ცენტრალური კომიტეტის უფლებანი და მისი დამოკიდებულება ადგილობრივი კომიტეტებისადმი.

ყრილობამ დაგმო მენშევიკთა მოქმედება, მათი ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საკითხებში. იმის გამო, რომ „ისკრა“ მენშევიკებს ჩაუვარდათ ხელში და ოპორტუნისტულ გეზს დაადგა, რსდმ პარტიის III ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეექმნა ახალი ცენტრალური ორგანო — გაზეთი „პროლეტარი“. „პროლეტარის“ რედაქტორად ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) პლენუმმა დანიშნა ვ. ი. ლენინი.

რსდმ პარტიის III ყრილობას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ბოლშევიკური ყრილობა. ყრილობამ შეაიარაღა პარტია და მუშათა კლასი დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროგრამით. პარტიის III ყრილობის მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატია „მესამე ყრილობა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 521—529). ყრილობის გადაწყვეტილებანი ლენინმა დაასაბუთა წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 1—162). — **184**.

153 ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ეს დადგენილებანი მიიღო რსდმ პარტიის III ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის უკანასკნელმა სხდომამ 1905 წლის 11 (24) აპრილს და გამოაქვეყნა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა ცენტრალური კომიტეტისაგან ლ. ბ. კრასინმა საორგანიზაციო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში III ყრილობის პირველ სხდომაზე 1905 წლის 12 (25) აპრილს (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, მოსკოვი, 1959, გვ. 30—31, რუს.). — **184**.

154 ეს დოკუმენტი წარმოადგენს იმ დადგენილების მეხუთე პუნქტის პროექტს, რომელიც რსდმ პარტიის III ყრილობის მომწვევმა საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო 1905 წლის 11 (24) აპრილს (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, მოსკოვი, 1959, გვ. 31—32, რუს.). ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებანი შეიცდა აგრეთვე რეზოლუციაში ყრილობის კონსტიტუირების შესახებ, რაც მოითხოვეს პ. ა. კრასიკოვმა (ბელსკიმ), მ. ს. ლემჩინსკიმ (ვარკოვმა) და მ. მ. ლიტვინოვმა (კუზნეცოვმა) ყრილობის მესამე სხდომაზე 1905 წლის 13 (26) აპრილს და მიიღო ყრილობის მე-5 სხდომამ 14 (27) აპრილს (იხ. იქვე, გვ. 96). — **187**.

155 ყაზანის კომიტეტის დელეგატი ყრილობაზე არ ყოფილა მეთვრამეტე სხდომამდე იმის გამო, რომ საორგანიზაციო კომიტეტი დროზე ვერ დაუკავშირდა კომიტეტს. ამ დროს საზღვარგარეთ იყო ყაზანის კომიტეტის წევრი ვ. ვ. ადორატსკი. ყრილობაზე ყაზანის ორგანიზაციის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ლენინი განცხადებაში „ყრილობის შემადგენლობის შემმოწმებელი კომისიისადმი“ წინადადებას იძლეოდა მიეწვიათ ვ. ვ. ადორატსკი ყრილობაზე სათათბირო ხმით, როგორც ყაზანის კომიტეტის წევრი. მანდატების შემმოწმებელმა კომისიამ წინადადება წამოაყენა ამხ. ადორატსკი მიეწვიათ „უბრალოდ როგორც პარტიის წევრი...“. კომისიის სწორედ ამ ფორმულირებას უწოდებს ლენინი უცნაურს.

ყრილობამ ორის წინააღმდეგ ხმების უმრავლესობით გადაწყვიტა მოეწვია ამხ. ადორატსკი „როგორც კომიტეტის წევრი“. მაგრამ ადორატსკის ვერ ^ეატყობინეს ეს გადაწყვეტილება და იგი ყრილობას არ დასწრებია. მხოლოდ ყრილობის მეთვრამეტე სხდომაზე ჩამოვიდა ყაზანის კომიტეტის დელეგატი ი. ა. სამერი (სავიჩი). მას სათათბირო ხმა მისცეს. — **188**.

156 ნ. ა. ალექსეევმა (ანდრეევმა) შეიტანა რეზოლუცია: „განვიხილოთ საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება ფაქტობრივი და არა პრინციპული ან მორალური მხრივ“. ამ საკითხის განხილვისას ანდრეევმა მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებულ რეზოლუციას (იხ. ეს ტომი, გვ. 139), რომელიც ყრილობამ მიიღო. — **189**.

157 დღის წესრიგის პროექტი განიხილა ყრილობის მესამე სხდომამ 1905 წლის 13 (26) აპრილს საღამოს.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემის მე-9 ტომის კარში „მოსამზადებელი მასალები“ დაბეჭდილია ყრილობის დღის წესრიგის პროექტის ვარიანტები (გვ. 375—378).

ეს პროექტი შენიშვნებისათვის დაურიგდათ დელეგატებს, შემდეგ კი მცირეოდენი სარედაქციო ცვლილებებით წაიკითხეს ყრილობაზე როგორც პროექტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ვ. ი. ლენინი, მ. მ. ლიტვინოვი (კუზნეცოვი) და ა. ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი). — **140**.

158 დ. ს. პოსტოლოვსკის (მიხაილოვის), ა. ვ. ლუნაჩარსკისა (ეიონოვისა) და ლ. ბ. კრასინის (ზიმინის) წინადადება ის იყო, რომ ყრილობის დღის წესრიგი შეედგინათ ოთხი რუბრიკით: ორგანიზაციული საკითხები, ტაქტიკური საკითხები, დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი, დელეგატთა ანგარიშები. ეს წინადადება მიიღეს. შემდგომი განხილვისა და დამატებათა შეტანისას მიიღეს დღის წესრიგი შემდეგი ძირითადი რუბრიკებით: 1) ტაქტიკური საკითხები; 2) ორგანიზაციული საკითხები; 3) დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი; 4) შინაპარტიული მუშაობა; 5) დელეგატთა ანგარიშები; 6) არჩევნები. — **141**.

159 ივანოვის (ა. ა. ბოგდანოვის) პროექტი, რომელსაც ვ. ი. ლენინი იხსენიებს, რსდმ პარტიის ახალი წესდების პროექტია, რომელიც ყრილობას უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წარუდგინა. ეს პროექტი გაზეთ „ეპერიოდის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნდა 1905 წლის 5 აპრილს (23 მარტს) სათაურით „ორგანიზაციული საკითხი“. პროექტი დელეგატთა წინასწარ თათბირებზე დასახული ზოგიერთი ცვლილებით წაიკითხა ბოგდანოვმა (მაქსიმოვმა) ყრილობის მეთხუთმეტე სხდომაზე 20 აპრილს (3 მაისს) საღამოს. განხილვისა და მთელ რიგ შესწორებათა შეტანის შემდეგ წესდება დაამტკიცა ყრილობის მეჩვიდმეტე სხდომამ 21 აპრილს (4 მაისს) საღამოს.

ნ. ფ.-ს (ე. ე. ესენის) შენიშვნები ივანოვის პროექტის გამო სათაურით „პარტიის წესდების პროექტისათვის“ დაიბეჭდა „„ეპერიოდის“ მე-15 ნომრის ცალკე დამატებაში“ 1905 წლის 20 (7) აპრილს. — **142**.

160 ლენინი შეცდომით უწოდებს ვ. ვ. ადორატსკის არნატსკის. — **144**.

161 ამ საკითხის განხილვისას ლენინმა ყრილობის მეოთხე სხდომაზე 1905 წლის 14 (27) აპრილს აღნიშნა, რომ მას არ მოუთხოვია მოეწვიათ ვ. ვ. ფილატოვი (NN), არამედ მხოლოდ გადასცა ყრილობას მისი განცხადება (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 80, რუს.).

წინადადება, რომ მოეწვიათ ფილატოვი ყრილობაზე სათათბირო ხმით, უარყვეს. — **145**.

162 მეოთხე სხდომაზე (14 (27) აპრილს დილით) ლენინი ორჯერ გამოვიდა (მეორე გამოსვლა იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 428—430). სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი იმ საკითხის გამო, მიენიჭებინათ თუ არა გადამწყვეტი ხმები ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მენშევიკური კომიტეტების პარალელურად არსებობდნენ და მუშაობდნენ (ხარკოვისა და ეკატერინოსლავის ჯგუფები და საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი), აგრეთვე არხანგელსკის კომიტეტისათვის, რომელიც დამტკიცებული არ ყოფილა.

ვ. ვ. ობუხოვმა (კამსკიმ) თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ გა-

დამწყვეტი ხმების მინიჭება „საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტისა და პარალელური ჯგუფებისათვის როგორც არსებითად, ისე ფორმით არის coup d'état" (სახელმწიფო გადატრიალება).

ყრილობის გადაწყვეტილებით ყველა აღნიშნულ ორგანიზაციას მიენიჭა სათათბირო ხმები. — **145**.

163 რსდმ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პარტიის წესდებით ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება ჰქონდათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დამტკიცებული იყვნენ ყრილობამდე სულ ცოტა ერთი წლით ადრე. პარტიის წესდების თანახმად ყაზანისა და ყუბანის კომიტეტები არ ითვლებოდნენ სრულუფლებიან წევრებად III ყრილობაზე, რადგან 1904 წლის 1 სექტემბრამდე ისინი აღნიშნული არ აყოფილან სრულუფლებიანი კომიტეტების სიაში, რომელიც პარტიის საბჭოს ოქმებში ჰქონდათ. პარტიის III ყრილობის მეხუთე სხდომაზე 14 (27) აპრილს ვ. ვ. ვოროვსკიმ (ორლოვსკიმ) შეიტანა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი იმის შესახებ, რომ დაემტკიცებინათ ეს კომიტეტები სრულუფლებიან კომიტეტებად მომავლისათვის. რეზოლუცია მიიღო ამავე სხდომამ. — **146**.

164 ყრილობის მეხუთე სხდომაზე, 14 (27) აპრილს, მომავლისათვის სრულუფლებიან კომიტეტებად ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცების დროს ზოგიერთმა დელეგატმა განაცხადა, რომ სათათბირო ხმების მქონე დელეგატთა მონაწილეობა კენჭისყრაში სასურველი არ არის, რადგან შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ გადამწყვეტი დადგენილების შედეგებზეო.

სწორედ ამასთან დაკავშირებით დაწერა ვ. ი. ლენინმა ყრილობაზე საკითხებისათვის კენჭისყრის წესის შესახებ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამავე სხდომამ მიიღო. — **146**.

165 იგულისხმება ა. ი. რიკოვის (სერგეევის) გამოსვლა ყრილობის მეცამეტე სხდომაზე იმ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ვ. ი. ლენინმა და პ. პ. რუმიანცევმა (ფილიპოვმა) შეიტანეს. რიკოვმა განაცხადა, რომ „რეზოლუცია არ შეეხება დღის წესრიგს" და მისი პუნქტები „შეიძლება მიეკუთვნოს ლიბერალებისა და აგიტაციის საკითხს", და წინადადება წამოაყენა განეხილათ იგი დღის წესრიგის შესაბამის საკითხებზე ბჭობის დროს. ყრილობამ უარყო რიკოვის წინადადება. ლენინისა და რუმიანცევის რეზოლუცია ყრილობამ ერთხმად მიიღო. — **150**.

166 რევოლუციისწინა მომენტში მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვის დროს ყრილობის მეცამეტე სხდომაზე დიდი კამათი გაიმართა რეზოლუციის დადგენილების ნაწილის „გ" პუნქტის გამო. ამ პუნქტში ნათქვამი იყო: „დარაზმოს პროლეტარიატი, რათა დაუყოვნებლივ დაწესდეს რევოლუ-

ციური გზით 8-საათიანი სამუშაო დღე და განხორციელდეს ჩვენი პროგრამა-მინიმუმის ყველა მთავარი მოთხოვნა". პ. ა. კრასიკოვი (ბელსკი) გამოვიდა სიტყვების „რევოლუციური გზით" წინააღმდეგ და მოითხოვდა მათს შეცვლას სიტყვებით „ფაქტობრივი მონაპოვარი".

განხილვის შედეგად პუნქტი „გ" ყრილობამ მიიღო ასეთი რედაქციით: „დაირაზმოს პროლეტარიატი, რათა რევოლუციური გზით დაუყოვნებლივ განახორციელოს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება და მუშათა კლასის სხვა მოთხოვნები, რომლებიც დღის წესრიგში დგას" (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი 1959, გვ. 222, რუს.). — **150**.

167 მეთხუთმეტე სხდომაზე, 20 აპრილს (3 მაისს), სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშათა და ინტელიგენტთა ურთიერთობის საკითხზე ა. ა. ბოგდანოვის (მაქსიმოვის) მოხსენებისა და რეზოლუციის პროექტის განხილვის დროს ყრილობის ზოგიერთი დელეგატი ამტკიცებდა, რომ ასეთი საკითხი პარტიაში არ დგას და მის გამო რეზოლუციის მიღება საჭირო არ არისო.

ყრილობამ გამოიტანა დადგენილება გადაედოთ ამ საკითხის გადაწყვეტა პარტიის წესდების მიღებამდე.

მეცხრამეტე სხდომაზე, 22 აპრილს (5 მაისს), ყრილობა დაუბრუნდა საკითხის განხილვას. შეიტანეს რამდენიმე რეზოლუცია. განხილვის დროს საფუძვლად აიღეს პროექტი, რომელიც ლენინმა დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 481—482) და მანვე შეიტანა ა. ა. ბოგდანოვთან ერთად. ლენინი არაერთხელ გამოსულა ამ საკითხზე (იხ. იქვე, გვ. 483, 484). სახელობითი კენჭისყრით ყრილობამ გადაწყვიტა არ მიეღო სპეციალური რეზოლუცია ამ საკითხზე. ვ. ი. ლენინის წინადადებანი გაითვალისწინეს პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში. — **152**.

168 გამოსვლების სტენოგრაფიული ჩაწერა არ ხდებოდა და რეგლამენტის თანახმად თითოეული ორატორი ვალდებული იყო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 საათისა ყრილობის ბიუროში წარედგინა თავისი სიტყვის კონსპექტი (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი, 1959, გვ. 11, რუს.). — **153**.

169 პარტიის წესდების პროექტის განხილვის დროს ყრილობამ საფუძვლიანად გადაამუშავა პარტიის ორგანიზაციული ნორმები. ეს ძირითადად შეეხო სამ მთავარ საკითხს: 1) წესდების § 1-ის შეცვლა; 2) ცენტრალური კომიტეტის უფლებებისა და ადგილობრივი კომიტეტების გაფართოებული ავტონომიის ზუსტი განსაზღვრა; 3) ერთიანი ცენტრის შექმნა. ყრილობამ § 1 მიიღო ლენინის ფორმულირებით. ყრილობამ ხმების უმრავლესობით უარი თქვა იმ ორცენტრიანობაზე ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს სახით, რომელიც რსდმ

პარტიის II ყრილობამ შექმნა. დატოვებულ იქნა ერთი ცენტრი—ცენტრალური კომიტეტი. III ყრილობამ ბევრი დრო დაუთმო ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა განსაზღვრის საკითხს, პერიფერიებისადმი კომიტეტების დამოკიდებულებისა და პერიფერიებისათვის მეტი უფლებების მინიჭების საკითხს. ხმების უმრავლესობით გადაწყდა მე-8 პარაგრაფი ამოეღოთ წესდების პროექტიდან და ამ საკითხზე მიღებულ იქნა სპეციალური რეზოლუცია. ლენინმა ხმა მისცა § 8-ის დატოვებას წესდებაში. მეცხრამეტე სხდომაზე, 22 აპრილს (5 მაისს), მიიღეს ვ. ვ. ვოროვსკის (ორლოვსკის) რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ცენტრები ვალდებული არიან გააცნონ პერიფერიებს პარტიული საქმეები და ანგარიში გაუწიონ მათს სათათბირო ხმას. ამ რეზოლუციამ შეცვალა წესდების მერვე პარაგრაფი (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი, 1959, გვ. 325, 327—328, რუს.).

იმისთვის, რომ კომიტეტებს ბოროტად არ გამოეყენებინათ თავიანთი ავტონომია და რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმ კომიტეტების შეცვლა, რომლებიც დანიშნულებას ვერ გაამართლებდნენ, ახალი წესდების § 9-ში ჩაწერეს: „ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა დაშალოს ადგილობრივი კომიტეტი, თუ დაშლას მხარს დაუჭერენ ერთდროულად ცენტრალური კომიტეტის ხმების 2/3 და პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი ადგილობრივი მუშების 2/3". ვ. ი. ლენინის ორი სიტყვა პარტიის III ყრილობაზე პარტიის წესდების განხილვის დროს 21 აპრილს (4 მაისს) იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 485—487.—**158**.

170 წესდების პროექტის § 6-ში, რომელიც გაზეთ „ეპერიოდის" 1905 წლის 5 აპრილის (23 მარტის) მე-13 ნომერში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო: „პარტიის შემადგენლობაში შემავალი ყველა ორგანიზაცია ავტონომიურად განაგებს მთელ იმ საქმეს, რაც კი სპეციალურად შეეხება პარტიული საქმიანობის მხოლოდ იმ დარგს, რომლის გამგებლობისათვის არიან ისინი შექმნილი". III ყრილობამ § 6 მიიღო სხვა რედაქციით (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი, 1959, გვ. 461. რუს.). — **154**.

171 პარტიის წესდების პროექტის § 7-ის თანახმად ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომლებსაც ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდათ, უფლება ეძლეოდა თავისი სახსრებითა და თავისი სახელით გამოეცა პარტიული ლიტერატურა. ო. ა. კვიტკინმა (პეტროვმა) მხარი დაუჭირა მე-7 პარაგრაფს ა. ა. ბოგდანოვის (მაქსიმოვის) შესწორებით—რომ „ყველა პერიოდული პარტიული გამოცემა ვალდებულია ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით ბეჭდოს ყველა მისი განცხადება".

პ. ა. კრასიკოვი (ბელსკი) წინადადებას იძლეოდა პარტიული ლიტერატურის გამოცემის ნება დაერთოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას-

ში მოცემული პრაქტიკული ლოზუნგები საესებით შეთანხმებული იქნებოდა საერთ შორისო სოციალ-დემოკრატიული კონგრესებისა და პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებებთან. პარტიის წესდების §7 მიიღეს დ. ს. პოსტოლოვსკის (მიხაილოვის) რედაქციითა და ა. ა. ბოგდანოვის შესწორებით (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი, 1959, გვ. 461, რუს.). პ. ა. კრასიკოვის შესწორება უარყვეს ხმების უმრავლესობით. — **154**.

172 პარტიის წესდების პროექტის § 11-ის განხილვის დროს, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ყოველი პარტიული ორგანიზაცია ვალდებულია ცენტრალურ კომიტეტსაც და ცენტრალური ორგანოს რედაქციასაც წარუდგინოს ყველა საშუალება მთელი თავისი საქმიანობისა და მთელი თავისი პირადი შემადგენლობის გასაცნობად", ა. მ. ესენმა (კიტაევმა) წამოაყენა შემდეგი დამატება: „2 კვირაში ერთხელ მაინც წარადგინოს ცენტრალურ კომიტეტში დაწვრილებითი ანგარიშები თავისი საქმიანობის შესახებ". ვ. ი. ლენინის გამოსვლის შემდეგ ეს დამატება ხმების უმრავლესობით მიიღეს. — **154**.

173 ლაპარაკია წესდების პროექტის მე-12 პარაგრაფზე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „წევრების კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში წარმოებს ერთხმად". წინადადება ცენტრალურ კომიტეტში წევრთა ერთხმივი კოოპტაციის შესახებ მიიღეს. — **154**.

174 წესდების პროექტის § 13-ში ნათქვამი იყო: „პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა კომიტეტი მიზნად ისახავს პროპაგანდასა და აგიტაციას საზღვარგარეთ, ასევე რუსეთის მოძრაობისათვის ხელის შეწყობას. რუსეთის მოძრაობას იგი მხარს უჭერს მხოლოდ იმ პირთა და ჯგუფთა მეშვეობით, რომლებსაც საგანგებოდ ნიშნავს ცენტრალური კომიტეტი".

პ. ა. კრასიკოვის (ბელსკის) რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „რსდმ პარტიის III ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განიხილოს და და დაამტკიცოს წესდება საზღვარგარეთული ორგანიზაციისა როგორც პარტიის ისეთი სრულუფლებიანი კომიტეტისა, რომელიც პროპაგანდასა და აგიტაციას ეწევა საზღვარგარეთ, რათა რუსეთის მოძრაობას საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი მხარს უჭერდეს და ხელს უწყობდეს მხოლოდ იმ პირთა და ჯგუფთა მეშვეობით, რომლებსაც საგანგებოდ ნიშნავს ცენტრალური კომიტეტი".

ყრილობამ ამოიღო წესდებიდან § 13 და მიიღო რეზოლუცია, რომელიც პ. ა. კრასიკოვმა შეიტანა. — **154**.

175 ა. ა. ბოგდანოვის (მაქსიმოვის) რეზოლუციის პროექტში ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებების შესახებ ნათქვამი იყო: „ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს პერიოდულად, სულ ცოტა სამ თვეში

ერთხელ, მოიწვიოს ყრილობები თავისი როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილისა, ისე იგი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთისა და რუსეთის ნაწილებისა.

რეზოლუცია მიიღეს იმ შესწორებით, რომ აღნიშნული კრებები უნდა მოეწყოს „სულ ცოტა ოთხ თვეში ერთხელ“ („რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 466, რუს.). — **155.**

176 ყრილობის მეთვრამეტე სხდომაზე, 22 აპრილს (5 მაისს), კვლავ აღიძრა ყაზანის კომიტეტის წარმომადგენლობის საკითხი, რადგან ამ დროისათვის ყრილობაზე ჩამოვიდა მისი დელეგატი ი. ა. სამერი (სავიჩი). მანდატების შემმოწმებელმა კომისიამ ყრილობას შესთავაზა „არ შეეცვალა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება და დაეშვა ყაზანის კომიტეტის დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით“ (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 314, რუს.).

კომიტეტის დელეგატმა ი. ა. სამერმა ყრილობას სთხოვა მიეცა კომიტეტისათვის გადამწყვეტი ხმის უფლება.

ამ საკითხის განხილვის შემდეგ ყრილობამ უარყო ბ. ვ. ავილოვის (ტიგროვის) რეზოლუცია ყაზანის კომიტეტის დელეგატისათვის გადამწყვეტი ხმის მიცემის შესახებ და დაამტკიცა კომისიის რეზოლუცია. — **155.**

177 რეზოლუციის პროექტში ნათქვამი იყო: „ცნობს რა, რომ პარტიული მუშაობის გაერთიანება პარტიული ცხოვრების გადაუდებელი მოთხოვნაა, ცნობს რა, რომ ასეთი გაერთიანების მიღწევა ყველაზე უფრო მაშინ არის შესაძლებელი, როცა მუშაობის პროცესში და ზოგადპარტიული ლოზუნგების ერთობლივ განხილვაში მონაწილეობს რაც შეიძლება მეტი პარტიული მუშაკი, — პარტიის III ყრილობას სასურველად მიაჩნია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიზნით მოიწყოს კონფერენციები ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთაგან“.

ვ. ი. ლენინმა შეიტანა რეზოლუციის შესწორებანი და მხარი დაუჭირა ლ. ბ. კრასინს (ზიმინს) და დ. ს. პოსტოლოვსკის (მიხაილოვს), რომლებიც გამოდიოდნენ გ. ლ. შკლოვსკის (დედუშკინის) და ა. ი. რიკოვის (სერგეევის) დამატებათა წინააღმდეგ (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 342, რუს.). შესწორებანი, რომლებიც რეზოლუციაში ვ. ი. ლენინმა შეიტანა, მიიღეს. — **156.**

178 რეზოლუციის პროექტი დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით. განსახილველად ყრილობის მეოცე სხდომაზე შეტანილია ა. მ. ესენისა (კიტაევის) და რ. ს. ზემლიაჩკას (ოსიპოვის) სახელით. რეზოლუცია ყრილობამ მიიღო, მაგრამ საჭიროდ ცნო არ გამოექვეყნებინათ იგი. — **157.**

179 რეზოლუციის პროექტში, რომელიც პ. პ. რუშიანცევმა (ფილიპოვმა) შეიტანა, აღნიშნული იყო, რომ იმ მენშევიკური ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, პერიფერიაში და მუშათა მასებში არ უნდა ეწარმოებინათ ისეთივე აგიტა-

ცია, როგორც საერთოდ მენშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ და ცალკეულ პირთა წინააღმდეგ და რომ მენშევიკური კომიტეტების დაშლა და ბოლშევიკური კომიტეტების განმტკიცება იქ, სადაც პარალელური ორგანიზაციები არსებობენ, მეტად ფრთხილად უნდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა სავსებით გამოირკვეოდა, რომ ადგილობრივი კომიტეტის წევრთა უმრავლესობა არ დაემორჩილება რსდმ პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს. განხილვის შედეგად რეზოლუციის პირველი ნაწილი ყრილობამ უარყო, მეორე კი მიიღო ლენინისა და ბოგდანოვის (მაქსიმოვის) ფორმულირებით, ოღონდ არა გამოსაქვეყნებლად (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", მოსკოვი, 1959, გვ. 363, რუს.). — **157**.

180 ოცდამეერთე სხდომაზე, 23 აპრილს (6 მაისს), განიხილეს ეროვნულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ვ. ვ. ვოროვსკიმ (ორლოვსკიმ) შეიტანა. პროექტში ნათქვამი იყო: „... რსდმ პარტიის III ყრილობა, ადასტურებს რა II ყრილობის დამოკიდებულებას ფედერალიზმის საკითხისადმი, აცხადებს როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე ადგილობრივ კომიტეტებს ყველაფერი იღონონ ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის, რათა შეათანხმონ ადგილობრივი მუშაობა და, ამრიგად, მოამზადონ ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიან რსდმ პარტიად გაერთიანების პირობები" („რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები", 1959, გვ. 365, რუს.).

დ. ს. პოსტოლოვსკიმ (მიხაილოვმა) წინადადება წამოაყენა შეეცვალათ ეს ტექსტი ასე: „ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, ისევე როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებს, მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი" (იქვე). თავისი წინადადება მან იმით დაასაბუთა, რომ შეთანხმება მხოლოდ მაშინ შეიძლება, „როცა ამას მოაწყობს არა მარტო ცენტრალური კომიტეტი, არამედ ადგილობრივი კომიტეტებიც" (იქვე, გვ. 371). ამ შესწორების წინააღმდეგ გამოვიდა ვ. ი. ლენინი, შესწორება ყრილობამ უარყო. — **158**.

181 ა. ვ. ლუნაჩარსკის (ვოინოვის) ცნობის შესაბამებად ვ. ი. ლენინმა წაიკითხა ციტატა კორესპონდენციიდან „Semstwo congress at Moscow. Purposes and prospects" („საერობო ყრილობა მოსკოვში. ამოცანები და მიზნები"), რომელიც ინგლისურ გაზეთ „The Times"-ს მოსკოვიდან მიუღია და 1905 წლის 6 მაისს გამოუქვეყნებია № 37700-ში. (კორესპონდენციის თარგმანი იხ. ლენინის XXVI კრებულში, 1934, გვ. 229—231, რუს.).

მოსკოვის საერობო ყრილობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია „კონსერვატიული ბურჟუაზიის საბჭოები" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 538—542).

„*The Times*“ („დროება“) — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც 1785 წელს დაარსდა ლონდონში; ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთი მსხვილი კონსერვატიული გაზეთი. — **159**.

182 ოცდამესამე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ლ. ბ. კრასინმა (ზომინმა) გააკეთა.

მოხსენების განხილვის დროს ზოგიერთმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში არ ყოფილა გაშუქებული მისი პოლიტიკური საქმიანობა, და მოითხოვა, რომ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს განემარტა ყრილობისათვის, თუ რატომ ვერ შეასრულა ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ბელადის როლი, რატომ ვერ უხელმძღვანელა პარტიას. ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო მეორედ გამოსვლისას, როცა „გასამართლებაზე“ ლაპარაკობდა, ლენინს მზედგელობაში ჰქონდა ეს განცხადებანი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის თაობაზე. — **159**.

183 რეზოლუცია ყრილობამ ერთხმად მიიღო. — **160**.

184 პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ რეზოლუციის პროექტი ყრილობამ განიხილა და მიიღო ოცდამეორე სხდომაზე, 25 აპრილს (8 მაისს). ვ. ი. ლენინის შესწორებანი და დამატებანი მიიღეს და შეიტანეს რეზოლუციაში (იხ. „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 457, რუს.).

„ა“ პუნქტის შესწორება დაწერა ვ. ი. ლენინმა, ხოლო შეიტანეს ა. ა. არისტარხოვმა (ოსეტროვმა) და ვ. მ. ობუხოვმა (კამსკიმ). — **161**.

185 რეზოლუციის პროექტში პუნქტი „გ“ ფორმულირებული იყო ასე „განვახორციელოთ ღონისძიებანი რუსეთის ყველა მთავარ რაიონში აგიტატორთა მოძრავი ჯგუფების შესაქმნელად პასუხისმგებელ რაიონულ აგიტატორთა ხელმძღვანელობით, რათა ხელი შეეწყოთ დგილობრივ ცენტრებს“. ვ. ი. ლენინის შესწორება ცვლიდა ამ ტექსტს. — **162**.

186 ო. ა. კვიტკინმა (პეტროვმა) წინადადება წამოაყენა სიტყვები „შეიარაღებული ძალით“ კავკასიის ამბების თაობაზე რეზოლუციის პროექტის ბოლოში შეეცვალათ სიტყვებით „მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“ („რსდმ პარტიის მესამე ყრილობა. ოქმები“, 1959, გვ. 442, რუს.). კვიტკინის შესწორება ყრილობამ მიიღო. — **163**.

187 რეფერატი აღნიშნულ თემაზე ლენინმა წაიკითხა ჟენევაში 19 თუ 20 მაისს (1 თუ 2 ივნისს) და მალე პარიზში. ლ. ა. ფოტიევას, რომელიც პარიზში იმყოფებოდა, ლენინი 1 თუ 2 ივნისს სწერდა, რომ აპირებს ჩასვლას პარიზში, და სთხოვდა მოეწყო მისი რეფერატი თემაზე „მესამე ყრილობა და მისი გადაწყვეტილებანი“. რეფერატის შინაარსია,— წერს ლენინი,—„ჩვენი და მენშევიკების გადაწყვეტილებათა პარალელური განხილვა: მათ ეს-ეს არის გამოაქვეყნეს ცნობა თავიანთი კონფერენციის შესახებ და მე მას განვიხილავ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც.,

ტომი 36, გვ. 141). როცა „ცნობაზე“ ლაპარაკობს, ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკების ბროშურა „სრულიად რუსეთის პარტიულ მუშაკთა პირველი კონფერენცია“, რომელიც 1905 წლის 15 მაისს „ისკრის“ მეასე ნომრის ცალკე დამატებად გამოიცა. რეფერატის გეგმაში ლენინი იმოწმებს ამ ბროშურის გვერდებს.

რეფერატის გეგმის ზოგიერთი პუნქტი ვ. ი. ლენინმა განავითარა სტატიაში „მესამე ნაბიჯი უკან“, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 647—659). — **168**.

188 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 543 — 569. — **165**.

189 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 98—111. — **165**.

190 „პარტიის გათიშვის ნარკვევში“ დასახულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ბრძოლის განვითარების ძირითადი ნიშანსვეტები. ამ გეგმას საუსებით შესაბამი სტატია არ არის.

რსდმ პარტიის III ყრილობამდე შინაპარტიული ბრძოლის ეტაპების დახასიათება ლენინმა მოგვცა დოკუმენტში „რსდმ პარტიის გათიშვის მოკლე ნარკვევი. წერილი გროელიხს“, რომელიც 1905 წლის თებერვალში დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 134—142). პარტიის შიგნით ბრძოლის დაახლოებით იგივე ეტაპები, რომლებიც მოცემულია „პარტიული გათიშვის ნარკვევში“, ლენინმა აღნიშნა 1905 წლის აგვისტოში დაწერილ გეგმაში „პლეხანოვი და ახალი „ისკრა““ (იხ. ლენინის V კრებული, 1926, გვ. 360—366, რუს.). — **166**.

191 იგულისხმება რეზოლუციები რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა „გამაერთიანებელი“ ყრილობისა, რომელიც 1901 წლის სექტემბერში გაიმართა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ „ისკრისა“ და „ზარიას“ საზღვარგარეთული ორგანიზაციის 6 წევრი (ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაია, ლ. მარტოვი და სხვ.), ორგანიზაცია „სოციალ-დემოკრატის“ 8 წევრი (მათ შორის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის 3 წევრი: გ. ვ. პლეხანოვი, პ. ბ. აქსელროდი, ვ. ი. ზასულიჩი), „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ 16 წევრი (მათ შორის ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის 5 წევრი) და „ბორბას“ ჯგუფის 3 წევრი. ყრილობაზე „კავშირის“ ოპორტუნისტული მოქმედების მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, რომელიც ესწრებოდა „ფრეის“ ფსევდონიმით. მას შემდეგ, რაც ყრილობაზე გამოქვეყნდა „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის“ შესწორებანი და დამატებანი რეზოლუციისთვის, რომელიც გმობდა ოპორტუნიზმს და ცნობდა რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული ძალების შეკავშირების საჭიროებას „ისკრის“ რევოლუციური პრინციპების საფუძველზე, ყრილობის რევოლუციურმა ნაწილმა („ისკრისა“ და „ზარიას“, „სოციალ-დემოკრატის“

ორგანიზაციათა წევრებმა) გამოაქვეყნა განცხადება, რომ გაერთიანება შეუძლებელია, და დატოვა ყრილობა. ვ. ი. ლენინის ინიციატივით ეს ორგანიზაციები 1901 წლის ოქტომბერში გაერთიანდნენ „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთულ ლიგად“. —166.

192 იგულისხმება ხმების დაჯგუფება რსდმ პარტიის II ყრილობაზე, რომელიც 1903 წლის 17 (30) ივლისიდან 10 (23) აგვისტომდე მიმდინარეობდა. ყრილობაზე სულ იყო 43 დელეგატი, რომლებსაც ჰქონდათ 51 ხმა. ამათგან: 24 ხმა—უმრავლესობის ისკრელებს, 9—უმცირესობის ისკრელებს, 10—„ჭაობს“ და 8—ანტიისკრელებს (სამი რაბოჩეედელოელი და 5 ბუნდელი). ყრილობაზე ბრძოლის საერთო სურათის უფრო დაწვრილებითი გაშუქება იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 413—432. — 166.

193 1903 წლის 10 (23) აგვისტოს დამთავრდა რსდმ პარტიის მეორე ყრილობა. 15 (28) აგვისტოს გამოვიდა გაზეთ „ისკრის“ № 46, რომლის რედაქტირებაში მონაწილეობდნენ ვ. ი. ლენინი და გ. ვ. პლეხანოვი. სახელდობრ რა ფაქტს გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როცა აღნიშნავდა თარიღს — 13 (26) აგვისტოს, ვერ დადგინდა. 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა კოოპტაციით შეიყვანა „ისკრის“ რედაქციაში მენშევიკები აქსელროდი, მარტოვი, ზასულიჩი და პოტრესოვი. — 166.

194 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მარტოვის სიტყვები „რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის“ II ყრილობაზე, რომელიც 1903 წლის 13 (26)—18 (31) ოქტომბერს მიმდინარეობდა, იმის შესახებ, რომ იგი, მარტოვი, ვერ დათანხმდებოდა ემუშავა ერთ რედაქციაში მარტინოვთან ერთად. — 166.

195 1903 წლის 25—26 სექტემბერს (8—9 ოქტომბერს) თავიანთ წერილში ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. პლეხანოვისადმი „ისკრის“ ყოფილმა რედაქტორებმა უარი თქვეს „ისკრაში“ თანამშრომლობის წინადადებაზე (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 438—440). როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ეს წერილი. — 166.

196 იგულისხმება 22 ბოლშევიკის თათბირი და 19 ბოლშევიკის დეკლარაცია. თათბირი გაიმართა 1904 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში.

„22-ის დეკლარაცია“ — მიმართვა „პარტიისადმი“, რომელიც ლენინმა დაწერა და ბოლშევიკების თათბირმა მიიღო 1904 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში ჟენევაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 565 — 575). თათბირს ესწრებოდა 19 კაცი — ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაია, მ. ს. ოლმინსკი, მ. ნ. ლიადოვი, პ. ნ. ლეპეშინსკი და სხვები. თათბირის გადაწყვეტილებებს მალე მიემხრო კიდევ 3 ბოლშევიკი და მიმართვა „პარტიისადმი“ გამოვიდა 22 ბოლშევიკის სახელით. 22-ის დეკლარაცია, რომელიც 1904 წლის აგვისტოში

ცალკე ფურცლად გამოქვეყნდა, ბოლშევიკებისათვის პარტიის III ყრილობის მოსაწვევად ბრძოლის პროგრამა გახდა.

19-ის დეკლარაცია გამოსცა რსდმ პარტიის მოსკოვის კომიტეტმა 1904 წლის ოქტომბერში სათაურით „მიმართვა რსდმ პარტიის წევრებისადმი“ (იხ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული „რსდმ პარტიის მესამე ყრილობა“, მოსკოვი, 1955, გვ. 99—106, რუს.). — **167**.

197 ეს თარიღები აღნიშნავენ პერიოდს 22 ბოლშევიკის თათბირიდან (1904 წლის აგვისტოს პირველი ნახევარი) რსდმ პარტიის III ყრილობამდე, რომელიც მიმდინარეობდა 1905 წლის 12 (25) აპრილიდან 27 აპრილამდე (10 მაისამდე). — **167**.

198 იგულისხმება ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყება, რომელიც 1905 წლის 14 (27) ივნისს დაიწყო. აჯანყებული ჯავშნოსანი მივიდა ოდესაში, სადაც ამ დროს საყოველთაო გაფიცება მიმდინარეობდა. მაგრამ ოდესის მუშებისა და მატროსების ერთობლივი გამოსვლებისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობებით ვერ ისარგებლეს. ოდესის ბოლშევიკური ორგანიზაცია მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შედეგად დასუსტებული იყო, იქ არ არსებობდა ერთიანობა. მენშევიკები კი შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი იყვნენ და მუშებსა და მატროსებს აკავებდნენ შეტევითი ბრძოლისაგან. მეფის მთავრობამ „პოტიომკინის“ აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა შავი ზღვის მთელი ფლოტი, მაგრამ მატროსებმა უარი თქვეს ესროლათ აჯანყებული ხომალდისათვის და მეთაურები იძულებული გახდნენ უკან წაეყვანათ ესკადრა. ზღვაში თერთმეტი დღის ხეტიალის შემდეგ სურსათსა და ქვანახშირს მოკლებული ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ იძულებული შეიქნა რუმინეთისაკენ წასულიყო და რუმინეთის ხელისუფალთ ჩაბარებოდა. მატროსების უმრავლესობა საზღვარგარეთ დარჩა. ისინი კი, ვინც რუსეთში დაბრუნდა, დაუპატიმრეს და სამართალში მისცეს.

ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ უდიდესი სამხედრო ხომალდის ეკიპაჟის გადასვლა რევოლუციის მხარეზე დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის განვითარებაში. ამ აჯანყების მნიშვნელობის შეფასებისას ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს იყო „რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ი ს ბ ი რ თ ვ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს გ ზ ა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 667). — **167**.

199 იმის დადგენა, განახორციელა თუ არა ვ. ი. ლენინმა თავისი განზრახვა დაეწერა და გამოეცა შესაბამისი ფურცელი (პროკლამაცია), ვერ მოხერხდა. — **169**.

200 „მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი“ — ერთ-ერთი უძველესი რუსული გაზეთი; სცემდა მოსკოვის უნივერსიტეტი 1756 წლიდან (თავდაპირველად პატარა ფურცლის სახით). 1863—1887 წლებში „მოსკოვს-

კიე ვედომოსტის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო მ. ნ. კატკოვი — უკიდურესი რეაქციონერი და შოვინისტი. ამ წლებში გაზეთი გადაიქცა მონარქიულ-ნაციონალისტურ ორგანოდ, რომელიც მემამულეთა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული ფენების შეხედულებებს ატარებდა; 1905 წლიდან „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო იყო. გამოდიოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. — **171**.

201 „ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო პ ი“ — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ისტორიულ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866—1918 წლებში. ჟურნალში იბეჭდებოდა რევოლუციონერ მარქსისტთა წინააღმდეგ მიმართული სტატიები. — **172**.

202 „რ უ ს“ — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1903 წლის დეკემბრიდან. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ა. ა. სუვორინი. 1905 წლის რევოლუციის დროს „რუს“ ახლოს იდგა კადეტებთან, მაგრამ კიდევ უფრო ზომიერი პოზიცია ეკავა. „რუს“ დაიხურა 1905 წლის 2 (15) დეკემბერს. შემდეგ გაზეთი დროგამოშვებით გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „რუს“, „მოლვა“, „XX ვეკ“, „ოკო“, „ნოვაია რუს“. — **172**.

203 „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი“ — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი; რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო, რომელიც პარტიის III ყრილობის დადგენილებით შეიქმნა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 27 აპრილს (10 მაისი) პლენუმის გადაწყვეტილებით ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი. გაზეთი გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. „პროლეტარი“ განაგრძობდა ძველი, ლენინური „ისკრის“ ხაზს და ბოლშევიკური გაზეთის „ვპერიოდის“ სრული მემკვიდრე იყო.

ლენინმა გაზეთში 90-მდე სტატია და შენიშვნა გამოაქვეყნა.

რედაქციის მუშაობაში მუდამ მონაწილეობდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი. რედაქციაში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ნ. კ. კრუპსკაია, ვ. მ. ველიჩკინა, ვ. ა. კარპინსკი. გაზეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის მუშათა მოძრაობასთან; მის ფურცლებზე იბეჭდებოდა იმ მუშათა სტატიები და წერილები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ადგილობრივ კორესპონდენციებს აგროვებდნენ და ჟენევაში გზავნიდნენ ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, ს. ი. გუსევი და ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან და მკითხველებთან რედაქციის მიმოწერას აწარმოებდნენ ნ. კ. კრუპსკაია და ლ. ა. ფოტიევა.

„პროლეტარი“ დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა რუსეთისა და საერ-

თაშირისო მუშათა მოძრაობის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, ულმობლად იბრძოდა მენშევიკებისა და სხვა ოპორტუნისტული, რევიზიონისტული ელემენტების წინააღმდეგ. გაზეთი დიდ მუშაობას ეწეოდა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის და დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლშევიკების ორგანიზაციულ და იდეურ შეკავშირებაში.

1905 წლის ნოემბრის დამდეგს რუსეთში ლენინის გამგზავრების შემდეგ გაზეთის გამოცემა მალე შეწყდა. უკანასკნელი ორი ნომერი (25-ე და 26-ე) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით, მაგრამ მათთვისაც ლენინმა დაწერა რამდენიმე სტატია, რომლებიც უკვე ჟენევიდან მისი გამგზავრების შემდეგ გამოქვეყნდა. — **172**.

204 ამ საკითხის გამო მენშევიკური „ისკრა“ და ბუნდი ლენინმა გააკრიტიკა სტატიაში „თვითწარმოშობის თეორია“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 297—304). — **172**.

205 ვ. ი. ლენინს სტატია არ დაუწერია. — **172**.

206 კ ა დ ე ტ ე ბ ი — კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის, რუსეთის ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის წამყვანი პარტიის წევრები. კადეტების პარტია 1905 წლის ოქტომბერში შეიქმნა; მის შემადგენლობაში შედიოდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ერობის მოღვაწე მემამულეები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები. კადეტთა თვალსაჩინო მოღვაწენი იყვნენ პ. ნ. მილიუკოვი, ს. ა. მურომცევი, ვ. ა. მაკლაკოვი, ა. ი. შინგარიოვი, პ. ბ. სტრუვე, თ. ი. როდიჩევი და სხვ. მწვრომელი მასების მოსატყუებლად კადეტებმა დაირქვეს ყალბი სახელი „სახალხო თავისუფლების პარტია“, სინამდვილეში კი კონსტიტუციური მონარქიის მოთხოვნებს არ გასცილებიან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტები გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელ მტრებად, მონაწილეობდნენ ინტერვენტთა ყველა შეიარაღებულ კონტრრევოლუციურ გამოსვლასა და ლშქრობაში. ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა განადგურების შემდეგ ემიგრაციაში ყოფნის დროსაც არ წყვეტდნენ კადეტები თავიანთ ანტისაბჭოურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. — **178**.

207 „ნ ა შ ა ე ი ზ ნ“ — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში დროგამოშვებით 1904 წლის 6 (19) ნოემბრიდან 1906 წლის 11 (24) ივლისამდე. — **178**.

208 „ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი“ — ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსდა 1880 წელს. გამოდიოდა პეტერბურგში თავდაპირველად კვირაში სამჯერ, მერე ოთხჯერ, შემდეგ კი ყოველდღიურად. 1902 წლის ნოემბრიდან გამოდიოდა დღეში ორჯერ: დილით და საღამოს. შემგუებლობამ, გამყიდველობამ, უბრინციპობამ გაზეთის სახელწოდება სა-

ზოგადო სახელად („ბირჟევკა") გადააქცია. „ბირჟევიე ვედომოსტი" დახურა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის ოქტომბრის დამლევს. — **178.**

209 იგულისხმება კ. მარქსის გამონათქვამები ლენდრიე-როლენის შესახებ ნაშრომში „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე" (იხ. კ. მარქსი, და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტომი I, 1963, გვ. 112—262). —**178.**

210 დოკუმენტში „ოსვობოჟდენიელის საუბარი სოციალ-დემოკრატთან", რომელიც გადმოცემულია დიალოგის სახით, ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ბურჟუაზიული ლიბერალების ტაქტიკურ ხაზს. ჟურნალ „ოსვობოჟდენიეში" და სხვა ბეჭდვითს ორგანოებში ისინი მკაცრად ილაშქრებდნენ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ, გადაჭრით უარყოფდნენ ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის იდეას და ამ სათათბიროში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ.

კაუცკის პოზიციას დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხში („შენიშვნის" მე-3 პუნქტი) ლენინი აკრიტიკებს თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 120—121).

„ხნიერი" მუშების გამოყენების საკითხს („შენიშვნის" მე-5 პუნქტი) ვ. ი. ლენინი აყენებს 1905 წლის 30 სექტემბერს (13 ოქტომბერს) ს. ი. გუსევისათვის მიწერილ წერილში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 405—406).

პარლამენტისადმი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების საკითხი („შენიშვნის" მე-6 პუნქტი) ვ. ი. ლენინმა განაცხადა 1905 წლის 28 სექტემბერს (11 ოქტომბერს) ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი მიწერილ წერილში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 398—399).—**174.**

211 „*The Economist*" („ეკონომისტი") — ინგლისური ყოველკვირეული ეკონომიურ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან; მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანოა. — **176.**

212 გაზეთ „პროლეტარის" 1905 წლის 16 (3) ნოემბრის № 25-ში გამოქვეყნდა ვ. ა. კარპინსკის სტატია „გლეხთა ყრილობა", რომელსაც ხელს აწერდა ვ. კალინინი. ლენინმა სტატიის რედაქტირების დროს ორგან ჩაამატა ტექსტი. — **177.**

213 „შვიდი გადანაწილება" — ლოზუნგი, რომელიც გამოხატავდა გლეხთა მისწრაფებას მიწის ხელახალი საყოველთაო გადანაწილებისა და მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობისაკენ.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა" აღნიშნავდა, რომ „შვიდი გადანაწილების" მოთხოვნაში, წვრილი გლეხური წარმოების გამარადისების რეაქციულ უტოპიასთან ერთად, არის რევოლუციური მხარეც, სახელდობრ: „იმის

სურვილი, რომ გლეხთა აჯანყების საშუალებით აღიგაჯოს ბატონყმური წყობილების ყველა ნაშთი“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 163).

მოგვიანებით, რსდმ პარტიის მეორე ყრილობაზე, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ გლეხობა ჩვენი პროგრამით არ დაკმაყოფილდება, რომ იგი უფრო შორს წავაო; მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია, ამისთვის ჩვენ გვაქვს ჩვენი სოციალისტური პროგრამა, და ამიტომ ჩვენ არ გვეშინია არც მიწის გადაყოფისა...“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 617). — **177.**

214 რსდმ პარტიის პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენცია პეტერბურგის კომიტეტმა მოიწვია 1906 წლის 11 (24) თებერვალს სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. მას დაესწრო 65 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. კონფერენციის დელეგატთა არჩევნები წარმოებდა ბოლშევიკთა და მენშევიკთა ტაქტიკური პლატფორმების განხილვისა და კენჭისყრის შემდეგ ამ ანგარიშით, რომ პარტიის 30 ხმისმიმცემი წევრისაგან აერჩიათ ერთი დელეგატი. ბოლშევიკებმა არჩევნებში მნიშვნელოვანი უმრავლესობა მიიღეს. მენშევიკებმა მოითხოვეს გაბათილებულად ეცილებინათ რსდმ პარტიის თითქმის მთლიანად ბოლშევიკებისაგან შემდგარი საოლქო ორგანიზაციის ხმები. რსდმ პარტიის საოლქო ორგანიზაციის საკითხის განხილვის დროს ლენინი გამოდიოდა შენიშვნებითა და რეპლიკებით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 134—137). კონფერენციამ დაამტკიცა საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენლობა. მან მოისმინა პეტერბურგის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მიიღო ლენინის რეზოლუცია, რომელიც კონფერენციის წარმომადგენლობას კანონიერად ცნობდა, კონფერენციას — სრულუფლებიანად და მის გადაწყვეტილებებს — სავალდებულოდ. მოხსენება სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ გააკეთა ლენინმა (კონფერენციის მდივნის ჩანაწერებში ლენინის მოხსენება არ არის). მოხსენების დასასრულს ლენინმა გამოაქვეყნა რეზოლუცია აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ. მენშევიკების რეზოლუცია გამოაქვეყნა მარტოვმა. 36 ხმის უმრავლესობით 29-ის წინააღმდეგ კონფერენციამ მხარი დაუჭირა სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკას. მაგრამ აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის დაწერილებითი მოტივირების შემცველი რეზოლუციის მიღება კონფერენციამ ვერ მოასწრო.

აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ რეზოლუციის განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად თებერვლის დამლევს — მარტის დამდეგს მოწვეულ იქნა პეტერბურგის ორგანიზაციის მეორე საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელსაც 62 დელეგატი დაესწრო. კონფერენციამ განიხილა ლენინისა და მარტოვის რეზოლუციები და მენშევიკების მიერ დამატებით შეტანილი ოხტის რაიონის რეზოლუცია.

ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ 35 ხმის უმრავლესობით 24-ის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა, კონფერენციამ საფუძვლად მიიღო ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკის შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რეზოლუციის საბოლოო რედაქტირებისათვის კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელშიც შევიდა ლენინი. მენშევიკებმა უარი განაცხადეს კომისიაში მონაწილეობაზე და დატოვეს კონფერენცია. — **178**.

215 იგულისხმება ი. ა. კონოვალოვის (ნიკოლაის) მიერ რსდმ პარტიის პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1906 წლის 11 (24) თებერვალს შეტანილი წინადადება იმის შესახებ, რომ შეწყვეტილიყო კამათი საოლქო და ვიბორგის ორგანიზაციების გამო; კენჭისყრა მიეჩნიათ სწორად, ხოლო წარმომადგენლობა—კანონიერად და კონფერენცია შესდგომოდა დღის წესრიგის განხილვას. — **179**.

216 რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) კრილობა გაიმართა სტოკჰოლმში 1906 წლის 10—25 აპრილს (23 აპრილს—8 მაისს).

კრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრებოდა 112 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ რსდმ პარტიის 57 ადგილობრივ ორგანიზაციას, და 22 დელეგატი სათათბირო ხმით. კრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ ეროვნული ორგანიზაციები: პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ბუნდი და ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და ფინეთის მუშათა პარტია. გარდა ამისა, კრილობას ესწრებოდა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი.

ბოლშევიკ დელეგატებს შორის იყვნენ ვ. ი. ლენინი, ვ. ვ. ეროვსკი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ნ. კ. კრუპსკაია, ა. ვ. ლუნაჩარსკი, თ. ა. სერგეევი (არტემი), ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ბ. სტალინი, მ. ვ. ფრუნზე, ს. გ. შაუმიანი, ე. მ. იაროსლავსკი.

კრილობის უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მრავალი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც სათავეში ედგნენ მასების შეიარაღებულ გამოსვლებს, გადაგურებული იყვნენ და არ შეეძლოთ თავიანთი დელეგატების გამოგზავნა. ცენტრი, ურალი, ციმბირი, ჩრდილოეთი — ბოლშევიკების დასაყრდენი — წარმოდგენილი იყვნენ მცირერიცხოვანი დელეგატებით. მენშევიკებს კი, რომელთაც გაცილებით მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები ჰქონდათ ქვეყნის არასამრეწველო რაიონებში, სადაც არ იყო მასობრივი რევოლუციური გამოსვლები, საშუალება მიეცათ მეტი დელეგატები გაეგზავნათ.

კრილობაზე ყველა საკითხის გარშემო ცხარე ბრძოლა წარმოებდა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ლენინი გამოდიოდა მოხსენე-

ბებითა და სიტყვებით აგრარულ საკითხზე, თანამედროვე მომენტის შეფასებისა და პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების, სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების, შეიარაღებული აჯანყებისა და სხვა საკითხებზე; მონაწილეობდა რსდმ პარტიის წესდების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 331—371). მენშევიკთა რიცხობრივმა სიჭარბემ განაპირობა ყრილობის გადაწყვეტილებათა ხასიათი. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა მენშევიკური რეზოლუციები სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, შეიარაღებული აჯანყების შესახებ, მიიღო მენშევიკების აგრარული პროგრამა.

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხში ყრილობა დაკმაყოფილდა ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესის რეზოლუციის დადასტურებით. ყრილობამ განხილვის გარეშე მიიღო კომპრომისული რეზოლუცია პროფესიული კავშირების შესახებ და გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ამასთან ერთად პარტიული მასების მოთხოვნით ყრილობამ მიიღო წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება და, ამრიგად, უარყო მარტოვის ოპორტუნისტური ფორმულირება. წესდებაში პირველად იქნა შეტანილი ბოლშევიკური ფორმულირება დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ.

ყრილობაზე გადაწყდა გაერთიანება პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიასთან და ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რომლებიც რსდმ პარტიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც აღნიშნული ტერიტორიის ყველა ეროვნების პროლეტარიატს შორის მომუშავე ტერიტორიული ორგანიზაციები.

ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა 3 ბოლშევიკი და 7 მენშევიკი. ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „სოციალ-დემოკრატის", რედაქციაში მხოლოდ მენშევიკები იქნენ შეყვანილი.

პარტიის ისტორიაში ყრილობა შევიდა როგორც „გამაერთიანებელი". მაგრამ ყრილობაზე მოხდა რსდმ პარტიის მხოლოდ ფორმალური გაერთიანება. სინამდვილეში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს ჰქონდათ თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი პლატფორმა რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებში და ფაქტობრივად წარმოადგენდნენ ორ პარტიას. ყრილობის მუშაობის ანალიზი ლენინს მოცემული აქვს ბროშურაში „მოხსენება რსდმ პარტიის გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ (წერილი პეტერბურგელ მუშებს)" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 10, გვ. 379—463) — 179.

217 რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მე-2 სხდომაზე განიხილებოდა ყრილობის რეგლამენტი გაერთიანებული ცენტრალური

კომიტეტის პროექტის გამო. ყრილობის ბიუროში შეტანილ განცხადებათა სახელობითი კენჭისყრის საკითხის გარშემო გაჩაღდა კამათი. შეტანილი იყო ორი წინადადება: ბოლშევიკ პ. პ. რუმიანცევისა (შმიდტის) და მენშევიკ მ. ა. ლურიესი (ლარინისა). ხმების უმრავლესობით ყრილობამ მიიღო რუმიანცევის წინადადება (იხ. „რსდმ პარტიის მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა. 1906 წლის აპრილი (აპრილ—მაისი). ოქმები". მოსკოვი, 1959, გვ. 11—16, რუს.). — **179**.

218 რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მე-3 სხდომაზე დღის წესრიგის საკითხის განხილვის დროს მენშევიკმა თ. ი. დანმა აზრი გამოთქვა ყრილობის დღის წესრიგში მომდინარე მომენტის შეფასების საკითხის შეტანის წინააღმდეგ. — **180**.

219 იგულისხმება მეორე პუნქტი რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტისა „პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანები დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში". — **181**.

220 რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის 24-ე სხდომაზე გადაწყდა რსდმ პარტიასთან პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანების საკითხი. — **181**.

221 „რ ე ჩ" — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 23 თებერვლიდან (8 მარტიდან) პ. ნ. მილიუკოვისა და ი. ვ. ჰესენის ფაქტობრივი რედაქციით, მ. მ. ვინავერის, პ. დ. დოლგორუკოვის, პ. ბ. სტრუვესა და სხვათა უახლოესი მონაწილეობით. გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). 1918 წლის აგვისტომდე გაზეთი გამოსვლას განაგრძობდა სხვადასხვა სახელწოდებით: „ნაშა რეჩ", „სეობოდნაია რეჩ", „ვეკ", „ნოვაია რეჩ", „ნაშ ვეკ". — **181**.

222 I სახელმწიფო სათათბირო (ეგრეთ წოდებული ვიტეს სათათბირო) მოწვეულ იქნა 1906 წლის 27 აპრილს (10 მაისს) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ს. ი. ვიტეს მიერ შემუშავებული დებულებით.

სათათბიროში არჩეული იყო 478 დეპუტატი, მათგან ერთ მესამედზე მეტი კადეტთა პარტიას ეკუთვნოდა. 1906 წლის 8 (21) ივლისს I სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს.

შ რ ო მ ი ს ჯ გ უ ფ ი (ტრუდოვიკები) — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა ჯგუფი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროებში. იგი შედგებოდა გლეხებისა და ნაროდნიკთა ყაიდის ინტელიგენტებისაგან. ტრუდოვიკების ფრაქცია შეიქმნა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხთა დეპუტატებისაგან.

სახელმწიფო სათათბიროში ტრუდოვიკები მერყეობდნენ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ამ მერყეობას განაპირობებდა წვრილ მეურნეთა — გლეხთა თვით კლასობრივი ბუნება. ვინაიდან ტრუდოვიკები ასე თუ ისე წარმოადგენდნენ გლეხთა მასებს, ბოლშევიკები სათათბიროში ახორციელებდნენ მათთან ცალკეულ საკითხებში შეთანხმების ტაქტიკას მეფის თვითმპყრობელობისა და კადეტებს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. 1917 წელს შრომის ჯგუფი შეუერთდა „სახალხო სოციალისტების“ პარტიას, აქტიურად უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ტრუდოვიკები გამოდიოდნენ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მხარეზე. — **183**.

223 „ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა“ — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლამდე; ეკუთვნოდა სხვადასხვა გამომცემელს და არაერთგზის შეიცვალა თავისი პოლიტიკური მიმართულება. ჯერ ზომიერ-ლიბერალური იყო, ხოლო 1876 წლიდან, მას შემდეგ, რაც მისი გამომცემელი ა. ს. სუვორინი გახდა, გაზეთი გადაიქცა რეაქციული თავდაზნაურული და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. 1905 წლიდან შავრაზმელთა ორგანო იყო. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გაზეთი მთლიანად უჭერდა მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და გაცოფებით დევნიდა ბოლშევიკებს. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს).—**184**.

224 „მ ი ს ლ“ — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, ესერების პარტიის ლეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 20 ივნისიდან (3 ივლისიდან) 6 (19) ივლისამდე ნაცვლად დახურული გაზეთისა „გოლოს“. გამოვიდა 15 ნომერი. — **185**.

225 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ო რ ე კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა („პ ი რ ვ ე ლ ი ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ა“) გაიმართა 1906 წლის 3—7 (16—20) ნოემბერს ტამერფორსში. კონფერენციას ესწრებოდა 32 დელეგატი გადამწყვეტი ხმით: 11 მენშევიკებისაგან, 7 ბუნდელებისაგან, 6 ბოლშევიკებისაგან, 5 პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისაგან, 3 ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიისაგან. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრები ესწრებოდნენ სათათბირო ხმის უფლებით.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. საარჩევნო კამპანია. 2. პარტიის ყრილობა. 3. მუშათა ყრილობა. 4. შავრაზმელებთან და დარბევებთან ბრძოლა. 5. პარტიზანული გამოსვლები.

მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მოაწყო მთელი რიგი ფიქციური ორგანიზაციების წარმომადგენლობა, მენშე-

ვიკებისათვის უზრუნველყო უმრავლესობა კონფერენციაზე. ამან შეაძლებელი გახადა კონფერენციისათვის თავს მოეხვიათ მენშევიკური რეზოლუციები მთელ რიგ საკითხებზე. კონფერენციამ 18 ხმით (მენშევიკები და ბუნდელები) 14-ის წინააღმდეგ მიიღო მენშევიკური რეზოლუცია „რსდმ პარტიის ტაქტიკის შესახებ საარჩევნო კამპანიაში“, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდა ბლოკი კადეტებთან. ამ ოპორტუნისტული რეზოლუციის საპირისპიროდ ლენინმა 14 დელეგატის სახელით შეიტანა „განსაკუთრებული აზრი“ — საარჩევნო კამპანიის ბოლშევიკური პლატფორმა, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული მუშათა პარტიის ორგანიზაციული და იდეური დამოუკიდებლობის აუცილებლობა. „განსაკუთრებულ აზრს“ დასაშვებად მიაჩნდა დროებითი შეთანხმებანი მხოლოდ ტრუდოვიკებთან და ესერებთან როგორც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლებთან (იხ. ამ ტომის გვ. 189—190). კონფერენციაზე ლენინმა გააკრიტიკა საარჩევნო პლატფორმის მენშევიკური პროექტი, რომელიც კონფერენციის დასამტკიცებლად წარმოუდგინა ცენტრალურმა კომიტეტმა, და წამოაყენა მთელი რიგი შესწორებანი მასში შესატანად. ბოლშევიკთა ზემოქმედების შედეგად კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია საარჩევნო პლატფორმის პროექტში შესწორებათა შეტანის შესახებ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია „ადგილებზე საარჩევნო კამპანიის ერთიანობის შესახებ“ ლენინის შესწორებით. ეს შესწორება ზღუდავდა მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს ადგილებზე განეხორციელებინა კადეტებთან ბლოკის ტაქტიკა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 380—382).

ლენინი კონფერენციაზე დაბეჯითებით მოითხოვდა პარტიის ყრილობის სასწრაფოდ მოწვევას. კონფერენციამ დაადგინა მორიგი ყრილობა მოწვეულიყო არა უგვიანეს 1907 წლის 15 (28) მარტისა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები მოითხოვდნენ „მუშათა ყრილობის“ საკითხის განხილვას და ამ ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა პარტიული დისციპლინის დარღვევად მიაჩნდათ, კონფერენციას ეს საკითხი არ განუხილავს და დაკმაყოფილდა კომპრომისული რეზოლუციის მიღებით „მუშათა ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციის ფარგლების საკითხისათვის.“

შავრაზმელებთან და დარბევებთან ბრძოლისა და პარტიზანული გამოსვლების საკითხები დროის უქონლობის გამო არ განხილულა. კონფერენციამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს კონფერენციის მოკლე ანგარიშში გამოექვეყნებინა რეზოლუციების ყველა პროექტი და განსაკუთრებული აზრი. მიუხედავად ამისა, მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი ორგანო „სოციალ-დემოკრატში“ გამოაქვეყნა მხოლოდ კონფერენციის რეზოლუციები, ხოლო ბოლშევიკების „განსაკუთრებული აზრი“ გამოტოვა.

კონფერენციის მუშაობის ანალიზი და კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიებში „კადეტებთან ბლოკების შესახებ“ და „ბრძოლა მოკადეტო სოციალ-დემოკრატებთან და პარტიული დისციპლინა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 361—376, 377—382). — **186.**

226 ლენინის მოხსენებას საფუძვლად უდევს ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც შემდგომ კონფერენციას წარედგინა როგორც „განსაკუთრებული აზრი“ პოლონეთის, ლატვიის მხარის, პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალური სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სახელით (იხ. ამ ტომის გვ. 189—192).

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატია (1906 წლამდე—ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) შეიქმნა 1904 წლის ივნისში პარტიის I ყრილობაზე. 1905 წლის ივნისში ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა. 1905—1907 წლებში ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ხელმძღვანელობდა მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს. ლენინი აღნიშნავდა, რომ „რევოლუციის დროს ლატვიის პროლეტარიატსა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიას ერთ-ერთი პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ თვითმპყრობელობისა და ძველი წყობილების მთელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 324).

რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე 1906 წელს ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შევიდა რსდმ პარტიის შემადგენლობაში როგორც ტერიტორიული ორგანიზაცია. ყრილობის შემდეგ მას ეწოდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატია. — **186.**

227 ლაპარაკია სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციის ბოლშევიკურ პროექტზე, რომელიც ლენინმა დაწერა. ეს პროექტი უმნიშვნელო შემცირებებით მოჰყავს ლენინს სტატიაში „სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 23—29). — **188.**

228 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია „ტაქტიკის შესახებ“, რომელიც 1906 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დამდეგს გამართულმა ბუნდის VII ყრილობამ მიიღო. — **190.**

229 II სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბა 1907 წლის 20 თებერვალს (5 მარტს). სათათბიროს არჩევნები არ იყო პირდაპირი, თანასწორი და მიმდინარეობდა სამხედრო-საველე სასამართლოებისა და რეპრესიების ვითარებაში. მიუხედავად ამისა, მეორე სათათბირო თავისი შემადგენლობით პირველ სათათბიროზე მემარცხენე აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო პარტიების უფრო აშკარა და მკვეთრი გამიჯვნა, ვიდრე პირველი სათათბიროს პერიოდში, მასების კლასობრივი შეგნების ზრდა, აგრეთვე ბოლშევიკების მონაწილეობა არჩევნებში.

ბოლშევიკებმა სათათბირო გამოიყენეს ტრიბუნად ცარიზმისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის გამცემლური როლის მხილებისათვის, პარტიის რევოლუციური პროგრამის გამოცხადებისა და პროპაგანდისათვის, ლიბერალთა გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლებისა და სათათბიროში მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლთა რევოლუციური ბლოკის შექმნისათვის. ბოლშევიკების ხაზი იყო საპარლამენტო დაწესებულებებში პროლეტარიატის წარმომადგენელთა მოქმედების ახალი, რევოლუციურ-მარქსისტული ხაზი. მენშევიკები კი სათათბიროში ახორციელებდნენ კადეტთა მხარდაჭერის ოპორტუნისტულ ტაქტიკას.

1907 წლის შუა პერიოდში, როცა ნათელი გახდა, რომ მუშებსა და გლეხებს არ ეყოთ ძალები ცარიზმზე გამარჯვებისათვის, მეფის მთავრობამ გადაწყვიტა გაერეკა სათათბირო. 1907 წლის 2 (15) ივნისს ღამით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დააპატიმრეს, ხოლო 3 (16) ივნისს II სახელმწიფო სათათბირო მეფის ბრძანებულებით დაითხოვეს. — **190**.

230 სიონისტ-სოციალისტები — სიონისტურ-სოციალისტური მუშათა პარტიის, წვრილბურჟუაზიული ებრაული ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრები. ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1904 წელს. ებრაელი პროლეტარიატის მთავარ ამოცანად სიონისტ-სოციალისტებს მიაჩნდათ ბრძოლა საკუთარი ტერიტორიის შეძენისა და საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის. ისინი ჭადაგებდნენ კლასობრივ თანამშრომლობას ებრაელ ბურჟუაზიასთან, ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ ებრაელი მუშები რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისაგან, ლამობდნენ მტრობა დაეთესათ სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის. სიონისტ-სოციალისტთა ნაციონალისტური საქმიანობა აჩლუნგებდა ებრაელი მუშების კლასობრივ შეგნებას, დიდ ზიანს აყენებდა მუშათა მოძრაობას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ სიონისტურ-სოციალისტური მუშათა პარტია ებრაელთა სოციალისტურ მუშათა პარტიასთან გაერთიანდა ებრაელთა ერთიან სოციალისტურ მუშათა პარტიად. — **192**.

231 ენესები („სახალხო სოციალისტები“) — წევრები წვრილბურჟუაზიული შრომის სახალხო-სოციალისტური პარტიისა, რომელიც 1906 წელს გამოეყო სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მემარჯვენე ფრთას (ესერებს). ენესები კადეტებთან ბლოკის მომხრენი იყვნენ. ლენინი მათ უწოდებდა „სოციალ-კადეტებს“, „მეშჩანურ ოპორტუნისტებს“, „ესერულ მენშევიკებს“, რომლებიც კადეტებსა და ესერებს შორის მერყეობდნენ, ამასთან ხაზს უსვამდა, რომ ეს პარტია „ძალიან ცოტათი განსხვავდება კადეტებისაგან, ვინაიდან იგი პროგრამიდან აგდებს რესპუბლიკასაც და მთელი მიწის მოთხოვნასაც“ (თხზულებანი,

მე-4 გამოც., ტომი 11, გვ 259). პარტიას სათავეში ედგნენ ა. ვ. პეშეხონოვი, ნ. თ. ანენსკი, ვ. ა. მაკოტინი და სხვები. — **192**.

232 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია „მენშევიზმის კრიზისი“, რომელიც „პროლეტარის“ მე-9 ნომერში 1906 წლის 7 (20) დეკემბერს გამოქვეყნდა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 405—434).

„პ რ ო ლ ე ტ ა რ ი“ — ბოლშევიკური არალეგალური გაზეთი. გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ვ. ი. ლენინის რედაქციით; გამოვიდა 50 ნომერი. რედაქციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მ. თ. ვლადიმირსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ი. თ. დუბროვინსკი; ტექნიკურ მუშაობას გაზეთის გამოსაცემად ეწეოდნენ ა. გ. შლიხტერი, ე. ს. შლიხტერი და სხვ. გაზეთის პირველი ოცი ნომერი დასაბეჭდად მოამზადეს და ააწყვეს ვიბორგში. შემდგომ, რუსეთში არალეგალური ორგანოს გამოცემის პირობების ძალზე გაუარესების გამო, რსდმ პარტიის პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების გადაწყვეტილების თანახმად, „პროლეტარის“ რედაქციამ გაზეთის გამოცემა გადაიტანა საზღვარგარეთ (№№ 21—40 გამოვიდა ჟენევაში, №№ 41—50—პარიზში).

„პროლეტარი“ ფაქტობრივად ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო იყო. მთელ ძირითად სამუშაოს „პროლეტარის“ რედაქციაში ლენინი ეწეოდა. „პროლეტარში“ გამოქვეყნდა ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. გაზეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან.

სტოლიპინის რეაქციის წლებში „პროლეტარმა“ თავლსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში, ლიკვიდატორებთან, ოტზოვისტ-ულტიმატისტებთან და ღვთისმშენებლებთან ბრძოლაში.

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაზეთის გამოცემა შეწყდა.—**193**.

233 ლენინს მხედველობაში აქვს ცენტრალური კომიტეტის მიმართვა „ყველა პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მუშა სოციალ-დემოკრატს“ რსდმ პარტიის IV ყრილობის მოწვევის შესახებ. მიმართვა მიღებულ იქნა ლენინის წინადადებით და გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ მე-9 ნომერში 1905 წლის 10 (23) ნოემბერს (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 117—119).

„ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ“—პირველი ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა ყოველდღიურად პეტერბურგში 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე. გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“

ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად ირიცხებოდა პოეტი ნ. მ. მინსკი, გამომცემლად — მ. თ. ანდრეევა. ნოემბრის დამდეგს ემიგრაციიდან პეტერბურგში ვ. ი. ლენინის ჩამოსვლის შემდეგ გაზეთმა გამოსვლა დაიწყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით. რედაქციისა და თანამშრომელთა შემადგენლობა შეცვლილ იქნა. „ნოვაია ჟიზნი“ ფაქტობრივად რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი და სხვები. „ნოვაია ჟიზნში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც გაზეთს აგრეთვე უწევდა დიდ მატერიალურ დახმარებას. გაზეთის საზღვარგარეთელ მონაწილეთა სიაში ითვლებოდნენ როზა ლუქსემბურგი, კარლ ლიბკნეხტი, მარსელ კაშენი, პოლ ლაფარგი და სხვები. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის 14 სტატია. ლენინის ამ სტატიებში დასახულია პარტიის ამოცანები და ტაქტიკა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

„ნოვაია ჟიზნი“ იყო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებისა და ღონისძიების აქტიური გამტარებელი. მან დიდი როლი შეასრულა მასების პოლიტიკურ განათლებასა და დარაზმვაში, ახდენდა მასების მობილიზაციას შეიარაღებული აჯანყებისათვის.

„ნოვაია ჟიზნის“ შესახებ 1905 წლის ოქტომბერში ლენინი წერდა: „ა ხ ლ ა პროლეტარიატზე ჩვენი ზემოქმედებისათვის ყველაზე ფართო ტრიბუნას წარმოადგენს პეტერის ყ ო ე ლ დ ღ ი უ რ ი გაზეთი“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 414).

„ნოვაია ჟიზნი“ მრავალ რეპრესიას განიცდიდა. 27 ნოემბრის გამოსვლის შემდეგ 2 დეკემბერს მეფის მთავრობამ გაზეთი დახურა. უკანასკნელი, 28-ე, ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — 193.

234 იგულისხმება რსდმ პარტიის პირველი კონფერენცია, რომელიც გაიმართა ტამერფორსში (ფინეთი) 1905 წლის 12—17 (25—30) დეკემბერს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ 26 ორგანიზაციის წარმომადგენლები. ლენინი კონფერენციის თავმჯდომარედ აირჩიეს. მონაწილეთა შორის იყვნენ: ლ. მ. კნიპოვიჩი, ლ. ბ. კრასინი, ნ. კ. კრუპსკაია, პ. ფ. კუდელი, ს. ა. ლოზოვსკი, პ. ნ. მოსტოვენკო, ვ. ი. ნევსკი, ვ. ა. რადუს-ზენკოვიჩი, ი. ბ. სტალინი, ვ. ი. ფრიდოლინი, ე. მ. იაროსლავსკი და სხვები. მენშევიკთა წარმომადგენლად ე. ლ. გურევიჩი (ვ. დანეიჩი) ესწრებოდა.

კონფერენციის დღის წესრიგი შემდეგი იყო: 1) მოხსენებანი ადგილებიდან; 2) მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ; 3) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში; 4) რსდმ პარტიის ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ; 5) პარტიის რეორგანიზაციის შესახებ; 6) აგრარული საკითხი; 7) სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

ლენინი გამოვიდა მოხსენებებით მიმდინარე მომენტისა და აგრა-

რული საკითხის შესახებ. კონფერენციამ აზრი გამოთქვა პარტიის ერთიანობის აღდგენის და ბოლშევიკებისა და მენშევიკების პრაქტიკული ცენტრებისა და მათი ლიტერატურული ცენტრალური ორგანოების თანასწორობის საწყისებზე გაერთიანების სასარგებლოდ, აგრეთვე ადგილებზე პარალელური ორგანიზაციების გაერთიანების სასარგებლოდ და დაავალა გაერთიანებულ ცენტრალურ კომიტეტს მოეწვია გამაერთიანებელი ყრილობა. რეზოლუციაში „პარტიის რეორგანიზაცია“ კონფერენციამ რეკომენდაცია გაუწია ფართო არჩევითობის საწყისისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის განხორციელებას. ამ პრინციპისაგან გადახრა დასაშვებად იქნა მიჩნეული მხოლოდ გადაულახავ პრაქტიკულ დაბრკოლებათა შემთხვევაში. „აგრარულ რეზოლუციაში“ (ლენინის მოხსენების გამო) კონფერენციამ, III ყრილობის გადაწყვეტილებათა განვითარების მიზნით, წინადადება წამოაყენა აგრარული პროგრამის პუნქტი „ჩამონაჭრების“ შესახებ შეცვლილიყო ყველა სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო მიწის კონფისკაციის მოთხოვნით. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია I სახელმწიფო სათათბიროს აქტიური ბოიკოტის შესახებ. იმის გამო, რომ მოსკოვში უკვე მიმდინარეობდა შეიარაღებული აჯანყება, კონფერენციამ ლენინის წინადადებით სასწრაფოდ დაამთავრა თავისი მუშაობა და დელეგატები გაემგზავრნენ ადგილებზე, რათა პირადად მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში. — **193**.

235 *„L'Humanité“* („კაცობრიობა“) — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც 1904 წელს ჟ. ჟორესმა დააარსა როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. 1905 წელს გაზეთი მიესალმა რუსეთში დაწყებულ რევოლუციას და ფრანგი ხალხის სოლიდარობა გამოუცხადა „რუს ერს, რომელიც ქმნის თავის 89 წელს“. გაზეთის რედაქციამ მოაწყო სახსრების შეგროვება რუსეთის რევოლუციის სასარგებლოდ. პირველი მსოფლიო ომის წლებში (1914—1918) გაზეთს, რომელიც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელთ იყო, შოვინისტური პოზიცია ეკავა.

1918 წელს გაზეთს სათავეში ჩაუდგა, მისი პოლიტიკური დირექტორი გახდა, საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მარსელ კაშენი. 1918—1920 წლებში გაზეთი ილაშქრებდა საფრანგეთის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელმაც თავისი შეიარაღებული ძალები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მომართა. 1920 წლის დეკემბრიდან, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ, გაზეთი მის ცენტრალურ ორგანოდ იქცა. — **194**.

238 *„La Tribune Russe“* („რუსეთის ტრიბუნა“) — ესერთა პარტიის

საზღვარგარეთული ბიულეტენი, სცემდნენ პარიზში ფრანგულ ენაზე 1904 წლის იანვრიდან 1909 წლის დეკემბრამდე და 1912 წლის ოქტომბრიდან 1913 წლის ივლისამდე; 1904 წელს გამოდიოდა თვეში ორჯერ, ხოლო შემდეგ — ყოველთვიურად. — **194**.

237 რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო და საგუბერნიო კონფერენცია შეიკრიბა 1907 წლის 6 (19) იანვარს ტერიოკში. კონფერენციის კონსტიტუირება მოხდა გადამწყვეტი ხმის მქონე 70 დელეგატის შემადგენლობით (42 ბოლშევიკი და 28 მენშევიკი). სათათბირო ხმით ესწრებოდა მენშევიკური ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს 4 წარმომადგენელი, რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარის“ რედაქციის თითო წარმომადგენელი და სხვები. მანდატების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქვერაიონში, საიდანაც ძირითადად მენშევიკები გავიდნენ, დარღვეული იყო პეტერბურგის კომიტეტის დადგენილება, რომელიც მოითხოვდა, რომ კონფერენციის დელეგატთა არჩევნები შემდგარიყო უეჭველად მას შემდეგ, რაც პარტიის წევრები განიხილავდნენ საკითხს, საჭიროა თუ არა შეთანხმების ღადება კადეტებთან. ასეთი მანდატები კონფერენციამ გაბათილებულად მიიჩნია. კონფერენციამ ხმის უმრავლესობით უარყო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის წინადადება კონფერენციის ორ ნაწილად (საქალაქო და საგუბერნიო) გაყოფის შესახებ არსებული საარჩევნო ოლქების შესაბამისად, რადგან ეს წინადადება მიზნად ისახავდა კონფერენციაზე მენშევიკთა სიჭარბის ხელოვნურად შექმნას. ეს გადაწყვეტილებანი მენშევიკებმა გამოიყენეს იმის საბაბად, რომ კავშირი გაეწყვიტათ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან და შეთანხმებოდნენ კადეტებს; მათ დატოვეს კონფერენცია და ამით გათიშეს პეტერბურგის ორგანიზაცია არჩევნების წინ.

დარჩენილმა დელეგატებმა დაადგინეს გაგრძელებულიყო კონფერენციის მუშაობა. მოხსენება სათათბიროს არჩევნებში საარჩევნო შეთანხმებათა საკითხზე გააკეთა ლენინმა. ვ. ი. ლენინის მოხსენების განხილვის შემდეგ კონფერენციამ დაადასტურა „განსაკუთრებული აზრი“, რომელიც ბოლშევიკებმა შეიტანეს რსდმ პარტიის მეორე („სრულიად რუსეთის პირველ“) კონფერენციაზე (იხ. ამ ტომის გვ. 180—192). კონფერენციამ უარყო კადეტებთან ბლოკი და მიიღო გადაწყვეტილება არჩევნების დროს შეთანხმებოდნენ ესერებსა და ტრუდოვიკებს იმ პირობით, თუ ისინი უარს იტყოდნენ კადეტებთან ყოველგვარ გაერთიანებაზე.

პეტერბურგის კონფერენციის მუშაობა ლენინმა დაწვრილებით გააშუქა ბროშურებში „სოციალ-დემოკრატია და სათათბიროს არჩევ-

ნები“, „„მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა“... (ს.-დ. პუბლიცისტის შენიშვნებიდან)“, სტატიებში „მუშათა პარტიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში“, „სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში“, „31 მენშევიკის პროტესტი“ და სხვ. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 521—551, 552—575, 516—520; ტომი 12, გვ. 1—11, 18—22). — **195**.

238 ეს შენიშვნა დაიბეჭდა 1907 წლის 27 თებერვალს გაზეთ „ნოვი ლუჩის“ მე-7 ნომრის „პრესის მიმოხილვაში“ და წარმოადგენს პასუხს ლ. მარტოვის ფელეტონისა „მეტი გზა აღარაა“, რომელიც დაიბეჭდა „რუსკაია ჟიზნის“ 48-ე ნომერში 1907 წლის 25 თებერვალს (10 მარტს). — **199**.

239 „რ უ ს კ ა ი ა ჟ ი ზ ნ“ — მემარცხენე კადეტური მიმართულების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის 1 (14) იანვრიდან. 14 (27) თებერვლიდან, 38 ნომრიდან, გაზეთი გადავიდა მენშევიკების ხელში; მასში თანამშრომლობდნენ პ. ბ. აქსელროდი, თ. ი. დანი, ვ. ი. ზასულიჩი, ლ. მარტოვი, გ. ვ. პლეხანოვი და სხვ. 2 (15) მარტს გაზეთი დახურეს. — **199**.

240 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს მ ე ხ უ თ ე ყ რ ი ლ ო ბ ა გაიმართა 1907 წლის 30 აპრილს — 19 მაისს (13 მაისს — 1 ივნისს) ლონდონში. ყრილობას ესწრებოდა 336 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 147 ათასზე მეტ წევრს. ბოლშევიკი დელეგატი იყო 105, მენშევიკი — 97, ბუნდელი—57, პოლონელი სოციალ-დემოკრატი—44, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი — 29, „ფრაქციისგარეშენი“ — 4. მსხვილმა სამრეწველო ცენტრებმა ყრილობაზე ბოლშევიკები გაგზავნეს. პეტერბურგის პარტიულმა ორგანიზაციამ გაგზავნა 12 ბოლშევიკი 17 დელეგატიდან, მოსკოვისა და მოსკოვის საოლქო ორგანიზაციებმა — 16 19-იდან, ურალისამ — 19, ივანოვო-ვოზნესენსკის, ვლადიმირის, კოსტრომის საოლქო, ბრიანსკის, ყაზანის, კრასნოიარსკის ორგანიზაციებმა — მხოლოდ ბოლშევიკები. ვ. ი. ლენინი ყრილობაზე აირჩიეს ზემო კამის ორგანიზაციისაგან. ყრილობაზე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამოვიდა დელეგატ ბოლშევიკთა შეკავშირებული ჯგუფი: ა. ს. ბუბნოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ი. თ. დუბროვინსკი, მ. ნ. ლიადოვი, ვ. პ. ნოგინი, მ. ნ. პოკროვსკი, კ. ნ. სამოლოვა, ი. ბ. სტალინი, ა. მ. სტოპანი, ი. ა. ტეოდოროვიჩი, მ. გ. ცხაკაია, ს. გ. შაუმიანი, ე. მ. იაროსლავსკი და სხვ. ყრილობის მუშაობაში სათათბირო ხმით მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. ხანგრძლივი, გაცხარებული კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. 2. სათათბიროს ფრაქციის ანგარიში და ფრაქციის ორგანიზაცია. 3. დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი. 4. სახელმწიფო სათათბირო. 5. „მუშათა ყრი-

ლობა“ და უპარტიო მუშათა ორგანიზაციები. 6. პროფესიული კავშირები და პარტია. 7. პარტიზანული გამოსვლები. 8. უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი და ლოკაუტები. 9. ორგანიზაციული საკითხები. 10. საერთოშორისო კონგრესი შტუტგარტში (1 მაისი, მილიტარიზმი). 11. მუშაობა არმიაში. 12. სხვადასხვა საკითხები. იმის გამო, რომ ყრილობის მუშაობა გაჭიანურდა, საკითხები უმუშევრობის, ეკონომიური კრიზისისა და ლოკაუტების შესახებ, შტუტგარტის საერთაშორისო კონგრესის შესახებ მოიხსნა განხილვიდან.

ლენინი აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმში და თავმჯდომარეობდა ყრილობის მე-6, მე-7, მე-14, მე-15, 27-ე, 34-ე, 35-ე სხდომებს; გამოვიდა მოხსენებით და საბოლოო სიტყვით დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხზე — ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, სიტყვებით ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებისა და სათათბიროს ფრაქციის მოღვაწეობის შესახებ მოხსენების გამო, სიტყვით პარტიის ტაქტიკის საფუძვლებისა და ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადპრინციპიული საკითხების შეტანისათვის ყრილობის დღის წესრიგში; გამოდიოდა სიტყვებით მენშევიკების, ბუნდელების, ტროცკის წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 541—605).

ყრილობაზე ბოლშევიკებს მხარს უჭერდნენ პოლონეთის სამეფოსა და ლატვის სოციალ-დემოკრატიის და ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დელეგატები. რევოლუციური პლატფორმის გარშემო მათი დარაზმვით ბოლშევიკებმა ყრილობაზე უმრავლესობა მიიღეს და მიაღწიეს რევოლუციური მარქსისტული ხაზის გამარჯვებას. ყველა ძირითად საკითხზე ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუციები. ყრილობამ შესწორებანი შეიტანა პარტიის წესდებაში, მოსპო ორცენტრიანობა (ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს არჩევა). შეცვლილი წესდების თანახმად ყრილობა აირჩევდა მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედაქცია კი უნდა დაენიშნა ცენტრალურ კომიტეტს და ემუშავა მისი კონტროლით. წესდება ითვალისწინებდა პერიოდული პარტიული თათბირების მოწვევას პარტიული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს 5 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 2 პოლონელი სოციალ-დემოკრატი, 1 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად აირჩიეს 10 ბოლშევიკი, 7 მენშევიკი, 3 პოლონელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი. ცენტრალური კომიტეტის წევრებად და წევრობის კანდიდატებად აირჩიეს ვ. ი. ლენინი, ფ. ე. ძერჟინსკი, ი. თ. დუბროვინსკი, ვ. პ. ნოგინი, ლ. ბ. კრასინი, ლ. ტიშკა, ი. მარხლევსკი და სხვ. შემდგომ

- ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში წამოყენებულ იქნა კიდევ 3 კაცი: 2 ბუნდელთაგან და 1 ლტოვის მხარის სოციალ-დემოკრატიისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა არასაიმედო იყო (პროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად მეყეობდნენ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის), ყრილობის მუშაობის დასასრულს, ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე, ლენინის მეთაურობით არჩეულ იქნა ბოლშევიკური ცენტრი, რომელშიც შედიოდა გაზეთ „პროლეტარის" რედაქციაც.

რსდმ პარტიის მეხუთე ყრილობა წარმოადგენდა ბოლშევიზმის გამარჯვებას რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ყრილობის გადაწყვეტილებებმა შეაჯამეს ბოლშევიზმის გამარჯვება პარტიის ოპორტუნისტულ, მენშევიკურ ფრთაზე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. ბოლშევიკური ტაქტიკა მიიწონეს როგორც ერთიანი ტაქტიკა მთელი პარტიისათვის. — **200.**

241 ლენინი გამოვიდა ყრილობის მესამე სხდომაზე. ყრილობის დღის წესრიგის პირველი ორი პუნქტის — 1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და 2. სათათბიროს ფრაქციის ანგარიში და ფრაქციის ორგანიზაცია — მიღების შემდეგ, როცა წამოიჭრა ზოგადთეორიული პრინციპული საკითხების (ყრილობის დღის წესრიგის ბოლშევიკური პროექტის 3, 4 და 5 პუნქტები — ეკონომიური ბრძოლის გამწვავებისა და თანამედროვე მომენტის შესახებ, თანამედროვე მომენტში პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ და ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ) დღის წესრიგში შეტანის საკითხი, ბუნდელმა ზელცერმა (ბ. ნ. გროსერმა) ლიბერის შემდეგ წინადადება შეიტანა მოხსნილიყო ამ საკითხების განხილვა. თავმჯდომარემ ბუნდელმა ვინიცკიმ (ვ. დ. მედემმა) წინადადება შეიტანა არ ემსჯელათ ამ საკითხზე, არამედ კენჭი ეყარათ კამათის შეწყვეტისათვის.

მომდევნო, მეოთხე, სხდომაზე ლენინის გამოსვლის შემდეგ დღის წესრიგში ზოგადთეორიული საკითხების შეტანის საკითხზე კამათი გაგრძელდა. ყრილობის მეხუთე სხდომაზე 2 (15) მაისს დღის წესრიგში შეიტანეს პუნქტი „ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ". — **200.**

242 ყრილობის მიერ მიღებული რეგლამენტის მე-4 პუნქტი ითვალისწინებდა სახელობით კენჭისყრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა არანაკლებ 20 დელეგატისა. სახელობითი კენჭისყრა წარმოებდა ბარათებით. ლენინი გამოვიდა იმასთან დაკავშირებით, რომ ყრილობის პრეზიდიუმში შეიტანეს წინადადება სახელობითი კენ-

ჭისყრა მომხდარიყო გაძახებით და არა ბარათების მიცემით. ყრილობის პრეზიდიუმმა 3 ხმის უმრავლესობით 2-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ბარათების გაუქმებას. მაგრამ წამოჭრილ უთანხმოებათა გამო საკითხი გამოტანილ იქნა ყრილობის განსახილველად. ბარათებით სახელობითი კენჭისყრის წესის შენარჩუნებას მხარი დაუჭირა ყრილობის უმრავლესობამ (144 კაცი). — **200**.

243 ლიბერის შესწორებით დაიწყო ყრილობის მენშევიკურ-ბუნდური ოპორტუნისტული ნაწილის იერიში საფუძვლად მიღებულ ბოლშევიკური რეზოლუციაზე ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ლიბერმა წინადადება შეიტანა გამოეტოვებინათ თეორიული რეზოლუციის პირველი ნაწილი: „სოციალ-დემოკრატიის წინაშე ამჟამად განსაკუთრებული შეუპოვრობით წამოყენებულია ამოცანა გამოარკვიოს სხვადასხვა არაპროლეტარული პარტიების კლასობრივი შინაარსი, გაითვალისწინოს კლასთა ურთიერთდამოკიდებულება დღევანდელ მომენტში და ამის შესაბამისად განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი". ლიბერის შესწორება ყრილობამ არ მიიღო. „ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ" რეზოლუციის გამო შესწორებათა თაობაზე იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 621—628. — **202**.

244 ლენინი თავის გამოსვლაში უპასუხებს თ. ი. დანს, რომელიც წინააღმდეგი იყო ბოლშევიკების წინადადებისა ყრილობისათვის ეწოდებინათ მეხუთე, ვითომდა იმის გამო, რომ არ გაღრმავებულიყო ფრაქციული უთანხმოებანი. სინამდვილეში კი მენშევიკები და ბუნდელები არ ცნობდნენ პარტიის III, ბოლშევიკურ, ყრილობას. მიღებულ იქნა ბუნდელი შანინის (ლ. გ. შაპიროს) წინადადება ყრილობისათვის ეწოდებინათ „რსდმ პარტიის ლონდონის ყრილობა". — **202**.

245 ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის II ყრილობის რეზოლუციის პროექტი „პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის თანამედროვე მომენტში", რომელიც ლენინმა დაწერა, ყრილობის ოქმებს დაურთეს განუხილველად და ჭამოქვეყნდა გაზეთ „Zihņa"-ს 78-ე ნომერში 1907 წლის 7 ივლისს. ყრილობის ოქმები არ შემონახულა.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის II ყრილობა გაიმართა ლონდონში 1907 წლის 21—25 მაისს (3—7 ივნისს) რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის დამთავრებისთანავე. ყრილობის წინ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატია თავის რიგებში ითვლიდა 13 ათასამდე ორგანიზებულ წევრს. ყრილობას ესწრებოდა 26 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 10 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობის დღის წესრიგი: 1. ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კო-

მისიისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიში. 2. კრიზისები, ლოკაუტები და უმუშევრობა. 3. პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში. 4. არმიაში აგიტაციის შესახებ. 5. პროფკავშირების შესახებ. 6. პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ. 7. ორგანიზაციული საკითხები და სხვ. აგრარული საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, რითაც გამოვლინდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის მცდარი პოზიცია.

ყრილობაზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებსა და ოპორტუნისტებს შორის, განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო.

ვ. ი. ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ყრილობის მუშაობაში. იგი გამოვიდა 1907 წლის 24 მაისს (6 ივნისს) სხდომაზე მოხსენებით პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში (შემონახულია მოხსენების მხოლოდ მეტად უხეირო ჩანაწერი — უკე თარგმანი ლატვიური ენიდან რუსულ ენაზე, შესრულებული პოლიციის დეპარტამენტში). ყრილობამ ცხადყო, რომ ბოლშევიზმმა ლატვიაში მტკიცე პოზიციები მოიპოვა: პროფესიული კავშირების, უმუშევრობის, დემოკრატიული და სამხედრო ორგანიზაციების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებანი ბოლშევიკური ხასიათისა იყო.

ყრილობამ აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ძირითადად რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაგან შედგებოდა, და ცენტრალურ კომიტეტს დაავალა გამოექვეყნებინა ბოლშევიკური სულისკვეთებით შედგენილი მანიფესტი „მთელ ლატვიელ პროლეტარიატს“.

„Zihņa“ („Ciņa“) („ბრძოლა“) — გაზეთი, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1904 წლის მარტში. არალეგალურად გამოდიოდა რიგაში დიდი შუალედებით 1909 წლის აგვისტომდე, ხოლო შემდეგ — საზღვარგარეთ. 1910 წელს გაზეთის მეასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით მასში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „„Zihņa“-ს საიუბილეო ნომერს“, სადაც მოცემულია ლატვიის სოციალ-დემოკრატების რევოლუციური მოღვაწეობის მაღალი შეფასება (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 324—329). გაზეთი აქვეყნებდა აგრეთვე ლენინის მიერ დაწერილ მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებს. გაზეთის აქტიურ და მუდმივ თანამშრომლებს შორის იყვნენ ლატვიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი პ. ი. სტუჩკა, სახალხო პოეტი ი. რაინისი და სხვ.

1917 წლის აპრილიდან „Zihņa“ ლეგალური გაზეთი გახდა, გამოდიოდა პეტროგრადში, რიგასა და სხვა ადგილებში, ხოლო 1919 წლის აგვისტოდან, ლატვიაში კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვე-

ბის შემდეგ, კვლავ იწყო გამოსვლა არალეგალურად რიგაში. 1940 წლის ივნისში ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთი გახდა ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო. — 203.

246 შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი (II ინტერნაციონალის VII კონგრესი) გაიმართა 1907 წლის 18—24 აგვისტოს.

კონგრესს ესწრებოდა 886 დელეგატი — სოციალისტური პარტიებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო გერმანიის დელეგაცია (289 კაცი). მის უმრავლესობას შეადგენდნენ პროფკავშირული მოხელეები, რამაც დიდი გავლენა იქონია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციაზე კონგრესის რეზოლუციების განხილვისა და მიღების დროს.

რუსეთის დელეგაცია შედგებოდა 37 სოციალ-დემოკრატისაგან, 21 ესერისა და რუსეთის პროფკავშირთა 7 წარმომადგენლისაგან. ბოლშევიკების დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, ა. ა. ბოგდანოვი, ი. პ. გოლდენბერგი (მეშკოვსკი), ბ. ა. კნუნიანცი, მ. მ. ლიტვინოვი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, ნ. ა. სემაშკო, მ. ცხაკაია და სხვები.

კონგრესმა განიხილა საკითხები: 1) მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები; 2) ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და პროფესიულ კავშირებს შორის; 3) კოლონიური საკითხი; 4) მუშათა იმიგრაცია და ემიგრაცია და 5) ქალთა საარჩევნო უფლებები.

ვ. ი. ლენინმა გამართა კონგრესის ბოლშევიკ დელეგატთა რამდენიმე თათბირი, სადაც განისაზღვრა ბოლშევიკების მოქმედების ხაზი სოციალ-დემოკრატიულ სექციაში, რუსეთის დელეგაციაში და კონგრესზე; მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული სექციის სხდომებში, ებრძოდა მენშევიკთა ოპორტუნისტულ ხაზს და რუსეთის დელეგაციის სხდომებზე იცავდა რსდმ პარტიის პოზიციას ესერთა წინააღმდეგ.

კონგრესის დროს ვ. ი. ლენინმა უდიდესი მუშაობა გასწია მემარცხენე ძალების შესაკავშირებლად საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, გადაჭრით იბრძოდა ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ. ლენინის მიერ გამართული თათბირები მემარცხენეთა წარმომადგენლებთან (კ. ცეტკინი, რ. ლუქსემბურგი, ლ. ტიშკა, გ. ლედებური და სხვები) პირველი ნაბიჯი იყო იმპერიალიზმის ეპოქაში რევოლუციური მარქსისტების შესაკავშირებლად საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში.

კონგრესის ძირითადი მუშაობა მიმდინარეობდა კომისიებში, სადაც ამზადებდნენ რეზოლუციების პროექტებს პლენარული სხდომე-

ბისათვის. ვ. ი. ლენინმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც განიხილავდა საკითხს „მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები“. ა. ბებელის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის განხილვისას ვ. ი. ლენინმა თავისი შესწორებებით, რომლებსაც მხარი დაუჭირეს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა, მიაღწია ამ პროექტის ძირფესვიანად შეცვლას რევოლუციური მარქსიზმის სულისკვეთებით.

კონგრესზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა კოლონიური საკითხის გამო. კომისიის ოპორტუნისტულმა უმრავლესობამ ჰოლანდიელი „სოციალისტის“ ვან კოლის მეთაურობით წარადგინა რეზოლუციის ოპორტუნისტული პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირა გერმანიის დელეგაციის უმრავლესობამ. კოლონიურ საკითხზე კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია აშკარად და უყოყმანოდ უარყოფდა ყოველგვარ კოლონიურ პოლიტიკას.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია მუშათა იმიგრაციისა და ემიგრაციის შესახებ, რომელიც შეესაბამებოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნებს, ყველა ქვეყნის მუშათა ინტერნაციონალური აღზრდის მოთხოვნებს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი კონგრესის მიერ რეზოლუციის მიღებას პროფესიული კავშირებისა და მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის ურთიერთობის საკითხზე. კონგრესის კომისიაში პროფკავშირთა პარტიულობის ლენინურ ხაზს იცავდა ა. ვ. ლუნაჩარსკი. ამ საკითხზე კონგრესმა მემარჯვენე ფრთის საწინააღმდეგოდ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებდა პროფკავშირთა პარტიულობის პრინციპს.

შტუტგარტის კონგრესის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები— თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 81—105. — **204**.

247 შტუტგარტის კონგრესზე ვ. ი. ლენინი პირველად შეხვდა და გაეცნო კ. ცეტკინს, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სხვა მემარცხენეებთან ერთად იცავდა რევოლუციური მარქსიზმის ტაქტიკას, გამოდიოდა ოპორტუნისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ.

კ. ცეტკინის სტატიის „შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი“ თარგმანს ლენინმა გაუკეთა რედაქცია და დაურთო შენიშვნები იმ საკითხების განმარტებით, რომელთა გარშემო მიმდინარეობდა ბრძოლა კონგრესის დელეგატების ოპორტუნისტული ნაწილის წინააღმდეგ.

კ. ცეტკინის სტატია დაიბეჭდა ბოლშევიკურ კრებულში „ზარნიცი“. — **205**.

248 *„Die Gleichheit“* („თანასწორობა“) — ორკვირეული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი; გერმანიის მუშა ქალთა მოძრაობის ორგანო, ხოლო შემდგომ ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ორგანო;

გამოდიოდა შტუტგარტში 1890 წლიდან 1925 წლამდე; 1892 წლიდან 1917 წლამდე რედაქტორობდა კლარა ცეტკინი. — **205**.

249 „ტოვარიშჩ“ — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 15 (28) მარტიდან 1907 წლის 30 დეკემბრამდე (1908 წლის 12 იანვრამდე). ფორმალურად გაზეთი არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის ორგანოს, ნამდვილად კი მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ ს. ნ. პროკოპოვიჩი და ე. დ. კუსკოვა. გაზეთში თანამშრომლობდნენ აგრეთვე მენშევიკები. — **206**.

250 „ზნამია ტრუდა“ — ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო; გაზეთი გამოდიოდა 1907 წლის იულისიდან 1914 წლის აპრილამდე პარიზში. — **218**.

251 საერთაშორისო სოციალისტური ბიურო — II ინტერნაციონალის მუდმივი აღმასრულებელ-საინფორმაციო ორგანო; გადაწყვეტილება ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შექმნის შესახებ მიიღეს II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე (1900 წლის სექტემბერი). საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რუსეთის სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლებად აირჩიეს გ. ვ. პლეხანოვი და ბ. ნ. კრიჩევსკი. 1905 წლიდან რსდმ პარტიის წარმომადგენლად ამ ბიუროში შედიოდა ვ. ი. ლენინი. თვით ბიუროში ლენინი ეწეოდა გადამწყვეტ ბრძოლას II ინტერნაციონალის ლიდერთა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ თავისი საქმიანობა შეწყვიტა 1914 წელს. — **218**.

252 ფრანგი რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები — საფრანგეთის ბურჟუაზიული პარტია; ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა 1901 წელს, ფაქტობრივად არსებობს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. პირველ მსოფლიო ომამდე (1914—1918) ძირითადად გამოხატავდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს; პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პარიზში პარტიაში გაძლერდა მსხვილი ბურჟუაზიის გავლენა. პარტიის ლიდერები არაერთგზის ედგნენ სათავეში საფრანგეთის მთავრობას. — **215**.

253 III სახელმწიფო სათათბირო (ოფიციალური სახელწოდება — მესამე მოწვევის სახელმწიფო სათათბირო) მუშაობდა 1907 წლის 1 (14) ნოემბრიდან 1912 წლის 9 (22) ივნისამდე (სულ ხუთი სესია იყო). სამი ივნისის საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული III სათათბირო შავრაზმულ-ოქტომბრისტული იყო. იგი წარმოადგენდა მეფის მთავრობის მორჩილ იარაღს რუსეთის რევოლუციური ძალების მიმართ ძალმომრეობისა და რეპრესიების კონტრრევოლუციურ პოლიტიკის გატარებაში.

პირველი სესიის დაწყებისას სათათბიროში წარმოდგენილი იყო 11 პოლიტიკური პარტია და ჯგუფი, მათ შორის: მემარჯვენეთა (უკიდურეს მემარჯვენეთა, ნაციონალისტთა და ზომიერ მემარჯვენეთა) პარტიებისაგან — 147 დეპუტატი, ოქტიაბრისტებისაგან—154, პოლონელთა, ლიტველთა და ბელორუსთა ჯგუფისაგან—7, პოლონეთის კოლოსაგან—11, პროგრესული ჯგუფისაგან—28, მუსლიმანთა ჯგუფისაგან—8, კადეტებისაგან—54, შრომის ჯგუფისაგან — 14, სოციალ-დემოკრატებისაგან — 19 დეპუტატი.

III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მუშაობის უაღრესად მძიმე პირობების, მცირერიცხოვანი შემადგენლობისა და საქმიანობის დასაწყისში დაშვებული მთელი რიგი შეცდომების მიუხედავად, ბოლშევიკი დეპუტატების წყალობით დიდი მუშაობა გასწია III სათათბიროს ანტიხალხური პოლიტიკის მხილებისათვის, რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის პოლიტიკური აღზრდისათვის, რისთვისაც იყენებდა როგორც სათათბიროს ტრიბუნას, ისე სათათბიროსგარეშე მუშაობასაც. — **215**.

254 1905 წლის 11 (24) დეკემბრის საარჩევნო კანონი „საკანონმდებლო“ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ მეფის მთავრობამ გამოაქვეყნა მოსკოვში გაჩაღებული შეიარაღებული აჯანყების დროს. კანონი უზრუნველყოფდა მემამულეებისა და კაპიტალისტების უდიდეს სიჭარბეს სათათბიროში. 1905 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე არჩეული პირველი სათათბირო კადეტური იყო. — **216**.

255 ოქტიაბრისტები — ოქტიაბრისტთა პარტიის (ანუ „17 ოქტომბრის კავშირის“) წევრები. ეს კონტრრევოლუციური პარტია რუსეთში შეიქმნა 1905 წლის 17 (30) ოქტომბრის მეფის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ. იგი ასახავდა და იცავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და იმ მემამულეთა ინტერესებს, რომლებიც კაპიტალისტურად უძღვებოდნენ მეურნეობას; მას სათავეში ედგნენ ცნობილი მრეწველი და მოსკოველი სახლთმფლობელი ა. ი. გუჩკოვი და მსხვილი მემამულე მ. ვ. როძიანკო. ოქტიაბრისტები მთლიანად უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. — **216**.

256 „რუსი ხალხის კავშირი“ — უკიდურესად რეაქციული, შავრაზმულ-მონარქისტული ორგანიზაცია; ჩამოყალიბდა პეტერბურგში 1905 წლის ოქტომბერში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. „კავშირის“ განყოფილებები გახსნილი იყო რუსეთის მრავალ ქალაქში.

„კავშირი“ იცავდა მეფის თვითმპყრობელობის ურყეობას, ნახევრად ბატონყმურ-მემამულური მეურნეობის შენარჩუნებას, თავადაზნაურთა პრივილეგიებს. მისი საპროგრამო ლოზუნგი იყო ბატონ-

ყმობისდროინდელი მონარქისტული, ნაციონალისტური ლოზუნგი— „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა". რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მეთოდად „კავშირმა" დარბევები და მკვლელობანი აირჩია.

II სათათბიროს გარეკვის შემდეგ „კავშირი" დაიშალა 2 ორგანიზაციად: „მიჭაელ მთავრანგელოზის პალატად" პურიშკევიჩის მეთაურობით, რომელიც მოითხოვდა III სათათბიროს გამოყენებას კონტრრევოლუციური მიზნებისათვის, და საკუთრივ „რუსი ხალხის კავშირად", რომელსაც დუბროვინი მეთაურობდა და რომელიც განაგრძობდა აშკარა ტერორის ტაქტიკას. ორივე შავრაზმული ორგანიზაცია ლიკვიდირებულ იქნა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამ ორგანიზაციების ყოფილი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ აჯანყებებსა და შეთქმულებებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. — **219**.

257 რსდმპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიმართა 1908 წლის 11—13 (24 — 26) ავგისტოს ჟენევაში. პლენუმს ესწრებოდა 12 კაცი, მათ შორის 5 ბოლშევიკი (ვ. ი. ლენინი, ი. თ. დუბროვინსკი, ვ. კ. ტარატუტა და სხვ.), 3 მენშევიკი, 1 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი, 1 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 2 ბუნდელი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში პლენუმის მოწვევის შესახებ; 2) სრულიად რუსეთის კონფერენცია; 3) საზღვარგარეთული ცენტრალური ბიურო და ხელმძღვანელობის ჯგუფები; 4) ცენტრალური კომიტეტის შექმნა; 5) ფინანსური საქმეები; 6) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში შტუტგარტის კონგრესს; 7) მიმდინარე საქმეები.

პლენუმზე ბოლშევიკებმა საკადრისი პასუხი გასცეს მენშევიკების ცდებს გაეუქმებინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩაეფუშათ პარტიული კონფერენციის მოწვევა. დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე პლენუმმა მიიღო ბოლშევიკების მიერ შეტანილი გადაწყვეტილებანი. ლენინის წინადადებით მიღებული ქნა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მუშაობა კონფერენციის მოსაწვევად. დაისახა მომავალი კონფერენციის დღის წესრიგი. პლენუმმა მიიღო რეზოლუციების ბოლშევიკური პროექტები ცენტრალური კომიტეტის შექმნისა და საზღვარგარეთული ცენტრალური ბიუროს შექმნის შესახებ. ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ლენინის „პროექტი დადგენილებისა საზღვარგარეთული ცენტრალური ბიუროს შექმნის შესახებ" (იხ. ეს ტომი, გვ. 225—226). ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ბოლშევიკებისაგან აირჩიეს ვ. ი. ლენინი.

ანგარიში პლენუმის მოწვევის შესახებ განიხილებოდა ცენტრალური კომიტეტის შექმნის საკითხთან ერთად, ვინაიდან კამათის დროს

ცნობილი გახდა მენშევიკების მიმოწერა ბუნდთან, სადაც ცენტრალური კომიტეტის „რეორგანიზაციის“ საბაბით სინამდვილეში მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის როგორც პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს ლიკვიდაციას. თვით პლენუმზე მენშევიკები და ბუნდელები ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეჩქმალათ ეს ფაქტები. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა წარადგინა სპეციალური „განცხადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო“ და შეიტანა „პროექტი დადგენილებისა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო მომზადარი ინციდენტის შესახებ“, რომელიც პლენუმმა მიიღო (იხ. ეს ტომი, გვ. 224, 225).

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმის შემ[illegible] ლენინის ინიციატივით ფართოდ გააჩაღეს მუშაობა სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. — 224.

258 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო შექმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1908 წლის აგვისტოში (სამი კაცის შემადგენლობით) როგორც საერთო-პარტიული წარმომადგენლობა საზღვარგარეთ, რომელიც ექვემდებარებოდა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მოვალეობას შეადგენდა მუდმივი კავშირის დამყარება რუსეთში მოქმედ ცენტრალურ კომიტეტთან და ცენტრალური კომიტეტის იმ წევრებთან, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობდნენ, რსდმ პარტიის ხელშემწყობი საზღვარგარეთული ჯგუფებისა და მათი ცენტრალური ბიუროს საქმიანობისადმი თვალუყურის დევნება, საზღვარგარეთული ორგანიზაციების ფულადი ანარიცხების მიღება ცენტრალური კომიტეტის სალაროში და ფულის შეგროვება ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოდ. რსდმ პარტიის ხელშემწყობი ყველა საზღვარგარეთული ჯგუფის გაერთიანებისა და ერთიანი საერთო-პარტიული ხელმძღვანელობისადმი მათი დაქვემდებარების მიზნით ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმმა დაავალა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს ჩაეტარებინა ამ ჯგუფების სპეციალური ყრილობა. მაგრამ 1909 წლის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულმა ბიურომ ვერ შეძლო ყრილობის მოწვევა იმ შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო, რასაც იჩენდა საზღვარგარეთული ჯგუფების ცენტრალური ბიურო, რომელიც ხელთ იგდეს მენშევიკმა ლიკვიდატორებმა. ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა გარდაქმნა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო და შეზღუდა მისი როლი პარტიის საერთო საქმეების ხელმძღვანელობაში, ხოლო შესაბამისად გააძლიერა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს უფლებამოსილება. ცენტრალური კომიტეტის საზღვარ-

გარეთული ბიუროს შემადგენლობა განისაზღვრა ხუთი კაცის რაოდენობით, ამათგან სამი იყო ეროვნულ ორგანიზაციათა ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენელი. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში წეიქმნა მყარი ლიკვიდატორული უმრავლესობა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ჩაეფუშა ცენტრალურ პარტიულ დაწესებულებათა მუშაობა. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ანტიპარტიული პოზიცია განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა იმით, რომ ისინი სისტემატურად ფუშავდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას, რასაც დაბჯითებით ცდილობდნენ ბოლშევიკები, ვინაიდან ლიკვიდატორები არ ასრულებდნენ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორულმა ტაქტიკამ აიძულა ბოლშევიკების წარმომადგენელი სემაშკო 1911 წლის მაისში განცხადება შეეტანა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ.

1911 წლის ივნისში პარიზში მოწვეულ [illegible] ლური კომიტეტის წევრთა თათბირმა გამოიტანა გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს პოლიტიკური ხაზის დაგმობის შესახებ და აიძ ბიუროს შემდგომი არსებობის საკითხი გადასაწყვეტად გადასცა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უახლოეს პლენუმს.

1911 წლის ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროდან გამოწვეულ იქნა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი, ხოლო შემდგომ — ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელიც. 1912 წლის იანვარში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო დაიშალა. — **225.**

259 რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის V კონფერენცია გაიმართა პარიზში 1908 წლის 21—27 დეკემბერს (1909 წლის 3—9 იანვარს). კონფერენციას ესწრებოდა 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, მათ შორის 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბუნდის ცენტრალური კომიტეტის, რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციის, მოსკოვისა და ცენტრალური სამრეწველო საოლქო, ურალისა და კავკასიის ორგანიზაციების ანგარიშები; 2) თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები; 3) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ; 4) ორგანიზაციული საკითხები შეცვლილ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით; 5) გაერთიანება ადგილებზე ეროვნულ ორგანიზაციებთან; 6) საზღვარგარეთული საქმეები. ბოლშევიკები კონფერენციაზე ყველა საკითხში შეურიგებელ

ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკ ლიკვიდატორებთან და მათს მომხრეებთან. რეზოლუციაში „ანგარიშების შესახებ" კონფერენციამ მკაცრად დაგმო ლიკვიდატორობა როგორც ოპორტუნისტული მიმდინარეობა და გადამწყვეტი იდეური და ორგანიზაციული ბრძოლა გამოუცხადა პარტიის ლიკვიდაციის ცდებს.

კონფერენციის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეკავა ლენინის მოხსენებას „თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ". მენშევიკებმა მიმართეს წარუმატებელ ცდას მოეხსნათ ეს საკითხი კონფერენციის დღის წესრიგიდან. კონფერენციამ უმნიშვნელო შესწორებით მიიღო ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 389—393).

ბოლშევიკების მიერ შეტანილ რეზოლუციაში „სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ" გაკრიტიკებული იყო ფრაქციის საქმიანობა და მითითებული იყო მისი კონკრეტული ამოცანები. მენშევიკები ილაშქრებდნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებში სათათბიროს ფრაქციის შეცდომების აღნიშვნის წინააღმდეგ და ფრაქციის მიმართ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეტოს უფლების წინააღმდეგ. სათათბიროს ფრაქციის მიმართ ლენინური ხაზის წინააღმდეგ გამოდიოდნენ აგრეთვე ოტზოვისტები. კონფერენციამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია. ამ რეზოლუციის ტექსტში ნაწილობრივ შევიდა ლენინის მიერ დაწერილი მეორე ვარიანტი „პრაქტიკული მითითებებისა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის საკითხზე" და მთლიანად იქნა შეტანილი ლენინის „დამატება რეზოლუციისა „სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ"" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 395—396, 397) ორგანიზაციული საკითხის განხილვის დროს ბოლშევიკები რეზოლუციის თავიანთ პროექტში აღნიშნავდნენ, რომ პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს არალეგალური პარტიული ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, მასებს შორის მუშაობისათვის სხვადასხვაგვარ ლეგალურ საზოგადოებათა ფართო ქსელის გამოყენებას. მენშევიკები სინამდვილეში ცდილობდნენ არალეგალური პარტიის გაუქმებას და ყოველგვარი რევოლუციური მუშაობის შეწყვეტას. სიტყვაში ორგანიზაციულ საკითხზე ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა მენშევიკ ლიკვიდატორთა რეზოლუცია და მათი ცდები, რომ ყოველმხრივ გაეძართლებინათ ისინი, ვინც რეაქციის წლებში დეზერტირობდა პარტიის რიგებიდან. კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ შეტანილი „დირექტივები საორგანიზაციო საკითხის კომისიისათვის" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 394) და შექმნა კომისია რეზოლუციის შემუშავებისათვის. კომისიამ, ხოლო შემდგომ კონფერენციამაც მიიღო რეზოლუციის ბოლშევიკური პროექტი. რსდმ პარტიის მეხუთე კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ადგილებზე ეროვნული ორგანი-

ზაციების გაერთიანების შესახებ გადაჭრით იქნა უარყოფილი ფედერალიზმის პრინციპი, რასაც იცავდნენ ბუნდელები, რომლებიც მოითხოვდნენ პარტიაში მუშების დაყოფას ეროვნული ნიშნების მიხედვით. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის საკითხის განხილვის დროს მენშევიკები მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის ადგილსამყოფელის გადატანას რუსეთში და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს გაუქმებას. რეზოლუციის ლიკვიდატორული პროექტები უარყოფილ იქნა. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, სადაც აღიარებული იყო „საზღვარგარეთ საერთო-პარტიული წარმომადგენლობის არსებობის სარგებლიანობა და აუცილებლობა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს სახით". ცენტრალური ორგანოს საკითხის გამო მიღებულ ბოლშევიკების რეზოლუცია; მენშევიკების წინადადება ცენტრალური ორგანოს გამოცემის რუსეთში გადატანის შესახებ უარყვეს.

კონფერენციაზე ბოლშევიკებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს მენშევიკ-ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან ერთად კონფერენციის გადაწყვეტილებებმა დარტყმა აგემა ოტზოვისტებსაც. კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებით პარტია ხელმძღვანელობდა რეაქციის წლებში. რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის V კონფერენციის მნიშვნელობის შეფასებისას ლენინი წერდა, რომ ამ კონფერენციას „პარტია გზაზე გამოჰყავს და, ეტყობა, იგი წარმომადგენს მობრუნების პუნქტს რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარებაში კონტრრევოლუციის გამარჯვების შემდეგ" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 418). — **227**.

260 1908 წლის 24 დეკემბერს (1909 წლის 6 იანვარს) ორგანიზაციულ საკითხზე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემონახული მოკლე საოქმო ჩანაწერით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რაოდენ სრულადაა ასახული ამ სიტყვაში ყველა ის საკითხი, რომლებიც ჩამოთვლილია გამოქვეყნებულ კონსპექტში. მაგრამ კონსპექტში დასახელებული თემების წერე გვაფიქრებინებს, რომ იგი უნდა დაწერილიყო ორგანიზაციულ საკითხზე კამათის დროს. — **227**.

261 იგულისხმება პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა, რომელიც აირჩიეს რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობაზე 12 კაცის რაოდენობით. ხუთეულის სახით ნაგულისხმევია ხუთი კაცისაგან შემდგარი ცენტრალური კომიტეტის ეიწრო შემადგენლობა, რომელიც რუსეთში მუშაობდა. ლენინის ირონიული შენიშვნა „ანგელოზის ჩინის" ხუთეულის შესახებ, ალბათ, მიეკუთვნება მენშევიკ-ლიკვიდატორთა რეზოლუციის პროექტს, სადაც ისინი მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს გაუქმებას და პარტიული მუშაობის მთელი ხელმძღვანელობის თავმოყრას რუსეთის ხუთეულის ხელში. — **227**.

262 ეს განცხადება ვ. ი. ლენინმა კონფერენციაზე შეიტანა 1908 წლის 24 დეკემბერს (1909 წლის 6 იანვარს) კავკასიის დელეგაციის წევრის, მენშევიკ ნ. რამიშვილის (პეტრეს) ცილისმწამებლური გამოსვლის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1903 წლის აგვისტოში გამოაშკარავდა, რომ მენშევიკი-ლიკვიდატორები ჯერ კიდევ პლენუმის მოწვევამდე ცდილობდნენ გაეუქმებინათ ცენტრალური კომიტეტი როგორც პარტიის ხელმძღვანელი ორგანო და მისი მოღვაწეობა განესაზღვრათ საინფორმაციო ფუნქციებით. ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის გეგმა მოცემული იყო წერილში, რომლითაც ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბ. გორევმა და „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ რედაქციის წევრმა ა. მარტინოვმა 1903 წლის ივნისში მიმართეს „ყველა მენშევიკურ ორგანიზაციას“. თვით პლენუმზე მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი განზრახვა ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ (იხ. ეს ტომი, გვ. 224 — 225). ბოლშევიკებმა ამხილეს ლიკვიდატორთა დეზორგანიზატორული, ანტიპარტიული მოქმედება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა რეზოლუციის ბოლშევიკური პროექტები მიიღო დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე. სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ რედაქციის წევრებს დანსა და აქსელროდს და ცენტრალური კომიტეტის წევრს ნ. რამიშვილს, რომლებიც კონფერენციას კავკასიის ორგანიზაციის მანდატებით ესწრებოდნენ, ერთობლივი, უკიდურესად ლიკვიდატორული პოზიცია ეჭირათ. — **227**.

263 „გოლოს სოციალ-დემოკრატა“ — გაზეთი, მენშევიკების საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზში. მისი რედაქტორები იყვნენ პ. ბ. აქსელროდი, თ. ი. დანი, ლ. მარტოვი, ა. მარტინოვი და გ. ვ. პლეხანოვი. პირველივე ნომრიდან „გოლოს სოციალ-დემოკრატა“ ლიკვიდატორთა დამცველად გამოვიდა, ამართლებდა მათს ანტიპარტიულ საქმიანობას. მას შემდეგ, რაც რედაქციიდან გამოვიდა პლეხანოვი, რომელმაც დაგმო გაზეთის ლიკვიდატორული პოზიცია, „გოლოს სოციალ-დემოკრატა“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ლიკვიდატორთა იდეური ცენტრი. — **228**.

264 ფაქტობრივი განცხადება ვ. ი. ლენინმა შეიტანა კონფერენციის უკანასკნელ, მეცხრე სხდომაზე 1908 წლის 26 დეკემბერს (1909 წლის 8 იანვარს). როგორც საოქმო ჩანაწერიდან ჩანს, ამ სხდომაზე გრძელდებოდა მსჯელობა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ რეზოლუციის გარშემო. ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის პუნქტის განხილვის დროს ლენინმა წამოაყენა რეზოლუციის ამ ნაწილის საკუთარი ფორმულირება (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 395—396). ოქმებში შეტანილია მ. ნ. ლიადოვის შესწორება, რითაც იგი

წინადადებას იძლეოდა, რომ რეზოლუციის ბოლო სიტყვები „და პროფესიული ორგანიზაციები“ ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან ინფორმაციის შემდეგ“. თავის შესწორებას ლიადოვი იმით ასაბუთებდა, რომ განსახილველი რეზოლუციის პროექტი ვითომდა ზღუდავს ცენტრალური კომიტეტის უფლებებს. ლენინი გამოვიდა ლიადოვის შესწორების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ცენტრალურ კომიტეტს veto-ს უფლება აქვს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიმართ. კენჭისყრის დროს ლიადოვის შესწორება უარყვეს. გადაწყვეტილება სათათბიროს ფრაქციის მიმართ ცენტრალური კომიტეტის veto-ს უფლების საკითხზე მიიღეს იმავე სხდომაზე. ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ფრაქციის მუშაობისათვის თავისი პასუხისმგებლობის გამო უყოყმანოდ უნდა გამოიყენოს veto-ს უფლება ფრაქციის დადგენილებათა მიმართ „უველა იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი პარტიას ზიანის მოტანას უქადის“.—**229**.

265 გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს გ ა მ ო ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ლენინმა შეიტანა კონფერენციის სხდომაზე 1908 წლის 26 დეკემბერს (1909 წლის 8 იანვარს) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ რეზოლუციის განხილვის დროს. მენშევიკი-ლიკვიდატორები ჯერ კიდევ ცენტრალური კომიტეტის 1908 წლის აგვისტოს პლენუმამდე შეეცადნენ გაეუქმებინათ ცენტრალური კომიტეტი როგორც პარტიის ხელმძღვანელი ორგანო. ამასთან დაკავშირებით ლენინმა 1908 წლის 12 (25) აგვისტოს პლენუმს წარუდგინა „განცხადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო“ (იხ. ეს ტომი, გვ. 224). მეორე დღეს ლენინის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო მომხდარი ინციდენტის შესახებ“ (იხ. ეს ტომი, გვ. 225). — **229**.

266 „გ ე გ მ ა ლ ე ქ ც ი ე ბ ი ს ა მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს შ ე ს ა ხ ებ“ დაიწერა 1908 ან 1909 წელს. უშუალო ცნობები ვ. ი. ლენინის ასეთი ლექციების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს არ მოუპოვება. მოგონებებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1909 წლის დამდეგს პარიზში ლენინი ბოლშევიკების წრეს ლექციებს უკითხავდა ფილოსოფიაში. ხელნაწერში 1907 წლის დროინდელი მრეწველობის მოხსენიება იმას მოწმობს, რომ გეგმა დაწერილია 1907 წლის შემდეგ, ვინაიდან სტატისტიკური ცნობები 1907 წელს მრეწველობის განვითარების შესახებ ცნობილი იქნებოდა მხოლოდ მომდევნო წლის დამდეგს.

განყოფილება „ფილოსოფიური მატერიალიზმის“ მე-6 პუნქტში არის ჩანაწერი: „ახლანდელი ოპორტუნისტები (ბოგდანოვი)“, რაც გვაფიქრებინებს, რომ გეგმა დაწერილია არა უადრეს 1908 წლის მარ-

ტის მეორე ნახევრისა. ამ დროისათვის ლენინმა დაამთავრა და დასაბეჭდად გაგზავნა (არა უგვიანეს 3 (16) აპრილისა) სტატია „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“, რითაც პირველად გამოვიდა პრესაში ბოგდანოვის წინააღმდეგ ფილოსოფიის დარგში მის ოპორტუნისტულ, რევიზიონისტულ შეხედულებათა კრიტიკით. განყოფილება „ფილოსოფიური მატერიალიზმის“ თითქმის ყველა პუნქტი ასახულია წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“; განყოფილება „აგრარული საკითხის“ ზოგიერთი პუნქტი გაშუქებულია 1908 წელს აგრარულ საკითხზე დაწერილ ნაშრომებში. — **280**.

267 „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს“ გ ა ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს თ ა თ ბ ი რ ი მოწვეულ იქნა ვ. ი. ლენინის თაოსნობით. იგი გაიმართა პარიზში 1909 წლის 8—17 (21—30) ივნისს; თათბირში მონაწილეობა მიიღო რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის ბოლშევიკ დელეგატმა მიერ არჩეული ბოლშევიკური ფრაქციის უმაღლესი დაწესებულების— ბოლშევიკური ცენტრის 9 წევრმა, აგრეთვე რსდმ პარტიის პეტერბურგის, მოსკოვის საოლქო და ურალის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თათბირი მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით; მისმა გამოსვლებმა დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე განსაზღვრეს თათბირის მთელი მუშაობის ხასიათი. ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების წარმომადგენლებად თათბირზე იყვნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და ვ. ლ. შანცერი (მარატი), რომლებსაც მხარს უჭერდა მოსკოვის საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენელი ვ. მ. შულიატიკოვი (დონატი). მთელ რიგ საკითხებზე შემარიგებლური პოზიცია ეკავათ გ. ე. ზინოვიევს, ლ. ბ. კამენევს, ა. ი. რიკოვსა და მ. პ. ტომსკის.

თათბირმა განიხილა საკითხები: ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ; ღვთისმშენებლობის ტენდენციების შესახებ სოციალ-დემოკრატიულ წრეში; პარტიული მუშაობის სხვა დარგთა შორის სათათბიროში პარტიის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულების შესახებ; ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში; პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც კაპრის კუნძულზე ეწყობა; ფრაქციის ერთიანობის შესახებ; პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ყრილობის ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლოდ აგიტაციის შესახებ; ა. ბოგდანოვის ჩამოშორების შესახებ და სხვა საკითხები. ვ. ი. ლენინი გამოვიდა დაწვრილებითი ინფორმაციით პარტიასა და ბოლშევიკურ ფრაქციაში საქმის ვითარების შესახებ. ლენინის მიერ წამოყენებული დებულებანი საფუძვლად დაედო „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

თათბირმა გადაჭრით დაგმო ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი. როგორც მანე და საშიში მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში; მკაცრად დაგმო

ოტზოვისტ-ულტიმატისტთა ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ღვთისმშენებლობის ქადაგებით. ბოგდანოვი — ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების ლიდერი და სულისჩამდგმელი, რომელმაც ხელყო ბოლშევიკური ფრაქციის ერთიანობა და მარქსიზმის რევიზიის, იდეალისტური, რეაქციული ფილოსოფიით მისი შეცვლის გზას დაადგა, გარიცხეს ბოლშევიკური ფრაქციიდან.

თათბირის გადაწყვეტილებებს დიდი საერთო-პარტიული მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ გადაწყვეტილებებმა მეტი სიმწყობრე და სისრულე შემატეს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც პარტიამ შეიმუშავა რეაქციის წლებში. თათბირის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 521—553. — **231**.

288 სტანისლავის რეზოლუცია („ერი", ს. ვოლსკი — ა. ვ. სოკოლოვი), რომელიც მოსკოვის კომიტეტში იქნა შეტანილი, უნდობლობას უცხადებდა „პროლეტარის" რედაქციას და მოითხოვდა ბოლშევიკების კონფერენციის მოწვევას მათი ახალი იდეური ცენტრის ასარჩევად. რსდმ პარტიის მოსკოვის კომიტეტმა სტანისლავის რეზოლუცია უარყო „ყველა ხმით მისი ერთი ხმის წინააღმდეგ" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16. გვ. 53). რეზოლუციის ტექსტი ნაპოვნი არ არის. — **282**.

289 ო ტ ზ ო ვ ი ს ტ ე ბ ი — ბოლშევიკებს შორის წარმოშობილი ოპორტუნისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები. ოტზოვისტები (ა. ბოგდანოვი, გ. ა. ალექსინსკი, ა. ვ. სოკოლოვი (ს. ვოლსკი), ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ნ. ლიადოვი და სხვები) რევოლუციური ფრაზების მოშველიებით მოითხოვდნენ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების გამოწვევას III სახელმწიფო სათათბიროდან და მუშაობის შეწყვეტას ლეგალურ ორგანიზაციებში. აცხადებდნენ რა, რომ რეაქციის პირობებში პარტია უნდა ეწეოდეს მხოლოდ არალეგალურ მუშაობასო, ოტზოვისტები უარს ამბობდნენ მონაწილეობა მიეღოთ სათათბიროში, მუშათა პროფესიულ კავშირებში, კოოპერატივებსა და სხვა ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ მასობრივ ორგანიზაციებში და საჭიროდ მიაჩნდათ მთელი პარტიული მუშაობა მოექცათ არალეგალური ორგანიზაციის ჩარჩოებში. ოტზოვიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა ულტიმატიზმი. ულტიმატისტები ოტზოვისტებისაგან მხოლოდ ფორმით განსხვავდებოდნენ. ისინი მოითხოვდნენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის ულტიმატუმის წაყენებას, რომ ფრაქცია უსიტყვოდ დამორჩილებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, ხოლო ამ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში სათათბიროდან გამოეწვიათ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. ულტიმატიზმი სინამდვილეში ფარული, შენიღბული ოტზოვიზმი იყო. ლენინი ულტიმატისტებს „მორცხვ ოტზოვისტებს" უწოდებდა.

ოტზოვისტები უდიდეს ზიანს აყენებდნენ პარტიას. მათი პოლიტიკა პარტიას წყვეტდა მასებისაგან, აქცევდა მას სექტანტურ ორგანიზაციად, რომელსაც არ შეეძლო ძალა მოეკრიბა ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის. ლენინმა ამხილა ოტზოვისტები როგორც „პირ. შებრუნებული ლიკვიდატორები" და შეურიგებელი ომი გამოუცხადა ოტზოვიზმს. „ოტზოვიზმი არის არა ბოლშევიზმი, არამედ მისი უცუდესი პოლიტიკური კარიკატურა, რომლის გამოგონებაც კი შეეძლო ბოლშევიზმის უბოროტეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს",—წერდა ლენინი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 434). — **288.**

270 რსდმ პარტიის მესამე კონფერენცია („მეორე სრულიად რუსეთისა") მიმდინარეობდა ქალაქ კოტკაში (ფინეთი) 1907 წლის 21—23 ივლისს (3—5 აგვისტოს). კონფერენციას ესწრებოდა 26 დელეგატი, მათგან—9 ბოლშევიკი, 5 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი, 5 ბუნდელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი. დელეგატებს შორის იყვნენ ვ. ი. ლენინი, ფ. ე. ძერჟინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, როზა ლუქსემბურგი და სხვები. დელეგატებს გარდა კონფერენციას ესწრებოდნენ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები. კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევის (ორი თვის შემდეგ პარტიის V ყრილობიდან) საჭიროება გამოწვეული იყო სამი ივნისის კონტრრევოლუციურ გადატრიალებასა და III სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით შეცვლილი პოლიტიკური ვითარებით. კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, სხვა პარტიებთან საარჩევნო შეთანხმების, საარჩევნო პლატფორმის, პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ.

პირველ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა სამი მოხსენება: ბოლშევიკებისაგან — ლენინისა (ბოიკოტის წინააღმდეგ) და ა. ბოგდანოვის (ბოიკოტის სასარგებლოდ) და მენშევიკებისა და ბუნდისაგან—თ. დანისა. კონფერენციამ ხმის უმრავლესობით საფუძვლად მიიღო რეზოლუციის ლენინური პროექტი, რომელიც პარტიას მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღო საარჩევნო კამპანიაში და ბრძოლა ეწარმოებინა როგორც მემარჯვენე პარტიების, ისე კადეტების წინააღმდეგ (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. I, 1954, გვ. 214—216). ბოიკოტის მომხრე ბოლშევიკებმა მას შემდეგ, რაც მათი რეზოლუცია უარყოფილ იქნა, ხმა მისცეს ლენინის რეზოლუციას.

სხვა პარტიებთან საარჩევნო შეთანხმების საკითხზე კონფერენციამ გადაწყვიტა არჩევნების პირველ სტადიაზე სოციალ-დემოკრატებს არავითარი შეთანხმება არ დაედოთ სხვა პარტიებთან, ხელახალი კენ-

ჭისყრის დროს ნებადართული იყო შეთანხმების დადება კადეტებზე უფრო მემარცხენე ყველა პარტიასთან. არჩევნების მეორე და შემდგომ სტადიებზე დასაშვებად იყო მიჩნეული შეთანხმება ყველა რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიასთან მემარჯვენეებთან ბრძოლისათვის. მაგრამ მუშათა კურიებში სოციალ-დემოკრატებს შეთანხმება არ უნდა დაედოთ სხვა პარტიებთან, გარდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა, რომლებიც რსდმ პარტიაში არ შედიოდნენ, და აგრეთვე პოლონეთის სოციალისტური პარტიისა. საარჩევნო პლატფორმის საკითხზე კონფერენციამ წინადადება მისცა ცენტრალურ კომიტეტს შეედგინა ეს პლატფორმა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე. პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის ყრილობის საკითხზე კონფერენციამ მოისმინა ორი მოხსენება: ერთი მოხსენება იცავდა პროფკავშირთა პარტიულობის პრინციპს, ხოლო მეორე მოხსენება—პროფკავშირთა ნეიტრალობას. მოხსენებათა გამო წარმოდგენილი იყო რეზოლუციის 4 პროექტი (ბოლშევიკური, მენშევიკური და ორი კომპრომისული). კონფერენციამ გადაწყვიტა ამ საკითხზე შემოტანილი რეზოლუციის ყველა პროექტი გ'დაეცა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის როგორც მასალა. ბოლშევიკურ პროექტს საფუძვლად დაედო ლენინის მიერ წარმოდგენილი პროექტი (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. I, 1954, გვ. 222—223).

რსდმ პარტიის მესამე კონფერენციის („მეორე სრულიად რუსეთისა") მნიშვნელობა ის არის, რომ მან დასახა პარტიის ტაქტიკის საფუძვლები ახალ ისტორიულ ვითარებაში — სტოლიპინის რეაქციის პირობებში. — **283**.

271 ცენტრალური ორგანო — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო — არალეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი"; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე. პირველ ნომერს, რომელიც ბოლშევიკებმა მოამზადეს და ნაწილობრივ დაიბეჭდა კიდეც ვილნოს კერძო სტამბაში, კომფისკაცია უყო მეფის ოხრანკამ. მალე პეტერბურგში მეორედ სცადეს გამოეშვათ გაზეთი. გაზეთის დაბეჭდილი ტირაჟის დიდი ნაწილი ასევე ხელთ იგდეს ჟანდარმებმა. შემდგომ გაზეთის გამოცემა გადაიტანეს საზღვარგარეთ: №№ 2—32 (1909 წლის თებერვალი—1913 წლის დეკემბერი) გამოვიდა პარიზში, №№ 33—58 (1914 წლის ნოემბერი — 1917 წლის იანვარი) — ჟენევაში. სულ გამოვიდა 58 ნომერი, რომელთაგან ხუთს დამატებები ჰქონდა. გაზეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ვ. ი. ლენინი იყო. მის სტატიებს „სოციალ-დემოკრატში" ცენტრალური ადგილი ეჭირა. გაზეთში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. — **284**.

272 ლაპარაკია მენშევიკ-პარტიელებზე, რომლებიც გ. გ. პლეხანოვის მეთაურობით რედაქციის წევრებში ლიკვიდატორთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. რჩებოდნენ რა მენშევიზმის პოზიციებზე, პლეხანოველები ამასთანავე მხარს უჭერდნენ არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შენარჩუნებასა და განმტკიცებას და ამ მიზნით ბოლშევიკებთან ბლოკის მომხრენი იყვნენ. ლენინი ბოლშევიკებს მოუწოდებდა მენშევიკ პარტიელებთან დაახლოებას და აღნიშნავდა, რომ მათთან შეთანხმება შესაძლებელია პარტიისათვის ბრძოლის, ლიკვიდატორების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე „ყოველგვარი იდეური კომპრომისის გარეშე, ტაქტიკურ და სხვა უთანხმოებათა ყოველგვარი მიჩქმალვის გარეშე პარტიული ხაზის ფარგლებში“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 116). მენშევიკი-პარტიელები ბოლშევიკებთან ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში, თანამშრომლობდნენ ბოლშევიკურ გამოცემებში. 1911 წლის ბოლოს პლეხანოვმა გაწყვიტა ბლოკი ბოლშევიკებთან. „ფრაქციულობ·სა“ და რსდმპარტიაში განხეთქილების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მას უნდოდა ბოლშევიკების შერიგება ოპორტუნისტებთან. 1912 წელს პლეხანოველები ტროცკისტებთან, ბუნდელებსა და ლიკვიდატორებთან ერთად გამოვიდნენ რსდმპარტიის პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. — 234.

273 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ მოხსენების განხილვის დროს ა. ბოგდანოვის გამოსვლა, რომელშიაც აღნიშნული იყო ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის მკაცრი დაგმობა როზა ლუქსემბურგის მიერ. ცდილობდა რა სახელი გაეტეხა ამ კრიტიკისათვის, ბოგდანოვმა გაიხსენა, რომ 1904—1905 წლებში რ. ლუქსემბურგი იღშქრებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. — 235.

274 კაპრის სკოლა დააარსეს 1909 წელს კუნძულ კაპრაზე (იტალია) ოტზოვისტებმა, ულტიმატისტებმა და ღვთისმშენებლებმა. „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირმა ამხილა ოტზოვისტების მიერ დაარსებული სკოლის ფრაქციული ანტიბოლშევიკური ხასიათი და მიუთითა, რომ მისი ორგანიზატორები ისახავენ „არა ბოლშევიკური ფრაქციის, როგორც პარტიის იდეური მიმდინარეობის მიზნებს, არამედ თავის განსაკუთრებულ, ჯგუფურ იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს“. კაპრის სკოლა გადაჭრით დაგმეს როგორც „ახალი ცენტრი ფრაქციისა, რომელიც ბოლშევიკებს ეთიშება“ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 552).

სკოლამ მუშაობა დაიწყო აგვისტოში; იქ ლექციებს კითხულობდნენ ა. ბოგდანოვი, გ. ალექსინსკი, ა. ლუნაჩარსკი, მ. გორკი, მ. ნ. ლიადოვი, მ. ნ. პოკროვსკი და ვ. ა. დესნიცკი. ვ. ი. ლენინმა სკოლის ორგანიზატორთა ფორმალურ მიწვევას, რომ კაპრიზე ლექტორად ჩასუ-

ლიყო, უარით უპასუხა. წერილში სკოლის მსმენელებისადმი, რომლებიც ლენინისაგან დაბეჭითებით მოითხოვდნენ ლექციების ციკლის წაკითხვას, ლენინმა განმარტა, რომ ამის გაკეთება მას არ შეუძლია, ვინაიდან ეს „სკოლა განზრახ დამალულია პარტიისაგან“ „ემიგრანტულ მიყრუებულ ადგილას“ და ფრაქციული ხასიათისაა. ლენინმა შესთავაზა სკოლის მსმენელებს ჩასულიყვნენ პარიზში, რათა „ბამდევილად ესწავლათ სოციალ-დემოკრატიზმი“ და არა „ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების „განსაკუთრებული ფრაქციული „მეცნიერება““ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 578—586).

სკოლის დაწვრილებითი ისტორია და მისი დახასიათება ვ. ი. ლენინს მოცემული აქვს სტატიაში „ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ“ და „სამარცხვინო ჩავარდნა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 20—64, 95—97). — **284**.

275 იგულისხმება სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა რსდმ პარტიის მეხუთე კონფერენციაზე (1908 წლის სრულიად რუსეთისა). მომხსენებელმა ვეშნეესკიმ (ი. პ. გოლდენბერგმა) ეს გამოუცხადებლობა ახსნა კერძო, შემთხვევითი მიზეზებით. — **287**.

278 „მცოდნე პირები“ — ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან ასრულებდა მრჩეველთა როლს. მეტწილად ისინი იყვნენ ლიკვიდატორები და რევიზიონისტები — ა. ნ. პოტრესოვი, ს. ნ. პროკოპოვიჩი და სხვ. სარგებლობდნენ რა იმით, რომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწენი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მოკლებული იყვნენ საშუალებას ლეგალური მონაწილეობა მიეღოთ სათათბიროს ფრაქციის მუშაობაში, „მცოდნე პირები“ ცდილობდნენ ანტიპარტიული გზით წარემართათ ფრაქციის მოღვაწეობა; ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი უარი ეთქვათ მათს სამსახურზე. — **287**.

277 ლაპარაკია III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელშემწყობი ჯგუფების ჩამოყალიბებაზე. თათბირმა დაადგინა შეექმნა სათათბიროს ფრაქციის ხელშემწყობი კომისია. ვ. ი. ლენინი, რომელიც ამ კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს, იქ დიდ მუშაობას ეწეოდა. კერძოდ, ლენინმა ფრაქციისათვის დაწერა „განმარტებითი ბარათი 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის მთავარი საფუძვლების პროექტისათვის“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 127—136). — **289**.

276 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გაზეთი, რომლის გამოცემა განზრახული ჰქონდა სათათბიროს რსდმ პარტიის ფრაქციას. შემდგომ, 1910 წლიდან 1912 წლამდე, სათათბიროს ფრაქციის მონაწილეობით გამოდიოდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა“. — **289**.

279 ეს დამატება შეტანილია რეზოლუციის პირველი ნაწილის მესამე პუნქტში (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 276—277). — **289**.

280 „დ ა ლ“ — ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, რომელსაც უშვებდნენ ლიკვიდატორები პეტერბურგში. გამოვიდა 3 ნომერი: პირველი — 1908 წელს, მეორე და მესამე — 1909 წელს. — **240**.

281 ვ. ი. ლენინის წინადადება შეტანილია რეზოლუციაში „ლეგალური გამომცემლობის შესახებ“ (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 288). — **240**.

282 II ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს I ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი გაიმართა პარიზში 1889 წლის ივლისში. კონგრესის მუშაობას იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა ფ. ენგელსი. კონგრესზე მწვავე პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის, რომლებიც უარყოფდნენ პოლიტიკურ ბრძოლას. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება მასობრივი მუშათა მოძრაობის განმტკიცებისა და სოციალისტური პარტიების შექმნის აუცილებლობის შესახებ პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლისა და ძალაუფლების დაპყრობისათვის. კონგრესმა აღნიშნა, რომ მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, და, ანარქისტების პროტესტების მიუხედავად, გადაწყვიტა ებრძოლა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის, ხელფასის მომატებისათვის, საქონლით ანაზღაურების სისტემის გაუქმებისათვის და სხვ. მიღებულ იქნა აგრეთვე ისტორიული გადაწყვეტილება, რომ ყოველწლიურად ედღესასწაულათ 1 მაისი და ამ დღეს მოეწყოთ მშრომელთა დემონსტრაციები პროლეტარული სოლიდარობის ნიშნად. — **242**.

283 კ ო პ ე ნ ჰ ა გ ე ნ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ გ რ ე ს ი (II ინტერნაციონალის VIII კონგრესი) მიმდინარეობდა 1910 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე. კონგრესს ესწრებოდა 896 დელეგატი ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ქვეყნებიდან. ავსტრიის, ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის თანაბრად რუსეთს კონგრესზე ჰქონდა 20 ხმა: აქედან სოციალ-დემოკრატებს (ლიტვისა და სომხეთის სოციალ-დემოკრატიის ჩათვლით) ეკუთვნოდა 10 ხმა, ესერებს—7, პროფკავშირებს — 3 ხმა. რსდმ პარტიის წარმომადგენლებად კონგრესზე იყვნენ ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ა. მ. კოლონტაი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვები.

ცალკეულ საკითხებზე რეზოლუციების წინასწარ განსახილველად და შესამუშავებლად ჩამოყალიბდა ხუთი კომისია: კოოპერაციული;

პროფკავშირთა, საერთაშორისო სოლიდარობისა და ავსტრიაში პროფმოძრაობის ერთიანობისა; ომის წინააღმდეგ ბრძოლისა; მუშათა კანონმდებლობის და უმუშევრობის საკითხისა; სხვადასხვა რეზოლუციების შემმუშავებელი, მათ შორის სოციალისტური ერთიანობის, სიკვდილით დასჯის, ფინეთის, არგენტინის, სპარსეთისა და სხვა საკითხთა კომისიები.

ლენინი შევიდა კოოპერაციის კომისიაში, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი კომისია იყო.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე მიღებული რეზოლუციით— „სამედიატორო სასამართლოები და განიარაღება“ — კონგრესმა დაადასტურა შტუტგარტის კონგრესის (1907) რეზოლუცია — „მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები“, სადაც შეტანილი იყო ვ. ი. ლენინისა და რ. ლუქსემბურგისეული შესწორებანი, რომლებიც ყველა ქვეყნის სოციალისტებს ავალებდა ბურჟუაზიის დასამხობად გამოეყენებინათ ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისები. კოპენჰაგენის კონგრესის რეზოლუცია სოციალისტურ პარტიებსა და მათს წარმომადგენლებს პარლამენტებში ავალებდა აგრეთვე იმას, რომ თავიანთი მთავრობებისაგან მოეთხოვათ შეიარაღების შემცირება, სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი კონფლიქტების მოგვარება სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით, მოუწოდებდა ყველა ქვეყნის მუშებს პროტესტებით გამოსულიყვნენ ომის საფრთხის წინააღმდეგ.

კონგრესის დღეებში ლენინმა საერთაშორისო ასპარეზზე მარქსისტების შეკავშირების მიზნით თათბირი გამართა II ინტერნაციონალის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან, რომლებიც კონგრესს ესწრებოდნენ. — **242**.

284 მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში სამუშაო დღის შეზღუდვის შესახებ მოყვანილია კ. კაუცკის ნაშრომებში „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“ და „შრომის საკანონმდებლო დაცვა და 8-საათიანი სამუშაო დღე“. — **244**.

285 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ მცხოვრებ წევრთა თათბირი გაიმართა პარიზში 1911 წლის 28 მაისს — 4 ივნისს (10—17 ივნისს). თათბირის მომზადებასა და მოწვევას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს გეერდს ავლით, რადგან ამ ბიუროს ლიკვიდატორული უმრავლესობა სისტემატურად ფუშავდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას. თათბირისათვის მზადება 1911 წლის აპრილიდან დაიწყო. თათბირს ზომები უნდა მიეღო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოსაწვევად, იმ მძიმე კრიზისის აღმოსაფხვრელად, რასაც პარტია განიცდიდა იმის გამო, რომ ფაქტობრივად არ გააჩნდა ხელმძღვანელი ცენტრალური დაწესებულებანი. თათბირს

ესწრებოდნენ ბოლშევიკები, პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები, ერთი გოლოსელი და ერთი ბუნდელი. ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა მ. ვ. ოზოლინმა განაცხადა, რომ თავისი ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად თათბირში მონაწილეობას მიიღებს სათათბირო ხმით. ბუნდელმა მ. ი. ლიბერმა განაცხადა, უფლებამოსილება არა მაქვს ბუნდის ცენტრალური კომიტეტისაგან ვესწრებოდე თათბირს როგორც მისი წარმომადგენელი.

IV სახელმწიფო სათათბიროს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით თათბირმა დასახა ღონისძიებანი საარჩევნო კამპანიაში პარტიის ტაქტიკის შემუშავებისა და საარჩევნო პლატფორმის პროექტის შედგენისათვის. თათბირის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო პარტიული კონფერენციის მოწვევა. რადგან ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დაუყოვნებლივ მოწვევა ვერ ხერხდებოდა, თათბირმა იკისრა კონფერენციის მოწვევის ინიციატივა და შექმნა საორგანიზაციო კომისია კონფერენციის მოსამზადებლად. თათბირმა მიიღო ლენინის წინადადება შექმნილიყო რუსეთის კოლეგია კონფერენციის მოწვევისათვის პრაქტიკული მუშაობის გასაწევად (იხ. ეს ტომი, გვ. 254). თათბირის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა საზღვარგარეთის პარტიული ორგანიზაციების მოწვევას საორგანიზაციო კომისიაში ერთობლივი მუშაობისათვის. ლენინმა, რომელმაც ხმა მისცა რეზოლუციას მთლიანად, ამასთან ერთად შეიტანა განცხადება-პროტესტი საორგანიზაციო კომისიაში ანტიპარტიული ჯგუფების — გოლოსელთა და ვპერიოდელთა წარმომადგენლების მოწვევის წინააღმდეგ (იხ. ეს ტომი, გვ. 254).

თათბირმა დაგმო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ანტიპარტიული, ფრაქციული პოლიტიკა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინაშე დაყენა ამ დაწესებულების შემდგომი არსებობის საკითხი. რეზოლუციის ბოლო ნაწილის კენჭისყრის დროს ლენინმა თავი შეიკავა, რადგან იგი დაბეჯითებით მოითხოვდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს დაუყოვნებლივ რეორგანიზაციას. ტექნიკური ფუნქციების (პარტიული გამომცემლობის მომსახურება, ტრანსპორტის ორგანიზაცია და ა. შ.) შესასრულებლად თათბირმა შექმნა ტექნიკური კომისია. იგი ექვემდებარებოდა ცენტრალური კომიტეტის იმ წევრთა და კანდიდატთა ჯგუფს, რომლებიც თათბირში მონაწილეობდნენ.

თათბირის შემდეგ ცალკე ფურცლად გამოშვებულ „ცნობაში“ გაშუქებული იყო თათბირის მოწვევის ვითარება, მისი შემადგენლობა და მიზნები. ამავე ფურცელში დაიბეჭდა თათბირის რეზოლუციები.

ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის თათბირი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პარტიული ძალების შემოკრებისათვის,

ლიკვიდატორ-გოლოსელთა, ვპერიოდელთა და ტროცკისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად მათი გაერთიანებისათვის, პარტიის განმტკიცებისათვის. თათბირის გადაწყვეტილებანი ხელს უწყობდნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების შემჭიდროებასა და განმტკიცებას. საერთო-პარტიული კონფერენციის მოსამზადებლად რუსეთში ლენინმა გამოგზავნა გამოცდილი პარტიული მუშაკები — ბოლშევიკები გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო), ბ. ა. ბრესლავი (ზაქარია), ი. ი. შვარცი (სიმონი). თათბირის გადაწყვეტილებანი 1911 წლის სექტემბრისათვის მოიწონეს რუსეთის მთელი რიგი ქალაქების სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტებმა და ორგანიზაციებმა. 1911 წლის სექტემბერში კონსტრუირებულ იქნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შევიდნენ მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. რუსეთის საორგანიზაციო კომისიამ მოამზადა 1912 წლის იანვარში რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის მოწვევა. მასალები რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირისათვის იხ. აგრეთვე: თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 223—234. — **245**.

286 დოკუმენტი იბეჭდება ფ. ე. ძერჟინსკის ხელით გადაღებული პირის მიხედვით. ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მოხსენების დედანი ვერ მოიძებნა.

ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირის ოქმებში არაა მითითებული, რომ ლენინი თათბირზე მოხსენებით გამოვიდა. ალბათ, მოხსენება თათბირის მონაწილეებს თათბირის გახსნამდე წარედგინათ. — **245**.

287 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც „გამაერთიანებლის“ სახელწოდებით არის ცნობილი, გაიმართა პარიზში 1910 წლის 2—23 იანვარს (15 იანვარს—5 თებერვალს).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა ფრაქციისა და დაჯგუფების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პლენუმზე უმრავლესობა შემარიგებლებს ეკუთვნოდა. ლენინი პლენუმზე შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ, მოითხოვდა ლიკვიდატორებისა და ოტზოვიზმის გადაჩრით დაგმობას და ცდილობდა პარტიელ-მენშევიკებთან ბოლშევიკების დაახლოებას. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ანგარიში; 2) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ანგარიში; 3) ცენტრალური ორგანოს რედაქციის ანგარიში; 4) ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიების ცენტრალური კომიტეტების ანგარიშები; 5) საქმის ვითარება პარტიაში; 6) მორიგი პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ; 7) რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წესდება და სხვა საკითხები.

ლენინის დაჟინებითი მოთხოვნით პლენუმმა მიიღო რეზოლუცია „პარტიაში საქმის ვითარების თაობაზე", რომელმაც დაგმო ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი, აღიარა ამ მიმდინარეობათა საშიშროება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. იანვრის პლენუმის მნიშვნელობის შეფასებისას ლენინი ამბობდა, რომ ამ პლენუმმა, რომელმაც რსდმ პარტიის V კონფერენციის (1908 წლის სრულიად რუსეთისა) რეზოლუციების განსავითარებლად დაადგინა, რომ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი არის პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება, ამით საბოლოოდ განსაზღვრა პარტიის ტაქტიკური ხაზი კონტრრევოლუციის პერიოდში. პლენუმმა აგრეთვე დააყენა პარტიის ნამდვილი ერთიანობის შექმნის აუცილებლობის საკითხი მოცემულ ისტორიულ პერიოდში პარტიის იდეურ-პოლიტიკური ამოცანებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად ლენინი მკაცრად გმობდა პლენუმის შემარიგებლურ გადაწყვეტილებებს.

პლენუმის მუშაობა, ლიკვიდატორებთან, ეპერიოდელებთან, ტროცკისტებთან და შემარიგებლებთან ბრძოლა ამ პლენუმზე დაწერილებით არის გაშუქებული ვ. ი. ლენინის სტატიაში „პუბლიცისტის შენიშვნები" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 239—323). — **245**.

288 იგულისხმებიან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და კანდიდატები, არჩეულნი რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან 1 ივნისამდე). — **246**.

289 ცენტრალური კომიტეტის წესდებაში, რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო, ნათქვამი იყო: „პლენუმზე (15 წევრისაგან) მოიწვევიან: 1) რუსეთში მოქმედი კოლეგიის წევრები; 2) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრები მისი იმ წევრების გამოკლებით, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის წევრები არ არიან; 3) თუ ერთნიც და მეორენიც 15-ს არ შეადგენენ, მაშინ პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოიწვევიან დანარჩენი კანდიდატებიც შემდეგი რიგით: ა) ლონდონის ყრილობის კანდიდატები, რომლებიც კი რამე პარტიულ სამუშაოს ასრულებენ რუსეთში; ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, რომლებიც კი საზღვარგარეთ ცხოვრობენ და ეწევიან ცენტრალური კომიტეტის მიერ მათთვის დაკისრებულ მუშაობას" („სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწილი I, 1954, გვ. 297). — **247**.

290 ეპერიოდელები, ჯგუფი „ეპერიოდი" — ოტზოვისტების, ულტიმატისტებისა და ღვთისმშენებლების ანტიპარტიული

ჯგუფი; ჩამოყალიბდა ა. ბოგდანოვისა და გ. ა. ალექსინსკის თაოსნობით 1909 წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც დაიშალა ოტზოვისტ-ულტიმატისტების ფრაქციული ცენტრი — კაპრის სკოლა; ჰქონდა ამავე სახელწოდების ბეჭდვითი ორგანო.

რადგან მუშათა მოძრაობაში დასაყრდენი არ ჰქონდა, „ეპერიოდი“ 1913—1914 წლებში ფაქტობრივად დაიშალა; ფორმალურად მისი არსებობა შეწყდა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. — 248.

291 „დისკუსიონი ლისტოკ“ — რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს — „სოციალ-დემოკრატის“ დამატება; გამოდიოდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით 1910 წლის 6 (19) მარტიდან 1911 წლის 29 აპრილამდე (12 მაისამდე) პარიზში. გამოვიდა სამი ნომერი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ბოლშევიკების, მენშევიკების, ულტიმატისტების, ბუნდელების, პლეხანოველების, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისა და ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები. „დისკუსიონი ლისტოკში“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატიები „პუბლიცისტის შენიშვნები“, „ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში“, „ლეგალისტის საუბარი ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგესთან“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 239—323, 468—492; ტომი 17, გვ. 202—214). — 248.

292 იგულისხმება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის მიერ დანიშნული სასკოლო კომისია (სასკოლო კომიტეტი) პარტიული სკოლის დასაარსებლად საზღვარგარეთ. მას შემადგენლობაში შედიოდა ცხრა კაცი: ორი ბოლშევიკი, ორი მენშევიკი, ორი ვპერიოდელი და თითო წარმომადგენელი ეროვნული ორგანიზაციებისაგან — ბუნდისაგან, ლატვიისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან. — 248.

293 IV სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა დაიწყო 1912 წლის 15 (28) ნოემბერს. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მიმდინარეობდა 1912 წლის შემოდგომაზე 1907 წლის 3 (16) ივნისის რეაქციული საარჩევნო კანონის საფუძველზე და თან ახლდა მთავრობის მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო მთავრობისათვის სასურველი შედარებული უმრავლესობის შექმნა სათათბიროში. IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის დახასიათება და არჩეული სათათბიროს კლასობრივი და პარტიული შემადგენლობის შეფასება ვ. ი. ლენინმა მოგვცა სტატიაში „არჩევნების შედეგები“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 598—631).

IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში შედიოდა ექვსი ბოლშევიკი — ა. ე. ბადაევი, მ. კ. მურანოვი, გ. ი. პეტროვსკი,

თ. ნ. სამოილოვი, ნ. რ. შაგოვი და რ. ვ. მალინოვსკი (რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, პროვოკატორი აღმოჩნდა), შვიდი მენშევიკი და ფრაქციის ერთი არასრულუფლებიანი წევრი (დეპუტატი ქ. ვარშავიდან—ე. ი. იაგელო), რომელიც მენშევიკებს მიემხრო. მენშევიკები იყენებდნენ თავიანთ მცირე რიცხობრივ უპირატესობას ფრაქციაში და ხელს უშლიდნენ მის მუშაობას, აფერხებდნენ ბოლშევიკების მიერ წარდგენილ მთელ რიგ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. 1913 წლის ოქტომბერში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით დეპუტატი-ბოლშევიკები გამოვიდნენ გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან და შექმნეს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ფრაქცია. დეპუტატ-ბოლშევიკთა მუშაობას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდა ლენინი, რომელიც მათ ასწავლიდა სათათბიროს ტრიბუნის რევოლუციურ გამოყენებას.

სახელმწიფო სათათბირო უძლურად აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გადაეჭრა დიდი საკითხები, რომლებსაც ქვეყნის ობიექტური განვითარება აყენებდა, მისი მუშაობა სულ უფრო და უფრო იფარგლებოდა ფუჭი დავით. IV სათათბიროს საკანონმდებლო მოღვაწეობა მნიშვნელოვანწილად მიმართული იყო თვითმპყრობელობის ისეთი საყრდენების განმტკიცებისაკენ, როგორიცაა სასამართლო, ეკლესია, პოლიცია.

სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა რუსეთის ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში. ოპორტუნული პოზიცია დაიკავეს მენშევიკებმა და ესერებმა. მარტო ბოლშევიკთა პარტიამ გადაჭრით გაილაშქრა ომის წინააღმდეგ. ბოლშევიკურმა ფრაქციამ უარი განაცხადა კენჭი ეყარა სამხედრო კრედიტებისათვის და რევოლუციური პროპაგანდას ეწეოდა მასებში. 1914 წლის ნოემბერში IV სათათბიროს დეპუტატი-ბოლშევიკები დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

1915 წლის აგვისტოში IV სახელმწიფო სათათბიროს ბურჟუაზიულ-მემამულურმა ფრაქციებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული „პროგრესული ბლოკი", რომელშიც შევიდა სათათბიროს ყველა დეპუტატის ნახევარზე მეტი. ლენინის განსაზღვრით ეს იყო „ლიბერალურ-ოქტობრისტული ბლოკი იმისათვის, რომ შესთანხმებოდნენ მეფეს რეფორმების პროგრამაში და გერმანიაზე გასამარჯვებლად მრეწველობის მობილიზაციის საქმეში" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 462).

1917 წლის 26 თებერვალს (11 მარტს) მეფემ გამოაცხადა IV სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა, ვერ გაბედეს რა აშკარა პროტესტი გამოეთქვათ, გადაწყვიტეს სხდომები განგეგრძოთ არაოფიციალურად. 27 თებერვალს (12 მარტს) მათ რევოლუციასთან საბრძოლველად და მონარქიის გადასარჩენად შექმნეს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი, რომელმაც პეტროგრადის საბჭოს ესერ-მენშევიკთა წარმომადგენლებთან

შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის შექმნის შესახებ. სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრები გამოდიოდნენ როგორც რევოლუციის აქტიური მტრები და თავიანთ „კერძო“ თათბირებზე მოითხოვდნენ სამხედრო დიქტატურის დამყარებას და საბჭოების მოსპობას. 1917 წლის 6 (19) ოქტომბერს რევოლუციური მასების შეტევამ აიძულა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა გამოეცა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის აქტი. — **248.**

294 „ნ ა შ ა ზ ა რ ი ა“ — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის იანვრიდან 1914 წლის სექტემბრამდე. ჟურნალს ხელმძღვანელობდა ა. ნ. პოტრესოვი, მასში მონაწილეობდნენ თ. ი. დანი, ს. ო. ცედერბაუმი (ვ. ეჟოვი) და სხვები. „ნაშა ზარიას“ გარშემო შეიქმნა ლიკვიდატორთა ცენტრი რუსეთში. რსდმ პარტიის 1912 წლის VI (პრაღის) სრულიად რუსეთის კონფერენციის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ „ჟურნალების „ნაშა ზარიასა“ და „დელო ჟიზნის“ ირგვლივ დაჯგუფებულ სოციალ-დემოკრატთა ნაწილი აშკარად დაადგა იმ მიმდინარეობის დაცვის გზას, რომელიც მთელმა პარტიამ აღიარა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის ნაყოფად“ („სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 355). — **248.**

295 „დ ე ლ ო ჟ ი ზ ნ ი“ — ლეგალური ჟურნალი, მენშევიკ-ლიკვიდატორთა ორგანო; სცემდნენ პეტერბურგში 1911 წლის იანვარ—ოქტომბერში. გამოვიდა 9 ნომერი. — **248.**

296 „ზ ვ ე ზ დ ა“ — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; სცემდნენ პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე). თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა ყოველკვირეულად; 1912 წლის 21 იანვრიდან (3 თებერვლიდან) გამოსვლა იწყო კვირაში ორჯერ, ხოლო 1912 წლის 8 (21) მარტიდან — კვირაში სამჯერ.

„ზვეზდის“ იდეურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა ვ. ი. ლენინი; იგი მიმოწერას აწარმოებდა რედაქციის წევრებთან, წარმართავდა მათს მუშობას, აკრიტიკებდა შეცდომებს, განსაკუთრებით „ზვეზდის“ არსებობის პირველ პერიოდში, იბრძოდა გაზეთის მტკიცე მარქსისტული მიმართულებისათვის. „ზვეზდაში“ დიდ სარედაქციო და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ ნ. ნ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი, მ. ს. ოლმინსკი. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაზეთში ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, დემიან ბედნი და სხვები. „ზვეზდაში“ დაიბეჭდა გ. ვ. პლეხანოვის მთელი რიგი სტატიები. „ზვეზდაში“ მონაწილეობისათვის ლენინმა მიიწვია ა. მ. გორკი. „ზვეზდა“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის მუშათა კლასსა და მშრომელებში. — **249.**

297 გამოსვლა დაკავშირებულია შემდეგ გარემოებასთან: მენშევიკ-გოლოსელმა ბ. ი. გორევმა (გოლდმანმა) თათბირზე გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ თათბირს ესწრებოდნენ ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები — მ. ი. ლიბერი ბუნდისაგან და მ. ვ. ოზოლინი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიისაგან — შესაბამისი ცენტრალური კომიტეტებისაგან რწმუნებათა გარეშე. ლიბერმა განაცხადა, რომ ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ვერ მოასწრეს თავიანთ ცენტრებთან დაკავშირება და რომ თუმცა მე თათბირს ვესწრები, ჰაგრამ არა როგორც ბუნდის წარმომადგენელიო. — **250**.

298 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გორევისა (გოლდმანისა) და ლიბერის გამოსვლები, სადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ საჭიროგვარეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევამდე საჭიროა დავუკავშირდეთ რუსეთის ბიუროს წევრებს, რომლებიც რუსეთში არიანო. — **251**.

299 ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ირჩევდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრთა კოლეგიის საერთო კრებაზე, კოლეგიისა, რომელიც რუსეთში 1908 წლიდან მოქმედებდა. ბიურო განაგებდა რუსეთის კოლეგიის ყველა საქმეს ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებებს შორის. 1910—1911 წლებში, ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, რუსეთის ბიუროს შემადგენლობაში იყვნენ ცენტრალური კომიტეტის შემდეგი წევრები და წევრობის კანდიდატები — ბოლშევიკები: ი. პ. გოლდენბერგი (მეშკოვსკი), ი. თ. დუბროვინსკი (ინოკენტი), მათი დაპატიმრების შემდეგ — ვ. პ. ნოგინი (მაკარი) და გ. დ. ლეიტეიზენი (ლინდოვი). მენშევიკ-ლიკვიდატორები — ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები განზე განუდგნენ მუშაობას, ხოლო ი. ა. ისუვი (მიხეილი), პ. ა. ბრო.შტეინი (იური) და კ. მ. ერმოლაევი (რომანი) არა მარტო უარს აცხადებდნენ მუშაობაში მონაწილეობაზე, არამედ მავნებლაც კი მიიჩნიეს თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობა. ბიუროს უყველა ცდა, რომ მოეწვია რუსეთის კოლეგია, ამაო გამოდგა.

1911 წლის მარტში, ნოგინისა და ლეიტეიზენის დაპატიმრების შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ არსებობა შეწყვიტა. ლენინი, დადებითად აფასებდა რა რუსეთის ბიუროს ცდებს მოეწესრიგებინა მუშაობა რუსეთში და მოეწვია ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგია, ამასთანავე მკაცრად აკრიტიკებდა ბიუროს წევრთა შემარიგებლურ პოზიციას.

რსდმ პარტიის VI (პრაღის) სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ხელახლა შეიქმნა რუსეთის ბიურო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები: გ. კ. ორჯონიკიძე, ი. მ. სვერდლოვი, ს. ს. სპანდარიანი, ი. ბ. სტალინი; ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები: მ. ი. კალინინი, ე. დ. სტასოვა და სხვ. შემ-

დგომ, რუსეთში პარტიულ მუშაკთა ხშირ დაპატიმრებათა გამო, რუსეთის ბიუროს შემადგენლობა ბევრჯერ შეიცვალა, გამოკლებული წევრების ნაცვლად კოოპტაციით შეჰყავდათ ახალი წევრები.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთის ბიუროს შეწყვიტა საქმიანობა. — **251.**

300 ბუნდელი იონოვის (ფ. მ. კოიგენის) განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მას არ შეუძლია გამოცხადდეს თათბირზე, ეინიდან ბუნდის ცენტრალური კომიტეტისაგან საამისო რწმუნება არა აქვს, და რომ თათბირის მის მიერ მიღებულ მოსაწვევ ბარათს პირველი შესაძლებლობისთანავე გადაუგზავნის ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს. — **251.**

301 ლენინს მხედველობაში აქვს ლიბერის (ბერის) გამოსვლა, რომელშიაც მან განაცხადა, რომ აუცილებელი არაა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის საკითხის გადაწყვეტა ცენტრალური კომიტეტის წევრთა სასწრაფო თათბირის მოწვევის გზით, არამედ საჭიროა გამოიძებნოს „ლეგალური გამოსაყალი“ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს მეშვეობითო. — **252.**

302 გამოსვლა გამოიწვია ლიბერის განცხადებამ, რომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს უმრავლესობა პლენუმის მოწვევის მომხრეა და მზადაა ოფიციალური დადგენილება მიიღოს ამ საკითხზეო. — **252.**

303 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორული უმრავლესობის წინადადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რუსეთში მოწვევის შესახებ. — **253.**

304 ეს გამოსვლა, ისევე როგორც შემდგომი, დაკავშირებულია იმ პირთა პერსონალური შემადგენლობის საკითხის განხილვასთან, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. — **253.**

305 საორგანიზაციო კომისია (საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია) საერთო-პარტიული კონფერენციის მოსაწვევად შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის თათბირზე 1 (14) ივნისს ბოლშევიკების, შემარიგებლებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან. საზღვარგარეთის სხვა ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომლებიც მოწვეული იყენენ კომისიაში მონაწილეობისათვის, თავიანთი წარმომადგენლები არ გამოუგზავნიათ. საორგანიზაციო კომისიამ თავის წარმომადგენლად რუსეთში გაგზავნა გ. კ. ორჯონიკიძე, რომელსაც უნდა ეშუამავა საერთო-პარტიული კონფერენციის მოსამზადებლად, და გამოუშვა მიმართვა „ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ ორგანიზაციას, ჯგუფსა და წრეს“, რომლითაც მოუწოდა მათ დაეწყოთ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის არჩევნები.

ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული მუშაობის შედეგად შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია. ოქტომბრის დამლევს საზღვარგარეთულმა საორგანიზაციო კომისიამ განიხილა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ გამოშვებული „ცნობა“ ამ კომისიის კონსტიტუირების შესახებ და რეზოლუციები, რომელთა თანახმად იგი მთლიანად კისრულობდა კონფერენციის მოწვევის ყველა რწმუნებას, ხოლო საორგანიზაციო და ტექნიკური კომისიები რუსეთის საორგანიზაციო კომისიას უნდა დამორჩილებოდა. მას შემდეგ, რაც საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის შემარიგებლურმა უმრავლესობამ უარი განაცხადა დამორჩილებოდა ამ გადაწყვეტილებებს, ბოლშევიკების წარმომადგენლებმა დატოვეს საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია. 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს) საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე მოხსენებით რუსეთის საორგანიზაციო კომისიის საქმიანობის შესახებ გამოვიდა პარიზში ჩასული ორჯონიკიძე, რის შემდეგ საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია იძულებული გახდა ეღიარებინა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელი როლი. მიუხედავად ამისა, მალე საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისია რუსეთის საორგანიზაციო კომისიის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას დაადგა. 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) მან გამოუშვა ფურცელი „ღია წერილი რუსეთის საორგანიზაციო კომისიას“, სადაც ამ კომისიას ბრალად სდებდა ფრაქციონერობას. საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის ანტიპარტიული მოქმედება ამხილა ორჯონიკიძემ „წერილში რედაქციის მიმართ“, რომელიც 1911 წლის 8 (21) დეკემბერს დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ № 25-ში. მთელი მუშაობა 1912 წლის იანვარში გამართულ საერთო-პარტიული კონფერენციის მოსაწვევად გასწია რუსეთის საორგანიზაციო კომისიამ, რომელმაც თავის გარშემო დაარაზმა არალეგალური პარტიული ორგანიზაციები რუსეთში. — **254.**

305 ვ. ი. ლენინის ხელმოწერის გარდა განცხადებაზე არის გ. ე. ზინოვიევის ხელმოწერა. — **254.**

307 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირის რეზოლუციაზე „პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ“. — **254.**

308 ვ. ი. ლენინის ხელმოწერის გარდა განცხადებაზე არის გ. ე. ზინოვიევის ხელმოწერა. — **255.**

309 ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი კ ო მ ი ს ი ა (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია) შეიქმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირმა 1911 წლის 1 (14) ივნისს ტექნიკური ფუნქციების (პარტიული გამომცემლობა, ტრანსპორტი და სხვ.) შესასრულებლად. როგორც დროებითი ორგანო, სანამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მოიწვევდნენ, საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია ემორჩილებოდა

ცენტრალური კომიტეტის წევრთა ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ივნისის თათბირში. კომისიაში შედიოდნენ თითო წარმომადგენელი ბოლშევიკებისაგან, შემარიგებლებისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატებისაგან. კომისიის შემარიგებლური უმრავლესობა — მ. კ. ვლადიმიროვი და მისი მომხრე ვ. ლ. ლედერი—აფერხებდა საზღვარგარეთული სორგანიზაციო კომისიისათვის იმ ფულის მიცემას, რომელიც განკუთვნილი იყო პარტიული კონფერენციის მოწვევის ფონდისათვის, აგრეთვე სახსრების გაღებას ბოლშევიკურ გაზეთ „ზვეზდის“ გამოსაცემად, ცდილობდა შეეჩერებინა პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ გამოშვება. თავის ბეჭდვით ორგანოში — „ინფორმაციონი ბიულეტენში“ ტექნიკური კომისია თავს ესხმოდა ლენინსა და ბოლშევიკებს. 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს), როცა კომისიის სხდომაზე იხილებოდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის „ცნობა“ და რეზოლუციები, ბოლშევიკების წარმომადგენელმა მ. თ. ელადმირსკიმ წინადადება შეიტანა დამორჩილებოდნენ რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებებს. წინადადება უარყვეს, რის გამო ელადმირსკი გამოეიდა კომისიის შემადგენლობიდან და ბოლშევიკებმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს კომისიასთან.—**255.**

310 იგულისხმება ლონჟიუმოს (პარიზიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული დაბა) პარტიული სკოლა, რომელიც 1911 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით დაარსეს ბოლშევიკებმა რუსეთის დიდი პროლეტარული ცენტრების პარტიული ორგანიზაციების მუშაკებისათვის. სულ სკოლაში იყო 13 მსმენელი მუშა — მოსკოვის, პეტერბურგის, ბაქოს, ივანოვო-ვოზნესენსკის, ნიკოლაევის, თბილისის, სორმოვოს, ეკატერინოსლავის გუბერნიის, დომბროვსკის რაიონის (პოლონეთი) წარმომადგენლები და 5 თავისუფალი მსმენელი. სკოლის მოსწავლეთა შორის იყვნენ: ი. ს. ბელოსტოკი, ბ. ა. ბრესლავი, ა. ი. დოგადოვი, ი. დ. ზეევინი, ა. ი. ივანოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ვ. პრისიაგინი, ე. პრუხნიკი, ი. ი. შვარცი, ი. დ. ჩუგურინი და სხვები. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ, მოსწავლეთა შორის აგრეთვე იყვნენ მენშევიკი-პარტიელები და ერთი ეპერიოდელი. ლექტორთა სია შეადგინა სასკოლო კომიტეტმა მსმენელებთან ერთად. სკოლაში ლექციების წასაკითხავად მოსწვევი ბარათები სასკოლო კომიტეტმა დაუგზავნა რსდმ პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებს. მენშევიკებმა ლ. მარტოვმა, თ. ი. დანმა და სხვებმა უარი განაცხადეს ლექციების წაკითხვაზე. სკოლაში ლექციებს ძირითადად ბოლშევიკები კითხულობდნენ.

სკოლის იდეური ხელმძღვანელი და მთავარი ლექტორი ვ. ი. ლენინი იყო. როცა სკოლა შეავსო მსმენელთა ორმა მესამედმა, ლენინმა

მსმენელებს მეცადინეობა ჩაუტარა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესახებ. ლენინმა სკოლაში წაიკითხა 29 ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში (43 საათი), 12 ლექცია (18 საათი) მან აგრარულ საკითხს მიუძღვნა. პირველდელი გეგმის მიხედვით ლექციები ფილოსოფიაში გ. ვ. პლეხანოვს უნდა წაეკითხა, მაგრამ, როცა მეცადინეობის ბოლოს გამოირკვა, რომ იგი არ მოვიდოდა, მსმენელთა თხოვნით ლენინმა წაიკითხა სამი ლექცია ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ. გარდა ამისა, აგრეთვე მსმენელთა თხოვნით, ლენინმა წაიკითხა რეფერატი მიმდინარე მომენტისა და პარტიაში საქმის ვითარების შესახებ.

სკოლაში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 17 (30) აგვისტოს მსმენელები გაემგზავრნენ რუსეთში არალეგალური პარტიული მუშაობისათვის. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რსდმ პარტიის VI (პრაღის) სრულიად რუსეთის კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში. ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ბევრი კურსდამთავრებულთაგანი შემდგომ თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი გახდა. — **255.**

311 ეს გეგმა საფუძვლად დაედო რეფერატს „ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი“, რომელიც ვ. ი. ლენინმა წაიკითხა პარიზში 1911 წლის 14 (27) ნოემბერს.

იგულისხმება ნ. ა. როჟკოვის სტატია „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა მოძრაობის ძირითადი ამოცანა ამჟამად“, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ნაშა ზარიას“ № 9—10-ში. — **256.**

312 წინადადება რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის წესდების შესახებ ვ. ი. ლენინმა შეიტანა საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების პარიზის თათბირზე 1911 წლის 16 (29) დეკემბერს, როცა იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, საზღვარგარეთული ორგანიზაციის წესდების პროექტზე დეტალურად ემსჯელათ თვით ამ თათბირზე თუ გადაეცათ იგი საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტისათვის ჯგუფებთან შესათანხმებლად და საბოლოოდ დასამტკიცებლად. ლენინის წინადადება მიღებულ იქნა 8 ხმით ერთის წინააღმდეგ.

საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირი გაიმართა პარიზში 1911 წლის 14—17 (27—30) დეკემბერს და მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. თათბირი მოწვეული იყო ბოლშევიკური „რაბოჩაია გაზეტას“ დამხმარე პარიზის წრის თაოსნობით. თათბირის მიზანს შეადგენდა ბოლშევიკური ძალების შემჭიდროება საზღვარგარეთ და სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის ხელის შეწყობა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პარიზის, ნანსის, ციურიხის, დავოსის,

ჟენევის, ლიეჟის, ბერნის, ბრემენისა და ბერლინის ბოლშევიკური ჯგუფების 11-მა დელეგატმა გადამწყვეტი ხმით. ტულუზის, ლოზანის, ლონდონის, ბრიუსელის, ანტვერპენის, კოპენჰაგენის, ნიცისა და სხვა ქალაქების ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს თავიანთი წარმომადგენლების გაგზავნა ტექნიკურ და მატერიალურ დაბრკოლებათა გამო. ზოგიერთმა ბოლშევიკურმა ჯგუფმა მოახერხა თათბირისათვის გაეგზავნა თავისი დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საორგანიზაციო ბიუროს ანგარიში და დელეგატების ანგარიში ადგილებიდან; 2) საქმის ვითარება პარტიაში; 3) საქმის ვითარება საზღვარგარეთ და დამოკიდებულება სხვადასხვა მიმდინარეობისადმი; 4) ორგანიზაციული საკითხები; 5) საზღვარგარეთ მუშაობის ამოცანები; 6) დამოკიდებულება კონფერენციისადმი; 7) სხვადასხვა საკითხები.

თათბირმა დაადასტურა გოლოსელთა და ვპერიოდელთა საბოლოო ჩამოშორება პარტიისაგან, მათი სრული გაკოტრება და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის წევრთა ივნისის თათბირის ღონისძიებანი პარტიული კონფერენციის მოსაწვევად. თათბირმა მიიღო ლენინის მიერ შეტანილი რეზოლუცია რუსეთის საორგანიზაციო კომისიისა და მის მიერ მოსაწვევი კონფერენციისათვის მხარდაჭერის შესახებ; დაადგინა შეექმნა რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია (ადგილობრივი სექციებით) ნამდვილი პარტიული ხაზის გატარების საფუძველზე, ლიკვიდატორებთან შეთანხმების გარეშე, და აირჩია საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი.

თათბირმა ერთიან ორგანიზაციად შეაკავშირა საზღვარგარეთის ბოლშევიკური ჯგუფები, მოიწონა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნა და განაცხადა, რომ „მისთვის ყოველგვარი მხარდაჭერა თითოეული პარტიელის მოვალეობაა“. — **257.**

313 რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი აირჩიეს საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე პარიზში 1911 წლის დეკემბერში. საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტში შევიდნენ ნ. ა. სემაშკო, მ. თ. ვლადიმირსკი, ინესა არმანდი და სხვ. საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიული ძალების შემჭიდროებაში, მენშევიკ-ლიკვიდატორებთან, შემარიგებლებთან, ტროცკისტებთან და სხვა ოპორტუნისტებთან ბრძოლაში. საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტი ეხმაურებოდა რუსეთის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას და პარტიული მუშაობისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სახელმძღვანელოდ დასახულ ღონისძიებებს, აგრეთვე ეხმარებოდა ცენტრალურ კომიტეტს პარტი-

ული ლიტერატურის გამოცემაში საზღვარგარეთ. მან მუშაობა შეწყვიტა 1917 წელს. — 257.

314 პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ვ. ი. ლენინის მოხსენებით გამოსვლის ზუსტი თარიღი და ვითარება არ არის დადგენილი. — 258.

315 ლ ი დ ვ ა ლ ი ა დ ა — დიდი აფერისტისა და სპეკულანტის ე. ლიდვალის და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ვ. ი. გურკოს საქმე. ლიდვალი გურკოს დახმარებით გაურიგდა მთავრობას რუსეთის დამშეული გუბერნიებისათვის 1906 წლის ოქტომბერ—დეკემბრის განმავლობაში 10 მილიონი ფუთი ჭვავის მიწოდების შესახებ. გურკოსაგან ავანსად ლიდვალმა სახელმწიფო სახსრებიდან რომ მიიღო მნიშვნელოვანი თანხა, 1906 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში რკინიგზებთან მიზიდა პურის საერთო ოდენობის მხოლოდ $^1/_{10}$-ზე ნაკლები. ხაზინის გაჭურვდა და შიმშილით სპეკულაცია საქვეყნოდ გახმაურდა და მეფის მთავრობა იძულებული გახდა საქმე სასამართლომდე მიეყვანა. მაგრამ გურკოსთვის ამ სასამართლო საქმეს არაფერი მოჰყოლია, თანამდებობიდან მისი გადაყენების გარდა. — 258.

316 ლაპარაკია რსდმ პარტიის მეხუთე (1908 წლის სრულიად რუსეთისა) კონფერენციის რეზოლუციაზე „თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ“ (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 241—244). — 258.

317 ლაპარაკია სახალხო განათლების მინისტრის ლ. ა. კასოს იმ ახსნა-განმარტებაზე IV სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც გამოწვეული იყო სათათბიროს 44 დეპუტატის 1912 წლის 14 (27) დეკემბრის შეკითხვით ვიტმერის კერძო გიმნაზიაში გამართულ კრებაზე პეტერბურგის საშუალო სასწავლებლების 34 მოსწავლის დაპატიმრების გამო. ოხრანკის განყოფილებამ ეჭვი მიიტანა, რომ ისინი არალეგალურ წრეს ეკუთვნიან. შეკითხვის განხილვა გრძელდებოდა სათათბიროს მე-12, მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 სხდომაზე. 1913 წლის 6 (19) თებერვალს ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომელიც არადამაკმაყოფილებლად ცნობდა მეფის მინისტრის ახსნა-განმარტებას. — 258.

318 რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის მეექვსე (პრაღის) კონფერენცია გაიმართა 1912 წლის 5—17 (18—30) იანვარს პრაღაში. პრაღის კონფერენციამ ფაქტობრივად ყრილობის როლი შეასრულა. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, იგი გამოვიდა მოხსენებებით თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ, აგრეთვე სიტყვები წარმოთქვა სხვა საკითხებზე. ლენინმა და-

წერა რეზოლუციების პროექტები კონფერენციის დღის წესრიგის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

უდიდესი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციებს „ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ“, „პარტიული ორგანიზაციის შესახებ საზღვარგარეთ“. კონფერენციამ განაცხადა, რომ ლიკვიდატორები თავიანთი საქციელით საბოლოოდ აღმოჩნდნენ პარტიის გარეთ, და გარიცხა ისინი რსდმ პარტიის რიგებიდან. კონფერენციამ დაგმო საზღვარგარეთული ჯგუფების — მენშევიკ-გოლოსელთა, ვპერიოდელთა, ტროცკისტთა ანტიპარტიული საქმიანობა. მან უდავო აუცილებლობად მიიჩნია არსებობა საზღვარგარეთ ერთიანი პარტიული ორგანიზაციისა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის კონტროლითა და ხელმძღვანელობით დაეხმარებოდა პარტიას, და მიუთითა, რომ საზღვარგარეთულ ჯგუფებს, „რომლებიც არ ემორჩილებიან სოციალ-დემოკრატიული მუშაობის რუსეთის ცენტრს, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტს, და დეზორგანიზაციას ეწევიან ცენტრალური კომიტეტის დაუკითხავად რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებით, არ შეუძლიათ ისარგებლონ რსდმ პარტიის სახელით“. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია „პარტიული მუშაობის ხასიათისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ“, დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ წარმოდგენილი პროექტი პარტიის ორგანიზაციული წესდებისა, რსდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოდ დაამტკიცა გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი და შექმნა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო.

რსდმ პარტიის პრაღის კონფერენციამ დიდმნიშვნელოვანი რიცხვი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნის, მისი ერთიანობის განმტკიცების საქმეში. მან შეაჯამა მენშევიკების წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის მთელი ისტორიული ხანა და, განდევნა რა პარტიიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები, განამტკიცა ბოლშევიკების გამარჯვება; კონფერენციამ განსაზღვრა პარტიის პოლიტიკური ხაზი და ტაქტიკა ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობებში.

პრაღის კონფერენციის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან II ინტერნაციონალის პარტიების რევოლუციურ ელემენტებს უჩვენა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მაგალითი, მიიყვანა რა ეს ბრძოლა ოპორტუნისტებთან სრულ ორგანიზაციულ გათიშვამდე. პრაღის კონფერენციის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 539—581. — 280.

319 ეს შენიშვნა ვ. ი. ლენინმა გააკეთა იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ მადლობა გამოეცხადებოდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიას იმ მუშაობისათვის, რაც მან გასწია რუსეთის ყველა პარტიული ორგანი-

ბაციის შესაკავშირებლად და რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის მოსაწვევად და გადამწყვეტი ხმის უფლება მისცემოდა მის წარმომადგენელს კონფერენციაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 552). — **260**.

320 სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისია შეიქმნა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა 1911 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებით. იგი კონსტრუირებულ იქნა სექტემბრის ბოლოს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე და მოქმედებდა რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის გახსნამდე. — **261**.

321 იგულისხმება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა, რომელიც ციურიხში გაიმართა 1911 წლის 23—24 სექტემბერს. — **262**.

322 კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რუსეთის დელეგაციის წევრებმა ვ. ი. ლენინმა, გ. ვ. პლეხანოვმა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა ა. ვარსკიმ (ა. ს. ვარშავსკიმ) ამ კონგრესის მუშაობის დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას გაუგზავნეს პროტესტი იმის გამო, რომ მისმა ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „Vorwärts“-მა გამოაქვეყნა ლ. ტროცკის ცილისმწამებლური სტატია რსდმ პარტიის წინააღმდეგ (პროტესტი— იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 47, გვ. 296—298, რუს.).

ტროცკის ცილისმწამებლური კამპანიის წინააღმდეგ ლენინმა გაილაშქრა აგრეთვე სტატიით „იმის შესახებ, თუ როგორ აცნობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალს რსდმ პარტიის საქმის ვითარებას“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ № 17-ში 1910 წლის 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს), აგრეთვე სტატიით „ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში“, რომელიც დაიბეჭდა „დისკუსიონი ლისტოკის“ № 3-ში 1911 წლის 29 აპრილს (12 მაისს) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 468—492). — **262**.

323 ლაპარაკია 1910 წლის 18—24 სექტემბერს მაგდებურგში გამართული გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობიდან ბადენის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატი დეპუტატების წასვლაზე. ბადენის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმა მისცა მთავრობის ბიუჯეტს, მაშინ როდესაც წინა პარტაიტაგთა გადაწყვეტილებანი უკრძალავდა სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ხმა მიეცათ ბურჟუაზიული მთავრობის ბიუჯეტებისათვის. მაგდებურგის ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით (289 ხმით 80-ის წინააღმდეგ) დაგმო ბადენის სოციალ-დემოკრატთა ოპორტუნისტული ტაქტიკა. ამის შემდეგ ბადენელებმა განაცხადეს, რომ ისინი მომავალშიაც იტოვებენ უფლებას

არ დაემორჩილონ ყრილობათა გადაწყვეტილებებს. ამ განცხადების პასუხად ყრილობის უმრავლესობამ მიიღო განსაკუთრებული რეზოლუცია, რომ დაუყოვნებლივ გარიცხულიყო პარტიიდან ყველა, ვინც დაარღვევდა პარტიაგის დადგენილებას ბიუჯეტისათვის ხმის მიცემის შესახებ. ამ რეზოლუციის მიღების წინ ბადენელმა დეპუტატებმა დემონსტრაციულად დატოვეს ყრილობა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგდებურგის ყრილობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია „ორი სამყარო“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 380—390). — **268.**

324 იგულისხმება ჩეხ და ავსტრიელ სოციალ-დემოკრატთა უთანხმოება პროფესიული კავშირების ერთიანობის საკითხის გამო. ავსტრიის პროფკავშირების საგანგებო ყრილობაზე 1905 წლის დეკემბერში ჩეხმა სოციალ-დემოკრატებმა საკითხი დასვეს შექმნილიყო ეროვნული პროფესიული კავშირები, რომელთა კომპეტენცია მთელ ავსტრიაზე გავრცელდებოდა. ჩეხების წინადადება ხმების დიდი უმრავლესობით უარყვეს. მიუხედავად ამისა, ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ ყრილობის გადაწყვეტილებას. ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა ეს საკითხი 1910 წელს წამოჭრეს კოპენჰაგენის ს ერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, რომელმაც არ მიიღო ჩეხთა სეპარატისტული წინადადება და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პროფკავშირული ორგანიზაციების ერთიანობას. — **268.**

325 ლაპარაკია ოპორტუნისტ მოლკენბურის იმ წერილზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობისადმი, რომელშიაც იგი წინადადებას იძლეოდა, ნუ გამოვალთ გერმანიის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკით რაიხსტაგის მოახლოებული არჩევნების გამოო. როზა ლუქსემბურგმა ეს წერილი გამოაქვეყნა. — **268.**

326 იგულისხმება რეზოლუცია ორგანიზაციული საკითხის გამო, მიღებული რსდმ პარტიის V კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1908 წლის 21—27 დეკემბერს პარიზში (იხ. „სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 249—251). — **266.**

327 იგულისხმება გერმანიის არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული იმ საგანგებო კანონის პერიოდში, რომელიც 1878 წელს გერმანიაში ბისმარკის მთავრობამ შემოიღო მუშათა და სოციალისტურ მოძრაობასთან საბრძოლველად. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მუშათა მასობრივი ორგანიზაციები, მუშათა პრესა; კონფისკაციას უწევდნენ სოციალისტურ ლიტერატურას; სოციალ-დემოკრატებს დევნიდნენ, ასახლებდნენ. მაგრამ რეპრესიებმა ვერ მოდ-

რიჯა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც თავისი მუშაობა გარდაქმნა არალეგალური არსებობის პირობების შესაბამისად: საზღვარგარეთ გამოდიოდა პარტიის ცენტრალური ორგანო—გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ და რეგულარულად ტარდებოდა პარტიული ყრილობები (1880, 1883 და 1887); გერმანიაში, იატაკქვეშ, სწრაფად ღორძინდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც სათავეში ედგა არალეგალური ცენტრალური კომიტეტი. ამავე დროს პარტია ფართოდ იყენებდა ლეგალურ საშუალებებს მასებთან კავშირის განსამტკიცებლად, განუწყვეტლივ იზრდებოდა მისი გავლენა: ხმების რაოდენობა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს რაიხსტაგის არჩევნებში, 1878 წლიდან 1890 წლამდე სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. გერმანელ სოციალ-დემოკრატებს უდიდეს დახმარებას უწევდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. 1890 წელს მასობრივი და განუწყვეტლივ მზარდი მუშათა მოძრაობის ზეგავლენით ანტისოციალისტური საგანგებო კანონი გაუქმებულ იქნა. — **268.**

328 ამ რეფერატის გეგმა დაიბეჭდა იმ განცხადების ტექსტში, რომელიც რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციამ დაბეჭდა. განცხადება იუწყებოდა:

„ოთხშაბათს, 1912 წლის 13 ივნისს,
დარბაზში Alcazar, 190, Avenue de Choisy, 190
ამხ. ლ ე ნ ი ნ ი
წ ა ი კ ი თ ხ ა ვ ს რ ე ფ ე რ ა ტ ს
თემაზე

„რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა““.

გეგმაში ჩამოთვლილი საკითხები ასახულია ლენინის 1912 წლის მთელ რიგ ნაშრომებში და განსაკუთრებით მის სტატიაში „რევოლუციური აღმავლობა“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 109—118).

განცხადების ტექსტი აღდგენილია 1955 წელს ჟურნალ „ისტორიჩესკი არხივის“ მე-2 ნომერში. — **271.**

329 იგულისხმება უიარაღო მუშების დახვრეტა ციმბირში, ლენის ოქროს საბადოებში, 1912 წლის 4 (17) აპრილს. ლენაზე მომხდარმა სისხლიანმა ამბებმა ააღელვა რუსეთის მუშათა კლასი. დემონსტრაციების, მიტინგებისა და გაფიცვების ტალღა მთელ ქვეყანას მოედო. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მეფის მთავრობას შეკითხვით მიმართა ლენაზე მომხდარი დახვრეტის გამო. ამ შეკითხვაზე მეფის მინისტრის მაკაროვის თავხედურმა პასუხმა: „ასე იყო და კვლავაც ასე იქნება!“—გააძლიერა მუშების აღშფოთება. ლენაზე მომხდარი

დახვრეტის წინააღმდეგ საპროტესტო გაფიცვებში მონაწილეობდა 300 ათასამდე მუშა. ეს გაფიცვები შეუერთდა საპირველმაისო გაფიცვებს, რომლებშიაც 400 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. „ლენაზე მომხდარი დახვრეტა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გახდა იმის საბაბი, რომ მასების რევოლუციური განწყობილება მასების რევოლუციურ აღმავლობად გადაქცეულიყო“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 111). — 271.

330 ვ. ი. ლენინის ეს სტატია, რომელიც დაწერილია 1912 წლის სექტემბერში, ასახავს პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობას. პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მაშინ განხეთქილება იყო. მის ერთ ნაწილს შეადგენდნენ პარტიის მთავარი გამგეობის მომხრენი რ. ლუქსემბურგისა და ი. ტიშკას მეთაურობით — ეგრეთ წოდებული „ზაკონდელეები“. პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი გამგეობა საერთოდ ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა და პოლონეთში ეწეოდა ბრძოლას ნაციონალიზმთან და რეფორმიზმთან, მაგრამ იმ დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით გაჩაღებულ ბრძოლაში მას მცდარი გეზი ჰქონდა აღებული, შემარიგებლურად ეკიდებოდა მენშევიკ-ლიკვიდატორებს, დაადგა საერთო-პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტის გზას, შეასუსტა კავშირი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, მაშინ როდესაც პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია შედიოდა რსდმ პარტიაში როგორც მისი ავტონომიური ორგანიზაცია. მთავარი გამგეობის შეცდომებთან ბრძოლაში პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეიქმნა ოპოზიცია ეგრეთ წოდებულ „რიზლამოველთა“ სახით; ისინი ეყრდნობოდნენ პარტიის ვარშავის ორგანიზაციას, რომლის სათავეში იდგნენ მთავარი გამგეობის ყოფილი წევრები ი. განეცკი, ა. მალეცკი და სხვ. „როზლამოველები“ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბოლშევიკებთან, მხარს უჭერდნენ მათს გამოსვლებს. ვ. ი. ლენინის შეფასებით ვარშავის ორგანიზაცია იმ პერიოდში პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციებიდან რევოლუციურად ყველაზე ძლიერი და მტკიცე იყო (იხ. ვ. ი. ლენინის სტატია „გათიშვა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში“ — თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 581—587).

სტატია „როზა ლუქსემბურგი და პოლონური „Parteivorstand“-ი მარტოვის კვალდაკვალ“ მიმართული იყო პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი გამგეობის მცდარი გეზის წინააღმდეგ, რომელიც ობიექტურად სერიოზულ ზიანს აყენებდა მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთიანობას, ხელს უწყობ-

და ანტიბოლშევიკურ მიმდინარეობებს რსდმ პარტიაში. რ. ლუქსემბურგისა და ი. ტიშკას მაშინდელ სერიოზულ შეცდომებს რომ აკრიტიკებდა, ვ. ი. ლენინი, რომელიც საერთოდ დიდად აფასებდა მათს მოღვაწეობას, ცდილობდა დახმარებოდა მათ სწორი პოზიციის დაკავებაში. ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, რ. ლუქსემბურგი მიაჩნდა პოლონეთის, გერმანიისა და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწედ. შემდგომ იგი წერდა, რომ თავისი შეცდომების მიუხედავად როზა ლუქსემბურგი „არწივი იყო და არწივად რჩება“, „მისი ხსოვნა ყოველთვის ძვირფასი იქნება მთელი მსოფლიოს კომუნისტებისათვის“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 33, გვ. 238).

ამ ტომში დაბეჭდილი სტატია ვ. ი. ლენინმა დაწერა „Bremer Bürger-Zeitung“-ისათვის, რომელიც მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა გავლენის ქვეშ იყო; ეს სტატია გერმანულ ენაზე თარგმნა მალეცკიმ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 48, დოკუმენტი 72, რუს.). სტატია არ გამოქვეყნებულა. — **271.**

331 ლაპარაკია კ. რადეკის მთელ რიგ არაეთიკურ ქცევებზე, რაც მას ბრალად დასდო პარტიულმა სასამართლომ, რომელიც მოაწყო პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარმა გამგეობამ. ამ სასამართლოს დადგენილებით რადეკი გარიცხულ იქნა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან.

1913 წლის სექტემბრის დამდეგს პარიზში პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული სექციების („როზლამოველთა“) ბიუროს ინიციატივით შეიქმნა სასამართლოს გადაწყვეტილების გადამსინჯავი კომისია. ლენინი მხარს უჭერდა კ. რადეკის საქმის გადასინჯვას. მისი აზრით, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობის მიერ რადეკისათვის ბრალის დადება დაკავშირებული იყო იმ მწვავე ბრძოლასთან, რომელსაც მთავარი გამგეობა ეწეოდა „როზლამოველთა“ წინააღმდეგ. კომისია ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ იყო საფუძველი პარტიულ სასამართლოში მიეცათ კ. რადეკი და გაერიცხათ იგი პარტიიდან, და წინადადება წამოაყენა კვლავაც მიეჩნიათ კ. რადეკი პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და რსდმ პარტიის წევრად. — **272.**

332 იგულისხმება მარტოვის ცილისმწამებლური ბროშურა „მხსნელნი თუ გამაუქმებელნი? (ვინ და როგორ ანგრევდა რსდმ პარტიას)“, „გოლოს სოციალ-დემოკრატას“ გამოცემა, პარიზი, 1911 წელი. — **272.**

333 იგულისხმება რეზოლუცია „საქმის ვითარება პარტიაში“, რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო 1910 წლის იანვარში (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 290—293). — **272.**

334 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს შემადგენლობაში შემავალი ი. ტომსკი — პოლონელი სოციალ-დემოკრატებისაგან, მ. ლიბერი — ბუნდისაგან და შვარცი (ი. ელიასი) — ლატვიელი სოციალ-დემოკრატებისაგან. — 275.

335 იგულისხმება რეზოლუცია „ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ", რომელიც რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციამ მიიღო (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 549—551). — 276.

336 ლაპარაკია რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა 1912 წლის 5—17 (18—30) იანვარს. იხ. შენიშვნა 318. — 277.

337 ეს სტატია პასუხია 1912 წლ 28 სექტემბერს გერმანელ სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „Leipziger Volkszeitung"-ში გამოქვეყნებული წერილისა ლიკვიდატორად 1912 წლის აგვისტოს ვენის კონფერენციის შესახებ, სადაც გაფორმდა ანტიპარტიული (ეგრეთ წოდებული აგვისტოს) ბლოკი. წერილს შეცდომაში შეჰყავდა გერმანელი სოციალ-დემოკრატები, აყალბებდა კონფერენციის ნამდვილ ხასიათს, მფარველობას უწევდა ლიკვიდატორებს.

სტატია დაწერა ვ. ი. ლენინმა და რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით დაიბეჭდა 1912 წლის 9 ოქტომბერს გაზეთ „Leipziger Volkszeitung"-ის № 235-ში. ცოტა ხნის შემდეგ ვ. ი. ლენინმა სტატია გაუგზავნა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს კ. ჰიუისმანსს. ეს სტატია, სწერდა ლენინი ჰიუისმანსს, „თქვენ წარმოდგენას მოგცემთ ამ ვითომდა სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის შესახებ" (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 48, დოკუმენტი 76, რუს.).

„Leipziger Volkszeitung" („ლაიფციგის სახალხო გაზეთი")—ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა 1894 წლიდან 1933 წლამდე; რიგი წლების განმავლობაში მას ფ. მერინგი და რ. ლუქსემბურგი რედაქტორობდნენ და წარმოადგენდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანოს. 1917 წლიდან 1922 წლამდე გაზეთი გერმანელ „დამოუკიდებელთა" ორგანო იყო, 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — 278.

338 „მუშათა აშკარა მოძრაობის სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა საინიციატივო ჯგუფებს" 1910 წლის დამლევიდან ქმნიდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები არალეგალური პარტიული ორგანიზაციების საპირისპიროდ. ეს იყო მცირერიცხოვანი ინტელიგენტური ჯგუფები, რომლებსაც კავშირი არ ჰქონდათ მუშათა კლასთან. — 279.

339 იგულისხმება მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ორგანოები: ჟურ-

ნალი „ნაშა ზარია“, რომელსაც პეტერბურგში სცემდნენ 1910—1914 წლებში, და გაზეთი „ნევსკი გოლოს“, რომელიც გამოდიოდა 1912 წლის მაის—აგვისტოში. — **279.**

340 „ლ უ ჩ“ — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 16 (29) სექტემბრიდან 1913 წლის 5 (18) ივლისამდე. გამოვიდა 237 ნომერი. გაზეთი ძირითადად არსებობდა ლიბერალთა შეწირულებებით. გაზეთის იდეური ხელმძღვანელობა პ. ბ. აქსელროდის, თ. ი. დანის, ლ. მარტოვის, ა. ს. მარტინოვის ხელთ იყო. გაზეთის ფურცლებზე ლიკვიდატორები გამოდიოდნენ ბოლშევიკების რევოლუციური ტაქტიკის წინააღმდეგ, ქადაგებდნენ ეგრეთ წოდებული „ღია პარტიის“ შექმნის ოპორტუნისტულ ლოზუნგს, ილაშქრებდნენ მუშათა მასობრივი რევოლუციური გაფიცვების წინააღმდეგ, ლამობდნენ პარტიული პროგრამის უმნიშვნელოვანეს დებულებათა რევიზიას. ლენინი წერდა, რომ „„ლუჩი“ დამონებულია ლიბერალური პოლიტიკით“ და გაზეთს რენეგატების ორგანოს უწოდებდა. — **280.**

341 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება „რ უ ს ე თ ი ს ყ ვ ე ლ ა მ ო ქ ა ლ ა ქ ეს“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1912 წლის ოქტომბრის დამდეგს, რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე ფურცლად გამოსცა. ვ. ი. ლენინმა 10 (23) ოქტომბერს მოწოდება გაუგზავნა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს, მდივანს კ. ჰაიესმანს და სთხოვა ეცნობებინა ამ დოკუმენტის ტექსტი სოციალ-დემოკრატიული პარტიების მდივნებისათვის და პრესისათვის. მალე მოწოდება „რუსეთის ყველა მოქალაქეს“ გერმანულ ენაზე დაიბეჭდა გაზეთებში „Leipziger Volkszeitung“-სა და „Vorwärts“-ში, ფრანგულ ენაზე — ბელგიურ გაზეთ „Le Peuple“-ში და ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე — საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდულ ბიულეტენში. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება აგრეთვე გამოსცა რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის კომიტეტმა და № 28—29-ის სპეციალური დამატების სახით—გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“ 1912 წლის 5 (18) ნოემბერს. — **281.**

342 ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ო მ ი (1912 წლის ოქტომბერი — 1913 წლის მაისი) — ომი თურქეთსა და ბალკანეთის კავშირის ქვეყნებს — ბულგარეთს, სერბიას, ჩერნოგორიასა და საბერძნეთს შორის. ომი დამთავრდა თურქეთის განადგურებით, ლონდონის საზავო ხელშეკრულებით მან დაკარგა თითქმის ყველა სამფლობელო ბალკანეთში. გათავისუფლებულ იქნა სლავური ოლქები — მაკედონია და თრაკია; ალბანელმა ხალხმა სახელმწიფო დამოუკიდებლობა მიიღო. ბალკანეთის პირველ ომს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომში

ბალკანეთის ქვეყნების მონარქები და ბურჟუაზია თავიანთ დინასტიურ, დაპყრობითს მიზნებს ისახავდნენ, საერთოდ პროგრესული ხასიათი ჰქონდა — დასრულდა თურქეთის ჩაგვრისაგან ბალკანეთის ხალხთა განთავისუფლება, იერიში იქნა მიტანილი ბატონყმობის ნაშთებზე. ვ. ი. ლენინი ბალკანეთის პირველ ომს ახასიათებდა როგორც „ერთ-ერთ რგოლს იმ მსოფლიო ომების ჯაჭვისა, რომლებიც აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში შუასაუკუნობის კრახს მოასწავებენ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 22). — 281.

343 „გოლოს მოსკვი“ — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტთა ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლიდან 1915 წლამდე. — 284.

344 „რუსკოე სლოვო“ — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან (პირველი, საცდელი, ნომერი გამოვიდა 1894 წელს); გამომცემელი იყო ი. დ. სიტინი. ფორმალურად უპარტიო გაზეთი იცავდა რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებს ზომიერი ლიბერალური პოზიციებიდან. გაზეთში ფართოდ ქვეყნდებოდა ინფორმაციები. ეს იყო რუსეთში პირველი გაზეთი, რომელმაც თავისი საკუთარი კორესპონდენტები დაგზავნა ქვეყნის ყველა დიდ ქალაქსა და მსოფლიოს მრავალ დედაქალაქში.

1917 წლის ნოემბერში ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური ცნობების დაბეჭდვისათვის გაზეთი დახურეს. 1918 წლის იანვრიდან გაზეთი რამდენიმე ხანს გამოდიოდა „ნოვოე სლოვოსა“ და „ნაშე სლოვოს“ სახელწოდებით, 1918 წლის იელისში იგი საბოლოოდ დაიხურა. — 284.

345 „პრავდა“ — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; პირველი ნომერი გამოვიდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს). გადაწყვეტილება ყოველდღიური მასობრივი მუშური გაზეთის გამოცემის საჭიროების შესახებ მიღებულ იქნა რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის მუშაობის დროს.

„პრავდა“ იშვა ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში, როცა ლენაზე მომხდარ დახვრეტასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანას მოედო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების ტალღა. გაზეთი თვით მუშების მიერ შეგროვილი სახსრებით გამოდიოდა; იგი ვრცელდებოდა საშუალოდ 40 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, ცალკეული ნომრების ტირაჟი 60 ათას ეგზემპლარს აღწევდა. ყოველდღიური მუშური გაზეთის გამოცემას ლენინი ახასიათებდა როგორც უდიდეს ისტორიულ საქმეს, რომელიც პეტერბურგელმა მუშებმა გაკეთეს. ლენინი ახორციელებდა „პრავდის“ იდეურ ხელმძღვანელობას, თითქმის ყოველდღიურად წერდა გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. „პრავდის“ რედაქციის წევრები და მასი ენერგიული თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: ნ. ნ. ბატურინი, დემიან ბედნი, ა. ი. ულიანოვა-ელიზაროკი, კ. ს. ერემეევი, ს. ი. კალინინი, ნ. კ. კრუპსკაია, ს. ვ. მალიშე-

ვი, ლ. ბ. და ვ. ბ. მენჟინსკები, ვ. მ. მოლოტოვი, ვ. ი. ნევსკი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ი. პოდვოისკი, ნ. გ. პოლეტაევი, მ. ა. საველიევი, კ. ნ. სამოილოვა, ი. მ. სვერდლოვი, ნ. ა. სკრიპნიკი, ი. ბ. სტალინი, პ. ი. სტუჩკა და სხვ. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაზეთში IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები. „პრავდაში“ ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს ა. მ. გორკი.

„პრავდა“ განუწყვეტლივ განიცდიდა პოლიციურ დევნას, მეფის მთავრობამ იგი რვაჯერ დახურა, მაგრამ გამოსულას განაგრძობდა სხვა სახელწოდებებით: „რაბოჩაია პრავდა“, „სევერნაია პრავდა“, „პრავდა ტრუდა“, „ზა პრავდუ“, „პროლეტარსკაია პრავდა“, „პუტ პრავდი“, „რაბოჩი“, „ტრუდოვაია პრავდა“. ამ ძნელ პირობებში ბოლშევიკებმა შეძლეს ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოეშვათ „პრავდის“ 636 ნომერი. 1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთი დახურეს.

„პრავდის“ გამოცემა განახლდა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 5 (18) მარტიდან „პრავდა“ გამოდიოდა როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო. 5 (18) აპრილს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, რედაქციის შემადგენლობაში შევიდა ვ. ი. ლენინი და სათავეში ჩაუდგა „პრავდის“ ხელმძღვანელობას. 1917 წლის ივლის—ოქტომბერში „პრავდამ“ კონტრრევოლუციური დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ დევნის გამო რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და გამოდიოდა როგორც „ლისტოკ „პრავდი““, „პროლეტარი“, „რაბოჩი“, „რაბოჩი პუტ“. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან), პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გამოსვლა იწყო თავისი ძველი სახელწოდებით „პრავდა“. — **288.**

346 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ურ ბ ი უ რ ო ში „IV ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი“ გამოქვეყნდა გაზეთში „Le Peuple“-ს № 325-ში 1912 წლის 20 ნოემბერს. მოხსენებას წამძღვარებული ჰქონდა შესავალი შენიშვნა რედაქციისაგან: „მოქალაქე ლენინმა, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დელეგატმა, გამოუგზავნა სამდივნოს (საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს — **რედ.**) შემდეგი მოხსენება ‘ახალი რუსული სათათბიროს არჩევნების უკვე მიღებულ შედეგებზე“.

1963 წელს ვ. ი. ლენინის მოხსენება გადაბეჭდეს წიგნში „Correspondance entre Lénine et Comille Huysmans. 1905 — 1914“. Paris. — **288.**

347 *„Chambre introuvable“* (უბადლო, შეუდარებელი პალატა) — ასე უწოდებდა ლუდოვიკ XVIII კონტრრევოლუციურ, თავისი შემადგენლობით უკიდურესად რეაქციულ საფრანგეთის დეპუტატთა პალატას, რომელიც აირჩიეს ბურბონების რესტავრაციის შემდეგ 1815 წლის აგვისტოში. — **289.**

348 პროგრესისტები — რუსეთის ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და თვით სათათბიროებში ლამობდა „არაპარტიულობის“ დროშით გაეერთიანებინა სხვადასხვა ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიებისა და ჯგუფების ელემენტები.

1912 წლის ნოემბერში პროგრესისტები გაფორმდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომლის პროგრამა იყო: ზომიერი ვიწროცენზიანი კონსტიტუცია, მცირე რეფორმები, პასუხისმგებელი სამინისტრო, ანუ მთავრობა, რომელიც პასუხს აგებდა სათათბიროს წინაშე, რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა. პირველი მსოფლიო ომის დროს პროგრესისტებმა გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა, მოითხოვდნენ სამხედრო ხელმძღვანელობის შეცვლას, მრეწველობის მობილიზაციის ფრონტის საჭიროებისთვის და „პასუხისმგებელ სამინისტროს“ რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ პარტიის ზოგიერთი ლიდერი მონაწილეობდა დროებით ბურჟუაზიულ მთავრობაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პროგრესისტთა პარტია აქტიურ ბრძოლას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პროგრესისტთა ლიდერებს შორის იყვნენ ცნობილი მოსკოველი მეფაბრიკეები პ. პ. რიაბუშინსკი და ა. ი. კონოვალოვი, მემამულე ი. ნ. ეფრემოვი. პროგრესისტები სხვად-სხვა დროს უშვებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ორგანოებს: ჟურნალ „მოსკოვსკი ეჟენედელნიკს“, გაზეთებს „სლოვოს“, „რუსკაია მოლვასა“ და „უტრო როსიის“. — **290.**

349 ე. ი. იაგელო — პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი; არჩეული იყო IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ქ. ვარშავისაგან. ბოლშევიკები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ იაგელოს მიღებისა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში, ვინაიდან იაგელო სათათბიროში გავიდა ბურჟუაზიის და პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და ბუნდის ბლოკის მხარდაჭერის მეოხებით. პირველი კენჭისყრის დროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ორად გაიყო: 6 დეპუტატმა (მენშევიკებმა) ხმა მისცა იაგელოს მიღების სასარგებლოდ და 6 (ბოლშევიკებმა) — წინააღმდეგ. როცა ჩამოვიდა ირკუტსკის დეპუტატი — მემარჯვენე მენშევიკი ი. ნ. მანკოვი — მენშევიკებს უპირატესობა მიეცათ და იაგელო მიღებულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრად. მაგრამ ბოლშევიკი დეპუტატების ზეგავლენით მისი უფლებები ფრაქციის შიგნით შეზღუდული იყო: ყველა შინაპარტიულ საკითხში იაგელომ მხოლოდ სათათბირო ხმა მიიღო. — **291,**

350 რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან მიმდინარეობდა კრაკოვში 1912 წლის 26 დეკემბრიდან 1913 წლის 1 იანვრამდე (1913 წლის

8—14 იანვარი). მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინმა, ნ. კ. კრუპსკაიამ, ი. ბ. სტალინმა, IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკმა დეპუტატებმა ა. ე. ბადაევმა, გ. ი. პეტროვსკიმ, ნ. რ. შაგოვმა და სხვ. თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ პეტერბურგის, მოსკოვის ოლქის, სამხრეთის, ურალისა და კავკასიის არალეგალური პარტიული ორგანიზაციები. კრაკოვის თათბირი ჩატარდა ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. იგი გამოვიდა მოხსენებებით „რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები", „ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულებისა და ერთიანობის შესახებ" (მოხსენებების ტექსტი არ შემონახულა), შეადგინა და რედაქცია გაუკეთა თათბირის ყველა რეზოლუციას და დაწერა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ცნობა" თათბირის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 541—550).

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებანი მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: პარტიის ამოცანები ახალ რევოლუციურ აღმავლობასთან და საგაფიცო მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობის შესახებ, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობის შესახებ, დაზღვევის კამპანიის შესახებ, პარტიული პრესის შესახებ, ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შესახებ, ლიკვიდატორობასთან ბრძოლისა და პროლეტარიატის პარტიის ერთიანობის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 551 — 564). თათბირის გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულეს პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების, მშრომელთა ფართო მასებთან პარტიის კავშირის გაფართოებისა და შემჭიდროების, მუშათა მოძრაობის მზარდი აღმავლობის პირობებში პარტიული მუშაობის ახალი ფორმების შემუშავების საქმეში. კრაკოვის თათბირის რეზოლუციები დაამტკიცა რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. — **293**.

351 იგულისხმება IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბოლშევიკური ექვსეული (იხ. შენიშვნა 293). — **294**.

352 პირობით ხელმოწერად იმ სტატიებისა, რომელთა მოთავსება გაზეთ „პრავდაში" აუცილებელი იყო, ითვლებოდა ასოები „კკკ". 1913 წლის დეკემბერში რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე კვლავ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება: „ძალაში რჩება ადრინდელი დადგენილება იმის შესახებ, რომ გამოგზავნილი სტატიები, რომლებსაც მიწერილი აქვს სამი პირობითი ასო, ქვეყნდება დაუყოვნებლივ და უცვლელად" („ისტორიჩესკი არხივ" № 4, 1959, გვ. 42). — **294**.

353 იგულისხმება ყოველთვიური ბოლშევიკური თეორიული ლეგალური ჟურნალი „პროსვეშჩენიე"; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ვ. ი. ლენინის

ინიციატივით, მეფის მთავრობის მიერ დახურული ბოლშევიკური ჟურნალის „მისლის“ ნაცვლად. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ეგზემპლარს აღწევდა. ლენინი პარიზიდან, ხოლო შემდგომ კრაკოვიდან და პორონინიდან ხელმძღვანელობდა „პროსვეშჩენიეს“. პირველი მსოფლიო ომის წინ მეფის მთავრობამ დახურა ჟურნალი „პროსვეშჩენიე“. 1917 წლის შემოდგომაზე „პროსვეშჩენიეს“ გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი. — **295**.

354 „წერილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას“ დაწერილია 1913 წლის 2 (15) მარტს კრაკოვის იმ თათბირის დავალებით, რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამართა პარტიულ მუშაკებთან იმ პერიოდში, როცა ბოლშევიკები ცხარე ბრძოლას ეწეოდნენ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. წერილი პასუხია გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ლიდერების წინადადებისა ბოლშევიკთა და ლიკვიდატორთა გაერთიანების მიზნით მათი ერთობლივი თათბირის მოწვევის შესახებ. — **295**.

355 „*Vorwärts*“ („წინ“) — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1891 წლიდან პარტიის ჰალეს ყრილობის დადგენილებით როგორც გაგრძელება 1884 წლიდან გამომავალი გაზეთისა „Berliner Volksblatt“ („ბერლინის სახალხო გაზეთი“) „Vorwärts. Berliner Volksblatt“-ის სახელწოდებით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, „Vorwärts“-ის რედაქცია პარტიის მემარჯვენე ფრთის ხელთ აღმოჩნდა და სისტემატურად ბეჭდავდა ოპორტუნისტთა სტატიებს. რსდმ პარტიაში ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციურად გაშუქებით „Vorwärts“-ი მხარს უჭერდა „ეკონომისტებს“, ხოლო მერე, პარტიის გათიშვის შემდეგ, — მენშევიკებს. რევოლუციის წლებში „Vorwärts“-ი ბეჭდავდა ტროცკის ცილისმწამებლურ სტატიებს, ამასთან არ აძლევდა ლენინს, ბოლშევიკებს უარყოფისა და პარტიაში არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასების საშუალებას. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში „Vorwärts“-ი მხარს უჭერდა სოციალ-შოვინიზმს; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას. გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე. — **298**.

358 ამიერკავკასიის (კავკასიის) საოლქო კომიტეტი — კავკასიელ მენშევიკ-ლიკვიდატორთა ფრაქციული ცენტრი. კომიტეტი აირჩეულ იქნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების V ყრილობაზე 1908 წლის თებერვალში. ყრილობას ესწრებოდა 15 მენშევიკი და ერთი ბოლშევიკი. საოლქო კომიტეტი ეწეო-

და გამცემლურ, ანტიპარტიულ მუშაობას. ყოველგვარი არჩევნების გარეშე, პარტიული ორგანიზაციების ნება-სურვილისათვის ანგარიშის გაუწევლად, კომიტეტმა რსდმ პარტიის V (1908 წლის სრულიად რუსეთის) კონფერენციის დელეგატებად დანიშნა პ. ბ. აქსელროდი, თ. ი. დანი და ნ. ვ. რამიშვილა. ეს ლიკვიდატორული ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს მუშათა წარმომადგენლად ასაღებდა, სინამდვილეში იყო ლიკვიდატორთა საზღვარგარეთული ცენტრისა და ტროცკის დასაყრდენი. 1912 წელს კომიტეტი შევიდა ტროცკის მიერ შექმნილ აგვისტოს ანტიპარტიულ ბლოკში. — **299.**

357 საორგანიზაციო კომიტეტი — მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციაზე; მოქმედებდა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნებამდე — 1917 წლის აგვისტომდე. — **299.**

358 პოლონეთის სოციალისტური პარტია (Polska Partia Socjalistyczna).

პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია (იხ. ეს ტომი, შენიშვნები № 49 და № 40). — **300.**

359 ლაპარაკია გაზეთზე „ნაშ პუტ"; გამოდიოდა 1913 წლის 25 აგვისტოდან (7 სექტემბრიდან) 12 (25) სექტემბრამდე. ვ. ი. ლენინი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა გაზეთში, იგი ერთდროულად თავის სტატიებს გზავნიდა „პრავდაშიც" და „ნაშ პუტშიც". გაზეთში „ნაშ პუტ" დაიბეჭდა ლენინის მთელი რიგი სტატიები: „რუსეთის ბურჟუაზია და რუსეთის რეფორმიზმი", „წოდებათა და კლასთა როლი განმათავისუფლებულ მოძრაობაში", „კლასობრივი ბრძოლა დუბლინში", „დუბლინის ხოცვა-ჟლეტის ერთი კვირის შემდეგ", „პოლიტიკის პრინციპული საკითხები", „ჰარა კველჩი" და სხვები.

გაზეთ „ნაშ პუტის" თანამშრომელთა შორის იყვნენ ა. მ. გორკი, დემიან ბედნი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ბ. სტალინი, IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი-დეპუტატები — ა. ე. ბადაევი, თ. ნ. სამოილოვი, ნ. რ. შაგოვი. გაზეთი „ნაშ პუტ" დიდად პოპულარული იყო მუშებში, მუშათა 395 ჯგუფი ფულის შეკრებით ეხმარებოდა გაზეთს. — **302.**

360 „რუსკაია მოლვა" — ყოველდღიური გაზეთი, პროგრესისტთა ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 9 (22) დეკემბრიდან 1913 წლის 20 აგვისტომდე (2 სექტემბრამდე). — **307.**

361 მენშევიკების ენენის კონფერენცია მიმდინარეობდა 1905 წლის აპრილში რსდმ პარტიის III ყრილობის ერთდროულად. მონაწილეთა მცირერიცხოვნობის გამო (დელეგატები ესწრებოდ-

ნენ მხოლოდ 9 კომიტეტისაგან) მენშევიკებმა თავიანთი შეკრება პარტიულ მუშაკთა კონფერენციად გამოაცხადეს.

კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ცხადყო, რომ მენშევიკები მიზნად არ ისახავდნენ რევოლუციის შემდგომი გაჩაღების ამოცანებს. ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიის რევოლუციაში და გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის პოლიტიკას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელად მათ მიაჩნდათ ლიბერალური ბურჟუაზია, რომლის ხელში უნდა გადასულიყო ძალაუფლება რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მენშევიკები უარყოფდნენ დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისა და ამ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მონაწილეობის აუცილებლობას. შეიარაღებული აჯანყების საკითხის გამო მიღებულ გადაწყვეტილებებში კონფერენციას არ დაუსახავს პროლეტარიატის წინაშე მდგარი პრაქტიკული ამოცანები აჯანყებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იმ აზრს ადგა, რომ პროლეტარიატის პარტია არ უნდა ეწეოდეს აჯანყების მომზადებას, რადგან ამან შეიძლება დაიფრთხოს ბურჟუაზია. კონფერენციამ აზრი გამოთქვა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის წინააღმდეგ. იგი არ აყენებდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნის ამოცანას მემამულეთა მიწების ჩამოსართმევად; მიწის საკითხის გადაწყვეტას უთმობდა მომავალ დამფუძნებელ კრებას; კონფერენციის გადაწყვეტილებანი ორგანიზაციულ საკითხზე, რომლებიც გამოხატული იყო „ორგანიზაციული წესებით“, პარტიას II ყრილობიდან უკან ახევინებდა ორგანიზაციული დაქსაქსულობისა და წრეობანასაკენ. სტატიაში „მესამე ნაბიჯი უკან“, ნაწარმოებში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „წინასიტყვაობაში ბროშურისა „მუშები პარტიული გათიშვის შესახებ““ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 647—659; ტომი 9, გვ. 1—162, 191—198) და სხვა ნაშრომებში ვ. ი. ლენინმა გამოაშკარავა ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ოპორტუნისტული ხასიათი და ისინი გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. — **812**.

362 იგულისხმება ნაციონალისტური და შოვინისტური პოზიცია, რომელიც ოქტიაბრისტებმა, პროგრესისტებმა და კადეტებმა დაიკავეს IV სახელმწიფო სათათბიროში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს 1913 წლის მაისში. ამ საკითხზე იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 251—252, 253—255.—**815**.

363 ლეგალური ბოლშევიკური წიგნის გამომცემლობა „პრიბოი“ დაარსდა პეტერბურგში 1913 წლის დამდეგს და მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. გამომცემლობა „პრიბოი“ ეხმაურებოდა მუშათა მოძრაობის სხვადასხვა საკითხებს. ეგრეთ წოდებული „დაზღვევის კამპანიის“ პერიოდში წარმოშობილმა გამომცემლობამ მრა-

ვალი წიგნი და ბროშურა გამოუშვა მუშათა სოციალური დაზღვევის საკითხებზე. შემდგომ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, გამომცემლობა დიდ ყურადღებას აქცევდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული ხასიათის პოპულარული ბროშურების გამოცემას სოციალურ-პოლიტიკურ და პარტიულ საკითხებზე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში, მეფის მთავრობის მიერ მუშათა პრესის დევნის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გამომცემლობა „პრიბოი“ იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი საქმიანობა, რაც განაახლა მხოლოდ 1917 წლის მარტში. 1918 წელს გამომცემლობა „პრიბოი“ შეუერთდა გამომცემლობა „კომუნისტს“, რომელიც შეიქმნა მთელ რიგ გამომცემლობათა გაერთიანების გზით („ვოლნა“, „ჟიზნ ი ზნანიე“ და სხვ.). — **817.**

364 -რუსკოე ვედომოსტი“ — გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან, გამოხატავდა ზომიერი ლიბერალური ინტელიგენციის შეხედულებებს. 80—90-იან წლებში გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ დემოკრატიული ბანაკის მწერლები (ვ. გ. კოროლენკო, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, გ. ი. უსპენსკი და სხვ.), იბეჭდებოდა ლიბერალურ-ნაროდნიკთა ნაწარმოებები. 1905 წლიდან გაზეთი კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო იყო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „რუსკოე ვედომოსტი“ თავისებურად აერთებდა „მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე კადეტიზმსა და ნაროდნიკულ იერს“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 143). 1918 წელს „რუსკოე ვედომოსტი“ დაიხურა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — **821.**

365 ლაპარაკია ბ. გ. დანსკის (კ. ა. კომაროვსკის) შესახებ. დანსკი 1911 წელს შევიდა რსდმ პარტიაში, თანამშრომლობდა „ზვეზდასა“ და „პრავდაში“, მონაწილეობდა სადაზღვევო მოძრაობაში; 1913—1914 წლებში შედიოდა ბოლშევიკურ ჟურნალ „ვოპროსი სტრახოვანიას“ რედაქციის შემადგენლობაში. ბოლშევიკებისათვის სახელი რომ გაეტეხათ, ლიკვიდატორებმა დანსკის ბრალად დასდეს ბურჟუაზიულ პრესაში მონაწილეობა. პარტიულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ გაზეთ „ზა პრავდუს“, ჟურნალების „პროსვეშჩენიესა“ და „ვოპროსი სტრახოვანიას“ რედაქციების, სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის, გამომცემლობა „პრიბოის“ წარმომადგენლები, გამოიძია ეს საქმე და დაადგინა, რომ ბოლშევიკური პარტიის რიგებში შესვლის შემდეგ დანსკიმ თავი მიანება ბურჟუაზიულ პრესაში მუშაობას, და ამიტომ კომისიამ იგი პარტიის პატიოსან წევრად აღიარა, ხოლო ლიკვიდატორთა ბრალდება — ცილისმწამებლურად. დანსკის წინააღმდეგ ლიკვიდატორთა ცილისმწამებლურ კამპანიაზე ვ. ი. ლენინი წერდა აგრეთვე მოგვიანებით, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ბრიუსელის თათბირზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 650—651). — **838.**

366 რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან (კონსპირაციული მოსაზრებით მას ეწოდა „ზაფხულის“ თათბირი) მიმდინარეობდა 1913 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (6—14 ოქტომბერი) სოფელ პორონინში (კრაკოვის ახლოს), სადაც მაშინ ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, მოხსენება პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ, ანგარიში პრაღის კონფერენციაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ; 2) აგიტაციის ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში; 3) ორგანიზაციული საკითხი და პარტიული ყრილობის შესახებ; 4) საგაფიცვო მოძრაობის შესახებ; 5) პარტიული პრესის შესახებ; 6) სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შესახებ სათათბიროს ხაზით; 7) სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ; 8) ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ; 9) ეროვნული საკითხი; 10) ნაროდნიკების შესახებ; 11) მომავალი (ვენის) საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ. თათბირს ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი. მან თათბირი გახსნა შესავალი სიტყვით, გამოვიდა საანგარიშო მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, მოხსენებით ეროვნულ საკითხზე, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ, რომლის მოწვევა განზრახული იყო ვენაში. გარდა ამისა ლენინი გამოდიოდა კამათში დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხზე, იწერდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დელეგატთა გამოსვლებს, შეჰქონდა თავისი წინადადებანი, ადგენდა და რედაქციას უკეთებდა რეზოლუციების პროექტებს. ვ. ი. ლენინის ანგარიშის ტექსტი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ ვერ მოინახა. თათბირზე ლენინის გამოსვლების ცალკეული ადგილების მოკლე შინაარსი გადმოცემულია ა. ე. ბადაევის მოგონებებში.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ადგილებიდან მოხსენებათა გამო თათბირმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი ორი რეზოლუცია: „აგიტაციის ამოცანების შესახებ ახლანდელ მომენტში“ და „ორგანიზაციული საკითხისა და პარტიული ყრილობის შესახებ“, რომლებშიც განსაზღვრულია პარტიის ამოცანები და პარტიული მუშაობის ძირითადი ფორმები ახალ ისტორიულ ვითარებაში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი თათბირზე იყო ეროვნული საკითხი, რომელსაც მაშინ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებს შორის. მოხსენებაში ეროვნულ საკითხზე ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განუყრელად არის დაკავშირებული ბრძოლასთან ცარიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. თათბირმა პარტიის პროგრამაზე დაყრდნობით გადაჭრით უარყო მენშევიკთა და ბუნდელთა

„კულტურულ-ეროვნული ავტონომიის“ ოპორტუნისტული მოთხოვნა და მიიღო ლენინის მიერ შემუშავებული საპროგრამო დებულებანი ეროვნულ საკითხზე. თათბირის მიერ მიღებული რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე ლენინს მიაჩნდა პარტიის საპროგრამო დეკლარაციად. თათბირმა გადაწყვიტა ეროვნული პროგრამის საკითხი შეეტანა მომავალი ყრილობის დღის წესრიგში.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში თათბირმა მოითხოვა სათათბიროს ბოლშევიკური და მენშევიკური ნაწილების თანასწორობა და გადაჭრით დაგმო მოქმედება ფრაქციის მენშევიკური ნაწილისა, რომელმაც, ისარგებლა რა ერთი ხმის შემთხვევითი უპირატესობით, დაარღვია ელემენტარული უფლებანი დეპუტატ ბოლშევიკებისა, რომლებიც რუსეთის მუშათა უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით ბოლშევიკი დეპუტატები 1913 წლის ოქტომბერში გამოვიდნენ სათათბიროს გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან და შექმნეს სახელმწიფოს სათათბიროს დამოუკიდებელი ბოლშევიკური ფრაქცია („რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია“).

მოხსენებაში საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ, რომლის მოწვევა განზრახული იყო 1914 წლისათვის ვენაში, ლენინი წინადადებას იძლეოდა არალეგალური და ლეგალური ორგანიზაციებისაგან კონგრესზე გაეგზავნათ რაც შეიძლება მეტი დელეგატი, რათა კონგრესის ერთდროულად ჩატარებულიყო პარტიული ყრილობა.

თათბირი დაიხურა ლენინის საბოლოო სიტყვით. განხილული საკითხებისა და მიღებული რეზოლუციების დიდი მნიშვნელობით პორონინის თათბირი პარტიულ კონფერენციას უტოლდება. პორონინის თათბირის ოქმები ვერ მოინახა. ცნობა თათბირის შესახებ და მიღებული რეზოლუციები გამოქვეყნდა ცალკე ბროშურად („ცნობა და რეზოლუციები პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირისა“), რომელიც საზღვარგარეთ გამოსცა ცენტრალურმა კომიტეტმა. კონსპირაციული მოსაზრებებით ზოგიერთი რეზოლუცია მთლიანად არ გამოქვეყნებულა: გამოტოვებულია მე-6 მუხლი რეზოლუციისა საგაფიცვო მოძრაობის შესახებ და პირველი ხუთი მუხლი რეზოლუციისა პარტიული პრესის შესახებ. რეზოლუციების სრული ტექსტი არალეგალურად გამოიცა ჰექტოგრაფირებულად. ცენტრალური კომიტეტის პორონინის თათბირის შესახებ არსებობს მასალები პოლიციის დეპარტამენტისა, რომელიც ამ თათბირის შესახებ დაწვრილებით იყო ინფორმირებული პროვოკატორების მალინოვსკისა და ლობოვის მიერ. თათბირის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 493—510.

ადგილებზე წასაკითხავი მოხსენების კონსპექტი ლენინმა პეტერბურგში გაგზავნა 1913 წლის 29 ნოემბერს (12 დეკემბერს). კონსპექტი შედგენილი იყო IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატებისათვის, რათა მათ, სათათბიროს საშობაო არდადეგების დროს ადგილებზე გამგზავრებულთ, საშუალება ჰქონოდათ ეხელმძღვანელათ ამ კონსპექტით თავიანთ მოხსენებებში რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციის თაობაზე პარტიულ მუშაკებთან.—**825.**

367 „ვ ო პ რ ო ს ი ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ა“ — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1913 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის მარტამდე დროდადრო. იგი იბრძოდა არა მარტო მუშათა დაზღვევის განხორციელებისათვის, არამედ ბოლშევიკური „შეუკვეცავი ლოზუნგებისათვის“—8-საათიანი სამუშაო დღისათვის, მემამულეთა მიწების ჩამორთმევისა და დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ დაზღვევის კამპანიის თვალსაჩინო მოღვაწენი—ბოლშევიკები ნ. ა. სკრიპნიკი, პ. ი. სტუჩკა, ა. ნ. ვინოკუროვი, ნ. მ. შვერნიკი და სხვები. — **825.**

368 ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ბ ი უ რ ო ს დ ე კ ე მ ბ რ ი ს ს ე ს ი ა მიმდინარეობდა ლონდონში 1913 წლის 13 და 14 დეკემბერს; სესია განიხილავდა ინგლისის სოციალისტური და მუშათა პარტიების გაერთიანების, ვენის კონგრესის, რუსთა საქმეებისა და სხვა საკითხებს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების საკითხი განსახილველად დაისვა სწორედ სესიის მუშაობის დამთავრების წინ. გვიანი დროის გამო ეს საკითხი დაწვრილებით არ განუხილავთ, ხოლო ბიუროს დასჯერდა გერმანიის დელეგაციის სახელით კაუცკის მიერ წარდგენილი რეზოლუციის მიღებას. რეზოლუცია ავალებდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს მოეწვია „რუსეთის, აგრეთვე რუსული პოლონეთის მუშათა მოძრაობის ყველა იმ ფრაქციის“ წარმომადგენელთა თათბირი, „რომლებიც აღიარებენ პარტიულ პროგრამას ან რომელთა პროგრამები შეესაბამება სოციალ-დემოკრატთა პროგრამას, რათა მოეწყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა (Ausspache) იმ საკითხებზე, რომლებიც თიშავს მათ“. ამ რეზოლუციის დასაბუთებისას კაუცკიმ თავის სიტყვაში 1 (14) დეკემბერს განაცხადა: ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთში მოკვდა. საჭიროა მისი აღდგენა რუსი მუშების ერთიანობისადმი სწრაფვის საფუძველზე. სტატიაში „კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა“ ლენინმა გადაგვიშალა რეზოლუციის შინაარსი და კაუცკის სიტყვა შეაფასა როგორც საშინელი უცნაურობა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 632—635). ატყობინებდა რა ი. არმანდს გერმანულ გაზეთ „Vorwärts“-ის ნომერს, სადაც გამოქვეყნებული იყო კაუცკის განცხადება, ლენინი მას სწერდა: „უნდა იშოვნოთ იგი... და მოაწყოთ პრო-

ტესტის კამპანია. ჩვენ მხარს ვუჭერთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მხარს ვუჭერთ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციას—**ეს NB**,—მაგრამ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ კაუცკის **ბილწი** ფრაზისა. ულმობლად უნდა ვურტყათ მას ამისათვის"... (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 122). ბოლშევიკთა პარიზის სექციისათვის გაგზავნილ წერილში ლენინი მიუთითებდა: „ყველაზე უფრო სასურველია, რომ სექციამ მიიღოს **თავისი სამტკივნეო** რეზოლუცია კაუცკის წინააღმდეგ (ამასთან მის განცხადებას პარტიის სიკვდილის შესახებ უწოდოს უნამუსო, უტიფარი, შემზარავი, არად ჩამგდები)" (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 48, გვ. 254, რუს.).

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს იმავე სხდომაზე 1 (14) დეკემბერს გამოქვეყნდა პლეხანოვის წერილი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ლიკვიდატორთა მიზეზით მომხდარი სათათბიროს ფრაქციის გათქვა ლახვარს სცემს მუშათა მოძრაობის ერთიანობას, რის გამოც მე, როგორც მთელი პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, გადადგომას ვითხოვო. პლეხანოვის მაგივრად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში შეიყვანეს ლიკვიდატორთა საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი პ. ბ. აქსელროდი.

თათბირზე, რომელიც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად 1914 წლის ივლისში ბრიუსელში გაიმართა, II ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა ბოლშევიკებისა და ლიკვიდატორების „შერიგების" საბაბით ბოლშევიკებს მოსთხოვეს აღარ გაეკრიტიკებინათ ლიკვიდატორები. ბოლშევიკებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ამ მოთხოვნას და განაგრძეს შეურიგებელი ბრძოლა ლიკვიდატორებთან, მუშათა მოძრაობის მტრებთან. — **326.**

369 სტატია „სახალხო მასწავლებელთა სიღატაკე" ვ. ი. ლენინს დაუწერია სრულიად რუსეთის იმ ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც პეტერბურგში უნდა გამართულიყო 1913 წლის დეკემბრის დამლევს, სკოლის საზამთრო არდადეგების დროს, სახალხო განათლების საკითხებზე. ბოლშევიკებს სურდათ მასწავლებელთა ეს ყრილობა ბოლშევიკური იდეებისა და რევოლუციური მოთხოვნების გავრცელების ერთ-ერთ ლეგალურ შესაძლებლობად გამოეყენებინათ. თავისი შინაარსით ეს სტატია მჭიდროდ უკავშირდება ვ. ი. ლენინის ნაშრომს „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 146—158). — **328.**

370 ვენის კონგრესის საკითხი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომამ განიხილა 1913 წლის დეკემბერში. დაადგინეს მოეწვიათ კონგრესი 1914 წლის აგვისტოში და ამ დღისათვის დაეკავშირებინათ პირველი ინტერნაციონალის ორმოცდაათი წლისთავის დღესასწაულობა.

კონგრესის დღის წესრიგში შეიტანეს შემდეგი საკითხები: 1) ცხოვრების სიძვირე, 2) იმპერიალიზმი და ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, სადაც დაქვემდებარებულ საკითხებად შეტანილი იყო: ა) აღმოსავლეთის საკითხი, ბ) სავალდებულო საარბიტრაჟო სასამართლოები ერთა შორის და გ) ევროპის შეერთებული შტატები, 3) ალკოჰოლიზმი, 4) უმუშევრობა, 5) პოლიტიკურ პატიმართა და გადასახლებულთა მდგომარეობა რუსეთში და 6) სხვადასხვა საკითხები. დელეგატთა რიცხვი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ექვსჯერ მეტი, ვიდრე ქვეყნის ხმების რიცხვი. რუსეთს 20 ხმა ჰქონდა, მაშასადამე, მისი დელეგატების რიცხვი 120-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატებისა და მემარცხენე ნაროდნიკების ორივე ქვესექციაში და პროფკავშირებში ერთად.

ვენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის საკითხი განიხილა ცენტრალური კომიტეტის პორონინის თათბირმა პარტიულ მუშაკებთან ერთად. ლენინმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა ამ საკითხზე, წინადადება წამოაყენა ყველაფერი ეღონდა იმისათვის, რომ ვენის კონგრესზე მეტწილად დელეგატებად ყოფილიყვნენ სოციალ-დემოკრატი მუშები. 1914 წლის ივლისის დამლევისათვის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დელეგატების არჩევნები თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ვენის კონგრესის მოწვევას. — **884.**

371 „ნოვაია რაბოჩაია გაზეტა“ — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში „ჟივაია ჟიზნის“ ნაცვლად 1913 წლის 8 (21) აგვისტოდან 1914 წლის 23 იანვრამდე (5 თებერვლამდე). ლენინს არაერთხელ უწოდებია მისთვის „ახალი ლიკვიდატორული გაზეთი“. — **835.**

372 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ი. ეეტროვის (მ. ა. საველიევის) სტატია „ინტერნაციონალი და ერთიანობის საკითხი“, რომელიც გაზეთ „პროლეტარსკაია პრავდის“ 1913 წლის 7 (20) დეკემბრის № 1-ში გამოქვეყნდა. სტატიაში ნათქვამი იყო: „დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ლიკვიდატორები ცრუობენ, როცა ამტკიცებენ, თითქოს ბიუროს, რომელმაც უარი უთხრა ექვსეულს საგანგებო წარმომადგენლობაზე, ამით დაეგმოს „ფედერაციის“ პრინციპი, რომელიც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 6-მა დეპუტატმა მუშამ წამოაყენა. ექვსეულისათვის საგანგებო წარმომადგენლობის მოთხოვნა ბიუროს საერთოდ არ წარუდგენია წმინდა ფორმალური მიზეზების გამო. ამიტომ „ნ. რ. გ.“-ს განცხადებანიც, თითქოს ბიუროს დაეგმოს ექვსეული, ლიკვიდატორთა უსინდისო სცენეა, რომლითაც სისტემატურად ცდილობენ გონება დაუბნელონ მუშათა კლასს“. — **885.**

373 ეროვნულ საკითხზე რეფერატის თეზისები ლენინს, როგორც ჩანს,

დაუწერია პარიზის 1914 წლის 10 (23) იანვრის რეფერატის შემდეგ (იხ. ლენინის XXX კრებული, გვ. 51—57, რუს.). რვეულის „ეროვნული საკითხი III“ ყდაზე ჩანაწერი გვიჩვენებს, რომ ლენინს პარიზის თაიში რეფერატი გაუმეორებია ლიეჟში 1914 წლის 2 თებერვალს. — **344.**

374 კ. კაუცკის ბროშურას „Nationalität und Internationalität“ („ნაციონალურობა და ინტერნაციონალურობა“) ვ. ი. ლენინი აანალიზებს ნაშრომში „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“. იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 479—560. — **345.**

375 იხ. ლენინის ამონაწერი წიგნიდან „Der Briefwechsel zwischen Fr. Engels u. K. Marx“, Bd. IV. Stuttgart, 1913, S. 292 ლენინის XVII კრებულში, გვ. 291, რუს.; იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 32, გვ. 430—432, რუს. — **351.**

376 რსდმ პარტიის II ყრილობის საპროგრამო კომისიის მესამე სხდომაზე პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის დელეგატმა წინადადება შეიტანა მიეღოთ პუნქტი „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის კულტურული განვითარების თავისუფლების“ გარანტიის შესახებ (იხ. ლენინის ჩანაწერი ამ სხდომაზე ლენინის VI კრებულში, გვ. 105, რუს.). — **352.**

377 დიასპორა (ბერძნული — გაფანტვა) — იუდეის გარეთ მცხოვრები ებრაელები. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის დამდეგს ებრაელთა კოლონიები იყო ეგვიპტეში, ბაბილონსა და ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებში. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან მოკიდებული, დიასპორა სწრაფად იზრდებოდა, ასე რომ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დიასპორის ებრაელთა რიცხვი $4^1/_2$ მილიონს აღწევდა. რომის იმპერიაში დიასპორის ებრაელები თემებად ცხოვრობდნენ, ზოგჯერ კი ქმნიდნენ სპეციალურ-სამართლებრივი ხასიათის კორპორაციებს (როგორც, მაგალითად, ალექსანდრიაში), ზოგჯერ მხოლოდ კერძო, საკულტო კავშირებს (მაგალითად, რომში). ერთი მხრივ, დიასპორის ებრაელები საკმაოდ წარმატებით ეწეოდნენ იუდაიზმის პროპაგანდას, მეორე მხრივ, თვითონ კარგავდნენ ეროვნულ თავისებურებებსა და ენას. — **355.**

378 პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში „ყველაზე ცუდი ტიპის ფედერაციად“ დახასიათებულია ურთიერთობა იმ ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომლებიც რსდმ პარტიაში შედიოდნენ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, როცა „ნაციონალები“ მუშაობდნენ „რუსეთის ორგანიზაციებისაგან სავსებით განკერძოებულად“, რაც უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენდა რსდმ პარტიის მთელ მუშაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთისა და ლიტვის, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ბუნდი რსდმ პარტიაში შე-

დიოდნენ, მათ წსინამდვილეში განკერძოებულად ეჭირათ თავი. მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ მთელი რუსეთის პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობაში; ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობდნენ ლიკვიდატორთა ანტიპარტიულ საქმიანობას (იხ. ამის თაობაზე თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 555—557 და ტომი 18, გვ. 496—499).—**656.**

379 ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობა გაიმართა 1914 წლის 13—26 იანვარს (26 იანვარს—8 თებერვალს) ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში.

ვ. ი. ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში. ყრილობაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება რსდმპარტიისადმი და სათათბიროს ფრაქციის გათშვისადმი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ, მონაწილეობდა ბოლშევიკ დელეგატთა თათბირებში, ეხმარებოდა მათ რეზოლუციათა პროექტების მომზადებაში. ყრილობის წინა დღეს, 1914 წლის 12 (25) იანვარს საღამოთი, ლენინმა ბრიუსელში ყრილობის დელეგატებს ეროვნულ საკითხზე წაუკითხა რეფერატი, რომელშიც ჩამოაყალიბა ბოლშევიზმის თეორია და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში. ლენინმა მოუწოდა ლატვიის მარქსისტებს განემტკიცებინათ პარტიის ნამდვილი და არა მოჩვენებითი ერთიანობა, დაეცვათ მისი რიგები მერყეევა და ლიკვიდატორებისგან, მუშათა კლასის საქმის აშკარა მოღალატეთაგან. ვ. ი. ლენინმა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის რეზოლუციები ფართოდ გამოიყენა ლიკვიდატორთა და ტროცკისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. იხ. სტატიები „ლატვიელი მუშები ს.-დ. ფრაქციის გათიშვის შესახებ“, „„იავვისტოს“ ფიქციის გამომჟღავნება“, „ლიკვიდატორები და ლატვიელ მუშათა მოძრაობა“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 208—213, 214—218, 285—288) და სხვ. ყრილობაზე შემარიგებლურ ტენდენციათა წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის შედეგად ვ. ი. ლენინმა და ლატვიელმა ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ ლატვიელი სოციალ-დემოკრატები გავიდნენ აგვისტოს ბლოკიდან. ლენინის შეფასებით, ლატვიელთა გასვლამ ამ ბლოკიდან „სასიკვდილო ლახვარი“ ჩასცა ტროცკისტულ გაერთიანებას.

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის ოქმები ვერ მოინახა. ცნობილია, რომ მათ დასაბეჭდად ამზადებდა იანსონ-ბრაუნი და ბრიუსელში დარჩა. სკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში პორონინ-კრაკოვის არქივის მასალებს შორის არის ლენინისეული დოკუმენტები, რომლებიც ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობას შეეხება და ახასიათებს ლენინისა და ყრილობის ბოლშევიკური ნაწილის ბრძოლას ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. დოკუმენტთა შორის

არის ლენინის ხელით გაკეთებული დღის წესრიგის ჩანაწერები, შენიშვნები ყრილობის სხდომების მიმდინარეობისა და ორატორთა გამოსვლების შესახებ, აგრეთვე პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიისადმი ლტვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ, მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის კონსპექტი. დიდად საინტერესოა ლენინის შენიშვნები და კომენტარები ორატორთა გამოსვლების გამო, მაგალითად, არის ლენინის შენიშვნა 1914 წლის 15 (28) იანვარს ყრილობაზე ბრაუნის გამოსვლის შესახებ. იმ ადგილას, სადაც ბრაუნი იცავს თავის შემარიგებლობას და ამბობს, რომ შემარიგებლური პოზიცია „მეტად ოსტატურიაო“,— ვ. ი. ლენინი წერს: „ო ს ტ ა ტ ი მ ე ლ ა შ უ ა დ ღ ე ზ ე ო თ ხ ი ე ფ ე ხ ი თ მ ა ხ ე შ ი გ ა ე ბ ა ო!“ — **357.**

360 იგულისხმება ლიკვიდატორთა კონფერენცია, რომელიც ვენაში გაიმართა 1912 წლის აგვისტოში; ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკი, რომლის ორგანიზატორი ტროცკი იყო. კონფერენციას ესწრებოდნენ ბუნდის, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის, ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიისა და საზღვარგარეთის ჯგუფების—ლიკვიდატორთა, ტროცკისტთა, ოტზოვისტთა ჯგუფების („გოლოს სოციალ-დემოკრატას“, ვენის ტროცკისეული „პრავდის“ რედაქციებისა და „ვპერიოდის“ ჯგუფის) წარმომადგენლები. რუსეთიდან დელეგატები გაგზავნეს პეტერბურგისა და მოსკოვის ლიკვიდატორთა „საინიციატივო ჯგუფებმა“, კრასნოიარსკის ორგანიზაციამ, „სევასტოპოლის სოციალ-დემოკრატიულმა სამხედრო ორგანიზაციამ“, ლიკვიდატორთა გამოცემების „ნაშა ზარიასა“ და „ნევსკი გოლოსის“ რედაქციებმა; კონფერენციას ესწრებოდა აგრეთვე საზღვარგარეთის კომიტეტ „სპილის“ წარმომადგენელი. დელეგატთა უდიდესი უმრავლესობა შედგებოდა საზღვარგარეთ მცხოვრებ და რუსეთის მუშათა კლასს მოწყვეტილ პირთაგან, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივ პარტიულ მუშაობასთან.

კონფერენციამ მიიღო ანტიპარტიული, ლიკვიდატორული გადაწყვეტილებანი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ყველა საკითხზე და გაილაშქრა არალეგალური პარტიის არსებობის წინააღმდეგ. ლიკვიდატორთა ცდას, რომ შეექმნათ თავიანთი ცენტრისტული პარტია რუსეთში, მხარი არ დაუჭირეს მუშებმა. ლიკვიდატორებმა ვერ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი და დასჯერდნენ საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას. უკვე თვით ამ კონფერენციაზე იწყო დაშლა სხვადასხვა ჯგუფის ელემენტებისაგან შემდგარმა ანტიბოლშევიკურმა ბლოკმა, რომლის შექმნა კონფერენციის მთავარი ამოცანა იყო. აგვისტოს ბლოკის დაშლის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები „„აგვისტოს“ ბლოკის დაშლა“, „„აგვისტოს“ ფიქციის გამომჟღავნება“, „ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით ერთიანობის შესახებ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 182—186, 214—218, 393—422). — **359.**

381 რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო განყოფილების შექმნის შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სხდომებზე, რომლებიც 1914 წლის 2—4 (15—17) აპრილს გაიმართა კრაკოვში. ამ სხდომებში, რომლებიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მონაწილეობდა რუსეთიდან ჩასული სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელი გ. ი. პეტროვსკი. ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შემდეგი საკითხები: რსდმ პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევისათვის მზადება, მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის მოწყობა, გლეხებში მუშაობა, სათათბიროს საქმეები და სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ანგარიში, ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, II ინტერნაციონალის ვენის კონგრესი, 1 მაისისათვის ფურცლების მომზადება და სხვები.

ცენტრალური კომიტეტის არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო განყოფილების შექმნის საკითხის განხილვასა და ამ საკითხზე რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით ლენინმა წინადადება წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შეეყვანათ თვალსაჩინო პარტიული მუშაკები — მ. ი. კალინინი, ა. ს. კისელიოვი და სხვ., აგრეთვე სადაზვევო მოძრაობის აქტივისტი მუშები. გამოქვეყნებული რეზოლუციის გარდა შემორჩენილია მონახაზი ცენტრალური კომიტეტის სხდომების დღის წესრიგისა, რომელიც ლენინმა შეიმუშავა. II ინტერნაციონალის ვენის კონგრესისადმი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის საკითხის გამო ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ „ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელმა წევრებმა იზრუნონ ანგარიშის შედგენაზე". ცენტრალური კომიტეტის ამ დავალებას ლენინი ასრულებდა. 1914 წლის აპრილ—მაისში მან დაწერა „გეგმა და კონსპექტური მონახაზი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა II ინტერნაციონალის ვენის კონგრესისადმი" (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 25, გვ. 441—444, რუს.). — **805.**

382 პარტიული ყრილობის მოწვევა გახზრახული იყო დაეკავშირებინათ ვენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისათვის, რომელიც 1914 წლის აგვისტოში უნდა გამართულიყო. ყრილობის მოსამზადებლად ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიაში შეიქმნა ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომისია. გადაწყვეტილი იყო აგრეთვე შეექმნათ კომისიები მოსკოვში, კავკასიაში, სამხრეთსა და ურალში. ყრილობის წინ ცენტრალური კომიტეტის აგენტებს უნდა შემოევლოთ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მათ დასარაზმავად, ადგილებზე უნდა ჩასულიყვნენ აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბოლშევიკი დეპუტატები. ყრილობის მოსამზადებლად განსაკუთრებით ინტენსიურად გაჩაღდა მუშაობა 1914 წლის გაზაფხულზე და ზაფ-

ხულში. შეიმუშავეს ყრილობის დღის წესრიგი და მისი შემადგენლობაც კი განსაზღვრეს. ყრილობაზე აპირებდნენ განეხილათ შემდეგი საკითხები: ცენტრალური კომიტეტის ანგარიშები და ანგარიშები ადგილებიდან, პოლიტიკური მომენტი, პარტიის ორგანიზაციული ამოცანები, საგაფიცვო მოძრაობის ამოცანები, სადაზღვევო მოძრაობის ტაქტიკა, პროგრამა-მინიმუმის ზოგიერთი დამატება, ეროვნული საკითხი, ლიკვიდატორების შესახებ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში თათბირთან დაკავშირებით, ბურჟუაზიულ პრესაში მონაწილეობა და იმ დროის სხვა აქტუალური საკითხები. 1914 წლის ივლისის დამლევისათვის ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა და საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები თითქმის დამთავრებული იყო. დელეგატთა დიდი ნაწილი აირჩიეს, განაწესები შეიმუშავეს, მანდატები შეაგროვეს. დამთავრდა აგრეთვე ტექნიკის ორგანიზაცია— დაინიშნა შეხვედრის ადგილები და მარშრუტები, გამზადდა პასპორტები. მაგრამ ომის გამოცხადებამ და ამით გამოწვეულმა გაფთრებულმა რეაქციამ მკვეთრად შეცვალა ქვეყნის მდგომარეობა. ომის დაწყების შემდეგ საზღვრების ჩაკეტვის გამო ყოველგვარი კავშირი გაწყდა სხვა ქვეყნებთან. პარტიის მორიგი ყრილობა გადაიდო უფრო ხელსაყრელ მომენტამდე. ასეთ პირობებში ვერც საერთაშორისო კონგრესი გაიმართებოდა. თუმცა პარტიული ყრილობა არ შემდგარა, მაგრამ მისთვის მზადებამ დიდი როლი შეასრულა პარტიული ორგანიზაციების გაძლიერებასა და განმტკიცებაში. — 666.

383 ი. მ. კოზმინიხ-ლანინის სტატისტიკურ გამოკვლევებს არაერთგზის მიუპყრია ვ. ი. ლენინის ყურადღება. მაგალითად, 1912 წლის აგვისტოში იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვიდა კოზმინიხ-ლანინის წიგნი „სამუშაო დღე და სამუშაო წელიწადი მოსკოვის გუბერნიაში“, ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა ორი რეცენზია: „სამუშაო დღე მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებში“ და „სამუშაო დღე და სამუშაო წელიწადი მოსკოვის გუბერნიაში“. პირველი დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“, მეორე — გაზეთ „ნევსკაია ზვეზდაში“ 1912 წლის აგვისტოში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 306—307, 308—318). კოზმინიხ-ლანინის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები ლენინმა გამოიყენა სტატიაში „ციფრების ენა“, რომელიც 1913 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა მოსკოვის გაზეთ „ნაშ პუტში“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 421—428). ჯერ კიდევ 1912 წლის აგვისტოში ლენინი პირველ რეცენზიაში წერდა, რომ კოზმინიხ-ლანინმა დასაბეჭდად მოამზადა სპეციალური ნაშრომი მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებში ზოგადკვეთური მუშაობის შესახებ. ეს სტატია რეცენზიაა ამ ნაშრომზე, რომელიც 1914 წელს გამოვიდა. —666.

384 ბრიუსელის „გამაერთიანებელი“ თათბირი, რო-

მელიც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1913 წლის დეკემბრის სესიის გადაწყვეტილების თანახმად, 1914 წლის 16—18 ივლისს გაიმართა. თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ: რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი (ბოლშევიკები); საორგანიზაციო კომიტეტი (მენშევიკები) და მასთან მიმხრობილი ორგანიზაციები (კავკასიის საოლქო კომიტეტი და ჯგუფი „ბორბა“ (ტროცკისტები)); სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (მენშევიკები); პლეხანოვის ჯგუფი „ედინსტვო“; ჯგუფი „ვპერიოდ“; ბუნდი; ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატები, ლიტვის სოციალ-დემოკრატები; პოლონეთის სოციალ-დემოკრატები; პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია; პოლონეთის სოციალისტური პარტია-„ლევიცა“. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციაში შედიოდნენ ინესა არმანდი (პეტროვა), მ. თ. ელადიმირსკი (კამსკი), ი. თ. პოპოვი (პავლოვი). ლენინი გულმოდგინედ ამზადებდა ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას თათბირისათვის: დაწერა დელეგაციისათვის მოხსენება და დაწერილებითი ინსტრუქციები, უზრუნველყო იგი საჭირო მასალებით, დოკუმენტებითა და ფაქტობრივი მონაცემებით, რომლებიც ამხილებდნენ რუსეთის ოპორტუნისტთა და მათ სულისჩამდგმელთა ნამდვილ სახეს.

თათბირი თავიდანვე დაიწყო ბოლშევიკების მეტად მწვავე ბრძოლით რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნისტთა წინააღმდეგ. კაუცკის წინადადებით თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. პროგრამული უთანხმოებანი; 2. ტაქტიკური უთანხმოებანი; 3. ორგანიზაციული საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ თათბირი მხოლოდ ახრთა გაზიარებით უნდა შემოფარგლულიყო, ვანდერველდემ გამოაცხადა, რომ თათბირი გადაწყვეტილებას მიიღებდა დღის წესრიგის სამივე პუნქტის გამო. ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ, რომელიც ლენინის მითითებით ხელმძღვანელობდა, წინადადება წამოაყენა მოესმინათ დელეგაციათა მოხსენებანი და ის კონკრეტული პირობები, რომლებიც თითოეულ მათგანს საჭიროდ მიაჩნდა ერთიანობის უზრუნველსაყოფისათვის. ბოლშევიკთა მტკიცე მოთხოვნით გადაწყვიტეს გადაეხვიათ მიღებული დღის წესრიგისათვის და მოესმინათ მოხსენებები სადავო საკითხებზე და დელეგაციებს ჩამოეყალიბებინათ გაერთიანების კონკრეტული პირობები.

თათბირის მუშაობის ცენტრში იყო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინის მიერ შედგენილი მოხსენება, რომელიც ინესა არმანდმა ფრანგულ ენაზე წაიკითხა 17 ივლისის დილას სხდომაზე. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ხელმძღვანელებმა მთელი მოხსენების ტექსტის წაკითხვის საშუალება არ მისცეს, ამიტომ არმანდი იძულებული გახდა თათბირისათვის გაეცნო მხოლოდ მისი ნაწილი და

გადასულიყო ერთიანობის პირობებზე. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ლიდერები, რომლებიც ლიკვიდატორებს იცავდნენ, ძლიერ გაბრაზა ბოლშევიკების კონკრეტულმა წინადადებებმა ერთიანობის პირობების შესახებ. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სახელით კაუცკიმ თათბირს შესთავაზა რსდმ პარტიის გაერთიანების რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არ ყოფილიყოს ერთიანობისათვის ხელის შემშლელი რამე არსებითი უთანხმოება. კაუცკის მხარი დაუჭირეს საორგანიზაციო კომიტეტმა და პლეხანოვმა, რომელიც გააფთრებით ესხმოდა თავს ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასა და ლენინს. მცდარ პოზიციას დაადგა რ. ლუქსემბურგი, რომელიც პლეხანოვთან, ვანდერველდესთან, კაუცკისა და სხვებთან ერთად იცავდა ბოლშევიკების გაერთიანებას მენშევიკებთან. რადგან რეზოლუციის შეტანა სცილდებოდა თათბირის უფლებამოსილების ფარგლებს, ბოლშევიკებმა და ლატვიელმა სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს მისთვის კენჭისყრაში მონაწილეობაზე. მაგრამ ხმების უმრავლესობით მიიღეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუცია. პოლონეთის ოპოზიციამ, რომელიც თათბირზე ბოლშევიკებსა და ლატვიელ სოციალ-დემოკრატებს ემხრობოდა, ხმა მისცა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციას (იხ. ამის შესახებ „პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია გზაჯვარედინზე" — თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 692—693).

ბოლშევიკებმა, რომლებსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ბრიუსელის თათბირის გადაწყვეტილებებს. კრახით დამთავრდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ლიდერების ცდა გაეუქმებინათ ბოლშევიკური პარტია. საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე ლენინმა, ბოლშევიკებმა ამხილეს ნამდვილი მიზნები ინტერნაციონალის ბელადებისა, რომლებიც მშვიდობისმყოფელთა ნიღბით გამოდიოდნენ.

ბრიუსელის თათბირის შემდეგ გამართულ ლიკვიდატორთა, ტროცკისტთა, ვპერიოდელთა, პლეხანოველთა, ბუნდელთა და კავკასიის საოლქო ორგანიზაციის წარმომადგენელთა კერძო თათბირზე შეიკრა ამ ჯგუფების ბლოკი ბოლშევიკთა წინააღმდეგ. ბრიუსელის („სამი ივლისის") ბლოკს თვალთმაქცურად უნდა შეენიღბა ყველა მისი მონაწილის პოლიტიკური სიდამპლე; მალე ბლოკი დაიშალა, რამაც დაადასტურა რსდმ პარტიის რუს და დასავლეთევროპელ „გამაერთიანებელთა" პოლიტიკის სიყალბე. — **369.**

385 წერილი „პოლონეთის ოპოზიცია ბრიუსელის კონფერენციაზე" განკუთვნილი იყო გაზეთ „ტრუდოვაია პრავდისათვის". ფურცელზე, რომელზედაც ეს წერილი იყო დაწერილი, გვერდიდან ლენინს გაუკეთებია მინაწერი რედაქციისათვის: „დაბეჭდეთ ეს

პეტიტით და არავითარი პასუხი მათს წერილებზე, არაფერი არ დაბეჭდოთ: ეშმაკსაც წაუღიხართ-თქო თქვენს ახალ „თანაბლოკელ მოძმეებთან“ ერთად“.

1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთის დახურვის გამო ეს წერილი არ გამოქვეყნებულა. — **870.**

386 ეს გეგმები გვაცნობენ შინაარსს სტატიისა „რევოლუცია და ომი“, რომლის დაწერასაც ვ. ი. ლენინი აპირებდა პარტიის ცენტრალური ორგანოს—გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 33-ე ნომრისათვის. გეგმები ვ. ი. ლენინს დაუწერია 1914 წლის ივლისში, სერბიასთან ავსტრიის ომის დაწყების შემდეგ.

რევოლუციური კრიზისი, რომელიც რუსეთში ომის წინ მწიფდებოდა, განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა 1914 წლის ივლისის დღეებში. ივლისის დღეებს ვ. ი. ლენინი 1905 წლის იანვრის ადარებდა, ამასთან აღნიშნავდა, რომ იზრდებოდა მასების რევოლუციური მოძრაობა არალეგალური პროლეტარული პარტიის მეთაურობით, ფართოვდებოდა ლოზუნგები, რომლებიც პარტიის პროპაგანდისა და აგიტაციის მუშაობის იდეურ გაერთიანებას ემსახურებოდა. რევოლუციური ბრძოლა მიმდინარეობდა ლოზუნგებით: რვასაათიანი სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და დემოკრატიული რესპუბლიკა.

გეგმებიდან ჩანს, რომ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის მძლავრ აღმავლობას ვ. ი. ლენინი განუყრელად უკავშირებდა საერთაშორისო მდგომარეობას და რომ სტატიაში „რევოლუცია და ომი“ იგი ვარაუდობდა გაეშუქებინა რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები მსოფლიო სიტუაციასთან დაკავშირებით. — **870.**

387 „კიევსკაია მისლ“ — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, რომელიც კიევში გამოდიოდა 1906—1918 წლებში. 1915 წლამდე გაზეთს ჰქონდა ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატებანი; 1917 წლიდან — დილისა და საღამოს გამოშვებები. — **871.**

388 ეს დოკუმენტი დაწერილია ცალკე ფურცელზე და აქვს ჩანართის ნიშანი. ზუსტი მონაცემები, თუ სახელდობრ რომელ სტატიას ეკუთვნის ეს ჩანართი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს არ მოეპოვება. როგორც ჩანს, დოკუმენტი რასმე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის „ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია“ ან ომის შესახებ ბოლშევიკთა რომელიმე რეზოლუციის ჩანართის ერთ-ერთი ვარიანტია. — **872.**

389 ლაპარაკია საგანგებო საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, რომელიც ბაზელში მიმდინარეობდა 1912 წლის 24—25 ნოემბერს. კონგრესი მოიწვიეს მსოფლიო იმპერიალისტური ომის მოახლოებულ საფრთხესთან ბრძოლის საკითხის გადასაწყვეტად. ეს საფრთხე კიდევ

უფრო გაიზარდა ბალკანეთის პირველი ომის დაწყების შემდეგ. კონგრესს 555 დელეგატი ესწრებოდა. რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 6 დელეგატი გაგზავნა. კონგრესის გახსნის დღეს გაიმართა ომის საწინააღმდეგო ხალხმრავალი დემონსტრაცია და ომის წინააღმდეგ პროტესტის საერთაშორისო მიტინგი.

25 ნოემბერს კონგრესმა ერთხმად მიიღო მანიფესტი ომის შესახებ. მანიფესტი აფრთხილებდა ხალხებს მოახლოებული მსოფლიო ომის საშიშროების გამო, ამხილებდა ამ ომის მძარცველურ მიზნებს, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებდნენ, და მოუწოდებდა ყველა ქვეყნის მუშებს გაეჩაღებინათ გადამწყვეტი ბრძოლა მშვიდობისათვის, ომის საშიშროების წინააღმდეგ, „დაეპირისპირებინათ კაპიტალისტური იმპერიალიზმისათვის პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ძალა“. იმპერიალისტური ომის დაწყების შემთხვევაში მანიფესტი ურჩევდა სოციალისტებს ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოეყენებინათ სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად.

II ინტერნაციონალის ბელადებმა (კაუცკი, ვანდერველდე და სხვ.) კონგრესზე ხმა მისცეს ომის საწინააღმდეგო მანიფესტის მიღებას. მაგრამ მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მათ დავიწყებას მისცეს ბაზელის მანიფესტი, ისევე როგორც საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების სხვა გადაწყვეტილებანი ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, და მიემხრნენ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს. — **372.**

380 ბროშურაზე „ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი“ ვ. ი. ლენინმა მუშაობა დაიწყო მალე ბერნში ჩასვლის შემდეგ. მან დიდი მასალა შეაგროვა, მაგრამ ბროშურა არ დაუწერია. მოსამზადებელი მასალები ნაწილობრივ გამოიყენა რეფერატებსა და სტატიებში, რომლებიც „სოციალ-დემოკრატში“ იბეჭდებოდა, და ბროშურაში „სოციალიზმი და ომი“. ამ ტომში იბეჭდება ბროშურის „ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი“ ყველაზე სრული გეგმა. ამ ბროშურის ყველა მოსამზადებელი მასალა დაბეჭდილია ლენინის XIV კრებულში, გვ. 14—123, რუს. — **372.**

381 ლაპარაკია ვ. ადლერის გამოსვლის შესახებ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ბრიუსელში 1914 წლის 29 ივლისს. ადლერის ამ გამოსვლას ვ. ი. ლენინი ეხება სტატიაში „მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 100—109). — **373.**

382 ლაპარაკია ჟ. ჟორესის წიგნზე „L'organisation socialiste de la France. L'Armée nouvelle“ („საფრანგეთის სოციალისტური ორგანიზაცია. ახალი არმია“), რომელიც პარიზში გამოიცა 1911 წელს. — **374.**

383 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გ. ვენდელის სტატია „ჟორესი“, რომელიც ჟურნალ „Die Neue Zeit“-ის № 19-ში დაიბეჭდა 1914 წლის 21 აგვისტოს. — **374.**

384 ვ. ი. ლენინს ციტატად მოჰყავს ფრაზა კ. კაუცკის სტატიიდან „Die Sozialdemokratie im Krieg“ („სოციალ-დემოკრატია ომის დროს“). რომელიც დაიბეჭდა „Die Neue Zeit“-ის № 1-ში 1914 წლის 2 ოქტომბერს. ამ სტატიას ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს სტატიაში „მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 100—109). — **374.**

385 ლაპარაკია გ. ვენდელის სტატიაზე „ევროპას ხანძარი ემუქრება“, რომელიც „Die Neue Zeit“-ის № 18-ში დაიბეჭდა 1914 წლის 31 ივლისს. სტატიის ამონაწერები და ვ. ი. ლენინის შენიშვნები იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 47—49, რუს.). — **374.**

386 ლაპარაკია სტატიაზე „Ultimatum“ („ულტიმატუმი“), რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „Vorwärts“-ის № 200-ში 1914 წლის 25 ივლისს; წერილზე „Verdechtige Tiranentöter!“ („საეჭვო ტირანმკვლელები!“), რომელიც 1914 წლის 31 ივლისს დაიბეჭდა „Leipziger Volkszeitung“-ის № 174-ის დამატებაში, და სტატიაზე „Der Kampf gegen den Zarismus“ („ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ“), რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „Vorwärts“-ის № 209-ში 1914 წლის 3 აგვისტოს. — **375.**

387 იგულისხმება რ. ფიშერის სტატია „Vandalen“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „Volksrecht“-ის № 206-ში 1914 წლის 5 სექტემბერს. ამ სტატიის ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა გააკეთა, დაბეჭდილია ლენინის XIV კრებულში, გვ. 61, რუს. — **375.**

388 ომის დასაწყისში რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციათა წევრების პარიზში მყოფმა ნაწილმა და ბოლშევიკთა პარიზის სექციის წევრთა ნაწილმა — ნ. ი. საპოჟნიკოვმა (კუზნეცოვმა), ა. ვ. ბრიტმანმა (ანტონოვმა) და სხვებმა მენშევიკებთან და ესერებთან ერთად „რესპუბლიკელთა“ სახელით მიიღეს დეკლარაცია, რომელიც ფრანგულ პრესაში გამოაქვეყნეს, და ფრონტზე წავიდნენ. „L'Humanité“-ში დაიბეჭდა აგრეთვე პოლონელ სოციალ-დემოკრატ ვოლონტიორთა განცხადება. — **375.**

389 1914 წლის 22 სექტემბერს გაზეთ „გოლოსის“ № 9-ში დაიბეჭდა პოლონელ სოციალისტთა სოციალ-შოვინისტური დეკლარაციის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ლედერი, კონი, ზენენბაუმი და სხვ.—**375.**

400 „სოვრემენოე სლოვო“ — ყოველდღიური გაზეთი, რომელსაც კადეტები სცემდნენ პეტერბურგში 1907—1918 წლებში. აქ ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ამონაწერებზე წერილიდან „გ. ვ. პლეხანოვი ომის შესახებ“, რომელიც „სოვრემენოე სლოვოს“ № 2374-ში დაიბეჭდა

1914 წლის 23 აგვისტოს (5 სექტემბერს) (იხ. ლენინის XIV კრებული, გვ. 114, რუს.). — **375.**

401 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გაზეთ „გოლოსის“ 1914 წლის 15 სექტემბრის № 3-ის განყოფილება „პრესის მიმოხილვა“, რომელშიც მოყვანილია ნაწყვეტი გესკიერის სოციალ-შოვინისტური სტატიიდან „Notre devoir“ („ჩვენი მოვალეობა“), რომელიც „L'Humanité“-ს 1914 წლის 14 სექტემბრის № 3802-ში გამოქვეყნდა. სტატია ამართლებდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის სოციალ-შოვინისტურ პოლიტიკას იმპერიალისტურ ომში, მის უარს კლასობრივ ბრძოლაზე და აცხადებდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ფრანგი სოციალისტები მოიხდიან თავიანთ სოციალისტურ ვალსო. ნაწყვეტთან ერთად გაზეთ „გოლოსის“ რედაქციამ დაბეჭდა რედაქციის შენიშვნა, რომელიც ადასტურებდა, რომ ასეთივე პოზიცია ეკავათ გაზეთ „Vorwärts“-სა და გ. ვ. პლეხანოვს. — **375.**

402 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ე. სმირნოვის (გურევიჩის) სტატია „ომი და ევროპის დემოკრატია“, რომელიც 1914 წლის 3 (16) სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „რუსკიე ვედომოსტის“ № 202-ში, და პ. მასლოვის წერილი ამ გაზეთის რედაქციისადმი, რომელიც 1914 წლის 10 (23) სექტემბერს დაიბეჭდა გაზეთის № 207-ში სათაურით „ომი და სავაჭრო ხელშეკრულებანი“. — **375.**

403 ლაპარაკია ე. ვალიანის სტატიაზე „ფორმალისტ-დოქტრინიორები“. ეს სტატია მას დაუწერია იმ სოციალისტებისაგან მიღებულ წერილებთან დაკავშირებით, რომლებიც აკრიტიკებდნენ მის სოციალ-შოვინისტურ პოზიციას. სტატია მოწინავედ დაიბეჭდა გაზეთ „L'Humanité“-ს № 3827-ში 1914 წლის 9 ოქტომბერს. ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია გაზეთიდან, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 97, რუს. — **375.**

404 იგულისხმება კომპერ-მორელის სტატია „Des commissaires à la nation“ („სახალხო კომისრები“), რომელიც გაზეთ „L'Humanité“-ს № 3788-ში დაიბეჭდა 1914 წლის 31 აგვისტოს. ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია ამ სტატიიდან, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 67, რუს. — **375.**

405 იგულისხმება გ. ერვეს სტატიები, რომლებშიც იგი იცავდა და ამართლებდა რესპუბლიკური საფრანგეთის კავშირს მეფის რუსეთთან, ამტკიცებდა რა, რომ საფრანგეთი ვერ იომებს მეფესთან კავშირის გარეშე და რომ დემოკრატიული ინგლისისა და დემოკრატიული იტალიის დახმარების დროს ცარიზმი ისეთი ცუდი ალარ არისო. — **375.**

406 ჰ.-მ. ჰაინდმანმა ჯერ კიდევ ომამდე დაიკავა იმპერიალიზმის აშკარად დაცვის პოზიცია და იგი მკაცრად გააკრიტიკეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ და მისმა ორგანომ „Die Neue Zeit“-მა. — **375.**

407 იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სოციალ-შოვინისტური დეკლარაცია, რომელიც სოციალისტ ჰ. ჰაზეს წაუკითხავს გერმანიის რაიხსტაგში 1914 წლის 4 აგვისტოს სამხედრო კრედიტებისათვის კენჭისყრისას. — 376.

408 ლაპარაკია ე. ბერნშტაინის სტატიაზე „Abrechnung mit Rußland“ („ანგარიშსწორება რუსეთთან“), რომელიც 1914 წლის 26 აგვისტოს დაიბეჭდა გაზეთ „Vorwärts“-ის № 232-ში. ამ სტატიაში ბერნშტაინი თვითნებურად იყენებს ნაწყვეტებს ფ. ენგელსის ნაწარმოებიდან „საქმოა, ნიცა და რაინი“, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი საფრთხეს უქმნის გერმანიასო, და ენგელსის დამოწმებით ცდილობს გაამართლოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის ოპორტუნისტული პოლიტიკა იმპერიალისტურ ომში. ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია ფ. ენგელსის ბროშურიდან „საქმოა, ნიცა და რაინი“, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 41—43, რუს. — 376.

409 იგულისხმება ფ. ენგელსის სტატია „Der Sozialismus in Deutschland“ („სოციალიზმი გერმანიაში“), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „Die Neue Zeit“-ის № 19-ში, 1 ტომი, 1891—1892 წლები. გერმანიის სოციალ-შოვინისტები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს სტატია იმპერიალისტურ ომში თავიანთი ოპორტუნისტული პოზიციის გასამართლებლად. — 376.

410 იგულისხმება ფ. მერინგის პროტესტი, რომელიც ამხილებს გერმანელ სოციალ-შოვინისტთა ცდებს ფ. ენგელსის დამოწმებით გაამართლონ თავიანთი ოპორტუნისტული პოლიტიკა იმპერიალისტური ომის პერიოდში. — 376.

411 გაზეთ „Hamburger Echo“-ს № 211-ში 1914 წლის 10 სექტემბერს დაბეჭდილია სტატია „Eine notwendige Erklärung“ („საჭირო განმარტება“), რომელშიც ფ. ენგელსის სტატია „სოციალიზმი გერმანიაში“ დამახინჯებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის სოციალ-შოვინისტური პოზიციის გამართლების მიზნით. ამონაწერები, რომლებიც ამ გაზეთიდან ვ. ი. ლენინს გაუკეთებია, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 67, რუს.

გაზეთ „Vorwärts“-ის № 249-ში 1914 წლის 12 სექტემბერს დაიბეჭდა სტატია „Die Auffassung der italienischen Sozialisten“ („იტალიელ სოციალისტთა თვალსაზრისი“). — 376.

412 ლაპარაკია გერმანელი სოციალ-შოვინისტის რ. ფიშერის სტატიაზე „Vandalen („ვანდალები“), რომელიც გაზეთ „Volksrecht“-ის № 206-ში დაიბეჭდა 1914 წლის 5 სექტემბერს, და მისდამი პასუხზე — „გერმანელი სოციალისტის წერილზე“. წერილი, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო „Berner Tagwacht“-ში გამოსაქვეყნებლად. მოიპოვება ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული ამონაწერები წერილიდან და ჩანაწი-

შნი კიდეებზე „((გვ. 1—7)) (საბეჭდი მანქანით „Berner Tagwacht"-ის რედაქციაში)" (იხ. ლენინის XIV კრებული, გვ. 61—63, რუს.). მაგრამ ამ გაზეთში წერილი არ დაბეჭდილა. ციტატები „გერმანელი სოციალისტის წერილიდან" დაიბეჭდა 1914 წლის 13 და 14 სექტემბერს გაზეთ „Grütlianer"-ის №№ 213 და 214-ის მოწინავე სტატიაში „Die Sozialdemokratie und der Krieg" („სოციალ-დემოკრატია და ომი"). — **376.**

413 ვ. ი. ლენინს მოჰყავს სიტყვები ი. ბლოხის სტატიიდან „Der Krieg und Sozialdemokratie" („ომი და სოციალ-დემოკრატია"), რომელიც ჟურნალ „Sozialistische Monatshefte"-ს № 16-ში დაიბეჭდა. — **376.**

414 1914 წლის 25 სექტემბერს გაზეთ „გოლოსის" № 12-ის შენიშვნაში „პრესის მიმოხილვა" დაბეჭდილია შინაარსი კ. ლიბკნეხტის წერილისა, რომელიც გაზეთ „Bremer Bürger-Zeitung"-ში დაიბეჭდა და რომელიც აშუქებდა რაიხსტაგში სამხედრო კრედიტებისათვის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხმის მიცემის საკითხს. — **376.**

415 ლაპარაკია მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პროტესტზე, რომელიც გაზეთ „Bremer Bürger-Zeitung"-ის № 214-ში დაიბეჭდა 1914 წლის 14 სექტემბერს, და სტატიაზე „Parteipflichten" („პარტიული მოვალეობანი"), რომელიც სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „Volksblatt"-ის („სახალხო ფურცლის") № 220-ში დაიბეჭდა 1914 წლის 19 სექტემბერს; მათში გამოთქვამდნენ პროტესტს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის სოციალ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. აცხადებდნენ, რომ ყველა სოციალ-დემოკრატი როდი იზიარებს ხელმძღვანელობის აზრს, და ხაზს უსვამდნენ მისწრაფებას საერთაშორისო სოლიდარობისადმი.

„*Bremer Bürger-Zeitung*"-ი („ბრემენის სამოქალაქო გაზეთი")— ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, გამოდიოდა ბრემენში 1890 — 1919 წლებში; 1916 წლამდე ბრემენელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იყო, შემდეგ კი სოციალ-შოვინისტების ხელში გადავიდა. — **376.**

416 ლაპარაკია იმ პოზიციაზე, რომელიც დაიკავა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „Volksblatt"-მა („სახალხო ფურცელმა"). გაზეთი ჰალეში გამოდიოდა. იგი აკრიტიკებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის სოციალ-შოვინისტურ პოზიციას და მოუწოდებდა საერთაშორისო სოლიდარობისათვის. — **376.**

417 იგულისხმება სტატია „Die Zertrümmerte Internationale" („დაშლილი ინტერნაციონალი"), რომელიც „Bremer Bürger-Zeitung"-ის № 211-ში დაიბეჭდა 1914 წლის 10 სექტემბერს. ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინს ამ გაზეთიდან გაუკეთებია, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 83, რუს. — **376.**

418 *„Volksrecht"* („ხალხის უფლება") — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდის ციურიხში 1898 წლიდან დღემდე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) გაზეთი ბეჭდავდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სტატიებს. აქ დაიბეჭდა ლენინის სტატიები „თორმეტი მოკლე თეზისი ჰ. გროილიხის მიერ სამშობლოს დაცვის ლოზუნგის დაცვის შესახებ", „რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში", „რესპუბლიკელ შოვინისტთა ორიენი" და სხვები.

ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს სტატია „Zwei Internationalen" („ორი ინტერნაციონალი"), რომელიც გაზეთ „Volksrecht"-ის № 211-ში დაიბეჭდა 1914 წლის 11 სექტემბერს. ამონაწერები, რომლებიც ვ. ი. ლენინს ამ სტატიიდან გაუკეთებია, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 58, რუს. — **876.**

419 ლაპარაკია საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციათა მოწოდებაზე გერმანელი ხალხისადმი. მოწოდება გამოქვეყნდა „L'Humanité"-ს № 3794-ში 1914 წლის 6 სექტემბერს. მოწოდებაში ბელგიელი და ფრანგი სოციალისტები ბრალად სდებდნენ გერმანიის მთავრობას დამპყრობლურ მისწრაფებებს, ხოლო გერმანელ ჯარისკაცებს — მხეცობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ 10 სექტემბერს გაზეთ „Vorwärts"-ის № 247-ში დაბეჭდა პროტესტი ამ მოწოდების წინააღმდეგ. ამის გამო პრესაში ფრანგ და გერმანელ სოციალ-შოვინისტებს შორის გაჩაღდა პოლემიკა, რომლის დროს ორივე მხარე ცდილობდა გაემართლებინა თავისი ქვეყნის მთავრობის მონაწილეობა ომში და სხვა ქვეყნების მთავრობებისათვის გადაებრალებინა დანაშაული. — **877.**

იგულისხმება გ. ერვესადმი ლ. მარტოვის წერილი, რომელიც გაზეთ „გოლოსის" № 12-ში დაიბეჭდა 1914 წლის 25 სექტემბერს. — **877.**

421 ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, პირწავარდნილი სოციალ-შოვინისტის ა. ზიუდეკუმის გამგზავრებაზე იტალიაში. იგი გაემგზავრა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის დავალებით. იტალიელ სოციალისტებთან ზიუდეკუმის საუბრის ჩანაწერი დაიბეჭდა „Avanti!"-ში, შემდეგ კი „Avanti!"-დან გადაბეჭდეს სხვადასხვა სოციალისტურმა გაზეთებმა. რუსულ ენაზე იგი დაიბეჭდა მენშევიკურ ჟურნალ „ნაშა ზარიას" 1914 წლის №№ 7—8—9-ში. — **877.**

422 ლაპარაკია მემარცხენე სოციალ-დემოკრატების თათბირზე, რომელიც ვ. ი. ლენინის ინიციატივით გაიმართა კოპენჰაგენის კონგრესის მუშაობის დროს. ბრონშტეინის „ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი" გეგმაში ლენინს ჩამოთვლილი ჰყავს თათბირის მონაწილენი: საფრანგე-

თისაგან ესწრებოდნენ ჟ. გედი და შ. რაპოპორტი; ბელგიისაგან — ლ. დე-ბრუკერი; გერმანიისაგან — რ. ლუქსემბურგი და ე. ვურმი; პოლონეთისაგან — ი. მარხლევსკი (კარსკი); ესპანეთისაგან — პ. იგლესიასი; ავსტრიისაგან— ა. ბრაუნი; რუსეთისაგან ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი და სხვ. (იხ. ლენინის XIV კრებული, გვ. 22, რუს.). —**877.**

423 „დანიის რეზოლუციას“ ვ. ი. ლენინი უწოდებს რეზოლუციას „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში“, რომელიც მიიღეს ომისადმი დამოკიდებულების შესახებ ლენინის მოხსენების გამო ბოლშევიკების 1914 წლის 6 სექტემბრის ბერნის თათბირზე. ეს რეზოლუცია ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „თეზისები ომის შესახებ“; იგი იყო პირველი დოკუმენტი, რომელმაც განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიისა და საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიცია მსოფლიო იმპერიალისტური ომის მიმართ.

ლენინის თეზისები დაწვრილებით განიხილეს და მიიღეს თათბირის რეზოლუციად. თეზისები „რსდმ პარტიის წევრ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის“ ხელმოწერით დაეგზავნა ბოლშევიკთა სხვა საზღვარგარეთულ სექციებს. კონსპირაციის მიზნით ნ. კ. კრუპსკაიას მიერ დაწერილ პირს ვ. ი. ლენინმა წააწერა: „დანიაში გამოშვებული მოწოდების პირი“. — **877.**

424 ინგლისის განათლების სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა ჩ.-ფ. ტრეველიანმა ღია წერილში თავისი ამომრჩეველებისადმი თქვა, რომ იმპერიალისტურ ომში შენი ერის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას, ეს ინტერესები კი მშვიდობაა. — **878.**

425 1914 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „Frankfurter Zeitung“-ის № 254-ში დაიბეჭდა ფ. ოპენჰაიმერის სტატია „Neue Rom und neue Karfageno“ („ახალი რომი და ახალი კართაგენი“). ამონაწერები, რომლებიც ვ. ი ლენინს ამ სტატიიდან გაუკეთებია, იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 85, რუს.

„Frankfurter Zeitung“ („ფრანკფურტის გაზეთი“) — ყოველდღიური გაზეთი, მსხვილ გერმანელ მებირჟეთა ორგანო; გამოდიოდა მაინის ფრანკფურტში 1856 — 1943 წლებში. ისევ დაიწყო გამოსვლა 1949 წლიდან სახელწოდებით „ფრანკფურტის საყოველთაო გაზეთი“ („Frankfurter Allgemeine Zeitung“); წარმოადგენს დასავლეთ-გერმანელ მონოპოლისტთა რუპორს. — **878.**

426 „რუსკოე ზნამია“ — შავრაზმული გაზეთი, „რუსი ხალხის კავშირის“ ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1905—1917 წლებში.

ლენინს მხედველობაში აქვს „რუსკოე ზნამიას“ 1914 წლის 30 აგვისტოს № 105-ში დაბეჭდილი მოწინავე სტატია, რომელშიც ლაპარაკია რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის პროკლამაციებზე.—**878.**

427 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კ. კაუცკის სტატია „მშვიდობის პერს-

პექტივები“, რომლიდანაც ციტატები დაიბეჭდა გაზეთ „გოლოსის“ №№ 18 და 19-ში 1914 წლის 2 და 3 ოქტომბერს. —878.

428 ლაპარაკია შენიშვნაზე „W. C. Modell 70“, რომელიც გაზეთ „Vorwärts“-ის № 227-ში დაიბეჭდა 1914 წლის 21 აგვისტოს. — 878.

429 როგორც ჩანს, აქ იგულისხმება 42-სანტიმეტრიანი ქვემეხები, რომლებიც გერმანიაში გამოუშვეს კრუპის ქარხნებმა და პირველად გამოიყენეს 1914—1918 წლების ომში. — 879.

430 „*Kreuz-Zeitung*“ („ჯვაროსანი გაზეთი“) — ცნობილი სახელწოდება უკიდურესი რეაქციული გერმანული ყოველდღიური გაზეთისა „Neue Preußische Zeitung“ („ახალი პრუსიული გაზეთი“), რომლის სათაურში გამოსახული იყო ჯვარი. გაზეთი იყო გერმანელ კონსერვატორთა ორგანო, გამოდიოდა ბერლინში 1848—1939 წლებში. 1911 წლიდან ეწოდებოდა „Neue Preußische (Kreuz) Zeitung“, 1932 წლიდან — „Kreuz-Zeitung“. — 879.

431 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს გაზეთ „გოლოსის“ 1914 წლის 27 სექტემბრის № 14-ის „პრესის მიმოხილვა“, რომელიც აშუქებდა ინგლისელ სოციალისტთა პოზიციას და მოჰყავდა ნაწყვეტები კეირ-ჰარდისა და მაკდონალდის სტატიებიდან. წერილში ნათქვამი იყო, რომ მაკდონალდის სტატიაში „მეტისმეტად პესიმისტურად არის შეფასებული ახლანდელი ომის ყველა შედეგი“. — 879.

432 იგულისხმება სტატია „ხმა გაჰმინდეთ, საკურისებო!“, რომელიც გაზეთ „გოლოსის“ № 21-ის მოწინავედ დაიბეჭდა 1914 წლის 6 ოქტომბერს. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია სახელს გაიტეხდა, თუ გერმანიის პირობებში, რომელსაც რუსეთის ჯარები უტევდნენ, იგი „რევოლუციური კომუნის მოწოდებით გამოვიდოდა“, და რომ ეს მოსწყვეტდა მას ფართო მასებს. — 880.

433 იგულისხმება „მწერლების, მხატვრებისა და მსახიობების“ მოწოდება, რომელიც დაწერილია ბურჟუაზიული პატრიოტიზმისა და გერმანიის წინააღმდეგ მეფის რუსეთის ომის გამართლების სულისკვეთებით. მოწოდებას ხელს აწერდნენ სამეცნიერო აკადემიკოსები, ცნობილი მხატვრები ა. ვასნეცოვი, ვ. ვასნეცოვი, კ. კოროვინი, მოქანდაკე ს. მერკუროვი, თ. შალიაპინი და მოსკოვის თეატრების სხვა ცნობილი მსახიობები, მწერლები მ. გორკი, ა. სერაფიმოვიჩი, სკიტალეცი და სხვ., ჟურნალების რედაქტორები პ. სტრუვე, ნ. მიხაილოვი, დ. ტიხომიროვი და სხვ.

მოწოდება დაიბეჭდა 1914 წლის 28 სექტემბერს (11 ოქტომბერს) გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ № 223-ში. — 880.

434 „*Дзэн*“ („ზარი“) — მენშევიკური მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ნაციონალისტური ჟურნალი; გამოდიოდა უკრაინულ ენაზე

კიევში 1913 წლის იანვრიდან 1914 წლის შუა ხანებამდე. სულ გამოვიდა 18 ნომერი. ჟურნალში მონაწილეობდნენ ვ. ვინიჩენკო, ლ. იურკევიჩი (რიბალკა), ს. პეტლიურა, გ. ალექსინსკი, პ. აქსელროდი, ლ. ტროცკი და სხვ. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა.

სტატიის „უკრაინა და ომი“ ავტორი იყო ვ. ლევინსკი. — **881.**

435 „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ („Спілка визволення України“)—ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელიც უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფმა შექმნა 1914 წელს, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში. „სპილკას“ იმედი ჰქონდა, რომ მეფის რუსეთი დამარცხდებოდა ომში, და ამოცანად ისახავდა გამოეყო უკრაინა რუსეთისაგან და შეექმნა ბურჟუაზიულ-მემამულური უკრაინის მონარქია გერმანიის პროტექტორატით. — **882.**

436 საკითხი „ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი“ დაისვა რსდმპარტიის საზღვარგარეთულ სექციათა ბერნის კონფერენციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ რსდმპარტიის ზოგიერთმა საზღვარგარეთულმა ორგანიზაციამ (ბოჟელთა ჯგუფი, პარიზის სექცია) სცადა სეპარატულად, ცენტრალური ორგანოსაგან დამოუკიდებლად, გამოეცა ადგილობრივი გაზეთები. ომის პირობებში, როცა სახსრებისა და ლიტერატურული ძალების უკიდურესი სიმცირე იგრძნობოდა, როცა საჭირო იყო ბოლშევიკების უფრო მჭიდრო ურთიერთობა და უმნიშვნელოვანეს საკითხთა ერთობლივად განხილვა, ლენინს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ადგილობრივი პატარა გაზეთების გამოცემა და წინადადება შეიტანა შეეცვალათ ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტის მესამე პუნქტი, რომელიც წარდგენილი იყო კონფერენციის განსახილველად. კონფერენცია დასთანხმდა ლენინის წინადადებას და მიიღო რეზოლუციის მესამე პუნქტის მისეული რედაქცია (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, 1954, გვ. 417—418). — **882.**

437 ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია გაიმართა ბერნში 1915 წლის 26—28 მარტს. იგი მოიწვიეს ჟურნალ „რაბოტნიცას“ საზღვარგარეთული ორგანიზაციის ინიციატივით და კლარა ცეტკინის, რომელიც იმ დროს სოციალისტ ქალთა საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარე იყო, აქტიური მონაწილეობით. კონფერენციის მოწვევისათვის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ ი. თ. არმანდი, ნ. კ. კრუპსკაია და სხვ. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით. კონფერენციას ესწრებოდა 29 დელეგატი ინგლისის, გერმანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, პოლონეთის, რუსეთის, შვეიცარიის ქალთა ორგანიზაციებისაგან. რუსეთის დელეგაციაში შედიოდა 7 კაცი:

4 — რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან (არმანდი, კრუპსკაია და სხვ.) და 3—საორგანიზაციო კომიტეტისაგან. კონფერენციის დელეგატების უმრავლესობა ცენტრისტთა გავლენის ქვეშ იყო და ამიტომ ომთან დაკავშირებული ზოგადი სოციალისტური ამოცანების განხილვის ნაცვლად კონფერენციის მუშაობა იმით შემოიფარგლა, რომ განიხილა კ. ცეტკინის მოხსენება „მშვიდობის სასარგებლოდ სოციალისტ ქალთა ინტერნაციონალური გამოსვლების შესახებ". რეზოლუცია ამ საკითხზე შეიმუშავა კ. ცეტკინმა ინგლისისა და ჰოლანდიის დელეგატთა მონაწილეობით და მას ცენტრისტული ხასიათი ჰქონდა. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა კონფერენციაზე შეიტანეს ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც სოციალისტებს უჩვენებდა ომისა და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუციურ გზას. ამ პროექტს კონფერენციაზე იცავდა ი. თ. არმანდი. კონფერენციამ კ. ცეტკინის მიერ შედგენილი რეზოლუცია მიიღო.

ვ. ი. ლენინი კონფერენციას აფასებდა როგორც ინტერნაციონალური ურთიერთობის აღდგენის ცდას და სურდა გამოეყენებინა იგი რევოლუციური პოზიციებზე ინტერნაციონალისტური ელემენტების შესაკავშირებლად. მაგრამ, როგორც იგი მოგვიანებით აღნიშნავდა, ამ კონფერენციას და იმ პერიოდში მიმდინარე ინტერნაციონალისტთა სხვა საერთაშორისო კონფერენციებს, თუმცა უკეთილშობილესი მიზნებით იყვნენ გამსჭვალულნი, „არ დაუსახავს ინტერნაციონალისტთა საბრძოლო ხაზი", „დასჯერდნენ ძველი რეზოლუციების განმეორებას", „უკეთეს შემთხვევაში ერთ ადგილს ტკეპნიდნენ" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 395).

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მასალები დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" 1915 წლის 1 ივნისის № 42-ის დამატებაში. — 888.

438 ციმერვალდის (შვეიცარია) პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია გაიმართა 1915 წლის 5—8 სექტემბერს.

კონფერენციას ესწრებოდა ევროპის 11 ქვეყნის 38 დელეგატი. დელეგატთა უმრავლესობა ცენტრისტულ პოზიციებზე იდგა. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) ცალკეული ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებანი, 2) გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ერთობლივი დეკლარაცია, 3) ციმერვალდის მემარცხენე ფრთის წინადადება პრინციპული რეზოლუციის მიღების შესახებ, 4) მანიფესტის მიღება, 5) ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის (I. S. K.) არჩევნები, 6) ომის მსხვერპლთა და დევნილთადმი სიმპათიის რეზოლუციის მიღება.

ვ. ი. ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში: გამოდიოდა სიტყვებით, ჰქონდა მიმოწერა დელეგატებთან სხდომების დროს, ესაუბრებოდა მათ შესვენებებზე. ჯერ კიდევ კონფერენციამდე მან დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია მემარცხენეთა შესაკავშირებლად სოციალ-შოვინისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ. ციმერვალდის კონფერენციის გახსნის წინ (2 და 4 სექტემბერს შუა) გაიმართა რუს და პოლონელ დელეგატთა თათბირი, რომელმაც განიხილა ლენინის მიერ დაწერილი „ციმერვალდის მემარცხენე ფრთის რეზოლუციის პროექტი“ და კ. რადეკის მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტი, რომელიც თათბირამდე ლენინმა გააკრიტიკა. განხილვის შემდეგ გადაწყდა ციმერვალდის კონფერენციაზე წამოეყენებინათ რადეკის პროექტი, გასწორებული ლენინის შენიშვნების საფუძველზე. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციის პროექტი და მანიფესტი გმობდნენ სოციალ-შოვინიზმსა და ცენტრიზმს, მოითხოვდნენ კატეგორიული უარი ეთქვათ იმპერიალისტურ ომში „სამშობლოს დაცვისა“ და „სამოქალაქო ზავის“ ლოზუნგებზე, პროპაგანდა გაეწიათ რევოლუციური მოქმედებისათვის.

კონფერენციის უმრავლესობამ უარყო მემარცხენეთა რეზოლუციის პროექტი ომისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ და მანიფესტის პროექტი. მაგრამ კონფერენციაზე მიღებულ მოწოდებაში „ევროპის პროლეტარებისადმი“, ლენინის სიმტკიცის წყალობით, შესაძლებელი გახდა რევოლუციური მარქსიზმის მთელ რიგ ძირითად დებულებათა შეტანა.

ლენინისეული „ციმერვალდის მემარცხენე ფრთის რეზოლუციის პროექტი“, სტატიები „პირველი ნაბიჯი“, „რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე“, რომლებშიც ვ. ი. ლენინი შეფასებას აძლევს ციმერვალდის კონფერენციას, იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 420—423, 468—475, 476—481.

ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციათა ოქმები, რომელთა მიხედვით იბეჭდება წინამდებარე ტომში ვ. ი. ლენინის გამოსვლები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა 1964 წელს მიიღო ამსტერდამის სოციალური ისტორიის საერთაშორისო ინსტიტუტიდან. ლენინის ცალკეული პატარა შენიშვნები ტომში არ შესულა. — 886.

438 ეს დოკუმენტი თეზისებია იმ მოხსენებისა პირველი მსოფლიო ომის ხასიათისა და რევოლუციურ ინტერნაციონალისტთა ტაქტიკის შესახებ, რომელიც ლენინმა გააკეთა ციმერვალდის კონფერენციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატ დელეგატთა კერძო თათბირზე 1915 წლის 4 სექტემბერს, ციმერვალდის კონფერენციის გახსნის წინა დღეს. მემარცხე-

ნე დელეგატთა გარდა თათბირს ესწრებოდა კონფერენციის ზოგიერთი სხვა დელეგატი. თათბირმა მიიღო მანიფესტისა და რეზოლუციის ის პროექტები, რომლებიც მემარცხენეებმა შეიტანეს ციმერვალდის კონფერენციაზე. — **889.**

440 ლენინს მხედველობაში აქვს წინასწარი თათბირი (Vorkonferenz) საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის საკითხზე, რომელიც 1915 წლის 11 ივლისს გაიმართა ბერნში. თათბირი მოიწვიეს იტალიელ და შვეიცარიელ სოციალისტთა ინიციატივით. თათბირს ესწრებოდნენ აგრეთვე რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხარეო გამგეობის, პოლონეთის სოციალისტურ პარტია-„ლევიცას“ და საორგანიზაციო კომიტეტის (მენშევიკების) წარმომადგენლები. წინასწარ თათბირზე ცენტრისტები პარობოდნენ. მთავარი საკითხი, რომელსაც წინასწარი თათბირი განიხილავდა, იყო მომავალი პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის შემადგენლობის საკითხი. თათბირის კაუცკელთა უმრავლესობა ცდილობდა კონფერენციაზე მოეწვია ცენტრისტები კაუცკის მეთაურობით და თვით აშკარა სოციალ-შოვინისტები ტრულსტრა და ბრანტინგი. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა მომდევნო წინასწარ თათბირზე მოეწვიათ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ნამდვილად მემარცხენეთა წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ოფიციალურ პარტიებს გამოეყვნენ მეტწილ ქვეყნებში (ჰოლანდიელი მემარცხენეები, ბულგარელი „ტესნიაკები“, შვეიცარისა და ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ოპოზიცია, გერმანიის მემარცხენე ჯგუფი — „გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები“, პოლონელი სოციალ-დემოკრატები (ოპოზიცია) და ლატვიელი სოციალ-დემოკრატები). მაგრამ თათბირის კაუცკელთა უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება მოეწვიათ მეორე წინასწარი თათბირი, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეჭრა კონფერენციის საკითხი. მაგრამ მეორე წინასწარი თათბირი არ მოწვეულა, მოიწვიეს პირდაპირ ციმერვალდის კონფერენცია. — **889.**

441 ომისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ მანიფესტისა და რეზოლუციის იმ პროექტის განხილვის დროს, რომელიც ციმერვალდის მემარცხენე ფრთის სახელით კ. რადეკმა შეიტანა, კონფერენციაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა რევოლუციურ ინტერნაციონალისტებსა და კონფერენციის კაუცკელთა უმრავლესობას შორის; პირველთ ვ. ი. ლენინი მეთაურობდა, ხოლო მეორეთ — გერმანელი სოციალ-დემოკრატი გ. ლედებური. ლედებური და შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატი რ. გრიმი, რომლებიც ამ დოკუმენტების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, აცხადებდნენ, რომ რევოლუციური მოქმედების კონკრეტული მოთხოვნების წამოყენებასთან ერთად მემარცხენეთა მიერ შეტანილი მანიფეს-

ტისა და რეზოლუციის პროექტები რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკურ ღონისძიებებს ააშკარავებს მოწინააღმდეგის წინაშე. მათი აზრით, მეომარ ქვეყნებში შეიძლება რეპრესიებისათვის მიემართათ იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს მოაწერდა და პროპაგანდას გაუწევდა ამ დოკუმენტებს. — **891**.

442 როგორც ჩანს, ლაპარაკია „კომუნისტური პარტიის მანიფესტზე“— იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1963, ტომი I, გვ. 1—49. — **892**.

443 ტრიბუნისტები — წევრები ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, რომლის ორგანო იყო გაზეთი „ტრიბუნა“. ტრიბუნისტთა ლიდერები იყვნენ დ. ვაინკოპი, ჰ. გორტერი, ა. პანეკუკი, ჰ. როლანდ-ჰოლსტი. ტრიბუნისტები არ ყოფილან თანამიმდევრულად რევოლუციური პარტია, მაგრამ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდნენ და მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914—1918) ძირითადად ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ. 1918 წელს ტრიბუნისტებმა შექმნეს ჰოლანდიის კომუნისტური პარტია. — **892**.

444 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს კ. ლიბკნეხტის 1915 წლის 2 სექტემბრის წერილი, რომელიც ავტორმა ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას გაუგზავნა. ლიბკნეხტი ვერ მონაწილეობდა ამ კონფერენციაში, რადგან 1915 წლის დამდეგს მობილიზებული იყო გერმანიის არმიაში. თავის წერილში იგი გამოდიოდა „სამოქალაქო ზავის“ წინააღმდეგ და მოითხოვდა სამოქალაქო ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ყველა მეომარი ქვეყნის სოციალისტთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას, ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და სოციალ-შოვინისტებთან კავშირის გაწყვეტას. — **893**.

445 იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგატმა დ. სერატიმ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ რეზოლუცია, რომელიც ომისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ შემარცხენეებმა შეიტანეს, ან ნაადრევია, ან დაგვიანებული, რადგან ომი უკვე დაიწყო, მისი დაწყებისათვის ხელს შეშლა კი შეუძლებელი იყო. — **893**.

446 „დამატებანი“ არ შესულა კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იმ განცხადების საბოლოო ტექსტში, რომელშიც ციმერვალდის შემარცხენე ფრთა ასაბუთებდა ოფიციალური მანიფესტისათვის ხმის მიცემას. — **893**.

447 ეს დოკუმენტი, როგორც ჩანს, დაუმთავრებელი სტატიის დასაწყისია. — **894**.

448 რეფერატი თემაზე „ორი ინტერნაციონალი“ ვ. ი. ლენინმა წაიკითხა 1916 წლის 4 (17) თებერვალს ციურიხში. იგივე რეფერატი რამდენადმე შეცვლილი სახელწოდებით: „ორი მიმდინარეობა საერთაშორისო

მუშათა მოძრაობაში“ ლენინმა წაიკითხა 19 და 21 მაისს (1 და 3 ივნისს) შუა პერიოდში ლოზანაში და 20 მაისს (2 ივნისს) ჟენევაში.

რეფერატის გეგმის ხელნაწერი, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, ასახავს იგივეთვე ლენინის მზადებას ლოზანასა და ჟენევაში წასაკითხავი მეორე რეფერატისათვის. კონტროლის მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის შემდეგ ახალი მონაცემების გამო რეფერატის გეგმაში შეტანილ იქნა დამატებანი, ზოგიერთი პუნქტი ლენინმა წაშალა, შეიცვალა მათი ნუმერაცია. ყველა ცვლილება, რომლებიც ლენინს შეუტანია რეფერატის გეგმაში, მოთავსებულია სტრიქონქვეშა შენიშვნებში. — **897**.

448 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ჰ. როლანდ-ჰოლსტის კორესპონდენცია, რომელიც დაიბეჭდა „Beilage zur „Berner Tagwacht““-ის („„ბერნელი გუშაგის“ დამატება“) 1916 წლის 22 იანვრის № 18-ში და შეეხებოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივნის კ. ჰიუისმანსის გამოსვლას ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობაზე 8—9 იანვარს; ჰიუისმანსი 2 თებერვალსაც გამოვიდა ორატორდამში. მის წინააღმდეგ გაილაშქრა მემარცხენე ინტერნაციონალისტმა დ. ვაინკოპმა, რომელმაც განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც კ. ჰიუისმანსმა ხმა მისცა სამხედრო კრედიტებს, სოციალისტები მას საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივნად ვეღარ მიიჩნევენო. „ჩვენ სხვა ინტერნაციონალს შევქმნით“, — თქვა დ. ვაინკოპმა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია „Beilage zur „Berner Tagwacht“-ის 1916 წლის 22 იანვრის მე-18 ნომრის ამონაჭერი ვ. ი. ლენინის ჩანაწერებითურთ; ორატორდამში კ. ჰიუისმანსის გამოსვლის შესახებ ლენინმა გაეცნო ამონაწერი გაზეთ „L'Humanité“-ს („კაცობრიობა“) 1916 წლის 9 თებერვლის ნომრიდან. ორივე დოკუმენტი გამოქვეყნდა 1931 წელს ლენინის XVII კრებულში.

„*Berner Tagwacht*“ („ბერნელი გუშაგი“) — გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდის 1893 წლიდან ბერნში. 1909 — 1918 წლებში გაზეთის რედაქტორი იყო რ. გრიმი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გაზეთში იბეჭდებოდა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და სხვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა სტატიები. 1917 წლიდან გაზეთმა აშკარად დაუჭირა მხარი სოციალ-შოვინისტებს. ამჟამად გაზეთის პოზიცია საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებში ემთხვევა ბურჟუაზიული გაზეთების პოზიციას. — **896**.

450 ლენინს მხედველობაში აქვს გაზეთ „Avanti!“-ს 1916 წლის 12 თებერვლის № 43-ის სარედაქციო სტატია „Intorno all'organizzazione socialista internazionale“ („სოციალისტური ინტერნაციონალის გარ-

შემო"). სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ვ. ი. ლენინის ამონაწერები ამ სტატიიდან და მისი შენიშვნები.

„Avanti!" („წინ!") — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში რომში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში გაზეთს არათანამიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია ეკავა, კავშირი არ გაუწყვეტია რეფორმისტებთან. 1926 წელს გაზეთი დახურა მუსოლინის ფაშისტურმა მთავრობამ, მაგრამ კვლავ გამოდიოდა (არარეგულარულად) საზღვარგარეთ; 1943 წლიდან ისევ იტალიაში გამოდის. — **396.**

451. როგორც ჩანს, ლაპარაკია პარიზიდან მიღებულ იმ კორესპონდენციებზე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის 1915 წლის 25—29 დეკემბრის ყრილობის შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ „The Labour Leader"-ის 1915 წლის 30 დეკემბრის № 52-ში და 1916 წლის 13 და 27 იანვრის №№ 2-სა და 4-ში.

„The Labour Leader" („მუშათა ბელადი") — ყოველკვირეული გაზეთი. გამოდის 1891 წლიდან დღემდე. 1893 წლიდან — ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანოა. 1922 წლიდან გაზეთი გამოდიოდა „New Leader"-ის („ახალი ბელადი") სახელწოდებით; 1946 წლიდან ეწოდება „Socialist Leader" („სოციალისტური ბელადი"). — **397.**

462 ინგლისის მუშათა პარტია (Labour Party) შეიქმნა 1900 წელს როგორც გაერთიანება პროფკავშირების — ტრედუნიონების, სოციალისტური ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა პარლამენტში მუშათა წარმომადგენლების გაყვანის მიზნით („მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი"). 1906 წელს კომიტეტს დაერქვა მუშათა (ლეიბორისტული) პარტია. ტრედუნიონთა წევრები ავტომატურად არიან პარტიის წევრები, თუკი გადაიხდიან პარტიულ შესატანს. ლეიბორისტულ პარტიას სათაოში უდგას აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ტრედუნიონთა გენერალურ საბჭოსა და კოოპერაციული პარტიის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად შეადგენს ეგრეთ წოდებულ შრომის ეროვნულ საბჭოს. ლეიბორისტულ პარტიასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული კოოპერაციული პარტია, რომელიც კოლექტიური წევრის უფლებით შედის ლეიბორისტულ პარტიაში, და დამოუკიდებელი მუშათა პარტია.

ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავდაპირველად, შემადგენლობის მიხედვით, შეიქმნა როგორც მუშათა პარტია (შემდეგ ამ პარტიაში მნიშვნელოვანი რაოდენობით შევიდნენ წვრილბურჟუაზიული ელემენტები), თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით ოპორტუნისტული ორგანიზაციაა. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავათ.

ლეიბორისტებს არაერთხელ (1924, 1929, 1945 და 1950 წლებში) შეუქმნიათ მთავრობები, რომლებიც ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას ახორციელებდნენ. ინგლისელ მშრომელთა უკმაყოფილებამ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის რეაქციული პოლიტიკის გამო გამოიწვია ის, რომ პარტიაში შეიქმნა მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც მიმართულია მისი ხელმძღვანელობის ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ. — **890**.

453 *„Forward“* („წინ“) — გაზეთი; გამოდის გლაზგოში (ინგლისი) 1906 წლიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში მხარს უჭერდა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის პოლიტიკას. ხელისუფლებმა აკრძალეს მისი გამოცემა იმის გამო, რომ გაზეთმა დაბეჭდა ანგარიში ეგრეთ წოდებული „საშობაო ამბებისა“, რომლებიც 1915 წელს მოხდა გლაზგოში (კლაიდის რაიონის ცენტრი და ფაბრიკა-ქარხნების მამასახლისთა მოძრაობის ცენტრი), როცა იქ ჩასულ ლოიდ ჯორჯს — იმ დროს სამხედრო მომარაგების მინისტრს — სტვენით შეხვდნენ მუშები, რომლებმაც შემდეგ ქალაქის ცენტრში დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს ომისა და მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით.

გაზეთის აკრძალვის პასუხად მუშები გაფიცვით იმუქრებოდნენ და აკრძალვა გააუქმეს. — **897**.

454 ***Merthyr*** (მერტირი) — ოლქი სამხრეთ უელსში. ლენინს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს დამატებითი არჩევნები ამ ოლქში, როცა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ დარაზმა ლიბერალთა და კონსერვატორთა ხმები. გაზეთ „The Labour Leader“-ის 1915 წლის 18 ნოემბრის № 46-ში დაიბეჭდა კორესპონდენცია წინასაარჩევნო ბრძოლის შესახებ მერტირში. — **897**.

455 როგორც ჩანს, მხედველობაშია გაზეთი „The Socialist“ („სოციალისტი“) — ინგლისის სოციალისტური მუშათა პარტიის ოფიციალური ორგანო. გამოდიოდა გლაზგოში 1904, 1909—1910, 1916, 1918—1923 წლებში. —**897**.

456 „ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო“ — მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე და შეცვალა გაზეთი „გოლოსი“. — **897**.

457 როგორც ჩანს, იგულისხმება კორესპონდენცია — მიმართვა „Die Internationalen in Oesterreich an die Internationalen aller Länder“ („ავსტრიელი ინტერნაციონალისტები ყველა ქვეყნის ინტერნაციონალისტებს“), რომელიც დაიბეჭდა „Beilage zur „Berner Tagwacht“-ის 1915 წლის 3 და 4 დეკემბრის №№ 283-სა და 284-ში. — **899**.

458 ლენინს მხედველობაში აქვს ი. დებსის სტატიები „When I shall Fight“ („როცა ვიბრძოლებ“), „„Preparedness“ I Favor“ („ასეთი „მომზა-

დება“ მომწონს“), „The Only War I will Fight in“ („ერთადერთი ომი, რომელშიც მინდა ვიბრძოლო“). „Never be a soldier“ („არასოდეს არ ვიქნები ჯარისკაცი“), რომლებიც გაზეთ „Appeal to Reason“-ში („მოწოდება გონიერებისათვის“) დაიბეჭდა 1915 წლის 25 აგვისტოს, 11 სექტემბერს, 11 და 25 დეკემბერს (№№ 1032, 1045 და 1047).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია „Appeal to Reason“-ის ამონაჭრები ვ. ი. ლენინის ჩანაწერებითურთ. — **899**.

459 „ნაშე დელო“ — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ორგანო; გამოსვლა დაიწყო 1915 წლის იანვარში ჟურნალ „ნაშა ზარიას“ ნაცვლად, რომელიც 1914 წლის ოქტომბერში დაიხურა. „ნაშე დელო“ სოციალ-შოვინისტთა მთავარი ორგანო იყო რუსეთში. გაზეთში თანამშრომლობდნენ ე. მაევსკი, პ. პ. მასლოვი, ა. ნ. პოტრესოვი, ნ. ჩერევანინი და სხვ. სულ გამოვიდა 6 ნომერი. — **898**.

460 „ნაშ გოლოს“—ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა სამარაში 1915—1916 წლებში; ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია.—**898**.

461 „რაბოჩეე უტრო“ — მენშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1915 წლის ოქტომბერ—დეკემბერში. „რაბოჩეე უტრო“ იყო მემკვიდრე გაზეთისა „უტრო“, რომელიც 1915 წლის აგვისტოში გამოდიოდა. გაზეთი სოციალ-შოვინიზმსა და ოპორტუნიზმს ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიით ნიღბავდა. — **898**.

462 „ხვოსტოვური მუშათა პარტია“ — 1915—1916 წლებში შინაგან საქმეთა მინისტრისა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსის ა. ნ. ხვოსტოვის სახელის მიხედვით. ხელნაწერში ვ. ი. ლენინმა სიტყვას „ხვოსტოვური“ ზემოდან წააწერა „სტოლიპინური“. — **899**.

463 ***Europa und Revolution*** („ევროპა და რევოლუცია“) — ასეთი სახელწოდებით გაზეთ „Volksrecht“-ის 1916 წლის 11 თებერვლის № 35-ში დაიბეჭდა სარედაქციო შენიშვნა ლუცერნის შოვინისტურ გაზეთ „Vaterland“-ში („სამშობლო“) დაბეჭდილი სტატიის გამო, რომელსაც ხელს აწერს I. S., სტატიის ავტორი წერდა, რომ ომის გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს რევოლუცია, რაც უფრო საშიშია „ტახტისა და საკურთხევლისათვის“, ვიდრე ომი. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია ლენინის ამონაწერი „Volksrecht“-იდან და მისი შენიშვნები. — **899**.

464 1915 წლის 21 დეკემბერს გერმანიის რაიხსტაგის ოციოსოციალ-დემოკრატი დეპუტატის მიერ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმის მიცემას ლენინი აქ ადარებს 1915 წლის 20 მარტის კენჭისყრას, როცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ორმა (კ. ლიბ-

კნეხტმა და ო. რიულემ). ოცი დეპუტატის მიერ ხმის მიცემა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ მოწმობდა მასების მზარდ ზეგავლენას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასა და მის ფრაქციაზე რაიხსტაგში. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა (Vorstand-ისა) და რაიხსტაგის ფრაქციის უმრავლესობამ დაგმო 21 დეკემბრის ხმის მიცემა როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევა.

ოცთა არათანამიმდევრულობაზე რომ ლაპარაკობს, ლენინს მხედველობაში აქვს ფ. გაიერის მიერ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის იმ წევრთა სახელით გაკეთებული განცხადება, რომლებმაც 21 დეკემბერს ხმა მისცეს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. განცხადებაში გაიერი არაფერს ამბობდა ომის იმპერიალისტურ ხასიათზე, არ ახსენებდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, ისე გამოდიოდა, რომ გერმანიის დამპყრობლურ გეგმებს თითქოს მხოლოდ უკანასკნელ ხანს ეჩინოს თავი. — **898**.

465 ***„Lichtstrahlen"*** („სინათლის სხივები") — ყოველთვიური ჟურნალი, გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის („გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები") ორგანო, რომელიც ი. ბორჰარდტის რედაქციით გამოდიოდა. ჟურნალს არარეგულარულად უშვებდნენ 1913-დან 1921 წლამდე ბერლინში. ჟურნალში მონაწილეობდნენ ა. პანეკუკი, ა. ბალაბანოვა და სხვ. — **899**.

466 გაზეთ „Vorwärts"-ის 1916 წლის 12 იანვრის № 11-ში დაბეჭდილი იყო ო. რიულეს განცხადება „Zur Parteispaltung" („პარტიის გათიშვის გამო"), რომელშიც იგი ლაპარაკობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის გარდაუვალობაზე. „Vorwärts"-ის რედაქციამ რიულეს განცხადებას დაურთო სარედაქციო სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ, თუმცა რიულეს სტატია სიტყვასიტყვით იბეჭდება, მაგრამ, რედაქციის აზრით, მასში აღძრული სადავო საკითხები არა მარტო ნაადრევია, არამედ სრულიად უსაგნოა. — **400**.

467 იგულისხმება ბრაუნშვაიგის ახალგაზრდა მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია, შემდეგ კი გაფიცვა 1916 წლის მაისის დამდეგს. გაფიცვა მოხდა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთავრობამ ახალგაზრდა მუშათა ხელფასის ნაწილი გადარიცხა სამხედრო სესხისათვის. ბრაუნშვაიგის გაფიცვასა და დემონსტრაციაში მონაწილეობდა 1500-ზე მეტი კაცი. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ 1916 წლის 5 მაისს მთავრობა იძულებული გახდა გაეუქმებინა ვარკარგულება ფულის გადარიცხვის შესახებ. — **401**.

468 ლაპარაკია ე. ვალიანის მოწინავე სტატიაზე „Formalistes doctrinaires" („ფორმალისტი დოქტრინიორები"), რომელიც გაზეთ L'Humanité-ს 1914 წლის 9 ოქტომბრის № 3827-ში დაიბეჭდა. სტატიაში ვა-

ლიანი, რომელიც ომის დაწყებისთანავე სოციალ-შოვინიზმის პოზიციაზე დადგა; იძულებული იყო ელიარებინა, რომ ფრანგი სოციალისტებისაგან იღებდა ბევრ წერილს, რომლებშიც გამოთქმული იყო პროტესტი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელთა პოლიტიკის წინააღმდეგ. ლენინის ამონაწერები ვალიანის სტატიიდან იხ. ლენინის XIV კრებულში, გვ. 97, რუს. — **400**.

469 ლენინს მხედველობაში აქვს მოწოდება „პროლეტარიატის ქალებისადმი!“, რომელსაც საფრანგეთის სოციალისტ ქალთა მოქმედების კომიტეტის სახელით ხელს აწერს ლუიზა სომონო და რომელიც მოუწოდებს შშვიდობისათვის, შოვინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია მოწოდების ეგზემპლარი ვ. ი. ლენინის ჩანაწერებითურთ. — **401**.

470 **„The New Statesman“** („ახალი სახელმწიფო მოღვაწე“) — ფაბიანელთა საზოგადოების ყოველკვირეული ჟურნალი; დაარსდა 1913 წელს ლონდონში. 1931 წლიდან ჟურნალი გამოდის „The New Statesman and Nation“-ის („ახალი სახელმწიფო მოღვაწე და ერი“) სახელწოდებით. ამჟამად გამოხატავს ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთის შეხედულებებს. — **400**.

471 როგორც ჩანს, ლენინს აქ მხედველობაში აქვს ის, რომ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა ციმერვალდის მანიფესტი. 1915 წლის დამლევს ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა გამოეკითხა ადგილობრივი ორგანიზაციები ციმერვალდთან შეერთების თაობაზე; პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა შეერთებას. ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის „ბიულეტენის“ 1916 წლის 19 თებერვლის № 3-ში დაიბეჭდა ამ გამოკითხვის ანგარიში. — **400**.

472 იგულისხმება ჰ. ჰაინდმანისა და მისი მომხრეების წასვლა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ყოველწლიური კონფერენციიდან, რომელიც 1916 წლის 23 და 24 აპრილს გაიმართა სოლფორდში. კონფერენციაზე ბრიტანეთის სოციალისტური პარტია საბოლოოდ გაეთიშა სოციალ-შოვინისტებს. კონფერენციამ მიიღო საერთო-დემოკრატიული ხასიათის მთელი რიგი ომისსაწინააღმდეგო რეზოლუციები და რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა პარტიის მთელი გავლენა გამოეყენებინათ იმისათვის, რომ ბოლო მოეღებდა ომს. ხმების დიდი უმრავლესობით კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია იმის შესახებ, რომ სოციალისტები ცნობენ მხოლოდ კლასობრივ ომს. ჰაინდმანმა, რომელმაც დატოვა სოლფორდის კონფერენცია, 1916 წლის ივნისის დამდეგს შექმნა „ეროვნუ-

ლი სოციალისტური პარტია", რომელსაც 1918 წლიდან სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია ეწოდა. — **401**.

473 ლენინს მხედველობაში აქვს კ. ტრევესის სიტყვა იტალიის დეპუტატთა პალატაში 1915 წლის 2 დეკემბერს. სიტყვის ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „Avanti!"-ს 1915 წლის 3 დეკემბრის № 335-ში. — **400**.

474 „ტ ე ს ნ ი ა კ ე ბ ი" — რევოლუციური მიმდინარეობა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც 1903 წელს დამოუკიდებელ ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გაფორმდა. „ტესნიაკთა" დამაარსებელი და ბელადი იყო დ. ბლაგოევი, შემდეგ კი „ტესნიაკებს" სათავეში ედგნენ ბლაგოევის მოწაფეები — გ. დიმიტროვი, ვ. კოლაროვი და სხვები. 1914—1918 წლებში „ტესნიაკები" გამოდიოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. 1919 წელს შეუდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალში და შექმნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტია. — **400**.

475 „*Tribune*", „*De Tribune*" („ტრიბუნა") — გაზეთი, რომელიც 1907 წელს დააარსა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთამ. 1909 წლიდან, როცა პარტიიდან გარიცხეს მემარცხენენი, რომლებმაც ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია შექმნეს, იგი ამ პარტიის ორგანო გახდა; 1918 წლიდან ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ორგანოა; ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1937 წლამდე. — **400**.

476 როგორც ჩანს, ლენინს მხედველობაში აქვს ე. პერნერსტორფერის წერილები „Russland und Wir" („რუსეთი და ჩვენ") და „Nochmals Russland und Wir" („ერთხელ კიდევ რუსეთი და ჩვენ"), რომლებიც დაბეჭდილია ჟურნალ „Die Neue Zeit"-ის 1915 წლის 24 დეკემბრისა და 1916 წლის 11 თებერვლის №№ 13-სა და 20-ში. — **402**.

477 იგულისხმება სტატია „Die Stellung der Sozialdemokraten Australiens zum Krieg" („ავსტრალიის სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულება ომისადმი"), რომელიც J. K.-ს ხელმოწერით დაიბეჭდა „Beilage zur „Berner Tagwacht"-ის 1916 წლის 8 და 10 თებერვლის №№ 32-სა და 34-ში. — **402**.

478 „*I. K.*" „*Internationale Korrespondenz*" („საერთაშორისო კორესპონდენცია") — ყოველკვირეული გერმანული სოციალ-შოვინისტური ჟურნალი საერთაშორისო პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის საკითხებზე; გამოდიოდა ბერლინში 1914 წლის სექტემბრის დამლევიდან 1918 წლის 1 ოქტომბრამდე. როგორც ჩანს, ლაპარაკია სტატიაზე „Hughes und die australischen Gewerksschaften" („ჰიუგსი და ავსტრალიის პროფესიული კავშირები"), რომელიც „Internationale Korrespondenz"-ის 1916 წლის 23 მაისის № 15-ში დაი-

ბეჭდა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიულ არქივში ინახება ჟურნალის ეს ნომერი ჰიუგსის სტატიის ლენინისეული ჩანანიშნებით. — **402**.

479 *„Appeal to Reason“* („მოწოდება გონიერებისათვის“) — ამერიკელ სოციალისტთა გაზეთი; დაარსდა 1895 წელს კანზასის შტატის ქალაქ ჟირარდში (ამერიკის შეერთებული შტატები). გაზეთი, რომელიც ოფიციალურად არ ყოფილა დაკავშირებული ამერიკის სოციალისტურ პარტიასთან, ეწეოდა სოციალისტური იდეების პროპაგანდას და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მუშებში. გაზეთში თანამშრომლობდა ამერიკელი სოციალისტი ი. დებსი. — **402**.

480 „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ შეჭმნა ლენინმა და სცემდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია გ. ლ. პიატაკოვსა და ე. ბ. ბოშთან ერთად, რომლებიც აფინანსებდნენ მის გამოცემას. ჟურნალის რედაქციაში შედიოდა აკრეთვე ნ. ი. ბუხარინი. გამოვიდა მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი. ლენინის სტატიის „ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმის“ გარდა, იქ დაიბეჭდა მისი კიდევ ორი სტატია: „II ინტერნაციონალის კრახი“ და „იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში“.

ჟურნალის გამოცემის გეგმა ლენინმა შეიმუშავა 1915 წლის გაზაფხულზე. მისი ხელმძღვანელობით გაიმართა ჟურნალის რედაქციის საორგანიზაციო კრება. ლენინს იმედი ჰქონდა, რომ „კომუნისტს“ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა საერთაშორისო ორგანოდ გადაქცევდა. მაგრამ მალე გამოვლინდა „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციის სერიოზული უთანხმოებანი ბუხარინთან, პიატაკოვსა და ბოშთან. ეს უთანხმოებანი კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ჟურნალის № 1—2 გამოვიდა. ბუხარინ—პიატაკოვისა და ბოშის ჯგუფმა მცდარი პოზიცია დაიკავა პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის მთელ რიგ ისეთ პრინციპულ საკითხებში, როგორიც იყო ერთა თვითგამორკვევის უფლება, დემოკრატიულ მოთხოვნათა და პროგრამა-მინიმუმის როლი საერთოდ და სხვ., და ცდილობდა გამოეყენებინა ჟურნალი თავისი ფრაქციული მიზნებისათვის. ჟურნალის რედაქციის შიგნით ლენინი იბრძოდა ბუხარინ—პიატაკოვისა და ბოშის ჯგუფის წინააღმდეგ, ამხილებდა მათს ანტიბოლშევიკურ შეხედულებებსა და ფრაქციულ მოქმედებას, მკაცრად აკრიტიკებდა გ. ე. ზინოვიევისა და ა. გ. შლიაპნიკოვის შემარიგებლურ პოზიციას ამ ჯგუფის მიმართ.

ამ ჯგუფის ანტიპარტიული მოქმედების გამო გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციამ ლენინის წინადადებით განაცხადა, რომ შეუძლებლად მიაჩნია ჟურნალის შემდგომი გამოცემა. ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ მოისმინა ცნობა „კომუნისტის“ რედაქციაში არსებულ უთანხმოებათა შესახებ და სრული სოლიდარობა გამოუცხადა ცენტრალური ორგანოს „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციას და

სურვილი გამოთქვა, რომ „ცენტრალური კომიტეტის ყველა გამოცემას რედაქციას უკეთებდნენ ზუსტად გამოხატული მიმართულებით, იმ გეზის შესაბამისად, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი დაადგა ომის დაწყებისთანავე". — **406**.

481 დოკუმენტის მომდევნო ტექსტი არის „ჟურნალ „კომუნისტის" გამოცემის შეწყვეტის შესახებ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტის" მინაწერი, რომელიც მიმართულია გ. ე. ზინოვიევისადმი. — **406**.

482 „სბორნიკ „სოციალ-დემოკრატას"", რომელიც ვ. ი. ლენინმა დაარსა, სცემდა გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" რედაქცია. სულ გამოვიდა კრებულის ორი ნომერი: № 1—1916 წლის ოქტომბერში და № 2—დეკემბერში. მოამზადეს მასალა № 3 კრებულისთვის, რომელშიც უნდა დაბეჭდილიყო ვ. ი. ლენინის სტატია „მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის" შესახებ", მაგრამ უსახსროობის გამო ეს კრებული ვერ გამოიცა. — **406**.

483 იაპონელებს უწოდებდნენ გ. პიატაკოვსა და ე. ბოშს იმის გამო, რომ შვეიცარიის ემიგრაციაში რუსეთიდან იაპონიის გავლით წავიდნენ. — **407**.

484 მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია გაიმართა 1916 წლის 24—30 აპრილს კინტალში (შვეიცარია).

კონფერენციას ესწრებოდა 10 ქვეყნის 43 დელეგატი. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1) ბრძოლა ომის დამთავრებისათვის, 2) პროლეტარიატის დამოკიდებულება ზაფის საკითხებისადმი, 3) აგიტაცია და პროპაგანდა, 4) საპარლამენტო საქმიანობა, 5) მასობრივი ბრძოლა, 6) საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევა.

კონფერენციის წინ ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების მუშაობის შედეგად მეპარტიენე ფრთა აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ციმერვალდში. ციმერვალდის მემარცხენე ფრთამ ზაფის საკითხზე შეიმუშავა და კონფერენციაზე შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც შევიდა ლენინის ძირითადი დებულებანი. მიუხედავად იმისა, რომ კინტალის კონფერენციას არ მიუღია ბოლშევიკთა ლოზუნგები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ, ომში „თაეიანთი" იმპერიალისტური მთავრობების დამარცხების, III ინტერნაციონალის შექმნის შესახებ, მან მაინც ხელი შეუწყო ინტერნაციონალისტური ელემენტების გამოყოფასა და შეკავშირებას. ლენინმა კინტალის კონფერენციას წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა.

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „პროექტი დადგენილებისა მეორე სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ", „1916 წლის 24

აპრილის კონფერენციისათვის. დელეგაციის წინადადება", „რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას" — იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 142—143, 144—145, 207—221. — **408**.

485 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია (I. S. K.) ბერნში — ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ციმერვალდის კონფერენციაზე შეიქმნა 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს. I. S. K.-ში შევიდნენ ცენტრისტები რ. გრიმი, ო. მორგარი, შ. ნენი და თარჯიმად — ა. ბალაბანოვა. კონფერენციის ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის „ბიულეტენის" 1915 წლის 21 სექტემბრის № 1-ში დაიბეჭდა, ნათქვამი იყო: „ამ სამდივნომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცვალოს ამჟამად არსებული საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, არამედ უნდა დაიმალოს, როგორც კი ეს უკანასკნელი შეძლებს თავისი დანიშნულების მთლიანად შესრულებას". სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულ ანგარიშის ეგზემპლარში ლენინს ხაზი გაუსვამს ამ ადგილისათვის და გვერდით მიუწერია: „Kein Beschluss darüber" („ამის შესახებ დადგენილება არ ყოფილა"), ე. ი. ეს გადაწყვეტილება მიღებული ყოფილა არა ციმერვალდის გაერთიანების მიერ, არამედ კონფერენციის შემდეგ. — **408**.

486 „სამთა შეთანხმების" ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენცია გაიმართა 1915 წლის 14 თებერვალს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და რუსეთის სოციალ-შოვინისტებისა და პაციფისტური ჯგუფების წარმომადგენლები: დამოუკიდებელი მუშათა პარტიისა, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიისა, მუშათა პარტიისა, ფაბიანელთა საზოგადოებისა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიისა, შრომის გენერალური კონფედერაციისა, ბელგიის სოციალისტური პარტიისა, ესერებისა და მენშევიკებისა. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ერთა უფლებანი; 2) კოლონიები; 3) მომავალი ზავის გარანტიები.

ბოლშევიკები არ მიუწვევიათ კონფერენციაზე. მაგრამ ვ. ი. ლენინის დავალებით მ. მ. ლიტვინოვი გამოცხადდა კონფერენციაზე რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამოსაქვეყნებლად. დეკლარაციას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი. დეკლარაცია მოითხოვდა სოციალისტთა გამოსვლას ბურჟუაზიული მთავრობებიდან, ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას იმპერიალისტებთან, უარის თქმას მათთან თანამშრომლობაზე, გადამწყვეტ ბრძოლას იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ და სამხედრო კრედიტებისა-

თვის ხმის მიცემის დაგმობას. დეკლარაციის გამოქვეყნების დროს ლატვიოვს სიტყვა გააწყვეტინეს და ჩამოართვეს. მან დეკლარაციის ტექსტი პრეზიდიუმს გადასცა და დატოვა კონფერენცია. ლონდონის კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები „ლონდონის კონფერენციის შესახებ“ და „ლონდონის კონფერენციის გამო“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 147—150, 203—206). — **410**.

487 იგულისხმება გერმანიისა და ავსტრიის სოციალისტთა კონფერენცია, რომელიც ვენაში გაიმართა 1915 წლის აპრილში. ეს კონფერენცია თითქოს „სამთა შეთანხმების“ ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციის პასუხი იყო. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია იწონებდა იმპერიალისტურ ომში „სამშობლოს დაცვის“ სოციალ-შოვინისტურ ლოზუნგს. — **410**.

488 პოსიბილისტები — წვრილბურჟუაზიული, რეფორმისტული მიმდინარეობა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში. პოსიბილისტები მოითხოვდნენ მუშათა ბრძოლის შემოფარგვლას „შესაძლებლის“ (possible) ჩარჩოებით და აქედან მოდის მათი სახელწოდებაც. — **411**.

489 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ცირკულარი — ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მიმართვა „ყველა მომხრე პარტიისა და ჯგუფისადმი“ ერთხმად მიიღო გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბერნის 1916 წლის 5—9 თებერვლის თათბირმა. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, ამ თათბირზე შეიტანა განცხადება, რომ მიმართვა წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებით, მაგრამ მის ყველა დებულებას არ თვლის დამაკმაყოფილებლად. მიმართვა გამოქვეყნდა ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის „ბიულეტენის“ 1916 წლის 29 თებერვლის № 3-ში და გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1916 წლის 25 მარტის № 52-ში. — **416**.

490 1916 წ. 27 და 28 აპრილს კინტალის კონფერენციაზე ცხარე პოლემიკა გაჩაღდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევისადმი დამოკიდებულების საკითხზე. კონფერენციის კაუცკელთა ნაწილმა წამოაყენა რეზოლუციის რამდენიმე პროექტი, რომელთა საერთო დებულება ის იყო, რომ მოითხოვდნენ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის აუცილებლობის ცნობას. ციმერვალდის მემარცხენე ფრთის მომხრეებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ. მემარცხენეთა ზემოქმედებით მემარჯვენე დელეგატები იძულებული გახდნენ მხარი დაეჭირათ კომპრომისული რეზოლუციის პროექტისათვის, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. რეზოლუცია მკაცრად აკრიტიკებდა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, მოითხოვდა საერთაშორისო

სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის გადაყენებას და სოციალისტი მინისტრების გარიცხვას პარტიიდან. მაგრამ რეზოლუციაში არ იყო შეტანილი დებულება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტისა და ახალი ინტერნაციონალის შექმნის შესახებ, პირიქით, ციმერვალდის გაერთიანებაში შემავალ ეროვნულ სექციებს უფლება ეძლეოდათ მოეთხოვათ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევა. — **421**.

491 იგულისხმება იტალიელ და შვეიცარიელ სოციალისტთა გაერთიანებული კონფერენცია, რომელიც 1914 წლის 27 სექტემბერს გაიმართა ლუგანოში (შვეიცარია). ეს იყო ომის დროს სოციალისტთა პირველი კონფერენცია, რომელმაც ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის აღდგენა სცადა. — **421**.

492 თავის გამოსვლაში ლ. მარტოვი წინადადებას იძლეოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ რეზოლუციათა პროექტები გადაეცათ კომისიისთვის კომპრომისული რეზოლუციის შესამუშავებლად. — **422**.

493 პოლონელ სოციალ-დემოკრატთა დეკლარაციაში ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე (1915) გამოთქმული იყო პროტესტი მეფის თვითმპყრობელობის, გერმანიისა და ავსტრიის მთავრობათა მჩაგვრელური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც „საშუალებას არ აძლევენ პოლონელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი და პოლონეთის ოლქები საწინდრად მიაჩნიათ კომპენსაციებით მომავალ თამაშში“... „აქ. — ნათქვამია „დეკლარაციაში“, — განსაკუთრებით უხეშად ვლინდება კაპიტალისტურ მთავრობათა პოლიტიკის არსი, რომლებიც სასაკლაოზე გზავნიან ხალხთა მასებს და ამასთანავე თვითნებურად განსაზღვრავენ ხალხთა მთელი თაობების ბედს“. პოლონეთის სოციალ-დემოკრატია გამოთქვამდა რწმენას, რომ მხოლოდ რევოლუციური საერთაშორისო პროლეტარიატის მონაწილეობა სოციალიზმისათვის მომავალ ბრძოლაში, „ბრძოლაში, რომელიც დაამსხვრევს ეროვნული ჩაგვრის ბორკილს და მოსპობს უცხოელთა ბატონობის ყოველგვარ ფორმებს, შესაძლებლობას მისცემს პოლონელ ხალხსაც ყოველმხრივ განვითარდეს როგორც ერთა კავშირის თანასწორუფლებიანი წევრი“.

ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინს ცალკე ფურცელზე დაუწერია და, როგორც ჩანს, ვარიანტი უნდა იყოს შესაბამისი ადგილისა სტატიაში „შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 22, გვ. 443—444). — **422**.

494 გეგმა სტატიისა „სახელმწიფოს როლის საკითხისათვის“ ვ. ი. ლენინს შეუდგენია არა უადრეს 1916 წლის 18 ნოემბრისა (1 დეკემბრისა), როცა მუშაობდა სახელმწიფოსადმი

მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხის მასალებზე. ფურცელი, რომელზეც მოცემულია სტატიის გეგმა, ჩართულია რვეულში „მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ". ის, რომ ლენინი აპირებდა დაეწერა ნაწარმოები სახელმწიფოს შესახებ, ჩვენ ვიცით მისი წერილიდან „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი", რომელიც 1916 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. არჩევდა და აკრიტიკებდა რა ნ. ი. ბუხარინის სტატიას „იმპერიალისტური ყაჩაღური სახელმწიფო", ლენინი წერდა: „ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენ იმედი გვაქვს დაეუბნებოდეთ ცალკე სტატიაში" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 212). სტატიის „სახელმწიფოს როლის საკითხისათვის" გეგმისა და ბუხარინის სტატიების „იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის" და „იმპერიალისტური ყაჩაღური სახელმწიფოს" შედარებიდან ჩანს, რომ სწორედ ეს არის გეგმა სტატიისა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოზე ბუხარინის ანტიმარქსისტულ, ნახევრად ანარქისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ.

1917 წლის 4 (17) თებერვლის წერილში ა. მ. კოლონტაისადმი ვ. ი. ლენინი წერდა: „მე ვიმზადებ (მასალა თითქმის მოვამზადე) სტატიას სახელმწიფოსადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხზე" (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 298). სტატია გათვალისწინებული იყო „სოციალ-დემოკრატის" კრებულის" მე-4 ნომრისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, არ დაწერილა. მასალებმა, რომლებიც ლენინმა სტატიისათვის შეაგროვა, შეადგინა რვეული „მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ" (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 33, გვ. 123—307, რუს.) და ლენინმა ისინი გამოიყენა, როცა მუშაობდა წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 465—615). — **423.**

495 იხ. კ. მარქსი, „კრიტიკული შენიშვნები „პრუსაკის" სტატიისათვის „პრუსიის მეფე და სოციალური რეფორმა" " (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 1, გვ. 439, რუს.). ლენინს სტატიის ციტატები მოჰყავს წიგნიდან: „Aus dem literarischen Nachlaß von K. Marx, F. Engels und F. Lassalle". Hrsg. von F. Mehring. Bd. 2. Gesammelte Schriften von K. Marx und F. Engels. Von juli 1844 bis November 1847. Stuttgart, 1902 („კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ფ. ლასალის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან", ფ. მერინგის გამოც., ტ. 2. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწარმოებები. 1944 წლის იელისიდან 1847 წლის ნოემბრამდე. შტუტგარტი). — **424.**

496 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 18, გვ. 302—305, რუს. — **424.**

497 იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ინდიფერენტიზმი" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 18, გვ. 296—301, რუს.). — **424.**

498 შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (ფრანგულ და იტალიურ კანტონებში პარტიას უწოდებენ შვეიცარიის სოციალისტურ პარტიას) შეიქმნა XIX საუკუნის 70-იან წლებში და შედიოდა I ინტერნაციონალში. მეორედ პარტია დაარსდა 1888 წელს. პარტიაში ძლიერი გავლენით სარგებლობდნენ ოპორტუნისტები, რომლებმაც მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში სოციალ-შოვინისტური პოზიცია დაიკავეს. 1916 წლის შემოდგომაზე პარტიას გამოეყვნენ მემარჯვენეები, რომლებმაც თავიანთი ორგანიზაცია შექმნეს. პარტიის უმრავლესობამ რ. გრიმის მეთაურობით ცენტრისტული, სოციალ-პაციფისტური პოზიცია დაიკავა. პარტიის მემარცხენე ფრთა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგა. რუსეთში მომხდარი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთა გაძლიერდა. 1920 წლის დეკემბერში მემარცხენეები გამოვიდნენ პარტიიდან და 1921 წელს გაერთიანდნენ შვეიცარიის კომუნისტურ პარტიასთან (ახლა შვეიცარიის შრომის პარტია), რომელიც 1919 წელს შეიქმნა. — **426.**

498 ჯგუფი „სპარტაკი" — გერმანელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა რევოლუციური ორგანიზაცია; მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისას შექმნეს კ. ლიბკნეხტმა, რ. ლუქსემბურგმა, ფ. მერინგმა, კ. ცეტკინმა, ი. მარხლევსკიმ, ლ. იოგიხესმა (ტიშკამ), ვ. პიკმა. 1915 წლის აპრილში რ. ლუქსემბურგმა და ფ. მერინგმა დააარსეს ჟურნალი **„Die Internationale"**, რომლის გარშემო დაიკრიბა გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ძირითადი ჯგუფი. 1916 წლის 1 იანვარს ბერლინში გაიმართა სრულიად გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია, რომელზეც ჯგუფი ორგანიზაციულად გაფორმდა და გადაწყვიტა თავისი თავისათვის ეწოდებინა ჯგუფი „ინტერნაციონალი". ჯგუფის პლატფორმად კონფერენციამ მიიღო **„Leitsätze"** („ძირითადი დებულებანი"), რომლებიც რ. ლუქსემბურგმა შეიმუშავა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და კ. ცეტკინის მონაწილეობით. 1916 წლიდან ჯგუფი „ინტერნაციონალი", გარდა პოლიტიკური ფურცლებისა, რომლებსაც 1915 წელს უშვებდა, არეგულარულად სცემდა და ავრცელებდა „პოლიტიკურ წერილებს" „სპარტაკის" ხელმოწერით (რეგულარულად გამოდიოდა 1918 წლის ოქტომბრამდე), ამის გამო ჯგუფ „ინტერნაციონალს" ჯგუფ „სპარტაკსაც" უწოდებდნენ.

სპარტაკელები რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ მასებში, აწყობდნენ ომისსაწინააღმდეგო მასობრივ გამოსვლებს, ხელმძღვანელობდნენ გაფიცვებს, ამხილებდნენ მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს და სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტ ლიდერთა გამცემლობას. მაგრამ სპარტაკელებს სერიოზული შეცდომები ჰქონდათ თეორია-

ისა და პოლიტიკის საკითხებში: უარყოფდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის ეპოქაში, არ ეკავათ თანამიმდევრული პოზიცია იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგის საკითხში, ჯეროვნად ვერ აფასებდნენ პროლეტარული პარტიის როგორც მუშათა კლასის ავანგარდის როლს, ეშინოდათ საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირი ოპორტუნისტებთან.

1917 წლის აპრილში სპარტაკელები შევიდნენ გერმანიის ცენტრისტულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ოღონდ შეინარჩუნეს თავიანთი ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. 1918 წლის ნოემბერში გერმანიის რევოლუციის დროს სპარტაკელებმა გაწყვიტეს კავშირი „დამოუკიდებლებთან“, გაფორმდნენ „სპარტაკის კავშირად“ და 1918 წლის 14 დეკემბერს გამოაქვეყნეს თავიანთი პროგრამა. დამფუძნებელ ყრილობაზე (1918 წლის 30 დეკემბერი — 1919 წლის 1 იანვარი) სპარტაკელებმა შექმნეს გერმანიის კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინს არაერთხელ გაუკრიტიკებია გერმანელ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა შეცდომები, აღუნიშნავს მათი პოზიციის არათანამიმდევრულობა. ამავე დროს იგი მაღალ შეფასებას აძლევდა მათს რევოლუციურ საქმიანობას. „გერმანიის „სპარტაკის“ ჯგუფი სისტემატურ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა უძნელეს პირობებში, — წერდა იგი, — და მისმა მუშაობამ ნამდვილად იხსნა გერმანიის სოციალიზმისა და გერმანიის პროლეტარიატის ღირსება“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 393). — **426**.

500 ეს დოკუმენტი წარმოადგენს ვ. ი. ლენინის შენიშვნას გ. ე. ზინოვიევის სტატიაზე მაქსიმალიზმის შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იყო ჟურნალ „კომუნისტში“ ან გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოსაქვეყნებლად. სტატია არ დაბეჭდილა. — **427**.

501 „დ ე ლ ო“ — ორკვირეული მენშევიკური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1916 წლის აგვისტოდან 1917 წლის იანვრამდე ა. ნ. პოტრესოვის, პ. ბ. მასლოვისა და ლ. ი. აქსელროდის (ორთოდოქსის) რედაქციით. 1916 წელს გამოვიდა 10 ნომერი (აქედან სამი ორმაგი), 1917 წელს—ერთი ნომერი. ჟურნალს შეინისტური პოზიცია ეკავა. — **427**.

502 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რ. ჰილფერდინგის წიგნი „ფინანსური კაპიტალი. კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზა“. ი. სტეპანოვის ავტორიზებული თარგმანი გერმანულიდან, მოსკოვი, 1912 წელი. — **429**.

503 *Joseph Patouillet. „L'impérialiste américain", Dijon,* 1904 (ჟოზეფ პატუიე, „ამერიკის იმპერიალისტი“, დიჟონი, 1904). Junius — როზა ლუქსემბურგის ფსევდონიმი; მისი წიგნი „Die Krise der Sozialdemokratie“ („სოციალ-დემოკრატიის კრიზისი“) გამოვიდა 1916 წელს.

ამონაწერები ამ ნაწარმოებიდან, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია, იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 39, გვ. 197—202. — **482**.

504 ლენინი ლაპარაკობს გერმანელი შოვინისტის პაულ ლენჩის ორ სტატიაზე, რომლებიც ჟურნალ „Die Glocke"-ში („ზარი") დაიბეჭდა: „Die Selbstbestimmungsflause" („ლაყბობა თვითგამორკვევაზე")— 1915 წლის № 8-ში და „Socialismus und Annexionen in der Vergangenheit" („სოციალიზმი და ანექსიები წარსულში")—1916 წლის № 9-ში. ამონაწერები პ. ლენჩის სტატიებიდან, რომლებიც ვ. ი. ლენინს გაუკეთებია, იხ. ლენინის XXX კრებულში, გვ. 118—127, რუს. — **483**.

505 როგორც ჩანს, ვ. ი ლენინს მხედველობაში ჰქონდა კაუცკის შემდეგი ხუთი სტატია: 1) „Sozialdemokratische Anschauungen über den Krieg vor dem jetzigen Krieg" („სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი ომზე ახლანდელი ომის წინ") — „Die Neue Zeit" № 13, 1916 წლის 29 დეკემბერი; 2) „Neue Sozialdemokratischen Auffassungen vom Krieg" („სოციალ-დემოკრატების მიერ ომის ახალი გაგება") — „Die Neue Zeit" № 14, 1917 წლის 5 იანვარი; 3) „Friedensbedingungen" („ზავის პირობები") — „Leipziger Volkszeitung", 1916 წლის 15 დეკემბერი; 4) „Die Aufnahme des Friedensangebots" („საზავო წინადადების მიღება") — „Leipziger Volkszeitung" 1916 წლის 21 დეკემბერი; 5) „Der Heiland der Welt" („მსოფლიოს მხსნელი")— „Leipziger Volkszeitung" № 289, 1916 წლის 24 დეკემბერი. — **483**.

506 „*Neue Beiträge zur Biographie von Karl Marx und Friedrich Engels*" („ახალი მასალები კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ბიოგრაფიისათვის") ფ. მერინგმა დაბეჭდა „Die Neue Zeit"-ში, XXV, Jahrgang, II. Bd. 1907. — **483**.

507 ეს დოკუმენტი დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ „Berner Tagwacht"-ის 1917 წლის 23—27 იანვრის № 19—23-ში და ჟურნალ „Neues Leben"-ის ამავე წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნდა რ. გრიმის სტატია „უმრავლესობა და უმცირესობა ომის საკითხში", რომელიც იცავდა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობის ცენტრისტულ პოზიციებს. — **485**.

508 სტატია არ დაწერილა. გეგმაში ჩამოყალიბებული ბევრი დებულება ლენინმა განავითარა თავის „წერილებში შორიდან" (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 291—452). — **488**.

509 მონახაზი მეხუთე „წერილისა შორიდან" ეძღვნება პარტიული პროგრამის გადამუშავების საკითხს. ვ. ი. ლენინი ფიქრობდა, ამ თემისათვის მიეძღვნა ჯერ მეოთხე, შემდეგ — მეხუთე წერილი. მაგრამ როგორც მეოთხე, ისე დაუმთავრებელ მეხუთე წერილში დამუშავებულია სხვა

თემები. ამ გამოცემაში შესული გეგმის ხელნაწერი მოწმობს, რომ ლენინმა მოგვიანებით დაუმატა მას ახალი პუნქტები (2 bis, 5 bis და პუნქტები, რომლებიც აღნიშნულია ნიშნით +).

გეგმა საფუძვლად დაედო პარტიულ პროგრამაზე მუშაობას რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 553—560, 563—583).

მონახაზის კიდეებზე მინაწერი, ვ. ა. კარპინსკის თქმით, მიმართული იყო მისდამი. — **489.**

510 იხ. ფ. ენგელსი, „1891 წლის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის" (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 22, გვ. 237—240, რუს.). — **440.**

511 წიგნი, რომელიც მეფის ცენზურამ დაწვა, იყო ლენინის ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში". ეს ნაშრომი ლენინმა დაწერა 1907 წლის დამლევს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 265—540). 1908 წელს წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგში, მაგრამ მას პოლიციამ სტამბაშივე კონფისკაცია უყო და მოსპო. 1917 წლისთვის შემორჩა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი. წიგნი პირველად გამოვიდა 1917 წელს. — **440.**

512 *„Politiken"* („პოლიტიკა") — გაზეთი შვედი მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა, რომლებმაც 1917 წელს შექმნეს შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია; გამოდიოდა 1916 წლის 27 აპრილიდან სტოკჰოლმში. 1917 წლის ნოემბრიდან გამოდიოდა „Folkets Dagblad Politiken"-ის („ყოველდღიური სახალხო პოლიტიკური გაზეთის") სახელწოდებით. 1916—1918 წლებში გაზეთს რედაქტორობდა ტურე ნერმანი. გაზეთში თანამშრომლობდნენ გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მემარცხენე ციმერვალდისტები. 1921 წელს, როცა მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტია კომინტერნში შევიდა და კომუნისტური პარტია დაარქვა, გაზეთი ამ პარტიის ორგანო გახდა. კომუნისტური პარტიის გათიშვის შემდეგ 1929 წლის ოქტომბერში მისი მემარჯვენე ფრთის ხელში გადავიდა. გაზეთის გამოცემა შეწყდა 1945 წლის მაისში. — **441.**

513 *„Socialdemokraten"* („სოციალ-დემოკრატი") — ორგანო შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე, სოციალ-შოვინისტური ფრთისა, რომელსაც კ. ი. ბრანტინგი მეთაურობდა. — **442.**

514 „კ ო მ უ ნ ი კ ე" 31 მარტს (13 აპრილს) სტოკჰოლმში ჩასვლისთანავე ვ. ი. ლენინმა გადასცა შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „Politiken"-ის რედაქციას და მისი საშუალებით—პრესის წარმომადგენლებსა და საზოგადოებრიობას. გაზეთებმა „რეჩმა" და „დენმა",

რომლებმაც „კომუნიკეს“ ტექსტი პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს საშუალებით მიიღეს, დაბეჭდეს იგი 5 (18) აპრილს, მაგრამ ამოიღეს ბოლო ამბავი, სადაც დამოწმებული იყო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა აზრი გერმანიის გავლით მგზავრობის ორგანიზაციის შესახებ. — **442.**

515 „ნაჩალო“ — გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდიოდა 1916 წლის სექტემბრიდან 1917 წლის მარტამდე გაზეთ „ნაშე სლოვოს“ ნაცვლად. რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გამოდიოდა „ნოვაია ეპოხას“ სახელწოდებით. — **448.**

516 „*Demain*“ („ხვალ“) — ყოველდღიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური და პოლიტიკური ჟურნალი, რომელიც ფრანგმა ინტერნაციონალისტმა, მწერალმა და ჟურნალისტმა ა. გილბომ დააარსა; გამოდიოდა 1916 წლის ივნისიდან 1919 წლამდე (დროებით შეწყდა გამოსვლა 1917 წლის ივნისიდან აპრილამდე) ჯერ ჟენევაში, შემდეგ კი მოსკოვში. — **444.**

517 იგულისხმება ფ. ლორიო. — **444.**

518 თათბირი გაიმართა 31 მარტს (13 აპრილს) დღის პირველ ნახევარში სასტუმრო „რეგინ-ში“. ესწრებოდნენ რუს ემიგრანტთა ჯგუფი ვ. ი. ლენინის მეთაურობით და შვედი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები — კ. ლინდჰაგენი, ფ. სტრომი, კ. ნ. კარლსონი, კ. ჩილბუმი და ტურე ნერმანი. თათბირს თავმჯდომარეობდნენ სტოკჰოლმის ბურგომისტრი კ. ლინდჰაგენი და ვ. ი. ლენინი. კ. ლინდჰაგენმა წარმოთქვა სიტყვა თემაზე „ნათელი აღმოსავლეთიდან“. ვ. ი. ლენინმა გააკეთა ინფორმაცია მგზავრობის შესახებ; წაიკითხეს ოქმი გერმანიის გავლით მგზავრობის გარემოებათა შესახებ, რის შემდეგ შვედმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ მზად არიან სავსებით დაუჭირონ მხარი რუს რევოლუციონერთა ამ ნაბიჯს. შვედების სახელით თათბირზე გამოვიდა აგრეთვე კ. ნ. კარლსონი, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის რევოლუცია გადაიზრდებოდა საერთაშორისო რევოლუციად. დასასრულ, შვედები ენთუზიაზმით მიესალმნენ რუსებს და მგზავრობის ორგანიზატორს ფრ. პლატენს. — **444.**

519 „თავისუფლების სესხისადმი“ დამოკიდებულების საკითხს საბჭოს ბოლშევიკური ფრაქცია იხილავდა ორ დღეს — 1917 წლის 10 და 11 (23 და 24) აპრილს. რეზოლუციის პროექტი საბჭოს პლენარულ სხდომაზე შესატანად შემუშავებულ იქნა ვ. ი. ლენინის აქტიური მონაწილეობით.

ფრაქციის სხდომის ანგარიში დაიბეჭდა „პრავდის“ 13 (26) აპრილის № 31-ში. ფრაქციის სხდომაზე რეზოლუცია სესხის მხარდაჭერაზე უარისთქმის შესახებ ჯერ შეიტანა კომისიამ, რომელსაც ა. მ. კოლონტაი მეთაურობდა, შემდეგ კი ვ. ი. ლენინმა და გ. ე. ზინოვიევმა

შეიტანეს მეორე რეზოლუცია, რომელიც პირველს ავსებდა. რეზოლუციები გაათრთიანეს და 11 (24) აპრილს ერთხმად მიიღეს.

მოხსენებაში მიმდინარე მომენტის შესახებ აპრილის კონფერენციაზე ლენინმა თქვა, რომ ომის საკითხმა „პრაქტიკულად ჩვენ გაგვაერთიანა, როცა სესხის წინააღმდეგ გავილაშქრეთ“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 266).

საბჭოს პლენარულ სხდომაზე სესხს ხმა მისცა 2000-მა დეპუტატმა 123-ის წინააღმდეგ. — **445.**

520 რსდმპ(ბ) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია მოიწვიეს პეტერბურგის კომიტეტის 1917 წლის 6 (19) აპრილის გადაწყვეტილებით და გაიმართა 14—22 აპრილს (27 აპრილს—5 მაისს). კონფერენციას ესწრებოდა 57 დელეგატი, მათ შორის—ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, პოლონეთისა და ლიტვის ორგანიზაციებისაგან, სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე რაიონთაშორისელების 2 წარმომადგენელი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სადღეისო ამოცანები—მიმდინარე მომენტი; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსადმი დამოკიდებულება და ამ საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი; პარტიული ორგანიზაციის ამგებულება; დამოკიდებულება სხვა მიმართულებათა სოციალ-დემოკრატიისადმი; საქალაქო არჩევნები; „პრავდის“ დევნის შესახებ.

ვ. ი. ლენინი აირჩიეს კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ, მან გააკეთა ძირითადი პოლიტიკური მოხსენება „სადღეისო ამოცანები — მიმდინარე მომენტი“, შედიოდა „დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ და „ომის შესახებ“ რეზოლუციათა შემმუშავებელ კომისიაში, შეიტანა რეზოლუციები „კომუნალური არჩევნების შესახებ“ და „სოციალისტ-რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტიებისადმი ეგრეთ წოდებულ „არაფრაქციულ“ სოციალ-დემოკრატთა პარტიისა და სხვა მონათესავე პოლიტიკური მიმდინარეობისადმი დამოკიდებულების შესახებ“.

კამენევი თავის სიტყვაში და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ ლენინისეული რეზოლუციის შესწორებებში შეეცადა დაეცვა მთავრობისათვის კონტროლის გაწევის მოთხოვნა, რაც ამხილა ლენინმა, როგორც შემთანხმებლური ცდა, როგორც ჩხეიძისა და სტეკლოვის პოლიტიკა.

კონფერენციამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო ლენინისეული რეზოლუცია დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, პირველ სხდომაზე კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება „დამრბევთა წინააღმდეგ. პეტროგრადის მუშებს, ჯარისკაცებსა და მთელ მოსახლეობას“.

19 აპრილს (2 მაისს) კონფერენციის სხდომები შეწყდა იმის გამო, რომ დაიწყო მასობრივი საპროტესტო მოძრაობა დროებითი მთავრო-

ბის იმ ნოტის პასუხად, რომელიც მან 18 აპრილს (1 მაისს) გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოებს და რომელშიც გამოთქმული იყო მზადყოფნა განეგრძო იმპერიალისტური ომი. კონფერენციამ გადაწყვიტა მოეწოდებინა მუშებისა და ჯარისკაცებისათვის ორგანიზებულად გამოეხატათ თავიანთი სოლიდარობა იმ ძირითადი დებულებებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 20 აპრილის (3 მაისის) რეზოლუციაში დროებითი მთავრობის აღნიშნულ ნოტასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 207—208). კონფერენციის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს ახსნა-განმარტებითს მუშაობაში, რომელსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ეწეოდა მასებში. ამის გამო კონფერენციის შემდეგი სხდომები სრული შემადგენლობით ვეღარ იმართებოდა.

პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებანი მოწმობდნენ პეტროგრადელ ბოლშევიკთა შეკავშირებას ლენინის „აპრილის თეზისების“ გარშემო; ლენინური ტაქტიკა მოიწონა პარტიის უდიდესმა, დედაქალაქის, ორგანიზაციამ. პეტროგრადის კონფერენციის რეზოლუციები მნიშვნელოვანწილად საფუძვლად დაედო რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 151—185). — **447**.

521 „პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებები“ — ყოველდღიური გაზეთი; პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წლის 28 თებერვალს (13 მარტს) სათაურით „პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებანი“; 2 (15) მარტის მე-3 ნომრიდან გაზეთი გამოდიოდა როგორც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

როცა სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, გაზეთი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო გახდა და 1 (14) აგვისტოდან (№ 132-დან) გამოდიოდა „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის საბჭოს უწყებების“ სახელწოდებით. გაზეთის პოლიტიკურ ხაზს განსაზღვრავდნენ ესერულ-მენშევიკური ბლოკის წარმომადგენლები, ბლოკისა, რომელიც ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მხარდაჭერის შემთანხმებლურ პოლიტიკას ადგა და გამოდიოდა პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ.

სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის შემდეგ „უწყებების“ რედაქციის შემადგენლობა შეიცვალა, გაზეთი გახდა საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო; გაზეთში დაიბეჭდა საბჭოთა მთავრობის

პირველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, ვ. ი. ლენინის სტატიები და სიტყვები. 1918 წლის მარტში „უწყებების“ გამოცემა მოსკოვში გადაიტანეს.

1922 წლის დეკემბერში სსრ კავშირის შექმნის შემდეგ გაზეთი გახდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უწყებები“ გარდაიქმნა და 1938 წლის 26 იანვრიდან დღემდე გამოდის „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უწყებების“ სახელწოდებით. — **449.**

522 ლენინს მხედველობაში ჰყავს ჯ. მაკლინი. — **450.**

523 17 (30) აპრილს ლენინი მივიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომაზე და რიგგარეშე ითხოვა სიტყვა იმასთან დაკავშირებით, რომ 16 (29) აპრილს გაზეთებში დაიბეჭდა ჯარისკაცთა სექციის აღმასრულებელი კომისიის რეზოლუცია, რომელიც გმობდა „ლენინელთა პროპაგანდას“ როგორც არანაკლებ მავნეს, „ვიდრე ყოველგვარ კონტრრევოლუციურ პროპაგანდას მარჯვენიდან“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 192). მას სიტყვა მისცეს, მაგრამ სიტყვის წარმოთქმის დროს სექციის მენშევიკურ-ესერული უმრავლესობის მოთხოვნით, მიუხედავად უმცირესობის პროტესტებისა, გამოსვლის დრო 30 წუთით განუსაზღვრეს. სიტყვის დამთავრების შემდეგ ლენინმა უპასუხა კრების კითხვებზე, შემდეგ კი იმ ჯარისკაცთა კითხვებზე, რომლებიც მას გარს შემოეხვიენენ ერთ-ერთ ოთახში თავრიდის სასახლიდან გამოსელისას.

ჯარისკაცთა სექციამ ლენინის სიტყვისა და მენშევიკ ლიბერის მიერ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის შემდეგ გადაწყვიტა მორიგ საჭმეებზე გადასულიყო ისე, რომ ამ საკითხზე დასკვნა არსებითად არც კი გამოუტანია.

ლენინის სიტყვა დამახინჯებული სახით დაიბეჭდა „რეჩსა“ და „ედინსტვოში“. ამ გამოცემაში იგი იბეჭდება ოქმის ჩანაწერის მიხედვით, რომელიც დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში.—**451.**

524 ლაპარაკი იყო პეტროგრადის გარნიზონის ნაწილების ფრონტზე გაგზავნის შესახებ, რის წინააღმდეგაც პროტესტს აცხადებდნენ მუშები და ჯარისკაცები, რადგან დროებითი მთავრობა ამ ღონისძიების განხორციელებით ასუსტებდა დედაქალაქის რევოლუციური მოსახლეობის ძალებს და არღვევდა პირობას, რომელიც დროებითი მთავრობის შექმნისას 1 (14) მარტს ღამით წამოაყენა აღმასკომმა იმის თაობაზე, რომ

პეტროგრადიდან არ გაეყვანათ გარნიზონის ის ნაწილები, რომლებიც თვითმპყრობელობის დამხობაში მონაწილეობდნენ. — **458.**

528 ლენინს მხედველობაში აქვს ნაშრომი „სოციალიზმი და ომი“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357—412). — **454.**

529 „რუსკაია ვოლია“ — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც მეფის შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. დ. პროტოპოპოვმა დააარსა და მსხვილ ბანკების სახსრებით საზრდოობდა; გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის დეკემბრიდან. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ლენინი მას უწოდებდა „ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ ბურჟუაზიულ გაზეთს“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 359). დახურა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 25 ოქტომბერს. — **456.**

537 რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია მოიწვიეს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 4 და 8 (17 და 21) აპრილს შუა პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებით და მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24—29 აპრილს (7—12 მაისს). ეს იყო პარტიის პირველი კონფერენცია ლეგალურ პირობებში. კონფერენციას ესწრებოდნენ 78 პარტიული ორგანიზაციის (მათ შორის პეტროგრადისა და მისი გარეუბნების, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ცენტრალური სამრეწველო რაიონის, ურალის, დონბასის, ვოლგისპირეთის, კავკასიის) 131 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 დელეგატი სათათბირო ხმით, აგრეთვე ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ლატვიის, ლატვის, პოლონეთის, ფინეთისა და ესტონეთის ეროვნული ორგანიზაციები. წარმომადგენლობის სისრულით, პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანებით კონფერენციას შეეძლო შეესრულებინა და კიდევაც შეასრულა პარტიული ყრილობის სამუშაო: შეიმუშავა მთელი პარტიის პოლიტიკური კურსი, შექმნა ხელმძღვანელი პარტიული ცენტრები.

კონფერენციის გახსნის წინ, 23 აპრილს (6 მაისს) დღის 2 საათზე, გაიმართა ასზე მეტი დელეგატის თათბირი, რომელზეც წინასწარი დღის წესრიგი შეივსო ახალი საკითხებით და დამტკიცდა კონფერენციის რეგლამენტი. თათბირზე 21—22 აპრილის ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ი. ლენინმა, რომელსაც მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მიმდინარე მომენტი (ომი და დროებითი მთავრობა და სხვ.), საზავო კონფერენცია, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულება, პარტიული პროგრამის გადასინჯვა, მდგომარეობა ინტერნაციონალში და პარტიის ამოცანები, სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციათა გაერთიანება, აგრარული საკითხი, ეროვნული საკით-

ხი, დამფუძნებელი კრება, ორგანიზაციული საკითხი, მოხსენებანი ოლქების მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

ლენინმა კონფერენცია მოკლე მისასალმებელი სიტყვით გახსნა, შეუდგა პრეზიდიუმის შემადგენლობაში და ხელმძღვანელობდა მთელ მის მუშაობას.

კონფერენციამ ამხილა და უარყო მემარჯვენე კაპიტულანტური ხაზი ლ. ბ. კამენევისა, რომელმაც როგორც ანტილენინური ჯგუფის წარმომადგენელმა გააკეთა თანამოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. ლ. ბ. კამენევი და ა. ი. რიკოვი ცდილობდნენ სოციალისტური რევოლუციის ლენინური კურსისათვის დაეპირისპირებინათ 1917 წლის რევოლუციისა და მისი განვითარების პერსპექტივების ოპორტუნისტული შეფასება. უარყოფდა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესაძლებლობასა და საჭიროებას, კამენევი წინადადებას იძლეოდა დასჯერებოდნენ იმას, რომ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის კონტროლი გაეწიათ მენშევიკურ-ესერულ საბჭოებს. კონფერენციამ დაგმო კაპიტულანტური პოზიცია კამენევისა და მისი მცირერიცხოვანი მომხრეებისა, რომლებიც უარყოფდნენ რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

მოხსენებაში პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა მიმართულებანი, თუ როგორ უნდა გადაემუშავებინა კონფერენციაზე შექმნილ საპროგრამო კომისიას 1903 წლის პროგრამა.

ეროვნული საკითხის განხილვისას გ. ი. პიატაკოვი გამოვიდა ლენინის იმ ლოზუნგის წინააღმდეგ, რომ ერებს თვითგამორკვევის უფლება და გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის უფლებაც კი ჰქონოდათ. იცავდა რა თავის რევოლუციას ეროვნულ საკითხზე, ლენინმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ ასეთი უფლება უზრუნველყოფს სხვადასხვა ეროვნების მუშათა და ყველა მშრომელის სრულ სოლიდარობას; გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი კი პროლეტარიატის პარტიამ „ყოველ ცალკეულ შემთხვევაში... უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 356).

ლენინის თეზისი ციმერვალდის ცენტრისტულ უმრავლესობასთან კავშირის გაწყვეტისა და III, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის შესახებ წაუწყდა გ. ე. ზინოვიევის წინააღმდეგობას. კონფერენციამ შეცდომა დაუშვა, რომ ხმა მისცა ბოლშევიკთა მონაწილეობას ციმერვალდის III კონფერენციაში, რომელიც თავისი შემადგენლობით უპირატესად ცენტრისტული იყო, და ამით შეაფერხა მზადება III, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნისათვის. ეს შეცდომა მალე გამოასწორა

ცხოვრებამ (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 465; ტომი 26, გვ. 252—254, დაუმთავრებელი სტატია „ჩვენი პარტიის ამოცანები ინტერნაციონალში“).

კონფერენციამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

VII (აპრილის) კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ ამ კონფერენციამ მიიღო რუსეთში რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასვლის ლენინური პროგრამა, დასახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის ბრძოლის გეგმა, წამოაყენა მოთხოვნა საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ. ამ ლოზუნგით ბოლშევიკები ამზადებდნენ მასებს პროლეტარული რევოლუციისათვის. — **457.**

128 მეომარი და ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხი არაერთხელ განუხილავს პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს 1917 წლის აპრილში, ამასთან აღმასრულებელი კომიტეტი თვითონ კისრულობდა კონფერენციის მოწვევის ინიციატივას. აპრილის მეორე ნახევარში გერმანიის სოციალ-შოვინისტებთან დაკავშირებული დანიელი სოციალ-დემოკრატი ბორგბიერგი პეტროგრადში ჩამოვიდა და დანიის, ნორვეგიისა და შვეციის მუშათა პარტიების გაერთიანებული კომიტეტის (ამ პარტიათა სოციალ-პატრიოტული უმრავლესობის) სახელით რუსეთის სოციალისტურ პარტიებს შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში ზავის დადების საკითხზე; ამ კონფერენციის მოწვევა განზრახული იყო სტოკჰოლმში 1917 წლის მაისში.

23 აპრილს (6 მაისს) ბორგბიერგმა პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გააცნო მოხსენება და გულახდილად განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა „დაეთანხმება“ ზავის პირობებს, რომლებსაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია წამოაყენებს სოციალისტურ კონფერენციაზეო. 25 აპრილს (8 მაისს) აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა პარტიული ჯგუფების განცხადებანი ამ საკითხზე. ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს ამ დღეს მიღებული აპრილის კონფერენციის რეზოლუცია „ბორგბიერგის წინადადების გამო“; მათ შეუერთდნენ პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები. ლენინს ამ კონფერენციაში მონაწილეობა ინტერნაციონალიზმის სრულ ღალატად მიაჩნდა. აპრილის კონფერენციამ მტკიცედ გაილაშქრა მასში მონაწილეობის წინააღმდეგ და ამხილა ბორგბიერგი როგორც გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. კონფერენციაში მონაწილეობას მხარი დაუჭირეს ტრუდოვიკებმა, ბუნდელებმა და მენშევიკებმა. მიიღეს მენშევიკური რეზოლუცია, რომელშიც აღმასრულებელმა კომიტეტმა განაცხადა, რომ კისრულობს კონფერენციის მოწვევის ინიციატივას და

საამისოდ ქმნის სპეციალურ კომისიას. საბჭოს პლენუმმა დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

უმრავლესობის ინგლისელმა, ფრანგმა და ბელგიელმა სოციალისტებმა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, რადგან ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს სურდათ საბოლოოდ დაემარცხებინათ ომში გერმანია. კონფერენციაში მონაწილეობაზე დათანხმდნენ ცენტრისტები: საფრანგეთისაგან — ჟ. ლონგეს ჯგუფი, გერმანიისაგან — დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია კ. კაუცკის, ჰ. ჰააზესა და გ. ლედებურის მეთაურობით.

„სპარტაკელებმა“, რომლებიც „დამოუკიდებელთა“ პარტიაში შედიოდნენ და ამასთანავე ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, არ მოისურვეს მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში სოციალ-იმპერიალისტებთან ერთად. განცხადება ამის შესახებ თავისი სახელით, აგრეთვე საპყრობილეში მყოფი კ. ლიბკნეხტისა და რ. ლუქსემბურგის სახელით გააკეთა ფ. მერინგმა.

სტოკჰოლმის კონფერენცია არ გამართულა, რადგან დელეგატთა ნაწილმა ვერ მიიღო პასპორტები თავიანთი მთავრობებისაგან, ნაწილმა კი უარი თქვა იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა სხდომებში, რომლებსაც საომარი ურთიერთობა ჰქონდათ მათს სახელმწიფოებთან. — **457**.

„რაბოჩაია გაზეტა“ — მენშევიკთა ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 7 (20) მარტიდან 30 ნოემბრამდე (13 დეკემბრამდე); 30 აგვისტოდან (12 სექტემბრიდან) იყო რსდმ პარტიის („გაერთიანებულის“) ცენტრალური კომიტეტის ორგანო. გაზეთს ეკავა ობორონცული პოზიცია, მხარს უჭერდა ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას, იბრძოდა ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდა. — **458**.

„ედინსტვო“ — გაზეთი, ორგანო მენშევიკ-ობორონცელთა უკიდურესი მემარჯვენე ჯგუფისა, რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი მეთაურობდა; სცემდნენ პეტროგრადში. 1914 წლის მაის—ივნისში გამოვიდა 4 ნომერი. 1917 წლის მარტ—ნოემბერში უშვებდნენ ყოველდღიურად. 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის იანვრამდე გამოდიოდა „ნაშე ედინსტვოს“ სახელწოდებით. „ედინსტვო“ მოითხოვდა დროებითი მთავრობის მხარდაჭერას, ბურჟუაზიასთან კოალიციას, „მტკიცე ხელისუფლებას“ და იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, თანაც ხშირად მიმართავდა ბულვარული პრესის ხერხებს. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ედინსტვოს“ საქციელი „არის ხელის შეწყობა იმ ბნელი ძალებისათვის, რომლებიც ძალადობით, დარბევით, ყუმბარით იმუქრებიან“,

და უწოდებდა გაზეთს „ლანძღვა-გინების მოყვარულ გამოცემას“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 139 და 225).

ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გაზეთი მტრულად შეხვდა. — **458.**

531 რსდმ პარტიის პარტიული პროგრამის ცვლილებათა წინასწარი პროექტი ვ. ი. ლენინმა დაწერა რსდმ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციისათვის, რომელიც 1917 წლის 24—29 აპრილს (7—12 მაისს) გაიმართა. იგი საფუძვლად დაედო „პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტს“, რომელიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ბროშურაში „მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი **24**, გვ. 553—560). — **469.**

532 104-თა აგრარული პროგრამა — აგრარული კანონპროექტი, რომელსაც ხელს აწერს I სახელმწიფო სათათბიროს 104 წევრი; იგი ტრუდოვიკებმა შეიტანეს 1906 წლის 23 მაისს (5 ივნისს) სათათბიროს მე-13 სხდომაზე. კანონპროექტი მიწის კანონმდებლობას მიზნად უსახავდა „შემოეღო ისეთი წესები, რომელთა დროს მიწა თავისი წიაღისეულითა და წყლებით მთელი ხალხის კუთვნილება იქნებოდა, თანაც სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მიწა შესაძლებელი ყოფილიყო სარგებლობაში მისცემოდათ მხოლოდ იმათ, ვინც თავისი შრომით დაამუშავებდა მას“ („რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დოკუმენტები და მასალები“, მოსკოვი, 1957, გვ. 172, რუს.). ტრუდოვიკები მოითხოვდნენ „საერთო-სახალხო მიწის ფონდის“ შექმნას, რომელშიც უნდა შესულიყო მთელი სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები; იმავე ფონდს უნდა გადასცემოდა მიწები, რომლებიც იძულებით ჩამოერთმეოდათ მემამულეებსა და სხვა კერძო მფლობელთ, რადგან ცალკეულ სამფლობელოთა ოდენობა აღემატებოდა ამ ადგილისათვის დაწესებულ შრომითს ნორმას. ჩამორთმეული კერძო მფლობელური მიწებისათვის გათვალისწინებული იყო გარკვეული გასამრჯელო. სანადელო და მცირე კერძომფლობელური მიწები დროებით უნდა დარჩენოდათ მფლობელებს; კანონპროექტის თანახმად შემდგომში ეს მიწები თანდათანობით უნდა გადასულიყო საერთო-სახალხო საკუთრებაში. აგრარული რეფორმა უნდა მოეხდინათ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეულ ადგილობრივ კომიტეტებს. — **477.**

533 ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინის დაუმთავრებელი პასუხია მე-8 ცხენოსანი არტილერიის ბატარეის (მოქმედი არმიის) ჯარისკაცთა კომიტეტის წერილზე პეტროგრადის საბჭოსადმი. წერილი დათარიღებულია 1917 წლის 24 აპრილით (7 მაისით), ე. ი. იმდროინდელია, როცა ბურჟუაზიულმა„ შემდეგ კი წვრილბურჟუაზიულმა პრესამ დაიწყო ცილისწა-

მების კამპანია ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკთა პარტიის სხვა წევრების წინააღმდეგ, რომლებიც შვეიცარიიდან ჩამოვიდნენ რუსეთში გერმანიის ტერიტორიის გავლით.

ჯარისკაცთა წერილში ნათქვამი იყო: „ვინაიდან ბატარეის ჯარისკაცთა შორის დიდი შეხლა-შემოხლაა ლენინის გამო, გთხოვთ უარს ნუ გვეტყვით, რომ რაც შეიძლება მალე გვიპასუხოთ. რა წარმოშობისაა იგი, სად ყოფილა, თუ გადასახლებული იყო, რატომ? რანაირად დაბრუნდა რუსეთში და რას საქმიანობს ამჟამად, ე. ი. სასარგებლოა თუ საზიანო ეს საქმიანობა ჩვენთვის! ერთი სიტყვით, გთხოვთ დაგვარწმუნოთ თქვენი წერილით ისე, რომ ამის შემდეგ აღარაფერი გვქონდეს სადავო, ტყუილად არ ვკარგავდეთ დროს და შეგვეძლოს დავუმტკიცოთ სხვა ამხანაგებს“ (1927 წლის 16 აპრილის „პრავდა“ № 86).

წერილი გაეგზავნა ვ. ი. ლენინს. — **484.**

534 ეს დოკუმენტი არის მოკლე ჩანაწერი რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შედეგების შესახებ ვ. ი. ლენინის მოხსენებისა, რომელიც მან გააკეთა პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრებაზე საზღვაო კადეტთა კორპუსის შენობაში; კრებას ესწრებოდა პარტიის 5—6 ათასი წევრი. მოხსენების ჩანაწერი, რომელიც ვ. ი. ნევსკის გაუკეთებია, გათვალისწინებული იყო გაზეთებში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ არ დაბეჭდილა. მოხსენება პირველად დაიბეჭდა 1927 წელს „ლენინის ინსტიტუტის ჩანაწერების“ პირველ წიგნში. — **484.**

535 სტატია „ფურცელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიიდან“ ნ. კ. კრუპსკაიას დაუწერია იმ ცილისმწამებლურ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც ბურჟუაზიულმა და ესერულ-მენშევიკურმა პრესამ გააჩაღა ვ. ი. ლენინისა და სხვა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც გერმანიის გავლით დაბრუნდნენ რუსეთში. ვ. ი. ლენინმა, რომელმაც რედაქცია გაუკეთა სტატიას, დაწერა ეს ჩანართი. სტატია დაიბეჭდა გაზეთ „სოლდატსკაია პრავდის“ 1917 წლის 13 (26) მაისს № 21-ში. — **489.**

536 „ე პ ე რ ი ო დ“—ბოლშევიკური მასობრივი მუშათა გაზეთი, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა; არალეგალურად სცემდა „პროლეტარის“ რედაქცია ვიბორგში 1906 წლის 10 (23) სექტემბრიდან 1908 წლის 19 იანვრამდე (1 თებერვლამდე). გამოვიდა 20 ნომერი.

გაზეთ „ეპერიოდში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მთელი რიგი სტატიები. —**490.**

537 ა. ვ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც ვ. ი. ლენინამდე გამოვიდა, მოითხოვა წაეყენებინათ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებისათვის ულტიმატუმში, რათა შეეთებოდნენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ფორმულას

და გამოეცხადებინათ დაზავება ყველა ფრონტზე. ამავე დროს, ამბობდა ლუნაჩარსკი, ჩვენ მოკავშირე ქვეყნების, აგრეთვე გერმანიისა და ავსტრიის ხალხებს უნდა მოვუწოდოთ რითაც კი შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ თავიანთ მთავრობებზე. თუ ასეთი ურყევი ფორმულის მიუხედავად გერმანიის მთავრობა მოისურვებს განაგრძოს ომი, მისი სიცრუე, რომ თითქოს იგი თავდაცვითს ომს ეწეოდეს, მხილებული იქნებაო. — **491**.

538 „ვ ო ლ ი ა ნ ა რ ო დ ა“ — ყოველდღიური გაზეთი, ესერთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. სცემდნენ პეტროგრადში 1917 წლის 29 აპრილიდან; დახურეს 1917 წლის ნოემბერში. შემდეგ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებითაც. საბოლოოდ დახურეს 1918 წლის თებერვალში. — **494**.

539 „ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ“ — ყოველდღიური გაზეთი; სცემდნენ პეტროგრადში 1917 წლის 18 აპრილიდან (1 მაისიდან) 1918 წლის ივლისამდე. გაზეთის შექმნის ინიციატორი იყო მენშევიკ-ინტერნაციონალისტთა და მწერალთა ჯგუფი, რომლებიც ჟურნალ „ლეტოპისის“ გარშემო იყვნენ თავმოყრილი. ახასიათებდა რა „ნოვაიაჟიზნელებს“, ლენინი აღნიშნავდა, რომ მათში „გაბატონებული სულისკვეთებაა ინტელიგენტური სკეპტიციზმი, რომელიც ფარავს და გამოხატავს უპრინციპობას“ (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 326), და ირონიულად უწოდებდა მათ „ვითომდა-ინტერნაციონალისტებსა“ და „მომარქსისტოებს“.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გაზეთი მტრულად შეხვდა. 1918 წლის 1 ივნისიდან გამოდიოდა ორ გამოცემად: პეტროგრადისა და მოსკოვის გამოცემებად. ორივე გამოცემა დაიხურა 1918 წლის ივლისში. — **494**.

540 ვ. ი. ლენინის მოხსენება, რომელსაც ცენტრალური ადგილი ეკავა რსდმპ (ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის კონფერენციის მუშაობაში, შემორჩენილია ორ ვარიანტად: „ნოვაია ჟიზნის“ კორესპონდენტის ჩანაწერში, რომელმაც იგი გამოაქვეყნა მეორე დღეს — 1917 წლის 21 ივნისს (4 ივლისს), და მ. ს. კედროვის ჩანაწერში (იხ. მისი მოგონებანი „რსდმპ (ბ) სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის კონფერენცია“ წიგნში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. პეტროგრადისა და მოსკოვის რევოლუციის მონაწილეების მოგონებათა კრებული“, მოსკოვი, 1957, გვ. 77 — 79, რუს.).

რ ს დ მ პ (ბ) ფ რ ო ნ ტ ი ს ა დ ა ზ უ რ გ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გაიმართა 1917 წლის 16 — 23 ივნისს (29 ივნისს — 6 ივ-

ლისს) პეტროგრადში. კონფერენციას ესწრებოდა ფრონტის 43 და ზურგის 17 სამხედრო ბოლშევიკური ორგანიზაციის 107 დელეგატი. ეს ორგანიზაციები პარტიის 26 ათასამდე წევრს აერთიანებდნენ. კონფერენცია მოიწვია ცენტრალური კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის საორგანიზაციო ბიურომ. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან; დამოკიდებულება VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუციებისადმი; მიმდინარე მომენტი; ხელისუფლების ორგანიზაცია და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები; ომი, ზავი, შეტევა; აგრარული საკითხი და სხვები. ვ. ი. ლენინმა კონფერენციაზე გააკეთა მოხსენებანი მიმდინარე მომენტის შესახებ და აგრარულ საკითხზე. კონფერენციამ საჭიროდ ცნო შეეცვალათ მუდმივი არმია წითელი გვარდიის შეიარაღებული მუშათა ბატალიონებით, რომლებიც მუშათა არჩევითი ორგანიზაციების განკარგულებაში იყვნენ, შეეცვალათ პოლიცია სახალხო მილიციით (იხ. „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწილი I, 1954, გვ. 449 — 466). კონფერენციამ დაადგინა ჩაეთვალათ გაზეთი „სოლდატსკაია პრავდა“ რსდმპ (ბ) სამხედრო ორგანიზაციათა ცენტრალურ ორგანოდ, დაამტკიცა სამხედრო ორგანიზაციის წესდების პროექტი და აირჩია სამხედრო ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის ცენტრალური ბიურო, რომელშიც შევიდნენ მ. ს. კედროვი, ნ. ვ. კრილენკო, ვ. ი. ნევსკი, ნ. ი. პოდვოისკი და სხვ. კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა მასის კავშირის განმტკიცებისათვის, მან ხელი შეუწყო ბოლშევიკებს გაეშალათ მუშაობა ჯარისკაცებში. — **495.**

541 თეზისები „პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა“, რომლებიც ვ. ი. ლენინს 1917 წლის 10 (23) ივნისს დაუწერია, განსაზღვრავდნენ ბოლშევიკური პარტიის ახალ ტაქტიკურ გზას იმ შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციის დახვრეტამ 4 (17) ივლისს და მთელი ძალაუფლების გადასვლამ კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის ხელში. თეზისებს იხილავდა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული თათბირი, რომელიც 1917 წლის 13 — 14 (26 — 27) ივლისს გაიმართა პეტერბურგის კომიტეტის, რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო ორგანიზაციის, მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

ლენინის თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობა“ სტატიად გამოქვეყნდა „პოლიტიკური განწყობილების“ სახელწოდებით 1917 წლის 2 აგვისტოს (20 ივლისს) გაზეთ „პროლეტარსკოე დელოში“, მუშათა

და ჯარისკაცთა დეპუტატების კრონშტადტის საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის ორგანოში, რომელიც გამოდიოდა დროებითი მთავრობის მიერ იულისის დღეებში დახურული კრონშტადტის ბოლშევიკური გაზეთის „გოლოს პრავდის“ ნაცვლად. ხელნაწერის დასაბეჭდად მომზადებასთან დაკავშირებით შიგ წაშალეს ქვესათაური „ოთხი თეზისი“, პუნქტები: 1, 2, 3, 4, სიტყვები: „თეზისის“, „იოტისოდენადაც არა“, აგრეთვე სტატიის ბოლო (დაწყებული სიტყვებით „მაშინვე ყველგან...“); სიტყვები „შეიარაღებული აჯანყება“ შეცვალეს სიტყვებით „გადამწყვეტი ბრძოლა“.

ხელნაწერში სახელწოდებაში სიტყვების „პოლიტიკური მდგომარეობა“ წინ იყო სიტყვა „უახლესი“, რომელიც აგრეთვე წაშალეს. მაგრამ დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ეს გამოიწვია ლენინის დოკუმენტის გამოქვეყნებამ ლეგალურ პრესაში, რადგან, ასე რომ ყოფილყო, სიტყვას „მდგომარეობა“ შეცვლიდნენ სიტყვით „განწყობილება“. შემდეგ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, ისიც, რომ თვით ვ. ი. ლენინი მოგვიანებით „შენიშვნებში დასახსომებლად“ (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 34, გვ. 443 — 444, რუს.) იხსენიებს თავის „თეზისებს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ (და არა „უახლესი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“). დასასრულ, 1925 წლიდან, როცა ეს დოკუმენტი პირველად გამოქვეყნდა როგორც ლენინისეული, იგი პარტიის ისტორიაში შევიდა და ყველასათვის ცნობილია სწორედ როგორც „პოლიტიკური მდგომარეობა“. ამიტომ ხელნაწერის მიხედვით ამ დოკუმენტის პუბლიკაციისას სიტყვა „უახლესი“ თხზულებათა მე-5 გამოცემის 34 ტომში არ აღუდგენიათ. — **498**.

342 ძალაუფლება 3 — 5 ივლისის ამბების შემდეგ მთლიანად კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა. ეს ამბები გამოხატავენ ქვეყნის უდიდეს პოლიტიკურ კრიზისს. ფრონტზე რუსეთის ჯარების იმ შეტევის ჩაფუშვამ, რომელიც კერენსკიმ 18 (31) ივნისს წამოიწყო, იმპერიალისტთა საამებლად გაღებულმა ახალმა მსხვერპლმა, უმუშევრობის ზრდამ კაპიტალისტთა მიერ საწარმოების დახურვის გამო, მზარდმა სიძვირემ და სურსათის მწვავე ნაკლებობამ გამოიწვია მუშათა და ჯარისკაცთა ფართო მასების დიდი აღშფოთება დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკის მიმართ. 3 (16) ივლისს დაიწყო სტიქიური დემონსტრაციები, რომლებიც დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლად გადაზრდის საფრთხეს ქმნიდნენ.

ბოლშევიკების პარტია იმ მომენტში შეიარაღებული გამოსვლის წინააღმდეგი იყო, რადგან ფიქრობდა რომ რევოლუციური კრიზისის

ჯერ არ იყო მომწიფებული, რომ არმია და პროვინცია არ იყვნენ მზად დედაქალაქის აჯანყების მხარდასაჭერად. ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 3 (16) იელისს მოიწვიეს პეტერბურგის კომიტეტთან და რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად, გადაწყდა თავი შეეკავებინათ გამოსვლისაგან. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო პეტროგრადის ბოლშევიკთა მეორე საერთო-საქალაქო კონფერენციამ, რომელიც ამ დროს მიმდინარეობდა. კონფერენციის დელეგატები რაიონებში გაემგზავრნენ, რათა შეეჩერებინათ მასები და არ მიეცათ გამოსვლის ნება. მაგრამ გამოსვლა მაინც დაიწყო, ხოლო მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა მასების განწყობილება და პეტერბურგის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციასთან ერთად 3 (16) იელისს გეიან საღამოს გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო 4 (17) იელისის დემონსტრაციაში, რათა მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა მისთვის. ლენინი ამ დროს პეტროგრადში არ იყო: ძლიერი გადაღლილობით გამოწვეული ავადმყოფობის გამო იგი რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრა დასასვენებლად. აცნობეს თუ არა ეს ამბები, ლენინი პეტროგრადს დაბრუნდა 4 (17) იელისს დილით და თვითონ იკისრა დაწყებული ამბების ხელმძღვანელობა.

4 (17) იელისის დემონსტრაციაში მონაწილეობდა 500 ათასზე მეტი კაცი. იგი მიმდინარეობდა ბოლშევიკთა ლოზუნგებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ და სხვ. დემონსტრანტებმა გამოუცხადეს 90 წარმომადგენელი, რომლებმაც საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს მოთხოვნა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. მაგრამ ესერულ-მენშევიკურმა ლიდერებმა უარი თქვეს ძალაუფლების აღებაზე.

დროებითმა მთავრობამ მენშევიკურ-ესერული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვითა და თანხმობით გადაწყვიტა შეიარაღებული ძალით ჩაეხშო დემონსტრაცია. მუშათა და ჯარისკაცთა მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ გაგზავნეს იუნკერთა და კონტრრევოლუციონერ კაზაკთა პოლკები. მათ ტყვია დაუშინეს დემონსტრანტებს. ფრონტიდან გამოიძახეს რევოლუციულად განწყობილი ჯარის ნაწილები.

ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის წევრთა თათბირმა, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა 4 (17) იელისს ღამით, მიიღო გადაწყვეტილება დემონსტრაციის ორგანიზებულად შეწყვეტის შესახებ. ეს იყო სწორი ნაბიჯი პარტიისა, რომელმაც შეძლო დროზე დაეხია უკან და განადგურებისაგან ეხსნა რევოლუციის ძირითადი ძალები.

ბურჟუაზიულ დროებითი მთავრობა დემონსტრაციის დარბევის შემდეგ განაგრძობდა რეპრესიებს. იგი განსაკუთრებული სიძულვილით დაესხა თავს ბოლშევიკურ პარტიას. ბოლშევიკური გაზეთები „პრავდა", „სოლდატსკაია პრავდა" და სხვები დახურეს. დაიწყო მუშათა განიარაღება, დაპატიმრება, ჩხრეკა, რბევა. პეტროგრადის გარნიზონის რევოლუციური ნაწილებს, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ, შლიდნენ და ფრონტზე გზავნიდნენ. მენშევიკები და ესერები სინამდვილეში კონტრრევოლუციური ჯალათობის მონაწილენი და ხელშემწყობნი აღმოჩნდნენ. — **496**.

548 ეს წერილი დაწერილია ფურცლის ტექსტის შემდეგ და, როგორც შინაარსიდან ჩანს, განკუთვნილი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. „ფურცელი რიგის აღების გამო" არ გამოქვეყნებულა. შესაძლოა ამ ფურცლის ავტორი ვ. ი. ლენინი იყოს. — **548**.

544 „თეზისები მოხსენებისათვის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე 8 ოქტომბერს, აგრეთვე რეზოლუციისათვის და პარტიულ ყრილობაზე არჩეულთა განწესისათვის" პირველად მთლიანად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემის 34-ე ტომში. ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის პირველ გამოცემაში (ტომი XIV, ნაწილი II), აგრეთვე თხზულებათა მეოთხე გამოცემაში (ტომი 26) არ დაბეჭდილა განყოფილება „დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ" და მისი შენიშვნები. თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემებში (ტომი XXI) ეს განყოფილება შემოკლებით დაიბეჭდა.

პეტროგრადის III საერთო-საქალაქო კონფერენცია გაიმართა 1917 წლის 7 — 11 (20 — 24) ოქტომბერს. კონფერენციაში მონაწილეობდა 92 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 40 დელეგატი სათათბირო ხმით. კონფერენციამ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია ვ. ი. ლენინი. ლენინის თეზისები დაედო საფუძვლად კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ კონფერენცია აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო კერენსკის მთავრობის შეცვლა მუშურ-გლეხური რევოლუციური მთავრობით, რადგან მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია გადასცეს მიწა გლეხებს, იხსნას ქვეყანა ომისა და ნგრევისაგან. კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები „წითელი გვარდიის შესახებ", „„3 (16) — 5 (18) ივლისის" საქმის გამო საპყრობილეში მოთავსებულ პოლიტიკურ პატიმართა მიერ შიმშილობის გამოცხადების შესახებ". კონფერენციის გადაწყვეტილებებში ხაზგასმული იყო, რომ „ახლა მასობრივი პროლეტარული აჯანყების წინადღეებია", და გამოთქმული

იყო მტკიცე რწმენა, რომ ეს აჯანყება ძლევამოსილად დამთავრდებოდა. კონფერენციამ განიხილა დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხი. პირველ კანდიდატთა შორის პეტროგრადისაგან გათვალისწინებული იყო ვ. ი. ლენინი. 11 (24) ოქტომბრის სხდომაზე წაიკითხეს ლენინის „წერილი პიტერის საქალაქო კონფერენციას“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 159 — 163). კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში. — **508**.

545 დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ დროებითმა მთავრობამ გაანცხადა თავის 1917 წლის 2 (15) მარტის დეკლარაციაში. 14 (27) ივნისს დროებითმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნა 17 (30) სექტემბრისათვის. მაგრამ აგვისტოში მან არჩევნები 12 (25) ნოემბრისათვის გადადო.

დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, დადგენილ ვადაში — 1917 წლის 12 (25) ნოემბერს. არჩევნები მიმდინარეობდა ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი სიებით, დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით, და ისეთ ვითარებაში, როცა ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ ესმოდა სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა. ამით ისარგებლეს მემარჯვენე ესერებმა და შეძლეს დედაქალაქიდან და სამრეწველო ცენტრებიდან დაშორებულ გუბერნიებსა და ოლქებში მოეგროვებინათ ხმების უმრავლესობა. დამფუძნებელი კრება მოიწვია საბჭოთა მთავრობამ და გაიხსნა 1918 წლის 5 (18) იანვარს პეტროგრადში. დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურმა უმრავლესობამ უარყო „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც კრებას სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შესთავაზა, და უარი თქვა ეცნო საბჭოთა ხელისუფლება. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 6 (19) იანვრის დეკრეტით ბურჟუაზიული დამფუძნებელი კრება დაითხოვეს. — **508**.

546 რაიონთაშორისელები — გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა იმ რაიონთაშორისი ორგანიზაციის წევრები, რომელიც პეტერბურგში შეიქმნა 1913 წლის ნოემბერში რსდმ პარტიის ერთიანობისათვის ბრძოლის ალით. რაიონთაშორისელები ინიციატორებოდნენ ერთიანობის ლოზუნგით, ცდილობდნენ გაეერთიანებინათ პეტერბურგის ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციები, ნამდვილად კი თავიანთი ფრაქციული ორგანიზაცია შექმნეს. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ მენშევიკ-ტროცკისტები, აგრეთვე ყოფილ ბოლშევიკთა ნაწილი, რომელიც შემარიგებლურად იყო განწყობილი ოპორტუნისტებისადმი.

პირველი მსოფლიო ომის დროს რაიონთაშორისელებს ცენტრისტული პოზიცია ეკავათ, აღიარებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ არ სურდათ სრულად გაეწყვიტათ კავშირი მენშევიკებთან. 1917 წელს რაიონთაშორისმა ორგანიზაციამ, რომელშიც შედიოდნენ ვ. ვოლოდარსკი, ა. იოფე, ა. ლუნაჩარსკი, დ. მანუილსკი, ლ. ტროცკი, მ. ურიცკი, ი. იურენევი და სხვ., განაცხადა, რომ ეთანხმება ბოლშევიკური პარტიის ხაზს. რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე რაიონთაშორისი ორგანიზაცია (400-მდე წევრი), რომელმაც გაწყვიტა კავშირი მენშევიკ-ობორონცებთან, მიიღეს ბოლშევიკთა პარტიაში. შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს, რომ ზოგიერთმა რაიონთაშორისელმა (ლუნაჩარსკიმ, მანუილსკიმ, ვოლოდარსკიმ, ურიცკიმ და სხვ.) ნამდვილად გაწყვიტა კავშირი თავის ცენტრისტულ წარსულთან და ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე გახდა. მაგრამ ტროცკი, თუმცა ბოლშევიკურ პარტიაში შევიდა, ბოლშევიკი არ გამხდარა და ფარულ და აშკარა ბრძოლას ეწეოდა ლენინიზმის წინააღმდეგ, პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ლენინიზმის, საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უბოროტესი მტერი გახდა.

რაიონთაშორისელები სცემდნენ თავიანთ ბეჭდვითს ორგანოს — ჟურნალ „ეპერიოდს“ (1915 წელს გამოვიდა ერთი ნომერი, რომელიც არალეგალურად გამოიცა). ჟურნალის გამოცემა განახლდა 1917 წელს: ივნისიდან აგვისტომდე იგი გამოდიოდა ლეგალურად როგორც პეტერბურგის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატთა (ინტერნაციონალისტთა) რაიონთაშორისი კომიტეტის ორგანო; გამოვიდა 8 ნომერი. პარტიის VI ყრილობის შემდეგ რედაქციის შემადგენლობა შეიცვალა და ჟურნალის მე-9 ნომერი გამოვიდა როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო. სექტემბერში ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჟურნალის გამოცემა შეწყვიტეს. — **504**.

547 „დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა“ — ყოველდღიური გაზეთი, ესერთა პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივლისამდე, არაერთხელ შეიცვალა სახელწოდება. გაზეთს ობორონცობისა და შემთანხმებლობის პოზიცია ეკავა, მხარს უჭერდა ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას. გაზეთის გამოცემა განახლდა 1918 წლის ოქტომბერში სამარაში (გამოვიდა ოთხი ნომერი) და 1919 წლის მარტში მოსკოვში (გამოვიდა ათი ნომერი). გაზეთი დაიხურა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **505**.

548 ლაპარაკია ი. მ. სვერდლოვის, ი. ბ. სტალინის, ფ. ე. ძერჟინსკის, გ. ი. სოკოლნიკოვის გამოსვლებზე 1917 წლის 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს) პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელიც იხილავდა ლენინის წერილს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 255 — 260) იმასთან დაკავშირე-

ბით, რომ ნახევრად მენშევიკურმა გაზეთმა „ნოვაია ჟიზნმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ი. კამენევი „გამოსვლის“ შესახებ“, რომელშიც კამენევი თავისი სახელით და ზინოვიევის სახელით შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდა (იხ. „რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქმები. 1917 წლის აგვისტო — 1918 წლის თებერვალი“, 1958, გვ. 106 — 108, რუს.) —**509**.

549 კაზაკთა დემონსტრაცია, ანუ კაზაკთა „ლიტანიით სვლა“ პეტროგრადში დანიშნული იყო 1917 წლის 22 ოქტომბრისათვის (4 ნოემბრისათვის) და კონტრრევოლუციის თავისი ძალების დათვალიერებად მიაჩნდა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო ვითარდებოდა. ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გასწიეს კაზაკებში, მოუწოდებდნენ მათ უარი ეთქვათ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობაზე. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მოწოდებით მიმართა კაზაკებს. კაზაკთა პოლკების წარმომადგენლები მიიწვიეს პოლკების კომიტეტის თათბირზე, რომელიც პეტროგრადის საბჭომ მოაწყო 21 ოქტომბერს (3 ნოემბერს) სმოლნში. თათბირზე კაზაკებმა განაცხადეს, რომ არ გამოვიდოდნენ მუშებისა და ჯარისკაცების წინააღმდეგ. დროებითი მთავრობა იძულებული გახდა 21 ოქტომბერს (3 ნოემბერს) ღამით გაეუქმებინა კაზაკთა „ლიტანიით სვლა“. — **509**.

სახელთა საძიებელი

ა

ადლერი (Adler), ვიქტორ — 208, 214, 263, 373, 399, 402.

ადორატსკი, ვ. ვ. (არნატსკი) — 138, 144.

ადრიანოვი — 251.

აიზენშტადტი, ი. ლ. (იუდინი)— 245, 246.

აკომოვი (მახნოვეცი*), ვ. პ. — 76, 77.

ალექსანდრე, იხ. შლიაპნიკოვი, ა. გ.

ალექსანდრე III (რომანოვი) — 484.

ალექსეევი, ნ. ა. (ანდრეევი) — 139.

ალექსინსკი, გ. ა. — 280,327, 370, 505.

ანი — იხ. ჟორდანია ნ. ნ.

ანდრეევი — იხ. ალექსეევი ნ. ა.

არნატსკი — იხ. ადორატსკი ვ. ვ.

ასკვითი — 314.

ასკიუ (Askew), ჯონ ბ. — 397, 401.

აუჰაგენი (Auhagen), **ჰუბერტ** — 119, 120.

აქსელროდი, ჰ. ბ. (Axelrod) — 6, 8, 26 — 46, 195, 234, 403, 411, 414.

აშერი — იხ. ბირნბაუმი, ნათან.

ბ

ბადაევი, ა. ე. — 291.

ბალმაშევი, ს. ვ. — 46, 54.

ბაუერი (Bauer), ოტო — 346, 347, 348, 355, 356, 430.

ბებელი (Bebel), ავგუსტ — 214, 263 — 264, 374.

ბელსკი — იხ. კრასიკოვი პ. ა.

ბერი — იხ. ლიბერი მ. ი.

ბერგერი (Berger), ვიქტორ ლუი — 402.

ბერგი — იხ. მარტოვი ლ.

ბერნშტაინი (Bernstein), ედუარდ — 376, 404.

ბეტმან-ჰოლვეგი (Bethmann Hollweg), თეობალდ — 459.

ბირნბაუმი (Birnbaum) (აშერი), ნათან — 355.

ბისმარკი (Bismarck), ოტო ედუარდ ლეოპოლდ — 104, 107, 108, 109, 110, 434.

ბისოლატი (Bissolati), ლეონიდა — 398, 400.

ბლანკი (Blanqui), ლუი ოგიუსტ— 104, 487.

ბოგდანოვი, ა. ა. (**მალინოვსკი, ა. ა.,** ივანოვი, მაქსიმოვი)— 142, 155, 232, 233, 234, 235, 236, 253, 490.

ბოდრილიარი (Baudrillart), ანრი ჟოზეფ ლეონ — 121.

* ურჩხალებში აღნიშნულია ნამდვილი გვარები.

ონჩ-ბრუევიჩი, ვ. დ. — 117, 119.
ორგბიერგი (Borgbjerg), ფრედერიკ — 457 — 460.
ორეცკი — იხ. ურიცკი მ. ს.
ორხარდტი (Borchardt), იულიან — 391, 399.
ოში, ე. ბ. — 407.
რაკე (Bracke), ვილჰელმ — 103.
რანდენბურგსკი, ი. ნ. (ეგგენი) — 135.
რანტინგი (Branting), კარლ იალმარ — 400, 442.
რაუნი — იხ. იანსონი, ი. ე.
რიზონი (Brizon), პიერ — 401.
რონსკი, მ. გ. — 444.
რონშტეინი, პ. ა. (იური) — 245, 247, 253, 254.
უკოდი — იხ. რიაზანოვი, დ. ბ.
ულგაკოვი, ს. ნ. — 120.
უნინი, ი. ა. — 321.
ურდერონი (Bourderon), ალბერ — 397, 400, 418.
ურიანოვი, ა. ფ. — 291, 363.
ხარინი, ნ. ი. — 407, 430.
ხენბერგერი (Buchenberger), ადოლფ — 119, 121.

გ

ლპერინი, ლ. ე. (კონიაგინი, რუ) — 94.
ნეცკი (ფიურსტენბერგი), ი. ხ. — 273.
ონი, გ. ა. — 370
დი (Guesde), ჟიულ—37,1, 377, 414.
ოზდევი, კ. ა. — 398.
ლბო (Guilbeaux), ანრი — 444.
ო (Guiod), ალფონს სიმონ—103.
ებოვი — იხ. ნოსკოვი, ვ. ა.
ენკონერი — 314.
ლდენბერგი, ი. პ. (ვიშნევეცკი, მეშკოვსკი) — 237, 240, 241, 246, 247.
ლუბინი — იხ. ჯაფარიძე, პ. ა.
გოლცი (Goltz), თეოდორ ალექსანდრ — 119, 121.
გორევი, ბ. ი. (გოლდმანი, ბ. ი., იგორევი) — 229.
გორემიკინი, ი. ლ. — 4.
გორკი, მაქსიმ (პეშკოვი, ა. მ.) — 380 — 381.
გრედესკული, ნ. ა. — 184.
გრიგოლი — იხ. ზინოვიევი, გ. ე.
გრიმი (Grimm), რობერტ — 407, 422, 435 — 437, 494.
გურევიჩი, ე. ლ. (სმირნოვი, ე.) — 375, 379.
გუჩკოვი, ა. ი. — 451, 456, 496.

დ

დავიდი (David), ედუარდ — 119, 120.
დანი (გურვიჩი), თ. ი. — 178, 180, 232, 234, 237, 238, 248.
დანიელსონი, ნ. ფ. (ნ. — ონი) — 6.
დანსკი, ბ. გ. (კომაროვსკი, კ. ა., X) — 318, 323.
დებსი (Debs), იუჯინ ვიქტორ — 399, 402, 419.
დეიჩი, ლ. გ. — 75, 76.
დენისოვი, ვ. პ. (სევეოლოდი) — 232.
დესნიცკი, ვ. ა. (სოსნოვსკი) — 139.
დიტცი (Dietz), იოჰან ჰენრიხ ვილჰელმ — 4.
დიუპონი (Dupont), ეჟენ — 110.
დიური (Dürr), კარლ — 437.
დომბროვსკი (Dabrowski), იაროსლავ — 105.
დონალდი, ჯ. — 314.
დ'ორელ დე პალადინი — იხ. ორელ დე პალადინი, ლუი ჟან ბატისტ.
დუბროვინსკი, ი. თ. (ინოკენტი, ინოკი) — 245, 246, 247, 253.
დურნოვო, პ. ნ. — 184.

ე

ეგოროვი — იხ. ლევინი, ჯ. ფ.
ევგენი — იხ. ბრანდენბურგსკი, ი. ნ.
ევხევეი, ი. ტ. — 292.

ეზრა — იხ. როზენი, მ. მ.
ენგელსი (Engels), ფრიდრიხ — 29, 120, 231, 376, 392, 424, 425, 433, 434, 436, 441.
ერვე (Hervé), გუსტავ—207, 375.
ერმოლაევი, კ. მ. (რომანი)—245, 247, 253, 254.
ესენი, ა. მ. (კიტაევი, სტეპანოვი) — 131, 153, 154, 156.
ესენი, ე. ე. (ნ. ფ.) — 142.
ეფიმოვი — იხ. ნოსკოვი, ვ. ა.

ვ

ვ. ვ. — იხ. ვორონცოვი, ვ. პ.
ვ. ს. — იხ. ფილატოვი, ვ. ვ.
ვადიმი — იხ. პოსტოლოვსკი, დ. ს.
ვაინკოპი — (Wijnkoop), დავიდ — 396
ვალანტენი (Valentin) — ლუი ერნესტ — 104, 110.
ვალენტინოვი — იხ. პლეხანოვი გ. ვ.
ვალიანი (Vaillant), ედუარდ ალარი — 375, 400.
ვანდერველდე (Vandervelde), ემილ — 207, 375, 377, 393, 414.
ვარინი — იხ. ფრიდოლინი, ვ. ი.
ვარსკი (Warski), ადოლფ (ვარშავსკი, ა. ს.) — 352.
ვახლიევი — იხ. ლენგნიკი, ფ. ვ.
ვედერნიკოვი, ა. ს. — 468.
ვენდელი (Wendel), გერმან—374.
ვიაზემსკი — იხ. ლეიტეიზენი, გ. დ.
ვილიამსი (Williams), ტ. როსელი — 419.
ვილჰელმ I (ჰოჰენცოლერნი)— 101, 110.
ვილჰელმ II (ჰოჰენცოლერნი) — 433, 451, 453, 459, 485.
ვინიგი (Winnig), ავგუსტ — 397, 399.
ვინოგრადოვი, პ. გ. — 322, 323.
ვინუა (Vinoy), ჟოზეფ — 104, 110.
ვირთი (Wirth), ალბრეხტ — 433.
ვიტე, ს. ი. — 4, 42, 43, 184.
ვიქტორი — იხ. ტარატუტა, ვ. კ.
ვიშნევსკი — იხ. გოლდენბერგი, ი. პ.
ვლადიმიროვი, მ. კ. (შეინფინკელი, მ. კ., ლ. ვ.) — 371.
ვლასოვი — იხ. რიკოვი, ა. ი.
ვოინოვი — იხ. ლუნაჩარსკი, ა. ვ.
ვოლსკი, ს. ა. (სოკოლოვი, ა. ვ. სტანისლავი) — 232, 494, 49
ვორონინი, ი. ა. — 1.
ვორონცოვი, ვ. პ. (ვ. ვ.). — 5, 52.
ვრუბლევსკი (Wróblewski), ვ ლერი — 105.
ვსევოლოდი — იხ. დენისოვი, ვ. პ.

ზ

ზასულიჩი, ვ. ი. — 73.
ზიემელისი — 363.
ზიმინი — იხ. კრასინი, ლ. ბ.
ზინოვიევი (რადომილსკი), გ. ე. 224, 443, 449, 454, 490, 508—509.
ზიუდეკუმი (Südekum), ალბერტ 377, 413, 414.
ზურაბოვი, ა. გ. — 449.

თ

თოფურიძე, დ. ა. (კარსკი) — 7

ი

იაგელო (Jagiello), ე. ი. — 29 300, 324, 333, 334, 339.
იაკოვენკო, ვ. ი. — 6.
იანსონი (jansson), ვილჰელმ 441.
იანსონი (ბრაუნი), ი. ე. 357 358 — 359, 362.
ივანოვი — იხ. ბოგდანოვი, ა.
იგორევი — იხ. გორევი, ბ. ი.
ილინი — იხ. ლენინი, ვ. ი.
ინოკენტი — იხ. დუბროვინსკი, ი. თ.

ინოკი — იხ. დუბროვინსკი, ი. თ.
იონოვი (კოიგენი, ფ. მ.) — 251.
იხუვი, ი. ა. (მიხეილ) — 245, 247, 253.
იუან ში-კაი — 305.
იუდინი —იხ. აიზენშტადტი, ი. ლ.
იუზოვი (კაბლიცი, ი. ი.) — 6.
იუნიუსი — იხ. ლუქსემბურგი, როზა.
იური — იხ. ბრონშტეინი, პ. ა.
იური — იხ. კამენევი, ლ. ბ.
იჩახი, მ. მ. — 292.

კ

კაბლუკოვი, ნ. ა. — 506.
კავენიაკი (Cavaignac), ლუი ეუენ — 497.
კალინინი, ვ. —იხ. კარპინსკი, ვ. ა.
კამენევი, ლ. ბ. (როზენფელდი, ლ. ბ., იური) — 135, 238, 255, 508 — 509.
კარაულოვი, მ. ა. — 292, 293.
კარპინსკი, ვ. ა. (კალინინი, ვ.)— 177.
კარსკი — იხ. თოფურიძე, დ. ა.
კასო, ლ. ა. — 259.
კატკოვი, მ. ნ. — 493.
კაუცკი (Kautsky), კარლ — 72, 120, 175, 213, 244, 272, 345, 346, 347, 348, 352, 354, 355, 374, 377, 378, 396, 402, 403, 410, 411, 414, 427, 430, 433, 438.
კველჩი (Quelch), ჰარი — 264.
კვიტკინი, ო. ა. (პეტროვი) — 154, 163.
კეირ-ჰარდი — იხ. ჰარდი.
კერენსკი, ა. ფ. — 492, 496, 497.
კიტაევი — იხ. ესენი, ა. მ.
კლავკი (Klawki), კარლ — 119, 120.
კლემანსო (Clemenceau), ჟორჟ ბენჟამენ — 215.
კნუნიანცი, ბ. მ. (რუსოვი) — 79.
კოვალევსკი, მ. მ. — 321.
კოზმინიხ-ლანინი, ი. მ. — 366. — 369.
კოლონტაი, ა. მ. — 407.
კომპერ-მორელი (Compère-Morel), ადეოდატ კონსტანადოლფ— 375.
კონიაგინი — იხ. გალპერინი, ლ. ე.
კონოვალოვი, ა. ი. — 307, 308, 309.
კონოვალოვი ი. ა. (ნიკოლაი) — 179.
კოსტროვი — იხ. ჟორდანია, ნ. ნ.
კრამოლნიკოვი, გ. ი. — 153.
კრახიკოვი, პ. ა. (ბელსკი) — 145, 150, 154.
კრასინი, ლ. ბ.* (ზიმინი, ნიკიტა)— 141, 253.
კრილენკო, ნ. ვ. — 504.
კრიმოვი, მ. დ. — 455.
კრინევსკი, ბ. ნ. — 235.
კრუპსკაია, ნ. კ. — 356, 439.
კრუშევანი, პ. ა. — 187.
კუზნეცოვი — იხ, ლიტვინოვი, მ. მ.

ლ

ლ. ვ. — იხ. ელადმიროვი, მ. კ.
ლ. მ. — იხ. მარტოვი, ლ.
ლანგე — იხ. სტოპანი, ა. მ.
ლარინი, ი. (ლურიე, მ. ა.) — 179, 193—195, 257, 398, 504—505.
ლატიშევი —იხ. ლიტვინოვი, მ. მ.
ლაშევიჩი, მ. მ. — 455.
ლევი (Levi) (პარტშტაინი) პაულ— 444.
ლევინი, ე. ი. (ეგოროვი) — 74.
ლევინსკი, ვ. — 381.
ლედებური (Ledebour), გეორგ— 391.
ლედერი, ვ. ლ. — 375.
ლედრიუ-როლენი (Ledru-Rollin), ალექსანდრ ოგიუსტ—174.
ლეიტეიზენი, გ. დ. (ვიაზემსკი, ლინდოვი) — 245, 246, 251.
ლეკონტი (Leconte), კლოდ მარტინ — 104, 110.
ლეკუტე (Lecouteux), ედუარდ— 121.

ლენგნიკი, ფ. ვ. (ვასილიევი) — 93, 94, 97.

ლენინი, ვ. ი. (ულიანოვი, ვ. ი., ილინი) — 42, 46, 89, 90—92, 93, 94, 95, 96, 97, 113, 114, 115, 117, 125—127, 131, 132—133, 135, 138, 144, 145, 152, 153, 155, 162, 163, 181, 225, 227, 228, 229, 230, 232, 233—234, 235, 236, 237, 262, 263, 271—273, 274, 286, 357, 359, 360, 361—362, 391—392, 407, 408, 441—442, 443, 444, 445, 449—451, 452, 454, 468, 469, 481, 482, 483—484, 489—490, 491, 493, 508—509.

ლენჩი (Lensch), პაულ—433, 434.

ლეონოვი — იხ. ცნაკია, მ. გ.

ლეპეშინსკი, პ. ნ. (ოლინი) — 117.

ლეშჩინსკი, მ. ხ. (მოროზოვი)—135.

ლიადოვი (მანდელშტამი), მ. ნ.—70, 71, 117, 153, 229, 232, 235.

ლიაფარგი, ფრანსუა — 314.

ლიბერი, მ. ი. (გოლდენბერგი, მ. ი., ბელი) — 69, 202, 251, 252.

ლიბკნეხტი (Liebknecht), ვილჰელმ — 313.

ლიბკნეხტი (Liebknecht), კარლ — 376, 385, 393, 395, 398, 399, 418, 426, 437, 492.

ლინდოვი — იხ. ლეიტეიზენი, გ. დ.

ლიტვინოვი, მ. მ. (ქუზნეცოვი, ლატვიელი) — 153, 154.

ლისაგარე (Lissagaray), პროსპერ ოლივიე — 105.

ლიუბიჩოვი, ა. ი. (მარკი) — 135, 136.

ლიუბიჩი — იხ. სამერი, ი. ა.

ლიუქსენბურგი (Luxemburg), როზა (იუნიუსი, Junius) — 235, 263, 264, 271—278, 327, 431, 432, 434, 435.

ლოიდ ჯორჯი (Lloyd George), დევიდ — 401.

ლომთათიძე, ვ. ბ. — 342—344.

ლონგე (Longuet), ჟან—396, 403, 411.

ლოპატინი, გ. ა. — 351.

ლუი-ფილიპი (Louis Philippe)—102.

ლუნაჩარსკი, ა. ვ. (ვოინოვი)—141, 145, 159, 206—207, 234 491.

ლუცატი (Luzzatti), ლუიჯი — 373.

მ

მავრინი, ი. ფ. — 455.

მაკარი — იხ. ნოგინი, ვ. პ.

მაკდონალდი (Macdonald), ჯეიმს რამსეი — 375, 379.

მაკლინი (Maclean), ჯონ — 450.

მალეცკი, ა. მ. — 273, 370.

მალიხოვსკი, რ. ვ. — 291, 299.

მახუილოვი, ა. ა. — 321.

მარატი — იხ. შანცერი, ვ. ლ.

მარკი — იხ. ლიუბიმოვი, ა. ი.

მარკოვი, ნ. ე. (მარკოვი მე-2)—265.

მარტოვი, ლ. (ცედერბაუმი, ი. ო., ბერგი, ლ. მ.) — 8, 38, 39, 52, 75, 76, 78, 79, 91, 92, 93, 95, 96, 111, 113, 116, 173, 179, 189, 199, 232, 234, 235, 248, 271, 272, 335, 361—362, 380, 398, 399, 403, 411, 422, 489.

მარტინოვი, ა. (პიკერი, ა. ს.)—28, 33, 36, 41, 71, 76, 77, 166, 229, 253,

მარქსი (Marx), კარლ — 5, 29, 110, 120, 165, 166, 173, 231, 351, 392, 424, 433, 464.

მასლოვი, პ. ბ. — 375, 427.

მასლოვი, ხ. ლ. — 508.

მაქსიმოვი — იხ. ბოგდანოვი, ა. ა.

მედემი (გრინბერგი), ვ. დ.—353, 354, 356.

მენშიკოვი, მ. ო. — 495.

მერჰეიმი (Merrheim), ალფონს—400.

მერინგი (Mehring), ფრანც—376,

მერშჩიი, პ. ფ. — 292.
მეშკოვსკი — იხ. გოლდენბერგი, ი. პ.
მილიუკოვი, პ. ნ. — 308, 309, 321, 456, 466.
მიულბურგი — 314.
მიხა — იხ. ცხაკაია, მ. გ.
მიხაილოვი — იხ. პოსტალოვსკი, დ. ს.
მიხაილოვი, ნ. ნ. — 1—2.
მიხაილოვსკი, ნ. კ. — 5—6.
მიხელი — იხ. ისუფი, ი. ა.
მოლკენბური (Molkenbuhr), გერმან — 263.
მორგარი (Morgary), ოდინო—412, 436.
მოროზოვი — იხ. ლეშჩინსკი, მ. ს.
მოროზოვი, ტ. ს. — 123.
მურანოვი, მ. კ. — 299.

ნ

ნ. — ონი — იხ. დანიელსონი, ნ. ფ.
ნ. ფ. — იხ. ესენი, ე. ე.
ნაპოლეონი III(ბონაპარტი, ლუი)— 101, 106, 107, 109.
ნატანსონი, მ. ა. — 489 — 490.
ნიეტა — იხ. კრასინი, ლ. ბ.
ნიკოლოლაი — იხ. კონოვალოვი, ი. ა.
ნიკოლოზ II (რომანოვი) — 284, 289, 485.
ნობელი (Nobel) — 314.
ნოგინი, ვ. პ. (მაკარი) — 245, 246, 251, 253, 461.
ნორსი — 314.
ნოსკოვი, ვ. ა. (გლებოვი, ეფიმოვი) — 76, 93, 94, 114, 116, 117, 134, 136.

ო

ობუხოვი, ვ. მ. (კამსკი) — 145.
ოლონი — იხ. ლეპეშინსკი, პ. ნ.
ოლღა — იხ. რავიჩი, ს. ნ.
ორელ დე პალადინი (Aurelle de Paladines), ლუი ჟან ბატისტ— 104, 110.
ორნატსკი — იხ. ჩიჩერინი, გ. ვ.

პ

პავლენკოვი, თ. თ. — 357.
პალადინი — იხ. ორელ დე პალადინი.
პანეკუკი (Panneckoek), ანტონ— 347, 428, 438.
პარვუსი (Parvus) (გელფანდი, ა. ლ.) — 137, 173.
პატუიე (Patuoillet), ჯოზეფ—432, 433, 434.
პერნერსტორფერი (Pernerstorfer), ენგელბერტ — 398, 402.
პეტრე — იხ. რამიშვილი, ნ. ვ.
პეტროვი — იხ. კეიტკინი, ო. ა.
პეტროვსკი, გ. ი. — 291, 504.
პეტრუნკევიჩი, ი. ი. — 173.
პიატაკოვი, გ. ლ. — 407.
პიკარი (Picard), ლუი ჟოზეფ ერნესტ — 102.
პისარევი, დ. ი. — 6.
პლატენი (Platten), ფრიდრიხ (ფრიც) — 441, 443—444, 450.
პლეხანოვი, გ. ვ. — (ვალენტინოვი) — 8, 10, 12, 26—46, 89, 94, 96, 111, 112, 125, 126, 189, 195, 206, 234, 235, 238, 263, 275, 279, 280, 297, 312—313, 327, 328, 333, 339, 370, 375, 392, 396, 402, 414, 458, 459, 483.
პოკროვსკი, ვ. ი. — 328—330.
პოკროვსკი, მ. ნ. — 505.
პოლეტაევი, ნ. გ. — 237.
პოხტოლოვსკი, დ. ს. (ვადიმი, მიხაილოვი) — 141, 158, 238.
პოტრესოვი ა. ნ. (სტაროვერი)— 79, 126, 234, 312, 313, 427, 429, 430, 441.
პრესმანი (Pressemanne), ადრიენ— 403, 411.
პრუდონი (Proudhon), პიერ ჟოზეფ — 347.
პურიშკევიჩი, ვ. მ. — 308, 323.

ჟ

ჟიტლოვსკი, ხ. ი. — 48.
ჟორდანია, ნ. ნ. (ანი, კოსტროვი) — 72, 189, 246, 247, 253, 362.
ჟორესი (Jaurès), ჟან — 371, 374.
ჟუო (Jouhaux) — 400.

რ

რ. ნ. ს. — იხ. სტრუვე, პ. ბ.
რაბინოვიჩი — 358.
რაგიჩი, ხ. ნ. (ოლღა) — 132.
რადეკი, კ. ბ. — 271, 278, 391, 407, 428.
რამიშვილი, ნ. ვ. (პეტრე) — 225, 228, 247, 253.
რაპოპორტი (Rappoport), შარლ — 327.
რასპუტინი (ნოვიხ), გ. ე. — 371.
რახელი (Russel), ჩარლზ ედვარდ — 398, 402.
რემი (Remy), ლეონ — 194.
რენოდელი (Renaudel), პიერ — 414.
რიაზანოვი, დ. ბ. (გოლდენდახი, დ. ბ., ბუკეოედი) — 5—6 402.
რიბკინი — 163.
რიკოვი, ა. ი. (ვლასოვი, სერგეევი) — 150, 153, 240.
რისლევი, ა. ი. — 291.
რიულე (Rühle), ოტო — 395, 397, 398, 400, 418.
როზენი, მ. მ. (ეზრა) — 224, 225.
როკინი (Rocquigny), რობერ — 119, 121.
როფკოვი, ნ. ა. — 247, 257.
როძიანკო, მ. ვ. — 308.
როლანდ ჰოლსტი (Roland Holst), ჰენრიეტა — 396.
როლანი (Rolland), რომენ — 439.
რომანი — იხ. ერმოლაევი, კ. მ.
რომანოვები — 283.
რუ — იხ. გალპერინი, ლ. ე.
რუბანოვიჩი, ი. ა. — 215.
რუგე (Ruge), არნოლდ — 424.
რუმიანცევი, პ. პ. (შმიდტი) — 146, 157—153, 179.
რუსანოვი, ა. ნ. — 291.
რუსოვი — იხ. კნუნიანცი, ბ. მ.

ს

საზონოვი, ს. დ. — 284.
სამერი, ი. ა. (ლიუბიჩი) — 247, 253.
სამოილოვი, თ. ნ. — 291.
საფაროვი, გ. ი. — 407.
სერგეევი — იხ. რიკოვი, ა. ი.
სერატი (Serrati), ჯაჩინტო მენოტი — 393.
სვერდლოვი, ი. მ. — 509.
სიუზანი (Susanne), ლუი — 103.
სკვორცოვი, ა. ი. — 44.
სკობელევი, მ. ი. — 291, 492.
სმირნოვი, ე. — იხ. გურევიჩი, ე. ლ.
სოკოლნიკოვი, გ. ი. — 468, 509.
სოლოვეოვი — 479, 481, 482.
სომონო (Saumoneau), ლუიზა — 401.
სოსნოვსკი — იხ. დესნიცკი, ვ. ა.
სტალინი (ჯუღაშვილი), ი. ბ. — 509.
სტანისლავი — იხ. ვოლსკი, ს. ა.
სტაროვერი — იხ. პოტრესოვი, ა. ნ.
სტაუნინგი (Stauning), ტორვალდ ავგუსტ მარინუს — 460, 461.
სტეკლოვი, ი. მ. — 237.
სტეპანოვი — იხ. ესენი, ა. მ.
სტოლიპინი, პ. ა. — 220, 251, 258.
სტოპანი, ა. მ. (ლანგე) — 71.
სტრახოვი — იხ. ტახტარიოვი, კ. მ.
სტრიომი (Ström), ფრედერიკ — 442.
სტრუვე, პ. ბ. (რ. ნ. ს.) — 3—4, 51, 79, 159, 345, 380, 381, 433.
სუდაკოვი, ჰ. ი. — 286 — 287.

ხუნ იატ-სენი — 304—306.
ხუხანოვი, ნ. (კომერი, ნ. ნ.) — 406.
ხუშონი (Souchon), ოგიუსტ — 120.

ტ

ტალალაევი, ვ. ტ. — 2.
ტარატუტა, ვ. კ. (ვიქტორი) — 253.
ტახტარიოვი, კ. მ. (სტრახოვი) — 68.
ტენანტი, ჰაროლდ — 314.
ტიერი (Thiers), ადოლფ — 102, 103, 106, 110.
ტიშკა (Tyszka), იან (იოგიხესი, ლეო) — 275.
ტკაჩევი, პ. ნ. — 6.
ტომა (Thomas), ალბერ — 422.
ტომა (Thomas), კლემან — 104, 110.
ტომსკი, მ. პ. — 490.
ტრეველიანი (Trevelyan), ჩარლზ ფილიპს — 378.
ტრევესი (Treves), კლაუდიო — 400, 411, 414.
ტრეპოვი, დ. თ. — 183.
ტრირი (Trier), გერსონ — 461.
ტროცკი (ბრონშტეინი), ლ. დ. — 256, 262, 263, 363, 389, 396, 398, 450, 504.
ტროშიუ (Trochu), ლუი ჟიულ — 102, 103, 108, 110.
ტრულსტრა (Troelstra), პიტერ იელეს — 400.
ტულიაკოვი, ი. ნ. — 291.
ტურგენევი, ი. ს. — 274.

უ

ულიანოვი, ა. ი. — 484.
ულიანოვი, ვ. ი. — იხ. ლენინი ვ. ი.
უორიცკი, მ. ს. (ბორეცკი) — 398, 399.

ფ

ფავრი (Favre), ჟიულ — 102, 103, 108, 110.
ფერი (Ferry), ჟიულ — 102.
ფილატოვი, ვ. ვ. (ვ. ს.) — 144— 145.
ფინდლი (Findley) — 314.
ფირსოვი, კ. კ. — 292.
ფიშერი (Fisher), რიჰარდ — 275, 376, 377.
ფოიერბახი (Feuerbach); ლუდვიგ ანდრეას — 231.
ფოლმარი (Vollmar), გეორგ ჰენრიხ — 207.
ფორტუნატოვი, კ. ა. — 353.
ფრანკი (Fran), ლუდვიგ — 379.
ფრანკელი (Frankel), ლეო — 105.
ფრიდოლინი, ვ. ი. (ვარინი) — 406.
ფრიჩი — 314.

შ

შაგოვი, ნ. რ. — 291.
შალიაპინი, თ. ი. — 380.
შანცერი, ვ. ლ. (მარატი) — 234, 235, 236, 240.
შეიდემანი (Scheidemann), ფილიპ — 459.
შინგარიოვი, ა. ი. — 452, 466, 478.
შლიაპნიკოვი, ა. გ. (ალექსანდრე)— 406.
შმიდტი — იხ. რუმიანცევი, პ. პ.
შნეებერგერი (Schneeberger), ფრიდრიხ ოსკარ — 437.
შტუმპფე (Stumpfe), ე. — 120.

ჩ

ჩერევანინი, ნ. (ლიპკინი, თ. ა.) — 172, 173.
ჩერნიშევსკი, ნ. გ. — 231.
ჩერნოვი, ვ. მ. — 37, 313, 495, 497, 506, 507.

ჩიჩერინი, გ. ვ. (ორნატსკი) — 397.
ჩხეიძე, ნ. ხ. — 291, 398, 411, 414, 441, 443, 473.
ჩხენკელი, ა. ი. — 291.

ც

ცეტკინი (Zetkin), კლარა — 205 — 209, 392.
ცხაკაია, მ. გ. (ლეონოვი, მიხა) — 134, 135, 234, 443.

ძ

ძერჟინსკი, ფ. ე. — 509.

წ

წერეთელი, ი. გ. — 469; 497 — 498.

ხ

ხაუსტოვი, ვ. ი. — 291.
ხომიაკოვი, ნ. ა. — 236.

ჯ

ჯაფარიძე, პ. ა. (გოლუბინი) — 168.

ჰ

ჰააზე (Haase), ჰუგო — 335, 376, 403, 411, 414.
ჰაბსბურგები (Habsburg) — 283, 284.
ჰაინდმანი (Hyndman), ჰენრი მაიერს — 375, 397, 401, 414.
ჰარდი (Hardie) ჯეიმს კეირ — 375, 377.
ჰარტშტაინი — იხ. ლევი, პაულ.
ჰეგარდი (Haggard), ჰენრი რაიდერ — 121.
ჰეგელი (Hegel), გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ — 231.
ჰეგლუნდი (Höglund), კარლ ცეტ კონსტანტინ — 400.
ჰელმანი — 468.
ჰერცი (Hertz), ფრიდრიხ ოტო — 48, 53.
ჰეხტი (Hecht), მორიც — 120.
ჰილკვიტი (Hillquit), მორის — 398, 402, 403.
ჰილფერდინგი (Hilferding), რუდოლფ — 427, 430, 432.
ჰოუსმანსი (Huysmans), კამილ — 336, 396, 403, 410, 421.
ჰოფმანი (Hoffmann), არტურ გერმან, — 494.
ჰუბახი (Hubach), კ. — 121.
ჰუშკე (Huschke), ლეო — 121.

A

Adler, V. — იხ. ადლერი, ვ.
Askew — იხ. ასკიუ.
Auhagen — იხ. აუჰაგენი.
Axelrod — იხ. აქსელროდი.

B

Baudrillart — იხ. ბოდრილიარი.
Berger — იხ. ბერგერი.
Bernstein — იხ. ბერნშტეინი.
Borchardt — იხ. ბორხარდტი.
Brizon — იხ. ბრიზონი.

C

Compère-Morel — იხ. კომპერ-მორელი.

D

Debs — იხ. დებსი.
Dürr — იხ. დიურრი.

E

Engels — იხ. ენგელსი.

F

Fischer — იხ. ფიშერი.
Frank — იხ. ფრანკი.

H

Haase — იხ. ჰააზე.
Haggard — იხ. ჰეგარდი.
Hardie kair — იხ. ჰარდი.
Hecht — იხ. ჰეხტი.
Hervé — იხ. ერვე.
Hillquit — იხ. ჰილკვიტი.
Hubach — იხ. ჰუბახი.
Huschke — იხ. ჰუშკე.
Huysmans — იხ. ჰიუსმანსი.
Hyndman — იხ. ჰაინდმანი.

J

Jaurès — იხ. ჟორესი.
Jouhaux — იხ. ჟუო.
Junius — იხ. ლუქსემბურგი.

K

Kautsky — იხ. კაუტსკი.
Kair-Hardie — იხ. ჰარდი.
Klawki — იხ. კლავკი.

L

Lecouteux — იხ. ლეკუტე.
Ledru-Rollin — იხ. ლედრიუ-როლენი.
Liebknecht — იხ. ლიბკნეხტი, კარლ.
Lloyd George — იხ. ლოიდ ჯორჯი.
Longuet — იხ. ლონგე.
Luzzatti — იხ. ლუცატი.

M

Marx — იხ. მარქსი.
Mehring — იხ. მერინგი.
Merrheim — იხ. მერჰეიმი.
Morgary — იხ. მორგარი.

P

Panneckoek — იხ. პანეკუკი.
Parvus — იხ. პარვუსი.
Patouillet — იხ. პატუიე.
Pernerstorfer—იხ. პერნერსტორფერი.
Pressemanne — იხ. პრესმანი.

R

Roland Holst — იხ. როლანდ-ჰოლსტი.
Rollard, R. — იხ. როლანი.
Rühle — იხ. რიულე.
Russel — იხ. რასელი.

S

Saumoneau — იხ. სომონო.
Schneeberger — იხ. შნეებერგერი.
Stumpfe — იხ. შტუმპფე.
Südekum — იხ. ზიუდეკუმი.

T

Trevelyan — იხ. ტრეველიანი.
Treves — იხ. ტრევესი.

V

Valliant— იხ. ვალიანი.

W

Wendel — იხ. ვენდელი.
Wijnkoop — იხ. ვაინკოპი.
Williams — იხ. ვილიამსი.
Winnig — იხ. ვინიგი.
Wirth — იხ. ვირთი.

X

X — იხ. დანსკი.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1896 — 1904 წლები.

ცნობა „მოხუცებების" სახელით პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" წევრებს 1—2

სტრუვესთან შეთანხმების პროექტისათვის . . . . . 3—4

საიდუმლო დოკუმენტი 4

შენიშვნები რიაზანოვის სტატიისათვის „ორი სიმართლე" . 5—7

ვასალები რსდმ პარტიის პროგრამის შემუშავებისათვის . . . . . 7—26

1. პროგრამის პროექტის პრაქტიკული ნაწილის ცალკეული პუნქტების მონახაზი 7

2. კლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის კონსპექტი და მისი ზოგიერთი შესწორება 8

3. კლეხანოვის პროგრამის პირველი პროექტის I და II აბზაცების ჩანაწერი და პროგრამის თეორიული ნაწილის პირველი აბზაცის მონახაზი 12

4. პროგრამის პროექტის თეორიული ნაწილის თავდაპირველი ვარიანტი 13

5. პროგრამის პროექტის ბეგმის მონახაზები . . . 16

6. პროგრამის პროექტის აბრარული ნაწილისა და დასკვნის თავდაპირველი ვარიანტი 19

7. პროგრამის პროექტის მონახაზები 21

8. პროგრამის პროექტის აბრარული და საფაბრიკო ნაწილების დამატებანი 25

პასუხები კლეხანოვისა და აჭსელროდის შენიშვნებზე სტატიისათვის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აბრარული პროგრამა“ . . . . . 26—46

შესავალი რსდმ პარტიის დონის კომიტეტის პროკლამაციისათვის „რუსეთის მოჭალაქეებს“ 46

შესავალი პროკლამაციისათვის „მთელი რუსეთის მოჭალაქეებს“ 47

ჩეზმა ბროშურისა ესერების წინააღმდეგ . . . . . 47—56

რსდმ პარტიის II ყრილობა. 1903 წლის 17 (30) ივლისი — 10 (23) აგვისტო . . . . . 57—79

1. რსდმ პარტიის II მორიგი ყრილობის პროგრამა . . 57

2. გამოსვლები ყრილობის განსახილველი საკითხების ნუსხაზე მსჯელობისას. 17 (30) ივლისი . . 66

1. 66

2. 66

3. გამოსვლა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების საკითხზე. 18 (31) ივლისი 66

4. გამოსვლა ყრილობაში პოლონელ სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობის საკითხის გამო. 18 (31) ივლისი 67

5. გამოსვლა პარტიის პროგრამის ზოგადი ნაწილის განხილვისას. 29 ივლისი (11 აგვისტო) . 67

6. გამოსვლები პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების განხილვისას. 30 ივლისი (12 აგვისტო) 68

1. 68

2. 68

3. 68

7. გამოსვლა პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების განხილვისას. 31 ივლისი (13 აგვისტო) 68

8. წინადადებანი პარტიის პროგრამის ზოგადპოლიტიკური მოთხოვნების პუნქტებისათვის 69

9. გამოსვლები პარტიის პროგრამის იმ ნაწილის განხილვისას, რომელიც მუშათა დაცვას შეეხება. 31 ივლისი (13 აგვისტო) 69
1. 69
2. 70

10. გამოსვლები აგრარული პროგრამის განხილვისას. 1 (14) აგვისტო 70
1. 70
2. 71
3. 71
4. 71
5. 72
6. 72
7. 72

11. გამოსვლა პარტიის წესდების განხილვისას. 2 (15) აგვისტო 73

12. გამოსვლები პარტიის წესდების განხილვისას. 4 (17) აგვისტო 73
1. 73
2. 73
3. 74
4. 74
5. 74

13. პარტიის წესდების პროექტის § 12-ის დამატება . 75

14. გამოსვლები პარტიის წესდების განხილვისას. 5 (18) აგვისტო 75
1. 75
2. 76
3. 76
4. 76

15. პროექტი რეზოლუციისა მარტინოვისა და აკიმოვის განცხადების გამო 76

16. გამოსვლები მარტინოვისა და აკიმოვის განცხადების განხილვისას. 5 (18) აგვისტო 77
1. 77
2. 78

17. დამატება მარტოვის რეზოლუციისათვის რსდმ პარტიიდან გუნდის გასვლის შესახებ 78

18. გამოსვლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს. 7 (20) აგვისტო 79

19. გამოსვლა ლიგერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ პოტრესოვის (სტაროვერის) რეზოლუციის განხილვისას. 10 (23) აგვისტო 79

კანონი დასაბრუნებისაგან დაზარალებული მუშებისათვის საზღაურის მიცემის შესახებ . . . . . 80—89

რსდმ პარტიის II ყრილობის საოქმო კომისიას . . . 89
რსდმ პარტიის II ყრილობის საოქმო კომისიას 90

„რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის“ II ყრილობა. 1903 წლის 13—18 (26—31) ოქტომბერი . . . . . 90—93

1. შენიშვნები დღის წესრიგის გამო. 13 (26) ოქტომბერი 90
1. 90
2. 90
3. 91

2. წინასწარი შენიშვნა მოხსენებისათვის რსდმ პარტიის II ყრილობის შესახებ. 13 (26) ოქტომბერი . . 91

3. განცხადება მარტოვის მოხსენების გამო. 16 (29) ოქტომბერი 91

4. ლიგის წესდების განხილვის დროს წარმოთქმული სიტყვები. 17 (30) ოქტომბერი 92
1. 92
2. 92

5. გამოსვლა ლიგის წესდების შესახებ რეზოლუციებისათვის კენჭისყრის შედეგების გამო. 17 (30) ოქტომბერი 93

პარტიის საბჭოს დადგენილება. ჟენევა. 1903 წლის 1 ნოემბერი . . . . . 93—94

რსდმ პარტიის საბჭო. 1904 წლის 15—17 (28—30) იანვარი . . . . . 94—97

1. შენიშვნები დღის წესრიგის გამო. 15 (28) იანვარი 94

2. შენიშვნები დღის წესრიგის გამო. 16 (29) იანვარი 94
1. 94
2. 95
3. გამოსვლა პარტიაში მშვიდობის დამყარების შესახებ რეზოლუციის პროექტით. 16 (29) იანვარი . 95
4. გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ განსაკუთრებული აზრის შეტანის გამო. 17 (30) იანვარი 95
5. გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა განსაკუთრებული აზრის დასაცავად. 17 (30) იანვარი 96
6. შენიშვნა დღის წესრიგის გამო. 17 (30) იანვარი 97
7. 17 (30) იანვარს შეტანილი რეზოლუციის პროექტი 97
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან . . . . . 97—98
რუსეთის პროლეტარიატს . . . . . 98—100
სამი კონსპექტი მოხსენებისა პარიზის კომუნის შესახებ . 101—110
1. 101
2. 107
3. 109
რსდმ პარტიის საბჭო. 1904 წლის 31 მაისი და 5 ივნისი (13 და 18 ივნისი) . . . . . 111—117
1. შენიშვნა დღის წესრიგის გამო. 31 მაისი (13 ივნისი) 111
2. სიტყვები პარტიათაშორისი კონფერენციის შესახებ. 31 მაისი (13 ივნისი) 111
1. 111
2. 111
3. სიტყვები რსდმ პარტიის წარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. 31 მაისი (13 ივნისი) 112
1. 112
2. 112
3. 112
4. შენიშვნა „ჟნჩაკისტთა“ გაზეთისადმი კონტროლის საჭიროების შესახებ. 31 მაისი (13 ივნისი) . 113

5. გამოსვლა შესწორებით მარტოვის რეზოლუციის გამო ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტის იმ უფლების შესახებ, რომ გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენლები პარტიის საბჭოდან. 5 (18) ივნისი 113

6. სიტყვა კომიტეტებში კოოპტაციისა და ცენტრალური კომიტეტის იმ უფლების შესახებ, რომ შეიყვანოს ამ კომიტეტებში ახალი წევრები. 5 (18) ივნისი 114

7. სიტყვები რსდმ პარტიის III ყრილობის მოწვევის საკითხის გადაწყვეტისას ხმის მიცემის წესის შესახებ. 5 (18) ივნისი 114
1. 114
2. 115
3. 115
4. 116

8. გამოსვლები პარტიის საბჭოს სხდომათა ოქმების გამოქვეყნების საკითხის გამო. 5 (18) ივნისი . 116
1. 116
2. 116
3. 117

განცხადება რსდმ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლების რწმუნებათა გადაცემის შესახებ 117

უმრავლესობის ჟენევის ჯგუფის რეზოლუციის პროექტი . 117—119

გეგმები სტატიისა „გლეხობა და სოციალ-დემოკრატია“ . 119—121
1. 119
2. 120

გეგმა პროპაგანდისტული საუბრისა კრიზისების შესახებ . 122—123

გეგმა სამი საუბრისა სოციალ-დემოკრატიული პროგრამის შესახებ . . . . . 123—124

„ვპერიოდის“ რედაქციის შენიშვნა კეტერბურგელი კორესპონდენტის წერილის გამო . . . . . 124—125

მონახაზი თეზისებისა სტატიისათვის „როგორ იცავენ ისინი თავს?“ . . . . . 125—127

ჟენევაში რსდმ პარტიის ბიბლიოთეკის დამფუძნებელ ინიციატორთა ჯგუფის განცხადება 127

1905—1910 წლები

ბეგმა სტატიისა „1895 და 1905 (პატარა პარალელი)" . . 128—130

საბრძოლო შეთანხმება აჯანყებისათვის და საბრძოლო კომიტეტის შექმნა . . . . . 130—131

ბოლშევიკთა ჟენევის კლუბში წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერები. 1905 წლის 5 მარტის ოქმი . . . 131—133

I. 131

II. 132

III. 132

„პეტერბურგის" რედაქციის შენიშვნა სანქტ-პეტერბურგის ლიტონის ქარხნის მუშათა ჯგუფის რეზოლუციისათვის . 133

რსდმ პარტიის III ყრილობა. 1905 წლის 12—27 აპრილი (25 აპრილი — 10 მაისი) . . 134—163

1. პროექტი III ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენლობის შესახებ 134

2. პროექტი საორგანიზაციო კომიტეტის რეზოლუციისა ყრილობის კონსტიტუირების შესახებ 137

3. გამოსვლა სამანდატო კომისიის მოხსენების გამო ყრილობაზე უპასუხანის კომიტეტის წარმომადგენლობის შესახებ. 13 (26) აპრილი 138

4. შესწორება სამანდატო კომისიის წინადადებისათვის ყრილობაზე უპასუხანის კომიტეტის წარმომადგენლობის საკითხის გამო. 13 (26) აპრილი 139

5. გამოსვლა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების განხილვის საკითხზე. 13 (26) აპრილი . . . 139

6. პროექტი რეზოლუციისა საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენების განხილვის შესახებ 140

7. III პარტიული ყრილობის დღის წესრიგის პროექტი . 140

8. გამოსვლა ყრილობის დღის წესრიგის განხილვისას. 13 (26) აპრილი 141

9. გამოსვლა ყრილობის მუშაობის წესის განხილვისას. 13 (26) აპრილი 142

10. გამოსვლა რეზოლუციის პროექტის შეტანით დელეგატთა მოხსენებების გადმსინჯველი და რეზოლუციათა პროექტების მოსამზადებელი კომისიების არჩევის შესახებ. 13 (26) აპრილი 143

11. განცხადება ყრილობის სამანდატო კომისიას . . 143

1. 143

2. 144

12. გამოსვლა სამანდატო კომისიის მოხსენების განხილვისას. 14 (27) აპრილი 145

13. პროექტი რეზოლუციისა ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცების შესახებ 145

14. პროექტი რეზოლუციისა ყრილობაზე საკითხებისათვის კენჭისყრის წესის შესახებ 146

15. შენიშვნები რუმიანცევის რეზოლუციის პროექტის გამო რსდმ პარტიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე 146

16. თეზისები რეზოლუციისა დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ 147

17. გამოსვლა რსდმ პარტიის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე რეზოლუციის განხილვისას. 19 აპრილი (2 მაისი) 150

18. გამოსვლები რევოლუციისწინა მომენტში მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვისას. 19 აპრილი (2 მაისი) 150

1. 150

2. 150

19. რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ 151

20. ყრილობის პრეზიდიუმს 152

21. კონსპექტი სიტყვისა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშებისა და ინტელიგენტების დამოკიდებულების საკითხზე 153

22. გამოსვლა პარტიის წესდების განხილვისას. 21 აპრილი (4 მაისი) 153

1. 153
2. 153
3. 154
4. 154
5. 154
6. 154
7. 154
8. 154

23. გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის სახელით კრებების შესახებ რეზოლუციის პროექტის განხილვისას. 21 აპრილი (4 მაისი) 155

24. გამოსვლა ქალაქის კომიტეტის წარმომადგენლობის შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენების გამო. 22 აპრილი (5 მაისი) 155

25. გამოსვლა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშების და ინტელიგენტების დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციათა პროექტების განხილვისას. 22 აპრილი (5 მაისი) 156

26. გამოსვლები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პერიოდული კონფერენციების შესახებ პარტიის წესდების მიმართ დამატებითი რეზოლუციის განხილვისას. 22 აპრილი (5 მაისი) 156
1. 156
2. 157

27. პროექტი რეზოლუციისა პარტიას ჩამოშორებული ნაწილის შესახებ 157

28. გამოსვლა პარტიას ჩამოშორებული ნაწილის შესახებ რუმიანცევის რეზოლუციის გამო. 23 აპრილი (6 მაისი) 157

29. გამოსვლა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის განხილვისას. 23 აპრილი (6 მაისი) 158

30. გამოსვლა ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხზე. 23 აპრილი (6 მაისი) 159

31. გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის სახელით შესახებ მოხსენების გამო. 25 აპრილი (8 მაისი) 159

32. წინადადება ცენტრალურ კომიტეტში არჩევნების წესის შესახებ. 25 აპრილი (8 მაისი) . . . 160

33. პროექტი რეზოლუციისა, თუ როდის შეუდგება ცენტრალური კომიტეტი მოვალეობის შესრულებას 160

34. გამოსვლა რსდმ პარტიის III ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ. 25 აპრილი (8 მაისი) . . 161

35. შესწორებანი რეზოლუციის პროექტისათვის პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ 161

36. გამოსვლები კავკასიის ამბების გამო რეზოლუციის განხილვისას. 26 აპრილი (9 მაისი) . . . 162

1. 162

2. 163

გეგმა მოხსენებისა რსდმ პარტიის III ყრილობისა და მისი გადაწყვეტილებების შესახებ . . . . . 163—165

შენიშვნები სტატიისათვის „დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ“ . . . . . 165—166

პარტიის გათიშვის ნარკვევი . . . . . 166—167

უკანასკნელი ცნობები . . . . . 167—168

რსდმ პარტიის III ყრილობის ოქმების გამომცემელი კომისიის შენიშვნა ოქმების ტექსტისათვის . . . . . 168—169

ფურცლის პროექტი . . . . . 169—170

მონახაზი იმისა, თუ რით განსხვავდება ბულიგინის სათათბიროსადმი ბოლშევიკთა და მენშევიკთა ტაქტიკა . . 170—171

შენიშვნები ბულიგინის სათათბიროში არჩევნების საკითხზე . . . . . 171—172

გეგმა სტატიისა „სოციალისტური პოლიტიკის მთავარი ამოცანა“ . . . . . 172—174

შენიშვნა . . . . . 174—175

რუსეთის ფინანსები . . . . . 175—176

ჩანართები ვ. კალინინის სტატიაში „გლეხთა ყრილობა“ . 177—178

1. 177

2. 177

გამოსვლები რსდმპ პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე საოლქო და ციბორგის ორგანიზაციების წარმომადგენლობის უფლებამოსილების საკითხის განხილვისას. 1906 წლის 11 (24) თებერვალი . . . 178—179
1. 178
2. 178
3. 178
4. 179
5. 179

რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობა. 1906 წლის 10—25 აპრილი (23 აპრილი — 8 მაისი) 179—181

1. გამოსვლები ყრილობის მე-2 სხდომაზე ყრილობის ბიუროში შემოსული წერილობითი განცხადებების სახელობითი კენჭისყრის თაობაზე 179
1. 179
2. 179
2. გამოსვლა ყრილობის მე-3 სხდომაზე 180
3. წინადადება ყრილობის დღის წესრიგის პროექტის VIII პუნქტის ჩამოუყალიბებლობის შესახებ 180
4. წერილობითი განცხადება ყრილობის მე-15 სხდომაზე 181
5. გამოსვლა ყრილობის 24-ე სხდომაზე 181

ჩურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 181—182

ურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 182—183

ურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 183—185

ურნალ-გაზეთებს შორის . . . . . 185—186

რსდმპ მეორე კონფერენცია („პირველი სრულიად რუსეთისა"). 1906 წლის 3—7 (16—20) ნოემბერი . . . . . 186—192

1. მოხსენება II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის შესახებ. 4 (17) ნოემბერი . . . 186
2. საბოლოო სიტყვა II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის შესახებ მოხსენების გამო. 4 (17) ნოემბერი 187
3. გამოსვლა მენშევიკური საარჩევნო პლატფორმის განხილვისას. 6 (19) ნოემბერი 188

4. გამოსვლები „მუშათა ყრილობის“ მოწვევის საკითხის გამო. 7 (20) ნოემბერი 189
1. 189
2. 189

5. განსაკუთრებული აზრი, შეტანილი რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე პოლონეთის, ლატვიის მხარის, სანატ-პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალური სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატთა სახელით 189

მუშათა ყრილობა და ესერებთან შეერთება (შენიშვნა) 193—195

მოხსენება რსდმ პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საარჩევნო შეთანხმებათა საკითხის შესახებ. 1907 წლის 6 (19) იანვარი. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . 195—196

აჭვთ თუ არა მენშევიკებს კადეტებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელების უფლება? . . . . . 196—199

პასუხი ლ. მარტოვს 199

რსდმ V ყრილობა. 1907 წლის 30 აპრილი—19 მაისი (13 მაისი—1 ივნისი) . . . . . 200—203

1. გამოსვლა ყრილობის დღის წესრიგის საკითხის გამო კამათის შეწყვეტის წინადადების წინააღმდეგ. 1 (14) მაისი 200

2. გამოსვლა გარათების საშუალებით სახელოგითი კენჭისყრის წესის დასაცავად. 2 (15) მაისი . . 200

3. გამოსვლები ყრილობის მე-6 სხდომის თავმჯდომარედ ყოფნისას. 3 (16) მაისი 201
1. 201
2. 201

4. საწინააღმდეგო აზრი ლიბერის შესწორებაზე ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებული ბოლშევიკების რეზოლუციის გამო. 15 (28 მაისი) 202

5. გამოსვლა ყრილობის სახელწოდების საკითხის გამო. 19 მაისი (1 ივნისი) 202

პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში . . 203—204

შენიშვნები შტუტგარტის კონგრესის რეზოლუციის გამო „მილიტარიზმისა და საერთაშორისო კონფლიქტების“ შესახებ . . . . . 204—205

შენიშვნები კ. ცეტკინის სტატიის გამო „შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი“ . . . . . 205—208

ანტიმილიტარისტული პროპაგანდა და სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის კავშირები . . . . . 209—213

როგორ წერენ ისტორიას „სოციალისტ-რევოლუციონერები“ . . . . . 213—215

მესამე სახელმწიფო სათათბირო და სოციალ-დემოკრატია 215—224

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. 1908 წლის 11—13 (24—26) აგვისტო 224—227

1. განცხადება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო 224

2. პროექტი დადგენილებისა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო მომხდარი ინციდენტის შესახებ 225

3. პროექტი დადგენილებისა ცენტრალური საზღვარგარეთული ბიუროს შექმნის შესახებ 225

რსდმ პარტიის V სრულიად რუსეთის კონფერენცია. 1908 წლის 21—27 დეკემბერი (1909 წლის 3—9 იანვარი) . . . . . 227—230

1. კონსპექტი სიტყვისა ორგანიზაციულ საკითხზე . 227

2. განმარტება ორგანიზაციულ საკითხზე წარმოთქმული სიტყვის გამო 227

3. წინადადება რეზოლუციებისათვის კენჭისყრის წესის შესახებ 228

4. პროექტი რეზოლუციისა კონფერენციის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შესახებ 229

5. ფაქტობრივი განცხადება 229

6. განცხადება მენშევიკთა პროექტის გამო ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ 229

მარქსიზმის ლექციების გეგმა . . . . . 230—231

„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირი. 1909 წლის 8—17 (21—30) ივნისი 231--242

1. სიტყვები პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ურილოგის ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლო აბიტაციის შესახებ რეზოლუციის განხილვისას. 8 (21) ივნისი 231

1. 231

2. 232

2. სიტყვა ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის საკითხის განხილვისას. 9 (22) ივნისი 233

3. სიტყვა კაპრის პარტიული სკოლის საკითხის განხილვისას. 10 (23) ივნისი 235

4. სიტყვა ფრაქციის ერთიანობის საკითხის განხილვისას. 12 (25) ივნისი 236

5. სათათბიროში მოლვაწეობის მიმართ ბოლშევიკების ამოცანების საკითხის განხილვისას წარმოთქმული პირველი სიტყვა. 12 (25) ივნისი 237

6. დამატება რეზოლუციისა „პარტიული მუშაობის სხვა დარგთა შორის სათათბიროში საჭმიანობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ 239

7. გამოსვლა პარტიული პრესის საკითხის განხილვისას. 15 (28) ივნისი 239

8. გამოსვლა ცენტრალურ ორგანოში ფილოსოფიური სტატიების აუცილებლობის საკითხის განხილვისას. 15 (28) ივნისი 240

9. წინადადება სათათბიროს ფრაქციის გაზეთისათვის სახსრების ასიგნებათა შესახებ. 16 (29) ივნისი . 240

10. გამოსვლები და წინადადებანი ბოლშევიკური ცენტრის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისას. 17 (30) ივნისი 241

1. 241

2. 241

3. 241

4. 242

გეგმა რეფერატისა „კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი და მისი მნიშვნელობა“ . . . . . 242—243

1911 — 1914 წლები

„პოლიტიკური ეკონომიის საწყისების“ კურსის ლექციის გეგმა. ლექცია IV 244

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირი. 1911 წლის 28 მაისი—4 ივნისი (10—17 ივნისი) . . . . . 245—255

1. მოხსენება პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ 245

2. გამოსვლები თათბირის კონსტიტუირების საკითხის განხილვისას. 28 მაისი (10 ივნისი) . . 250
   1. 250
   2. 251
   3. 251
   4. 252

3. გამოსვლები ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის საკითხის განხილვისას. 30 მაისი (12 ივნისი) 252
   1. 252
   2. 253
   3. 253
   4. 253

4. წინადადება პარტიული კონფერენციის მოწვევის რეზოლუციის გამო 254

5. განცხადება 254

განცხადება 255

ჩამატება ლ. ბ. კამენევის ბროშურაში „ორი პარტია“ . 255—256

„ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტის“ რეფერატის გეგმა . . . . . 256—257

წინადადება საზღვარგარეთის ორგანიზაციის წესდების შესახებ საზღვარგარეთული ბოლშევიკური ჯგუფების თათბირზე . . . . . 257—258

კონსპექტი მოხსენებისა პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ . . . . . 258—260

რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენცია. 1912 წლის 5—17 (18—30) იანვარი . . . . . 260—279

1. „კონფერენციის მოსაწვევად რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შესახებ“ რეზოლუციის პროექტის გამო 260
2. კონსპექტი სიტყვისა კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ 260
3. მოხსენება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ. 1912 წლის 7 (20) იანვარი 262
4. გამოსვლა შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ რეზოლუციის მიღების გამო. 1912 წლის 8 (21) იანვარი 264
5. პარტიის ორგანიზაციული წესდების ცვლილებათა პროექტი 265
6. სიტყვა ორგანიზაციული საკითხის შესახებ. 1912 წლის 11 (24) იანვარი 266
7. პარტიული მუშაობის ხასიათისა და ორგანიზაციული ფორმების შესახებ რეზოლუციის პროექტის გამო 268
8. მასალები რეზოლუციისა „საპეტიციო კამპანიის“ შესახებ 269

ბეგმა რეფერატისა „რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური აღმავლობა“ 271

როზა ლუქსემბურგი და პოლონური „PARTEI“VORSTAND-ი მარტოვის კვალდაკვალ . . . . . 271—278

პასუხი ლიკვიდატორთა სტატიაზე „LEIPZIGER VOLKSZEITUNG“-ში . . . . . 278—281

რუსეთის ყველა მოქალაქეს 281

პოლიტიკური უნებისყოფობის შესახებ (წერილი რედაქციას) . . . . . 286—287

მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში „IV სათათბიროს არჩევნები“ . . . . . 288—292

ისევ IV სათათბიროს ბლეხთა დეპუტატების შესახებ . . 292—293

რეზოლუცია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან გაზეთ „პრავდის“ რედაქციის რეორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ . . 293—295

წერილი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას . . . . . 295—300

„პრავდის“ წლისთავი (მუშები მხარს უჭერენ მუშათა გაზეთს) . . . . . 300—304

პარტიების ბრძოლა ჩინეთში . . . . . 304—307

გაზეთ „ლუჩის“ № 189-ში დაბეჭდილი მოწინავის გამო . 307—310

მემამულენი საშოვარზე მიმავალი სოფლის მეურნეობის მუშების შესახებ . . . . . 310—312

მუშათა პარტია და ლიბერალური მოჯირითენი (პოტრესოვის შესახებ) . . . . . 312—313

კაპიტალისტები და შეიარაღება . . . . . 314—315

იაფი ხორცი — „ხალხისათვის“ . . . . . 315—317

პროექტი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეთანხმებისა ჯგუფს „პრიბოისთან“ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობად მისი აღიარების შესახებ . 317—318

ოქტიაბრისტები და მუშათა მოძრაობა . . . . . 318—321

„რუსი ინტელიგენციის იუბილეს“ შესახებ . . . . . 321—323

პროექტი მუშათა ორგანიზაციების რეზოლუციისა ლიკვიდატორების მიერ დამზღვევი მოლვაწე X-ისათვის ცილისმწამებლური ბრალის დადების გამო 323

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის შეფასება რუსეთის მუშების მიერ 324

კონსპექტი ადგილებზე წასაკითხი მოხსენებისა პარტიულ მუშაკებთან რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტის თათბირის შესახებ (1913) . . . . . 325—326

ბიუროს უახლოესი ნაბიჯების საკითხისათვის . . . 326—328

სახალხო მასწავლებელთა სიღატაკე . . . . . 328—331

რუსი მუშები და ინტერნაციონალი . . . . . 331—334

როგორ ატყუებენ მუშებს ლიკვიდატორები . . . . 335—337

რეზოლუცია სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ . . . . . 337—340

ჩვენი სკოლების შესახებ . . . . . 340—342

სათათბიროს ფრაქცია და სათათბიროსგარეშე უმრავლესობა . . . . . 342—344

თეზისები რეფერატისა ეროვნულ საკითხზე . . . . . 344—356

ჩანართი ნ. კ. კრუპსკაიას სტატიისათვის „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხის გამო“ . . . 356—357

ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობა. 1914 წლის 13—26 იანვარი (26 იანვარი — 8 თებერვალი) . . . . . 357—365

1. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე 357

2. საბოლოო სიტყვა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე 361

3. პროექტი რეზოლუციისა რსდმ პარტიისადმი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ 363

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის არალეგალური მუშაობის ხელმძღვანელობის საორგანიზაციო განყოფილების შექმნის შესახებ 365—366

რეცენზია. ი. მ. ქოზმინიხ-ლანინი. ზეგანაკვეთური სამუშაოები მოსკოვის გუბერნიის ფაბრიკებსა და ქარხნებში. მოსკოვი. 1914 წ. ფასი 1 მან. . . . . 366—369

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება . 369—370

პოლონეთის ოპოზიცია ბრიუსელის კონფერენციაზე . . 370

გეგმები სტატიისა „რევოლუცია და ომი“ . . . . . 370—371

1. 370

2. 371

1914—1917 წლები

იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგის შესახებ 372

გეგმა ბროშურისა „ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი“ . . . . . 372—380

„სიმღერა შევარდენზე“-ს ავტორს . . . . . 380—381

შენიშვნა „რედაქციისაგან“ სტატიის გამო „უკრაინა და ომი“ . . . . . 381—382

რსდმ პარტიის საზღვარგარეთულ სექციათა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის „ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი“ მესამე პუნქტის პროექტი . . . . . 382—383

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის რეზოლუციის პროექტი . . . . . 383—386

ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია. 1915 წლის 23—26 აგვისტო (5—8 სექტემბერი) . . . 386—394

1. პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის პროექტის ვარიანტი 386
2. თეზისები მოხსენებისა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა თათბირზე 389
3. გეგმა სიტყვისა ციმერვალდის კონფერენციაზე . . 390
4. გამოსვლები ომისა და სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ მანიფესტისა და რეზოლუციის პროექტის განხილვისას. 25 აგვისტო (7 სექტემბერი) . . . . . 391—393
   1. 391
   2. 393
5. ციმერვალდის მემარცხენე ფრთის განცხადების დამატებანი 393

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ერთა თვითგამორკვევის უფლება 394

შესწორებანი და დამატებანი გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირზე მიღებული მიმართვისა „ყველა მიმხრობილი პარტიისა და ჯგუფისადმი“ . . . . . 394—396

გეგმა რეფერატისა „ორი ინტერნაციონალი“ . . . . 396—404

შენიშვნა თეზისებისათვის „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“ . . . . . 404—405

პროექტი რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ჟურნალ „კომუნისტის“ გამოცემის შეწყვეტის შესახებ . . . . . 405—408

მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია კინტალში. 1916 წლის 11—17 (24—30) აპრილი . . . . . 408—422

1. რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადების თავდაპირველი ვარიანტი 408

2. გამოსვლები საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ რეზოლუციის განხილვისას.

15 (28) აპრილი 421

1. 421

2. 422

3. 422

ციმერვალდის კონფერენციაზე პოლონელ სოციალ-დემოკრატთა დეკლარაციის შესახებ . . . . . 422—423

გეგმა სტატიისა „სახელმწიფოს როლის საკითხისათვის“ 423—425

თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი . . . . . 425—427

შენიშვნები მაქსიმალიზმის შესახებ სტატიის გამო . . 427—431

გეგმები ბროშურისა „სტატისტიკა და სოციოლოგია“ . . 431—435

1. 431

2. 433

3. 434

ნიშნები „ცენტრისა“, როგორც მიმდინარეობისა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში . . . . . 435—437

გეგმა სტატიისა „ომის გაკვეთილები“ . . . . . 438—439

მონახაზი მეხუთე „წერილისა შორიდან“ . . . . . 439—441

პასუხები გაზეთ „POLITIKEN“-ის კორესპონდენტს. 1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი) 441

პასუხი შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელს ზ. სტრომს. 1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი) 442

რუს რევოლუციონერთა მგზავრობა გერმანიის გავლით. ჯგუფის კომუნიკე . . . . . 442—444

სიტყვა თათბირზე შვედ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან. 1917 წლის 31 მარტი (13 აპრილი). საგაზეთო ანგარიში 444

სიტყვა ფინეთის ვაგზლის მოედანზე მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსებისადმი. 1917 წლის 3 (16) აპრილი. საგაზეთო ანგარიში 445

„თავისუფლების სესხი“ (მუშათა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი) . . 445—446

რსდმ პარტიის (ბ) პეტროგრადის საერთოსაქალაქო კონფერენცია. 1917 წლის 14—22 აპრილი (27 აპრილი — 5 მაისი) . . . 447—449

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ. 14 (27) აპრილი. საგაზეთო ანგარიში 447

2. სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის შეტანისას. 22 აპრილი (5 მაისი) 448

სიტყვა ჯავშნოსანი დივიზიონის ჯარისკაცთა მიტინგზე მიხეილის მანეჟში. 1917 წლის 15 (28) აპრილი. საგაზეთო ანგარიში . . . . . 449—451

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სხდომა. 1917 წლის 17 (30) აპრილი 451—454

1. სიტყვა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის გამო . . . 451

2. პასუხები კითხვებზე 454

ამხანაგების საყურადღებოდ! 455

დამრბევი აგიტაცია მინისტრების გაზეთისა . . . . 456—457

რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია. 1917 წლის 24—29 აპრილი (7—12 მაისი) . . . . 457—482

1. სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის პროექტის შესახებ. 25 აპრილი (8 მაისი) 457
1. ოქმის ჩანაწერის ვარიანტი 457
2. საგაზეთო ანგარიში 460
2. წინადადება, თუ როგორ უნდა წარიმართოს კამათი ვ. პ. ნოგინის მოხსენების გამო „დამოკიდებულება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი". 25 აპრილი (8 მაისი) 461
3. სიტყვა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისადმი დამოკიდებულების შესახებ. 25 აპრილი (8 მაისი) 462
1. ოქმის ჩანაწერი 462
2. საგაზეთო ანგარიში 466
4. სიტყვა ომის შესახებ რეზოლუციის დასაცავად. 27 აპრილი (10 მაისი). საგაზეთო ანგარიში 467
5. რეპლიკები ომის შესახებ რეზოლუციის განხილვისას. 27 აპრილი (10 მაისი) 468
1. 468
2. 468
3. 468
6. რსდმ პარტიის პარტიული პროგრამის ცვლილებათა წინასწარი პროექტი 469
პროგრამისათვის. გამაუმჯობესებელი ვარიანტი 475
7. მოხსენება პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხზე. 28 აპრილი (11 მაისი). საგაზეთო ანგარიში 476
8. მოხსენება აგრარულ საკითხზე. 28 აპრილი (11 მაისი). საგაზეთო ანგარიში 477
9. რეპლიკა აგრარულ საკითხზე რეზოლუციის განხილვისას. 28 აპრილი (11 მაისი) 479
10. სიტყვა ეროვნულ საკითხზე. 29 აპრილი (12 მაისი). საგაზეთო ანგარიში 479

11. სიტყვა ინტერნაციონალში მდგომარეობის საკითხზე და რსდმ პარტიის (ბ) ამოცანების შესახებ. 29 აპრილი (12 მაისი). საგაზეთო ანგარიში . . 481

12. რეპლიკები მიმდინარე მომენტის შესახებ რეზოლუციის განხილვისას. 29 აპრილი (12 მაისი) 481

1. 481

2. 481

მიტინგზე დაუდგენელი გამოსვლის კონსპექტი . . . . 482—483

მეტისმეტად უხეში სიცრუე 483

დაუმთავრებელი ავტობიოგრაფია 484

მოხსენება რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შედეგების შესახებ პეტროგრადის ორგანიზაციის კრებაზე. 1917 წლის 8 (21) მაისი . . . . . 484—488

გენმა რეზოლუციისა ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ . . . . . 488—489

ჩანართი ნ. კ. კრუპსკაიას სტატიაში „ფურცელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიდან“ . . . . . 489—490

შაქტორგივი განცხადება გაზეთ „ვპერიოდთან“ არსებული კომისიის გამო რსდმ პარტიის (ბ) პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე. 1917 წლის 30 მაისი (12 ივნისი). . 490

სიტყვა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობის ბოლშევიკთა ფრაქციის სხდომაზე. 1917 წლის 31 მაისი (13 ივნისი). მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 491—492

პეტროგრადის რაიონული კომიტეტებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა და ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირის რეზოლუციის პროექტი. 1917 წლის 10—23 ივნისი. 493

სრიმის საქმის გამო 494

ირცხვილი! 494

მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ რსდმ პარტიის (ბ) სრულიად რუსეთის ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციათა კონფერენციაზე. 1917 წლის 20 ივნისი (3 ივლისი). მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . 495—496

პოლიტიკური მდგომარეობა (ოთხი თეზისი) . 496—
წერილი „რიგის აღების გამო ფურცლის“ გამოცემასთან დაკავშირებით . 500—
თეზისებიდან მოხსენებისათვის პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე 8 ოქტომბერს, აგრეთვე რეზოლუციისათვის და პარტიულ ქრილობაზე არჩეულთა განაწესისათვის 503—
დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ . 503
შენიშვნა თეზისისათვის „დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიის შესახებ“ 504
„მემამულეებმა პირი შეკრეს კადეტებთან“ . . 505—
წერილი ი. მ. სვერდლოვს . 508—
შენიშვნები . 511—
სახელთა საძიებელი . 710—

ქართული თარგმანის რედაქტორი
ვლადიმერ მერკვილაძე

გამომცემლობის რედაქტორები
ალექსანდრა არობელიძე
ოთარ გრატიაშვილი
ტექრედაქტორი ივანე ხუციშვილი
კორექტორები ეთერი მესხი
ელენე ქვანია

გადაეცა წარმოებას 10/VI—69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV—70 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 39.9.
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 37,5. ტირაჟი 5000. შეკვ. № 274.
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Издательство „Сабчота Сакартвело“, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1970

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.